

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

# ქართული სამართლის ძეგლები

ტომი V

სასამართლო განჩინებანი  
(XVIII ს.)

ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო  
პროფ. ი. დოლიძემ

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1974

34 (C 41) (09)

34 (47.922) (09)

ქ. 279

## წინასიტყვა

ქართული სასამართლის ძეგლების მეხუთე ტომი წარმოადგენს გაგრძელებას მეოთხე ტომისა, რომელშიც XVI—XVIII საუკუნეების სასამართლო განჩინებები დაიბეჭდა. წინამდებარე ტომი შეიცავს XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სასამართლო განჩინებებს, რომლებიც დადგენილია მეფეთა, კათალიკოსთა, ბატონიშვილთა, მდივანბეგთა, მელიქ-მამასახლისთა და ქეთხუდების სასამართლოების მიერ. განჩინებათა დიდი ნაწილი გამოტანილია მდივანბეგთა და მსაჯულთშეკრებულების სასამართლოების მიერ. ტომში შევიდა აგრეთვე დიკასტერიისა და მედიატორეთა სასამართლოების რამდენიმე განაჩენიც.

სულ ტომი შეიცავს 403 სასამართლო განჩინებას, რომლებიც გამოტანილია სხვადასხვა დავების — უმთავრესად ყმა-მამულეებსა და სასისხლო საქმეებზე, დავების გამო. ამ საბუთებში ასახულია გვიანფეოდალური საქართველოს არა მარტო სამართლის ცალკეული დარგების (სამოქალაქო, სისხლის, საპროცესო სამართლის) თავისებურებანი, არამედ სოციალური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მხარეებიც.

აქ წარმოდგენილ სასამართლო განჩინებათა ტექსტების საგრძნობი ნაწილი, დედნებისა თუ პირების სახით რომ შემონახულა, მეტნაკლებად დაზიანებული და ხარვეზიანია. ყველგან, სადაც და როგორც შეეძელით, ასეთი ტექსტები აღვადგინეთ და კავეებში ჩავსვით. ქარაგმები გავსენით, ბევრი უთარილო საბუთი დავათარილეთ. ტომში დაბეჭდილია რამდენიმე არზიანი განჩინება, რომელიც თარიღდება არა არზის დაწერის, არამედ განჩინების გამოტანის თარიღის მიხედვით.

ჩვენს მიერ დადგენილ ტექსტებში, გარდა ორიოდ შემთხვევისა, ამოკითხულია სასამართლო ხელისუფლებით აღჭურვილ იმ პირთა ბეჭდების ლეგენდები, რომლებსაც განაჩენი გამოაქვთ ამა თუ იმ საქმეზე. სასამართლო განჩინებათა დამტკიცებისათვის მეფეები საგანგებო ბეჭდებს იყენებდნენ. მაგალითად, ერეკლე მეორე, რომელსაც რამდენიმე ბეჭედი ჰქონდა, როგორც წესი, განჩინებებს ამტკიცებდა მხოლოდ ერთი ბეჭდით, რომლის ლეგენდა ასეთია: «მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესაა ვადიდე, ერეკლე».

თითოეულ საბუთს, რომელაც შემონახულია დედნის სახით, დარ-  
იული აქვს მოკლე არქეოგრაფიული აღწერილობა — ფონდის, შა-  
ფრის, ზომის, დამწერლობის, განკვეთილობის ნიშნებისა და საბუ-  
თის აწინდელი მდგომარეობის აღნიშვნით. აქვე მოცემულია უთა-  
რილო საბუთების დათარიღება და მითითებულია იმ საბუთების  
პუბლიკაციები, რომელთა დედნები და პირები დაკარგულად ითვ-  
ლება. რაც შეეხება იმ საბუთებს, რომლებიც მოღწეულია პირების  
სახით, მათი ზომა, განკვეთილობის ნიშნები და ორთოგრაფიული  
თავისებურებანი აღნიშნული არ არის.

როგორც წინა ტომებში. ისე ამ ტომში შესული საბუთები ხან-  
გრძლივი ძიების შედეგად მოპოვებულია საქართველოსა და მის  
ფარგლებს გარეთ მდებარე შემდეგ საარქივო ფონდებსა და ხელ-  
ნაწერთა საცავებში.

1. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო  
არქივის 1448, 1449 და 1450 ფონდები. 1448 ფონდში დაცუ-  
ლია ხელნაწერი საბუთების დედნები, ხოლო 1449 და 1450 ფონ-  
დებში — საბუთების პირები. მასალების სიუხვით განსაკუთრებით  
აღსანიშნავია 1450 ფონდი, რომელიც გადაწერილია XIX საუკუნის  
დამდეგს და შეიცავს დიდი ფორმატის 57 დავთარს. ამ ფონდში,  
თუმცა არამცირედი ხარვეზებითა და დამახინჯებებით, დაცულია  
მნიშვნელოვანი ნაწილი სასამართლო განჩინებებისა, რომელთა  
დედნები ამჟამად დაკარგულად ითვლება. ცენტრარქივში დაცულია  
აგრეთვე პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი № 1461, რო-  
მელიც 14 რვეულისაგან შედგება და შეიცავს აწ დაკარგულ სასა-  
მართლო განჩინებათა დედნების გადაწერილი პირების საგრძნობ  
რაოდენობას.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელი-  
ძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad,  
Hd, Sd და Qd ფონდები.

3. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-  
ზეუმის ფონდები.

4. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-  
მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის გან-  
ყოფილების ფონდები.

წიგნის მოცულობის შემცირების გამო ამ ტომის ტერმინთა  
და საკუთარ სახელთა საძიებლები დაერთვის მეექვსე ტომს, რომე-  
ლიც XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი  
მეოთხედის სასამართლო განჩინებებს შეიცავს.

ი. დოლიძე

ტექსტები



**1. პანჩინება იასე მიქელიძისა და ვერა ბეგისვილის  
გაგულის საქმეზე**

1776 წ. 16 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3895. დედანი. ქალაღი. 28,3X16,2 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტი-  
ლი. ა-მეტი.

ქ. მიქელიძე იასე და იმისი ძმები უჩიოდენ ბეგის-  
შვილსა ბერას და იმის ძმისწულსა ხუხუტის ვენახ-  
ზედა.

ესენი ორნივე ჩვენ, იასე მდივანბეგმა, მოვაცვანინეთ და  
ორნივე ერთათ ვალაპარაკეთ. უწინც ელაპარაკათ და ვერ გარიგე-  
ბულიყვენენ.

ბეგისშვილი ამას ანობდა: მიქელიძის<sup>1</sup> პაატასა-  
გან მიყიდიო ეს ვენახიო; მაგრამ არც ნასყიდობის წიგნი ჩანდა  
და არც მოწამე.

რადგან მოწამე და წიგნი არა ჩანდა, სამართლით ფიცი დაედვა  
ბეგისშვილს. ბერა წადგეს და ასე შეფიცოს; რომ: «მიქელიძისაგან<sup>2</sup>  
მეყიდოს ეს ვენახიო».

თუ ბეგისშვილმა ასე იფიცოს, ვენახი ბეგისშვილს დარჩეს. თუ  
ვერ იფიცოს, ეს ვენახი მიქელიძეს დარჩება.

იასაულო, ეს ასე გააქრიგე. მარტის ივ, ქორონიკონს უაღ.

ზეგედი: მონა ღთისა აზილახერის შვილი მოურავი იესე

ქ. ეს წიგნი დავდევით ჩვენ, მიქელიძებმა იასემა და პა-  
ტარკაციმ და გიორგიმ, თქვენ ბეგისშვილებსა<sup>3</sup> ბერო-  
სა და გოგოასა ასე, რომე: მდივანბეგთან ვიჩივლეთ და იმან  
სამართლით ფიცი დაგადლოთ. ავდევით და ჩვენ მიქელიძებმა<sup>4</sup> ვარ-  
ჩივით და დახსნის წიგნი გვეგულებოდა და აღარ დაგაფიცეთ.

ამ ხანათ ასე-პირობა მოგეცით: თუ ის წიგნი მოგიტანეთ, ხომე  
მოსავალს მოგ[ი]სწ[ა]რით, ხომე მოსავლითა გავიტანთ იმ წიგნის

1 მიქელიძის. 2 მიქელიძისგან. 3 ბეგისშვილებსა. 4 მიქელიძებსმა.

ძალით. თუ ცარიელს მოგიტანეთ, ცარიელს გავიტანთ. და თუ წიგნი ვერ მოგიტანეთ, როგორც გკერიათ<sup>1</sup>, ისე ღმერთმანცა და სამართალმაც თქვენ მოგცესთ მთლად მეჭ[ვ]რისხეველებს მოწმობით.

ქ. მე, ზ ა ა ლ ჩ ი კ ო ტ [ა] ძ ე ს, ეს ასე გამირიგებია ბატონის ჩემის ამილახვარ-მდივანბეგის იასეს სამართლოთ და ბძანებითა, რომე მიქელიძე აფიცებდა ამ ბეგისშვილს<sup>2</sup> ბეროსა, კიდევაც დაიფიცა და თავის მამულიც გაიტანა ფიცით და სამართლით.

ბეჭედი არ მქონდა და ეს ჩემი ხელია. †

2. განჩინება ღვით ორბაღლიანისა და იასე ამილახვარის  
შეხვის საქმეზე

1778 წ. 8 მაისი

ცსა. 1448. № 452. დედანი. ქალაღი. 42,5×16 სმ. დაზიანებული. მარჯვენა კიდე ალაგ-ალაგ მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახ-მარია წერტილი.

ქ. სარდალ-სახლთუხუცესი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი დ ა ვ ი თ და ამილახვარ-მდივანბეგი ი ე ს ე ო რ ს [კო]მლს ს ი ს ვ ა უ რ ს დ ა ვ ი თ ა ს ა და თ ე ვ დ ო რ ე ზ [ე დ] ჩიოდნენ.

სარდალ-სახლთუხუცესი ღვით [ამ]ას ამბობდა: დიდი ხანი არის მამული წა[მხდ]არი მაქვსო და გლებნი დაფანტულნი მყ[ვა]-ნანო, ვერც მე ვიცნობ ზოგიერთს ჩემს ყ[მ]ებს და არცაეინ ასეთი ხანწავლილი აზნაურშვილი მყავს, რომ ან ისინი იცნობდნენ და იცოდნენ რამეო; ვინცაეინ ჩემნი ყმანი აქა-იქ ავის დროსაგან მტრის მიზეზით დაფანტულნი არიან, ზოგნი ერთნი თითონვე თავს გამოიჩინენ, მეტყვიან — შენი ყმანი ვართო და იმით ქელს მოვჰკიდებ ხოლმეო.

ამას წინათ, რვას წელიწადს უწინ, ზემო ქართლში ბატონი ბძანდებოდა და მეც თან ვახლდით. სისვაურის მამას სიკვდილის დროს ერთის მოჰთაბარის კაცისათვის ანდერძი ეთქვა: მე ვკვდებიო და მკვიდრად რ ე ვ ა ზ ს ა რ დ ლ ი ს ყმანი ვართო, შენ შეატყობინე, რომ ჩემი შვილები არ დაეკარგნენო. ეს ამბავი ერთმა რომელმამე კაცმა შემატყობინაო. სისვაურები მოვაყვანინეო და ჩემი ყმობა უთხარო, მაშინვე თავს იღვეს, მართალი არის, შენი ყმანი ვართო. ერთი კომლი გ ო რ ს იდგა; ქელი მოვკიდეო; და ერთი კომლი ქსნის ერისთვის სახლთუხუცესს უ თ ნ ე ლ ი ს-შ ვ ი ლ ს ესახლა და იმისგან მრავლის ღვით და ღაპარაკით გა-

<sup>1</sup> კერიათ. <sup>2</sup> ბეგიაშვილს.



მოვიტანეო. დღეს აქამდის ეს ორი კომლი სისვაურები ზემო ქართლს იღვენ და იქიღამ ვიმსახურებდიო. ახლა კოდა ზედ რომ შენობას კელი მივჰყავო, ვინცავინ ზემო ქართლში გლებნი მყვანდნენ, ყველანი ავჰყარე და წამოვიყვანე და ეს სისვაურებიც ავჰყარეო. აყრა იწყინესო და ამილახორის ყმობა დაირქვესო.

ამილახორ-მდივანბეგი იესე ამას ეპასუხებოდა: სისვაური დავითა და თევდორე ჩემი მემკვიდრე ყმანი არიანო, ნაწრეტს ნასახლებნიო. ამილახორის შვილები საერთოს გლებთ უსამართლოდ ეკიდებოდნენ და ამ მიზეზით თავი დაგვიმალეს და შენი ყმობა თქვესო, თორემ სხვა [რიგად] ამათთან შენ საქმე არა გაქვს რაო.

ჩვენ, [მსაჯულთ, ეს სამართალი მივეცი: ამილახორ-მდივანბეგმა იესემ ლიპარიტის შვილი ბეჟან თუ ს[არდალ]-სახლთუხუცესს დავითს ასე შეაფიცოს, რომ ზემოწერილი სისვაურები მემკვიდრე ამილახვარიან[თ ყმანიც იყვნენ და ნაწრეტსაც სახლებულიყვნენ], დარჩეს სისვაურები ამილახორ-მდივანბეგს იესეს.

და თუ ასე ვერ შეაფიცა, ამილახორ მდივანბეგს იესეს სისვაურებთან საქმე არა ექნება რა და სარდალ-სახლთუხუცესს დარჩება ყმად სისვაურები დავითა და თევდორე.

აღიწერა მაისის გ, ქორონიკონს უჟღ.

სამი ბეჰელი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჰომი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748
2. ქაიხოსრო
3. მონა ლთისა მდივანბეგი თემურაზ.

### 3. განჩინება იასა ამილახვრისა ივანე თათქირიძის შვის საჰმეზი

1770 წ. 24 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2554. დედანი. ქალაღი. 35X21,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან ოთხი წერტილი. განჩინება დაწერილია ბუნდოვნად და უწიგნურად.

ქ. განგებითა მლუთისათა ესე განჩინი დაგიწერეთ<sup>1</sup> და მოგეცით ჩვენ, ამილახვარ-სარდალ-მდივანბეგმა იასემ, შენ, თათქირიძეს იოვანეს, ასე რომე:

შენ ერთი იმერელ მეფის აზნაურშვილის ყმები ბაბლიძეები მოგუსულოდენ სამნი ძმანი, ვითა წესია ბატონყმობისა და ყოფილიყუნენ რამეთენსამე ჟამსა. მერე ერთი საძნიალოდ სათქმელი საქმე შემთხვეოდა შენ იოვანეს ეფისკოპოზთან საყა-

<sup>1</sup>+ დაგიწერეთ.

ნონოთა გარდახდით, ეკლესიის სამსახურით ის საქმე, თავს გარდა-  
ევლო. ამას გარდა კუალად ეს გექნა — შენის შვილისათვის ერთი  
ახალგაზრდა და დიდად შენის ოჯახის გამოსადეგი, ისიცა გთხოვა  
სადმე; რადგანაც იმის ყმობა გინდოდა, აღარც ის დაგიჭერია და  
პოგიცია; და იმის საბოზაზე კაცნიც იმოწმე, რომ იმის თაობაზე  
ერთი კუამლი კაცი აგყროდა და დაგკარგოდა<sup>1</sup>. მერე ორჯერ-სამჯერ  
გაქცევოდნენ.

მოხვედი ჩვენს სამართალში. ჩვენ მოვასხმევეინეთ ის კაცნი  
და ვკითხეთ სადაობა და ან ბატონი. იმან ჩვენს სამართალში იმე-  
რელ მეფის აზნაურშვილის კაცობა აღიარა და თქვა. ჩვენ კუალად  
ვეითხეთ, დავაფიცეთ, თუ საქართველოს კაცი იყო და [ან საქარ-  
თველოში ყმა იყო ვისიმეო, თქვი და იოვანეს ხელს ავალეზინებთ.  
და იმან დიდათ შორს დაიჭირა: მე საქართველო ამის მეტათ არც  
კი მინახამსო; მაგრამ მა მუკასი აღარა დაიჭერება რა, ამის-  
თვის [რომ] მრავალჯერ სხვა ბატონი გამოიჩინა მამუკამ და ამის  
მიზეზით ცრუთ დაიდვა.

რომელიც რომ ამ მამუკას უფროსი ძმა არის, ეს მოვაცვანი-  
ნეთ, დავაფიცეთ თავისი დამბადებელი, თავისი საჩუქუნოება,  
თავისი განკითხვის დღე, თავიანთის სულის წარწყმედა და ცხოვ-  
ნება. და იმათ მრავლის ფიცით დავავიმტყიცა: მე საქართველოს  
ქვეყნის არც ვიყო და არცარა ვიცოდე ამაზე, რომელზედაც სას-  
წაულზე ფიცით შემოძლიაო. ესეც ვეითხრა, თუ ჩვენ საქართვე-  
ლოს ქვეყნისა ვიყოთო, სამ[ი] და ოთხი ჩემი განაყოფი თუ არ  
მიეტესო ბედნიერს მეფეს ჩემის ნაბატონისთვის; და მეცა მყრიდ-  
ნენო, მაგრამ ღმერთმან დაუმადლოს ამ ბატონს ჩემს იოვანესაო,  
ამან დამიხსნაო.

და შენ, იოვანე, ბედნიერის კელმწიფისათვის არზი მიგიერთმევი-  
ნა და ოქმი ებოძა.

ამით უფრო გული დავაჯ[ერ]ეთ, რომ ამთენის იმადგან ფი-  
ციტ და მერე იმერელ მეფის აზნაურშვილებისაგან მოკიდება და  
ინათისობა, და ამის სახლის კაცებიც რომ ორი კუამლი ფურცელაძი-  
დამ აეყარათ და წაესხათ, — ამთენის წინადადებით გული დავაჯე-  
რეთ, რომ ეს კაცნი არცაღა ვისნი ყოფილან საქართველოში.

ერთი ეს გამოცხადდეს: ეს კაცნი რომ გაქცევოდნენ, ქარელში  
ციციშვილს ლოპინაშვილს ზაქარია სალთხუცესს მი-  
სულოდნენ. ივანეს იმათის აზნაურისშვილებისათვის წიგნი მიე-  
წერა და ამ კაცებისა იმათი ყმობა ლუთის წინაშე ეფიცებინა. იმათ

<sup>1</sup> დაგკარგოდა.

წიგნი მოეწერათ ფიცით, რომ არც გაგვიგონია ამის მეტათ მაგისი ჩვენი ყმობა და არც ვიცითო. ამისი წიგნიცა ქელთა ქონდათ.

რადგან ამთენი ჭეშმარიტი და მართალი საბუთი ქონდა იოვანეს და იმთენი განარჯილობა, საქართველოს წესიც ეს არის: იმერელი და ჯავახი და ყოველი მოსული ვანც არის, პირველად ვისაც მოუვა, იმისია და ველარც წაუვა. ეს კაცნი შენ მოგუსლიან იმერლები და არც არავის საქმე აქუსთ ამ კაცთში. და დარჩა ეს კაცი იოვანეს სამართალში. ამათთან საქმე არავისა აქუს.

დაიწერა მაისის კდ, ქორონიკონს უფდ. და ნება ბედნიერის ქემწიფისაა.

ბეპელი: მონა ლთისა ამილახვრის შვილი მოურავი იესე.

#### 4. განიხილავთ იოსებ თუშანიშვილის ამის თათულას საქმეზე

1770 წ. 9 ივნისი

ცსა. ფონდი 1450. დავთ. № 46. საბ. № 148. პირი. ქალაღი. მხედრული.

[107] მდივანი იოსებ ამას ჩიოდა: ჩემი ყმა ქვემო ბოლნელი გული ფაშანთ ოსეფაშვილი თათულა ზარეულს შაქარასთან არისო და არ მანებებსო.

ჩვენ, მსაჯულთ, ზარეული შაქროა ჩვენთან სამართალში მოვაყანინეთ და ვალაპარაკეთ.

შაქროა ამას უპასუხებდა: ეს ოსეფაშვილი თათული ჩემი დისწული არისო, შენი ყმა [არ] არისო, სახასო არისო.

იოსებ მდივანს ამისი მოწმე[ე]ბი ვთხოვეთ. იოსებმა ბოლნელები კაცები მოიყვანა, ასეთი სარწმუნო მოწმე[ე]ბი მოიყვანა, რომ იმათი მოწმობა სამართალში დაიჭერებოდა და ჩვენც სარწმუნო გავხდით.

ასე იმოწმეს: ეს ოსეფაშვილი თათულა იოსებ მდივნის [V] ყმა არისო. მერმე ამ შაქროამ ზარეულმანც სამართალში თავისის პირით აღიარა: მართალი არისო, ეს თათულა იოსებ მდივნის ყმა არისო, მაგრამ ამას ვეხვეწებო, ჩემი დისწული არისო, მსახურათ ნუ გაიყ[უ]ანსო, თავის ყმა არისო, ისე იმსახუროს.

რადგან ამან ბოლნელებმაც ასე იმოწმეს და თითონ შაქროა მზარეულმაც თავის პირით აღიარა ამ თათულასი იოსებ მდივნის ყმობა, ეს თათულა სამართლით იოსებ მდივანს დარჩა. სხვას კაცს ამ თათულასთან საბატონყმით საქმე არავის აქვს, იოსებ მდივნის ყმა არის.

იასაულო ამირეჯიბო სვიმონ! ეს ასე გაარიგე, როგორათაც ამ ჩვენს განაჩენში ეწეროს.

აღიწერა თიბათვის თ, ქორონიკონს უად.



მე, სვიმონ ამირეჯიბმა, ამ განაჩენის ბიჭი თათულა მივაბარე მდივანს იოსებს ამ განაჩენის ძალითა და ბატონის ბძანებითა.



თავში:

ჩვენ, მე ფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი, ამ განაჩენს ვამტყიცებთ. იასაულო სვიმონ ამირეჯიბო, ესე ასე გაარიგე, როგორც ამ განაჩენში სწერია. ივნისის იბ, ქორონიკონს უად.



## 5. განიხილა გლახა და ქაიხოსრო ფანავლიშვილების მამულის საქმეზე

1770 წ. 15 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2351. დედანი. ქალაღი. 18,7×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ფანველიშვილი გლახა თავის სახლისკაცს ქაიხოსრო ფანველიშვილს ერედვის[ს] კვირიკაშვილის მამულზე უჩიოდა. ეს კვირიკაშვილი გლახას წილი იყო. ქაიხოსროს საქმე არა ჰქონდა რა. ეს მამული სამართალში გლახას დარჩა, სამკვიდროც ამისი იყო.

აღიწერა ივნისის იე, ქორონიკონს უად.

ჩიკრიკაული გასაყოფი არის, ორსავ წილი აქვს. და თუ ამ ჩიკრიკაულზე არაგველნი ილაპარაკებენ, სამართალში ილაპარაკონ. თუ სამართლით იმათ დარჩება, ორისავ გამოერთმევა, თუ არა ორისავ არის.

სამი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჰომი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე 1748.
2. ქაიხოსრო.
3. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ.

თავში:

ჩვენ, მე ფე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი, ამ სამარ-  
თალს ვამტკიცებთ. ივნისის ივ, ქორონიკონს უად.

იასაულო! ეს ასე გაარიგე, როგორც ამ განაჩენში სწერია.

ბეპედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

## 6. განჩინება ესაი ალასა და თაყუას შვილის მიკირტუმა

ვალის საქმეზე

1776 წ. 24 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13153. დედანი. ქალაღი. 41,7×16 სმ.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარაა წერტილი და ორწერტილი.

ქ. იზმირელს ესაი ალას თაყუას შვილის მიკირ-  
ტუმა ს-თან ანგარიში ქონოდა. მოსულიყო ქალაქს, თავისი ანგა-  
რიში ეთხოვნა. და მიკირტუმას მიზეზები რამ ეთქვა.

მერმე ესაი ალას ბედნიერის კელმწიფისათვის არზა მიერთ-  
მევიანა და სამართალი ეთხოვნა. მის სიმალლის ბძანებით ქალაქის  
ქეთხუდები დამსხდარიყვნენ და გაერიგებინათ. ამ ანგარიშში ესა-  
იასი თაყუას შვილზე დარჩომილ იყო რვაას რვა ყურუში და თერთ-  
მეტი ფარა. ეს მახლალი ეთხოვნა და არ მიეცა.

მერმე კიდევ არზა მიერთმევიანა და სამართალი ეთხოვნა. და  
ბედნიერმა კელმწიფემ ჩვენ გვიბრძანა ამათის ანგარიშის გასინჯვა.  
მის სიმალლის ბძანებით დავსხედით ქალაქის წინამძღვარი ო ა ნ ე ზ  
ვართაპეტი, ნეირაკი მ ა რ ტ ი რ ო ს ვართაპეტი, გ ო ვ ჰ ა რ მდი-  
ვანი, ნ ა ზ ა რ ბ ე გ ი ს შვილი ო ს ე ფ ა, მ უ ნ თ უ ა ს შვილი  
ო ს ე ფ ა და ტ უ რ ფ უ ა ს შვილი მ ო ს ე ს ა. რაც სალაპარაკო  
ქონდათ ვალაპარაკეთ.

თაყუას შვილმა უთხრა: შენის ანგარიშიდამ შენის წიგნით ხუ-  
თასი ყურუში წებოსთვინ გავგზავნეო და ბ ა ლ უ ა ს შვილზე და-  
იწვაო.

ესაი ალამ უთხრა: იმ ჩემს წიგნს უკან კიდევ წიგნი მოგწერე,  
რომ: ჩემი ანგარიში ყველა უკლებრივ მი ლ დ ი ს ი ხ ე ჩ ა ტ უ-  
რ ა ს მიაბარე; სხვა ხარჯი რომ ანგარიშში ჩაუგდე, თუ ეს ხუთასი  
ყურუში ჩემთვის გაგეგზავნა, რატომ ესეც ანგარიშში არ ჩაუგდეო.

ესაი ალა ამაში მართალი გამოვიდა. ჩვენ ასე გავსინჯეთ, რომ ეს  
ხუთასი ყურუში თაყუას<sup>1</sup> შვილმა უნდა უზლოს ამ მიზეზით: რად-  
განაც ესაი ალას მოუწერია, რომ ჩემი ანგარიში ყველა მილდისი

<sup>1</sup> დაყუას.

ხეჩატურას მიეცო, თუ ეს ფ (ხუთასი) ყურუში ესაიასათვის მიეცა, უნდა ანგარიშში გაეტარებინა. მეორე, ეს რომ ბალუას შვილს ლი-  
ლა და ნემსი რომ მისცა და პირობა დაუდვა, რომ ამ თავით სარგე-  
ბელი შენი იყოს და იმ თავით საქმე არა გაქვსო, იმ პირობის წიგნი  
უნდა გამოერთმევიანა.

კიდევ ქალაქში რომ მოურავის კაცს დააპყრინა, თუ თეთრი არა  
ქონდა, თამასუქი უნდა გამოერთმევიანა.

კიდევ ბაზარში რომ წაიციდნენ, უნდა ორიოდ სამის კაცისა-  
თვის ეთქვა, რომ მე ამ ბალუას შვილს ხუთას ყურუშს ვთხოვო.

კიდევ მელიქს რომ დააპყრინა და გაალაზვინა, მაშინ მელიქთან  
ან ორს ქეთხუდასთან უნდა ეთქვა, რომ ფ (ხუთასი) ყურუში მარ-  
თებს, რომ ესაი აღასი არისო.

კიდევ ამბობს, რომ ქალაქიდან გამექცა და კიდევ მოვიდაო.  
იმისთანას ყალბს კაცს აღარ უნდა ნდობოდა, ან თამასუქი უნდა გა-  
მოერთმევიანა და ან ერთი მუჯალამა უნდა გაეკეთებინა, თუ მარ-  
თლა ემართა.

კიდევ თაყუას შვილის ამხანაგთან რომ ბალუას შვილს ანგა-  
რიში ქონია და ორმოცდასამი ყურუში დასდებია და თაყუას შვილს  
მიუცია, თუ რამ ანგარიში ქონდა, აღარ უნდა მიეცა, თავის თანხა-  
ში უნდა დაეჭირა.

არც არის ერთი სარწმუნო მოწამე, არცა აქვს ერთი მოპთაბარი  
წიგნი. ეს ფ (ხუთასი) ყურუში ესაი აღასთვის მიუცია თუ არ მიუ-  
ცია, არავინ იცის. არც ბევრი და ცოტა ჩანს მიცემული. ესაი აღა  
ამაში უბრალო არის.

ზემო ნაწერი რვაას რვა ყურუში სალი და თერთმეტი ფარა თა-  
ყუაშვილმა მიკირტუამ ესაი აღას უკლეცივ უნდა მისცეს.

ჩვენმა ჰკუამ ასე გასჭრა და ბძანება მის სიმაღლისა ათავდეს.  
თიბათვის კდ, ქორონიკონს უმდ.

შვიდი სომხური ბეჭედი.

ქართული ბეჭედი: ძონა ღთისა მდივანი გოვარ.

## 7. განჩინება ურბნელის ღაღისა და კულუხის საკმეჯე

1778 წ. 27 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1503. საბ. № 22. პირი. ამ საბუთის პირი  
დაცულია აგრეთვე ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2518.

მათის კელმწიფობის უმაღლესობას და მათს უწმინდესობას სა-  
ნატრელს უფალს პატრიარხს ჩვენ, ამ ი ლ ა ხ ვ ა რ - ს ა რ დ ა ლ -  
მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ს ი ე ს ე ს თ ვ ი ს უ რ ბ ნ ე ლ ი ს ი უ ს ტ ი ნ ე ს

მოსხენებული აზრი და ბრძანება ჩვენთვის ებრძანა: ამათი აღილათი ნახეთო და სწორებით როგორც ძველთაგან ემსახურებინოსთ ურბნელებს ეკლესიისა და ურბნელისათვის, ისე ამსახურეთ.

ჩვენ ურბნელ ეპისკოპოზი იუსტინე და ურბნელები ვალაპარაკეთ.

და ურბნელმა გუჯარი წარმოაყენა. რაც სამსახური სდებოდა, ყოველივე სრულებით ეწერა, — ბარა, კულუხი, მეჭინიბე და მუჯირი, ხაბაზი, კოდისპური, — ესეები ყოველივე ჭეშმარიტებით ეწერა.

რადგანაც ეს გუჯარი ასე აცხადებს, და მის არქიერობას ეს ურბნელები ამ თავის დებულობას არ აძლევდნენ, და ამაზე ალაპარაკებდნენ და მის უწმინდესობას უმაღლესობასაც ჩვენზე ებრძანა:

რაც დღევანდლამდინ ურბნელებს შეუცოდებიათ, ეპატივათ. დღეს და დღეის იქით, რომელიც ზემო წერილი აცხადებს, ყოველივე სრულებით უნდა აღუსრულონ ურბნელს, და ეკლესიას ემსახურნენ.

თუ კიდევ არხიერს აჩივლეთ და აწყინეთ რამე და სრულებით არ ემსახურენით და სიამოვნეს არ ეცადენით, ავად მოგეპყრობით და კიდევ გამსახურებთ. ასე ჭეშმარიტებით უწყოდეთ.

ესეც ასე შეიტყვევით: ვისაც ცხვარი გყოლიათ, სააღდგომოდ კრავი უნდა მიართვათ. და რადგანაც ღალას აძლევთ, ზემოთ ნაწერს კოდის-პურს ნულარ მისცემთ. და ამას გარდა ზემოთ ნაწერი ყოველივე უნდა მიართვათ, და საბალახეც.

დაიწერა თიბათვის კჴ, ქორონიკონს უად.

ურწყავსა და სარწყავზე ყველაზე ბარა მიეცემათ. კულუხისა ასე უნდა იცოდეთ: რომელსაც სხვის ბატონის ყმისაგან მამული გეყიდნოთ, იმაზე კულუხი არ გეთხოვბათ. ამას გარდა ერთმანეთში გეყიდოსთ, ან მიწა ვენახათ აგეშენებინოსთ, ყველამ უნდა კულუხი მიართვათ.

დაიწერა ივნისის კჴ, ქორონიკონს უად.

ჩვენ, მეფე ერაკლე, ამ ამილახორ-მდივანბეგისაგან განჩინილს სამართალს ამავე გვარად ვამტკიცებთ. როგორც ეს განჩინება აცხადებს, ურბნელებმა ეკლესიას იმ გზით უნდა ჰმსახურონ. საქართველოში არას ეკლესიის ყმები არ გაგვიგონია, რომ ეკლესიას ღალასა და კულუხს არ აძლევდნენ.

ურბნისელები რომ ერთიანად დალა-კულუხის ამოკვეთას ამბობენ, ჩვენ ეს არ გაგვიგონია, რომ მართალი იყოს; მარა თუ ან მე-

ფეთაგან და ან ეპისკოპოსთაგან მიცემული ჰუჯათი აქვსთ რამე, ის გვიჩვენონ და იმაზედ გავატარებთ. თუ არადა, უბრალოდ ნულარ ილაპარაკებენ. ქრისტიშობის კწ, ქორონიკონს უჟდ.

ქ. ჯ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი ო ს ე ბ უ რ ბ ნ ე ლ ი ს ა გ ა ნ მიცემული დეკანოზის სითარხნის წიგნი ყოვლად სამღუდლო ურბნელმა იუსტიანემ გავასინჯა, რომელიც პაპის ჩვენის მეფის ერეკლისაგანაც დამტკიცებული იყო, რომ რაც დებულობა სდებოდა, ყველა გარჩევით ეწერა. თუ დეკანოზი თარხანი არ იყო, სხვანი რათ იქნებოდნ თარხანნი.

## 8. ბანინება იოანე ნათიშვილის შმის ივანე ბლიაძის საქმეზე

1778 წ. 29 ივნისი

ცსა. ფონდი 1450. დავთ. № 34. საბ. № 57. პირი. ქალაღი. მხედრული.

[48V] ბ ლ ი ა ძ ე ი ვ ა ნ ე ნ ა თ ი ს შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ს მღვდელს უჩიოდა ასე, რომე: «მე შენი ყმა არა ვარო». ნათისშვილი იოვანე მღდელი ამას უპასუხებდა: ჩ ხ ე ი ძ ი ს ა გ ა ნ მოყიდული ხარო, რომ ნასყიდობის წიგნიც წამოაყენა და ვნახეთ, რომ ნასყიდი ყოფილიყო.

ბლიაძე მეორე ამას უპასუხებდა: «მართალია, შენი ნასყიდი ვარო, მაგრამ დავკარგულვარო და მე ჩემს თავად ამ ქვეყანაში მოვსულვარო».

რადგანაც საქართველოს განწესება ასე არის, რომე ტყვეობი-  
დამ კაცი რომ მოვა, ვისთანაც თავისის ნებით მივა, იმისი ყმა იქნე-  
ბა; და ეს ბლიაძე იოვანე თავისის ნებით ამასთანავე მოსულიყო და  
ცოლიც შეერთო ამისთვისა და ისიც მოჰკვდომოდა და კიდევ მეორე  
ცოლიც ეთხოვნა ამ ბლიაძისათვის, ეს ამაგიცა ჰქონდა; და რომელიც  
ნასყიდობის წიგნი იმ ნათისშვილს იოვანესა ჰქონდა, იმ  
ნასყიდობის წიგნზედ დიდებულთ კაცთაგან ბეჭდით დამტკიცებული  
ჰქონდა. რადგანაც პირველათაც ამ ნათისშვილების ნასყიდი იყო  
და ბოლოსაც ტყვეობიდან თავისის ნებით ამასთანავე მოსულიყო  
და ტყვეობას უკან ცხრა წელიწადიც ამათთან გაეთავებინა, სამართლით  
ეს ბლიაძე იოვანე ამ ნათისშვილს იოვანეს მღდელს დარჩა. ამასთან არას  
კაცს ხელი [49] არავისა აქვს. მთიბათვის კთ, ქორონი-

კონს უჟდ.



ჩვენ, ამილახვარი-სარდალ-მდივანბეგი ი ა ს ე, ჩვენის მოწყა-  
ლის კელმწიფის ძის გ ი ო რ გ ი ს ქეშმარიტებით განსჯის თანა-  
მოწამე ვართ. დაიწერა იენისის ლ, ქორონიკონს უდღ.

**9. განჩინება ღვთის ციციშვილისა და კატრა ავალიშვილის  
შინს საქმეზე**

1770 წ. 1 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14281. დედანი. ქალაღი. 41X18,5 სმ.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ქალაქის მოურავს ც ი ც ი შ ვ ი ლ ს დ ა ვ ი თ სარდალს  
[ავ]ლიშვილის პეტრესათვის ეჩივლა წრომელ ჩი-  
ლინგდრის შვილებზე. და ამათი სამართალი ბედნიერს კელმწიფეს  
მათის მონის მდივანბეგებისთვის ებძანა. ჩვენ ესენი სამართალში  
ვალაპარაკეთ.

მოურავი ასე ჩიოდა: ჩემი აზნაურიშვილი მე დ ვ ი ნ ე თ უ ხ უ-  
ც ი შ ვ ი ლ ი ფ ი რ ა ნ ოთხმოცამდინ ჩემის [კაც]ით პეტრე ავალი-  
შვილთან იყო, ჯავახეთიდან ერთი სოფელი აპყარესო, სულ პეტრე  
ავალიშვილმა დაის[ა]ხლო და რომელიც ჩემი ყმანი იყვნენ ჩილინ-  
გდრის შვილებით ოთხი კომლი კაცი, არც ესენი დამანებაო.

ფირანც სამართალში მოვიდა, ასე ამბობდა: ხეობაში მე რომ  
ჯარით აველ, პეტრე ავალიშვილი იქ იყო, მაშინვე იმ სოფელში  
კაცი გაგზავნაო, ჩვენც ჯარით წავედითო, იმ სოფლიდან კაცები  
ამოვიდნენო, ჩვენ რომ ჯარით გვნახეს, უმეტესად შეშინდნენ და  
უფრო ამ მიზეზით აიყარნენო. ჩვენ სხვა სოფლის დასაკრავათ  
გაგვგზ[ა]ვნა და თითონ იმათ წამოუძღვაო. უკან მდევარი გამოზ-  
ღგომოდათ, ჩვენ იმ მდევარს მოვადექით და ის მდევარიც ჩვენის  
მიზეზით მოიშალაო.

პეტრე ავალიშვილი ამას უპასუხებდა: იმ სოფლის კაცი დიდი  
ხანი იყო შემოპირებულნი მყვანდნენ. შენ რომ ხეობაში ჯარით  
ამოხველ, დიდათ მეწყინა, კიდეც გიშალეო, ჩვენთან ნუ წამოხვალ-  
თო. არც თქვენს მოსვლაზე მე იმ სოფელში კაცი გამიგზავნია, რომ  
თქვენით ისინი შემეშინებინოსო და არც თქვენს ჩემთან ყოფნაში იმ  
სოფლიდან კაცი მოსულანო, რომ თქვენ ენახნით და თქვენით იმათ  
აყრის მიზეზი მისცემოდათო.

ამაზე იმათმა ლაპარაკმა ბევრმა გაიარა. მართალია, უცხოწ  
ქვეყნიდან ვინც კაცს მოიყვანს, ბედნიერის კელმწიფის ბძანება  
არის, რომ მომყვანისა იქნება, ვისიც ყმა უნდა იყოს, მაგრამ მოუ-

რავს სიტყვა ამითი ჰქონდა, რომ ამის აზნაურშვილი და ამის ჯარი ზღუდოდა.

თუ მოურავმა სარწმუნოს მოწმებით ზემოხსენებული ფირანის საჩივარი გაამართლა, რადგან ამის აზნაურშვილები და ამის ჯარი წესწვეიან იმ სოფლის აყრაზე, ეს ჩილინგდრის შვილები პეტრე ავალიშვილმა მოურავს დაანებოს და სხვა იმ სოფლიდამ მოყვანილი გლეხი პეტრეს დარჩეს.

და თუ მოწმით არ გარდასწყდეს, რადგან პეტრე ავალიშვილი ამათის წეწვენი იმ სოფლის აყრის აშას ამბობს, სამართლით ამაზე უცო გავაჩინეთ. ქალაქის მოურავმა იმ ჯარში ნამყოფი სურამის ჭეობაძეა და სააბაშიო კაცი რვა მსახური და გლეხი პეტრე ავალიშვილს წეგადოს, პეტრემ რვაში ოთხი იშოვნოს, ერთი თავის პირველი აზნაურშვილი წააყენოს და ეს ოთხი მოფიცარი თან მიაყოლოს, ასე დაიფიცონ: ფირანისათვის თავისთან წასვლაც ეშალოს, ესენი რომ ჯარით მივიდნენ, არც მაშინ იმ სოფელში კაცი გაეგზავნოს და ამათით შეეშინებინოს და არც ამათ იქ ყოფნაში იმ სოფლის კაცნი მოსულიყვენ, არც ფირან და იმასთან მყოფი ჯარი იმ კაცთ ვნახოს და არც ამათის მიზეზით ისინი აყრილიყვენ. თუ ასე დაიფიცეს, პეტრე ავალიშვილს დარჩება, მოურავი ველარას ედაგება. და თუ ვერ დაიფიცვენ, ჩილინგდრის შვილები მოურავს დარჩება. აღწერა დეკემბრის ა, ქორონიკონს უად.

სამი ბეჭედი:

1. სკის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბკომი(?) ღმერთანცა(?), იოანე, 1748.
2. მონა ღთისა დივანბეგი თეიმურაზ.
3. მონა ღთისა სულხან.

**10. ბანჩინება ლუარსაბ ონანაშვილისა და მავით აფხაზის მამულის საჭმეზი**

1777 წ. 14 იანვარი

სელაფერთა ინსტიტუტი. Hd 6729 დედანი. ქალაღი. 45X25,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ონანაშვილი ლუარსაბ და მავით აფხაზი სასახლის ალაგზე რომ ცილობდნენ, ლუარსაბ ასე ჩიოდა: ჩემის ყმის გულაშვილის მიწა, რომელიც ჩემის სასახლის ალაგისა და მავით აფხაზის სასახლის წინ იდგა, იმ მიწაზე ერთი სხვა მიწა მომიტყალაო, რომ ეს გაცვლილობაც მაშინვე ჩემი არ [იყო] და ძალის დატანებით გამომართვაო. და ახლა იმ მიწის გამოისობით ჩემი სასახლის ალაგიც დაიჭირაო.

დავით აფხაზი ამას უპასუხებდა: იმ მიწაზე გაცვლის კსენება არ ყოფილაო, შენის სასახლის ალაგზე გაგიცვალეო. მაგრამ დავით აფხაზს ამისი არცავე მოწამე ჰყვანდა და არც წერილი ჰქონდა.

მასუკან ლუარსაბ ონანაშვილს ამაზე მოწამე ვთხოვეთ. ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ე ბ უ რ ი ს წერილი მოგვითანა. ეს ასე მოწამობდა: ამის გაცვლაზე დამსწრე მე ვიყავო, გულაშვილის მიწაზე გაცვალესო, სასახლის ალაგზე გაცვლა არ გამიგონიაო.

ახლა ჩვენ, მოსამართლეთ, ბედნიერის კელმწიფის ბძანებით ამათის საქმის გამრიგებლად ქეშიკჩიბაში ა ბ ა შ ი ძ ე ი ო ა ნ ე და გავაზის მოუტრავით დავით განგვიწესებია. ასე უნდა გააჩინონ: ის სასახლის ალაგი, რომელზედაც ლაპარაკობენ, ლუარსაბს თავისი წილი დაანებონ და დავით აფხაზს თავისი წილი გაურჩიონ. თუ რამ დავითისაგან ნაშენობა ლუარსაბის წილში დაჰყვეს, იმისი ფასი ლუარსაბს დავითისათვის მიაცემინონ. გულაშვილის მიწაზე რომელიც მიწა გაუცვლიათ, იმისი თუ ორთავ უნდოდესთ, ისევე თავთავისი დაიჭირონ; და თუ არ უნდოდესთ, გაუცვლიათ და ნაცვლები ექიროსთ. ამაზედაც ამ ზემოხსენებულმა თავადებმა უნდა გააჩინონ.

და რაც ამას გარდა კიდევ სხვა მამულები ამათ გასაყოფი ჰქონდესთ, ისიც ამათ გაუყონ და ერთმანერთს ასე მოარჩინონ, რომ ერთმანერთში საცილებელი მამული აღარა ჰქონდესთ რა.

აღიწერა იანვრის იდ, ქორთონიკონს უფე.

სუთი ბეჭედი:

1. სჯის მსჯული, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?) ღმერთგანცაა(?), ი ო ა ნ ე, 1748.
2. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
3. მონა ღთისა ს უ ლ ხ ა ნ
4. მონა ღთისა ი ო ს ე ბ
5. მონა ღთისა მდივანი გ ო ვ ა რ.

თავში:

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მეფე საქართველოსი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. იოვანე ქეშიკჩიბაშო და დავით გავაზის მოურაო! თქვენ უნდა მიხვიდეთ და როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე გაურჩიოთ.

და ერთმანერთში სხვა რაც რამ გასაყოფი ჰქონდესთ, თქვენ გაუყავით და სამართლიანის გზით ერთმანერთს ასე მოარჩინეთ, რომ სადათ აღარა ჰქონდესთ რა.

აღიწერა იანვრის იზ, ქორთონიკონს უფე.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

ქ. მის სიმამლის მეფის ბძანება როგორც იყო, ისე გავარიგეთ და გავიყავით ეს სასახლე და ჩავმიჯნეთ: ც[ი]ხეს უკან მიჯნიდამ თოთხმეტი ადლი დავითისა და ქვევით თექვსმეტი ადლი არის დავითისა, განი ც[ი]ხეც დავით[ის] მიწაშია, დავითს დარჩა. თებერვლის ვ, ქორონიკონს უფვ.

სამი ბეველი:

1. მონა ღთისა ქეშიკჩიბაში ა ბ ა შ ი ძ ე ი ო ა ნ ე.
2. მონა ღთისა ო ტ ი ა.
3. მონა ღთისა დ ა ვ ი თ (?)

## 11. ბანინება ბაჰან ამილახორიშვილისა და როსტომ ერისთვიანისა აზნაურშილუხის სასახლას საქმეზე

1777 წ. 80 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1053. დედანი. ქალაღი. 32,3X17 სმ. თავი აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

[ბეჟან ამილახორიშვილი] ე[რის]თვი[ს]ვილის როსტომის აზნაურიშვილებს სისხლზე რომ უჩიოდა, იმის სამართალი დიდს განაჩენში დავიწერია და როგორც იმაში სწერია, ისე გარიგდება.

მაგრამ ბეჟან ამილახორიშვილი ამასაც ჩიოდა, რომ იმ შფოთში ამის სახლობისათვისაც თოფი ესროლოსთ. თუ ბეჟანმა ამის საბუთი შეიძლო, რომ ამის სახლობისათვის თოფი ესროლოსთ, მაშინ ამაზე სამართალი გაუჩნდება. და თუ საბუთი ვერ შეიძლო, მასუკან იქნება, ვისაც შესწამებს, სამართალმა იმას ფიცი დაადვას და იმით გარდასწყდეს.

ჩერქეზიშვილი იორამ რომ ანბობს, თოფი მომხვდაო, რადგან ასე არ ეტყობოდა, რომ სარწმუნო შეეკნელიყავით, ჩერქეზიშვილმა ამისი თუ მოწმით საბუთი შეიძლო, რომ ჩვენ ამაზე სარწმუნო შევიქნათ, რაც სისხლი გასჩენია, დიდს განაჩენში სწერია, ისე უნდა აღსრულდეს. და თუ სარწმუნო ვერ შევიქნათ, იმისას სამართალი როგორც გასინჯავს, მაშინ გაირჩევა. და თუ მოწმე[ვ]ებს ვერ წამოაყენებს, ჩერქეზიშვილისათვის სისხლი რომ გავვიჩენია, ის აღარ მიეცემა.

ბეჟანის ცხენს თოფი რომ მოხვედრია, ამის სამართალი ასე გაჩნდა: როგორც ის ცხენი ღირდეს, რადგან არ დაშავებულა, იმ ცხენის ნახევარი ფასი იმ აზნაურშილებმა ბეჟანს უხდა მოსცენ.

ორი გლეხი კაცი ბეჟანის მხრისა თოფით რომ დაჭრილან, იმ ორისავე ნახევარი სისხლი ამ აზნაურ<sup>ს</sup>შვილებმა უნდა მისცენ, რომ იქნება თორმეტი თუმანი.

და თუ ასო დაშავებიათ რამე, რომელიც ასო დაშავებოდეს, იმის სისხლიც უნდა მისცენ. თოფის მოხვედრებაზე ასო რომ დაუშავდეს რამე, ნახევარი სისხლი და იმ დაშავებულის ასოს სისხლი ამისთვის გავაჩინეთ, რომ თოფით დაჭრილი უფრო ბევრს ჭირს ნახავს. სამართლის წიგნშიაც სხვას იარაღით ჭრილობისაგან თოფით ჭრილობა უფრო დამძიმებულია.

თოფით ჭრილობას გარდა სხვას იარაღით ჭრილობისა კი ამგვარათ არ გაგუიჩენია. სხვას იარაღით ჭრილობისა ასე იქნას: თუ ასო რომელიმე დაუშავდეს, იმ ასოს დაშავების სისხლი გაუჩნდეს. და თუ არ დაუშავდეს, ქერის მარცვლით გაიზომოს. და რაც გაიზომოს და გამოვიდეს, იმ ჭრილობის სისხლი მიეცეს.

ეს აზნაური<sup>ს</sup>შვილები იმ შფოთში თავეთს ამხანაგობას თუ სხვა-სა<sup>ს</sup>ც შესწამებენ ვისმე, იმათ სამართალში ელაპარაკონ. და თუ სამართლით შეუვლენ, ისინიც ამ სისხლის მიცემაში უნდა მოუდგნენ.

დიმიტრი ემოკალაბაშო და ...\* ყორიასაულბაშო! ეს ასე აღასრულეთ. აღიწერა იანვრის ლ, ქორონიკონს უმე.

## 12. განჩინება ზურაბ ზაჰვაჰაძისა და პარსიაშვილის მამულის საქმეზე

1777 წ. 80 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 53. საბ. № 32. პირი. ქალაღი. მხედრული.

[26v] ზ უ რ ა ბ : კ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ პ ა რ ს ი ა შ ვ ი ლ მჭედელს უჩივლა არზით: ჩემი მამული აქვსო პარსიაშვილს შეგდებული. წავედით და ვნახეთ განის წელიწადში წინამძღვარი. მათი ღირსებაც ჩაეყვანა, ზურაბს ესევე მამული ეჩვენებინა და შე[ე]ჩივლა, ეს ჩემი მამული აქსო შეგდებულიო პარსიაშვილსაო. მათ ღირსებას ებძანებინა, სამართლით გამოართვიო.

ღღეს ჩვენ, მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ მ ა ო ტ ი ა მ, დავიარეთ და მოკითხული ვქენით. ამავ მამულში თავს მიჯნათ ტირიფი არისო. ეს ტირიფი შიგნით შეუგდია პარსიაშვილს, სიგძის ღობე ჩამოვიღის აღმოსავლეთისაკენ, ორი ადლი და ნახევარია, ზურაბისა შეუგდია; და პარსიაშვილის ღობესთან ზურაბის ყმის მარანი ყოფილა, თავს ნავი სდ[გ]მია. ეს ქვე[ვ]რები ზურ[ა]ბს დაუთხრია და პარსიაშვილს ის ნა-

\* ყორიასაულბაშის სახელი არ იკითხება.

ვის ალაგი შიგნით შეუგდია, ასე გამოუწვევი[ა] ლობე, რომე ზედ ქვევ-  
რის ნათხრის პირზედ არის ლობე, ნავის დასად[გ]ომელი ალაგი აღარ  
აქს. ამის ასე იმოწმა იო ა ნ ე [მ]ლდეღმა: თითონ მე მინახასო, აქ  
რომე ნავი იდგაო, ლობე იქით იყო[ო].

მეორემ მოწამემ გაიარა ზ ა ტ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა მ ი ქ ე ლ ა მ .  
თითონ პარსიაშვილი ამბობდა, ჩემგან გაზდილიაო, ამ მამულშიაც  
მრავალჯერ უმუშავნია, ასე თქვა, რომე: ბოლოს ზურაბის ვენახის  
თავი დაუწყვეტია პარსიაშვილს, რომე სახნავი მინდორი ყოფილა,  
პარსიაშვილს შეუგდია თავის მამულათ.

ზატიაშვილს ფიცით ვკითხეთ, ამისი ასე თქო: [27] ღმერთ წი-  
ნაშენ, გაიარა, ყორე მისდევს, აქამდინ ზურაბისა არისო. გავზომეთ  
ოცი ა[დ]ლი გამოვიდა, ეს ზურაბის მამულათ აღმოჩნდა.

კოზმანის ყმამ ქ უ მ ს ი ა შ ვ ი ლ მ ა ნ ღ თ ი ს ა ვ ა რ ღ მ ე რ თ  
წინაშენ ფიცით ასე თქო: ამ ზურაბის ვენახის თავი პარსიაშვილს  
შეგდებული აქსო, ყორე და ქუდური მისდევსო, ზომით ისევ ოცი  
ადლი არის, და ეს ალაგი პარსიაშვილს ვენახათ აუშენებია.

ჩვენ ასე ვცანით ღმერთ წინაშე და ნება მისი სიმაღლისა არის.

დაიწერა იანვარს ლ, ქორონიკონს უაფ.

ღმერთსა ვფიცავ მე, კოზმან კავკავადე, როგორც ამ  
ქუმსიაშვილსა და ზატიაშვილს უმოწმებია, სულ სწორე არის. †

### 13. ბანჩინება იუსტინი ურბნელისა და თაქთაქიშვილების

ყმაგის საყმაგო

1777 წ. 2 თებერვალი

ცსა: ფ. 1450. დავთ. № 50. საბ. № 23. პირი. ქალაღი. მხედრული.

[16v] თირის მონასტრის ზედამხედველი ყოვლად სამღვდელო  
უფალი ურბნელი იუსტინე და დეკანოზი გაბრიელ  
ასე ჩიოდნენ: რაც თირის მონასტრის შეწირულნი კაცნი არიან, იმათ  
თაქთაქისშვილები მძლავრობით და უსამართლობით იმსახურებენო.  
ო ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი ი ო ა ნ ე და ი ე ს ე ამას ამბობდნენ:  
რომელიც თირის მონასტრის ყმას სამეფო სამსახური სდებიათ, მე-  
ფეს სვიმონს ის სამსახური ჩვენთვის უბოძებია და ეკლესიაც სასაფ-  
ლაოდ ჩვენთვის მოუცია, მას აქეთ კელთ გვიჭირავს და თირის მო-  
ნასტრის ყმანი კიდევ გვიმსახურნია და იმათი მსახურიცა გვხლებია.  
და რაც რამ ფერი ეკლესიის სამსახური სდებიათ, ისიც უკლებლათ  
გვიძლევინებიაო.

ყოვლად სამღვდელმთავრად უფალმან ურბნელმან იუსტინემ და თირის მონასტრის დეკანოზმა გაბრიელ მეფის სვიმონისაგან თირის მონასტრის შეწირულობის გუჯარი სამართალში წარმოაყენეს. და ის გუჯარი ეკლესიის დებულებას გარდა ასე აცხადებდა: თირის მონასტრის ყმანი ორს დღეს ხვნას, ორს დღეს მკას და ერთს დღეს ბარვას გვიშველიდნენო. ამითი საცნაურ იქმნა, რომ თირის მონასტრის ყმებს ეკლესიის სამსახურს გარდა სხვა სამსახურიც სდებოდათ, მაგრამ ამ სამეფო სამსახური[ს] ბოძების სიველი, მეფეთაგან მიცემული, თავთაქიშვილებს არა უჩნდათ რა. ამას ამბობდნენ: წიგნი გვქონდა და დაგვეკარგაო. თავეთ სამოწმებლად მოჰქონდათ და ჩნდა მარია მედოფლის დავთა[17]რი, ვახტანგ მეფის დავთარი და ავთანდილ ამილახორისაგან მიცემული გაყრის ბარათები, რომლითაც თირის მონასტრის ყმები თავთაქიშვილისათვის გაეყო.

მარა რადგანაც საეკლესიო საქმე იყო და მეფეთაგან ბოძებული წყალობის წიგნი აღარსად უჩნდათ, ამის გამო ზემოწერილს მოწმობაებს მხოლოდ ვერ ვერწმუნენით და ჩვენ, ზემოისა საქართველომსა მეფემან მეორემან ირაკლიმ, თავთაქიშვილებს ფიცი დავადევით.

თავთაქიშვილი ივანე და იესე ეკლესიაში შევიდნენ, თავდებისა და ღმრთისმშობლის ხატი აისვენონ და ასე იფიცონ: «ამისმა მადლმა და ამისმა განმაცხოველებელმა ღმერთმან მებატონეთაგან თირის მონასტერი სასაფლაოთ გვბოძებოდეს; და რაც სვიმონ მეფის გუჯრით სამეფო სამსახური თირის მონასტრის ყმებს სდებიათ, ისიც მეფეთაგან წყალობად მოგვეცემოდეს; მეფის ერეკლესა, ანადეოდოფლისა და ვახტანგ მეფის დროსაც კელთა გვქეზოდეს და არც ჩამოგვრთმეოდეს და მეფეთ დაკითხვით და ნების დართვით თირის მონასტრის ყმიდამ მსახურიცა გვცლებოდეს».

თუ თავთაქიშვილებმა ასე იფიცეს, რომელიც მეფის სვიმონის გუჯრით ორს დღეს ხვნა, ორს დღეს მკა და ერთს დღეს ბარვა თირის მონასტრის ყმებს სდებიათ, იმ გზით უნდა თავთაქიშვილებს უმუშაონ და მსახურიც უნდა აახლონ.

და თუ ვერ იფიცეს, თირის მონასტრის ყმებთან თავთაქიშვილ[ს]ებს კელი არა ექნებათ რა. რომელზედაც საქმეზედ თავთაქიშვილებისათვის ფიცი დაგვიცეს, თუ სრულებით ყველაზედ დაიფიცეს, მთლად დარჩებათ. და თუ ყველაზედ ფიცი ვერ შეიძღეს, რომელზედაც დაიფიცვენ, იმასთან ხელი არ ექნებათ.

მსახურის ხლებაზედ თუ იფიცეს, მასუკან რამდენის მსახურის ხლებაც მუნასიბი არის, იმას ჩვენ გაურჩევთ.

როგორც და რაზედაც ფიცი განგვიწესებია, იმაზედ მეტს ფიცში ნურას ჩაიტანენ. სწორეთ იმ გზით უნდა დაიფიცონ.

ზ ა ა ლ ე მოკიკლასბაშო, ეს ესე გა[ა]რიგე. ფებერვლის ბ, ქორონიკონს უფე.

თუ თავთაქიშვილებმა როგორც დაგვიწერია, იმ გზით სრულებით დაიფიცეს, თირის მონასტრის ყმებიდამ ორს დღეს ხენა, ორს დღეს მკა და ერთს დღეს ბარვა ექნებათ თავთაქიშვილებს; და მსახურსაც მართებულა, ჩვენ იმ გზით განუწესებთ, რომ იახლონ.

□ □ □ □ □

ჩვენ, მაჩაბელს ბარძიმს და ფალავანდის შვილს ბერს და ცალქალამანიძეს დავითს, მისის უმაღლესობის ბძანება გვქონდა თავთაქიანთ ფიცისა; რომელიც მისი უმაღლესობის ბძანება იყო, სრულებით დაიფიცეს. □

#### 14. განჩინება ანტონ I-ისა მატინანთ პაპასა და არუთინას ბაღის საქმეზე

1777 წ. 28 თებერვალი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 13. საბ. № 28. პირი. ქალალი. მხედრული.

[26] ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმან მეფის ძემ ანტონი, შენ სახასოს...<sup>\*</sup> არუთინას ამ წიგნის წყალობა გიყავით ასე, რომ: შენ სიგელი გქონდა, რომელიც ის სიგელი მამის შ[ენ]ის ბაღდასარასაგან ორთაჭალას ბაღის სყიდვას აცხადებდა ჩვენის ყმის მატინას შვილის პაპასაგან. მაგრამ ის ჩვენი ყმა მატინას შვილი და პაპას ძმა მიოდის სტეფანე შენ გედავებოდა იმ ბაღს და [V] გეუბნებოდა<sup>1</sup>, უსამართლოდ გიკირავსო...<sup>\*</sup>

უწინ სამართალში იყავით ორნივე. ჩვენ განაჩენი გიბოძეთ და ფიცი განგვიწესეთ, რომ ჩვენს ყმას [მი]ლდისს სტეფანეს ფეთხაინში

<sup>1</sup> გეუანებოდა.

<sup>\*</sup> აკლია ერთი-ორი სიტყვა.



უნდა დაეფიცებინე და ბალი დაგრჩომოდა. თუ ვერ დაიფიცევდი, რომელსაც ბალს გედავებოდა, ის ბალი სტეფანეს დარჩებოდა, რომელსაც რომ ჩემგან ნაბოძები განაჩენი აცხადებს ყოველსავე.

და ახლა ჩვენ ეს წიგნი გიბოძეთ, რომ: რადგან ჩვენმა ყმამ მილდის სტეფანემ ვერ დაგაფიცა და სიგელიც დაგიბეჭდა, რომ სწორედ მონასყიდე ყოფილხარ და არც დღეის იქით შენთან სალაპარაკოდ და სალაპარაკოდ კელი არ მქონდესო.

ამ მიზეზით მილდისი სტეფანე გამტყუნდა და ტყუილად გედავებოდა ბალს; და სამართლით შენ დაგრჩა. დღეის [ი]ქით შენთან] არას კაცს ხელი არა ჰქონდეს, არც მილდისის სტეფანეს და არც სხვას ვისმე.

და თუ ვინმე წამოგედაოს ამ ჩვენგან ბოძებულმა წიგნმა გაამტყუნოს, რომ ბალი სამართლით შენ დაგრჩა და შენი არის. თებერვლის კგ, წელსა ჩლოზ.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

## 15. ბანჩინება იოანე და ბაჟან ყორჩიბაშის შვილების მამულის საქმეზე

1777 წ. 28 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 872. დედანი. ქაღალდი. 39,7×16,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ყორჩიბაშის შვილი იოანე ნაზირი და ბეჟან ასე ჩიოდნენ: მამა ჩვენები რომ გაიყარნენ, თეღავს ჩვენს ციხეს წინ ცაგულაშვილის სამის დღის მიწა ბაღების თავში რომ არის ღვთეების ხევამდინ, ის ჩამოართვეს და მის სამაგიეროდ ცაგულაშვილს სხვა მამული მისცეს: და ეს უნდოდათ, რომ ის სამის დღის მიწა მამაჩვენებს და იოანე ყორჩიბაშის შვილის მამას სამათ გაეყოთ და იმ მიწაში ყველას წილი ჰქონოდათ.

გლეხკაცზედ ბარათები რომ ვიყარეთ, ცაგულაშვილი ბარათის ყრით იოანე ყორჩიბაშის შვილის მამას ერგო: ცაგულაშვილის ქვრივს შეადგა და ბატონთან აჩივლა: ქვრივი ვარ და ბატონი ჩემები მამულს მართმევენო.

ბატონმა იმ ქვრივის დედაკაცის მამულის გამოართმევა არ ინება, ასე გვიბძანა: თუ დედაკაცის გულს შეიჭერებთ და მამულს მოგცემთ თავისის ნებით, კელი მოჰკიდეთო: თუ არადა, ძალად მამულის წართმევა არ იქნება, ისევ თავისი მამული უნდა დაანებოთო.

რადგანაც იოანე ყორჩიბაშის შვილის მამას ცაგულაშვილი უწინვე წილში რგებოდა და ცაგულაშვილის ქვრივის დედაკაცის გული იმ მამულზედ აღარ შეგვავჩერებინა, ამიტომ, რომ ის ადგილი მთლად თავისთვის უნდოდათ, აქამდისინ ის მიწა შემოუღობავი იყო.

ახლა იოანე ყორჩიბაშის შვილმა ცაგულაშვილს წაართო და შემოიღობა; ჩვენის ბაღების შესავალ-გასავალი გზა შეგვეკრა. თუ იმ მიწაში ჩვენც წილი არ გვედება, იქ აღარ გვედგომინება, ამიტომ რომ არც კალო-საბძლისათვის ადგილი გვაქვს და აღარც ჩვენს ბაღებში შესავალ-გასავალი გზა გვექნებაო.

ამათი სამართალი ბედნიერს კელმწიფეს ჩვენ, მსაჯულთათვის, ებძანათ. ყორჩიბაშის შვილები სამართალში ვალაპარაკეთ და ესრეთ განვსაჯეთ: რადგანც თავადისშვილები არიან და ციხისა და სასახლის წინ ამგვარი მიწა უძევსთ, რომ სამთ ექირებათ და თუ ერთერთს რომელსამე საკუთრად ექნებათ, მოუვალია, რომ ჩხუბი და შფოთი არ მოუხდესთ, ამ მიზეზისათვის ასე გავარიგეთ:

რადგანც გაყრის უწინაც ჩამორთმეული ჰქონოდათ და სამწილად გასაყოფათ ნდომებოდათ, ახლაც ასე ვამჯობინეთ, რომ ის მიწა დაფასდეს და როგორც დააფასონ, ფასი იო ა ნ ე ნ ა ზ ი რ მ ა, ბ ე ჟ ა ნ და იო ა ნ ე მ ცაგულაშვილს თანასწორად მისცენ და მიწაც სამთავ თანასწორად გაიყონ. რაც წილი ერგოთ თავ-თავის ბაღის, თავისაკენ დაიჭირონ და ასე მორიგდნენ: რაც ბაღების თავში ალაგი არის, ის თავ-თავის ბაღების სისწორე დაიჭირონ და სხვა სწორედ გაიყონ.

ჩვენმა გონებამ ეს სამართალი შეიძლო და ნება მათის სიმალლისა აღსრულდეს. მარტის კვ, ქორონიკონს უფე.

ხუთი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?) ღმერთგანცაა(?), იო ა ნ ე, 1748
2. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად ი ე ს ე
3. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
4. მონა ღთისა მდივანი იო ა ნ ე(?)
5. ს უ ლ ხ ა ნ

თავში:

ქ. ჩვენი ბძანება არის. აქამდის ცაგულაშვილი ცოცხალი იყო და თავის მამულის გასყიდვის ნება არა ჰქონდა. ამ მიზეზით ეს განჩენი დავაყენეთ. ახლა რადგანაც ცაგულაშვილი ამოწყდა და ის

მამული ბეითალმალად მისს ბატონს დარჩა, ჩვენც ეს განაჩენი დავამტკიცეთ. როგორც მსაჯულთ გაუჩენიათ, ასე უნდა აღსრულდეს: აპრილის 6, ქორონიკონს უიჴ

ბეჭედი: მე ფეხთგაბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

## 16. ზანინება ოსეზას შვილზის ნათელასა და შაქროას საქმეჲ

1777 წ. 27 მარტი

ცსა. ფ. 1448. № 357. დედანი. ქალაღი. 34X21,2 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. ა-მეტი.

ქ. მისის უწმინდესობის ბატონის პატრიაქის ბძანებითა<sup>1</sup> დავესწარით აბესალამანთ ჰასრათა და ტულთანთ გურგენა, ტურფოანთ მოსესა და ნაზარბეგის შვილი ოსეფა და აბესალამანთ ბაინდურას შვილი შაქროა ავთანდილას შვილი ოჰანეზა ასე, რომე: შავი ოჰანეზას ჯალაბი ნათელა ედავებოდა თავის ძმა ოსეფას შვილ შაქროას, რომე მამული ერთი ღუქანი ხარაზხანაში მიეცათ თავის ზითევში.

ახლა ამით ვალაპარაკეთ. შაქროამ ერთი წიგნი გამოიტანა, რომე თავის მამის დროსა ორი ძმანი ყოფილან, რომ ეს ღუქანი საერთოთ თავიანთ დისტვის ზითევში მიეცათ და ხანი გაეგლო. ეს ღუქანი გასასყიდლათ მოენდომებინა ნათელასა სხვაზედა. ძმებს შე[ე]ტყუოთ და როგორც ფასი ყოფილიყო, ფასი ოსეფას მიეცა და ეს ღუქანი თავისი დისაგან სიგლით გამოეხსნა, ეყიდნა: რომ ძველი სიგელიც ნათელას ჰქონოდა და თავისი ძმისათვის მოეცა.

ამ შაქროას მოწამე ვთხოვე[ეთ]. მე სანათლიანთ სტეფანა, როგორც ზევით სწერია, ისე იმოწმა; ნათელას დაც, ანამაც, იმოწმა, რომ: ჩემი ძმა[მ] ოსეფა[მ] იყიდაო თავისი სიცოცხლის დროსაო, და მანამ ჩემი ძმა ცოცხალი იყო, ჩემს დას არაფერი არ უთქომს. სიკვდილის უკან ახლა ლაპარაკობს.

ჩვენ ასე გავეზინჯეთ, რომე: ეს ღუქანი რათგან ზითევში მიცემული ყოფილა ორისვე ძმისგანა, მანამ თავისი და ნათელას რაზა არ ექნა და გული არ შე[ე]ჩერებინა, არც ამან ძველს სიგელს მისცემდა და არც მეორე ძმას<sup>2</sup> შე[ე]ძლო წიგნის მოცემა და არც მოწმე[ე]ბს, შე[ე]ძლოთ წიგნის დაბეჭდვა.

<sup>1</sup> ებძანებინა. <sup>2</sup> ძმამ.

ჩვენ ასე გავშინჯავთ: ძმა-და ერთმანერთ[თან] სიყვარულით ყოფილან და ერთმანერთ[თან] გარიგებულან, რადგან ეს დედაკაცი საწყალია და სარჩო არ აქვს, თავისი ღუქნის მუნასიბათ ერთი რამ ხალათის ფასათ მისცეს და სიგლის უკან თავისი ხელნაწერი დაწეროს სიგელზე, შაქროას მისცეს. ჩვენ ასე გავშინჯეთ. დაიწერა მარტს კზ, ქორონიკონს უფე.

ხელთვა: გ უ რ გ ე ნ



## 17. განინება ზუა და თაღია ნაცვლისშვილუგის გაყრის საქმეზე

1777 წ. 4 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1656. დედანი. ქალაღი. 29X16 სმ. მხედ-რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია შიშიე.

ქ. ძალითა ღვთისათა თქვენ, ნაცვლის შვილებმა ზ უ ა მ და თ ა - დ ი ა მ ჩვენ ღვით-გარეჯის წინამძღვარი გ ე რ მ ა ნ ე, თქვენი მოძ-ღვარი მ ა ჩ ხ ა ა ნ ის ქეეხა თ ა რ ი მ ა ნ, მ ა ღ ა რ ო ს ქეეხა ყ ი ა ს ა, მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ზ უ რ ა ბ — ესენი შეგვეყარეთ და თქვენს სახლში მიგვიყვანეთ ამაზე, რომ თქვენ ძმობაში ცოტა რამ სიტყვა გამოგსლოდათ. მერე ისევე კარგად შერიგდით, ძმობა და სახ-ლისკაცობა ჰქენით და ეს პირობა დასდევით: როცა გაყრა მოკდეს, მამის მამული, ბიძის მამული, ნაშოგნი და ნასყიდი ორთავ ძმათა სულ ყველა ღვთის წინაშე სწორეთ უნდა გაიყოს შუაზედა: ნახევარი ზუასი იქნება და ნახევარი თაღიასი, მეტნაკლებობა არ იქნება, საუ-არესოსა შენსა და უშენს გარდა, ამაში საქართალმა გაასწოროს.

ასე უნდა გაიყოს ვენაჯიცა და მიწაცა. ვენაჯის საუარესო ახ-ლავ გავარჩიეთ: აღმოსავლეთის მკარეზე ვენაჯის განი თორმეტი აღლი სიგძით სიგძემდე აღმოსავლეთის მკარეს უნდა დაედვას სა-ლობათა, ვენაჯის ღობეს გარეთ კიდევ ოთხი აღლი გზათ დაგვიგ-დია, ერთმანეთს ვერ დაუჭერთ, ვენაჯის თავს მამის მამულიდამ უსეინანთ სამძღვრამდე ვენაჯისა და სასახლისათვის ოთხი აღლი გზა მიგვიცია.

აგრეთვე ყმა, რაცა გვეყავს, სწორეთ შუა უნდა გავიყოთ, მირზა ალის გარდა; ამისი სამართალში უნდა ვილაპარაკოთ. რაც ამას იქით მოვიგოთ, ისიც ამ გზით გავიყოთ.

გაყრამდე ასე შეშველდით და ეს პირობა დასდევით ღვთის წი-ნაშე და ჩვენ ამისი მოწამე და დამხდომნი ვართ.

ერთი ამისთანა წიგნი ზუასა აქვს და ეს ერთი შენ, თადიასა-  
აპრილის დ, ქორონიკონს უფე.

ბეჰელი: დავით-გარეჯის არქიმანდრიტი გერმანე.

## 18. ზანინება ზაბიანთა და ნოდარიანთა რუსა და წულის საქმეზე

1777 წ. 20 აპრილი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 3080. დედანი. ქალაღი. 35,5X20,6 სმ. დაზიანე-  
ბული. მარჯვენა მხარე ორ ადგილას ამოხეულია. განკვეთილობის ნიშ-  
ნად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

ქ. მისს უმაღლესობას, საქართველოს მეფეს ირაკლის  
ებრძანა: ხატიანნი ბერიაანთ რუესა და წყალს ეცილე-  
ბიანო: ნეკრესელი დოსითეოს, ქაიხოსროს უფრა-  
ჯი ავალის შვილი, და სიმონ მორდლის შვილი გარდადი-  
თო და გაასწორეთო.

გარდავედით, მოვიკითხეთ. ქვეშარიტებით არ მოხსენებია მისს  
უმაღლესობას. ხატიანნი და ბერიაანი ერთმანეთს არ ეცილებიან.

ერთი რუვი თავს არის, შიგნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში  
გამოვლის; ეს რუვი ეკლესიის ყმათ ბერიაანთ [სვერიათ] და ზემო  
მონასტრის რუეს ეძახიან. [მეორე რუ]ვი იმას ქვემოთ არის გამო-  
ტანილი, ის ხატიანთ უჭირავთ და იმას ბულალას შვილის  
რუეს ეძახიან თითონ ბერიაანი. ერთი რუვი ქვემოთ სოფელს ახლო  
არის გამოტანილი და ეს ნოდარიანთა აქეთ და სასახლის რუეს  
ეძახიან. ამ სასახლის რუეს მონასტრის ყმანი ეცილებიან ნოდა-  
რიანთ, ჩვენი ყოფილათ და თქვენ წაგირთმევიათო.

ვიკითხეთ, ვის დროში წაგრთმევიათო. წინამძღვარი კი არ  
იციან და ას[ე] თქვეს: შარმაზან ბერია შვილი ყოფილათ  
მოკლეთ: ის კიდევ გაგილაქავთო და რუვიც წაგირთმევიათო.

ამისი მახსოვარი მოვიკითხეთ, ვერ ვიპოვეთ; წიგნი მოვიკითხეთ,  
არა ჰქონდათ. გუჯარი აქ არ იყო. ეამი მოვიკითხეთ, სწორეთ არ  
იციოდნენ. დავით ბერია შვილმა თქო: სოფრონ წინამძღვარი  
კი მახსოვსო და ეს შარმაზან ბერია შვილი კი არ მახსოვსო<sup>1</sup>, უწინ-  
ვე ყოფილაო, სამოცზე მეტი წელიწადი ჩანს, რომ ეს სასახლის  
რუვი ნოდარიანთ სვერიათ და არავინ სცილებია.

ნოდარიანთ უპასუხეს: თუ თქვენი იყო, რატომ ან მეფის

<sup>1</sup> მახსოვსო.

სამართლით არ გამოგვართვითო, ან ლეკობაში არ წაგვართვითო, ან არ გვედავენითო.

ამ ლაპარაკმა ასე გაიარა. მაგდონი გასაჰირებელი სასამართლო არ იყო. სამართალი და სიტყვა ნოდარიანთ ამართლებდა უფროსად. ჩვენი მხედველობაც ამათ უფრო მართლად ხედვდა, მაგრამ რადგან გუჯარი არ იყო, ვერ გავსჭერით სამართალი. მისს უმაღლესობას მოხსენდეს და ნება მათი გასრულდეს.

თუ გუჯარში სწერია ის რუვი მონასტ[რ]ისათ[ვი]ს, ხომ მონასტერს დარჩება. და თუ გუჯარში არა სწერია, ნოდარია[ნ]თ დარჩება<sup>1</sup>.

ჩვენმა გონებამ ასე გასჭრა<sup>2</sup>. ქაიხოსრო სუფრაჩი არ იყო ამ ლაპარაკში. იმის მაგიერ ქ ა ი ხ ო ს რ ო<sup>3</sup> რ უ ს ი ს შ ვ ი ლ ი დავისწარით. მე, დ ო ს ი თ ე ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ მ ა, გიორგი მორდალმა და ქაიხოსრო რუსიშვილმა ასე გავსინჯეთ და ასე მოგვიხსენებია.

აპრილის კთ, [ქორონიკონს] უიე.

ხელრთვა: დ ო ს ი თ ე ო ს

თავში:

ქ. ჩვენ, მე ფ ე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. და თუ ეკლესიის კრებულთ და ან იმ ეკლესი[ის] ყმანი ამაზე ილაპარაკებენ რასმე, როცა ილაპარაკონ, რომელიც მოსამართლე იყოს, იმან გაშინჯოს; და თუ შეუვიდეს რასმე, სამართალი საჯონ. აღიწერა მაისის იგ, ქორონიკონს უფე.

რო[გო]რც ყოვლად სამღვდელ[ლო ნეკრე]სელს აღმოუჩენია, ჩვენ[ც] ის დაგვიმტკიცებია.

ბეჰელო: მე ფეხთგანზანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

## 19. არზა ქაიხოსრო შურვანიშვილისა თაგასუჰის თაოგაჯე

მღივნანგებთა განჩინებით

1777 წ. 10 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 15065. დედანი. ქალაღი. 27,3×11,5 სმ. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

[არჯა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ქ ა ი ხ ო ს რ ო მ უ რ ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ა ბ ა შ ი ძ ე მ ქ ა ლ ა ქ ს მ ო უ რ ა ვ თ ა ნ თ ა ვ დ ე ბ ა თ

<sup>1</sup> დასჩება. <sup>2</sup> სასჭრა. <sup>3</sup> ქაიხოსრო.

დამაყენა, ოცდაოთხის თუმნის წიგნი მიმაცემინა. ქალაქის მოურავი ამ თამასუქის თეთრს მე მთხოვს და აბაშიძე არას აძლევს. ამაში მე ხომ დანაშაული არა მაქვს რა. სიკეთე [მ]ეგონა, უფოთი დავაცხრე.

ჩემო კელმწიფევე, [მე] ხომ აბაშიძისა არა მმართვებს რა, თამასუქი მიმაცემინა: თავის თეთრი მისცეს და ჩემი თამასუქი გამომირთოს.

მოურავიც აქ გახლავს და აბაშიძეცა. თუ ახლა სამართალი არ დამემართა და თამასუქი არ მომეცა, ილაჯი არ არის, მე უნდა მივეცე და ნება თქუენია. მაისს თ, ქორონიკონს უფე.

თავში:

ქ. ზ ა ზ ა ყორიასაულბაშო! ქაიხოსრო მურვანისშვილი და ამისი მოადი ორნიე [მსა]ჯულ[თა] სამართალში ალაპარაკე. თავდებობი-დამ [ამ]ოსაშეები იყოს, თავდებობიდამ ამოუშვან. და თუ სამართალ[ით] დაედებოდეს რამე, იმისი განაჩენ[ი] დაწერონ და ამის საქმე ერთის გზით ახლავ გარდასწყვიტონ. მაისის ი, ქორონიკონს უფე.

ბეჰელი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

### [განჩინება]

ქ. ჩვენ, მდივანბეგებმა, ქალაქის მოურავი დავით, აბაშიძე ქაიხოსრო და მურვანიშვილი ქაიხოსრო სამართალში ვალაპარაკეთ. ამა[ში] მურვანიშვილს კარ[გ]კაცობის მეტი ბრალი არა ჰქონია რა. ეს თეთრი ქაიხოსრო აბაშიძემ ქალაქის მოურავს უნდა მისცეს.

ზ ა ზ ა ყორიასაულბაშო, ბატონის ბძანებით ამაზედ რომ მოასილათ განწესებული ხარ, ქაიხოსრო აბაშიძეს თვრამეტი თუმანი გამოართვი და ქალაქის მოურავს მიიბარე. ამ ქაიხოსროს თამასუქი ქალაქის მოურავს გამოართვი და ქაიხოსრო მურვანიშვილს მიეცე.

აღიწერა მაისის ი, ქორონიკონს უფე.

ქაიხოსრო აბაშიძის გლეხი მოურავს რომ ჰყავს, ის გლეხი ქაიხოსრო აბაშიძეს მოაბარე.

ექვსი ბეჰელი:

1. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად  
იესე

2. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჰომი(?)

... დმერთგანცაა(?), იოანე, 1748

3. ქაიხოსრო

4. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ

5. არ ირჩევა

6. არ ირჩევა

თავში:

ქ. ჩვენ, მე ფე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი, ამ სამარ-  
თალს ვამტყცებთ. აღიწერა მისის იგ, ქორონიკონს უფე.

ბეჟედო: მე ფეხთვანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

## 20. ბანჩინაბა მხაზაბუკ ორბელიანის შიის ავაქას საქმეზე

1777 წ. 11 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2394. დედანი. ქალაღი. 34,3X21,5 სმ. ორად გაკეცი-  
ლი ფურცელი. მეორე ფურცელი მოწმეთა ჩვენებებს უჭირავს. მხედრული-  
ალაგ-ალაგ ერთი ან ორწერტილი.

ქ. მ ზ ე ქ ა ბ უ კ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ა ვ ა ქ ა ფეიქარს ყმობაზე  
რომ უჩიოდა, ამათ ორსავ მხარეს მოწმე[ე]ები მოწმობდნენ. ამათის  
მოწმე[ე]ების მოწმობის გაშინჯვა და სამართლის განსჯა ბედნიერს  
კელმწიფეს მათის მონის მდივანბეგებისათვის ებძანა.

ამათმა მოწმე[ე]ებმა ყველამ თავთავეთი მოწმობა წერილით გა-  
მოაცხადეს, რომელიც ამ მეორეს ფურცელზე თვითეულათ სწერია.

ავაქას მოწმე[ე]ების მოწმობა მეორეს მხრის მოწმობაზე თუმცა  
უფრო სუსტიც არის, მაგრამ ამან კიდევ უფრო ეს ავაქას მოწმე[ე]ები  
სიმტყუნეში შეიყვანა, რომ ტერ-ისაიაც ამ მოწმე[ე]ების მხარეს  
ლაპარაკობდა. მაგრამ სამართალში ასე გამოაცხადა: როცა ბატონის  
ბძანებით ქალაქი ავსწერეთ და ეულს კაცთ ვეძებდითო, მაშინ ეს  
ავაქა ფეიქარი ორბელის ყმათ დაიწერაო. და ამ ავაქას მოწმე[ე]ებ-  
მაც ეს ველარ უკუსთქვეს და ასე აღიარეს: მართალია, ორბელის  
კელდებული იყოო. რადგან ეს ასე ყოფილა, თუ ეს ავაქა ორბელს  
არ მოსლოდა, არც დავთარში ორბელზე დაეწერებოდა.

ახლა ჩვენ ამ ორისავ მხრის მოწმე[ე]ებისაგან ეს ზედმიწევნით  
ასე შევიტყვევით, მარამდინ ტერ-ისაიასაგან[ან] დავთარი დაიწერებო-  
და, იმას უწინ ამ ავაქა ფეიქარს ორბელის მეტი არცავინ ბატონი  
ჰყოლია და არცა ვისთვის უმსახურნია.

ეს ჩვენ ასე გავშინჯეთ და შევიტყვევით. აწ ნება მათის უმაღლე-  
სობისა არის. აღიწერა მისის ია, ქორონიკონს უფე.

ხუთი ბეჟედო:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?)  
ღმერთვანცა(?) ი ო ა ნ ე, 1748



2. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად  
ი ე ს ე
3. ქ ა ი ხ ო ს რ ო
4. მონა ლთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
5. მონა ლთისა თუმანიშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ  
თავში:

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე მ ზ ე ქ ა ბ უ კ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ასე რომ მოწმობენ, ავაქას დედისაგან გაგვიგონიო, საყაფლანიშვილო რომ აიყარა ეს ავაქა ორის წლისა თან გამყვაო. და ამასაც მოწმობენ ე რ ე ვ ნ ი ს ქვეყნიდამ რომ მოსულა, პირველათ ვ ა შ ლ თ ვ ა ნ ს მოსულა და ორბელს ჰყმობია. ამას ესრეთ ყოფას დ ი მ ი ტ რ ი ე შიკაღაბაშიც ამტკიცებს. რადგან ეს ასე იყო, ის ავაქა ფეიქარი მზექაბუკ ორბელიანისთვის გვიბოძებია. თუ ეს მიზეზები არა ჰქონოდა, ქალაქში მოსულობით არ მიეცემოდა, ამისთვის, რომ ვიცე ქალაქი არის, უცხოს ქვეყნიდამ მოსული კაციც იმისი იქნება.

ისაულო ყ ო რ დ ა ნ ა შ ე ი ლ ო მ ა ნ უ ჩ ა რ! ეს ავაქა ფეიქარი მზექაბუკს მოაბარე.

ალიწერა მაისის იბ, ქორონიკონს უაფე.

ჰქველი: მე ფეხთგანბანილთა ზიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

### ფეიქარის ავაქას მოწმე[ე]ბის მოწმობა

ქ. ბედნიერს ხელმწიფეს ამას მოგახსენებთ: ფეიქარი ავაქა ერევიდამ რომ გიახლათ, პირველად ჩვენსა მოვიდა, ოთხი წელიწადი ჩვენსა გახლდენ. მე, ბ ა რ ხ უ დ ა რ ა შ ვ ი ლ ი ა რ უ თ ი ნ ა, ამისი მოწამე ვარ.

ქ. ბოლნელი ბ ა ი ნ დ უ რ ა მოგახსენებ: ეს ავაქა ერევიდელი არის, ექვსი წელიწადი ამათ სოფელში გახლდი; ამისი მოწამე გახლავარ ღმრთის წინაშე, მამას ო ჰ ა ნ ა ერქვა, მამასახლისი იყო სოფლისა. ნება თქვენი ათავდეს.

ქ. მე, მი ღ ღ ი ს ი ტ ე რ - ო ჰ ა ნ ა, მოგახსენებ: ერთი წელიწადი ამ ავაქას მეზობლათ ვიყავი ქალაქში, თავის სიდედრთან ჩხუბობდა, ჩემი სახლიდამ ვადი, რომ ყ ა ფ ლ ა ნ ი ა ნ თ ხვალ-ზეგ დავა არ დამიწყონ, — თუ ჩემი ყმა ხართ. ღმრთის წინაშე ამისი მოწამე ვარ.

ქ. ყაიყულელი ფ ა ნ ო ს ა ს შვილი ა ზ ა რ ი ა ამისი მოწამე ვარ: ჰეშმარიტებას დაუჯერეთ, მკვიდრი ერევიდელი გახლავსთ, ბარხუდარასშვილი არუთინას სახლიდამ რომ გამოვიდა, ჩემის კელით

რვა წელიწადი ფეიქრისათვის შაგირდათ მიმიბარებია, როცა ასაკში მოვიდა, მაგისი ყმის ქალი შეირთო. ნება თქვენია.

### მზეჭაბუკ ყაფლანისშვილის მოწმებების მოწმობა .

ქ. მე, ტერბაღდასარა, ამ ავაქა ფეიქრის მოძღუარი ასე მოწამე ვარ: პირველად ღმერთს ვფიცავ და მერმე მეფეს ერეკლეს, რომ ეს ბიჭი რა დედამ მოიყვანა, სულ ორბელის ყმათ მინახავს, დედაჩემს კელში მოუყვდა, მოძღვარი მე ვიყავ, პირველი ცოლი რომ შეირთო მე დავწერე ჭვარი, ორბელიც იქ გახლდათ ქორწილში, ცოლიც ჩემს კელში მოუყვდა, მე დავმარხე. მეორე ცოლი შეირთო, მე დავწერე ჭვარი და ორბელს ემსახურებოდა. ოცდასამისა და თუ ოთხისა წლისა ნაკურთხი მღუდელი ვარ და ამისი მოძღუარი, და ეს ავაქა სულ ორბელის ყმათ მინახავს, ქრისტეს საფლავს ვიფიცავ წმიდას იერუსალიმს, ეჩმიადინს, ოქვარტერს და გრიგოლ პართეველის წმიდას მკლავს, რომ ამ დროებში სულ ორბელის ყმათ ყოფილა. მართალია, დგომით სომხის სახლებში იდგა, ორბელს სახლი არა ჰქონდა, ხან ტერტერასთან იყვნენ დედაშვილნი, ხან გარეთუბანში იდგნენ დედაშვილნი ერთს ქონში საწყულეში; მაგრამ ორბელისა იყვნენ. თქვენ მიბძანეთ, რომ თუ შიმშილობას ორბელთან ყოფილო, მაგისი იქნებაო. მე თქვენს მზეს ვიფიცავ, რომ შიმშილობაზე კიდევ უფრო მრავლით უწინ იყო ორბელთან. ნება კელმწიფისა იყოს. ჩემის რიგის მადლმა, რომ ეს ყველა ასე იყო.

ქ. მე, შულავრელი გრიქოლა, თქვენი ყმა ამისი მოწამე ვარ, რომ: მე და ეს ავაქა ბიჭი ისპანელს ფეიქარს ვებარენით. ეს რვის წლის ბიჭი იყო და იმ ფეიქარს ორბელმან მიაბარა და იმისი იყო. მეორე კიდევ ეს, რომ: დედა იმისმან მითხრა: საყაფლანისშვილო რომ აიყარაო, მე ქვრივი ვიყავო და ეს ავაქა ორის წლისა თან გამყვაო შირაკვანსაო. იქ მეორე ქმარი მომიკვდაო; და ეს ავაქა ისევ თან მიმყვაო, ორბელთან მოველო; ღმერთს ვიფიცავ და კელმწიფეს, რომ ეს ასე იყო, თორემ მე ამისი ყმა არა ვარ და სახელო. ჭერჭარში არ წაბძანებულყავით, რომ ასე იყო და ასე მინახავს, იმ დღემ რომ წავალ და აღარ მოვალ.

ქ. მე, გრიგოლ ბარამისშვილი, ღმერთს ვფიცავ და მეფეს ირაკლისა, რომ რაც ტერტერასა და გრიქოლასაგან გამოგონია, იმასა ვწერ წინაშე ღმრთისა.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჭირი მისცეს ვაშლოვნელ ტერტერებსა და ვაშლოვნელებსა. მერე ამას მოვახსენებთ, ჭეშმა-

რიტი მოხსენება ეს არის: მზექაბუკ რომ ავაქაზედ ლაპარაკობს, ვაშლოვანიშიაც და ქალაქშიაც ორბელს ემსახურებოდენ. და ჩვენ ტერტერობა გვიქნია და მოწაფეც ყოფილა, სამჯერ ქორწილიც უქნია და ჩვენ ჭვარი დაგვიწერია, დედაც ჩვენ დაგვიმარხავს და ცოლიცა; ყმაწვილებიც ჩვენ მოგვინათლავს, შიმშილობის წინათაც ერთი წელიწადიც ხუცობა გვიქნია აქამდის.

ქ. მე, ვაშლოვნელი ყუზანაშვილი ბერუა, ამას მოვახსენებ: ვაშლოვანი ჯერ არ აყრილიყო, დედაშვილნი ჩემს სახლში იდგნენ და ორბელს ემსახურებოდნენ. ქეშმარიტი მოხსენება ეს არის.

ქ. ბატონს მდივანბეგებს დიმიტრი ეშუკაღათბაში ამას მოვახსენებ, ღმერთს ვიფიცავ და მეფე ირაკლის, რომ რაც გამიგონია და ან ამ ვაშლოვნელებს უთქვამსთ, ეს კაცი ორბელს მოსვლია, დიად, დიდი ხანია, მეც აქ დავესწარ და იმისთვის მოვახსენებ. დღეს აქამდის ამ კაცთან საქმე არავის ჰქონია და ახლა თუ წაართმევთ, ნება თქვენია.

ქ. მე, ყანდიაშვილი მარქარა, ამისი დამსწრე და მოწამე ვარ: ბატონი რომ ჭარში წაბრძანდა. იმ თარიღში ორბელს ემსახურებოდა; მერმე კიდემ ესე, შენი ჭირიმე, რომ რა გარეთუბანი აიყარა და ქალაქში შემოვიდა, მას აქეთ ერთს ქუჩაში მეზობლათ ვდგავართ და სულ ორბელს ემსახურებოდენ, და ასეც მითხრა: ნეტავი შენმან ბატონმა გაგყიდოსო, რომ ორბელს ვაყიდვინოო, რომ ორნივე ერთის ბატონის ყმანი ვიქნებითო. ღმერთსა და კელმწიფეს ვიფიცავ, რომ ეს ასე იყო.

ქ. მე, უსტა ნაზარაანთ თამაშმა, ყანდინაანთ მარქარას სიტყვით ეს მოწმობა დავსწერე ღმრთის წინაშე.

ქ. მე, ბერძენასშვილი პეტრე, ამ ზემო ნაწერის დამსწრე და მოწმე ვარ მარქარას თქმულის სიტყვისა, ღმრთის წინაშე ამისი პირის სიტყვისა დამსწრე და გამგონი ზემო ნაწერისა.

## 21. პანინება სახმარალიქაებისა და მიქალიქის მამულის საქმეზე

1777 წ. 28 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10988. დედანი. ქალღლი. 20×16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. საყვარელიძეებს შიოშს, ზაალს, იასეს ქაიხოსროს მიქელიძე ღუთისია ედავებოდა: შენი მამულის სისწერივი ჭალა ჩემი არისო. ამას საყვარელიძე დიდათ შორს უჭერდა.

ჩვენ ჩვენის ფეხით მივედით, ქრცხინვალებიც თან მივიყო-  
ლიეთ, გავშინჯეთ, მაგრამ იმ ჰალაზე სალაპარაკო არცარა მიქელი-  
ძესა აქუს და არცარა მ უ რ ა დ ა შ ვ ი ლ ს. და იმათი ლაპარაკი  
უჯერო იყო. და ის ჰალა სამართალით დარჩა საყვარელიძეებს. ამ  
ჰალაზე დღეს და დღეის იქით საქმე აღარავისა აქუს. დაიწერა ივ-  
ნისის კგ, ქორონიკონს უფე.

ბეველი: მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად,  
იესე.

## 22. ბანინება ბეჟან რატისშვილისა და ბენა გიგაურის შინს სამეფო

1777 წ. 81 ივლისი`

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14167. დედანი. ქალაღი. 42X16 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახარაა წერტილი და ორწერტილი.

ქ. ბეჟან რატისშვილს გიგაურიშვილს ბე-  
ნასთვის ეჩივლა, ასე რომე ჩემი კაცები ჰყავსო. მის უმაღლე-  
სობას ბატონს მამაჩვენს თან მსაჯულნიც გვერთა ხლებოდენ. სამარ-  
თალში ის კაცები ბეჟან რატისშვილს დარჩომოდა.

და ერთი წიგნი იყო მდივანბეგებისაგან მიწერილი ბოქა-  
ულთუხუცეს[ს] ზურაბთან, რომე: ეს კაცები უნდა აუყა-  
რო და ბეჟან რატიშვილს უნდა მიაბარო — ბერი გოჩაშვილი  
თავისის შვილებითა და გიორგი გოჩაშვილი და ლაზარე,  
ამისი ძმა მახარე, გლახა და პეტრე — ესენი აუყარე  
და მოაბარეო. და მის სიმაღლის ბატონის ორი ოქმიც ჰქონდა ბოქო-  
ულთუხუცეს[ს] ზურაბსა ამ კაცების აყრის.

ამაში ერთს წელიწადს გაეგლო, რომე როსტომ არ დაენებებინა  
და ბენასაც წიგნი მიეცა ბეჟანისათვის, რომე მე შენს კაცებთან საქ-  
მე არა მაქვს რაო.

მის უმაღლესობა ბატონი მამაჩვენი ახალგორს მობძანდა.  
გოჩაშვილს ბერს არზი მიერთმია და ეჩივლა: ბენა გიგაურმა თავი  
დამახსნევეინაო და სახსარიც გამომართვაო და ბეჟანს ჩემთან რა საქ-  
მე აქვსო.

ბენა გიგაური ამას ამბობდა: მე ამისთვის არც თა-  
ვი დამხსნევეინებიაო და არცარა გამომირთმევეიაო. ჩემს მამულზედ  
ხიზნათ იღგაო, ჩემის მამულის მონაგარი ერთი ხარი და ერთი კამ-  
ბეჩი გამოვართვიო. ბეჟანის ყმა არისო, მე რა საქმე მაქვსო. და ბე-  
ჟან კიდევ იჩივლა, რომე ბერი გოჩაშვილი თავს არ მიდებსო.

მის უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს ბერის გოჩაშვილის მირთ-  
მეული არზი და მოჩივრები ჩვენთან გამოეგზავნა და ებძანა: ამათ  
სამართალი შენ გარდაუწყვიტეო.

ჩვენ ესენი სამართალში ვალაპარაკეთ და ასე გარდაუწყვიტეთ:  
რადგან<sup>1</sup> ეს გოჩაშვილები ბეჟან რატისშვილის მკვიდრნი ყმანი იყუ-  
ნენ და ბენასთან ავის დროს მიზეზით მისულიყვნენ და ხიზნათ  
იდგნენ, რაც ბენა ვიგჟურიშვილს გოჩაშვილის ბერისათვის გამო-  
ერთმია, ის ბეჟან რატისშვილს მივაცემინეთ, ეს კაცები ბეჟან რა-  
ტისშვილს დარჩნენ, ამისი მკვიდრნი ყმანი ყოფილან და დღესაც  
არიან, რომე ყმობიდამ ვერსადლა წაუვლენ: და გიორგი და იმისი  
ძმები მაინც ამისი მკვიდრნი ყმანი იყვნენ, ისევ ბეჟანს დარჩა.

ბოქოულთუხუცესო ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ო ზ უ რ ა ბ ! როგორც  
მის სიმაღლის ბატონის მამის ჩვენის ოქმი გქონდეს და ან მდივან-  
ბეგებისა, ეს კაცი აუყარე და ბეჟან რატისშვილს მოაბარე. ეს ასე  
უნდა გაქაჩიგო. ქრისტიშობის ლა, ქორონიკონს უფე.

ბეჟელი: მეფის ძე გიორგი

ქ. როგორც ან ბატონის ბძანება მქონდა ან ბატონისშვილისა და  
ან მდივანბეგებისა, ეს გოჩაშვილი ბერი თავისისა შვილებითა და  
თავისისა ბიძაშვილებითა აყყარე და ბეჟანს მივაბარე სამართლისა  
ძალითა, ამისი მკვიდრნი ყმანი არიან, მე, ზურაბა ბოქოულთუხუ-  
ცესმა.

და მე, დავითასა, დამიწერია ამისი ყაბულობითა. თებერვალსა  
კ. ქორონიკონს უფე. ხ. ლრთვა: ზ უ რ ა ბ.

## 23. ბანძინება ნიჰოზის ლმრთაუბის ეკლესიის მამულის საქმეზე

1777 წ. 28 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1504. საბ. № 3. პირი. ქალაღი. მხედრული.

ზეგარდმოსა ძალმწეობითა საბოთისა ღვთისათა მოქმედებითა  
მის მიერისა სიმაართლისა მსჯავრ-მექმეობითა ძალძლიერება მორთხ-  
მულსა და მის მიერის მოწყალებით განძლიერებულს ბედნიერს კელ-  
მწიფეს სვესვიანობით ამაღლებულს მეფეთ-მეფეს და თვითმპყრო-  
ბელს ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე ს ჩვენ, მათის მონის ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ-  
მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ს ი ე ს ე ს თ ვ ი ს, სამსახური ებძანა: რომელიც  
ნ ი ქ ო ზ ე ლ ე პისკოპოზს დავითს წმინდის მღვთაების ეკლე-

<sup>1</sup> რადღან.

სიის მამულის საჩივარი მოეხსენებინა<sup>1</sup>, ამ მამულების კეშმარიტად მოკითხვა ჩვენ, ამილახვარ-მდივანბეგის იესესთვის და დ ი ა ს ა მ ი - ძ ი ს მიმბაშის ი ო ა ნ ე ს თ ვ ი ს, ებრძანა და მოკითხვაც სიმარ- თლის გზით ეუწყა.

და ოქმიც ებოძა: მიდით და იმ ეკლესიის მამულის საჩივარების აღილათი სისწორით შეიტყვევითო, იმ მონასყიდებებს, რომლის გზით უჭირავთ, სისწორით დაიჭირეთ საქმეო. და ასე უნდა იცოდეთ ყო- ველმა კაცმაო, რომ ეკლესიის მამული არას კაცისაგან არ გაიყიდე- ბაო. ეს მამულები ვისგანაც დაყიდულ იყოს, სწორებით შეიტყვევი- თო, რომ ეს ჩვენგან დიდად გულსმოდგინებით მოსაკითხავი არისო..

ჩვენ მოვედით ნ ი ქ ო ზ ს მის მაღალ კელმწიფობის ბრძანე- ბით, მონასყიდებებიც აქ ჩვენთან მოვასხით. ჩვენ ვკითხეთ: ეს ეკლე- სიის მამულები ვინ მოგცათო. მათ ნასყიდობა თქვეს. ჩვენ ნასყიდო- ბის წიგნი ვთხოეთ. მათ ეს გვიპასუხეს: ვიეთნიმე იტყოდენ შ ა ლ ი - კ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ა ო, ვიეთნიმე იტყოდენ ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი - ს ა გ ა ნ გვაქვსო, აგრეთვე სხვისასა და სხვისასა იტყოდენ და ვიეთთამე საყდროვანთაგან ეყიდათ, რომელსა ვიეთთამე წიგნებიც აცხადებდენ.

მაგრამ მისმა ღირსებამ ნიქოზელ ეპისკოპოსმა დავით მისის უწმინდესობის და ყოვლად უსანატრელესის წმინდის ქ რ ი ს ტ ე - ფ ო რ ე პ ა ტ რ ი ა რ ხ ი ს წიგნი წამოაყენა შეჩვენებისა, წყევლი- სა და კრულვისა, რომ: ვინც ნიქოზს წმინდას ღვთაებას მამული გა- მოსწიროს, ჩემი ქრისტეს მიერის მოცემულის ძალით წყეული და შეჩვენებული და კრული იყოსო საუკუნო განუხსნელადო.

აგრეთვე მეფის ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა: ვინც მოუშალოს, პატრი- არხის შეჩვენების კეშმ ეგოსო; აგრეთვე ძლიერის ამაღლებულის ბედნიერის კელმწიფის დიდის ი რ ა კ ლ ი ს მეფის წიგნი ჰქონ- და და პატრიარხის შეჩვენებით ამტკიცებდა; აგრეთვე ნეტარად- ხსენებულის მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ლ ი ს სიგელი და ბრძანება ამ- ტკიცებდა პატრიარხის ბრძანებას; აგრეთვე მეფის ძეს და მეფისა და კელმწიფის ძმას უსანატრელესს და უწმინდესს ქართლისა და კახე- თის და სრულიად საქართველოს მწყემსისა და მაკურთხეველის პატ- რიარხის დამტკიცება ჰქონდა.

რადგანაც ამდენის კელმწიფებისა და პატრიარხთაგან დამტკი- ცება ჰქონდა, მ კ ე ლ ი ძ ე თ ა ზ ი ა ს, იმის ძმებს მამულის გარ- და, ზემო ნიქოზს სხვათ ყველას კულუხი და ბარა დაედვათ, რომ

<sup>1</sup>—ამ მამულების საჩივარი მოეხსენებინა.

წმინდას ეკლესიას და მის ღირსებას ნიქოზელ ეპისკოპოსს დავითს მიერთვას.

დაბოლოს, როცა ეკლესიამ და მღუღელთ-მთავარმა შეიძლოს, დაიხსნას, დაუხსნელობა არ ეგება.

მკედლიძეს ამისთვის არ წაერთმევა, კეშმარიტი მონასყიდეც იყო მღუღელმთავრის გული და ეკლესიისა მამულების მირთმევეით ადასრულა. და იმათთან კელი აღარა აქვსთ. და იმას გარდა ზემო ნიქოზი ზემო წერილით უნდა იმსახუროს.

დაბოლოს დაიხსნება, რომ მონასყიდევს კელი აღარა ექმნებათ რა.

ბედნიერის კელმწიფის ბრძანებით სამართალმა წმინდას ეკლესიას თავისი მამულები ასე დაანება. და ნება მათის ამაღლებულის მალლის ყოვლად მოწყალის კელმწიფისაა.

დაიწერა აგვისტოს კვ, ქორონიკონს უიე.



## 24. ბანჩინება ზაპარია და დიმიტრი ციციოვილიანის მამულის საქმეზე

1777 წ. 29 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 866. დედაი. ქალაქი. 40,3x16 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ციციოვილი ზაქარია სახლისუხუცესი და ამის ბიძაშვილი დიმიტრი პატარა ქარელზე რომ ცილობდნენ, დიმიტრისაც განაჩენი ეჭირა ამ ალაგისა და ზაქარია სალთხუცეს-ს)აც კქონოდა და დაჰკარგოდა. მაგრამ ამგვარი საქმე კვლავაც მომხდარა მებატონეთაგან, რომ საქმისაგან ასე ყოფილიყოს, ჯერ ერთს მისცემოდეს განაჩენი და მერე მეორეს.

ახლა ამგვარის მიხედვით ამისი ასე განგვიწესებია: თუ ის პატარა ქარელი მეფის ვახტანგის დროს, ოსმალის დროს, ყიზილბაშთ დროს და ახლა ჩვენს დროს ამ პაპუნას შვილს სკეროდეს და ამ დროებაში ამას არ გამოართმეოდეს, თუ ამისას ან წერილით და ან მოწმით საბუთს იქს, ამ დემეტრეს დარჩება.

და თუ ზაქარია სალთხუცესი უძლიერს მოწმეებს წარმოაყენებს, რომ ამ დროებაში პაპუნას შვილს არა სკეროდეს, მაშინ ზაქარიას დარჩება.

და თუ მოწმით არცერთის მხრიდამ არ გარდასწყდება, რადგან ის პატარა ქარელი ახლა დემეტრეს უჭირავს, სამართლით ფიცი ამას. ერგება. ასე უნდა დაიფიცოს: «ეს განაჩენი რომ მოგვეცემია მასუკან ეს მამული არ გამოგვართმევია და ამ ხსენებულს დროებაში მე მკე-

რიათა. თუ ასე დაიფიცავს დიმიტრის დარჩება. და თუ ვერ დაიფიცავს, ზაქარია სახლთხუცეს[ს] დარჩება. აღიწერა აგვისტოს კთ, ქორონიკონს უფე.

ბეკელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. დიმიტრის რომ ფიცი აძეს, აზნაურშივილი უნდა შეაფიცოს. მაგრამ სამართალმა ერთი აზნაურშივილი დაადევს თუ ორი, როგორც სამართალმა გაუჩინოს, ისე შეაფიცოს.

ეშოკალათბაშო დ ი მ ი ტ რ ი! ამაზე იასაული გაგზავნეთ.

ბეკელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.  
კიდეზე:

ქ. ჩვენი ბძანება არის თამაზე შოკალასბაშო! მერე როგორც ამ განაჩენით ფიცი არის განწესებული, ერთი კაცი აჩინე ამაზედ, ისე აღასრულოს. მარტის კვ, ქორონიკონს უბა.

ქ. ეს განაჩენი მსაჯულთშეკრებილებასთან გამოაცხადე და რამდენიც აზნაურშივილი გაჩნდეს მოფიცრათ, იმდენმა აზნაურშივილმა უნდა დაიფიცოს და ისე გარდასწყდეს. მოსამართლეთ დიდის გამოძიებით ღრმათ გასინჯონ და სამართ[ლიანის] საქმით როგორც დაინახონ, ისე აღასრულებ[ნონ].

ბეკელი: მე ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. მისს უმაღლესობას ამაზედ ფიცი რომ გაუჩენია და ესეც ასე უბძანებია, მსაჯულთ როგორც სამართლის კანონია, ისე მოფიცარი გააჩინონო, რადგან სამართალზედ იყო მოკიდებული ამათი ფიცი, ჩვენ სამართლის წიგნის ძალით ასე განვაჩინეთ: წინამძღვრის შვილმა ლუარსაბმა დემეტრეს წილობიდან ერთი აზნაური და ოთხი გლეხი შეუგდოს. იმ ერთმა შეგდებულმა აზნაურმა და ოთხმა გლეხმა თუ ზემოხსენებულისაებრ ფუცეს, დარჩებათ პაპუნაშვილობის წილობით. და თუ ვერ ფუცეს, დარჩება წინამძღვრის შვილს ლუარსაბს. აპრილის 8 ქორონიკონს უბა.

ხუთი ბეკელი:

1. ღთაღ კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
2. მეთოდი
3. მდივანბეგი
4. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშოკალასბაშო მყო მდივანბეგი თეიმურაზ
5. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ



ქ. მეფის მდივანი ი ე ს ე ამ განაჩენების თანამოწამე ვარ.

ბეჰალი: ქ. სოფლის შემსჭვალულს სოფელმაც მდივა, ნიჭი ესე-  
მცა განმეველტო მძლივა.

ქ. მე, მდივანი ს უ ლ ხ ა ნ, ამ სამართალში დამსწრები ვარ.

ბეჰალი: მონა ღთისა ს უ ლ ხ ა ნ.

ქ. მე, მდივანი იოსებ, ამ სამართალში დამსწრები ვარ.

ბეჰალი: მონა ღთისა იოსებ.

ქ. მეფის ბძანებით მე, ფ რ ი დ ო ნ ფ ა ნ ი ა ს შ ვ ი ლ ი, იასაუ-  
ლი ვიყავ. როგორც ამ განაჩენში სწერია, ისე იფიცეს ა ლ ე ქ ს ი ძ ე  
ზ ა ა ლ მ ა თავისის ძმის თანდასწრებითა, დ ე კ ა ნ ო ზ ი ს შ ვ ი ლ -  
მ ა გ რ ი გ ო ლ მ ა, მ ა დ რ ა ძ ე პ ა ა ტ ა მ, ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე ა ვ -  
თ ა ნ დ ი ლ მ ა და სამმა უფროსმა გლეხმა კაცმა ამ განჩინებისაებრ  
რავგარადაც რომ გამოცხადებულა, ისე დაიფიცეს ღმრთის წინაშე.  
ფ რ ი დ ო ნ.

## 25. ბანჩინება ჩარქაიზვილიზის შიის შალვაშვილიზის საქმეზე

1777 წ. 19 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 26. საბ. № 153. პირი. ქალაღი. მხედრული.

[187] ჩ ე რ ქ ე ზ ი ს [v] შ ვ ი ლ ი ა ვ თ ა ნ დ ი ლ თავის ბიძა-  
შვილს ჯ ა ნ ს ლ ა ნ ს შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ს პ ე ტ რ ე ს ა და და თ ო -  
ა ზ ე დ ე ლაპარაკებოდა: საოჯახო შემოსავლიდამ არის ნასყიდი და  
მეც წილი უნდა დამიდოო.

ჯანასლანმა ეს ნასყიდობის სიგელი წარმოაყენა, რომ დედის  
ჩემის მზითვით არის ნასყიდიო. ამისი დასარღვევი საბუთი ავთან-  
დილმა სამართალში ვერა მოიტანა რა.

ჩვენ, მსაჯულთ, ამ სიგლის ძალით ჯანასლანს საკუთრად დავა-  
ნებთ შალვაშვილები თავის დედის მზითვით ნასყიდობის გამო. მარა  
თუ დღეის იქით ავთანდილ ასეთს საბუთს მოიტანს ამ სიგლის და-  
სარღვეველს, რომ შეიწყნარებოდეს, მაშინ სამართლიდამ შალვა შეი-  
ლებში წილი დაედება. თუ არადა, საქმე არა აქვს რა. გიორგობის

ით, ქორონიკონს უფე.

თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველომასა მეორე ირაკლი,  
ვამტკიცებთ. გიორგობის [188] კ, ქორონიკონს უფე.

1778 წ. 3 იანვარი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 3254. დედანი. ქალღი. 35,5×21,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

მისს სიმალღეს მეფეს ირაკლის, მისს უწმიდესობას საქართველოს კათალიკოს-პატრიარხთან და სულიერს მსაჯულთ<sup>1</sup> სამღუღდელოებთან და კორციელს მსაჯულებთან<sup>2</sup> მრავალჯერ სარჩელი და ლაპარაკი ყოფილიყო ყოვლად სამღუღდელოს ტფილელ მიტროპოლიტის მიხაილისაგან და თურქისტანის შვილებისა თამაზას და ბეციასაგან ერტელის ყორღელიძეების საქმეზედ.

ასე, რომ: დავით თურქისტანის შვილი რომ ამოწყვეტილიყო, იმისი ყმა და მამული ამ თურქისტანიშვილებისათვის ებოძებინა მისს სიმალღეს მეფეს ირაკლის და ამ მიზეზით ელაპარაკებოდენ ტფილელს ეს თურქისტანის შვილები, რომ დავით თურქისტანის შვილისათვის უმსახურნია ყორღელიძეებსაო და ჩვენნი ყმა არისო.

ტფილელი, დია, მტკიცეს და პირიანს პასუხს აძლევდა, რომ სიგელი ჰქონდა სიონთა ღმრთისმშობლისათვის ქაიხოსრო უზბაშის თურქისტანის შვილისაგან შეწირულობისა და ეგრეთვე დამტკიცებული ბეჭდებით და სისწორით მისის სიმალლისაგანაც: ეს ებრძანათამაზას და იმის განაყოფს ბეციას და ეგრეთვე მსაჯულთაგან<sup>3</sup>, რომ თუ ამ შეწირულობის სიგლის გასამტყუნებელს და წინააღმდეგოს არ მოიტან მართებულსა და რიგიანს დასარღვეველს სიტყუასა თუ წერილსა, ამ შეწირულობის მოშლა არ შეგვიძლიანო.

ამათი წინააღმდეგი სხუა არა მოჰქონდათ რა ამის მეტი, რომ: ქაიხოსრო ჩემმა სახლისკაცმა თათრების შიშით შესწირა და შიშითვე დაიწერა სიგელიო და სიონთა ღმრთისმშობელს მიართოო და ჩემი მოწმობის ხელი რომ აწერია, ძალად მომაწერინეს, თვარა ჩემი ნება არ იყოო.

ეს საქმე დიდს ხანს ასე დადგა. შემდგომად რამდენისამე ჟამისა მისს სიმალღეს. მეფეს ირაკლის მისის უწმიდესობის დიკასტირიოსათვის ებრძანა ამ საქმის სამართლით გარჩევა და გარდაწყვეტა.

ჩვენს წინ ილაპარაკეს. ტფილელს ის შეწირულობის სიგელი

<sup>1</sup> მსასჯულთ. <sup>2</sup> მსასჯულებთან. <sup>3</sup> მსასჯულთაგან.

შოჰქონდა და თურქისტანიშვილებს ისიც ის სიტყუა. და იმათის სიტყუებით სიგელი არ დაირღვევოდა.

ჩვენ ფიცი განუწესეთ, რომ: თამაზას ორის გლეხის კაცით შეეფიცნა, რომ ის სიგელი შიშით არის დაწერილი და ეკლესიისათვის ჰეშმარიტებით არ არის შეწირული და სიგელი სიონთა ღმრთისმშობლის წინამდებარე აედო და გამოეტანა და ყორღელიძეები თამაზას და იმის განაყოფს ბეციას დარჩებოდა. და თუ ვერ დაიფიცებდნენ, რადგან იმისის გვარისანი იყვნენ და ლაპარაკობდნენ, ტფილელს სიგელი უნდა დაებეჭდვინებინა. იმათ ვერ დაიფიცეს და ქელახლა სიგლით და წიგნით მიართვეს, დასაბეჭდავიც გამოართვეს.

და რადგან ეს ასრე ჰქნეს, ჩვენი სამართლითაც ეს ყორღელიძეები ეკლესიას დარჩა; რომ დღეის იქით ამ თურქისტანიშვილებს და არც სხვათ მონათესავეთ კელი აღარა აქვსთ სალაპარაკოდ და სადაოდ ტფილელთან და არც ყორღელიძეებთან საბატონყმოდ. და ასე გარდასწყდა ეს საქმე.

დაიწერა დიკასტირიას შინა თთუესა იანუარსა, რიცხუსა გ, წელსა ჩლოშ

მცხეთის დაუჯდომლის ღმრთისმშობლის ეკლესიის არხიმანდრიტი სტეფანე.

დიდის ეკლესიის სვეტიცხოვლის დეკანოზი გიორგი დიკასტირიის არხინოტარი დავით.

კიდვზე:

მისის უმაღლესობის კარის დეკანოზი ნიკოლოზ დეკასტერიისა მცირე წევრთაგანი.

## 27. განჩინება შაზარაშვილებისა და გულქანაშვილების წინაპილების საქმეზე

1778 წ. 10 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 11. საბ. № 42. პირი. ქალაღი. მხედრული.

[47] მარნეულელი ყაზარაშვილები თავეთს მეზობელს გულქანაშვილებს მარნეულში საწისქვილოებს ედავებოდნენ ნახევარს ერთისას და ნახევარს მეორისას და ამას ამბობდნენ: ასრე ჩვენი იყოო, რომ ურუმოღლიზედ გირაოთაც დაეღვათ ჩვენს მამა-პაპათაო. და ურუმოღლიც ემოწმებოდა, მართა-

ლია მამაჩემს გირაოდ ეჭირაო და დღესაც ის თეთრი ზედ არისო... მაგრამ არც მოწამე ჩნდა ქრისტიანე და არც წიგნი ჩნდა გირაოებისა.

ამასაც ამბობდნენ ყ ა ზ ა რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ა ს ლ ა ნ ა , ა ხ ვ ე რ - დ ა და გ ი გ ო ზ ა , რომ: იარალის შვილი ეშკიკლასბაში ზაზა ჩვენნი მოურავი იყო, იმას შევჩვილეთ და ასე გვითხრაო, ერთი ერთმა აშენეთ და ერთი მეორემაო. მაგრამ ამისი არც წიგნი ჩნდა და არც მოწამე.

ჩვენ, მსაჯულთ, რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ, ვკითხეთ გულქანასშვილებს. იმათ ფიცი თქვეს: ეს წისქვილები ჩვენის მამა-პაპათ ლაგაიო, ამისი ცილება არას კაცისაგან არ გაგვიგონიაო.

მოწმე[ე]ები მოვთხოვეთ. გულქანისშვილებმა მოწმე[ე]ები მოიყვანეს: ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა ვ თ ა ნ დ ი ლ რომ მ ა რ ნ ე უ ლ ი ს ხასადარი იყო სანატრელის მ ე ფ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს მეფობაში ათი-თერთმეტი წელიწადი, აგრევე ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი თავლი-დარი ფ ა რ ს ა დ ა ნ , მეწვრილ[ჴმ]მანე პ ე ტ რ ო ს ა , დურნუკის მამასახლისი მ ა მ უ ლ ა . ამათ ცალ-ცალკე ვკითხეთ დიდის ფიცით და ასე თქვეს: მეფეს სანატრელს ვახტანგს აქეთ ეს წისქვილები გულქანასშვილებისა გვინახავს და გაგვიგონიაო და არც არავინ ამისი მოწილე გაგვიგონიაო.

და ყორდანაშვილებმა ასე თქვეს: ჩვენ რომ ხასადარნი ვიყავით, ერთხელ იმ წისქვილებს მიზდის წილი არ გაგვიგონია, რომ ყაზარაშვილებს აედოსთო. და თავლიდარმა ასეც თქვა: თვითონ ურუმოლისაც მიეცეს მიზდი და ა ხ ვ ე რ დ ა ს ა ც ესეც მინახამსო.

აგრევე კიდევ სარვანმა შ [ა] ჰ მ უ რ ა დ და გაურარხელმ[ა] ა ლ ი ყ უ ლ ი მ თქვეს: სანატრელის მეფის ვახტანგის აქეთ გვახსოვსო რომ გულქანას შვილებისა იყო და მცილებელი კაცი არ გაგვიგონიაო.

ახლა ყ ა ზ ა რ ა შ ვ ი ლ ე ბ ს ვთხოვეთ მოწმე[ე]ები და ათი დღე მულათი მივეციო. ასეთი მოწამე ვერავინ იშოვეს, რომ მოსამართლის გული დასჯერებოდა. ეკლესიელნი კაცნი მოიყვანეს ორნი. ამათ თქვეს: ცალკე ლაპარაკი გაგვიგონია, რომ ყაზარანი ამბობდნენ, წილი გვაქვსო; არც ჩივილი გაგვიგონია და არც [v] წილის მიცემა, მთლად გულქანანთ ეჭირათო, სულ ისინი სკამდნო.

ამის მეტი მოწამე ვერ იშოვე[ეს] და ამით მამული არ წ[ა]ერთმეოდათ. ამ საქმის გაჩხრეკით ეს წისქვილები გულქანასშვილებს დარჩათ. ყაზარაშვილებს წიგნი არ უჩნდათ, მოწამე არა ჰყვანდათ და არ[ა]სდროს არა სკეროდათ. და სამართალმა ყაზარაშვილები გა[ა]მტყუენა.

იასაულო საყვარელი ძე გოგიავე! ეს ასე გა[ა]რიგე, რო-  
გორც გაგვიჩენია. იანვარს ი, ქორონიკონს უფვ.

თავში:

ჩვენ, საქართველოს მეფე ირაკლი მეორე, ვამტკიცებთ  
განჩინებას ამას. თვესა იანვარსა იე, ქორონიკონს უფვ.

ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონი შვილი გი-  
ორგი, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. იანვრის ივ, ქორო-  
ნიკონს უფვ.

## 28. განჩინება ზაპარია და პაატა მოურავიშვილებისა მამულის საქმეზე

1778 წ. 17 იანვარი

ცსა. 1448. № 1167. დედანი. თავი დაზიანებული. ქაღალდი 24X9,3 სმ.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია წერტილი.

ქ. მოურავიშვილი ზაქარია და პაატა რომ გლე-  
ხების სამოსახლოებზე დაობდენ, ასე გავარიგეთ: რომელიც სამო-  
სახლო პაატა მოურავის შვილს ბებურის შვილისათვის გაუცე-  
ლია, ის ისევ დაიხსნას და შუა გაიყონ. კიდევ მეორე სამოსახლო რომ  
არის ხოლო შვილისა, ისიც შუა გაიყონ. და მესამესაც რომ  
დაობს ზაქარია მოურავის შვილი, ის ქარდანეჭში მოიკითხონ.  
თუ ის ასეთი სამოსახლოა, რომ კოშკი არის და სახლის ადგილი და  
ბოსლისა და სამი ოთახის სახლის ადგილი, ისიც უნდა შუა გაიყონ.  
და თუ მარტო ბოსელია და ვენაჯის სახლი, რადგანც ის ვენაჯი გა-  
ფარდებულია, იმ ვენაჯისა იქნება და არ გაიყოფა.

მირიანაშვილო იესე! ასე გავარიგე. იანვარს ივ, ქორო-  
ნიკონს უფვ.

სამი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?).  
ლმერთგანცაა(?), იოანე, 1748.
2. არ ირჩევა
3. სულხან

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე [ერეკლე], ვამტკიცებთ განჩინებასა ამას... ქორონიკონს [უფვ]\*

**29. ვანჩინება ლუარსაბ ონანაშვილისა, ქაიხოსრო ბებურისა და ზურაბ აფხაზის ბაგშლის საქმეზე**

1778 წ. 20 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4353. დედანი. ქალაღი. 42X16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მისის სიმაღლის ორისავ საქართველოს მეორეს მეფის ირაკლისაგან ჩვენ, ქეშიქიბაშს იოანე აბაშიძეს და მდივანბეგს ოტიას და გავაზის მოურავს დავითს ბრძანება და ოქმი გვქონდა. ლუარსაბ ონანაშვილს და ქაიხოსრო ბებურის შვილს ზურაბ აფხაზის წილი მამული მეფეთაგან ბოძებოდათ. რაც კიდევ დარჩომილი იყო დავით აფხაზთან თავის წილს გარდა სამმო გასაყოფი, ეს ჩვენ, ზემოხსენებულთ, უნდა გაგვეყო.

ამ ლუარსაბ ონანაშვილმა და ქაიხოსრო ბებურის შვილმა და დავით აფხაზმა მოგვასხეს ჩვენ და ილაპარაკეს. პირველი ლაპარაკი ამითი სასახლე იყო. და ეს სასახლე ჩვენ გაუყავით და გაუმიჯნეთ სამართლიანის საქმით და ამ სასახლეს გვერთ უძეს ბეითალმანი მიწა, ციხელაური ქეიბან, რომელშიაც დავით აფხაზს ციხე ჩადგა. უწინვე ასლან ონანაშვილსა და დავითს გ[ა]ეყოთ და გაემიჯნათ, იმავ გარიგებაზედ დადგნენ. და ეს ციხე დავითს თავის საწილოში ეგო და დავითს დარჩა სამართლით.

ლუარსაბს და ქაიხოსროს ოთხი მათლაბი არზით მისის სიმაღლის მეფისათვიან მოუხსენებია, გასაყოფი არისო: ერთი ქვევით ვენახი გვერთ ცარიელი მიწა უძევს, მეორე ბაგა თავის ზვრის გვერდზედ აღმოსავლეთისაკენ, მესამე ზაქარია მოურავის შვილს რომ ვენახი აქვს დავითისგან მისყიდული, მეოთხე გომფარ მოურავის ნასახლარი.

ქვემო ვენახისას დავით აფხაზი ამას უპასუხებდა: ჩემის წილისა და ბართისა არისო და ბართიც მოიტანა, კურტანაძე რეგებია ამ ვენახითა და მიწით, ზემო ბახჩის თავშიც მიწა უწერია, ეს მამული არის. სხვა ბართებიც ვთხოვეთ დავითს ჩვენის გუ-

\* თავი მოხეულა.

ლის დაჯერებისათვის. ათამდინ ბარათი მაიტანა დავითმა თავის პაპის დათუნასაგან ნარგები, უბეკლო იყო ეს ბარათები.

ლ უ ა რ ს ა ბ ამას უ პ ა ს უ ხ ე ბ დ ა : კურტანაძე ორი იყო. არც მაგ ბარათს ყაბული მაქვსო, ბეჭედი არ გიზისო.

რადგან ლუარსაბ და ქაიხოსრო ყაბულს არ გახდნენ, ზურაბ და დათუნა იმ მიწაშივე წაკიდებული იყვნენ, ჩვენ, ზემოხსენებულს მოსამართლე[ე]ებს ეს სამართალი განგვიწესებია: დავით აფხაზი უნდა წადგეს, კურტანაძის ბარათი ხელთ დაიჭიროს, კიდევ თავის ზვრის გვერდზედ ბაგა არის, ეს ბაგა და ის კურტანაძის მიწა, რომ ვენახიც არის შიგა, ასე უნდა იფიცოს: «ჩემის ბარათისაც იყოს და წილშიაც რგებოდეს პაპა ჩემს, ჩემი საკუთარიც იყოს».

თუ ასე იფიცა, დარჩება დავითს; თუ ვერ დაიფიცა, საძმო იქნების, ნახევარი დავითს ერგება და ნახევარი ლუარსაბს და ქაიხოსროს.

გომფარ მოურავის სასახლე ნ ა დ ი რ ა შ ვ ი ლ ე ბ ს უჭირავს — დავითის ყმას. ასე ამბობენ სამართალში: ერთობაში ჩვენის ბატონისაგან გვბოძებიაო.

ლ უ ა რ ს ა ბ ამას ე პ ა ს უ ხ ე ბ ო დ ა : გასაყოფი არისო.

რადგან ჩვენ, მოსამართლე[ე]ბმ[ა], ფიცი განუწესეთ, უნდა წადგნენ ნადირაშვილები და დაიფიცონ, რომ ერთობაში ქონოდეს მიცემული ეს სასახლე და ეს მიწები ამ ნადირაშვილებს. თუ შეფიცეს, ლუარსაბსა და ქაიხოსროს საქმე აღარ ექნება; თუ ვერ შაფიცა, უნდა გაიყო[ონ] შუა.

კიდევ ზაქარია მოურავის შვილს რომ მამული აქვს მისყიდული, ისიც ნადირაშვილებმა უნდა ჩაიტანონ ამ ფიცში: ჩვენი საწილო მამული არისო. ლუარსაბსა და ქაიხოსროს კელი<sup>1</sup> არ ექნება სამართლით. და რაც დავით აფხაზს მის სიმალლის მეფისათვის მოუხსენებია სი[ი]თ მამულები გასაყოფი, ეს უნდა გაიყონ.

ქვევრს რასაც ედავებოდა, ორის მეტი სადაო არ იყო. ლუარსაბმა არც კაცი დაქაფიცა თავისი და ხელიც აიღო. დავითს დარჩა მარანი.

ბატონო გავაზის მოურავო დავით! ჩვენთან მოსამართლედ თქვენც ბძანდებოდით, როგორც ამ განაჩენში დაგვიწერია, ისე უნდა გაურიგო. ფებერვალს კ, ქორონიკონს უფგ.

საში ბეჭედი:

1. მონა ღთისა ქეშიკიბაში ა ბ ა შ ი ძ ე ი ო ა ნ ე

<sup>1</sup> ქელი.

2. მონა ღთისა ო ტ ი ა

3. მოურავი და ვ ი თ (?)

მ ე, ა ი დ ე მ უ რ ხ ა ლ ვ ა თ ხ ა ნ ი ს ე შიგაღასბაში, ამისი ია-საული ვიყავ. რომელიც ამ განაჩენით დავით აფხაზს ფიცი ეღვა, რომ ის სადაო ადგილები თვითოეულად ნიშნობრივ სწერია, იმაზედ საფიცრად დავით აფხაზის შვილის შვილი ნინია მოვიდა, რომ უნდა დაეფიცნა. ონანაშვილმა ყორიასაულბაშმა ლუარსაბ აღარ დააფიცა და სადაო საქმეზე ქელი აიღო, და გარდაწყვეტილების წიგნიც მისცა ნინიას.

ამ განაჩენით ნადირაშვილებს რომ ფიცი აძევს, ჯერ იმ სადაო საქმეზე არც ფიცი მომხდარა და არც გარდაწყვეტილა. და ეს განაჩენი ამ მიზეზით დარჩა ლუარსაბ ყორიასაულბაშთან. მარტის იმ, ქორონიკონს უპე.

ბექელი: მონა ღთისა... ა ი დ ე მ უ რ

თავში:

ქ. ჩვენ, მ ე ფ ე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ეშიაღასო აიდემურ! როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე გაარიგე. დეკემბრის იღ, ქორონიკონს უპდ.

ბექელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

### 30. განჩინება პაატა მეითრის შვილისა და როსტომ ერთისთვის შვილის შვის საგვამო

1778 წ. 18 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 8. საბ. № 151. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[106v] პ ა ა ტ ა მეითრის შვილი რ ო ს ტ ო მ ს ერისთავის შვილს უჩიოდა: ჩემის განაყოფის ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს ა გ ა ნ მოსყიდული ნავთლუღის მამული და გლეხი რომ გაქვს, იმ ნასყიდობაში ჩემი წილი ერთი კომლი კაცი — ორნი ძმანი გ ე ლ ი ა და ხ ი ზ ა ნ ა თან გამოუტანებია, ისინი ავთანდილის წილნი არ იყვენენო. ამის მოწამე მყვანდა პ ე ნ ტ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ავლაბრის მამასახლისი ი ო ბ და მეფურის შვილი და იმათ დამარწმუნესო, რომ საყდარზე შემომფიცესო: ჩვენ ვიციითო, რომ მამის შენის ქ ა ი ხ ო ს რ ო ს წილი იყვენენ და ამ კაცებს ის იმსახურებდა და ხარჯს ართმევდაო: და თვითაც ჩვენც გამოგვირთმევია ამ კაცებისათვის ხარჯი და მამის შენისათვის მი[197]გვიბარებიაო. ეს მოწმობა დაწერესო და სამართალში მოვიდნენ და მოიტანესო.

მეორედ ამას ამბობდა: ერისთვიანი რომ იყრებოდნენ, ო რ ჯ ე ლ



და სამჯერ კაციც მიუგზავნე და პირათაც დაველაპარაკე ამ კაცებზე-  
დაო და გიორგიმ და ალაბაბამ და შალვამ ასე მითხ-  
რესო, რომ მოგცემთო და დაგანებებთო; და ამის მოწმები სარწმუნო  
კაცნი ჰყვანდენ პაატას, რომ ასე ეთქვათ.

მესამედ: ეს გელია და ხიზანა ფიცით წერილს გვაძლევენ, რომ  
დედის ჩვენისაგან ასე გაგვიგონია — ქაიხოსროს წილი ვიყავითო.

ახლა როსტომს ვკითხვით პასუხი. იმან თქვა: მე სიგელში მიწე-  
რია, ჩემნი არიან და მე ვიმსახურებო.

ჩვენ, მსაჯულთ ესენი მოვისმინეთ და ასე განვსაჯეთ: რადგან  
პაატა ამ საბუთებით ლაპარაკობდა და მოწამე არც ერთის მკრით  
ცოცხალი ასეთი არავინ იყო, [V რომ] დასჯერებოდა, ჯერ როსტომს  
ვთხოვეთ მოფიცარი, რადგან ქელთ ეჭირა. როსტომ თქვა: მე სი-  
გელში მიწერია, იმით ვლაპარაკობო; და თუ მაგან სარწმუნოდ იცის,  
რომ მაგისი წილია, მაგან იფიცოსო. ჩვენ გვინდოდა, რომ ის სადაო  
კაცნი დავეფიცებინა, მაგრამ ამათს ფიცს ვერ ვერწმუნენით: ეგების  
რომლისამე საქმით ან ძალით სჭირდესთ და ან ერთიმეორეს ერ-  
ჩიოს. ისევე პაატას მიუგდევით ფიცი. წაადგეს პაატა თავკაცად და ასე  
შეჭფიცოს, რომ: «ავლადრის მამასახლისის იობისაგანაც ასე  
გამიგონია, მეფურისშვილისაგანაც, რომ მამაშენი იმსახურებდაო,  
ამისი წერილიც სამართალში გამიტარებია და თვითან ეს მოწმები სა-  
მართალში მიმიყვანია, რომ მამის ჩემის წილობით მამაჩემი იმსა-  
ხურებდა და გიორგისა და ალაბაბას და [198] შალვას რომ დაველა-  
პარაკე, მითხრესო, რომ მოგცემთ და დაგანებებთო». ესენი ასე იფი-  
ცოს. თუ იფიცა, დარჩეს ეს გელია და ხიზანა პაატა მეითრის შვილ-  
სა: და თუ ვერ იფიცა, როსტომს როგორც უჭირავს, დარჩება როს-  
ტომს.

ჩვენ ასე განვსაჯეთ და ნება მათის უმაღლესობისა არის. ბეცი-  
ავ საამისშვილო, შენ ხარ ამათი მხედველი. მარტის ივ, ქორონი-

კონს უფგ.

ქ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი მდივანბეგი მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ა მ სამართლისა  
თანამოწმე ვარ.

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველომსა მეორე ირაკლი,  
მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. მარტის ივ, ქორო-


ნიკონს უფგ.

ეს განაჩენი უამბეს როსტომს და მისს ძმებს. იმათ აღარ დააფი-

ცეს და ქელი აიღეს. დარჩა პაატა მეითრის შვილს ეს გელია და ხი-  
ზანა. ჩვენ, მსაჯულთან, მოვიდნენ და ასე გვიამბეს როსტომის აზ-  
ნაურშვილებმა როსტომის მაგიერ. მარტის [V] ით, ქორონიკონს უფვ.  
ბ ე ც ი ა ვ სამისშვილო, პაატას მიაბარე ის კაცნი.




რადგან როსტომ ერისთავს პაატა მეითრიშვილი აღარ დაეფი-  
ცებინა და ეს გლეხები უფიცრათ დაენებებინა და მღივანბეგებთანაც  
ამ საქმეს ასე გაველო, როგორც იმათგან ამ განაჩენის ზურგზე აწე-  
რი[ა], ჩვენ, მ ე ფ ე საქართველოსი ი რ ა კ ლ ი, ამას ვამტკიცებთ.

დარჩა ეს გლეხები პაატ[ა]ს. მარტის კ, ქორონიკონს უფვ. 

ქ. ეს სამართალი ჩვენთან ამდენ რიგად გავლილი არის და  
ახლა კიდევ იკორთის წინამძღვარმა სამართალში შემოსვლა მოინ-  
დომა. ჩვენ ესენი სამართალში ვალაპარაკეთ და სამართლით იმ სა-  
დაო კაცთ ფიცი ებძანა. ის გლეხნი ცოლით, შვილით, დედიტა და  
ძმისწულით წარდგნენ ეკლესიაში და ასე დაიფიცონ რომ: «ჩვენ ავ-  
თანდილის წილნი ვიყვნეთ და ქაიხოსროს ყმობა არც მამა-პაპათაგან  
გაგვეგონოს და არც ვყოფილიყვნეთო». თუ ასე დაიფიცეს, ეს გლეხ-  
[199]ნი ეკლესიას დარჩება; და თუ ასე ვერ დაიფიცეს, მეითრისშვი-  
ლებს დარჩებათ.

ეშიკადასო ა ი დ ე მ უ რ, ამათი მოასილი შენა ხარ და ეს ჩვე-  
ნი ბძანება ახლავ ასე აღასრულე. იუნიისის ივ, ქორონიკონს უოჲ.

ქ. ფიცში ესეც უნდა ჩაატანონ, რომ ავთანდილს კიდევ გაეყი-  
დოს და ქაიხოსროს წილნი არ ყოფილიყვნენ და სწორეთ ჩვენ ვიყ-  
ვნეთ ერისთვისაგან ნასყიდნი. ამათ ვინცავინ ქუდიანი სახლში უფ-  
როსნი და უმცროსნი ჰყვანდესთ, სულ ერთად უნდა წარდგნენ და  
ასე დაიფიცონ. დედაკაცებს კი ფიცში ნუ მიიყოლებენ. 

ქ. მისის უმაღლესობის მეფის ბძანებით მე, ხალვათხანის ეში-  
კადაბაში, ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი ა ი დ ე მ უ რ ი იასაული ვიყავი. შაგ-  
დებულმან მოწმემა, ი ნ დ უ ა შ ვ ი ლ მ ა ნ შ ა ქ ა რ ა მ, ფიცი ედ-  
ვა, მარამ ეკლესი[ი]ს კარიდამ დაბრუნდა და არ დაიფიცა. და ნება  
ქემწიფისა არის. ივლისის კ, ქორონიკონს უოჲ.

ხელთვა: ა ი დ ე მ უ რ

31. არზა მეჯორე იესისი და ივანისი უმოვის თაოზაჲ  
მღივანეჲგთა განჩინეჲგით

1778 წ. 24 აპრილი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 5092. დედანი. ქალღდი. 18,3X8,2 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის ლეონის ძირი მოსცეს თქუენს მეჯორეს იესეს და ივანეს.

ნახუცრის შვილი, რომ მელაპარაკება ჩემი ყმა ხარო, მოწამე აქა მყავს, დიდის ხნის მონახული კაცია. მანამ ეს მოწამე აქ განლაგესთ, სამართალში გვალაპარაკეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის ივ, ქორონიკონს უფგ.

თავში:

ქ. ეშვიკალათბაშო საამის შვილო ზაალ! მერე ამ არზის პატრონი და ნახუცრის შვილი ბატონს მოსამართლე[ე]ბთან მიაყვანინე და იმათს სამართალში ალაპარაკე, რომ სამართალი იმათ უსაჯონ. მარტის ივ, ქორონიკონს უფგ.

ზეპელი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

[განჩინება]

ქ. ეს კაცნი ვალაპარაკეთ. მეფეების წიგნი მოიტანა ზურაბ და ეს კაცნი ამის ყმათ აღმოჩნდა. რომელსაც მოწამეს მოწმობდა, იმისი წიგნი ასე აცხადებდა, მიქელაძის ყმანი იყვნენ, საყდრის შეწირულნიო. და სანატრელის მეფის ბაქარის წიგნით ნახუცრის შვილს ბოძებოდა მიქელაძის მამული და ყმა წიგნით. აპრილის კდ, ქორონიკონს უფგ.

ქ. ეს ერთი ძმა იესე ზურაბისა არის, რომ სიტყვა არავისა აქვს და მეორე ძმა ივანე ქართველსათვის რომ მიეყიდა, თუ თავის თავს თვითან დაიხსნის ეს ივანე, ხომ ზურაბ ველარას მიედავება. და თუ სხვა ვინმე დაიხსნის, ზურაბს სიტყვა აქვს და არ დაანებებს. ზურაბის თამასუქი, რომ უჭირავს ქართველას და პირობის წიგნები და განაჩენი, ესენი უნდა დაუხსნას ამ ივანემ და ზურაბს მოსცეს.

სხუთი ბეჭედი:

1. ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად იესე

3. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჰომი(?)  
ღმერთგანცაა(?), იო ა ნ ე 1748.
4. არ ირჩევა
5. ჟამი ესეცა წარვლის.

**32. არზა ქაიხოსრო შურვანიშვილისა თამასუჰის თაოგაჰა  
მღივანავათა განჩინებით**

1778 წ. 27 აპრილი

ზელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1175. დედანი. ქაღალდი. 29,5X13 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ქირი მოსცეს ქაიხოს-  
რო მურვანის შვილსა.

ამას მოვახსენებ ბატონს მსაჯულთ: ქაიხოსრო აბაშიძემ  
თავდებათ დამაყენა ქალაქის მოურავთან და ესენი უფოთს მოვარ-  
ჩინე და ჩემის სახელობით თამასუჰი მივეცი მოურავს. ახლა რას  
ემართლება, რომ აბაშიძე მოურავს არ უსწორდება და ჩემს მიცე-  
მულს თამასუჰს არ იხსნის და თავდებობიდან არ მიშვებს. ეს რომე-  
ლი სიკეთის მაგიერი არის, რომ ქაიხოსრო აბაშიძე მე მიშვრება.  
უფოთი დავაცხრე. თუ მე თამასუჰი არ მიმეცა, ვგონებ ერთი სისხ-  
ლი მოსვლოდათ.

ამ წყალობას ვითხოვ: აბაშიძემ ჩემი თამასუჰი დაიხსნას.

ამას წინათ ბატონსაც მოვახსენე და ზაზა ყორიასაულბაში  
იასაულად დააყენა, ქაიხოსროსათვის თეთრი უნდა გამოერთმევიანა  
და მოურავისათვის მიეცა და თამასუჰი გამოერთმევიანა. მაგრამ მა-  
შინ შერიგდნენ და თამასუჰის მოცემას მეუბნებოდა და ახლა ისევ  
დაობენ.

მე ამათ უფოთთან რა კელი მაქვს. მოგახსენებთ, დღე დღეზედ  
ჟამს რა მოაქვს, ჩემი თამასუჰი გამომირთვით. აპრილას კვ, ქორო-  
ნიკონს უფვ.

[განჩინება]

ქ. ამ არზით რომ ასე ჩივის მურვანისშვილი ქაიხოსრო, ბატონო  
ყორიასაულბაშო ზაზავ! მსაჯულნი მოვახსენებთ. ის თავდებობის  
წიგნი უნდა გამოურთვა, მურვანისშვილს მოაბარო; ამისთვის, რომ

დანაშაული არა ჩანს რა ქაიხოსრო მურვანიშვილისა, შფოთის და-  
ცხრომის მეტი.

და რაც მოურავის თეთრი აბაშიძეებს ემართოს, გამოურთვი და  
შობარე. მისის სიმალლის ბძანებაც ასეა და ჩვენც ასე მოგვიხსენე-  
ბია. აპრილის კჳ, ქორონიკონს უფე.

შვიდი ბეჳელი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჳომი(?)  
ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748
2. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად  
იესე
3. ქაიხოსრო
4. მდივანბეგი თემურაზ.
5. მონაღთისა ოტია
6. მზექაბუკ
7. ჟამი ესეცა წარვლის.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ირაკლი, ამ სამართალს ვამტყციებთ. აპრი-  
ლის კჳ, ქორონიკონს უფე.

ქ. ზაზავ ყორიასაულბაშო! ასე უნდა გაურიგო.

ბეჳელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვაღიდე, ერეკლე.

### 33. განჩინება ნათლისმცემლის მონასტრისა და გივიის შიის საჳმეო

1778 წ. 1 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2763. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მის სიმალლეს მეფეს მათთ მონათ მსაჯულთათვის ამათი სა-  
მართალი ებძანათ, ნათლისმცემლის წინამძღვარი და კრებულნი და.  
მათნი მოწამენი რომ ამას ამბობდენ: სანატრელის მეფის ვახ-  
ტანგის მეფობაში ამ შავერდის მამა და დედა ბაღბი-  
ანში ჩამოვიდნო ოთხის შვილით და უდაბნოს ნათლისმცემლის  
მონასტერს შეეწირნენო, იქ დამკვიდრდნო და დედმამაც იქ უმარ-  
ხითო. ამაზედ ჩვენ, მსაჯულნი, გულსავსე შევიქმენით სხვაგან მო-  
კითხვით და შეტყობით.

მერმე ოსმალობის ჟამს ბაღბიანი რომ დაიცალა, ისევე მონას-  
ტრის მამულში მიიყვანეს წინამძღვარმა და კრებულმა, ხაშმზედ  
დააყენეს მამულზედ მემკვიდრეთ და იქ ცხოვრობდა, რომ ღღესაც  
მაგის სახელზედ არის ის მამულიო. იქიღამ შავერდა ქალაქს ჩამო-  
ვიდა, ცოლი შეირთო და ცოლშვილით ისევე ხაშმზედ წამოვიდაო.

მერმე ხაშმის წაქდენას ცოტად უწინ ლეკის შიშისაგან წინა-

მძღვრისავე დასტურით ქალაქს ჩამოვიდა კელმწიფის მამულში დად-  
გა და იმ დღიდან მოკიდებული სერაპიონ წინამძღვრის  
დროსაც მონასტერს მსახურებდა და მონასტრის ყმა იყო.

მასუკან ველარ მოიკითხეს და ამ კაცმაც თავისი თავი დაიმალოა;  
დღეს ამ კაცმაც თავის თავი გამოაჩინა და ვინცა ვინ კიდევ მოხუცე-  
ბულნი ან კრებულნი და ან გლეხნი არიან, ესენიც მნახავნი არიან  
ამ შავერდის მონასტრის ყმობისაო, რომელსაც მღუდელ-მონაზონი  
დანელი დიდის ფიცით სწერდა სერაპიონ წინამძღვრის დრო ამ  
შავერდას მონასტრის მსახურებასა და ყმობასა და ხარჯის ძლევასა.

აგრეთვე დავით-გარეჯის ყმა გიორგი მოწმობდა ამ ზემო  
სიტყვებსა და ბალბიანში სახლობასა და კიდევ ოქროა გლეხი მოწ-  
მობდა უდაბნოსა ყმობასა და ხარჯის ძლევასა; გივის ფარეშთ-ხუ-  
ცესაც მოსდევდნენ მრავალნი მოწამენი წაკკისზე ხარჯის  
ძლევასა და წავკელობასა.

და რადგანც აქედამც მრავალნი მოწამენი იყვნენ და იქიდანც,  
ამისთვის ფიცი განვაჩინეთ, მაგრამ მონასტრის კრებულთ მოწმობა  
უფრო რომ ძლიერი იყო და სარწმუნოდ შესარაცხი, ამისთვის ფიცი  
უდაბნოს კრებულთ მკარეს მივაგდევით. ჯერ რომ უფრო სარწმუნო  
მოწმებისათვის და მერმე ბალბიანს მოსახლობისა სანატრელის მე-  
ფის ვახტანგის მეფობას აქეთ სერაპიონ წინამძღვრის  
ჟამშიაც მემკვიდრეობით ყმობისა და ქალაქში ხარჯის ძლევისათვის  
უდაბნოს კრებულნი, რომელნიც ფიცით სწერენ, თავეთის ნებით,  
თორემ მათი ფიცი სამართალში არ გაჩნდება, ჩვენ იმ წერილს ვერ-  
წმუნებით.

და კიდევ უფრო გამართლებისა და გულსავე ყოფისათვის ერის-  
კაცთ მოწამეთაც ფიცი დავადევით და იმ სადაო გლეხსაც: წადგეს  
შავერდა და თან მოიყოლოს ეს ორი თავისი მოწამე დავით-გა-  
რეჯის ყმა გიორგი და ოქროა და ასე იფიცოს: ბალბიანში  
სახლობა, იქიდან ხაშმზე მისვლა, ხაშმიდან ქალაქს ცოლის თხოვნა  
და ცოლშივლით ხაშმზე წასვლა, და ხაშმის წაქდენის ცოტად უწინ  
წინამძღვრის დასტურით ქალაქს ჩამოსვლა და ქალაქში სერაპიონ  
წინამძღვრის ჟამშიაც ხარჯის ძლევა.

თუ ესენი ასე იფიცონ, ეს შავერდა თავისის შვილებით  
დარჩება უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერს ყმათ და ველარავინ  
მოედევება. და თუ ვერ იფიცა და გივის ყმა ყოფილა და იმისი იქ-  
ნება. ჩვენ რაც გავსინჯეთ, ეს სამართალი მივეცი და ნება მათის სი-  
მალლისა არის. მაისს ა, ქორთნიკონს უჯვ.

ქ. ეს ფიცი უდაბნოს მონასტერში უნდა აღსრულდეს.

ექსი ბეჭელი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი (?)  
ღმერთგანცაა (?), იოანე, 1748
2. ქაიხოსრო
3. ჟაზი ესეცა წარვლის



თავში: ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოსა საქართველოსა მპყრობელი მეფე ერეკლე, ვამტკიცებთ ამა მსაჯულთაგან განჩენილსა სამართალსა. მაისს ბ, ქორონიკონს უფვ.

ქ. ციცი სვილო გლახავ! ასე აღასრულე

ბეჭელი: მე ფეხთანბანილთა ზიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

### 34. ბანჩინება ივანე და სოლომონ აბაზაძეების მამულის საქმიანობა

1778 წ. 11 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9564 ა-ბ. პირი. ქალაქი. მხედრული.

ქ. აბაზაძე ბეჟანის შვილი ივანე და მისი შვილი დავით ჩიოდა. მისის სიმალლის მეფისათვის არზა მიერთმია: ჩემს განაყოფებს სოლომონს და ზურაბის შვილებს ჩემი მამული უჭირავთო, და სამართალი ეთხოვა.

მის სიმალლეს მეფეს მათის შვილებისათვის ებძანათ იულონისა და აღმასხანისათვის: ესენი ალაპარაკეთ და სამართალი უსაჯეთო.

მისის სიმალლის მეფის შვილებს ჩვენ მსაჯულთათვის ებძანათ. ჩვენ მოვიყვანეთ ესენი და ვალაპარაკეთ.

აბაზაძემ სოლომონ და ზურაბის შვილებმან დავით და ლეონ ძველი წიგნები წარმოადგინეს სანატრელი დედოფლის ელენესი, მეფის ერეკლე პირველის დედასა სიგელით ებოძა აღაბეგაშვილი, შინდარას კახიაშვილები, ოძის ქდენტის და ლიპარტაშვილი, ცედანი მისის კომლეთრით. ესენი მტკიცის წერილით ებოძათ.

ამის შემდგომად მეფის ერეკლე პირველის წიგნი ჰქონდათ ამითვე: ბატონის დედის ჩვენის სიგელის გაახლებას გვეაჯენითო და გვიბოძებიაო, რაც ბატონს დედის ჩვენს ებოძებინაო, და რაც დაღანის ძეს მამული, გლახანი, მიწა-წყალი, წისქვილი ჰქონდაო, სამკვიდროდ გვიბოძებიაო.

აბაზაძე სოლომონ და დავით ამაზე ჩიოდნენ: უთხვას ბლია-  
ქეები ამ დაღანაძესაგან წართმეული გვექონდაო და ამ წიგ-  
ნით მეფეს ერეკლე პირველს ისევ ჩვენთვის უბოძებიაო; და ეს წიგ-  
ნი მისის სიმაღლის მეფე ერეკლე მეორისაგან დამტკი-  
ცებული იყო. და ესეც აღეწერა ბოლოს: დაგვიმტკიცებია, თუ ამის  
გასამტყუნებელი წიგნი არ მოიტანესო.

ვკითხეთ ბეჟანის შვილს ივანეს: ამის წინააღმდეგი წიგნი უნდა  
მოგვიტანოო. ივანეს ხელთ ასეთი წიგნი არა ჰქონდა რა, ამას წი-  
ნა[ა]ლდგომოდა და ამას ამბობდა: წიგნები მაქვსო, ვიპოვნი და მოვი-  
ტანო; და სიტყვით ამბობდა, მე მკვირიაო.

ესენი უპასუხებდნენ: მძლავრებით და დროშემოგდებით გეჭი-  
რაო, თორემ ჩვენი სამკვიდრო იყო და არისო. და ერთი ბარათიც  
იყო ძველი. აღბეგაშვილს კოშკზე დადებით საუმცროსოდ ზაალის  
შვილებს უცხადებდა.

და ერთი ბარათიც ჰქონდათ ამ ივანეს მამის ბეჟან მდივნი-  
საგან მიწერილი, თავის ნაცვლისათვის მიუწერია: ბატონის ბრძანე-  
ბა არისო, ეგ ლომიძე ამ დათუნას მიაბარეო. დათუნა სოლო-  
მონის მამას რქმევია. და ამას ამბობდნენ, ამის მეტი ლომიძე ჩვენ  
არ გვეყოლიაო. და ეს ლომიძე ცედანელი იყო. ამ ბარათზედ ბეჟანის  
ბეჭედი აჯდა.

ამ მეფეების სიგლები მისის სიმაღლის მეფის ერეკლე მეორისა  
და დედოფლისაგან და მათის შვილებისაგან ყოველთაგანვე დამტკი-  
ცებული იყო. რომელსამე დროს ეს ცედანი სოფელი მახვილა-  
ძეს მისცემოდა და სიგელიც ჰქონდა და მეფე ერეკლე მეორესაც  
ებოძებინა მახვილაძისათვის, და ამ ჟამს ამ სოლომონ აბაზაძეს ეჩივ-  
ლა, ჩემი მამული ცედანი უჭირავსო. მის სიმაღლეს მსაჯულთათვის  
ებძანა — იოანე მდივანბეგისა ორბელიანისათვის, იე-  
სე მდივანბეგის ამილახვრისათვის, ქაიხოსროს მდი-  
ვანბეგის მოურავის შვილისათვის და ფარსადან მდივანბეგის  
ციცის შვილისათვის. ამათ სამართალი ასე მიეცათ: მართა-  
ლია, მახვილაძესაც ჰქონდა წყალობის წიგნით, მაგრამ აბაზაძეებისა  
უფრო ახალი იყო და დავთარშიაც ამათზე ეწერაო ცედანი და იქ  
მსახლობელნი ლომიძეებიო. და აბაზაძეებისათვის დაენებებინათ და  
ეს განაჩენი მისის სიმაღლის მეფისა, დედოფლისა და მათის შვი-  
ლებისაგანაც დამტკიცებული იყო. ათას წელიწადს შემდგომად ივანე  
ბეჟანის შვილმა უჩივლა, ჩემი ყოფილაო.

სოლომან და დავით უპასუხეს უსამართლოდ გკვირიაო, თო-



რემ ბარათითაც ჩვენიაო, მეფეთ წყალობითაცა და ჩვენ უფრო დიდ-  
ხანს გვკვირიაო და როსცა მოგვრევიხარ, შენ მაშინ დაგიკვირიაო.

ჩვენ ეს განუჩინეთ: სამი თვე პაემანი მივეციოთ ივანე აბაზაძეს.  
თუ ამ სამს თვეზედ ასეთი წიგნი რამ მოიტანა, რომ მოსამართლის  
გული დააჭერა, ხომ სამართალი მიეცემაო. თუ წიგნი ვერა მოიტანა  
რა, მეფეების წიგნები ამათ ხელთა აქვსო და მისის სიმაღლის მეფე  
ერეკლე მეორისაგან ასეა დამტკიცებული: დამიმტკიცებია, თუ ამის  
გასამტყუვნებელი წიგნი არ ამოიტანოს რაო; თუ მოიტანა სამართა-  
ლი მიეცემა.

თუ არადა, ეს პაემანი გავიდა და არ მოიტანა, ველარას მიედავე-  
ბა ივანე იმათ; და დარჩება სოლომონს და ზურაბის შვილებს. ჩვენ  
ასე გავარჩიეთ და ნება მათის სიმაღლისა არის. ივნისის ია, ქორონი-  
კონს უფე.

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ერაკლი მეორე,  
ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ივლისის იბ, ქორონიკონს უფე.

ქ. ჩვენ, დედოფალი ქართლისა და კახეთისა დადიანის  
ასული დარეჯან ვამტკიცებთ. აგვისტოს დ, ქორონიკონს უფა.

ქ. ამ განაჩენში რომ პაემანი მივეციოთ ივანე აბაზაძეს, სამს  
თვეზე წიგნები უნდა მოეტანა. წიგნები მოსამართლეს წაეკითხა, თუ  
მოსამართლის გული დასაჭერდებოდა, სამართალი უნდა მისცემოდა.

ამ ვადას უფრო აღრე მოიტანა წიგნები როსტომ მეფისა  
და კიდევ ლეონ მდივანბეგ ბატონიშვილისა და კიდევ  
მეფის ბაქარისა, რომელიც ეს წიგნები ამავე მამულებს ნიშ-  
ნავს.

სანატრელს ელენე დედოფლისაგან და მათის შვი-  
ლის მეფე ერაკლე პირველისაგან ამ სოლომონისა და და-  
ვითის მამა-პაპათ რომ მისცემიათ, ამათ ართმევენ და ბერუკა-  
შვილებს აძლევენ ამ სიტყვით და ბრძანებით: შენის განაყოფის  
ამოწყვეტილის დათუნას მამულიო.

და მათი შვილი მეფე ერაკლი მეორე თავეთის პაპის მე-  
ფე ერაკლი პირველის წიგნს ამტკიცებს და ამავე სოლო-  
მონს და დავითს უბოძებს, რომელიც დღეს თერთმეტი წელიწადია,

და ამასაც რომ უწერს, დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია, თუ ამის გასამტყუნებელი წიგნი არ მოიღეს რაო.

ამ წიგნებით ის წიგნები, რომელიც სანატრელს ცხონებულს მეფეს დიდს თეიმურაზს და დედოფალს ელენეს და მეფეს ირაკლის უბოძებიათ, ვერ გამტყუნდა.

მერე ივანე აბაზაძემ ეს სიტყვა დაუდგა მოსამართლეთ, რომ: მართალია, ეგ წიგნები აქვთო, მაგრამ მეფის ირაკლი პირველის დროს არ სჭერიათო. და ვისიც მამული მე მეფეების სიგელში მიწერიაო — ამოწყვეტილის დათუნასი, ის დათუნა მაგათის სახლისა არ არისო, ჩემი განაყოფი ყოფილაო.

ამაზე მოსამართლეთ იჭვი შეგვივიდა და რადგანაც ძველი ამბავი იყო და მოწამე არცერთის მხრიდამ ასეთი არა ჩნდა, რომ მოსამართლის გული დასჭერებოდა, ფიცი გავაჩინეთ.

თუმცა ივანე ამბობდა: სანატრელს მეფის ვახტანგისა და მეფის ბაქარისა მეფობის აქეთ სამოცი წელიწადია და კიდევ მეტი მე მიჭირავსო: რომ მცილე არავინ მყოლიაო, ფიცი მე მერგებო.

მაგრამ დღეს რადგანაც ეს მამული თერთმეტი წელიწადია სოლომონს და დავითს ხელთ უჭირავთ და ასეთს საქმეზედაც არის ეს ფიცი, რომ ამათ უფრო შეხვდებათ, წადგეს სოლომონ და მისი შვილი ავთანდილ, ზურაბ და მისი შვილი დავით და ლეონ, და ამ ხუთთ ასე დაიფიცონ: «დათუნა ამოწყვეტილის მამული რომ გიწერია, ეგ დათუნა ჩემი სახლისკაცი იყოს და შენის სახლისა არ იყოს, და მეფის ერეკლე პირველის მეფობაში სანამდინ ისპაანს წაბრძანდებოდა, სულ ჩვენ მამა-პაპათ სჭეროდეს, სანამდი ბატონიშვილი ლეონ მდივანბეგი გამოგვართმევდა.

თუ ასე იფიცეს, დარჩება სოლომონსა და დავითს ეს მამულე-ბი. და თუ რომ ივანე ან სისხლს დაობდეს და ან სასყიდს, ან სამზითვს, იმაზე კი ელაპარაკოს და სამართლით რასაც შეუვიდეს, გაიტანოს.

და თუ ასე ვერ იფიცესდა, არც ის დათუნა ამათის სახლისა ყოფილა და არც მეფის ირაკლი პირველის დროს სჭერიათ, ხელი აღარ ექნებათ, ივანეს დარჩება. და თუ ასე იფიცეს, სოლომონს, დავითს და ლეონს დარჩებათ. აღიწერა ივლისის ი გასულს, ქორონიკონს

უაზ 

|  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|
|  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|

35. არჯა იონაე დოლენჯიშვილისა მამულის თაობაზე  
მღივანეებთა განჩინებით

1778 წ. 20 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2241. დედანი. ქალაღი. 32X21,5 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია მძიმე და ორწერტილი.

[არჯა]

ქ. ღმერთმან მართლმსაჯულთ მღივანებგეთ ჭირი მოსცეს დო-  
ღენჯისშვილისიონანეს.

ამას მოგახსენებთ, რომ ბოქოულის შვილი კიკოლა მამუ-  
ლს მედავება, ძველთაგან ჩვენი ყოფილაო; არც წიგნი აქვს და  
არც უჯათი. და ჩვენთვის როსტომ მეფეს უბოძებია და შემ-  
დგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან დამტკიცებული გვაქვს.

იასონ და დურმიშხან ძმანი ყოფილან და ერთათ ეს  
მამული უშოვნიათ. იასონ გოგიას პაპა და დურმიშხან ჩემი პაპა ყო-  
ფილა და ერთათ გვექონია, რომ ამისი შოენა ოთხი თავობა არის. რუ-  
სეთიღამ პირველად რომ მოველ, ეს ძველი წიგნი კელმწიფეს და-  
სამტკიცებლად მიუტანე. სხვა წიგნით დაგვიმტკიცა და გაგვიახლა მე  
და გოგიას.

მასუკან! ბედნიერმა კელმწიფემ ამოწყვეტილი ყარაბუდა-  
ღისშვილი მამული მიბოძა. მე დავწერე და ჩემი ბიძაშვილი  
გოგია დავაწერინე: თუ შეყრილი და ძმა არ ყოფილიყო მამით  
და ბიძით, რათ დავაწერინებდი ამ წყალობის წიგნში. მეოთხედი  
აკურთასათვის, რომ ნახევარი იოთამის შვილებისა არის.

კიკოლა რომ მოგახსენებსთ, გაყრილი იყო გოგია მამით და ბი-  
ძითაო, ამის მიზეზისათვის მოგახსენე ეს ზემოთქმული სიტყვა, თუ  
სიტყვა ჰქონდათ, ბატონს ერეკლე მეფეს რატომ არ მოახსენეს ან  
ნეტარქსენებულს მეფეს.

რომ ასოცლა ცამეტი წელიწადია ჩვენ მამით და პაპით მკვიდ-  
რად და მამულად გვიჭირავს და ჩვენი სამკვიდრო მამულიც ეს არის.  
და თუ მაგათ ამ უამებში, რომ მომიხსენებია, სჭერიათ ერთი და ან  
ორი წელიწადი მეპატრონეთაგან, მე კელს ავიღებ, მაგრამ არა სჭე-  
რიათ.

ბედნიერს კელმწიფესთან ვიჩივლეთ. ჩვენი სამართალი და ჭეშ-

! მასკუან.

მარიტი სამართალი თქვენ გიბძანათ და ღმრთის წინაშე თქვენს სამართალში გხლებივარ და სამართალი გვიყავით.

ჩემს მეზობელს იოთამის შვილს ჰკითხეთ და აფიცეთ რომ ჩემი მამა-ბიძები შეყრილნი ყოფილან, თუ არადა, ის მოგახსენებსთ ღმრთის წინაშე. ივლისის იჴ, ქორონიკონს უფვ.

### [განჩინება]

ქ. მისს სიმაღლეს მეფეს ერეკლეს ჩვენ, მათ მონათ მსაჯულთათვის, დოლენჯის შვილის ივანესი და გურჯი რევაზის შვილის ბოქაულის შვილის ნიკოლოზის სამართალი ებძანათ.

ჩვენ ყოვლის გზით გამოვიკითხეთ, რომელნიც ამჟამად მოხუცებულნი კაცნი იყვნენ, იმათაც ვკითხეთ: მართალია, ძველად გურჯი რევაზის შვილებისა ყოფილაო, მაგრამ როსტომ მეფეს აქეთ სრულიად დოლენჯის შვილებს სჭერიათო.

როსტომ მეფის წიგნი ასე აცხადებს: დოლენჯი შვილებს გიბოძეთ ამოწყვეტილის ბარათა შვილის მელქისედეკისა და ჩვენის მოლატის რევაზის კერძო აკაურთათო. და იმ დღით აჟამდე მეფეებს არ შეუცვლიათ.

თუმცა გურჯი რევაზის შვილი უპასუხებდა, სანატრელის მეფეთეიმურაზ პირველის ერთგულობით წამრთმევიათ.

მაგრამ დოლენჯი შვილი ამ პასუხს მიუგებდა: მათი შვილი შვილი მეფე ერეკლე პირველი რომ ქართლში დიდხანს მეფედ ბრძანდებოდა. თუ მართალია ეგ შენი სიტყვა, რატომ მაშინ არ გამომერთეათ?

გურჯი რევაზის შვილი ბოქაულის შვილი ნიკოლოზ ამასაც ჩიოდა: როსტომ მეფეს რომლისათვისაც უბოძებია, ის დოლენჯის შვილის ვახტანგის შვილი გოგია იყო, ამოსწყდა, აღარავინ არისო. და ამოწყვეტილის მამულს პირველ ჩემს სამკვიდროდ ქონებულს ვითხოო.

ჩვენ ამ მოწმეების ძალით, რომელნიც ამ წიგნის ნაპირზედ იწერებთან, — მანგლელ ნიკოლოზ, მისი ძმა რევაზ იოთამის შვილი აკაურთას მემკვიდრედ მოსახლე და ზურაბის შვილი ზურაბ სუფრაჯი და ნიკოლოზ ქავთარის შვილი, — ამათის მოწმობით ვცნობთ, რომ შეყრილნი ყოფილან ყიზილბაშობაშიაც და ახლა გოგიას სიკუდილის ეამშიაც.

და კიდევ ამ საბუთით, რომ: მისს სიმაღლეს მეფე ერეკლე მეო-

რეს ყარაბუდახისშვილის მამული რომ ნამსახურობისათვის ივანე დოლენჯისშვილისათვის უბოძებია, იმ წყალობის წიგნში ვახტანგის შვილი გოგია შიგ ჩაუწერიანებია; ჩანს, რომ შეყრილნი ყოფილან, თორემ ის მამული ივანეს უბოძა, გოგიასათვის არ უბოძებია და ივანეს ჩაუწერიანებია ამის მიხედულობით.

აკაურთა თავეთი წილი დოლენჯისშვილს დარჩა: ამისთვის რომ ბოქაულის შვილს არაფერი წიგნი არა ჰქონდა რა ამის მეტი, სანატრელის მეფე თეიმურაზ მეორისათვის არზა მიუერთმეგია ბოქაულს ლუარსაბს: ჩემი კაცნი საცა არიან, ოქმი მიბოძეთ, ამიყარონო. და იმათს ბოძებულს ოქმში სწერია: სადაც ამის კაცნი იყვნენ აკაურთელნი, აუყარეთო.

ივანე ფიცევადა: ეს ოქმი არ შემტყობია, თორემ უჩივლელი როდის დავდგებოდითო. და ამგვარად დიდხანს დაკარგულს მამულს ეს ოქმი არ ეყოფა; ბოძებისა და წყალობის წიგნი უნდა. სამართლის ძალით კი ვერას შეუვიდა. და ბატონის წყალობისა და ნამსახურობისა მისის სიმაღლის ნება არის. ივლისის კ, ქორონიკონს უფავ.

ხუთი ბეჰელი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაყა გულის მმბჰომი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748.
2. ქაიხოსრო
3. მზეჭაბუკ
4. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ
5. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად იესე

მარცხენა კიდეზე:

ქ. მე, ნიკოლოზ მანგლელი, ამის მოწამე ვარ. რომ იოთამ და ვახტანგ შეყრილნი იყვნენ.

ქ. მე, ზურაბ სუფრაჯი, ამისი მოწამე ვარ, ყიზილბაშობას იოთამ და ვახტანგ შეიყარენ. ჩემის ხელით და ბეჭდით არის.

ბეჰელი: მონა ღთისა ზურაბ

ქ. მე, ნიკოლოზ ქავთრის შვილმა უზბაშმა, ამის მოწამე ვარ დამწრე, რომ იოთამ და ვახტანგ ყიზილბაშობაში შეყრილი იყვნენ, ღმერთს წინაშე.

ბეჰელი: ნიკოლოზ

ქ. მე, ლუძი(?) იოთ[ა]მის შვილი, ამ იოანემმა და გოგიას მ[ა]-მ[ა]მ შეყრილნი იყვნენ[ნ].

ქ. მე, რევაზ იოთამის შ[ვი]ლი, ამისი მოწამე ვარ, რომ ყი-

ზილბაშობაში დოლენჯისშვილები იოთამ და ვახტანგ შეიყარნენ, ღმერთ წინაშე იოანეს მამა იოთამ, გოგიას მამა ვახტანგ.

ბეჭედი: რ ე ვ ა ზ

თავში:

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მეფე საქართველოსი. ამ სამართალს ვამტკიცებთ. აგვისტოს დ, ქორნიკონს უფვ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე

### 36. ზანიწება ზეჲან რატიშვილისა და ფანიაშვილის ყვის საჰამეა\*

1778 წ. 8 აგვისტო

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 28. საბ. № 164. პირი. ქალაქი. მხედრული.

[110] რ უ ი ს [ს] მ ა ხ ა რ ა შ ვ ი ლ ი, რომელიც სამართლით ამას წინათ ბეჲან რ ა ტ ი ს შ ვ ი ლ ს დარჩა და განაჩენიც მიეცა, ამაზე ფ ა ნ ი ა შ ვ ი ლ მ ა კიდევე ლაპარაკი დაიწყო და რუისი-დამ რამდენიმე მოწამე წარმოაყენა, ისინი ასე მოწმობდნენ: მ ე ფ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს დროს ეს მახარაშვილი სულ ფანიაშვილს ეჭირაო, გამორთმეული არ გვინახავსო.

ბეჲან რატიშვილს ერთი მეფის ვახტანგის წიგნი [v] ჰქონდა სპარსეთიდან ბ ა ქ ა რ თ ა ნ მოწერილი, ასე ეწერა: რატიშვილისათვის რუის[ს] მახარაშვილები რომ გამოგვითმევიან, ნამსახური კაცი არის და თავის ყმები ისევ უბოძეო.

მასუკან ბაქარს იასაულზე ოქმი ებოძებინა: ხელი ამართეთ და რატიშვილებს დაანებეთო. იასაულსაც წიგნი მიეცა, როგორც ბძანება ჰქონდა, ხელი ავმართე, რატიშვილებს დავანებეო.

მასუკან რატიშვილები რომ გაყრილან, ეს მახარაშვილი ბარათით გაუყვიათ. ის ბარათიც ბეჲანს ხელთა ჰქონდა. და კიდევე ერთი განაჩენი ჰქონდა მ ე ფ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ა ნ ნაბოძები რატიშვილების გაყრისა და იმაშიც ეს მახარაშვილი გაყოფილათ ეწერა.

ამ მოწმების მოწმობა, რომელიც ფანიაშვილმა წარმოაყენა ცრუთ აღმოჩნდნენ, ამისთვის რომ, თუ არა სჭეროდათ, რას გაიყოფდნენ და მერე იმდენი ბატონების წიგნები ამ ცრუს მოწმების მოწმობით როგორ გატყდებოდა. სამართლით ეს მ ა ხ ა რ ა შ ვ ი ლ ი თ ა მ ა ზ ა და გ ლ ა ხ ა ბეჲან რატიშვილს დარჩა. ფანიაშვილი ვერას [111] ედავება. და ამ მოწმებს ცრუ მოწმობისათვის რასაც სა-

\* შდრ. 1770 წ. 22 დეკემბრის განჩინებას (ქართ. სამართ. ძეგ. IV, № 477).

მართალი გარდა[ა]ხდევინებს, ნება სამართლისა არის. აღიწერა აგვისტოს გ, ქორონიკონს უფვ. 

|  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|
|  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|

თავში:

ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, ირაკლი მეორე მეფე საქართველოსი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აღიწერა აგვისტოს ვ, ქორონიკონს უფვ. 

|  |
|--|
|  |
|--|

### 37. პანჩინება დავით ელიოზიშვილისა და ნაცვლის შვილის ქაიხოსროს მამულის საქმეზე

1778 წ. 10 აგვისტო

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 30. საბ. № 199. პირი. ქალაღი. მხედრული.

[154] ელიოზის შვილი დავით ჩიოდა: მეტეხის ნაცვლის ივანეს შვილს ქაიხოსროს ჩემი მამული უჭირავს, ნასყიდობის წიგნი აქვს მამის სახელზედ, არც მამის ჩემის სეხნიას გაყიდულია, არც ჩემგან და არც ჩემის ძმისაგან, ჩემს მამულს ვედავებიო.

ჩვენ, მსაჯულთ, ეს სიგელი ვნახეთ, არცერთის ბეჭედი არ იქდა.

ამასაც ჩიოდა დავით ელიოზიშვილი: სალთხუცესი გიორგი რომ მოწმად სწერია, იმისი ბეჭედი რატომ არა ზისო; და ჩვენ რომ არზა მოგვცა, ფიცით სწერდა გაბრიელ სარდალი, ფიცით იტყოდა: შემომადგნენ და ტყუილად დამაბეჭდვინესო. თუმცა ნაცვლის შვილს სიგელიც ჰქონდა და ყოვლად სანატრელის კათალიკოს-პატრიარქის ბატონისშვილის დომენტის წიგნიც აცხადებდა, ელიოზისშვილებისათვის ებოძებინა, მაგრამ ელიოზის-შვილი ამ წიგნების ხელში ჩაყრას რომლისამე საქმით ამბობდა.

ამათი საქმე გავსინჯეთ, უფიცრად არც ერთის მხრით არ გარდასწყდებოდა, ფიცი აღარ მოვახდინეთ; და რადგანც ძველი საქმე იყო, მეტეხს ეს ტატიაშვილის საკომლო, რომელიც დღეს ნაცვლის შვილს უჭირავს, მიწაცა და ვენახიცა [V] შუა გაუყავით. ღმრთის წინაშე ოთხი მეტეხელი კაცი დასხან, შეაფარდონ და წილი იყარონ: ერთი ფარდი ერთმა დაიჭიროს და მეორე წილი მეორემ. დღეის იქით ერთმანერთის წილთან ხელი ნულარა აქვსთ. მარიამობისთვის ე, ქორონიკონს უფვ.

თუ ხარ ელო გოგია ვ! ასე გაარიგე

მღიანევი  
თემურაზ

ვაში ესეცა  
წარვლის

მე, ქაიხოსროს ნაცვლიშვილს, ამ განაჩენის ყაბული მაქვს და აღარც ვილაპარაკო. მე, იოსებ ჩერქეზას, ამ ქაიხოსროს სიტყვით ვწერ ამასა და მოწამეცა ვარ.

ქ.იხოსრო

მე, გიორგი თუხარელს უზბაშს, ბატონის ბრძანებით კიდევ ქათალიკოზის დაკითხვით და ბრძანებით მიველ: ოთხი მუხტაბარი მეტეხელი კაცი დავსხი და რაც იყო შუა გაუყავ. დღეს და დღეის იქილ ერთმანერთთა[ნ] საქმე არა აქვსთ რა. ენკენისთვის კ, ქორონიკონს უფავ.

მე, იოსებ ჩერქეზას, ამ უზბაში[ს] სიტყვით დამიწერია. თუ იმი-სი მამული ელიოზიშვილმა იპოვნა სადმე, ქაიხოსროს სიტყვა აღარ აქთ რა, პირობა ასრე დადვეს.

თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა, ვამტყციებთ განჩინებასა ამას მარტის კ, ქორონიკონს უო. თუ ამის მოადს სიტყვა რა არა აქვს რა ჭეშმარიტი, აღარ ილაპარაკებს, თორემ ერთიორათ ზიანს მივსცემთ. თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, ამ განაჩენზედ ხელი მოუწეროს. თუ არადა, ამ აღებამდის სამართალში მოვიდეს და ილაპარაკოს.

გოგია თუხარელო! ეს თუ შენ ასე არ აღასრულე, იცოდე გარდაგხდება.

ერაღ

### 38. ბანინება არუთინა და ისრაელა ნალბანდების საქმეზე

1778 წ. 80 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13156. დედანი. დაზიანებული. ქალაღი. 21,3X17,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. საბუთის პირი დაცულია აგრეთვე ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 32. საბ. № 31.

ქ. ბატონის სალთხუცის ბძანებით დავსხედით ნალბანდების სამართალში ჩვენ, ფეთხაინის ტერ-ოჰანეზა და ყორღანაშვილი გიორგი და მექვაბე შაქროა და ბაყლების უსტაბაში დანელა



დუქნის ბარობაზე ჩვენი ჰქუა ღმრთის წინაშე ასე გავჰკერთ, რომ: სულეველანი დუქნიდამ გასულიყვენ და არუთინა არ გასულიყო. ჩვენ ასე ვარჩივეთ, რომ დუქანი [არ]უთინას და ისრაელასი არის. რაც ისრაელამ დუქანზე დახა]რჯამს ნახევარი არუთინასი არის, ნახევარი ისრაელასი არის; ხ]არჯი შუადამ უნდა აღდგეს.

სამართალი ჩვენ გავშინჯეთ და ბძანება თქვენი ათავდეს.

დაიწერა ლუინ[ობისთვის და, ქორონიკონს] უჯვ.

ტეროპანეზ

დანელ

გიორგი

ზაქრია

### 39. განჩინება ფავნელიზვილაჰისა და იკორთის მონასტრის შმის საქმეზე

1770 წ. 14 იანვარი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 23. საბ. № 36. პირი. ქალღღი .ნხერული.

[V] ფ ა ვ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი ბ ი ძ ი ნ ა და დათუა ჩიოდენ. ჩვენის ბიძის გორასპისაგან მოსყიდული და სანატრელის მეფის ვახტანგისა და სანატრელის დედოფლის რუსუდანიისაგან ბოძებული მინდოდაშვილი თავისი მამულით ძალად წართმეული გვაქვს ქსნის ერისთავთაგან და იკორთის მონასტრის სახელზედ ჩვენის მამა-პაპის სიგელი უქირავსთ უბეჭდო, უმოწმო და უქოროხიკონო.

ჩვენ, მსაჯულთ, ამათი სიტყვა მოვისმინეთ. რაც [38] იკორთის მონასტრის წინამძღვარს წიგნები ვნახეთ ერთი ნასყიდობისა და ერთი მინდოდაშვილის აზატობისა, სამართალში არ დამტკიცდებოდა; რომელიც წიგნი ფავნელიანთ სახელით ნასყიდობისა იყო, არც ბეჭედი იჭდა, აღარცავინ ცოცხალი იყო, არც მოწმის ბეჭედი იჭდა და არც ქორონიკონი, ფავნელისშვილების წიგნი ყოველივე ბეჭდიანი და სანატრელთ მეფეთაგან ბძანებული იყო, თუ ნასყიდობა მართალი იყო და ფავნელიანთ მიეყიდა, ეს წიგნები რაღათ დაეგდოთ ფავნელისშვილებთან; ან თავეთის ბიძის გორასპისაგან მოსყიდული და ან მეფეთაგან ბოძებული.

მაშინც. ჩვენ უფროსად გულის გაწმედისათვის ფიცი დავადევით ფავნელისშვილებს; და რადგანც. ეკლესიის მამულობით ელავებოდნენ, თვითონ თავადის შვილს დავადევით ფიცი: ერთი და ერთი ან ბიძინა და ან დათუა წადგნენ: ის უბეჭდო ნასყიდობის წიგნი ხელთ დაიჭიროს და ასე შეპფიცოს, რომ: ეს წიგნი არც ამათს მამა-

პაპათ შიეცესთ, არც ეს მამული მიეყიდოსთ და ტყუილადაც ეჭი-  
როსთ. თუ ასე შეჭვიცეს, დარჩესთ ეს ყმა და მამული ფაენელიანთ.  
თუ ვერ იფიცეს და იკოროთის მონასტრისა იქნება.

ზ ა ზ ა ყორიასაულბაშო, ეს ასე აღასრულე. მარიამობისთვის

კვ. ქორონიკონს უფვ. [v] 

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  |  |
|--|--|--|

ამის იასაულათ ავთანდილ ხერხეულიძე იყო. იმას  
წერილით ასე ემოწმებინა: ერთხელ იკოროთის წინამძღვართან მი-  
ვიყვანეო და ორჯერ როსტომ ერისთვის შევილთანაო ეს ფანვე-  
ლიშვილებიო და არ დაიფიცესო, ასე თქვესო: კაცი მაგისი იყოსო.

რადგან არ დაუფიცებიათ, ის მინდოდაშვილები დარჩნენ ამ ფან-  
ველიშვილებს სამართლის ძალით. იანერის იდ, ქორონიკონს უფვ.

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
|  |  |  |  |
|--|--|--|--|

#### 40. ბანინება ზაალ ჟაშლანიშვილისა და ბაჟან ღორათაშვილის შის სპეზეა

1770 წ. 27 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9383. დედანი. ქალაღი. 37×17,2 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მისის სიმალლისათვის დორათაშვილს ბეჟანს არზა  
მიერთმია და ეჩივლა: დედის ჩემის ნამზითვი თულაშვილი-  
ს აგან გამოტანებული [ყმა] ყაფლანისშვილს ზაალს და  
ზურაბს ჰყავსო და არ მანებებენო.

მისს სიმალლეს მათთ მონათ მსაჯულთათვის ებძანათ ამათი სა-  
მართალი. ესენი ვალაპარაკეთ.

ზაალ და ზურაბ ასე ელაპარაკებოდნენ: ის სოფელი ტა-  
მალია ოსმალობას ჩემმა სახლის კაცებმა საუფლისწულოდ მე  
მომცესო. რა რომ ის სოფელი მოუციათ, ის კაცი იქ დასახლებული  
მომცეა. მას აქეთ არც გამიგონია, არცავინ მდავებია და ჩემი ყმა  
არისო.

ბეჟან დორათაშვილი უპასუხებდა: ის ტამალიაც ჩემი  
სამკვიდრო იყო და ის ჩემი ნამზითვი კაციც იქ მესახლაო. თუ სო-  
ფელი გამომერთმევა და შენ მოგეცემა, ესეც ხომ უსამართლოა, აზ-  
ნაურშვილს მამული წაართონ და თუ არ დაიშლით, დედის ჩემის  
ნამზითვს კაცს რაღას მემართლებითო.

ჩვენ მოწმე[ე]ბი მოვთხოვეთ ბეჟან ღორათაშვილსა: მართლა ნამზითვია, თუ არაო. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი წამოდგა და დიდის ფიცით თქვა: დედა ამისი მამის და იყო ჩემიო და ერთი ბიჭი წ ა მ ა ლ ა შ ვ ი ლ ი მ ე რ ა რ ა მზითვად გაატანესო ჩემმა მამა-ბიძათაო, და არ ვიცი, ეს არის თუ არაო.

ბეჟან დიდის ფიცით ამბობდა სწორედ იმ მერარას შვილი არისო. და კიდევ პეტრე გედეონის შვილის წიგნი მოიტანა, დიდის ფიცით მოუწერა: ეს კაცი დიდი ხანია მე, პეტრეს, ბეჟან ღორათაშვილისაგან მეზარაო და ბეჟან იმსახურებდაო ყმობითაო: და ამ კაცის დედისაგანაც გამგონიო ბეჟან ღორათაშვილის დედის ნამზითვნი ვართო. და თვითან ეს დედაკაცი ა ს ა ტ უ რ ა ყასაბის მოწმობით სამართალს წერილს აძლევს: ჩემის ქმრისა და დედამთილისაგან გამიგონიო, წამალასშვილის მერარას შვილები ვართო ღორათაშვილს ნამზითვნიო.

კიდევ სარდლის ყმა ბ ა რ ხ უ და რ ა ს შვილი ვ ა რ თ ა ნ ა იწერება: ქაიხოსრო სარდრის დროს მაგ ბიჭების მამა ჭავახეთილამ ბეჟანმა გარდმოიყვანაო და დმანის[ს] მაგას ემსახურებოდნენო. დმანისი რომ აიყარა, გედეონის შვილს პეტრეს მოაბარაო. ბეჟანის შვილი ბიძინა ზაალს ახლდა და არ დადგა, გამოექცაო. მერმე ზაალ მიუხდა და ეს გლეხი აუყარა ქორდილამ და რეკს ჩაიყვანაო-იმ ზამთარს სამნივ დაიკარგნენო და ესენი იმათი ობლები არიანო.

ჩვენ, მსაჯულთ, ეს განჩინება მივეცით: რადგანაც ის ბიჭები დღეს ზაალსა და ზურაბს ჰყვანან კელთ, ოთხი დმანისკეველი უმტერუმოყვრო კაცი შეუგდოს ბეჟანმა, ოთხში ორი იშოოს და ასე შეაფიცოს: ეს სტეფანე მკვიდრი ტამალიელი იყოს და ბეჟანის დედის ნამზითვი არ იყოს.

თუ ეს კაცნი ასე შეაფიცა, ბეჟანს კელი აღარ ექნება რა. და თუ ვერ შეაფიცა და თულაშვილი რომ მოწმობს, ჩვენ გამოვატანეთ მზითვად წამალაშვილი მერარაო, და ბეჟან ფიცით ამბობს: სწორედ მისი შვილიაო, და ეს მოწმე[ე]ბიც მოსდვენ, დარჩენ ბეჟანს.

ნ ა ხ უ ც რ ი ს შ ვ ი ლ ო ზ უ რ ა ბ! ეს ასე გაარიგე, როგორც გაგვიჩენია. იანვარს კჴ, ქორონიკონს უაჴ.

ოთხი ბეჭედი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?)  
დმერთგანცაა(?), ი ო ა ნ ე, 1748
2. მ ზ ე ქ ა ბ უ კ
3. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ . . . . .
4. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

ქ. მე, იასაული ზურაბ ნახუცრიშვილი, ამათი იასაული ვიყავ, ზაალთან მივედი, ორი მოფიცარი ვთხოვე, ვერ იშოვა; მე დავიფიცაო, დიამბეგებმა არ ინებეს ზაალის ფიცი; ოთხჯერ უთხარ — შემომფიცე ორი გლეხი კაცი, ვერ მიშ[ო]ვა და მოწამეც დავისწარ, რომ ასე უთხარ.

ქ. ამ ფიცისა ასე განისაჯა: იმერლის შვილი იმ სოფლის მოურავი ყოფილა და იმ სოფელში მყოფი და იმისმა შვილმა დავით კარგად იცის იქიური ამბავი. წადგეს ეს იმერლისშვილი დავით, ასე შეჭფიცოს, როგორც გაგვიჩენია და ამას თან მიჰყვეს მოფიცრად ხანდამა შვილი ფარსია. ამ ორმა აზნაურშვილმა თუ ასე შეჭფიცონ, როგორც გაგვიჩენია, ბეჟანს სიტყვა აღარ ექნება რა. ასე იფიცონ: აბუაშვილი იყოს და წამალაშვილი არ იყოს და ბეჟანის დედის ნამზითვი. მარტს ით, ქორონიკონს უჯჯ.

ოთხი ბეჟედი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჰომი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748
2. მზექაბუკ
3. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ
4. ჟამი ესეცა წარვლის

ქ. ბეჟან დორათაშვილს თავილდარი მიუგზავნეთ: ან დააფიცე ან კელი აიღეო. მზექაბუკ მდივანბეგთან მოეყვანა და იქ მრავალს სულთაგან ეთქვა: არ დავაფიცებო, კელი ამიღიო, მრავალი კაცი ემოწმებოდა, არ დავაფიცებ, კელი ამიღიო. რადგანაც არ დააფიცა, ოცდათექვსმეტი დღეა და კელი აიღო. დარჩა ეს კაცი ყაფლანიშვილს ზაალს. აპრილის კდ, ქორონიკონს უჯჯ.

მეორეს დღეს სასამართლოში მოვაყვანინეთ ბეჟან დორათაშვილი და ყო[ვ]ელნი მსაჯულნი იქ დავესწარიით. თქვა, არ დავაფიცებო.

ხუთი ბეჟედი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჰომი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748
2. ქაიხოსრო
3. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ
4. მზექაბუკ
5. ჟამი ესეცა წარვლის.

თავში:

...\* მარტის იგ, ქორონიკონს უძ[წ]... განუსჯიათ, ის დაგვიმტკი-  
ცებია.

ბჰველი: მე ფებთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

#### 41. განიხილავ ნაკლულაშვილებისა და მელაშვილების მამულის საქმეზე

1779 წ. 11 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 442. დედანი. ქალაღი. 26,3X 13 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნაშნად ნახმარიი შიმიე.

ქ. ეს განაჩენი დავსწერეთ ჩვენ, დავით-გარესჯის წინამძღვარმან  
გერმანემ, მეფის ნაცვალმა იესემ, პატრიარქის ნაცვალმა  
ზურაბ, დავით-გარესჯის მოკელემ ზაზამ და ჩვენი მონასტრის  
უფროს კაცთ, ასრე რომ: ნაკლულაშვილი ბასილ მღუდელ-  
ლი, იმის ძმისწული გოგიას, მელაშვილებს გოგიას,  
დავითას და სესიას რაოდენსამე მამულს შეეცილა და ჩვენ-  
თან ილაპარაკეს.

ჩვენ გავსინჯეთ და ნაკლულაშვილებს მოწამე მოვსთხოვეთ. ნაკ-  
ლულაშვილმა ზურაბ მაკანტალაშვილი მოწმათ მოიყვანა. იმას ვაფი-  
ცეთ და ასე იმოწმა: ნაკლულაშვილმა, ვასილ მღუდლის ბიძამ, პავ-  
ლე მღუდელმა მელაშვილებს ეს მამული გზასშიგნითი მიჰყიდაო,  
ფასი ჩემის კელით მისცაო; და ნაგზაურს აქეთი არც მიუყიდა და  
არც უხსენებიათო.

ახლა ამ გზას აქეთს შეეცილა ნაკლულაშვილი. მელაშვილებს ამ  
ადგილში შენობა ექნათ და ჭირნახულობა ქონდათ.

ჩვენ ასე უსაჯეთ: ამისი შესაფარდი მელაშვილს აშენებული  
ვენაქი მოუჭერით, გაუმიჯნეთ და ნაკლულაშვილებს ბასილს და იმის  
ძმისწულს გოგიას დავანებეთ. და ეს ადგილი ისევ მელაშვილებს  
დავანებეთ. ორთავ ყაბული ქნეს და კარგათ შესჯერდენ. ამას იქით  
ერთმანეთთან კარკაცობისა და სიყვარულის მეტი საქმე აღარა აქვსთ  
რა. ასე გადაგვიწყვეტია. ქორონიკონს უძწ, ფებერვალს ია.

ერთი ამისთანა განაჩენი ნაკლულაშვილებისთვის მიგვიცია.

ბჰველი: დავით-გარესჯის არქიმანდრიტი გერმანე.

\* თავი მოხეულია.

1770 წ. 2 მარტი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 4. საბ. № 11. პირი. ქალაღი. მხედრული.

[10v] როდესაც მისმან სიმაღლემ ძემან საქართველოს მეფედ ცხებულის თეიმურაზისამან ერეკლე მეორემან, მეფემან ქართლისა და კახეთისამან და ყაზახისა და ბორჩაღისა მპყრობელმან თვისისა ძლიერისა ღმრთის მსახურისა მკლავითა ტფილისის ციხე თათართ წაართვა და თვისად იპყრა, მაშინ ციხეს შიგნით ეს ძველი ნორაშნის საყდარი გამოიძია და რადგანაც ძველად ახსნის ეკლესიისა ყოფილიყო, მასვე ეკლესიას შესწირა.

მერმე რამდენსამე ჟამს შემდგომად ყაითმაზა შვილს ტერ-ფილიპეს ამის გარეშემო სახლის ადგილი ეთხოვა და მისსიმაღლეს იმ საყდრის გაღავანს გარეთ სახლის ადგილი ებოძებინათ. და რადგანაც ეს ამბავი ახალი ჟამი იყო, დიად, მრავალთ ახსოვდათ, გაღავანის საძირკველიცა სადაც მდგარიყო და ან სახელდობ რომელიც ადგილი ებოძებინათ, რომელშიაც მაშინ იმ ჟამად მდაბალნი გლეხნი ქოხებით მდგარიყვნენ, ისიც ნიშნობრივ ეწერა, რომელთაც მოწმობა ამ წიგნის ზურგზედ განცხადებულია. და ტერ-ფილიპე კი იმ ადგილებს არ ასახელებდა, გაღავანს შიგნით ადგილს იჭერსო. რადგანაც იმ ადგილებიდან ის ქოხები აიღეს და ღუქნები გააკეთეს, თუ მცოდნე [10ბ] კაცი არ იქნებოდა და იმ ადგილს ბელადი, რომელი რომლისა იყო, შეეცვლებოდა. მაგრამ ამ ჟამად ასეთი კაცი იყუნენ, ზოგნი ამშენებელნი და ზოგნი იმ ადგილებში ქირის მკრეფელნი; რომ კარგათ ახსოვდათ.

და ეს სალაპარაკო რომ შეექნათ ახსნის ეკლესიის სამწყსოთა და ტერ-ფილიპესა, მისის სიმაღლის მეფისა და მისის უწმინდესობის კათალიკოზ-პატრიარხის მეფის ძის ანტონის ბძანებით ამ საქმის გასაჩხრეკათ და სასამართლოთ წარმოვივლინენით ჩვენ — მთავარეპისკოპოსი ბესარიონ, არხიმანდრიტი სტეფანე, ტერ-აფრიამ, ტერისაი, ტერ-აკოფ და სხუანი მრავალნი ქალაქის ტერტები; აგრევე ერისკაცთაგან ამილახორღიაშვეგი იესე, მდივანბეგი თეიმურაზ, მსაჯული იესე, მდივანი სულხან, თუმანიშვილი მდივანი სულხან, ბეგთაბეგის შვილი მდივან-მოლარეთხუცესი სოლომონ, მდივანი მანუჩარ.

ქ. აგრევე ქალაქის მელიქ-მამასახლისი ავეტიქ, აბესა-


ლამანთ ასრათ, თაყუაანთ მიკირტუმ ამ დუქნების  
 ამშენებელი და სამზღვრების მცოდნე, ნაზარბეგის შვილი  
 ოსეფ — ისიც დიდად მცოდნე ამ საქმისა, ყორდანაშვილი  
 მუშრები დავით — პირველთგანვე ამ ადგილების ქირის შემწე-  
 რი და ამღები და სხუანი მრავალნი მოქალაქენი.


ჩვენ, მსაჯულთ, ამათ გვიჩვენეს ფერხის დადგმით, ტერ-ფილი-  
 პეს რომ ადგილი უბოძა, ეს არისო, რომელიც საყდრის [v] გალაგ-  
 ნის საძირკველზედ რომ დუქნები სდგას, ამის პირდაპირ რომ დუქ-  
 ნებია იქივ ახლოს, რომელსაც პირი ჩრდილოეთისაკენ აქვსო და  
 საყდრის გალაგანი ის არისო, რომელთაც პირი აღმოსავლეთისაკენ  
 აქვს და ზურგი საყდრისაკენ; ამ დუქნების ქანი სწორედ საყდრის გა-  
 ლაგნის საძირკველზედ ადგასო; ბატონის წყალობით მაშულიც საყდ-  
 რისა არისო და ამშენებითაც ახპატის ხარჯით არის ამშენებულიო. ეს  
 სიტყუა ყველამ სულზედ ხელის დადებით და ღმერთ ქვეშ თქმით და  
 დაგვაჯერებინეს.


ჩვენ, ერთობით აქ დამხდომი სამღუდელთ და საეროთ, ასე  
 განვსაჯეთ: რადგან ამდენი სული სულზედ ხელის დადებით ასე და-  
 დადებს, ჩვენ ამათ ვერწმუნენით, დღეს რომ დუქნები არის, რომ-  
 ელთაც პირი აღმოსავლისა და მოედნისაკენ აქვს და ზურგი საყდ-  
 რისაკენ — ესენი ახპატსა და ამ ეკლესიას დარჩა.

მარტს ზ, ქრისტეს აქათ ჩლოთ, ქორონიკონს უფაჲ.



ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე იენუქას შვილი-  
 მერაბა. 

ამისი ასლი ვნახე, ეს სავადი დავბეჭდე ტერ-შამოვანა  
 შვილი მცირე სტეფან. 

ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე მე, ტერ-ყაზა-  
 რაანთ შაქროას შვილი აღალოამ. 

ამისი ასლი ვნახე მის სიმაღლისაგან დამტკიცებული ამ სავად-  
 თან შეფარდებული ბანდა ისაი მე მკრტუმ თაყოანთი.



ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი გარდმოვიღე მე მისის უწმინ-  
 დესობის მღუდელ-მონაზონმა ნეოფიტემ.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა [11] პატრიარხი მეფის ძე  
ანტონი, ამ [მ]საჯულთაგან განჩინებულის თანახმა ვარ და ვამტკი-  
ცებ. მარტის ბ, წელსა ჩლოთ.

იოანე მღივანბეგი ორბელიანი ამ განჩინებას ვემოწ-  
მები.

მდაბალი მთავარეპისკოპოსი გერვიანი  
ულირსი არხიმანდრიტი სტეფანე  
თავში:

ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე,  
მეფე საქართველოსი — ქართლისა, კახეთისა სხვათა და სხვათა და  
სხვათა სამფლობელოთა მპყრობელი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ.

ვინაიდან ეს ეკლესია თუმანიანთი ყოფილიყო, როსცა ღმრთის  
შეწევნით ტფილისის ციხე დავიპყართ, ეს ეკლესია გორჯასპი  
მღივანს დაუმტკიცეთ და საახპატოთ დავსდევით. აღიწერა მარ-  
ტის ე, ქორონიკონს უაჴ.

### 43. განჩინება ჩობანაშვილებისა და მელქისეანთ ნასიბას სამეფო

1779 წ. მ მარტი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 13. საბ. № 96. პირი. ქალღდი. მხედრული.

ჩობანაშვილი მოსე და დავითა ყაზახის კოხპელს  
მელქისეთა შვილს ნასიბას ყმობით ედავებოდა: ჩვენი მემ-  
კვიდრე ყმა ხარ წულრულაშნელიო: მანამდის წულრულაშენი  
აშენებული იყო, მამაშენი იქ იდგა და გვემსახურებოდა და როდე-  
საც წულრულაშენი დაიცალა, თქვენც აიყარენით და წახვედითო. და  
ერთი [v] შენი განაყოფი დღესაც ჩვენი ყმა არის და გვემსახურებო.

ნასიბა ამას უპასუხებდა: მამა-პაპით მემკვიდრე კოხპელი  
ვარ და არც მამაჩემი და არც მე წულრულაშენს არა ვსახლებულ-  
ვართო. მისხანელი ბაბლუმა და ხეჩატურა წარმოდგენენ  
და ასე იმოწმეს: ნასიბა მამა-პაპით კოხპელი არისო, ამის ჩოქბე-  
ნაშვილის ყმობა არ გაგვიგონი[აო].

ჩვენ, მსაჯულთ, ამ ზემოწერილს მოწმე[ე]ებს ფიცა დავადევით.  
წადგნენ და ასე იფიცონ: ნასიბა მკვიდრი კოხპელი იყოს. ერთი ნა-  
სიბას განაყოფი რომ ჩობანაშვილებს მოსვლიათ, ეს ნასიბა იმათთან  
არ მოსულიყოს და დღესაც თავისი განაყოფის მამული ნასიბას დარ-



ჩომოდეს, და თუ არ ხიზნობით წულრულაშნელთ მეგვიდრეობით საქმე არა ჰქონდესთ რა. თუ ასე იფიცეს ზემოწერილთ მოწამეთ, კოხპელად აღმოჩნდება ნასიბა და სადედოფლოდ დარჩება. და თუ ვერ იფიცეს, ჩობანაშვილებს დარჩება ყმად.

იასაულო! ეს ასე აღასრულე. მარტის ვ, ქორონიკონს უაჟ.



[რო]გორც ამ განაჩენით მოწმებს ფიცი ედვათ, ისე დაიფიცეს. ნასიბა კოხპელად აღმოჩნდა და დარჩა სადედოფლოთ. მარტის თ, ქორონიკონს უაჟ.



თავში:

[ბა]ტონის მოსამართლეთ განჩინებას ვამტიცებთ ჩვენ, საქართველოს დედოფალი დარეჯან. მარტის თ, ქორონიკონს უაჟ.



#### 44. განცხადება ვაჩნაძიანთა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე

1779 წ. 11 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10169. დედანი. ქალაქი. 42,5x18,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახარია წერტილი.

ქ. ვ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ ი აფხაზის შვილს და ვ [ი] თ ს, ქიტიასშვილს და ახალკაც[ი]სშვილს საკომლოზედ ელაპარაკებოდენ. ბედნიერს მეფესთან ეჩივლათ. მათს უმაღლესობას ჩვენ, მათის მონათ ა ბ ა შ ი ძ ე ქ ე შ ი კ ჩ ი ბ ა შ ი ს ი ო ა ნ ე ს ა და მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ა თ ვ ი ს, ოქმი ებოძა: ესენი ან მანდ გა[ა]რიგეთო და ან ამათი მოწმე[ე]ბი თქვენ ნახეთო, მოწმობა და[ა]წერინეთო და ჩვენს სამართალში გამოგზავნეთო.

ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ. ორისავე ყაბულობით ასე მოვარიგეთ: ახალკაც[ი]სშვილს საკომლო რომ წყალობა დამართიათ, იმ[ი]ს სასახლეს ვაჩნაძიანთ ფეკი და[ა]დგეს, ეს არისო. და ვ ი თ ა ფ ხ ა ზ ი უარს ამბობდა, ეს სასახლე მასუკან მე მიმიციო.

მაგრამ ვაჩნაძიანთ მეფის სიგელი ამართლებდათ; ასე რომე მეორეს ალაგს ეწერა: ახალკაც[ი]სშვილის სასახლე[ი]ს წინ ბაგაც თქვენთვის გვიბოძებო. ბაგა კელთ ეჭირათ. სასახლე იმას უკან ის

იყო, რომელიც დავითს გაუყი[ი]დნია. ან დავითმა იმ ბაგასთან სასახ-  
ლე უნდა უბოვნოს ხუთს დღეზედ; და თუ ვერ უბოვნის, ეს სასახლე  
დარჩა ვაჩნაძიანთ. დავით აფხაზმა ან უნდა დაეხსნას და ან მაგიერით  
უნდა მიიჭროს.

კიდემ ახალკაც[ის] შვილის მიწა რომ არის ძეძკში, იმ მიწაზედ  
დავით ასე ეპასუხებოდა: ახალკაც[ის] შვილი რომ აყარეთ მამული-  
დამ, ეს მიწა მასუკან მე მივეც და გავატეხინეო.

ამაზედ ეს სამართალი გავ[ა]ჩინეთ. დავითმა ან მოწმე[ე]ბი იზოგ-  
ნოს რომ მასუკან მიეცეს და ან ერთი კაცი შეაფიცოს: ამას გარდა  
რასაც ახალკაც[ის] შვილის მიწებს ვ[ა]ჩნაძიანი იბოვნიან და მოწ-  
მე[ე]ბს წამოაყენებენ, ეს მიწები ახალკაც[ის] შვილის არისო, დარ-  
ჩება ვაჩნაძიანთ.

და თუ მოწმე[ე]ბი ვერ იზოგნეს, დავითს ვერას შეუვლენ.

ამას გარდა ქიტიას შვილის ნასახლარს, ბაგას და მამულს რომ  
ელავებიან, ამისი ასე უნდა გარიგდეს: დავით რომ ამას არის, რომ  
ეს ვენაქი ქიტიას შვილის ნასახლარი არ არისო, დავითმა ორი თავისი  
ყმა გლეხი შეაფი[ც]ოს, რომელიც ამათ შეაგდონ, იმათ ჩ[ა]იარონ,  
რომ ამას იქეთ ქიტიას შვილს არც მისცემია, არც სახლებულა და  
არც ქელი ქონაო. თუ ასე იფიცეს, ვაჩნაძიანი იმ ნაფიცს მამულს  
იქით ველარას<sup>1</sup> წ[ა]ედევებიან. და რაც ქიტიას შვილის მამულთ დარ-  
ჩება, ის ვაჩნაძიანთი იქნება.

და თუ ვერ იფიცეს, ის ბაგა და მიწაც დარჩება ვ[ა]ჩნ[ა]ძიანთ.

ჩვენ ასე გავასამართლ[ეთ]. და ნება და ბძანება მათ[ის] სიმაღ-  
ლისა[ა]. აღიწერა მარტს ია, ქორონიკონს უფჳ.

ორი ბეკელი: 1. ქ ა ი ხ ო ს რ ო

2. მონა ღთისა ქეშიკიბაში ა ბ ა შ ი ძ ე ი ო ა ნ ე .

#### 45. განჩინება გლახა რომიკაშვილისა და პაატა მეითრის შვილის სასახლის საქმეზე

1779 წ. 16 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13159. დედანი. ქალაღი. 30,7×17,2 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამწერტილი.

ქ. მისს სიმაღლეს მეფეს რ ო ჳ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს გ ლ ა ხ ა ნ ა ზ ი -  
რისა და პ ა ა ტ ა მეითრის შვილის სამართალი ქალაქს სასახლის  
ბარობაზედ მათ მონათ მსაჯულთათვის ებძანათ. ჩვენ ესენი ვალა-  
პარაკეთ.

<sup>1</sup> ველარაშ.

გლახა ნაზირი ამას ეუბნებოდა: ბიძის ჩემის ნასყიდი სასახლე შენის ბიძებისა და მამისაგან მისყიდული, ბატონმა წყალობა მიყო, სიგლით მიბოძა, ზოგი კელთ მე მიჭირავს და ზოგი შენ გიჭირავს. მე რომ წყალობა მიყო და მიბოძა, მთლად მიბოძა. ასე არ უბძანებია: ნახევარი შენთვის მიბოძებია, ნახევარი პატასათვისო, რას მემართლები, რომ არ მანებებო.

პატა ეპასუხებოდა: ბატონმა რომ გიბოძა, ასე გიწერია სიგელში — ედიშერ ნაზირის ნასყიდი სასახლე საჩვენოდ გვეჭირა და შენ გიბოძეთო. დღეს რომელიც მე მიჭირავს, საბატონოდ არ დებულა და არც უბოძებიაო, შენის გაყრილის სახლისკაცის ბეითალმალია; რაც გიჭირავს, ეგ გიბოძა, მე რომ მიჭირავს, არ უბოძებიაო.

რადგანც ეს სიტყვა შემოიღეს, სამართალი და მოსამართლე ამას კელს ვერ შეახებეს, მისის სიმაღლის ბძანებასა და წყალობაზედ არის დამოკიდებული. როგორადაც მისს სიმაღლეს ან უბოძებია და ან უბოძებს, იმის გამოცხადება გვეუწყოს და ისე აღსრულდება. აპრილს ივ, ქორონიკონს უძჳ.

შვილი ბეჭელი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაყა გულის მმბჳომი(?)  
ღმერთგანიცაა(?), იოანე, 1748
2. ქაიხოსრო
3. მზექაბუკ
4. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ
5. ჟამი ესეცა წარვლის
6. სულხან
7. მონა ღთისა სულხან.

#### 46. ბანინება ჯაჯა გოსტაზაზის შვილისა და ჯაალ ხაფლანის

შვილის მამულის საქმეა

1778 წ. 20 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10056. საბ. № 1. პირი. ქალაღი. მხედრული.

გოსტაშაბის შვილი ზაზა ჩიოდა: ჩემი წილი ქვემო ღოღოვნა ყაფლანის შვილს ზაალს ნასყიდობით უწერია, მე თეთრი არ ამიღია, ჩემი სახელი სიგელში დაწერეს, მაგრამ მე, ზაალმა და ყაფლან სხვა წიგნი მომცეს, შენს წილთან კელი არა გვაქვსო, და ახლა არც იმ ჩემს წილს მანებებსო.

მისი სიმაღლის მეფისათვის მოეხსენებინა და მათს სიმაღლეს საქართველოს მსაჯულთათვის ებრძანათ ამათი სამართალი.

ჩვენ, მსაჯულთ, ვალაპარაკეთ: ზაალს ნასყიდობის სიგელი მოვატანიეთ. ზაზა გოსტაშაბისშვილი გამსყიდველათ ეწერა; მაგრამ ზაზას ერთი სხვა წიგნი ჰქონდა ყაფლანისა და ზაალისაგან მიცემული, ასრე ეწერა: «ესე წიგნი ყაფლან და ზაალმა შენ, ჩვენს დედის დისშვილს გოსტაშაბისშვილს ზაზას, მოგეცით, ასე რომე ღოლოვნა შენის განაყოფების წილი მე ვიყიდე და შენი არ მიყიდა; სიგელი გამოგართვი, ამისთვის რომ შენი განაყოფები ამბობდნენ: თუ შენ არ გაპყიდი, არც ჩვენ გაეყიდიოთ; თუ გამოიმეტებ და გაპყიდი, ფასს მოგცემთ; თუ არადა, ღმერთმან შენი მამული შენ მოგახმაროსო. იქიური მოურაობაც შენთვის მოგვიციაო. არის მოწამე ბიძა ჩვენი საამ და ბექედი იჯდა. მე, ედიშერს დამიწერია და მოწამეცა ვარო. ქრისტეშობის იე-ს, ქორონიკონს ულდა».

ქ. და ბოლოს სწორედ ზაალის ბექედი იჯდა, რომ კარგად წაითხებოდა. ზაალს ვკითხეთ ამ წიგნისა და ბექედისა. ზაალ ამბობდა: ეს წიგნი არ მახსოვსო და ბექედი ბევრჯერ დაეკარგეო, ეგების იპოეს და დასვესო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთ, ესე სამართალი მივეცით: რადგანც საამ და ედიშერ როგორც ყაფლანისა და ზაალის ნათესაენი არიან, იმავ ნათესაობით ზაზასნი არიან, ედიშერ სწერს და საამ ბექდავს, ისინი რად გაერეოდნენ ამისთანა სიცრუეში და ან ედიშერ თავის სულსა და შვილს რად უზემდა ამისთანას უსამართლოსა.

სამართლის ძალით ზაზას თავისი წილი ქვემო ღოლოვნა დარჩა, რაც თავისის მამის წილია და ვერავინ მიედავება. აპრილის კ-სა, ქორონიკონს უაჴ. 

|  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|
|  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველომასა მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. აპრილის კდ-სა, ქორონიკონს უაჴ.



მე, გოგიამ თუხარელმა, იასაული ვიყავ ამ საქმისა მის სიმაღლისა მეფის ბრძანებით და ამ მსაჯულთ ბრძანებით, ზაზას გოსტაშაბისშვილს თავისი წილი მამული დარჩა ღოლოვნას, კელი ავმართე და მივაბარე.

მკათათვის ით-ს, ქორონიკონს უაჴთ.

47. განიინება რევაზის შვილის სოლომონის და გლახა  
მახვილაძის მამულის საქმეზე

1779 წ. 80 აპრილი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 23. საბ. № 17. პირი. ქალაღი. მხედრული.

[V] გედეონის შვილის რევაზის შვილი სოლომონ ჩიოდა: მამაჩემი რევაზ საამილახრო კაცი იყო და ზაალ მახვილაძე დიასამიძის ყმა იყო, ორთავ თავეთი სამკვიდრო მამული გაუშვეს და შაჰყულიხანის სახელზედ აბისი იყიდეს. მთელმა ზემო ქართლმა იცის, როგორც ძმადფიცნი იყვნენ და მამაჩემს ოთხი იმდენი შეეძლოს; როსცა რომ ერთმანერთს გამოეცალნენ, მაშინვე სანატრელს მეფეს თეიმურაზთან უჩივლა მამაჩემმა და განაჩენი უბოძათ, სიმონ ნასახიბაში იასაულათ იყო. მახვილაძის შვილი გლახა იმ განაჩენსაც მიმალავს და აღარც მამულსა და ციხეზედ რომ იმდენი დანახარჯი აქვს მამაჩემს, არც იმაში მიდებს წილსაო. მთელი ზემო ქართლი მოწმეა, ერთად იყიდეს და ორისავ ხარჯით აშენდაო.

გლახა მახვილაძე უპასუხებდა: აბისი როსცა იყიდა, შაჰყულიხან მამაჩემს მოსცაო, [16] ციხე ააშენა და ციხის ქვაზედ თავისი სახელი დასწერა. თუ ამხანაგი იყო და საერთოდ იყიდეს, რატომ ან ამილახორის მოცემულს წიგნში არა სწერისხარ, ან ქვაზედ რომ დასწერა, მამის შენის სახელი რატომ არ დაიწერაო, ან ღალა რატომ არ აიღევ ან კულუხიო. როსცა ძმადფიცნი იყვნენ, მართალია, ერთად იღვნენ, როსცა გაიყარნენ, მამაშენი საამილახოროს წავიდა და მამაჩემი აბისს დაემკვიდრა, რატომ არ გაუყო და არ დაეპატრონა თავის წილსაო, ან რვა-ცხრა წელიწადი რომ ბეითალმალი იყო მამის ჩემის სიკვდილს უკან, მე რომ პაწაწა ვიყავ, ხან დათუამირეჯიბს ეკირა და ხან დიასამიძეს, თუ წილი ჰქონდა მამაშენს, რომ ცოცხალი იყო, თავის წილს რატომ ხელი არ მოჰკიდა, სხვას რად დაანებაო.

და მავას რომ ამბობ, იჩივლა და განაჩენი აიღოო, მამაჩემს ხომ არ ეჭირებოდა განაჩენი, მამაშენს ეჭირებოდაო, თუ ეგ შენი სიტყვა მართალია, განაჩენი მამაშენს უნდა ჰქონებოდაო. შაჰყულიხან რომ მამაჩემს ამ წიგნსა სწერს, შენს საქმეს გზას მივცემო, ხათრიჯამი იყავ, რევაზს არა აქვს ხელი, სამკვიდრო სახელო უშოვენ, მამულიცა აქვს ბუმბარაქი იყოსო, შენ ეგ იმუშავეო და კიღევ მამაჩემმა რამინამირეჯიბის აგან რომ შვიდის[V]-რვის დღის მიწა და ვენახი იყიდა და ჭალა იქავ აბისს, რატომ მამაშენი არა სწერიაო; და

შაჰყულიხან რომ აბისს წიგნი მოსცა მამაჩემს რატომ მამაშენიც არ დასწერაო; შენ ჩემთან საქმე არა გაქვს რა, შენ საამილახვრო კაცი ხარ და მე ჩემს ხელმწიფეს ჩემის ნასყიდობით მიმართვა შაჰყულიხანმაო.

ამათი ლაპარაკი ასე იყო. მისის სიმაღლის ბძანებით ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებას, რომ ამათი სამართლის მიცემის ბძანება გვქონდა, წიგნები მოვატანინეთ, რომელიც ზემო ვასენეთ. გლახას ლაპარაკი, მისი წიგნები ასე აცხადებდა, როგორც დავსწერეთ. და რომელიც წიგნი გ ი ვ ს ა მ ი ლ ა ხ ო რ ს, სპარსთაგან შაჰყულიხანად წოდებულს, მიეცა, ისიც წავიკითხეთ, იყო დ ა ვ ი თ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ დაწერილი, რომელიც მისი მწერალი ის იყო და გივ[ის] ამილახორის ბეჰედი იჯდა საჩინოდ. ასე იყო აღწერილი ეს წიგნი: გიბოძეთ ჩვენ, ამილახორმან გივმან, მახვილაძეს ზაალს, ასე რომე უწინდელმა შენმა ბატონმა დიასამიძემ ხელი აიღო, ოსმალისაც თეთრი დაგადვეს და მიგცეს; ჩვენთან მოხველ, იქიდანმეც მორჩი. მე რომ ყანდარს ხელმწიფესთან წამიყვანეს, შენ კახეთს წახველ, იქ იყავ, მე რომ მოველ, მოხველ და მამული მთხოვე; ჩემი ნასყიდი მცხეთის ჯვარიც რაც შიგ კაცი სახლობს იმითი, რამინ [17] ამირეჯიბის წილი აბის[ს] და რაც სიგელში გიწერია, საყმით მოგვიცია და ჭინძათის ნასყიდი ვენახიც გვიბოძებია, თუ შენ ჩვენზედ არა დაამაო რა, არც ეს მოგეშალოს და სხვა წყალობაც გიყოთ, ქორონიკონს უმა, ამ წელს იყო დაწერილი.

ეს წიგნები რომ ვნახეთ, რევაზ გედეონის შვილის სახელი არსად ეწერა, რევაზისაც რომ ბატონი იყო გივი ამილახორი და ზაალისაც და სიგელიც გივის ამილახორის სახელზედ არის დაწერილი, ის ზაალ მახვილაძეს საკუთრად აძლევს და რევაზს არ ახსენებს და ზაალის სიკუდილის შემდგომად ბეითალმალად იღება, ხან ამირეჯიბს დათუას უჭირავს და ხან დიასამიძეს.

გლახა ამასაც ამბობდა: ამათ შემდგომად რამინ ამირეჯიბმაც დაიჭირაო, ერთის კაცის სიმაღლე ციხეც დააქცია და ვენახიც გაკაფაო; თუ რევაზს წილი ედვა, რატომ და[ა]ნება ვისმე და არ უპატრონა.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილება, ასე განვაჩინეთ: რადგანაც ეს საბუთები აქვს გლახა მახვილაძეს და გივი ამილახორიც საკუთრად აძლევს და რევაზს არ ახსენებს, აბისის საკომლოები და რაც უწერია და ციხე საკუთრად გლახა მახვილაძეს დარჩა, რომ რევაზის შვილს სოლომონს ხელი არა აქვს. აპრილის ლ, ქორონიკონს უმა.

რადგანც თავის ბატონს თავისავ სიცოცხლეში გამოურთმევია და იმისთვის[ვ]დაუმკვიდრებია, ამისთვის ველარ მიედავება, როგორც ზემო აღვეწერია.

თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოჲსა მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. მაისის იბ, ქორონიკონს უაჲ.

ჩვენ, საქართველოს და კახეთის დედოფალთ-დედოფალი, დადიანის ასული პატრონი დარეჯან, ამ მსაჯულ[თ] მიერ განჩინებას ვამტკიცებთ. ივნისის კთ, ქორონიკონს უაჲ.

ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონის შვილი გიორგი, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. მარტის თ, ქორონიკონს უაჲ.

ჩვენ, ბატონის შვილი იულონ, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. მარტის იშ, ქორონიკონს უაჲ.

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ბატონის შვილი ლეონ, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. მარტის ია, ქორონიკონს უაჲ.

#### 48. განჩინება სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილისა და ნიჟარაქევის გამჟღის საქმეჲ

1779 წ. 18 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 58. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. ძე ღმრთისა მიმართ მინდობილმან მეფემან აფხაზთამან და ყოვლისა იმერიისაგან სახელოვანმან სოლომონ დავითიანმან ვყავ განჩინებანი სამართლისა ციხისთავთ ქეშვიკთუხუცეს აგიაშვილს ქაიხოსროს და ნიჟარაქეებზედ. გაუჩინეთ აგიაშვილს მოფიცარი ექვისი თავისი ტოლი კაცი. ჩემ მიერ ნიჟოვანმან და მდიდარ-ქმნილმან აგიაშვილმან ქაიხოსრომ მოიყვანა მოფიცარი გურიელის პირმშო შვილი სიმონ, მისი ერისთავი და ჩემი

დისწული და ვით, ნა [კ] ა შ ი ძ ე ბ ე უ ა ნ, ჯ ა ი ა ნ ი გ რ ი გ ო ლ, ი ა შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ, ყ ი ფ ი ა ნ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო და და ი- ფ ი ც ს.

დარჩა აგიაშვილს სამართლით და ჩვენის თანდასწრებით ის ალა- გი: მ ყ ო ლ ი ს წ ყ ა რ ო ს ა და დიდ ფონს შუა ქ ო ლ ა ძ ი ს ვ ე- ნ ა ხ ს ა ქ ე თ, კ ი დ ე ვ მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ა დ ე დ ი ს ა ძ ე ს მ ა რ ა ნ ს ა და ძ ო ძ უ ა შ ვ ი ლ ე ბ თ ა ნ რ ო მ გ უ ბ ა ზ ე დ ხ ი დ ი ა გ ი ა, მ ა ს ა [ქ ე თ კ] ა პ ა- ნ ა ძ ი ს ს ა ნ ა ო მ დ ი ს.

ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა წელთა უფლისათა ათას შვი- დას სამოცდა ათცხრამეტსა, მაისის იგ. 

|                        |
|------------------------|
| უფე იერეთის<br>სოლომონ |
|------------------------|

ვმოწმობთ წიგნსა<sup>1</sup> ამას პირველ სარდალ-მოურავი წ უ ლ უ- კ ი ძ ე ბ ე რ ი 

|                  |
|------------------|
| წულუკიძე<br>ბერი |
|------------------|

სარდალი წ ე რ ე თ ე ლ ი პ ა პ უ ნ ა ბ ე პ ა ლ ი: ი მ ე რ ე თ ს ვ ი ნ მ ე- ფ ო ბ ს ი უ დ ე თ ე ლ ი, მ ა ნ ვ ე ს პ ა თ ს ა რ დ ლ ა თ მ ყ ო წ ე რ ე თ ე ლ ი პ ა პ უ ნ ა.

კუალად სახლთუხუცესი წ ე რ ე თ ე ლ ი ზ უ რ ა ბ 

|  |
|--|
| ს ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი<br>წ ე რ ე თ ე ლ ი ზ უ რ ა ბ |
|--|

ვმოწმობ წიგნსა ამას მეფის სიძე, ქსნის ერისთავის შვილი ე ლ ი ს ბ ა რ 

|         |
|---------|
| ელისბარ |
|---------|

**49. ზანინება ივანე ხერხეულიძისა და ბაღდათ სარქისას შვილის  
ბაგულის საქმეზე**

1779 წ. 2 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 86. პირი. ქალაღი. მხეღრული.

[69] ქრცხინვალელი სარქისას შვილი ბ ა ღ დ უ ა ხ ე რ ხ ე უ- ლ ი ძ ე ს ი ვ ა ნ ე ს ე რ გ ნ ე თ ს ე რ თ ი ს დ ღ ი ს ნ ა ვ ე ნ ა ხ ა რ ს მიწაზე ელაპარაკებოდა: ჩემი ნასყიდი არისო, ფრისელმა ბ ი ბ ი ტ ა ს- შ ვ ი ლ მ ა მ ა მ ყ ი დ ა ო, ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი ხ ე ლ თ მიქირავსო; ამ ნ ა ს- ყ ი დ ო ბ ი ს წ ი გ ნ შ ი ძ ე ვ ლ ა თ პ ი რ ვ ე ლ ს ს ა უ რ ი ს ა ვ ა ნ მ ო ს ყ ი დ უ ლ ო ბ ი ს ა ც ხ ა- დ ე ბ ლ ა.

ხერხეულიძე ივანე ამას ეუბნებოდა: ეს ჩემი მამული არის;

<sup>1</sup> წიგნსა.



ბიბიტაშვილს ტყვილად მოუყიდნიაო, არც ეგ მამული საურისეული არისო.

ამის სამართალი ჩვენ ბატონის შვილმა ლეონ მსაჯულთ თანდასწრებით ასე განვაწესეთ: ამ სარქისას შვილმა ბაღდუმ თუ საური იშოვნა, რომ ხერხეულიძეს შეაფიცა, რომ ეს მიწა ძველათ საურის ან ნასყიდი ან სამკვიდრო მამული ყოფილიყოს, ეს მიწა სარქისას შვილს ბაღდუმს დარჩება, ივანე ველარას შეუვა. თუ საურმა ვერ შეჰფიცა, ეს მიწა ივანე ხერხეულიძეს დარჩება, სარქისას შვილი ბაღდუმს ველარას შეუვა.

იასაულო ჩე რქეზის შვილო გოგია ვ! ეს ასე აღასრულე. მთიბათვის ბ, ქორონიკონს უღუ.

ქ. ამ საქმეში ასეთი მიზეზები იყო, რომ ეს სამართალი იმსთვის განვაწესეთ.



## 50. ბანჩინება ბარავეტიქას და ბაროპანას ვაჟრის საქმეზე

1770 წ. 8 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 873. დედანი. ქალაღი. 61x22 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შედეგ წერტილი. ა-მეტი.

ქ. ნებითა ჩვენითა გავიყარენით ჩვენ, ვანქის ტერ-მ[ი]კირ-ტიჩას შვილებმა ტერ-ავეტიქამ და ტერ-ოპანამ ასე, რომე ჩვენ ერთმანერთთან დგომა ვერ მოვიხდინეთ და ასე გავიყარენით.

თუ მამეული ასაღები ან მისაცემი იყო, სულ გავიყეთ; ნახევარი მე, ტერ-ავეტიქამ ავიღე, ნახევარ შენ, ტერ-ოპანამ ავიღე. სახლის რაც აჯნასი იყო, ისიც გავიყავით მამისეული სახლები. დაგვრჩა ერთი პატარა დარბაზი, შიგნით სათორნე, წინ ტახტები და ეზო, ეზოში ოთახი;

და ამ სახლებისა ერგო ტერ-ავეტიქას: დარბაზის კარიდამ მოკიდებული ტახტები და ეზო; და ეზოს ოთახი გარეთ კარამდისინ ტერ-ავეტიქას ერგო.

და ტერ-ოპანას ერგო: დარბაზი და შიგნითი სათორნე. ტერ-ოპანას კარი ფონდოანთ ქუჩაში უნდა გაიღოს.

ამათში სალაპარაკო და სადაო აღარა დარჩათ რა, ძმობის და სიყვარულის მეტი.

და თუ მამეული ან პაპეული ასაღები ან მისაცემი გამოჩნდეს, საერთო არის.

არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, ყოველნი მისი წმინდანი.  
კაცთაგან: ქალაქის მელიქმამასახლისი ა ვ ე ტ ი ქ ა. ზეპელი: მონა  
ლთისა, ბანდა მეფის ირაკლისა, მელიქ-მამასახლისი ა ვ ე ტ ი ქ. აბე-  
სალამანთ პაპას შვილი ჰ ა ს ა რ თ ა ზეპელი

მოუნთოანთ მ[ი]კირტუმას შვილი ო ს ე ფ ა

ბუძგულაანთ მ ე ლ ქ ო ა ზეპელი

იენგულანთ გასპარას შვილი გ უ რ გ ე ნ ა

ჩითხანთ პაპას შვილი ფ ა რ ს ა დ ა ნ ა

ტერფოანთ ესტატეს შვილი მ ო ს ე ს ა

და მე, მანანათ ხატეას შვილს მწერალს ს ტ ე ფ ა ნ ა ს, დამიწე-  
რია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე გასამყრელო სიგელი თი-  
ბათვის მ, ქორონიკონს უჟჟ. ამ პირის წიგნი ერთი ტერ-ავეტიქას-  
თვის მიგვიცია.

სომხურად:

სომხურად:

მე, ტერ-ავეტიქ, ამ სიგლის ყაბ-  
ული ვარ, ეს ჩემი ბეჭედი.

მე, ტერ-ჰოვანესი, ამ სიგლის ყაბ-  
ული ვარ, ბეჭედი არ მქონდა, ეს  
ჩემი ხელია.

ზეპელი: ქრისტეს მონა ტერ-ავეტიქ 1766.

ქ. როგორც ამ სიგელში სწერია, ასევე მოწამე ვარ, მელიქ-მამა-  
სახლისი ა ვ ე ტ ი ქ. ზეპელი მელიქ-მამასახლისი ავეტიქ.

ქ. ამ სიგლის მოწამე ვარ, მე, ნაზარბეგის შვილი ო ს ე ფ ა

ზეპელი: ო ს ე ფ.

ქ. ამ სიგლის მოწამე ვარ მე, ი ვ ა ნ გ ე ლ ა ნ თ ა ლ ა ს შვილი  
ს ტ ე ფ ა ნ ა ს ომხური ბეჭედი

## 51. არჯა გიორგი ციციოვილისა შვის თაოგაჯე გლივანავათა განჩინებითა და არეალე II-ის ოქმით

1779 წ. მ აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3376. დედანი. ქალაღი. 20,5×12,2 სმ. ლა-  
ზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და ორი  
წერტილი ხაზით (—).

[არჯა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის კირი მოსცეს ც ი ც ი-  
შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს.

ქალაქის მოურავს ან რაც თქუენი წყალობა საუფლისწულო

კაცი მყუან[და], ან ჩემი გაზრდილი აზნაურშვილი, მსახური მყუან[და], და ან კაცი მყუანდა, იმათთვის კელი [ა]უმართავს და მუჩალვა გამოურთმევი, იმასთან ნულარ გაივლითო.

ჩემო კელმწიფევ, ღმერთმან მრავალჟამიერ ტახტზედ მჯდომარედ სუფევით გამყოფოსთ მეფეთ და მეპატრონე ჰბძანდებით, რად უნდა უთქვენოდ ასე ამიკლოს.

თქვენთან შეზდილი მონა გახლავარ თქუნეს სამართალში მოსულს კაცს თუნდა თქუენი შვილი ყოფილა თუნდა დაღისტნის ლეკი ყოფილა, ჭეშმარიტი სამართალი მისცემიათ. მეც სამართალში გხლებივარ, ქრისტეს სიყუარულისათვის სამართალი მალირსედ. თუ ვტყუე, დამსაჯეთ, თუ არადა, გამიკითხეთ და ერთის გზით სამართალი მომარჩინეთ. ფებერელის ე, ქორონიკონ უჟჳ.

### [განჩინება]

ქ. მისის სიმალლისაგან განწესებულნი მსაჯულთშეკრებულემა მოგახსენებთ ბატონო დ ი მ ი ტ რ ი ე შ ი კ ა ლ ა ს ბ ა შ ო !

მერე ამაზედ ერთი იას[ა]ული აჩინეთ, სარდალ-ქალაქის მოურავს რომ თავისის ძალით თავის ბიძაშვილის გოგიასათვის ყმაზედ კელი აუმართავს, იმ კაცებზედ ახლავ კელი ამართოს და ისევ გიორგის მოაბაროს.

თუ სარდალ ქალაქის მოურავს სიტყვა აქვს რამე, სამართალში ელაპარაკოს და სამართლით გაიტანოს. მაგრამ სარდალ ქალაქის მოურავს ამგვარი მალალი კადნიერება რომ უხმარნია, ეს უჯერო საქმეა და მისი სიმალლი[ს] ნება არის ამისი მოკითხვა. აპრილის 8, ქორონიკონს უჟჳ.

ხუთი ბეჭედი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაყა გულის მმბჰომი(?) ღმერთგანცაა(?), ი ო ა ნ ე, 1748
2. მ ზ ე ჭ ა ბ უ კ
3. ჟამი ესეც წარვლის
4. ს უ ლ ხ ა ნ
5. მონა ღთისა ს უ ლ ხ ა ნ

თავში:

ქ. ჩვენი ბძანება არის: როგორც მსაჯულთ გაუჩენიათ, ეს ასე უნდა აღსრულდეს. აპრილის 8, ქორონიკონს უჟჳ.

ქ. სარდალ-ქალაქის მოურავს დ ა ვ ი თ ს გიორგის კაცებისათვის გაჯავრებით ეთქვა: ბატონ თქვენთან ნულარ გაივლითო, რომ ეს

მოურავმა ჩვენთანაც აღიარა. ამგვარი კადნიერება თუ არ საქართველოს მე[პა]ტრონისაგან სხვას კაცისაგან არ გაიბედება საქართველოში და ამისთვის მსაჯულთ ესრეთ განუწყესებიათ.

ზექლი: ქნარს მიცემს, დავით მივმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 52. არჯა შადარაანთ შაჰრუას მკრივობლისა სახლის თაოგაჯი განჩინებით

1770 წ. 18 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9716. დედანი. ქაღალდი. 31,8×12,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

[არჯა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჳირი მოსცეს მოქალაქეს სამეფოს ფადარაანთ შაჰრუას ჳკრივსა და ობოლებს.

მერე ამას გევედრები: ჳმარი განჯას მყვანდა, არზი მოგართვი და ოქმი მიბოძეთ. ის ოქმი თარხანმა არ იოქმა. ახლა ჩემი ჳმარი თქვენის ჳირის სანაცვლო შეიქნა და მწარედ ოხერი გახლავარ.

თარხანს ჩემს სახლებს უკან სახლი აქვს; და აქეთ ჩემის სახლისაკენ კედელი დამიქცევა, წინაც თავისი კარი აქვს; და ჩემი კედელი რომ დამიქცევა, კარი გამოიღო, სულ ჩემის სახლების ბანზედ არიან, ბანი და სახლები სულ მექცევენ და ჩემის სახლის კედელი არ ამაშენებინა. ღმერთმან შენი რისხვა მომცეს, თუ ეს ტყუილი იყოს.

ორი ქალი და ერთი ვაჟი ობოლი მყავს. წინაზედ კარი გაჳკიეუბოდათ, შემოვარდა ჩემს ბანზედა და ჩემი ობლები შეშინდნენ, გარეთ გამოცვივდნენ და უმცროსი შიშით გამიცხელა.

ღმერთი გავიძარჯვებსთ, სამართალი მადირსეთ, ჩემის სახლის კედელი ამაშენებინოს. ჩემი აფალიც იკითხეთ, რა ერთი ვალი მაქვს. აღარც მეგირავნე დგება შიგა. ჩემი სიღარიბე ცალკე მაწუხებს და მოვალეები ცალკე მაწუხებენ. ჳკრივისა და ობლის მოწყალე ბძანდებით და მოწყალეობა მიყავით.

უწინვე მინდოდა თქვენთან მეჩივლა და მელიქმა არ მაჩივლა: ჳერ მე შევიტყობო; ადგა და ოთხი მოქალაქე გამომატანა, წადით, შეიტყვეითო. მოქალაქეები ესენი გახლდნენ, რომელთაც სახლი გაშინჯეს, ჩემო კელმწიფე: ქ. ჳასრათა; ქ. ივანგულაანთ გურგენა; ქ. ტატუას შვილი ოსეფა; ქ. ალთიბეშაანთ თანუზა. მოვიდნენ ესენი და სახლი ნახეს მელიქს მოახსენეს, უსამართლო არისო.

მერმე კიდევ ფრანგი ს ტ ე ფ ა ნ ა გაუგზავნა მელიქმა თარხან-სა და შეუთვალა, რომ ბატონი შენ მართალს კაცს გეძახისო და ამ ქვრივს უსამართლოს ნუ უზამო. ამისი სიტყვაც, ღიად, შორს დაი-ჰკირა.

ქვრივის და ობლის მოწყალე ბძანდებით და ნება თქვენია. ჩვენც თქვენი რაიათნი გახლავართ, ერთის იასაულის წყალობა მიყავით, რომ ჩემი კედელიც ამაშენებინოს და თავისი ფანჯარაც ამოქოლოს. თიბათვის ვ, ქორონიკონს უფუ.

### [განჩინება]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მათს მიწა-მტვერს ა ვ ე ტ ი ქ ა ს მოსცეს. ამ არზის პატრონის სახლში ჰასრათა, ივან-გულაანთ გურგენა, ტატუას შვილი ოსეფა, ალთიბეშანთ ოჰანესა გავგზავნე; სახლები გაეშინჯათ, რომ იმ სახლის პატრონს უსამართ-ლო დამართებია. ფანჯრები რომ გაუღია თოფჩიბაშს, ისიც უნდა ამოჰქოლოს და კედელიც უნდა ა[ა]შენებინოს, რომ იმის ბანზედ ვე-ღარ იაროს.

მასუკან მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი თ ე მ უ რ ა ზ მიბძანდა, მათი მონაც ვახლდი. მდივანბეგიც ქევზუდების ნათქვამს დაემოწმა. ქალაქის გან-წესებით ასე არის, რომ მოგვიხსენებია და ბძანება კელმწიფისა აღ-სრულდეს.



კიდეზე

ქ. ჩვენ, მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე, მელიქისა და ქეთხუდების განა-ჩენსა ამას ვამტკიცებთ. მთიბათვის იგ, ქორონიკონს უფუ.

ბეპელო: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

### 53. განჩინება სოლომონ ბავთაბავიშვილის ყაფის საყაფა

1779 წ. 20 ივნისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 1. საბ. № 129. პირი. ქალაღი. მხედრული.

[163v] ბ ე გ თ ა ბ ე გ ი ს შ ვ ი ლ ი მდივანი ს ო ლ ო მ ო ნ სა-მართალში ჩიოდა: დ ა რ ფ უ ნ გ ო დ ე რ ძ ა ს შვილის მოსე-ს ა ს შვილები გ ო დ ე რ ძ ა და კ ი კ ო ლ ა მკვიდრად ბარათით ნარგებნი ჩემნი ყმანი არიან და დღეს აქამდის კიდეც მემსახურე-ბოდნენ და ახლა თავს აღარ მიღებენო.

დარფუნ გოდერძას შვილის მოსესას შვილები გოდერძა და კიკოლა ამას ეპასუხებოდნენ: შენი ყმანი არა ვართო, ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ყ მ ა ნ ი ვ ყ ო ფ ი ლ ვ ა რ თ და ახლაც საბატონიშვილოდ უნდა ვიყვნეთო. ბატონიშვილის ვახუშტის წიგნიც ხელთ ეჭირათ — ესენი საბატონიშვილო ჩვენი ყმანი არიანო.

ამათი სამართალი მათის სიმადლისაგან ჩვენ, საქართველოს მსაჯულთმეყრებულებას, გვებძანა. ს ო ლ ო მ ო ნ მ დ ი ვ ა ნ ს საბუთი ვთხოეთ, რომ ეს დარფუნ გოდერძას შვილები თავის ყმად აღმოჩინა.

ერთი წიგნი წარმოაყენა სანატრელის მეფის თეიმურაზისაგან ბოძებული, რომელსა შინა წერილი ესრეთ აცხადებდა: დარფუნ გოდერძას შვილები ძველად ქართველობაშიაც ამათი ყმანი ყოფილან და ახლაც ბეგთაბეგ მდივნისა და ყარან მდივნისათვის გვიბოძებია.

შემდგომად ამ წიგნის ბოძებისა ბეგთაბეგ მდივანი და ყარან რომ გაყრილიყვნენ, სანატრელის ცხებულის მეფის თეიმურაზის ბართით ეს დარფუნ გოდერძას შვილები ყარან მდივანს რგებოდნენ და სოლომან მდივანს ბართიაც ხელთ ეჭირა.

მარა [164] დარფუნ გოდერძას შვილის მოსესას შვილები გოდერძა და კიკოლა ამას ამბობდნენ: ქართველობაში თქვენი ყმანი არა ვყოფილვართ, სანატრელის ცხებულის მეფის თეიმურაზისათვის ყალბად გაუსინჯებიათ და ამისთვის ჩვენი თავი თქვენთვის ყმად უბოძებიაო.

თუმცა სანატრელი ცხებულის მეფის თეიმურაზის წიგნს სხვადამოწმება აღარ ეჭირებოდა, მარა ჩვენ სამართლის მტკიცედ აღმოჩენისათვის ქალაქის მელიქისა და ქეთხუდებისაგან ვიკითხეთ ამათი მოწმობა საშინელ ფიც ქეშ შევრდომით.

და მელიქს ავეტიქას და ქალაქის ჩინებულთ ქეთხუდათ ესრეთ მოსცეს სამართალს მოწმობის წერილი, რომ ძველის დავთრებითაც და ახლის დავთრებითაც და ჩვენის ნახვით და გაგონებითაც დარფუნ გოდერძას შვილები ბეგთაბეგ მდივნისა და ყარან მდივნის ყმანი ყოფილანო.

ვინათგან ძველათაც ამათი სამკვიდრო ყმანი ყოფილიყვნენ და სანატრელს ცხებულს მეფეს თეიმურაზსაც ამათთვისვე წიგნით წყალობა ექნა და გაყარაშიაც ბართით ნარგები იყო; ეს სამნი ძლიერნი საბუთნი მძლე ექმნენ სამართლის ძალით ვახუშტი<sup>1</sup> ბატო-

<sup>1</sup> ბახუშტი.

ნისშვილის მიცემულს წიგნს; და დარჩენენ შემკვიდრე ყმად სოლო-  
მან მდივანს გოდერძა და კიკოლა. მთიბათვის კ, ქორონიკონს უაჴ.



ჩვენ, მეფე ზემოისა საქართველოსა მეორე ირაკლი,  
ვამტკიცებთ მსაჯულთა [v] მიერ განჩინებასა ამას. თიბათვის კჳ,  
ქორონიკონს უაჴ.

ქორონიკონს უაჴ. 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, საქართველოს დედუფალი დადიანის ასული და-  
რეჯან, ვამტკიცებთ განჩინება ამასა. მთიბათვის კჳ, ქორონიკონს

უაჴ. 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონის შვილი გი-  
ორგი, ამ მსაჯულთაგან განჩინებას ვამტკიცებთ. მთიბათვის კჳ,  
ქორონიკონს უაჴ.

ქორონიკონს უაჴ. 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ბატონის შვი-  
ლი ლეონ, ამ მსაჯულთაგან განჩინებას ვამტკიცებთ. თიბათვის

კჳ, ქორონიკონს უაჴ 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ბატონის შვილი

იულონ, ამ მსაჯულთაგან განჩინებას ვამტკიცებთ. თიბათვის კჳ,  
ქორონიკონს უაჴ.

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ბატონის შვილი

ვახტანგ, ამ მსაჯულთაგან განჩინებას ვამტკიცებთ. თიბათვის

კჳ, ქორონიკონს უაჴ. 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარხი

მეფის ძე ანტონი, მისის სიმალლის მსაჯულთაგან განჩინებასა

ამას ვამტკიცებთ. იუნისის თთუესა რიცხვსა 26, წელსა 1779. კა-  
თალიკოსი.

მისის სიმალლის სრულიად საქართველოს მეფის ძე არხი-  
დ [ი]აკონი ანტონი დავამტკიცებთ განჩინებასა ამას მსაჯულ-  
თასა. ანტონი.

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ბატონის შვი-  
ლი მირიან, ვამტკიცებთ ამ მსაჯულთაგან განჩინებას. თიბა-  
თვის კჳ, ქორონიკონს უაჴ. 

|  |
|--|
|  |
|--|

54. განჩინება ლუარსაბ აბაშიშვილისა და ელიას ობლის შვილის  
საქმეზე პრეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 28 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 273. დედანი. ქალღი. 60X23 სმ. მხედრუ-  
ლი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. აბაშიშვილი ლუარსაბ ჩიოდა: ჩემი მამული კი-  
კეთი ჩემი წილი მდივნის შიოშის შვილს სულხან მდი-  
ვანს მივყიდე ცარიელი ხარაბა მიწა უკაცოდ; კაცი არც დამიწე-  
რია, არც მიმიყიდა. და მრავლის ჰირისა და ყიზილბაშობაში შე-  
წუხებისაგან კახეთს წავეღ. და ჩემს კახეთს ყოფაში სულხან მდი-  
ვნის შვილს შიოშს ვეზირისათვის მიეყიდა და ვეზირს მე რა-  
ლიბეგ ქალანთრისათვის მიეყიდა და იმას ეჭირა. მე-  
რალიბეგს მოეკრა კელი და ამ ჩემგან მიუსყიდარს კაცებს იმსახუ-  
რებდა. იმასაც ველაპარაკე და იმას უკან იმის შვილს ედიშერ  
ნაზირსაცა: კაცი როდის მომიყიდა, ჩემს ყმას თქვენ რად ეჭიდე-  
ბით-მეთქი; დღეს ვჩივი, ჩემი მიცემული სიგელი ნახეთ, თუ ან ერ-  
თი გლეხი დამეწეროს ან მიმეყიდოს, გამამტყუენეთ. თუ არადა, ხა-  
რაბა მიწა მიმიყიდა, კაცებს რად მართმევსო.

ედიას ობლის მაგიერ სამართალში მოჰყვა ციცი შვილი  
სახლთუხუცესი ზაქარია და ილაპარაკა: ქალანთარს მერალი-  
ბეგს ეჭირა აშენებული კიკეთი ვენაქიანი, გლეხიანი; გლეხსაც ის  
იმსახურებდა და მამულსაცაო. თუ სულხან მდივანს უკაცოდ მიჰ-  
ყიდე კიკეთი და ცარიელი მიწა, ყიზილბაში ვეზირი ხარაბა მიწას  
რალათ იყიდდა, შვილისათვის არ გამოელოდა და შვილის შვილისა-  
თვის. რომლისამე საქმით ქნილა, კაცები არა სწერია, მაგრამ ზედ  
მსახლობელნი რომ ყოფილან, თუ კაცი შენნი იყვნენ და მამული  
იმისი, რატომ არ ედავე, ან კაცებს რატომ შენ არ იმსახურებდიო.  
თუ ან გაგივლია ან გიმსახურებია ვინმე, საბუთი მიყავ და რა სიტყ-  
ვა მაქვსო. თუ არადა, მოწმეებში მყავს, ქალანთარს ეჭირა, სოფელს  
იმსახურებდა, მოდავე არც შენ ყოფილხარ, არც ვინ სხვა და ახლა  
ობლობით ედავებიო.

ლუარსაბ უპასუხა: მე რომ მივყიდე, ხარაბა მივყიდე უკა-  
ცოდ და მე კი კახეთს წავეღ. მოჰკრა კელი და კიკეთს შეყარა. მე  
კახეთიდან ლაპარაკს ხომ ვერ დაუწყებდი, და როსცა მოველ,  
ალარც შენობა იყო და კიდევ ველაპარაკე, მრავალი მოწამე მყავსო.  
სიგელში თუ ეწეროს და კაცები მიმეყიდოს, გამომართვიო, თუ  
არადა, რას მემართლებითო.



სიგლები მოვატანინეთ, სწერია: შერგილაშვილის მამული და ამ კაცისა და ამ კაცის მამულით ასე ეწერა ვეზირს წიგნიც წავაკითხეთ თათრული დაწერილი, იმაშიც ისე ყრუდ ეწერა: კიკეთი სოფელი მთითა და ბარით მომყიდიაო. კაცის მისყიდვა არც იმაში ეწერა. რადგანც სიგელში კაცი მისყიდული არ არის, ამ წიგნით ქალანთრის შვილისშვილი კაცებს კელს ვერ მოჰკიდებს. რაც სიგელში დაუწერია და მიუყიდია, იმას ლუარსაბ ვერ ეცილებს. და რომელიც არ დაუწერია და არ მიუყიდია, ქალანთრის შვილისშვილი კელს ვერ მოჰკიდებს. მამული ედიას ობოლს დარჩა და გლეხები თავისი წილი ლუარსაბ აბაშისშვილსა.

ლუარსაბ ესეც მოახსენა სამართალსა: ჯერ მე კიკეთი არ გამეყიდნა, რომ იქიურნი გლეხნი რომელნიმე აყრილი იყვნენ და კახეთს და არაგვზედ იდგნენ; თუ ის გლეხები იმ დღით აქამდე ან აუყაროს ვისმე ან წამოსულიყვნენ და იქავ არ იდგნენ, მე ვტყუიო; თუ არადა, ხარაბა მამული მრავლის გამოსაღების შიშით მიყვიდე. აყრილნი კაცნი ჩემთვის შევიწინახე; ამისთვის, რომ უკეთესს მამულს მივცემ და დავაყენებ, თქვენ რა მოდავე ხართო.

ამ გზით ის გლეხები ლუარსაბს დარჩა თავისი წილი, რომ გლეხებთან კელი არვის აქვს. სიგელში გლეხის გასყიდვა არა სწერია. და ჩვენ მსაჯულთაც ასე გავაჩინეთ. იენისის იდ, ქორონიკონს უაჰ.

ქ. ამ განჩინების დაწერის შემდგომად ამ კიკეთის მსყიდველის სულხან მდივნის შვილის გოგიას წიგნი მოგვივიდა, ასე ეწერა: [კიკელ კაცზე, რომ]\* ლაპარაკობენო, მამაჩემს რომ კიკეთი უყიდნია კაცი არ სახლებულა და ნასყიდობის წიგნიც ასე აცხადებსო: მამული უყიდნია, გარეშე კაციც ბევრი ემსახურებოდაო, რა იქნებოდა კიკელს კაცს ემსახურნაო. თუ ნასყიდი ყოფილიყო ან ნასყიდობის სიგელში იქნებოდა გამოცხადებული ან ჩვენგან გასყიდულს სიგელშიაო. ღმერთს ვფიცაო, რომ დედის ჩემისაგან ასე გამიგონიაო, რომ ათ თუმნად მივეც ვეზირსაო და რვა თუმნის მეტი არ მოუტიაო. თუ კაცი ნასყიდი ყოფილიყო, რვა თუმნად რად მივცემდითო.

რადგანც ამისგანც ეს წიგნი მოგვივიდა, მსყიდველიც ის არის და გამსყიდველიც, უფრო სიმტკიცე მიიღო ამ განჩინებამ და თავისი წილი კიკელი კაცი, რომელიც არ გაუყიდნია, დარჩა აბაშის-შვილსა. იენისის კმ, ქორონიკონს უაჰ.

\* წაშლილია მელნით.

ხუთი ბეჭედი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთადა გულის მმბჭომი(?)  
ღმერთგანაცაა(?) იო ა ნ ე, 1748
2. მონა ლთისა ო ტ ი ა
3. მ ზ ე ქ ა ბ უ კ
4. მონა ლთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
5. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

თავში:

ქ. ჩვენ, მ ე ფ ე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი, ამ განა-  
ჩენს ვამტიცებთ. მაგრამ თუ ის გლეხი კაცნი თავის სამკვიდროზე  
ხელს არ აიღებენ, ამ გლეხების ფასიც ედიას ობოლმა მოსცეს და  
ეს გლეხები იყიდოს და თავეთს სამკვიდროს მამულზე დააყენოს.

და თუ ის გლეხი კაცნი ამ თავის ბატონს ლ უ ა რ ს ა ბ ა ბ ა -  
შ ი შ ე ი ლ ს სხვას მამულს დასჯერდებიან, ისიც იმ გლეხი კაცე-  
ბის ნება არის, სხვა მამული გამოართვან და იმაზე დასახლდნენ.

და თუ უნდოდესთ, ბოგანოთ დადგნენ და ბოგანოსავით ემსა-  
ხურნენ. აღიწერა აგვისტოს კვ, კორონიკონს უაჟ.

თუ იმ გლეხმა კაცებმა თავის სამკვიდროს მამულის დახსნა  
თითონ მოინდომონ, ეს მოსამართლემ გაუინჯოს და თუ სამართლით  
დაეხსნევიანბოდეს, დაახსნევიანოს.

ბეჭედი: მე ფეხგანბაწილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე ქ ლ ე.

## 55. განჩინება წარმთლისა და დავითისშვილანის ვალის სამხეზა

1770 წ. 24 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 533. დედანი. ქალაღი. 35,2×11,3 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. მათს ყოვლად კელმწიფობის სიმადლეს ჩვენ, მათის მეფო-  
ბის სარდალ-მდივანბეგის ა მ ი ლ ა ხ ვ რ ი ს თ ვ ი ს, წ ე რ ე თ ლ ი -  
ს ა და დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი ს სამართალი ებრძანა. ამათი  
სამართალი გაეუინჯეთ. და დავითისშვილს წ ე რ ე თ ლ ი ს ბ ე ქ ა -  
ნ ი ს ბებუის ბართი ქონდა მამისა, რომ რასაც თეთრს ედავებოდა,  
იმისი ნახევარი მიებარებინათ და ყაბზიც კელით უჭირავს.

მეორეც, გ ი ვ ი ს ა მ ი ლ ა ხ ვ რ ი ს წიგნი აქს დავითაშვი-  
ლებს, რომ ცხრა თუმანი წერეთელს მართებია გივის ამილახვრისა.  
და ეს ცხრა თუმანი დავითისშვილისათვის გამოურთმევია წერე-  
თელს და თავდებათ ზ ა ა ლ ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი მოუცია,

რომ ამისი ბარათიც მოხტაბარის ბეჭდებით დღეს დავითისშვილებს კელთ უჭირავსთ; და ეს წიგნები მოვატანიეთ დავითისშვილს.

და წერეთელმა თავისი ბებოისა და მამის წიგნი კი იყაბულა და გივის ამილახვრის გამონართმევი არ ჩაუგდო.

ჩვენ ეს სამართალი განვაჩინეთ: რადგანაც შოშია აქ არ იყო და ახლავ თეთრი ამისთვის ვერ გამოერთვათ, თუ შოშიამ წერეთელი გაამტყუნოს სამართალში, რომ ეს თეთრი გარდახდილი იყოს, რაღა საქმე ექნება. და თუ ვერ გაიტეხინოს, შოშიამ დავითისშვილს უნდა გასცეს პასუხი და დავითიშვილმა წერეთელს.

ამას გარდა დავითიშვილებზე ამავე თეთრისა სამი თუმანი დავითიშვილზე დარჩა და ეს სამი თუმანი თავისის სარგებლით ახლავ უნდა მოაბაროს. ჩვენი სამართალი ეს არის და ნება მათის სიმალლისა. ივლისის კდ, ქორონიკონს უაჟ.

ორი კუამლი კაცი რომ ყოლია გირაოთ, ნახვარი გარდაუხდიათ და ერთი კაციც გამოურთმევეია და ნახევარი რომ დარჩენილა, ერთი კაცი ისევე კელთა ყავს. თუ უნდოდეს, ეს კაცი დაიჭიროს და დავითიშვილთან კელი აღარა ექნებათ რა. და თუ არ დაიჭიროს, როგორც ზემო სამართალში განგვიწესებია, ისე უნდა აღსრულდეს. ეს ასე განგვიწესებია. ივლისის კდ, ქორონიკონს უაჟ. იასაულო, ეს ასე უნდა აღასრულო.

ბეჭდი: მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად იესე.

## 56. განჩინება დიკასტერიისა მთაწმიდის ვატოპეტის ხარაგის მონასტრის ეკლესიის მამულების საკმეზე

1770 წ. 80 აგვისტო

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. № 1461. რეული № 3. საბუთი № 129. პირი. ქალაქი. მხედრული.

განჩინება მისის უწმინდესობის დიკასტერიისა. მისსა უმაღლესობასა სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის ებრძანებინა დიკასტერიისათვის გარჩევა და გარკვევა მთაწმიდის ვატოპეტის ხარების მონასტრის ეკლესიისა და მამულისა, რათამცა განგვერჩია და განგვესამართლებინა და ჩვენ მიერ განჰსჯილის სამართლის განჩინებითა მოურნე და მწყსელ ყოფილიყო ფოტორის წმიდა გიორგის ეკლესიისა და მის ეკლესიის მამულისა მთაწმიდის ვატოპეტის ხარების მონასტრიდამ წარმოვლენილი ილუმენის იოსაფ, მისის უწმინდესობის დიკასტერიამან ამა საქმისათვის მრავალი გა-

მოძიება და გამოკვლევა ვჭყავთ და ეს გულსავსებით ვირწმუნეთ და დავევშმარით, რომ: ვერცინულს ფოტოროზედ წმიდის გიორგის ქაშეთის ეკლესია ჰქონებოდა მთაწმიდის ვატოპეტის ხარების მონასტერსა და ის ეკლესია ლიახვის მდინარისაგან დაქცეულიყო და მას ჟამსა ნეტარხსენებულს დე დო ფ ა ლ ს მ ა რ ი ა მ ს. მისსა ნაცვლად ლიახვის გამოღმა ეკლესია აეშენებინა, რომელიც დღეს არის. და იმ დაქცეულს ეკლესიაში რაოდენიც ხატნი სვენებულ იყვნენ, ისინი ქრცხივალელს მ ა ხ ნ ი ა შ ვ ი ლ ს შეენახა და მასუკან ამ ახლად აშენებულს ეკლესიაში დაესვენათ. და იმ ეკლესიის დეკანოზობა დედოფალს მარიაშ მახნიაშვილისათვის ებოძებინა და აგრეთვე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხს იოანეს წერილის ბოძებით დეკანოზობავე დაემტკიცებინა. და აგრეთვე მისსა უწმინდესობასავე ყოვლისა საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ხ ს ბატონისშვილს დ ო მ ე ნ ტ ი ს ც ა და აგრეთვე მისსა უწმინდესობასა ყოვლისა საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს - პ ა ტ რ ი ა რ ხ ს მეფის იეს ა ნ ტ ო ნ ი ს ც ა ებოძებინა და დაემტკიცებინა დეკანოზობავე მახნიაშვილისათვის.

აწ ჩვენ ესრეთ განჩინებთა ამით დაგვიმტკიცებთა: რომელიც ფოტოროზედ დაქცეულ ეკლესია არის და ან ახლად ლიახვის გამოღმა მარიაშ დედოფლისაგან აღშენებული ეკლესია არის და ამ ეკლესიებისა ან ყმა ან მამული ძველი თუ ახლად შეწირული მარიაშ დედოფლისაგან, შეწირულნი ვენახნი: ე ლ ი ა ს შ ვ ი ლ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ვ ე ნ ა ხ ი, მ ა ი ს უ რ ა ძ ი ს ვ ე ნ ა ხ ი საყდართან, მ უ ჯ ა რ ი ს ბ ა ს ი ლ ა ს ვ ე ნ ა ხ ი, გულას გერის ვენახი, ან სახლი, ან ალაგი, ან სასაფლაო ან სხვა რამ სადმე არის, ყოველივე მთაწმიდის ვატოპეტის ხარების მონასტრის ეკლესიისა არის.

და რომელიც იმ მონასტრიდამ ილუმენი ი ო ს ა ფ წარმოვლენილი არის, იმის ხელქვეშ არის და იოსაფ ილუმენი არის გამგე უფალი და პატრონი. არა რომელსამე კაცთაგანსა, არცა სამღვდელთა და არცა ერისგანთა საქმე არა აქვსთ არც ეკლესიასთან და არც ყმასა და მამულთანა, თვინიერ იოსაფ ილუმენის მეტს.

და თუ დღეის იქით ამ ეკლესიების მამულები ან ყმები ან სხვა რამ გამოჩნდება, რომ მიფარვით და ნამალევად სხვას ეჭიროს, ისიც მთაწმიდის ვატოპეტის ხარების ეკლესიისა არის. დიკასტერიასა შინა წერილ იქმნა თუესა აგვისტოსა 30, წელსა 1779.

მდებალი მიტროპოლიტი ტფილისისა მ ი ხ ა ი ლ

უღირსი არხიმანდრიტი ს ტ ე ფ ა ნ ე

უღირსი დეკანოზი მცხეთის დიდისა ეკლესიისა და კარისა ნი-  
კოლოზ.

მწიგნობართ-მთავარი დავით  
თავეი:

ჩუენის დიკასტერიის მსაჯულთაგან განჩინებასა ამას დავამტკი-  
ცებთ. აგვისტოს 31, წელსა 1779.

ანტონი კათალიკოზი

**57.** განჩინებაჲ ქაიხოსრო სასლთხუციოვილისა და ჰავთარ  
ახალაურის მამულის საქმეჲ

1770 წ. 15 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2172. დედანი. ქალაღი. 32×16,3 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. სალთხუცისშვილი ქაიხოსრო და ახალაური ქავ-  
თარ ცოტას რასმე ვენახზედ ჩიოდნენ, რომ ის ვენახი ერთის ცა-  
ლისა იყო.

ჩვენ, მდივანბეგს ბეჟანთან, სამართალში ილაპარა-  
კეს. ჩვენ ორთავე მოწამე ვთხოვეთ.

ქაიხოსრომ ერთი მოწამე მოიყვანა, რომ მიჯნის მიჯნამდის და-  
ნიშნა, რომ ქაიხოსრო ყმისა იყო. ჩვენ იმერეთს მოწამეს ვერ ვერ-  
წმუნენით.

ეს ახალაური ამას ეპასუხებოდა: ჩემიც არის და ტყუილათაც  
მედავებო.

რადგან ის მამული ახალაურს კელთ ქონდა, ჩვენ სამართლის  
ძალით ფიცი ახალაურს დავადევით, რომ უნდა დაეფიცნა და მამუ-  
ლი იმას დარჩომოდა. რადგან რომ ვერ დააფიცა ის ერთის ცალის  
ვენახი დარჩა ქაიხოსროს სალთხუცის შვილსა სამართლის ძალით.  
ღვინობისთვის იე, ქორონიკონს უმაჲ.

ბეჟელი: მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯუ-  
ლად მაგო ბეჟან.

**58.** განჩინებაჲ ამირაჯიბთა ყმა-მამულის საქმეჲ

1770 წ. 12 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1121. დედანი. ქალაღი. 40,7×19 სმ. მხედ-  
რული. დაზიანებული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი. ა-მეტი.

მის სიმალლეს ბედნიერს<sup>1</sup> ხელმწიფეს ოქმი ებოძა. ჩვენ, ამი-  
ლახვარ-მდივანბეგ იასეს და დიასამიძეს მინბაში.

<sup>1</sup> ბედლანიერს.

იოანეს თვინ, ამირეჯიბე [ბის] ზაზას, ბზ [ე] ქაბუ-  
კის და დათუის სამართალი ებძანა.

მოვიყვანეთ<sup>1</sup> და ვალაპარაკეთ სამი-ოთხი დღე და არ იქნა. და  
ერთმანერთის ძმობის მიზეზით და უშფოთრობის გულისათვის ეს  
სამართალი გან[უ]წესეთ:

სალოლაშენის ნასყიდობაზედ ზაზას ელაპარაკებოდნენ.  
ზაზას ნასყიდობისაგან გრიგოლის შვილების ორისაგან განაყოფის მა-  
მული გამ[ო]ვართვით და ბზეჭაბუკს და დათუას მივეცით. დარჩა  
ზაზას [ნა]სყიდობა თავის ჯალაბის მზითვით, ჯავახასვილების  
ორისაგან განაყოფის მამული და აბულაძეების ორისაგან განა-  
ყოფის მამული. რაც მიუტია თეთრი ზაზას მიცემული, ამა თეთრში  
დათუასთან და ბზეჭაბუკთან საქმე არა [ა]ქს.

კობარიძის მამულზედა ლაპარაკობდნენ. კობარიძეს თავის  
ნასყიდობა ქონია. და თავის ნასყიდი იშხნელიან[ი]დან თუ საცი-  
ციანოვი[ი]დან [ხე]რხეულიძეზე გაუყიდნია და ხერხეული-  
ძისაგან ზაზას უყიდ[ნია]. სამ[ართლით] ეს ნასყიდობა მამული ზაზას  
დარჩა. დათუას და ბზეჭაბუკას საქმე [არა] აქს.

ნაბერალს ამირეჯიბს დავითს ამირანა გაუყიდ-  
ნია. ეს ამირანა [თავის]უფალი შექნილა. მას უკან თავის შვილებით  
ზაზას მის[ვ]ლია, [ბატონ]იშვილს გიორგისაც უბოძე-  
ბია. ამისი ნება ბატონიშვილის არის.

[წის]ქვილებზედ ლაპარაკობდნენ. დღეს რომ ზაზას უჭირამ[ს]  
ქვემო წის[ქვი]ლი, ის ზაზას მივეცით, რომ ბზეჭაბუკს და დათუას  
საქმე არა აქს.

და ზემო წისქვილი რომ დათუას და ბზეჭაბუკს აუშენებია, ის  
ბზეჭაბუკს და დათუას მივეცით, რომ ზაზას ხელი არა აქს. თუმცა  
ერთმანერთში წილი ედვა, მაგრამ სამართლით ასე გავაშველეთ.

დათუას რომ იმერეთიდანა კაპანაძე მოუყვანია, რადგან  
ძველთაგან ამათი საერთო ყმა ყოფილა, ისევ საერთო არის, უნდა  
წილში ჩა[ა]გდონ და გაყონ.

ქაიხოს[რო]ს ზაზას ჯალაბისათვის ევალა ბიჭი, პირის სა-  
ნახავათ მიერთმეგია, აღარა გამოერთმეგია, დარჩა ზაზას ჯალაბს.

დათუას ჯალაბს რომ ხატი მორთმეგია, ის ხატი სამის ძმისაგან  
არის და სამის ძმის წილიდამ დათუას ჯალაბს ერთი ბიჭი მისცენ.

დღეს და დღეს იქით ერთმანერთის სიყვარულის და ძმობის  
მეტრ საქმე აღარ აქს რა.

<sup>1</sup> +მოვიყვანეთ.

ს ა ლ ო ლ ა შ ე ნ ს თუ სხვაგან მამული თუ კაცი თუ სახლის აჯნასი თუ სპილენძი მეფის ბძანებით დ ი ა ს ა მ ი ძ ე მინბაშ ი ო ა ნ ე მ უნდა გაყოს.

ეს განაჩენი ტოლათ ორი დაიწერა: ერთი ზაზას მიეცა და [მეო]-რე ბზექაბუქს და დათუას. დაიწერა ქრისტეშობის თორმეტს, ქორონიკონს უაჴ.

ორი ბეჴელი:

1. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად ი ე ს ე
2. მონა ღთისა ი ო ა ნ ე

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აპრილის თ, ქორონიკონს უაჴშ.

ბეჴელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

### 59. განჩინება დიკასტერიისა მანუჩარ ლაშქარნივისისა და მიქელ მღვდლის ვალის საჩუგება 1770 წ. 18 დეკემბერი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 3120. დედანი. ორად გაკეცილი ქალაღი. 27,7X 17,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

მისის უწმიდესობის დიკასტერიის მიერ განჩინება.

მისის უწმიდესობისათვის ლ ა შ ქ ა რ ნ ი ვ ი ს ს მ ა ნ უ ჩ ა რ ს არზი მიერთმია და ანჩიხატის დეკანოზის შვილის მიქელ მღვდლისათვის ეჩივლა.

მისს უწმიდესობას ამ საჩივრის სამართალი ჩვენთვის ებძანებინა. ესენი ორნივე ჩვენთან სამართალში მოვიყვანეთ და ვალაპარაკეთ.

მანუჩარ ლაშქარნივისის საჩივარი ეს იყო: ამ მიქელ მღვდელს ასლანასშვილის პაპას აგან თამასუქით თეთრი უნდოდაო და იმისი სახლიც თამასუქში გირაოდ ეწერაო. და რადგან ასლანასშვილის პაპას სახლი ჩემს სასახლეს ეკრაო და სასყიდლად მინდოდაო, ამისთვის მამას ჩემს ამ მიქელ მღვდლისაგან ასლანასშვილის პაპას თამასუქი და სამართლიდამ მიცემული განაჩენი და ოქმი ეყიდაო, და მიქელ მღვდლისათვის თავისის კელით წერილით ნასყიდობის წიგნიც გამოერთმიაო.

მამას ჩემს იმ ჟამად თეთრი კელად რომ არა ჰქონდაო, რომ მიეცაო, ამის მიზეზით მამას ჩემს თავისი კელთნაწერი თამასუქი მიეცაო. და ექვსს თვეს უკან ზოგიერთი თეთრი მიეცა, ბარათიც გა-

მოერთმია და თავის თამასუქზედაც კელი მოეწერინებინაო. და რომელიც თამასუქი განაჩენი და ოქმი მამას ჩემს მიჰყიდაო, ღლესაც მე მაქვსო თავისის მოცემულის ნასყიდობის წიგნითაო.

მასუკან ჩემის მალვით იოანე მდივანი მისულა მიქელ მლუდელთან და ამ საქმეზედ შესდგომია ჩემის ინადით და შურით და მიქელ მოუცთუნებია და კელახლა ამ ჩემის ნასყიდის წიგნებისა ნასყიდობის წიგნი თავის სახელზედ გამოურთმევიაო.

მიქელ მლუდელმა ამ საჩივრისა ასე უპასუხა: მართალია, მამა შენს მივეყიდეო და რაც წიგნები მქონდა იმას მივეცო, მაგრამ ზოგი თეთრი მომცა და ზოგი ისევ დარჩაო. რამდენჯერაც მამას შენს ვსთხოვეო არ მომცაო. მასუკან იოანე მდივანი მოვიდა ჩემთანაო და ასე მითხრაო: სახლში მე ვსდგევარო და თეთრს მე მოგცემო. მართალია, თეთრი გამოვართვი და ნასყიდობის წიგნი მივეცო.

მეორე ესე თქვა: მე რომ პირველად მამა შენს მივეყიდეო, მასუკან ბატონის შვილმა გიორგიმ მიმაყუანინაო და ასე მიბძანაო, რომ: ეგ შენი წიგნები იოანე მდივანს მიჰყიდეო და რასაც გორჯასპი მდივანი გაძლევს, ერთს თუმანსაც მეტს მოვაცემინებო. მაგრამ პასუხი მე ეს მოვანსენეო, რომ: გორჯასპი მდივანისათვის მიმიყიდნია და მეორედ ხომ ვერ გავყიდიო: მაგრამ მამა შენმა დანარჩომი თეთრი რომ არ მომცა, მე რე იმას მივეყიდეო.

ამათი ეს ურთიერთარსი ლაპარაკი რომ მოვისმინეთ, მიქელს მღვდელს ვკითხეთ, რომ ახლა იოანე მდივანს როგორ მიჰყიდეო. ასე თქვა: როგორც პირველ მამა ამისს მივეყიდე, იოანე მდივანსაც იმავე ფასად მივეყიდეო.

ჩვენ ამათის საჩივრისა ასე გაგვისამართლებია, რომ: რადგანც პირველად მიქელ მღვდელს გორჯასპის მდივანისათვის მიუყიდნია და რაც წიგნი და საქმის აღმოჩინება ჰქონია, თავისის კელწერილის ნასყიდობის წიგნით გორჯასპი მდივანისათვის მიუცია, სამართალით პირველი მონასყიდე გორჯასპი მდივანია და ამისი ნასყიდობა არ მოიშლება. ამ ნასყიდობისა ზიანი და სარგებელი ორივე გორჯასპი მდივანისა არის. მაგრამ მიქელ მღვდელს რაც კელწერილი გორჯასპი მდივანისა აქვს, როგორც იმ მდივანის კელწერილში აცხადებს, მდივანმა გორჯასპიმ და იმისმა შვილებმა იმ გზით მიქელ მღვდელს პასუხი უნდა გასცენ.

ეს სამართალი ჩვენგან გასასამართლებელი არ იყო, მაგრამ ეს მიქელ მღვდელი რომ საღმრთო კაცი იყო და მიქელ იმათს სამსჯავროში წარდგებოდა და ამ საქმისათვის ბრალეულად გამოცხად-



დებოდა — «რომელმან კელი კელსა მისცეს» და შემდგომი ხომ პა-  
ტიუს ვერ მისცემდენ და ჩვენდამოვე წარმოიგზავნებოდა.

ამ მიზეზით ჩვენ განვაჩინეთ ამათი სამართალი. და რადგან უფ-  
ლება გვაქვს მღუდელთა ზედა ამ გვარის საქმის მოქმედი დასატუქ-  
სავიც არის სულიერად. და დღეის იქით პირობა დაგვიდებინებია მი-  
ქელ მღუდელისათვის, რომ აღარა ჰქნას. და რადგან შეცდომით მო-  
სულია, რომელიც კელითწერილი იოანე მდივნისათვის მიუცია,  
ტყუილია და შეუწყნარებელი.

და რადგან იოანე მდივანი შესდგომია მიქელს და ამგვარს საქ-  
მეში ჩაუგდია და იმგვარი წერილი გამოურთმევია, ამის სამართალი  
მისი სიმადლის მსაჯულთ ნებასა შინა არს.

დაიწერა დიკასტირიას შინა დეკემბერს იმ, წელსა ჩლოთ.

მდაბალი მიტრაპოლიტი რუისისა იონა

ულისი არხიზანდრიტი ხელრთვა: სტეფანე

მწიგნობართ-თავარი ხელრთვა: დავით

თავში:

ჩუენის დიკასტირიის მსაჯულთა<sup>1</sup> მიერ განჩინებასა ვამტკი-  
ცებთ. იანუარის თვის რიცხუსა 5, წელსა 1780

ხელრთვა: კათალიკოზი

## 60. განჩინება მარსტი გოსტაშაზისუვილისა და ზაალ ყაფლანისუვილის

მამულის საქმეზე

1780 წ. 31 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6921. დედნის შავი ქაღალდი. 19x10 სმ.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი და  
ორწერტილი.

ქ. გოსტაშაზისუვილი ერასტი უჩიოდა ყაფლან-  
ისუვილს ზაალს და ზურაბს: ჩემი სამკვიდრო მამული  
ქვემო ღოლოვნა მამიჩემის უმცროსს ძმას პატას მიუყიდნია  
ყაფლანისა და ზაალისთვის და პაპის ჩემის წილი მთლად, რომ მა-  
მის ჩემისათვის არ შეუტყობინებია. მერმე ბებია ჩემს გუქას  
რომ შეუტყვია, მისულა, თეთრი მიუტანია, მიუცია და, რადგანაც  
ბეჟანის წილიც წერებულა იმ სიგელში და ბეჟანის ნებით თავის  
წილი კი მისყიდული ყოფილა, სიგელი კი ვერ დაუხვებია და ერთი  
ბათილამის წიგნი მოუცია: თქვენი წილი რომ სიგელში ნასყიდათ  
მიწერია, არ მიყიდა, თეთრი მომებარაო. ეს წიგნი ზანდუკში სდებ-  
ბია. ქურდისაგან რომელიმე სხვა ნივთებიც და ის წიგნიც მოუპა-

<sup>1</sup> მსასჯულთა.

რავსთო, თორემ მიქელ დეკანოზი დოლენჯის შვილი ამ საქმის მოწამეაო; და საშინელის ფიცით ფიცევედა, ეს სიტყვა ბე-ბიის ჩემის გუქასაგან დიდის ფიცით გამიგონიაო.

ზაალ ყაფლანის შვილი უპასუხებდა: მე სიგელი კელში მიპირავს, მრავლის დიდროანის კაცებით დაბეჭდილი, ოცდა თოთხმეტი წელიწადია ნასყიდი მაქვს, არავეინ წამომდავებია, კაცი მესახლნენ, კვნა იყო, თესვაც, მცილე არავეინ მყოლია. ახლა მაგისტანას კორით რომ მეცილები, ან იმ ჩემის ძმის ყმის წიგნი უნდა გქონდეს, ან წიგნის მნახავი მოწმე გყვანდეს და სიტყვა არ მექნება, თუარა ეს სიგელი, ამ ძლიერ მოწმებით დამტკიცებული, ქართველის ბატონის მეფობაში გასყიდული, რომ ძალი და უსამართლო არა შემეძლო რა, მაგისტანას სიტყვით როგორ გამტყუენდებო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ამათი სარჩელი მოვისმინეთ, სიგელი ვნახეთ, დიად, მტკიცე და მრავლის დიდროანის კაცის მოწმობით იყო დაბეჭდილი.

მერმე მიქელ დეკანოზს მოუწოდეთ და ფიცით ვკითხეთ: რაც იცოდეს, სწორე იმოწმოს. მიქელ დიდის ფიცით თქვა, რომ გუქამ დივანბეგის ქალი შემომეხვეწა: ყაფლანისაგან მოცემული მამულის წიგნი მქონოდაო, ზანდუკი გამიტეხეს, ზოგი რამ სხვა და ისიც დამეკარგაო. და ერთი ვინმე შენი მოწაფე არის, იმის ეჭვი მაქვს, ეგების ასწავო და კანონი მისცე. თუ იმას ექმნას, ჩემი წიგნი მომცესო; და დიდად წუხდა იმ წიგნის დაკარგვასაო.

ზაალ გოსტაშაბის შვილმა წერილი მოგვცა სამართალსა: გუქა ერასტის ბებიაჲ ყაფლანს თეთრიც მოუტანა და წიგნიც გამოართვაო და მამა ჩემი კიდევ ემდუროდა: თქვენ თქვენნი წილი მამული დაიხსენით და მეკი არ შემატყობინეთო. ღმერთს ვფიცავ, რომ ეს ასე იყო.

აგრევ ზაზა გოსტაშაბის შვილმა მოსცა სამართალს წერილი: ღმერთს ვფიცავ, რომ გუქამ ყაფლანს თეთრი მოუტანა და წიგნი გამოართო და ბიძა ჩემიც დაგვემდურა, რომ თქვენ კი დაიხსენით და მეკი არ შემატყობინეთო. ამ ჟამს დიდად შეაწუხა ერასტის ბებიაჲ: არც დღე მოასვენა, არც ღამე, მანამ წიგნს გამოართმევდა.

ესენი ასე ფიცით მოწმობდენ; მაგრამ რადგანაც ბიძაშვილები იყვნენ და სახლისკაცი, ამათის მოწმობის სამართალი ვერ გულსავსე იქმნებოდა და ეს სამართალი მივეცი: ერასტი გოსტაშაბის შვილმა სამი საყაფლანის შვილო აზნაურ შვილი შეუგდოს, ზაალმა და ზურაბმა სამში ერთი იზოონ და ასე შეაფიცონ: «ამილდარის

წილი დოლოვნა კიდევ ეყიდოს და იმ დღიდან აქამდე არცავე ინსტრუქციას, როსცა კაცი მდგარიყოს, ლაღაც ეღოს და წილიც არ ეთხოოსთ».

ამილღაბრის შვილებსა და გუქას რომ კიდევ სხვა მოწმეები მოვსთხოეთ ერასტის, ერასტიმ თავის პაპის ძმის შვილი ზაღლ მოიყვანა. ერასტიმ რომ სთქვაჲ ყაფღანს თეთრი მივეც, დავისხენ და ბათიღამის წიგნი გამოვართვიო, და ისიც ტყუილი იყოს, არც თეთრი გამოერთმიოს და არც წიგნი მიეცეს.

იანვრის ლა, ქორღონიკონს უღმ.

**61. ბანღინეზა ჰაიღოსრო აბაღიღისა, გღახა მახვიღღამისა და ზაღლ ღავიღიღვიღის მავღლის სჰჰჰჰჰჰ**  
1780 წ. 19 თებერღვაღი

ხელღწერღთა ინსტიტუტი. Hd 537. დღღღანი. ქაღღღღი. 20,2X11,3 სმ. მხედღღული. განკვეთიღღობის ნიღღღღღ ნახმარღღა წერტიღღი.

ქ. ქაიღოსრო აბაღიღე უჩიღღღა მახვიღღამის შვიღღს გღახას და დავიღღის შვიღღს ზაღლს ასე, რომე: დღღღის ჩემის თეთრი ჰქონღღა საკირის გასაკვეთებღღად და იმ თეთრიღღთ ზაღლ მახვიღღამ დავიღღის შვიღღის ზაღღის კაციღღაღან მიწა იყიღღა ჩემს სახეღღზეღღ, კიდევ მაჩვენღღა: საკირისათვის რომ თეთრი მქონღღაო, ეს მიწა ვიყიღღეო. ახღღა ის მიწა ზაღლ დავიღღის შვიღღს უქიღღრავს, მე აღღღრც თეთრი მეძღღეღღა და აღღღრც მიწაო.

ჩვენ, მსაჯულღთ, ეს სამართაღღი მივეციღთ, ზაღლ დავიღღის შვიღღიღც მოვაყვანიღღეთ და მახვიღღამე გღახაღღა.

ზაღლ დავიღღის შვიღღიღმა უპასუზღა: ჩემს კაცს ნასყიღღი მიწა ჰქონღღაო ფცას. იმ კაცს არ ექიღღებღღდა რა, მე ვინახეღღდიო. ჩემს მაღღვიღთ ეს მიწა გაეყიღღა, შეუტყვევ, დავტუქსე და გამოვგზავნე; თავისი თეთრი ისევე ზაღლ მახვიღღამეს მისცა. ის ნასყიღღობის წიგნი გამოართო და მომიტანაო. მახვიღღამემ თუ შენ თეთრი არ მოგცა, იმას ეღღღე, ჩემთან რა საქმე გაქვსო.

მახვიღღამე გღახა უპასუზებღღა: მამაჩემმა თეთრიღც მისცა, მიწაც გამოართო, თქვენ მოგაბარა, სიგელი მამაჩემს ჰქონღღა, ჟამიერაღღ შვიღღი შემომადგა, ეგ სიგელიღც მომპარა და სხვეღღიღაო. თორემ აშორღღს ღღმერთმან, შენს კაცს მამიჩემისათვის არც თეთრი მიეცეს და არც მამაჩემს ეგ სიგელი მიეცესო.

ჩვენ ასე უსაჯუღთ: მახვიღღამემ გღახამ ამ თავის სიტყვაზეღღდ ერთი კაცი შეაფიციღღოს დავიღღის შვიღღს ზაღღს, რომ მამას იმისს არც თეთრი გამოერთმიოს დავიღღის შვიღღის კაციღღათვის, არც სიგელი

მიეცეს და ის სიგელი ქურდობით მოეპაროსთ და ზაალ დავითის-  
შვილს ისე ჩავარდნოდეს კელში.

თუ ასე შეაფიცა კაცი, ზაალ დავითისშვილმა ან მიწა უნდა დაა-  
ნებოს და ან თავისი თეთრი მისცეს ზაალ მახვილაძეს და მახვილა-  
ძემ აბაშიძეს მიაბაროს. თუ ვერ შეჰფიცა და მახვილაძემ უნდა  
თეთრის პასუხი გასცეს აბაშიძეს ქაიხოსროს. ფებერვალს ით, ქო-  
რონიკონს უაჟ.

ქ. ზ უ რ ა ბ ა ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ო! ასე გაარიგე.

- სამი ბეჭედი: 1. მ ზ ე ქ ა ბ უ კ  
2. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ.  
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს.

ქ. მე, ზ უ რ ა ბ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ამისი იასაული ვიყავ. მახ-  
ვილაძემ კაცი ვერ იშოვა, რომ ზაალისათვის შეეფიცა. აბაშიძემ თა-  
ვისი თეთრი გამოართვა მახვილაძეს.

მე, პავლე(?) მღებარ კილაძეს(?), როგორც ეს განაჩენი აცხა-  
ლებს, დამიწერია ზურაბის სიტყვით.

## 62. ბანჩინაბა მამუკა თარხნიშვილის ყმაგის ხახანაშვილავის საქმეზე 1780 წ. 26 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1741. დედანი. ქალაღი. 75,6X26,5 სმ.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ი მ ა მ უ კ ა უჩიოდა ხ ა ხ ა ნ ა-  
შ ვ ი ლ ს თ ე ვ დ ო რ ე ს და მის ძმას შ ი ო ს: კ ა რ გ ა რ ე თ-  
ღ ი ს ს ვ ი მ ო ნ დეკანოზის ყმა იყავითო და ის დეკანოზი ჩემი  
ბარათში გამოყოლილი ყმა იყო.

ხახანაშვილები უპასუხებდნენ: ჩვენ ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ი ს  
ფ ა რ ს ა დ ა ნ ი ს ა გ ა ნ შეწირული წმიდის მრავალმოღვაწის  
ევსტათის ეკლესიის ყმანი ვართო, დეკანოზი გვიმსახურებდა არა თუ  
ბატონობით, ეკლესიის დეკანოზობით, თორემ ჩვენთან სხვა საქმე  
არა ჰქონდა რაო.

წიგნი გვაჩვენა, ასე ეწერა: შემოგიწერეთ ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი  
ს ა ბ ი ა მისი შვილები, მისი ძმისწული ე ს ტ ა ტ ე, ქორონიკონს  
ტ ო ბ. მეორე წიგნი ჰქონდა ამავე ხახანაშვილებს სვიმონ დეკანოზი-  
საგან მიცემული: ჩვენს ერთგულს ყმას ხახანაშვილს თევდორეს და  
შიოს ძველად მამა-პაპათაგანაც ამოკვეთილი გქონდათ ღალა, კუ-  
ლუხი, ავდეგ და შენი ცოდვა ვეღარ დავიდევ, სულ გაპატივეო. და

ბოლოს ეწერა: წმიდის ევსტათის ყმობის გულისათვის მოგვიცა ეს სითარხნეო, ქორონიკონს უია.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთა შეკრებილებამ, ეს განჩინება მივეცი: თარხნიშვილი მამუკა და ზურაბ რომ ამბობენ: ევსტათისწმიდის წიგნი შენი არ არისო, სხვისა ვისიმე არისო და შენის გვარის სახელი ჩაგიწერინებიაო, მართალია, ხახანაშვილი სადაც სწერია, იმ ადგილს ის წიგნი დახეული იყო, დაუქვრებიათ და მოუცხოველიათ. და ღმერთმან უწყის, ისივ სახელი მოუცხოველიათ, თუ სხვა დაუწერიათ. და დეკანოზის მიცემული წიგნი რომ ასე აცხადებს, თავს სწერია: ჩვენს ყმას ხახანაშვილს; და ბოლოს სწერია: ეს სითარხნე წმიდის ევსტათის ყმობის გულისათვის მომიციაო.

ხახანაშვილს თევდორეს და შიოს ფიცი დავადევით: წადგნენ ორნი ძმანი და ერთი კაცი ერთაწმიდელი თან მიიყოლიონ და ამ სამთ ასე შეპფიცონ, რომ: «ეს ევსტათისწმიდის წიგნი სწორედ ჩვენის გვარისათვის არის დაწერილი და მოცემული და რაც ამაში სწერიან, ჩვენნი მამაბიძანი და პაპანი იყვნენ და სწორედ ხახანაშვილობით წერებულებიყვნენ; და ჩვენი მამა-პაპანი წმიდის ევსტათის შეწირულნი ყმანი ყოფილიყვნენ».

აგრევ კიდევ ელისაბედის შვილი მღუღელი იესე ფიცით ხომ ვერ დაიფიცავს და ასე თქვას: «ჩემმა სულმა, რომ ხახანაშვილები და ამათი მამა-პაპანი წმიდის ევსტათის ყმანი არიანო».

ეს რომ ასე აღასრულონ, მამუკას და მისს ძმას ზურაბს კელი აღარა ექნებათ რა. და თუ ვერ აღასრულეს, დეკანოზის ყმანი ყოფილან და მამუკას და ზურაბს დარჩებიან.

ბუჭყიაშვილო ნინიავ! ეს ასე აღასრულე. როდესაც ეს ფიცი გარდასწყდება და ეკლესიას დარჩება, მერმე რაც ამ ხახანაშვილებს ნასყიდი მამულები აქვსთ, რომ ან წიგნი აცხადებს და ან მოწამე მოწმობს, ის ხახანაშვილებს დარჩებათ. და რაც სათარხნო მამულები უქირავსთ, რომ არ ეყიდოსთ, ის მამუკას და ზურაბს უნდა დაუგდონ. ფებერვალს კვ. ქორონიკონს უფჳ.

- სამი ბეჰედი: 1. მზეჭაბუკ  
2. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ  
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

ქ. ეს განჩინება რომ მივეცი, მისულიყვნენ საფიცრად. მამუკას და ზურაბს აღარა დაეფიცებინათ. ორთავ კელი მოეწერათ, აღარ დავაფიცეთო, ხახანაშვილი წმიდას ევსტათის დარჩაო, მე, მამუკას კელი არა მაქვსო; მე, ზურაბმაც, კელი ავიღეო.

აგრევ ბუკყიაშვილს ამათს იასაულს იოანეს მოეწერა წმიდას ევსტათის დარჩაო, აგრევ ქართველისშვილს, აგრევ კლიმიაშვილს ოტიას, აგრევ წმიდის ევსტათის დეკანოზის შვილს დავითს, აგრევ ატიკაშვილს, აგრევ იასე ქეშელაშვილს.

ჩვენ, მსაჯულთ, ამათი კელით წერილი რომ ვნახეთ და თვითან მამუკასი, ეს განჩინება მივეციტ: რომ ამ ხახანაშვილს თევდორესა და შიოსთან კელი აღარა აქვსთ მამუკას და ზურაბს; და დარჩა წმიდის ევსტათის ეკლესიას. და მამულეებისა როგორც დაგვიწერია, ისე აღსრულდეს. თიბათვის იჲ, ქორონიკონს უოჲ.

- სამი ბეჲელი: 1. მზეჭაბუკ  
2. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ  
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს  
კიდეზე:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფემან ირაკლი მეორემან, თვითან მამუკა თარხნიშვილისა და იმისის ძმის ზურაბისა და სხვათ მოწმე[ე]ებისა და იასაულისაგან კელით ნაწერი ვნახეთ და ჩვენც ასრე დავამტკიცეთ, როგორც მსაჯულთ დაუწერიათ და დაუბეჲდეთ. ივნის[ს] კ, ქორონიკონს უოჲ.

ბეჲელი: მე ფებთგანბანილთა ბიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე მამუკას ნაწერი და იმისის ძმის დამოწმებისა ვნახე და ჩვენც დავბეჲდეთ. ის წიგნიც თევდორეს მიეცა, იმას ქონდეს.

ბეჲელი: ერეკლე

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონისშვილი გიორგი, ვამტკიცებთ განჩინებას ამას. აგვისტოს იჲ, ქორონიკონს უოჲ.

ბეჲელი: გიორგი

ქ. ჩვენ, საქართველოსა, კახეთისა და სხვათა დედოფალი ბატონის დადიანის ასული პატრონი დარეჯან, ამ მისის სიმაღლისაგან დამტკიცებულს განაჩენს ჩვენც ამავე რიგათ ვამტკიცებთ. აგვისტოს კ, ქორონიკონს უოჲ.

ბეჲელი: დედოფალი დარეჯან

**63. განჩინება დიკასტარიისა ივანე შიოსშვილისათვის ცოლის.**

**შერთვის შენდოვაზე**

**1780 წ. 16 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 853. დედანი. ქალაღი. 31×17,4 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილუბის ნიშნად ნახმარია წერტილი.

მისის უწმიდესობის დიკასტორია გიბრძანებს კუჭატანს შინა-  
მყოფო მღუდლო ევსტატი.

მერე ამ შიოსშვილს ივანეს რადგან თავისი სჯული-  
ერი ცოლი აღარ დასდგომია, და რომელიც იმ კაცის ტყვეობის ქამს  
შეურთავს, ის შეპყვარებია, იმას. გაპყოლია და კაცსაც მოუტაცნია  
და ფშავს გარდუყვანია და იმ დედაკაცთან მრუშებით მცხოვრები-  
არის, ამ შიოსშვილმა, რომელიც დედაკაცი შეირთოს, ჩვენგან შენ-  
დობა აქვს, ჯვარი დასწერე.

მაგრამ როდესაც ამ კაცს ივანეს ჯვარი დასწერო, თვალი გეჭი-  
როს ყოველგან და იკითხვიდე, რომ თუ ის, ამ კაცის ცოლის მომტა-  
ცებელი, გამოჩნდეს სადმე და ფშავიღამ ის დედაკაცი გარდმოიყვა-  
ნოს, დიკასტორიას წერილით მოახსენე, რომ ის დედაკაცი წაერთოს;  
იმ კაცმაც სხვა ცოლი უნდა შეირთოს და დედაკაცმაც სხვა ქმარი.  
ისინი სჯულიერნი მეუღლენი არ არიან და ღმრთის წინააღმდეგ  
არიან ერთად მცხოვრებნი.

დაიწერა დიკასტორიას შინა მარტსა თთვესა რიცხუსა ივ, წელს-  
სა ჩღპ.

უღირსი არხიმანდრიტი ბეჰედი: არხიმანდრიღი ტრიფილე-  
უღირსი დეკანოზი დიდის ეკლესიისა სვეტიცხოვლისა და კა-  
რისა ნიკოლოზ.

მწიგნობართმთავარი ბეჰედი: დავით

თავში:

დიკასტორიისა ჩუენისა მსასჯულთა მიერ განჩინებასა ამას  
დავამტკიცებთ. მარტის რიცხუსა ივ, წელსა 1780.

ხელრთვა: კათალიკოზი

მარცხენა კიდზე:

ქ. დოსითეოს ნეკრესელი მოგვიკითხავ სიყვარულით  
კუჭატანის მღვდლო ევსტატი.

ამ შიოსშვილის იოანესათვის დიკასტრიიღამ შენდობა რომ  
მიუციათ ცოლის შერთვისა და მისს უწმიდესობასაც დაუმტკიცებია,  
ჩვენც ასე მოგვიწერია: ჯვარი დასწერე, ვინც შეირთოს. ივნისის.  
ტ, ჩღპ.

ეს წიგნი კარგად შეინახე. ხელრთვა: დოსითეოს.

1780 წ. 22 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14199. დედანი. ქალაღი. 41,7×15,5 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი ან ორწერტი-  
ლი. განაჩენს უზის ქორონიკონი უმჟ, მაგრამ შეცდომაა, რადგან ერეკლე მე-  
მე ამ დროს მკვდარია და, ცხადია, განაჩენს ვერ დაამტკიცებდა.

ქ. თრიალელი კობაჯელი ზეიგიძე ხუცისშვილი ბასილა  
ჩიოდა: ექვისის წლისა დავიკარგე, ყირიმში გამყიდეს; იქ ცო-  
ლი შევირთე, ორი შვილი მომეცა, საქართველოსაკენ წამოველო,  
ჩემი შვილი თაყაშვილს ვასილს გამოვატანე, მეც წამო-  
ველ, ეს ვასილ იარანალმა დაქერილი გა[ა]ბრუნა და ჩემის შვილისა-  
თვის ეთქვა: სანამდის! მამა მოგივიდოდეს, იოანე დოლენჯი-  
შვილთან იყავო. მეც მოველ და ჩემს შვილთან მიველო. მართა-  
ლია, ექვისი კოდი პური იოანესი დავხარჯეო და ერთი დეკეულიო.  
მერმე დილომს მოველო და ბატონის ყმათ დავდეგ და იოანე აღარ  
მეშვება, ჩემი ყმა ხარო.

იოანე დოლენჯიშვილი უპასუხებდა: თუ ჩემი ყმობა  
ან შენს შვილს არ უნდოდაო და ან შენ, ხომ იცოდითო, ტყვეობიდამ  
მოსული კაცი ვისთანაც უნდა, იმასთან მივიდოდა. ექ[ვ]ისი წელი-  
წაღია. შენი შვილი ჩემთან არის და სამი წელიწადია შენ ჩ[ემ]თან  
მოსულ[ა]რ. ან შენმა შვილმა რატომ არ ინება ბატონის ყმობით  
გამოცხადება, და [ან] შენ რომ მოხველ, ან ბატონს რატომ არ მოა-  
ქსენე ან ბატონისშვილებსა, ან შენს შვილს რატომ არ მოჰყიდე  
ქელი? მაშინ ვერ დაგიშლიდი. და არ წამოხველ თუ არა, მოხველ  
ჩემ სახლ[ლ]ში და ასე მითხარ: ღმერთმან შენს უკეთესი ბატონი  
ნუ მომცეს, ს[ო]ფლად და[ა]ყენო; ავიყვანე დილომს ჩემს ყმებ-  
თან დავაყენეო, ორმოდამა ჩემი პური სჭამეო, ძროხა მოგეცე, ჩოკა,  
ქუდი; შენს შვილს — თოფ-იარაღი, ცხენი. სამი წელიწადი ჩემის  
ყმობის პირობაზედ ჩემს კაცებთან იდეგ და ახლა თავს მართმეო.  
სამართალი რასაც ბრძანებს, ის აღსრულდესო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთა შეკრებილებამ, დიდმელთ ვკი-  
თხეთ: ეს კაცები ბატონის ყმობით იდეგა დილომს, თუ დოლენჯის-  
შვილის სახელობითო. დიდმელთ ფიცით გვარწმუნებს, რომ არც

1 სანამდის.



ბატონის ყმობა უთქვამს და ივანეს ყმებთან იდვა, იმის სახელით მოვიდაო.

ჩვენც ეს უპ[ა]სუხ[ე]თ: რადგანაც ტყვეს თავისუფლება აქვს, ვისთანაც უნდა, იმასთან მივა, ეს კაცი რომ მოვიდა, თუ ივანეს ყმობა არ უნდოდა, მაშინვე უნდა შვილისათვის კელი მოეკიდებინა და წამოსულიყო, არც ჩოკა უნდა ჩაეცვა იმისი, არც ქუდი დაეხურა, არც პური ეხ[ა]რჯა, არც ძროხა დაეჭირა და დიდმელთათვისაც ეთქვა: ბატონის ყმათ მოველო. აქადინ რომ არც ერთი უქმნია და თავისი თავი ნებით მონებაში მიუტია, ივანეს ველარს[ა]დ წაუვა. დარჩა ეს ბასილა და მისი შვილები იოანე დოლენჯისშვილის ყმად.

გოგიავეთუხარელო! მიაბარე. მარტს კბ, ქორონიკონს უაჟ!

ანანიავ! შენ ყ[ო]ფილხარ იასაული, არ გვახსოვდა, შენ მიაბარე ეს კაცი.

- სამი ბეველი:
1. მზექაბუკ
  2. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ
  3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ოს ძეს
- თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთის ირაკლი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. მარტის კდ, ქორონიკონს უაჟ.

ბეველი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

## 65. განჩინება დიკასტირიისა იოანე ავალიშვილის შუარაბსუფის საქმეზე

1780 წ. 14 მაისი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 3121. დედანი. ორად გაკეცილი ქაღალდი. 31,7X 20,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

მისის უწმიდესობის დიკასტირიის მიერ განჩინება.

დიკასტირიასა შინა არზით გამოაცხადა ავალისშვილმა იოანემ: ჩემმა ყმამ მღვდელმა ლაზარემ დიდის შეურაცხებით ლანძღვით, გინებით გამხადა და დიდის ავად მოპყრობათ და ესეც მითხრა: შენი სისხლი მწყურიან და მინდა დავლიოო. მიზეზი ეს იყო, რომ მისს უგანათლებულესობა ბატონისშვილს [ი]ულონთან სანში გავლით ჩემი ყმობა ითავლა და იუარაო.

ჩვენ ორნივე მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და ორთავე ურთიერთარს სარჩელი და ლაპარაკი გავსინჯეთ.

1 უაჟ] უაჟ.

იოანე ავალისშვილს მოწმე[ე]ები ვსთხოვეთ. რომელსაც ჩიოდა, ეს მართალი ყოფილიყო. ამის საქმისათვის ოთხმა და ხუთმა უმოწმა ავალისშვილს და თავისი საჩივარი დამტკიცებით აღმოუჩინეს, რომ ამის თქმული ყოველივე მართალიაო.

რადგანც მღვდელი ლაზარე შფოთისა და ამბოხების დამწყებელი შექნილა და თავისი ბატონი დიდის საყივნებელისა და შეურაცხის სიტყვებით გაულანძლავს სახალხოდ, ამის საუბატიოდ თავის ბატონს დიდის ვედრებით და დავრდომით სამი თუმანი მიართოს და შეცოდების შენდობა და მიტევება ითხოვოს და აღთქმაც დაუდვას, რომ აღარა შესცოდოს რა. და როგორც ყმა ყოფილა, ეგრეთ თავისის ბატონის ყმობასა სამსახურსა და სიამოვნესა შინა იყოს.

და კიდევ ამ ლაზარეს მღვდელს რომ უთქვამს: «შენი სისხლი მინდა დავლიოვო», ამის საქმისათვის ორს თვეს მღვდელობიდან დაგვიყენებია და ნურცა ერთსა მღვდელ-მოქმედებასა აღასრულებს.

ეს კანონი და საუბატივო ასე მცირედ ამისთვის გაუჩინეთ, რომ შეგვეწყალა მღვდელი ლაზარე, თორემ უფროს დიდისა დასჯისა ღირსი და თანამდები იყო.

და დღეის იქით გაფრთხილდეს და თავის ბატონს არა შესცოდოს რა, თორემ თუ კიდევ შესცოდა ბატონყმურად არ მოექცა და არ ემსახურა, მასუკან პატივი და სასჯელი ერთი მრავლად შეეკეცება და ისრე გარდახდება.

დაიწერა დიკასტირიას შინა მაისს თთვესა იღ, წელსა ჩღბ.

უღირსი არხიმანდრიტი ბეჰელი: არ ხ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი ს ტ ე ფ ა ნ ე.

უღირსი დეკანოზი ხელრთვა: ნ ი კ ო ლ ო ზ.

მწიგნობართმთავარი ბეჰელი: დ ა ვ ი თ

თავში:

დიკასტირიისა ჩუენისა მსაჯულთა<sup>1</sup> მიერ განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. მაისს იღ, წელსა ჩღბ.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

კიდზე:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართუელოსა მ ე ფ ე ი რ ა კ ლ ი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. მაისის კთ, ქორონიკონს უფჟ. აღბათ\*.

ბეჰელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვაღიდე ერეკლე.

<sup>1</sup> მსაჯულთა.

\* „აღბათ“ მიწერილია სხვა ხელით.

1780 წ. 18 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14874. დედანი. ქალღლი. 63X22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამწერტილი.

ქ. ფალავანდისშვილის ფეშანგის შვილისშვილები ბერი და იაკობ უჩიოდნენ მაჩაბლის იესესა და გოგოისა და ბარძიმის შვილებს: სანატრელმა ცხებულმა მეფემ თეიმურაზ რომ მეფეს ალექსანდრეს ჯარი მიაშველა, მაშინ მაჩაბელი იესე, პაპაჩვენი ფეშანგი, ხერხეულიძე ბეჟან, ავალისშვილი ბერი და ზურაბ ოსმანთ დაიპირეს და სახსარსა სთხოვედნო. პაპაჩვენმა ფეშანგიმ მამაჩემი რევაზ დაიბარა, თავის მაგიერ გირაოდ მისცა, იესე მაჩაბელმა თავისი შვილი თეოფანე მისცა გირაოდ. თვითან წამოვიდა და ბეჟან ხერხეულიძე თან წამოიყვანაო. ბერი ავალისშვილი გამოიპარა და ზურაბ თავი დაიხსნაო.

მამაჩემი რევაზ იქვე ბორკილში ება და მასუკან გამოიპარაო; და სანამდის გამოიპარებოდაო, პაპა ჩვენმა ფეშანგიმ წიგნიც მისწერა, იესე მაჩაბელს, პირათაც უთხრა: შემძლებელი კაცი ხარ, ჩემი შვილიც გამოიხსენ და მამულს მოგცემო. ქართლშიც მოიკრიფა იმათი სახსარი და მაჩაბელს მოებარაო. იმერეთის მეფემ ალექსანდრემაც გამოუგზავნა სახსარი — ზოგი საქონელი, ზოგი ურები, რადგანც მისის მიზეზით დატყვევდნენო. და მამაჩემი რევაზ რომ გამოიპარა, იმაში არცარა გასვლია, არც თავდები ყოფილა, თორემ თუ თავდები იყო, რატომ თან არ წამოიყვანაო როგორც ბეჟან ხერხეულიძე, და ან ბორკილში რაღათ ებაო.

მერმე მძლავრებით პაპაჩვენს ფეშანგის ძალი დაატანა და ავენეცს სიხტიურაშვილი ნასყიდობით გამოართვაო. თუ მართებული ნასყიდობა იყო, რატომ ან პაპისჩვენის კელი არა სწერია, ან ბექედი არა ზისო, ან მამის ჩვენებისა — ზაალისა და რევაზისა ან კელი არ არის მოწერილი, ან ბექედიო.

მაჩაბლები უპასუხებდნენ: იესე მაჩაბელმა თეთრი ზოგი მიაბარა და ზოგი დარჩაო, რევაზისაც თავდები იყო და ბეჟანისაცაო და დანარჩომის თეთრისათვის თეოფანე გირაოდ მისცაო. ჩვენი გირაო რომ კელთ ექირათ, ოსმანთა მამაშენს აღარ გაუფთხიდენ და გამოიპარაო. მაგრამ იმის სახსარი ჩვენ გამოგვართვესო; სანამდის მთლად არ გამოგვართვეს, რისაც თავდები ვიყავით, მანამდის

თეოფანე არ გამოუშვესო. მერმე ფეშანგი შემოეხვეწა, ეს გლეხები ნასყიდობით მოსცაო თავეთის მამულით, სიგელი დაუწერიანა, მოაბარა, ოცდათორმეტი წელიწადია ჩვენ გვიპირავსო. ფეშანგი დიდს ხანს ცოცხალი იყო, არ გვედავაო, მამათქვენები არ გვედავენო. ახლა თქვენ გვედავებით და ნება სამართლისა არისო.

ამის პასუხი ფალავანდიშვილებმა ასე უთხრეს: ფეშანგი საჩივლელად ჩამოვიდაო ქალაქს, ავად გაქდა და მოკვდაო. მამაჩვენები შეუძლებელნი იყვნენო, სიღარიბისა და უმამულობისაგან სამაჩაბლოში ხიზნად იდგნენ თქვენის კელის მაყურებელნიო და დღესაც იქივ არიანო. რომლის გზით შეეძლოთ თქვენი წინააღმდეგომი და ლაპარაკი. და ჩვენ რა გამოვზდილვართ, სამართალში კი არ გვიჩივლია, მაგრამ მრავალჯერ გვითქვამს, უსამართლოდ გვიპირავსო.

რადგანც მისის სიმაღლის ბრძანება გამოგვივიდა ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილება, მოწმე[ე]ები მოვთხოეთ ორთავ. ამილახორის იესე მდივანბეგის წერილი მოგვივიდა: იესე მაჩაბელმა რომ თავი დაიხსნაო, თიბათვეში ჩამოვიდაო. მერმე რევაზს ბორკილები დაემტვრია და ჩამოვიდაო; თუ თავდები იყო, ბორკილი რაღათ ეყრებოდაო.

ნიკოლოზ ამილახორის შვილს მოეწერა: რევაზ თვითან გამოიპარა, მაჩაბელს არ დაუხსნია. ასი თუმანი ჩემი და ჩემის თაბუნებისა ჯამაგირი მომიპრესო მაგ საქმეზედ და თორმეტი კომლი ურია მეფემ ალექსანდრემ შამოაწიაო. ჩემი ბეჭედი რომ ზის ნასყიდობის წიგნზედ, მირზა იბრეიმას ბრალიაო.

პეტრე ავალის შვილს მოეწერა: იესე მაჩაბელმა თავი დაიხსნა, ჩამოვიდაო, რევაზ იქივ დარჩაო. ბერი გამოიპარა, ზურაბ დავიხსენითო. სამსა-ოთხს თვეს უკან რევაზს ბორკილები დაემტვრია, ზურაბისას ჩამოვიდაო. მასუკან მაჩაბელმა მისცა, თუ არა მისცა რა, არ ვიცო.

სვიმონ ედიშერის შვილს მოეწერა: რევაზს ბორკილები დაემტვრია, ზურაბისას მოვიდა, მაჩაბლისაგან იმის სახსრის გაღება არ გამოიგონიაო.

ციმაკურიძე ზურაბს მოეწერა: ღმერთსა ვფიცავო, ამის დამსწრე ვარ, ზაალ ავალის შვილს ვახლდით, მაჩაბელი იმან დაიხსნაო; თეთრი, თოფი და იარაღი მივეცითო, ვერ აუტკდაო, შვილი მისცა გირაოდ, იასე მაჩაბელი ჩამოვიყვანეთო, რევაზ იქივ დარჩაო. კარგა ხანი გამოვიდა, გამოიპარა და ჩამოვიდაო.

ხ უ მ ა რ ა ძ ე ჩ ქ ა რ ი ა ს მოეწერა: ჩ ა ყ ა ლ ი ბ ე გ ს ვახლ-  
დით; მაჩაბელი და რევაზ ტუსალათ რომ იყვნენო, თავს მე ვადეგო.  
მაჩაბელმა რომ თავი დაიხსნა, თეთრი კიდევ დარჩაო, თვითან წამო-  
ვიდა და შვილი გირაოდ მოპკვარაო. მასუკან თავის სახსარი ამო-  
იტანა და შვილი დაიხსნაო. რევაზ ტყვეთ დარჩაო, ბორკილები  
ეყარაო. მე კლიტეები მოვიპარე, გავალე, გამოვაპარე და საგძალიც  
მე გამოვატანეო. ოთხი წელიწადი კიდევ იქვე ვიყავ ჩაყალისთან,  
რომ იმის სახსარი არ მოსულაო.

ზ უ რ ა ბ ა ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ს მოეწერა: ექვსი თვე ჯინჯილში  
დაგვაბესო, ჩაყალიბეგმა რევაზ ა წ ყ უ რ ს ჩამოიყვანაო, იესე მა-  
ჩაბელმა თავი დაიხსნა, ბეჟან ხერხეულიძე თან წამოიყვანა, იმის  
თეთრი თავს დაიდვა, რევაზ ჩაყალიბეგს მისცა: თუ გინდა გაყიდე,  
თუ გინდა თავი დაახსნევი, მე ამის თავდები არა ვარო, მე თავი  
დავიხსენიო. ბერი გამოიპარა. ორთვეს უკან რევაზ გამოიპარა და  
ჩემს სახლში ჩამოვიდაო.

ახლა მაჩაბლებს ვთხოვთ მოწამე. ზ ა ზ ა ც ი ც ი ს შ ვ ი ლ მ ა  
თქვა: თეოფანე აკვნით აწყურს წაიყვანეს, მერმე მე გამგზავნეს, გა-  
მომგვარეს და წამოვიყვანეო. ასრევ დ ი მ ი ტ რ ი ც ი ც ი ს შ ვ ი ლ-  
მ ა თქვა: ამის მეტი არ ვიციოთ რაო.

ი ვ ა ნ ე შ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ი მოწამა: თეოფანე გირაოდ წაიყვა-  
ნესო; რევაზ მასუკან გამოიპარაო, თეოფანე იქ დარჩაო. მაჩაბელი  
რევაზს ელაპარაკებოდაო: შენს თავდებად შვილი მივეცო და იქ  
დარჩაო, შენვე დამიხსენო.

ხ ო ს რ ო ხ ო ჯ ა შ ვ ი ლ მ ა ი მოწამა: ბატონის ბძანებით რე-  
ვაზ ამილახორი შუა იყო, იესე მაჩაბელი ელაპარაკებოდა რევაზ-  
საო, შენს თავდებად შვილი მივეცო, შენვე დამიხსენო, ეს კი არ  
ვიცი, როგორ გაშველდენო.

ჩვენ, მსაჯულთ, ესენი მოვისმინეთ, ნასყიდობის წიგნი ვნახეთ,  
ნ ი კ ო ლ ა ო ზ მ ა დ ა ლ ა ს შ ვ ი ლ ს დაწერილი იყო, ამილა-  
ხორის შვილის ნ ი კ ო ლ ა ო ზ ი ს ბეჭედი იჭდა, რომელიც ისე  
უკუთქვა, როგორც ზემო მოვიკსენეთ, და ქცხილვანის მამასახლისი-  
სა და მურადაშვილისა და ლალაშვილისა. და სხვა რომელიც საბა-  
ტიოს კაცის შვილები მოწამად ეწერნენ, არც ერთის ბეჭედი არ  
იჭდა; არც ფეშანგის კელი იყო მოწერილი, არც ბეჭედი არც ზაა-  
ლისა, არც რევაზისა; რომელთაც ბეჭდები ვნახეთ, დღესაც ჰქონ-  
დათ ამ ყმაწვილებსა თავეთის მამისა; ერთი წარყვნილი და გამოუც-  
ნობელი ბეჭედი იჭდა; ამათს ბეჭედს არც ნაკვეთი უგვანდა, არც  
სახე.

და რადგანაც არც კელი აქვსთ მოწერილი, არც ბეჭედი უზისთ და ამდენი მოწამენი, ზოგნი მაღალნი და ზოგნი იქ დამსწრენი, ასე მოწმობენ, ფიცი გაუჩინეთ. თუმცა ფიცი მაჩაბელს შეხვდებოდა, თუ ამ საქმის დამსწრები იასე. მაჩაბელი ცოცხალი ყოფილიყო ან გოგია გონებაზედ იყოს. მაგრამ ესენი რომ აღარ არიან და იმათმა შეილებმა გაგონილის მეტი არა იციან რა, რევაზ ისევ ცოცხალია; რომლისაც მიზეზით ეს ნასყიდობის სიგელი დაწერილა, წადგეს რევაზ თავის ძმისწულის ბერით და თან მიიყოლოს ხუმარაძე ჩქარია, რომელიც ემოწმება, მე თავს ვადექო და მე გამოვაპარეო; და კიდევ თან მიიღევნოს თავეთი აზნაურშვილი ჩუბინიშვილი შოშია და ლაშხიკაცია და ამ ხუთთ ასე შეჰფიცონ, რომ: «არც თავდები ყოფილიყოს იესე მაჩაბელი რევაზისა, არცარა იმის თაობაზედ გასლოდეს, არცარა სხვა მიეცეს მაჩაბელს ამ მამულში, რაც მძლავრებით არ გამოართვა და არც ამ სიგლის დაწერისა და ამ ნასყიდობის ნება ჰქონებოდესთ და არცარა სხვა გამოერთმოსთ».

თუ ასე შეჰფიცა, სიხტურაშვილი დათუა, გოგია, დვთისია ავნევეს თავეთის მამულით დარჩებათ ფალავანდისშვილს რევაზს და ბერს. თუ ვერ შეჰფიცადა, მაჩაბლის ნასყიდნი არიან და მაჩაბელს დარჩებიან და ვეღარ მიედავებიან. მაისს იმ, ქორონიკონს უამშ.

- სამი ბეჭედი: 1. მზეჭაბუკი  
2. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ  
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ეშვიკალათბაშო დიმიტრი! ეს ასე აღასრულე, როგორც მსაჯულთ გაუჩენიათ. აღიწერა მაისის კე, ქორონიკონს უამშ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. მე, ზურაბ ყაფლანიშვილი, დემეტრე ეშვიკალასბაშის სიტყვით მივედი, მაჩაბელს ფარსადანს უთხარ: ან შენ წადი ზევით, და[ა]ფიცე და ან ბიძაშენს და შენს ძმას წიგნი მისწერე და[ა]ფიცონ. ფარსადანმა ასე მითხრა: მე არც წავალ და არც წიგნს მივსწერო; ბიძაჩემი იქ არის და ჩემი ძმა, თუ უნდოდესთ და[ა]ფიცონ, თუ უნდოდესთ კელი აიღონ. მაისს კვ, ქორონიკონს უამშ.

ბეჭელი: მონა ღთისა ორბელიანის დიმიტრისძე... შდენ (?)

ქ. მე, ზაალ დავითიშვილი, ამ ბძანების იასაული ვი-  
ჯავ ბატონის ეშოკალაბაშის დიმიტრის ბძანებით და ეს ფალავანდი-  
შვილები თავეთის მოწმებით მაჩაბელს გოგოასთან და  
ელისბართან მოვიყვანე, სანთლები ხელთ ეპყრათ საყდართანა  
და არ დაიფიცეს. ელისბარ ასე თქვა: არ დავაფიცებ, მეოთხედი  
ძლივს მერგება, იაკობ ჩემია, თუნდა ნასყიდი იყოს, თუნდა არაო,  
ღმერთმან მოახმაროსო. ასევე გოგია მაჩაბელმა: ღმერთმან მოახმა-  
როს, არ დავიფიცებო.

ამისი დამსწრენი: შერმაზანაშვილი ოანეზა, გრი-  
ქოლაშვილი ფარსადანა, ტორანკაშვილი გიორ-  
გი, რევაზ საქაშეთს ვნახე, ეს განაჩენი ვაჩვენე, ეშოკალაბაშის  
წიგნი და იმანაც ასე თქვა: არ დავაფიცებ, მარტოხელი კაცი ვარ,  
ღმერთმან მოახმაროსო. ღმრთის წინაშე ეს მოხსენება მართალია.  
იენის[ს] მ, ქორონიკონს უმმ. ეს ჩემი ხელია.

ქ. რადგანაც ეშოკალაბაშის სიტყვით ზურაბ ყაფლანისშვილს  
ფარსადანისათვის უთქვამს და ზაალ დავითისშვილს გოგოა მა-  
ჩაბლისა და ელისბარისა და რევაზისათვის და ისინი ასე  
იწერებინა: არ დააფიცეს, კელი აღესო, დარჩათ ეს მამული ბერსა  
და იაკობს. იენისს ივ, ქორონიკონს უმმ.

ქ. ის ნასყიდობის სიგელი რადგანაც მართლად არ აღმოჩნდა,  
უნდა მოსცეს მაჩაბელმა ფალავანდისშვილებს ბერსა და იაკობს.

- სამი ბეჭელი. 1. მზეჭაბუკ  
2. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ  
3. ჟამი ესეცა წარვლის  
კიდეზე:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი, ამ გარი-  
გებას ვამტკიცებთ. აღიწერა იენისის კბ, ქორონიკონს უმმ.

ბეჭელი: მე ფეხთვანბანილთა მიერ ვკლესია ვადრდე, ერეკლე

ქ. შემდგომად ამ განაჩენისა, რომელიც ფიცით გადაწყვეტილა,  
მაჩაბელს ფარსადანს მისის უმაღლესობისათვის მოეხსენებინა: ასე-  
თი საბუთები ვიპოე, რომ ამ განაჩენის დაწერის ჟამს არა მქონ-  
დაო და კიდეც სამართალში შესვლას ვითხოო.

მისს უმაღლესობას ამათი სარჩელის გამოძიება ოქმით ჩვენ-  
თვის ებძანა. ჩვენ, მეფის ძემან ვახტანგ საქართველოს  
მსაჯულთშეკრებულემა ჩვენთან დავისწარით და თანამდებობისაებრ  
დიდად გამოვიძიეთ, მაგრამ მაჩაბლის მკარეს ასეთი საბუთი ვერ

ვპოვეთ, რომ ეს განაჩენი დაერღვია და რომელიც საბუთი მაჩაბელს მოჰქონდა და იტყოდა, ეს საბუთები ფიცის განაჩენს უკან ვიშოვო, იმით სამართალში წინააღმდეგომი ამ განაჩენისა არა გამოჩნდა რა.

და სამართლის დიდად გამოძიებით ესევე განაჩენი დავამტკიცეთ. დარჩათ სამართლით სიქთურაშვილები დათუა, გოგია და ღვთისია ფალავანდიშვილებს ბერსა და იაკობს. ღღეის აქეთ მაჩაბელს ამათთან საბატონყმით კელი აღარ აქვს. მაჩაბელს რომ სიქთურაშვილების ნასყიდობის სიგელი აქვს, ბათილი არის.

იასაული უჩინე ეშვიკლასბაშო აღათანიკე! ეს სიქთურაშვილები ახლავ ფალავანდიშვილებს უნდა მოაბარებინო. მაისისლა, ქორონიკონს უოე.

ხუთი ბეჭედი:

1. რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით
2. მეფე მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად ქაიხოსრო
3. დივანბეგი
4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
5. არ ირჩევა

კიდეზე:

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველომსა და სხუათა მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ. მთიბათვის გ, ქორონიკონს უოე.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

## 67. არზა ზაზა თარხნიშვილისა შიის თაოგაზე მღვიანავაგთა განჩინებით

1780 წ. 4 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3243. დედანი. ქალაღი. 31,6×19,2 სმ. მხედრული-განკვეთილობის ნიშნად სიტყვის შემდეგ ნახარია წერტილი.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბატონის შვილის გიორგის ქირი მოსცეს ზაზას თარხნის შვილს.

მერმე ამას მოვახსენებთ. მერმე ერთი კაცი ჯავახეთიდან მამივიდა გუდალეთს; ეს გოგია ბიჭი იქ დაიბადა, შაიქნა. ახლა ამ წყა-



ლობას ვითხოვ: მოსამართლე[ე]ბს უბძანეთ<sup>1</sup> სამართალი უყონ<sup>2</sup>, რომ მოსამართლე[ე]ბიც აქ გახლავან. სამართალი მაღირსეთ. ღმერთი გაგიმარჯვებთ. თიბათვის გ, ქორონიკონს უმჟ.

### [განჩინება]

ქ. მისის სიმაღლის მეფის ძის გიორგის ბძანებით გვერდს ვახლდით. ამ ბიჭმა იჩივლა: მამაჩემი ჭავახეთილამ გუდალეთს გარდმოვიდა, ათი წელიწადი იქ დაყო, მაგრამ მასუკან აქა-იქ დავიარებოდიო, ზაზას ყმა არა ვარო.

ზ ა ზ ა ასე ჩ ი ო დ ა: ეს ბიჭი ჩემს სოფელში დაიბადა, იქ იდგა; ჭავახეთილამ გარდმოსულს კაცს ვინ შედავებო. ჭავახეთილამეც ჩვენ გარდმოვიყვანეთ მამა ამისიო.

რადგანაც მოდავე არავინ ჰყვანდა ზაზას ამ ბიჭისა და ჭავახეთილამეც მამა ამისი გარდმოვიყვანათ და თვითან ამ ბიჭმა თქვა — ათი წელიწადი გუდალეთს ვიდექითო, ეს ბიჭი თავს ვერ წაართმევს. ეს გოგია ბიჭი დარჩა სამართლით ზაზა ყორიასულბაშს. თიბათვის დ, ქორონიკონს უმჟ.

ორი ბეჭელი: 1. მ ზ ე ჭ ა ბ უ ჯ

2. ე ამ ი ეს ე ც წ ა რ ვ ლ ის

თავში:

ქ. ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. თიბათვის დ, ქორონიკონს უმჟ.

ბეჭელი: მ ე ფ ი ს ძ ე გ ი ო რ გ ი

## 68. განჩინება ზემო აბაზაძისა და ქვემო აბაზაძის მამულის საქმეზე

1780 წ. 10 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5230. დედანი. ქაღალდი. 49×14,8 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ზემო ა ბ ა ზ ა ძ ე და ქვემო ა ბ ა ზ ა ძ ე ტ ო ლ ი ა ნ ა ს თ ა ნ მიწებზე და ზოგს ტყეზე<sup>3</sup> შეცილებულიყვნენ. ზემო აბაზაძე სახასობით ეცილებოდა, რომ ჩვენი სახასო არისო და ნახევარი ჩემიაო და ნახევარი ქვემო აბაზაძისაო.

ქვემო აბაზაძემ აშორო უთხრა, რომ: არც იყოს სახასო, კიკნა-

<sup>1</sup> უბძანეთ. <sup>2</sup> აქამ წყალობას ვითხოვ. <sup>3</sup> მტყეზე.

ძისაც იყოსო და კიდევ საკიკნაძეოს უძახდენო, სამნებიც ძველი იყოსო.

ამას წინათ ნიკოლოზ მაღალაშვილთანაც ელაპარაკნათ. ნიკოლოზს ქვემო აბაზაძისათვის ფიცი დაედვა, იმხანად ხატი მოესვენებინა და აღარ დაეფიცებინა.

ახლა კიდევ ჩვენთან ილაპარაკეს. ჩვენ განაჩენი დაუწერეთ, იას[ა]ული გავატანეთ, ასე ჩაუწერეთ: თუ ნიკოლოზის დროსა არ ეფიცოს და ახლა გასინჯე, თუ ეფიცებოდეს და სამნები დიდის ხნისა იყოს, და[ა]ფიცე. თუ არ ეფიცებოდეს, არც ძველი სამანი ქონდეს, ნუ აფიცებ.

მოფიცრები მოეყუანა, სამნები ენახათ, ძველი იყო, წამდგარიყუნენ, და[ა]ფიცნათ; კიდევ არ შეჯერებულყვენ.

მოვიდნენ კიდევ ილაპარაკეს: ჩვენც მივედით, გავსინჯეთ, კიდევ ხატი მოასვენეს, ფიცს აპირებდენ, მაგრამ ჩვენ არ დავაფიცეთ. მეორედ დაფიცება არ იქნებოდა.

ჩვენ ის უწინდელი მოფიცრები მოვაყუანინეთ, ვკითხეთ, იმათ ასე გვითხრეს, რომე: ჩვენ ხატი ავასვენეთ, ძალის სამნებზე მოვიტანეთ იქით ბრეგაძის მიდგომამდი, ასე შემოუარეთო და ასე შევფიცეთ, რომ: ეს ალაგი არც სახასო ყოფილიყოს და არც კიკნაძეს გამორთმეოდეს. კიკნაძეც ამ მამულით ქვემო აბაზაძეს რგებოდეს, საკიკნაძეოსაც ეძახდენ, არც ზემო აბაზაძეს ხელი ქონდეს.

რადგან მოფიცრებმა ასე უმოწმეს, ჩვენც ისევ ქვემო აბაზაძეს დავანებეთ. ზემო აბაზაძეს ხელი ავალეზინეთ. დარჩა ქვემო აბაზაძეს. ქორონიკონს უაჭ, თიბათვის ი.

ბეჰელი: მოსავი ღთისა ბატონიშვილი...

## 69. განჩინება ღვთის ციციოზილისა და მისი სახლისკაცების ბარიგების საქმეზე

. 1780 წ. 27 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 874. დედანი. ქალაღი. 43X16,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ციციის შვილის ბატონის სარდალ ქალაქის მოურავისა და იმის სახლის კაცების გარიგებაში დავსხედით მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი თ ე ი მ უ რ ა ზ, ყ ო რ ი ა ს უ ლ ბ ა შ ი ზ ა ზ ა, მ ს ა ჯ უ ლ ი ი ე ს ე და მ დ ი ვ ა ნ ი ს უ ლ ხ ა ნ.

საუფლისწულო როგორც განაჩენში სწერია, ისე უნდა თავთავისი ექიროსთ.

დოესის თეთრი გოგიას აკლია, უნდა მისცეს ექვსი თუმანი და ნიკოლოზმაც უნდა მისცეს ექვსი თუმანი. დაროცა ეს თეთრი დავით მოურავს მიბარდეს, დოესი ციხით საერთო იქნება.

კლიმიაშვილის ბეითალმანი საერთოთ დაიდვა. იის ციხე, ავკეთი ჯავახიშვილთან ათთუმანახევრად გირაოთ ყოფილა და ალექსანდრე სარდალს დაუხსნია; ეს თეთრი საძმო უნდა გამოიღონ და მოურავს მიერთვას.

მაგრამ მოურავი ამას ბძანებდა: ამ თეთრის გულისათვის მამა ჩემმა ერთი ოქროს ჯაჭვი და ერთი სიასამურის ტყავი დედის ჩემისა ჯიმშერს ექვსის თვის ვადით დაუგირავა; ორივე სამოციის თუმნისა იყო. ის ვადაზე ველარ დაიხსნა და ჯიმშერს დარჩაო და აღარ მოსცაო.

ეს მათს უმაღლესობას მოახსენონ და როგორც სამართალი ებძანოსთ, ამაზე ისე გარიგდნენ.

ციხიაზე რომ ლაპარაკობენ, მოურავი ამას ბძანებს: ორმოც თუმნათ ფარსადანმა და იმის სახლის კაცებმა ბატონიშვილს ელენეს დაუგირავესო.

სახლის კაცები ეუბნებოდნენ: ფარსადანმა თავის საქმეზე დაუგირავაო, სახლის კაცები არ ურევიაო და არც სასახლო საქმეზე დახარჯულაო.

ამაზე მოურავს შემოდგომამდინ მულათი მივეციო. თუ თავისი სიტყვა სარწმუნოს მოწით გაამართლა, ეს ვალი საძმოდ უნდა გაიღონ და მამული საერთო იქნება.

და თუ მოწმით არ გარდასწყდა, ერთი თავის საუფლისწულო კაცი გოგიამ წააყენოს, ერთი კაცი ივანემა და პატამ და ერთი კაცი ნიკოლოზმა. და ასე შეაფიცონ, რომ: ფარსადანს თავის თავისათვის აეღოს და სახლის კაცები აღებაში არ ერივნენ.

და თუ ასე ფიცით დაამტკიცონ, მოურავი ნულარ ედავება.

დოელ ბერუახობაღაძე საერთოთ დაიდვა: კავთელაშვილი და ელგანდაშვილი მოურავის გირაოა, როცა საძმოდ დაიხსნან, საერთოდ დაიდება. წრომი საერთოთ დაიდვა. ოთარის მკვლეელი კემუხტაშვილი თავის შვილებით უმამულოთ გოგიას მიეცა.

ბაჟი მთისა და ბარისა და წყლის გამოსავალი როგორც უწინდელს განაჩენში უწერიათ, ისე გაიყონ.

შეწერ-გაწერა, ყმის წახდენა-გაკეთება და ყმის გამოსავალი,

როგორც განაჩენში უწერიათ, სახლის კაცების შეკითხვით, ისე უნდა იქნას.

საუფლისწულოს სოფლების ღალისა როგორც განაჩენში უწერიათ, ისე ადასრულონ.

გოგია თავის საუფლისწულოს მიწას რომ ვერა სწვდება, მარამდნ მისწვდებოდეს, თხუთმეტის ღლისა თავის საუფლისწულოდამ მოურავმა ათხოვოს, თხუთმეტის ღლისა ივანემა და პაატამ ათხოვოს და თხუთმეტის ღლისა ნიკოლოზმა და ამილღაბარ ათხოვონ.

სახლისკაცობაზე უფროს-უმცროსულათ, როგორც განაჩენში უწერიათ, ისე მორჩილნი იყვნენ.

ტ ვ ლ ე პ ი ა შ ვ ი ლ ი მოურავის დახსნილია და იმის შვილი გოგიასია. ო ს ა რ ო როცა გააკეთონ, ერთი კაცი მოურავისა დაღვეს, ერთი კაცი გოგიასი, ერთი კაცი ივანესი და პაატასი და ერთი კაცი კ ი კ ო ლ ა ს ი.

და თევზი როგორც რიგია, ისე გაიყონ.

სახასოდამ ივანესა და პაატას ახლავს მსახურათ მ ი ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი და ხ უ ც ი ა შ ვ ი ლ ი. ნიკოლოზს და ამილღაბარს ახლავს სახასოდამ გ ო გ ი ჩ ა შ ვ ი ლ ი. ახლაც უნდა მივსცეთ სახასოდამ ერთი მსახური. გოგიასაც უნდა მიეცეს სახასოდამ ორი მსახური. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი კ ა ც ი ა ნიკოლოზს და ამილღაბარს ახლავს. ერთი აზნაურშვილი მოურავმა კიდევ აახლოს. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი და თ უ ა და ტ ე რ ი შ ვ ი ლ ი ი ე ს ე ივანესა და პაატას ახლავს. გოგიას ორი აზნაურშვილი როგორც ხლებიან, ისევე ახლდნენ.

საუფლისწულოს კაცს სახლის უფროსი ნურასა სთხოვს და ნურც სამსახურს უბძანებს, ძველს განაჩენშიაც ასე უწერიათ.

გ უ ჯ ა რ ე თ ს ა და ს კ რ ა ზ ე რომ ლაპარაკობენ, ამაზე მათს უმაღლესობას მოახსენონ და სამართალი რაც ებძანოსთ, იმაზე დადგნენ.

მ ე ღ ვ ი ნ ე თ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ზ ა [ა] ლ ივანესა და პაატას ხლებოდა და ამათთან დაბერებულყო. სახლის კაცებმაც ნება დართვეს და ამათვე უნდა ახლდეს.

ხ ო რ ბ ა ლ ა ძ ე ბ ე რ ს მოურავის ცხვრის თეთრი რომ დაზდებია, ის იმ გლეხმა კაცმა მოურავს უნდა მიართვას. და ამ კაცის გამოტანაზე ალექსანდრე სარდალი ბევრს გარჯილა და ორი ტივი დაუხარჯავს. ესეც საქმოდამ უნდა გარიგდეს და მოურავს თავისი მიერთვას. აღიწერა ივნისის კ ზ, ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ს უ ძ ჭ.

ოთხი ბეჭედი:

1. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
2. ზ ა ზ ა
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს
4. მონა ღთისა ს უ ლ ხ ა ნ

თავში:

ქ. ჩვენ, მ ე ფ ე ქართლის და კახეთისა ი რ ა კ ლ ი, ამ გარიგების განჩინებას ვამტკიცებთ. იენისის ლ, ქორონიკონს უაჰქ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

კიდევ: მე, ქ ა ლ ა ქ ი ს მ ო უ რ ა ვ ს დ ა ვ ი თ ს, ამ გარიგების ყა-

ბული მაქ.

დავით

ქ. ჩვენ, ც ი ც ი შ ვ ი ლ ე ბ ს გ ი ო რ გ ი ს, ი ვ ა ნ ე ს ნ ი კ ო -  
ლო ო ზ ს, პ ა ა ტ ა ს, ა მ ი ლ დ ა ბ ა რ ს და ც ი ც ი ს ამ გარიგების ყაბული გვაქეს.

ორი ბეჭედი:

1. დედოფლის ამაგ ვიყავ
2. არ ირჩევა

ხელრთვა: პ ა ა ტ ა

## 70. განჩინება თეიმურაზ მდივანბეგისა და გივი ფარეშთხუცისათვის მამულის საქმეზე

1780 წ. 1 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 51. საბ. № 110. პირი. ქალაღი. მხედრული.

[90] მისის სიმაღლისათვის არზა მიერთმია თ ე ი მ უ რ ა ზ  
მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ს და გ ი ვ ი ფარეშთხუცისათვის ეჩივლა. მისს  
სიმაღლეს ოქმი ებოძა: ზაზა ყორიასაულბაში<sup>1</sup>, ესენი ალაპარაკე და  
გა[ა]რიგ[ე]ო.

დავსხედით მე, თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ყორიასაულბაში ზ ა ზ ა  
და მსაჯული ი ე ს ე და ასე გავარიგეთ, რომელზედაც ჩიოდნენ.  
წ ა ვ კ ი ს ი ს მამულზედ გლეხის ნასახლარებზედ რომ ლაპარაკობ-  
და თეიმურაზ მდივანბეგი, გივს თუ უნდოდეს, რომელიც ნასახლა-  
რი თეიმურაზ მდივანბეგსა რგებია, ისენი დაუცალოს, ხე-ტყე წაი-  
ღოს და დაანებოს. თუ უნდოდეს და სადაც მდივანბეგმა იმისი სა-  
მუქეფო<sup>2</sup> მიწა სთხოოს, იქ მოუზომოს და მისცეს.

<sup>1</sup> ყორიასაულბაში. <sup>2</sup> სამუქეჟო.

მეორეს ამას ლაპარაკობდა გივი ფარეშთხუცესი: მე ფ ის  
ე რ ე კ ლ ე ს წიგნში რომ მიწერია, ფ რ ი დ ო ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა და  
ბ ე გ ლ უ ა შ ვ ი ლ ი ს გარდა ნახევარი წ ა ვ კ ი ს ი უბოძებიაო, ეს  
ორი საკომლო ნახევარზედ მეტი უნდა მეჭიროსო. ამაზედ ბევრი  
ილაპარაკეს და მახსოვარი კაცი აღარავინ ჩნდა. ვერც ეს შევიტყუე-  
ვით, რამდენის დღის მიწის პატრონები იქნებოდნენ. [v] ფიცი უჩნ-  
დებოდათ; და ფიცი ესევე ვამჯობინეთ და ამაზედ დავედგით: მდი-  
ვანბეგმა თეიმურაზ წავკისში ოთხმოცის დღის მიწა საერთოს მა-  
მულიდამ ნახევარზედ მეტი მისცა და ამაზედ გაშველდნენ<sup>1</sup>. ნახე-  
ვარს წავკის[ს] გარდა ოთხმოცის დღის მიწა მეტი უნდა ეჭიროს  
გივს ფარეშთხუცესს. ამაზედ გარდასწყდა ამათი წავკისზედ ლა-  
პარაკი. მკათათვის ა, ქალაქსა ტფილისს, ქორონიკონს უაქშ.

ქ. ეს ოთხმოცის დღის მიწა რვას ადგილს უნდა მისცეს.



მე, თეიმურაზას, ამ გარიგების ყაბული მაქს.



მე, გივს, ამ განაჩენის ყაბული მაქვს.



თავში:

ჩვენ, სრულიად საქართველოს მე ფ ე ი რ ა კ ლ ი, ამ სამარ-  
თალს<sup>2</sup> ვამტკიცებთ. ივლისის კბ, ქორონიკონს უაქშ



71/ მანჩინეაბა ალაგ ხარანგოზიშვილისა და ივანე ბურდულის მამულის

საქმეზე

1780 წ. 21 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5262. დედანი. ქალაღი. 19,2x9,7 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ყ ა რ ა ნ გ ო ზ ი შ ვ ი ლ ი ა დ ა მ ბ უ რ დ უ ლ ს ი ვ ა ნ ე ს  
უჩიოდა, რომ ჩემის ყმის ბ უ რ დ უ ლ ი ს ზ ა ზ ა ს ნაქონი მამუ-  
ლი ავს დროსაგან წართმეული შენ გეჭირაო. მერე მისმა სიმალლემ  
მეფემ ირაკლიმ ჩემი ყმა და მამული მე მიბოძაო; და რაც შენ  
გეჭირა, იმაზე ჩემ მოსაბარებლად ხელი რომ აგიმართესო, მოხველ  
და შემომეხვეწეო: თუმანნახევარი თეთრი მამეო და წელიწადში  
მისაცემათ ორი ცხვარი დაიდეო და ისე გირაობით გამომართვი მა-

<sup>1</sup> გახველდნენ. <sup>2</sup> სამართლის.

მულიო. მაგრამ მასუკან შენგან სიაყვაცისა და შფოთის მეტი რამ ვერა ვნახე რაო; ეს შენი მოცემული თეთრი გამომართვიო და ჩემი ყმის ბურღულის ზაზას ნაქონი მამული დამანებეო.

ივანე ბურღული ამას უპასუხებდა: მანამ იმ შენს მამულს იშოვიდიო, ბეითალმნობის სახელით ჯიმშერს ვმსახურეო და ის მამული მე მამცაო. და მასუკან ბატონმა რომ შენ გიბოძაო, შენც შენის ნებით გირაოთ მამეცო. მართალია, მე შენთან იმ მამულის თაობაზე საქმე ამის მეტი არა მაქვს რაო, რომ ჩემს გირაოს თეთრს რომ მამცემო, შენი მამული უნდა დაგანებო. მაგრამ რაც იმ მამულის შოვნაზე ან ჯიმშერზე და ან მოხელეებზე დამინარჯავს, ის შენ უნდა მამცეო.

ადამ ამას უპასუხებდა: თუ ცოტა რამ იმის შოვნაზე დაგინარჯავს, ის მამულიც კარგა ხანს შენ მოგიხმარიაო.

ჩვენ, ბატონის შვილმა მირიანმა, ჩვენის ძმის ბატონის შვილის ლეონის მოხელე[ე]ბი ჩვენთან დავისწარით და ამათის საჩივრის სამართალი ასე ვსაჯეთ: ივანე ბურღულს იმ მამულის ბეითალმნობით შოვნაზე რაც დახარჯვია, როდესაც ადამს იმ მამულს გირაოთ ართმევდა, მაშინ უნდა ელაპარაკნ[ა]; რადგანც უწინაც დიდხანს სჭერია და არც მასუკან ულაპარაკნია იმ დანახარჯზე და მამული ხელახლა გირაობით გამოურთმევია, რაც თეთრი ადამისათვის ბურღულს მიუცია, ის სრულებით უკან უნდა გამოართოს და თავისი მამული დაქანებოს.

ბოქაულთხუცესო ავთანდილ! ეს ასე აღასრულე. მკათათვის კა, ქორონიკონს უიჭ.

ხელრთვა: მირიან\*

თავში:

ჩვენ, ბატონის შვილი ლეონ, ამ განაჩენს ვამტკიცებ-მკათათვის კგ, ქორონიკონს უაჭ.

ბეჰელი: მრჩობლთა მცხეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

## 72. განჩინება გალუსტა ხანდამაშვილის შიის საქმეზე

1780 წ. 9 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2619. დედანა. ქალაღი. 43×17,5 სმ. მხედ-რული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ხანდამაშვილი გალუსტა — ძე დანელასი ოსკანაშვილს ხაბაზს გოგიაზე ედავებოდა ზაალს, რომ ჩემი ყმა არისო თავუთელიო.

\* კიდევე ერთი ხელრთვაა, რომელიც არ ირჩევა.

ჩვენ, საორბელოს ბატონმა დ ი მ ი ტ რ ი ე შიკალასბაშმა, ჩემის ამისწულის მ ზ ე ქ ა ბ უ ქ მდივანბეგის თანდასწრებით ეს სამართალი მივეცი: თ ა გ უ თ ი რათგან ნახევარი ჩვენი სახასო არის და ნახევარი ხანდამანთი, ჩვენ ამ ხანდამაშვილს გაყრილობის ბარათი ვთხოვეთ, რადგან გაყრილი ხარ, უნდა ბარათი გქონდესო, თუ არადა, საერთო იქნებაო. და თუ საერთო იქნება, ხანდამანთი ერთი სახლისკაცი ზაალს ახლავს და მრავალს გარჯასა და დანახარჯსაც ამბობს, ზაალს ეს ბიჭი აღარ წაერთმევა.

მაგრამ სამართლით ჩვენგან ეს ორი იძიება: პირველად ეს რომ, უნდა გაყრილობის ბარათი მოიტანოს გალუსტამა, თუ საკუთარია; და თუ ბარათი არა აქვს ორი სარწმუნო მოძღვრიანი კაცი შეაფიცოს, რომ არც ნათესავი იყოს და არც მტერი. და ასე ფიცოს, რომ: «ეს ოსკანაშვილი ხაბაში გოგია ხანდამანთ ყმა იყოს და საკუთრად დანელას ბარათში ნარგებიც იყოს, რომ არას ხანდამაშვილს წილი არ ედვას». როდესაც ასე შეფიცავს, ზაალს საქმე არა ექნება რა. და თუ ვერ დაიფიცა, დარჩება ეს ხაბაში გოგია ზაალს. ივლისის ა, ქორონიკონს უაჟ.

ვ ა ხ უ შ ტ ი, ეს საქმე შენ გა[არიგე. ბეჰელი: ორბელიანი ეშვიკალასბაში დიმიტრი.

ოცს დღეზე ეს საქმე უნდა გარიგდეს. და როდესაც დაიფიცოს და ან არ დაიფიცოს, შენც მოწმობა უნდა მოწერო. ბეჰელი:

კიდეზე სხვა ხელით:

ქ. მე, ეშვიკალასბაშის მსახურმა ვახუშტიმ, ამისი იასაული ვიყავ გალუსტასი. გალუსტამ ვერ დაიფიცა. დარჩეს ბიჭი ზა[ალსა. დაიწერა მარიამობისთვის თ, ქორონიკონს უაჟ. ბეჰელი არა მქონდა და ეს ჩემი ხელია.

### 73. ბანინება ტაბია სახლთხუცის ამის არუთინა მირაჰაჰვილის საქმეზე

1780 წ. 9 ოქტომბერი

ბელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9016. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მისის სიმალისათვის შეეჩვილა მ ი რ ა ქ ა შ ვ ი ლ ს ა რ უ თ ი ნ ა ს: მე ბორაგული ვარ და იქილამ გხლებივარ და თითოს დღეს მკას უშველიდი აზნაურიშვილებს ე ვ გ ე ნ ს, ვ ა რ ჯ ა ნ ს და ს უ ლ ხ ა ნ ს და ახლა ტ ე ტ ი ა სალთხუცესი ნასყიდობით მეჭიდება; მე წმინდის გიორგის ყმათ მოვსულვარ, ეს არ ვიცი, იმას ვინ მიმყიდა და არცარა ამაგი აქვსთ იმათ ჩემზედ: ერთი სომეხი მოვსულვარ,



მოვნათლურვარ და წმიდის გიორგისათვის თავი შემეწირავს სამართალი მადირსეთო.

მის სიმაღლეს ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებისათვის ამათი საჩივარი ებრძანა. ჩვენთან დავისწარით მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ო ტ ი ა და მოუწოდეთ ამის მოადს — სალთხუცესს ტეტის.

ტეტამ ასე უპასუხა: თუ ჩემი ყმა არ იყავ, ნ ი კ ო ლ ო ზ ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ა რათ დამიბეჭდა გასამყრელოს ბარათი, რომ შენი თავი მე მიწერია ყმათ და ან ის რატომ არ მედავა.

მეორეს რომ ამბობ, მე წმინდის გიორგის მამულზედ ვიდექო, აქამდენ ჩვენც იმის მამული გვეჭირა იმის აზნაურშვილებს და შენც მისთვის იდექო.

კ ო ზ მ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს მოეწერა გიორგი მღვდლისათვის: თქვენ წიგნი რომ გებოძათ და ამათის დავის ვითარება გეკითხათ, მე ასე ვიცი: ჩემი დედიდაშვილი სალთხუცესი პაატა მოვიდა და მითხრა: კაცს ვყიდულოფ და თეთრი მიკლიაო. სამთუმანნახევარი გამომართო და მეოთხე დღეს ეგ ბიჭი ამოატარა. წმინდის გიორგის მადლს ვფიცავ, ასე იყო.

და სამართალში მოვიდნენ ალავერდლის მდივანი ბ ე ყ ა ნ, ალავერდელის ბოქოულთხუცესი ა ქ ა ზ ი და მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი, ამათ ასე თქვეს ფიცით, რომ: ეს კაცი იმისი ყმა არის, არავის ხელი არა აქვსო და ნიკოლოზ ალავერდელის ბარათი აქვს, რომ იმას გაუყრია ესენი. ეს ა თ უ ა ამას რგებია. ამათის მოწმობით გული დავაჯერეთ, რომ ბარათი აქვს.

და მეორე ეს, რომ ეს ათუა მორიგის დავთარში სალთხუცის ყმათ ეწერა; ვნახეთ ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულეზამ, ნიკოლოზ ალავერდელის გაყრილობის ბარათი, რომ იმას გაუყრია ესენი, და ეს გლუხი ამას რგებია.

და მე სამე<sup>1</sup>, კოზმან ჭავჭავაძეს რომ ასე მოუწერია, ოთხმოცის წლის კაცი არის დღეს, მორიგის დავთარში სალთხუცის ყმათ რომ სწერია.

მეოთხე ეს, რომ მოხელენი ასე ფიცით ამბობენ სამართალში. ჩვენ ამ ოთხის საბუთის აზრებით ეს მირაქაშვილი ათუა სალთხუცესს ტეტის დარჩა ყმათ.

<sup>1</sup> მესამე] მეორე.

კარის იასაულო რამაზავ და ოთარ! ეს ასე გა[ა]რიგეთ.  
ოქტომბრის თ, ქორონიკონს უაჲ.

ბოქოულთხუცესო აქაზ! შენ მიაბარე ეს კაცი სალთხუცესს

|  |                                |                                   |
|--|--------------------------------|-----------------------------------|
|  | მონა ღისა მღივან-<br>ბევი ოტია | მონა ღისა მღივან-<br>ბევი თემურაზ |
|--|--------------------------------|-----------------------------------|

მინაწერი:

რომელიც გვეოლია მირაქაშვილი ნასყიდი, ამ სიგლის ძალი-  
თა ჩვენ — სულხანის შვილებს ზარასპას, გოგიას,  
ლუარსაბს, ბესარიონს და მიხაილს, თავისუფლობა  
მოგვცია; ასე, რომელი იობასათვის იმაზედ ბატონყმობაზედ  
საქმე არა გვაქვს, გაგვინთავისუფლებია; რომელზედაც ხელს ვაწერ  
კეთილშობილი ლუარსაბ სულხანოვი.

მე, სულხანოვი კეთილშობილი ზარასპი, ხელს ვაწერ ამ სიგელ-  
ზედ და ამასთან საქმე არა გვაქვს, ამ ჩვენ ყმას იობასთან საქმე აღა-  
რა გვაქვს რა, თავისუფლება მიგვცია მირაქაშვილისათვის.

#### 74. განჩინება გარსევიან ეშიკაღასბაშისა და შარახანანთ მოსესას სახლების საქმეზე

1780 წ. 21 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1316. დედანი. ქაღალდი. 29,6×20,5 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია წერტილი.

ქ. ბედნიერ კელმწიფეს<sup>1</sup> ოქმი ებოძებინა მელიქის ნაიბი მი-  
კირტუმაზედ, რომ სარუხჩანთ სახლები ვისთანაც გი-  
რაო არის, გირავოს თეთრი გარსევიან ეშიკაღასბაშს გა-  
ჰოართო და მოგირავეს მისცეთ და სახლები ეშიკაღასბაშს მიაბარათ.

ეს სახლები პატრონისაგან დაგირავებული იყო ყარახანანთ  
მოსესთან ოცდაორ თუმნათა, რომ მუჰტაბარი სანათი ჰქონდა  
და სახლებზედაც გირაოს თეთრის გარდა მოსესას დანახარჯი ჰქონდა.

ამ დანახარჯის ბარობაზედ ჩვენ, მელიქის ნაიბი მამასახ-  
ლისი ზაქარია, აბესალამაანთ პასრათა, მუნთო-  
ანთ ოსეფა, შაბუდაღანთ დავითა, მოვედით, სახლე-  
ბი ვნახეთ, კალატოზი მოვუყვანიეთ მოსესას დანახარჯი სახლებ-  
ზედ ვნახეთ. მოსესას ნუხსები ჰქონდა, რომ გირაოს გარდა ოცდა-  
ორი თუმანიც დაეხარჯა.

<sup>1</sup> კელმწიფემ.

ჩვენ ზემო კაცები ასე გავარიგეთ, რომ: კბ (ოცდაორი თუმანი) ამდენი გირაოს თეთრი, იშ (თვრამეტი თუმანი) ამდენი ციდანახარჯი, რომ შეიქმნება ორმოცი თუმანი, ეშიკალასბაშს გამოვართვით მოსესას მივეცი და სახლები ეშიკალასბაშს დავანებეთ. და მოსესას დავირავებულნი სანათი და ზედ დანახარჯის ნუსხებიც ეშიკალასბაშს მოვეცი მოსესაგან ხელი ჩართული. ღვინობისთვის კლ, ქორონიკონს უაქ.

ამ სახლის ძველი სიგელიც გარსევან ეშიკალასბაშს მივეცი, რომ იმას აქვს, და მაგრამ როცა ამ სახლის პატრონი მოვიდეს, ორმოცი თუმანი პატრონმა გარსევან ეშიკალასბაშს უნდა მისცეს და სახლები პატრონს დანებდეს. და თუ პატრონი არ მოვა, ნება და ბძანება კელმწიფისა აღსრულდება.



ქ. ბატონი გარსევან ეშიკალასბაშისაგან მე, ყ ა რ ა ხ ა ნ ა [6] თ მოსესას, მომეზარა ამ განაჩენისა ორმოცი თუმანი ქალაქის ოთხი დანგნი<sup>1</sup> სირმა აბაზი.

მე, შ ა ბ ზ დ ა ღ ა ნ თ დ ა ვ ი თ ა მ, მოსესას სიტყვით დავწერე და მოსესას ბეჭედი. ღვინობისთვის კლ, ქორონიკონს უაქ.

ბეჭედი: მონა ღთისა მოსესა

## 75. განჩინება ალამ ხარაპოვიშვილისა და ვოგია პრივოლაშვილის

### მამულის საქმეზე

1780 წ. 80 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2200. დედანი. ქალაღი. 60,5X30,2 სმ. მხედრული. განკვეთილების ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

მისის სიმაღლის მეფის ძეს არაგვის მპყრობელს ბატონისშვილს ლეთნს ყარაგოზისშვილის ადამისა და გრიგოლაშვილის გოგიას სამართალი ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებისათვის, ებძანათ. ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ.

ადამ ამას ჩიოდა: ბარძიმ ერისთავმან ჩემი მამაბიძანი ზოგი გარდაყარა, ზოგს თვალი მოსთხარა და მამაჩემი კახეთს გარდაეარდა. მამული სხვათაც წართმეული ქონდა და ჩვენცა.

<sup>1</sup> დანგნი.

იმ გარდავარდნაში რაც წიგნები ჰქონდათ ჩემს მამა-ბიძათ, გრიგოლაშვილს მიაბარესო.

როსცა ღმრთის მოწყალეობა მოგვევლინა და მე ვემერეკლემ შეგვიწყალა, ჩვენის მამულის წყალობა მეც მიქმნა და სხვა-თაც თავ-თავისი უბოძა. და მე ეს წიგნი მიბოძა, რომელიც დღეს ხელთ მიჭირავს. მოვედით საერისთოს, ჩვენი მამულები დავიჭირეთ. გრიგოლაშვილს ჩვენი წიგნები ვთხოვეთ; გვატყუა, მოგცემო და არ მოგცა.

სამი მღვდელი მყავს მოწამე და იმათი კელითწერილი მიჭირავს, რომ მამაჩემი წიგნებსა სთხოვდა. და გრიგოლაშვილი ეუბნებოდა: ერთი ვეცხლით მოქედილი ხის ბარძიმი მახარია და წიგნებიო და მოგცემო.

ახლა ვთხოვ წიგნებსაო და მეუბნება: შენის მამა-ბიძებისაგან მოსყიდული მაქვსო; გასინჯეთ, თუ ან შესაწყნარებელი წიგნებია, ან მოწამენი ჰყავს, ნება სამართლისა არისო. თუ არადა, ჩემის მამულის სამართალი მომეცითო.

გრიგოლაშვილი უპასუხებდა: ნასყიდობის წიგნები კელთ მიჭირავს, შენს მამა-ბიძათ მოუყიდიათ და ძველი წიგნიც კელთა მაქვს, რომლითაც ეს მამულები გეჭირათ; ორმოცი წელიწადია მამული კელთა მაქვს, თუ სადაო გქონდა, რატომ აქამდის, სადამდის მამა და პაპა ცოცხალნი მყვანდნენ, იმათ არ ედავერ. მერმე ბარძიმ ერისთვის წიგნი მაქვსო, რომ ეს ნასყიდობაც დაუმტკიცებიაო და აზნაურშვილობაც უბოძებიაო და ნება სამართლისა არისო.

ამისი პასუხი ასე უთხრა აღამ: ჩემი მობარებული წიგნები რომ გქონდა, რომელსაც მამაჩემი პაპა შენს სთხოვდა და ატყუებდა, მოგცემო და არ მისცა, იმ წიგნზედ გააკეთე ეს ნასყიდობის წიგნიო; თორემ როგორც ჩემი წიგნია ბეჭდებიანი და ქორანიკონი უწერია, შენი ნასყიდობის წიგნი რატომ აღარ არის ისეთიო. თუ ჩემს მამა-ბიძათ ბეჭედი არა ჰქონდათ, წერა რომ ყველამ კარგად იცოდნენო, რატომ კელი არ აწერიაო, ან მოწმის ბეჭედი რატომ არ გიზის და ან კელი არ არის მოწერილი.

და ორმოცი წლის ჰერას რომ ამბობ, აქამდის ხარაბა იყო, კვნა არ იყო და თესვა და წიგნები შენ გებარა, არ მაძლევდი და რით უნდა მედავნაო.

ბარძიმ ერისთვის წიგნის ბოძებას რომ ამბობ, ის წიგნი არც ბარძიმ ერისთვის მოცემულიაო, არც იმისი ბეჭედი უზის და არც იმის ქმებისაო. ლაზარე ნაზირი პაპის შენის სიმამრი იყო და იმან დაგიწერათ ბარძიმ ერისთვის სიკვდილს უკანო. თუნდა კიდეც

ებოძებინოს, მაშინ არაგვზედ მამული სხვათაც წართმეული ჰქონდათ და მეცაო. ახლა მოწყალე კელმწიფემ სხვათაც უბოძა თავთავეთი მამული და მეც წყალობა მიქმნა; სადაც ჩემს მამულს დავაქვლებ, კელს მოვკიდებო; და თუ ნასყიდობით მედავები, ეგ სამართალმა იცისო.

ჩვენ ეს წიგნები მოვატანიინეთ. ბარძიმ ერისთვის მიცემული წიგნი, რომელიც ლაზარე ნაზირის დაწერილი იყო, ბარძიმ ერისთვის ბეჭედი იჯდა, მაგრამ ვერ ერწმუნებოდა კაცი. ამისთვის, რომ სადაც იმის ბეჭედი გვინახავს, არც ერთს არ გვანდა. და თვითან ის ბეჭედი წაფხეკილი და დაფანჯრული იყო და ქორანიკონის რიცხვზედ ზედ დაესვათ, რომ ასო აღარ ჩნდა და უბრალოს მურით იყო, რომ კელს ეცხებოდა და არ იკადრებდა იმით დაბეჭდვასა; იმისის ძმების ბეჭედები ისხდა, არც ჩნდა და კასმათი დაგრეხილი და მრუდი ჰქონდათ, არც ისინი იკადრებდნენ იმისთანას ბეჭედების ქონებასა.

რომანოზ მთავარეპისკოპოსის ბეჭედი იჯდა საჩინოდ, მაგრამ ამით არ გამართლდებოდა ის წიგნი. ამისთვის, რომ იმ ჟამს აქ არ ბძანდებოდა და მასუკან თუ უსვა, არ შეირაცხება.

ნასყიდობის წიგნი ვნახეთ, ტეტია ნაზირის დაწერილი იყო, არც მოწმის ბეჭედი იჯდა, არც კელმოწერილი [იყო], არც ადამის მამა-ბიძათაგან იყო კელმოწერილი, არც ბეჭედი იჯდა. და ამისთანა ნასყიდობა ძნელად შესაწყნარებელია მოსამართლისაგან, მოწამე არ მოსდევდეს და მიმსყიდველი არც ბეჭედს სვემდეს. არც კელს აწერდეს.

ჩვენ ამ წიგნებს ვერ ვერწმუნენით და ეს სამართალი მივეციით: დღეს საერისთოში სარწმუნო კაცი არიან და იმ ჟამისა კარგად იციან: ანანურის დეკანოზი დავით, ზოდოკე მღუღელი და ჩრდილელი. თუ ამათ სულზე კელის დადებით იმოწმონ; და აგრევე ამ მამულის მეზობლებმა: ბაზალელმა ლაღაშვილმა დემეტრემ, ჯარიაშვილმა ცოტიაშვილმა — ამათ ფიცით არწმუნონ სამართალსა, რომ მართალი ნასყიდობაც იყოს, დასწრებოდნენ და ქეშმარიტად იცოდნენ, ადამს რაღა სიტყვა ექნება.

და თუ ამათ ფიცით ვერ უმოწმონ, მაშინ ადამმა რვა უმტერ-უმოყვრო მოფიცარი შეუგდოს, რვაში ოთხი იშოოს და მეხუთე თვითონ მიჰყვეს და ასე იფიცოს, რომ: ადამის მამა-ბიძათ სრუ-

ლის გულით კიდევ მიეყიდოსთ, ფასიც აელოსთ და წიგნიც სწორე და ჰეშმარიტი იყოს; და ის ძველი წიგნიც ნასყიდობით მიეცესთ, არა თუ მიბარებათ; და ბარძიმ ერისთვის წიგნიც იმის ერისთობაში იყოს მიცემული და ბეჭდებიც იმათი ისხდეს».

თუ ასე შეპფიცა, ადამს სიტყვა აღარ ექნება რა. და თუ ვერ შეპფიცა და არც მოწმებმა უმოწმეს, ყველა სიცრუისა ყოფილა და ყველა ტყუილი. და დარჩება ადამს სონის შვილის მამული, ლაფაურის მამული, აზალდურის მამული და თორელაშვილის მამული.

და ის ძველი წიგნიც უნდა მოსცეს გრიგოლაშვილმა ადამს, რომელიც პაპუა ერისთავს მოუცია ადამის მამა-ბიძათათვის. და დღეის იქით ვედარ ედავება გრიგოლაშვილი ამ მამულებს და ვედარც კელს მოჰკიდებს.

ჩვენ მათის ბძანებით ასე გავაჩინეთ. ნება და ბძანება მისის სიმაღლის მეფის ძისა არის. ქალაქს ტფილისს, ოკლონბერს ლ, ქრისტეს აქეთ ჩღპ, ქორონიკონს უაჰ.

ქ. ეშვიკალასბაშო ზაალ, ასე გაარიგე.

ხუთი ბეჭედი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჰომი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748
2. მზექაბუკ
3. მონა ღთისა ოტია
4. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ
5. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

ქ. მე, ბოქაულთხუცის შვილი ავთანდილ, ამ განჩინების ძალით იასაული ვიყავ; გრიგოლასშვილმა გიორგიმ ვერ შეპფიცა. დაიწერა იანერის ბ, ქორონიკონს უათ.

ქ. ეს რომ დაეწერა ბოქაულთხუცისშვილს, ჩვენ ამას ვერ ვერწმუნებით. თვითონ იმ ბოქაულთხუცესს ავთანდილს წიგნი მივსწერეთ და ვკითხეთ: რადგანც იასაული შენ იყავ, იფიცა და ან ფიცავს თუ არაო. ავთანდილს ეს მოეწერა: არც უფიცავსთ და ვერც ფიცვენო. მე, წილკნელს, დაწერიანა ეს მოთხრობაო და თვითან აზბროსი წილკნელის დაწერილი იყო. რადგანც ეს წერილი ვნახეთ იასაულისა და სამი თვეა არც მოწამე მოიყვანეს, არც საბუთი მოიღეს და ვერც ფიცვენ, დარჩა ეს მამული ადამს. კელი აუმართე და მოაბარე. იანეარს კვ, ქორონიკონს<sup>1</sup> უათ.

<sup>1</sup> +ქკს.

ოთხი ბეჭედი:

1. მ ზ ე ქ ა ბ უ კ
2. მონა ღთისა ო ტ ი ა
3. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
4. ჟამი ესეცა წარვლის

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფე ირაკლი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. იანვრის 4<sup>მ</sup>, ქორონიკონს უოე.

ბეჭედი: მე ფებთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალ-დედოფალი, ბატონი დადიანის ასული, პატრონი დარეჯან, ამ განჩინებს ვამტკიცებთ. მარტის 6, ქორონიკონს უოე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

მარცხენა კიდეზე:

ქ. ჩვენ, ბატონი შვილი სრულიად არაგვის საერისთაოს პატრონი ლეონ, ამ განჩინებს ვამტკიცებთ. გიორგობის 3, ქორონიკონს უაჟ.

რომელიც მოწმები მსაჯულთ ამაში დაუწერიათ, იმათ გარდა სხვა მოწმებიც რომ იყვნენ, რომ სამართალი იმათს მოწმობასაც შეიწყნარებდეს, იმითიც იქნება გარდაწყუეტა.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

ქ. როგორც სანატრელს ბატონისშვილს ჩვენს ძმას ლეონს დაუმტკიცებია ეს განჩინება, ჩვენც, სრულიად საქართველოს მეფის ძე ვახტანგ და არაგვის საერისთოს მპყრობელი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. იანვრის 8, ქორონიკონს უოე.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

## 76. განჩინება ზაზა ამირაჯიზის უმის საქმეზე

1780 წ. 11 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1450. დედანი. ქალაღი. 17,5x11,2 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ამირეჯიბი ზაზა ამ თამასუქით ჩვენ, საქართველოს მსაჯულთან, იჩივლა. ჩვენ, მსაჯულთ, ამისი სამართალი ასე განვაწყესეთ:

ამ ზაზას განაყოფს ქაიხოსროს რომ ამისთვის თავისი მემკვიდრე გლეხი წაღვლევი ხარაზის შვილი ამისთვის გი-

რათ მოუცია და მერმე შინდელის დავითის შვილისათვის მიუყიდნია, თუ უწინ ამ ზაზასთვის დაუგირავებია, ის კაცი სამართლით ამ ზაზას ერგება, სარამ თავისი თეთრი მოეცემოდეს, ამას უნდა ყვ[ა]ნდეს.

თუ უწინ შინდელის დავითის შვილისათვის მიუყიდნია და ამისთვის ტყუილათ თამასუქში ის გლები დაუწერია, სამართლით ის გლები დავითის შვილისა არის და ქაიხოსრომ ამ ზაზას თავისის თეთრის პასუხი უნდა გასცეს.

ეშიკალასბაშო ზა[ა]ლ! ეს ასე უნდა აღუსრულო. ის გლები თუ უწინ ზაზას გირაო იყოს, ამას მოაბარე. თუ ამისგან უწინ დავითის შვილს ეყიდნოს, იმისი იქნება, ამისთვის თავისი თეთრის პასუხი მოაქვინე.

გიორგობისთვის ია, ქორონიკონს უძღ.

ეს შინდელი დავითის შვილი რომ სამართალში მოწოდებული იყო და სამართალში მოვიდა, ისე წავიდა; იმისი გულისთვის ეს გლები ამ ზაზას მოაბარე ახლავ. და დავითის შვილს თუ წიგნი აქვს, მერმე მოიტანოს და სამართალი მაშინ მიეცემა. ახლავ აუყარე და ამ ზაზას მოაბარე.

ორი ბეჭედი:

1. მ ზ ე ჭ ა ბ უ კ
2. მონა ლთისა ო ტ ი ა

## 77. ზანინება ელიზბარ ჰავთარის შვილისა და ნათლისმცემლის.

ჟმის საჰაჰე

1780 წ. 23 ნოემბერი

ცსა. ფ. 1449. საბ. № 2767. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მისის სიმაღლისათვის შეეჩვილა ჰავთარის შვილს ე დ ი შ ე რ ს: ჩემი ერთი მკუ[ი]ღრი ყმა შავიკაცის შვილი პ ა პ ა ნათლისმცემლის არქიმანდრიტს ყმად უსახლობს, სამართალს ვითხოვო.

მის სიმაღლეს ოქმით ებძანა არქიმანდრიტის ეფთვი-მესათვის: თუ სიტყვა არა გქონდეს რა, ეგ კაცი ამას და[ა]ნებო; და თუ სიტყვა გაქვს, სამართალში ელაპარაკეო. ამ ბრძანებით ორნივე ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულების, სამართალში მოვიდნენ.



არქიმანდრიტი ეფთვიმე ეპასუხებოდა: შენ რომ მისის სიმადლისათვის აგრე მიფ[არვით] მოგიხსენებია, მართალია, შენი სამკუ[ი]დრო ყმა იყო, მარა პირველ ეს, რომ ოსმალობას არის ჩამოსული მამა ამისი, მეორეს, რომ ქრისტეს აქეთ ჩღმვ — ამ წელს გიდავნია და წიგნი მოგიცია ნასყიდობისა, რომ მოგიყიდია არქიმანდრიტის სვიმონისათვის, რომ ეს წიგნი ბატონის შვილის მარიამისაგან არის დაწერილი.

ედიშერ ეპასუხებოდა: ეგ წიგნი ჩემი მოცემული არ არის, და ამის მეტად ეგ წიგნი არ მინახავს; და თუ მართალია ეგ წიგნი, რად ემოწმები, არა სწერია და ან მწერლის სახელი რად არ სწერია?

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულეებამ ეს წიგნი ვნახეთ, ასე ეწერა: ჩემი მკუ[ი]დრი ყმა შავისკაცის შვილი პაპა ოსმალობას ჩამოსულიყო და წინამძღვრის ხართონის დროს. ახლა ეს ნასყიდობის წიგნი მომიცემია, რომ მეკელი აღარ მქონდესო ამ კაცთანაო.

ჩვენ, მსაჯულთ, ეს სამართალი მივეციით და ამით ვერწმუნებით ამ წერილს, რომ ბატონის შვილი მარიამ სწერს ედიშერის და ამის ძმის მაგიერ; ღირსი და პატიოსანი არქიმანდრიტი სერაპიონ ყიდულობს ეკლესიისთვის. და ესეც კეშმარიტებით ვიციით, რომ ის ღირსი კაცი ამისგან წარტაცებით ეკლესიას არ შესწირავდა. მეორე ეს, რომ: ბატონის შვილი რად ჩასწერდა თავის სახელს იმ წიგნში. და თუ ამისთანა ან მწერალი და ან მყიდველნი ამისთანა გვამნი არ ყოფილიყვნენ, ედიშერ რომ აშოროს ამბობს, ეგ ჩემი მოცემული წიგნი არ არისო და არც ბეჭედიო, სამართალი ედიშერს ფიცს დადებდა; მარა ჩვენ იმ ორს კეთილის გვამის ნაწერს და მსყიდველისაგან წიგნს ვერწმუნებით და კეშმარიტებით ვიცანით. იმ წიგნით ეს გლეხი დარჩა წმინდის ნათლისმცემლის მონასტერს.

იასაულო გოგია ვ, ეს ასე გარიგე: ნოემბერს კვ, ქო-

რონიკონს უამშ. 

|                      |
|----------------------|
| მონა ლთ-<br>ისა ოტია |
|----------------------|

|  |
|--|
|  |
|--|

1750—1780 წწ.

ცსა. ფ. 1448. № 1446. დედანი. ქალღდი. 40,5X 14 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება მაქსიმეს კუთათლობის წლებით.

ქ. დავჯედით ბქვენი და მოსამართლენი და გავებქვეთ ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე და თათიეიშვილი ხოსია.

ქუთათელმა უჩივლა: ჩემს კაცს მახარობელს მარდალეიშვილს კაცი შემოაკვდა და შენ მოგენდო და შენის სახლით და შენი საქმობით ის კაცი გამიეცი და ინაკავაძეს მიეცი. მერმე ჩემქმა მოხელეებმა დახსნა მოინდომა. იმ კაცის თავდები შენ იყავი, წაიტანე ჩემი ხელოსნები და იმ მარდალეიშვილის შვილი გაყიდე ქუთაისს და თეთრი ინაკავაძეს მიეცი და ჩემს კაცს საუდლო წიგნი მიეცი და ერთი ფრული ჩემს მოხელეებს გასამრჯელო გარდაახდევინე. და ის კაცი ჩემთვის ესახლა. მერმე ინაკავაძე მოვიდა და დეობა დამიწყო. გითხარი შენ: «ეს საქმე შენი ნასაქმი არის». და, «თუ შემომივია რასმე, ამ კაცს მე გავისტუმრეფო», და შენ დამითხოვე და გენდვე, არაფერი მივეცი; და ეს კაცი შენის დათხოვით დამეკარგა.

თათიეიშვილმა უპასუხა: მართალი არის, დავითხოვე, მარა ასე მოგახსენე: «თქვენს მოხელეებს ფიცი ემართა ინაკავაძის და თუ იმ ფიცით თქვენი მოხელეები გაისტუმრებს, ინაკავაძე თქვენ ვერას შემოგივიაო». ის ფიცი თქვენმა კაცმა არ გარდიხადა; და დრო გვიშოვნა ინაკავაძემ და თქვენი კაცები დაყიდა.

ქუთათელმა უჩივლა: ჩემის მოხელის ფიცი არ გითქვამს, ისე დამითხოვე და გენდვე. და ეს კაცები შენით დამეკარგა, თვარა არაფერი მიჭირდა, დავიხსნიდი.

თათიეიშვილმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თათიეიშვილი<sup>1</sup> და თერთმეტი თავისი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და ასე უფიცოს: «არც თავშიდ შენი კაცი მარდალეიშვილი ჩემი სახლით და ჩემის საქმობით დაგკარგოდეს; არც ტყვე რომ გაყიდეთ, ერთი მარჩილი რაც ზღის ქირა არ მომცა მამამისმა, არც ფრული შენთვის გამომერთმისო; და

<sup>1</sup> თათიეიშვილი.

არც ეგ საუდგო წიგნი ჩემი მოცემული იყოს; არც დამეთხოვო, თუ: ინაკავადეს ნურაფერს მისცემ-თქვა ფიცის უმიზეზოთ და მი[უ]ცემ-ლათ; არც ბოლოს რომ ბოქაული მოუვიდა, ის ბოქაული ჩემის საქ-მოებით მოგსლოდეს; და არც ვრეოდე».

თუ ასე უფიცოს, არას ემართლება თუ ვერ უფიცოს, რავდენი ტყვე იყოს, ფასი მისცეს და სულის სისხლი მისცეს.

## 79. განჩინება იოანე მღვივანისა და ანტონაშვილის სახლის საქმეზე

1781 წ. 18 იანვარი

ტსა. ფ. 1448. საბ. № 461. დედანი. ქალაღი. 28,2×17,7 სმ. დაზიანებუ-ლი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახშირია წერტილი.

ქ. მისს სიმალლეს კელ[მ]წიფე დედოფა[ლს ანტონას] შვილი-ის[ა და იოან]ეს სამართალი ებძანათ.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, მელიქის ავეტიქასა და ასრათასა და ნაზარბეგის შვილი ოსეფას თანდასწრებით ეს სამართალი მივეციით.

იოანე მღვივანს რომ თავისის სიძის სახლი [მისის სი-მალლის ბძანებით უყიდნია] — ეს ოცდაათი თუმანი იმ სახლების მოგირავენებს უნდა გაეყოსთ. მიქელ მლუდელი რომ პირვე-ლი მოგირავენა და მისცემია  $\text{შ}$  (რვა თუმანი), თუ არ მისცემია, იჩივ-ლოს და გამოართოს. მეორე მოგირავენე რომ ეს ანტონას-შვილია და ამას მისცემია  $\text{ეზ}$  (ხუთი თუმანი და ექვსი მინალ-თუნი). მესამე მოგირავენე რომ მელიქია და ამას მისცემია  $\text{ი}$  (ათი თუმანი), დარჩება ძირს ვ  $\text{წ}$ ; ეს ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი იოანე მღვივანმა სარგებლით უნდა მისცეს. ამისთვის, რომ ამ სახ-ლის ფასი რომ ოცდაათი თუმანი ყოფილა, მაშინვე უნდა მიეცა. და რადგანც სახლშიაც თვითან მდგარა და ეს თეთრიც იმის კელში ყოფილა, რაც თეთრი დარჩომია და არ მიუცია, ერთიორად უნდა მისცეს.

მერმე დასხდენ ამ სახლის მოგირავენი მიქელ მლუდელი, ეს ანტონას შვილი და მელიქი და როგორც ქალაქის რიგია, ისე გაიყონ. ამ ანტონას შვილსა რაც სახლზე შენობის დანახარჯი აქვს, ისიც ჩაუგდონ და რაც თამასუქში გირაოიანი თეთრი უწერია, ისიც უანგარიშონ; და უგირაოს თეთრს კი ნუ იანგარიშებენ, სხვისაც ბევრ[ა] და ამისიცა, და გირაოიანი თეთრი კი არ დაიწვის.

იოანე მღვივანი რომ კიდევ ერთ თუმანს სამარხს ამბობს და

ყაბზი უქირავს, თუ საბუთი უყონ, რომ იმ მიცვალებულს სხვა სამარხი დარჩომოდეს რამე, ნუ ჩაუგდებენ; თუ არა დარჩომოდეს რა, ესეც ამ მოგირავენებმა მოირიგონ. ასე გარდასწყდა ამათი სამართალი. იანვარს იგ, ქორონიკონს უფთ.

ქ. რომელსაც მეტი თეთრი წაელოს და არ ერგებოდეს, იმდენი რაც დაედვას, სარგებლით უნდა დადვას ის თეთრი; ამისთვის, რომ მეტი არ უნდა აელო.

სამი ბეჭედი:

1. მ ზ ე ჭ ა ბ უ კ
2. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

ქ. ამ განაჩენში რაც იოვანე მდივანზე თეთრი იყო და წერილი, თავისი სარგებლით მამბარდა მე ნონიასა. მე, თავილდარს ფარსადანს, დამიწერია ნონიას ყაბულობით.

ქ. ამ სამართალში ბატონს მდივანბეგებს ვახლდი, რომ ასე გაასამართლეს: და ჩემი გირაო[ე]ბისა რომ უბძანებიათ, რაც ჩემს მასალა[ე]ზედ დაუხარჯავს, ის უნდა მივსცე, მაგრამ...\* ჩემს გირაოში მდგარა ეს ანტონ, ან სხვა მისი ქირა უნდა მამცენ სამართლიანი[ის] საქმით.

თავში:

ქ. ჩვენ, საქართველოს და კახეთის დედოფალთ-დედოფალი, ბატონის დადიანის ასული, პატრონი დარეჯან ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. ფებერვლის კგ, ქორონიკონს უფთ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

ქ. ბოქოულთუხუცესო პაპუავ! ე[ს] შენ გ[ა]ურიგე, როგორც განაჩენში [აცხა]დებდეს. მკათათვის კდ, ქორონიკონს უო. ნულარ დაუგვიანებ, ახლავ გ[ა]ურიგე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

\* აკლია ერთი სიტყვა.

80. განჩინება ამირალდანთ ოპანჯანაშვილის ისაიას და  
ბარხუდარაშვილის წისქვილის საქმეზე

1781 წ. 14 იანვარი

ცხსა. ფ. 1448. საბ. № 6103. დედანი. ქაღალდი. 69×21,5 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. გორელს ამირალდანთ ოპანჯანაშვილს ისაიას და ბარხუდარაშვილს საზიარო წისქვილი რომ ჰქონიათ, ჩვენ ამ ისაიას წიგნები გავშინჯეთ. იმ წისქვილში სამი თვალი ბრუნებულა: ერთი თვალი და ნახევარი წისქვილი ამ ისაიასი ყოფილა და ერთი თვალი და ნახევარი ბარხუდარაშვილისა, როგორც წიგნებში უწერიათ. ახლა ბარხუდარაშვილი რადგან რუსეთს დასახლებულა, იმისი წილი ერთი თვალი და ნახევარი წისქვილი სახასოთ დაიდვა. და ერთი თვალი და ნახევარი წისქვილი ამ ისაიას დარჩა.

დღეს აქამდინ იმ წისქვილში ამ ისაიას ხან ერთი თვალი ბრუნებია და ხან ორი და კიდევ უკეთებია. რაც დღევანდლამდინ იმ წისქვილიდამ ამ ისაიას რგებია, იმას აღარას გამოვეციდენით. და დღეის იქით რაც იმ წისქვილის მოსავალი იქნებოდეს, რაც მამულის პატრონის წილი დადგება, ნახევარი სარქრისა არის და ნახევარი ამ ისაიასი.

აგრევე იმ წისქვილის წინ კალოს ალაგის და ბალისა როგორც წიგნში უწერიათ, შენი თუ უშენი, იმ გზით ნახევარი ამ ისაიასი არის და ნახევარი ბარხუდარაშვილის წილი სარქარისაა.

ამას გარდა ამ ისაიას მამის ოპანჯანასათვის თავის ბიძაშვილს ელიზბარას წიგნი რომ მიუცია, გორის მოხელისა და ქეთხუდების ბეჭდით დაბეჭდილი, ვალიც იმისთვის გარდაუხდევნებია და მამულიც იმისთვის მიუცია. ამაზე ბეთლამანობით ვერავინ შეუვა, რადგან თავის ბიძაშვილს შოთაბარის მოწმებით და თავის ხელმოწერით უანდერძებია. აღიწერა იანვრის იდ გასულს, ქორონიკონს უფთ.

ოთხი ბეჭედი:

1. მ ზ ე ქ ა ბ უ კ
2. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს
4. მონა ღთისა ს უ ლ ხ ა ნ

თავში:

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე მეფე საქართველოსი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. იანვრის იმ, ქორონიკონს უფთ.

ბეჟლო: მე ფხვთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ვერეკლე.

ქ. ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალთ-დედოფალი, ბატონის დადიანის ასული, პატრონი დარეჯან, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. იანვრის კ, ქორონიკონს უფთ.

ბეჟლო: ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა, მანმცა წიაღი დედოფლობისა დარეჯან.

## 81. განჩინება მამასახლისის შვილის სტეფანეს შიხის განსილანთ ზურაბას საქმეზე

1781 წ. 16 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 172. პირი. ქალაღი. მხედრული.

[131] ქვემო ბოლნისის მამასახლისის შვილს სტეფანეს მის უგანათლებულესობას ბატონის შვილს ლევანთან ეჩივლა, ოქმი ებოძებინა. ორბელიანი სარდალ სალთხუცესი დავით და საქართველოს მსაჯულთშეკრებილება ერთათ შევიყარებით, ამისი მოდავე ბასილანთ ზურაბა მოვაყვანინეთ, ორნი ერთათ ვალაპარაკეთ.

სტეფანე უჩიოდა: ჩემი მემკვიდრე ყმა ხარო.

ზურაბა უპასუხებდა: მე შენი ყმა არა ვარო, ქვემო ბოლნელი სახასო ვყოფილვარო.

ჩვენ ორგნითვე მოწმე[ე]ბი მოვთხოვეთ. მოწმე[ე]ბი წარმოადგინეს, მაგრამ სარწმუნო მოწმე[ე]ბი არ იყვნენ და ვერ ვერწმუნეთ, ორი ბოლნელი სარწმუნო უმტერ-უმოყვრო კაცი შეუგდოს სტეფანემ, ორში ერთი იშოვნოს, წადგეს ზურაბა ერთის მოწმით თავისი შვილიც თან მი[ი]ყოლიოს და ასე შეფიცოს: «მე ქვემო ბოლნელი სახასო ვარ და შენი ყმა არა ვარო». თუ ასე იფიცოს, სახასოდ დარჩება, ამას საქმე არა ექნება რა. და თუ ასე ვერ იფიცოს, სტეფანეს ყმად დარჩება, ამას უნდა მობარდეს.


იასაულო გერმანოზის შვილო ზა[ა]ლ! ეს ასე აღასრულე. იანვარს იე, ქორონიკონს უფთ.



მე, ზ ა [ა] ლ გერმანოზისშვილი, ამისი იასაული ვიყავ. ბატონისშვილი ლევანის ბძანებით სჯულთ ფიცი დადვეს, ზურაბის ს[ა]-ფიცრათ რომ გავწიე, ვედარ დაიფიცა და ზურაბამ თავი დაუდო ყმობით სტეფანას. ეს ჩემი ხელი არის ✚. ვერ დაიფიცა ამ ზურაბამ, დარჩა მამასახლისის შვილს სტეფანეს.

[V] იასაულო, ამას მოაბარე. იანვრის იზ, ქორონიკონს უფთ.



ჩვენ, ს ა რ და ლ-ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი და ვ ი თ, მისის სი-მალლის მეფის ძის ბძანებით მსაჯულთან დავესწარ და ამ სამართლის თანამოწამე ვარ. 

## 82. ბანჩინება საგინაშვილავის შვის დათუაშვილავის საქმეზე

1781 წ. 10 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. № 26. საბ. № 74. პირი. ქალაღი. მხედრული.

[70] დათუაშვილები საგინაშვილს გოგიას ამის ძმას ევდემორეს და ევდემორეს შვილს ისაკს ყმობაზედ უჩიოდნენ და კაკაბელობას ამბობდნენ.

ჩუნენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებამ, ესენი ჩუნენთან ვალაპარაკეთ და გამოძიებით ვიუწყეთ მრავლის მოწმებისაგან, რომ ძველთაგან ეს დათუაშვილები ევდემორესა და გოგიას ყმანი ყოფილან და სანატრელის ბატონის მეფის ერეკლესაგან აცოდესმე ხურდა ყულისშვილის იასაულობით აპყრია და ევდემორეს სახლს მისცემია.

მერმე რომლისამე მიზეზით ევდემორეს ძმას გოგიას თავდახსნილობის წიგნი მიუტია, რომელიც ღღესაცა აქუსთ. მაგრამ შემდგომად თავდახსნილობის წიგნისა ამათვე ჰყმობიან და ნეტარხსენებულს მეფეს თეიმურაზ მეორესთან ქაიხოსრო მარტყოფის მოურავს უჩივლია და ამ დათუაშვილებს ნასყიდობით ყმობას წასდავებია ამ გოგიასა და ევდემორეს ძმას ალათანგის და იქილამაც ალათანგის ფიცით [V] გამოუტანია, რომ ამისი განაჩენიც ჰქონდათ ნეტარხსენებულის ბატონისა.

და იქილამ აქამომდე ევდემორესათვის უმსახურნია. და თვითა ლავერდელს ზენონს ჩუნენის ოქმის ძალით იასაული მიუტია ევდემორესათვის. ეს დათუაშვილები აუყრია ევდემორეს და

თავის სოფელს მერე ში დაუსახლებია და დღევანდლამდის ამათ მსახურებია, რომ ამისიც მოწმობა ჰქონდათ: კახთი წმიდის გიორგის ეკლესიის დეკანოზის შვილის დავითისა, რომ ფიცით ემოწმა მერელის მგალობლის შვილის დავითის ყმას სუმბაძესი, ვარდისუბნელის ალავერდელის ყმის კბილაშვილის დავითისა, დავით მგალობლის შვილის ყმას ანატელის ოთარისა, და კიდევ დავით მგალობლის შვილის ყმის დემეტრესი.

ჩვენ ამ განაჩენსა შინა აღწერილის მოწმებისა და სამართლის ძალით ეს დათუნის შვილები მივეციით და დაუმკვიდრეთ საგინაშვილს გოგიას და ამის ძმისწულს ევდემორეს შვილს გოგიას და ამის ძმისწულს ევდემორეს შვილს ისაკს, შვილთა და მომავალთა სახლისა მათისათა.

იანვრის ით, ქორონიკონს უფთ.



თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და კახეთისა მეფე ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. იანვრის კ, ქორონიკონს უფთ. □

ჩვენ, საქართველოსა და კახეთისა დედოფალთ-დედოფალი, ბატონის დადიანის ასული პატრონი დარეჯან, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აღიწერა იანვრის კ, ქორონიკონს უფთ. □

ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონის შვილი გიორგი, ამ მსაჯულთაგან განჩინებას ვამტკიცებთ. იანვრის კ, ქორონიკონს უფთ. □

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე იულონ, ამ მსაჯულთ მიერ განჩინებას [71] ვამტკიცებთ. იანვრის კა, ქორონიკონს უფთ.



ჩვენ, საქართველოსა მეფის ძე ვახტანგ, ვამტკიცებ მსაჯულთაგან განწესებულს სამართალს ამას. იანვრის ლ, ქორონიკონს უფთ.

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე მირიან, ამ მსაჯულთ მიერ განჩინებას ვამტკიცებთ კ, ქორონიკონს უფთ. □



1781 წ. 28 თებერვალი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 6. საბ. № 155. პირი. ქალაღი. მხედრული.

[183] მისის სიმალისათვის არზა მიერთმევეინათ იეზანთ სტეფანეს ძვირფასი და ობოლს და მისს სიმალეს მსაჯულთათვის ებძანათ.

ამათი საჩივარი ეს იყო: ორთაქალაში მოქალაქე გალუას ბალი ჰქონდა ნასყიდო: ნახევარი ჩვენ მოგვეყიდა და ნახევარი თავისთვის დაიჭირაო. მერმე როდისაც ის ბალი გავიყავით, ის დაკუტებული გალუა ფარდაგით ჩამოიტანესო, თავისის თვალით გაყო, ზეითი მხარე აუშენებელი იყო და რიყე და უფრო მეტი ადგილი იყო, ის ჩვენთვის დადვა და ქვეითი მხარე აშენებული იყო და უფრო [v] ცოტა იყო, თავისთვის დაიჭირაო, სამზღვრები ჩავსხითო.

მერმე ის რომ მოკვდა, იმისმა ცოლმა ათი თუმანი გამოგვართვა ქრმის სამარხად, ამ ნახევარსაც შენ მოგვიდიო. ძველი სიგლები მოგვცა და ახალსაც დაგიწერო. სამი თვე თეთრი ქელთ ეჭირაო.

მერმე შაქარამ დიდრონი კაცნი შუა შემოიყვანა და ნახევარი იმისის ცოლისაგან შაქარა ოქრომქედელმა იყიდაო. სამი-ოთხი წელიწადი როგორც გასამძღვრული გვექონდა, ისე გვეჭირაო ჩვენ და შაქარასო. ჩვენ მიგვყავით ხელი, ის რიყე გამოგვყარეთ, მრავალი თეთრი დავხარჯეთ და ავაშენეთ. ის გალუას ცოლიც რომ მოკვდა, კიდევ სამი ოთხი წელიწადი ისევ გალუასაგან გასამძღვრულს და გამიჯნულს ვჰმადითო.

მერმე გამოგვიარა შაქარამ, გვიჩვილა: მეც ნახევარი მიწერია [და] მაგასაცაო და მაგას მეტი რათ უჭირავსო. აღარც სოფლის კაც ჰკითხეს, აღარც გასინჯეს, არც მდივანბეგები იყვნენ მოსამართლეთ, ჩვენი აშენებული და ძველი აშენებული გაყვესო, ნახევარი და ორი ყათარი ჩვენ მოგვეცეს, სხ[184]ვა შაქარამ დაიჭირაო, და სამართალი მიბოძეთო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, თან დავისწარით მოქალაქეთ სამართალში განწესებულ[ნი] ჰასრათა, გურგენა და ნაზარბეგის შვილი ოსეფა. სიგლები ვნახეთ. სტეფანეს რომ უწინვე ეყიდნა, იმასაც ნახევარი ეწერა, მაგრამ ბოლოს ეწერა: სამძღვარი დავიცისო. შაქარასთვის რომ გალუას ცოლს სიგელი მიეცა, იმაშიაც ნახევარი ეწერა. და მერმე რომ შაქარას განა-

ჩენი აელო, იმაში ორი ყათარი მეტი სტეფანესათვის დანებებინათ და სხუა შუა გაეყოთ.

მოვაყვანიეთ კრწანისის მამასახლისი და სოფლის კაცნი და იმ ბალის მუშანი. დიდის ფიცით თქვეს: როგორც მოუხსენებიათ, მართალი არისო; თითონ გალუამ გაყო და მიჯნა ჩაუსხაო; და მერმე შექარამ რომ იჩივლა და გაუყო არც გვალაპარაკესო, არ გავრეულვართ და უსამართლოც უყვესო.

ჩვენ ამ ცარიელს სიტყვას არ დავჯერდით. ეს შეკრებილება ერთობით ჩავედით და ის პირველი სამძღვარიც ვნახეთ და ახლა რომ შექარას კედელი გაველო, ისიცა. ჯერ ერთობით სოფელმა ასე ილაპარაკეს. მერმე ექვსი კაცი გამოვარჩიეთ: ნ ა ვ ტ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ტ ე ფ ა ნ ე, მამასახლის ყოფილ მ ა ტ ი ა, [V] ჯ ა ნ ჯ უ ლ ა ზ ა ს შვილი დ ა ნ ე ლ ა, ჯ ა ნ უ ა ნ თ გ უ ლ ო ა, მ ა რ მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ა ვ ე ტ ი ქ ა, გარეწარა ა რ უ თ ი ნ ა, რომ ესენი იმ გაყოფაში დასწრებოდნენ. ამ ექვს კაცს ფიცი დავადევით, ცალკე გავიყენეთ, ვამხილეთ და ვასწავლეთ.

მერმე საშინელის ფიცით თქვეს: ამ ბალის პატრონ გალუა ფარდაგით ჩამოიყვანესო, ჯერ შუას ადგილს დაასვენესო, თქვაო: ზეით აუშენებელია და ქვეით აშენებული; რა სამართალია, მე ნახევარი აშენებული დავიჭირო და ამას ნახევარი აუშენებელი მივსცეო; ქვეით ჩამიყვანეთო; თვითან ჩვენ ავწიეთ ფარდაგსაო, რომ ჩამოვიყვანეთ, დაიძახა: აქ ნუშთან დამსვითო, ფეხი დაჰკრეს, აქ იდგამის მრუდი ნუშიო, უფროსი ნახევარი აუშენებელი სტეფანეს დაანებაო, იმას ქვევით უმცროსი ნახევარი აშენებული თავისთვის დაიჭირო. ჩვენ გვკითხა სტეფანემ: რომელი ვირჩიო; და ჩვენ უთხარიო: შემძლებელი კაცი ხარ, თეთრი დახარჯე, ააშენე და მამული შეიქნებაო.

ფეთხანის ტ ე რ - ხ ი თ ა რ მ ა ც ასე მოგვცა მოწმობი წერილი: მეზობელი ვარ, მე მკითხა და მეც ასე უთხარო და ზემოაშენებული დაიჭირო. თეთრი დახარჯა, ამდენი რიყე გაყარა, ააშენა. მერმე შექარამ რომ წაა[V]ართო, ჩვენ არცავინ გვკითხეს, არ გავრეულვართ, არც მოწამენი ვართო.

ჩვენ ეს ექვსნი კაცნი წინ გავიმძღვარეთ, მოიხადეს ქუდი, დაიწერეს პირჯვარი, დადგეს ფეხი და ზედ გაიარეს: ამას ზეით სტეფანეს დარჩა და ამას ქვეით გალუასაო.

ჩვენ რომ ესენი ასე ვნახეთ, ეს სამართალი მივეციეთ ერთობით აქ შეკრებულთ მსაჯულთ და მოსამართლეთ: პირველად, თვითონ ჩვენის თვალთ ვნახეთ ის რიყე ბალიდამ გამოყრილი, დიად, ბევრი


იყო; და მეორედ, შაქარას და სტეფანეს სამი-ოთხი წელიწადი ამ გზით ჰქონებიათ, როგორც დღეს გამოჩნეს.

და მერმე შაქარას რომლისამე საქმით რომ გაუყოფინებია და განაჩენი აულია, მაგრამ იმ სიგლებზე არც ის განაჩენია დაწერილი, ორი ყათარი მეტი სტეფანასათვის დაუნებებიათ, ამ მიზეზით, რომ კრწანელებმა თქვესო. დღეს კრწანელები ფიცავენ: არც გვითქვამს და სწორე მიჯნაც ეს არისო; და შორს ეტყობა გალავანს, სადამდისაც სტეფანეს მიჯნა არის, გალავანი მაღალი არის და მიჯნას ქვეით დაბალი არის.


ამ ექვსის დაფიცებულის კაცის მოწმობასა და გამოჩენაზედ სამძღვრები ჩაუსხით და გავშინჯეთ. ამას ზეით სტეფანეს ქვრივს და ობოლს დავანებეთ და ამას ქვეით შაქარას შვილებს.

ეს სამართალიც მივეცი: [V] რადგანაც შაქარას ეს უსამართლო მოუხდომებია, რომ მომსყიდველის სიცოცხლეში არ ულაპარაკია და იმის სიკვდილს უკან სამი-ოთხი წელიწადი კიდევ ისე უქამით და მერმე უშილთახნია და წაუერთმევია, რაც იმ დღიდან ამ წართმეულს ადგილს გამოსავალი ჰქონია, ისიც უნდა მისცენ შაქარას შვილებმა სტეფანეს ქვრივსა და ობოლს. ამისთვის, რომ სხვამ აღარავინ მოინდომოს უსამართლოდ ცილება და შილთახნი.

ალიწერა თებერვლის კმ, ქორონიკონს უფთ.



ხელრთვა: გ უ რ გ ე ნ. 

მე, ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი მდივანბეგი ი ო ა ნ ე, ამათგან ამ განსჯილის სამართლის თანახმა ვარ. 

ჩუენ, ყოვლისა საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ - პ ა ტ რ ი ა რ - ხ ი მეფის ძე ა ნ ტ ო ნ ი, მსაჯულთ განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. დეკემ[ბ]რის იგ, წელსა ჩღპა.

ხელრთვა: ა ნ ტ ო ნ

მისს უმაღლესობას საქართველოს მეფეს ჩვენ, მათის შვილის გ ი ო რ გ ი ს ა თ ვ ი ს, ამათის სამართლის მიცემა კიდევ მეორედ ებძანებინა. ჩვენ რაოდენ ძალგვედვა და ან რასაც ჩვენ მივხდით, ამათის სამართალი დიდათ გამოვიძივეთ. და ჩვენ ამის სამართალს ასე მივხვდით, რომ ეს განაჩენი ჭეშმარიტი განაჩენი არის. და ჩვენც

ასევე დავამტკიცეთ. და ამ განა[186]ჩენის მოწამეცა ვართ. და ნება მათის უმაღლესობის არ[ის]. ივლისის ით, ქორონიკონს უობ.



თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა შეორე ირაკლი, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. აპრილის ე, ქორონიკონს უფთ.



**84. განჩინება უბრძოლვანთ პაპას ჯალაღის ვალის საქმეზე**


1781 წ. 5 მარტი

ცსა. ფ. 1448. საბ. 1826. დედანი. ქალაღი. 19,2x16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ყოვლად მოწყალე მეფისათვის არზა მიერთმევეინა შერგილან პაპას ჯალაღს და თავის შვილსა, თუ: თბილელს ოცდა[ათი] თუმანი მართებსო და სახლიც გირაოთ მიმ[ი]ციაო და სხვაც სამოცდაათი თუმანი ვალი მაქვსო, რომე სულ ასი თუმანი ვალი მაქვსო, შემბრალეთო.

ჩვენ, ქალაქის მელიქის ნაიბი მიკირტუმასთვი[ს] და მამასახლის ზაქარიასთვი[ს] და ქეთხუდებისათვის, სამართალი ებძანა. ჩვენ ამათი სამართალი ასე გავსინჯეთ: თამასუქის ძალით ეს სახლი ან უნდა მანუჩარ მდივანს და[ან]ებოს, ან თავისი თეთრი უნდა მისცეს და ამ ვალს მორჩეს, რათგან პირველათ თბილელთან გირაოთ არ[ის]. ჩვენი ქალაქის განწესება ეს არის; ნება

თქვენი ათავდეს. მარტის ე, ქორონიკონს უფთ.



**85. განჩინება თუმანიშვილების სახლავის საქმეზე**

1781 წ. 8 მარტი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 675. დედანი. ქალაღი. 56x20,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი და სამწერტილი.

ქ. მისის სიმალლისათვის თუმანის შვილს სულხან მდივანს და მანუჩარს მოქალაქე ასლანა შვილის პაპას სახლების ბარობაზედ იოანე მდივნისაგან საჩივრის არზა მიერთმით და მისს სიმალლეს ამათი სამართალი საქართველოს მსაჯულთშეკრებილებისათვის ებძანათ:

ჩვენ ესენი სამართალში მოუწოდეთ. სულხან მდივნისა და მანუჩარის საჩივარი ეს იყო: ის სახლები იოანე მდივნის მოყვრისა იყო და ჩვენს სახლებს ეკრაო და შიგაც ვიდექითო და სყიდვაც ჩვენ გვინდოდაო და იმ სახლის პატრონს პაპას ანჩის ხატის დეკანოზის შვილის მიქელ მღუდლისაგან თეთრი აეღო, თამასუქი მიეცა და თავისი სახლები გირაოდ დაეწერაო, რომ მიქელ მღუდელმაც მისს სიმაღლეს არზა მიართოო და თავისის ასაღების თეთრის გამოისათ იჩივლაო და მისმა სიმაღლემ მოსამართლეებზედ სამართალი ბძანაო. და მოსამართლეთ გასინჯეს და განაჩენი მისცესო, რომ პაპას სახლებისა პირველ მოგირავენეთ და მოვალეთ მიქელ მღუდელი აღმოაჩინესო.

და რადგან მიქელ მღუდელმა ეს განაჩენი აიღო მეფისაგან დამტკიცებული, ჩვენ გვითხრა: ან ეს თეთრი თქვენ მომეცით და ან სახლები დამიცალეთო. ჩვენთვის ეს სახლები, დიად, საჭირო იყო, დაცლა არ შეგვეძლო, თეთრი ზოგი მივეციო და ზოგისა თამასუქი მივეციო, სარგებლით დავიწერეთო. და ის ძველი თამასუქი და განაჩენი ვიყიდეთო და თავისის მოსყიდვის ხელწერილიც გამოვართვიო და დღეს ეს წიგნები კელთ გვიჭირავსო.

ამას უკან რომლისაზე მიზეზით ამ სახლებში შევიდაო, ისიც მოსამართლეთ მოკსენებიათო, იოანე მდივანიო, და კიდეც მივიდა ჩვენს ნამალევედ იოანე მდივანი, მიქელ მღუდელი მოატყუა, ჩვენი ნასყიდი თამასუქი და განაჩენი რომ ჩვენ კელთ გვეჭირა, მეორედ იმან იყიდაო, ამ გზითაო, რომ წიგნები ჩვენ გვეჭონდა და ერთი წიგნი გამოერთმევიანა: შენთვის მომიყიდიო.

ეს საქმე რომ შევიტყვევით, მისს უწმიდესობას მოვაჯსენეთ, რადგანც მღუდელი იყო და ეს უსამართლობა შევჩივლეთ, დეკასტირისა უბძანაო და მათ მოგვიწოდეს, განიხილეს; მიქელ მღუდელი დატუქსესო, განაჩენი გვიბოძესო და იოანე მდივანიც შედგომილად და დამნაშავეთ აღმოაჩინესო.

იოანე მდივანმა პასუხი ეს მიუთგო: ის სახლები ჩემის მოყვრისა იყოო, ბატონის ბძანებით და მოქალაქების შეტყობით მე ვიყიდეთ და მიქელ მღუდელსაც თავისი თეთრი მისთვის მივეცო.

სულხან მდივანმა და მანუჩარ ეს უპასუხეს: შენის მოყვრისა იყო, მაგრამ ჩვენი გირაო არისო, მიქელ მღუდელს საქმე აღარა ჰქონდა; თუ თამასუქის დახსნა გინდოდა, ჩვენგან უნდა დაგეხსნაო. იმ თამასუქის ხეირი და შარი ჩვენი იყო; დამწვარიყო, ჩვენი დაწოდა, თუ აიღებოდა, ჩვენ უნდა აგველო; ჩვენის გირაოს

ვასყიდვა ჩვენ უფრო გვექელყვისო<sup>1</sup>, შენ ოხრობით იაფათაც აიღევ და მქლავრობითაც დაიჭირეო; ამაების საბუთები შენის წიგნებისაგან ჩნდებოა. დღეს ცამეტი წელიწადია გიჩივითო და სამართალი ვერ გამოგვირთმევიოა, მოვალეებისათვის თეთრი არ მიგიციოა და სახლებს შენს ნასყიდს ეძახიო და გიჭირავსო.

ჩვენ, მსაჯულთ, ამათი ლაპარაკი მოვისმინეთ, რაც ძველი და ახალი წიგნები ჰქონდათ ყველა გავსინჯეთ და ეს სამართალი მივეციოთ: ამ წიგნების ძალით პირველი მონასყიდე მიქელის განაჩენისა და თამასუქისა სულხან მდივანი და მანუჩარ არის და პირველი მოგირავე ესენი არიან იმ სახლებისა და იმ სახლმა პირველად ამათ უნდა გასცეს პასუხი, როგორც თამასუქში უწერიათ სარგებლით, როგორც მოქალაქეთ განწესება არის. და მერმე სხვას მოვალეებს მიეცეს, ვინც იმის შემდგომი მოვალეები არიან, ვისაც თამასუქი უფრო უწინდელი იყოს.

იოანე მღუდელს რომ მეორედ მიქელ მღუდლის თამასუქის სყიდვის პირობა გამოურთმევია, და თამასუქი და განაჩენი სულხან მდივანს და მანუჩარს კელთ სქერიათ, იოანე მდივანისაგან უჯერო საქმეა და სამართალში გასამტყუენებელი.

ჩვენ ასე განვსაჯეთ. და ნებან მისის სიმადლისა არის. მარტს ზ, ქორონიკონს უჯთ.

სამი ბეველი:

1. მ ზ ე ჯ ა ბ უ ჯ
2. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს |
3. არ ირჩევა

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართუელოსა და კახეთისა მეფე ირაკლი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. მარტის ით, ქორონიკონს უჯთ.

ბეველი: მე ფენთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

86. განჩინება ნიკოლოზ პარპანოვისთვის შიის

პარპანოვის საქმეზე

1781 წ. 19 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10384. დედანი. ქალაღი. 30,5×16. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახპარია წერტილი.

ქ. გერმანოზის შვილი ნიკოლოზ უჩიოდა ლომიტაშვილს ბერძენაშვილს: ჩვენი ეკლესიისთვის მეფეებს შემოუწირავსო გუჯრით, ახლა ეს თავს მართმევს დიდმელად და თეთრაძედ აცხადებს თავის თავსაო.

<sup>1</sup> გველქელყვისო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებამ, ეს ამის მოადი მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

და ასე ეპასუხებოდ[და]: მე დიღმელი ვარო და თე თ რ ა ძ ე ო , ამას წინათ მე ფ ი ს ძ ე ს გ ი ო რ გ ი ს თ ა ნ ა ც მიჩივლე და მსაჯულთ სამართალში გამოგვზავნა და ქ ა ი ხ ო ს რ ო მ დ ი ვ ა ნ - ბ ე გ მ ა განჩინება მოგვცა, რომ უნდა თავ და თავ შემომეფიცა, მაგრამ კელი აიღე და არ დამაფიცეო, რომ განჩინებაზე იასაულმა კელი მოაწერა, ნიკოლოზმა არ დააფიცა, დარჩა დიღმელადო.

ჩვენ ეს განჩინება ვნახეთ, ქაიხოსრო მდივანბეგს გაესამართლებინა ესრედ. იასაულიც მოვაყვანინეთ ა მ ი ლ დ ა მ ბ ა რ ც ი - ც ი შ ვ ი ლ ი , ასე თქვა ფიცით: რომ მე არც წერა ვიცი და არც მე დამიწერიანებიაო. რადგან ეს სამართალი უმოწმო ყოფილა და არც ერთის მხრისაგან ასეთი წერილი არ ყოფილა, რომ მსაჯულს იმაზე სამართალი მიეცა, მისთვის დაუდგია მდივანბეგს ქაიხოსროს ფიცი, მაგრამ ეს დაკლებულა იმ განჩინებაში, რომ თავ და თავ ფიცი განუჩინა.

ჩვენ, მსაჯულთ, სამართლის ბძანებისაებრ ნიკოლოზმა ექვსი დიღმელი მოფიცარი შეუგდოს, ექვსში ორი იშოვოს და ასე შეჭფიცონ: «ამისმა მადლმა ეს ბერძენაშვილები რომელსაც შენ ამბობ, ეს ის კაცი არ იყოს და დიღმელი იყოს და მამულზედაც ფეხი დაუდგან, რომ ეს მამული ამის სამკვიდრო იყოს». თუ ეს ასე შეჭფიცეს, ეს ბერძენაშვილები დიღმელად გამოცხადდებიან და დიღმელად იქნებიან. და თუ ვერ შეჭფიცეს, ამილდაბარ ციცისშვილო, ეს კაცი ნიკოლოზს მოაბარე. ჩვენ ესრედ განვსაჯეთ და ნება მისის სიმაღლისა არის. მარტის ით, ქორონიკონს უჟთ.

ორი ბეჭელი:

1. მ ზ ე ჭ ა ბ უ კ
2. ჟამი ესეცა წარვლის

კიდეზე:

ქ. ჩვენ, ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ი ო ა ნ ე , ამ სამართლის თანახმანი ვართ.

ბეჭელი: ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი ღმერთგანცაა (?) ი ო ა ნ ე , 1748.

**87. ბანიონა ანტონ I-ისა და კრეზისა იუსტინე ურბნელის  
შემსმენთა საქმეზე**

1781 წ. 22 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1552. დედანი. ქალაქი. 24×20,5 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და შიშიე.

მისმან უმაღლესობამან სრულიად საქართველოსა მეფემან ერეკლემ კრებაში ბრძანა, რომ ურბნელის იუსტინეს შემსმენელნი მოწამენი გასინჯეთო, სარწმუნონი არიან ან იმათი მოწმობა შეიწყნარება თუ არაო.

ჩუენ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარხმან მეფისა ძემან ანტონიმ, ყოვლად სამღუდელოთა შემოკრებით და ჩვენის დიკასტირიის თანდასწრებით ურბნელის იუსტინეს მოწამენი ასე გავსინჯეთ.

პანტელეიმონ მღვდელი რომ არის შემსმენელი, რომელს სოფელშიაც ხუცობდა, რომლისამე მიზეზისათვის სოფელმან აღარ მიუშო იქ სამყოფლად. ურბნელი ამაზედ არ შეეწია, რომ სოფელი გაემტყუვნებინა და პანტელეიმონ ხუცესი გაემართლებინა.

ურბნელმა აღარც იმ სოფელში ამყოფა, გამოიყვანა, თავის ეკლესიაში დააყენა. პანტელეიმონმა ულუფასა და ჯამაგირის თხოვნა დაუწყო და ურბნელმა არ მისცა. და იქნება, რომ ამიტომ ამბობდეს, შეასმენდეს.

ამას გარდა ურბნელის გამოცვლაც იქნება ამისთვის უნდოდეს, რომ ყოვლითურთ თავის უფალი შეიქნას და ურბნელის სამწყსოში რასაც უნდა იმასა იქს.

ფანიას შვილი [რომ არის შემსმენელი, ეს გამოცხადებული არის, რომ ეკლესიის მამული უჭირავს და ღალა ეკლესიისა აძეს. ურბნელს ღალა უთხოვნია, ფანიას შვილს ძალით არ მიუცია. ამის მიზეზით დიდი შფოთი ჩამოვარდნიათ. კიდევ ურბნელს რუ გაუკეთებია, იმისი წყალი წაურთმეგია ფანიას შვილსვე. ამაზედ შფოთი მოსვლიათ. ან იმას კლმით როგორ უწყევია და ან ურბნელს როგორ შეუჩვენებია, — ეს ყოველივე მისს სიმაღლეს წვრილად მოჰქსენებული აქვს კალატოზის შვილის იოანე მღვდლისაგან.

ჩუენ რასაც მოვსწრებივართ, რომ შვიდი ურბნელი გამოცვლილა ურბნისელებს ღალა და კულუხი არ უძლევიათ.

ამან ღალასა და კულუხს და მსახურს თხოვნა დაუწყო. არ



მისცეს. მისს უმაღლესობასთან იჩივლა ურბნელმა. ის კაცნი ოქმით ჩამოასხმევიანა და რასაც ეწამებოიან, ის თქვეს. მანამდის ურბნელი იმ კაცთ უჩივლებდა, უწინ რატომ არ გამოაცხადეს, თუ იცოდნენ რამე, ღალისა და კულუხის საჩივარში შეასმინეს.

თუ ურბნელს თავის თავზედ შესმენის იქვი ჰქონებოდა, იმ კაცებს არ უჩივლებდა და გამოჩხრეკით და ერთად შეკრებულის ყოველად სამლუდლოთა და დიკასტირიის მსაჯულთ ჰაზრის... \*ნა არ დაიჯერ[ება]... \* ერნიც ამ მიზეზ[ებით]... \* მიღებაზედ ვერ შევ... \* ეულება მლუდელმათავრო... \* ეგრეთვე ყოველსავე მლუ[დელ]... \* დებისა ადასრულებდეს.

მაგრამ ურბნელი ურბნელობიდან კი გამოგვიყვანია, ამ მიზეზით, რომ თუ კიდევ იმათში იქნებოდა, შფოთი და ლაპარაკი არ დაეღეოდათ დიკასტირიას შინა. დაიწერა მარტს კბ, წელსა ჩღპა.

ხელრთვები:

ანტონი, წყალობითა ღმრთისათა მდაბალი არხიებისკოპოსი მცხეთისა და ყოვლისა ზემოხსა საქართუელოხსა ქუე მოვაწერ კრებითურთ.

ქ. მდაბალი მთავარეფისკოპოზი ბესარიონ სამთავროსა და გორისა ქვე მოვაწერ.

ქ. მდაბალი მიტროპოლიტი რუისისა ნიკოლოზ ქვე მოვაწერ: ხელრთვა

ქ. მდაბალი მანგლელი ეპისკოპოზი ნიკოლოზ ქვე მოვაწერ. ხელრთვა

ქ. მდაბალი ეპისკოპოზი წილკანისა და მუხრანისა ქუე მოვაწერ. ხელრთვა

## 88. განჩინება ლორელეგისა და ხსინა ბარათაშვილის შიის

საქმეზე

1781 წ. 20 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2724. დედანი. ქალაღი. 33X20 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილი.

ქ. ლორელეგი ბარათაშვილს სესიას უჩიოდნენ, რომ სარქისას შვილი ნიაზა და ამისი შვილები სარქისა და ზაქარა ლორელეგი არიანო, ჩვენი მეზობლები არიანო, შენი ყმანი არ არიანო.

ამისი სესიამ ეს უპასუხა: სარქისა და ამისი შვილი ნიაზა დიღო

\* აკლია ოთხი-ხუთი სიტყვა.

ხანია რომ გილაქის შვილს ყმად მოსვლიანო და ორთა-  
შუას სახლებიაო და გილაქის შვილის ნაყმევიაო და გილაქის შვი-  
ლის მამული მის სიმაღლემ ბედნიერმა კელმწიფემ მე მიბოძაო და  
ეს ნიაზა და ამისი შვილები ჩემი ყმანი არიანო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთა, სესიას სამართალში მოწმები  
ვთხოვეთ, რომ ეს ნიაზა გილაქის შვილისა როგორი ყმა ყოფილაო.

სესიამ სამი მოწამე წამოაყენა სამართალში — ერთი სამლო  
კაცი ტერტერა და ორიც ერისკაცი. ამათ თავეთს ღმერთსა და  
სულს ქვეშ ასე იმოწმეს: ამ ნიაზას მამა სარქისა ნეტარხსენებულის  
მეფის ვახტანგის დროს მოვიდაო, გილაქის შვილს ეყმო და ორთა-  
შუას ესახლაო. ოსმალოს დროს აყარესო და ლორეს წაიყვანესო.  
ცოტას ხანს იქ იყვნენო. მერმე ყიზილბაშობაში იმანყული ხანის  
დროს ისევ მოვიდნენო, იქავ ორთაშუას დასახლდნენო. მას  
აქეთაც გილაქის შვილის ყმანი იყვნენო და მას აქეთ ჩვენთან ხარჯი  
და ბეგარა უღიათო და არც ლორელები იმანყული ხანის დროს აქეთ  
ამ ნიაზას ჩვენ გვდავებიან.

ჩვენ, მსაჯულთ, რომ გავსინჯეთ ამ ნიაზას მამა ძველათგან ლო-  
რელი ყოფილა, მაგრამ ამდენ ხანს რომ გაუვლია გილაქის შვილის  
ყმა ყოფილა და არავინ სდავებია; გილაქის შვილს აქეთაც ამ სესიას  
უჭირამს და არავინ სდავებია და დღეს ედავებიან; სამართალი ამ  
ნიაზასა და ამის შვილებს სესია უმტკიცებს ყმათა. მაგრამ ლორე-  
ლები ამბობენ, ბევრჯელ გვიდავნია. ამ მიზეზის გულისთვის სესიას  
მოყვანილს მოწმეფს ფიცი განუწესეთ. ერთი ტერტერა იმისგან კი  
ფიცი არ იქნება, რადგან სამლო კაცია; და ის ორნი რომ ერის კაც-  
ნი არიან, ერთი ოჰანეზა და ერთიც მამაჯანა, ეს ორი კაც-  
ნი წადგნენ და ლორელებს ასე შეფიცონ, რომ: «იმანყული ხანის  
დროს ნიაზა რომ ორთაშუას მოვიდა და გილაქის შვილს ეყმო, მას  
აქეთ ლორელები არ წარმოსდავებოდნენ დღევანდლამდინ, არც  
ლორელებს მას აქეთ ამ ნიაზასთვის ხარჯი გამოერთმიოთ». და თუ  
ასე ამ მოწმებმა დაიფიცონ, სპართლით ეს ნიაზა და ამ[ისი] შვი-  
ლები სარქისა და ზაქარა ბართაშვილს სესიას დარჩება.

თუ მოწმებმა ასევე იფიცეს, სესიას საქმე არა ექნება რა, ლო-  
რელებს დარჩება. ჩვენ ასე განვსაჯეთ და ნება მათი განათლებულე-  
ბისა იყოს. აპრილს კ, ქორონიკონს უფთ.

ოთხი ბეჭედი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მბჭომი(?)  
ღმერთგანცაა(?), იოანე 1748

2. მ ზ ე კ ა ბ უ კ
3. უამი ესეცა წარვლის
4. ს უ ლ ხ ა ნ.

ქ. ამისი მოწამე ვარ, რომ ამ განაჩენში რა რიგით ფიცი სწე-  
რია, იმაზედ მოვიდნენ ოპანეზა და მამაჯანა, დაიფიცეს; ამის მოწა-  
მე ვარ ფეთხანის წმიდა ეკლესიის დეკანოზი ტერ მხითარ †

ქ. ამ განაჩენით რომ ბარათაშვილს სესიას მოწმე[ე]ფს ფიცი  
დავადევით, დაიფიცეს და სამართლით სარქისას შვილი ნიაზა და  
ამისი შვილები სარქისა და ზაქარა დარჩა სესიას და ამის ძმებს.

ბეჭელი: მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს.

მარცხენა კიდუზე: ქ. მე, ბატონიშვილის გიორგის ეშიკა-  
ლასბაში მაცა შვილი სვიმონ ამის სამართალში ბატონისშვილის  
ბრძანებით მსაჯულთ<sup>1</sup> ვახლი. ამ სესიას დარჩა ეს კაცნი. აპრილის

კდ, ქორონიკონს უჯთ სვიმონ

## 89. არზა გიორგი ციციშვილის ამის თათბარე მღივანავამთა განჩინებით

1781 წ. 1 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8591. დედანი. ქალაღი. 31,5×18,2 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახარია ერთი ან ორი წერტილი.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ქირი მოსცეს გიორგი  
ციციშვილსა. ბატონს მსაჯულთ ამას მოვანსენებთ: ვახტანგ  
მეფე რომ გარდავარდნილა, მამაჩემს მაშინ ქორწილი უქნია და  
დედაჩემს მზითევში ერთი მოახლე მოჰყოლია, იმას ექვსი წლის შვი-  
ლი თან მოჰყოლია, ის დედაჩემს მღუდლათ გაუზდია და დაუქორ-  
წილებია. დღეს აქამდინ არავინ მდავებია, არც მეპატრონე, არც  
სხუა ვინმე და არც სხუასთან ყოფილა. ის შიო მღუდელი რომ მო-  
კუდა, იმის ობლებიც ჩემმა ყმამ გაზარდა და ახლა ის შიო მღუდ-  
ლის შვილები თავს არ მიდებენ და წინაშე ღმრთისა სამართალს  
ვითხოვ. აპრილის იე, ქორონიკონს უჯთ.

მარცხენა კიდუზე:

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებლებმა მოგაკსენებთ ბატონო  
გიორგის დედავ და რომელნიც ამ საქმის მეცნიერნი ბძანდებით და  
იციით შიო მღუდელი მზითევში გატანებული იყო თუ არა, ღმრთის

<sup>1</sup> სარჯულთ.

წინაშე და ამ წმიდის აღდგომის მადლსა სწორე დასწერეთ და გვა-  
ცნობეთ, რომ სამართალი თქვენს მოწმობაზე მიეცემათ და ჩვენ უბ-  
რალო ვიყვნეთ, თქვენ მიეციოთ ღმერთს პასუხი. აპრილის იე, ქორო-  
ნიკონს უფო.

სამი ბეჭედი:

1. მ ზ ე ჭ ა ბ უ კ
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად  
მაგო ბ ე უ ა ნ
3. ჟამი ესეცა წარვლის.

### [მოწმეთა ჩვენებები]

ქ. ბატონს მსაჯულთ ჩემთვის ჰეშმარიტება ეკითხათ. მე ჰეშმა-  
რიტებას მოვაკსენებ ღმრთის წინაშედ. შვილიც ნუ მომიკვდება,  
რომ ეს შიო დედამა სამის წლისა გამზარდა და ჩემი გამზარდელი  
იყო: და ის შიოც თან შემომეზარდა. ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ე რომ მიი-  
ცვალა, მაშინ მე ქორწილი მიყვეს და ის გამდელი ზითევში გამო-  
მატანეს და ის შიოც პატარა თან მომყუა. მას დღეს აქეთ ჩემთან  
იყო, არც მამას უთხოვნია ჩემთვის და არც დედასა, არც ოსმალობას  
და არც ყიზილბაშობას არას კაცს ჩემთვის არ მოუპართია, მე გა-  
მისდია და მე დამიქორწილებია. მღუდლად მიკურთხვინებია, ცოლ-  
შვილით ჩემთან ყოფი[ლა]. ა ნ ა ხ ა ნ უ მ დედოფლის დედოფლო-  
ბაშიაც ჩემთან იყო. მასუკან შიო მღუდელი მოკუდა და იმისი შვი-  
ლები ჩვენი მსახური იყო, ი[ს] შიო ხუცის სიძე იყო და იმ შიოს შვი-  
ლები იმასთან იყუნენ. ეს ჰეშმარიტი მომიკსენებია.

ქ. მე, გ ლ ა ხ ა ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ამისი მოწამე ვარ: შ ო შ ი-  
ლ ა მღუდელი ამ ჩემის ბიძასშვილის გიორგის გამდლის შვილი  
იყო, ჩემს ყმაწვილობაში მუდამ ამათთან მინახამს, არცავინ წამოდა-  
გებული მინახამს. ნება სამართლისა[ა] 

|       |
|-------|
| კლახა |
|-------|

ქ. მე, თ ე ი მ უ რ ა ზ მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი, ასე ვმოწმობ წინაშე  
ღმრთისა: ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ გ ი ო რ გ ი ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს დე-  
დის მზითვის გამდელი იყო. შიო მღუდელი ვარდისახარის შვილი  
იყო. ამათ გაზარდეს, გაასწავლეს, დაასახლეს და ამათ ემსახურე-  
ბოდა. და ეს ბიჭები იმისი შვილები არიან. ამას იქით არა ვიცი. მაი-  
სის ბ, ქორონიკონს უფო.

ბეჭედი: მონა ღთისა მღივანბევი თ ე ი მ უ რ ა ზ.

ქ. ჩვენ, ს ა რ დ ა ლ - მ ო უ რ ა ვ ს დ ა ვ ი თ ს, ჩვენის აზნაური-  
შვილებისაგან ასე გამიგონია, მეფე ერეკლე ნუ მომიკვდება, შოში-  
ლა მლუღელი გოგიას დედას ახლდა და მზითვით მოყვაო და ამათ  
აზარდესო, ვახტანგიანთ არც არავინ[ნ] მოდავე გვინახამსო. დავით

ქ. მე, თ ო მ ა ნ ა ც ვ ა ლ ი, ასე ვწერ და ასე ვიცი ჭეშმარიტე-  
ბით; ჩემს ხსოვნაში ამათთან იყო და ამათ გაზარდეს, ამათი გამდ-  
ლის შვილი იყო ეს შოშილა მლღელი, არც არავინ წამოდა[ც]ებული  
მინახავს.

ქ. ღმერთ წინაშე მე, ჯ ა მ ა ს პ ი კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი და ბ ე -  
ჟ ა ნ დ ა ნ დ უ ლ ა ს შ ვ ი ლ ი, ამისი მოწმე ვართ, რომ [შოშილა]  
ამათთან იყო და ამისი გასდ[ილი და ამ]ისი გამდლის შვილი [იყო]; და  
დღევანდლამდი ამისი მოდავე არავინ გვინახამს. ეს შიო მლღელი  
ვარ[დისახარის შვილი[ა]. აპრილის 8, ქორონიკონს უფთ. ++

ქ. მე, დ ა ვ ი თ ქ ე ვ მ ო ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ამას ემოწმობ ღმრთის  
წინაშე, რა თუალი ამხილება ვარდისახარ შიო ლუღლის დედა და  
ეს შიო გიორგი ციციშვილის დედასთან მინახამს; ღმრთის წინაშე  
ასე ვიცი. ხელრთვა: დ ა ვ ი თ

#### [განჩინება]

ქ. ამ მოწმე[ე]ბის ძალით ეს კაცნი გ ი ო რ გ ი ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ს  
დარჩა ყმად. და თუ ან წიგნს.. ან საბუთს მოიტანენ რასმე, რომ ამ  
მოწმე[ე]ბს გამტყუებენ, ილაპარაკონ და სამართალი მიეცემათ.  
მაგრამ თუ ამ მოწმე[ე]ბს და ამ სამართალს არ დასჯერდებიან, ილა-  
პარაკებენ და კიდევ გამტყუვნდებიან, ამ კაცების ოდენი ფასი, რო-  
გორც ღირან, ჯარიმად წაერთმევათ და კაცები გიორგი ციციშვილს  
დარჩება. ორმოცი დღე ვადა იყოს, ილაპარაკებენ თუ დარჩებიან.  
ორმოცს დღეზედ უნდა გარდასწყდეს, მასუკან ლაპარაკი აღარ იქ-  
ნება. აპრილის 9, ქორონიკონს უფთ.

ქ. ამათ ილაპარაკეს, წიგნიც მოიტანეს, შიო მლუღელს რომ  
მიეცა გ ლ ა ხ ა ს ა თ ვ ი ს, მყრიდო და შემოგეხვეწე და დაამაყა-  
ლეო, მე ავიყრები და მოვალო, პ ა ა ტ ა ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ეწერა  
მოწმად, ვკითხეთ და არ მახსოვსო, რ ე ვ ა ზ თ ა ქ ა ლ თ ო ი ა ნ ი (?)  
ეწერა, ბეჭედი იჯდა; ს ა ა მ ი ს შ ვ ი ლ ი ე დ ი შ ე რ ეწერა და ბე-  
ჭედი არა ჩნდა. ამ წიგნებით ვერ გამართლდა. გოგია ამდაც ფიცვე-  
და: ამ წიგნის აღება არ შამტყობია, თორემ როდის მივაცემინებ-  
დიო. დარჩა გოგიას შიოს შვილი პეტრე. მაისს ა, ქორონიკონს უფთ.

ოთხი ბეჭედი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბეჭედი.
2. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ .
3. ყამი ესეც წარვლის
4. მონა ღთისა ს უ ლ ხ ა ნ

## 90. განჩინება გურამიშვილთა გაყრის საქმეზე

1781 წ. 14 მაისი

ცხსა. ფ. 1450. დავთ. № 15. საბ. № 1. პირი. ქალაღი. მხედრული.

ჭ ი ვ ჭ უ რ ი ს მიწა და თ ა ვ კ ვ ე რ ი ს მიწა გძელი ხოდაბუ-  
ნი ზეითი მხარე აღმოსავლეთისაკენ გურამიანთი არის; ამისი ფარღი  
ამისავე გვერდზედ არის დასავლეთისაკენ ზ ა [ ა ] ლ გ უ რ ა მ ი -  
შ ვ ი ლ ი ს ა არის; გძელის ხოდაბუნის თავში აღმა-დაღმა მიწა  
ჩრდილოეთისაკენ გურამიანთია; ამისვე გვერდზედ ამისი ფარღი  
სამხრეთისაკენ ზ ა [ ა ] ლ ი ს ა არის; ხ ე ვ ძ მ ა რ შ ი გორას ზევეითი მიწა  
გურამიანთია; ამისავე გვერდზე გორას ქვევითი მიწა თავი ღოიანის  
ხოდაბუნზედ უძეს, ზ ა [ ა ] ლ ი ს ა [ არის ]; ჩალიანი ხოდაბუნი აღმოსავ-  
ლეთისაკენ გურამიანთია; ამავე მიწის გვერდზედ ამისი ფარღი და-  
სავლეთისაკენ — ზ ა [ ა ] ლ ი ს ა ; ჩალიანის ხოდაბუნის თავში აღმა-დაღ-  
მა მიწა ხოდაბუნისაკენ — ზ ა [ ა ] ლ ი ს ა ; ამავე მიწის გვერდზე ამისი  
ფარღი გურამიანთია; ამავე მიწის გვერდზედ — ზ ა [ ა ] ლ ი ს ა ; ამისი  
ფარღი ამავე მიწის გვერდზედ გურამიანთია; ამავე მიწის გვერდ-  
ზედ — ზ ა [ ა ] ლ ი ს ა ; ამ მიწის ფარღი გურამიანთია; ამისავე გვერდზე  
ხევძმრის პირზედ გარღი-გარღშო მიწა აღმოსავლეთისაკენ გურა-  
მიანთია; ამისი ფარღი ამავე მიწის გვერდზედ — ზ ა [ ა ] ლ ი ს ა .

ბატონიშვილის ბძანებით გ ი ვ ს ა ზ ა [ ა ] ლ გურამიშვილისათვი  
მიმიბარებია ნახევარი მამული თავისი წყლით, წისქვილით.

ხევძმრის<sup>1</sup> პირზედ აღმა-დაღმა მიწა — ზ ა [ ა ] ლ ი ს ა ; ამისი ფარ-  
ღი ამავე მიწის გვერდზედ გურამიანთია.

გ ა რ დ ა უ შ ვ ი ს წ ყ ა რ ო ს ზემოღამ მიწა აღმოსავლეთის.  
მხრისაკენ გურამიანთია. ამისი ფარღი ამავე მიწის გვერდზედ — ზ ა -  
[ ა ] ლ ი ს ა .

მ უ ხ ნ ა რ ი ს მიწა გ ო რ ი დ ა მ მოკიდებული საქალაქოს.  
შარამღი, რომ თავი მიწას საკირე[ე]ბზე მიუძეს, ის საქცევი გურა-

<sup>1</sup> ხევ ძრმის.

მიანთია. ამ მიწის ბოლოს გორიდან მოკიდებული არხის პირამდი — ზა[ა]ლისა. ამ ზა[ა]ლის მიწას ქვეით გორიდან მ[ო]კიდებული არხის პირამდი გურამიანთია. ამ მიწას ქვეით ამის ფარდი გორიდან მოკიდებული არხის პირამდი, ბოლო წყაროსთან მიუძეს, — ზა[ა]ლისა. გზას და არხს შუა მიწა არის ა ვ ჯ ა ლ ი ს მხრისაკენ გურამიანთია. ამისი ფარდი ამავე მიწის ბოლოს გარდაუშვის წყარომდი — ზა[ა]ლისა.

ხევძმრის<sup>1</sup> პირზე მიწა — ზა[ა]ლისა; ამისვე ფარდი ამავე მიწის გვერდზედ გურამიანთია; ამ გურამიანთ მიწის გვერდზედ — ზა[ა]ლისა. ამისივე ფარდი ამავე მიწის გვერდზედ გურამიანთია. ამ გურამიანთ მიწის გვერდზედ მიწა — ზა[ა]ლისა; ამისი ფარდი ამ მიწის გვერდზედ გურამიანთია. აღმა-დაღმა გძელი მიწა არხის პირისაკენ — ზა[ა]ლისა; ამისი ფარდი ამ მიწის გვერდზედ ჭალისაკენ გურამიანთია.

ნათარხლის მიწა რომ ბოლო გძელ მიწაზე მიძეს, არხის პირისაკენ გურამიანთია; ამისვე ფარდი ამავე მიწის გვერდზედ ჭალისაკენ — ზა[ა]ლისა.

ლოიანის ხოდაბუნი ზემოთი აღმოსავლეთისა მხრისაკენ — ზა[ა]ლისა; ამისი ფარდი ამავე მიწის გვერდზედ გურამიანთია.

აღმა-დაღმა მიწას თავი ზედ მიუძეს, საკახეთო გზა რომ წავა ტბისაკენ, გზას ქვეით ხევძმრის<sup>1</sup> პირამდი ნახევარი გურამიანთია; და ნახევარი ზა[ა]ლისა.

სარწყავი წყალი ძველიდგან ასე ყოფილა: ერთი კვირა ზა[ა]ლმა უნდა აღინოს და ერთი კვირა გურამიანთა. რაც სარწყავი მიწა არის, ნახევარი გურამიანთი არის და ნახევარი ზა[ა]ლისა.

მე, მ დ ი ვ ა ნ ი დ ა ვ ი თ, მათის უმაღლესობის მეფის ბძანებით ავჭალას გურამიანთ მამულის საქმეზედ მიველ, რომ ამათი მამულების დავა რაც იყო, იმაზედ უნდა გამეშველებინა და თავთავისი წილი მიმეცა. გურამიანთ ეს არ ინებეს და არც ამ ზემონაწერის მამულების გაყოფაში მოვიდნენ. ძველადგან ამად მამულები ზოგი რომელიმე ხოდაბუნები ასე ქონდათ გაყოფილი. და ზოგი ახლა გაუმოქნეთ. თუ გურამიანთ ნება იყოს, ძველს გაყოფილზეცა და ახალს გაყოფილს მიწებზედაც ახლა უყარონ წილი და ისე თავთავისი დაინებიონ. და თუ უნდოდესთ, როგორც გაყოფილია და სახელი დაგვიდვია, ასე დაიჭირონ. მე, რადგან ბატონის ბძანება მქონდა, ასე გამირჩევია და დამიწერია. ახლა ნება ხემწიფისა იყოს.

<sup>1</sup> ხევ ძმრის.

ამ მიწების გაყოფაში ივანე ყამაშვილი და რავდენიმე  
გლეხი კაცნი იყვნენ. მარტის ბ, ქორონიკონს უფთ.  +

ბატონის ბძანებით ყაქაშვილს ივანეს ზა[ა]ლ გურა-  
მიშვილისთან მიმობარებია ნახევარი მამულა თავისი წყლითა.

მისის სიმაღლის ბძანებით ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკ-  
რებილებამ, გურამიანი ვალაპარაკეთ და რომელიც მისის სიმაღლის  
ბძანებით დავით მდივანს ავქალის მიწები გაუხაზღვრავს და თავ-  
თავისი დაუნებებია, დაუწერია და გაურჩევია, ეს დავთარი დაუდე-  
ვით დოლენჯის ნიკოლაოზს და დავითის შვილს გოგია  
უზბაშს. და ამის დასარღვევი ვერცარა წიგნი მოიტანეს, ვერცარა  
საბუთი. თუმცა ამას ამბობდენ: მეტ-ნაკლებად დაიწერაო.

მაგრამ ზა[ა]ლს ბატონისათვის არზა მიერთმია: თუ ჩემი განა-  
ყოფები თავეთ წილს სწუნობენო, თავეთი წილი მე მომცენო და  
ჩემი იმათ მიირთონო.

მისს სიმაღლეს გარსევან ეშიაკალასბაშუედ ოქმი ებოძათ;  
თუ გურამიანთ უნდოდესთ, ამ გაყოფას დასჯერდენო. თუ უნდო-  
დესთ, ზა[ა]ლ ნებას აძლევს, ზა[ა]ლისა იმათ დაიჭირონ და იმათი  
ზა[ა]ლს მისცენო. ეს, დიაღ, გარდაჭრილი ბძანება არის და სწორე.

რადგანაც ამისი პასუხი ვერა მოსცეს რა, რომელიც დავით  
მდივანს გაურჩევია და დაუწერია, ჩვენც თანამონაშენი ვართ, ასე  
უნდა ეჭიროსთ, როგორც სწერია. წყალიც ამგვარად უნდა ჰქონ-  
დესთ, როგორც მიწები უჭირავსთ.

ბატონო ეშიაკალასბაშო გარსევან, როგორც ბძანება გაქვსთ,  
იასაული უჩინეთ და ასე გაურიგეთ და მოაბარეთ. მაისის იღ, ქორო-  
ნიკონს უფთ.

თავში:

ჩვენ. საქართველოს უფლისწული ბატონი შვილი გი-  
ორგი, მის სიმაღლის ბატონის მამის ჩვენის ბძანებით როგორც  
საქართველოს მსაჯულთშეკრებულებას სამართალი მიუციათ და  
გაურიგებიათ, ამ გარიგებულს ვამტკიცებთ. მაისის იზ, ქორონი-  
კონს უფთ.



1781 წ. 18 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1079. დედანი. ქალაღი. 60,5X30,5 სმ. და-  
ზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ყოვლისა ზემოხსა საქართუელოსა მე-  
ფის ირაკლის ბრძანებით ამირეჯიბებს ზაზას, დავითს და მზეჭაბუკ სამართალში დაუსხედით [ჩუენ], ეში-  
კალას ყორიასულბაში ზაზა, თიანეთის მოურავი ქაიხოსრო,  
მდივან-ფეშქაშნივ[ისი ს] ულხან, მდივანი იოსებ და მდივანი  
სოლომონ.

ამათი საჩივარი მოვისმინეთ [და] უსაჯეთ.

რადგან ზაზას თიღუაზედ კინახული აქუს, ამის საჭირნა-  
ხულოდ შე[ვა] და ხარაბაზედ ოცზედ ერთი ზაზამ უნდა აიღოს. და  
სხვა სამ წილად ძმურად გაიყონ.

და ბეითალმანი მამული როგორც მართებული დაითუალოს,  
და საუფროსო და საუარესო სამართლისაებრ ქაიხოსროს ობოლს  
მზეჭაბუკს მიეცეს.

ქალაქში რომ სასახლე აქუსთ, სამად გაიყონ. და თუ გაყრას  
უკან ზაზასაგან აშენებული წილისყრით ზაზასავე ერგება, დათუას  
სიტყუა აღარ ექნება.

და თუ დათუას და ან მზეჭაბუკს ერ[თობა] თუ უნდოდესთ, რაც  
ზაზას ახალ აშენებულზედ დახარჯია, იმ ხარჯში მიუდგნენ. თუ  
არადა, იმ აშენებულს გარდა შეფარდდეს და აშენებული ზაზას და  
ფარდი ძმებს რომელსაც ერგოს.

და ამ სახლის ვალი ოთხთუმანნახევარი ზაზას რომ მიუცია,  
სამი თუმანი ორთავ ძმათ ზაზას მისცენ.

ჯარდან ეშივალასბაშისათვის ზაზას რომ კახეთში მსახლო-  
ბელი კაცი მიუყიღია და აგრევე ერთი კაცი ქაიხოსროს გაუყიღია,  
თუ საბუთი უყოს ზაზამ, რომ დათუასაც გაეყიდოს, სიტყუა არა  
აქუს. თუ არადა, ერთი იმისი ფარდი კახეთში ზაზამ დათუას მოსცეს.

წერეთელს აზნაურშვილზედ ზაზა რომ ძმებს ედავება, შემოდ-  
გომამდის ზაზამ ის ლეონ წერეთელი აქ უნდა მოიყუანოს.  
თუ რომ იმ კაცმა ამირაჯიბებისაგან თავი გაიტანოს, როგორც მდი-  
ვანბეგებისაგან ბარათში უწერია, ერთი გლეხი კაცი ძმებმა ზაზას  
მოსცენ. და თუ ამირეჯიბებს დარჩა, ზაზას უნდა ჰყუანდეს აზნაუ-  
რიშვილის ფარდათ.

ხოსია თხლაშიძე რომ ზაზას დაუხსნია, თუ უნდოდესთ-  
ქმებს, რაც ზაზას გაუღია მისცენ და ის კაცი ქმებს დარჩებათ. თუ  
არადა, ის კაცი და ან იმისი შვილი ზაზამ, სადაც დაახლოს სამარ-  
თალში მოსვლა, დაპატიჟოს. თუ მოჰყუეს, ხომ სამართალი მიე-  
ცემათ. თუ არ მოჰყუა სამართალში, ზაზას დაჭერისაც ნება აქვს იმ  
კაცისა და ზაზასიც არის.

დავით ზაზას რომ საერთოს მსახურისაგან თათრის დაჭერას ედა-  
ვება, თუ საბუთი უყოს, რომ საკუთრად მსახურს დაეჭიროს და იმ  
დაჭერაში ზაზა იქ არ ყოფილიყოს, იმ თათრის სახსარში დავითს და  
მზეკაბუქს ძმურად წილი უნდა დაედვას. და თუ ზაზას დაუჭერია  
და მსახურისათვის მიუტია, თავისის სისხლის ფასია, ქმები ვერას-  
შეუვლენ.

ამირანისა და კაპანაძე ზედ რომ დაობენ, რადგან  
დავითს კაპანაძეს საკუთრად ბატონის ოქმი აძლევს და  
ამირანს საკუთრად ზაზას ბატონის შვილის გიორგის  
ოქმი აძლევს, ორთავ ბატონთან და ბატონის შვილთან ილაონ.

ზაზას რომ თავისის მეუღლის პირის სანახავად ოთარა შუ-  
ბითიძე მისცემია და ჰყავს თავისის შვილებით, რადგან გასა-  
ყოფს კაცებში ერთი თავი კაცი აღარა ჰყუანდათ, გოგია შუბი-  
თიძე ზაზას მივეციით თავი ორი; და ყვიჟინაძე თავი შვიდი  
დავითს და მზეკაბუქს მივეციით — ორი პირის სანახავად და სხვა-  
გოგია შუბითიძის ფარდათ.

დავით ამირეჯიბი ზაზას რომ თოფს ედავება, აღაშვილს  
დათუას რომ აქვს, თუ სიტყუა არა აქვს რა, იასაულმა თოფი  
გამოართვას და დავითს მოსცეს. და თუ სიტყუა ჰქონდეს, სამარ-  
თალში მოიყუანოს.

ამირეჯიბი ზაზა ბადრიას შვილის თოფსა და ხმალს ქმებს  
რომ ედავება, თუ ქმებმა საბუთი უყვეს, რომ ის თოფი და ხმალი  
ქაიხოსრო ამირაჯიბს მიეცეს, ობლისა არის, ზაზა ვერას შეუა. და  
საბუთი თუ ვერ უყუეს, ბეითალმანი იქნება და საძმო არის.

ფეხათრიას რომ თოფი აქუს, თუ ფეხათრიამ საბუთი უყო-  
ზაზას, რომ ქაიხოსროს ნაშოვი და მიცემული იყოს, ის კაციც  
ობლისა არის — მზეკაბუქისა და ის თოფიც. და თუ საბუთი არა  
ჰქონდეს, რა, იასაულმა ის თოფი გამოართვას და ზაზას მოსცეს.

ზაზა დავითს ჭაზაირს რომ ედავება, თუ დავითმა ჰეშმარიტი  
საბუთი მოიტანა, რომ ოტია ამირაჯიბს დავითისათვის მიე-  
ცეს, დავითისა იქნება საკუთრად. და თუ საბუთი ვერ უყო, სასახლო  
და საძმო იქნება. მეორე ჭაზაირი რომ აქვსთ, საძმო არის.

სპილენძეული რაცა აქუსთ, დავით ამბობს: ერთი საარაყე ქუაბი ზაზამ გაყიდაო. ზაზა ამბობს: ოტია ამირაჯიბმა გაყიდაო. თუ ბაქრაძემ ისულოს, რომ ზაზას გაეყიდოს და ოტიას არ გაეყიდოს, ზაზას წილად ჩავარდეს. და თუ ეს ვერ ისულოს, რაც ზაზას სასახლოთ სპილენძი ჰქონდეს, რომ დავითის კაცმა იმოწმოს, ისიც მიიტანოს, რაც დავითს აქუს, ისიც მიიტანონ და ძმურად სამად გაიყონ.

სხვა რაც გასაყოფი კაცები ჰყუანდეთ, იმისი ცალკე ბრძანება დაიწერება. იენისის იმ, ქორონიკონს უფთ.

ოთხი ბეჭედი:

1. ზ ა ზ ა
2. ს უ ლ ხ ა ნ
3. მონა ღთისა ი ო ს ე ბ
4. მდივანი ს ო ლ ო მ ო ნ

ამ სამართალ[ი]ს ყაბული მაქ მე, ზაზა ამირეჯიბს.

ქ. ჩუენ, ყოვლისა ზემოასა საქართველოსა და კახეთის მეფე ირაკლი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. იენისის კბ, ქორონიკონს უფთ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

## 92. განჩინება ელიზბარ და ჯაალ დავითიშვილების ხევის საქმეზე

1781 წ. 28 იენისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 435. დედანი. ქალაქი. 34,7×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია ორწერტილი.

ქ. ელიზბარ დავითის შვილს ბატონისათვის არზი მიერთმია: ჩემს ბიძაშვილს ზა[ა]ლს ჩემ ბარათში ნარგები აზნაურშივილი ყავს<sup>1</sup> და არ მანებებსო.

იმ არზაზე მსარჯულთ მოეწერათ: ბატონო ამილახვარ-მდივანბეგი იასეს, ესენი შენთან ალაპარაკეო და რაც სამართალი მისცე, დასწერეთ და ჩვენც იმ სამართალს და[ა]ვამტკიცებთ. ამაზედ კიდევ ბატონის მოწერილი იყო და დაბეჭდილი.

ეს ოქმი მოგვიტანა ელიზბარმა დავითის შვილმა ჩვენ, ამილახვარ-მდივანბეგს იასეს. რომ ვნახეთ, მოვაყვანიეთ ამისი ბიძაშვილი ზა[ა]ლ და ვალაპარაკეთ ერთათ.

ზა[ა]ლმა ეს უპასუხა ელიზბარს: მართალიაო, შენი წილი იყო,

<sup>1</sup> ყავს] ყამს.

მაგრამ ნეტარსენებულმა ბატონმა გასამყრელთ აილო ეგ ტ ა ტ ი-  
შ ვ ი ლ ე ბ ი და მაგისი ფარდი შენ სხვა მოგეცა და გიჭირამსო.  
ოცდათორმეტი წელიწადია, რ[ა]ტომ აქნა[მ]დინ ან მე არა მთხოვ,  
თუ გაკლდა. და ან ბატონს. ახლა მე შემიწყალა ბატონმა და თავისი  
სახასო აზნაურშვილი მიბოძა; ეს წყალობის სიგელიო (მრ[ა]ვალი  
სხვისთვინც უბოძებია და მეც წყალობა მიყო.

ეს ბატონის წყალობის სიგელი გავშინჯეთ, ჩვენი სახასო გიბო-  
ძეთო; ბატონის დედოფლის და ბატონიშვილების ბეჭდები უსხედს.  
ჩვენ ამას ხელი ვერ შევარხივეთ, რადგან ბატონისაგან წყალობა  
სჭირდა ზაქალს და ეს სიგელიც ასე აცხადებს და ამდენის ხნის  
გაყრილიც იყვნენ, არც ამას დავებოდა, არც ბატონისათვის ეწყინა  
თავი. ჩვენ ასე გავსინჯეთ და ნება ბატონისა და მოსამართლისაა<sup>1</sup>.  
აღიწერა თიბათვის კვ, ქორონიკონს უფთ.

ბეჭელი: მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯუ-  
ლად იესე

კალეზე:

ქ. ამ ბატონის ამილახორ მდივანბეგის იესეს განჩენილს სა-  
მართალს ჩვენ, მსაჯულნიც, ვემოწმებთ. აპრილს კ, ქორონიკონს<sup>2</sup>  
უო.

ოთხი ბეჭელი:

1. მ ზ ე კ ა ბ უ კ
2. მონა ლთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს
4. ს უ ლ ხ ა ნ

### 93. ბანჩინაბა ფავლენიშვილებისა და ოპრომჟაღლიშვილების.

ბაგშლის საჰმეზა

1781 წ. 2 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 45. საბ. № 165. პირი. ქალაღი. მხედრული.

[109] ო ქ რ ო მ კ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი ს შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს ქ ვ რ ი-  
ვი და ობოლი უჩიოდნენ ფ ა ვ ლ ე ნ ი ს შ ვ ა ლ ს ი ე ს ე ს და  
თ ე ი მ უ რ ა ზ ს: ჩვენის ამოვარდნილის სახლისკაცის გაუყრელის  
გიორგის მამული მე ფ ი ს ბ ა ქ ა რ ი ს ა და დ ე დ ო ფ ლ ი ს  
რ უ ს უ ღ ა ნ ი ს წყალობით რომ გიჭირავსო, იმავე ხელ[ს]მწიფე-  
[ე]ბს წიგნი უბოძებია და ის წიგნი და სხვა წიგნებიც თქვენმა ძმამ

<sup>1</sup> მოსამართლისა.

პაპუნამ მამაჩემი დაიჭირა და წაართვაო; ამის მოწამე ა ბ ი ა თ ა რ უ რ ი ა ყ ო ფ ი ლ ი არისო.

აბიათარ[ს] თავისი მოწმობა-წერილი ვთხოვეთ. თავის კელით წერილი მოსცა სამართალსა: ოქრომქედლისშვილის შერმაზანის მამა სანატრელს მეფეს ვახტანგს ოსეთში რომ გაუყიდნია, იმ დროს ამოწყვეტილის ოქრომქედლისშვილის მამული ფავნელისშვილს უშოვიაო და ფავნელისშვილის წიგნი გაბათილებული იყო, ის წიგნები მე მებარაო; პაპუნამ რომ ყალბად სულერთიანათ იშოვნა ოქრომქედლისშვილებიო შერმაზან დაიჭირა და წიგნები წაართვაო და მერმე აუშუაო; ახლა ის გამაბათილებელი წიგნი დამალაო და ძველი წიგნი წამოაყენა. მე უთხარი იესესა როგორ ფიცავ, მაგისი გაბათილებული წიგნი ხომ მე მებარაო და ჩვენგან წაიღევიო. ეს რომ იესემ ჩემგან გაიგონა, გარდამეკიდა, თუ სამართალში არავინ გიმოწმოს, ნურა გრჯის რაო, ქრთამათ დღენახევრის მიწა მომცაო. ეს წერილით მოგვცა აბიათარ და ზეპირ ამბობდა, ისეთ მთხოვსო იმ დაპირებულსაო და ამისი მიზეზით ჩემმა მოძღვარმა ორი წელიწადია ზიარებისაგან დამაყენაო და ამიტომ ვამბობ.

ახლა თ ე ი მ უ რ ა ზ იჩივლა. ჩვენი სამკვიდრო მამული ოქრომქედლისშვილს უშოვნია და ზედ სახლობს. ერთი გაყრილი განაყოფი ამოწყვეტილა გიორგი და იმ ამოწყვეტილის განაყოფის მამული სანატრელის რუსუდან დედოფლისაგან და მეფის ბაქარისაგან ჩემს მამა-ბიძით უშოვნიაო, ორმოცდათვრამეტი წელიწადი ხელში მიჭირავსო, რომ ერთს დღეს არ ჩამოერთმევიო, და ეს იმათი წყალობა სანატრელმა მეფემ თ ე ი მ უ რ ა ზ ხელახლად გამი-ახლა და სიგელი მიბოძა, ოცდა[110]თორმეტი წელიწადი არისო; თუ ან წიგნი გქონდათ ან საბუთი, ჯერ ხომ წიგნები არ წაერთმია. რატომ არ გამოიტანე ის წიგნი, ან ოსმალობას ან ყიზილბაშობას ან სანატრელის მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ის მეფობაში არ ილაპარაკეთ და სამართალი არ გაიტანეთო.

მაგ წიგნების წართმევა ათი-თორმეტი წელიწადი ძლივ იქნებაო, რაც წიგნები წაგართვა, ისევ მოგცაო, მისის სიმალის მეფის ბძანებით და ოქმით აბიათარ რომ იასაული იყო და ასე ეწერა: თუ გიორგი გაყრილი ყოფილაო, ფავნელისშვილებს ის მამული არ მოეშლებათ: და თუ გაუყრელი ყოფილა, ოქრომქედლისშვილებს არ გამოერთმევაო. სამი და ოთხი მოწამე ფიცავს და წერილები ხელთა მაქვს, გაყრილი იყო და მე დამრჩაო.

მერმე წიგნზედ რომ დამიწყევ ლაპარაკი, ფიცი დამედვა, სამართლიდამ პაატა იასაული იყო; წადგა ჩემი ძმა იასე და შემო-

გვფიცაო. რომ წიგნები რაც წაერთმია, ისევ მთლად მოეცაო: რომელსაც წიგნს შენ აქმობ არც გქონია, არც წაგვირთმევიაო, თორემ თუ გქონდა, მამული რატომ აღარ გექიარაო.

მე ფემ თეიმურაზ რომ გამიახლა წიგნი და მიბოძაო, ოცი წელიწადი ხომ გამოვიდა, სანამდის წიგნებს წაგართმევდიო, თუ ის ჩემის წიგნის გამბათილებელი წიგნი კი გქონდაო, რატომ არ მიართვი და არ მოახსენეო, ვინც წამართვა, იმანვე მიბოძაო და თქვენ რატომ მართმევთო.

ა ბ ი ა თ ა რ, აქამდის რატომ არ გიმოწმა, სადამდის ჩხუბი მოგვიდოდა, ჩემი მამული სამკვიდრო ეშოვნა, ბატონისათვის ტყუილით მოეხსენებინა ბეითალმალიაო. ბატონს წიგნები მივართვი, მოვახსენე, ჩემი მამული მევე მიბოძაო. ამაზედ შენ და ჩემს ძმას ჩხუბი მოგივიდათო, ხლმით იწიეთ ერთმანეთზედაო.

ა ბ ი ა თ ა რ, შენი მოწმობა ამისთანა მოწმობა არისო, რომ მტერობით მამული გინდა წამართვაო, თუ კარგი მოწამე იყავ, დღენახევრის მიწისთვის ქეშმარიტი მოწმობა როგორ დამალე; და ორი წელიწადი თუ ზიარებისაგან დაგაყენა მოძღვარმა, აქამდის როგორ არ გაიღვიძე, [V] ჩხუბი რომ მოგვივიდა და მამულს ცილება დამიწყევ და არ დაგანებე, ახლა მოგაგონდაო.

და იმ შენის მოძღვრის ძმა შემომელახა და იმანაც ახლა მოგცა ეგ საკანონოო; წიგნი რომ გიჭირავს ჩემის ძმის იასესი — დღენახევრის მიწა მოგცეო, აშოროს ღმერთმან, წიგნის ბარობაზედ არ მოეცესო; გაყრისა და გაუყრელობის შეტყობის იასაული იყავ, დღენახევრის მიწას დაგპირდით, სიმართლით მოიქეცო და გასამრჯელოდ ამას მოგართმევთო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ესენი მრავალჯერ მოვისმინეთ და დიდსხანს იყო ეს ლაპარაკი. ხელმწიფების წიგნები წავიკითხეთ ასე იყო აღწერილი: ამოვარდნილის ოქრო მქედლი შვილის გოთრგის მამული გიბოძეთო, ძველადაც თქვენი სამკვიდრო იყო. ეს კმარიყო მოწმად, რომ გაყრილი ყოფილა, მაგრამ მისს სიმალეს მეფეს ერეკლეს რომ მოუკითხავს, სამი და ოთხი სარწმუნო კაცნი სწერენ — გაყრილი იყო.

და წიგნების დამალვას რომ ეწამება, პ ა ა ტ ა ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ი ს წერილი ვნახეთ, რომ იასაული ვიყავ, შეპფიცა წიგნებზედ, რომ არც გქონია, არც დაგვიმალავსო; და როგორც განაჩენში ეწერა, აღასრულაო. ამ ფიცს ზებედე დეკანოზიც ემოწმება.

და სხვანიცა გამოჩნდა, რომ აბიათარის მოწმობა მტერობის იყო, შურისა და სიხარბისა მამულზედ რომ ჩხუბი მოსვლიათ, იმის-

გან მომხდარა. და რასაც დაჰპირებიან დღენახევრის მიწას, იმას რომ არ ანებებენ, იმისგან ქმნილა, თორემ ორი წელიწადი რომ უზიარებელი გაუშუეს, რატომ არ შეშინდა.

შარშან ამ დროს ხომ აქ ჩვენს სამართალში სამი თვე თავის სახლისკაცს უჩიოდა, რატომ არ გვითხრა, ეს საქმე მომივიღაო და მიშველეთო. მაგრამ ისიც ტყუილია და ახლა რომ ამბობს ესეცა; ჩხუბის მიზეზით და მამულის შურით მომხდარა.

და ჩვენ კიდევ სამართლის სიფრთხილისათვის თეიმურაზს ფიცი დავადევით. წადგეს თეიმურაზ და ასე შეჰფიცოს, რომ: «შენ რომ ჩემის ძმის წიგნი გიჰირავს და დღენახე[111]ვრის მიწა დაგჰპირდით, არც ბათილამის წიგნის ბარობაზედ მოგვეცეს, არც ამისთვის რომ, იცი და ნუ იტყვიო; ამისთვის დაგჰპირდით, რომ გაყრისა და გაუყრელობის მოკითხვის ბძანება რომ გქონდაო, სიმართლით მოიქეც, ნურას მიმტერებ, და გასამრჯელოდ დაგპარდითო».

თუ ასე შეჰფიცა თეიმურაზმა, სხვებში ხომ გამართლებულია და ამაშიც გამართლდება; და აბიათარ რომ ცრუ მოწამედ აღმოჩნდება, იმდონი მამული აბიათარს გამოერთმევა და თეიმურაზს მიეცემა, რასაც თავისის მოწმობით თეიმურაზს ართმევენებდა — გლეხის ტოლი გლეხი, ვენახის ტოლი ვენახი და მიწის ტოლი მიწა.

თუ ვერ შეჰფიცადა, აბიათარის მოწმობაც გამართლდება და რასაც ოქრომჰედლიშვილი დაობს, სამართალი მიეცემა.

ჩვენ ასე განვსაჯეთ და ნება მათის სიმაღლისა არის. ეს ასე აღასრულე. ივლისის 8, ქორონიკონს უფთ.

მისის სიმაღლის მეფის განწესება, რადგანც ასე იბძანა, მის გამო მივეციოთ ეს სამართალი.



თავში:

ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე მეფე ქართლისა და კახეთისა, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. აღიწერა ივლისის 8, ქორონიკონს უფთ.

ეშვიკადასბაშო ქარდან! ასე აღასრულე, როგორც მსაჯულთ გაუჩენიათ.



1781 წ. 25 აგვისტო

ცსა. ფ. 1448. საბ. № 1887. დედანი. ქალაღი. 45X15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ბატონის ამილახორ-დიანბეგის იესეს ბრძანებით დავსხედით ჩვენ, გორის მამასახლისის ზურაბ, ნაცვალი ქარუმიძე გარსევან და გორის ქეთხუდები ზალიასშვილების გაყრაში, რაც მამული ჰქონდათ, გაუყავით.

ავთანდილს ერგო ნახევარი სახლები ამ სახლების ზომა ზენაქრივ ყუზანასკენ თავის განი ადლი თხუთმეტი, ჩარეჟი სამი, შუაწელს განი ადლი-თორმეტი; ქვენაქრივ განი ადლი თერთმეტი. ეს ადლით ზომები სამი რომ სწერი[ა], თავი, ბოლო და შუაწელ რომ გაგვიზომია, კედლებს შუა გაგვიზომია.

კიდევ ერგო ქარმიშასეული ნასახლარი თავისის სიგლითა, როგორც სიგელი აცხადებს. კიდევ ერგო: რუის[ს] რაც მამულები ჰქონდა, სულ ხელიერთპირათ.

ამას გარდა ერთი კომლი<sup>1</sup> კაცი გასაყოფი ჰყავთ — სვიმონა მეჩითე. ამის ტოლი გასამყრლო წიგნი რომ ამისი ფარდი არის, გორგის აქვს. დაიწერა მარიამობის კე, ქორონიკონს უფთ.

ქ. მე, გორის მამასახლისი[ი] ზურაბ, ამ ზალიასშვილების სამართალში ვიჯექ და ასე გავარიგეთ.

ქ. მე, ბაბალასშვილი ავთანდილა, ესენი ასე გავყარეთ, ეს ჩემი ხელია. ხელრთვა: ავთანდილ

ქ. მე, ზა[ა]ლთაყინასშვილი, ამისი დამსწრე და გამრიგე ვარ. ბეველი: მონაღთისა თაყინაშვილი ზაალ.

ქ. მე, თუთუნასშვილი დავითა ამის დამხდური ვარ, ეს ჩემი ხელია.

კიდევ:

ქ. ჩვენ, ბატონი ამილახორ-დიანბეგის იესე, ამ გასამყრლოს ვამტკიცებთ.

ბეველი: მე ამილახორს მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად იესე.

<sup>1</sup> კომბლი.



1781 წ. 28 ნომბერი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 3185. დედანი. ქალაღი. 40,3X16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

სრულიად იმერთა მეფემან მეფეთამან სოლომონ დავითიანმან, ოდეს მტკიცედ სდგა მეფობაჲ ჩვენი, მას ჟამსა მოვიდენ წინაშე ჩვენსა დიდებულნი ჩვენნი მიქელაძის შაქარის შვილნი და შვილისშვილნი და კუალად მიქელაძის ქაიხოსროს შვილნი და შვილისშვილნი და იაჯეს წინაშე ჩვენსა მამულითა თვისისა გლეხთა და აზნაურთა განთვისება.

და ჩვენცა ჭეშმარიტითა მსჯავრითა ვსაჯეთ და თავ-თავისი წილი, რომელიც სამართლის წიგნიდამ მიეცემოდათ, სრულითა სამართლითა განვაჭეშმარიტედ თანახმობითა ბრძანებისა ჩემისათა, სალთუხუცის წერეთლის ზურაბისათა, ძეებრ საწყურსასურთა ჩემთა დიდებულთა თავადთა და სიძეებთა ჩემთა აბაშიძის ქაიხოსროსითა და ერისთვის ძის ელისბარისათა და სხვათა დიდებულთა კარისა ჩემისათა თანხმობითა.

და პირველად განიყვეს აზნაურისშვილები და თავ-თავისი განიკერძეს. უმცროსის ძმის ქაიხოსროს შვილებს და შვილის შვილებს ერგო საუმცროსოთ პირველი სასახლე კულაშს, საყდრიდგან გამოსავალს ხიდს აქედ თხრილსა და ღელეს შუა. და რომელიც შენებული რამ არის იმაშიდ, სრულებით იმიანთ, ქურს გარდა.

და მოჯალაბეთ პირველი მოჯალაბე:

ქ. ტორონჯაძე ბიჭელას შვილი მათი ცოლშვილით.

ქ. ტორონჯაძე ივანელა მისის ცოლშვილით

ქ. ტორონჯაძე ბასილ მისის ცოლშვილით

ქ. ტორონჯაძე თამაზელა მათის ცოლშვილით

ქ. კიდევ ორი მოსახლე ტორონჯაძეები მათის ცოლშვილით

ქ. ტორონჯაძე დედულა მათის ცოლშვილით

ქ. ორი მოსახლე გვაგვირეის შვილები მათის ცოლშვილით.

ამათშიდ ცილობა შეიქმნა: პირველი მოჯალაბე[ე]ები არ არისო, ესენი სხვაგან და სხვაგან ესახლენ.

ჩვენ ესრეთ განვაჩინეთ: ერთმან კაცმან ტორონჯამ ასე შანთი გააგდოს: «პირველი მოჯალაბეები ესენი არ იყვნენ».

თუმცა ასე შანთმან ამართლოს, რომელშიდაც შანთისაგან გა-  
მართლდეს, შუაზედ გაიყონ, მოჯალაბე არ ყოფილა, შაქარისა და  
ქაიხოსროს შვილმან და შვილისშვილმან.

თუმცა ან შანთმან ამტყუნოს და ან შანთი ვერ გააგდოს, ქაი-  
ხოსროს შვილსა და შვილის შვილს დარჩეს მოჯალაბებათ.

ქ. კვალად აიყვანეს თავისდა სამხდურათ ქაიხოსროს შვილმა  
და შვილის შვილმან აზნაურისშვილი.

ქ. ბ უ ქ უ ა ქ ა ჯ ა ი ა ს შვილი და შვილისშვილი მათის ყოფით.

ქ. მ ა მ უ კ ა ქ ა ჯ ა ი ა ს შვილები და შვილის შვილები მათის  
ყოფით.

ქ. ბ უ ქ უ ლ უ კ ი ბ ო კ ე რ ი ა მისის ყოფით

ქ. ლ ა ტ უ ა ქ ა ჯ ა ი ა ს შვილები მათის ყოფით

ქ. ვ ე ლ ი ბ ო კ ე რ ი ა ს შვილი მისის ყოფით

ქ. გ ო გ ი ბ ო კ ე რ ი ა ს შვილი მისის ყოფით

ქ. ი ე ს ე ბ ო კ ე რ ი ა ს შვილი მისის ყოფით

ქ. ბ ე რ ი კ ე ლ ა ქ ა ჯ ა ი ა ოტიას შვილი მისის ყოფით.

ქ. ესენი თავ-თავისი აღრჩევით აღიყვანეს და ჭეშმარიტითა  
მშჯავრითა მიეცათ.

წელთა უფლისათა ჩღბა, ნოემბერს კმ. აღიწერა ღელითა ჭ ი-  
ქ ი ნ ა ძ ი ს ნ ი კ ო ლ ო ს ი ს ა თ ა .

სამი ბეჭედი:

1. მეფე იმერეთისა ს ო ლ ო მ ო ნ
2. მონა ღთისა წ ე რ ე თ ე ლ ი სალთხუცესი ზ უ რ ა ბ
3. ა ბ ა შ ი ძ ე ქ ა ი ხ ო ს რ ო .

## 96. ბანჯინება დავითგარეჯის მონასტრისა და ვასილ ნაკლულაშვილის მამულის საძმავა

1781 წ. 15 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 437. დედანი. ქაღალდი. 38,5X22 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. მისის სიმალლისათვის მოექსენებინა მრავალმთის გარესჯის  
წმიდის დავითის მონასტრის წინამძღვარს თ ო მ ა ს: ნ ა კ ლ უ ლ ა-  
შ ვ ი ლ ს მღვდელს ვასილს მონასტრის ნასყიდი მამული უჭირავ-  
სო, არც მონასტერს ემსახურებო და არც ნასყიდს მამულს გუან-  
ბებსო.

მისს სიმაღლეს თავეთის ძის ბატონის შვილის გიორგისათვის ებძანათ ამათი სამართალი; და ბატონიშვილს საქართველოს მსაჯულთშეკრებილებისათვის ებრძანა. ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ.

ნაკლულაშვილს მღვდელს ვასილს წიგნები ქონდა სანატრელის ელენე დედოფლის — მისის უწმიდესობის კათალიკოსის დედისაგან ბოძებული. ნაკლულაშვილისათვის ერთი დღე აღაპი დაედვა, ამას გარდიკდიდესო და სხვაბრიგად ყოვლითურთ თარხანი იყოსო. აღაპიც დავით-გარესჯის უდაბნოს უნდა აღსრულებულიყო და ეს გლეხიც წინამძღვარს ბარებოდა. ეს წიგნი მეფის იმამყულისაგანც დამტკიცებული იყო, სანატრელის მეფის თემურაზისაგანცა, კურთხეულის ანნა დედოფლისაგანცა და ნეტარქსენებულის თამარ დედოფლისაგანცა.

ბასილი მღვდელი ამას ჩიოდა: მე დავტყვევდიო და ჩემს ძმას პეტრეს ჩემი ვენაჟი დაეგირაოებიანა ათ თუმნად, იმით დამიხსნაო, დაგირაობის მაგიერ ნასყიდობის წიგნი თვითან დაუწერიათო, თორემ ნასყიდი არ არისო. ახლა თავეთს თეთრს ვაძლევ და არ მანებებენო.

მერმე სხვა წიგნი წარმოადგინა ამ ბასილი მღვდელმან, ასე ეწერა: ეს წიგნი მოგეც ბოდბელ მიტროპოლიტმა დავით-გარესჯის იმამ იოანე ნაკლულაშვილს, ასე რომ: შენის მამის მამული რომ ჩვენ მოგვყიდე, ლასურაულს უკან რომ მიწა არის, ახლა ვაზი ჩაგეყარა, იმაში ჩვენ კელი არა გვაქვსო, შენი არისო; არა კაცი იმას არ გეცილებოდესო. ქორონიკონს ულთ, ამ რიცხვში იყო დაწერილი.

ჩვენ ამ ვასილი მღვდელს თავისი მოღებული წიგნი დაუდევით, ასე რომ სწერია, შენის მამის მამული რომ ჩვენ მოგვყიდეო, თუკი არ მიგეყიდა, რათ დააწერინეო, თუ შენს უნებურად დაწერა, რად ინახევიდი, რომ ამ გაჭირვებაში მოიტანეო.

გატყდა მღვდელი, აღიარა და კელითწერილი მოგვცა: მართალია, მისყიდულიაო და ლასურაულს უკან რომ მიწა სწერია, ისიც მონასტრის მამულიაო, მაგრამ ჩემი აშენებულიაო.

სამართლით ეს ნასყიდი მამული წმიდის დავითის მონასტერს დარჩა ნასყიდათ და ლასურაულს უკან რომ მიწა ყოფილა, მიწა მონასტრის მამულია და ნამუშევარი ნაკლულაშვილისა.

ჩვენ ესენი ასე გამოვარკვიეთ; და რასაც შემძლებელი ვიყავით,

ის დავწერეთ და გავარჩიეთ. ახლა ნება მისის სიმალლისა არის და მისის უწმიდესობის კათალიკოზ-პატრიარქისა.

გიორგობისთვის იე, ქორონიკონს უფათ.

ქ. რადგანაც ამ მღვდელმა ვასილიმ თავისის პირით სამართალში აღიარა, რომ ლასურაულს უკან ჩემი აშენებული ბაგა რომ არის, ის მიწა მონასტრის მამული არისო; და მე რომ ავაშენე, იმისი ნახევარი კი გავყიდეთ. ნახევარი რადგანაც კი გაუყიდია, ის ნახევარი ერგებოდა გასაკეთებლად; და ნახევარი რომ დარჩომილა, ის მონასტრისა არის.

სხვის მამულს რომ კაცი გააკეთებს, ნახევარს გამკეთებელს მისცემს სამართალი და ნახევარს მამულის პატრონს.

იასაულო ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, ბატონიშვილის მოლარეთხუცესო გ ი ო რ გ ი, ეს ასე აღასრულე.

ოთხი ბეჭედი:

1. ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულისმბბჰომი(?) ღმერთგანცაა(?), ი თ ა ნ ე, 1748
2. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს
4. მ ზ ე ჭ ა ბ უ ქ.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი, ამ მსაჯულთაგან მიცემულს განჩინებას ვამტკიცებთ. ნოემბერს ით, ქორონიკონს უფათ.

ბეჭედი: მე ფ ი ს ძ ე გ ი ო რ გ ი

თავში:

ქ. ჩვენ, ორთავე საქართველოთა მ ე ფ ე ი რ ა კ ლ ი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ნოემბერს კ, ქორონიკონს უფათ.

ბეჭედი: მე ფ ე ზ თ გ ა ნ ბ ა ნ ი ლ თ ა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

verso

ქ. ჩვენი ბძანება არის გ ა რ ს ე ვ ა ნ ე შ ი კ ა ლ ა ს ბ ა შ ო ! მერე ეს განაჩენი მსაჯულთაგან დაწერილა და დაბეჭდილა ჩვენგანაც. მათის უწმინდესობის ჩვენის ძმის კათალიკოზისაგან და ჩვენის შვილებისაგანაც დამტკიცებული არის.

და წინამძღვარმაც ასე გამოაცხადა ჩვენს წინაშე, რომ: საგარეჯოში ჩვენს სახასო ყმას და უდაბნოს ყმას ერთმანერთში მამულის ყიდვა არ დაეშლებოდესთ. და ჩვენც ამისთვის ვიყაბულეთ, თორემ არ ვიყაბულებდით.

ახლა ამ განაჩენში მოხსენებულს მამულზედ ნაკულაშვილს  
ქელი აუშართე და წინამძღვარს თომას მოაბარე. გიორგობის კვ,  
ქორონიკონს უო.

ქ. ჩვენ კათალიკოზის წილს არ დავებუქდევდით, მარა რადგან  
თვით დავებუქდა და ერთმანერთში სყიდვა და გასყიდვაც ყოფილი-  
ყო, ჩვენ ამან დავგვებუქვდინა.

ბეპედი: მე ფებთვანბანილთა მიერ ეკლესია ვაღიდე, ერეკლე  
კიდეზე:

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართუელოს პატრიარხი მეფის ძე ანტონი,  
განჩინებას ამას ვამტკიცებთ. ფებერვარს იე, წელსა ჩღბბ.

ხელთვა: კათალიკოზი

**97. ბანჩინება ბარძიმ მაჩაბლისა და როსტომ ერისთვისიშვილის  
მამულის საქმეზე  
1781 წ. 22 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7023. დედანი. ქალაღი. 36,5X22,7 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ალაგ-ალაგ ასოები  
გადასულია.

ქ. მაჩაბელს ბარძიმს და მის ძმას უზბაშს ზაზას  
არზა მიერთმიათ მისის სიმალღის მეფის ძის ბატონის შვი-  
ღის გიორგისათვის; და მათ ჩვენთვის ებქანათ ამათი სა-  
მართალი.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ ამათი სარჩელი  
მოვისმინეთ. მაჩაბელი ბარძიმ და ზაზა ამას ჩიოდნენ: ჩვენი ყმის  
ურჯემელასშვიღის მამული უქვირავსო, წინაზედ ვიჩივ-  
ღეთო და ოქმი მოვიტან[ეთო] და როსტომ ერისთვის-  
შვიღმა ეს წიგნი მოგვცაო.

ის როსტომის მიცემული წიგნი წავიკითხეთ. ასე ეწერა: ვარი-  
ანს ურჯემელასშვიღის ნაქონი ერთი სახღის ალაღი, ერთი ვენაქი  
და რვის დღის მიწა მექვირაო. მე ასე მგონია, თქვენგან მქონდღს მოს-  
ყიდულიო, ნასყიდობის წიგნი ვერ მიპოვნიაო, თუ ვიპოვნე და გაჩ-  
ვენე, ხომ ჩემი ნასყიდი მამული მევე დამანებეო: თუ არადა, თქვენ-  
თვის დამინებებია და აღარ გეცილებიო. და თქვენგანც ამისთანა  
წიგნი მაქვსო. მეორე წიგნი ჰქონდათ: კორინთელი იასე! ეს  
მამული მიაბარეო.

როსტომ ერისთვისშვიღი თავის მიცემულს წიგნს წინ ვერ  
აღუდღა. ეს პი[რო]ბა დაუდღა ამ მომავალს ქრისტეს შობის დღესას-  
წაულამღის პაემანი იყოსო. თუ ამ პაემანამღის ნასყიდობის წიგნი

ვიპოვნე, მოვიტანე და სამართალს მივართვი, ხომ სიტყვა არა გექნება რა; თუ ვერ ვიპოვნე, მამული გიჭირავს და აღარ გეცილებიო.

ჩვენ სამართალი ამაზედ დავაყენეთ. და ორნიც ამ პირობაზედ დადგნენ: ამ მომავალს ქრისტეშობის დღესასწაულამდის როსტომ ერისთავისშვილმა თუ ან წიგნი იპოოს ან ასეთი საბუთი, რომ მოსამართლის გული დააჯეროს, სამართალი სარწმუნო ექმ[ნას] და შეიწყნაროს, ილაპარაკონ და სამართალი მიეცემათ. მამული როსტომს დარჩება, ეს განაჩენიც მაჩაბლებს გამოერთმევა და როსტომს მიეცემა და ზედ სამართალი მოეწერება.

და თუ ვერც წიგნი მოიტანოს, ვერც ასეთი საბუთი რომ მოსამართლის გული დააჯეროს, რასაც ვარიანში მაჩაბელი ბარძიმ და ზაზა როსტომ ერისთავისშვილს მამულს ეცილებიან, სრულად მაჩაბელს ბარძიმს და ზაზას დარჩებათ.

ამაზედ დადგა ეს სამართალი. გიორგობისთვის კბ, ქორონიკონს უფთ.

ქ. როგორც დაგვიწერ[ია], თუ ან წიგნი მოიტანა როსტომმა ან საბუთი, როსტომს დარჩება ურჯემელასშვილის მამული. თუ ვერც ერთი ვერ მოიტანა, რისაც მქონებელი ურჯემელაშვილი ყოფილა, მთლად მაჩაბელს ბარძიმს და ზაზას დარჩებათ.

ორი ბეჭედი:

1. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
2. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

ქ. რომელიც ამ განაჩენში პაემანი დაგვეწერა, იმანც გაიარა და მეხუთეს თვეს ბარძიმ და ზაზამ ეს განჩინება სამართალში მოიტანა. რადგანც აქამდის არც წიგნი წარმოადგინა, თუ ჰქონდა; და ან თუ სიტყვა ჰქონდა, რატომ არ ელაპარაკა; ან მოწამე ჰყვანდა, რატომ არ წამოუყენა.

ჩვენის სამართლით რომელიც მამული ამ განაჩენში დაგვიწერია, დარჩათ მაჩაბელს ბარძიმს და ზაზას. და ნება მისის სიმადლისა არის. მაისის 3, ქორონიკონს უო.

ორი ბეჭედი:

1. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
2. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

98. ზანჩინება ფავლენისუვილებისა და ოქრომქედლის  
მამულის საქმეზე

1781 წ. 18 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 31. საბ. № 203. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[144] ფავლენისუვილს ფავლენს და ოქრომქედლისუვილს შერმაზანს ოთხს საკვამლეზე ედავნა და ერთმანერთში მორიგებულიყვნენ და წიგნები დაედვათ და გაეყოთ. მაგრამ ახლა ორს მიწაზედ დაობდენ, თავთავისობდენ. მოვიდნენ ფავლენისუვილები ბიძინა, ზაზა, ოქრომქედლისუვილი დავით ჩვენ, ფალავანდისუვილს უსბაშს გიორგისთან, როსტომსა და ბერსა და დეკანოზისუვილს დავით [თ]ან, ბედნიერს მეფის შეტოდებაზე მუხალგის წიგნი მოგვცეს, რომ: თქვენს სამართალს არ გადავიდეთო და რომელიც გაემტყუნდეთ, ერთი იმტოლი მიწა იქავ მივცეთ ერთმანერთსაო.

ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ და წიგნები გაუსინჯეთ, რომ ამათი მამები გარიგებულიყვნენ და ერთმანერთისათვის გადაწყვეტილობის წიგნები მიეცათ, რომელსაც მიწებზე<sup>1</sup> დავობდნენ, იმ მიწას არც ერთის წიგნი არ აცხადებდა.

ფავლენისუვილები ამას ამბობდნენ: ჩვენ რომ საკვამლო გვრგებია, იმისიაო.

ოქრომქედლისუვილი ამას ამბობდა: ეს ორი მიწა არც შენის ყაზან ფარასუვილისაო და არც სხვას საკვამლოსა და საგლეხოს მიწაო, კიდევ ჩემი მამა-პაპის საქვეიდრო სახლის ნაფუძრებიაო.

ამ მიწებში ჩხუბიც მოსვლოდათ. ოქრომქედლისუვილს ამილახვარმდივანბეგთან არზა ეახლებინა: ამ მიწის მოკითხული ბძანეთ მოსწრებულს კაცებზედა, სწორე მოწმობა მოგვიწერონო; სამს მოსწრებულს კაცს ხელი მოეწერა ფიცით, რომ ზოგს ეთქვა: ოთხმოცის წლის იქ მემკვიდრე ვარ, [v] ერთსაც სამოცდაათისა ვარო, აგრევე მესამესა ფიცით დაეწერათ — ოქრომქედლისუვილს სასახლო ნაფუძარიო.

ეს წიგნი მოწმობისა ოქრომქედლისუვილმა წამოაყენა, დიახ, მოთაბარი, მოძღვრიანი კაცნიც არიან, მაგრამ რადგან პირდაპირ იმ

<sup>1</sup> მიზეზზე.

კატაგან ვერ გაგვიგონია, ეს მოწმობა მართლა ვერ ვირწმუნეთ ხელითწერილი.

ფავლენის შვილები ამას ამ[ბ]ობდენ: ეგ მოწმე[ე]ბი ჩვენ გვიმოწმობდენ და კაციც მოეგზავნა, იმ მიწაში წილი გიძევსო.

ამისი მიზეზით აქ არ გადავწყვიტეთ; რომელიც ოქრომქედლის შვილს სამი მოწამე, ხელისწერილით რომ მოწმობენ, თუ ისინი ცხინვალში წამოლდებიან, რომ ხემწიფის ტახტია მოხელესა და უფროს კატან, როგორც წერილით უმოწმებიათ. ისე უმოწმეს, ღმერთ ქვეშ როგორც პირობა დაუდვიათ, ის მიწაც ოქრომქედლის შვილს დარჩება; და ერთი იმტელიც იქავ სხვა უნდა მისცეს ფავლენის შვილმა.

თუ ეს ოქრომქედლის შვილი გამტყუნდა, ის მიწაც ფავლენის შვილს დარჩება და ერთი იმტელიც სხვა უნდა მისცეს.

ღმერთ ქვეშ ჩვენმა გონებამ ეს სამართალი ასე განაწესა. როცა ცხინვალში ეს საქმე აღსრულდეს და რომელიმე გამტყუნდეს, ცხინვალის მოხელემა და უფროსმა კაცმა მოწმობა უნდა მოაწერონ, ვისაც დარჩეს. ქრისტოშობის იმ, ქორონიკონს უფთ. † † †

მე, გოგია უზბაშს<sup>1</sup>, არც ბეჭედი მქონდა და არც წიგნი ვიცოდი და ამ ივანეს ყოჩიას შვილს მოვაწერინე.

და<sup>2</sup> მე, ატოცის [145] დეკანოზის შვილი<sup>3</sup> დავითი<sup>4</sup>, ამ სამართალში ვიჭექე, ბეჭედი არა მქონდა, ეს ჩემი ხელია.

მე, ბერა ფავლენის შვილი<sup>5</sup> და როსტომა, ამ სამართალში ვიყავით და წიგნი არ ვიცოდით და არც ბეჭედი გვქონდა.

მე, ზურაბ ოქროაშვილმა, ამათის სიტყვითა მოვაწერე და ეს ჩემი ხელია. †

## 99. განჩინება ზაზა ამირაჯიბისა და ასლამაზ დავითის შვილის შინს საქმეზე

1781 წ. 80 დეკემბერი

ესსა. ფ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 90. პირი. ქალაღი. მხედრული.

[78] დავითის შვილს ასლამაზ[ს] სვიმონ ამირეჯიბისაგან ხარაზის შვილი ზურაბა დაეხსნა. ამ სვიმონის ძმისწული ქაიხოსრო წასდავებოდა, ამ კაცში მეც წილი მიძევსო. თავის ბიძისაგან მიცემული სიგელი ასლამაზს ერგენებინა. რადგან რომ ეს სიგელი ენახა, თავის წილიც ქაიხოსროს სანატრე-

<sup>1</sup> უზბაშისა. <sup>2</sup> ჯამ. <sup>3</sup> შვილმა. <sup>4</sup> დავითმა. <sup>5</sup> ფაღვენ შვილ.



ლის ჩვენის ძმის ლეონისათვის სიგლით მიერთმევენა. რომ-  
ლისამე მიზეზისათვის ქაიხოსროს გასქირებოდა და ოსებში გარდა-  
ვარდნილიყო. ამავე ჟამზედვე ამირეჯიბს ზაზას ასლა-  
მა[ვ]ისათვის ეჩივლა ასე, რომე ჩემი გირაო არისო. სამართალში  
რადგანაც ეს ქაიხოსრო არ ყოფილიყო, სწორე და გარდაწყვეტილი  
სამართალი არა მოეცათ რა.

შემდგომად ეს ქაიხოსრო რომ ოსებიდამ ჩამოვიდა, ზაზამ და  
ასლამაზმა ჩვენთან ილაპარაკეს. ქაიხოსროს არზა მოგვი[ვი]და; ის  
ზემოხსენებული კაცი ზაზასათვის არც მიმიყიდიოდა და არც გირაოდ  
მიმიციაო; და არცარა უჯათი რამა ჰქონდა, რომ სამართალში შე-  
გვეწყნარებინა.

ამ ასლამა[ვ]ს კარგი სარწმუნო წიგნები ჰქონდა. ამ წიგნების  
მოშლა ჩვენგან არ შეიძლებოდა. სანატრელს ჩვენს ძმას ლეონსაც  
ამ ასლამაზისათვის ებოძებინა და ჩვენც სამართლით ამ ასლამაზს  
უბოძეთ. დეკემბრის ლ, ქორონიკონს უფთ.

თუ ზაზას სიტყვა აქვს რამე, ქაიხოსრო ამირეჯიბს  
უნდა ედაოს. ამ ასლამაზთან არა ექნება რა.

**100. ბაქინება ქაიხოსრო აზიაშვილისა და საწირელი თემის  
ამჟღის საკმეზ**

1791 წ.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. საბ. № 1745. დედანი. ქა-  
ღალი. 30,5×10,3 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ წერტილი. უთარილო. თა-  
რიღდება მომდევნო საბუთის მიხედვით.

ქ. ციხისთავი და საწირელი და ახალსოფლიერი თემი გავაბ-  
ჯვეთ.

ციხისთავმა უჩივლა: ბატონს დამასმინეთ და ბატონ-  
თან მომკალით, და რას შემართლებოდიოთ.

თემმა უპასუხა: რომელიც ჩვენი სარჩო ყოფილა და ან  
დღეს არის, ის ადგილები დაგვიმოდედ და, მართალია, ბატონს შევა-  
ტყობინეთო.

ციხისთავმა უპასუხა: ღმერთმა წყალობა მიყო და  
ჩემის ძველისსეული ბატონმა მიბოძა და ახლა ჩემი სამნები მოვ-  
ძებნეო. ციხისთავმა სამანზედ შუბი დაასო; ამ სამანს შიგნით კაცს  
ხელი არა აქვსო და ეს ჩემი საციხისთო არის.

თ ე მ [მ] ა ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა .

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თემი და რომელიც ხელმწიფემ სამართალი ინებოს, ასე სამართალი მისცენ: «არც ეს სამანი საციხისთო საძღვრის სამანი იყოს, არც შენის ძველისა და არც ახლის და არც სკიპის დელესა და სამანს შუა არც შენ, არც შენს ძველს და არც ციხისთავს ამაში ხელი არ ქონდეს, და არც საციხისთო ადგილი ეს იყოს და არც არაფერი ხელთ გქონდეს, არც ციხისთავსა და არც საციხისთაო კაცს ამ ადგილში ხელი არა ქონდეს».

თუ ასე უსამართლონ, ადგილი თემს დაჩრქეს. თუ ვერ უსამართლონ, მიწა ციხისთავის ყოფილა და თემს ტყუილა უქამია; და ციხისთავიც ტყუილა ბატონისთვის დაუსმენიათ.

და დასმენა ბატონმა გასინჯოს და როგორც ბძანოს და სამართლის წიგნმა გააჩინოს, ისე მიეცეს თემისაგან ციხისთავს.

და ის ადგილიც რომ უქამიათ, რაც ამის ბატონობაში მოდი დაკლებოდეს, იმ მოდიანათ მისცენ თემ[მ]ა ციხისთავს.

ჟღებუ: იმ სამანს შიგნი[თ] გენათელს უფიცებია ციხისთავი და ის მეფემ გასინჯოს.

## 101. მორიგების წიგნი საწირელი თემისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი

1781 წ.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. საბ. № 1716. დედანი. 44,5×19,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, საწირელმა თემ[მ]ა სამი საყდრის კაცმა, თქვენ, ციხისთავს აგიაშვილს ქაიხოსროს, ასე რომ: სამანსა და სკიპს შუა დაგედევით, მერმეთ ბატონის ხემწიფის კარზედ გავსამართლდით. ბატონმა ხემწიფემ დავით ჩხეიძე ბოქაულათ გიჩინათ და სამნებზე მოფიცარი მოგვაყენე, მარა ჩვენ ველარ გაფიცეთ და ხელშეუალად დაგიტევით სამანსა და სკიპს შუა და ვაშლარს აქეთ; სამოდოთ თუ გვიბოძეთ, თორემ ხელშეუალათ მოგართვით.

არის ამისი მოწამე: წინამძღვარი საბა, ჩხეიძე დავით, ხოსია ქელბაქიანი, მოურავი პატარიძე ნიკოლოზ, მღვდელი პატარიძე დავით, მოურავი კაცია ყორყო-

ლაძე, იაშვილი დავით, ერთობით ყოველლაძეები, გიორგი [გი] ყიფიანი და სხვანი ყველა მოწამე არიან ამისის. წელთა უფლისათა ჩღაჲ † † †

მინაწერი: საწირელი თემის მოცემული წიგნი არის.

## 102. ბანჩინაბა გოგია თუშუაშვილისა და ბასტამაანთ მილდისას შვილის ღუქანების საქმეჲ

1782 წ. 16 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 8. საბ. 54 პირი. ქალაღი. მხედრული.

[53] მისის სიმალლის მეფისათვის არზა მიერთმია მოქალაქეს თუშუასშვილს გოგიას: ჩემი მამული ოთხი ღუქანი ბასტამაანთ მილდისას შვილს გირაოდ უქირავს. ახლა თავის თეთრს ვაძლევ და ჩემს ღუქნებს არ მანებებსო.

მისს სიმალლეს მეფეს ჩვენ, მსაჯულთათვის, ებძანა ამათი სამართალი: მოქალაქენიც დაისწართ და სამართალი მიეცითო.

ჩვენ თან დავისწართ ქალაქში მოსამართლედ განწესებულნი ასრათა და ნაზარბეგისშვილი ოსეფა. მოვაყვანინეთ მილდისას შვილები სტეფანე და შაქარო. ამათ [v] ერთი წიგნი მოიტანეს, რომელშიაც ასე ეწერა: ესე წიგნი მოგეცე მე, ძიქ შერმაზანანთ შერმაზან შენ — ბასტამაანთ მილდისი მეღქუას, ასე რომე ჩემი ოთხი ღუქანი მოგყიდე, ოქრომქედლებისა ზეითი და ქვეითი. ფასი თამამ-ქამალათ მომბარებია. როსცა გინდოდეს და მოიცალო, შენი სიგელი დაგიწერო და მოგეცე. ამ სიგლის ხარჯიც თქვენ უნდა მისცეთო. მოწამე ყარაყაშაანთ ფარსადანა და ბეჰედი იჯდა და გულასპაანთ შაქარაო. მე შერმაზანას დამიწერია და ყაბულიცა ვარო, იანვრის იჲ, ქორონიკონს უმ.


ეს წიგნი რომ ვნახეთ, გოგიას ვკითხეთ — მამის შენის კელიაო, თუ არაო. გოგიამ ერთი წიგნი მოიტანა — ეს მამის ჩემის დაწერილიაო. ერთმანერთს უდგინეთ; სწორედ ერთის კაცის დაწერილი იყო და ასოები გვანდა ერთმანერთს. მერმე მოქალაქეთ ვკითხეთ — ამისთანას წიგნის ჩვეულება გაქვსთო. იმათ თქვეს: მრავალჯერ იქნებაო, რომ დიდი სიგელი ან მოუტლელობით ან მოკელის ხარჯის დარიდებით ან რომლისამე საქმით დარჩესო და ამისთანა წიგნი გამოართოსო, სიგლის ადგილს დაიქერსო, არ გატყდებო.

ჩვენ კიდევ ორი დღე მულათი [54] მივეცით გოგიას: თუ ან

წიგნი გაქვს რამე. ან ყაბზი, ან საბუთი, მოიტანე და სამართალი მოგეცემაო. გოგიამ ასეთი საბუთი ვერა მოიტანა რა, [რომ] მოსამართლის გული დასჯერებოდა და რადგანაც მოქალაქენიც ასე ამბობდნენ — ეს წიგნი არ გატყდებაო. და მილდისასწვილები ფიცით ამბობდნენ — ოცდაათი წელიწადია გვიჭირავსო, რომ არავინ გვდავებიო და წიგნიც ასე აცხადებს და გოგიას ასეთი ნიშანი არა ჰქონდა რა — ან ეჩივლა ვისთანმე და ოქმი ჰქონოდა, ან ყაბზი ჰქონოდა: ამდონი მოგეც და ამდონი დარჩაო — ესენი არა ჩნდა რა.


ჩვენ ეს განჩინება მივეცით: რადგანაც თავის მამის კელითწერილი კელთ უჭირავსთ მილდისასწვილებს, ამას მოსამართლე ვერ გასტეხს. დარჩათ ეს დუქნები მილდისასწვილებს სტეფანეს და შაქარას. სიგელიც უნდა დაუწეროს და მისცეს და ძველი სიგლებიც მიიბაროს.

ნაიბ ეშიკადასბაშო ყორიასაულბაშო ზ ა ზ ა ე ! შენ რომ ბატონის ბჰანება გაქვს, ასე აღასრულე. იანვარს იე, ქორონიკონს უო.



ხეღრთვა: ო ს ე ფ

თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველომსა მეორე ირაკლი, ვამტიცებთ განჩინებასა ამას. იანვრის ღ, ქორონიკონს უო. 

### 103. ზანჩინება გიორგი შანშიაშვილისა და ზაალ იაგულაშვილის მამულის საქმეზე

1782 წ. აპრილის დამდეგს

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 8. საბ. № 29. პირი. ქალაღი. მხედრული.

[30] შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი და ი ა გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ზ ა ა ლ ლ ა პ ა რ ა კ ო ბ დ ნ ე ნ ვ ა ნ ქ ი ს ს ო ფ ე ლ ს და მამულზედ. ამ ლაპარაკში შუაკაცად დაგვისწრეს: თუშმლისშვილი მუშრიბი იოსებ თავლიდარი თ ა რ ს ა დ ა ნ.

გ ი ო რ გ ი ამას ლაპარაკობდა: ვ ა ნ ქ ს ზ ო გ ი სამკვიდრო და ზ ო გ ი ნასყიდობა მაქვსო. წიგნები მოვთხოვეთ. სამკვიდროს წიგნებიც, მამულის და ნასყიდობის წიგნიც მოიტანა. ვნახეთ, მოჰთაბარი იყო წიგნები.

ზ ა ა ლ ამას ეპასუხებოდა: ვანქში სამკვიდრო მამული და ნას-  
ყიდობისაც მაქვს. ზაალს თავისი და თავის სახლისკაცის გიორგი-  
საგან მიცემული წიგნები მოვატანიეთ. ზაალის [v] წიგნებიც მოჰ-  
თაბარი იყო.

ესენი ერთმანერთს მამულის მეტნაკლებობას ეუბნებოდნენ,  
მარა ავის დროს მიზეზით ეს ვანქის მამული დიდხანს გახარაბებული  
იყო, ერთიმეორის მამული არ გაირჩეოდა. ამათში შფოთი და შე-  
ძულება მოხდებოდა. ამისთვის ჩვენ, შუაეკაცებმა, ასე ურჩიეთ და  
თითონაც ასე ამჯობინეს და ორთავ ნება დავევრეთეს: რაც ვანქში მა-  
მული იყოს — სახნავი თუ სავენახობები, საწისქვილები, ნასოფლა-  
რი, სახლის ალაგი, მთითა, ბართა, ტყითა, ჭალითა, შესავლითა, გა-  
სავლითა სრულიად გაუერთეთ, რომ ამაების ნახევარი გიორგიმ  
უნდა აიღოს და დაიჭიროს და ნახევარი ზაალმა, რომ ერთმანეთზედ  
მეტ-ნაკლები არ უნდა მოინდომონ<sup>1</sup>.

ზაალს რომ თავის განაყოფის გიორგისაგან მამული უყვიდა,  
შანშიაშვილი გიორგი არ ჩაუწერია სიგელში. იმ ნასყიდობის ფას-  
ში გიორგი ნახევარ ფასში მიუდგა. ეგრეთვე შანშიაშვილს გიორგის  
რ ო ჭ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ამ სოფლის სადაოზე და განაჩენზე  
დახარჯოდა, ნახევარი ზაალმა მისცა. ზაალს რომ ნავენახობები აქვს,  
რომ ალაგები ჩანს და იცნობა, ის ზაალმა უნდა აიღოს. იმდენი ნა-  
ვენახობები გიორგიმ უნდა აიღოს, იმტოლი და იმისავ ზომით. ამას  
გარდა რაც იყოს, [მ1] სწორედ უნდა შუა გაიყოს. რაც მეტ-ნაკლები  
სიგლები აქვსთ, ყველა ამათში ბათილი არის, რომ ველარ იტყვიან  
დღეის იქით — ჩემი მეტია მამული, შენი ნაკლები; რომ ამ წიგნებ-  
მა სწორედ შუა გაჰყო; ვანქის სოფლისა ნახევარი გიორგი შანშია-  
შვილს დარჩა, ნახევარი — იაგულაშვილს ზაალს. პირობაცა აქვსთ  
ერთმანეთში: დღეის იქით თუ ან ვანქზე ან ვანქის მამულზე სალა-  
პარაკო გაუხდათ ვისგანვე, გარეშე კაცი იყოს თუ თავეთი, ორთავ  
ერთათ პასუხი უნდა გასცენ; გასაღები იქნება, თუ სხვა იქნება რამ,  
ორისავ სწორე იქნება.

ვანქის ბარობაზედ ამათაც და ამათმა შვილებმაც ასე უნდა  
ქნან, ამ წიგნის პირობით ასე უნდა აღასრულონ.

ეს წიგნი ორი დაიწერა. ორივე ერთის მაზმუნით არის დაწე-  
რილი. ერთი გიორგის მიეცა, ერთი ზაალს მიეცა.

ზაალმა რომ ნავენახობები აიღო, იმის ფარდათ იმტელი, იმ

<sup>1</sup> მოინულომონ.

ზომით ნავენახობები გიორგიმ აიღოს. დაიწერა აპრილის დამდგეს,  
ქორონიკონს უო.

მე, არყუთაშვილი სტეფანა, ამისი მოწამე ვარ გო-  
ციას და ზაალის სიტყვითა.

ამ კაცების დასწრებით ამ განაჩენის ყაბული მაქვს მე, ზაალ  
იაგულაშვილს. ვინც ამას გადავიდეს, უწილოდ გავიდეს.

**104. განჩინება ერაკლე II-ისა მღვინეთხუციშვილების სახასო  
შეხებად აშვანის შესახებ**

1789 წ. 19 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 420. დედანი. ქალაქი. 38,3×20 სმ. მხედრუ-  
ლი. ალაგ-ალაგ წერტილი.

ქ. ჩვენმა სიძემ ციციშვილმა დავითმა და იმისმა სახ-  
ლისკაცებმა პაატამ და ნიკოლოზ ამისთანა ჩვენი წინააღმ-  
დეგი და ურჩება რომ გაბედეს, ციციშვილი სახლთუხუცესი  
ზაქარია დაიპირეს და ერთს კვირას დაბმული ჰყვანდათ.

ეს ზაქარია სახლთუხუცესი ბატონის ანახანუმ დედო-  
ფლის შვილისშვილი იყო. ციციშვილმა, ჩვენმა სიძემ, დავითმა,  
პაატამ და ნიკოლოზ არც ნეტარად ხსენებულს ბატონს მამას ჩვენს  
დაზდვეს პატივი და არც ამათს პატიოსნებას ბატონს ანახანუმ დე-  
დოფალს და არც ჩვენს შეცოდებას და წინააღმდეგობას დაერიდნენ.

თავისმა სიდედრმა დარეჯან დედოფალმა დავით ცი-  
ციშვილს ბევრი უშალა: ნუ წახვალ, შფოთი არა ქნა რაო. არც იმას  
დაუჯერა.

აქ ქალაქში ეს საქმე სამთავ სახლის კაცებმა თურმე განიზრა-  
ხეს და ფიცით წიგნი დაედვათ, თითონაც წიგნი მოეწერათ და თავის  
აზნაურშვილებისათვისაც მოეწერინებინათ.

თომა მეღვინეთხუციშვილი და იმის ძმისწულელები  
პაატა და სვიმონ ჩვენს წინააღმდეგს საქმეში არ გარე-  
ულიყვნენ, იმ წიგნზე ხელი არ მოეწერათ და არც ამ საქმეში მიჰ-  
ყოლოდნენ.

ციციშვილს სახლთუხუცეს[ს] ზაქარიას იმ თავის ვანაყოფებზე

თუნდა დანაშაულიც ჰქონოდა რამე, ციციშვილებს დავითს, პაატას და ნიკოლოზს ჩვენის სამართლისათვის უნდა მოეცადნათ და თავისთავად ეს საქმე არ უნდა ექნათ.

თუმცა ამხანაგისაგან თანასწორის სიკვდილი მომხდარა, მაგრამ ამგვარი საქმე უფრო ძნელათ გაგონილა ვისგანმე. ეს სიკვდილზე უმეტესი და უმძიმესი საქმეა. ამის მაგიერი სამართალი სხვა იქნება. ჩვენის სიძის დავითის გარდახდევინება სხვა გვიბძანებია და გარდახდება. აგრევე პაატასა და ნიკოლოზსაც ღირსებისაებრ გარდახდებათ. და სხვა ოქმით გამოცხადდება.

თომა მეღვინეთხუციშვილმა და იმის ძმისწულებმა პაატამ და სვიმონ რადგან ამისთანა ჩვენი მორჩილება იხმარეს და იმ ჩვენს საწინააღმდეგოს საქმეში არ მიჰყვენენ, ამისთვის ესენი ციციშვილის პაატას და ნიკოლოზის წილიდამ უმამულოთ გამოვართვით და ჩვენს სახასოთ დავიჭირეთ.

ციციშვილებს გაყრა რომ მოუხდესთ, სხვა სახლისკაცებმა ამ მეღვინეთხუცისშვილის სამაგიეროთ უმამულოთ სხვა აზნაურშვილი უნდა აიღონ და ამათთან ციციშვილებს საბატონყმით ხელი აღარა აქვსთ, ჩვენი სახასო არის. აღიწერა აპრილის ით, ქორონიკონს უო.

ბუკელი: ქნარს მიცემს, დავით მივძობს ძედ, კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

ქ. რომელიც მამულები ამ მეღვინეთხუციშვილებს ნასყიდი აქვსთ და ან მოსული კაცი ჰყავსთ, რომ ციციშვილებისაგან მიცემული არა ჰყვანდესთ, ის ამათივე არის და ვერცავინ მოუშლისთ.

და რომელიც ციციშვილებისაგან ამათ ყმა და მამული მისცემია, ის ისევე ციციშვილებისა არის და ამ მეღვინეთხუციშვილებს იმ ყმასა და მამულთან ხელი აღარა აქვსთ.

ბუკელი: ქნარს მიცემს, დავით მივძობს ძედ, კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 105. ბანჩინაბა დეკანოზიშვილებისა და მფუზრიშვილების მამულის საქმეზე

1789 წ. 27 აპრილი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 37. საბ. № 278. პირი. ქალაღი. მხედრული.

[175] ბედნიერის ხელმწიფის ოქმით და ბძანებით წავედით ჩვენ — ნაიბ-ეშიკადასბაში, ყორიასაულბაშო ზ ა ზ ა, პარმის ეშიკადასბაში ჯ ა რ დ ა ნ, ქალაქის მელიქმამასახლისი ა ვ ე ტ ი ქ ა, მოსამართ-

ლებთან განწესებული ჰასრათა — სიონის დეკანოზის შვილების და მეფურის შვილის დავითისა და იმის სახლისკაცების ლაპარაკში ბალების ბოლოს რომ საბად[ე] ჰალა აქვსთ ორთავ ლომასელაურებისაგან ნასყიდი, ამ სამძღვარზედ მამულის უწინაც ლაპარაკი მოსვლოდათ. იმ ჟამად მელიქმამასახლის აშხარბეგ [ს] იმ ქალის სამძღვრების მცოდნე კაცნი გაეტანებინა და გაესამძღვრათ და შეერიგებინათ.

ერთი წიგნი დეკანოზის შვილებს მეფურის შვილებისათვის მიეცათ, რომ სამძღვრები გარჩევით სწერია. ერთი იმ წიგნის ფარდი წიგნი მეფურის შვილს დეკანოზის შვილებისათვის მიეცათ, რომ იმაწინაც სამძღვრები გარჩევით სწერია: გამოღმა დიდი ფლატო, იმავე ფლატოს ძირში დიდი მაყვალი დგას, რომ მეფურის შვილს თავის წილის მამულისათვის ბოლოდამ თხრილი წამოედო და ამ დიდს ფლატოს ძირში დიდი მაყვალი დგას, რომ მეფურის შვილს თავის დებინა, ამ ფლატოს გასწვრივ გახედვით, მტკვარ გაღმით, პირდაპირ ორ ხევს შუა ტიტველა თეთრი კლდე.

ეს მიჯნები ჩვენც გავსინჯეთ. ამ ფლატოს და მაყვალს ქვემოთ ადგილი თხრილი რომ ავლია, ქვემოთი მხარე მეფურის შვილისა დავითისა და იმის სახლისკაცებისა არის, რომელსაც სამი ნიშანი აცხადებს: დიდი ფლატო, ფლატოზედ მაყვალი არის და ამათ პირდაპირ თეთრი კლდე. ამ სამძღვრების ზეითი დეკანოზის შვილებისა არის, რომ ძველი სიგლები და უწინდელი გარიგების წიგნებიც აცხადებდა. ჩვენც ასე გავარიგეთ, რომელიც სამძღვრები სწერია, სამძღვრებს ქვემოთ მეფურის შვილებისა არის, ზემოთი მხარე დეკანოზიანთია. ამ სამძღვრების და ადგილის სიგლების სიმტკიცე ვნახეთ და ჩვენც ასე გავარიგეთ.

აღიწერა აპრილის კზ, ქორონიკონს უო. 

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  |  |
|--|--|--|

მელიქმამასახლისი ავეტიქა ამისი დამხდური<sup>1</sup> და მოწამე.

ვარ<sup>2</sup>.



<sup>1</sup> დამხევალარი. <sup>2</sup> ვაწას.



106. განჩინება ოპრომპედლიშვილის ქვრივისა და აბიათარის  
 შმა-მამულის საქმეზე

1782 წ. 20 მაისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 31. საბ. № 192. პირი. ქალაღი. მხედრული.

[136v] ჩვენს ხელმწიფეს მისს სიმაღლეს დ ე ღ ო ფ ა ლ თ-დ ე-  
 დ ო ფ ა ლ ს დადიანის ასულს პატრონს და რ ე ჯ ა ნ ს ო ქ რ ო-  
 მ ჭ ე დ [137] ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს ქ ვ რ ი ვ ის ა და ო ბ ლ ის ა და ა ბ ი-  
 ა თ ა რ ის სამართალი რომ ებძანათ, ჩვენ, ერთობით ქართლისა და  
 კახეთისა მსაჯულნი, ამას განვაჩენთ: რადგანაც აბიათარ ამდენი სიც-  
 რუე იხმარა, პირველ ოქრომჭედლისშვილს უმოწმა, რომელიც მისი  
 ხელით წერილი სასამართლოში ძევს და მასუკან ფ ა ვ ნ ე ლ ი ს-  
 შ ვ ი ლ ს მისცა თავის ხელით წერილი, — რაც ოქრომჭედლის-  
 შვილს უმოწმე, სიცრუე იყო, ფავნელისშვილის მტერობით მომი-  
 ვიდაო. ამისთანა მოწმისთვის ბ ე რ ძ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ა ლ ი ასე  
 ბძანებს: ექსორია იქმნასო, თუ ღარიბი იყოს, ენა მოეჭრასო. და სა-  
 ნატრელი მ ე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ს წერს: დიდი ნასალი დაემართოსო.

ეს სამართლები — ენის მოჭრა, ექსორიობა და ნასალი ამით  
 დავაყენეთ; რადგანაც აბიათარ ცრუ მოწმედ აღმოჩნდა, იმდონი მა-  
 მული აბიათარს გამოერთვას, ყმის ტოლი ყმა, მამულის ტოლი მა-  
 მული და ვენახის ტოლი ვენახი და ოქრომჭედლიშვილის ქვრივისა  
 და ობოლს მიეცესთ, რაც რომ ფავლენისშვილისაგან ოქრომჭედ-  
 ლისშვილს გამოერთვა.

ჩვენ ასე განვსაჯეთ და უმჯობესი მათის სიმაღლისაგან იბძა-  
 ნოს. მაისის კ, ქორონიკონს უო.

|  |         |                    |                 |        |        |
|--|---------|--------------------|-----------------|--------|--------|
|  |         | მდივანზევი<br>ოტია | მსაჯული<br>იესე | სულხან | სულხან |
|  | სოლომონ |                    |                 |        |        |

თავში:

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი, ამ განჩინებას  
 ვამტკიცებთ. იასაულო! ეს ასე აღასრულე. მაისის კვ, ქორონიკონს

უო.

ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალთ-დედოფალი ბატონის დადიანის ასული პატრონი დარეჯან, ამგანაჩენს ვამტკიცებთ. ეშიკაღაბაშო ჟარდანი! ეს ასე აღასრულე.

მაისის კდ, ქორონიკონს უო.

**107. ბანჩინება სულხან თუშანიშვილისა და შარსაღან ამირაზაშვილის  
მაგვლის საქმეზე**

1782 წ. 18 ივნისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 4. საბ. № 4. პირი. ქალაღი. მხედრული.

[3v] თუშანიშვილი მდივანი სულხან ამირაღაშვილს ფარსადანს უჩიოღა: გორს ჩვენი სასაფლაო ეკლესიას შეწირულს ერთს ღუქნის ალაგს რომ ექიღებღი, ის ისევე ეკლესიას უნღა დღაქნებღო.

ფარსადან ამას ეპასუხებღოღა, რომ: შენის გაყრილის სახლის კაცისაგან შეწირული თავისი ერთი წილი ღუქნის ალაღი სიგლით ნასყიდი მაქვსო დღ რაც ჩემთვის გამოურთმევიღო, ისიღ ეკლესიას მოხმარებღიღო დღ მომსყიღავს არ მოუხმარღიღო.

მდივანმა სულხანმა ასე უპასუხა: ეკლესიღ ჩვენის სახლისკაცების საერთო სასაფლაო არისო, ორჯერ წარმართთაგან დღტყვევებულღო, მაგრამ ერთობიღ თუშანიან[ნი] იმ ჟამათ ყოფიღან, ერთათ შეყრიღან, თავიანთ შეძღებღიღამ დღ თუ ეკლესიის სამკაულიღამ დღ თუ ეკლესიის საქონლიღამ ერთათ შემოკრებღიღთ დღ ერთათ თანხმობიღთ დღუხარჯავღთ დღ გამოუხსნიღათო; იმ ჟამის ერთის ღუქნის ფასიღთ ან ეკლესიას როგორ გამოიხსნიღათო დღ ან ეკლესიას რას ნაკლებობღას შეუსრულებღათო. [4] მე საბუღთს მოვიტან, რომ ეგ შენი სიგელი ცრუ იყოსო დღ სამართალში ღაპარაკიღთ დღამპატრონებღიღთ ამღთენს ხანს ის ღუქნის ალაღი გაგებღათ[ი]ღლებღინოს, რომ სამართლით იმის გაბათილებღის პასუხი ეკლესიას უნღა გასციღო.


ჩვენ, საქართველოს მსაჯულშეკრებულებღამ, ამათი სარჩელი რომ მოვისმინეღთ დღ ის სიგელი გავშინჯეღთ, რადგანაც სიგელშივე უცხადებღს, რომ ეკლესიის შეწირული მამულიღა, არ უნღა ეყიღა, ამას სამართალი ეკლესიის გამცარცივეღათ მოჰკითხევეღა.


მაგრამ რადგან თითონ ეს არ იყო მონასყიღე დღ მსყიღველი გარღდაციღლიღყო, ამისთვის მას არღ გარღდახღებღოღა რღ. მაგრამ ეკლესიის შეწირულობღ დღ მამული არ გაიყიღებღა. ის ერთის ღუქ-

ნის ალაგი ისევ ეკლესიისთვის უნდა დაიდვას. და რაერთს თეთრს ფარსადან იტყვის, რომ იმ ერთს ღუქნის ალაგში მიეცეს, იმდენი თეთრი ეკლესიასი უნდა დაიდვას ეკლესიის თეთრიდამ. და თუ სწორე მონასყიდეა ფარსადან, უნდა შევიდეს საყდარში და ის თეთრი გამოიტანოს; და სხვა საქმე აღარა ექნება რა ფარსადანს.

იასაულო დიასამიძევე ტეტიავე! როგორც ამ განჩინებაში აცხადებს, ასე უნდა აღასრულო, ხელი ამართო, ეკლესიას დაანებო და ეკლესიისათვის ააშუებინო<sup>1</sup>. ივნისის იმ, ქორონიკონს უო.



ჩვენ, ყოვლისა საქართველოჲსა მეფე ირაკლი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ივნისის კგ, ქორონიკონს უო. 

ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართველოსა, კახეთისა და სხვათა დედოფალი ბატონის დადიანის ასული ბატონი დარეჯან მის სიმალლის ბრძანებულის მსგავსად ვამტკიცებთ. მაისის კმ, ქორონიკონს უოვ. 

## 108. განჩინება შარმაზან აფხაზისშვილის მკვლელობის საქმეზე

1782 წ. 22 ივნისი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 5524. დედანი. ქალაღი. 74,5×50,8 სმ. მხედრული. განკვეთლობის ნიშნად ნახარია მძიმე და წერტილი.

ქ. აფხაზისშვილის შერმაზანის მკულეღნი, თავიანთგან მოკლულს თავის ბატონს შარმაზანს, ამ საშინელს ხმას რომ შესწამებღნენ, რომ: სანატრელი ბატონისშვილი ამ ჩუენმა ბატონმა შერმაზანმა მოწამლით მოკლაო, და ჩვენც ამ ჩვენის კელმწიფის შვილის სიკვდილისათვის, და ჩვენზედაც დიდი დანაშაული ჰქონდა, და ჩვენც ამისთვის ის ჩვენი ბატონი შერმაზან მოკვაღითო.

ეს საშინელი შეწამება მათს უმაღლესობას მეფეს მოხსენდა. მათმა უმაღლესობამ ამ აფხაზისშვილის შერმაზანის მკულეღნი და ამ კმის შემწამებღენი მოასხმეღინა და მრავალგვარის ფთხიღად გამოძიებით გამოიკითხა. და მერმე ამათი სამართალი და კიღევ ბევრ-

<sup>1</sup> აშუენბინო.

გვარად ამ საქმის გამოჩხრეკა ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებას, გვიბრძანა.

ჩვენ, მოსამართლეობის თანამდებობისაებრ, როგორც ამ საშინელის კმის სიმძიმეს და სიდიდეს შეეფერებოდა, იმისთანას დიდის სიფრთხილით მრავალფერად გამოვიძიეთ და მრავლის ჭეშმარიტად აღმოჩენილის საბუთებისაგან ვიუწყეთ, რომ ამ თავისის მკულელობისაგან, აფხაზის შვილის შერმაზანისა ამ საშინელის კმის შეწამება, ყოველის მკრიდამ სიცრუე იყო და მკულელობის შეცოდებით ბრალეულის თავიანთ თავის წამლად წარმომადგარი ტყუილი.

და რამდენისაც ჭეშმარიტის საბუთებით, მკულელთაგან შეწამებული ეს ხმა სიცრუედ აღმოჩნდა, აღწერასა და კალამში გრძლად შემოვიდოდა, და ამისთვის მრავალთაგან ეს მოკლეთ მოვახსენე.

პ ი რ ვ ე ლ ა დ ესე, რომ: სანატრელის ბატონისშვილის სიკუდილს უკან ორმოცს დღემდის ის აფხაზის შვილი შერმაზანც ცოცხალი იყო და იმისი მკულელებიც აქ იყვნენ. თუ ეს შეწამება ჭეშმარიტი იყო და ერთგულობისათვის შესჭირდათ, რატომ მათს უმაღლესობას მეფეს არ მოახსენეს, რომ ის, ამათი ბატონიც, მოკუდებოდა სამართლით, და იმისი სახლიც იავარ იქნებოდა, და ეს შეწამებულნიც წყალობას მიიღებდენ, რადგან ამ საშინელს საქმეს მათის უმაღლესობისა და ქვეყნის ერთგულობითა გამოაცხადებდენ.

მ ე ო რ ე დ ესე: შერმაზანის მკულელნი რომ შერმაზანისაგან სანატრელის ბატონისშვილის მოწამლით სიკუდილს რასაც ღამეს და რომლისაც სახით ამბობდენ, ამაზედ ჩუენ ბატონისშვილის მახლობელნი შინაყმანი მოვასხით და თითოეულად ფიცით იმათგან მოხსენებულის აზრების სიმართლე გამოვიკითხეთ და ერთობით დაამტკიცეს, რომ არც იმათგან მოხსენებულს ღამეს სანატრელს ბატონისშვილს ვახშამი ებრძანოს და არც იმათგან მოხსენებული ნიშნები მართალი ყოფილიყოს. და ამითაც მკულელნი და შემწამებელნი შერმაზანისანი ცრუ იყვნენ.

მ ე ს ა მ ე დ ესე: მკულელნი იყვნენ და თავიანთ ბატონის მკულელობით ბრალეულის თავის გასამართლებლად და წამლად ამბობდენ, ამისთვის ყოველის მკრიდამ შეხედვით ეს და უსაბუთო დიდი შეწამება სამართალმა არ შეიწყნარა.

და თუ ამ შერმაზანის მკულელებისაგან. თავიანთ წამლად შეწამებას გარდა. სხვას ჭეშმარიტების მცირეს რისამე საბუთიღამ, ან წერილით და ან სიტყვით, ცოტა რამ ნიშანიც არის გუეპოვნა, რადგან მეტად მძიმე საქმე იყო, აფხაზიშვილს ფიცით გავაწმენდინებდით.

მაგრამ რადგან ყოვლის გამოძიებისაგან აღმოჩენილს კეშმარიტებად აღმოჩნდა შერმაზანის მკულელობის სიცრუე და აფხაზის-შვილის სიმართლე, ამისთვის ეს კეშმარიტად განმართლების განაჩენი მივეცი, რომ: აფხაზისშვილისა ამ საქმეში ყოვლითურთ უბრალოება და სიმართლე შვილითი შვილადმდე საზოგადოდ იღაღადებოდეს.

და აფხაზისშვილი, რომ ასათს შესწამებდა: «ეს საშინელი შეწამება ამ ჩემის შვილის მკულელებს მტერობით შენ ასწავლეო, ამ სიტყვით რომ თქვენ ესე თქვით და აღარა გიშავთ რაო», ამათმა ლაპარაკმა სამართალში ბევრჯერ გაიარა და ამისი სამართალი სხვის განაჩენით გარდასწყდა. აღიწერა ივნისის კბ, ქორონიკონს უო.

ცხრა ბეჰელი:

1. მ ზ ე ქ ა ბ უ კ
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერისთვისა მსაჯულად მაგო, ბ ე უ ა ნ
3. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ.
4. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ
5. მონა ღთისა ს უ ლ ხ ა ნ
6. მონა ღთისა მდივანი ი ო ს ე ბ
7. არ ირჩევა
8. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა
9. მიწა ვარ დავითრგუენები დ ა ვ ი თ

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოჲსა მეორე ირაკელი, ვამტკიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას. მთიბათვის კბ, ქორონიკონს უო.

ბეჰელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. ჩვენ, საქართველოს დედოფალი დადიანის ასული დარეჯან, ვამტკიცებთ ამ მსაჯულთა მიერ განჩინებასა. ივლისის დ, ქორონიკონს უო.

ბეჰელი: დედოფალი დარეჯან.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი მეფის ძე ანტონი, მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. იულისს 12, წელსა ჩღბბ.

ხელრთვა: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, ვამტკიცებთ მსაჯულთ მიერ განჩინებას ამას. ივლისის ზ, ქორონიკონს უო.

ბეჰელი: მეფის ძე გიორგი

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ბატონიშვილი ანტონი, ამ მსაჯულთ მიერ განჩინებას ვამტკიცებთ. ივლისის ზ, ქორონიკონს უო.

მეფის ძე ხელრთვა: ანტონი

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ბატონიშვილი იულონ, ვამტკიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას. ივლისის ზ, ქორონიკონს უო.

ბეჰელი: ღმთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე. ბატონიშვილი ვახტანგ, ვამტკიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას. იანვარს ზ, ქორონიკონს უოა.

ბეჰელი: ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე მირიან, ვამტკიცებთ მსაჯულთ განჩინებასა ამას. ივლისის იგ, ქორონიკონს უო.

ბეჰელი: დავითის ტომთა სქესისა ძე ვარ ირაკლი მეფისა მირიან-

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღუდელო მთავარეპისკოპოსი ბესარიონ, თანამოწამე ვართ მსაჯულთა მიერისა განჩინებისა, იულისის იე, ჩღპბ.

ხელრთვა: ბესარიონ

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღუდელო მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა გერმანე თანამოწამე ვართ მსაჯულთა მიერისა განჩინებისა ამის.

ბეჰელი: გერმანე

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღუდელო მდაბალი მიტროპოლიტი ნინოწმინდისა და ათორთა უდაბნოთა, თანამოწამე ვართ მსაჯულთა მიერისა განჩინებისა ამის.

ბეჰელი: საბა

ქ. ჩვენ, მუხრანის ბატონი იოანე, ამ განჩინების თანამოწამე ვართ.

ბეჰელი: იოანე

ქ. ჩვენ, ორბელიანი სარდალ-სახლთუხუცესი და ვით, ამ განჩინებისა თანამოწამენი ვართ.

ბეჭდელ: ინდოთ ტომობის სქესობით მე სახლთუხუცესობით და ვით.

## 109. ბანინება შანშიაშვილების ყველის საქმეზე

1782 წ. 27 ივნისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 580. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. შანშიაშვილს მოლარეს გოგიას და პაპას რომ უჩიოდნენ გლეხნი კაცნი: თქვენი ყმანი არა ვართო, სადედოფლონი ვართო, ჩვენს ქელმწიფე დედოფალს ამათი სამართალი ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულთათვის, ებძანა.

ჩვენ ესე[ე]ბი ვალაპარაკეთ და ფიცი დავადევით ამ სადაო გლეხკაცთ — ანანაშვილს, სარქისაშვილს და ბარამაშვილს ასე უნდა შე[ე]ფიციათ: «შანშიაშვილებო, ჩვენ თქვენ სამკვიდრო ყმათ არ მოგვგლოდეთ, თუ არ ხიზნობით».

მაგრამ იმ განჩინის ქვემოზე დავსწერეთ: თუ შანშიაშვილებმა ამ ორმოცს დღეზე ასეთი ან წერილი და ან მოწამე სასამართლოში წარმოაყენეს რამ. სამართალმა ირწმუნა, მაშინ სამართალი მიეცემათ შანშიაშვილებს.

ოც დღეზე ამ შანშიაშვილებმა ერთი წერილი წარმოაყენეს, რომელშიაც ასე ეწერა: ბატონო ჩემო შანშიაშვილებო, მიშველე რამ, სალევოს ხარჯს მთხოვენ.

ქ. მეორე ეს, რომ მორიგის დავთრის მაწერალი მისულა, უკითხავს: ვისი ყმა ხარა, ვისზედ დავწეროთ. ამ გლეხთ კაცთ უთქვამთ: შანშიაშვილების ყმათ დავგწერეთო და მორიგის დავთარში შანშიაშვილების ყმათ ეწერნენო.

ქ. მესამე ეს, უზბაში ქავთარისშვილი ნიკოლოზ ფიცით მოწმობს: შანშიაშვილმა მითხრა, ჩემი კაცი ხელთუბანს სახლობს, ხარჯი გამომირთვიო. მიველ, გამოვართვი ამათ და შანშიაშვილებს მივეცო.

ქ. მეოთხე ეს, საგინაშვილი უზბაში ნიკოლოზ დიდის ფიცით ასე მოწმობს: მეც მითხრა შანშიაშვილმა, ხელთუბანს ჩემი კაცი სახლობს, ხარჯი გამომირთვიო. ექვსი მინალთუნი გამოვართვი და შანშიაშვილს მივეცო.

ქ. მეხუთე, აგრევე ყაითმაზაშვილი სტეფანე ფიცით ასე თქვა სამართალში: მეც გამოვართვი ამ კაცთ და შანშიაშვილს მივეცო.

ქ. მეექვსე, მაღალაშვილმა დაავითმა და სვიმონმა თქვა სამართალში: ეს გლენი კაცნი რომ მეტენში სახლობდნენ, ჩვენ ვკითხავდით, ვისი ყმანი ხართ; ესენი გვეტყოდნენ — შანშიაშვილებისაო.

ქ. მეშვიდე, ყაითამაშვილი ყაითმაზა ასე მოწმობს ფიცით: მე რა ჩემს თავს მოვესწარ, ეს კაცნი ამ შანშიაშვილების ყმათ მინახავსო.

ქ. მერვე, პატარა საყდრის ტეროჰანეზა ასე მოწმობს წერილით: ამათი მამა შანშიაშვილების ყმათ მინახავს ბოლნის[ს]აო, რომ მამაჩემი ამათ სახლში მდღლობდაო.

ქ. მეცხრე, იგულაშვილი გიუა ასე მოწმობს წერილით: ჩემს მოწრებაში ესენი შანშიაშვილების ყმათ მინახავსო.

ქ. მეათე, სახასო ესტატე ასე მოწმობს წერილით: ვახტანგ მეფის დროს ოსმალობას და ყიზილბაშობას ეს ამათ ყმათ მინახავსო.

რადგან პირველივე სამართალმა ასე განაჩინა, რომ თუ ორმოც დღემდინ შანშიაშვილებმა ან მოწამე და ან წერილი წარმოაყენეს რამ, სამართალმა ირწმუნა, მაშინ სამართლით გოგიას და პაპას დარჩებოან.

ახლა ამათ ეს წერილი და მოწამე წარმოაყენეს, რომელიც ზემორე მოგვიხსენებია. და ნება ჩვენის ხელმწიფე დედოფლისა არის.

ალიწერა მთიბათვის კზ, ქორონიკონს უო.

აქ ამ მოწმობის ლაპარაკით და სამართლის მიხედულობით ეს კაცი ამათ არ გამოერთმევათ. და ნება მისის სიმადლისა დედოფლისა არის.



თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოსი და სხვათა დედოფალი ბატონის დადიანის ასული პატრონი დარეჯან, ამ განაჩენს ვამტკიცებთ.

მდივანბეგ-ეშიკაღაბაშო თეიმურაზ, თავისი კაცი ამ შანშიაშვილს მოლარეს მოაბარე. თიბათვის ვ, ქორონიკონს უოგ.

დედოფალი  
დარეჯან



1782 წ. 24 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2628. დედანი. ქალაღი. 19,8X9 სმ. მხედ-  
რული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ბასილაშვილმა დათუნამ და იასემ უჩივლა  
გელაშვილს დემეტრეს და ელიზბარს: ჩემი სახნავი  
მიწა უჭირავსო, არ მანებებსო, ორთელის ბოლოსაო.

ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ. ილაშვილს ოთარს, იაკობ  
ელისაშვილს, ტერიაშვილს ნასყიდას ღმერთ წი-  
ნაშე ვკითხეთ, რომე: ეს მამული ბასილაშვილისა გაგიგონიათ, რომე  
აღათანგის ნაქონი მამულობით გაგიგონიათ თუ არა, ღმერთ  
წინაშე მითხარით.

ამ სამ[მ]ა მოხუცებულთ კაცთ ფიცით ასე თქვეს, რომ: ჩვენ  
არც გაგიგონიაო, არც ვიცით, რომ აღათანგის შვილის ნაქონი მა-  
მული გელაშვილს დემეტრეს და ელიზბარს ექიროს. ამ გელაშვი-  
ლის მამას და ამათ სულ[ლ] ხელთ ექირათ, არავინ შესცილებია: ჩვენ  
ამათის მიწის მემიჯნები ვართ, თორემ ამ ბასილაშვილის დათუნ[ა]ს  
მამა რატომ არ ედაებოდაო.

დღეს სამართლით დარჩა გელაშვილს. ორთელის ბოლოს, რაც  
სახნავს ბასილაშვილი დათუნა და იასე ედაებოდა, არცა რა საქმე  
აქვს.. აგვისტოს 24, ქორონიკონს უო.

ბეჭედი: მონა ღთისა მდივანბეგი ოტია

111. არჯა კაცია ლომიბაშვილისა ყოვლის თაობაზე მდივანბეგათა  
განჩინებით

1782 წ. 6 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 402. დედანი. ქალაღი. 13,5X 12 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი  
წერტილი.

[არჯა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჰირი მოსცეს ჯავახს ლო-  
მიტაშვილს კაციას.

მერე ამას მოვახსენებთ: მე ჯავახი გახლავარ, იქიღამ ავიყარე  
და რევაზს მელვინეთხუციშვილს ვეყმე, იმასთან ვიყავ. მომი-

ვიდა ეშმაკის საფრკე და სახლში თუ რამ ქონდა — ზანდუხჩა, საწვ-  
რიმლო ქალისა, რაც მოვაქვლე, წავიდე; ისევ ჯ ა ვ ა ხ ე თ ს წ ა-  
ველ. საცხენისის მთაზე ლეკმა დამიჭირა და იმ ლეკმა ქ ა რ ე ლ ი  
წა[ა]ხდინა, მოგვეწივნენ ქარელნი და გაგვაყრევინეს. მე ამ დანა-  
შაულის პატრონი ვიყავ, ჯავახეთს წაველ. რევაზ ჩემ სიმამრთან მი-  
სულიყო: შენმა სიძემ რაც დააშვაო, ყველა მიპატივებიაო, ოღონც  
არ გათათრდესო, პატრიარქის წიგნიც აელო უფიქრებლობისა, მეც  
ვენდევ და მოველ, რ უ ი ს [ი ს] ღმრთაების კარზე შემირიგა, ჩემი  
დანაშაული ფერისცვალების ხატს აპატივა და მეც ბატონყმობის  
წიგნი მივეც.

მასუკან კიდევ ლეკით დავსტყვევდი, შვიდი წელიწადი ტყვეთ  
გახლდი, თქვენის დოვლათით მოვაწივე ამ ქვეყანას. და რათგან იმის-  
გან იმ დანაშაულის პატიობა მომაგონდებოდა, ისევ ამ თო მ ა ს  
მოუველ. ეს სამი წელიწადია რომ გხლებივარ, ბედნიერო კელმწი-  
ფევ და მე და ჩემი ძმები ამათთან გიახელით. არცავისი ყმა ვყო-  
ფილვართ, არცა ვისმე მიუცემივართ ვისთვისმ[ე]. და ამაში რაც  
მომიხსენებია. რომელშიაც გავმტყუნდე, თქვენდათ შეცოდებათ  
გაღამაქდევინეთ, ბედნიერო კელმწიფევ. ივლისი[ს] ა, ქორონიკონს  
უო.

### [განჩინება]

ქ. ლომიტაშვილს კაციას ეს არზა რომ მისის სიმაღლის მეფი-  
სათვის მიერთმევიანა და მისს სიმაღლეს ჩვენ, მსაჯულთათვის, ებძა-  
ნა ამათი სამართალი.

მოურავს მოუწოდეთ სამართალში და მისი სახლისკაცნიც სა-  
მართალში იყვნენ. ამ არზის პასუხი ვსთხოვეთ. რაც იმათ პასუხი  
გვითხრეს, იმ სიტყვით ამისი მოხსენებული არ დაირღვეოდა. და  
რ ო ი ო ნ ი ს შვილი ყმაწვილი იყო და არც სამართალში იყო.

ჩვენ ამათის საჩივრის მოსმენით ეს სამართალი მივეციით: რად-  
განაც რევაზს მოუყვანია, მერე რევაზის სახლობა გაუქმურდავს და  
ჯავახეთს წასულა, მერე ფიცით მოუხდვია რევაზს და დანაშაულიც  
უპატივებია და ბატონყმობის წიგნი მიუცია. მერე ლეკისაგან და-  
ტყვევებულა, ტყვეობიდან რევაზს მოსვლია. საკუთრად ეს კაცი  
თ ო მ ა ს და პ ა ა ტ ა ს დარჩათ. და თუ როინის შვილი ასე საბუთს  
მოიტანს, რომ ამის მოხსენებულს და[ა]რღვევს, სამართალი მიე-  
ცემა. სეკდემბერს ვ, ქორონიკონს უო, დაიწერა ც ხ ი ნ ვ ა ლ ს.

სამი ბეჭედი:

1. მ ზ ე კ ა ბ უ კ
2. მონა ლთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
3. უამი ესეცა წარვლის

**112. ბანდინება იხსე აზილახვრისა და სიქთურასშვილის გავლის  
საქმეზე**

1782 წ. 10 სექტემბერი

ცხსა. ფ. 1450. დავთ. № 36. საბ. № 188. პირი. ქალაღი. მხედრული.

[119v] მის სიმაღლის ბძანებით გიორგი მი[ნ]ბაში თარხანი და სა[ა]მის შვილი ეშიკზში ავნევს მივედით. ამილახვარი იესე მდივანბეგს სიქთურასშვილი<sup>1</sup> უჩიოდა: ვარდანს სასახლე ნასყიდი მაქვს, ამილახვარი არ მანებებსო.

ჩვენ ამილახვარს ვკითხეთ, რას საბუთით არ აძლეო. ამილახვარმა ერთი სიგელი წამოაყენა, ესრეთ ეწერა: მოგაციდე ჩემი სასახლე ავნევს წინ მეიდნითა და ქალითა წილიმდის წყლითა და წისქვილითა, მეიდნის პირი დიდს ნერგებამდის და ნერგებს გასწვრივ ქვემო სასახლის პირი, უკან მიწა და ქალა ფონემდინ ეწერა.

მტკიცე სიგელი იყო, რომელსა ვერწმუნენით. სიქთურასშვილს ნერგებს ქვევით მიწა ექირა ხუთი ადლი, სამანი ჩ[ა]ესო; მაგრამ ამილახვარის სიგელში რადგან დიდს ნერგებამდის ეწერა, რომელიც მტკიცე მოწმე[ე]ებით შესრულებული იყო, ჩვენც ვერწმუნენით, ამილახვარს მივეციით ნერგებამდის ხუთი ადლი მიწა.

სიქთურასშვილს პირობად დავადებინეთ: რაც ამილახვრის მიწა იცოდეს, უნდა გამოუჩინოს. თუ არ გამოუჩენს და ამილახვარი იმაში მიწას იპო[ვის], ქურდულად წ[ა]ერთმევა. ვარდ[ა]ნის სასახლის წიგნს<sup>2</sup> ამილახვარი მოიტანს, ამილახვარ[ს] დარჩება. თუ სიქთურასშვილი მოიტანს, იმას დარჩება. თუ ვერცერთი მოიტანს იმის გაუყრელს სახლისკაცს დარჩება: თუ გაუყრელი სახლის<sup>3</sup> კაცი არა ყ[ა]ვს, ბატონის ბეითალმალი არის.

ენკენისთვის ი, ქორონიკონს უო. ჩართული [ხელრთვა]

<sup>1</sup> სიქთურასშვილს. <sup>2</sup> წიგნს. <sup>3</sup> სახლის.

113. ბანძინება ნათლისმცემლის მონასტრისა და გოგიბედაშვილების  
მამულის საქმეზე  
1782 წ. 28 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1449. № 2773. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მის მალალ ღირსებას, უფალს ნათლისმცემლის მონასტრის  
არქიმანდრიტს ევთიმის და გოგიბედაშვილებს  
კვიროსის მამულზე ლაპარაკი შექპნოდათ<sup>1</sup> და მათის უმაღ-  
ლესობის ბატონის მამის ჩვენისათვის მოეხსენებინათ, და ბატონ მა-  
მას ჩვენს ჩვენ, მათის ძის გიორგისა და იულონისათვის,  
ებძანა ამათის სამართლის განსჯა.

ჩვენ ესენი ჩვენთან ვალაპარაკე, ღიანბეგიც და მღივანიც თან  
დავისწარით და მათი წიგნებიც გავსინჯეთ და სიტყვაც მოვისმინეთ.  
გოგიბედაშვილებს ერთი განაჩენი ჰქონდათ, გიორგი მე-  
ფის დროს ეჩივლათ მანგლელსა და თუმანისშვილს  
მეფის ბძანებით გაერიგებინათ, განაჩენი მიეცათ და ის გარიგება  
ჯავახისშვილსაც და გოგიბედაშვილსაც ორთავ  
ეყაბულებინათ და ერთმანეთისათვის წიგნი მიეცათ; და რომელიც  
იმათ გამსაზღვრათ და მიჯნები ჩაესახათ<sup>2</sup>, ყველა განჩევით ეწე-  
რა: და მასუკან ფარსადან ჯავახიშვილისა მიცემული წიგნიც ამტკი-  
ცებდა, რომ იმ მიჯნებს შუა რაც ადგილი არის, გოგიბედაშვილისა-  
თვის დაენებებინა და მქედლისშვილისა მაზატას წყა-  
რო სამი წილი ამ გოგიბედაშვილისათვის მიეცათ<sup>3</sup>; მასუკან ამ გო-  
გიბედაშვილებს იმ წყაროს მეოთხედიც ჯავახიშვილის სი-  
მონისაგან ეყიდნათ.

ჩვენ ამათი ეს წიგნებიც გავსინჯეთ, მოთაბარი წიგნები იყო და  
სამართალიც შეიწყნარებდა. ამას გარდა გოგიბედაშვილებს რაც იმ  
განაჩენს უწინდელი წიგნები აქვს<sup>4</sup> კვიროსის მამულებისა, ის  
აღარ შეიწყნარება; ამისთვის, რომ ის განაჩენი ოთხმოცდაშვილისა  
წლისა არის და ის გარიგება თითონ უყაბულებიათ და ერთმანეთისა-  
თვის წიგნი მიუციათ; და რაც იმ წიგნში სწერია, იმას შესჯერე-  
ბიან.

იასაულო ციცისშვილო იოვანე! შენ უნდა მიხვიდე,  
ბაიდაური ბერუა, ჭონისშვილი ადამა, დოესელნი  
და მეტეხელნი გზირისშვილნი იოვანე, კავთისხვეელი  
კანიასვილი ბერი და ქსოვრელი<sup>5</sup> — ესენი უნდა მიიყვანო,

<sup>1</sup> შექპნოდათ. <sup>2</sup> ჩაესახათ. <sup>3</sup> და მასუკან ამ გოგიბედაშვილისათვის მიეცათ.  
<sup>4</sup> არეს. <sup>5</sup> ქსოვრელი.

ის განაჩენი და ის წიგნები კარგათ გაშინჯოთ, და როგორც იმაში-  
საზღვრები და მიჯნები სწერია, ის ისე გაუჩრჩოთ და გოგიბედა-  
შვილებს დაანებოთ.

და სხვა მამული როგორც ნათლისმცემლის მონასტრის ნასყი-  
დობის წიგნში სწერია, ის მონასტრისა იქმნება, და იმის ღალაც მო-  
ნასტრისათვის უნდა აიღო.

და თუ გოგიბედაშვილებს მონასტრის ნასყიდობის სიგელს უკან  
ჯავახისშვილებისაგან ჰვიროსში მამულები უყიდნით რამე, და სარ-  
წმუნოს წიგნით და საბუთით დაამტკიცებენ, იმის პასუხი ჯავახის-  
შვილებმა თავიანთის წილიდამ უნდა გასცენ, მონასტრის მამული-  
დამ არა მიეცემა რა; ამისთვის რომ პირველი მონასყიდე რათგან  
მონასტრის არის, თავის ნასყიდს მამულს ველარ გაუყიდიან. აღი-  
წერა სეკდენბერს კვ, ქორონიკონს უო.

ც ი ც ი ს შ ე ი ლ ო ი ო ვ ა ნ ე! რომ გაუყო მამულები და მიჯ-  
ნები ჩაუსხა, ერთი პირი გარდაწყვეტილობის წიგნი გოგიბედაშვი-  
ლებს უნდა მისცე და ერთი პირიც გადაწყვეტილობისა და მიჯნების  
გასწორებისა წიგნი აქ უნდა წამაიღო და მონასტერში უნდა მისცე,  
რომ მასუკან მონასტერსა და იმათ ერთმანეთში სადაო აღარა ქონ-  
დეთ რა.

და თუ მონასტრის მამულისა ღალა ან გოგიბედაშვილებსა და  
ან ჯავახიანთ აეღოთ რამე, უკანვე უნდა გამოართვათ და მონასტრი-  
სათვის წინამძღვრის კაცს უნდა მოაბარო, ესე იცოდე.

კიდეზე:

ქ. ან მაღალანთ ან სხვათ აზნაურშვილებსა და ან გლეხს კაცთ  
ვისაც მონასტრის მამულის ღალა წაეღოს, დაუკლებლივ უნდა გა-  
მოართვა მონასტრისათვის.

თავში:

ქ. ჩვენ, სრულად საქართუელისა მეფე მეორე ირაკ-  
ლი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას, სეკდენბერის კვ, ქორონიკონს  
უო.

## 114. განჯინება ახალსოფელთა და კვარახითელთა წყლის საქმეზე

1782 წ. 12 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 15. დღიანი. ქალაღი. 46X20,5 სმ. თავი აკ-  
ლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ერთობით ახალსოფელნი და ერთობით კვარახითელნი,  
სოფლის სარწყავს წყლის რუხედ ლაპარაკობდენ. ამათ ძველთაგან  
ორი რუ ჰქონიათ — ერთი მეშვე რუ და მეორე, ზედღულეთის რუ.

ორის რუს წყალზე ახალსოფელნი კვარხელებს ამას ელაპარაკებოდენ, რომ ორი წილი წყალი ჩვენ ახალსოფლელებმა უნდა წამოვიყვანოთო და მესამედი წყალი თქვენ კვარხითელთ უნდა წამოიყვანოთო.

კვარხითელნი ამას უპასუხებდენ ახალსოფელთ, რომ ძველათგან ამ ორის რუს წყლიდამ ნახევარი ჩვენი ყოფილაო და ნახევარი თქვენ ახალსოფლელებისაო.

ჩვენ, ბატონის შვილმან ვახტანგ, ჩვენთან საქართველოს მსაჯულთშეკრებულების თანადასწრებით. ამათი ეს ზემო საჩივარი მოვისმინეთ.

თუმცა წყლის საქმეზე მეტნაკლებობაზე ლაპარაკობდენ, მაგრამ ჩვენ ახლა ასე გაუსამართლეთ, რომ: ამ ზემოხსენებულს ორს რუში რაც წყალი შემოვიდეს, იქივ კვარხითის თავს სწორეთ შუა უნდა გაიყოფდეთ: ნახევარს წყალს თქვენ ახალ სოფელნი წამოიყვანდეთ და ნახევარს წყალს თქვენ კვარხითელნი წამოიყვანდეთ. ამაზე მეტნაკლებობით ერთმანერთზე წყლის წამოყვანა არ იქნება.

და როდესაც ამ ორს რუს გაკეთება უნდოდეს, ასრეთვე საერთოთ უნდა გაქცეთდეთ და მერუესაც ერთათ უნდა დაიპყრდეთ.

და თუ ვისმე ამ ზემოხსენებულის ორის რუს წყალზე მოლაპარაკე გავიჩნდესთ, სამართლით თქვენ ორმა სოფელმა უნდა გასცეთ პასუხი.

და ამ წყლის გამოისათ ერთმანერთში მტკიცე პირობის დადებით წერილი უნდა დასდოთ, რომ გაყოფილს წყალზე, რომელმაც ნაკლებობა იხმაროს, გარდაახდევინოთ.

ერთი ამისთანა განაჩენი თქვენ კვარხითელთათვის მოგვიცია და ერთი ამისთანა განაჩენი ახალ სოფელთათვის მოგვიცია.

იასაულო, აზნაურშვილო შაბურის შვილო, მოურაო ფირან! როგორადაც ამ განჩინებაში ეწეროს, ასე აღასრულე. ენკენისთვის იბ, ქორონიკონს უო.

ბეჭდი: ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

## 115. განჩინება ვასილ ნაქლულაშვილის მამულის საქმეზე

1782 წ. 20 ოქტომბერი

ცსა. ფ. 1449. საბ. № 2022. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. ნაკლულაშვილის სამართალი ასე იყო: ვასილი მღუდელმა სამართალს წერილი მოსცა. ის ჩემი ვენაჯი მიეყიდეო, მაგრამ დამახსენევინოსო. რადგანც შევიტყვევით, რომ მიეყიდა, ძა-

ლით დახსნევენება ხომ არ იქნება, მსყიდველის ნებაზედ ჰკილია. ამაზედ ჩვენ განაჩენი მიგვიცია, იმ განაჩენს ვერ დავარღვევთ. ჩვენის მოხსენებით ის სამართალი ყოველის მიხედვით უცოდველია. რაც ვისმინეთ და ვნახეთ, ის განაჩენი მიგვიცია და ის სამართალი გარდაგვიწყვედია. ნება მისის სიმალლისა არის.

ოკლონბერს კ, ქორონიკონს უო.

მზეკაბუკ

ვაში ესეცა წარვის

თავში:

ჩვენ მსაჯულთ მიცემულს ამ საჩივრის საქმეზე განჩინებას ვამტკიცებთ. რომ ამ განჩინების დაყენება არ იქნება. როგორც იმ განაჩენში სწერია, ისე უნდა აღსრულდეს. ღვინობისთვის კ, ქორონიკონს უო. თუ ეს ნაკლულაშვილი ილაპარაკებს, ავით მოვეპყრობით.

ქნარს მიცემს... ერეკლე

## 116. განჩინება თამაზ ხოლოშვილის ნაშვილბის საქმეზე

1782 წ. 21 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 230. დედანი. ქალღი. 43,6×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია წერტილი.

ქ. ერთს დედაკაცს მ ა რ ი ნ ე ს ერთი ცოდვისშვილი ჰყოლოდა ვაჟი და ეთქვა: ვინც ამას შეინახავს და მეც შამინახავს, ამას ძუძუს მე ვაწოებ და მის ღროს ეს ცოდვისშვილი იმისი იყოსო.

ნათარეულელთ ხოლოშვილი თამაზა ერჩიათ, უშვილოც ყოფილა და იმ თამაზასათვის ეთქვათ: შენ ხომ უშვილო ხარ, ეს დედაკაციც შეინახე და ეს ცოდვისშვილიც შენთვის გაზარდე შენად შეილათაო. წიგნი დაეწერებინათ თუშთ მოურავის ბეჭდით და იმ ხანში ბეჟან მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ც იქი ბძანებულა.

და ერთის კვირისა ყოფილა ის ნაბიჭვარი, რომ იმ თამაზას შაუყვანია ის დედაკაცი. და ნაბიჭვარს გარდა ერთი სხვა შვილიც სხვა ჰყოლია, თავის სახლში შაუყვანია, შაუნახავს ათი თვე სამი სული, უსმევია, უჭმევია, ჩაუტმევია და ის დედაკაცი გამოსულა, აღარ დამდგარა და ის ნაბიჭვარი თამაზას დაუნებებია.

და ის დედაკაცი მოვიდა, სამართალში იჩივლა, კაცმა შვილი

წამართო. ის თამაზა სამართალში გამოვაყვანინეთ. და ამ თამაზას<sup>1</sup> მისს უმაღლესობას დედოფლისათვის არზა მიერთმევეინა და მისს უმაღლესობას ჩვენს კელმწიფეს ჩვენ, კახეთის მდივანბეგებისათვის, ამათი სამართალი ებრძანებინა.

და აქ სამართალში ვალაპარაკეთ და ამათი საქმე ასე გავშინჩეთ. რადგან ცოდვისშვილი ყოფილა და სასოფლოთაც წიგნი მიეცათ და ათი თვეც დედა-შვილი შაუნახავს, იმ დედაკაცს სიტყვა აღარაჲ ჰქონდა. ის ნაბიჭვარი ამ ხოლოშვილს თამაზას დარჩა სამართლით შვილათ. როგორც ობლის<sup>2</sup> შვილი ჰყვანდეს ვისმე, ისრე ამ თამაზამ უნდა შვილივით გაზარდოს, თავისი მამული, საქონელი, ქონება ამ ნაბიჭვარისა არის და თუ ღმრთით ამ თამაზას სხვა შვილი ეყოლოს, ეს უფროსი ძმა იქნება და ის უნცროსი.

იმ დედაკაცს არსად ბინა არა ჰქონდა და ერთი მოწყალე არავინა ჰყვანდა, უბრალო უბინაო სიარულს ველარ ვენდევით. ამ ყმაწვილს მოჰკლევდა და ამ თამაზას მივეციოთ. ქრისტიშობისთვის კა, ქორონიკონს უო.

ოთხი ბეჰელი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბ ე უ ა ნ
2. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა
3. მონა ღთისა მდივანი ს ვ ი მ ო ნ
4. მდივანი ი ო ა ნ ე

ქ. ჩვენ, ორისავე საქართველოს დე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ, ვამტკიცებ ამ განაჩენს. აღიწერა ქრისტისშობისთვი კბ, ქორონიკონს უო.

ბეჰელი: დე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

## 117. ბანჩინება იოსებ და ბეცია ბედვანოვილთა შიის საჰმეზო

1788 წ. 7 იანვარი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 28. საბ. № 24. პირი. ქალაღი. მხედრული.

[24v] მისის სიმალლისათვის გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ი ო ს ე ბ ს არზა მიერთმევეინა, თავისის სახლისკაცის პეტრეს შვილის ბ ე - ც ი ა ს ა თ ვ ი ს ე ჩ ი ვ ლ ა: ჩემს ბარათში გამოტანებულს ყმას ი რ ე - მ ა ს შ ვ ი ლ ს ბ ე რ უ ა ს და იმის ძმისწულებს მედავება და სა- მართალი მიბოძეთო.

<sup>1</sup> ამ თამაზას] ეს თამაზა. <sup>2</sup> ოვიბლის.



მის სიმაღლეს საქართველოს შეკრებილებსათვის სამართალთა ებძანებინა. ესენი ჩვეთან სამართალში ვალაპარაკეთ.

ამ გედევანისშვილმა იოსებმა ერთი წიგნი წარმოაყენა მისის უწმინდესობის იოსებ არქიერის ბოძებულნი, რომ კათალიკოზობაში უბოძებია მთავარეფისკოპოზის კირილეს, ორბელიანის მდივანბეგის იოანეს, ნინოწმინდლის საბას და სამცხეთო აზნაურ[25]შვილების თანდასწრებით, რომელსა შინა ესრეთ აცხადებდა: «როსებსა და როსტომს უწინდელის მეფე[ე]ბისაგან და პატრიაქებისაგან წიგნები ჰქონდათ, პეტრესა და ერასტის მამის გედევანისაგანაც გარდაწყვეტის წიგნებიც ჰქონდათო ამათო და პეტრესა და ერასტის წიგნი არა ჰქონდათ რაო. სამართალში პეტრესა და ერასტის არა ერგებოდა რაო. ასეთი წიგნები ჰქონდა მეფე[ე]ბისა, პატრიაქებისა, რომ ის წიგნები არ მოიშლებოდაო. ჩვენც ისევ როსებსა და როსტომს წყალობა უყავითო, პეტრესა და ერასტის სიტყვა არა აქეთ-რაო».

მეორე გარდაწყვეტილობის წიგნიც ეპირა გედევანისშვილს იოსებს თავის სახლისკაცის პეტრესაგან მიცემული, რომ: «ქოართს სამკომლს კაცზედ რომ ვლაობდით, — შალვაძეზედ, არჩვადიზედ და იმედაშვილზედ, — მის სიმაღლეს მეფესთან ვილაპარაკეთო. სამართალში ორსავე მხარეს ფიცი დაგვედვაო, აღარ დავიფიცეთ, ერთმანერთში ასე მოვრიგდითო: არჩვაძე და იმედანსშვილი თავის მამულით თქვენ დაგრჩათო და შალვაძე თავის მამულით ჩვენ დავიჭირეთო. დღეის იქით ერთმანერთთან სადაო და სალაპარაკო არა გვქონდეს რაო, ძმობისა და კარგკაცობის მეტი»; რომ ეს გარდასაწყვეტის წიგნი მისის უწმინდესობის მეფის ძის დამტკიცებულიც<sup>1</sup> არის.

ჩვენ, საქართველოს შეკრებილებამ, ეს წიგნი რომ გავსინჯეთ, გედევანისშვილს ბეციას საბუთი ვსთხოვეთ. ბეციამ თქვა: წიგნები არა მაქვს რაო აქაო, წავალ და მოვიტანო.

ამ წიგნების ძალით ორს კომლს კაცთან ირემასშვილს ბერუასთან, ამის ძმისწულეებს ნონიასა და ხიზანასთან გედევანისშვილს ბეციას საქმე არა აქვს რა, გედევანისშვილს იოსებს და ამის ძმას იოანეს ყმათ დარჩნენ თავისის მამულით.

თუ ამ ათს დღეზედ ბეციამ ასეთი საბუთი ან წიგნი ან მოწამე მოიყვანა, რომ ეს წიგნები გაქამტყუნა და ეს ირემასშვილი ბერუა ყმათ უწერია და ეს<sup>2</sup> წიგნები ძღვევას მიიღებს, ბეციას სამართალთ

<sup>1</sup> დამტკიცებულიც. <sup>2</sup> წიგნი.

მიეცემა. ჩვენ ეს სამართალი მივეცით და ნება მისის სიმაღლისა არის. დეკემბერს კბ, ქორონიკონს უო.

ქ. რომელიც რომ ბეციას ვადა დაუდევით, რომ საბუთი უნდა მოეტანა და სამართალი მისცემოდა ბეციას, დადებულმა ვადამაც გაიარა, ექვსი დღეც მეტი გავიდა, რომ ბეციამ საბუთი ვერა მოიტანა რა. ეს ორი კომლი კაცი ირემაშვილები ბერუა და ამისი ძმისწულები ნონია და ხიზანა დარჩნენ ყმათ გედევანისშვილს იოსებს.

იანვრის ზ [26], ქორონიკონს უო. 

|  |   |  |  |
|--|---|--|--|
|  | \ |  |  |
|--|---|--|--|

თავში:

ჩვენ, მეფე ყოვლისა ზემოისა საქართველოსა<sup>1</sup> მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას. იანვრის იე, ქორონიკონს უო.

რადგანც ამ განაჩენში მსაჯულთ რამდენიმე დღე ვადა დაუცთ და იმ ვადას კიდევ რამდენიმე დღე გასცილებია და საბუთები არ მოუტანია, ჩვენც ამისთვის დავამტკიცებთ. 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს პატრიარხი, მეფის ძე ანტონი, რაგვარც ჩვენს ძმას მისს უმაღლესობას მეფეს დაუმტკიცებია მსაჯულთა მიერი განჩინება, ეგრეთვე ჩვენც ვამტკიცებთ. იანვარს კა, წელსა ჩღბგ. კათალიკოზი.

## 118. განჩინება ბაცია გედევანიშვილისა და ბასარიონ თარხნიშვილის უმის საქმეზე

1788 წ. 18 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5689. დედანი. ქაღალდი. 40,3X 21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია წერტილი.

ქ. მისის უგანათლებულესობის ბატონისშვილის გიორგისათვის მოესხენებინა პეტრე გედევანისშვილს ბეციას: ჩვენ დაგაბრიელ სარდალი რომ გავიყარენით, ორი კომლი კაცი კიდევ გვყვანდა გასაყოფით, ერთი მე მერგო და ერთი გაბრიელ სარდალსაო, რომელიც მე მერგო, ეს გოროვნელი ივანე ექვსშაურა არის, ახალქალაქს ბერის თარხნიშვილის კედლათ დგასო. თარხნიშვილის ბერის ყმა

<sup>1</sup> საქართველოსა.

მკედელი აღათანგი არის, ის ამბობს: ჩემი სახლისკაცი არისო და ჩემის ბატონის ბერის ყმაო.

ბატონის შვილს გიორგის ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებისათვის, ებრძანებინა ამათი სამართალი. ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ.

გედევანის[შვილის ბეციას სიტყვა ეს იყო: ჩემის სახლისკაცისაგან მოცემული ყმა არის და ამის საფარდოსაც თვალთ უჩანსო, გოროვნელი შემკვიდრე არისო. ბეციას მისის სიმაღლის ოქმებიც ხელთ ეჭირა: ეს კაცი, იასაულო, აუყარე და მოაბარეო.

მკედელი აღათანგი ამას ამბობდა: ეს არც გოროვნელია, არც შენი ყმა არისო, ჩემი სახლისკაცი და განაყოფი არისო.

ჩვენ ცარიელ სიტყვას ვერ ვერწმუნენით. არც ბარათი ჩნდა და არც მოწამე. თარხნის შვილი ბერის შვილი ბესარიონ და მისი ყმანი ასე ჩიოდნენ: ბეცია თარხნის შვილი ამ საქმის იას[ა]ული იყო და იმას ჰკითხეთო.

ბეცია თარხნის შვილი მოვაყვანინეთ და ვკითხეთ და ფიცით სამართალს ხელისწერილი მოსცა: ბეცია გედევანის შვილი რომ ექვს-შაურაზე ჩივის, მას აქეთ თორმეტ-ცამეტი წელიწადი არისო. ესენი ჩიოდნენ: ბატონის ოქმი იყო ჩემზედ მოწერილი, რომ აღათანგი მკედელმა ორის მოწმით შეჰფიცოსო, რომ ეს ექვს-შაურა სამცხეთო არ იყოსო, თუ ასე მოწმით ვერ შეჰფიცოსო, გედევანის შვილს მოაბარე ეგ გლეხიო. იმ ოქმის ბძანებით ორი მოწამე გავატანე მკედელს აღათანგის შოშია თუხარლის ყმა. მეტეხს მივიდნენ მკედელი და შოშია. მოლარეთუხუცეს[ს] გამოეყარა, არ დაგაფიცებო. მერმე ქალაქს მორჩილაძე მი[ი]ყვანა მკედელმა: ფიცი გაძეს და დამაფიცეო; არც აქ დაიფიცეს, — ბეცია ასე იმოწმა.

ყორღანას შვილმა ფრიდონმაც სამართალს ეს მოწმობა მოსცა: ამას წინათ ესენი რომ ამ კაცზედ ჩიოდნენო, შოშია თუხარლის ყმას ვჰკითხეთ: მართლა მოფიცრათ მიჰყეო; იმან ასე მითხრაო — მართლა მოფიცრათ მივჰყეო და გამოგვყარეს და არ დაგვაფიცესო.

ჩვენ ეს მოწმობაები რომ ვნახეთ, სამართალში ფიცი გაუჩინეთ: უნდა წადგეს ბერიას შვილი ივანე ექვს-შაურა თავის შვილს კელი მოჰკიდოს და შეჰფიცოს, რომ: «ბეცია გედევანის შვილო, მე და ჩემი მამა და პაპა არც გოროვნელი ვიყოთ, არც სვეტისცხოვლისა და შენი ყმაო».

თუ ასე შეჰფიცა, ბეციას ამ კაცთან საქმე არა ექნება რა, ბე-

რის შვილის ბესარიონის ყმა იქნება. თუ ვერ შეჰფიცა, ეს ივანე ექვსშაურა ბეცია გედევანისშვილს დარჩება.

ჩვენ ეს სამართალი მივეცი. ნება მისის უგანათლებულესობის მეფის ძის არის. იანვრის იშ, ქორონიკონს უოა.

ქ. თავდათავ ფიცი ბეციას ყაბულობით მოხდა, თვარემ საქარ-თველოს სამართლით მოფიცარს შევაგდებლით.

ხუთი ბეჟელი:

1. მზ ე ჭ ა ბ უ კ
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბ ე ე ა ნ
3. მონა ღთისა მღივანბეგი ო ტ ი ა
4. მონა ღთისა მღივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
5. მსაჯულმან სწორი ესე ყო ეს ძეს

ხელრთვა: ა ე თ ა ნ დ ი ლ

## 119. განჩინება ჩერქეზიანთა და მანაველთა მამულის საქმეზე

1788 წ. 18 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 26. საბ. № 142. პირი. ქალაღი. მხედრული.

[127v] ჩ ე რ ქ ე ზ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს მანაველნი მამულს ედავე-ბოდენ ამ სიტყვით, რომ ეს მამული ჩვენი შ ა ე ქ ე დ ი ს ბოლო არისო, ჩერქეზიანი ამით გვეცილება და ჩვენ საბუთებით გვაქვს, რომ რომელსაც ვედავებით ამ მამულს, ჩვენს მამულად და მ ა ნ ა ე ვ ი ს ბოლოთ აცხადებსო.

ჩუენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებამ, ამ საჩივრისა მანაველთ გასამართლებელი წერილი და საბუთები ვსთხოვეთ.

მ ა ნ ა ე ვ ე ლ თ სამართალს ასე მ ო ა ხ ს ე ნ ე ს: ჩვენი ს ა ბ უ თ ი პ ი რ ვ ე ლ ა დ ამ მამულის მდებარეობა არის, რომ უცხო კაცმაც რომ ნახოს, კარგათ შეატყობს, რომ მანავის ბოლო არის და არა შავქედისო.

მ ე ო რ ე ს ა ბ უ თ ი გვაქვს სანატრელის ბატონის მ ე ფ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ბრძანება და ოქმი, რომლითაც ჩვენ, მანაველ-თათვის ფიცი უბძანებია და დაგვიფიცავს ამ მამულზედაო.

მ ე ს ა მ ე ს ა ბ უ თ ი ეს გვაქვს, რომ სანატრელის ბატონის ბრძანებით რომ დაგვიფიცავს, ის ჩვენი ფიცის განაჩენი შ ი ო შ მღივანს გაჰყოლია, იმისი სახლიდამ მარტყოფის მოუტრავს ტეტისა წამოუღია; [128] ახლა ამ ჩერქეზისშვილებს აქვსთ და გამოჩენა არ უჯობსთ, მალვენო.

მეოთხე საბუთი ეს, რომ მიჯნა მოგლიჯეს ჩერქეზიანთ, ჩვენის მალვით წაიღეს და სადაც უნდოდათ, იქ ჩაასვესო.

ჩერქეზიანთ ასე უპასუხეს: მამულის მდებარეობას რომ ამბობთ, მართალია, მდებარეობა მიწისა მანავის სიმარჯვეთ არის, მაგრამ მრავალს ალაგს არის ასე ერთმანერთში შერთული მამული ამით შემოგვახვალთო. და მიჯნის მოგლეჯას რომ გვეწამებით, ჯერ ეს, რომ სიტყვა გამოსცვალეთ, პირველად მოუთრავს აბრალებთ და ახლანოკოლოზს აბრალებთო; და მეორედ ესე, რომ ჩვენ ჩერქეზისშვილები თვრამეტნი სულნი ვართ, ერთათ ფიცი შეგვიძლიან, რომ იმ მიჯნის ჩასმა არც მოურავისა და არც ჩუენის შეტყობით არ ყოფილიყოს. ჩვენმა კაცმა მტერობით გვიყო, რომ ამ ბრალით თავისითავი ჩვენის ყმობილამ გვეყვანაო. და ფიცს რომ ანბობთ სანატრელის ბატონის ბრძანებით, ჩვენც გემოწმებით, რომ დაგიფიცავთ; და რაც დაგიფიცავთ, ხელში გიჭირავთო. და ფიცის განაჩენს რომ გვეწამებით, ფიცი შეგვიძლიან, რომ არა გვექონდესო.

ჩვენ, მოსამართლენი, ამ სარჩელის ფთხილად გამოძიებაში შევედით. და მანაველნი ჩერქეზიანთ ფიცის განაჩენის დამალვას რომ ეწამებოდენ, შიოში მდივნის სახლიდანვე შევიტყვევით, რომ მარტყოფის მოურავს ტეტეიას წიგნები წამოუღია, მაგრამ სახელდადებით თუ რა წიგნები იყო, ფიცისა თუ არა, [V] ნათლად არა ჩნდა. და ჩერქეზიანი ამასაც ანბობდენ: მანაველთ სანატრელის ბატონის ოქმი რომ მოაქვთ, რომლითაც ფიცი აძესთ, ბატონი მეფის იმანყოფილხანის ნაიბათ რომ ბრძანებულა, მაშიწ უბძანებია.

შემდგომად მეფე იმანყულიხან რომ მობრძანებულა, ეს წყალობის წიგნი უბოძებია, რომ როდესაც ჩერქეზიანი და მანაველნი ევლარ შერიგდენ და ერთმანერთს მოშორდენ, ხუთი წილი ჩერქეზიანთ და მეექვსედი მამული მანაველთ დარჩესო. ეს წყალობის წიგნი გავსინჯეთ და რადგან ქორანიკონი არა აქვს, არც ეს გაირჩა პირველია ფიცისა თუ შემდგომი.

კიდევ ჩერქეზიანთ მეფის იმანყულიხანის დავთარი იმოწმეს. დავთარი გავსინჯეთ და სახელდებით ეწერა: შაქედეს ესა და ეს კაციო და გოცირიძე და მედინგისვილიო. ჩერქეზიანი ამ სიტყვას ახშირებდენ, რომ რომელსაც მიწა[ს] მანაველნი ახლა გვედავებიათ, ეს გოცირიძე და მედინგისვილი ამ მიწაში გვესახლენო. და მანაველნი სხვას ადგილს უთითვიდენ — აქ კი არ გვესახლათ, იქ გვესახლათ.

სარჩელი და გამოძიება მრავალი იყო, მაგრამ<sup>1</sup> რადგან არც იმ დროს კაცი იყვნენ, რომ ამათი საქმე გარჩევით ხსომებოდათ და არც ერთს მხარეს ასეთი წერილი და საბუთი იყო, რომ სამართალი უფიცრად გარდაწყვეტილიყო, ამისთვის ჩერქეზიანთ რადგან მამული ხელთ უჭირავსთ და ამ ხელის მოსაკიდებელს საბუთსაც ამბობენ, რომ [129] მეფის იმანყულიხანის დავთარში გოციირიძეს და მედინგიშვილს შავქედს ჩვენს ყმად რომ სწერენ, რომელსაც მანაველნი ახლა მამულს გვედავებიან, ეს კაცი იქ გვესხლენო.

ვახტანგის სამართლიდამ ჩერქეზიანთ ფიცი დავადევით ამრიგად: ჩერქეზიანთ სამის ძმის შვილები ოთხ სახლად რომ არიან, ჯანასლან და ავთანდილ გაყრილნი და ორნი გაუყრელნი, რადგან მამულიც სწორე საწილო არის, რომელზედაც დაობენ, სახლიდამ თითო ჩერქეზიშვილი, რომელნიც უფროსნი არიან — მარტყოფის მოურავი სულხან, ჯანასლან, ავთანდილ და მამუკა — ესენი წადგნენ და რომელიც იმ სადაოს მამულში კაცნი უსახლობენ, ისინიც ფიცში მიიღვენონ და ასე დაიფიცონ, რომ: «მეფის იმანყულიხანის დავთარში გოციირიძე და მედინგიშვილი შავქედს ჩერქეზიანთ ყმათ რომ უწერიათ, ეს კაცი მეფის იმანყულიხანის დროსაც ამ სადაოს მამულში სახლებოდეს, შავქედის ბოლოც იყოს და არც გამორთმეოდესთ». და ფიცის განაჩენს რომ სწამებენ მანაველნი ჩერქეზიანთ, ამისი ფიცი სამართლით ჩერქეზიანთ კაცთ არ შევარდება. მარტო ამ სახელობით მოხსენებულ ჩერქეზიანთ რიცხვით ოთხთ დაიფიცონ, რომ ის ფიცის განაჩენი არც ქონოდესთ, არც იცოდენ ჩერქეზიანთ.

თუ ასე იფიცეს, ეს მამული დარჩებათ ჩერქეზიანთ. თუ ვერ დაიფიცეს, ის სახასოდ დაიდება.

ეშვიკადასბაშო გარსევან! როგორც ეს განაჩენი აცხადებს, ეს ასე აღასრულე [V]. იანვრის იმ, ქორონიკონს უოა.



თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და კახეთისა მეფე ირაკლი,, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. იანვრის კ, ქორონიკონს უოა.

<sup>1</sup> მერამ.

1788 წ. 20 იანვარი

ცსსა. ფ. 1449. საბ. 44. პირი; აგრეთვე ფ. 1450. დავთ. № 25. საბ. № 149.

ქ. მისს უგანათლესობას ბატონის შვილს გიორგის გლურჯიძეების მოლარეთხუცის ნიკოლოზისა და ამისის სახლის კაცების რამაზისა და იმისის ძმის ზაალისა სამართალი ჩვენ, კახეთის მოსამართლეთათვის, განსაკუთრებით ებძანებინა.

ჩვენ მდივანბეგმან ბეჟან და მდივანბეგმან ოტიამ და მდივანბეგმან დავითმა ესე ზემოხსენებული გლურჯიძეები ჩვენ სამართალში მოვაცვანინეთ და ვალაპარაკეთ და ამათი საქმე გამოძიებით მოვიკითხეთ, რომ ამათ საქმეს ასე გაუვლია.

ამ ზემოხსენებულის რამაზის მამას თავის განაყოფის მოლარეთხუცის ელისბარისთვის და მისი შვილებისათვის სასირეთს თავისი წილი საუფლისწულო საგლეხო მამული და მიწა-წყალი სრულებით მიეყიდნა; რომ ამისი ნასყიდობის მტკიცე წიგნი მოსტაბარის მოწმე[ე]ებისაგან დაბეჭდილა ელისბარის შვილს მოლარეთხუცესს ნიკოლოზს კელთა აქვს; და ამ ნასყიდობის წიგნში ასე უწერია: თუ ვინმე სასირეთში მამულზედ მსახლობელმან გლუმან თავენტს მამულზედ დგომა მოინდომონ, შენ გემსახურენო, მე საქმე არ მექნებაო. და თუ დგომა არავინ მოინდომოს, შენ საქმე არ გექნება, ჩემივე ყმა იქნებიაო. ამ პირობით დღეს ამ სასირეთში მსახლობელთ ლაფერი შვილებს მღუდელს ზაქარიას და ამის სახლისკაცს ბეჩენასა და ბერიკასა ედავებოდ[ა] რამაზ და ამისი ძმა ზაალ: თქვენ სასირეთელნი არახართ, კეზელნი ხართო, სასირეთში მამულის მემკვიდრენი არ ყოფილხართო, რადგან კეზელნი ხართ, ჩემნი იქნებითო. ამათი სარჩელი და ლაპარაკი ასე იყო.

ჩვენ ამაზედ ამათსავე მეზობლებს წერილით და ფიცით მოწმობა ვაკითხეთ, რომელნიც ეს მოწამენი ფიცით ასე სწერენ:

სალთხუცესი ამილბარ პირველად ასე სწერს: ლაფერიშვილები სასირეთში მსახლობელნი მემკვიდრენი გამიგონიაო.

მეორე, ჯავახიშვილი თეიმურაზ ასე სწერს: ლაფერიშვილი მემკვიდრეთ სასირეთელი გამიგონიაო.

მესამე, გლახათამაჩნის შვილი სწერს: რა თავს მოვსწრებვიარ, ლაფერიშვილები სასირეთს მემკვიდრეთ ვიცი და ასეც გამიგონიაო.

მეოთხე მოწამე მეტეხელი მემკვიდრე ოთია გეჯაძე ღმერთსა ფიცავს, სამოცის წლის კაცი ვარო, ზაქარია და მამა იმისი სასირეთს გარდა არსად მინახავსო; და მემკვიდრედაც სასირეთელნი არიანო.

მეხუთე მოწამე გოგიბედაშვილი ნიკოლოზ ასე სწერს: რაც ამ ზემო ნაწერში მოწამეთ მოუხსენებია, მეც ასე გამიგონიაო და ასე ვიცეო.

ამ მოწამეთ გარდა რამაზმა და ამისმა ძმამ ზაალმა ერთი ძველი გაყრის ბარათად მიცემული წიგნი გამოაჩინეს. ამ წიგნში საუფროსოდ კეზრელი კაცი აუღია. ამ რამაზის მამის სახელი და გვარი ამ წიგნში ამოფხეკილი და ამოღებული არის, რომ სრულებით არა ჩანს რა. და ამოფხეკილს ქვემოთ ლაფერიშვილი დემეტრე სწერია ამოფხეკილის გვარის მაგიერათ.

ამ ლაფერისშვილებს ედავებოდა, მარამ ამავე წიგნში ლაფერიშვილები კარგად არის გარჩეული, რომ ასე დაუწერიათ: ლაფერიშვილი დემეტრე მისის მამულითა და ქსოვრი[ს] ოტიაშვილი მისის მამულითა, სასირეთს ცოცხალაშვილი ხარება მისის მამულით ერგო კიდევ საუფროსოდაო და იქავ სასირეთს ოთამის სათოლაური საკომლო.

ამ თავისი მოტანილის წიგნით და წერილის ძალით ეს გლუჯიძეები რამაზ და ამისი ძმა ზაალ სამართალში გამტყუნდნენ და გამოჩნდა ეს ლაფერიშვილები სასირეთის მემკვიდრენი.

ჩვენ რადგან სამართლით მოწამეთაგანაც მოვიკითხეთ, რომ ეს ზემოხსენებულნი მოწამენიც ლაფერიშვილებს სასირეთის მემკვიდრედ სწერენ, ამ ბარათს ეს მოწამენიც არ ექირებოდა, მარამ კიდევ ესენიც ასრე ამტკიცებენ.

ამის გამო ეს ლაფერიშვილები სამართალმა და ნასყიდობის წიგნის ძალმა მოლარეთხუცესს ნიკოლოზსა და მალაქიასა და სხვათ დაანარჩუნა. რომ დღეის იქით ამ ლაფერიშვილებზედ სალაპარაკო არა იქნება რა.

იასაულო ჯანდერიისშვილო დავით! ეს ლაფერიშვილები მღუდელი ზაქარია და ამის სახლისკაცი ბერძენა და ბერუკა მოლარეთხუცესს ნიკოლოზს მოაბარე. იანვრის კ, ქორონიკონს უოა.

|                                 |
|---------------------------------|
| მონა ლთისა<br>მდივანევი<br>ოტია |
|---------------------------------|

|                  |
|------------------|
| მდივანი<br>დავით |
|------------------|



თავში:

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი გ ი -  
ორ გ ი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. თებერვლის ე, ქორონიკონს

უოა.

მეფისძე  
გიორგი

## 121. ბანინება მოლარეთუხუცეს ნიკოლოზის ვალის საქმეზე

1788 წ. 22 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14612. დედანი. ქალაღი. 33×20 სმ. მხედ-  
რული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ჯ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ ს ს ვ ი მ ო ნ ს თავის წილი ჰვირო-  
სი ნათლისმცემლის უდაბნოსათვის დაეგირავებინა იბ — თორმეტ  
თუმნათ. ამ სვიმონის შვილი დათუა ელიზბარ მოლარეთ-  
უხუცეს[ს] ზედსიძეთ შეეყვანა. ეს სვიმონის შვილი დათუა ც რომ  
უშვილოთ ამოწყვეტილიყო, მოლარეთუხუცეს[ს] ელიზბარს თავის  
სიძის დათუას მამული ბეითალმნობით მისის სიმაღლისაგან რომ  
ეშოვნა, ეს ჰვიროსი გირაოდ რომ ყოფილიყო ნათლისმცემლის  
უდაბნოსთან, ელიზბარ მოლარეთუხუცესს იბ — თორმეტი თუმანი  
თეთრი მიეცა და დაეხსნა.

ახლა ისევ მისის სიმაღლისაგან ჯავახისშვილის სვიმონის მამუ-  
ლი ამისავ სახლისკაცებს ჯავახისშვილებს ეშოვნათ.

ელიზბარის შვილი მოლარეთუხუცესი ნიკოლოზ სამარ-  
თალში ჩიოდა: მამულიც გამამერთვა და თეთრიც არ მომეცაო, რო-  
მელიც მამაჩემს ელიზბარს ნათლისმცემლის უდაბნოსთვის მიუციარ  
და მამული დაუხსნიაო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, მოლარეთუხუ-  
ცეს[ს] ნიკოლოზს მოწამე ვსთხოვეთ, რომ უდაბნოს თეთრი ელიზ-  
ბარისგან მისცემოდეს. ნიკოლოზ მოლარეთუხუცესმა სამართალს  
ორი სარწმუნო მოწამე მოსცა; ასე უმოწმეს: იბ — თორმეტი თუმა-  
ნი ჩვენ ზედმიწევნით ვიციო, რომ ელიზბარმა უდაბნოს მისცაო  
და გირ[ა]ო ჰვიროსი ისე დაიხსნაო.

ახლა ჩვენ ეს სამართალი მივეციო: ჯავახისშვილებმა იბ —  
თორმეტი თუმანი ნიკოლოზ მოლარეთუხუცეს[ს] ახლავ უკლებ-  
ლათ უნდა მისცენ. ამის სარგებელიც გაუჩნდებოდა სამართლით.  
მაგრამ რადგანაც ჯავახისშვილებისა ამ თეთრის გირაოდ ერთი კომ-  
ლი კაცი ნიკოლოზს მოლარეთუხუცესს ჰყოლებია, სარგებელი

ამაში ჩაუტარეთ, რომ გირ[ა]ო კაცი ემსახურებოდა, სარგებელი ის გაუტარეთ.

იასაულო, ეს ასე აღასრულე: თეთრი თორმეტი თუმანი ჯავახისშვილებს გამოართვი და ნიკოლოზ მოლარეთუხუცეს[ს] მიაბარე. აღიწერა იანვრის კბ, ქორონიკონს უოა.

თუ ხარ ელო გოგია! ეს როგორც გაგვიჩენია, როგორც მამული გაუყვიათ, ჯავახიანთ თორმეტი თუმანი ისე გამოართვი.

სამი ბეჭელი:

1. მზექაბუკი
2. მონა ღვთისა მდივანბეგი ოტია
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს.

სხვა ხელით:

ქ. მე, თუხარელი ბოქაულთხუცესმა გიორგი უზბაშმა, რომელიც ამ განაჩენში ბატონის ბძანება იყო, სამთ[ა]ვ ძმებისაგ[ან] მობარდა მოლარეთუხუცეს[ს] ნიკოლოს[ს] ეს ამ განაჩენის თეთრი სრულათ. იენის[ს] კ, ქორონიკონს უოგ.

ორი ბეჭელი:

1. არ ირჩევა
2. მონა ღვთისა გოგია

## 122. პანინება პარანოზიოვილბისა და მირზა იბრეიმის შვილის გოგიას შინს სპაჰეზი

1788 წ. 22 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 36. საბ. № 258. პირი. ქალაღი. მხედრული.

[168] გერმანოზის შვილები მირზა იბრეიმის შვილს გოგიას ერთს კომლს კაცზედ გოვშის შვილს მახარაზედ უჩიოდნენ.

მირზა იბრეიმის შვილი გოგია ამას ამბობდა: ეს კაცი, ოსიაური რომ წახდა ლეკისგან და წვევიდა, ქიტეს ნალეკარმა მაიყვანა ამ მხარს. მისის სიმაღლისათვის არზა მიერთმია და მოეხსენებინა, ტყვე ვარ, დამიხსენითო. ბატონს ოქმი ებოძებინა: ვინც ამ კაცს იყიდის, იმისი ყმა იყოს. ეს ბატონის ოქმი და ბძანება რომ [ვ]ნახე ქიტესა ნალეკარს თეთრი მივეც და ვიყიდეო<sup>1</sup>. მასუკან ამ მოზარემ სიგელიც დამაწერიანა და მომცა; რომ ეს მოთაბარი სიგელიც გოგია მირზა იბრეიმის შვილს ხელთ ეჭირა და ბატონის ოქმიცა; რომელიც

<sup>1</sup> ვლიდეო.

ამ მახარეს დატყვევებამდინ ორი შვილი ჰყოლებია, ის ერთი უფროსი შვილი რომ დატყვევ[ვ]ებულა და ტყვეობილამ მოსულა, ის ხომ თავისუფალია, ვისთანაც რომ [იქნება], არას კაცს საქმე არ ექნება. ის ერთი პატარა ბიჭი ტყვეობამდინ რომ დარჩენია, ხუთის წლისა რომ ყოფილა, მირზა იბრეიმის შვილი გოგია ამბობდა: სულ ჯამაგირით და ხარჯით შამინახავსო; არც დედა ჰყვანდა ამ ბიჭსა.

ჩვენ, საქართველოს [მ]საჯულთშეკრებილებამ, ეს სამართალი მივეცი: სამის წლის ამ ბიჭის ხარჯათ ოცდაათი კოდი პური ჩაუგდევით. ეს ბიჭი ვნახეთ, ცამეტი-თოთხმეტი წლის იქნებოდა. სამართალში ეს ბიჭი გერმანოზისშვილებს დარჩებოდა, მაგრამ თავის დედისა და მამის მოშორება მეტად გაგვიძნელდა, ისევე სამართალი უსაჯეთ. ეს ბიჭი ხუთ თუმნად[ად] დავაფასეთ, ერთ თუმანს დანახარჯში გამოვედით და ოთხი თუმანი მირზა [v] იბრეიმის შვილმა გოგიამ გერმანოზის შვილებს მისცეს და ეს ბიჭი გოგიას ყმათ დარჩეს. ამ ბიჭის მამა მახარე ხომ ნასყიდი ჰყავს: ყიდვის უკან რაც შვილები [ჰყავს], ისინიც ხომ თავისია. ამ ერთის ბიჭის საქმეც ასე გავგვირიგებია.

დღეის იქით გერმანოზისშვილებს ამ მახარეს და ამათს შვილებს გოგია მირზა იბრეიმის შვილს ველარას<sup>1</sup> ედავებიან, ამის ყმანი უნდა იყუნენ, ოთხი თუმანი კი გერმანოზისშვილებს ახლავ უნდა მისცეს.

აღიწერა იანვრის კბ, ქორონიკონს უოა.

□ □ □ □ □  □ ხელრთვა

ამ განაჩენში დაწერილი ოთხი თუმანი მე, გოგიას, მამებარა, ამას იქით საქმე არა მაქვს რა მე, გერმანოზისშვილსა. □

გოგიას პირობით დამიწერია და მოწამეცა ვარ მე, ჰ ე ქ უ ბ ა ნ თ რ ო ს ტ ო მ ა ს შვილი. ხელრთვა

<sup>1</sup> ვეყარას.

123. ბანჩინება მრეკლე II-ის ავტოოზვილუგისა და აიდემურისა და  
იონანს მამულის საქმეზე  
1788 წ. 11 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14501. დედანი. ქალაქი. 33×19,3 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ავტოოზვილები იოსებ და ამისი ძმა ზაზა, აიდემურსა და იონანს ბაკურციხეში თავის განასყიდს პამულზედ უჩიოდნენ. თამაზა ბებურიშვილს ამავტოოზვილების დედის [სა]ხსრად რომ თავისი ხმალი მიუცია და ამავტოოზვილის ვარისებსაც ბაკურციხეში ლუაშვილების ორი საკომლო — ერთი ამოწყვეტილის ბეითალმანი და მეორე ცოცხლისკაცის გიოს მამული — ნასყიდობით მიუციათ: ვარდიაშვილისა, ლობერიძისა და სამადაშვილის მიჯნამდის და ვარდიაშვილის მიჯნამდის ზაქარიაშვილის წინ რაც არის შემოფარგვლით, ეს მიუციათ.

ავტოოზვილები ამას უპასუხებდნენ: გირაოთ გქონიათ მოცემულიო, ნასყიდი არა გქონიათო<sup>1</sup>. არც ნასყიდობის წიგნი ქონდა აიდემურსა.

ჩვენ ეს მოვიკითხეთ [ამ მოსთაბარის მოწამეთაგან ასე შევეტყვევით; თომა წინამძღვარი, ლუარსაბ მიმბაში და ლუარსაბ ონანაშვილი და მორღალი გიორგი ასე მოწმობენ: სწორედ ნასყიდობით ქონდა ეს მამული თამაზას მიცემულიო. ამ [მ]ოწმე[ე]ბის ძალით რომელიც ბეითალმანი მამული არის, ისევ აიდემურსა და იონანს დავანებეთ ნასყიდობითა. და რომელიც ცოცხლისკაცის მამული მიუციათ, დღეს პატრონი ცოცხალი ყავს ამას, თავისი სამკვიდრო მამული ისევ ამასვე დავანებეთ. და ამისი მაგიერი მამული შემოფარგვლით იმისივე ზომა ავტოოზვილებმა აიდემურს და იონანს უნდა მისცენ. აშენებული ალაგი და ნასყიდობა შეუსრულონ. და თუ უნდოდესთ, ავტოოზვილებმან თავისის ყმის გული მამულით შეიჭერონ და ის მამული ისევ აიდემურსა და იონანს დაანებონ.

იასაულო!<sup>2</sup> ეს ასე უნდა გა[ა]რიგო. ფებერვლის ია, ქორონიკონს უოა.

ქ. თუ ამ მამულს პატრონი თითონ არ შეჭერდებოდა, ისევ თავისი

<sup>1</sup> გქონიათ.

<sup>2</sup> დატოვებულია ცარიელი ადგილი იასაულის სახელის ჩასაწერად.

სამკვიდრო მამული უნდა მიეცეს გ ი ო ლ უ ა შ ვ ი ლ ს ჰ[ა]ლბათ.  
ჰ[ა]ლბათ.

ხუთი ბეჭედი:

1. მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე
2. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად  
ი ე ს ე
3. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა
4. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
5. მიწა ვარ დავითრგუნები დ ა ვ ი თ

## 124. განჩინება ლუარსაბ მურვანიშვილისა და სურამის მამასახლისისა. მამულის საქმეზე

1788 წ. 14 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13996. დედანი. ქალაღი. 34,5X20,2 სმ.  
მარცხენა ზემო კიდე და ბოლო მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშ-  
ნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

[მის]ის სიმაღლისათვის მ უ რ ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ლ უ ა რ ს ა ბ ს .  
არზა მიერთმევიანა და სურამის მამასახლისისათვის ეჩივლა, რომ:  
თქვენმა შვილმა ი უ ლ ო ნ ო ქ მ ი გვიბოძა ხ ი დ ი რ ბ ე გ ი ს .  
შ ვ ი ლ ს მ ა მ უ კ ა ს და მე, რომ: სურამის მოურაო ბ ე რ ო ფ ა -  
ლ ა ვ ა ნ დ ი ს შ ვ ი ლ ო ! როგორც აქამდის ამათი ხნულები ამათავ  
ყმებს დაუთესიათ და დაუფარცხავთ, ისევ და[ა]ფარცხვინეო, მამა-  
სახლისმა ფარეხი გამოგვიგდო, დათესილი ხნული არ დაგვაფარ-  
ცხვინაო.

მის სიმაღლეს საქართველოს კელმწიფეს ოქმით ამათი სამართა-  
ლი ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებისათვის, ებძანებინა.  
სურამის მამასახლისი და ამის ძმა მოვაყვანინეთ და სამართალში  
ვალაპარაკეთ.

მ უ რ ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ამას ჩ ი ო დ ა : ბატონისშვილის იუ-  
ლონის ოქმი რომ მოვიტანეთ მე და ხიდირბეგისშვილმა, რას მე-  
მართლებოდი რომ ხიდირბეგისშვილს კი დააფარცხვინეო და მე და-  
თესილი ხნული დაუფარცხავი დამაგდებინეო.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი ამას უ პ ა ს უ ხ ე ბ და : რადგანც ზოდა-  
ბუნი იყო, შენ ბატონისაგან დატუქსვილი<sup>1</sup> იყავ და ყმა და მამული  
ჩამორთმეული, ბატონის მორიდება მქონდა, ამისთვის უარი გითხარ

<sup>1</sup> დატუქსილი.

და ვერ დაგაფარცხვინეო. მეორეს დღეს ბატონისშვილის იულონის ოქმი რომ გვიჩვენე არკი...\*

[და მამასახლისმა ასე შეაფიცოს, რომ: «ამისმა მადლმა, მურვანისშვილო ლუარსაბ, ბატონისშვილის იულონის ოქმი რომ ვნახე, მაშინვე დაფარცხვის ნება მოგეცე, მაგრამ შენ აღარ დაფარცხე ჩემის ჯაბრით». თუ ფიცთ ასე გული აჭერა, მურვანისშვილი ლუარსაბ მამასახლის[ს] და ამის ძმას ველარას შეუა.

თუ ფიცით ასე გული ვერ აჭერა, რაც იმდენს ხნულში, რომელიც დათესილი დაუფარცხავთ დაუგდებინებია, წელს მოსავალი გამოვიდეს, იმდენი ერთიორათ მამასახლისმა და ამის [ძ]მამ საქმეში თანახმად კაცთ მურვანისშვილს უნდა მისცენ.

ჩვენ ეს სამართალი მივეციოთ და ნება მისის სიმალლის არის. მარტის იდ, ქორონიკონს უოა.

ქ. სამართალმა ოთხი მოფიცარი შეუგდო: ოთხის შეგდებულიდამ ორი იშოვნოს და მამასახლისმა შეჰფიცოს, რომ: «ბატონისშვილის ოქმი რომ მომიტანე, ამისმა მადლმა დაფარცხვის ნება მოგეცე და შენ ჩემის მტერობით არ დაფარცხეო».

თუ ამ ორის მოფიცრით<sup>1</sup> შეჰფიცა, მურვანისშვილს მამასახლისთან საქმე აღარა ექნება რა. თუ ვერ შეჰფიცა, რაც ს უ რ ა მ შ ი უშას მოსავლის ანგარიშზედ\* ერთის დღის ჭირნახულში მოსავალი გამოვიდეს, რამდენის დღის ხნული დაუფარცხავი დაუგდებინებია, ამ კვალად გალეწილი პური უნდა მურვანისშვილს მისცეს მამასახლისმა.

ოთხი ბეჭედი:

1. მ ზ ე ჭ ა ბ უ კ
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერისთვისა მსაჯულად მაგო ბ ე ე ა ნ
3. მონა ღთისა მღივანბეგი ო ტ ი ა
4. მონა ღთისა მღივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ

ქ. ეს შუაში ჩაწერილი რომ არის შუა მოსავლისა, ჩვენი ჩაწერილია, ეჭვი ნურვის ექნება; ეს განაჩენი ადრე წარ[წერილი] შესანახავი არ არის, თორემ არ ჩავწერდით.

ბეჭედი: ეამი ესეცა წარვლის  
თავში:

... და მე[ფე] სრ[ულიად] საქართ[ველოს] მეორე ი რ ა კ ლ ი ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. მარტის ით, [ქორონიკონს უ]ოა.

<sup>1</sup> მომიცრთ.

\* აკლია რამდენიმე სტრიქონი.

\* „შუას მოსავლის ანგარიშზედ“ ჩაწერილია სტრიქონს შუა.

ბეჰელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე-  
კიდეზე:

ქ. ჩვენ, ბატონი შვილი იულონ, ამ განაჩენს ვამტკი-  
ცებთ.

მამაცაშვილო დათუავ! როგორც ამ განაჩენში სწე-  
რია, ასე გაარიგე. მარტის კვ, ქორონიკონს უოა.

ბეჰელი: ქ. ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.  
ხელრთვა: იულონ

## 125. ბანინება ტიტოზილანის მამულის საქმეზე

1788 წ. 1 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5044 ა. დედნის თანადროული პირი. ქალაღი.  
127,5X23,8 სმ. მხედრული. ამავე ფონდში დაცულია ამ საბუთის მეორე  
პირიც 5044 ბ.

ქ. მძოვრეთის ციხე რომ ქაიხოსროს შვილს ცი-  
ციშვილს ზაქარიას დაეჭირა და შიგთავისი კაცნი შეეყუ-  
ნებინა, ამაზედ ნოდარი [ს] შვილი სარდალ-ქალაქის მოურავი  
დავით ძალგამოდებით ლაპარაკობდა: მძოვრეთის ციხე ჩვენ —  
ნოდარის შვილების საკუთარია, რომ არც ქაიხოსროს შვილებს და  
არც პაპუნაშვილებს წილი არა აქვსთო.

მისის სიმაღლის მეფისათვის შეეჩვილა და კელმწიფეს მეფეს  
ებძანა გალატოზიშვილის იოვანე ხუცის პირით: სა-  
შფოთავად საქმეს ნუ გახდი, ციხე დაცალე, როგორც აქამდის კა-  
რაბა იყო, ახლაც ისე იყოსო. არ ექნა და არ დაეცალა.

მოურავი დავით და ნოდარიშვილები ამაზედ დიდათ წუხდნენ  
და საშფოთარად იყვნენ ატეხილნი. ქალაქში მოურავს დავითს, მის  
სახლისკაცს პაატას და ნიკოლოზს პირობა შეეკრათ და შე-  
თანხმებულიყვნენ, წავიდეთ, ზაქარიას ავით მოვებყრათ და ციხე წა-  
ვართოთო.

ეს ანბავი მათს სიმაღლე მეფეს მოხსენებოდა და ბატონი დე-  
დოფლისათვის განეცხადებინა: მოურავს თქვენ დაუშალეთ ნუ წავა,  
შფოთს ნურას მოახდენსო. ბატონს დედოფალს მოურავი მიეყვანი-  
ნებინა და დაეშალა; ეგ საქმე რომ განგიზრახავსთ, უმართებულო  
არის, ნუ იქმთო.

მაშინც მოურავმა დავით არ დაიშალა. წავიდა თავისის სახლის-  
კაცის პაატათი და ნიკოლოზით, ზაქარია დაიჭირეს, მრავალი უპა-  
ტიური ჰკადრეს და ციხე დააცლევინეს.

ამაზე მისი სიმაღლე განრისხდა და მეღვინეთხუცი-  
შვილები ნოდარიანთ წაართო. და რაც ზაქარიას სისხლი სდიო-  
და კაცისშვილობისა თუ სახელოსი, განაჩენი დაიწერა, რომ მოუ-  
რავს დავითს, პაატას და ნიკოლოზს უნდა მიეცათ.

მერმე სარჩელი და ლაპარაკი რომ შეექნათ<sup>1</sup> მძოვრეთის ციხე-  
ზედ, ზაქარიამ დავთარი მოიტანა ბარძიმ მღვივანბეგის  
ბეჭდით დაბეჭდილი; მძოვრეთის ციხე ზაქარიას წილობისათვის  
ეწერა. მერე წიგნი მოიტანა ბაგრატიის მიწერილი, შენი ციხე  
ნათხოვრად მაქვსო; მერმე ფარსადანისა — შენს ციხეში თამას-  
ხანის ჯარის შიშით შეველო.

მოსამართლეთ გული ამ წიგნებს გაფრთხილებით გამოეკიდა და  
ეკვი შეუვიდათ. სიღრკუეეს ყოველთვის ქეშმარიტება სძლევს. ეს  
წიგნები და ბეჭდები სიმართლეთ ვერ შევრაცხეთ.

ამ სარჩელსა და ლაპარაკში მოურავი დავით და მისი სახლის-  
კაცი პაატა და ნიკოლოზ თავდაუზოგავად სარჩლოდნენ: თუ ან  
ეგ წიგნები იყოს ჩვენი მამა-ბიძისაგან დაწერილი და ან ეგ ბეჭდები  
იმათი იყოს, რაც მტყუანს კაცს გარდახდომოდეს, ჩვენც გარდაგვახ-  
დევენეთო. და დიდ ხანს იყო ამათი ლაპარაკი.

ციციშვილს ზაზა უზბაშს ზაქარიასაგან წიგნების გაკე-  
თება და ბეჭდების მოჭრა ზედმიწევნით სცოდნოდა და იმ საქმეში  
შიგ დამსწრე ყოფილიყო. და ყოველი მომხდარი დავით მოურავი-  
სათვის საიდუმლოდ ეამბო. და დავით მოურავსაც მისის სიმაღლი-  
სათვის საიდუმლოდ მოეხსენებინა.

ზაზა უზბაშს ესეც ეთქვა დავით მოურავისათვის: წიგნების გაკე-  
თება და ბეჭდების მოჭრა მე შემამწამეთ და სამართალში ფიცზე  
მიმწიეთო.

მერმე მოურავმა დავით და ამისმა სახლისკაცმა პაატამ და ნი-  
კოლოზ ციციშვილ ზაზა უზბაშს შესწამეს: შენ რომ მეგობარი  
იყავ ზაქარიასი გულითადი და საკუთარი შენი დამალული იმას არა.  
ჰქონია რა, ეს წიგნები შენგან არის გაკეთებული და ბეჭდებიც შენ-  
გან არის მოჭრილიო. თუ შენ შემოგვფიცამ, რომ არ იცოდდე და ზა-  
ქარია ვერ გავამტყუვნოთ, მძოვრეთის ციხეზედ ქელი აგვიღიაო და  
სისხლსაც მთლად მივცემთ, რაც დაგვედებო; და შენც პასუხს გაგ-  
ცემთ, რასაც სამართლით დაგვედებო.

ამისი წიგნები დასწერეს და სამართალს მოსცეს. ამ წიგნზე

<sup>1</sup> და ლაპარაკი.



ზაქარიამაც კელი მოაწერა და რადგანაც ორნივე კელმოწერილნი შექმნენ, სამართალმა ზაზა ციციშვილს ფიცი დაქალო.

ზაქარიამ ფიცის დადება რომ სცნა, დაუწყო ზაზას ხვეწნა-ოლონდ დაიფიცე, რომ წიგნების და ბეჭდების მოჭრისა არა იცოდებოდა, რომოდღაწვიდმეტი თუმანი ნაღდი თეთრი კელში მისცა და სხვა მისაცემიც აღუთქვა.

ზაზა საფიცრად რომ წაიყვანეს, გამობრუნდა და თქვა: ბეჭდები უბეში მიძეს, როგორ დავიფიცოო. მივიდა და სამართალს ყოველივე თავეთი სიცრუე აღუარა: წიგნებიც ზაქარიამ გაქაქეთა და დაწერა და ბეჭდებიც ჩემთან მოაჭრეენა თავის რულიშვილსათ; და რაც მომხდარიყო ყველა წარმოთქვა.

ჩვენ სამართლიდამ ზაქარიას ამისი კითხვა დაუწყევით და ველარცერთის უარი ვერა თქვა. და ზაზა ციციშვილმა ტყვიანზე მოჭრილი ბეჭდები წინ დაგვიწყო, რომელიც გაქეთებულს წიგნებზედ ისხდა, ბაგრატიისა, ფარსადანისა და ბარძიმ მდივანბეგისაც მოსჭრეს, დაასვეს და ის ბარძიმ მდივანბეგის ბეჭედი კი დაკარგესო.

ჩვენ ეს განვაჩინეთ ყოველთა აქა შეკრებულთ მსაჯულთა: თუმცა ზაზა უზბაში ბეჭდების მოჭრაში სიტყვით გარეულა და ზაქარიას საიდუმლოებიც სცოდნია, მაგრამ რადგანც გამოსცა და სამართალს ყოველივე მომხდარი ჭეშმარიტებით აღუარა, ამისთვის ზაზა უზბაშს მოსამართლისაგან აღარა გარდახდებდა რა.

თუ ამ საქმეში ზაზა შიგ დამწყვედელიყო. ამასაც ზაქარიასთან გარდახდებოდა. მარა რადგანც გამოსცა და ამ საქმეში აღარ დაემწყვდა, ქვეყნის სამჯობინარის გულისათვის არც ამ ზაზას და არც შემდგომად ამისა ამგვარად გამომცემს კაცს მოსამართლე ბრალში ვერ შეიყვანს და არც მოეკითხება. ვინც ამგვარს საქმეს გამოსცემს, მოსამართლემ კიდევ უნდა გაახალისოს და დაუმიდლოს; და რასაც მოურავი დავით, პაატა და ნიკოლოზ სამთხრობლოს დაპირებიან, ისიც უკლებრად უნდა მისცენ ზაზა უზბაშს.

რადგანც ამისთანა საქმე ქნა ზაქარიამ, რომ საქართველოში არავისგან მომხდარიყო და არავის გამოსჩენოდა ამისთანა სიცრუე და ამგვარის წიგნების დაწერა და ამდენჯერ ტყუილის ბეჭდების დასხდომა, სამართალი მძიმედ მოკითხებდა:

პირველ ამას, რომ: ერთი ძველი წიგნი სისხლისა მამა-პაპათ ერთმანეთში მიცემული და ამ წიგნში რომელიმე ადგილი ამოფხეკილი და იმ ამოფხეკილში ციხის მაგიერ მამული ჩაეწერა, ამას ნიშნევდა: ცხებ ასე ჩვენი საკუთარია, თქვენი არა ყოფილა, თორემ ცი-

ხესაც ჩაგვიწერდნენო. ეს ამოფხეკა და ჩაწერა საცნაურად იხედებოდა.

მეორედ, კიდევ დავთარი მოიტანა თავით ბლომდინ ერთი კელი და ერთი მელანი და შუაში მელანიც სხვა იყო და კელიცა. და უადგილო ადგილს ციხე ჩაეწერა და საკუთრად თავეთის წილობისათვის მიეგდო, და ბარძიმ მდივანბეგის ბეჭედი ახლა მოეჭრა ტყავზე და ამ დავთარზედ დაესო.

მესამედ, ბაგრატიისა და ფარსადანის წიგნები ახალი თავისაგან დაწერილი და დაბეჭდილი მოქონდა და მოსამართლეს გულს აჯერებინებდა და უნდოდა ამ სიდრკუით და სიცრ[უ]ით მოსამართლენი ბრალში მიეცა და თავისი თავი მართლად გამოეყვანა და ციხე თავისთვის დაენარჩუნებინა. რომელსაც მრავალი პირი წამებს დიდებულთანი და მცირეთანი რომ მძოვრეთის ციხე ნოდარის შვილებისა იყო, რომ მცილე არავინ გაგვიგონიაო. და ამათი მოწმობა დავით მოურავს კელთ ეჭირა.

და მეოთხედ, სამართალს კელითწერილი მოართვეს ერთავ, ვინც გამტყუნებულყო, რაც დაიწერა, ის უნდა გარდაეხადა.

ჩვენ ამათს დადებულს კელითწერილზედ მივეციით სამართალი: რადგანც მრავლის მოწმით აღმოჩნდა, რომ მძოვრეთის ციხე ნოდარიანთი ყოფილა და ამდენის წიგნების გაკეთება და სიცრუით სამართალში შემოსვლა იმ ციხის მიზეზით იყო, ბერძული სამართალი ასე განაჩენს: თუ ვინმე წაართოს რაც რამფერი ვენახი, წისქვილი, თუ რამ სხვა, მოსამართლემ გამოართოს, თავის პატრონს მისცეს და ერთი ამდენი სხვა ფასიც გამოართოს და ისიც მისცესო.

ამის მიხედვით მძოვრეთის ციხე ნოდარიანთი ყოფილა, დარჩათ ისევ ციხე ერთობით ნოდარიანთ და ერთი იმდონი ამ ციხის შესწორებული ზაქარიამ დავით მოურავს, პატას და ნიკოლოზს უნდა მისცეს.

სისხლის განაჩენი რომ აქვს ზაქარიას მოურავისაგან დაჭერილობაზედ, ის განაჩენი და ის სისხლი ადგა. ზაქარია ველარასა სთხოვს, ამისთვის რომ შფოთის მიზეზი ზაქარია შეიქმნა, ციხეს შეეცილა; მისმა სიმადლემ უბრძანა და არ დაუცალა; დიდხანს ემოციქულა მოურავი და არ დაანება; მერმე თავისის ძალით დაიჭირა და ციხე დააცლევინა.

თუმცა კაღნიერებით და მოსამართლის წინააღმდეგი ქმნა, მაგრამ კიდევ გარდახდა: მოურაობის მოქმედებიდამ დაეყენა და მელ-

ვინეტხუციშვილები პაატასა და ნიკოლოზის წილად წაერთო ამ კადნიერებისათვის და მიზეზი ამისიც ზაქარია იყო.

სხვა რაც მოურავს დავითს მისს სახლისკაცს პაატას და ნიკოლოზს ამ საქმეზედ კარგი მოსვლიათ ან ცხენისა ან იარაღისა ან მსახურისა და კაცისა და ან მთხრობელზედ და მოწამეზედ რაც რამ ფერი რომ სამართალში შემოიტანებოდეს და იანგარიშებოდეს, ყველა ზაქარიამ უნდა გარდაუხადოს და მოურავმა პაატამ და ნიკოლოზ იმითი გასცენ სამთხრობლოს პასუხი ზაზა უზბაშს.

სამართალს რომ ეს ჰკადრა ამისთანა სიცრუე და ამდენი ხანი მოსამართლენი სტანჯნა და ლამობდა უსამართლოში შთაეყვანა და ყოვლის ღონისძიებით ეცადა მოსამართლეთ მოტყუებასა, ეს კიდევ უფრო მძიმედ გაჩნდებოდა, მაგრამ ამის მეტი აღარ დაუძიმეთ: რაც სისხლი სდის ზაქარიას კაცისშვილობისა, იმისი მესამედი სისხლის ფასი სამართალს მოართოს. და მრულიშვილის კელით რომ ის ბექდები მოჭრილა, იმისი მარჯვენა კელი ან მოგვაჭრევენოს და ან კელის ფასი ზაქარიამ გამოიღოს.

ასე გარდაწყდა ამათი სარჩელი. აპრილის ა, ქორონიკონს უოა.

|                    |          |                       |                     |                    |
|--------------------|----------|-----------------------|---------------------|--------------------|
| მდივანბეგი<br>იესე | მზექაბუჯ | მდივანბეგი<br>თემურაზ | მდივანბეგი<br>ბეჟან | მდივანბეგი<br>იესე |
| სულხან             | იოსებ    | დავით                 |                     |                    |

ქ. ამისი ასლი ვნახე მე, ჩოლაყაშვილმა მდივანბეგმა იოანემ და სავადი დავბეჭდე.

ბეჟელი: მდივანბეგი იოანე

ქ. ამისი ასლი ვნახე მე, მდივანბეგმა ჯავახიშვილმა ვახუშტიმ და სავადი დავბეჭდე.

ბეჟელი: ჯავახის ძე მდივანბეგი ვახუშტი

ქ. მე, თუმანოვმა მდივანმა სულხან, ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე.

ბეჟელი: მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან

ქ. ამისი ასლი ვნახე მე, საქაქიშვილმა მდივანბეგმა ზაალ და ეს სავადი დავბეჭდე. ბეჟელი: ზაალ

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოისა მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას.

დიმიტრი ეშიკაღასბაშო! როგორც მსაჯულთ [გა]-  
უსამართლებიათ, ეს ასე აღასრულეთ. აპრილის 6, ქორონიკონს უოა.



ქ. ზაალ ყორიასაულბაშო და პეტრე ხალვათხანის  
ეშიკაღასბაშო! ამ საქმეზედ თქვენც ეშიკაღასბაშთან უნდა  
იყვნეთ და იმოქმედოთ.



კიდეზე:

ქ. ამ წერილის ასლი მე, ევსტათი მოურავსა მაქვს და ეს  
იმის სავადი შენ, ნიკოლაოზ მდივანბეგს უნდა გქონდეს. ოკ-  
ლომბრის 3, ქორონიკონს უპყ.

ბეჰედი: ქალაქის მოურავი ევსტათი\*

**126. ზანჩინაზა არქიმანდრიტ ანტონისა და ზაჰალ მიკირტუას  
სახლავის საქმეზე**

1788 წ. 3 აპრილი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1952. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მისის სიმაღლისათვის მოეხსენებინა ქოთახევის არქიმანდ-  
რიტს ანტონის: ჩემის ეკლესიის ყმის სახლკარი ბაყალს მი-  
კირტუას უქირავსო და არ მანებებსო; სამართალი მაღირსეთო.

მის სიმაღლეს ჩვენ, ბატონის შვილის ვახტანგის ა-  
თვის ებრძანებინა: მსაჯული თან დაისწარო ამას და ამის მოადს  
სამართალი უსაჯეთო. ჩვენ ბრძანებისაებრ ესენი ვალაპარაკეთ.

ანტონი არქიმანდრიტი ასე ჩიოდა: ამ ნასყიდობის წიგნის ძა-  
ლით ვჩივიო. და მაგას თუ ამ ჩემის წიგნის წინააღმდეგი წიგნი  
აქვსო, სამართალს მოართოსო. თუ არადა, ამ წიგნით ამ სახლს ვდა-  
ვობო და ნება სამართლისა აღსრულდეს.

ჩვენ ანტონის არქიმანდრიტის მოტანილი სიგელი გავშინჯეთ,  
ასე ეწერა: ეს წიგნი მოგეც მე, რევიშვილმა ბეჰეჰანმა შენ,  
სოლოღაშვილს ხატუას, ასე რომე: მოქალაქეს ჰასრათას ჩემი თეთ-  
რი ემართა და იმისი სახლკარი მე გირაოდ მქონდაო; ის ჰასრათა  
ამოწყდაო, ნაზარალი ხანს მოვახსენეო. ნაზარალი ხანმა იმ

\* verso-ზე კეფების შეერთების ადგილას — მარცხენა და მარჯვენა კიდეებ-  
ზე უზის ბეჰედი: „ევსტათი“.

ჰასრათას სახლკარი ყოველივე მე მიბოძაო ქალაქის მელიქის და მამასახლისის ჰკითხვით და ბეჭდითაო. აწ იმ ჰასრათას სახლკარი ყოველივე შენ მოგყიდეო, ავიღე ფასი სრულიო. ქალაქის მელიქის ბეჭედი იჯდა მამასახლისისა და სხვათ მოქალაქეთ. ეს წიგნი ქორონიკონს ტპჰ — ამ წელს იყო დაწერილი.

ჩვენ, ბატონიშვილი ვახტანგ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებით ამ სადაო ალაგთან მივედი უფრო ქვეშარიტების ცნობისათვის. რომელსაც ალაგს ჩიოდა ანტონი, იმ ალაგს გაღმა და გამოღმა ორი სახლი ექირა — ერთი დარბაზი და ერთი ოთახი და სხვას კი არ ანებებდენ.

ჩვენ რომ ის ალაგი და ეს წიგნი გავშინჯეთ, ამ წიგნით რაც ჰასრათას სახლკარი ყოფილა პირველვე, ყოველივე ამ წიგნით არქიმანდრიტს ანტონის დარჩა. ბ უ რ ჯ ი ძ ი ს რომ ახლა უჭირავს არქიმანდრიტს ანტონის თავის ყმის ბეითალმალი დარბაზი ოთახი და ეზო, რასაც ის გაიტანს მამუანთ სახლამდინ, ამას უწერია სიგელში და ამას დარჩა.

მრავლის გამოძიებით გამოვიძიეთ, რომელიც არქიმანდრიტის მოტანილი სიგელი აცხადებდა, ეს სამძღვრები დაანიშნა და სხვა არა. მოქალაქენი ამის პირდაპირას სახლებს ამბობდნენ, მაგრამ ეს სიგელი იმას არ ნიშნავდა. სწორეთ ეს სახლები და ეს მიჯნები დანიშნა, რომელიც დღეს კელთ უჭირავს არქიმანდრიტს, იმის მოკიდებით მამუანთ სახლებამდინ ამას დარჩა.

ჩვენ რომელიც წიგნი ვნახეთ, იმ წიგნზე ეს სამართალი ვსაჯეთ, იმათ ვთხოვეთ წიგნი და მოწამე: თუ ან წიგნი გაქვსთ და ან ესეთი საბუთი, წარმოაყენე და სამართალი მიიღევით. ვერც წერილი წარმოაყენეს და ვერც ასეთი საბუთი რომ ეს სიგელი გავვეცუდებინა. რადგან ამ წიგნის წინააღმდეგი ვერა მოიტანეს რა, ამ წიგნით ეს სახლები არქიმანდრიტს ანტონის დარჩა. რადგან ამ სახლების მსყიდველი ს ო ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი ხატუა ამის ეკლესიის ყმა ყოფილა, ის ამოწყვეტილა და იმის ბეითალმალი ამას დარჩომია.

ჩვენ ასე განვსაჯეთ, ნება და ბრძანება მისის სიმაღლის მეფისა არის. აპრილის 6, ქორონიკონს უოა.

ბ ა რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ო ი ო ა ნ ე ლალავ და გ ო გ ი ა ვ! ეს სახლები თქვენ მოაბარეთ თავის მიჯნებით, რადგან თქვენ ხართ იასა-

ული. 

|                     |          |                    |                        |             |
|---------------------|----------|--------------------|------------------------|-------------|
| ლომად...<br>ვახტანგ | მხეკაბუჯ | მღივანბეგი<br>ოტია | მღივანბეგი<br>თეიმურაზ | ყამი ესე... |
|---------------------|----------|--------------------|------------------------|-------------|

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოჲსა და კახეთისა და სხვათა მეფე ირაკლი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აპრილის თ, ქორონიკონს უოა. 

|                    |
|--------------------|
| მეფის...<br>ერეკლე |
|--------------------|

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა და კახეთისა და სხვათა დედოფალი დარეჯან ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აპრილის თ, ქორონიკონს უოა. 

|                     |
|---------------------|
| დედოფალი<br>დარეჯან |
|---------------------|

კიდებუე:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს პატრიარხი მეფის ძე ანტონი, მსაჯულთა მიერ განჩინებულისა და მისის უმაღლესობისაგან დამტკიცებულისა განჩინების ამის თანაჲკმა ვართ. აპრილს ი, წელსა ჩლბგ

ხელრთვა: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონი შვილი გიორგი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. იენისის ბ, ქორონიკონს უოა.

|                    |
|--------------------|
| მეფის ძე<br>გიორგი |
|--------------------|

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე იულონ, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. აპრილის ი, ქორონიკონს უოა 

|                      |
|----------------------|
| ლთისმშობ...<br>იულონ |
|----------------------|

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე მირიან, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. აპრილის ი, ქორონიკონს უოა. 

|                      |
|----------------------|
| დავითის...<br>მირიან |
|----------------------|

## 127. განჩინება ერეკლე II-ისა ნახიდურაელთა, ნასიბაელთა და აღბაბალოელთა წჳლის საქმეჲთა

1788 წ. 2 მაისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 15. საბ. № 114. პირი. ქალაღი. მხედრული.

[128] ნახიდურელნი და ნასიბელელები და აღბაბალოელნი წყალზე ლაპარაკობდნენ. ამათი საქმე მოვიკითხეთ. ძველათ ასე ყოფილა. იმ რუდამ შვიდი თავი წყალი ნახიდურელთა ყოფილა, ექვსი თავი წყალი აღბაბალუსი და სხვა რაც სოფლები ორბელინთი ყოფილა, იმათი ყოფილა.

ახლაც ასე გავარჩეთ: რაც იმ არხში წყალი გამოვიდეს, [V] ამ:

წესით უნდა გაიყონ: შვილი წილი ნახიდურელთ, ექვსი წილი ორბელიანთ სოფლებს აღბაბალუსა და სამი წილი ნასიბლუსი მსახლობელთ.

ეს წყალი ასე უნდა გაიყონ; და მუშაობითაც როგორც წილი აქვსთ, იმ რიცხვით უნდა იმუშაონ. მერსე ჩვენმა შვილმა იულონ დააყენოს. და დღიურათ ამ გზით გაიყონ: რვა დღეში სამდღენახევარი ნახიდურელთა, სამი დღე ორბელიანთ სოფლებისა და დღენახევარი ნასიბლულეთი. მაგრამ პირველათ დღენახევარი ნასიბლულელთ მისცენ; და მასუკან ნახიდურელთა და ორბელიანთ კაცებმა გაიყონ. ამაში მეტნაკლებობას ნურვინ მოინდომებს, თვარემ ჩვენი საწყენი იქნება.

მაისის იბ, ქორონიკონს უოა.

ჩვენო ღმრთის წყალობავ, შვილო ბატონო იულონ და ჩვენო სიძვე სარდალ-სალთხუცესო დავით, ეს საქმე ასე აღასრულეთ და თქვენი კაცებიც დაქირავეთ, რომ ამას არავინ გარდახდეს. და ჩვენ ამაზე თავს ნულარ გვაწყენენ.



## 128. განიხილა ელიზბარ და ზაალ ღვთისმეტყველების

გაგულის გაუფხვის საქმეზე

1788 წ. 3 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1520 ა. პირი; აგრეთვე ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 33. საბ. № 276.

დავითის შვილი ელიზბარ ჩიოდა: გოგისოფელი ჩემი და ჩემის სახლისკაცის ზაალისა არისო და საკუთრად ზაალს უჭირავსო და მე წილს არ მიდებსო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთმეკრებილებამ, ზაალ მოვაყვანინეთ.

ზაალმა თქვა: მართალია, გასაყოფი არისო.

რადგან სიტყვა არა ჰქონია რა ზაალს, უნდა ეს გოგი სოფელი შუა გაიყოს: ნახევარი ზაალს და ნახევარი ელიზბარს.

უფროსის კაცის შვილი რომ ზაალ არის, უნდა საუფროსო აილოს, ვენახის ალაგს ვენახი და სახნავს მიწაში მიწა.

საშუალოსიც ასე უნდა იქნას. დავითის შვილები ოთხნი ძმანი ყოფილან: გიორგი რომ დღეს იმისი შვილი ზაალ არის, ივანე რომ ივანეს შვილი ალიზბარ არის დღეს, დავითი და ედიშერ, ამათი არავინ არის დღეს. ედიშერ[ის] საუმცროსო ხომ აღებული არის.

ივანეს და დავითის საშუალო რაც ერგება, იმ სოფლიდამ უნდა ისრე იქნას, ზაალ რომ საუფროსოს აიღებს, მერე ელიზბარმა საშუალო უნდა აიღოს.

ოთხმოცი დღის მიწა რომ იყოს, ოთხის დღისა აიღოს. ივანეს საშუალოდ და დავითისათვის რომ ივანეს ერგება ორის დღისა და დავითსა ორის დღისა ერგება. ივანეს შვილი რომ ელიზბარ არის, საკუთარს აიღებს ორის დღისას. ელისბარ და დავითის მამული რომ ზაალს და ერიზბარს უჭირავსთ, დავითის წილი ორის დღის მიწა შუა უნდა გაიყონ: ერთის დღის ზაალს და ერთის დღისა ელიზბარს. რამდენიც ოთხმოცი დღის მიწა გაიზომოს გოგი სოფელში, ამ ზემორე მოხსენებულის მგზავსად ოთხმოციდამ სამის დღისა ელიზბარს ერგება და ერთის დღის მიწა ზაალს ერგება საუფროსოს გარდა.

ეს ასე უნდა გარიგდეს. მთბათვის გ, ქორონიკონს უოა.

ქ. ჭერ საუფროსო უნდა აიღოს ზაალმა, მერმე რაც დარჩება, საშუალო აიღონ ოცზედ ერთი. და რამდენიც დღისა დადგეს საშუალო, იმ საშუალოდამ სამი წილი ელიზბარს უნდა მიეცეს და ნეოთხედი ზაალს, ამისთვის რომ სხვა თავეთი მამული ამათს მამებს ასე გაუყავით. ეს სოფელი ხარაბა იყო და დარჩომიათ. ახლა ესეც იმ გზით გაიყონ. საუფროსო და საშუალო რომ ადგეს, სხვა რაც დარჩეს, ის შუა გაიყონ.



ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი ამ განჩინებას ვამტკიცებთ. თბათვის კდ, ქორონიკონს უოა.

ბეჰელო: მე ფეხთგანზანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე

## 129. ბანინება ზაალ დავითიშვილისა და ბაბიშვილების

შვა-მამულის საქმეზე

1788 წ. 8 ივნისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 37. საბ. № 63. პირი. ქალაღი. მხედრული.

[84] ზაალ დავითის შვილმა ამის შემდგომად სამართალს არზა მოსცა: ტატის [v] შვილის თამაზას შვილებს თავეთი გაყრილის სახლისკაცის ოთარის მამული და ყმა უჭირავსთო, სამართალს ვითხოვო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ამის არზაზე წარვსწერეთ: «იასაულო, მანამ სამართლით ან ზაალს დარჩეს და ან ამ



ტატისშვილს, მანამ ეგ კაცნი საშუალოდ იდვას და სამართალმა რომელსაც დაქანებოს, იმას მიაბარე და ამის მოდავენი კი ახლავ სამართალში გამოგზავნე».

ეს წერილი რომ მიუვიდათ, ტატისშვილის თამაზას ქვრივი და ობოლი სამართალში ჩამოვიდნენ და მისის სიმალლის მეფის წინაშე ილაპარაკეს.

ჩვენ, მსაჯულთ, ტატისშვილის თამაზის შვილს წერილი მოვთხოვეთ, თუ ოთარის შეყრილობის წერილი გვაქვს წარმოაყენე.

ტატისშვილის თამაზის შვილმა ერთი წერილი წარმოაყენა, ასე ეწერა: «ეს წიგნი გიბოძეთ ჩვენ დავითისშვილებმა შენ, ჩვენს აზნაურისშვილებს ტატისშვილს თამაზას და შენს ძმას ბ ა ლ ა თ ა რ ს ასე, რომ შენის განაყოფის ყმასა და მამულს დაგვეაჯე და შეყრილობის წიგნიც კელთა გქონდა და ისევე თავის სიცოცხლეში შეგყრილობით, თქვენი სამკვიდრო მამული ისევე თქვენთვის მოგვიცემიაო; ბიძის შენის ყ ა ყ ა ნ ი ს და თ ა მ ა ზ ი ს ნაქონიო ძველათ კელმწიფეთაც თქვენი მამაპაპათათვის ებოძებინაო და წიგნებიც კელთ გქონდათო. რადგან ძველდაც თქვენი ყოფილაო, ჩვენც [35] ისევე თქვენთვის მოგვიციაო ს უ ე ნ ე თ ს და ძ ვ ი ლ ე თ ს რისაც ყმისა და მამულის მქონებელი ყოფილიყოსო ყაყანია და თამაზაო».

ჩვენ, მსაჯულთ, თამაზა ტატისშვილის ობოლს უთხარით: ზაალ ოთარის წილს გედავება, ყაყანა და თამაზა ოთარისა რა იყვნენ?

ამათ ასე თქვეს: ყაყანა ოთარის ძმა იყო და ოთარის შვილი თამაზა იყო, რომელიც ამ წიგნში გვიწერიაო; დავითისშვილებისაგან მიცემული წიგნი ამ წელს იყო დაწერილი ქორონიკონს ულბ. ამ წიგნზედ დავითისშვილების ბეჭედი ისხდა.

ჩვენ, მსაჯულთ, დავითისშვილს ზაალს უთხარით. ამ ტატიშვილის მოტანილის წერილისა და ლაპარაკისა ან წერილი გაქვს და ან მოწამე გყავს, რომ ამისი წერილი დაარღვიოს, წარმოაყენე, ეს გა[ა]მტყუნე და სამართალი მიიღე. ეს მრავალჯერ უთხარით, მაგრამ ზაალმა ვერც წერილი წარმოაყენა და ვერც მოწამე. და თითონვე ამბობდა: ზაალს მიეცით განჩინებაო, კელი ამიღიაო.

დარჩა სამართლით და იმ წერილის ძალით ყაყანისა და თამაზის ნაქონი ყმა და მამული, რისაც მქონებელნი ყოფილან ტატიშვილს ი ო თ ა მ ა ს, პ ა პ უ ა ს და ი ვ ა ნ ე ს.

ამაზედ დღეის იქით ზაალ დავითისშვილი ვერას ილაპარაკებს. ეს ტატიშვილი [v] იოთამ, პაპუა და ივანე დავითისშვილის ელისბარის აზნაურშვილნი არიან. დაიწერა მთიბათვის U, ქორონიკონს უოა.

თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ მსაჯულთა ზიერ განჩინებასა ამას. თიბათვის კბ, კორონიკონს.

უოა. 

|                    |
|--------------------|
| მეფეს...<br>ირაკლი |
|--------------------|

### 130. ბანძინება გურამიანთ ჟონების გაყოფის საქმეზე

1788 წ. 21 ივნისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 19. საბ. № 114. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[114] მისის სიმალლის ბძანებით ჩვენ, მდივანბეგი თეიმურაზ, ყორიასულბაში ზა[ალ] და ბოქოულთხუცესი პაპუა ამოვედით ავქალას გურამიანთ სადაოზედ.

[v] ჩვენ ამათი სადაო განვიხილეთ და ასე გავაშველეთ: ზა[ალ] რადგან თავისის სახლის კაცების მამულის მენახევრე არის, თოთხმეტი კალო-საბძელი ზა[ალ]ს წილს კაცთ ეჭირათ და ერთი კალო-საბძელი თვით ამ ზა[ალ]ს ეჭირა. ამის სახლის კაცთ ეჭირათ ორი კალო-საბძელი და იმათ წილს კაცთ ეჭირათ ცხრამეტი კალო-საბძელი, რომ შეიქნა ოცდაერთი ამათი ნაპერი კალო-საბძელი.

რადგან ზაალ მამულის მენახევრე არის და ნაკლები უჭირავს, ეს უსამართლო არის. ამის მიზეზისათვის არ ჩამოვართვით მეტი რომ უჭირავსთ, რომ ავი დრო არის და ღმრთით ქვეყანაზე რომ მშვიდობა მოხდეს, უნდა თავეთ წილს დასჯერდნენ. მშვიდობისათვის კიდევ ერთი კალო-საბძელი ზაალს ვთხოვეთ და გიორგი უზბაშს თხოვებით ვთხოვეთ ნალეკრის ნაქონი კალო-საბძელი. ზაალზე რომ მეტი უჭირავსთ კალო-საბძელი რვა, როცა [167] მშვიდობა მოხდეს, ოთხი უნდა [და]უბრუნონ ზა[ალ]ს.

მტკვრის პირისაკენ რომ ფარეხები არის, ზაალს თავისი წილი უნდა დაქანებონ და თავეთ წილში გააკეთონ ფარეხი.

ზაალის წილს ციხეში რომ დგანან და იქვე ციხეში ალაგი ცარიელი აქვსთ, ზაალის წილი ალაგი დაცალონ და თავეთ წილში ააშენონ და დადგნენ.

ჩვენ რომელიც განვიხილეთ, იმისი სამართალი ვსაჯეთ; და ნება მათის უმალლესობისა არის. მთიბათვის კა, ქორონიკონს უოა.

ზაალ

თავში:

ჩვენი ბძანება არის, მერე გურამიანთ საქმე როგორც ამ ჩვენგან გაგზავნილთაგან გარიგებულა, ჩვენც დავგემტყიებია და ყადაღაც გვიბძანებია. ამას იქით შფოთი აღარა ჰქნან, თვარემ რომელიც შფოთის მიზეზი შეიქნება, იცოდეს დიდათ გარდავახდევინებთ. აღიწერა ივნისის კდ, ქორონიკონს უოა.

### 131. განჩინება გურამიანთ მამულის საქმეზე

1788 წ. 25 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 19. საბ. № 117. პირი. ქალღი. მხედრული.

[169] მისის სიმაღლის ბძანებით მე, მდივანბევი თეიმურაზ, ყორიასაულბაში ზაალ და ბოქოულთხუცესი პაპუა ავქალას ამოვედით, გურამიანთ ერთმანერთს რომელსამე მამულს<sup>1</sup> ედავებოდნენ, ისინი განვარჩიეთ და განჩინება მივეციით ზაალ გურამის შვილს.

ზაალს ეუბნებოდნენ თავისის სახლის კაცნი: შენი წილი ბაღისა, ბოსტნისა და კალო-საბძლის ალაგი წყალმა წა[ა]ხდინაო, საკუთარი შენი წილი იყოო.

ჩვენ, ზემორეხსენებულთ, ორი კაცი დოლეჯისა, ორი უზბაშის გიორგისა და ორი მეორე უზბაშის გოგისა და ორი ამ ზაალისა — ეს რვა კაცი, შევჰყარეთ და ფიცით ვკითხეთ: რომელიც წყალმა წა[ა]ხდინა [V] საკუთრით ზაალისა იყო, თუ საერთო იყო. ის ალაგი?

ამ რვა კაცთ ფიცით გვარწმუნეს: რომელიც წყალმა წა[ა]ხდინაო, საერთო იყო[ო]. ჩვენც მათის ფიცისამებრ განვაჩინეთ, რომელიც ალაგი წყალს წაუხდენია, საერთო ყოფილა, რომ იმ წამხდარს ალაგს ზაალს წილში ვერ ჩაუგდებენ, საერთო ყოფილა და საერთო იყოს.

მთიბათვის კე, ქორონიკონს უოა.

<sup>1</sup>ქერთმანერთს.

1788 წ. 27 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. № 457. დედანი. ქალაღი. 71,7X24,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ს მოლარეს გოგია ს და პ ა პ ა ს რომ უჩიოდნენ გლეხი კაცი, — თქვენი ყმანი არა ვართო, სადღღოფლონი ვართო, — ჩვენს კელმწიფე დედოფალს ამათი სამართალი ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულთათვის ებძანა.

ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ და ფიცი დავადევით. ამ სადაო გლეხკაცთ ან ან ა შ ვ ი ლ ს სარქისას შვილს და ბ ა რ ა მ ა შ ვ ი ლ ს ასე უნდა შე[ე]ფიცათ: «შანშიაშვილებო, ჩვენ თქვენ სამკვიდრო ყმათ არ მოგვსლოდეთ, თუ არ ხიზნობით». მაგრამ იმ განჩინის ქვემოზე დავსწერეთ: თუ შანშიაშვილებმა ამ ორმოცს დღეზე ასეთი ან წერილი და ან მოწამე სამართალში წარმოაყენეს, რომ სამართალმა ირწმუნა, მაშინ სამართალი მიეცემათ შანშიაშვილებს.

ოცს დღეზე ამ შანშიაშვილებმა ერთი წერილი წარმოაყენეს, რომელშიაც ასე ეწერა: «ბატონო ჩემო შანშიაშვილებო, მიშველე რამ, სალეკოს ხარჯს მთხოვენ».

ქ. მ ე ო რ ე ეს, რომ: მორიგის დავთარის მწერალი მისულა, უკითხავს: «ვისი ყმა ხარ, ვიზედ დავწეროთ». ამ გლეხთ კაცთ უთქვამთ: «შანშიაშვილების ყმათ დავგწერეთო»; და მორიგის დავთარში შანშიაშვილების ყმათ ეწერნენო.

ქ. მ ე ს ა მ ე, ეს: უ ზ ბ ა შ ი ქ ა ვ თ ა რ ი ს შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ფიცით მოწმობს: შანშიაშვილმა მითხრა, ჩემი კაცი ხ ე ლ თ უ ბ ა ნ ს სახლობს, ხარჯი გამომირთვიო. მიველ გამოვართვი ამათ, და შანშიაშვილებს მივეცო.

ქ. მ ე ო თ ხ ე, ეს: ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი უ ზ ბ ა შ ი ნ ი კ ო ლ ო ზ დიდის ფიცით ასე მოწმობს: მეც მითხრა შანშიაშვილმა ხ ე ლ თ უ ბ ა ნ ს ჩემი კაცი სახლობს ხარჯი გამომირთვიო. ექვსი მინალთუნი გამოვართვი და შანშიაშვილს მივეცო.

ქ. მ ე ხ უ თ ე, აგრევე ყ ა ი თ მ ა ზ ა შ ვ ი ლ მ ა ს ტ ე ფ ა ნ ე [მ] ფიცით ასე თქვა სამართალში: მეც გამოვართვი ამ კაცთ და შანშიაშვილს მივეცო.

ქ. მ ე ე ქ ვ ს ე, მ ა ლ ა ლ ა შ ვ ი ლ მ ა დ ა ვ ი თ მ ა და ს ვ ი

1 ყაითმაზაშვილი.

მონმა თქვა სამართალში: ეს გლეხი კაცი რომ მეტეხში სახლობდნენ, ჩვენ ვკითხვედით. ვისი ყმანი ხართ. ესენი გვეტყოდნენ: შანშიაშვილებისაო.

ქ. მეუვიდე, ყაითმაზაშვილი ყაითმაზა ასე მოწმობს ფიცით: მე რა ჩემს თავს მოვესწარ, ეს კაცი ამ შანშიაშვილების ყმათ მინახავსო.

ქ. მერვე, პატარა საყდრის ტერ-ოპანეზა ასე მოწმობს. წერილით: ამათი მამა შანშიაშვილების ყმათ მინახავს ბოლნის-ს]აო, რომ მამაჩემი ამათ სახლში მღუდლობდაო.

ქ. მეცხრე, იგულაშვილი გიუა ასე მოწმობს წერილით: ჩემს მოსწრებაში ესენი შანშიაშვილების ყმათ მინახავსო.

ქ. მეათე, სახასო ესტატე ასე მოწმობს წერილით: ვახტანგ მეფის დროს, ოსმალობას და ყიზილბაშობას, ეს ამათ ყმათ მინახავსო.

რადგან პირველვე სამართალმა ასე განაჩინა, რომ: თუ ორმოც დღემდინ შანშიაშვილებმა ან მოწამე და ან წერილი წარმოაყენეს, რომ სამართალმა ირწმუნა, მაშინ სამართლით გოგიას და პაპას დარჩებიან. ახლა ამათ ეს წერილი და მოწამე წარმოაყენეს, რომელიც ზემორე მოგვიხსენებია ჩვენთან რომელთაც მოწამეთ აღიარეს, ჩვენ ის დავსწერეთ; და ნება ჩვენის კელმწიფე დედოფლისა არის. აღიწერა მთიბათვის კჳ, ქორონიკონს უოა.

ქ. ამ მოწმობის ლაპარაკით და სამართლის მიხედულობით ეს კაცი ამათ არ გამოერთმევათ; და ნება მისის სიმაღლისა დედოფლისა არის.

ოთხი ბეჭედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
2. მზეჭაბუკ
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს
4. მონა ღთისა მდივანბეგი თემურაზ

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოსი და სხვათა დედოფალი ბატონის დადიანის ასული პატრონი დარეჯან, ამ განაჩენს ვამტკიცებთ.

მდივანბეგ ეშკაღაბაშო თემურაზ! თავისი კაცი ამ შანშიაშვილის მოლარეს მოაბარე. თიბათვის ვ, ქორონიკონს უოგ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 27. საბ. № 308. პირი. ქალაღი. მხედრული.

[217] მის უგანათლებულესობას მეფის ძეს ვახტანგს ეს მუჯალმა მირთმეოდა. მის უგანათლებულესობას ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებისათვის ებოდებინა. ჩვენ ეს მუჯალმა რომ გავსინჯეთ, სარდალი და სხვანი მოთაბარი აზნაურიშვილები სწერენ ამ მუჯალმას, რომ გაუყრელი ყოფილა; სამართალში დიდათ [v] შესაწყნარებელი იყო ეს მუჯალმა. რადგანაც გაუყრელი ყოფილან, ეს მამული ამ ზავრას შვილს სოლომანის შვილს ალავერდას და ამის ბიძაშვილებს აღარ გამოერთმევათ სამართლის ძალით. და ნება მისის უგანათლებულესობისა არის. თიბათვის კმ, ქორონიკონს უოა.

ქ. ამ ალავერდას ძმას დაეითასაც ამ მამულში წილი ედება.



თავში:

ქ. ჩვენ, მეორე ირაკლი მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა, ვამტკიცებთ. ივლისის მ, ქორონიკონს უოა.

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონის შვილი გიორგი, ვამტკიცებთ წიგნსა ამას. ივლისის ი, ქორონიკონს უოა.


ზავრას შვილი სოლომანას შვილი ალავერდა და ჩემი ბიძაშვილები ვედრებით მოგახსენებთ: ჩვენი სახლისკაცის ქურივი რომ ტყვილად ჩვენის ოჯახის გაყრას ანობს, რომელსაც ჩვენი ოჯახის გაუყრელობა გაგეგონოსთ და იცოდეთ, ამ წერილს მოწმობა მომიწერეთ. თიბათვის იდ, ქორონიკონს უოა.


მე, იავულაშვილი ზაალ, ამ მოწმობას ვწერ, რომ ჩემს მოსწრობაში მაგათი გაყრა არ გამიგონია ღმერთმან წინაშენ.



მე, გიორგი შანშიაშვილი, ამას ვმოწმობ, რომ ამათი  
გაყრა ჩემს მოსწრებაში არც გაგვიგონია და არც [218] მინახავს.




მე, ელირას შვილი პაპა, ამას მოწმობს: ჩემს მოს-  
წრებაში ამათი გაყრა არ მინახავს, არც გამიგონია ღმერთმან წინა-  
შენ. 


მე, შანშიაშვილი პაპა ამ მოწმობას ვწერ ღმრთის წი-  
ნაზე, რომ ჩემს მოსწრებაში ამათი გაყრა არც გამიგონია და არც  
ვიცი, რომ ესენი გაყრილნი იყვნენ. 


ჩვენ, ორბელიანი სარდალი-სალთხუტუცი და ვით, ამას  
მოწმობას ასე ვწერთ, რომ არც სარდლის ლუარსაბის დროს,  
არც სარდლის ქაიხოსროს დროს და არც მამას ჩვენის დროს  
და არც ჩემს დროს ამათი გაყრა არ გაგვიგონია, ამდენს თაობაში  
ფიციტა ვწერთ; თუ გაყრილნი ყოფილიყვნენ და ან გაგვეგონა, რო-  
მელს სარდალთანაც გაიყრებოდნენ, იმათი მოცემული წიგნი-ბარა-  
თიც ექნებოდათ. თიბათვის ივ, ქორინიკონ უოა.

ქ. თუ ან სომხითის მელიქთან და ან თავის მეზობლებთან გაყ-  
რილნი ყოფილიყვნენ, იმათგანაც მიცემული პაჯათი ექნებოდათ.



ქ. მე, მელიქის შვილი თეიმურაზ ასე ვმოწმობ, რომა ამა  
ზავრაშვილების გაყრა ჩემს მოსწრებაში არ გამიგონია ღმერთა წი-  
ნაზე, არც გაყრილნი არიან, ეს ჩემი ხელია. 

ქ. მე, არყუთაშვილი სტეფან ამათ გაყრა ჩემ მოს-  
წრებაში არ გამიგონია ღთი[ს] წინაშენ. 

ქ. მე, ყორღანანთ შოამა ასე მოწამებას ვწერ! ღმერ-  
თა წინაშენ, ამათი გაყრა არც გამიგონია, არც [V] გაყრილნი არიან.  
მე, ყათანდრის გევუარქას შიოსა სიტყვითა დამიწერია, მო-  
წამეც ვარ. 

<sup>1</sup> ვწერინე.

თავში:

ჩვენ, სრულიად საქართველომსა მეფის ძე ვახტანგ, ამ განჩინებასა და სამოწმებელს წიგნს ვამტკიცებთ და ისევ ამათვისვე გვიბოძებია თავიანთ გლეხებიცა და თავიანთ მამულის უფლებაცა. თიბათვის ლ, ქორონიკონს უოა.

**134. განჩინება ალაჰის მოურავის ღვაწლისა და იოსა  
თაათაჰიზილის შვილის საქმეზე**

1788 წ. 8 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1623. დედანი. ქალაღი. 69,5X22,3 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მისს სიმაღლეს მეფეს ჩვენ, ბატონის შვილის გიორგისათვის ებძანათ: ქალაქის მოურავი დავით და თაქთაქის შვილი იოსანე ბაბლიძეებზედ ჩივიან, მსაჯულნიც თან დაისწარით და სამართალი მიეცითო. ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ.

მოურავი ლაპარაკობდა: ესენი ძველად ჩვენნი ყმანი ყოფილანო, და ამ ახლო ხანშიაც ჩემთან მომავლანო, გზაზედ დახვედროა, დაუბრუნებია და თავისთან მიუყვანიაო. ახლა ველარ შერიგდნენ და ჩემთან ყოფა მოინდომესო. ძველდაც ჩემნი იყვნენ, ჩემთანაც მომავალნი იყვნენ, დააბრუნა, ახლაც ჩემი ყმობა უნდათ და სამართალი მომეცითო.

იოსანე უპასუხებდა: ესენი ჩიკოიძის ყმანი არიან; თუ როდესმე საციციანოში სახლებულან, აყრილან და ასი წელიწადია იმერეთს სახლებულან. ამ ახლო ხანში იქილამ გამოვიდნენ და სატცივეს ქალანთარს ხიზნათ დაუდგნენო. თუ შენი ყმანი იყვნენ, რატომ ხელი არ მოჰკიდეთ? იქილამ აიყარნენ და ისევ იმერეთს ჩავიდნენო, იმერეთილამ გადმოვიდნენ და ისევ მევე დამისახლდნენო. ყმობის პირობაზედ მომივიდნენო, მამული მივეცო, ხარი მივეცო და პური მივეცო.

რამდენსამე ხანს უკან შემამწყრნენ და ისევ იმერეთს გარდავიდნენ. ცოტა ხანს უკან ბიძაშვილებისათვის ხელი მოეკიდნა და გადმოვიდნენ და ისევ მევე დამისახლდნენო. თავისის ბატონის წიგნიც მომიტანესო თავეთის ხელითაო. ჩემს მეტს კაცს ამათთან საქმე არავისა აქვსო. თუ იმერეთს იქნებიან, ჩემნი არიანო; და თუ ქართლში იქნებიანო, ღმერთმან შენ მოგახმაროსო.



მასუკან ერთი მოახლე მყვანდა, ის მოხო[ვ]ა, მივეც და თავისი თავი წიგნით ნასყიდსავით მომცა. მასუკან ერთი ბოროტი საქმე შეემთხვა და სისხლს აღებდნენ სულიერსა და ხორციელსა. ის მე ასე გარდაეწყვიტე, რომ არც ერთისათვის აღარ უსაყვედურებიათ რაო.

ცოტა ხანს უკან რომლისამე საქმით შემამწყრა და ზ ა ქ ა რ ი - ა ს თ ა ნ მივიდა. ჩემს კელმწიფეს — მე ფე ი რ ა კ ლ ის თ ა ნ ვიჩივლე. ა მ ი ლ ა ხ ო რ - მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ს ი ე ს ე ს უ ბ ძ ა ნ ა ჩ ე ნ ი სამართალი ამილახვარმა გვალაპარაკა. ჩვენი წიგნები გასინჯეს და მე დამანებესო; რომ ამ მოურავმა ამიყარა ეს კაცი და ხელშეკრული მამცაო. კიდევ მის სიმაღლესთან მეფესთან ვიჩივლეთ, გვალაპარაკა და განაჩენი გვიბოძა. მას აქეთ ჩემნი ყმანი არიანო და სამართალი მიბოძეთო.

ჩვენ, ბატონისშვილმან გიორგიმ, მსაჯულთ თანდასწრებით ესენი განვიხილეთ. ის წიგნებიც ვნახეთ, რომელიც ა ბ ა შ ი ძ ე ს მოეწერა იმერეთიდან: ეს ბაბლიძეები! ჩემი მემკვიდრე ყმანი არიანო, და ამათთან ქართლში შენს მეტს საქმე არავის აქვსო.

და ეს წიგნიცა ვნახეთ. ამილახორ-მდივანბეგისათვის მუჩალგა მიერთმიათ ამ ბაბლიძეებსა<sup>2</sup>, რომ ქართლში მე არავისი ყმა არ ვიყოო.

ეს წიგნიც ვნახეთ, რომ მოახლე გამოერთმია და თავისი თავი ყმათ მიეცათ და სისხლიც გარდაეხადა. ზა[ა]ლ დავითის შვილის დაწერილი იყო და ზა[ა]ლს ვკითხეთ და ფიცით თქვა: რაც ამ კაცმა მითხრა, ის დავწერეო.

და ამილახორის განაჩენიც ვნახეთ ზაქარიას და იოანეს რომ ედავნათ, იოანეს დარჩომოდა და მოურავს დავითს ხელშეკრული მიეცა ეს კაცი იოანესთვისა, რომ სამართალში მოურავმა ასე თქვა.

და მის სიმაღლის მეფის ბძანებაც ვნახეთ: ამდენის მოწმე[ე]ბითაო ბ ა ბ ლ ი ძ ე მ ა მ უ კ ე ლ ა, მისი ბიძაშვილი ი ვ ა ნ ე და მამუკა თაქთაქიშვილის იოანეს ყმანი არიანო, ამის მეტს ჯელი არავისა აქვსო.

მოურავს დავითს ასეთი სიტყვა და უჯათი არა ჰქონდა რა, რომე სამართალს შეეწყნარებინა, მემკვიდრეობით ამბობდა; და თვითონ ამ კაცებმა თქვეს: ოთხმოცი წელიწადია აქედან წასულნი ვართო, რომ პაპის ჩვენის მამა გარდასულა იმერეთსაო. ამით მემკვიდრეობით აღარ ერგებოდა.

<sup>1</sup> ბაბლიძეები. <sup>2</sup> ბაბლიზებსა.

და ს ა ტ ი ე ე შ ი მოსვლას რომ ამბობდენ, ამისი სამართალი მის სიმაღლეს მეფესა და ამილახორ-მდივანბეგს სამართალი მიეცათ და გარდაეწყვიტათ, რომ თავთაქიშვილის იოანესათვის დაენებებინათ.

და თუ ბაბლიძეებს ამ იოანეს ყმობა არ უნდოდათ, იმერეთს რომ გარდვიდნენ და მეორეთ გადმოვიდნენ, თავთაქიშვილს რაღათ მიუვიდნენ, რატომ მოურავს დავითს არ მიუვიდნენ? ამით ჩანს, რომე უწინაც ამისი ყმობა ნდომიათ და მას უკანაც.

და სხვა სახელმწიფოდამ გადმოსული კაცი ვისაც პირველად მიუვა და ყმად დაუსახლდება და იმისგან მამულსა თუ ნივთს რასმე მიიღებს, იმას ყმობიდან ვეღარ წაუვა.

ჩვენის სამართლით ეს მამუკელა და ივანე თავთაქიშვილის იოანეს ყმანი არიან; და ვერცავინ ეცილება თავიანთის მიცემულის წიგნის ძალითა და ამდენის განაჩენებითა. და ნება მისის სიმაღლისა არის. აღიწერა ივლისის 13, ქორონიკონს უოა.

ექვსი ბეჭედი:

1. მეფის ძე გიორგი
2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
3. მზეკაბუკ
4. მონაღთისა მდივანბეგი თემურაზ
5. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს
6. მონაღთისა იგნატი

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე საქართველოსი ირაკლი მეორე, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ივლისის იდ, ქორონიკონს უოა.

ბეჭედი: მეფეხთანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

**135. ბანინება გიორგი უთნელისუვილისა და იორაბ მრუველისუვილის სასიხლო სამაჩია**

1788 წ. 8 აგვისტო

ცსა. ფ. 1448. საბ. № 4650. დედანი. ქალადი. 42X19,3 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

ქ. უთნელისუვილი სალთხუცესი გიორგი ჩიოდა: მთილამ ერთი ირემი სოფელში ჩამოვარდაო, მოვკალითო. იორამ მრუველისუვილი მოვიდა, რაც ჩემს კაცს ხორცი ერგო წილში, რომევა დაუწყო, ჩაველ და არ წავართმევინეო.

ამაზე მრუველის შვილმა იორამ[მ]ა მუქარა დამიწყო. შინ წავედით ლაპარაკითაო. მასუკან იორამის შვილი შინადამ ჩამოვიდა, იმან თოფი მკრა ბარკალში და იქით გამრ[ი]დაო. კიდეც იორამის ძმისწულმა სხვას თოფი გამოართვა, გამოიქცაო ჩემკენაო, სროლას მიპირებდაო, აღარ გამეწყო რაო. შინ წამოველო. ამის სამართალი მაღირსეთო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთმეკრებულებამ, მრუველის შვილი იორამ მოვაყვანიეთ და ვალაპარაკეთ.

იორამ ეპასუხებოდა: მე და შენ რომ საჩივარი გვქონდა, ვიჩივლეთ. ამასწინ მსაჯულთ სამართლით ფიცი დამადვეს, უნდა დამეფიცა, მრავალჯერ მოგყევე. მაგრამ არ დამაფიცეო, ის ჭაგრიცა გვქონდაო. და ეს ჩხუბიც შენ აშალე პირველათაო და განსაცდელი შეგვემთხივაო, დანაშაული მაქვსო, ნება სამართლისა არისო.

ჩვენ რომ ესენი ვალაპარაკეთ და სალთხუცის გიორგის ჳრილობა გავზომეთ ოცდათორმეტის ქერის მარცვალის ჳომა იყო. ეს უთნელის შვილი შუა აზნაურის შვილი არის. შუა აზნაურის შვილის სისხლი მივეციო. ერთის ქერის მარცვლის სისხლი თექვსმეტი მილანთური არის; ოცდათორმეტის ქერის მარცვლის ჳომა იქს ორმოცდაცხრას თუმანს და ორს მილანთუნს. ეს გიორგი რადგან მოკელე არის და ლიხვის სალთხუცესი, ამ მოხელობისთვის ათი თუმანი მიემატა, რომ იქნა გვარისა და სალთხუცესობის სისხლი ორმოცდაცხრამეტი თუმანი და ორი მილანთუნი. ეს უნდა მისცეს მრუველის შვილმა იორამ[მ]ა უთნელის შვილს სალთხუცეს[ს] გიორგის.

ხუთასისთავო ამირეჯიბო ჳა ჳავ! ეს ასე გა[ა]რიგე. მარიამობისთვის 8, ქორონიკონს უოა.

ჩვენ რომ მრუველის შვილს განჩინება მივეციო ამის უწინ ამათ სალაოზე, იმ განჩინებულისაებრ უნდა დამტკიცდეს.

ოთხი ბეჳედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბა ში ძესა ნიკოლო ჳ
2. მ ჳ ე ქ ა ბ უ კ
3. მონა ღთისა მდივანბეგი თემურა ჳ
4. ჳამი ესეცა წარვლის.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აგვისტოს ი, ქორონიკონს უოა.

ბეჳედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ გკლესია ვადიდე, ვრეკლე

1788 წ. 11 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 136. დედანი. ქალაღი. 36×13,5. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ავალიშვილი გივი უჩიოდა ჩუმლაყს რუსთვლის ყმას დედაბრიშვილს დაუდის ასე, რომ: ამისი ყმა მამია ამ დაუდის [ს]ახლის კარზედ მისულიყო, დაუდის შინ სტუმრები ყოლოდა და ღვინო ნასომი ყოფილიყო. ამ ზემოხსენებულს გივის ყმას დაუდი კარზედ გამოეხმო, სიტყვის რისამე სათქმელად, რამწამ კარზედ მოსულიყო, ამ დაუდს შამოეგინებინა უშვერი სიტყვითა და მამიასაც შე[ე]გინებინა. შუაში ჩხუბი მოსლოდათ, წაქიდებულებენ და ამ დაუდს ხანჯლები ჩაეცა და ეს მამია მოეკლა.

მოვიდნენ და ზემოხსენებული ავალიშვილი გივი და რუსთვლის ყმა დაუდი მათს უგანათლებულესობის ბატონიშვილს გიორგისთან, ილაპარაკეს; და ამათი სამართალი ჩვენ მოსამართლეთ გვიბძანა.

რადგან ამათ საქმეს ასე ზემო მოხსენებულისაებრ ასე გაუვლია, რომ იმ [მ]ამიას მაგთონი დანაშაული არაფერი არა ქონია რა და უბრალო სული მოუკლავს, ჩვენ მათის უმადლესობის ბედნიერის კემწიფის გაჩენილის სამართლისაებრ სამართალი განუჩინეთ:

ასე, რომ ამგვარმან კაცმან რომ ამგვარი კაცი მოკლას, ბძანებული არის მათის უმადლესობისაგან, რომ ერთიორად სისხლი უნდა დაუურვოს, რომ იქნება ამისი სისხლი ოცდაოთხი თუმანი. ეს ოცდაოთხი თუმანი ზოგი ნაღდი და ზოგი ჭინში დაუდიმა და ამისმან შვილებმან ამ ზემოხსენებულს მამიას ობოლს უნდა მისცეს.

იასაულო ადამ ერასტიშვილო! ეს ასე შენ უნდა გა[ა]რიგო და მიაცემინო. რაც მისცეს ყველა ღირებულს ფასით უნდა დააჭერინო. აგვისტოს ია, ქორონიკონს უოა.

თავში:

ორი ბეჭედი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერისთვისა მსაჯულად მაგო, ბეჟან
2. მიწა ვარ, დავითრგუნები

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. აგვისტოს იგ, ქორონიკონს უოა.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი

**137. ბანძინება გურამიშვილის შვის მამუკა გორიბაშვილის საქმეზე**

1788 წ. 12 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 413. დედანი. ქალაღი. 38×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერიტილი.

ქ. მისის სიმაღლის კელმწიფე დედოფლისათვის არზით მოეხსენებინა გურამის შვილის ყმას გორიბაშვილს მამუკას: მე ბაქა გურამის შვილის ყმა ვიყავო: ბაქამ კახს თარხანს ყმათ მიგვცაო. მერე არბაბობას აქ ავქალს გადმოვცვივდითო და ჩვენს მამულზედ დავსახლდითო. რადგან თარხანს მიმცაო და ჩემის ნებით მოუვიდითო, ბაქა გურამის შვილი წყალობის ყმას გვეძახდაო. ახლა ბაქა ამოწყდა, იმისი მამულიც თქვენი არისო და ჩვენც თქვენ მიგვირთვიო.

ჩვენს კელმწიფეს დედოფალს, ჩვენ საქართველოს მსაჯულთშეკრებულთათვის ებძანა ამათი სამართალი. ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ და ეს სამართალი მივეციო: ბაქა გურამის შვილს რომ ეს კაცი თარხნისათვის მიუცია, მერე ისევე აყრილა, თავის მამულზე დასახლებულა და ბაქას ყმობია. ბაქა ამოწყვეტილა, ბაქას მამული და კაცი გურამის შვილის უსბაშის გიორგისათვის და გოგია უსბაშისათვის უბოძებია. სამართლით ეს გორიბაშვილი მამუკა დარჩა ყმათ გურამის შვილს უსბაშს გიორგის, უსბაშს გოგიას და ეფრემს.

ჩვენ ესრედ ვნახეთ ამათი სამართალი და ნება ჩვენის კელმწიფე დედოფლისა არის. აგვისტოს იბ, ქორონიკონს უოა.

ოთხი ბეკედი:

1. ლთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
2. მზექაბუკ
3. მონა ლთისა მდივანბეგი თემურაზ
4. ჟამი ესეცა წარვლის.

**138. ბანძინება ზურაბ ბიძინაშვილის მიმართ მოახლის ბაწაილშვის საქმეზე**

1788 წ. 27 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დაეთ. № 46. საბ. № 103. პირი. ქალაღი. მხედრული.

[71] მათის სიმაღლის საქართველოს ხელმწიფისათვის მამაკაცაშვილს იოსებს არზი მიურთმევეია ავალიშვილის ედიას შვილი პეტრეს ყმის ბიძინაშვილის ზურაბიშათვის ეჩივლა: ჩემის ძმის გრიგოლ დეკანოზის ნამზითვი

მოახლე გამიწვილო! და მათს სიმაღლეს ჩვენ, ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ -  
მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ს ა თ ვ ი ს ა მათი სამართალი ებძანათ.

ჩვენ ავალიშვილიც და მისი კაციც სამართალში ვალაპარაკეთ  
და ამ ბიჭმა თავისი დანაშაული თავისის პირით აღიარა. და იოსებ  
მთლად რუისელებს მოწმობდა, რომ ამ ბიჭისაგან ამათს მოახლეს  
ბუში ყოლოდა და ვერც ამის აშორო ამ ბიჭის მეზობლებმან შეიძ-  
ლეს.


რადგან ეს ასე მომხდარიყო და სწორედ კეშმარიტი ვცანიოთ,  
ამათი სამართალი ასე განუწყესეთ: რადგან ეს მამაცაშვილი მეორე  
აზნაურშვილი არიან და ის მხლებელი არც უბრალო შეყვანილი  
ყოფილა და მზითვის მოახლე ყოფილიყო და ამ ბარობაზედ ის მო-  
ახლეც დაკარგოდათ, სისხლი უფრო მეტიც გაუჩნდებოდა: მაგრამ  
ამ ბიჭს რომ არა ებადა რა და ღარიბი იყო, ამისის მიზეზით ზოგი  
სამართალმა აპატივა და თორმეტი თუმანი კი უნდა ამ ბიჭმა იოსებ  
მამაცაშვილს და ამის ძმას გრიგოლ დეკანოზს მოსცეს.

თუ ამ ბიჭს სისხლის მიცემა არ შე[ე]ძლოს, თავისმა ბატონმა  
დაიხსნას. და თუ არც თავის ბატონმა დაიხსნას, ვისაც უნდოდეს,  
[v] ეს ბიჭი იმას ეყმოს და იმისაგან გარდაიხადოს. მაგრამ მანამ-  
დინ ეს ბიჭი იოსებს თავისას მიაბარებდეს, ავალიშვილს ამ ბიჭთან  
საქმე აღარ ექნება და ვერცარას სთხოვს. და ამ ბიჭის ძმასთან  
იოსებს ხელი არა აქვს. აღიწერა სექტემბრის 6, ქორონიკონს უოა.

იასაულო ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ო ნ ი ნ ი ა ვ ! ეს ასე აღასრულე.



თავში:

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი, ამ ამილახორ-  
მდივანბეგის განაჩენს ვამტკიცებთ. აღიწერა დეკემბრის 8, ქორო-  
ნიკონს უოა. 

### 139. ბანინება თომასა და ხაზარვანის სახლის საქმეზე

1788 წ. 12 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 46, საბ. № 270. პირი. ქალაღი. მხედრული.

[164] თომა და ნონია უჩიოდნენ ხაფერვანს სახ-  
ლებზედ. ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებამ, მოსამართ-  
ლედ განწესებული ა ბ ე ს ა ლ ა მ ა ნ თ კ ა ს რ ა თ ა, ნ ა ზ ა რ ბ ე -  
გ ი ს შვილი ო ს ე ფ ა ამათ სარჩელში დავისწარით და ესენი ვა-

<sup>1</sup> გამიწვილო.

ლაპარაკეთ. და ამ სახლის საცნობელად ჰასრათა და ნაზარბეგის შვილი ოსეთა გავგზავნეთ, რომელიც ხაფეროვანს სიგელი უჭირავს ათუნ გოკანანთ საწილო, იქილამ დარჩა იმ სიგლის ძალით ოცდარვა ადლი ადგილი, ხაფერვანს დარჩა.

თომა მეორეს ამას ჩიოდა: კარკარანთ სახლიც უჭირავსო, რომ კარკარანთ სულიერ შვილად ეს ჩემი ძმისწული ნონია არისო. თუ იმ ადგილისა სიგელი უჭირავს, გამოიტანოსო; თუ სიგელი არა აქვს, უსამართლობით რათ გვართმევსო, სამართალი გვაღირსეთო.

ხაფერვან ეპასუხებოდა: კარკარანთ ეგ ადგილი მე მომყიდესო, ხუთი თუმანი გამომართვესო, მითხრა სიგელს დაგიწერ [v] და მოგცემო, სიგლის დაწერა არ დასცალდა, მოკვდაო და სახლი დავიკირეო. რადგან სიგელი არა აქვს კარკარანთ, სახლის ადგილი თომას და ამის ძმისწულს ნონიას დარჩა.

მაგრამ ხაფერვან რომ ფიცით ამ[ბ]ოღს: ხუთი თუმანი მივეც ამ სახლის ფასათაო. ამის ვითარება ხაფერვანის ქმარს ვკითხე, რადგან მოხუცებული იყო. იმას ასე ეთქვა: მე ჩემის კელით ეს თეთრი არ მიმიციაო და ხაფერამ მითხრა მივეცო და სახლი ვიყიდეო.

თუნდა თეთრი მიეცეს, თუნდა არა. რადგან სიგელი არა აქვს, ეს კარკარანთ სახლი მთლივ თომას და ნონიას დარჩა.

და თეთრის მიცემას რომ ფიცით ამბობს ხაფერა, თეთრის მიცემის სამართალი ასე განვსაჯეთ: რადგან ერთი ასეთი ნიშანი არა ჩანს რა, რომ სამართალს იმაზე სამართალი განეჩინა. ამისი ასე იქნას: ხუთი თუმანი თომამ იმ დედაკაცის საფლავზე მიიტანოს, ხაფერვან[ის] შვილი მივიდეს, ასე თქოს: «შენი ცოდო მე თუ ხუთი თუმანი შენთვის არ მომეცეს». თუ ამ ფიცით ეს თეთრი არ აიღოს, სხვარიგათ ვერას შეუა თომას ხაფერვან. თუ ასე შეიძლონ ფიცი, ხუთი თუმანი თომამ მისცეს. სხვა რიგათ ამ სადაოზედ ერთმანეთ[თ]ან კელი არა აქვსთ.

იასაულო ნინია ვ და ბეჟან! ეს ადგილი ამ თომას და ნონიას მოაბარეთ; და თეთრისა ასე [165] აღასრულეთ, როგორც გავვიჩენია. ოკტობერს იბ, ქორონიკონს უოა.

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  |  |
|--|--|--|

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  |  |
|--|--|--|

თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და კახეთისა სხვათა მეფე  
ირაკლი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ოქტომბრის კბ, ქორონიკონს

უოა.



**140. არზა სულხან მდივნისა ნასაიდოზის თაოზაჴე მსაჯულთა  
განჩინებით**

1783 წ. 14 ოქტომბერი

ცხსა. ფ. 1450. დავთ. № 18. საბ. № 29—30. პირი. ქალაღი. მხედრული.

[არზა]

[33V] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჳირი მათს მონას  
სულხან ბეგთაბეგის ძეს მოსცეს; ამას მოვახსენებ: ერთი  
ჩემი განაყოფი გახლავსთ გიორგის შვილი. იმან თავის ნებით მა-  
მული მომყიდა, ფასი გადამიწყვიტა, სიგელი თქვენის მოძღვრის  
ძმისწულს გაბრიელ მღვდელს დაწერიინა, თითონც დამიბეჭ-  
და, თავის შვილსაც დაწებქდინა და სარწმუნო მოწმეწებსაც თი-  
თონ დაწებქდინა. მეც თეთრის თადარიკში შეველ, ვალი ავიღე,  
თეთრი მოუმზადე. ახლა ჩემი ბიძაშვილი სოლომონ მდივანი  
შესდგომია და ამ გარდაწყვეტილს საქმეს ცდილობს, რომ მამი-  
შალოს.

ამ წყალობას ვითხოვ: მდივანბეგებს ებძანოს, თუ საქართვე-  
ლოს სამართლის ძალით ამგვარი გარდაწყვეტილი, გარეწებუ-  
ლი საქმე მოსაშლელი არ იყოს, ნურც მე მომეშლება. აღიწერა აგ-  
ვისტოს კე, ქორონიკონს უოა.

ქ. უფალნო მსაჯულნო! მერმე ეს მდივანი სულხან ასრე რომ  
ჩივის, როგორც საქართველოს განწესება იყოს ამგვარის საქმისა,  
ამასაც ის სამართალი მოეცით. აგვისტოს კე, ქორონიკონს უოა.

[განჩინება]

ქ. ჩვენ, მსაჯულთ ესენი ვალაპარაკეთ სამართალში. სულხან  
მდივანს რომ ფარსადანის მამული უყიდია, ავთანდილს და  
სოლომონს მოციქული მიუგზავნიათ. სულხანს ეს პასუხი მიუ-  
ცია: პატარკაცი ჳყიდის, თუ გინდათ, თქვენ იყიდეთ იმისი მამუ-



ლიო; და თუ არ იყიდით<sup>1</sup>, იმასაც მე ვიყიდო. ოთხი თვე გამოსულა და [ა]მ პატარკაცის მამულაც უყიდა.

პატარკაცის მამულზე სახლის კაცებმა ლაპარაკი დაუწყეს. პასუხი ეს მისცა: ოთხი თვეა, რომ შემოგვი[ვ]თვალე, რატომ არ იყიდეთო; როდესაც მე ვიყიდე, წიგნი დავაწერინე, დავაბეჭდინე; ახლა რათ მეცილებითო.

ჩვენ, მსაჯულთ, სამართლის წიგნი გავშინჯეთ. სანატრელი მეფე ვახტანგ ბძანებს: მამულის გამსყიდველი იქნების დაჭირებული იყოს, იაფათ მიჰყიდოს, იქნება მსყიდველმა ძვირათ იყიდოს, მაგრამ რა წიგნი დაიწერება და ხელი ჩაირთვის, რაგინდ ფასი მოუმატონ და ან მსყიდველს აღარ უნდოდეს ვერ მოშლიან.

სომხური სამართალი ასე ამბობს: ფასი რომ გარდასწყვიტონ და ვერ მისცენ, ფასი თუ გარდაწყვეტილია, არ შეუძლიან გასყიდვა სხვაზე, სანამდინ ვისაც უწინ აძლევდა, იმისგან დასტური და წიგნი სახელდობით არ აიღოს.

ამის გაშინჯულობით, რადგან სულხანს ფასი გარდაწყვეტილი აქვს, პატარკაცისაგან წიგნი დაბეჭდილი მიცემული სულხანს კელში უჭირავს, ეს აღარ მოიშლებოდა. თუმცა ნათესაობა აქვსთ ამათ, მაგრამ ხუთი და ექვსი თაობა არის გაყრილნი არიან პატარკაცი და ესენი. მამულის პატრონს ვისიც ნება აქვს, იმას მიჰყიდოს, სამართალი ვერ დაუშლის. დარჩა სულხანს ეს ნასყიდობა.

თუ უნდოდ[ვ]ნათ, სულხანმა რომ შეუთვალა, ოთხი თვე გამოვიდა, მაშინ რომ ეყიდათ, სულხან ვერას შეუვიდოდა. ეს ნასყიდობა არ მოიშლება. დარჩა ეს ნასყიდობა სულხან მდივანს. ოკ-

დომბერს იღ, ქორონიკონს უოა. 

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  |  |
|--|--|--|

თავში:

ჩვენ. მეფე საქართველოსი ირაკლი მე[ორე]. ვამტიკებთ ღვინობისთვის... [ქორონიკონს] უოა. 

|  |
|--|
|  |
|--|

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ვამტიკებთ. კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან გარდაწყვეტილი ყოფილა, ამაში არც ბეგთაბეგსა და არც იოანე მდივანს საქმე აღარა აქვსთ რა. და ვინიცობა არის,

<sup>1</sup> იყიდეთ.

აღარ გვახსომდეს და ოქმი მიეცეთ იმათა, ის ოქმი დაყენებული იქნება. ველარას ელავებიან, გადაწყვეტილი არის.

მაისის იბ, ქორონიკონს უპუ.



#### 141. ბანძინება ვივი და უთრუთ ციციშვილუაის გაჰრის საქმეზე

1788 წ. 10 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. № 1559. დედანი. ქალაღი. 76X32,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. აქვე, ფ. 1450. დაეთ. № 45. საბ. № 244 დაეულია ამ საბუთის პირი.

ქ. ციციშვილი ფარეშთუხუცესი გივი და ამის ბიძაშვილი გიორგის შვილი უთრუთ სახლისკაცობაზე ლაპარაკობდნენ. და ამის სამართლის განსჯა მათს უმაღლესობას, ბატონს მამაჩვენს, ჩვენ მათის ძის საქართველოს უფლისწულის გიორგისათვის ებძანა. ამათს საჩივარში საქართველოს მსაჯულთშეკრებულება ჩვენთან დავისწარით და ამათი სარჩელი და საჩივარი მოვისმინეთ.

ფარეშთუხუცესი გივი ამას ამბობდა: ამ უთრუთის მამა გიორგი ლეკიღამ რომ მოვიღა და ჩვენ სახლისკაცთ შევიყვანეთო, რომელიც ბიძაჩემი გიორგი ლეკში დატყვევღა, ეს გიორგი ის ბიძაჩემი არ იყოო: ჩვენი სახლისკაცები მძლავრობით გვექცეოდნენ და იმის მიზეზით შევიყვანეთო, თვარემ ის ბიძაჩემი რომ დაიკარგა, იმას ყური თოვისაგან წასუსხვილი ჰქონღაო და პირზეღაც თოფი[ს] წამლისაგან დამწვრობა აჩნღაო. და ასეც გავიგონეთ, ის რომ აღაღანში გაიყვანეს, იქ მოკვღაო. და ამაზე ზოგის ვისიმე მოწმობის წერილი მოიღანა, რომ ეს ასე გავიგონიღო და ზოგი ნახვასაც სწერდნენ: გიორგი რომ დაიკარგა, ეს ნიშნები ყურზე და ლოყაზე აჩნღაო; და როცა გიორგი ლეკიღამ მოვიღაო, ზოგნი ასე მოწმობდნენ, ჩვენ გვინახავს ყურზეღ და ლოყაზე ეს ნიშნები არ ჰქონღაო.

უთრუთსაც მოწმე[ე]ები ჰყვანღა, ამას ასე მოწმობდნენ: გიორგი რომ ლეკიღ[ამ] მოვიღაო და ციციშვილებმა სახლისკაცათ შეიყვანესო, ყურზეღაც ნიშანი ეტყობოღა და პირზეღაც თოფის წამლისაგან დამწვარი აჩნღაო.

ჩვენ ამათი საჩივარი და ამათის მოწმე[ე]ების მოწმობაც გავშიჩქეთ; და ამათის საქმის ვითარებაც გამოვიკითხეთ. როცა უთრუთის მამა გიორგი ლეკიღამ მოსულა და სახლისკაცთ შეუყვანიათ, იმ

ჟამათ ეს გივი ციციშვილი, ამის ბიძა სარიდან და სვიმონ ციციშვილების ფარსადანისა, ქაიხოსროსი და თეიმურაზის სახლისკაცათ შეყრილი ყოფილან და ერთს სახლათ მდგარან. და თუ ამ უთრუთის მამა გიორგი სწორეთ იმათი ძმა და სახლისკაცი არ იყო, ესენი ხომ ყველანი კარგათ იცნობდნენ და რათ ეჭირებოდათ, რომ უცხოს ვისიმე შვილი თავის ძმათ და სახლისკაცათ გამოეცხადებინათ და მამულში მოწილეთ შეეყვანათ.

მარამდინ ის გიორგი ცოცხალი იყო, ნეტარად ხსენებულ[ლ]ს ცხებულის პატრონის პაპის ჩვენისაგან და სრულად საქართველოს დარბაისელთაგან ამ გივის ფარეშთუხუცის ბიძათ დამტკიცებული და შეწყყნარებული ყოფილა და თავეთს წერილებშიაც ძმათა და სახლისკაცათ გამოუცხადებიათ და თავეთის გვარის პატივით თავადის მომძახლე ყოფილა. მარამდინ ცოცხალი იყო, ასე ცნობილა; როცა მომკვდარა, ამავე გვარის სახელით ხსენებულა; და ეს იმის შვილი უთრუთე მარამდინ გაყრის ლაპარაკს აშლიდა, ამავე გვარის სახელობით და გივის ბიძაშვილათ ცნობილი იყო და თავის ამხანაგის თავადის მოყვარე.

ამას გარდა თუმცა სხვა მიზეზებიც ბევრი ამტკიცებ[ლ]ა, რომ ამ უთრუთის მამა გიორგი ფარეშთუხუცის გივის ბიძათ საცნობელი იყო, მაგრამ გაგრძელებისათვის აღარ მოვიხსენეთ და აღარც ეჭირებოდა; ამისთვის რომ, რომელიც მიზეზები ზემოთ დაწერილა, ეს საკმარო იყო.

სამართალში დამტკიცდა, რომ ამ უთრუთის მამა გიორგი სწორეთ გივის ფარეშთუხუცის ბიძათ აღმოჩნდა. ამაზე საეჭვო და სალაპარაკო არავისგან არის.

ეს ორნივე ბიძაშვილები ამ წესით უნდა გაიყარნენ: უფროსის ძმის შვილი ფარეშთუხუცესი გივი არის და უმცროსი ძმის შვილი უთრუთ არის. როგორც საქართველოს განწესებაა უფროს-უმცროსის რიგი და სამ[არ]თლის წიგ[ნ]ში სწერია, ესენიც ისე უნდა გაიყარნენ.

იასაულო ეშიკალაბაში[ს] შვილო ალექსანდრე! ეს ასე გარიგე, როგორც ამ განაჩენში სწერია. აღიწერა ოკლომბერს ით გასულს, ქორონიკონს უოა.

ოთხი ბეჭედი:

1. მეფის ძე გიორგი
2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ

3. მ ზ ე კ ა ბ უ კ

4. მონა ლთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ

თავში:

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველოჲსა და კახეთისა და სხვათა მეფე ი რ ა კ ლ ი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ოკდომბრის კბ, ქორონიკონს უოა.

ბეპედი: მე ფეხთვანბანდოთა მიერ ეკლესია ვადრდე ვერეკლე

ქ. ჩვენ, დედოფალი დადიანის ასული დარეჯან, ვამტკიცებთ ოკდომბერს [კ]ბ, ქორონიკონს [უოა].

ბეპედი: ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა, ზანმცა წიადი დედოფლობისა დარეჯან.

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოს-პატრიარხი მეფის ძე ანტონი, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. ოკდომბერს კგ, წელსა ჩღგ.

ხელთვა: კათალიკოსი

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე იულონ, ამ მსაჯულთაგან განჩინებას ვამტკიცებთ. ღვინობისთვის კგ, ქორონიკონს უოა.

ბეპედი: ქ. დისწმობლის სასოიანი იულონ დავითიანი

ქ. ჩვენ, ბატონის შვილი სრულიად არაგვის საერისთოს მპყრობელი ვახტანგ, ამ მსაჯულთაგან განჩინებისა თანა მოწამე ვართ. ღვინობისთვის კგ, ქორონიკონს უოა.

ბეპედი: ლომად იუდას ბაქეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად

ქ. ჩვენ, სრულიად ყოვლისა საქართველოისა მეფის ირაკლის ძე მირიან. ამ მსაჯულთაგან განჩინებისა თანა მოწამე ვართ. გიორგობისთვის მ, ქორონიკონს უოა.

ბეპედი: დავითის ტომთა სქესისა ძე ვარ ირაკლი მეფისა მირიან

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს მეფის ძე ანტონი, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. ოკდომბერს კგ, წელსა ჩღგ.

ბეპედი: მეფის ძე ანტონი

verso

ქ. ჩვენ, ციცი შვილი სარდალი ქალაქის მოურავი დავით, ამ სამართალსა და განაჩენის თანა დამსწრე ვარ. . .

ბეპედი: მონა სიძე სიმანლისა მოურავ მყო ტფილისისა დავით.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3167. პირი. ქალაღი. მხედრული.

ჯ ა შ ი ტ ა შ ვ ი ლ ე ბ ი რ ო ს ტ ო მ ა და ამისი ძმისწული ქაიხოსრო გაყრაზედ ჩიოდნენ.

ჩვენ, ბატონმა აბაშიძე ქაიხოსრომ, ესენი სამართალში ვალაპარაკეთ. ამათ სამართალში ჩვენთან დავისწარით მაჩაბელი ლუარსაბ, მდივანი ავთანდილ, ამირალაშვილი მლთისავარა, იარალაშვილი ტერ-მოხესა, ცხილოვანის მამასახლისი მლთისავარა, ხოჯაშვილი ქაიხოსრო, შერმაზანაშვილი არუთინა, აქიმი ალექსანდრე.

ეს ჯაშუტაშვილები ვალაპარაკეთ, ამათი საჩივარი გავიგონეთ. ამათ ერთმანერთისათვის საფიცრით წიგნები მიეცათ, რომ სანამ ცოცხალნი ყოფილიყვნენ, არ უნდა ერთმანერთს განშორებოდნენ და გაყრილიყვნენ, ის წიგნები ასე აცხადებდა: რომელსაც გაყრა მოენდომებინა, სახლიდამ უწილოთ უნდა გასულიყო და რაც ვალი ჰქონდათ, ვალიც იმას უნდა გარდაეხადა. ძმობაში ამნაირი წიგნები ბევრი იქნება, მაგრამ რადგან ძმები არიან, რომელიც გამტყუნებულიყო, ოჯახიდამ უწილოთ ვერ გავიდოდა.

ამათი საჩივარი რომ გავიგონეთ, გაყრა ქაიხოსროს მოენდომებინა, ჩვენ ამათი სამართალი ასე განვაწესეთ:

ქაიხოსროს რომ მისირი დამ ოსიაურელის კაცის ვალი აუღია და მოუტანია ასოცი თუმანი, ეს თეთრი მთლივ ქაიხოსროს დავადევით, რომ ამისი პასუხი თეთრის პატრონს ამ ქაიხოსრომ უნდამისცეს, ამისთვის, რომ ამ თეთრის მოტანა რომ როსტომას შეეცდებოდა, არ ეყაბულებინა. ქაიხოსროსთვის ეთქვა: ისევე პატრონს მიეციო, ჩემს ოჯახში არ დაეაყენებ მაგ თეთრსაო.

ამ ვალისა მუხტაბარის მუჯალამით და მოწმებით სარწმუნო გავგზავნა, როსტომას ასე ეთქვა; მაგრამ ქაიხოსროს არ დაეჯერებინა და თავისთვის ამ თეთრით აღებ-მიცემა ექნა. ამის გულისათვის თავისი აღებული ეს ზემო ქსენებული ასოცი თუმანი მთლივ ქაიხოსროს დავადევით, ამან უნდა გარდაიხადოს. ამ თეთრით ქაიხოსროს რაც აღებ-მიცემა უქნია, ისიც ქაიხოსროსია.

ამას გარდა კიდევ ქაიხოსროს რაც თავისი აღებული ვალი აქვს, ისიც თითონ უნდა გარდაიხადოს. ამ ქაიხოსროს აღებულ ვალთან როსტომას საქმე არა აქვს რა.

ამას გარდა საერთო ვალი რომ აქვსთ ა ბ ა შ ი ძ ი ს ა ათი თუ-  
მანი, ეს ათი თუმანი ორთავ უნდა მისცენ — როსტომამცა და ქაი-  
ხოსრომაცა.

ამას გარდა როსტომასი შ ე რ მ ა ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა რ უ-  
თ ი ნ ა ს ნუსხის პირით რომ არუთენას დაუწერია, რაც რომ როს-  
ტომას თითონ ვალი აუღია, თავისი აღებული ვალი თითონ უნდა  
გარდინადოს, ამ როსტომას ვალში ქაიხოსროს საქმე არა აქვს რა.  
თუ იმ სიას აქეთ როსტომას ვალი აუღია, ისიც როსტომამ უნდა  
გარდინადოს, ქაიხოსროს საქმე არა აქვს. იმ არუთენას დაწერილს  
ნუსხაში როსტომას საქონლისა სწერია, თუ რამ დარჩომოდეს, ისიც  
როსტომასია.

ქაიხოსროს სახელობით რაც იმ არუთენას დაწერილს ნუსხა-  
ში საქონელი — ნისია თუ გაცემულობა [არის], ისიც ქაიხოსრო-  
სია, როსტომას ხელი არა აქვს.

ამათ რაც მამული აქვთ ან გლეხი ჰყავთ, ის ოთხად უნდა გაი-  
ყოს, რომ ოთხის ძმის შვილები არიან; დღეს ორის ძმის შვილები  
ამ ქვეყანაში არ არიან, გზას არიან — ერთი დავითას შვილი და ერ-  
თი ფარემუზას შვილი. სანამდინ ეს ორნი მოვიდოდნენ, რაც ამათის  
მამულიდამ შემოსავალი ექნებოდეთ, ამ როსტომამ და ქაიხოსრომ  
შუა უნდა გაიყონ. და როდესაც დავითას შვილი და ფარემუზას  
შვილი მოვიდნენ, თავეთი წილი მამული რაც სამართლიანის საქმით  
ერგებოდეთ, უნდა მისცენ.

ამას გარდა რაც ამ როსტომას აღებული ვალი იყოს ან ამ ქაი-  
ხოსროს აღებული ვალი იყოს, ამათ აღებულს ვალთან არც დავი-  
თას შვილს აქვს ხელი და არც ფარემუზაზასა, საქმე არა აქვთ. არც  
იმათს აღებულ ვალთან ამათა აქვსთ ხელი.

თუ ძველი ოჯახისა ან ვალი ან დავა გამოჩნდეს რამ, ის ოთხ-  
თავ უნდა პასუხი გასცენ.

ღვინობისთვის კ, ქორონიკონს უოა.



მე, ჯ ა შ ი ტ ა შ ვ ი ლ ს რ ო ს ტ ო მ ა ს, ამ სამართლისა და  
განაჩენის ყაბული მაქვს. ბეჭედი არა მქონდა, ეს ჩემი ხელი არის.

ხელრთვა: როსტომ

ამისი ასლი ვნახე და უმეტ-ნაკლებით ეს სავადი გარდმოვწე-  
რე მე, გ რ ი გ ო ლ ა მ ი რ ო ვ მ ა. ხელრთვა: გ რ ი გ ო ლ

ქ. ამისი ასლი ვნახე და ამაზე ხელი მოვაწერე მე, გ ო რ ძ ა კ ა ლ მ ა

ტ ე რ - ს ა ჰ ა კ ა მ .

სომხ.

ქ. ამისი ასლი ვნახე, ამა სავაღზე და ხელი მოვაწერე მე, ავ-  
თან დილა ბაბალოვი. ხელთვა: ავთანდილ

ქ. ამისი ასლი ვნახე, ამა სავაღზე ხელი მოვაწერე მე, თუთუნ-  
ნაშვილი დავითმა. ბეჭელი: მონა ლთისა დავით.

## 143. განჩინება ფარემოზ და აქაზ ენდრონიკაშვილების ბაჟრის საქმეზე

1788 წ. 28 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 666. დედანი. ქაღალდი 58,5×24,6 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

აზნაურშვილის ენდრონიკაშვილის მდივანბეგის ფარემოზისა და ამისის ძმის აქაზ უზბაშის გაყრის სამართალი ჩვენ, საქართველოს უფლისწულმა ბატონის შვილმან გიორგიმ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილების თანდასწრებით ესენი ვალაპარაკეთ და ეს სამართალი მივეცი.

ფარემოზს მიეცა საუფროსოთ ერთი კომლი კაცი თვალის შვილი და თვია თავისის მამულითა — ნასყიდითა და უსყიდითა, დღეს რისაც მქონებელი არის.

აქაზს მიეცა საუმცროსოთ, რომელიც კახეთის მდივანბეგებს სასახლეთ მოუზომავთ, ამ მოზომილს ალაგში რაც შიგ დაჰყვება: საყდარი, დარბაზი, მარანი და სხვა სახლები, რაცა ჰქონიათ.

კოშკი საქმო არის. ეს კოშკი უნდა დაფასდეს და ნახევრის ფასი აქაზმა ფარემოზს უნდა მისცეს და კოშკი მთლად აქაზს დარჩება.

მარანში რომელიც ქვევრი გამორჩეული არის, ერთი ქვევრი საუფროსოთ ფარემოზმა უნდა აიღოს: და სხვა რაც ქვევრები დარჩეს, შეფარდებით წილი უნდა იყარონ და ისე შუა უნდა გაიყონ. და ფარემოზს რაც ქვევრი ერგოს თავის წილში, უნდა გამოიტანოს.

ფარემოზს დიდი ქვითკირის ჩალური რომ დაუდგამს, ამ ჩალურსა და აქაზს რომ დარბაზი მიეცა, იმ დარბაზ შუა რაერთიც მიწა რომე უძეს, ის მიწა სიგძეზედ ზომით შუა უნდა გაიყონ: აღმოსავლეთის მხარე ფარემოზს მიეცა და დასავლეთის მხარე აქაზს მიეცა; და ლობე უნდა ჩავლონ მიჯნაზედა.

და ზვრის თავში რომ მიწა უძეს გასაყოფი, ნახევარი ბახჩათ ნაშენია და ნახევარი ცარიელია. ნაშენობა რადგან აღმოსავლეთის მხარეს არის, ფარემოზს დარჩება. და ცარიელი რადგანაც დასავლეთის მხარეს არის აქაზს დარჩება. და ფარემოზს რომ ნაშენი რჩება,

ის ნაშენობის ფურცელი უნდა დაფასდეს და ნახევრის ფასი შენობისა ფარემუზმა აქაზს უნდა მისცეს და ბახჩა ფარემუზს დარჩება.

ზვარი შუა უნდა გაიყონ ზომით: აღმოსავლეთის მხარე ფარემუზს დარჩება და დასავლეთის მხარე აქაზს დარჩეს.

ამას გარდა რაც ხოდაბუნი ჰქონდეთ, ისიც შუა უნდა გაიყონ ზომითა. აგრეთვე ბეთალმანი მამული უნდა შუა გაიყონ ზომითა და წილის ყრითა.

და რაც ყმა ჰყვანდესთ, ის ხომ თვითან<sup>1</sup> შეაფარდეს და ბართითა და წილის ყრით<sup>2</sup> გაიყვეს. ამას გარდა რომელიც ხიზნები ჰყავსთ, რომ ბართში არ ჩაუგდიათ, ის რამდენიც კომლნი იყენენ, კომლეულათ შუა უნდა გაიყონ.

ემიკადაბაშის შვილო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე! ეს ასე უნდა აღასრულო. ოკლომბერს კჷ, ქორონიკონს უოა.

ბეჰელი: მეფის ძე გ ი ო რ გ ი

და მოზომილის სასახლეს გარდა რაც აქაზს მიწა შეემატა თავის სასახლეთა, იმ სიგძე და იმ სიგანე ფარემუზმა თავის სასახლეზედ უნდა შეუმატოს, რომ გასწორდნენ, სასახლეზედა აღმოსავლეთის მხრიდამ უნდა მიეცეს ფარემუზსა.

ექვსი ბეჰელი:

1. მეფის ძე გ ი ო რ გ ი

2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ

3. მ ზ ე ქ ა ბ უ კ

4. მონა ღთისა მღივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ

5. ეამი ესეცა წარვლის

6. მონა ღთისა ე გ ნ ა ტ ი

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფე ირაკლი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. ნოემბრის კვ, ქორონიკონს უოა.

ბეჰელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

<sup>1</sup> თვითანთ. <sup>2</sup> დაყრით.



144. ბანჩინება გოსტაშაბისშვილებისა და ციციშვილების მამულის  
საქმეზე

1783 წ. 22 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 34. პირი. ქალაღი. მხედრული.

[30v] ჩვენ, ბატონიშვილი გიორგი, მსაჯულთ თან-  
დასწრებით ამას განვაჩინთ. გოსტაშაბისშვილები რომ ცი-  
ციისშვილს მდივანბეგს და ზაზას ზემო წერაქვს  
ელაგებოდა, ამ ციციშვილებმა ეს პასუხი უთხრეს: ახლა გაყრაზედ  
ვდგევართ, შენს სადავოს არ გავიყოფთო.

ჩვენ ეს განჩინება მიგვიცია: ზემო წერაქვის კაცს ვერცერთ  
ვერ იმსახურებს, ვერც ციციშვილი და ვერც გოსტაშაბისშვილი.  
რომ გაიყრებიან, თუ სიტყვა აქვს ციციშვილებს, მაშინ პასუხს მის-  
ცემენ. და თუ სიტყვა არა აქვსთ რა, თავეთ მამულს სამართალი არ  
დაუკარგავს გოსტაშაბისშვილებს. ნოენბრის კბ, ქორონიკონს უოა.

ქ. ამის გლეხებს ბარათში ნუ ჩააგდებენ.

|                    |  |  |
|--------------------|--|--|
| წუფის ძე<br>გიორგი |  |  |
|--------------------|--|--|

145. ბანჩინება გოსტაშაბისშვილებისა და ციციშვილების მამულის  
საქმეზე

1784 წ. 8 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10058. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მათს უმაღლესობას ბედნიერის ხელმწიფესთან გოსტა-  
შაბისშვილს ერასტის, უსბაშს ზურაბს და მისს სახ-  
ლის კაცებს ზემო წერაქვის სოფელზედ ეჩივლათ ციცი-  
შვილის თეიმურაზ მდივანბეგისთვის და ზაზა უსბა-  
შისათვის.

ბედნიერს ხელმწიფეს პატრონს მამაჩვენს ამათი სამართლის  
განსჯა მათის ძის გიორგისათვის და საქართველოს მსა-  
ჯულთშეკრებილებისათვის ებძანა.

ჩვენ, ბატონისშვილმა უფლისწულმან გიორგიმ, სა-  
ქართველოს მსაჯულნი ჩვენთან დავისწართ და ესენი ვალაპარა-  
კეთ.

გოსტაშაბიანი ამას ჩივოდნენ: ზემო წერაქვი ჩვენი სამკვიდ-  
რო მამული არისო; არც გასყიდვით, არც მეპატრონის წყრომით არ  
გამოგვრთმევიანო.

და ნადირშას დროს მდივანბეგის თეიმურაზის და სპასალარს რომ ქალი მიგვარეს, მაშინ ციციის შვილმა ქაიხოსრომ ერთი ბატონის სახასო თეთრი სოფელი, ერთი ეს ჩვენი სოფელი წერაქვი და ერთი როჭიკაშვილის სოფელი დიადარა — მაშინ სპასალარისაგან იშოვნაო; მერე თეთრს სოფელზედაც ხელი აიღო, როჭიკაშვილმაც თავისი სოფელი გამოართვაო.

ჩვენც სანატრელს მეფეს თეიმურაზთან ფარსადან მდივანბეგს უჩივლეთო, იმან გვიბოძაო სამართლითაო. მაგრამ წერაქვის გლეხები დაეყიდნაო, სოფელზე კი ხელი აიღო და გასყიდული გლეხები სადაოთ დარჩაო და განაჩენი იმიტომ ვერ ავიღევითო; ავის დროს მიზეზით ის წერაქვის სოფელი ჩარაბა იყო და ეს საქმეც ასე დარჩაო.

ჩვენ ამის განაჩენი ან ოქმი გოსტაშაბისშვილებს მოვთხოვეთ, მაგრამ ამის პასუხს ასე ამბობდენ: ბეჟან იმ ხანად მიიცვალაო, ჩვენ დავიფანტენითო, და საქმე ასე დაგვრჩაო, და ლაპარაკი კი არ გავგიწყვეტიაო.

და ამის მოწამეცა ჰყვანდა. და წამოაყენა ერასტიმ გოსტაშაბისშვილმა, რომ თეიმურაზ დივანბეგს თავისის ნებით შეეძლია და თეთრი ეთხოვნა ფეშქაშსავითა საიდუმლოთ, ვერ შეირიგებულყვენენ.

ეს კიდევ უფრო დიდი საბუთია. ახლა მდივანბეგს თეიმურაზს და ზაზას ვთხოვეთ საბუთი, რომ რის გზით გიჭირავსთ ის მამული. ამათ ვერც წიგნი მოიტანეს და ვერც საბუთი ამოიღეს.

სიტყვით ასე ამბობდნენ: ჩემს ძმებს ეჭირაო და მეც მიჭირავსო; ამასაც ამბობდა თეიმურაზ მდივანბეგი — ბადურის შვილებს რომ ჩვენი სახლის კაცი ამოუწყვეტიაო, რომ გოსტაშაბისშვილები მიჰყოლიანო და იმის სისხლში მოგვცემიაო.

მაგრამ წიგნი არც ამისი ჩნდა და ეს სიტყვა მეფის ერეკლეს წიგნმა გაამტყუნა, რომ იმის ბოძებულს წიგნში ასე სწერიო: თქვენი სამკვიდრო ზემო წერაქვი გოსტაშაბისშვილებო ამ წიგნით გავვიახლებიაო.

მეორე საბუთი მოიტანეს. სვიმონ ბატონის შვილის ჭანიშინობაში ერთი რიგობა სახლისკაცები რომ გაჰყროდნენ, იმათი ბარათები, დავთარი ხელთ ეჭირათ, რომ წერაქველი გლეხები გაეყოთ.

მერმე განაჩენი მოიტანეს მეფის ვახტანგის დროს

იესე მეფის მდივანბეგობაში, ეს გოსტაშაბისშვილები კიდევ ერთი მეორეს რომ გაპყრიან, მაშინ წერაქვიც გაუყვიათ, ბარათებიც ხელთ ჰქონდათ, გაყრის დავთარიცა. და პირველ ყიზილბაშობას მალუჯათი ეძლიათ, ამისი ბარათებიც ხელთ ეჭირათ. და სრულაობ ბარათიანთგანაც მუჯალამაც მოიტანეს, რომ ზემო წერაქვი გოსტაშაბისშვილებისა არისო და სხვისა არავისაო.

ჩვენ სამართალში რაც ამათი წიგნები გავსინჯეთ, ეს ზემო წერაქვი სამართლით ამ გოსტაშაბისშვილებს არ გამოერთმევა, ამისთვის, რომ ამათი მრავალი წიგნები ჩნდა მეფისაგან ბოძებული — დავთრები, ბარათები და მოწმები. და იმათ სრულობით არა უჩნდა რა ამის მეტი — დღეისამღი გვეჭერია და გვიჭირავსო. დღეისამღე ჰერისა თვითონ ესენივე არიან მოწამენი, მძლავრებით სჭერია.

დღეს რომ სამართალს ითხოვენ, სამართლით გოსტაშაბიანთ დარჩა ზემო წერაქვი მისის გლეხითა. დიდხანს იყო ეს ლაპარაკი; პირითაც მრავალჯერ უთხარით და მოციქულითაც მრავალჯერ ვთხოვეთ საბუთები, მაგრამ ვერა მოიტანეს რა, არა გვაქვს რაო.

და ეს პაემანიც მიგვიცია ამ წლის ნავროზამდინ, თუ რომე თეიმურაზ მდივანბეგმა და ან ზაზამ ასეთი წერილით საბუთი მოიტანა რამე, რომ სამართალი შეიწყნარებდეს, სამართალი მიეცემა.

თუ ამ პაემნამდინ სარწმუნო საბუთი ვერა მოიტანა რა, ამ წერაქვის სოფელთან და იმ სოფლის გლეხთან საქმე აღარ აქვსთ რა. სამართალი ასე გადასწყდა.

ეშიკალაბაშო თამაზ ორბელიანო! ხელი აუშართე და ამ გოსტაშაბისშვილებს მოაბარე.

ჩვენ ასე განვსაჯეთ და ნება მისის სიმალლისა არის. იანვრის

მ, ქორონიკონს უოზ.

მეფის ძე  
გიორგი

მდივანბეგი  
ნიკოლოზ

მზექაბუჯ

მსაჯულმან სწორი  
ესე ყოს ეს ძეს

სულხან

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა, ამ განჩინებას ვამტკიცებთ იანვრის მბ, ქორონიკონს უოზ.

თამაზ ორბელიანო ეშიკალათბაშო! ეს ასე გაქარიგებიანე.

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთისა დედოფალი დადიანის ასული დარეჯან, ვამტკიცებთ. ფებერვლის 15, ქორონიკონს უობ. 

|                     |
|---------------------|
| დელოფალი<br>დარეჯან |
|---------------------|

ქ. ჩვენ, ბატონის შვილი იულონ, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. იანვრის 12. [ქორონიკონს] უობ.

ქ. ჩვენ, ბატონის შვილი ვახტანგ, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. იანვრის 15, ქორონიკონს უობ.

ქ. ჩვენ, ბატონის შვილი მირიან, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ფებერვლის 18, ქორონიკონს უობ.

### 146. განჩინება იოანე ელიოზისშვილის შვის ოპრუას საქმეზე

1784 წ. 8 თებერვალი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 46. საბ. № 274. პირი. ქალაღი. მხედრული.

[176] ნალეკარი ოქრუა ჩიოდა: ჯავახეთიღამ ვართ გარდმოსულიო საქართველოშიო, აქეღამ ლეკში დავიკარგეო. ოცი წელიწადი დაკარგული ვიყავ და მოველ ღმრთის მადლით საქართველოშიო. ელიოზის შვილი იოანე მეღავება, ჩემი ყმა ხარო, ერთი ქალი მყვანდა, წამართო, სამართალი მადირსეთო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულეღამ, ელიოზის შვილი იოანე მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

იოანე ასე ჩიოდა: ამ კაცის მამაღანი ჩვენი სამკვიდრო ყმანი არიანო და ტყვეობიღამ რომ მოვიდა, მაშინაც ჩემ ყმათ მოვიდა და მეყმო, ქალი გაც[ა]თხოვაო, საჩექმეც გამოვართვიო; თუ ჩემი ყმა არ იყო, საჩექმე რომ გამოვართვი, რატომ მაშინ არ მიჩივლაო?


ჩვენ, მსაჯულთ, ამათი საჩივარი რომ მოვისმინეთ, ეს სამართალი განვსაჯეთ: ქალი რომ გამოურთმევია, ახლავ მოსცეს ელიოზის შვილმა იოანემ თავის დედ-მამას; და იოანემ ერთი თავისი კაცი შეაფიცოს ამ კაცს, წადგეს იოანეს კაცი: «ამისმა მადლმა, თქვას, ოქრუავ, სამკვიდროღაც ბატონის ჩვენის ყმა იყავ და ტყვეობიღამ რომ მოხველ, ბატონის ჩემის ყმათ მოხველ და ამის ყმათ იყავ».

თუ ასე შეაფიცა იოანემ, თავისი კაცი ოქრუა ყმათ დარჩება ელიოზისშვილს იოსებს და იოანეს. და თუ ასე ვერ შეაფიცა კაცი, ელიოზისშვილებს ოქრუასთან კელი არ ექნებათ, განთავისუფლდება, [V] თუნდა ყმათ დარჩეს, თუნდა არა.

ქალი რომ გამოურთმევია, ახლავ უნდა მოსცეს ელიოზისშვილმა იოანემ თავის დედ-მამას.

ს ა ა მ ი ს შ ვ ი ლ ო ბ ე ც ი ა ე ! ამათი იასაული შენა ხარ. ასე აღასრულე, როგორც ზემორე აღგვიწერია.

იანვრის დ, ქორონიკონს უობ.



ჩვენ მსაჯულთა სამართლით ეს გოგო გამოვართვი, თავის მამას და დედას მივებარეთ. ამ კაცმა ელიოზისშვილი აღარ და[ა]ფიცა, ეყმო, ყმა არის ამისი; მაგრამ ნურც ჯაბრით მოექცევა, ამ გარჯას ნუ მოიხსენებს, რაც შე[ე]ძლოს რიგიანად და სამართლიანად იმსახუროს. ფებერვალს გ, ქორონიკონს უობ.

მოფიცარი მოიყვანა, მაგრამ აღარ დააფიცა. მე, სა[ა]მისშვილი ბეცია ამ განაჩენის იასაული ვიყავ, ელიოზისშვილის იოვანეს მოფიცარი კაცი შეაგდეს, მოიყვანა, მაგრამ ოქრუა ჩირიქამიას შვილმა აღარ და[ა]ფიცა, ელიოზისშვილს დარჩა.

ხელრთვა.

## 147. განჩინება გუაჰაზუა მღიშანებების ყმაგის შაბაშვილების საქმეზე

1784 წ. 11 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. № 2450. დედანი. ქალღღი. 62×38,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია წერტილი.

ქ. მ შ ე კ ა ბ უ კ მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი თავის ყმათ შ ა ბ ა შ ვ ი ლ ე ბ ს ი მ ე დ ა ს. ს ა ბ ა ს და დათუნა შვილს პ ა პ ა ს უ ჩ ი ო დ ა, ჩვენი მკვიდრნი ყმანი არიანო კურწიკამელნიო, და ახლა დ უ რ ნ უ კ ს ჩასულანო და დურნუკელად ამბობენ თავიანთ თავსაო და სამართალს ვითხოვო.

ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა ნ ი უ ლ ო ნ, შაბაშვილები სამართალში მოვაყვანინეთ და კვითხეთ სადაობა და დრო და ჟამი.

ამათ ასე თქვეს: ჩვენ არც კურწიკამელნი ვართო და არც მაგისი ყმანიო. ჩვენ დურნუკელნი ვართო თქვენი ყმანიო, მართალია, პაპა ჩვენი აყრილაო დურნუკიდამო ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ი ს უ წ ი ნ ვ ე და ჯ ა ვ ა ხ ე თ ს გადასულაო და ორმოცი წელიწადი იქ დაუყ-

ვიაო; მერმე მაგის პაპას მზექაბუქს კურწიკამში ყმად მოსვლიანო, სამიოდ ოთხი წელიწადი იქ მდგარანო და მერმე ისევ ჯავახეთს გადასულანო; და ჯავახეთილამ მეორედ ქართლში მოვსულვართო და ამდენი ხანია არაგვზე გახლავართო, ამათ ამის მეტი არა იცოდენ რა.

დურნუკელებს ვკითხეთ: მეზობლები ხართ თქვენ, როგორ იცით, სწორე თქვითო.

იმათ ასე თქვეს: ჩვენ ასე გაგვიგონია, დურნუქს საბა გულანო ყოფილანო და ეს კი არ ვიცითო, როდის აყრილანო და ესენი იმათნი არიან თუ არაო, არც ეს ვიცითო, რასაც ესენი არ ამბობენო.

ამათის მკრიდამ ერთი კელის მოსაკიდებელი სიტყვა ვერა [ვ]ნახეთ რა ამის მეტი, რომ დურნუკელნი ვართო; არც მოწამე უჩნდათ და არც წერილი.

მაგრამ მაშინც სამართალმა მზექაბუქ მდივანბეგს საბუთი მოსთხოვა.

მზექაბუქ მდივანბეგმა ჯერ პირველად ეს უპასუხა: თუნდა დურნუკელიც იყო, პაპაშენი ვახტანგ მეფის უწინ რომ აყრილიყოს, ჯავახეთს გადასულიყოს და იქ ორმოცი წელიწადი დაეყოს და ბოლოს ვახტანგ მეფის ბატონობაში პაპაჩემს მზექაბუქს კურწიკამში ყმად მისვლიყოსო, მაინც როგორ წამიხვალო, თორემ აი შენი საბუთებო. ჯერ დავთარი წარმოაყენა თავიანთ მამულისა, რომ იმაში კურწიკამელად ეწერნენ კურწიკამელნი შაბაშვილები საბა და იმედაო.

მეორედ, თავიანთ კელით<sup>1</sup> წერილი წარმოუყენა, არზა სანატრელს ჩემს ძმასთან მირთმეული, რომ ასე ეწერა: კურწიკამელთ შაბაშვილებს იმედას, საბას და დათუნაშვილს პაპას მოსცესო მზექაბუქ ყაფლანიშვილის ყმათაო, ჩვენი მემკვიდრე ბატონი ვიპოვნეთო და ოქმი გვიბოძეთო, რომ მარტო ჩვენს ბატონს ვემსახურნეთო.

სანატრელის ჩვენის ძმის ლეონის ოქმი იყო, რომ: ბაბანამილახვარო, ეს კურწიკამელნი შაბაშვილები მარტო თავის ბატონს მზექაბუქ ყაფლანიშვილს უნდა ემსახურნენო, სოფლის ხარჯში ნულარ გარევეთო.

მესამედ, მორიგის დავთარი წარმოაყენა, რომ ამათ ყმად დაწერილნი იყვნენ.

მეოთხედ, კურთხეულის ემიკალაბაშის კელით წერილი და ბე-

<sup>1</sup> + კელით.

ქედი წარმოაყენა, რომელშიაც ასე ეწერა: მე, დე მ ე ტ რ ე ეში-  
კალაბაშს ასე მახსოვს<sup>1</sup> და ასე ვიციო, რომ: ეს შაბაშვილები კურწი-  
კამს ესახლნენ მეფის ვახტანგის დროსაო; მეორედ კიდევ ესეო,  
რომ: ემ ჩვენის ბატონის ბატონობაში ჯავახეთილამ ავყარე ეგეცა  
და სხვანიცა და ციხე ქვაბს მოვიყვანეო, და ციხე ქვაბილამ  
ვაშლოვანს მოვიყვანეო, და იქილამ ავჭალას გავიდაო,  
და იქილამ გვემსახურებოდაო. მერე თაფანი რომ ავაშენეო,  
ავჭალილამ ავყარეო და თაფანს დავისახლეო; მერე თაფანი რომ  
მოიშალაო, ისევე ავჭალას ავიდნენო, და იქილამ დუშეთსაო  
და დუშეთილამ სულ გვემსახურებოდნენო, ღმერთს ვიფიცამო და  
მეფეს ერეკლესაო, რომ ეს ასე იყოო. და ახლა თუ არა-  
ვინ ირწმუნებსო, და მეფეს ერეკლეს ტყუილად დავიფიცავო, და  
მაშ ჩემი ყოველი სიტყვა ცრუ იქნებაო და დიდის სასჯელის ღირ-  
სიც ვიქნებიო, თუ მეფეს ერეკლეს ტყუილად დავიფიცაქო. და  
ნება სამართლისა იყოსო.

მართალია, ეშიკალაბაში ბიძა იყო, მაგრამ ჩვენ რომ იმას ვიც-  
ნობდით, ის იმისთანა ბიძა არ იყო, რომ მეფე ერეკლე ტყუილად  
დაეფიცა. თუნდა იმდენი სხვადასხვა საბუთები არც კი ჰქონდეს  
მზექაბუჯ მდივანბეგსა, მართო ეს მოწმობაც ეყოფა. ამისთვის ეს  
შაბაშვილები იმედა და საბა და დათუნაშვილი პაპა სამართლითაც  
გვიბოძებია და წყალობითაც.

ეშიკალაბაშო მე ლქის ედექ! ამაზე ერთი იასაული აჩინე,  
ეს შაბაშვილები ააყრევინე და მდივანბეგს მზექაბუჯს მიაბარე-  
ალიწერა ფებერვლის ია, ქორონიკონს უოზ.

ბეჰელი: ღმრთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონი შვილი-  
გოროგი, ამ ჩვენის ძმის იულონ ბატონიშვილის ბძანებას წიგნ-  
სა და ამას ვამტკიცებთ. ფებერვლის კ, ქორონიკონს უოზ.

ბეჰელი: მეფის ძე გოროგი.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, ვამტკი-  
ცებთ ამ ჩვენის ძმის ნაბოძებს სიგელს. ფებერვლის კ, ქორონიკონს  
უოზ.

ბეჰელი: ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვე-  
თად.

<sup>1</sup> მახსავს.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძემირიან, ვამტკიცებთ ამ ჩვენის ძმის ნაბოძებს სიგელსა. ფებერვლის კ, ქორონიკონს უობ.

ბეჰალი: დავითის ტომთა სქესისა ძე ვარ ირაკლი მეფისა მირიან.

**148. ბანჩინება ანთონ 1-ისა ელიოზიშვილავის შვის მამულაშვილის საქმეზე**

1784 წ. 11 თებერვალი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 29. საბ. № 50. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[68V] ელიოზის შვილებს გოგიას, მოურავს იოსებს და იმისს ძმას ფარეშთხუცესს იოვანეს უჩიოდა თავეთი ყმა მამულას შვილი ლომკაცა და იმის ძმა იოვანე, რომ ჩვენ თქვენნი ყმანი არა ვართო, სახასონი ვართო — სვეტისცხოვლის ყმანი[ო].

ჩვენ ეს საქმე. დია, სიმკაცრით გამოვიძიეთ და ციციშვილს მდივანბეგს და ეგრეთვე მოხუცებულთ კაცთ დიდად ვაფიცეთ და გამოვკითხეთ ამ საქმის კეშმარიტებით ცნობა: ამისთვის, რომ მეზობელნი და მამულის მესამძღურენი და ერთმანეთში<sup>1</sup> მცხოვრებელნი იყუნენ და უფრო ამ საქმის მეცნიერნი იქმნებოდნენ.

და იმათ დიდის ფიცით გვარწმუნეს, რომ ამ ივანესი და ლომკაცას მამა ქალ[69]ანთრისათვის გამოერთმევიანა ელიოზის-შვილს დავითასაო და იქ მოიყვანა თავის მამულშიაო; თათარი იყო, მონათლა და დაასახლაო; და თავისი სამკვიდრო ყმა იყოვო და ემსახურებოდაო; და არას დროს არავისგან გაგვიგონია იმისი სახასობა თუ არ ელიოზოვის ყმობა, ეს ორმოცი წელიწადი არისო.

როდესაც ჩვენ ამაზედ სარწმუნოდ გულსავსე ვიქმენით, რომ ელიოზის შვილების ყმა იყო სწორედ, და კეშმარიტად ჩვენც დაუშტკიცეთ უმეტესად და უბოძეთ ელიოზის ძეთ იოსებას და იოანეს მამულას შვილები ივანე და ლომკაცი, თავეთის ცოლით და შვილებით.

ამათი<sup>2</sup> რომ არ ყოფილიყო და სახასო ყოფილიყო, მაინც საუკირო არა იყო ამათი არბოძება ჩვენგან და გაუცემლობა, ამისთვის, [რომ] ერთი უმამულო კაცი იყუნენ ეს ამათი ყმები.

<sup>1</sup> ერთმანეთ. <sup>2</sup> ამათაც.



და რადგან ესცანით ჰემშარიტებით წყალობა გვიქნია და გვი-  
ბოძებია. ღმერთმან ჩვენს სრულს ერთგულს სამსახურსა შინა მო-  
ახმაროსთ. არა მოგეშალოსთ ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა  
კათალიკოს-პატ[*v*]რიარხთა[გან] ჩვენგან ბოძებული ესე წყალობა.

ეგრეთვე თქვენც, ყოვლად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარ-  
ქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული ღმერთ-  
მან მტკიცედ ჰყოს. აღიწერა ფებერვარს ია, წელსა ჩჰად.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი

მე, ც ი ც ი შ ვ ი ლ ი მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი თ ე ი მ უ რ ა ზ, ამ ბატონის  
კათალიკოზის განაჩენის მოწამე ვარ.

### 149. ბანჩინება ამილახორიანთა და ბაჰანას მამულის საქმეზე

1784 წ. 20 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 48 საბ. № 39. პირი. ქალაღი. მხედრული.

[30] მისის უმაღლესობისათვის არზა მიერთმიათ გ ი ო გ ა -  
შ ვ ი ლ ე ბ ს: გ ა რ ე ჯ ვ ა რ ს რ ა ც მ ა მ უ ლ ი გ [ქ]ქონდა, თქვენის  
ბძანებით კელი აგვიმართესო და უსტა იასეს შვილს ბეჟა-  
ნას მიაბარესო. მისს უმაღლესობას თავეთის შვილის ბატო-  
ნის შვილის იულონისათვის ებძანათ ამათი სამართა-  
ლი; და ბატონის შვილს ჩვენ, საქართველოს მსაჯულთმეკრებილბი-  
სათვის ებძანათ. ჩვენ, მსაჯულთ, ესენი ვალაპარაკეთ.

უსტა იასეს შვილმა ასე იჩივლა წერილით: პაპაჩემი და მამა  
მისი ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ა ნ თ ყ მა ყ ო ფ ი ლ ა ო და ი მ პ ა პ ა ჩ ე მ ს ს ა ნ ა ტ -  
რ ე ლ ის მ ე ფ ის ვ ა ხ ტ ა ნ გ ის ა თ ვ ის მ რ ა ვ ა ლ ი უ მ ს ა ხ უ რ ნ ი ა ო  
და კურთხეულს მეფე ბაქარს ამილახორიანთათვის ორი  
კომლი მოქალაქე თავეთის მამულით უბოძებია, და ის პაპაჩემი თა-  
ვის მამულით, რომელიც ან ამილახორიანთაგან მიცემული ჰქონია  
და ან გარეჯვარს თავისი ნასყიდობა ჰქონია, გამოუტყველიაო. პაპა-  
ჩემი რომ იქიდამ აყრილა და ქალაქს დაუსახლებიათ, პაპაჩემს იმ  
თავის მამულსა და ნასყიდობაზედ მ ა ჩ ა ბ ლ ის შემომწყვრალი  
მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ყ მა დ მო ს ვ ლ ი ა და ის დაუსახლებია და თავის-  
თვის ყმად სჭერიაო. მერმე ოსმალო მოვიდა და იმ სიშორეზედ მა-

1-იმ თავის.

მულის კელის მოკიდება [v] ვედარ შევიძელითო, მი[ი]ყვანეს ამი-  
ლახორიანთ და გიოგაშვილები და[ა]სახლესო. ჩვენ გივის ამი-  
ლახორის ლაპარაკი ვერ შევიძელითო.

მერმე ყიზილბაში მოვიდა და ზემო ქართლში მუდამ  
ჰარი იღვა და არეულობა იყო. როსცა ღმერთმან მეფენი მოსცა სა-  
ქართველოსა, ამირინდო ამილახორის დროს ვილაპა-  
რაკეთო და ვედავენითო.

მერმე რევაზ ამილახორის დროს ვილაპარაკეთო.  
ბატონმა ოქმიც გვიბოძა, კელი აუმართეს ამ მამულეზუნდაო.

მერმე იასე ამილახვარის დროს კიდეც ვილაპარა-  
კეთო და ვედავენითო. ბატონმა ოქმი გვიბოძა, პა[ა]ტა ციციშვი-  
ლი იასულად აჩინა, კელი აუმართეს და მომბარესო; არც ერთ-  
ხელ არ დამანებესო, მიწას ხვნენ, სჭამენ და ვენახებს მუშაობენ და  
სმენო. გაცვლილობის წიგნი ამილახორისა და სრულიად მისის სახ-  
ლის კაცებისაგან დაბეჭდილი ხელთ მე მიჭირავსო. და რომელიც  
ჩემზედ მოქალაქენი გაუცვლია, ის კაცი ამილახორიანთ დღესაც  
ხელთ უჭირავსთო, ორსავ ისინი ჰხმარობენო, მე რო[მ] არა ვთქვა,  
არც იმათ უნდა ქნან და [ა]რც თქვენ უნდა იყაბულოთ; ბატონს მა-  
მული არ უნდა დაუჟარგოთო, თორემ ვჩივი, სამართალს ვითხოვ,  
სამართალი მომეცითო.

აქ იყვნენ სამართალში ამილახორის შვილი გოგია ომანი[ს]  
შვილი და გიოგანნი ერთობით. ჩვენ უთხარიო: პასუხი მიეცითო.

ამათ თქვეს: ათი-თორმეტი ამილახორი გამოცვლილა, ეს გიო-  
გაშვილები [მ1] იმ მამულზე სახლობან, მოდავე და მოლაპარაკე  
არავინ ყოფილა. მართალია, სანაცლო კაცები ჩვენ გყვანან და ეგ  
აქ ქალაქში ბატონს უსახლობსო; წიგნი მოიტანოს, როგორ უწე-  
რიაო, ან ვის მიუტია ან ვისი ბეჭედი უზისო; და თუ სარწმუნო  
წიგნია, ნება სამართლისა არისო.

წიგნი მოვატანინეთ, ასე ეწერა: ესე წიგნი და ფიცი მოგარ-  
თვით მე ფეს ბაქარს მე, ამილახორმა ავთანდილ,  
ეშვიკლასბაშმა გიორგიმ, ბეჟან, ბარძიმ, ოთარ, ვახ-  
ტანგ ასე, რომე: ჩვენს ყმას გულან-ბეგას შვილს ნაზარა-  
შვილს დავითას, იასეს და ფარსადანს მე ფეს ვახ-  
ტანგზედ მრავალი სამსახური ექნათ და თქვენ მისი გაცვლი-  
ლობა გვიბძანეთ, ჩვენც განაღამც მოგართვით ნაზარაშვილი და-  
ვითა, იასე და ფარსადანა და თქვენ მისად სანაცვლოდ გვიბოძეთ  
ქალაქს თქვენი ყმა ვაჰარი ორი კომლი პატარა გიორგი და მისი

ქმა არუთინა თავისის სახლკართა და საქონლითა. აგრევე ჩვენც თავისის მამულით მოგართვით და ასე შევეკერდით, რომ აღარაოდეს მოიშალოს; და რაც გარეჯვარს ნაზარაშვილებს ნასყიდი მიწები აქვს, ისიც თან გამოჰყვეს, იმითი მოგვირთმევი; არცარა სამოურაოთლა ჩვენ ნაზარაშვილებთან საქმე გვაქვს, რადგან სამაგიერო გვიბოძეთო; და დიდი [V] წყევლა ვინც ეს მოშალოს; გ[ი]ვი მდივნის ხელით დაიწერაო, ქორონიკონს. უდ; ბექედი ავთანდილ ამილახორის, გიორგისა, ბეჟანისა, ბარძიმისა, ოთარისა. ამასაც ჩიოდა უსტა იასეს შვილი: ჩვენ რომ მაგათ ვცმობივართ, უწინვე გარეჯვარს ნასყიდობა გვექონებიაო და მაგათ რომ ვცმობივართ გარეჯვარს თუ ხარელის მამული უბოძებიაო და მისთვის ვცმობივართო.

იმის წიგნიც მოვატანიეთ. ასე ეწერა: ამილახორმა იოთამ, ბეჟან და სხუათ გიბოძეთ გულანბეგაშვილს ასლანას და პაპინას და მომავალთა გარეჯვარს თუხარლის გიორგის მამულიო, ქორონიკონს ტკე. ოქმებიც ვნახეთ მისის უმაღლესობისა, რომ კელი აუმართეთ და მოაბარეთო. თუ სწორე სიტყვა აქვს, ილაპარაკონო.

ჩვენ ამილახორიანთ და გიოგანთ ესენი რომ წაუკითხეთ, პასუხი ვთხოვეთ, ამის მეტი არა გვითხრეს რა: დიდი ხანია გვიჭირავს, არავინ გვდავებიაო, არც ეგ წიგნი გვეცოდნიაო.

ესეც იჩივლა ბეჟანმა: ორმოცდაათი წელიწადია. სულ ვჩივი და როგორ არ მიდავნიო. და იმას უწინ ოსმალნი და ხანები ისხდენ ვინ გამიგონებდაო და ჩემის ხელმწიფისაგან იასაულები მებოძება, ხელს აგიმართვენ, მამაბარებენ, მე რომ წამოვალ, მიჰყოფენ ხელსა და თვითანვე მუშაობენო.

ჩვენ, მსაჯულთ, ეს სამართალი მივეცი: თუმცა დიდი ხანია აღარ უჭირავს, მაგრამ მოსამართლისაგან გასასინჯავია. თუ ამილახორიანთ ასეთს ქეშმარიტსა საბუთს მოიტანენ, [32] რომ ამათგან ან ისევ ეყიდოსთ ან გაეცვალოსთ ან მეფეთაგან ისევ მიჰბრუნებოდესთ, მაშინ სამართალი დაქანებებსთ ისევ ამილახორიანთ და გიოგაქანთ. თუ არადა, ამილახორი დიდი კაცი, ეს მდაბალი სომეხი დროარეული და ეს [ს]ადაო მამული ამათზე შორს და იმათზედ ახლოს ფაშებისა და ხანების დროს რა შეძლება ჰქონდა, რომ იმათთანა ძლიერ კაცებს სდავებოდა.

სანატრელის მეფის ბაქარის ბოძებული მოქალაქენი დღესაც ამილახორიანთ კელთ უჭირავთ და რომელიც ამათზე გაცვალეს, ეს მამული კელთ უჭირავსთ, დიდი უსამართლოა, თუ ან მეფეთაგან

არ ჰბოძებიათ და ან მათგან არ უყიდიათ, დიდი მძლავრება ჩანს და რაც უნდა აქამდეს დაეგლოთ ეს საქმე, რომ თავის პატრონისათვის უნდა დაენებებინათ. თუმცა ძველი ანბავია, მაგრამ რომ უდავნა და ულაპარაკნია, ისიც დიდი ხანია. ოსმალსა და ყიზილბაშს ოცდაერთი წელიწადი ეპყრათ და ამათი სამართალი არ დაექირება.

და რა რომ მეძველდრე კელმწიფენი დაბძანდნენ, საჩივარი და ლაპარაკი აღარ დაუკლია. ზოგისა ნიშანი და ოქმი უჭირავს და ზოგისას ფიცით ამბობს. და ამ მიხედულობით ამილახორიანთაგან დიდს ხანს ჰკერა და მისთვის სამართლის მიუტეველობა უსამართლო იქნებოდა და ეს სამართალი მივეცი: რომელიც იოთამ ამილახორისაგან მიცემული წიგნი უქი[V]რავსთ თუხარლის მამულისა, ამილახორიანთ იმაზედ ფეხი უნდა დაუდგან, ეს არისო; და რომელიც უწინვე გარეჯვარს მიწები ნასყიდი ჰქონიათ, იმაებზე გიოგანთ დაუდგამთ ფეხი. ეს არისო. თუ ის მიწები ან კენახად აშენებულა ან გაკეთებულა რამე, ყველა აჩვენონ; რაც ფიცი სამართალმა და[ა]ღვასთ. იმ ფიცით გული აჯერონ და მიაბაროს იასაულმა.

და თუ ასე არ იქმონენ, უსტა იასეს შვილს და[ა]დგმევიონთ ფეხი. შემოუაროს თავის მამულსა ნასყიდსა თუ ნაწყალობევს და თქვას ფიცით: ეს ნასყიდია და ეს ამილახორიანთაგან მოცემულიაო, და იასაულმა აუმაართოს კელი და მოაბაროს. და რომელიც დანებდეს, იმას ნულარავინ შე[ე]ცილება და ნულარც წა[ა]რთმევენ. და თუ მოხდეს, რომ კიდევ წა[ა]რთონ, ესეც სამართალიდამ დაგვიწერია, ერთიორად ამას მოსცენ და სამართალს! პასუხი გასცენ<sup>2</sup>.

ეშოკადასბაშო თამაზ! იასაული შენ უნდა [იყო], მიხვიდე და როგორც ჩვენი მიცემული განჩინება აცხადებდეს, ასე უნდა აღასრულო, ამაზედ სუსტობა არ იქნება. დღესამდე უსამართლო სჭირვებია, ახლა უნდა მისის უმაღლესობის ბძანებით სამართალი ასე ნიეცესთ, როგორც გავვიჩენია.

მარტის კ, ქორონიკონს უობ.



თავში:

ჩვენ, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ეშოკადათბაშო თ ა მ ა ზ! ეს ასე აღასრუ-

<sup>1</sup> +და. <sup>2</sup> +იასაული მიეც.

ლებინე, როგორც ამ განაჩენში სწერია, ამას გაურიგებელს ნულარ  
დააგდებ. მარტის კდ, ქორონიკონს უობ.

ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ, ამ განაჩენს ვამტკი-  
ცებთ. აპრილის გ, ქორონიკონს უობ.

**150. ზანჩინაბა იოანე აბაშიძისა და ზაალ ენდრონიკაშვილის  
გაყოფის განაჩენის საჩუქარი**

1784 წ. 22 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10200. დედანი. ქ:ლალდი. 44×19.6 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საბუთის მეორე დედანი  
დაცულია ცსსა. ფ. 1448. № 682.

ქ. ჩვენ, ქეშიქჩიბაში ა ბ ა შ ი ძ ე ი ო ა ნ ე, ე ნ დ რ ო ნ ი კ ა-  
შ ვ ი ლ ი ზ ა [ა] ლ და ე რ ა ს ტ ი შ ვ ი ლ ე ბ ი მამულებზედ ვლა-  
პარაკობდით. მისს უმაღლესობის მეფის სამართალში შევედით,  
მაგრამ ჩვენ ერთმანეთის ძმობისა და სიყვარულისათვის სამარ-  
თალში კი აღარ ვილაპარაკეთ.

და მდივანბეგი ბ ე ყ ა ნ, კ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ე შ ი კ ა ლ ბ ა შ ი გ ა რ-  
ს ე ვ ა ნ, ვ ა ჩ ნ ა ძ ე ლ უ ა რ ს ა ბ, ჯიშითის მოურავი ზ ა [ა] ლ,  
მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი რ ო ს ე ბ, ყ ო რ ჩ ი ბ ა შ ი ს შ ვ ი ლ ი ბ ე ყ ა ნ — ესენი  
დაგვ[ი]სხდნენ და ასე შეგვარიგეს. და ჩვენ ამ გარიგებას დაეჭერ-  
დით და ყაბულიცა გვაქვს.

ქ. ბ ე ყ ა ნ ბ ა ლ ი და კ ა ჭ რ ე თ ი ქვემოთ საქიზიყოს შა-  
რამდის — ეს სამათ უნდა გაიყოს: ერთი წილი ქეშიქჩიბაშის იოა-  
ნესი არის, ერთი წილი ზა[ა]ლისა არის და ერთი წილი ე რ ა ს-  
ტ ი ა ნ თ ი არის. ამავ ბეჟანბლისა და კაჭრეთის ბოლო — საქიზი-  
ყოს შარას ქვემოთ რაც არის, ეს სამთავესი<sup>1</sup> საერთო არის, მაგრამ  
გაყოფამდის ერთმანეთს. ბევრს მოხნავს თუ ცოტას, ხვნას ვერ  
დაუშლიან.

ქ. ამას გარდა, ზ ი ა რ ი ს ბოლო რაც გაუყოფელი არის, ის  
საერთო არის. ზიარელთ ყველას კაცმა უნდა ხნას, მაგრამ მეტ-  
ნაკლების მოხვნას ერთმანეთს ვერ დაუშლიან და ვერცავინ სამამუ-  
ლეთ დაიჭერს. ჩვენს კაცს გარდა სხვა კაცმა რომ მოხნას, იქილამ  
რაც ლალა ადგეს, სამათ უნდა გაიყონ.

<sup>1</sup> სამთავისი.

ქ. ზიარს ტყე რაც არის, აქედამ თვითო სახოდაბუნე თანა-სწორე ამ ზემოხსენებულთ სამთავ ძმათ უნდა აიღონ. სხვა რაც დარჩება ზიარის, ძველი საკომლო უნდა ჩა[ა]გდონ და საკომლო-ზედ გაიყონ.

ქ. ამას გარდა წინამხარში რაც მოურავიანთან საერთო მამული გვაქვს, მოურავიანთადამ რასაც ჩვენს წილს გამოვიტან-დეთ<sup>1</sup>. სანამდის გავიყოფდეთ, ისიც ამ ზემოხსენებულსავით საერ-თოთ უნდა ვხნათ. როდესაც გავიყოთ, სამთავ სამმოთ უნდა გავი-ყოთ. მარტის კბ, ქორონიკონს უოზ.

ქ. სამთავესთვის თვითო ამისთანა განაჩენი მიგვიცია.

ორი ბეჰელი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯუ-ლად მაგო ბეჟან

2. გარსეჟან.

ლუარსაბ ამას ვწერ, ბეჰელი დავკარგე, ეს ჩემი ხელი

არის.

რსბ?

ქ. მე, გაბაშვილი ზაზა, ვაწერ კელსა ზაალ ჯიმიტის მოურავის მაგიერ, რომ თვითონ ზაალმა მომაწერინა. ბეჰელი კი არა ჰქონდა, რომ დაებეჰდა. მარტის კბ, ქორონიკონს უოზ.

ქ. მე, ასლან ლაშქარნივისი, ამ სამართალში დამსწრეცა ვარ და განაჩენის დამწერიც. ბეჰელი: ლაშქარნივისი ასლან.

ქ. მე, ბეჟან, ამ სამართალში დამსწრე ვარ, ეს ჩემი კელი არის.

კიდეზე:

ქ. მე, ქეშიქჩიბაში აბაშიძე იოვანე, ამ დარბაისლე-ბი[ს] განჩინების ყაბული ვარ.

ბეჰელი: მონა ღთისა ქეშიქჩიბაში აბაშიძე იოვანე.

ქ. მე, ზაალ ზურაბის შვილი, ამ დარბაისლების განჩინების ყაბული ვარ. ხელთვა: ზაალ.

ქ. მე, დიმიტრი ენდრონიკაშვილი, ამ დარბაი-სელთ განაჩენისა ყაბული ვარ მამიჩემის სიტყვით.

ქ. მე, ლუარსაბ მინბაში, მოწამე ვარ ამათის სიტყვითა ამ განაჩენის, ვინც ამაში სწერია. ბეჰელი: მაყაშვილი ლუარსაბ

<sup>1</sup> +რაც მოურავიანთადამ ჩვენ წილი გამოვიტანოთ.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე საქართველოსი ირაკლი მეორე, გარიგების წიგნსა და ამ გაყოფას ვამტკიცებთ. მარტის კდ, ქორონიკონს უობ.

ბეჰელი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლეს.

## 151. ზანჩინება ზიოგაჴვილუბისა და ზაჴანას მამულის საჴმეაჴ

1784 წ. 2 ივნისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 46. საბ. № 193. პირი. ქალაღი. მხედრული.

[135v] საქართველოს მსაჯულთშეკრებილება მოგიწერთ ისა-ულო ივანე და მურავ! თქვენ უნდა მიხვიდეთ გარეჯვარს და როგორც განგვიჩენია, ისე აღასრულოთ. თუ ბეჴანამ ორი და სამი სარწმუნო მოწამე იშოოს და იმ მოწამეებმა ღმრთის ქვეშ სულზე კელის დადებით იმოწმონ, რომ ესე და ეს მამული და ვენახი ბეჴანასიაო, ან ნასყიდი და ან ამილახვრის მიცემული თუ ხარლის მამული, ამას ხომ ფიცი აღარ ექირება, კელი აუმართე და ბეჴანას მოაბარე.

თუ მოწმით არ გარდასწყდეს და გიოგაშვილებმა სამთავ ძმათ უჩვენონ — შენი მამული ეს არისო, თუ ჩვენს ფიცს სჯერხარ შემოგფიცავთ, ამის მეტი არა გვექიროს რა და ნულარას გვედავებო, და თუ ჩვენს არა სჯერხარ, შენ დაიფიცე და დაგანებებთო; თუ ბეჴანა და მისი შვილი იმათს ფიცს დასჯერდეს, აიღონ ხატი, სამთავ ძმათ შემოუარონ: ეს არი[ს] შენი მამული, არც ჩვენ გვექიროს და არც სხვისა ვიცოდეთო; რაც ფიცში ჩაიტანონ, ბეჴანას მიაბარე და მისი მამულია.

და თუ ბეჴანა და მისი შვილი ამათს ფიცს არ დასჯერდენ, თვითონ ან მამამ და ან შვილმა შეჴფიცონ: ეს არის [136] ჩემი მამული და ესეო და რაც დაიფიცონ, უნდა კელი ამართო და ბეჴანას მიაბარო. თუ ვენახიც დაიფიცონ<sup>1</sup>, ბეჴანას დარჩეს; და სახლის ალაგს ხომ თავის ნებით აძლევენ. ამ ვენახის შენობაც და სახლების შენობაც დააფასონ. თუმანის შვილი ჰაპუა და კიკოლა მიიქყვანეთ და ორი იმათი კაცი ასეთი, რომ მამულისა და შენობის ულუფი ჰქონდესთ, და კიდევ გარეჯვირიდამ ანღრია და მიქელა; ღმრთის წინაშე ამათ როგორც დააფასონ ან ვენახის შენობა და ან სახლებისა დაწერონ, დაბეჴდონ; ის წერილი ჩვენთან ჩამოიტანეთ და ჩვენ გავარიგებთ.

<sup>1</sup>+და.

და რა რომ მისის უმაღლესობის ბძანება და იასაული მისულა და ამ მამულებისათვის კელი აუმაართავს, მას დღეს აქეთ ბეჟანას მამული შექნილა, მაგრამ ვიოგაშვილებს არ დაუნებებიათ და იმისი გამოსავალი კიდევ იმათვე უჭამიათ, ისიც უნდა ამ ბჭეებმა იანგარიშონ ვენაქის გამოსავალიცა, მიწების ღალაცა და სახლის ადგილის ქირაცა; ესენი დაწერონ და ვიოგაშვილებმა პასუხი უნდა გასცენ ჩვენის სამართლით.

აგრევ თუხარლის მამული რომ უწერია ბეჟანას ამილახორის მიცემული, იმისი საბუთი ხომ ასეთი ვერა მოიტანეს რა, რომ მოსამართლის გული დაეჯერებინათ. თუ კიდევ საბუთი აქვსთ რამე და ამ ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ა ნ თ წიგნს გააბათილებენ, ამილახორიანთ, სანამდის თქვენ იქ იყვნეთ, ილაპარაკონ და როგორც მოგწეროთ, ისე ქმენით. თუ საბუთი არა აქვს რა.

და რადგანაც მ ე ფ ი ს ბ ა ქ ა რ ი ს ა თ ვ ი ს თავის მამულითა მიურთმევიათ და გაუცვლიათ, იმ მამულზედაც კელი ამართეთ და მიაბარეთ. თქვენ რომ ჩამოხვალთ და რასაც წერილს ჩამოიტანთ და ან ჩვენ გარდავკრით გარიგებულს და გარდაწყვეტილს იმ განაჩენს მოვაწერთ, რომ იმაში სადაო და სალაპარაკო აღარა იყოს რა. და ის განაჩენი მოუ[ხ]მლელი იქნება, რომ იმაში სათუო აღარა იქნება რა. თიბათვის ბ, ქორონიკონს უოზ.

ქ. რომელიც ნასყიდობის წიგნი კელთ უქირავს ბეჟანას, — იმაზე ხომ არც მოწამე ეჭირება და არც ფიცი უნდა. და რომელიც სალაპარაკოა, იმაზედ როგორც მოგვიწერია. ორი სიგელი რომ ხელთ უქირავს ბეჟანას, ის ხომ უფიცრად უნდა მისცეთ ბეჟანას, რაც იმ ორს სიგელში უწერია.

და სამს სიგელს რომ კიდევ ანბობს ბეჟანა, ამილახორს ვაჩვენეო და აღარ მომცაო, იმ სამის სიგლის და რაც იმაში მამული წერებულა, როგორც მოგვიწერია, ისე ქმენით, რომ ან ვიოგაშვილები დააფიცონ და დასჯერდენ და ან ბეჟანამ დაიფიცოს და გაიტანოს.



თავში:

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. რომელიც ამაზე განწესებული იყოთ, ეს ასე აღასრულებთ, როგორც ამ განაჩენში სწერია, ამას გაურიგებელს ნუ გაუშვებთ. აღიწერა ივნისის ე, ქორონიკონს უოზ.





1784 წ. 5 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 48. საბ. № 167. პირი. ქალაღი. მხედრული.

[127v] პეტრე და ივანე ჩიოდნენ: დაგვრისელი მე-  
კარვის შვილები ვართ და გოგნიაშვილები გიორ-  
გი და მისი ძმისწულები თავეთის მემკვიდრე ყმობით და თეთიაუ-  
რობით გვეჭიდებიან. ჩვენ მეკარვის შვილები ვართ და მკვიდრათ  
ფავლენის შვილის ბერისა და მისის ძმების ყმანო.

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფემან და სხვათა ირ-  
კლიმ ამათი სარჩელი მოვისმინეთ და ეს სამართალი განვაჩინეთ:  
ამ პეტრესა და ივანეს მამას ძველადგანვე უვლია, ხან ამილახო-  
რის მამულში კარბს მდგარა, ხან კათალიკოსის ყმობა უთქვამს,  
ხან ვისი და ხან ვისი, ამისთანას ცრუობით მოქცეულა.

მასუკან გოგნიაშვილს ლაჩინასთან მოსულა და  
უთქვამს: შენი მემკვიდრე ყმა ვარო. ბატონს მოახსენე, ოქმი აიღე  
და ამილახორიანთ მამულიდამ ამყარე. ლაჩინას ჩვენგან ოქმი აუ-  
ლია, აუყრია, ჩამოუყვანია და საღალურში დაუსახლებია. არა რო-  
მელიმე კაცი ამათს ბარობაზედ გოგნიაშვილებს არა სდავებია.

ცოტას ხანს უკან ამავე კაცებს ჩვენის შვილის იულონის ყმობა  
მ[ო]უნდომებიათ და იმისთვის უმსახურნიათ. მასუკან იულონსაც  
ისევე [128] გოგნიაშვილებისათვის დაუნებებია. თვრამეტი წელი-  
წადი იქნება ეს კაცი გოგნიაშვილებს აუყრია ამავე კაცების სიტყ-  
ვით და მონდომებით და მას აქეთ არავინ წამოსდავებია. და ახლა  
ეს თქვეს და მოიგონეს — ჩვენ ფავნელისშვილას ბერისა და მისის  
ძმების ყმანი ვართო მემკვიდრე მეკარვისშვილებიო.

ფავნელისშვილებმაც ბატონის პაპის ჩვენის მეფის ერეკ-  
ლეს სიგელი წარმოაყენეს და ასე აცხადებდა: მეკარვისშვილები  
თქვენთვის ყმად გვიბოძებიაო. ძველადგანვე ამ კაცების მამა-პაპანი  
ფავნელისშვილის მამულიდამ აყრილან და წამოსულან და მას აქეთ  
ოთხმოცდაათი წელიწადი იქნება არც ფავნელისშვილებს ამ კაცებ-  
ზედ უდავნიათ და არც ამ კაცებს იმათთვის თავეთი თავი გამოუჩე-  
ნიათ, რაც ახლა არა თქვეს ფავნელისშვილის ყმობა.

რადგანაც ამდენს ხანს გაუვლია, რომ ფავნელისშვილებისათვის  
ყმობით აღარ უმსახურნიათ, თუ უნდა სწორეთ მეკარვისშვილებიც  
იყვნენ, მაშინც სამართლით ფავნელისშვილები ვეღარას შეუვლენ;

ამიტომ, [რომ] ოთხმოცდაათი წელიწადი იქნება ამისმეტათ არც უდავნიათ და არც სამართალში ულაპარაკნიათ. რადგანაც ამ პეტრემ და ივანემ თავეთი თავი გოგნიაშვილებს გამოუცხადეს — თქვენი ყმანი ვართო და გოგნიაშვილებიც თავეთს მემკვიდრეს ყმას თეთი აურს ეძახოდნენ და ამას ამბობდნენ: როდესაც მამაჩვენი მეფის ვახტანგის დროს ცოლ-შვილით კახეთიდან აყრილა [v] და ქართლში გარდასულა, ამათი მამა ბერო მსახურათ თან ხლებიაო; ერთი განაჩენიც ჰქონდათ პა [ა] ტა მღივანბეგისა, რომ თეთი აურს ოცი მარჩილი სისხლი დასდებოდა და ასე აცხადებდა: ან თითონ თეთიაურმა გარდაიხადოს ან მისმა ბატონმა და ან ეს კაცი სისხლში ოლიანთშვილს პაატას დარჩესო; ამისასაც ასე ამბობდნენ: ოცი მარჩილი ჩვენ მიგვიცია, განაჩენი დაგვისნნია და ზელში გვიჭირავსო; და ივანეც. ლეკისაგან დატყვევებული ლაჩინამ დაიხსნაო და თვით პეტრემ და ივანემ თავეთი თავი ყმობით გამოუცხადეს; და ლაჩინამ ჩვენის ოქმით აპყარა და ქართლიდამ ჩამოასხა და რაც თვითონ ამ კაცებმა არ აშალეს ლაპარაკი, სხვა არავინ წამოსდავებია და ფავნელისშვილებიც ამათ ალაპარაკეს.

ამდენის მიზეზებით ეს პეტრე და ივანე ყმობით გოგნიაშვილებს გიორგის და მის ძმისწულებს დარჩა. ფავნელისშვილები ვედარ ედავებიან. ვინათგან ამდენი ცულლუტობა იხმარეს, ხან ვისი ყმობა თქვენ და ხან ვისი; ყმობით სამართალმა გოგნიაშვილებს და[ა]ნარჩუნა, მარა ცულლუტობისათვის ოცი თუმანი ჯარიმა პეტრეს და ივანეს დავადევით; რომ ეს ოცი თუმანი უნდა გამოურთვასთ და ფავნელისშვილს ბერს და მის ძმისწულებს მიეცესთ.

ეშვიკადასბაშო ჯარდან! კაცებზედ ქელი ამართე, გოგნიაშვილებს მიაბარე და ოცი თუმანი ჯარიმა ამ კაცებს გარდაახდევინე და ფავნელისშვილებს მიაბარე.

ალიწერა ივანისის ე, ქორონიკონს უობ.



**153. არზა პრინცესისა ოსინაშვილის ყმის თაობაზე მღივანბეგთა განჩინებით**

1784 წ. 6 ივნისი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 1231. დედანი. ქალაღი. 34,4X22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია წერტილი.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბატონის მოსამართლე[ე]ბის ჭირი მოსცეს ოსინაშვილს ქრისტესიას.

ჩემს ყმას მოუხსენებია: რა ტყვეობილამ მოვედიო, არა მიმსახურია რაო. იმდენი თქვენი წყალობა მქონდეს, რამდენი მოწამე მე გორს მყვანდეს და კიდეც ვიშოვნო<sup>1</sup>, რომ მაგას ჩემთვის გამსახურნოს:

მეორე, ეს ხუთი წელიწადია კარზე მესახლა, მემსახურებოდა. რამდენსაც მოწამეს მიბძანებთ, მოგართმევთ.

მესამე, რომ მოგახსენათ არბოდამ არ მიმსახურიაო, ძღვენის მოტანას და ვარისასა ის უფრო დიდი სამსახური არ არის საბუთი, რომ არბოს შექნილი შვილი მახლდა და მემსახურებოდა, ჩემს სახლში მოკვდა და გორს მარხია.

მეოთხე, ახლა რომ დავთარი დაიწერა, მაგან ბრძობა მოიგონა, არ დაწერეს. ამას წინათ რომ რევაზ ამილახორმა დაწერა, ის დავთარი გაშინჯეთ, თუ არბოს ჩემს სახელზედ არ დაწერილიყოს, დავთარი მანუჩარ მღივანს აქვს.

მეხუთე, მოგეხსენებათ გორის დავთრისა და ხარჯში ჩემზედ ჩაგდებული ყოფილა და ხარჯი მე მიძლევია. მოხელე აქ გახლავთ და ჰკითხეთ.

მე[ე]ქვსე, მაგას მდულარე დასხმოდა, თითონ ვეღარ ჩამოვიდა. წყალ-კურთხევის ძღვენი, ყაიისიშვილის ხიზანი სალოცავათ ყოფილიყო, იმათის ხელით ორი ყვერული ჩამოეგზანა. მე კი ავათ ვარო.

მეშვიდე, აბელიანთ ყმის ხელით გამოეგზანა. მერმე კიდეც თავის ამხანაყის ხიდისთაველი კაცის კელით გამოეგზანა. ეს, რაც უტხო კაცის კელით მამსვლია და რაც თითონ მოუტანია, ხომ არ იტყვის, არზი იქნა.

მთიბათვის ვ, ქორონიკონს უოზ.

### [განჩინება]

ამათი სარჩელი რომ მოვისმინეთ, ეს სამართალი ვსაჩეთ: ოსინაშვილმა ქრისტესიამ შეჭვიცოს: «ამისმა მადლმა, თქვას, დურასტაშვილო ივანე, პირველათაც ჩემი ყმა იყავ, ტყვეობილამ რომ მოხველ, ჩემ ყმად მოხველ, ყმურად მსახურე, მსახური მახველ, რაც შეგეძლო ისე მსახურე, რაც ახლა არ მიჩივლე, ამის მეტად შენ ჩემი ყმობის უარი არ გეთქოს».

<sup>1</sup> ვიშოვონო.

თუ ეს ასე შეჰფიცა თავდათავ, ეს ღურასტაშვილი<sup>1</sup> ივანე თავის შვილებით დარჩება ყმად ოსინაშვილს ქრისტესიას. და თუ ეს ასე ვერ შეჰფიცა, ღურასტაშვილს ივანეს ყმობით ვერას მიედავება ქრისტესია.

იასაულო ბერძენის შვილო ბეცია ვ! ეს ასე აღ[ა]-სრულე. მთიბათვის ზ, ქორონიკონს უოზ.

ოთხი ბეჰედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
2. მზეჭაბუკ
3. მონა ღვთისა მდივანბეგი ოტია
4. ჟამი ესეცა წარვლის.

ქ. მე, ოსინაშვილი, ღურასტაშვილმა აღარ დამაფიცა და თავის ნებით თავი დავახსნევი. ეს ჩემი ხელია. †

## 154 . ბანინება ერაჲლე II-ისა ალავერდელისა და ნაქარხლისა სამწყსოს თაობაზე

1784 წ. 12 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 818. დედანი. ქაღალდი. 33,5×21,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართუელოსა და სხუათა მეფე მან ირაკლი მეორე მან და უწმიდეს მან ძმამან ჩუენ მან საქართუელოს პატრიარხ მან ანტონი, ჩუენ თანა შეკრებულთა ყოვლად სამღუდელოთა და საქართველოს მსაჯულთ თანდასწრებით მოვისმინეთ და გამოვიძიეთ სარჩელი ყოვლად სამღუდელოს ამბა ალავერდელის ნიკოლოზისა და ყოვლად სამღუდელოს ნეკრესლის დოსითეოსისა, რომელთა აქუნდათ ცილობა სამწყსოსათვის ეკლესიისა.

და ვინათგან ძველ იყო ჟამი იგი და დრო, რომელსა აცხადებდა ნეკრესლის კერძი იგი წერილი და ნიშენიდა ნაფარეულს და გარემო რაოდენსამე ადგილებს შტორას ქუევით ნეკრესელის სამწყსოდ, რომლისაც გავლილის წელიწდების რიცხვი იყო...\* რომელსაც მიუგებდენ ალავერდლის კრებულნი: რა მეფედ ალავერდელი კახეთში ყოვლად სამღუდელოთა შორის პატივით გაუ-

<sup>1</sup> დრუსტაშვილი.

\* დატოვებულია ცარიელი ადგილი რიცხვის ჩასაწერად.

პირველებით და სამწყსო შეუმზადები[ათ], ხიდის ყურს ზეით ყოვლის კაცისაგან უცილებელად ალავერდლისათვის დაუნებებიათო და მას აქეთ გვქონია სამწყსოდ და აქამდის არც დავა გავგიგონიაო; რომელთაც მოხსენებული კახეთში ალავერდლის დადგინებას რიცხვი იყო ჩუჟვ, ათას ოთხას სამოცდაექვსი წელწადი, რომლისაც რიცხვი არის მუნით აქამომდე სამას ათრვაშეტი.

და რადგან ორნივე მოსარჩლენი ძველის ღრობით ცილობას ამტკიცებდენ და არც ერთს მხარეს ასეთი წერილი და საბუთი არა ჩნდა რა, რომ უვნებელი ბჭობა იქვისაგან თავისუფალ ქმნილიყო და გულსავსე ქმნილთ ახლავ სამართალი გარდაგუეწყვიტა, ამისთვის თორმეტიდამ თოთხმეტს სეკდემბრამდის ვადა დავდევიით.

ამ სამს თვეს ჩვენგან და მათის უწმიდესობისაგან და აგრევე ყოვლად სამღუდელოს ალავერდლისაგან მთლად კახეთში და ალავერდლის კრებულში და ვინცავინ ეკლესიის მოხელენი არიან იმათ სახლებში წერილი და საბუთი მოიძებნოს.

თუ ასეთი წერილი და საბუთი გამოჩნდეს ან ალავერდლის ცილობის კერძი და ან ნეკრესლისა, რომ თვინიერ ყოვლისა იქვისა უშიშად სამართალი იმაზედ გადასწყდება, ის დაიმტკიცება.

თუ ასეთი წერილი არ იპოება რა, მერე ჩვენ ამ ზემოხსენებულისავე შეკრებულების თანდასწრებით, რომელიც იმ ჟამის სამართალზე დადებული აზრი გვაქვს, ისე გარდასწყდება, და შემდგომ მის ჟამისა ისე უნდა აღსრულდეს.

და ამ სამს თვეს რადგან ნაფარეულში საყდარიც ნეკრესლისაგან არის ნაკურთხი და დღესაც იმას იხსენებენ, შეუცვალებელად ეს ასევე იყოს, ყოვლად სამღუდლო ნეკრესელი მოიხსენონ. და რაც თანამდებობა აქვსთ სამსახურისა, ისიც ნეკრესელს მსახურონ.

და ამ სამის თვის ვადაზე ქმნილი სამართალი ნაფარეულს თუ ალავერდელს დაანებებს, ნეკრესელს რაც სამს თვეში ნაფარეულიდამ მირთმევია, წმიდის გიორგის ეკლესიას მიართვას.

და თუ ისევ ნეკრესელს დარჩება, სამართალით ერთმანერთს გაუსწორდებიან და სადაო აღარ ექნებათ რა.

როგორც განგვისჯია, ეს ასე უნდა აღსრულდეს. ივნისის იბ, ქორონიკონს უობ, წელთა ჩღჰდ.

ბეჰელი: მე ფეხთ განზანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

1784 წ. 18 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5359. დედანი. ქალაღი. 30,8×16,2 სმ.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია.  
წერტილი.

ქ. ბატონისშვილის ვახტანგის ბძანებით ფალავენისშვილის ბიძინას და საყვარელიძე შოშიას სამართალში დავსხედით ჩვენ, მაჩაბელი ხუთასისთავი ზა[ზა], ხერხეულიძე უზბაში დავით და ფალ[ა]ვანდისშვილი უზბაში გოგია და ხერხეულიძე აღათანგი და ფალავენისშვილი ქაიხოსრო.

ესენი ვალაპარაკეთ. ბიძინას წანაღებიც ბევრი იყო წაღებულცი და საყვარელიძე შოშიასიც იყო ბევრი წაღებული. ამ[ა]ებს ერთმანეთში გამოვედით და გ[ა]ვასწორეთ.

შოშია საყვარელიძეს რომ დოიჯაშვილისთვის ამ[ა]თს თ[ა]ობაზედ თუთხმეტი კოდის პურის თამასუქი გამოურთმეგია, ის თამასუქი ისევ საყვარელიძემ ბიძინასა [და] დავითის ობლებს მისცენ და ბიძინამა შვიდკოდნახევარი პური დავითის ობლებს უნდა მისცეს.

ბიძინა რომ საყვარელიძეს შოშიას კაცის გაღახვას უჩიოდა და სიკედილსა, იმაშიაც შოშია გამართლდა, ვეღარას ეღავება. დღეს და დღეის უკან ერთმანეთთან საღაო და საღაპარაკო აღარა აქვთ რა. ივნისის იგ, ქორონიკონს უღბ.

ხელრთვა: ზაზა, დავით, გიორგი, ქაიხოსრო

ბეჰელი: აღათანი

თავში:

ქ. ჩვენ, ბატონისშვილი ვახტანგ, ამ განჩინებას ამ გზით ვამტკიცებთ, როგორც ქვემოთე წერილი აცხადებს. მთიბათვის იგ, ქორონიკონს უღბ.

ბეჰელი: ლომად იუღას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

## 156. ბანინება კიკოლა მათუნასშვილის სასისლო საქმეზე

1784 წ. 15 ივნისი

ცსა. ფ. 1448. № 801. დედანი. ქალაღი. 36,3X19,5 სმ. მარჯვენა ქვემო კიდე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილმძიმე, ერთი ან ორი წერტილი.

ქ. თუხარელს გოგიას ცუდს საქმეზედ სახლში მიხდომოდა მათუნასშვილი ყანჩეველის ბუში კიკოლა და ცოლშვილთან თუხარელი გოგია გაელახა. და მათუნასშვილს ეს არ ეკმარა. მეორეს დღეს კიდევ გოგია თუხარელისათვის თავში ხმალი ეცა, დიდათ დაეჭრა და მეორედ მკლავში ეცა და თუხარელის რამაზისთვისაც გვერდში ხმალი შეეცადა ხორცად ეწვია.

ეს ორნივე ძმანი დაკაფულნი ჩვენ, ამილახორ-მდივან-ბეგს იესესთან მოვიდნენ და მათი უბრალოდ ამოწყვეტა იჩივლეს. ჩვენ ამათი საჩივარი გავსინჯეთ და დაჭრილიცა ვნახეთ.

რადგან მათუნაშვილს ასრე სასიკვდილოთ ორნივე ძმანივე გამოემატა და დაეკაფა, ჩვენ ეს სამართალი მივეცით: რადგან მეტს ვერ შეიძლებდა, მეორე აზნაურშვილის სისხლი გაუჩინეთ — ოთხმოცდაათი თუმანი — ნახევარი ჯინში და ნახევარი თეთრი გოგიას უნდა მისცეს მათუნაშვილმა.

მოურაობისა სხვა იყო, მაგრამ ეს ვაკმარეთ. და რამაზას სისხლი სხვა განწესდება ასრე. ივნისის იე, ქორონიკონს უობ.

კასპის მოურაო ქარუმიძე ნინიავე და ზაალის-შვილო ნინიავე! ეს განჩინება როგორც განგვიწესებია, ეს ასე უნდა აღასრულოთ: რაც სისხლი დაგვიწერია, ახლავე უნდა მიაცემინ[ოთ, ნახევარი] ვეჯი და ნახევარი თეთრი\*.

## 157. ბანინება ჯრისხანისა და ჯარჯი იასანიას შვილების სახლების საქმეზე

საქმეზე

1784 წ. 15 ივლისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 19. საბ. № 91. პირი. ქალაღი. მხედრული.

[140v] ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ნიწა-მტვერს მელიქსავეტიქას და ქვეთხულებს. გორელი ჭრისტესიას და ქურქჩი ისაიას შვილების სახლების სამართალი გებძანათ. ამათი ლაპარაკი და წიგნები გავსინჯეთ. ჭრისტესიას

\* ბეჭდის ადგილი მოხეულია.

მამა და ბიძები ოთხი ძმანი ყოფილან: ერთს ძმას ქაიხოსრო რქმევია, ერთს ძმას ბაინდურ და ერთს ძმას გიორგი. რომ ეს გიორგი ამ ქრისტესიას მამა ყოფილა, ქაიხოსრო მეითარი ყოფილა და ზაალ თუშმალი. ამ ორთ ქალაქში სახლი უყიდნათ, მაგრამ ნასყიდობის სიგელში არც ბაინდურა სწერია და არც ამ ქრისტესიას მამა გიორგი სწერია.

ნეტარად ხსენებული პაპა თქვენი მეფე [141] ვახტანგ რუსეთს რომ წაბძანებულა, მეითარი ქაიხოსრო და თუშმალი ზაალ თან გაჰყოლიან. ქაიხოსრო გორს დარჩომილა და ზაალ თუშმალი ცოლშვილით გადაჰყოლიან.

ამ მიზეზით ისაღფაშის ფაშობაში იმათი სახლები საკელმწიფოთ ბეითალმანათ გაუხდიათ; და ხელმწიფის ბეითალმან-ჩისაგან ისაღფაშას თეთრით უყიდნია ეს სახლები და მეჩითის მაგიერად ქურქჩი იასაიასათვის მიუციათ; და ამათი სახლები მეჩითათ გაუკეთებია, რომ მო[ს]ტაბარი ჰუჯათები კელ[თ] უჭირავსთ.

ამ არზაში ბაინდურა რომ სწერია, იმ ხანათ იმისი შვილებიც გაათათრებული ყოფილან. რათგან იმათი მამის სახელი სიგელში არ წერილა, იმათთვის არ მიუციათ და ბეითალმანათ გაუხდიათ.

ამათი საქმე ასე არის და ბრძანება კელმწიფისა აღსრულდეს.

ივლისის იე, ქორონიკონს უობ.

ისაი ძე მიკირტუმ [v] თაყოანთი , მე, დავით   
ტერ-ისაია მოგახსენებ, რაც ამ წიგნში სწერია, ჭეშმარიტი  
არის ; მე, ნაზარბეგის შვილი ოსეფა, მოგახსენებ.

თავში:

ჩვენ, საქართველოს მეფე ირაკლი მეორე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. როგორც მელიქს და ქევთხუდებს უნახავთ და გაუსინჯავთ და მოუხსენებიათ, ამ სახლებთან ოსინას შვილებს საქმე არა აქვსთ რა. და სამართლით ქულქჩი ისაიას შვილებს დარჩათ. რადგანაც თავიანთ სახლის მაგიერად ყოფილა მიცემული.

მკათათვის ლა, ქორონიკონს უობ.



ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალი დადიანის ასული პატრონი დარეჯან ამ ბატონის ბძანებას ვამტკიცებთ.  
აკვისტოს ია, ქორონიკონს უობ.

## 158. ბასამურალო წიგნი სხაზანასი და თაჰასი

1784 წ. სექტემბრის დამდეგს

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 845. დედანი. 74,5×26,8 სმ. ქალაღი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა; მეოხებითა პატიოსანისა და ცხოველმყოფელისა ჭუარისათა და უფროსად ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწული მარიამისათა; ზეცის ძალითა ანგელოზითა, მთავარანგელოზითა მიქაელ და გაბრიელითა; ზეცებერთა და ქუეყნებერთა, რომელნი წმიდა სვინაქსარსა შინა ჰსწერიან ანუ მოიხსენებებიან, — ამათი მინდობითა, თავსდებობითა და შუამდგომლობითა ესე ამიერთგან უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი გასამყრელო წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, სტეფანამ შენ, ჩემს ძმას თაყას შვილთა შენთა და სახლისა შენისა ჩამომავალთა ყოველთავე, ასე რომე:

ჟამთა ვითარებისაგან მოხდა ჩუენში ლაპარაკი და ურთიერთისაგან გაყრა მოვინდომეთ, გავიყარენით სიყუარულით და გავშველდით. და რაც ყოფა, სიცოცხლე გვქონდა — თუ ჭინში და თუ ნაღდი თუ მამის ჩუენისეული და თუ ჩუენი მონაღვაწი — ყოველი გავიყავით, რომე არღარა დარჩა რა ჩუენში არც სადავო და არც სალაპარაკო, ძმობისა და სიყვარულის მეტი, არც ერთი იოტის ფასი.

და რაც ყმა გვეყანდა და გავიყავით, რომელიც შენ გერგო, იმისი ბარათები და ნუსხა შენთვის მომიცია და რომელიც მე გერგო, იმისი ბარათი და ნუსხა შენ ჩემთვის მოგიცია.

და ამ სიგელშიაღც ამისთვის განვატხადეთ, რომ ეგების ან ბარათი ანუ ნუსხა დაგვეკარგოს, ამ სიგლის ძალით კიდევ თავ-თავ

ვისი ყმა დავიჭიროდ და ურთიერთს არ წავეცილოთ არც ჩვენ და არცა ჩუენი შვილნი.

გერგო ყმა შენ, თაყას: სანაინელი ქარანთ საქოა მკალავი ოსეფას ფარდი, სანაინელი მენაბდე არუთენა მჭედლის შვილი ჯანოას ფარდი, სანაინელი წამალანთ ჯანოა მარტიროზას შვილი მიქელას ფარდი, სანაინელი პატარა არუთენა მიქელას ძმისწულების ხეჩოასი და პეტროზას ფარდი, სანაინელი საფარაშვილი გრიქორა ბქარდაძურელი ქურთიკაშვილი გიქოას ფარდი. საქირნახულოთაც მოგეცით სანაინელი ოჰანა.

პაცუტელი წარუქანთ ვართანაშვილები და სანაინელი აკოფაშვილი ზურაბა რომ კახეთს არიან, ესენი სამო გაუყრელი დაგვრჩა.

და ესრეთვე დაგვრჩა გაუყრელი ჩუენი მამული თუ ჩუენი მამა-პაპეული და თუ ბედნიერის მეფის ირაკლისაგან ნაწყალობევი დოლიკანთ მამული, თუ წყალი, თუ წისქვილი, თუ მიწა, თუ ვენახი. თუ სახლი, თუ კარი ყოველი ფერი მამული; ამისთვის, რომ ამ ჟამში ჩუენ ქალაქში ვიყავით; და ოდეს ჩუეუნს მამულზე წასვლა და დგომა მოვგიბდეს, ისიც მას ჟამს გავყოთ ან ჩუენ და ანუ ჩუენი შვილები.

და ბედნიერის მეფის წყალობის სიგელი და ოქმი ეს ორი წიგნი შენთან არის, მაგრამ ნაწყალობევი სამო არის.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან:

ჩუენი მღვდელი და მოძღვარი მოღწინის დეკანოზი მილდისი ტერაბრამა. სომხური ბეჭედი.

ჩუენი ბიძაშვილი შიოშის შვილი ბეჟანა. ბეჭედი: მონა ღთისა ბეჟან;

ყო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი უ თ რ უ თ ა ბ ე ჰ ე დ ი უ თ რ უ თ ა ; ი ე - გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ზ ა ა ლ .

და მე, ტერ-ოჰანას ძეს მცირეს ტერ-დავითს, ამ სიგლისა ორი დამიწერია ერთის მაზბუნით, რომ ერთი სტეფანესა აქუს და ერთი თაყას და მოწამეცა ვარ.

ხელთვა: ტერ-დავით

დაიწერა ესე გასამყრელო წიგნი სეკტენბერს დამდექს, ქორონიკონს უობ.

ნასირა შვილებისაგან მამა ჩუენს, ავთანდილას რომ ასლანას

სოფლის ნახევარი ეყიდნა, ნახევარიც ჩუენ ვიყიდეთ, რომ იმისი ორი სიგელი გუაქეს, ერთი შენთან არის და ერთი ჩემთან.

ქ. მე, სტეფანას ამ სიგლის ყაბული მაქ, ეს ჩემი ხელია.  
ბეჰელი: ს ტ ე ფ ა ნ.

## 159. ბანიინაბა ფალაგანდიშვილების მამულის გაყოფის საქმეზე

1784 წ. 8 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 26. საბ. № 270. პირი; აგრეთვე დავთ. № 31. საბ. № 62.

[206V] ერთობრივ ფალაგანდიშვილებს ბატონთან თავეთს მამულზედ ელაპარაკნათ. მათს უმაღლესობას ბატონს ამათის მამულის განსაზღვრა ჩვენ, ამილახვარ-მდივანბეგი იესესათვის ებძანა.

ჩვენ მივედით ცეროვნის[ს] და ჩვენთან დავისწარით ხუთასისთავი მაჩაბელი ზაზა, ავალიშვილი როსტომ, ფავლენიშვილი იესე, თაქთაქიშვილი იესე, თაქთაქიშვილი ივანე, ავალიშვილი ზურაბ, ხერხეულიძე ავთანდილ, ბედელაშვილი ავთანდილ, ცხინვალის მამასახლისი ღთი[207]სავარ და ფალაგანდიშვილები ვალაპარაკეთ.

საკომბლოების მცოდნე კაცი არა ყვანდათ და რომელიც თავთავისი ნებაყოფლობა იყო, საკომბლოები ასე გაუყავით: ცეროვნის[ს] ერეკლე ფალაგანდიშვილის ყმა კომბლი რვა; თამარაშენს ამისი ყმა კომბლი რვა; ცეროვნის[ს] ვახტანგის შვილი ბერის ყმა ხუციასვილი აზნაურიშვილით კომბლი ჩვიდმეტი; თამარაშენს ამისივე ყმა კომბლი ორი; ცეროვნის[ს] როსტომის ყმა კომბლი ერთი; თამარაშენს ამისივე ყმა კომბლი ორი; ცეროვნის[ს] ქაიხოსროვარდანიშვილის ყმა კომბლი ოთხი; თამარაშენს ამისივე ყმა კომბლი ორი; ცეროვნის[ს] უზბაში შვილის როსტომის ყმა კომბლი; ორი კიდევ ათის დღის მიწა თამარაშენს, ამისივე ყმა კომბლი ერთი; ცეროვნის[ს] რამაზაშვილის ყმა კომბლი ორი; ცეროვნის[ს] ბატონი კათალიკოზის ყმა კომბლი ერთი; ხუციასვილის ხოდაბუნის ოდენ[ი] ხოდაბუნ[ი] უნდა მიეცეს საერთოდამ.

ბერი რომ სამს კომბლს კაცს დაობს, თუ ხუციასვილი იორამ წადგეს თავისის ძმისწულებით<sup>1</sup>, დაიფიცოს. რომ ყაფ-

<sup>1</sup> ძმის წულბელებ.

ლანისაგან და ბარძიმისაგან მისცემოდეს და არც [v] სხვა სახლის კაცს საქმე არა ჰქონდაო. თუ ასე იფიცოს, ბერ[ს] დარჩეს; თუ ასე ვერ იფიცოს, და ეს სამი კომლი კაცი საერთო იქნება და ყველამ უნდა გაიყოს.

ხოდაბუნებზედ რომ ლაპარაკობენ, თავ-თავისი ბარათი და სა-ნათი მოიტანონ და თავ-თავისი ხოდაბუნი დაიჭირონ.

ზურაბ ბერს ამბროსის შვილის მამულს ედავებოდა. თუ ზურაბმა ბარათი და განაჩენი მოუტანოს, ზურაბს დარჩეს და ბერს საქმე არ ექნება. თუ ბარათი და განაჩენი ვერ მოიტანოს, ბერს დარჩება და ზურაბს საქმე არ ექნება. ენკენისთვის ვ, ქორონიკონს უოზ.

იასაულო ნაზირ-ბოქოულთხუცესო შე რ მ ა ზ ა ნ, მოურავო გ ლ ა ხ ა ვ, ჩ ი კ ო ი ძ ე ქ ა ი ხ ო ს რ ო! ეს განჩინება ასე ალა-

სრულეთ.



160. ბანჩინება ბერო ხომასურიძისა და ზაბალონის გავლის.

საქმეზე

1784 ჟ. 5 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10562. დედანი. ქალაღი. 39X24,5 სმ. და-ზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგისათვის მოეხსენებინა ზაბულონს და ამის შვილს სფირიდონს [მეჯ?] ვრისხევს სამის დღის მიწა მქონდაო, ბერ[რო] ხომასურიძე დამევაჭრაო, ნახევარი მიეპყიდეთ იმ მიწისაო, ამაში მთლივ სამის დღისა ჩაუწერიათ მწერალსაო, სამართალი მალირსეთო.

მის უგანათლებულესობას მეფის ძეს ვახტანგს ამათი სამართალი ჩუენ — საქართველოს მსაჯულშეკრებულთათვის ებძანა<sup>1</sup>. ჩვენ ბერო ხომასურიძე მოვაყვანიეთ [და] ვალაპარაკეთ.

ბერო ეპასუხებოდა: შენ წახველ, ქსნისკვეველს კაცს მეტი ფასი გამოართვი, ბატონის შვილს მოახსენე, ოქმი მოიტანე, ისევე და[ხ]სნევიანეთ. ამ ოქმის ამბავი რომ შევიტყვე, ჩემ[მა] შვილმა სიგელი წამოიღო ბატონის შვილთანაო. მე იასაული დამადგა, სიგელი კი არა მქონდაო და ბათილამის წიგნი გამომართვესო. ჩე-

<sup>1</sup>—ამათი სამართალი.

მის შვილისთვის ბატონის შვილს ოქმი ებოძაო — ეგ მიწა ამ ხომა-სურიძეს მოაბარეთო და ეგ ზაბულონ აქ სამართალში ჩამოვი-დესო.

ზ ა ბ უ ლ ო ნ ე პ ა ს უ ხ ე ბ ო და: მე რადგან საბატონის შვი-ლო ყმანი ვართო, ბატონის შვილს მოვახსენეთო, ისევე დავიხსენით შენგანაო, დახსნილზე მეორეთ რაღათ მედავებო.

ჩუენ, მსაჯულთ, ზაბულონს და ამის შვილს უთხარით: ეს სი-გელი თქვენის ნებით დაწერილა თუ არა? ზაბულონის შვილმა თქვა: ჩუენ არ გვითქომს მწერლისათვისაო, ტყულად დაუწერიაო და ამის მუჩალგასაც დაედებო.

ჩუენ ამის მწერალი მლუდელი ნ ი კ ო ლ ო ზ [მო]ვაყვანიეთ და ვკითხეთ: ამათის ნებით დაწერე ეს ნასყიდობის ს[იგელი] თუ არაო? ნიკოლოზ პირში წაუდგა: თქ[უენ მითხარო და თქუენის ნე-ბით დამაწერინეთო, უთქვენოთ როგორ დაეწერდიო], დიდათ...\* ტყუისო, [და ესეც] გვითქომსო, ნიკოლოზ მლუდელმა სამარ[თალს] წერილი მოართო, თუ მე ამაში გავმტყუნდეო, ამათის ნებით არ დამეწეროს, გარდამხდესო; კ მ ი ა დ ა შ ვ ი ლ ი ი ქ დაგვესწრო, ესენი რომ მაწერინებდნენო; ის დაიბარეთო, თუ ვტყუიო.

ჩუენ კმიადაშვილი დავიბარეთ. კაცს რომ ვგზავნიდით, ზა-ბულონის შვილი მოვიდა — სამართალში ვტყუიო, მართალია, ჩეე-ნის ნებით დაწერა მწერალმაო.

რადგან ასე გამტყუნდა, რომ თავის პირით აღიარა თავისი სი-ცრუვე, ეს მამული დარჩა ხომასურიძეს. ოქმებიც ვნახეთ ბატონის-შვილისა, ქსნისკეველი კაციც მოვაყვანიეთ, რომელსაც მასუკან ეყიდა და შევიტყვეით, რომ მეტის ფასისათვის ექნა ნასყიდობის მოშლა, სხვა არა ყოფილა რა. თუ ეს მამული ეკლესიისა არ არის, ზემორე მოხსენებულისაებრ დარჩა, ველარ გამოართმევს.

და მუჩალგა რომ დადო, მწერლისათვის მე არ მითქომსო და მლუდელს სიცრუვით სდებდა, უნდა თორმეტი თუმანი გამოერთოს.

ემიკადასბაშო ი ვ ა ნ ე! ეს მამული ახლავ მოაბარე და თორ-მეტი თუმანიც წა[ა]რთვი ზაბუ[ლონის] შვილს ამისთანას სიცრუ-ვისათვის. ნოე[მ]ბერს ე, ქორონიკონს უოზ.

რომე[ლიც] მლუდელს სიცრუვით სდებდა სამართალში და თვით გამტყუნდა, უნდა იმ მლუდელსაც პასუხი გასცეს სამართლით.

\* აკლია ორი სიტყვა.

ოთხი ბეჭედი:

1. ღთაღ კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა მ ი ძ ე ს ა  
ნ ი კ ო ლ ო ზ .
2. მ ზ ე ქ ა ბ უ კ
3. მონა ღთისა მღივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ .
4. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

თავში:

ქ. ჩუენ, საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, ამ საქარ-  
თველოსთ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. ნოემბერს... ქორონი-  
კონს უობ.

ბეჭედი: ღომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

ნოგბარდა ერთობრივ ხომასურიძეებს, — რომელიც ხსენე-  
ბული [მამული] იყო ამ ხსენებულს განაჩენშია ძაბილო[ნის შეილის]  
და ვ ი თ ი ს ა გ ა ნ, — ქ ი ტ ე ს ა ს ა, ნ ი ნ ი ა ს და გ ა ბ რ ი -  
ე ლ ს — ერთობრივ [თქვენს] სახლობას. აღარა რა დარჩომილა ჩვე-  
ნი შენთან... \* თხოვნით და მოწამეც ვარ ამის.

## 161. ბანიჩინაბ სოლომონ I-ისა ჟაროსრო წარათლისა და გოგია

ჯაფარიძის საქმეში

1752—1764 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1142. დედანი. ქალაღი. 34,5×15,5 სმ.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ჩოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია  
წერტილი ან ორწერტილი.

ქ. დაბძანდა ბატონი მეფე სოლომონ, გენათელი  
ბატონიშვილი იოსებ, ერისთავი როსტომ და სულ  
მთლათ მეფის დარბაისელნი. წერეთელი ქა[იხოსრო] და  
გოგია ჟაფარიძე გავაბქვეთ.

გოგიამ უჩივლა წერეთელს: ბუში გამიყიდე, მძი ცოლი  
და სამი მისი შვილი, და ამას გარდა შვიდი მტყვე სხვა, და ბიცო-  
ლას გამოთრევა.

წერეთელმა უპასუხა: ბიძაშენი სულთან. ერის-  
თვის კაცი იყო. ერისთავი მიწყრებოდა და მემტერებოდა და  
ერისთვის მტერობისათვის აღარც ჩემი და მოვირიდე, დავყიდე რაც  
მისი იყო, არ იდევა; რაც სულთანის იყო, ერისთვის მტერობით  
დაეყიდა და არ იდევა.

\* სტრიქონნახევარი გადასულია და არ იკითხება.

და ბუშის ძმას აშორო უთხრა: «ის შენი ძმა ბუში არცა ვის შენთვის მოეცეს, არც შენი კაცი ის ყოფილიყოს; ქვე რომ დავეიდე მაშინ, არც მისით მოგსლოდეს, არც მაშინ შე[ნ]თვის ყოფილიყოს, მე რომ ის დავეიდე».

აწ ასე გავაჩინეთ: ამაზე წერეთელმა ჯაფარიძეს შუბზე კაცი გამოატანოს; და თუ შუბმა ამართლოს, არას ემართლება. თუ ამტყუნოს, რათაც გაყიდულა — აჯით ფასი; და სულთ რომ გათათრებულა, რაგვარიც კაცი იყოს, სისხლი მისცეს წერეთელმა ჯაფარიძეს. თუ ჯაფარიძე შუბმა ამართლოს, რაც სამართლის წიგნმა გაუჩინოს, ისე მიეცეს\*.

წერეთელმა უჩივლა ჯარუა ჯაფარიძეს: მუჯირი გამიყიდეთ.

ჯარუამ ვერ დაიუარა გაყიდვა: მარა მეფის გაურიგებელი იყავი, შენმა კაცმა თოფი მესროლა და მაშინ ვიშოვნე იმ გაურიგებლობაში და გაგიყიდე.

წერეთელმა უპასუხა: მე ბატონის გარიგებული ვიყავი, ისე გამიყიდეთ.

ჯარუამ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: ოცდაათნი კაცი ჯარუამ წერეთელს ასე შეაფიცოს: «რაც აშლილობაში არ გაგიყიდე, მაშინ შენ ბატონის ჩემის გარიგებული შენ არ ყოფილიყოს». თუ ასე თავი უმართლოს, მტერობაში გაუყიდი, თოფიც უპროლიათ და არას ემართლება. თუ ვერ უფიცოს, ან ფიცმა ამტყუნოს — აჯით ფასი; და სულისათვის რომ გათათრებულა, მუჯირი ყოფილა და სისხლი მისცეს წერეთელს ჯარუამ.

ბეჰლი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

verso: ქაიხოსროს წერეთლისა და გოგია ჯაფარიძის გა[ნაჩენი].

## 162. ბანდინეა სოლომონ I-ისა ნიჟარაძეთა გაყოფის საქმეზე

1762—1784 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9799. დედანი. ქაღალდი. 33×21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება სოლომონ I-ის ზეობის წლებით.

ქ. კაცია ნიჟარაძის შვილები, ნიჟარაძე პატას შვილი კაცია, მისი ბიძა ქაიხოსრო, ზაალ, თეიმურაზ და ბეჟან გაიყო და გვეყავით.

\* ეს წინადადება მიწერილია კიდევ ტექსტის ხელით.

ზაალ საშუალო იყო და საშუალო ერგო — ხ ა ხ უ ტ ა გ უ-  
ბ ე ლ ა ძ ე მოსახლობით.

ქ. აზნეურშვილი მამის თვალი დიდძელ მისის ყოფა-  
ცხოვრებით, თამაზელა ლიონიძე აძევს.

ქ. მსახური კაცია ოტიეშვილი და კინკილი მოსახ-  
ლობით და ადგილ-მამულით.

ქ. ტყეშელაშვილი დავითელა მისი ცოლშვილით  
და ყოფით.

ქ. თანდილა კეპულაძე, ნიკოლოზა და იესე-  
ლა მათის ყოფა-ცხოვრებით.

ქ. მახარია გუბელაძე და მისი გიორგელა მათის  
ყოფა-ცხოვრებით.

ქ. ხახუტელა კოპეშავიძე და მისი ბიძაშვილი ბუ-  
ჭუელა და მისი ძმები ყოფა-ცხოვრებით.

ქ. მამუკელა სვანიძის შვილები და მახარიკა  
და ბიბილეიშვილები გიორგელა და კაცოელა  
ყოფა-ცხოვრებით.

ქ. ივანიკა და ნასყიდელა ჯოხაძე ყოფა-ცხოვ-  
რებით.

ქ. გაბრიელა გამიგონეიშვილი ყოფა-ცხოვრებით,  
მისი ძმა სიმონიკა.

ქ. აღდგომელა გოგისვანიშვილებიანათ მო-  
სახლობით და [ადგილ-მამულით].

ზეპელი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

## 163. ბანინება სოლომონ I-ისა ქაიხოსრო ავიაშვილისა და

ნიჰარაქათა მამულის საქმეზე

1752—1784 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9800. დედანი. ქაღალდი 35,5×10,6 სმ. მხედ-  
რული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება სოლომონ  
I-ის ზეობის წლებით.

ქ. დაბრძანდა ბატონი მეფე სოლომონ ღვთის შიშს  
ქვეშ და დარბაზის ერნი თან იახლენ. ა გ ი ა შ ვ ი ლ ი ქ ა ი ხ ო ს -  
რო და ნ ი ე რ ა ძ ე ნ ი გ ა ვ ა ბ ჰ ვ ე თ .

ნ ი ე რ ა ძ ე ნ მ ა უ რ ი ვ ლ ა : ჩ ვ ე ნ ი მ ი წ ა - წ ყ ა ლ ი გ ა ქ ე ს და  
გ ვ ა რ თ მ ე ე .



აგიაშვილმა და ნიჟარაძენმა ორივემ ბატონის კაცები წეიტანეს: ნიკალაოს წმიდელი მთავარეფისკოპოსი სილივიისტრო, წულუკიძე გიორგი, თამაზა მესხი და სხვანიც. ნახეს ის ალაგები, შამოუარეს, სამნებიც ნახეს და დათაჯეს.

აგიაშვილმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ქაიხოსრო აგიაშვილი თავათ და ხუთი თავის ტოლი კაცი თან ჩეიტანოს და ასე უფიცოს: «ახლა მერომ ბატონის კაცებს ალაგი უჩვენე და შამო[ვ]არონიე და თაჯი ვაკროვინე, ამას აქეთ არც საჭილაო მიწა-ალაგი იყოს, არც იმანზე ნიჟარაძეს ეფიცოს, რაც საციხისთაო არ არის, სხვას კაცს იმაში ხელი არ ქონდეს».

თუ ასე უფიცოს, ის ალაგი აგიაშვილს დარჩეს. თუ ვერ იფიცოსდა, რაზედაც ნიჟარაძეს თაჯი უკრავს, იმას იქეთ ნიჟარაძენს ქონდეს.

ბეჰელი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

#### 164. ბანინება სოლომონ I-ისა პაპუნა წარეთლისა და ღვით აბაშიძის მამულის საქმეზე

1752—1784 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1183. დედანი. ქალაღი. 24,5×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახპარია წერტილი ან ორწერტილი. საბუთი თარიღდება სოლომონ I-ის ზეობის წლებით.

ქ. დაბრძანდა თავად ბატონი მეფე სოლომონ და დარბაისელნი მის სიმალღეს იახლენ წერეთლის პაპუნას და სალთხუცის აბაშიძის დავითის სამართალში.

სალთხუცესმა უჩივლა: მამაშენმა მიწა და ალაგი წაგვართვა კულბეშაური, გარდაგვიჩხეს ტყე და ქართველები და[ა]სახლა ამ ჩვენს ალაგზე.

პაპუნა წერეთელმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს პაპუნამ თორმეტი აზნაურშვილი ასე შეაფიცოს: «სამზღვარს აქეთ არც საქავთარაძე იყოს, არც მამაჩემს წაერთმიოს, არც პაპასა და მამაშენს და შენ იმ კოლბეშაურს ალაგში ხელი გქონდეს». თუ ასე უფიცოს წერეთელმა, მისი ყოფილა და სალთხუცესი ვერას შეუვა. თუ წერეთელმა ვერ უფი-

ცა, სალთხუცის ყოფილა ის ალაგი და მას დარჩეს. რომელიც კაცი იმ ალაგზე წერეთელს ესახლოს, გადაცალოს.

ბეჟელი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

ზინაწერი: პაპუნა წერეთლისა და დავით აბაშიძის განაჩენი.

## 165. ბანინება სოლომონ I-ისა პაპუნა წერეთლისა და საჩინო

ბარათაშვილის საქმეზე

1762—1784 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1147. დედანი. ქალაღი 33X11,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება სოლომონ I-ის ზეობის წლებით.

ქ. დაბრძანდა ბატონი მეფე სოლომონ და დარბაზის ერნი თან იახლენ. ღვთის შიშს ქვეშ წერეთელი პაპუნა, ბეჟანი და ბარათაშვილი საჩინო გავაბჟვეთ.

საჩინომ უჩივლა: ასი ფლური გემართა ჩემი, ასი მარჩილი კი მომეცი<sup>1</sup> და ასი ისევ გმართებს.

პაპუნამ უპასუხა: მართალია, ასი მარჩილი გემართა შენი, ვარს არ გეუბნებოდი<sup>2</sup>, გაძლევდი; ჩემს სახლში იყავი, კარგად დაგვხდი<sup>3</sup> და გამოგისტუმრე. შემოგეყარა ჩემი აზნაურისშვილი და ცხენი, იარაღი წაართვი და კაცი გაგლეჯილი წაგივიდა. ამას აღარ დამაჯერე. ურია გავაგზავნე რაჭას, ორ მტყვევ თათარი წავატანე გასაყიდლად და ასი მარჩილი თეთრი. დახვდი წინ, მტყვევ[ე]ებიც წაართვი, თეთრიც და ურიას ოთხმოც მარჩილად თავი და[ა]ხსნე-ვინე.

საჩინომ აშორო უთხრა:

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს საჩინომ ერთი კაცი და ასე შანთი გაუგდოს: «არც შენი აზნაურისშვილი გამელახოს, არც ცხენი წამერთმიოს, არც შენი ურისათვის თეთრი წამერთმიოს და არც თავი დამეხსნევენების, არც ერთი მტყვის მეტი წამერთმიოს».

თუ ასე შანთი გაუგდოს, საჩინოს<sup>4</sup> რომ მტყვევ წაუყვანია, წერეთელმა დაიაჯოს და საჩინომ ვალში ჩეიგდოს. და სხვა რაც თეთრი მეტი მოვიდეს, მთავნი და მთავნის ტოლი მისცეს წერეთელმა.

თუ შანთი ვერ გა[უ]გდოს, როგორც სამართლის წიგნმა თქვას, ისე გარდოუხადოს წერეთელს საჩინომ.

ქ. საჩინომ უჩივლა: რუა სული ჭოხონელიძე წამართვი, ბეურჯერ გთხოვე და არ მომეცი.

1 მომეცი. 2 გოუნებოდი. 3 დაგვხდი. 4 საჩინოს.

პ ა პ უ ნ ა მ და ბ ე ქ ა ნ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ე ს.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს წერეთელმა ერთი კაცი და ასე შანთი გაუგდოს: «შენი კაცი რომ გვთხოვე, მას აქეთ არც მამაჩემს, არც ბიძაჩემს, არც ჩვენ და ჩვენს კაცს ჩვენი შეტყობით არ დაგვეკავებოთ, არც დაგვეყენებოთ».

თუ ასე შანთი გაუგდოს, არას ემართლება. თუ ვერადა, მკვდარი და ცოცხალი ყუელა სრულად მისცეს წერეთელმა საჩინოს.

ქ. წ ე რ ე თ ე ლ მ ა უ ჩ ი ვ ლ ა: ზ ი ბ ზ ი ბ ა ძ ი ს შვილი გამოიყიდე. საჩინომ ვერ ივარა.

ამისი ასე გავაჩინეთ: ხორცის ფასი აჯით მისცეს და სულის — სისხლი.

ქ. წ ე რ ე თ ე ლ მ ა შინ მოხდომა და თავისი ცხენის წართმევა უ ჩ ი ვ ლ ა.

ს ა ჩ ი ნ ო მ უ პ ა ს უ ხ ა: აფხანაგის პირობაზე აფხანაგის ცხენი წამოვიყვანე.

წ ე რ ე თ ე ლ მ ა ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს წერეთელმა ოცდაოთხი აზნაურისშვილი და ასე შეაფიცოს: «ჩემს მეტს კაცს იმ ცხენში ხელი არ ქონებოდეს». თუ ასე უფიცოს, დიდი კაცი არის სარდალი; და ცხრა ქესა თეთრი მისცეს და ან ხელათმქნელათ მიეცეს, ვინც რომ ცხენის წაყვანაზე ახლდა იმიანად.

ბეპელი: მეფე იმერეთისა ს ო ლ ო მ ო ნ.

## 166. ზანჩინება სოლომონ I-ისა ჭაიხოსრო აზიაშვილის სასისხლო

საქვეზე

1752—1784 წწ.

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 71. პირი. ქალაღი. მხედრული. საბუთი თარღდება ს ო ლ ო მ ო ნ I-ის ზეობის წლებით.

ქ. დაბრძანდა თავად ბატონი მეფე ს ო ლ ო მ ო ნ და რაჭისა და იმერეთის ერისთავი როსტომ და დარბაზის ერნი და აზნაურშვილნი თან იახლენ ა გ ი ა შ ვ ი ლ ი ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს საჩიეღში.

ბ ე კ ო მ უ ჩ ი ვ ლ ა: შენი ძმა იყო უფროსი ვ ა ხ ტ ა ნ გ, ჩემიც ძმა იყო და ბატონიც. შენთან აღარ ვიყავ. ამ ჩემს ძმასთან ვიყავ. მე არ დავესწარ. შენ და შენმა კაცმა მოკალი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო მ უ პ ა ს უ ხ ა: მართალია, შემოგვაკვდა; მაგრამ არც პირველ განმიძრახავს მისი სიკვდილი და მდომია, არც იმ

[დ]ღეს პირმილმა შემიტოვებია, არც მანამდის მან ლეკური არ შემომკრა, მე უწინ ჯოხი დამიკრავს, არც ჩემი სიტყვით და აზარათიანებით იმ ღღეს ვახტანგისათვის ჩემს კაცს თოფი არ ესროლოს.

ამ სიტყვის ასე გავაჩინეთ: კათალიკოსთან და ეფისკოპოსებთან და მის კრებასთან მივიღეს-ქაიხოსრო და მათ განიკითხონ და მათთან გამართლდეს.

სიკვდილით რომ მის ჩხუბზე მომკვდარა, სისხლი მისთვის გავაჩინეთ რვა ქესა. მარა ასეთი დრო და ჟამია, რომ შეძლება არ არის. ამისთვის ნახევარი ხელმწიფემ, ერისთავმა და დარბაისელმან იპატივა. ოთხი ქესა თეთრი უნდა მისცეს: ორი ქესა თეთრი და ორი ქესის ღირებული რაც იქნეს.

თუ კრებაში თავი ვერ იმართლოს, რასიც ღირსი იყოს, ხელმწიფემ და ეფისკოპოზმა გაარჩიოს. ოთხი ქესა მაინცდამაინც ბეკოს და ვახტანგის ობლებს უნდა მიეცეს.

|   |
|---|
| დავითის ნორჩი ხვითთ<br>მტერს მოვრჩი<br>მეფე სოლომონ |
|---|

**167. ბანიენა სოლომონ I-ისა პაპუნა და ბეჟან წარეთლავის  
უხუცის საქმეჯი**

1752—1784 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1149. დედანი. ქალაღი. 42,3X13 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება სოლომონ I-ის ზეობის წლებით.

დაბრძანდა ბატონი მეფე სოლომონ, ბატონის შვილი გიორგი, უფლისწული ბატონის შვილი ალექსანდრე და დარბაისელნი თან იახლენენ პაპუნა წერეთლისა და ბეჟანის სამართალში.

ბეჟან უჩივლა: ბებიაჩემს თავისი ნამზითვით ნაყილი თექვსმეტი გლეხი ყავდა; სიცოცხლეში ჩემთან იყო, მე უარდი; მოკვდა და მე დავმარხე და მისი გლეხები დამიტევა.

პაპუნამ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს პაპუნამ რუა აზნაურისშვილი და ასე უფიცოს<sup>1</sup>: «ბებიაშენის ნამზითვით და არც სათავისთაო სა-

<sup>1</sup>უფიცოს.

ქონლით ნაყიდის კაცების არ იყოს, რაც საწერეთლო კაცები საერთო არ არის».

თუ ასე უფიცოს, საერთო ყოფილა და შვაზე გაიყონ. თუ ვერ უფიცოსდა, სიცოცხლეში ბეჟანთან ყოფილა, მკვდარიც მას დაუმარხავს, კიდევ მიუტეგია და ბეჟანს ყავდეს ის გლეხები.

ქ. პ ა პ უ ნ ა მ უ ჩ ი ვ ლ ა : კ ა ც ი ნ ი კ ი ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ჩემი დახსნილი არის სამას მარჩილად.

ბ ე ჟ ა ნ უ პ ა ს უ ხ ა : ჩემი საზიაროთი დახსნილი არისო.  
პ ა პ უ ნ ა მ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა .

აწ ასე გავაჩინეთ: სამი აზნაურისშვილი შეაფიცოს პაპუნამ: «შენი საზიარო და საერთო და მამის შენის კაცინიკში მამაჩემს არაფერი გავდოს».

თუ<sup>1</sup> ასე უფიცოს პაპუნამ, ბეჟან თეთრში შეუდგეს ნახევარში და კაცი ზიარად ყავდეს. თუ თეთრში ბეჟან არ შეუდგეს, კაცინიკი შეიღებინა პაპუნას ყავდეს<sup>2</sup>.

ქ. ბ ე ჟ ა ნ უ ჩ ი ვ ლ ა : ქ ა ქ უ ც ა მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ს მეფის თეთრი ემართა, უწყრებოდა, თეთრის მიცემა ვერ შეიძლო. მამაშენმაც დასტური მიიხრა, მეფეს ნახევარი ქესა მივართვი და კაცი ჩემია.

პ ა პ უ ნ ა მ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა .

აწ ასე გავაჩინეთ: თორმეტი გლეხი კაცი ასე შეაფიცოს: «მამაჩემს<sup>3</sup> მარტო შენთვის ქაქუცას დახსნის დასტური არ მ[ი]ეცეს».

თუ ასე პაპუნამ<sup>4</sup> სამართალი მისცეს, ნახევარი თეთრი პაპუნამ მისცეს და კაცი ზიარად ყავდეს. თუ ვერ უფიცოს, მამამის დასტური უთხრობია, მეფისთვის თეთრი მოურთმევია და ბეჟანს ყავდეს ქაქუცა.

ქ. პ ა პ უ ნ [ ა მ ] უ ჩ ი ვ ლ ა : ეს ჩემი კაცი ლეჟავას თავლები იყო მეფესთან და იმაში გამეყიდა, ის ლეჟავა ამ მიზეზში შენ გყავს.

ბ ე ჟ ა ნ ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა .

აწ ასე გავაჩინეთ: თორმეტი გლეხი კაცი ასე შეაფიცოს: «რაც ბატონმა მისმა წყალობად არ მისცა, ჩემს ძმას ქაქუცას სადღოს და ვალში ჩემ ძმას ის არ ყავდეს და არც ჩვენ».

თუ ასე სამართალი მისცეს ბეჟანმა, კაცი ვისაც ყავდეს, სწორად იდგონ. თუ ვერ იფიცოს, კაცი ორივე[ს] ზიარად ყავდესყე და თეთრში ნახევარში პაპუნა შეუდგეს ბეჟანს.

ბეჟალი: მეფე იმერეთისა ს ო ლ ო მ ო ნ .

<sup>1</sup>+თუ. <sup>2</sup>ყვანს. <sup>3</sup>მამაჩემი. <sup>4</sup>+ასე.

168. განჩინება სოლომონ I-ისა კიკოლა მავაპარიანისა და  
ხოსიკა თავძარაშვილის სასისხლო საქმეზე

1762—1784 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13770. დედანი. ქალაღი 23,3X11,8 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია თითო ან ორწერტილი. საბუთი  
თარიღდება სოლომონ I-ის ზეობის წლებით.

ქ. კიკოლა და ხოსიკა თავძარაშვილი გავა-  
ბჰვეთ.

ხოსიკამ უჩივლა: მამაშენი ჩემი მოურავი იყო. მომიხ-  
და შინ, მეც მომთხარა და გლენიც მომიმთხარა. და ამავების დანაკარ-  
გის ანაწერიც მოუტანა.

მაჰავარიანმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: მჰავარიანმა ერთს კაცს ასე შანთი გაავღე-  
ბიოს: «რაც! თავისმა მოურავმა გოგისა ჟღენტმა არ წა-  
მოიტანა, მამიჩემის პირიქეთ რჩევით შენ არაფერი დაგმარცხე-  
ბოდეს». თუ შანთმა ამართლოს, არას ემართლება.

თუ შანთმა ამტყუნოს, თავძარაშვილს რაც ანაწერში ეწეროს[ს],  
დახსნილში რაც გაეღოს ისიც, გაყიდულის სულის სისხლი, ხორცის  
ფასიც მისცეს. და დანაკარგი რაც ქონდეს, ერთიორად მჰავარიანმა  
თავძარაშვილს მისცეს.

ბჰველი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

169. განჩინება სოლომონ I-ისა ღავით წარეთლისა და ბეჰიკა  
ცჰინიშვილის სასისხლო საქმეზე

1752—1784 წწ.

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 944. დედანი. ქალაღი 43X17,5 სმ. მხედ-  
რული განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახპარია ერთი  
ან ორი წერტილი.

ქ. დაბრძანდა თავად ბატონი მეფე სოლომონ და დარ[ა]-  
ბაისელნი თან იახლენ დავით ხუცესს წერეთლის და ბე-  
ჰიკი ცჰიტის შვილის სარჩიელში.

დავით ხუცესმა უჩივლა: ძმებიან-ყმიან-თავიან გამწყ[ვ]იტეო  
და ყველას ცხედრები ამოიტანა.

ბეტიკმა იჩივლა: ბატონმა ჩემ[მა] პარტახი მიბოძა ტაბატაძისე-  
ული, იმის ალაგს ვმუშაობდი<sup>1</sup>, მ[ო]დით და მეჩხუბეთ<sup>2</sup>.

დავით ხუცესმა აშორო უთხრა.

აწ ასე გვაჩინეთ: წამოდგეს თავათ დავით ხუცესი, ოცდასამი  
თავისი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს, ასე დაუფიცოს: «ის ალაგი, შენ  
რომ ბატონმა პარტახი გიბოძა ტაბატაძისეული, იმ ალაგის არ ყო-  
ფილიყოს, არც უმალ მე შენთვის მეჩხუბებინოს, არც მე და  
არც ჩემს კაც[ს], [ა]რც ძმას\*»; ჩემის და ჩემის კაცის მეტის სადაო ის  
ალაგი ყოფილიყოს; შენ რომ აღ[ა]გში ამომწყვიტე, ჩემი და ჩემის  
მეტის კაცის არ ყოფილიყოს». თუ ასე დაუფიცო[ს], რაც რომ  
მომკვ[ვ]დარა, სისხლი მისცეს. ხუცესი რომ დაჰრილა, მისი სამარ-  
თალი რაც ქუთათელმა თქვას, ის უნდა მისცეს. რომელიც დაჰრი-  
ლია, ქერის მარცვლით დაუნმანონ, რამდენი ქერის მარცვალი  
დაეტიოს, იმდენი ხარი მისცენ.

დავით ხუცესი ფიცი არ იქნება, ომფ[ო]რით და ოლარით შეჩვე-  
ნება აიღოს. თუ დავით ხუცესმა ვერ გაუშართლდეს, რავარც ზეით  
დაგვიწერია, მკვ[ვ]დარის სისხლი მისცეს. დაჰრილის რამდენი ქერის  
მარცვალი დაეტიოს, იმდენი ხარი მისცეს.

ამას ჩამოღმა რაც ან ბატონისაგან ამ საქმეზე წართმევია ან  
ამხანაგისგან, ყველა დავით ხუცესმა გარდაუხადოს; და ეს აზ-  
ნაურმა ივანე მერკვილაძემ შეასრულოს.

ბეჟელი: დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი მეფე სო-  
ლომონ.

## 170. ბაჩინება სოლომონ I-ის ვახუშტი ჩიჯავაძისა და

ერისთვისშვილების მავალის საგაზე.

1701—1794 წწ.

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუხ. საბ. № 623. დედანი. ქალაღი. 29×11,5 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახარია თითო  
წერტილი. საბუთი თარიღდება დავით კვიციანიძის მღვიანებულის  
პირველი და სოლომონ I-ის ზეობის უკანასკნელი წლებით.

ქ. ერისთვის მოშითას შვილი გიორგი და მისი  
ზიძის შვილები და ჩიჯავაძე ვახუშტი გავამჟღავნებ.

ერისთვის შვილებმა უჩივლა: ბატონის მეფის ბოქოული მო-  
იყვანე, ადგილები დაგვიკავე.

ვახუშტიმ უპასუხა: ძველთაგან თქვენი და ჩემი ძველის სამანი

<sup>1</sup> მემუშაობდი. <sup>2</sup> მიჩხუბეთ.

\* „უმალ... ძმას“ ჩაწერილია სტრიქონს შუა.

რყო. ბატონმა მეფემ სოლომონმა მოიკითხა, ძველი სამანი ნახა და თარჯიც აკვრევიან: ჯერ ბატონს ქონდა და მას უკან როცა ღმერთმან წყალობა მიყო, ბატონმა შემეწყნარა, ჩემი სამკვიდრებელი სხვაც მიბოძა; და ისეც მართალია, ბატონის ბოქაულს ეს დავაკავებინე.

ერისთვის შეილება აშორო უთხრეს.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ერისთვის შეილება ოცდაოთხი აზნაურ[ი]შვილი და ოცდაოთხი გლეხი კაცი და ასე შეაფიცოს: «შენ რომ სამანს გვეუბნები, არც ძველათ, არც ახლათ ის სამანი შენი სამანი არ ყოფილიყოს, არც მეფე სოლომონს წაერთმიოს, არც ძველად, არც ახლათ ამ სამანსა და ჭადარს შუა არც ჩიჯავადის გვარისკაცის ყოფილიყოს, არც საჩინოს მეპატრონე ვინც ყოფილიყოს და მათი კაცი, არც იმას ქონებოდეს, კიდევ ჩვენი სამკვიდრო იყოს და ჭადარს აქეთ არც არაფერი ხელობა თქვენ გქონდეს». თუ ასე უფიცონ, ჭადარს აქეთ ადგილი ერისთვის შეილებს დარჩეს. თუ ვერ უფიცონ, სამანს იქეთ ადგილი ჩიჯავადეს დარჩეს.

მათშიდ ჩიჯავაძე პარტახებს დაედავა. მაგრამ ისევე ჩიჯავაძემ უთხრა: ჩვენ დავჯდეთ სამართალშიდ, ჩვენი კაცები ვალაპარაკოთ და ისე მოვრიგდეთო. თუ მორიგდენ, თავისთვის კარგი იქნება. თუ არა, ისევე მოდგენ მეფის კარზედ და ჩვენ გაუჩინთ სამართალს.

ორი ბეჭედი:

1. მეფე იმერეთისა სოლომონ
2. მდივანი დავით.

## 171. განჩინება სოლომონ I-ისა ეფთვიჲმ განათლისა და აზიანვილუბის მამულის საქმეჲ\*

1776—1784 წწ.

ცსა. ფ. 1448. საბ. № 2280. დედანი. ქალღრ. 32,4×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. საბუთი თარიღდება ეფთვიმე გენათელის ზეობის პირველი და სოლომონ I-ის ზეობის უკანასკნელი წლებით.

ქ. ყოვლად სამღვდელო გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, აგიაშვილი იოვანე და მისი ძმები გავაბჰვეთ.

გენათელმა უჩივლა: საბანელა დავთარშიდ მიწერია, იქ ნამოსახლის კაცის მიწას მართმევ და მედევები. დავთარიც მოიტანა; დავთარშიდ სწერია საბანელა შეწირულებით.

\* გვეუბნები.

\* შტრ. № 172 საბუთს.



აგიაშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: ოცდაათის გლეხი კაცი ასე შეაფიცოს ბატონს მეფეს, რომ საზღვარი უნახავს, იმ საზღვარზედ გაიაროს, ასე უფიცოს: «ეს ადგილი და მიწა არც საბანელას მიწა იყოს, არც შე[ნ]ის ეკლესი[ი]ს გელათის დაეთარშიდ ეწეროს, არც გელათისათვის ვისმე შეეწიროს».

თუ ასე იფიცა, ადგილი აგიაშვილს დარჩეს. თუ ვერ იფიცა, ადგილი გენათელს დარჩეს. იმ ადგილის საზღვარი ბატონმა მეფემ და მისმა დიდებულებმა რომ ნახა, — საბანელას ხიდი, ხიდს გაღმა ზღვარი და ჭიშურას ხიდი არის, — ამას დაბლა ხელი არა აქვს აგიაშვილს.

ორი ბეჭელი:

1. მეფე იმერეთისა სოლომონ
2. არ ირჩევა.

ქ. ამაზედა სამართალში პირველ შამორებულზედ აგიაშვილმან ადგილი მოუმატა. ბატონმა მეფემ თვითან დაიარა ის ადგილი და ამისი ასე გააჩინეს: ზეით რომ ოცდაათი გლეხი კაცი სწერია, იმიანათ ოთხმოცი გლეხი კაცი თავათ კაცია ჟორჟოლაძეს და ერთს სხვას აზნაურსშვილს თან ჩაატანოს და ჭიშურას ხიდიდამ ზღვარზედ გაიაროს, ბატონმა რომ დღეს თარჯებზედ გაიარა, იმაზედ გაიაროს, ზეით შარაზედ გაიაროს გაქრილს კლდემდის და ასე შეფიცოს: «ეს ადგილი მისდღემხიდ არც გელათის დაეთარის ყოფილიყოს, არც საბანელას მიწა ამაშიდ იყოს, არც გელათის ყმის ყოფილიყოს, არც გელათს და მის კაცს ამ ადგილშიდ ხელი ქონებოდეს». თუ ასე უფიცა, ადგილი აგიაშვილს დარჩეს; თუ ვერ იფიცა, ადგილი გელათს დარჩეს.

ბეჭელი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

## 172. განჩინება სოლომონ I-ისა ეფთვივე განათილისა და

ივანე აგიაშვილის მამულის საქმეზე

1776—1784 წწ.

ქუთ. სახელმწ. ისტ. ეთნოგ. მუზ. საბ. № 1728 ა. დედანი. ქალაღი. 29,7X11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საბუთი თარიღდება ეფთვივე გენათელის ზეობის პირველი და სოლომონ I-ის ზეობის უკანასკნელი წლებით. ეს საბუთი ზოგიერთი ცვლილებით № 171 საბუთის განმეორებაა.

ქ. გენათელ მიტროპოლიტი ეფთვივე და აგიაშვილი ივანე გავაბეჭვეთ.

გენათელმა უჩივლა: ს ა ბ ა ნ ე ლ ა დავთარში მიწერია და იქ ნამოსახლი კაცის ადგილსა და საბანელას მიწას მართმევ და მედავები, მარა რასთვის. არ ვიცი. დავთარიც მოიტანა და იმ დავთარში საბანელა კი უწერია გენათელს.

აგიაშვილმა აშორო უთხრა.

და ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს აგიაშვილმა ოცდაათი გლეხი-კაცი და ბატონისათვის რომ საზღვარი უჩვენებია, ისევ იმ საზღვარზე გაიაროს და ასე უფიცოს: «ეს მიწა და ეს ადგილი არც საბანელას მიწა იყოს, არც შენი ეკლესიის მებეგრე კაცი ამ ალაგზე სახლებ-უღიყოს, არც ეს ალაგი შენს დავთარში ეწეროს და არც გელათის შეწირული ეს იყოს, არც არავის შეეწიროს ეს ალაგი გელათისათვის». თუ ასე უფიცოს, ალაგი აგიაშვილს დარჩეს. და თუ ვერ უფიცოს, ალაგი გენათელს დარჩეს.

ამ ადგილის საზღვარი: თავს ქვები არის, საბანელას ხიდი და კიშურას ხიდი. ამას დაბლა ხელი არა აქვს აგიაშვილს.

ბეჰადი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

ქ. ამ ზედა სამართალში პირველ შემორებულზე აგიაშვილმა ადგილი მოუმატა. ბატონმა მეფემ თითვან დაიარა ის ადგილი და ამისი ასე გავაჩინეთ: ზეით რომ ოცდაათი გლეხი კაცი სწერია, იმიანათ ოთხმოცი გლეხი კაცი თავათ კაცია ყოროლოაძეს და ერთს სხვას აწნაურშივილს თან ჩაატანონ და კიშურას ხიდი-დამ საზღვარზე გაიარონ, ბატონმა რომ დღეს თარჯებზე გაიარა, იმაზე გაიაროს, ზეით შარაზედ გაიაროს გაკრილს კლდეშდის და ასე შეფიცოს: «ეს ადგილი მისდღემჩიდ არც გელათის დავთრის ყოფილიყოს, არც საბანელას მიწა ამაში იყოს, არც გელათის ყმის ყოფილიყოს და არც გელათსა და არც მის კაცს ამ ადგილში ხელი ქონებოდეს». თუ ასე უფიცოს, ადგილი აგიაშვილს დარჩეს. და თუ ვერ უფიცოს, ადგილი გენათელს დარჩეს.

ბეჰადი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

### 173. ბანინება სოლომონ I-სა ეფთვიმე ბანათლისა და

აბიხოსრო აგიაშვილის ბაჟულის საქმეზე

1770—1784 წწ.

ქეთ. სატელწ. ისტორ. ეთნოგრ. მუხ. საბ. № 1774. დედანი. 33,4×17,5 სმ. ქ. დაღვი. მხედრული. განკეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია თითო წერტილი. საბუთი თარიღდება ეფთვიმე გენათელის ზეობის პირველი და სოლომონ I-ის ზეობის უკანასკნელი წლებით.

ქ. დაბძანდა ბატონი მეფე სოლომონ, დარბაისელნი თან იახლნენ გენათლის ეფთვიმის და აგიაშვილის ქაიხოსროს სამართალშიდ.

აგიაშვილმა უჩივლა: თქვენს კაცებს გვენეტაძენს ტყირბულში ჩემი ადგილი სამოცი ურმის აქვს და სკამს.

გენათელმა უპასუხა: ის ადგილი ხახულისა მღვთის მშობლის შეწირული არის და გვენეტაძენს სამკვი[დ]როთ აქვს.

აგიაშვილმა ამორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს აგიაშვილმა თორმეტი გლეხი კაცი და ასე შეაფიცოს: «არც ის ადგილი ხატის შეწირული იყოს, არც გვენეტაძენის ის ადგილი არც სამკვიდრო და არც [ც] ნაყიდი იყოს და კიდევ ის ადგილი საციხისთო და საცეცხვითო იყოს».

თუ ასე უფიცოს, ადგილი გენათელმა აგიაშვილს მისცეს. და თუ ვერ უფიცოს, ადგილი ხატის ყოფილა და გენათელს დარჩეს.

ბეჰაი: მეფე იმერეთისა სოლომონ.

## 174. განინება გენათელ მფთვიმისა და წინამძღვარ აგიაშვილის

საკმეზე

1784 წ. ახლო (?)

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 608. დედნის შავი. ქალღი. 30X19,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია შიშვე, წერტილი ან ორწერტილი. საბუთი თარიღდება შინაწერის მიხედვით: «ამბერკი ყოფილა ავალიანი, სიანს 1784 წ.»

ქ. მათმა უმაღლესობამ ბატონმა მეფემ გვიბრძანა ჩვენ, ყოვლად სამღუდელთა მღვდელმთავართა მისთა — ქუთათელს დოსითეოსს, მთავარეპისკოპოსს ანტონის და ჯუმათელს მაქსიმეს: ყოვლად სამღვდელთა გენათელ მიტრაპოლიტი ევთიმი უწყრებოდა თავის ეკლესიის წინამძღუარს ანბერკის; სჯულის კანონის წინაყოფით და სამართლიანის მიზეზებით რამდენიმე [საქ]მენი უჯერონი დაუდვა.

და ჩვენ, ყოვლად სამღუდელთა, ამისი გასიწვევა მათმა უმაღლესობამ გვიბრძანა და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყო, სამართლიანის მსჯავრით ასე დავინახეთ და ასე განვაგეთ.

როდესაც ამბერკი წინამძღვრად დაეყენებიათ, იმას წინათ დიდს ხანებში წინამძღუარი არ ყოფილიყო და ეკლესიაც ასეთი ღარიბი მიჰბარებოდა, რომ არც შესამოსელი და არც წიგნი და არც წლის სამყოფი სარჩელი არ ჰქონოდა. და ამის მიზეზით და უფრო დროს [მიზე]ზებით ხან თავის ეკლესიაზედ იქცეოდა და ხან სხვას ადგილას. [ეკლესია] რომ გავსარჩეთ, ერთს წინამძღვარს ერთის მღვდლით და დიაკვნით სრულად ვერ შეინახევდა, რაც იმას შემოსავალი ან სანთელ-საკმელი და ან თეთრი ჰქონდა.

ჩვენის დანახვისაებრ ასე მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: რაც ამბერკი წინამძღვრის] დროს იმ ეკლესიას დაჰკლებია სამკაული, სრულად უნდა გარდახდეს. [და თუ შემატებია, წყალობა ებოძოს. სანთელ-საკმელი და სასმელ-საკმელი დია მცრად ჰქონდა და რომ ეხარჯა, ნახევრად არ ეყოფოდა. და ესენი ხარჯად გავარონინეთ.

და სხვა რაც მიზეზები ყოვლად სამღვდლო გენათელმა დაუდვა, ამისთვის თუ ინებებს და გენათელი შეირიგებს შენდობის მიცემით, სწავლით და კანონით, ისევ თავის ადგილას იდგეს და შეძლებისაებრ მოუთაროს განუშორებელად. ამისთვის, რომ დიდი [ქონება არა ჰქონია რა.

და თუ ეს არა ჰქნას. ამბერკიმ, მერეთ რა[ვარც] ყოვლად სამღვდლომ გენათელმა ინებოს—დაყენება თუ არა, ისე [აღ]ასრულოს.

ხოლო თუ არცა მეფემ<sup>1</sup>, არცა მღვდელმთავარმა, არცა თუ მთავართა არ ინებონ ამისი შეწყნარება და კუალად გება და კანონი ჰსჯულისანი წინაგვიყონ, ამისთვის ჩვენც მრავალი ნაცვალი დავინახეთ, რომელი ბრძანებდა ესრეთ: რომელმან შეცოდებული [არ] შეიწყნაროსო; და შემდგომი ბარე სულიერი მშვიდობა და შენდობა მისცეს უფალმან გენათელმან. და მერეთ რავარც [უფ]ლისა ღმრთისა ნება იყოს, ისე აღასრულოს.

**175. ბანაინება პაპალე II-ისა ღვთისმეტყველისა და ბირაღლი მოხსნას მამულის საქმეზე**

1786 წ. 2 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14360. დედანი. ქაღალდი. 43×25,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მეფემან ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მ ა ნ, სამართალი გავსინჯეთ ჯ უ ლ ა ბ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ა ს ი და ბ ი რ ჩ ა ღ ი ფარსადანა[ს] შეილი მოსესასი, რომელთა ჰქონდათ სარჩელი ფორის ღმრთისმშობლის საყდართან რამდენისამე დღის საქნავის მიწისა.

ჯულაბაშვილს მოჰქონდა წერილი სანატრელის პაპის ჩვენის მეფის ერეკლესი ქორონიკონს ტაშ დაწერილი, რომელშიაც აცხადებდა ჯულაბაშვილის ყენის კარზე ყოფას და იქიდან-

<sup>1</sup>+არც.

ვე ხოჯების მარიფათით სანატრელის პაპის ჩვენისაგან წყალობას და ამ ზემოქსენებულის სადაოს მამულისა და სხვას მამულებისა ც ბოძებას და სახასოდ დადებას.

და აგრევე ბირჩაღი შვილს მოჰქონდა წერილი სანატრელისა-ვე პაპის ჩვენისა ქორონიკონს ტპზ დაწერილი, რომელშიაც სწერს ესრეთ: «როდესაც ქართლში ორიანობა შეიქნა, მაშინ შენ, ფარსა-დანა, ჩვენის ერთგულობისათვის გორის ციხეში შეხველო და ჩვენ-მა ორგულება აღარა შეგარჩინეს რაო და სახლკარი და მამულიც გაგიოხრესო. მოხველ, წყალობას გვეაჯეო და ჩვენც ამდენის შენის ერთგულობისათვის მოკითხული ვქენითო და გორის ღმრთის-მშობლის საყდართან თქვენი სამკვიდრო საკნავი მიწა, ძალი დაე-ტანებინათ და, ობლობით წაგრთმეოდათო, ხან შენს განაყოფს როს-ტეევანაშვილს ეჭირა და ხან კელმწიფეთაგან წიგნით გაცემულ იყოო. ახლა ამდენის თქვენის ერთგულობისათვის ეს მიწა რადგან შენი სამკვიდრო იყო, ისევე შენვე გიბოძეთ ყოვლის კაცის უცილებლა-დო». და ეს სიგელი ჩვენის ბეჰდითაც იყო დამტკიცებული.

მაგრამ კიდევ გამოძიებით ორთავე მოსარჩლეთა წერილები გაესინჯეთ და ეს სიგელი სანატრელის პაპის ჩვენისა, რომელიც ჯუ-ლაბაშვილს მოჰქონდა ტპშ დაწერილი, ყოველს ადგილს კალამ-შეუშლელი იყო და მარტო ქორონიკონი იყო ამოფხეკილი და ტ გარდა პშ ახალი კალამი იყო: თუმცა პ კიდევ მსგავსება ჰქონდა. მაგრამ შ სრულიად ახალი და სიგლის კელის უმსგავსო იყო.

ამ მიზეზით სამართლისაებრ ეს ქორონიკონი ჰეშმარიტებად ვერ შევიწყნარეთ.

და მეორე ესე, რომ: ბირჩაღი შვილის სიგელში სწერია: ეს შენი სამკვიდრო მამული ხან მეფეთაგან იყო გაცემულიო, რომელიც ნიშენიდა, რომ ჯულაბაშვილს სიგელი უწინ ჰბოძებია და ბირჩაღის შემდგომ.

მესამე ესე, რომ: ამ ბირჩაღი შვილს თავისი სიგელი ამ მამულს სამკვიდროდ უცხადებს და მრავალს ერთგულობაზე შეას-მენს; და ერთგულს კაცს თავისი სამკვიდრო მამული უდანაშაულოდ არ გამოერთმევა.

მეოთხე ესე, რომ: როდესაც ჯულაბაშვილს ყეენის კარზე ყოფით და ხოჯების მარიფათით ეს მამული მისცემია, როგორც სი-გელი უცხადებს, მაშინ სახასოდ დადებულა. და ახლა რადგანც სახასობიდამ გავიდა, ეს მოდავის სიგელიც რომ არ იყოს, ჩვენს სახასოს მამულს ჯულაბაშვილს სამართლით თან არ გავატანთ.

ამ ზემოხსენებულის სამართლებით და მიზეზებით ეს თავისი სამკვიდრო მამული ამ ბირჩაღი შვილის მოსესასათვის გვიბოძებია.

აღიწერა იანვრის ზ, ქორონიკონს უოგ.

ქ. სანატრელის პაპის ჩვენის მეფის ერეკლეს სიგლგბი ორისავე მოდავისა თვით ჩვენის თვალით განვიხილეთ, რომელთაცა ზედა განვაჩინეთ ეს სამართალი, რომ ზემოხსენებულის წერილებით ჟულაბაშვილი ბირჩაღი შვილს მოსესასათვის სამკვიდროს მამულს ველარ ედავება.

და [თუ] ჟულაბაშვილს სხვა სიტყვა აქვს რამე და საბუთი, ჩვენ ნოგვასენოს. მაგრამ თუ უსამართლოდ სამართალში მამულის პატრონს გააცოდვილებს და უბრალოდ სამართალს გარჯის, უთუოდ გარდახდება.

მურვანიშვილო რევაზ! როგორც გვიბრძანებია, ეს ასე აღასრულე.

ბჰქელა: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

1. მონა ლთისა მდივანბეგი თე მურაზ
2. არ ირჩევა.
3. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს.

176. მანჩინება სალთხუცეს ქაიხოსროსა და კოზიაშვილების მამულის საქმეზე

1785 წ. 10 იანვარი

ცსა. 1448. საბ. № 673. დედანი. ქალაღი. 77,3×24,2 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია წერტილი.

ქ. მისს უმაღლესობას კემწიფესთან სალთხუცესს)...\* ქაიხოსროს არზით ეჩივლა: ჩემის მამულის მარილისი დაბაკობიაშვილებს ჩემის დაყენებულის მეღორების ღორი[ს] საბალახე აუღიათო პანკისის მამულობის ბარობაზედაო, ამი[ს] სამართალს ვითხოო.

მათს უმაღლესობას ჩვენ, კახეთის მოსამართლეთა და მდივნებისათვის, ოქმით სამართალი ებძანებინა, ასე რომ: კარგად გამოძიებით და მოწმეთაგან გამოკითხვით და მუჯრისა და წიგნების ნახ-

\* აკლია ერთი სიტყვა.

ვით და გაჩხრეკით გაშინჯეთო, მამულზედაც სამართალი უსაჯეთო და მიჯნებიც გაურჩივეთო და ღორებზედაც სამართალი მიეცითო.

ჩვენ ბატონის მტკიცე ბძანების გამო ამ სამართლის განსასჯელად მატანს მივედით. მატანიდამ მარილისის მამული დავიარეთ. აქ კობიაშვილები ომან და ტეტია ჩვენთან იყვნენ. პირველად სასახლე ვნახეთ და ციხე კარგი შენობა ქვიტირის მარნითა და აგრევე საჯინბოთი. ამ ციხის გვერდზედ აღმოსავლეთის მხრისაკენ ჩამოუდის მდინარე კურტანაძეული, აქედამ შეყვება ვიწრო ხეობა, აღმოსავლეთის მხრიდამ ჰყვება სიგძეზედ პანკისის მხარეს მაღალი მთა, აგრევე დასავლეთის მხრიდამ ასდევს მატნის ციხიდამ მოკიდებული მაღლამდის რომ ამ [მ]თებს მაღლა თავი ერთად აქვს შეკრული, ამის საშუალ მარილისის მიწა-წყალი ძეს, რომელსაცა აქვს ჩრდილო ამ [მ]თებს კალთები მარილისში შიგ ჩამოტანილი. ამ ქვემო სასახლეს ზემო ერთის საათის [ს]ავლელი არის, იქ ერთი მომადლო გორა არის. ამ გორაზედ ციხე ავლია, ერთი კარგად ნაგები საყდარი დგას ნახატი ციხეში და ამ ციხის გარეშემო სოფელსა და ამ ციხეს ქაჩალაური სოფელი ქვიან.

რომ ამავე ციხისა ვკითხეთ კობიაშვილებსა ვისი არისო. და ამათა თქვეს: ჩოლაყა[ან]თი არისო, ქაჩალაური სოფელი ქვიანო და მახსოვართაგანაც წერილიც ასე აცხადებს: ეს მარილისის მიწა-წყალი მთა და თავისივე ჩრდილო ნეტარად ხსენებულთ მეფეთ ნახევარი ამ [მ]არილისის მამული ლაშარის ჯვრისათვის შეუწირავთ და ნახევარი ჩოლაყაშვილის გრიგოლის წილობისათვის უბოძებიათ.

ერთი ოქმი არის ნეტარად ხსენებულის ბატონის მეფის თეიმურაზისა: ნახევარი მარილისი ლაშარის ჯვრისათვის შეუწირავს და ნახევარი გივი სალთუხუცისათვის უბოძებია. ამ ოქმის ქორონიკონი ეს არის უკმ, მანსში არის ნაბოძები. 172 |

მეორე ოქმი არის მათის უმაღლესობისაგან ნაბოძები ნახევარის მარილისისა, რომ ფშაველათათვის უბოძებია მთის [ს]აბალახესა და ბარისას ღალასა ნახევარს მისცემდეთო. ეს ოქმი ამ თარიღისა არის ენკენისთვის ოცს დაწერილი, ულთ, ამ თარიღისა არის.

მარილისი ძველადგანაც ბატონიშვილის გიორგისაგანაც ნაბოძები ქონიათ, რომე პირველ მარილისი საბატონიშვილო ყოფილა და უმაღლესობას მეფეთა სიგლით უბოძებიათ

1 არის]არიარის.

ჩოლაყაშვილის გრიგოლისათვის, ზო ს ი მ ე ხ ა რ ჭ ა შ ნ ლ ი ს ა-  
თ ვ ი ს, ფილიპესა და სარიდანისათვის მარილისი ამათთე[ის], რომ  
დღეს სიგელი ესრეთ აცხადებს და იმ სიგლის ქორონიკონი არის.  
ულე, მთიბათვის იე მიცემულია.

ერთი ამ ჩოლაყაშვილების წიგნი ვნახეთ, რომ თავის ყმათა-  
თვის მიუციათ, ქაჩალაურში მსახლობელნი ყოფილან, ამათ  
მიუციათ სალთხუცის შვილებს ოთარს, რამაზს, ქაიხოს-  
როს, ზურაბს, გიორგის, გივისა, შერმაზანს და  
ბარამსა; ასე, რომე ამათ წერილში ასე აცხადებს: რაც ქაჩა-  
ლაურში კაცი დასახლდებითო, თვისის გამოსალებიდან გაუაზატე-  
ბიათ ხუთ წლამდის. და მოხელობაც ასათაშვილისათვის.  
მიუციათ; და აგრევე იქაური მთა და ციხე და ქორი მიუბარებიათ.  
ეს წიგნიც ამ თარიღისა არის ტბდ. ეს წიგნი ფილიპე ჩოლა-  
ყაშვილისაგან არის დაწერილი, ბექედი ზის ოთარისა.

ამ სიგლებისა და წიგნების გასინჯვას გარდა ჩვენ აქ მატანს ამ  
[მ]არილისის მამულის მახსოვარნი მოვიკითხეთ და წარმოდგა სა-  
მართალში სახასო ჯუგაშვილის იობ [მ]ლუდლის ძმა ნაცვა-  
ლი იესე, რომელიც სწერს მოწმობას ესრეთ: სამარილო მთა ასე  
გ[ა]უფიცნიათ პაპაჩემს ჯუგაშვილს ჯუგასა, სუმბი-  
შვილს აზნაურშვილს ონანასა და ბათურიშვილს ბა-  
თურასა, ამ სამთ ეს უფიცავთ: ხატები აუღიათ და სოფელი თან  
მიყოლიან, დროშებადებული სატრედო გორაზედ შემხდარან, იქი-  
დამ კუწახტის თავი გადუვლიათ, იქიდამ დედის ფერუ-  
ლის თავი გაუვლიათ, იქიდამ გაბმულს გასულან, გაბმული-  
დამ გამოუვლიათ და მთაწმინდაზედ ჩამოუვლიათ, და მთა-  
წმინდიდამ საქვრეთელაზედ გადმოუვლიათ და ილის  
ქედის წყაროზედ მოსულან. ეს [ს]ამძღვრები ესრეთ შემოუფი-  
ცავთ, რომ ამ [მ]იჯნებს საშუალ ჩრდილო და ვაკე მარილისისა არი-  
სო. ქაჩალაური ნასოფლარიც ამ [მ]თებს შუა შერთული არის. ეს  
გაფიცული მამული ნახევარი ბატონისა არის და ნახევარი ჩოლაყა-  
შვილისა. ამისი საბალახე ნახევარი უწინაცა ბატონის სარქარში მი-  
სულა და ახლაც ბატონიშვილის გიორგისათვის მიგვირთმევიათ.

მეორე მოხსენება გარშაულიშვილის სახასო პეტ-  
რესი, მოხუცებული კაცია: მე პანკისისის შენობას მოვ[ს]წრები-  
ვარ, ალაზანს გაღმა და გამოღმა შენობა იყო. მაშინ ჩოლაყა-  
შვილები ოთარ, ქაიხოსრო, გუნა, შარმაზან, ფი-  
ლიპე ხარჭაშნელი და სხვანი მარილისს თავის [ს]ასახლეში  
ესახლნენ. იმ ჟამში ჩოლაყა[ან]თ იქ საბალახე აიღეს ქაჩალაურშია



და ხ ე ვ ი ს ქ ა ლ ა შ ი ა. იმ დროს მოდავე არავინ გამიგონია, არც პანკელნი და არც სხვანი.

ამ საქმის გასასინჯავად რომ ვიყავით, ზ ა [ა] ლ ჯ ი მ ი თ ი ს მოუ-  
რავი და ალამდარბაში ქ ა ი ხ ო ს რ ო აქ ჩვენთან დაესწრა. ეს  
ორნივე გავგზავნეთ ჯუგაშვილს [მ]ლუდელს იობთანა, რომ ამ  
[მ]ლუდელს მოხუცებულობის მიზეზით ჩვენთან მოწვევა არ შე[ე]ქ-  
ლო და ამ [მ]თის მოწმობა ამათის პირითა ვკითხეთ და ამათაც  
[მ]ლუდელი ზ ა ქ ა რ ი ა თან გავატანეთ. და ამათთვის ღმრთის წი-  
ნაშენ ფიცით ამ [მ]თის მოწმობა ასე დაებარებინა:

პირველი, ეს მთა მარილისისა გაფიცული არისო ჯუგაშვილისა-  
გან, სუმბიაშვილისაგან, ბათურიშვილისაგან და ასათაშვილისაგანა

მეორე, პანკელებს ამ დაფიცულს მამულში ღორები შემოსლო-  
დათ, ხარქაშნელს ფილაპეს შე[ე]ტყო, აელო შუბი, თავისის ძმები-  
სათვის შე[ე]ტყობინებინა, თან წამოესხა მარილელი სოფლის კაც-  
ნიც, შემოიყარეს, წავიდნენ და პანკისში მიუხდნენ, ს უ ხ ი ა შ ვ ი-  
ლ ი ს საღორეშია და მ ა ღ რ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს საღორეშია ღორე-  
ბი დაუხოცეს და ურმებით გამოგზავნეს და თითონ სადილად ყო-  
და ღ ო შ ვ ო ლ ს ე წ [ვ] ი ვ ე ნ ე ნ. თუ მაშინ სიტყვა ქონდათ რამე, რა-  
ტომ მაშინ ან ბატონს არ მოახსენეს და ან მოსამართლეთ არავის  
შეატყობინესო.

მესამე ესევე, ამისი მოხსენება მუხრანის ბატონსა და არავის  
ერისთავს ბატონის ჩემისათვის მოეხსენებინათ: ჩვენს ალაგში ღო-  
რის [ს]აკმელი არ არისო, თქვენს ალაგში დაგვაყენებინეთო და  
საბალახე მი[ი]რთვითო, ჩემთვის წიგნი მოეწერა ბატონ[ს] ჩემსა,  
ეს ამათი ღორები გამოეგზავნა, თითონ მე გაუძელ, ამ გაფიცულს  
მამულში მივიყვანე და დაგვაყენე და საბალახეც მე ავიღე. ღმრთის  
წინაშენ უძლურებით და მოხუცებულობით წარმავალი ვარ და ამას  
ქეშმარიტებით მოგახსენებთ. თუ პანკელთ იყო ეს მთა, მაშინ რა-  
ტომ არ იდავეს ან საბალახე რათ ამალეზინეს; დღევანდლამდის მო-  
დავე არვინ გამიგონია და საბალახეც ჩვენ აგვიღია.

ღ ი მ ი ტ რ ი ს ყ მ ა ბ ე რ ო ც ამგვარზედ მოწმობს: რო-  
გორც ზემოთი მოწამენი სწერენ, მეც ასე გამიგონ[ია]ო.

ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ს მ ა ხ ს ო ვ ა რ ნ ი და მოწამენი მოვიკითხეთ. პანკე-  
ლი მ გ ე ლ ა შ ა ზ ი ტ ა შ ვ ი ლ ი წარმოდგა და ფიცით ასე  
სწერს: მარილელთ რომ დაუფიცინიათ, იმ გაფიცულს მამულს აქეთ  
ჩოლაყა[ან]თ არ[ა] აქეთ საქმე; და იქით ჩვენ არა გვაქვ[ს] საქმე.  
უფიცრობას არც კობიაშვილები ამბობდნენ. ამის წერაში ამას ვარ-  
და ამ ბახტრიონში ვერვინ ვპოვეთ მცოდნე და მახსოვარი.

მათის უმაღლესობის ბძანების გამო მათს ყოვლად საქმელუდე-ლოებას ალავერდელს ნიკოლოზსაც ვიახელით გუჯრის სანახავად. და ეს გუჯარიც ასე აცხადებს, რომელიც ამას ქვემოზე დაგვიწერია. ეს გუჯარი ლევან მეფის შვილს ალექსანდრეს გაუახლებია და კვალად იმანყულიხანსაც აღექსანდრესაგან ნაწერი დაძველებული გუჯარი ხელმეორედ გაუახლებია, რომ ეს გუჯარი ამ [მ]იჩნებს ასე აცხადებს: მარილისის სასახლე ზემოთ საზაფხულედ წმინდის მარინის კარი და ქვემოდ ილის ქედის ეკლესია ომანის წყარომდის და ქვემოდ ფშამდის ზვარი და მარანი და მოედანი საყარაულო ქვიანი და სათევზე ზემოთ მთა თუშთ ნასადგომრამდის სახასო მარილისი კურტანაძე[ული]...\* ჩვენ მოსამართლეთ ამ [მ]ახსოვ...\* მეფეთაგან ნაბოძებს წიგნ...\* ლის ნახვითა და გაშინჯვითა ეს მამული სამარილისო...\*\* დღეს რომ კობიაშვილებს პანკისის მამულობის მიზეზად<sup>1</sup> რომ ღორები აუღიათ ქაჩალურს გარშემო ნასოფლარში, ეს მარილისის მიწაწყალი არის, რაც ღორი ამაში აუღიათ კობია[ან]თ, სრულებით სალთხუცეს[ს] ქაიხოსროს უნდა მიეცეს.

კობიაშვილებმან რომ ამის მიზეზით ბძანება და ოქმი მოიტანეს, ესეც ბძანებისაებრ გარიგებულა, კობიაშვილებს ისევ თავისი ღორი მიეცა. და ვენახის ღობეც ბძანებისაებრ გაუყეთდება. ჩვენ ამათი საქმე ასე გაგვიშინჯავს და ნება მისის უმაღლესობისა არის. იანერის ით, ქორონიკონს უოგ.

ოთხი ბეჭედი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბეჟან
2. მონა ღთისა მდივანბეგი ოტი ა
3. მიწა ვარ დავითრგუნები დავით
4. მდივანი კახეთისა ხევისთავი სვიმეონ.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ხალვათ ხანის ეშიკალაბაშო ენდრონიკაშვილო რევაზ! ეს ასე აღასრულე. აღიწერა იანერის ლა, ქორონიკონს უოგ.

<sup>1</sup> მიზეზედ.

\* აქ ოთხ-ხუთი სიტყვის ადგილი მოხეულია.

\*\* აკლია ერთი სიტყვა.

ბეპედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე **ერეკლე-  
ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს დედოფალთ-დედო-  
ფალი** დადიანის ასული **დარეჯან**, ამ განაჩენს ვამტკიცებთ.  
გიორგობისთვის **თ, ქორონიკონს [უოგ]...\***

## 177. ბანინება პაპალე II-ისა ოსეზა მუხრანის საქმეზე

1785 წ. 17 მარტი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 51. საბ. № 203. პირი. ქალაღი. მხედრული.

[179] ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფე ირაკლი მე-  
ორემან, ცხოველსმყოფელის ქრისტეს საფლავის ახალის შეწი-  
რულობის ყმის შამახელი ოსეფა მეურმის საქმე ასე გამო-  
ვიძიეთ და სწორე ჭეშმარიტებით შევიტყვეით: რადგან ეს კაცი,  
ოსეფა მეურმე ბაირამბეგს ეყიდნა თავისის თეთრით და  
ამის სიკვდილის შემდგომად ამ ბაირამბეგის ცოლს მარიამს  
თავის სულის საოხად შეწირულობის წიგნით ცხოველსმყოფელის  
ქრისტეს საფლავისათვის შეეწირა, რომელიც რომ ამ შეწირულო-  
ბის ამბავი და ჰაზრი ყოფილიყო, ამ საქმის სწორე შეტყობისა-  
თვის ჩვენ, იმ ბაირამბეგის ცოლის მუახლე იყო, ის [v] მოვაცა-  
ნინეთ და იმისგან გამოვიკითხეთ. იმანაც სწორეთ ასე ჭეშმარიტე-  
ბით ჩვენს წინ ასრე აღიარა და იმოწმა: ეს კაცი ამ შეწირულობის  
წიგნით ასე გა[ა]ნთავისუფლა ჩემ[მა] ქალბატონმა, რომ ვისიც ამ  
კაცის ნება იქნებოდა, იმასთან უნდა მისულიყო. ახლა ამ  
კაცმა ამ ჯვარის მამას ანტონისთან მოსვლა მოინდომა და  
რადგანაც ამის ნებაზე იყო მიგდებული და ამი[ს] მონდომებაც ასრე  
ვნახეო, მოვიყვანე ეს კაცი და თავისის განთავისუფლების წიგნით  
და ანდერძის წიგნით ამ ჯვარის მამას მოვართვი და ქრისტეს საფ-  
ლავს ვაყმეო, რომ ამას უნდა მსახუროსო.

ეს ოსეფაც ამ ლაპარაკს ემოწმებოდა და რადგან ასრე ყოფი-  
ლიყო ამათი საქმე, ჩვენც ამ გამოძიებულის საქმის დამამტკიცე-  
ბელნი შევიქენით და ვამტკიცებთ მოუშლელად. მარტის იჴ, ქო-  
რონიკონს უოგ.

თუ ასრე არ ყოფილიყო, ჩვენ ამ საქმეში არ გავერეოდით. ეს  
საქმე მელიქმაც იცოდა. თუ ვინმე ილაპარაკებს ამაზედ, ამ ერთს  
თვეზედ ჩვენ იმას არ ვაყენებთ. და თუ ერთ თვეს გარდაცილდება,  
მაშინ ლაპარაკი აღარავის იქნება და აღარც გაუგონებთ.

\* აქ მოხეულია.

1786 წ. 25 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 775. დედანი. ქალაღი. 33,3×10,5 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ჩვენ — მინბაშს ა მ ი რ ე ჯ ი ბ ს ზ ა ზ ა ს თ ა ნ ა და ხუთა-  
სისთავს მ ა ჩ ა ბ ე ლ ს ზ ა ზ ა ს თ ა ნ ა და ბოქაულთხუცეს[ს] დ ი ა-  
ს ა მ ი ძ ე ს დ ე მ ე ტ რ ე ს თ ა ნ ა წ ვ ე რ ი ა ნ ნ ის შ ე ი ლ ი ჯ ა-  
ფ ა რ ა უ ჩ ი ო ლ ა ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ს რ ე ვ ა ზ ს ასე, რომ: ჩემი  
ორი დღის მიწა მაქ[ვ]ს ჩემიო და ერთის ვენახიო.

ამ დავაში ორჯონიკიძემ უპასუხა: თუ შენი არის ეს მიწა და  
ვენახიო, თუ ნასყიდი გაქსო, სიგელი მოიტანეო; თუ ბატონის წყა-  
ლობა გაქსო, წყალობის წიგნი მოიტანეო. და თუ მოწამე გყავსო,  
მოწამე მოიყვანეო.

არცა ჩნდა წერილი და არც მოწამე. მერე ამათ ჩვენ მუხალგა  
გამოვართვით ხელმწიფის შეცოდებაზედ და რომ ჩვენს სამართალს  
არცერთი არ უნდა გადასულიყო. მერე რათგან არც წერილი ჩნდა  
და არც მოწამე, ამისი მიხედვით ჩვენ ეს სამართალი გაუჩინეთ.

რევაზ ორჯონიკიძემ ორი გლეხიკაცი უნდა შეუგდოს უმტერ-  
მოყვარო. ამ ორში ერთი უნდა იშოვნოს და მოიყოლიოს და უნდა  
შეფიცოს ასე, რომ: «ეს მიწა კიდეც ჩვენის მამისა და პაპის ნას-  
ყიდი იყოს და არცარა საქმე თქვენ ამაში გქონდესო».

თუ ასე უფიცა ჯაფარამ ერთის მოწმით, ხომ ეს მიწაცა და  
ვენახიც ჯაფარას დარჩება. და თუ ვერ უფიცა ასე ჯაფარამ, მიწაც  
ორჯონიკიძეს დარჩება და ვენახიცა. ამათი სამართალი ასე გადას-  
წყდა. მარტის კე, ქორონიკონს უოგ.

ლურსაბ მურვანისუვილო! ეს ასე უნდა ადასრულო. მარტის  
კე, ქორონიკონს უოგ.

ორი ბეკელი:

1. მინბაში ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი ზ ა ზ ა
2. მონა ღთისა დ ი მ ი ტ რ ი.

ხელრთვა: ზ ა ზ ა

**179. განჩინება გოსტაშაბისუვილების წისკვილის შემოსავლის**

**საქმეზე**

**1786 წ. 7 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2012. დედანი. ქალაღი. 39X17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. უსბაში გოსტაშაბისუვილი ერასტი და ამის ბიძაშვილი ზაზა წისკვილის შემოსავალზე ჩიოდნენ.

ამათ სამართალში დავსხედით ჩუენ — მსაჯული იესე, ქავთარისუვილი უსბაში ნიკოლოზ და საგინაშვილი ბეჟან. ამათი სარჩელი ყველა მოვისმინეთ და ეს სამართალი მივეციტ:

ქორონიკონს უოგ — ამ წელს, გიორგობის იმ არის წისკვილის იჯარა ფარემუზთან რი კოდათ; აქედან საუფროსო ერგება ერასტის და ზურაბს კოდი ი, დარჩა კოდი რ. ერგება ერასტის და ზურაბს კოდი ფ, ლიტრა ვ, ზაზას ერგება მესამედი, კოდი ღგ, ლიტრა გ+; ერგება ზაზას თვეში ლიტრა კზ+.

ამის მეტად ერთმანეთ[თან] საქმე აღარა აქვსთ რა. გოგიას მიცემული პურიც ჩაგვიგდია, ფარემუზისიცა, შიო მეწისქვილისაც, რომ აღარადღერი საქმე აღარა აქვსთ რა.

დარჩა წისკვილი სამმოდ და ასე გაიყოფდნენ: ჯერ საუფროსოს აიღებდეს ერასტი და ზურაბ, მერე ორ წილს — ერასტი და ზურაბ და მესამედს ზაზა. ეს ასე გარდაწყდა. აპრილის ზ, ქორონიკონს უოგ.

სამი ბეკედი:

1. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს
2. ნიკოლოზ
3. მონა ღთისა ბეჟან

**180. განჩინება ვიკაღე II-ისა სულბან და ჰაიხოსრო**

**ნიმუხისუვილების მამულის საქმეზე**

**1786 წ. 12 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6796. დედანი. ქალაღი. 34,5X16,5 სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი და ორწერტილი.

ქ. ხიმშიასუვილს სულხანს, ბერუკას და ამათს სახლის კაცებს ედაებოდნენ და ელაპარაკებოდნენ ქართლში მყოფნი ხიმშიასუვილი ქაიხოსრო და ბერი, რომ თქვენნი სახლის კაცნი ვართო და თქვენს მამულში წილი გვიძესო.

ჩუენ, საქართველოს მეფემან ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მ ა ნ, მოვიკითხეთ ამათი საქმე და საჩივარი. და გავშინჯეთ რომ ამ ქაიხოსროს და ბერს ჭეშმარიტი და სამართალში შემოსატანი სიტყვა და საბუთი არა ქონდათ რა, რომ შესლოდენ რასმე.

რაც წიგნები ვნახეთ და ან მოწამეთაგან შევიტყვევით, სულ ამ ქაიხოსროსა და ბერის გასამტყუნებელი და უკანვე გასაბრუნებელი იყო: და ვერცა რას შეუიღნენ ამ ხიმშიანთ: და არც ამათს მამულში ამათ წილი აქვსთ.

და თუ ერთს ჭეშმარიტს სიტყვას და ან წიგნს მოიტანენ, რომ სამართალში შესაწყნარებელი იყოს, მაშინ სამართლიდამ პასუხს გაიტანენ.

და თუ ვერც მოწამეს მოიყვანენ სარწმუნოს და ვერც წიგნს მოიტანენ, არაფერი ამ ზემო ხსენებულს ხიმშიას შვილს სულხანთან და ამის სახლის კაცებთან საქმე არა ექნებათ რა. და არცა რა აქვსთ. აპრილის იბ, ქორონიკონს უოგ.

ბეჟედი: ქნარს მისცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 181. არზა იოანე ჯავახიშვილის დედისა და ყმის თაობაზე

### მდივანბეგთა განჩინებით

1786 წ. 5 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4503. დედანი. ქალაღი. 15,5×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ან მძიმე.

[არზა]

ქ. ღმერთმან პატრონის მდივანბეგების ჭირი მოსცეს ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ი ო ა ნ ე ს დედას.

ქ. გ ლ უ რ ჯ ი ძ ე ს ნ ი კ ო ლ ო ზ მოლარეთხუცესს ერთი თავლაფიანი გოგო ჰყავს, რომ სხვებთანაც გაუგდია ბუში და ერთი ჩემი ყმა — გ ო გ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ც უცდენია და ამისგანაც ბუში ჰყავს. ხუთი სხუა ბუში ჰყავს და ერთიც ჩემის ყმისაგან ჰყავს. და ის ჩემი კაცი ნასიხლად მიგიციათ.

მე სამართლისაგან სამართალს ვითხოვ: რაც სისხლი დამედება, მიმატემინეთ და ჩემი ყმა კი დამანებეთ. აპრილის ივ, ქორონიკონს უოგ.

## [განჩინება]

ამის უწინარეს ნიკოლოზ მოლარეთხუცესმა იჩივლა. ჩვენ, მსა-  
ჯულთ, ის დამნაშავე კაცი მოვაყვანიინეთ და ვალაპარაკეთ. დანა-  
შაული თავს იღვა. რადგან დამნაშავედ აღმოჩნდა, სისხლი გაუჩი-  
ნეთ, უნდა თექვსმეტი თუმანი მისცემოდა ნიკოლოზს და ის კაცი  
ისევ თავის მებატონის ყმა ყოფილიყო.

ახლა შენ რომ ასე სჩივი, ჩვენ ამას ვსწერთ: თუ ნიკოლოზ  
მოლარეთხუცესი იმ მოახლეს ისევ იახლებს, რვა თუმანი უნდა მი-  
ეცეს და იმ კაცთან ქელი არ ექნება. თუ რომ მოახლეს აღარ იახ-  
ლებს და გააგდებს, თექვსმეტი თუმანი უნდა მიეცეს და იმ კაცთან  
ქელი არ ექნება. მაისის ე, ქორონიკონს უოგ.

ქ. ბ ე ც ი ა თ ა რ ხ ნ ი ს შ ე ი ლო! ეს ასე გაარიგე. თეთრი მო-  
ლარეთხუცესს მოაბარე, ბიჭი — ჯავახიშვილსა. ამ საქმეზედ სა-  
იასაულო არ აიღება, შენ იმიტომ გწერთ.

სამი ბეჭელი:

1. მ შ ე ქ ა ბ უ კ
2. თ ე მ უ რ ა ზ
3. ეამი ესეცა წარვლის

## 182. განჩინება თაიფურაზ ვლივანავისა და ზაზა უზაშვის გაპრის საქმეზე

1785 წ. 12 მაისი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 3036. დედანი. ქალაღი. 10,3X16,5 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ერთწილად აზნაურიშვილი კარისხეველი იონათამის  
შვილი ზ უ რ ა ბ და ბეჟან თავისის ყმითა უმამულოდ ერგო მ დ ი-  
ვ ა ნ ბ ე გ ე შ ი კ ა ლ ა ს ბ ა შ ს თ ე ი მ უ რ ა ზ ს.

ამის ფარდად ერგო ზ ა ზ ა უ ზ ბ ა შ ს გლეხი მ ე კ ა რ-  
ვ ი ს შ ე ი ლ ი, მ ა მ ა ჯ ა ნ ა ს შ ე ი ლ ი და პ რ ო შ ა ს ა რ ქ ი-  
ს ა უ მ ა მ უ ლ ო დ. მაისის იბ, ქორონიკონს უოგ.

ორი ბეჭელი:

1. არ ირჩევა
2. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს

1785 წ. 23 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13103. დედანი. 40,5×31,3 სმ. ქაღალდი.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი მძიმით.

ქ. ყასაბ ყურიას ქალი მარმარა ჩიოდა: მამაჩემ[მა] ჩემი მეუღლე შვილად აიყვანა და რაც რამ მამული ჰქონდა, ჩუენ მოგვცა. ქამუანთ საყდრის პირდაპირ ნაოხარი ალაგი იყო, გულფაშანთ ვენახის გვერდზე. ეს მამული ჩვენი იყო და გვე-ჰირა. უამთა ვითარებისაგან ქალაქილამ სოფლად წაველ, ოთხი მი-ლანთუნი ვალად გამყვა იწიკწანთ ფარსადანას ცოლი-სა. ეს ჩუენი მამული უპატრონო იყო, ფარსადანას დაუჩემებია, აღარ მანებებს სამართალი მადირსეთო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ფარსადანას მე-უღლე მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ფარსადანას ცოლმა თქვა: თეთრი მივეცი, მამული ვიყიდე, სიგელი მომცა, ოცდაექვსი წელიწადია მამული მე მიჰი-რავს, რატომ ამდენს ხანს არ მედავეო და ტერ-გაფრიელას მოწმობის წერილიცა მაქვსო.

ჩვენ, მსაჯულთ, მოწმობის წერილი ვნახეთ. ასე ეწერა: მე, ტერ-გაფრიელამ ასე ვიციო: ფარსადანამ ეს ალაგი რომ იყიდა, სიგელს სთხოვდა ხანფერვანასო. ხანფერვანამ უთხ-რა დააწერინეო, დააწერინაო, მელიქს მიუტანა, დამიბეჭდეთ. მე-ლიქმა საბეჭდავი სთხოვაო, ფარსადანამ საბეჭდავი არ მისცაო და არც დაქაბეჭდვინაო. ეს მამული ფარსადანას ნასყიდობით ექირაო. და ეკლესიას უპირვედა მორთმევასო.

მარმარა მიუგებდა: ხანფერვანა ჩემს მამულს შენ რათ მოგყიდდაო. იმას სხვა ზითევი მისცეს და მე ეს მამული მომ-ცეს ზითვათაო. თეთრის მოცემას რომ ჩივი, ოთხი მილანთუნი მე-მართა მე შენი, ჩემის დის კელით გამოგიგზავნე. იმ უამად ჩემს დას ვერ ეპოვე, ის ოთხი მილანთუნი ჩემს დას შერჩა. ახლა სარ-გებლით მოგცემო.

დიდს ხანს ჰერას რომ ამბობ, ჩუენ აქ არ ვიყავით, ვინ გელა-ვებოდაო. სიგლის ჰერას რომ სჩივი, თუ ეგ სიგელი ჩემი მოცე-მული არის, რატომ ბეჭედი არ დამასმევიინე; თუ ბეჭედი არა მქონ-და კელი რატომ არ მომაწერინე, და ან ერთს მართებულს კაცს მო-



წმობა რატომ არ მოაწერინე. და ან რატომ ძველი სიგელი არ გამო-  
მართვი.

ხაფერვანასაგან ყიდვას რომ სჩივი, ამისი მოწამე მყავს, რომ  
შენს ქმარს ხანფერვანასთვის ეთქვას: შენმა დამ მარმარამ ეს მა-  
მული მე მომყიდაო. ხანფერვანას შენი ქმარი ატყუებდა, ახლა შენ  
მე მატყუებო.

ჩვენ, მსაჯულთ, მარმარას მოწამე მოვსთხოვეთ. ტერ-აკო-  
ფას კელწერი[ლი] მოგვიტანა, ასე ეწერა ფიცით: ხანფერვანა  
ჩემი მოწაფე იყო, ხანფერვანამ ასე მითხრაო — ფარსადანამ მითხ-  
რაო, შენმა დამ მარმარამ ეს მამული მე მომყიდაო და სიკვდილის  
ჯამში ხანფერვანას ვკითხეო მრავალჯერ ამ მამულისაო, მაგრამ  
ამის მეტი არა მითხრაო.

აგრევე მიღდისის შვილს ისიას ასე მოეწერა: ღმერთს  
ვფიცავ და მეფის ირაკლის მზესაო, ხანფერვანა ჩემსას იყოო, იმის-  
გან არ გამიგონიაო, რომ ფარსადანაზე გავეყიდეო: თუ გაეყიდა, მე  
შევიტყობდიო<sup>1</sup>, უჩემოთ ვერ გაპყიდდაო; ესეც ხანფერვანასაგან გა-  
მიგონიაო, ეს სახლი მარმარას ზითვისა არისო.

ჩუენ, მსაჯულთ, ამათის საჩივრის მოსმენით და ამ მოწამეთ  
მოწმებით და სიგლის განხილვით ეს სამართალი მივეციო: რად-  
გან ეს ადგილი მარმარას ზითვისა ყოფილა, ხანფერვანა ვერ გაუ-  
ყიდის; მეორე ეს, თუ ხანფერვანს გაეყიდა, მაშ რალათ უთხრა ხან-  
ფერვანამ — ეს ადგილი ჩემის დის მარმარას ზითვისა არისო. და ან  
ფარსადანა რალათ ეუბნებოდა — შენმა დამ მარმარამ მომყიდაო.

ქალაქში განწესება ასეა: ერთი მეორეს მამულს რომ მიჰყი-  
დის, სიგელს დააწერინებს, თითონ დაბეჭდავს, მელიქს და ქეთხუ-  
დებს დააბეჭდინებს. ამისთანა ახალს<sup>2</sup> სიგელს და ძველს სიგელს  
მისცემს. თუ რომლისამე საქმით ამგვარს სიგელს ვერ მისცემს.  
ძველს სიგელს და ბარათს დაუწერს და მისცემს: ეს მამული შენ  
მოგყიდე, ფასი სრული ავიღე, როცა მოვიცალო, ამგვარს მტკიცეს  
სიგელს მაშინ დაგიწერინებ, მოწამეთ დაგიბეჭდინებ და მოგცემო.

არც ამისთანა ბარათი ჰქონდა მიცემული, არც ძველი სიგელი  
და არც ახალი სიგელი. ერთი სიგელი ჰქონდა ამ მამულის პატრო-  
ნისაგან უბეჭდო, მელიქისაგან და მოქალაქეთაგან უბეჭდო და ამით  
ედავებოდა ფარსადანას ცოლი ამ მამულს. იმ სიგლით ამ მამულს  
ვერ დაიმკვიდრებს.

<sup>1</sup> შევიტყობდიო. <sup>2</sup> ახლას.

ამისთვის, თუ მართლა ამან მიჰყიდა, ძველი სიგელი რატომ არ გამოართო და ან ახალი რატომ არ დააბეჭდვინა ან ამას, ან მელიქს და ან მოწამეთ. თუ არც ძველი სიგელი გამოართო და არც ახალი სიგელი საბეჭდავის მიზეზით მელიქს არ დააბეჭდვინა, ბარათი რატომ არ გამოართო: ძველი სიგელი მე დამრჩა, ვერ მოგეცი და ვერც ახალი სიგელი დააბეჭდვინე მელიქს.

ყოვლისფრით ცრუა ის ახალი სიგელი. დარჩა ეს მამული მარმარას. და თუ იმ ადგილიდამ ფარსადანას ადგილი გაუყიდა, უნდა ისიც მოსცეს.

და მარმარას ოთხი მილანთუნი რომ მართებია ფარსადანას ცოლისა, ეს ოთხი მილანთუნი რადგან დიდის ხნის ვალია, ერთიორად უნდა მოსცეს. თუ ფარსადანას ცოლმა ის ადგილი დაუხსნას და მოსცეს მარმარას, მარმარამ რვა მილანთუნი მისცეს. და თუ ფარსადანას ცოლმა ის ადგილი არ დაუხსნას, ნურც მარმარა მისცემს ამ რვა მილანთუნს.

იასაულო ქაიხოსრო ხერხელიძე და იაკობ ბერძნიშვილო! ეს ასე გააქრიგეთ. მაისის კვ, ქორონიკონს უოგ.

სამი ბეჭედი:

1. მზეკაბუკ
2. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშოკალასბაშ მყო მდივან-ბეგი თეიმურაზ.
3. ჟამი ესეცა წარვლის.

### [ნასყიდობის წიგნი]

ქ. ნებითა და შეწვევითა ღმრთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი თქვენ, ბატონს სარდარს დავითს და თქვენს ძმას ნიკოლოზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა მე, ყასაბყურიას ქალმა მარმარამ. ასე, რომე თქვენის ბალის წინ ერთი სახლის ალაგი მქონდა, რადგანც ორისავ მხარეს ადგილი თქვენა გქონდათ ნასყიდი, ჩემი სახლის ალაგიც თქვენ მოგყიდეთ ყოვლის კაცისაგან უცილებელი. ძველი სიგელიც თქვენთვის მომირთმევია და ეს ახალი განაჩენიც, მსაჯულთაგან დამტკიცებული. ავიღე ფასი სრული და უნაკლულო. რითაც ჩემი გული შეგაჯერდებოდათ. არა დარჩა რა ჩემი თქვენზედ არცა ერთი იოტის ფასი. ღმერთმან მოგახმაროსთ, როგორც სხვას მონასყიდეს მოხმარებოდეს.

თუ რომ ამისი მოდავე გამოჩნდეს ვინმე, ჩემმა ძველმა სიგელმა და ამ ახალმა განაჩენმა გაამტყუენოს. დაიწერა იენისის ია, ქორონიკონს უოგ

ქ. მარმარის სიტყვით ამ ნასყიდობის წიგნ[ის] მოწამე ვარ მე, ფირყულანთ ნაზარბეგის შვილი გიორგი. ბეჰალი: გიორგი.

ქ. მარმარას<sup>1</sup> სიტყვით ნასყიდობის წიგნის მოწამე ვარ [ჯიგ]-რაშნის ტერ-გრიქურას შვილი დავით. ბეჰალი.

ქ. მე, ძირგოზანთ შვილმა გურგენამ, ჩემის სილდერის დის მარმარის სიტყვით ხელი მოვაწერე, რადგან თითონ წიგნი არ იცოდა. მეც ამ ნასყიდობის დამხვედური და მოწამეც ვარ.

ბეჰალი: გურგენ.

#### 184. განჩინება მირიმანანათ ავთანდილასა და მანდიანანათ

სტაფანის წყლის საქმეზე

1785 წ. 1 იენისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 783. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. ბედნიერის კელმწიფეს და დედოფალს ოქმებით ებრძანებინათ ეშიკალასბაშ მდივანბეგ თეიმურაზისა და ქალაქის მელიქის ავეტიქასათვის ასე, რომ: მირიმანანათ ავთანდილას და მანდიანანათ ავთანდილას შვილს სტეფანეს სალალაკის წყლის გზის მიზეზით ერთმანეთთან სალაპარაკო აქვსთო, ორი ან სამი ქევხუდაც დაისწარითო და ამათ ქეშმარიტი სამართალი მიეცითო.

მელიქის მარიფათით მივედით ჩუენ — ყალუაშვილი ბაღდასარა, თაყუაშვილი ისაია, უზბაშის შვილი შაქრუა და კალატოზების უსტაბაში დავითა და ესენი ვალაპარაკეთ.

მირიმანანათ ავთანდილა წყლის გზას თხოვდა. და სტეფანე უპასუხებდა: ვერ მოგცემო, სახლებს დამიქვევსო.

ჩვენ კარგად განვსინჯეთ, რომ იმის სახლებს არასფერს დაუზიანებდა და ვერც დაუჭერს წყლის გზასა და კიდევ უნდა გაუშოს სტეფანემ, რომ ავთანდილამ წყალი გამოაროვინოს. და ვინიცობა არის, თუ ერთხელ სტეფანემ თავისთვის ასეთი სარდაფი გააკეთოს, რომ თხუთმეტ თუმნათ და ანუ ოც თუმნათ დაუჭდეს და ის სალალაკის წყალი იმაზედ გამოივლიდეს და სხუა გზა არა ჰქონდეს და

<sup>1</sup> მარამას.

იმ სარდაფსაც დაუზიანებდეს რასმე, ავთანდილამაც არ უნდა გამოატაროს; თუ არა სტეფანემ ავთანდილას ჯაბრით რომ ერთი მცირე რამ გააკეთოს, იმით წყლის გზას ვერ დაუქერს.

ჩვენ, მათის სიმაღლის მონათ, ეს ასე განვსაჯეთ და ბრძანება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს. მთიბათვის ა, ქორონიკონს უოგ.

ბ ა ღ დ ა ს ა რ  შ ა ქ ა რ ო , დ ა ვ ი თ

მე, მღივანბეგ-ეშიკალასი თ ე ი მ უ რ ა ზ , ამ განაჩენის თანახმა ვარ

მელიქ-მამასახლისი ა ვ ე ტ ი ქ ა ამ სამართლის მოწამე ვარ.

ქ. ჩვენ, საქართველოს დედოფალი დადიანი[ს] ასული პატრონი დ ა რ ე ჯ ა ნ , ამ განჩინებას ვამტკიცებთ.

თ ე ი მ უ რ ა ზ მღივანბეგ ეშიკალაბაშო! ეს ასე აღასრულე.

მთიბათვის გ. ქორონიკონს უოგ. 

|                     |
|---------------------|
| დელოფალი<br>დარჯანი |
|---------------------|

## 185. ბაჰინება ღავით გვფლისა და ონასუვილუბის გავლის საქმეზე

1785 წ. 12 ივნისი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 5145. დედანი. ქალაღი. 33,3X25,6 სმ. კიდეები ჩამოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

... მღუდელი დავით უჩიოდა მის სიმაღლეს მეფესთან ონასუვილ[ებს] მიწის ნასყიდობაზედ.

ამისი სამართალი მათს უმაღლესობას ჩვენ — მღივანბეგის მზეკა[ბუკის], ბეგთაბეგის ძის მღივნის სულხანისათვის და მღივნის სვიმონისათვის ებრძაწნებინა. მოვაყვანივინეთ და ვალაპარაკეთ.

ონასუვილები ელაპარაკებოდნენ: შენგან ერთის დღის მიწა ვიყიდეთო, ორი თუმანი უნდა მოგვეცაო, ერთი თუმანი კი მოგვეცით და ერთის [თუ]მნის პური შენს სახლისკაცს მივეცითო, შენი წიგნი ხელთ გვიტვირამსო.

დავით ელაპარაკებოდა: მართალია, მოგვიდე, წიგნიც მო-

გეცო, მაგრამ ერთის თუმნის მე[ტრი არ] მოგიცია და ერთის თუმნისათვის არ მოგიყიდიო.

ჩვენ ეს სამართალი მივეცი: [რადგან] წიგნი დაუწერია და მიუცია, ახლა ველარ ელა[კ]ება და ვერც მოვშლით ნასყიდობას]. ერთი თუმანი რომ დაკლებია, ის ერთი თუმანი სარგებლით ონასაშვილმა [უნ]და მოსცეს, რომ იქნება ორი თუმანი. ეს ორი თუმანი ონასაშვილმა დაავით მღვდელს [უნ]და მოსცეს. და მიწა ონასაშვილებს დარჩება. და პური რომ მიუცია ონასაშვილს ამისის სახლისკაცისათვის, რამთენის კოდისაც საბუთი ონასაშვილმა უყოს, [იმდენი] კოდი ერთიორად უნდა მისცეს.

დავით მღვდელი ამასაც ელაპარაკებოდა, რომ: მე ერთის დღის მიწა მოგეც და შენ ორის დღისაც შეგიმატებია ჩემი მამულიო.

ამისი ასე უნდა იქნას: წელს ანეულის ნახნავი ვიაც ქონდეს ერთის [დღ]ის კარგი დღიური, ის გარდიზომოს და იმტოლი მიწა მისცეს დავით მღვდელმა. ონასაშვილს თუ მეტი შეუმატებია რამე, ისიც ისევე ძირს უნდა დადოს. სამრ[თლის] კანონისამებრ ასე გარდასწყდა ამათი საქმე.

ეს ნასყიდი მიწა ონასაშვილის მიწასთან დებულა, რომ უყიდნია ონასაშვილს ის მიჯნები ამოუღია შუაში და გაუერთებია. ონასაშვილმა თავის მიჯნაზედ გაიაროს და დავით მღვდელს გული აჯეროს], რომ ჩემი მიჯნა აქამდინ არისო და ისე გარდაზომონ ის, მიწა.

იასაულო ალიხანაშვილო ბეჟან! ეს ასე აღასრულე. მთიბათვის იბ, ქორონიკონს უოგ.

ეს პური როგორც იმ ჟამს ფასებ[უ]ლა, იმ ანგარიშით ერთიორად უნდა მოსცენ ონასაშვილს. და ამ ონასაშვილს თუ ერთის [დღ]ის მიწაზე მეტი შეეტანოს, ერთიორად უნდა გამოერთოს და დავით მღვდელს მიეცეს.

რომელიც ონასაშვილებმა ერთის დღის მიწა მოიწონონ და თქვან, ერთის დღის მიწის ზომა მომიზომეთო, იმაზე უნდა მოუზომონ და მოსცენ.

ბეჟელი: მზეკაბუკ.

1786 წ. 24 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8609. დედანი. ქალაქი. 27,3×22,3 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. დაზიანებული.

ივანე ჯავახიშვილის ობლებმა სამართალს არზა  
ზოართვეს. ჩუენ იმ არზაზე მივსწერეთ [წმიდი]ს მრავალ მოღვაწის  
ევსტატის ეკლესიის დეკანოზს პეტრეს და კანდელაკს: რომელ-  
თა[ც იესე] გულიაშვილის ტყვეობიდან მ[ოსვლ]ა ენახოსთ,  
ამ ჯავახიშვილს მოუვიდა, თუ თავისუფალთ დადგა, აფიცეთ და  
მოიწერეთ, რაც იმოწმონ. დეკანოზს და კანდელაკს იმათგან ნათქვა-  
მი მოეწერათ.

ჩუენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, იესე გულიაშვი-  
ლი მოვაყვანიინეთ და ვალაპარაკეთ. იესემ თქვა: დეკანოზი და კან-  
დელაკი ჯავახიშვილის ნათლიანი არიანო, იმათ მოწმობას არ ვჭერ-  
ვარო.

მეორედ მივსწერეთ თარხნისშვილს გლახას, მა-  
ღალაშვილს სვიმონს, ბარნაბეშვილს დიმიტ-  
რი მღვდელს, რომ ესენი უნდა მისულიყვნენ, მოწმე[ე]ბი ერთათ  
შეეყარათ და ფიცით მოწმე[ე]ბს რაც ეთქვათ, დაეწერათ. ამათ ეს  
მოწმე[ე]ბი შე[ე]ყარათ და ფიცით ეკითხათ.

ამირეზაშვილს მოეწერა: იესე ტყვეობიდან რომ მოვი-  
და, თავის სახლისკაცთან მოვიდაო. ერთი კარი ნინიამ მისცაო და  
თეთრი მოიტანა, უღელი ხარი იყიდაო ის უღელი ხარიც. თავის სახ-  
სარში მისცაო.

აგრევე ქვრივე[ი]სშვილს დავითს მოეწერა: ათი კო-  
დი პური ჭყოპიაშვილის დალიდამ მივეცო; ექვსი კოდი  
ბარნაბესშვილის დალიდამ მივეცო; კიდევ ოცი კოდი პური თავის  
სახლისკაცს გამოურთვი და იმ იესეს მოვეცო, რომ იესემ თავის  
სახსარში მისცა, ესენიო არის, რაც ამირეზაშვილს მოუხსენებია, ისე  
იყო.

ჭყოპიაშვილი დვთისია ასე მოგახსენებ ფიცითაო:  
ჩემი დალა იესეს მისცაო. ჩემის ეკლესიის მადლს ვფიცაო, რაც მო-  
გახსენებ ასე იყო. ბარნაბეშვილმა დიმიტრი მღვდელმა ამათის სი-  
ტყვით დავსწერეთ: რომ ამ წერილზე კელი მოეწერა თარხნის-

შვილს გლახას და ზურაბას და მაღალაშვილს სვიმონს, როგორც ამათ თქვეს ისე დაიწერაო.

რადგან სამართალი ამათ მოწმობის თქმაზე იყო [და]მოკიდებულნი და ამათ ასე იმოწმეს, ტყვეობიდან რომ მოვიდაო, თავის მამულში მოვიდაო [და] ჯავახისშვილს თავის სახსრათ ამდენი გამოართო, თავის სახსარში მისცაო, განწესება ასეა: რომელიც ტყვე მოვა, თუ თავის სახლკარში არ მოვა და თავის ბატონისას არას [ინდომებს და ცალკე დადგება, პირველი მებატონე ვერას შეუა, თავისუფალი იქნება.

[ი]ესე ტყვეობიდან რომ მოსულა, თავის მამულში მოსულა, ორი კარი რომ შინ დარჩომია, [ა]მ კარებისთვისაც კელი მოუკიდია. და თავის სახსარში მიუცია; მერე ოცდათექვსმეტი [კ]ოდი პური გამოურთმევია და თავის სახსარში მიუცია; მესამე, ერთი კარი კიდეც სხვა ნინია[ს]ათვის გამოურთმევია და თავის სახსარში მიუცია და თავი დაუხსნია; მეოთხე, ტყვეობიდან რომ მოსულა, იმ ხანად მორიგი[ს] დავთარი დაწერილა; ეს იესე შინ არ ყოფილა. ფ რ ი დ ო ნ ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ს უკითხავს იესეს გაუყრელის სახლისკაცისათვის: იესე ვი[ს]ზედ დავსწერო; იმას უთქომს, მ ზ ე ქ ა ბ უ ქ ზ ე დასწერეო. ფრიდონმა სამართალში ასე თქო: იესეს გაუყრელმა სახლისკაცმა მზექაბუჯზე დააწერიანო, რომ დავთარი სამართალში მოიტანეს, იესე გულიაშვილი მზექაბუჯზე ეწერ[ა].

ამ საბუთებით იესე გულიაშვილი მზექაბუჯს დარჩა. და ჩვენ ამის უწინარეს სამართლიდან წერილი მივეციოთ, ის ისევ უნდა დაბრუნდეს და ამან იმოქმედოს და ის უქმ იქმნას. ამისთვის, ტყეობიდან რომ მოსულა, მზექაბუჯის მამულში მოსულა, ოცდათექვსმეტი კოდი პური გამოურთმევია და ერთი კარი მზექაბუჯისათვის და ორი კარი შინ რომ დარჩომია, იმ კარებისთვისაც კელი მოუკიდია და თავის სახსარში მიუცია. თუ მზექაბუჯის ყ[მო]ბა არ უნდოდა, არც იმ კარებისათვის უნდა მოეკიდა კელი და არც ესენი გამოერთ[მია].

[რად]გან შინ დარჩომილის საქონლისათვისაც კელი [მო]უკიდია [და] ამდენი პური თუ ხარიც გამოურთმევია მზექაბუჯისათვის, ვე[ლარ] წ[ა]უვა, ყმობით დარჩა გულიაშვილი [იესე] მზექაბუჯს და იმის შვილებს. თიბათვის კდ, ქორონიკონს უოგ.

ოთხი ბეჭედი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად ქ ა ი ხ ო ს რ ო

## 2. მ ზ ე ქ ა ბ უ ქ

3. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშკიკლასბაშ მყო მდივან-ბეგი თ ე მ უ რ ა ზ
4. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს.

### 187. ბანიინაბა ზაპარია და ლუარსაბ ონანაშვილის გაპრის საქმეზე

1785 წ. 2 ივლისი

ბელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7444. დედანი. ქალაღი. 16,4×14,8 სმ. მხედ-რული. აქა-იქ ერთი ან ორი წერტილი.

ქ. კარდანეკის გლეხები რომ გაიყვეს ონანაშვილ-მა ლუარსაბ და ზაქარიამ, ექვსი კომლი გაიყვეს. და ერთი საჭირნა[ხ]ულოდ რომ მიეცა ექვსის კომლიდამ ლუარსაბს, იმის მიხედულობით მისმა უმაღლესობამ ზვრიდამეც მეექვსედი მისცა. ასე, რომე ის ზვარი ექვსად გაზომონ: ექვსში ერთი უწილოდ ლუარსაბს მიეცეს და ხუთი წილი შუა გაიყონ. როდისაც გაიყონ, რომელიც მკარე რომელს ერგოს, გამიჯნონ, სამძღვრები ჩასხან და იმადგილის მდებარეობა აღმოსავლეთ-დასავლობით ამ ბარათს მოაწერონ და თავ-თავისი დაიჭირონ. მკათათვის ზ, ქორონიკონს უოგ, ტფილისს.

ქ. ექვსზედ რომ ერთი საჭირნახულოდ მიეცა, ეს სხვაზედ არ დაიდება; ამას სხვარიგი ჭირნახულობა ჰქონდა, რომ ყოელი პირი ამბობდა, ვისაც ახსოვდა, ასლანის დიდ ჭირნახულობასა და მისთვის მიეცა.

ხუთი ბეჭედი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმრთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. მ ზ ე ქ ა ბ უ ქ
3. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშკიკლასბაშ მყო მდივან-ბეგი თ ე ი მ უ რ ა ზ
4. მსაჯულმან სწორი ესე ყოს ეს ძეს
5. მონა ღთისა მდივანი ს ვ ი მ ო ნ.

### 188. ბანიინაბა იოანე შალიაშვილისა და ნიკოლოზ ახსანის

სახლის საქმეზე

1785 წ. 4 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. 37. საბ. № 238. პირი. ქალაღი. მხედრული.

[189] სანატრელს მეფეს ვახტანგს გადაჰყოლია შალიკაშვილი ედიშერ ნაზირი, რომ ამ ხანათ ედიშერის შვილის შვილი იოანე რუსეთს იმყოფება. იოანეს იქ ყოფნაში.



აქ ტფილის ქალაქს თავის ნასყიდი სახლის სიგელი მოუცია, ნიკოლაოზ აფხაზისათვის მოვციყიდიანო. ნიკოლაოზ აფხაზმა ეს სიგელი მოიტანა და ესე იჩივლა, ამ სიგლით ეს სახლი მიყიდიანო, სამართალი მომეცითო.

შალიკაშვილი ნაზირი იოანე ასე ჩიოდა: ჩემი სახლისკაცი იოანე რუსეთს დაქემკვიდრა, მე აქ ჩემის კელმწიფის გონებაში ვიმყოფები და ჩემს მამულზე ვდგევარო. თუ ამგვარად სხვას ქვეყნიდამ სხვას კაცს აქ მამული გაეყიდოს და სამართალს მიეცეს, [V] ამ ჩემს მოდავესაც მიეცითო, თორემ მე მარტო რას მემართლებითო.

ამას გარდა ერთი წიგნი მოიტანა ნაზირმა იოანემ იმავ იოანეს შვილისა და დებისაგან მოწერილი, რომელშიაც ასე ეწერა: «ჩვენ მაგ ნიკოლაოზ აფხაზისათვის ფასი არ გამოგვირთმევიანო, თქვენი მანდ არავინ გვეგონაო, ნიკოლაოზ მანდ წამოსვლას აპირებდაო და ვთქვით სხვის დარჩომას ამ ნიკოლაოზს დარჩესო, სიგელი ამ მიწეზით მივეცითო, თორემ მაგას ჩვენთვის ფასი სრულებით არა გაუცია რაო, რომ მაგანვე იცისო».

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, მათის უმაღლესობის ბძანებით ამათი სარჩელი ყველა მოვისმინეთ და ეს სამართალი მივეცით: პირველ ეს, რომ: რომელთაც ნასყიდობის სიგელი მოუციათ, იმათვე მოუწერიათ, ჩვენი სახლისკაცი მანდ არავინ გვეგონაო, ჩუქებით მივეცითო და არ[ა] ნასყიდობითაო, რომ ფასი არა გამოგვირთმევიანო, რომ მაგანვე იცისო, ნიკოლოზს მაგ სახლებთან კელი არა აქვსო. მეორე ეს, რომ განწესება ასეა: რომელიც კაცი ამ ქვეყნიდამ კელს აიღებს, სხვაგან დაქემკვიდრება, იქიდან აქ მამულს ვერ გაჰყიდის ვერც ის და ვერც სხვა ამგვარად დამკვიდრებული სხვას ქვეყანაში კაცი. დარჩა ეს სახლი [140] შალიკაშვილს ნაზირს იოანეს და ამის ძმას ნიკოლაოზს. და თუ ნიკოლაოზ აფხაზს ამ სახლის ბარობაზე თეთრი მიუცია ვისთვისმე, სთხოვოს და გამოართოს:

აღიწერა მკათათვის დ, ქორონიკონს უოგ.



მის უმაღლესობას მეორედ კიდევ სამართალი ებძანა აფხაზისა და როკიკაშვილის სასახლის ნასყიდობის გაშინჯვისა.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, რომელიც საქართველოს სამართლით და ანუ სხვა სამართლით კანონი იყო სხვა ქვეყნიდამ მამულის გასყიდვისა და სყიდვისა, იმ კანონით ეს სა-

მართალი მივეცი. ამის უწინარეს დავაყენებ უკანონო<sup>1</sup> გასყიდვა და ყიდვა უცნოს ქვეყნიდამ, რომელთაც რომ სამართლით დაუ-  
მკვიდრეთ ამ შალიკაშვილებს ნაზირს იოანეს და ამის ძმას ნიკო-  
ლაოზს. მეორედ ამათ უფრო დარჩათ ის სასახლე ამ შალიკაშვი-  
ლებს, რომ რუსეთიდან ამის უმაღლესობას ვედრებით არზას სწე-  
რენ, რომ არ ვიცოდითო, თუ ეს ჩვენი ნათესავეები მანდ იყვნენო,  
თორემ როგორ მივსცემდით ნიკოლაოზსაო, მარა არც მიგვიყიდ-  
ნიაო და არც ფასი გამოგვირთმევიო. დარჩათ სამართლით ნაზირს  
იოანეს და ნიკოლაოზს. იულისის ით, ქორონიკონს უოშ.



თაში:

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე, ამ  
განჩინებას ვამტკიცებთ; როგორათაც ორჯელ ამ მსაჯულთ განუს-  
ჯიათ, ეს ასე უნდა აღსრულდეს. [მ]კათათვის კა, ქორონიკონს უოშ.



ჩვენ, დედოფალი ქართლისა და კახეთისა დადიანის ასუ-  
ლი დარეჯან, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. [მ]კათათვის კე, ქო-

რონიკონს უოშ 

|                     |
|---------------------|
| დედოფალი<br>დარეჯან |
|---------------------|

**189. განჩინება სულხან და მანუჩარ თუმაანიშვილების მოახლის  
საქმეზე**

1786 წ. 11 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 47. დედანი. 27X15,5 სმ. ქალაღი. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. თუმანიშვილი მდივანი სულხან და მდივანი მა-  
ნუჩარ ჩიოდნენ: ერთი მოახლე გყვანდა, იოანე მდივნის შვილი  
ავთანდილ გადგიკიდა, და[ა]ორსულა, შვილი აყოლა. მოახლე  
მოგვიკვდა და თავისგან შექმნილი შვილი ავთანდილს მიუგდევით.  
ავთანდილმა თავისგან შექმნილს შვილს ზრდა დაუწყყო. ის ბუშიც  
მოკვდა, დამარხა. ახლა სამართლით ჩემის მოახლის სისხლს ვი-  
თხოვთ, სამართალი გვაღირსეთო.

<sup>1</sup> უკანონო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ავთანდილ მოვაცვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ავთანდილ ასე ჩიოდა: შენი მოახლე კახა იყო, სხვათაც ჰყვარობდა და მეც გადამეკიდაო და მაცდინაო.

რადგან თავს იღვა იმ მოახლესთან სიძვა, უნდა მოახლის სისხლი მოსცეს, რომ იქნება ოცდაოთხი თუმანი.

იასაულო ყაფიჩბაშო ბერო! ოცდაოთხი თუმანი გამოართვი ავთანდილს და მოეცი მდივანს სულხანს და მანუჩარს. კათათვის ია, ქორონიკონს უოგ.

ხუთი ბეჭედი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. მ ზ ე ქ ა ბ უ კ
3. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა.
4. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშკიქალასბაშო მყო მდივანბეგი თ ე ი მ უ რ ა ზ.
5. ეამი ე ს ე ც ა წარვლის.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე საქართველოსი ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. იანვრის თ, ქორონიკონს უოღ.

ბაქედი: აქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 190. არზა ვასილ კოზახიჩისა მამულუბის თაოზაზი მსაჯულთშეკრებულუბის განჩინებოთ

1786 წ. 14 ივლისი

ცსსა. ფონდი. 1450. დავთარი № 37. საბუთი № 69. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[არზა]

[40v] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის [41] ჰირი მოსცეს მათს მონას როსტომ ერისთვის შვილის აზნაურშვილს კოზახიძე ვასილს.

მეფევ მართლმსაჯულო, მეორეთ მოსვლის მზგავსად ქედმოხრილი ვსდგევარ თქვენის მეფობის წინაშე და სამართალს ვთხოვ. ეს მოხსენება მუჩალგით მომიხსენებია.

მთელი მეჯვრის ხევის სიღნაღი და გალავანი ჩემს ვენახებში დვას, ორი ძველი კოშკი ჩემი არის, ჩემის მამის გარემოშიც

დაჰყვა, რომე აღარა მომრჩომია რა, ორასის კოკის ვენახი წამიხდა, რომე სიღნაღი არის.

ეს მამულეები სულ ნასყიდობა არის, რომე ამათი სახასო არა ვეჰონია, რომე ესეები წამიხდა ამისის საფარდოთა: სისხლდაღვრილის კაცის შვილი ვიყავ და მეც ამათთან სისხლი დამიღვრია. ამისის სამაგიეროთ ჯერ ვ არ ი ა ნ ს ო რ ი კ ო მ [ლ] ი კ ა ც ი მ ე ბ ო ძ ა: მ ა ნ ა მ სა ა ზ ნ ა უ რ შ ვ ი ლ ო გ ა მ ო ჩ ნ დ ე ბ ო დ ე ს ო, ეს გეჰიროსო მკვიდრად სიგლითა და თორმეტი თუმანი ფეშქაში მივართვი ყველასა.

მასუკან ბეითალმანი სააზნაურშვილო გამოჩნდა და ის მიბოძეს და თორმეტი თუმანი კიდევ მეორეთ ფეშქაში იმაში მივართვი ყველასა, ვინცავინ ბრძანდებოდნენ. ღმერთსა ვფიცავ და თქვენს მეფობასა, ვერანა ვენახები ამიშენებია. მე ჩემს ბატონის შვილებს არ უჩივი, ი ო ს ე ბ თ უ ლ ა შ ვ ი ლ ს უ ჩ ი ვ ი. ვ ა რ ი ა ნ ი თ უ ლ ა შ ვ ი ლ მ ა ბ ო რ ტ ი ს შ ვ ი ლ ს მიჰყიდა, ეს სააზნაურშვილოც თულაშვილმა წამართვა და ერთს უმკვიდროს ქ ა რ უ მ ი ძ ი ს ყ მ ა ს მ ღ ვ დ ე ლ ს მისცა თავისი შვილების საოსტატოში. [V] არაფერი დანაშაული არა მაქვს რა თქვენის ერდგულების მეტი. და ვ ი თ ე რ ი ს თ ვ ი ს ს ი გ ე ლ ი დაბეჭდილი დააბნელა და თავისი ბეჭედი გამოუბრწყინვა თულაშვილმა.

ბედნიერო მეფევ, ასრე დავგლახავდი ამ მამულეების ქრთამზედ, რომ მას ეკლესიაში ვთხოულობდი და ამ თეთრის სარგებელს ისე ვაძლევ, ასე საქმე გამიჭირდა. სხვა ილაჯი რომ ვერ ვქენ რა, შარშან ორი ქალი წავიყვანე და ყიზლარს დავათხოვე.

ღმერთს გაფიცებ და დიდი რუსეთის კელმწიფეს, თუ ერთი რამ მცირე დანაშაული მე მაგათზე შემამჩნიო, მსაჯე სამართლითა, ორი სამართალი უნდა მომცეთ: ან ჩემი სამკვიდრო მამული უნდა მომეცეს და თუ კიდევ უსამართლოება დამემართება და სამკვიდროს მამულს არ მომცემთ, ეს ოცდაოთხი თუმანი თეთრი, ვისაც ჩემი მამული ეჭიროს, იმან მომცეს, რომე მოვალეებს მივსცე.

ღმერთსა ვჰფიცავ, იასაული მადგას, ამ თეთრსა მთხოვენ. ღმრთის გულისათვის მეფევ უსამართლოთ ვიწვი, მომკედეთ, თქვენც ვალი გაძევსთ ამისთანა უსამართლოებისა, რომე თქვენს მეფობაში ეს მოხდეს[ს]. სხვას გარდა დიდი რუს კემწიფის წერილიც მოუტანე, ეს კაცი შეწუხებულ იყოსო, საცა იყო ამისგან უფრო შეწუხება ერთი სხვა არ მინახამს. იენისის ი, ქორონიკონს უოგ.

ქელმწიფევე, ღმერთსა ვპფიცავ, ერთი კვალი გავლებული არა  
შქონია რა, ათი სული ჭიზანი [42] მყავს, რით შევიანხო?

ო.ე.შ.:  
უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონი ამ არზით ვისაც უჩი-  
ოდეს, ქეშმარიტი სამართალი მოეცით და გარდაუწყვიტეთ, ნულარ  
დაუგვიანებთ. ასრე უსაჯეთ, რომ მეორეთ საჩივარი აღარ მოუხდეს.

ივლისის იგ, ქორონიკონს უოგ. 

|        |
|--------|
| ერეკლე |
|--------|

[განჩინება]

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებილება სამართალს მოგი-  
წერთ ე რ ი ს თ ვ ი ს შ ვ ი ლ ო რ ო ს ტ ო მ! კურთხეულს და ვ ი თ  
ე რ ი ს თ ა ვ ს რომელიც სიგლით ამ ვასილისათვის მამული უბო-  
ძებია, რა მართებულია, რომ შენ მოუშალო და წაართვა.

ჩვენ ასე გწერთ: რომელიც კურთხეულს დავით ერისთავს წე-  
რილით მამული და ყმა ამ ვასილისათვის ებოძოს, შენც მოეცი. და  
თუ ასეთი სიტყვა და საბუთი გაქვს, რომ იმით ის ნაბოძები მა-  
მული მოეშლება, სამართალს გამოუცხადე. და თუ საბუთს გამო-  
აცხადებ სამართალს და არც მამულებს დაანებებთ, მერე სამართ-  
ლის ძალით მამულები ამას მოეცემა, მერე თქვენ იცით და რომელ-  
საც უჭირავს იმან. [მ]კათათვის იდ, ქორონიკონს უოგ.



191. განჩინება ბერო და აღო ხატიაშვილების მამულის საქმეზე

1785 წ. 6 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7242. დედანი. ქალაღი. 25,3×14 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და შიშივე.

ქ. ხ ა ტ ი ა ს შ ვ ი ლ ი ბ ე რ ო უჩიოდა ხატიასშვილს ა დ ო ს  
და ს ი ს ვ ა უ რ ს, რომ მიწა მაქვს თქვენის მამაპაპათაგან მოსყი-  
დული, მიწა თქვენ გიჭირავსთო და არ მანებებთო.

ჩვენ, კახეთის მოსამართლეებმა, მოვაყვანიინეთ და ვალაპარა-  
კეთ. ბერს ერთი წიგნი ჰქონდა, ამათი მამა-პაპა შიგ ეწერა და ასე  
ეწერა: მუხას ქვემოთ ჩვენი მიწა მოგყიდეთო. ამის მეტი არც სამ-  
ზღუარი ეწერა და არც დღიურობა და არც კელთ სქეროდა, არც მო-  
წამე უჩნდა, რომ ან სქერებოდა ამ ბეროას და ან სცოდნოდა ვისმე.

ჩვენ ეს სამართალი მივეციით: თუ ის წიგნი მართლად სახედვე-  
ლად უჩანს ხატიასშვილს ბეროას, ის წიგნი კელთ დაიჭიროს, ხატი  
აიღოს და რომელსაც მიწას დაობს, შემოუთაროს და დაიფიცოს,

რომ: ის წიგნი მართალიც იყოს და ის მიწა ამათი მამა-ბიძათაგან მისყიდულიც იყოს.

თუ ასე დაიფიცავს, ხომ დარჩება მიწა. და თუ ვერ დაიფიცავს და ის წიგნი ბათილი იქმნება და არცა რა მიწასთან საქმე ექმნებათ.

სამართლის განწესება არის, რომ ვისაც მამული ხელთ უჭირამს, იმას ერგება ფიცი. მაგრამ ამას ამიტომ ერგო ფიცი, რომ ერთი წიგნი უჭირამს, ამ აღოს პაპისა და მამის სახელი სწერია და არც სადაობა სწერია იმ მიწისა და არც რაოდენობა; მუხას ქვემოთაო, და რომლის მუხის ბოლოს ნიშნავს, არ ვიცით; და არცავინ მოწამე ჩნდა, სარწმუნო წიგნი ვერ იყო და ამისთვის დაედო ფიცი. იფიცოს, რომ მართალი წიგნი იყოს და რომელსაც მიწას შემოუვლის, რომ სწორეთ ნასყიდი იყოს<sup>1</sup>, დარჩება; და თუარა, ვერას შეუვა. აგვისტოს ვ, ქორონიკონს უოგ.

ერთი კვირა ვადა არის, თუ ბეროა შეფიცავს; და თუ ვერ შეფიცა, ამათ დარჩება.

საპი ბეჟელი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბ ე ე ა ნ
2. მონა ლთისა მდივანბეგი ო ტ ი ა.
3. მონა ლთისა მდივანი ს ვ ი მ ო ნ.

## 192. არაზ ოპანეზ შერაზანაშვილისა ვალის თაობაზე

მდივანბეგთა განჩინებით

1785 წ. 15 აგვისტო

1  
ცსა. ფ. 1448. საბ. № 431. დედანი. ქალაღი. 26X14,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

[არზა]

ქ. ლმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს ერისთვის დედის ქეღევანის ყმას შ ე რ მ ა ზ ა ნ [ა] ს შვილს ო პ [ა] ნ ე ზ [ს]. მერჟე ამას მოვასხენებთ: მე ერთი ამხანაკი მყვანდა, ატოცის დეკანოზის ყმა იყო. იმ კაცმა<sup>2</sup> თქვენი ჰირი წაიღო. იმას ერთი შვილი დარჩა. რუსეთს იყო. მოვიდნენ დეკანოზის შვილები ზ ე ბ ე დ ე და ნ ი კ ო ლ ა ო ზ, თეთრის თხოვნა დამიწყეს, ჩვენის ყმისა რაც იყო-სო მოგვეციო. მე უბატონოთ არ მივე.

მივედით ნეტარხსენებულს ნ ე ფ ე ს თ ე ი მ უ რ ა ზ თ ა ნ, გვიბძანა: თუ შვილი მოუვიდეს იმას მიეციო: თუ არა მოვიდესო.

<sup>1</sup>+და. <sup>2</sup> იმ კაცმა] ის კატო.

ამათ მოეციო. იმ ხანათ შვილიც მოუყვდა. მოახსენეს ნეფესა, იასა-  
ული უბოძათ, მოვიდნენ სულ თლივ მი[ი]ბარეს იმ თეთრიდამ სამი  
თუმანი.

იმ [მ]კვდარს კაცს გათხოვილი ქალი ყვანდა. იმ ქალმა ხუცესი  
გამოგზავნა და სამი თუმანი დახარჯა, თუ იმათ არა ჩ[ა]იგდონო, მე  
მოგცემო. იმათ აღარ ჩაიგდეს, მე გამომართვეს და ეს მე აღარას  
მაძლევს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი სამართალი გვაღირსეთ.

თავში:

ქ. ა მ ი ლ ა ხ ო რ ო რ ე ვ ა ზ და მდივანბეგებო! ესენი თქვენს  
სამართალში მოაყვანიეთ და ამის სამართალი უსაჯეთ. მკათათვის  
ლ, ქორონიკონს უოგ.

### [განჩინება]

ქ. ჩვენ, ამილახორმა რევაზ და მსაჯულთ, ატოცის დეკანოზის  
შვილის ზებედეს ყმის ქალი ხ ა ნ უ მ ა სამართალში მოვაყვანიეთ.  
მთელი ჭკუა არა ჰქონდა, არევით ლაპარაკობდა.

ცხვირა შერმაზანა შვილმა ი ა რ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ტ ე რ - მ ო ს ე -  
ს ა და გ ი ვ ი ყ ა ნ დ უ ა შ ვ ი ლ ი ი მოწმა. იმათ ასე იმოწმეს:  
ხანუმა დედაკაცის მამა მოკვდა, იმისი საქონელი შერმაზანა შვილს  
ოჰანეზას ებარა და ამ დედაკაცის ძმა რუსეთს იყო, საქონელს იმას  
უნახევდა, რომ მოსულიყო, უნდა მიეცა. ხანუმა დედაკაცი ჩვენ  
შემოგვეხვეწა — მამაჩემზედ შავი მინდა ჩავიცვა, მამიჩემის საქონ-  
ლიდამ ოჰანეზს მოაცემინეთ რამე. ჩვენ შუამავლობა უყავით და  
სამი თუმანი ოჰანეზს მივაცემინეთ: ასე უთხარიო: ძმა რომ მოუვა,  
ან იმას ვაანგარიშებინებთ და ან ამ დედაკაცს მივაცემინებთო. ჩვე-  
ნის სიტყვით და შუამავლობით სამი თუმანი მისცაო. დედაკაცის ძმა  
რუსეთს მოკვდა. ატოცის დეკანოზის შვილებმა ოჰანეზს რაც ება-  
რა, გამოართვეს და სამი თუმანი არ უანგარიშეს, ასე უთხრეს — გა-  
თხოვილს ქალს ჩვენის ყმის საქონელს არ მივსცემთო.

ამათ რადგან ასე იმოწმეს, ამ დედაკაცს მთელი ჭკუა არა აქვს,  
ოჰანეზა ნურასა სთხოვს. შვილი რუსეთსა ჰყავს. როდესაც შვილი  
მოუვიდეს, სამი თუმანი იმან უნდა თავის ღელის ვალი ოჰანეზას  
მისცეს. მარიამობის იე, ქორონიკონს უოგ.

ოთხი ბეჭედი:

1. მეფისა მტერთა ლახვარი ვამტკიცებ ამილახვარი რ ე ვ ა ზ
2. მონა ღთისა ამილახვრის შვილი მოურავი ი ე ს ე .
3. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
4. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ .

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 11. საბ. № 105. პირი. ქალაღი. მხედრული.

[91v] და დაშანთ საფარას შვილისშვილი მენღარე სანველა ჩიოღა: პაპის ჩემის საფარას საკუთარი ნასყიდი ნორაშნის უბანში ერთი დუქანი არის, მოსთაბარი<sup>1</sup> ნასყიდობის სიგელი ხელთ მიჭირამს, საკუთრად პაპას ჩემს უყიღია, ოთხი ძმა ჰყვანღა, არცერთი არ დაუწერიღებია და ის დუქანი მუჟაწოღაშვილს მიკირტუჟას უჭირავსო.

ღა ვჭკითხეთ რას გზით [92] გიჭირავსო; ღა მითხრა: ჩემს სახლს მზითვად გამოატანესო, წაიკითხეთ, თუ ან პაპაჩემს გაუყიღია ან მამაჩემს, რა სიტყვა მაქვსო; თუ არაღა, არეულობაში ფაშებისა ღა ხანების ღროში მამაჩემს ეს თავისი სიგელი დაეკარგა ღა ჩემი ნასყიდი დუქანი ხან ძალით დაუჭერიათ, ხან გაუყიღიათ, ხან მზითვად გაუტანებიათ, სამართალი მომეციო.

ჩემს, საქართველოს მსაჯულთშეკრებელღებამ, უთხარიო: ორმოცი წელიწადია მემკვიდრე ბატონი ბძანღება, რატომ არ ილაპარაკეო. ღიღის ფიცით დაგვარწმუნა, დაკარგული მქონღა, მამაჩემიც ეძებღა, ამბობღა — ნორაშნის უბანში დუქანი მქონღაო, სიგელი დამეკარგაო, რით ვეღაღო; ახლა ვიპოვე ღა ვლაპარაკობო, ვინც მიპოვნა, იმასაც ჰკითხეთო.

მოვაყვანიღეთ, ღიღის ფიცით სთქვა: ჩემს წიგნებში იყო არეულიო, ახლა ვიპოვე ღა მე მივეცო. ეს ვიცი, ამისი პაპა საფარა ღა პაპაჩემი ამხანაგი იყენენო, თუ გირავო იყო, თამასუჭი არა მაქვსო, თუ ნასყიდი იყო, ნასყიდობის წიგნი არა მაქვსო; თურმე მობარებული ყოფიღა, ამისი იყო [v] ღა ამას მივეცო. ეს სიტყვა ღიღის ფიცითა სთქვა ამ წიგნის მიმცემმა გომშორანთ სტეფან.

სიგელი წაეკითხეთ, ასე ეწერა: მოგყიღე ბა[რ]ხუღარაშვილმა აღაზადამ თქვენ, და დაშანთ ოქ[ან]ა შვილს საფარას, შვილსა შენსა ოსეფას ხარაზ ხანის ბაზრის თავს ნორაშნის საყდრისაკენ რომ ბაზრის შარა ჩაიღვლის, ხოჯა გულინას ღა ნაზარას დუქნის შუა არის, უკან ბატონის ქარვასლის მოკიღებით არის, წინათ ბაზრის შარა, ქორონიკონს ტაზ, მეღიქ-მამასახლისისაგან დაბეჭდილი მოსთაბარი სიგელი.

<sup>1</sup> მორთაბარი.



ვკითხეთ მიკირტუმას, შენ ეს დუქანი რის საბუთით გიჭირავსო. გვითხრა — ჩემს მეუღლეს მზითვათ გამოატანესო, სიგელი მოიტანა, ამ სიგელითაო.

წავიკითხეთ ეწერა: მოგყიდე ვართანას შვილის არაქელას შვილმა არუთინამ და მოსესამ, შვილმა ჩემმა გრიქორამ და სტეფანემ შენ, ნავროზანთ როსტომა შვილს პაპას შვილს როსტომას, ნორაშნის უბანში დუქანი ერთი გვერდი ფუთუხანთ ზურაბას დუქნის კედელი; მეორე, ბაბახანას შვილის პაპას დუქნის კედელი.

ეს სიგელი და ის გამსყიდველი და მსყიდველი შორიშორ არის. დადაშვილის საფარასი არც გვარი იყო, [93] არც სახელი.

მიკირტუმას უთხარით: ეს დუქანი საფარას ნასყიდია, საფარასაგან და ან იმის შვილისაგან უნდა იყოს გასყიდულიო.

ამის პასუხი ასე თქვა: ეგების მაშინ გაყიდაო და ის სიგელი დაიკარგაო, თორემ საფარა და იმის ძმები რომ გაიყარნენ, ეგ დუქანი ხომ ნასყიდი ჰქონდათ, რატომ გაყრის წიგნში არ გიწერიაო.

მოვატანინეთ გაყრის წიგნი, ნასყიდობის წიგნს ცხრა თვეს უკან გაყრილიყვნენ. ეს დუქანი არ ეწერა.

სანველამ ეს პასუხი უთხრა: პაპაჩემმა საფარამ და მისმა შვილმა იყიდა თავის ცოლის მზითვით ან თუ შვილის საკუთარი სათავენოთი. სამი ძმა ჰყვანდა, არცერთი დაწერა სიგელში; რომ არ დაწერა და სამომ არა მიუცია რა, გაყრაში ან წილს რათ დაუდებდა ან გაყრის სიგელში რათ ახსენებდაო, თავის საკუთარი სიგელი ხელთ ეჭირა, თუ ძმებს სადაო ჰქონდათ რამე, გაყრაში ელაპარაკებოდნენ და წილს დაიდებდნენ, მაგრამ ცოლის მზითვის ნასყიდთან და ან შვილის საკუთარის სათავენოთ ნასყიდთან ძმებს რა ხელი აქვსთო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ეს სამართალი მივეცით: [v] ორმოც დღეს ვადა დაუდევით. თუ ამ ორმოც დღეს ასეთი წიგნი მოიტანეს, რომ ან საფარას გ[ა]ეყიდოს ან იმის შვილს ეს დუქანი ან ასეთი სარწმუნო მოწმე[ე]ები წამოაყენოს, რომ ან სყიდვაში დასწრებოდნენ ან ნასყიდობის წიგნი ენახოსთ საფარასა და მისის შვილისაგან მისყიდული, ხომ დარჩება მსყიდველს. და თუ ვერა მოიღეს რა, დარჩება საფარას შვილის შვილს სანველას.


ორმოცდაათი დღეც გავიდა, არცარა წიგნი მოიტანეს, არც მოწამე და არცარა სწორე პასუხი აღირსეს. ხმელის სიტყვით ამას ეუბნებოდნენ: წიგნი ეგების დაიკარგაო, თორემ ქალაქში ძალით და ან ქურდობით როგორ დაიჭირებაო.

ეს სიტყვა სამართალში ხომ არ შემოვა და სხვა საბუთი ვერა მოიტანეს რა. ეს დუქანი რადგან საფარას უყიღია და წიგნი ხელთ უჭირავს მოსთაბარი<sup>1</sup> ნასყიდობისა და ამისგან გასყიდულობა კი არა ჩანს, არც ამის შეილისაგან და მოწამე ემოწმება: მე მქონდა და ახლა ვიპოვე და მივეცო ეს წიგნით, [დი]დხანს მოუკითხაობა და ამ დუქანზე ულაპარაკობა ამ მოწმით გამართლდება, რომ ახლა უპოვია; [94] ნასყიდობის წიგნი ხელთ უჭირავს და ამის წინა[ა]ღმდეგი კი არა ჩანს. სამართლით ეს დუქანი ამ საფარას შეილის შეილს სანველას დარჩა.

და თუ ან წიგნს ვინმე წამოაყენებს საფარას მისყიდულობისა ან იმის შეილისასა ან სარწმუნოს მოწმე[ე]ბს, რომ მოსთაბარი წიგნი ენახოსთ ამ დუქნის ნასყიდობისა, ან ფიცით იტყვიან: ჩვენ ვიცით, რომ ეს დუქანი საფარასაგან თუ იმის შეილისაგან გასყიდული არისო და ამას ფიცით და[ა]მტკიცებენ, სამართალი მიეცემათ; თუ არა, ეს დუქანი დარჩა ამ სანველას.

ჩაოდენ შესაძლებელ იყო კაცობრივის გონებისაგან ასე გამოვიძიეთ და განვაჩინეთ. უმჯობესი მისის უმაღლესობისაგან დამტკიცდეს. აგვისტოს 23, ქორონიკონს უოგ.

ლ ე ლ უ ა შ ვ ი ლ ო ი ვ ა ნ ე, ეს ასე აღასრულე.



ამის უწინარეს ამ მოდავეთ ჩვენ, მსაჯულთ, სამართალში რომ ილაპარაკეს და სანველამ სიგელი წარმოაყენა, ეს დუქანი ჩვენი ყოფილაო და სხვათ მიფარვით დაუჭერიათო და მერმე ამ მიკირტუმასათვის ნასყიდობის სიგელი წარმოაყენესო, რადგან სამართ[ა]ლს ეს მოახსენა სანველამა, ჩვენ ამ მიკირტუმას ამ დუქნის ნასყიდობის წიგნი მოვთხოვეთ. მიკირტუმამ იმ უამად ნასყიდობის სიგელი ვერ წარმოაყენა. რადგან სიგელი მაშინ მიკირტუმ[ამ] ვერ წარმოაყენა. ის დუქანი სანველას დავანებეთ. მარა ამავე განაჩენში ასე დაუპირით: თუ მიკირტუმა სიგელს წარმოაყენებს, მაშინ მიკირტუმას სამართალი მიეცემოდა.

მიკირტუმამ ახლა ამ დუქნის ნასყიდობის სიგელი წარმოაყენა, რომ ეს სადავო დუქანი ამ სიგლით ნასყიდი ჰქონიათ და სანველას საქმე არა ქონია. დარჩა სამართლით ეს დუქანი ამ სიგლის სამძღვრებით მესანთლიანთ მიკირტუმას. და რაც ქირა სანვე-

<sup>1</sup> მორთაბარი.

ლას აულია, ისევე უკანვე უნდა მოსცეს სანველამ მიკირტუმას. სეკ-  
დემბრის იზ, ქორონიკონს უოჯ.

ჩვენ, მდივანბეგი ოტია ანდრონიკე შვილი, ამ მსა-  
ჯულთაგან განჩინებისა თანახმა ვარ. ძველი სიგელიც ვნახე, ჭეშმა-  
რიტი ნასყიდობა არის. დეკემბერს ა, ქორონიკონს უოჯ.

თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოჲსა მეორე ირაკ-  
ლი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. დეკემბერს ი, ქორონიკონს უოჯ.

ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალი ბატონი და-  
დიანის ასული ბატონი დარეჯან, ამ განჩინებას ვამტკიცებთ.

დეკემბერს იე, ქორონიკონს უოჯ.

#### 194. ბანძინება ოგოლაშვილისა და მათეშვილუაის მამულის საქმეზე

1785 წ. 20 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7249. დედანი. ქალაქი. 33,3X10,5 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ო ბ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ფ ი რ ო და მ ა თ ე შ ვ ი ლ ე ბ ი ო თ ა-  
რი და მ ა თ ე ო ბ ა უ ა ლ შ ი ს ა ნ ა ვ ს მიწაზედ ჩიოდნენ და მო-  
ვიდნენ ჩუენ, ყოვლად სამღუდელოს ბოდბელს დავითთან  
და გამოაცხადეს.

და ჩუენ ჩუენის ეკლესიის მოკელეთა და უფროსთა და მოხუ-  
ცებულთა კაცთა მოუწოდეთ: ნაცუალს დ ი მ ი ტ რ ი ს, ქეენას დ ე-  
მ ე ტ რ ე ს, ი ა ს ო ნ ბ ა ნ ა ბ ი ს შ ვ ი ლ ს და ამათთან თანდას-  
წრებითა მოხუცებულთა კაცთა გამოვკითხეთ და მათ ფიცით ასე  
დაგვაჯერეს:

უწინვე იყო ამაზე დავაო და არ დაუფიცნიათო. ამაზედ კიდე  
მისის ყოვლად სამღუდულოების ბოდბელის იოანეს უამ-  
საც ყოფილიყო ლაპარაკი, რომ ტუხაშვილი მამამთავარი და  
იმისი შვილები წასდევებოდენ ო ბ ო ლ ა შ ვ ი ლ ს, რომ ამ ტუხა-  
შვილებს ამ მათეშვილის განაყოფის მამული ქონოდათ ნასყიდი ამ  
მიზეზითა, და ბოდბელს იოანეს ტუხაშვილებისათვის კელი აეღები-  
ნებინა და ობოლაშვილისათვის მიეცა. მაშინ ეს მათეშვილები

წვრილები ყოფილან და ამაზე ლაპარაკი არ შესძლებიათ, ახლა რომ წაედავენენ ობოლაშვილსა.

და ჩუენ მოხუცებულთა კაცთაგან ფიცით სარწმუნოდ დაჯერებულნი შევქიქენით. უწინვე ამ მიწაზედ მათეშვილებს ორის მოწმით ფიცი სდებიათ, ახლა ჩუენც ისივ სამართალი მივეცით: მათეშვილებმა ორის კაცით ობოლაშვილს ასე შეფიცოს, რომელსაც მიწას დაობენ, რომ: «ეს მიწა ჩუენის მამისა და პაპის სამკვიდრო მამულია».

თუ მათეშვილებმა ასე იფიცეს, ეს მიწა ამათ დარჩება. თუ ასე ვერ დაიფიცეს, ობოლაშვილს დარჩება.

ამ ორს მოფიცარში ერთი ობოლაშვილმა უნდა შეუგდოს, რომელიც თითონ უნდოდეს, ერთი მათეშვილებმა თითონ რომელიც უნდოდესთ, მიიქოლონ.

ეს სამართალი ჩუენი ეკლესიის მოქელების და უფროსთ კაცთა თანდასწრებითა გარჩიგდა.

ნ ა ც ვ ა ლ ო დ ი მ ი ტ რ ი! შენ უნდა დადგე. ამათ ათს დღეზე მოლათი მიეც მათეშვილებს, თავისი საქმე მოივარგონ. [თუ] ათს დღეზე შეფიცეს ობოლაშვილს, ეგ მიწა მათეშვილებს მიაბარე. თუ ვერ შეფიცეს, ობოლაშვილს ფ ი რ ო ს და იმისს შვილებს მიაბარე. როდისაც გადასწყდეს, ეს განაჩენი ჩუენთანვე მოიტანე, რომ გადაწყვეტილობა მოეწეროს. აღიწერა ოკლონბრის ოცს, ქორონიკონს უოგ.

ხეღრთა: დ ა ვ ი თ

ქ. ნაცუალო დიმიტრი! რადგან მათეშვილს ამ ვადაზედ ფიცი ვერ შეუძლია და ვერ შეუფიცნია ამ ობოლაშვილისათვის, ამ მიწაზედ კელი ამართე და ამ ობოლაშვილს მოაბარე. ნოემბრის ივ, ქორონიკონს უოგ.

ბეჰელი: ბ ო დ ბ ე ლ ი დ ა ვ ი თ.

ქ. ჩუენ, საქართველოს უფლისწული მეფისძე გიორგი, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. იულისის იჴ, ქორონიკონს უჴგ.

ბეჰელი: გ ი ო რ გ ი.

195. მანჩინაბა პართენ მდივნიშვილისა და ქრისტეს საფლავის  
მამულავის საქმეჲ

1786 წ. 7 თებერვალი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 51. საბ. № 182. პირი. ქალაღი. მხედრული.

[156] მისის უმაღლესობის ბედნიერის მეფისათვის ჯვარის მამას.  
ანტონის არზი მიერთმეფა: კისისხევის ქრისტეს<sup>1</sup> საფლა-  
ვის შეწირულს მამულს მდივნიშვილი პართენ ართმეფ-  
სო. და ამისი სამართალი მათს უმაღლესობას ჩვენ, მათის მონათა-  
თვის — ქაიხოსრო სალთხუცისათვის, მდივანბეგის ბეჟან-  
სათვის და ლაშქარნივისის ომანისათვის ებძანა. მდივან-  
ნი სვიმონც სამართალში ჩვენთან ეწერა, მაგრამ მოღავეთ  
დადგა.

ჩვენ ჩავედით კისისხევესა და რაც მამული სადაო იყო, ის გავ-  
შინჯეთ. მალლა სოფელში ერთი ხოდაბუნი არის ქრისტეს საფლა-  
ვისა, კისისხევის ხევისაჲენ რომ ბეჭური წადგას ქალასა. ხოდაბუნის  
ბოლო იქ მიადგება და იმ ბეჭურიდამ დაბლა ქალაზე გზა ჩავა. ამ  
ხოდაბუნის ჩასწვრივ ერთი წისქვილი ზემო კუთხის ჩასწვრივა დგას  
და მეორე წისქვილი ქვემო კუთხის ჩასწვრივა დგას. ეს ორი წის-  
ქვილი ამ ხოდაბუნის ჩასწვრივ ისე დგას; და ეს წისქვილები ქრის-  
ტეს საფლავის ყმებისა არის, რომ ამაზე არავინ დაობს.

და ამ წისქვილების გასწვრივ რაც ხევამდინ მამულები რჩება,  
ამაზე მდივნიანი და ქრისტეს საფლავის ყმები დაობენ.

მდივნიანი ამბობენ: ბატონისაგან წყალობათ<sup>2</sup> მოგვეცე-  
მიო და ჩვენი არისო, ბატონის წყალობის წიგნიცა გვაქვსო და შიგ  
იმ წიგნებშიაც გვიწერიაო, რომ კისისხევის ქალაში ჩვენს მეტს საქ-  
მე არავისა აქვსო. და ეს წიგნები ჩვენთან არც მოუტანიათ [V] და  
არც გვინახავს.

ქრისტეს საფლავის ყმები ამბობდენ: ამ წისქვილებს გასწვრივ  
ხევამდის ჩვენი<sup>3</sup> მამული არის და ხელთაც გვიჭირავსო და არცავის  
ახსობსო, რომ დღევანდლამდის ამ მამულეებზედ თქვენ ჩვენთვის  
გედავნოსო, თუ არ მიჯნებზედაო, თორემ ოთარ მდივანი უმფ[რ]ო  
გამოჩენილი კაცი იყო, არსენის წინამძღვარმა შემოუარაო, რომ  
ჩვენი მიჯნა ეს არისო, და ოთარ მდივანს ხმაც არ ამოუღიაო; და  
არავის ახსოვსო, რომ ამ მამულზე თქვენ ჩვენთვის გედავნოსთო,  
რაც ახლა<sup>4</sup> შენ შენის ძალით არ გვართმევო.

<sup>1</sup>—ქრისტეს. <sup>2</sup> წყალობათ. <sup>3</sup>—ჩვენი. <sup>4</sup> ახლა.

ჩვენ ამ მამულების საქმე გამოვიკითხეთ და სარწმუნო კაცთ იმოწმეს, სამღვდელმთავრო და საეროთ, რომ: სამოცს წელიწადში სულ ქრისტეს საფლავის ყმებს უპირავთო და გაგონითაც ასე გაგვიგონიაო, რომ ქრისტეს საფლავის მამული არისო. დ[ა] ერთი წიგნიც მოიტანეს ქრისტეს საფლავის ყმებმა. გაბრიელ მოძღვარს რომ ქრისტეს საფლავის მამული სჭერია, იმას მიუტია: მოგვით წისკვილი თავისის გარდევრითაო.

ამ ლაპარაკებმა რომ ასე გაიარა, მდივანი [157] ს ვ ი მ ო ნ და ი ო ვ ა ნ ე ლაშქარნივისი უკან უკუდგნენ და ასე თქვეს: რაც არსენიოს ოთარ მდივნის დროს სჭერიაო და შემოუფარგლავსო, ჩვენ იმაზე ვერ ვედავებითო და არცაა საქმე გვაქვს.

მაგრამ მდივნიშვილი პ ა რ თ ე ნ კიდეც ლაპარაკობდა და დავაზე ხელს არ იღებდა. და უბრალოს ლაპარაკს გარდა არც<sup>1</sup> წიგნი მოიტანა და არც<sup>1</sup> მოწამე მოიყვანა.

და ჩუქენ ეს სამართალი გავაჩინეთ: რაც არსენიოს წინამძღუარს ოთარ მდივნის დროს იმ წისკვილების გასწვრივ მამული შემოუფარგლავს, ის ქრისტეს საფლავისა არის; და არც სვიმონ მდივანი. იოანე ლაშქარნივისი დაობენ და ჩვენც ქრისტეს[ს] საფლავის ყმებს დაეანებეთ ეს სადაო მამულები.

და პართენ რომ მეფეთაგან წყალობის წიგნს ამბობს, ის წიგნი თუ მართლა აქვს, მის უმაღლესობას ბედნიერს მეფეს მიაართვას და ნება მათის უმაღლესობისა არის.

მაგრამ პართენმა ოც დღეზე უნდა გადაწყვიტოს. თუ ამ ოც დღეზე ის წიგნი მის უმაღლესობას ბედნიერს მეფეს არ მიერთვა და იმითი თავისი საქმე არ გა[ა]რჩივა და ამ განაჩენის წინააღმდეგი სამართლით არ გამოიტანა, მასუკან საქმე აღარა ექნება რა.

ჩვენ ასე განგვისჯია და ნება მათის უმაღლესობისა არის. თე-

ბერკლის ზ, ქორონიკონს უოდ. 

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  |  |
|--|--|--|

**196. განჩინება შოშია ხვალაძისა და დათვიანვილის მამულის საკმაზე**

1786 წ. 6 მარტი

ცსა. თ. 1450. დავთ. № 49. საბ. № 152. პირი. ქალაღი. მხედრული.

[115v] ამის უწინარეს ხ მ ა ლ ა ძ ე მ შ ო შ ი ა მ სამართალს არზა მოართო: და თ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ვ ე ნ ა ხ ს რომ მედავება, არც ნასყიდობის წიგნი აქვს, არც მოწამე ჰყავს და რის საბუთით მედავება, სამართალი მაღირსეთო.

<sup>1</sup> რაც.

ჩვენ იმ არხაზე მივსწერთ: რომელიც მაგ სოფლის მემიჯნენი ხართ და რომელთაც მაგ მამულის ვითარება ჭეშმარიტებით იცოდეთ, მოიწერთ.

ჯ ე ხ ა შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს ასე მოეწერა: სამოციის წლის კაცი ვარ და ამ სად[ა]ოს მამულის მემიჯნავე ვარ. დათვიაშვილი რომ ელდავება, არადროს არ მინახავს, რომ ეს ვენახი დათვიაშვილს სქეროდეს და არც დათვიაშვილისაგან ამ ვენახზე საღაო გამიგონიაო. ეს კი გამიგონია ი ა რ ა დ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ , რომ ხმალაძესი ყოფილა ეს ვენახიო.

მე, დ ი მ ი ტ რ ი მ ლუდელი, ამისი მოწამე ვარ, ამ დათვიაშვილს ეთქვა ჭეხაშვილისათვის: ქრთამს მოგცემ, ამაზე მიმოწმეო. მერე ჭეხაშვილი მოვიდა და მე მითხრა: დათვიაშვილთან მოციქულათ მიმეგზავნეო და ასე უთხარო: მე ვერცარას გამოგა[110]რთმევ და ვერცარას გიმოწმებო და არც გამიგონია, რომ შენი ყოფილიყოსო, მიველ და ეს ასე უთხარო.

კ ო ჭ ლ ა შ ვ ი ლ ს მ ლუდელს ქ რ ი ს ტ ე ს ი ა ს , ჩ ი კ ო ი ძ ე ზ ა [ა] ლ ს და მამასახლის გ ი ო რ გ ი ს მოეწერათ ფიცით, ს ე ფ ი ა შ ვ ი ლ ს დიდის ფიცით ვკითხეთ და ასე მოგახსენათ დიდის ფიცით: არც გაგონებით გამიგონია და არც ნახვით მინახავს, რომ ეს ვენახი ამ დათვიაშვილს სჭეროდესო.

ა გ რ ე ვ ე გ ო გ ნ ი ა შ ვ ი ლ ს შ ე რ მ ა ზ ა ნ ს მოეწერა: ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ე ს მოვესწარო, არც გამიგონია რომ ეს ვენახი დათვიაშვილს სჭეროდეს და არც ნახვით მინახავსო და ნება თქვენიო.

ამათ რომ ასე მოეწერათ, დათვიაშვილი მოვაცყვანიეთ და ეს მოწმობა წაუკითხეთ.

დათვიაშვილმა თქვა: იმ ვენახის ნასყიდობის წიგნი გვექონდა, მაგრამ დაგვეწოო და დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ვ ი ს ერისთაობაში ვიჩივლეთ, ერისთავმა გამოართო და ჩვენ მოგვცაო. და მოწამე და საბუთი არ ენახა, როდის მოგვცემდაო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, დათვიაშვილს ერისთვისაგან ამ ვენახზე განსჯილის სამართლის წიგნი მოვთხოვეთ, ან მოდავეთ ვითარ გიჩივლიათ და ან მოსამართლეს ვითარი განჩინება მოუციო.

დათვიაშვილმა თქვა: ვენახი ჩვენ მოგვცა, მაგრამ წიგნი კი არ მოუციოაო.

ჩუენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ამთის საჩივრის მოსმენით და ამ მოწმე[ე]ბის მოწმობით ეს სამართალი მივეცი: რადგან ეს მოწმე[ე]ბი ასე მოწმობენ, ჯერ ხ მ ა ლ ა ძ ე ს ეჭირაო,

მერე ლოლაძეს მიჰყიდა ხმალაძემო და არც ერთისთვის დათ-  
ვიაშვილს არ უდავნიო, რადგან ამდენი მოწამენი ასე მოწმობენ  
და დათვიაშვილს არც ნასყიდ[ვ]ობის წიგნი აქვს, არც დავით-  
ერისთვისაგან ვენახი სადაოზე განსჯილი სამართლის წერილი, არც  
საბუთი და არც მოწამე ჰყავს, დარჩა ეს ვენახი ლოლაძეს  
ლუარსაბს ამ ნასყიდობის წიგნით და ამ მოწამეთ მოწმობით.

ემიკადასბაშო ალექსანდრე! ეს ვენახი ლოლაძეს  
მერე ლოლაძეს მიჰყიდა ხმალაძემო და არცერთისთვის დათ-

ამათის მოწმობით ხმალაძისა ყოფილა. ხმალაძეს უმეკა-  
შვილისათვის მიუყიდა და უმეკაშვილს ლოლაძეს  
ლუარსაბისათვის მიუყიდა. თუკი დათვიაშვილს სადაო  
ჰქონდა, ან ხმალაძეს რატომ არ ედავა ან უმეკაშვილს რომ ეჭი-  
რა და ან უმეკაშვილი რომ ყიდდა. დარჩა ეს ვენახი მოურავს ლო-  
ლაძეს ქაიხოსროს შვილს ლუარსაბს.



### 197. ბაენინება დიპასტარიისა გრიგორ ბერის ბაშულის საქმეზე

1786 წ. 11 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 49. საბ. № 172. პირი. ქალაღი. მღერული.

[126v] იმის სიმაღლეს მეფეს ებრძანა მისის უწმინდესობის დი-  
კასტირიისათვის მისის უწმინდესობის წინაშე შეკრება, ეპისკო-  
პოსთ ხლება და თანდასწრებით გრიგორ ბერის საწისქვი-  
ლოს საქმის გასინჯვა. შემოვკრებით! [127] მისის უწმინდესობის პა-  
ლატსა შინა წინაშე მისის უწმინდესობისა ჩვენ, ყოვლად სამღუდე-  
ლონი ეპისკოპოსნი: მთავარეპისკოპოსი იოანაფ, თფი-  
ლელი მიტროპოლიტი გერმანე, რუსთველი ეპისკოპო-  
სი კირილე, ნიქოზელი ეპისკოპოსი იულიოს, ღირსის  
მამის დავითგარესჯის მონასტრის არხიმანდრიტი თეოდოსი  
და ნათლისმცემლის მონასტრის არხიმანდრიტი ევთიმო; და გავ-  
სინჯეთ გრიგორ ბერის საწისქვილოს წიგნები, რომელიც პირვე-  
ლადვე ყოვლად სამღუდელოს აბბა ალავერდელს ზენონს  
მიეცა და წიგნით დაემტკიცებინა.

შემდგომად მიცულებისა მისისა ყოვლად სამღუდელოს აბბა  
ალავერდელს ნიკოლაოზს მოხელეების რჩევით გამოერთმია და

<sup>1</sup> შემოვკრებით.



სხვისთვის მიეცა. მერმე იმის სიმაღლეს მეფესთან ეჩივლა გრიგორ ბერს, და ოქმი ებოძა: ეგ წისქვილი რომ გაგიციათ და ვილასთვისაც მიგიციათ, უფრო მართებულთა, რომ გრიგორს ბერსვე მიეცესო, რადგან დიდი ჭირნახული დაუდვიაო.

შემდგომად აბბა ალავერდელს ნიკოლოზსაც ებოძებინა და წყალობის წიგნით დაემტკიცა თავისის საყდრიონთ ერთხმობით.

ჩვენ იმის სიმაღლის ოქმი რომ ვნახეთ და ამათ ყოვლად სამღუდელოთ აბბა ალავერდელთ წყალობის წიგნების სიმტკიცე და უცუალებლობა რომ გავსინჯეთ, თანახმა ვექმნებით და უბოძეთ ის საწისქვილო თავის შესავალ-გასავლით და საურმო გზით გრიგორ ბერს. ასე, რომ დღეის იქით გრიგორ ბერის [V] ძმისწულების მეტს იმ საწისქვილოსთან ხელი არავისა აქუს, არც საყდრიონთ და არც მოხელე[ე]ბსა. და ყოვლად სამღუდელოს აბბა ალავერდლის ნიკოლოზისაგან ბოძებულს საწისქვილოს წყალობის წიგნს უკან თუ როგორმე საქმეს გაუვლია, ის საქმედ აღარ შეირაცხებება.

ჩაიწერა დიკასტირიასა შინა თთუესა მარტსა ია, წელსა ჩღბვ.

მდაბალი მთავარეპისკოპოსი სამთავრომსა და გორისა ხელრთვა.

მდაბალი ტფილელ მიტროპოლიტი

მდაბალი რუსთველ არხიეპისკოპოსი

მდაბალი ნიქოზელ ეპისკოპოსი

უღირსი ღირსის მამის დავითგარესჯის მონასტრის არხიმანდრიტი


უღირსი ნათლისმცემლის მონასტრის არხიმანდრიტი

უღირსი მწიგნობარ-წინამძღუარი

თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველომსა პატრიარხი მეფის ძე ანტონი, ჩლენი უწმინდესისა სინოდისა, დიკასტირიისა ჩუენისა მსაჯულთა და ყოვლად სამღვდელოთა ეპისკოპოსთა და მაღალ ღირსთა არხიმანდრიტთა მიერ განსჯილსა სამართალსა ამას ვამტკიცებ. მარტის ია, წელსა ჩღბვ. ანტონი.

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფე ირაკლი, ამ ჩვენის ამის სამართალს ვამტკიცებთ. მთიბათვის ა, ქორონიკონს უოდ. ალ-

ბათ 

კათალიკოზისა და დიკასტერიის მოსამართლეთ ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქი, მეფის ირაკლი მეორის ძე ანტონი და მქონებელი უსაკუთრესად წმინდის გიორგის ალავერდის ეკლესიისა, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. იანვარს იე, წელსა ათასრვაასსა ჩყ. ხელრთვა.

**198. განჩინება ვერი ლიპარიტის შვილისა და წრილა შვილუგის  
მამულის საქმეზე  
1786 წ. 20 მარტი**

ცხსა. ფ. 1448. საბ. № 4452. დედანი. ქალაღი. 25X20,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ლიპარიტის შვილი [ბერი] და წრილა და შვილები თევდორე, პეტრია, და გოგია შაშვების მიწებზე დაობდენ, რაცა ახლა სოფელს სარწყავი მამული ქონდათ.

მოვიდნენ ჩვენ, ბატონს ამილახვარ-მდივანბეგს იეს [ეს] თანა, იჩ[ი]ვლ[ეს]. ამათი სამართალი ასე განვაწესეთ: რასაც ბერი ელ[ავ]ებოდა სარწყავს მიწებს, ისევე ბერს ლიპარიტის შვილს და იმის შვილს გოგიას და გელიას დარჩა. ორი ტ[ა]ნი მიწა სარწყავი, თავს ფშანი რომ გამოვა იქამდი, გვერდი ფშანი რომ ჩაივლის შარისკენა, სამნები ჩაგვისხამს; მეორეს ტანაზე წრილა შვილის მიწის მიდგომამდი სამნები ჩაგვისხამს, ოცდაათის დღის იქნება.

ურწყავის მიწა სამამულეთ არა გაგვიყვია; ავის დროისათვის ასე ვამჯობინეთ: რაცა წრილა შვილმა თავისის გუთნით მოხნას, ბერმა ღალა არ უნდა თხო[ოს] მოზიარს გარდა. ათის დღის უღალთ მოხნას.

ხევის მიწას ორნივ დაობდენ. მაგრამ არც ერთს არც წერილი ქონდ[ა]თ, არცა მოწმე. რაც ღალა მოვიდეს, ორთავ უნდა აიღონ: ერთი კოდი და ნახევარი ბერმა და გელიას შვილმა აიღოს, ერთი კოდი წრილა შვილმა.

იასაულო ნაზირო და ტრიალა, ასე გა[ა]რიგე. მარტის კ, ქორონიკონს უოდ.

ბეკელი: მე ამილახვარ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად იესე.

კიდეზე:

ქ. სარდალ-მოურავი ამილახვარი ოთარ ამ ბიძიჩემის მიცემულს განაჩენს წრიალაშვილებისას ვამტკიცებთ.

ზეპედი: ამილახვარი ოთარ.

**199.** განჩინება მრავალ II-ისა ივანე დოლენჯიშვილისა და ამილახვარ ციციშვილის შვის საქმეზე

1786 წ. 27 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 29. საბ. № 80. პირი. ქალაღი. მხედრული.

[96V] ჩვენი ბძანება არის. მერე მირაქაშვილი ოსეფ თავისის შვილით ჩვენს სახასოთ იყვნენ დარჩომილნი და კურთხეულს დოლენჯის შვილს ხუთასისთავს იოვანეს უბოძეთ.

იოანეს [97] სიკვდილს უკან მის ობლებს ამ მირაქას შვილებზედ ამილახვარ ციციშვილმა დავა და ლაპარაკი დაუწყო. და ეს მირაქაშვილი ოსეფა თავის შვილით ჩვენ სახასოთ დაგვიღვია. ამათთან ჩვენს მეტს საბატონყმით კელი არავის არა აქვს. ვისაც ამათი თავი სამართლით ყმათ დარჩება, ამათს სამაგიეროს პასუხს ჩვენ გავცემთ. მარტის კჳ, ქორონიკონს უოღ.

ჩვენ, საქართველოს დედოფალი დარეჯან, ვამტკიცებ. მარტის იღ, ქორონიკონს უოე.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს პატრიარხი და ალავერდელ მიტრაპოლიტი მეფის ირაკლის ძე, მისის უმაღლესობის განჩინებასა ამას ვამტკიცებ. თებერვლის კ, ქორონიკონს უოჟ.

ხელთა: კათალიკოზი

ჩვენ, ბატონის შვილი ვახტანგ, როგორც მისს სიმაღლეს უბრძანებია, ამ ბრძანების თანამოწამე ვართ. აპრილის ივ, ქორონიკონს უოღ.

**200.** განჩინება გიორგი XII-ისა ნიჟოჯალისა და ფავლენიშვილების შვა-გაშულის საქმეზე

1786 წ. 24 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2411. პირი. ამავე საბუთის პირი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. Ad 1504-ა.

მისის სიმაღლის მამის ჩვენის მეფისაგან ბრძანება დაიწერა: ყოვლად სამღუდლო ნიჟოჯელი ულიოს და ფავნელის შვილები რომ ლაპარაკობენ, მისი უწმიდესობა ჩვენი ძმა კა-

<sup>1</sup>+შვილები.

თალიკოს-პატრიარხი და ჩვენი შვილი გიორგი დასხდენ, ჩვენი მსაჯულნიც გვერდს დაისხან და დეკასტრიის შეკრებილებანიცა და ამათი საქმე გაასამართლონო.

მისი უწმიდესობა ბიძაჩვენი კათალიკოს-პატრიარხი უძღვებდა ბრძანებოდა და ვერ მობრძანდა. და ყოვლად სამღუდლო მთავარეპისკოპოსი იოასაფ და ყოვლად სამღუდლო ტფილელ მიტრაპოლიტი გერმანე და ყოვლად სამღუდლო რუსთველ მიტრაპოლიტი კირილე და დეკასტრიის შეკრებილებანი წარმოვევლინა.

ესენი და საქართველოს მსაჯულთშეკრებილებანი გვერდს დავისხით და ვალაპარაკეთ.

ყოვლად სამღუდლო ნიქოზელი ამას ჩიოდა: ეკლესია მისის სიმალლის მეფისა არისო და მე ეპისკოპოსად დაუდგენივარო. მამულებისაგან ასე გაძრცვილიაო, რომ აღარაფერი აღარა აქვსო. ზოგი ფავენელიანთაგან აქვს წარტაცებული, ზოგი მჭედლიძეებისაგან და ზოგი სხვათაგან. და ფავენელიანი ეკლესიას თავეთს ეძახიანო და გლეხებს ასე იმსახურებენ, როგორც თავეთსაო. და სამართალი გასინჯეთ: თუ მეფეებისაგან მისცემიათ, ეკლესიისათვისაც იზრუნეთ, რით იცოცხლოს ეკლესიის მსახურმა. და თუ მძლავრებით დაუჭერიათ, მოიკითხეთ და ეკლესია განათავისუფლეთო.

ფავლენიანი მიუგებდენ: ეკლესიაც ჩვენთვის არის ბოძებულიო, რომ ჩვენნი მიცვალებულნი სულ იქ მარხიანო და კიდევ შალიკაშვილისაო; და შალიკაშვილის მამული ჩვენ გვიჭირავსო და მისი სასაფლაოც ჩვენ დაგვრჩაო. ეკლესიის ყმაც ჩვენი შეწირულიაო და ბარათით გვყავს გაყოფილიო. მსახურიც გვხლებიაო, ჩვენი მკა და ბარვაც სდებიათო და ლაშქარზედაც ჩვენზე ყოფილანო, ჭირისუფალნიც თავ-თავის გლეხ ჩამოუხდებითო და იმ გლეხებს ნიქოზელი ვერც დაარბევს და ვერცარას წაართმევსო. ჩვენ უნდა გვითხრას და ჩვენის ხელით გარდაახდევინოსო.

ჩვენ რომ ესენი მოვისმინეთ, სრულის ყმობის ნიშანს დაგვისახევედა ფავენელიანთ ლაპარაკი. ვკითხეთ: მაგ თქვენის ლაპარაკის გამართლება რით შეგიძლიანთო, ან მეფეების გუჯარით და წყალობის წიგნით უნდა იყოს ეგ დამტკიცებული და ან სრულად ძველის მამულობით. ჩვენ ვიცით, ის ეკლესია ღმრთის მსახურის მეფისაგან არის აშენებული. და თქვენ ახალი ხანია ქართლში გარდმოსულხართ. თქვენს მოსვლას აქეთ თუ მეფეებისაგან მოგცემიათ ნიქოზის ეკლესია, ნიშანი გვაჩვენეთ; თუ არადა, აგრე გაბეგრილი ეკლე-

სიის ყმა, თუ არ ავის დროს მიზეზით და მძლავრებით, არავისი გაგვიგონია.

ფავლენია[ნ]თ ზოგის რისამე წიგნის მოტანა გვითხრეს, მოვიტანთო. და ზოგისა ასე თქვეს: არეულობისაგან დაგვეწვა და დაგვეკარგაო.

ეს, დიად, უძლური სიტყვა იყო. ჩვენ პაემანი მივეცით ორმოცი დღე, რომ რაც წიგნები ჰქონდესთ, სამართალში მოიტანონ და გაისინჯოს და სამართალი ისე მიიღონ. სამი თვეც გამოვიდა და წიგნი არა მოიტანეს რა.

ჩვენ, აქ შეკრებილთ, ერთობით ეს სამართალი განგვიჩინია: ფავლენიანთ და შალიკაანთ მიცვალებულნი რადგანაც დიდი ხანია იქ მარხებულან, ახლაც იქ უნდა დაიმარხებოდენ ეპისკოპოსის შეკითხვით და ეკლესიის მსახურებით. ნიქოზელი ვერ დაუშლის, ამისთვის რომ ეკლესიაც პატიოსნებას მიიღებს მსახურებითა, რომ მიცვალებულის პატრონები მსახურებას დაუწყებენ ეკლესიასა და სამღვდელთ კაცნიცა. და როსცა ჰირისუფალნი ჩავიდოდნენ, ყოვლადსამღვდელს ნიქოზელს სახლსა სთხოვდენ გლეხისასა, და რომელიც სახლი იმან ათხოვოს, იქ იდგებოდნენ გლოვის დღეებში.

ამის მეტი საქმე არაფერი აქვსთ რა არც მამულთან, არც მსახურთან, არც ღალა-კულუხთან. ვერც ბეგარზედ გამოიყვანენ, ვერც ცარაზედ იმსახურებენ, ვერც ლაშქარს თავეთს გაიყვანენ, არცარა საქმე აქვსთ საბატონემოდ.

და რომელნიც კაცნი ფავნელიანთ ყმანი ან ტბეთელები იქ ეუღლად დგანან, ისინიც უნდა აიყარნენ და სხვაგან დასახლდნენ. იმათი იქ დგომა არ იქნება, ავი ბოლო აქვს. ეს ასე განგვიჩინია და გარდაგვიწყვედია.

სხვა ნიქოზლის საჩივარი ეს არის: მკედლიძეებს მამულები უჭირავსთო. ამისი ასე განგვისჯია: კელი უნდა აემართოსთ და ეკლესიისათვის დაიდვას. თუ ასეთი ნიშანი მოიტანეს რამე, რომ მეფეების მპყრობელობაში ეყიდოსთ, ღალა-კულუხი მიაართვან ეკლესიასა და ეჭიროსთ. თუ ოსმალ-ყიზილბაშის დროს არის ნასყიდი, მამული ეკლესიისა არის და თეთრი მიმსყიდველის შვილებსა სთხოონ.

მა ის უ რ ა ძ ე ე ბ ს რომ მიწა უჭირავსთ და შალიკაშვილს რომ ვენახი სჭერია და ახლა იმის კაცს უჭირავს, და კიდევ ც ე რ ა ძ ე ს, და კიდევ გ ვ რ ი ტ ი ა შ ვ ი ლ ი ს ვენახი, და კიდევ ხ უ ც ი ა შ ვ ი ლ ი ს ვენახი, და კიდევ მ ა ჩ ა ბ ლ ი ს კაცს თ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს ვენახი — ამ ხუთის კაცის ლაპარაკი ა მ ი ლ ა ხ ო რ ს

ი ე ს ე ს მოუსმენია და ამათზე განაჩენები მიუცია მისის სიმალლის მეფის ბრძანებით. როგორადაც მისი განაჩენები აცხადებს, ისე უნდა აღსრულდეს, ეკლესიას უნდა დარჩეს.

ფ ა ვ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ს თ ე ი მ უ რ ა ზ ს რომ თავის მეზვრისათვის ვენაქი მიუცია, ისიც ეკლესიას უნდა დარჩეს, ეკლესიის მამული არის. თუ აშენებანედ ილაპარაკებს და თუ სამართალი დავანახვებს, სამართალი მიეცემა.

კ ა ს რ ა ძ ე ს რომ მიწა უჭირავს და კიდეც ყამაზაშვილს, ეკლესიის მამული არის, ეკლესიას დარჩა. და თუ მართალი სიტყვა აქვსთ რამე, ილაპარაკონ. თუ ნასყიდობას გაამართლებენ, რომ მეფეების დროს ეყიდოსთ, ღალა მაშინც უნდა აძლიონ, ან რაც შარშან დაჰკლებიათ ან წელს, უკლებლად უნდა მისცენ. და თუ ავს დროში უყიდიათ, ოსმალ-ყიზილბაშობაში, და ეკლესიას უნდა დაუდვან, ჭელი უნდა აიღონ.

წიგნებს ელავება ნიქოზელი თეიმურაზს — მამულის წიგნებსა და გუჯრებსა. მოწამეც მოსდევს, რომ დაბეჭდილს ზანდუქში ეწყობ, და ჩვენი ბეჭედი აღარ იყო. ან უნდა მისცეს, ან უნდა შეპფიცოს თავის ყმითა და მსახურით: არც ჰქონდეს და არც დაბეჭდილი ზანდუქი გაეხსნას.

ზ ა ზ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ეკლესიას ჰყმობია და წიგნიც კელთ უჭირავს ნიქოზელს და ორჯელ დაუხსნიათ. ახლა იმის შვილი ეკლესიას თავს აღარ უდებს. იასაული ავად მოეპყრას და ნიქოზელს მიაბაროს.

კიდეც ბერიკელა ჩხეიძის აგან უყიდნია და კიდეც ხვითს რომ ბიჭია და ვით ნიქოზლის მეკრე — ესენი რომ თავს აღარ უდებენ, ბეჭან საგინას შვილო, დაადეგ და ნიქოზელს მიაბარე.

ესენი, რაც გაგვიჩენია, წადი, ყველას კელი აუმართე და მოაბარე. ვისაც მართებული სიტყვა ჰქონდეს, სამართალში გამოგზავნე და ილაპარაკოს. თუ დარჩესთ, მერმე როგორც ბრძანება მოგივიდესთ, ისე დაანებე. თუ არადა, ახლავ ეს ასე აღასრულე და ნიქოზელს მოაბარე.

ჩვენ რომ ესენი გავაჩინეთ, ამის მიხედულობით შევიძელით, რომ მეფეებისაგან დადებული წიგნები ვნახეთ, ასე ებრძანათ. და უწმინდესის კ ა თ ა ლ ი კ ო ზ - პ ა ტ რ ი ა რ ხ ი ს ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე ს ა - გ ა ნ წიგნი არის დადებული: ვინც ამ ეკლესიას მამულს შეეცილოსო, შეჩვენებული იყოსო. და ის წიგნი ბიძის ჩვენის კ ა თ ა ლ ი -

კოზ-პატრიარხის ანტონისაგან მეორედ დამტკიცებულა: ვინც ეს მოშალოს, შეჩვენებული იყოსო.

ჩვენ რომელი თანა გვედვა ყოფად, ვყავით. მაისს კდ, ქრისტეს აქეთ ჩლპვ. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

ქ. ამასაც ჩიოდა ყოვლად სამღუდლო ნიქოზელი იულიოს: ჩემს უწინარეს დავით ნიქოზელი დიდად დამაშვრალი იმ ეკლესიაზედ რომ მიიცვალა, თავის ეკლესიაში ადგილი არ დაანებეს, რომ დამარხულიყო. მისს სიმაღლეს მეფეს და მის უწმინდესობას კათოლიკოზ-პატრიარხს მოვახსენეო.

და ბრძანება გვაჩვენა, ორთავ ებრძანათ რისხვით და წყრომით: ფავნელიანო! რის მიზეზით გიქმნიათ, რომ ეპისკოპოსი თავის ეკლესიაში არ დაგიმარხვიებიათო. იულიოს ნიქოზელო! ამოასვენე და ეკლესიაში მიიღეო. და ეგრეთ აღესრულებინა ბრძანებული.

თუმცა ფავნელიანი თავს ამაზე მართლობდენ: ეგვტერია მცირეო და სხვა ნიქოზლებიც აქ მარხიანო და ისიც იქ მივიღევითო, დიდი ეკლესია ჩვენიაო. მაგრამ დიდად გასაკვირვებელი საქმე და განუხახველი მოქმედება კაცს წყენას მისცემსო. ეპისკოპოსი თავის ეკლესიაში არ დაიმარხოს და გარეგან ემარხოს ვისისამე მოქმედებითა, საწყენია.

ჩვენ ასე დაგვიწერია: სადაც ნება ჰქონდეს ყოვლად სამღუდლოს ნიქოზელსა და ანდერძი ბრძანოს, იქ მიიღებდენ.

თუ რომელსამე ჟამს ფავნელიანთ დაუშალონ, მის ჟამის მპყრობელთა მეფეთა და უწმინდესთა კათოლიკოზ-პატრიარხთაგან დიდის რისხვით განიპატიჯნენ.

ამილახორის შვილო ქაიხოსრო! შენ გარწმუნებთ ამ საქმეს, უნდა რომ დიდი ღვაწლი დასდვა ეკლესიაზედ. ბეჟან საგინა-შვილიც შენთან იქნება. სიმართლით მოიქეც და ასე აღასრულე. ამაზედ პირის შენახვა არავისი იქნება, თორემ დიდი სიტყვის მიცემა

თანა გიცს, იცოდე. მაისის კდ, ქორონიკონს უოდ. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

თავში:

მდაბალი მთავარეპისკოპოსი იოანაფ

მდაბალი ტფილელ მიტრაპოლიტი გერმანე

მდაბალი არხიეპისკოპოზ[ი] რუსთველი კირილე.

ქ. მე, ორბელიანი მ ზ ე კ ა ბ უ კ [მ]დი[ვ]ანბეგი, მრჩობლთაგან მსჯელთა განს[ჯ]ილისა თანა მიმწამი თანკმობით ვბეჭდავ

ქ. მე, ც ი ც ი შ ვ ი ლ ი მდივანბეგ-ეშიკალააბაში თ ე ი მ უ-რ ა ზ. მრჩობლთაგან მსაჯულთა განსჯილთა თანა მიმწამი თანკმობით ვბეჭდავ.

ქ. მეფის ირაკლის მიერ მსაჯულად ჩენილი უნდო ვინმე ი ე ს ე.

ქ. მე, ე ნ დ რ ო ნ ი კ ა ს შ ვ ი ლ ი მდივანბეგი ქ ა ი ხ ო ს რ ო, ამ განსჯისა თანამოწამენი ვართ.

ქ. მალალთა მიერ განსჯილისა უმდაბლესი თანამოწამე ს ო ლ ო-მ ო ნ ლ ი ო ნ ო ვ ი

ქ. უღირსი ხუცეს-მონაზონი გ რ ი გ ო ლ.

უღირსი დიკასტირიის მწიგნობარ-წინამძღვარი

ქ. მდაბალი არხიმანდრიტი დავითგარესჯისა თ ე ო დ ო ს ი ამათ ბრძანებას თანკმა ვარ.

ქ. [მ]თაწმინდის არხიმანდ[რ]იტი ი ო კ ი მ ამათს ბრძანებას თანკმა ვარ.

ქ. ჩვენ, მ ე ფ ე საქართველოსი ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ამ განა-ჩენს ვამტკიცებთ. ივლისის ა, ქორონიკონს უოდ

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთისა და სხვათა დ ე დ ო ფ ა ლ ი და-დიანის ასული დ ა რ ე ჟ ა ნ, განჩინებასა ამას ჩუენცა ასე ვამტკი-ცებთ. ივნისის იზ, ქორონიკონს უოდ.

კიდეზე:

ჩვენ, ყოვლისა ზემოხსა საქართველოხსა კ ა თ ო ლ ი კ ო ს-პ ა ტ-რ ი ა რ ხ მ ა ნ, ძემან მეფისამან ა ნ ტ ო ნ ი, ვნახე რა განჩინებაჲ



ესე ქმნილი მისის უგანათლებულესობისა გიორგისაგან ძისა მეფისა და საქართველოსა მსაჯულთაგან და ჩვენისაგან დიკასტირიისა, თანკმობით დავამტკიცე. წელსა 1786, თუესა იუნისსა 10.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ, ამ ჩვენის ძმის ბატონისშვილის გიორგისაგან გასამართლებულს განჩინებას ვამტკიცებ. თიბათვის კვ, ქორონიკონს უოღ.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, მის უგანათლებულესობის ჩვენის ძმის ბატონისშვილის გიორგისაგან განჩინებასა ამას ვამტკიცებ. თიბათვის კვ, ქორონიკონს უოღ.

### [მინაწერები]

ყოვლად სამღუდლო ნიქოზელ ეპისკოპოსი ი უ ლ ი ო ს მ ო ბ ძ ა ნ და ჩემთან და მიბრძანა გარდაწერა განაჩენისა მის, რომელიცა მიეღო მისის სიმადლისაგან დამტკიცებული; და სხუათა ჩინებულთა სულიერთა და ქორციელთა მსაჯულთა მიერ ბეჭდით და სიმტკიცით დამტკიცებულა ფავლენიწვილებსა და სხვათა სამართლის განჩინება. და გარდავწერე სრულიად აზრი და სიტყვა მას ზედა, არც მეტობით და არც ნაკლულევანებით, მე დეკანოზმან ს ო ლ ო მ ო ნ. მაისს კდ, ქორონიკონს უოღ. ხელრთვა: ს ო ლ ო მ ო ნ

ქ. მისის უმადლესობის კარის მღუდელნი ი ო ა ნ ე კ ა ვ კ ა ს ი ძ ე და ქ რ ი ს ტ ე ს ი ა კ ე ყ ე რ ა შ ვ ი ლ ი ამ მოწმობას ვსწერთ. ჩვენ ბატონმა გვიბრძანა: ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ს ს ი უ ლ ი ო ს ს, რაც ნიქოზლის წიგნები ჰქონდეს ეკლესიისა თუ მამულებისა, ყველა ჩამოართვითო და ნიქოზელს ათანასის მიაბარეთო. რაც ძველი რამ განაჩენი იყო, თუ სხვა წიგნები ყველა მის სიმადლეს მივართვით; ამის პირი წიგნი, რომლისაგანაც ეს გარდაწერეს, ისევ იულოოს სამთავნელს მოაბარა. და სხვა წიგნები იმ ნიქოზელს უბოძა. მერე ამ წიგნს თხოვა დაუწყო ნიქოზელმა და მის უწმიდესობამ პატრიარხმა ჩამოართვა და ნიქოზელს უბოძა. მიბარება სამთავნელობაში იყო და ჩამორთმევა ურბნელობაში. ჩვენც თანაკმანი ვართ, რომ ეს სწორეთ იმისი პირია გარდმოწერილი. წინაშე ღმრთისა ასე გვინახავს და ასე დავესწართ. მარტის 15, ქორონიკონს უმგ. ხელრთვა: ი ო ა ნ ე, ქ რ ი ს ტ ე ს ი ა.

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღუდლომ ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ს მ ა ნ გ ე რ ვ ა ს ი მ, ამისი მკვიდრი ვიხილეთ, ეს იმისი არის. სამთავნელობაში ყოვლად სამღვდლოს ი უ ლ ი ო ს ს ე ბ ა რ ა და უ რ ბ-

ნელობაში იმათმა უწმიდესობამ გამოაბარა ის განაჩენი. და ყოვლად სამღვდელოს ნიქოზის ეპისკოპოსს ათანასის მიეცა. წინაშე ღმრთისა ვსწერთ ამას, რომ ეს მართალი არის. მარტის 8, წელსა ჩლეფ. ხელთვა: გე რ ვ ა ს ი.

მე. იკორთის არხიმანდრიტი გამალიელი, ამას წინაშე ღმრთისა ჭეშმარიტებით ვსწერ. პირველი წიგნიც მინახავს; და ეს გარდმოღებული პირი ჭეშმარიტი არის. რაც პირველს მკვიდრში სწერია. სრულებით უმეტნაკლოთ ეს არის. ნიქოზელს მისის უწმიდესობისათვის ამ წიგნის მკვიდრი ეთხოვა, ყოვლად სამღვდელოს. ურბნელს იულოსს სამთავნელობაში ამისი მკვიდრი მიბარებოდა და ახლა ურბნელობაში გამოაბარეს და ყოვლად სამღვდელოს ნიქოზელს ათანასის მისცეს. და პირი იმ წიგნისა ეს არის. მარტის 8, ქორონიკონს უპგ. ხელთვა: გამალიელ.

## 201. ბანინება ბარბარა და ბაბრიელა უორღანაშვილების სახლის

საკმეში

1786 წ. 17 ივნისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 23. საბ. № 47. პირი. ქალღი. მხედრული.

[48] ყორღანაშვილი ტერტერა და იმისი ბიძა გაბრიელა მოვიდნენ და ჩვენთან იჩივლეს. ჩვენ, ორბელიანმა სარდარმა დავით, მსაჯული იესე ჩვენთან მოვიწვიეთ და ამათი ლაპარაკი გავეშინჯეთ.

ცხრა წლის უწინ დაყრილნი იყვნენ და ერთმანერთს მოშორებულნი. ახლა კიდევ რალაც შფოთი გამოჩეოდათ და ის ძველი დავა აშალეს, ჩვენთან მოვიდნენ და ილაპარაკეს ორს აზრზედ — ცხვარზედა და სახლზედ. ჩვენ ამაზედ ბევრი ვალაპარაკეთ და სამართალში ასეთი სიტყვა ვერა შემოიტანა რა ტერტერამ, რომ იმ სიტყვისათვის ხელი [გ]ვეხვია.

რადგანაც იკვი იყო<sup>1</sup>, სამართალში ფიცი გაეჩინებოდა<sup>2</sup>. ჩვენ გაბრიელა აღარ დავაფიცეთ და ასე გავარიგეთ: ექვსი თუმანი მივატყვინეთ [v] გაბრიელას ტერტერასათვის, რომ იქს ნახევარი და ამდენს, და გადასწყდა ამათი საქმე. ტერტერას გაბრიელასთან არც ცხვარზედა აქვს საქმე და არც სახლზედ. და თუ ამას იქით ტერტერა ლაპარაკს დაიწყებს რასმე, შილთახი იქნება. ჩვენ ღმრთის წინა-

<sup>1</sup> იყო ეინ. <sup>2</sup> ჩნიებოდა.

შე ამას მივხვდით და ეს სამართალი ვქენით. თიბათვის იწ, ქორონიკონს უოდ.

მე, ყო რ ღ ა ნ ა ა ნ თ ტერ-ნიკოლოზას შვილი ტერ-გრიქურამ, ამ მუჯარლამისა ყაბული მაქვს. †

**202. განჩინება ათანასი არქიმანდრიტისა და წრიალაშვილების  
მამულის საქმეზე**

1780 წ. 24 აგვისტო

ცსა. ფ. 1448. საბ. № 4363. დედანი. ქალღლი. 32×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალავ-ალავ ნახპარია ორწერტილი.

ქ. ქვათახევის არქიმანდრიტის ათანასის ეჩივლა მის სიმალღეს მეფესთან ქვათახევის ღმრთისმშობლის მამულზედ.

ჩვენ — ამილახვარ მდივანბეგის იასესათვის და მდივანბეგის აბაშიძის ნიკოლოზისათვის ოქმი ებოძა ბატონს. წავედით და გავეშინჯეთ.

არქიმანდრიტი და შატბერაანი წერნაკამდინ დაობდენ და ერთიკ კლდე გდია, იქამდინ დაობდენ შატბერაანი და წერნაკსაც იმას არქმევდენ.

ამაში წრიალაშვილები უპასუხებდენ: სვენეთის მხრისკენ გორა არის, წერნაკი ეს არისო. ამაში ცილობა ჰქონდათ. რადგან ყოვლის ცილობის დასამტკიცებლად ფიცი არ[ი]ს, თუ შატბერაშვილებმა<sup>1</sup> იფიცონ: კლდე რომ გდია, წერნაკი ეს არისო, დარჩება არქიმანდრიტსა და შატბერაანთა<sup>2</sup>. თუ წრიალაშვილებმა ფიცით შეიძლონ და შეფიცონ, მივიდნენ და ფეხი დაადგან და ასე დაიფიცონ: წერნაკიც ეს არის და ამას აქეთ შაშვებისა, ამას იქით საქვათახეოა; ლიპარტის შვილისაგან რომ ნასყიდი მიწა დაუხსნია, ის მიწაც შიგ უნდა ჩაატანონ, რომ ძველადგან ეს მიწაც შაშვებისა არისო, ასე შეჰფიცონ.

თუ შატბერაშვილებმა შეჰფიცონ, თავდათავ ან სოლომანმა შეჰფიცოს ან გლახამა.

თუ ამ წრიალაშვილებს შეხვდეს ფიცი, ოთხთავ ძმათ შეჰფიცონ. თუ ამ ორისავ მხრიდამ ან ერთი ან მეორე სარწმუნოს მოწამეს წამოაყენებს სამართალში, იმას ფიცი აღარ ექირება. აღიწერა აგვისტოს კდ, ქორონიკონს უოდ.

<sup>1</sup> შატბერაშვილებმა. <sup>2</sup> შატბერაანთა.

ორი ბეჭედი

1. მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად იესე.
2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.

**203. ფიცის განწესება ერეკლე II-ისა ახურელთა და ჯანდიერისა.**  
**ვანდიერისა მამულის საძვერე\***

1786 წ. 24 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 438. დედანი. ქალაღი. 35X16,5 სმ. მხედრული. აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ახურელნი და ჯანდიერიან-ვაჩნაძიანი მამულსა და სამზღვარზედ დაობდენ. ახურელთ კახ ეფისკოპოზ-დარბაისელთ განაჩენი აქვსთ, რომ ბოლოზედაც გაუშველებიათ და უზუნაურის ახოზედ და ნარბილზედაც.

იმ ძველის გუჯრის ძალით როგორც იმათ განაჩენი დაუდვიათ კახ ეფისკოპოზ-დარბაისელთ და გაურჩევიათ ახურის ბოლო, უზუნაურის ახო და ნარბილი, იმ გარჩეულსა და გარდაწყვეტილს უზუნაურის ადგილზედ, რომელზედაც შეიძლონ, თავს თუ ბოლოს თუ სამვალზედ, დადგომა, იქიდან მოჰყვენენ. ის გუჯარი კელთ დაიქირონ და შეიარონ და დაიფიცონ. და იპო[ონ] მიწის კიდი და დაიფიცონ; შეიარონ და იპო[ონ] მუკტრულა და დაიფიცონ. და ავიდნენ ჩერქეზთამდე და დაიფიცონ.

თუ ასე იფიცეს ახურელთ, რომ ახურის მხრისაკენ რასაც ვიფიცავთ, ჩვენი არისო, დარჩება ახურელთ.

იასაულო, ველისციხის მოურაო სვიმონ და ალამდარბაშო ქაიხოსრო, ეს ასე გა[ა]რიგე. აგვისტოს კდ, ქორონიკონს უოდ.

იასაულებო! ამათ რომ ასე დაიფიცონ, კელიც მოუწერეთ, ბეჭდებიც დაუსხით და მას უკან სხვა განაჩენიც მიეცემათ.

ამას გარდა სხვა მოწმე[ე]ბსაც მოაწერინეთ კელი და ბეჭდებიც და[ა]სხმევინეთ სამღვდელოსაცა და თავადიშვილებსაც.

ოთხი ბეჭედი:

1. ქნარს მიცემს დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბეჟან
3. მონა ღვთისა მღივანბეგი ოტიო
4. მონა ღვთის მღივანი სვიმონ.

\* შდრ. 1787 წ. 12 მარტის ბრძანებას ახურელთა და ჯანდიერიანთ საქმეზე. (აქვე, საბ. № 218).

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 12. საბ. № 19. პირი. ქალაღი. მხედრული.

[26v] მის უგანათლებულესობას ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს ვ ა ნ -  
ტ ა ნ გ ს ნ ი კ ო ლ ო ზ კ ნ ი ა ზ ა ფ ხ ა ზ ო ვ ი და გ ა გ ე ლ ი ძ ე  
ე ლ ი ბ ო ჩვენ, საქართველოს მსაჯულთმეყრებილების, სამართალ-  
ში წარმოველინა.

ნ ი კ ო ლ ო ზ ასე ჩიოდა: ეს ჩემი მკვიდრი ყმა არაგვზე იდ-  
გაო, რომ მამაჩემს თავის სიცოცხლეში მსახურებდაო. ახლა მე რომ  
მოველ, თავს აღარა მიდებსო, სამართალი მაღირსეთო.

გ ა გ ე ლ ი ძ ე ე ლ ი ბ ო მიუგებდა: მართალია, თქვენი ყმა ვი-  
ყავ, მაგრამ [27] მამაშენმა წიგნით თავი დამ[ა]ხსნევინაო, რომ მა-  
მის შენისაგან მოცემული წიგნი, რომ ამ მკე დ ლ ი ს შ ვ ი ლ მ ა  
ღ მ რ თ ი ს ა ე ვ ა რ ა მ ა ნახაო, ის წიგნი დამეწოო, და ეს იმის პი-  
რათ გადმოვაწერინეო.

ნ ი კ ო ლ ო ზ მიუგებდა: ამის დამწერს ის მამის ჩემისაგან  
ნაწერი წიგნი უნდა დაედო, თითო და თითო პუნქტი<sup>1</sup> ისე უნდა  
გადმოედოო; ის რომ არა მქონდაო, ან შენ რათ იხმარე ეს სიცი-  
რუვეო და ან ამისმა დამწერმა რათ დაწერაო, რომ მამაჩემს არ  
უთქომს ამისი დაწერაო და მამისჩემის კელწერილი არა ქონდაო.

ჩვენ რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ, ეს სამართალი მივე-  
ციოთ: მკედლისშვილს ფიცი დავადევით, რომ მართლა ენახოს ნი-  
კოლოზის მამისაგან მიცემული თავდახსნილობის წიგნი. მკედლის-  
შვილმა შორს დაიქირა, მე არ დავიფიცავო.

რადგან სამართლით მკედლისშვილს ფიცი დავადო, რომ მართლა  
ენახოს და ფიცი ვერ შეიძლო, ეს გაველიძე ელიბო დარჩა ყმათ .  
ნიკოლოზ კნიაზ აფხაზოვს.

სეკდემბრის იე, ქორონიკონს უოდ.



<sup>1</sup> ბუნტი.

1786 წ. 18 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4594. დედანი. ქალაღი. 40,5X20,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. იმერეთიღამ ბაკურაძე იესე და ამისი შვილი სვიმონ, რამაზა, სოლომონ და ნიკოლოზ — ესენი იმერეთს აბაშიძის აზნაურიშვილები [ყო]ფილიყენენ. აბაშიძიღამ თავი გამოეხსნათ, ჩამოსულიყენენ კახეთს, ყოვღად [სა]მღვდელოს ენდრონიკაშვილს ალავერდელს ნიკოლოზს ხ[ლუბოდნენ] და ყმობით თავი მიეცათ და მათს ყოვღად სამღვდლოებასაც წმინდის გიორგისათვის შე[ე]წირა; და ამათთვის ებოძებინა მამული სამკვიდროდ ნასომხარს ამოწყვეტილის ფარეშისშვილის დემეტრეს ნაქონი მამული, ვენახი სასახლავი, თავისის ქვეერ-მარნით, სასახლითა და ბახჩითა, სახნავითა და უხნავითა.

თავეთს ნაბოძებს წიგნში ასე [გამო]ეცხადებინა: რადგან აზნაურიშვილი იყაო, ყმაც უნდა გვებოძ[ე]ბ[ი]ო, მარამ ავის დროს მიზეზით ყმა კი ველარ გიბოძეთო და აზატობ[ის] წყალობა გიყავითო, არა გეთხოვებოდეს რაო, ლაშქარ-ნადირობასა და წმინდის გიორგის სამსახურის მეტიო. ამ წიგნის მიცემაში დამ[ს]წრენი ყოფიღან: მათი ღირსება წინამძღვარი ამბაკომ და სრულად თავისი მოხელენი აზნაურიშვილები. და ამავე წიგნში ასე უ[ცხადე]ბს: ნიადავ ჯვარის ამღლების დღესაო ერთს ლიტრს წმი[ნ]და სანთელს მიართმევდეთო წმინდას გიორგისაო; რომ ეს წიგნი აქვს ნაბოძები გიორგობისთვის კჴ, ქორონიკონსა უღა. ესევე წიგნი არის დამტკიცებული ნეტარად ხსენებულთ ბატონის მეფის თეიმურაზის აგან და ბატონის დედოფლის თამარის აგან და მათის უმღღლესობის ბატონის მეფის ირაკლის აგან, [მათის] ძმისწულის ასარმიზასგან მტკიცის დამტკიცებით დაუმტკიცებიათ.

ეს ზემო ხსენებულნი ბაკურაძე იესე და ამის შვილები ამ [მ]ამულზედ გარ[და]ცვ[ლი]ღან და დარჩომიღან ამ ბაკურაძის შვილის სოლომონ[ის] შვილები ობლები ნინია და ამისი ძმა სვიმონ. ამათთვის ეს მამული ნასომხარში ზა[ა]ლიშვილს გრიგოლს — ალავერდლის მეურნეს [მიერთ]მევიღან ამ წელს დეკემბრის ჴ, ქორონიკონს უღთ — ამ წელში და სხვათა იმერლე[ბის]თვის

მიეტა. მათი ყოვლად სამღუდლოება ალავერდელი ნიკოლოზ რომ რუსეთი[დამ] მობძანდა, ეს გრიგოლ მეურნის მიცემული წიგნი დ[ა]უ[მ]ტ[კ]ი[ც]ებია ფებერვლის ე, ქორონიკონს უოღ — ამ წელს. და აგრევე არქიმან[დ]რიტს [იოან]ესაც ხელი მოეწერა.

ეს ზემოხსენებულნი სოლომონის შვილები ნინია და ამისი ძმა ყოვლად სამღუდლოს ალავერდელს ნიკოლოზთან მოსულიყვნენ და ეს უწინდელი თავისი ნაბოძები და მეფეთაგან დამტკიცებული წიგნი მიერთ[შევი]ნა და შე[ე]ჩვილათ ასე, რომ: იმერეთიდან ჩვენი მამანი და [პაპანი] აზნაურიშვილები ყმათ მოგვსლიანო, და ეს მამული ნასომხარში [სამკ]ვიდროთ გიბოძებიათო, ამ სიგლით და მეფეთაგან დამტკიცებით ყმას დაპირებინართო, მარამ ამ [მ]ამულის მეტი სამკვიდროდ არა გიბოძებიათ რაო, ჩვენ სხვას წყალობასაც მოველოდითო, არამც თუ ჩვენ ობლებს ეს მამ[უ]ლი ჩამოგვრთმეოდაო.

[ა]მის [პა]სუხად მათს ყოვლად სამღუდლოებას კიდევ წიგნი ებოძებინა და გრიგოლ მეურნის წერილი და თავისი დამტკიცებული ისევ გაე[ბა]თილებინა და პირველივე თვისი ნაბოძები სიგელი და ბატონებისაგან დამტკიცებული სიგელი ხელმეორედ წერილით ებოძებინა ამავე ობლებისათვის.

ეს იმერლის შვილები ნინია და ამისი ძმა სამართალში მოვიდნენ და ამ ახალს დასახლებულთ იმერლებს დაელაპარაკნენ. ამათმა [ლა]პარაკმან ასე გაიარა. ჩვენ, მოსამართლეთ, სამართლით და ამ წე[რ]ილების მიხედვით ამ იმერლი შვილებს ეს წერილები ვერ მოუშალეთ. ეს მამული ამავე ბატონების დამტკიცებულის სიგლით ამავე ობლ[ე]ბსა დაევანებეთ ნასომხარში, ფარეშისშვილის დემეტრეს წილი მამულ[ი] სამართლით არ გამოერთმევა; ამისთვის, რომ ამისნი [მამანი და პაპანი ამ] მამულზედ მოსულან და წმინდას გიორგის შესწირვიან ამ [მ]ამულისთვის ამავე მამულზედ ამოწყვეტილან. შვილს ამათს სამართალი არ გამოართმევს. და ნება ბედნიერის ქემწიფისა იყოს. აღიწერა ოკდომბრის იგ, ქორონიკონს უოღ.

სამი ბეჰედი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბ ე ყ ა ნ
2. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა
3. მიწა ვარ დავითორგუნები დ ა ვ ი თ

თავში:

ქ. [ჩვენ, სრუ]ლიად საქართველოს დ ე დ ო ფ ა ლ თ-დ ე ო ფ ა ლ ი დადიანის ასული პატრონი დ [ა რ ე ჯ ა] ნ, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. ოკდომბრის კჟ, ქორონიკონს უოღ.

ბეჰედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

1786 წ. 10 ნომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3913. პირი. ქალაღი. მხედრღი. საბუთის  
პირი დაცულია აგრეთვე ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 2. საბ. № 114.

გარეთუბანს სახლის ადგილზედ უჩიოდა ყ ა ფ ლ ა ნ ი ს შ ვ ი -  
ღ ი ზ ა ა ლ ჯ ა ლ ა თ ა ნ თ ო ს ე ფ ა ს ქ ა ლ ს .

მისის უმალღესობის მეფის ბრძანებით იმ სახლის ადგილის გა-  
სამინჯავათ გაბრძანდა საქართველოს უფლისწული მე ფ ი ს ძ ე  
გ ი ო რ გ ი და ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილება, თან  
ვახლდით. ორისავე მოდავეს ამ ადგილის სიგლები მოვთხოვეთ, სა-  
ბუთები და მოწმები.

ჯალათანთ ოსეფას ქალმან მოიტანა გასამყრელო და ნასყიდო-  
ბის სიგელები, რომელშიც ს ა ნ თ ე ლ უ ა ს ა ხ ლ ი ს წ ი ნ ბ ა ლ ს  
უნიშნევდა და სამძღვრებს ასე რიგად ვერ აცხადებდა, რომ სა-  
მართალი იმათზე გადაწყვეტილიყო. სანთელუას სახლის ალაგი  
დღეს ხარაბათ არის. ოსეფას ქალი ამ სანთელუას სახლის წინ ბაღის  
ალაგს ქალაქის მხარეს ნიშნევდა, რომელშიაც ზაალის ალაგი შიგ  
დაჰყვებოდა.

ზ ა ა ლ ე პ ა ს უ ხ ე ბ ო დ ა : სანთელუას სახლის წინ რომ გი-  
წერია, მტკვრისაკენ ნიშნავსო. ეს ჩემი სახლის ადგილი სანთელუას  
სახლის გვერდიაო, ამას რათ მედავებო, რადგან საზოგადო ჩვეუ-  
ლება არის, რომ სასახლეს საითკენაც კარი აქვს, წინ იმას ქვიან,  
იქით და აქეთ გვერდებია. სანთელუას სახლის შენობის დროს მო-  
წამე მოვითხოვეთ; დ ო ლ ა ს ა რ ქ ი ს ა წ ა მ ო ლ გ ა და საშინელის  
ფიცით ვაფიცეთ, რომ: როდესაც ეს სანთელუას სახლი აშენებული  
იყო, კარი რომელს მხარეს ქონდა? ფიცით იმოწმა, ამ მტკვრის მხა-  
რეს ქონდაო.

ამას გარდა ზაალს მოჰქონდა მოწმობა ე შ ი კ ა ლ ა ბ ა შ ი ს  
ღ ი მ ი ტ რ ი ს ა და ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ე ლ ე ნ ე ს ი, რომ ამ  
სადაოს ადგილში ზაალის მამა-პაპათ სასახლე იყოო, რომ ორნივე  
შიგ დგომას მოწმობდნენ ფიცით, მაგრამ საიღამ საღამდენ იყო, ამი-  
სი მოწამე კი არა ჰყვანდა ზაალს.

ჩვენ თანამდებობისაებრ დიდად გამოვიძიეთ და ასეთი სიც[ხ]ა-  
დღე არა ჩნდა რა, რომ აღმოჩენილი ჰქმნარიტება ყოფილიყო და  
სამართალი იმაზე გარდაწყვეტილიყო.



და ზაალის მხარეს უფრო ჩნდა ქეშმარიტება, ასე რომ თითონ ჯალანთ ქალს მოაქვს გასამყრელო სიგელი და იმ სიგელში ასე ჰსწერია — სანთელუას სახლს წინ ბალის ადგილი; და მოწამე მოწამობს — სანთელუას სახლს კარი მტკვრისაკენა ქონდაო. და იმისგან მოტანილი სიგელი აჩენს — სანთელუას სახლს წინ ბალის ადგილი, რომ დღეს იმ სიგლით დანიშნული ალაგი სხუას უჭირავს, შუაში არ ედავება; ამის გამო ფიცი არც კი ეჭირებოდა.

მაგრამ უფრო ქეშმარიტების ცნობისათვის და იქვის გაწმენდისათვის ფიცი განვაჩინეთ:

ონანას ზაალმან ხატი ჩაუსვენოს. ონანას საილამ სადამდენ ეფიცებოდეს, შემოუაროს და ასე იფიცოს: «ამისმან მადლმან, თქვას, და ამისმა გამაცხოველებელმან ღმერთმან ეს აქამდისინ ჩემი ალალი მამული იყოს და სიმართლით ზაალს ამაში კელი არა ქონდეს».

თუ ეს ასე იფიცა, ოსეფას ქალს დარჩება და ზაალს იმასთან საქმე აღარ ექნება, სადამდისინაც გაიფიცავს. და თუ ეს ასე ვერ შეჰფიცა, ის ადგილი ყაფლანისშვილს ზაალს დარჩება.

და თუ ზაალმან ფიცს უკან საბუთი იშოვა, რომ შესაწყნარებელი იყოს სიმართლისა, სამართალი მიეცემა. ნოემბერს 6, ქორონიკონს უოდ.



მე, საგინაშვილი ბეჟან, იასაული ვიყავ, ონანას ფიცი ედვა, არ დაიფიცა, მამული ზაალს დავანებე. ნოემბერს 6, ქორონიკონს უოდ.

რადგან სამართლით ფიცი ონანას ედვა და არ დაუფიცავს, რომ იასაული იწერება არ დაიფიცაო, დარჩა სამართლით ზაალ ყაფლანისშვილს. ნოემბერს 6, ქორონიკონს უოდ.



მე, მდივანბეგი აბაშიძე ნიკოლოზ, ამ მსაჯულთ სამართლის განწესებისა და სამართლის განაჩენის დამტკიცების თანაკმა ვარ. დეკემბრის 10, ქორონიკონს უოდ.



ჩვენ, ყოვლის საქართველოსა და კახეთისა მეფე ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. დეკემბრის 10, ქორონიკონს

უოდ.

1786 წ. 16 ნომებერი

ზელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2851. დედანი. ქალაღი. 38×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ჯავახი ზურაბა გედევანიშვილებს შოშიასა და ბეციას სამართალში ყმობაზე ელაპარაკებოდა: მე ძველთაგან ქვათახევის ეკლ[ე]სი[ი]ს ყმა ვყოფილვარო, ჯავახეთს გადავსულვართ, და ჯავახეთიღამ პატარა ჩემ[მა] მოყვარემ ისეე ქვათახევის ყმად გუღით გაღმამიყვანა და ქვათახევეს შემწირაო. სანამ კავთიხევი შენათ იყო, იქ ვიღეგო. კავთიხევი რომ მოიშალა, იქიღამ სამაჩაბლოში წაველო, და ოცი წელიწადი დიცს ვიღეგო, და დიციღამ ქორღის ერასტი გოსტაშაბისშვილის ყმის ქალი შევირთ[ე] და აქამღინ ჩემს მოყვარესთან ვცხოვრებდიო. ქორღის მამული არა მქონია გედუანისშვილის წყალობა, და იმ ჩემის მოყვარესთან ხიზნად სახლებისათვის ყმად მექიღებაო.

გედევანისშვილებმა ამ ჯავახ ზურაბას მოხსენებული ძველადგანვე ქვათახევის ყმობა და იქიღამ გუღით გაღმოყვანა და ეკლესიის შეწირვა საბუთით გაუმტყუნეს. და ვერც ამისი მოწამე იშოვნა ზურაბამ, რომ მოსული ქვათახევის ეკლესიის ყმად სახლებულიყოს; და ვერც აღმოაჩინეს სამართალში, რომ ამ ოცღაათს წელიწადში თავის ყმად სახლებოღდესთ. ერთის სოფლიღამ აუყრიათ და მეორეს სოფელში თავიანთ ყმათ დაუსახლებიათ. გაქცევიათ, მოსწევიან, დაუქერიათ. მორიგესა და ლაშქრობაში გედევანისშვილების ყმად დაწერილა. დღევანღღამღინ ქვათახევის ყმობა არ უთქვამს.

სამართალი, თუ სხვას ძლიერს საბუთს არას იპოვიდა, ამ მიზეზებით სამართალი გედევანიშვილებს ყმობიღამ ვერ წა[ა]რთმევედა, რადგან ჯავახმა ზურაბამ კიღევ სიტყვა გამოსცვალა და სამართალს მოახსენა: მე არც ქუთახევის ყმა ვარ, და არც გედევანიშვილებისაო, მკვიღრი სასახლის ყმა ვარ გოსტაშაბისშვილის ერ[ა]სტისა; ქორღის ერასტის ყმის ქალი რომ შევირთე, და იმ ჩემ მოყვარესთან ვცხოვრობდი, იმ ჩემ[მა] მოყვარემ აქამღის დამმალა, და ახლა, რადგან ასე მემკვიღრედ ყმად მამექიღა გედევანიშვილი, ჩემი მემკვიღრე ბატონი ვიპოვნეო, სამართალმა ამას უნდა მიმცესო.

ჩვენ, მოსამართლეთ, ერასტი გოსტაშაბისშვილის ვკითხეთ: «როგორ, შენი ყმა არის?».

სამართალს მოახსენა: დღევანღღამღის არ გამიგონია ჩემი ყმო-

ბა, გუშინ რომ სამართალში გელაპარაკებინათ, მოვიდა ჩემ[მ]ა ყმამ, მითხრა: ეს შენი მკვიდრი სასახლის ყმა არისო. აქამდინ, რადგან ჩემი მოყვარე იყო, გიმაღავდიო, ახლა გამამიციხალებიაო.

პ ი რ ვ ე ლ ა დ, დამაღვის მიზეზი ეს არის, რომ თავისი მოყვარე თავის უფლებით ეცხოვრებინა, რადგან ნახა, რომ გედევანიშვილი გაქცეულს იჭერს, ერთის სოფლიდან მეორე სოფელში ასახლებს, მორიგეში და ლაშქარში თავის ყმად აწერიანებს, რატომ არ გამოუცხადა თავის ბატონსა?; მ ე ო რ ე, მოყვარის მოწმობა არ შეიწყნარება; მ ე ს ა მ ე, სამართალში ბევრ[რ]ივად სიტყვა გამოცვალა.

ჯავახი ზურაბა მტყუანად აღმოჩნდა, დარჩა ყმად გედევანიშვილებს შოშიასა და ბეციას.

და. თუ გოსტაშაბისშვილი ამ ზურაბს მოყვარეს გარდა ორს მოძღვრიანს მოწამეს იშოვის, რომ სამართალმა ირწმუნოს, მაშინ სამართალი მიეცემა. აღიწერა გიორგობის იე, ქორონიკონს უოდ.

ამ სამართალს უკან ტეტამ ორი მოწამე იშოვნა: ერთი სხვის ყმა და ერთი თავისი ყმა, მესამე — ესევე ჯავახი ზურაბა. სამნივე მივიდნენ ეკლესიაში, შეფიცეს გედევანიშვილებს, როგორც სამართლის რიგი იყო, და დარჩა ზურაბა გოსტაშაბიშვილს ტეტას.

სამი ბეჭედი:

1. დივანბეგი.
2. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშოკალასბაშ მყო მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ.
3. მდივანი ს ო ლ ო მ ო ნ.

## 208. განჩინება მითრიოზვილუბისა და ღავით მფურისშვილის გამულის საქმეზე

1788 წ. 17 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 21. საბ. № 3. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[4] მისის უმაღლესობის საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ბრძანებით ჩვენ, საქართველოს მსაჯულშეკრებულებამ, მელიქის ავეტიქას თანდასწრებით მეითრიშვილები თომა, ქაიხოსრო და იოანე და მეფურიშვილი დავითა სამართალში ვალაპარაკეთ.

მეითრიშვილები ამბობდენ: ნათლულს აქეთ ჩრდილოეთის მხარეს მეფურისშვილის დავითას ჩემის გამულისა [V] რამდენსამე დღის მიწა ტყუილად უჭირავსო. თუ ჩე-

მის ჩამომავლობისაგან უყიდია, ნასყიდობის წიგნი ექნებაო. თუ არადა, სამართალს ვევედრები, ჩემი მამული მევე დამნებდესო.

და ვ ი თ ა უ პ ა ს უ ხ ე ბ და : სამოცდაათი წელიწადია ეს მამული ნასყიდობით მიჭირავსო. აქამომდე არავინ მდავებია და დღეს რის სამართლით მედავებო.

ჩვენ მეფურისშვილს ნასყიდობის სიგელი მოსთხოვეთ. და ერთი ნასყიდობის სიგელი წარმოაყენა, რომელშიაც ასე ეწერა: «მოგვიღე მე, ღო მ ე ლ ა უ რ მ ა, ჩემი მამული საწყლისპიროო»; რომ ეს ღომელაური მომიჯნავე არის მეითრიშვილებისა და ამ სადაოს ადგილს ასე არ უნიშნევდა, რომ მიჯნას იქითაც მეითრიშვილისეული მიწითაო. და ამ სიგელში არც იყო ბეჭედი ვისიმე და ოთხი სტრიქონიც წაშლილი იყო.

მეორე განაჩენი მოიტანა მეფურიშვილმა ოთხას შვიდს თარიღში დაწერილი, შუამავალნი კაცნი სახელდობით სწერენ: ღომელაურებმა შ ა ნ ა ვ ა ზ ხ ა ნ თ ა ნ [5] იჩივლესო: ჩვენს ბიძას ჩვენის მალვით ჩვენი მამული მეფურისშვილისათვის მიუყიდიანო; ჩვენ, ესე და ეს კაცნი, მეფის ბძანებით ჩავედით, ის სადაო ალაგი გავსინჯეთ, რომ მეფურისშვილს ქვითკირით ჭირნახულობა ექნაო; მამული ისევ ღომელაურებს დავანებეთ და ჭირნახულობის ფასი მეფურისშვილისათვის უნდა მიეცათო; ღომელაურებმა რომ ჭირნახულობის ფასის მიცემა ვერ შეიძლეს, ეს მამული ისევ მეფურისშვილს დავანებეთო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულება, ამ სადაოს ადგილის გასასინჯავთ ჩავედით და მეღიქის მაგიერ მისკარბაში<sup>1</sup> იო ს ე ბ ი ც ჩვენთან იყო. ჩვენ ასე გავსინჯეთ. ა ვ ლ ა ბ რ ი ს მამულიდამ რომ წავა ნათლულისაკენ, შევა ღომელაურის მამულში, ღომელაურის მამულს რომ გაივლის, ნათლულის სოფელს ახლო მიადგება ერთს ქევს; ეს ქევი სულ ზეიდამვე მოსდევს ლარზედ ამ მეითრიშვილებსა და ღომელაურის მამულს [V] ჰყოფს და მტკვარს შეერთვის, რომელიც მისის უმაღლესობის მეფის ბრძანებამ და ადგილის მდებარეობამ ეს ქევი მიჯნად დაამტკიცა, რომ იმას იქით ნათლულის სოფლამდის მიჯნა აღარ არის.

და ეს სადაო ალაგი მიჯნას იქით მეითრიშვილების მამულად აღმოჩნდა ცხადად და სამართლით, რომ ღომელაური თუ არ მეითრიშვილისაგან მიცემულის უჯათით, თავისის მამულობით მიჯნას იქით ამ სადაოს ადგილს ვერ გაჰყიდის სამართლით.

<sup>1</sup> მინისკარბაში.

და მეფურისშვილი დავითა რომ დიდის ხნის კერით დაობდა, თუმცა სამართალიც ბძანებს, რომ ერთის კაცის მამული რომ მეორეს ეპიროს, რამდენსამე წელიწადს უკანვე აღარ ედავება. მაგრამ იმისთანას კაცისას ბძანებს სამართალი, რომ დაწყნარებული დრო ჰქონდესთ, ერთად ცხოვრობდენ და იცოდეს იმ კაცმა, რომ ეს ჩემი მამული ნასყიდობით არ უჭირავსო და მაინც ოცდაათს წელიწადს [6] და ორმოცს წელიწადს არ ედაოს.

პირველად ესე, რომ: სარწმუნოდ ვიცით, ოსმანთ აქ ყოფნის დრო მამულის პატრონებისათვის დაუწყნარებელი ჟამი იყო.

მეორედ, მეითრისშვილებსაც ჰყვანდათ მოწამე, რომ ოსმანობას ეს სადაო ალაგი ერისთვიანთ ყმას ერაპიტეშვილებს სპერიათ და ბაღად უხმარნიათ.

მესამედ, მღვდელი ალელი მოწმობდა დავით რომ: იმ ადგილის შენობისა ყველასაგან უკეთ მომსწრე და მახსოვარი ვარო და ფიცით ამტკიცებდა — რომელსაც დღეს დაობენ, იმ მიწაში მეფურისშვილს კელი არა აქვსო, მიჯნა ის კევი არისო; იმას იქით მეითრისშვილებისა არისო.

და კიდევ უძლიერესი საბუთი ესე ჰქონდათ მეითრისშვილებს, რომ ჰეშმარიტის<sup>1</sup> საბუთებით დაამტკიცეს ესე, რომ: ოსმალობას და ყიზილბაშობას და იმ დროებში, მანამდის ღმრთის ზეგარდმოს მოწყალებით ამათის უმაღლესობის მეფის ირაკლის მფლობელობას ჰქვეშ შევიდოდა საქართველო, იმ წინაპარს დროებში მეითრისშვილებს მთლად თავისი მამული ნათლული, [V] ბალი, აბანო ყუელა წართმეული ჰქონიათ; სწორედაც რომ ღომელაურს გაეყიდოს და მეფურისშვილს ეყიდოს, მეითრისშვილის ჩამომავლობისა ვინღა იდავებდა.

და რადგან მისს უმაღლესობას ნათლულის შენობის დროს ზემოხსენებულს მიჯნას კევს იქით თავისი მამული მეითრისშვილებისათვისვე უბოძებია, იმ დროს ეს სადაო ადგილი ხარაბა ყოფილა. როდესაც მეფურისშვილს მიჯნას იქით ამ სადაოს ალაგში ჰქირანხული დაუწყია, მაშინვე პაატა წასდავებია და დღევანდლამდე დაობს, რომ ამისი ოქმები აქვსთ მეითრისშვილებს.

ჩვენ ამ განაჩენით მოხსენებულის საბუთებით, რადგან ეს სადაო ადგილი მეითრისშვილების მამულად აღმოჩნდა და მეფურისშვილს ღომელაურისაგან მეითრისშვილისაგან მიცემულის რისამე უჯათით არა ჰქონდა ნასყიდობა და თვით ის ღომელაურისაგან მი-

<sup>1</sup> ჰეშმარიტებას.

ცემული სიგელი წაშლილი და სამართლისაგან შეუწყყნარებელი იყო, და მოსამართლეებთანაც ეთქვა ღომელაურს: მეითრიშვილების მამული მეფურიშვილს რომ უჭირავს, ის ჩვენ [7] არ მიგვიყიდიო, ამ საბუთებით და მიჯნის მდებარეობით აღმოჩნდა ეს სადაო ადგილი მეითრიშვილების მამულად და სამართლით დარჩათ მეითრიშვილებს.

ყორიასაულბაშო ს ა ა მ ი შ ვ ი ლ ო ზ ა ა ლ! მეფურიშვილს ახლავ კელი უნდა აუმართო და მეითრიშვილებს დაანებო. და წლევანდელი იმ მიწის მოსავლის დალაც მეითრიშვილებისათვის უნდა მიაცემინო.

ნოემბერს იზ, ქორონიკონს უოდ.




მე, ი ო ს ე ბ, ამის მოწამე ვარ. რადგან ამ მსაჯულთ გაშინჯვით ამ განაჩენში რომ ხევს აცხადებს მიჯნათ, მეითრიშვილებს დარჩათ, ეს სადაო მიწაც ამ ხევს დაჰყვება და მეითრიშვილებისა იქნება. ნოემბრის კ, ქორონიკონს უოდ.


ხელრთვა: ი ო ს ე ბ

თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და კახეთისა მეფე ი რ ა კ ლ ი მე ო რ ე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. დეკემბერს კვ, ქორონიკონს

უოდ. 

ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ირაკლის პირმშო ძე გ ი ო რ გ ი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. მარტის თ, ქორონიკონს

უოე. 

## 209. განჩინება ერეკლე II-ისა ჰაიხოსრო ბუსისშვილისა და

ლუარსაბ ლოლაძის შვის საქმეზე

1786 წ. 24 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2738. დედანი. ქაღალდი. 32×14,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ტ უ ს ი ს შ ვ ი ლ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო და ლ ო ლ ა ძ ე ლ უ ა რ ს ა ბ ერთს კომლს მეჯვრისხვევლს ც ი ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ს ნ ი ნ ი ა ს ა და თ ო მ ა ზ ე დ სამართალში ლაპარაკობდნენ.

ტ უ ს ი ს შ ვ ი ლ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო ა მ ა ს ა მ ბ ო ბ დ ა: შ ა ნ შ ე ე რ ი ს თ ვ ი ს შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ს მამის ჩემისათვის ციხელა-

შვილის ნინიასი და თომას პაპა სისხლში მოუციაო, იოანე ერისთვის შვილისაგან მოცემული წიგნიცა მქონდა და დამეკარგაო, რომ ის წიგნი იოანე მდივანსაც უნახავსო.

იოანე მდივანს მოწმობა ვკითხეთ და ასე იმოწმა: წიგნი ჩვენ გვებარა, იოანე ერისთვის შვილის სახელობით იყო დაწერილი და ასომთავრული ბეჭედი იჭდა იოანეს სახელობით, მარა ეს კი სწორეთ არ მახსომს, გლეხის კაცის სახელი რა იყოო.

ლოლაძე ლუარსაბ ამას ეპასუხებოდა: ციხელაშვილი ნინია და თომა ჩემი მკვიდრი ყმანი არიანო და შანშე ერისთავს რომ ბატონმა ოქმი უბოძა და რომელიც გლეხი კაცი კახეთის მამულში ქსნის ხეველი ესახლა, აპყარა, ეს ციხელაშვილიცა მაშინ აპყარა და წამოიყვანა. თუ ნასისხლად მოცემული გყვანდა იოანე ერისთვის შვილისაგან, რათ დაანებეთო. ოცდაათს წელიწადზე მეტი არის მეჭვრის ხევს მისახლობს და ამის მეტათ არ გიდავნიანო.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მეფემან ირაკლიმ, ეს სამართალი მივეცი: რადგანც ერისთვის შვილს იოანეს მიცემული წიგნი არა ჩნდა და არც ასეთი მოწამე ვინმე იყო, რომ დამტკიცებით სწორედ ემოწმებინა, ამისთვის ფიცი განვაჩინეთ. სამართლით ფიცი ქაიხოსრო ტუსისშვილს ერგო.

რადგანც თავადისშვილი არის, სამართალი ფიცს თავდათავ ქაიხოსროს ამისთანა ცოტას საქმეზედ არ შეახვედრებდა, თავისი კაცნი უნდა დაეფიცებინა. თითონ ქაიხოსრომ იყაბულა, მე დაეფიცამო.

და ჩვენც ამისთვის ფიცი თავდათავ ქაიხოსროს დავადევით. წადგეს და ასე იფიცოს, რომ: «ციხელაშვილის ნინიასი და თომას პაპა ერისთვის შვილს იოანეს მამის იმისისათვის სისხლში მიეცეს, იოანესაგან მიცემული წიგნიცა მქონდეს და დაჰკარგოდეს». თუ ასე იფიცა, ციხელაშვილი ნინია და თომა ქაიხოსროს დარჩება. და თუ ვერ იფიცა, ლუარსაბ ლოლაძეს დარჩება ყმაღ.

იას[ა]ულო ნასახჩიბაშის ნაიბო ვეზირის შვილო გოგია ვ! ეს ასე გა[ა]რიგე. ნოემბრის კდ, ქორონიკონს უოღ.

ქ. ქაიხოსრომ, თუ უნდოდეს, თითონ თავდათავ შეჰფიცოს. და თუ უნდოდეს, ორი თავისი კაცი შეაფიცოს[ს].

ბეჰადი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე. ერეკლე.

1786 წ. 20 ნომბერი

ცხსა. ფ. 1448. საბ. № 8847. დედანი. ქალღდი. 41,3×16,2 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ნახპარია წერტილი.

ქ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გიორგის შვილი ქ ა ი ხ ო ს რ ო რომ უჩიო-  
და თ ა რ ხ ა ნ ს ლ უ ა რ ს ა ბ ს ასე, რომ: ბ უ რ დ უ ლ ა ძ ე ქ ი -  
ტ ე ს ა ჩემი მემკვიდრე ყმა [ა]რისო, თარხანს ქართლიდამ მოუყვა-  
ნიაო, ჩვენ რომ იმერეთიდამ მისს უმაღლესობას ბედნიერს ხემწი-  
ფეს ვიახელითო და ვ ა ნ თ ი ს [ს]ოფლის წყალობა გვიყო, დაგვა-  
სახლაო ჩვენის ყმითაო, ეს ზემოხსენებული ჩემი მემკვიდრე ყმა  
ბურდულაძე ქიტესა კ ა ლ ა უ რ ს თარხანს ესახლაო, იქიდამ მო-  
ვიდა ვანთას მამაჩემთანაო; ამ ქიტესამ წიგნი მოსცაო — იქაც შენი  
ყმა ვიყო და [ა]ქაც შენი ყმა ვარო. რავდენი ხანი, ჩვენთან იყო,  
არც ყმობის უარი გამიგონიაო.

ახლა რომ ყ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ე ბ მ ა ნ მამაჩემი შეუწყალებე-  
ლის მტრობით დაჩეხესო, ვანთიდამ მეც ავიყარეო. ახლა ეს ჩემი  
ყმა ქიტესა ამისთვის არ მიდებს თავსაო.

თ ა რ ხ ა ნ ი ამას ეპასუხებოდა: ქართლიდამ ჩამოვიყვანეო,  
ამაზედ ხარჯი მაქვსო.

ამათმან ლაპარაკმან ჩვენთან ასე გაიარა: რადგან ჯაფარიძე თა-  
ვადიშვილი არის და თავისის სამკვიდროს მამულიდამ აიყარა რავ-  
დენიმეს თავისის ყმებითა და მათს უმაღლესობას ყმობით მოუვიდა  
და კახეთში ერთგულობით დაუსახლდა, ამგვარს უცხოს ქვეყნიდამ  
მოსულს კაცსა, თავადსა და აზნაურშვილს, რომელიც ამგვარად  
ყმობით მოუვა, სხვა წყალობაც უნდა უყოს მებატონემ, არამც თუ  
თავისი სამკვიდრო მამა-პაპის ყმა გამოერთოს.

ჩვენ, სრულიად საქართველოს დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ, დადიანის  
ასულმან და რ ე ჯ ა ნ, სამართლით ეს ბურდულაძე ქიტესა ისევ  
თავისავ პირველს მებატონეს ჯაფარიძეს ქაიხოსროსა და მის ძმას  
დავანებეთ ყმობითა, რომ ამასთან სადაო არავის ექნება. და ნება  
მისის უმაღლესობისა არის.

იასაულო გ ლ ა ხ ა ვ! ეს კაცი ახლავ ჯაფარიძეს ქაიხოსროს  
მოაბარე. გიორგობისთვის კვ, ქორონიკონს უოღ.

ბეჰელი: დ ე დ ო ფ ა ლ ი და რ ე ჯ ა ნ.



თავში:

ქ. ჩვენ, მე ფე ორთავე საქართველოსა ი რ ა კ ლ ი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. [ქ]რისტიშობისთვის მ, ქორონიკონს უო[დ].  
ბეჰალი: მე ფეხტგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე ე.

## 211. განჩინება მავამღაპრისა და ძიჩიკალას მამულის სამკეზა

1786 წ. 28 ნოემბერი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 20. საბ. № 77. პირი. ქალაღი. მხედრული.

[94v] თუშმალის ქაზუმბეგის შვილი მაჰმად ბეგ უჩიოდა თავის განაყოფს ქიჩიკალას: მეითრიანთ აბანოს გვერდზე ჯილავხანის ადგილი ყიასა ვეზირისაგან მაქვს ნასყიდო. ამ ჩემის ნასყიდობის ნახევარი აშენებული მაქვს და ნახევარი დღევანდლამდის ხარაბათ იყო. დღეს რომ იმ ადგილის შენობას მოყვევ ქიჩიკალა წამომედავა — არ დაგანებებ, ჩემი მამული არისო, ამის სამართალს ვ[ი]თხოვო.

მისის სიმაღლის მეფის ბძანებით ჩვენ, საქართველოს უფლისწულმა ბატონის შვილმა გიორგიმ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილება თან დავისწართ და ქიჩიკალას ამ შემოსენებულის მაჰმად ბეგის საჩივრის პასუხი ვსთხოვეთ.

ქიჩიკალამ სამართალს მოახსენა: ეს სადღო ადგილი ყიასა ვეზირის ვარისობით ჩემი სამკვიდრო მამული არისო. მაჰმად ბეგ რომ ნასყიდობის სიგლით დაობს, ეს სიგელი ტყუილი არისო, ბეჰელი გაუყეთებიათ და ყიასა ვეზირის მაგიერად ტყუილად დაუსვამთო.

ჩვენ დიდის გამოძიებით მოვიცი[95]თხეთ და სხვას საქმეზე ყიასა ვეზირისაგან დაწერილი წიგნი და დაბეჰელი მისივე ბეჰლით სამართალში რამდენიმე მოვატანინეთ. ამ სამართალში მისის უმაღლესობის ბრძანებით ჩვენთან დასწრებულის აჯი მაჰმად ალიბეგის და მირზა რაბისა და მოლების გასინჯვით დამტკიცდა, რომ მაჰმად ბეგის ნასყიდობის სიგელი ქეშმარიტი იყო, კელიც ყიასა ვეზირისა იყო აშლაზე მოწერილი, მიჯნებით გარჩეული და ბეჰელიც სწორედ ყიასა ვეზირისა იყო.

და ეს სადღო ალაგი თვით ჩვენ, ბატონის შვილმა გიორგიმ, ჩვენის თვალთ გავისინჯეთ და ქეშმარიტის ნასყიდობის სიგლის ძალით ეს სადღო ჯილავხანის ალაგი მაჰმად ბეგს და იმის შვილებს დავანებეთ იმავე მიჯნებით, რომელიც ყიასა ვეზირის სი-

გელში გარჩევით არის მოხსენებული: ერთი მხარე ფ ა რ უ ზ ა ს სახლის კედელი; მეორე მხარე ვ ა ლ ი ს ზ ა დ ე ბ ი ს სასაფლაო; მესამე მხარე ყიასა ვეზირის ხარაბა ბალი; მეოთხე მხარე ხ ა ნ დ ა კ ი ს ა კ ე ნ რომ რუ არის. დარჩათ ამ მიჯნებით ეს სადაო ადგილი მაჰმად ბეგს სამართლით.

თუ ქიჩიქ ალამ თხუთმეტს დღემდის ასეთი საბუთი მოიტანოს. რომ მაჰმად ბეგის ნასყიდობის სიგელს<sup>1</sup> გაამტყუ[ვ]ნებს, ქიჩიქ ალას სამართალი მიეცემა. და თუ ამისთანას საბუთს ვერას იშოვნის, ქიჩიქ ალა ამ განაჩენში დადებულს ვადას იქით ველარ ედავება.

იასაულო, ეს ასე აღასრულე. ნოემბ[რ]ის 15, ქორონიკონს უოდ. 

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
|  |  |  |  |
|--|--|--|--|

## 212. ბანიძეაა გივი უმეაჟვილისა და დვალისვილის მამულის საქმეჲ

1780 წ. 4 დეკემბერი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 4263. დედანი. ქაღალდი. 40×32 სმ. მარჯვენა კიდე ალაგ-ალაგ ჩამოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მათის უგანათლებულესობის ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა თ ვ ი ს არზით მოეხსენებინა დ ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ს: ჩემი ნასყიდი ვენაჯი ბატონმა ჩემ[მა] რ უ ლ ი ს შ ვ ი ლ მ ა უ მ ე კ ა შ ვ ი ლ ს მიჰყიდა; და როცა მე ტყვეობილამ მოველ, ჩემს ნასყიდს ვენაჯს მოვეჭიდე. რულისშვილმა იმისი სამაგიერო ვენაჯი მომცა, ხუთი წელიწადი მე მეჭირა, მერე ის სამაგიეროც რულისშვილმა წამართო, სხვას მისცა, სამართალს ვითხოვო.

მათს უგანათლებულესობას ბატონისშვილს გიორგის ებრძანებინა, ამას და ამის მოდავეს სამართალი მიეცითო. ჩუენ<sup>2</sup>, საქართველოს მსაჯულთმეკრებილებამ, უ მ ე კ ა შ ვ ი ლ ი გ ი ვ ი მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

უ მ ე კ ა შ ვ ი ლ ი ასე ჩიოდა: ოცდაექვსი წელიწადია უვაზო, ცარიელი მიწა მაგისმა ბატონმა — რულისშვილმა მომყიდაო. მას აქეთ ვენაჯათ ვაკეთებ და გავაკეთეო; და როცა დვალისშვილი მოვიდა და ამ მამულს მედავა, რულისშვილმა უთხრა ამ დვალისშვილს: უმეკაშვილს ნუ ედავებიო; და შენი ხომ ცარიელი მიწა იყო და მე

<sup>1</sup> სიგელი. <sup>2</sup> ჩუენ.

ვაზით სავსეს და კარგს ვენაქს მოგცემო. ვაზით სავსე ვენაქი მისცა რულისშვილმა დვალისშვილს და დვალისშვილმაც გამოართო; და თავის ნებით კელი მოსჭიდა და ხუთი წელიწადი ის სამაგიერო ვენაქი ეჭირა; და ამ ჩემის ნასყიდის მამულიდამ კელი აიღო; და მე უმეტესად და მტკიცედ ავაშენე ვენაქად. და ახლა რულისშვილმა რომ ის სამაგიერო ვენაქი გამოართო, მე მისთვის მედავებო; მაგას რომ თავისმა ბატონმა უსამართლო უყოს, მე რა ვქნაო.

ჩუენ<sup>1</sup> რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ, ეს სამართალი მივეციით: როცა დვალისშვილი მოვიდა და უმეკაშვილს ედ[ავ]ვა, თუ მაშინვე კელი არ აეღო ამ თავის ნასყიდის ნავენაქობიდან და სამაგიერო ვენაქი არ გამოერთმია რულისშვილისათვის, ახლა [ს]ამართლით თავისი ნასყიდი ნავენახობი მიეცემოდა.

მაგრამ როცა მოვიდა და ნახა ეს თავისი ნასყიდი ნავენაქობი უმეკაშვილს უჭირავს, აღარ ედავა, კელი აიღო და სამაგიერო ვენაქი გამოართო და ხუთი წელიწადი კელთ ეჭირა და შეიმუშავა, ახლა [ს]ამართლით უმეკაშვილს ვედარას შეუვა.

და რომელიც ვენაქი რულისშვილ[მა] დვალისშვილს იმის სამაგიეროდ მისცა და ახლა სხვისათვის მიუცია, ის უკანვე უნდა გამოერთოს, ვისაც დღეს უჭირავს და ამ დვალისშვილს უნდა მოეცეს. და ვისაც დღეს ეს სამაგიერო ვენაქი უჭირავს, იმას უნდა რულისშვილ[მა] პასუხი გასცეს.

ამისი მოასილი შენ ხარ ხე რ ხე უ ლ ი ძ ე ი ო ა ნ ე; დვალისშვილს რომ ნასყიდი ვენაქი ქონია და რულისშვილს უმეკაშვილისთვის მიუყიდია, ის ვენაქი თავისის სამძღვრებით უმეკაშვილს მოაბარე.

და რულისშვილს რომ სამაგიერო ვენაქი დვალისშვილისთვის მიუცია და ახლა გამოურთმევია და სხვისათვის მიუცია, იმას უკანვე გამოართვი [და] ამ დვალისშვილს მოაბარე; და რულისშვილს იმის სამაგიერო გამოართვი [და] ამ სამაგიეროს მსყიდველს მიაბარე. დეკემბერს დ, ქორონიკონს უოდ.

სამი ბეჭედი:

1. დივანბეგი
2. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშკალასბაშ მყო მდივანბეგი ე. ე. მ. უ. რ. ა. ზ
3. მდივანი ს. ო. ლ. ო. მ. ო. ნ.

<sup>1</sup> ჩუენ.

თავში:

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. დეკემბრის ე, ქორონიკონს

უოდ. გიორგი

ქ. ჩვენ, იოანე ხერხეულიძე, ამ უმეკაშვილის გივიის მოასილი ვიყავ და რომელიც განაჩენი ეს მათი უგანათლებულესობის ბატონიშვილის გიორგისგან დამტკიცებული და საქართველოს მსაჯულთშეკრებილობისაგან განაჩენი მებოძა, ჭეშმარიტია და მეც ვამტკიცებ.

ქრისტიშობისთვის იმ, ქორონიკონს უოდ. აღვესრულებია და თავისი ნასყიდი მამული მიგვიბარებია.

### 213. განჩინება გოგია და იოსებ გედევანიშვილის მამულის საქმეზე

1786 წ. 17 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 47. საბ. № 44. პირი. ქალაღი. მხედრული.

[36v] მის უწმიდესობა საქართველოს პატრიარხს მეფის ძეს ებძანათ ჩემთვის. მე, მიმბაში ამილახვარის შვილი ბეჟან, მიველ ქორდსა და გოგიას და იოსებ გედევანიშვილის საქმე — შფოთი, მოხდომა როგორც ყოფილიყო, ასე გავსინჯეთ და ვნახეთ ღმრთის წინაშე.

გოგიას ნასყიდობის წიგნი ხელთ ეჭირა. და იმის მაგიერი იოსებ გედევანიშვილმა ვერა მოიტანა რა, რომელსაც ის სიგელი აცხადებდა; იოსებს ასეთი სანათი დაწერილი არა ეჭირა რა, რომ გოგიას [ს]იგელი დაერღვივა.

მიველ და მინბანმა ბეჟან ხელი აუმართე და ამ გოგიას მოვებარე. ამ მამულებში და ამ მიწებში, რომელსაც სიგელი აცხადებდა, ზოგი გოგიას ეჭირა და ზოგი [იოსებსა]. ახლა სრულებით მივებარე გოგიასა, რაც არ ეჭირათ; რაც გოგიას სიგელი აცხადებდა, მიბარდა. ოთხის დღისა და ნახევრისა იქნება ის მიწები, რაც იოსებს წაეკრთმივა.

მეორე ეს ვნახეთ, რაზედაც მოხდომა და ჩხუბი ჰქონოდათ. და ასე ვნახეთ ის ალაგი: გოგია გედევანიშვილს თავის კარწინ კალო ჰქონოდა და პური ენიავებინა. იმ კალოზე გდებულ ყოფილიყო [ხე] გოგიასი. იოსებ გედევანიშვილი და დათუა მოსულიყვნენ და ზედ

დამსხდარიყვნენ. ამ ხის[თ]ვის იოსებ გედევანიშვილს ხელი დაე-  
ლო და თავის სახლისკენ წაეღო. გოგია ამ ხის ბოლოს მოშვიდე-  
ბოდა და არ დაენებებინა[ა]. ის ხე იოსებს გაეგლო და გოგია ქვეშ  
ჩაედვა და ერთმანეთისავ ყელში წაეჭირებინათ. ამაშ[ი] თავისი ძმა  
მოშველებოდა იოსებსა თავისის [37] სახლიდამ. გაუზომეთ, გო-  
გიას კალოდამ გავზომეთ იოსების სახლამდინ, ოცდახუთი საბელი  
ადლი გამოვიდა, რომ იოსებს ძმა მოშველებოდა.

ახლა იოსების მამა რუსი თავის კალოზედ ყოფილიყო და  
გოგიას მოხდომოდა. გავზომეთ, სამოცდაათი ადლი გამოვიდა. მამა  
ორითით მოხდომოდა და შვილი ჯოხითა.

მე ასე გავიგონე და ამ ქორდში ასე ვნახე მისის უწმიდესობის  
ბძანებითა. და ნება მათი აღსრულდეს. დეკენბრის იჲ, ქორონი-  
კონს უოდ.

გოგიასი და ამისის მეუღლისა და ქალისა წინათ მოგხსენებით,  
რაც იმ შფოთშიგან მიზდგომით.

ბეენ  
ამილხვარი

## 214. ბანჩინვაზ გოგია და დათუა ბარაჩაშვილავის გაჰრის საქმეჲ

1787 წ. 8 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 23. საბ. № 78. პირი. ქალაღი. მხედრული.

[V] ბატონს მდივანბეგს გაბაშვილი ზაზას ყმის ბარა-  
ჩაშვილი დათუასი და გოგიას გაყრა თავილდარი  
ფარსადანასათვინ ებძანებინათ. ამათ გაყრაში დავისწარ-  
დიღმელი უამუტაშვილი გარსეევანა, წყნეთელი თა-  
მაზა, ქუმლის გუდა პაპა და გალუგაშვილი არუთინა. ეს  
ბარაჩაშვილები ვალაპარაკეთ.

გოგია ამას ჩიოდა: მე მოზდოგს ვიყავ. ბატონი  
ჩემი ზაზა იერანალ[81]თან მოვიდა, ეს დათუა იქ ახლდა. ერთ-  
მანერთი ვნახეთ და ძმობის პირობა დავდევეთ მე და დათუამო. ოც-  
დარვა მანეთი მქონდა, იქავ დათუას მივეცი და მეც თან გამოვეყ-  
ვო. აქ, რომ მოვედით, ძმანი ვიყავით და ძმურად ვმუშაობდითო.  
სახლები ავაშენეთ, ვხანით, ვთესეთ, ახლა ვიყრებით, სწორე ძმის  
წილს არ მაძღვესო, ამისი სამართალი მაშეცითო.

დათუა უპასუხებდა: მართალია. მოზდოგს ერთ-  
მანერთს ძმობის პირობა მივეცით, ამ გოგიამ ოცდარვა მანეთი მომ-  
ცა, ათი მანეთი მე მქონდა, ისიც ზედ დავაყარე, ერთათ წამოვე-  
დით, აქ მოვედით. ეს გოგია ცარიელი კაცი იყო, ამ პირობით შევი-

ყარე, რომ ბოლომდინ ჩემთვის ძმობა ექნა და ერთმანერთს გამოვ-  
დგომოდითო.

ჩემი საკუთარი მქონდა თოთხმეტი ღლის ყანა, ორი ღლის ქე-  
რი დათესილი, ფურკანბეჩი, სამი ხარი, გუთანი და გუთნის იერალი  
გამართული მქონდა. ჩემი საკუთარი მოსავალი რომ ავიღევი, სახ-  
ლებს ხელი მივყავით, ავაშენეთ, ხვნა დაუწყევი, რაც თესლი მო-  
უნდა, ჩემის პურიდამ დავთესეთ კოდი **ლ**, ქერა კოდი **მ**.

გოგია რომ დავაქორწინე, ოცდარვა მანეთი რომ გოგიასი მქონ-  
და, ის დავხარჯე და ჩემიც დავხარჯე ათი [v] მანეთი იქილამ მოტა-  
ნილი, ორი თუმნისა ჩემი საკუთარი პური გავყიდე, ერთი თუმანი  
მარტყოფელს კაცზე მქონდა, ის გამოვართვი, ესენი გოგიას ქორ-  
წილზე დავხარჯე, პურს გარდა რვა თუმანი მეტი დამეხარჯაო, და-  
თუას საკუთარი დახარჯული ფულის ჯამი გახდა **ღ** **ც** (ოთხი თუმა-  
ნი და ორი მინალთუნი).

ამებებს გარდა ჩემი ერთი ხარი ქურდმა მოგვპარა, ერთი ხარი  
და ჩემი თოფი ლეკმა მოგვტაცა, ესენი მინდაო, ამისთვის. რომ თუ  
ძმობა ექნა, არა მშურდა რა, რომ დავაქორწილე, მაშინვე ცალკე  
გაიწივა, ჩემს საკუთარს ნივთებს რათ გავატანო, ჩემი შვილისა-  
თვინც საქორწილო მინდაო.

ჩვენ რომ ესენი ვალაპარაკეთ და ამათი საჩივარი შევიტყევი,  
თუმცა ძმათ შეყრილან, მაგრამ ძმობა აღარ აუსრულებიათ, გოგია  
რომ დაქორწილებულა, მაშინვე ცალ-ცალკე გაუწევიათ, ორი წლის  
მეტი ერთათ არ ყოფილან.

რადგან ასრე მოქცეულან და ამათ ძმობას ხანი არ დაუყვია, ეს  
სამართალი მივეცი: რაც გოგიას შეჰყოლია, იმას უნდა დასჯერდეს  
და რაც დათუას ჰქონია, ის დათუას უნდა მისცეს. გოგიას რომ  
ოცდარვა მანეთი მოჰყოლია, ისევ თავის ქორწილზე დახარჯულა;  
ამას გარდა დათუასი დახარჯულა გოგიას ქორწილზე დათუას მოტა-  
ნილი ათი მანეთი, თავისი საკუთარი პური გაუყიდა ორი თუმნი-  
სა, მარტყოფელს [82] კაც[ს] მართებია ერთი თუმანი, რომ შეიქნა  
დათუას დახარჯული **ღ** **ც** (ოთხი თუმანი და ორი მინალთუნი), ეს  
დათუას უნდა მიეცეს.

და დათუა შვილის საქორწილოს<sup>1</sup> რომ თხოულობს ის კი აღარ  
მიეცემა. ამას გარდა დათუას ხარი ქურდს რომ მოუპარავს, ის ჩაუ-  
ტარეთ; ლეკს<sup>2</sup> რომ ხარი და თოფი<sup>3</sup> მოუტაცნია, ამ ხარისათვის საძ-  
მო ხარი ჰყვანდათ, ის მივეცი; თოფისთვის ერთი თუმანი მივე-

<sup>1</sup> ნაქორწილოს. <sup>2</sup> ნეკს. <sup>3</sup> შოფი.

ციტ დათუას; კიდეც დათუას დედას ვალი იყო ა ჭ (ერთი თუმანი და ხუთი მინალთუნი), ის უნდა მისცეს; დათუასი ახლა არის თავისი საკუთარი ორი კანბეჩი და ერთი ხარი, ისინი უნდა ასხას.

ამათ თავიანთ ძმობაში მონაგარი აქვთ: წელს მოსვლიათ პური ცხრა ურემი, ქერი კოდი 5, ჰყავთ ერთი ხარ-ძაქი, ერთი ფური, ორი ნაბადი, ორი გოდორი, ორი ნქამგალი, ორი შონფური, გარეთ უბანში სახლები, ოქროყანას ბზე, კიდეც გარეთუბანს ბზე, ანეულის ნათესი აქვთ თერთმეტი დღის ყანა, ცხრა ურემი პურიდამ გასულა. დათუას პირველათ საძმო ხნულებში დაუთესიათ თავისი საკუთარი პური კოდი 10, ქერი კოდი 5, სახელმწიფოთ წაუღიათ კოდი 10, დალაში წაუღიათ კოდი 10, წლევანდელს თერთმეტი დღის ანეულში დათესილი კოდი 10.

ამაებს რომ გამოვედით, დარჩა გასაყოფი პური [V] კოდი 10, ლიტრა 5; ეს სულადზე გაუყავით. დათუას ერგება კოდი 10, ლიტრა 10; გოგიას ერგება კოდი 10, ლიტრა 10; იმავ კალოში გოგიას წაუღია კოდი 10, კიდეც გაუყიდნიათ კოდი 10, ამისი ფასი გოგიასათვის მიუცია ა ჭ (ერთი თუმანი და რვა მინალთუნი). ახლა გოგიას თუ ას სულადზე მეტი უჭირავს პური კოდი 10, ლიტრა 10, ეს ოცი კოდი და ორი ლიტრა პური გოგიამ თავისი საკუთარი უნდა მისცეს დათუას.

გარეთუბანს რომ სახლები აქვთ, ის უნდა დაათასონ, ზემოხსენებული ვალები უნდა მისცენ, რაც დარჩებათ, შუა უნდა გაიყონ; ანეულები თერთმეტი დღის ნათესი შუა უნდა გაიყონ; ოქროყანის ბზე უნდა გაიყონ, გარეთუბანის ბზე საქონელზე დახარჯულა და რაც დარჩომილა, ისეც საქონელს მოუნდება.

ჩვენმა ჰქვამ ასრე გასჭრა და ნება ბატონი მდივანბეგისა არის. იანერის დ, ქორონიკონს უოე. + + +

სახლები დაფასდა ხუთ თუმნათ; რომელსაც უნდოდეს, ზემოხსენებული ვალები გადაიხადოს და სახლები იმას დარჩება.

ამას გარდა ზემოთ რომ დათუას ხარი და თოფი რომ დაგვიწერია, შუადამ უნდა აეყენებინათ, ესეც დათუას ვაზარარეთ და ჩაუტარეთ. კიდეც დათუას მეტი დანახარჯი და ჰირნახული ჰქონდა, მაგრამ ხელი ავადებინეთ. კიდეც ათი კოდი პური წახდომოდათ, ისიც დათუას ჩაუგდევით. ამაებს გარდა რაც ამას ზემოთ სწერია, ისრე უნდა [88] აღსრულდეს.

გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ზ ა ზ ა რომ ამათი ბატონი არის, თავის გასამყრელოს თხოულობდა, თავისი ყმები არიან, თავის გასამყრელოს

თითონ იცის, რომელიც რიგი არის, თუნდა გამოართოს, თუნდა აპა-  
ტიოს. აღიწერა [იანვრის] ვ, ქორონიკონს უოე. † † † †

ესენი რომ ასე ჩიოდნენ, ჩუენ საქართველოს მსაჯულთშეკრე-  
ბილების სამართალში ჩუენი თავილდარი ფარსადან ამათ გასამყრე-  
ლოთ გავგზავნეთ. თავილდარს ამათ საბჭოთ ეს კაცნიც დაესწრა და  
ეს სამართალი მიეცათ და გაეყარათ. ჩუენ ამ სამართალს ასე ვამ-  
ტყვიებთ და ასე უნდა აღსრულდეს. იანვრის ჭ, ქორონიკონს უოე-



**215. განჩინება კანტალასშვილ მიქალასა და ტარტარასშვილ  
დანელას ვალის საქმეზე**

1787 წ. 9 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3475. დედანი. ქალაღი. 22,5×17,2 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-  
წერტილი.

ქ. ბატონისშვილის ბძანებით დავსხედით ეჩმიადინის გორძაკა-  
ლი ტერ-ყ ა ზ ა რ ა მ, თავილდარი ო ჰ ა ნ ე ზ ა მ და მეთევზე  
შ ა ქ რ ო ა მ.

პ ე ნ ტ ე ლ ა ს შვილი მიქელას ტერტერას შვილი  
და ნ ე ლ ა ს ი ექესი თუმანი მართებოდა. ამისი თავდები ვანქის.  
ტერ-პეტრუს ყოფილიყო. ამისი ორი თუმანი მამასახლისი  
სტეფანას თვინ მიებარებინა, რომ სტეფანასაგან ტერ-პეტ-  
რუსას ყაბზი ჰქონოდა სამის თუმნის და სამის მინალთუნის, რომ  
ცამეტი მინალთუნი სხვა უწინდელი ანგარიშის ყოფილიყო და ორი  
თუმანი ამ ექესის თუმნის ანგარიშში მიეცა.

დარჩა ტერ-პეტრუსაზე ოთხი თუმანი. ეს ოთხი თუმანი ტერ-  
პეტრუსამ დანელას უნდა შეუსრულოს და მიიბაროს. იმ ყაბზის ორი  
თუმანი თუ სტეფანასაგან დანელას არ მიჰბარებოდეს, სტეფანამ  
უნდა დანელას მიიბაროს. თუ სტეფანას ტერ-პეტრუსასთან სიტყვა  
ჰქონდეს<sup>1</sup>, თითონ იცის და ტერ-პეტრუსამ. დაიწერა იანვრის თ, ქო-  
რონიკონს უოე.

ორი სომხური ბეჭედი. ხელრთვა: ო ჰ ა ნ ე ზ

<sup>1</sup> ჰყოდეს.



1787 წ. 5 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1872. დედანი. ქალაღი. 28,5×15 სმ. მხედრულ-  
განკვეთილობის ნიშნად ნახმარაა წერტილი. თავი აკლია.

... [ხ ა ტ ი ა ნ თ ეჩი]ვლათ და მღივანბეგებს ეს სამართალი მიე-  
ცა: ქ ა ი ხ ო ს რ ო რ უ ს ი ს შ ვ ი ლ ო! ეს ხუთის დღის მიწა შენს  
მამა-პაპათ რადგან მიუყიდნიათ, შენ უნდა მოსცეო. ქაიხოსროს არა  
მოეცა რა.

შარშან მღივანბეგები საბოეს ყოფილიყვენ, ამ ხატიანთ  
ეჩივლათ და ეს სამართალი მიეცათ: ქაიხოსრო! რაც ნასყიდობის  
წიგნში ეწეროს, ის მიწები უნდა მისცეო. ქაიხოსროს თავისი ხელ-  
წერილი მოეცა — რაც მაგ წიგნში მიწები მიწერია, მამიციანო.

ჩვენ კიდევ შილდელთ უფროს კაცთ ვკითხეთ: ა ს ა ბ ა შ ვ ი ლ ს  
ნაცვალს პ ა პ ა ს, ა ს ა ბ ა შ ვ ი ლ ს ტ უ რ ა ს, ა ხ ა ლ ბ ე დ ა-  
შ ვ ი ლ ს! ნ ა ს ყ ი დ ა [ს] და ამათ ფიცით ასე თქვეს: რომელიც  
მიჯნები მაგ წიგნში სწერია, არც ერთი ის არ არისო და არც ვიცი-  
თო და ბარამის წილი მამულიც არისო.

თუ ის მამული ერთობაში მისყიდული ყოფილიყო, რადგან ქაი-  
ხოსროს მამა-ბიძანი ეწერნენ, ბარამის მამა-ბიძანიც უნდა წერებუ-  
ლიყვენ და ჩანს, რომ გაყრას უკან მიუყიდნიათ და რადგან ბარა-  
მის წილი მამული არის, არც უნდა გაეყიდნათ. ქაიხოსრო ბარამს  
ელაოს.

თუ სამართლით ბარამ[ი]დამ ის მიწები ქაიხოსრომ გაიტანოს,  
ის მიწები ხატიანთ მისცეს. და თუ ბარამს ვერას შეუვა, სხვა ხუ-  
თის დღისა მიწა ხატიანთ ქაიხოსრომ უნდა მოსცეს.

რომელსაც ბარამის ყმებს ხატიანი ელავებოდნენ, ეს მიწები  
მ კ ე ვ ლ ი ს შ ვ ი ლ ს დ ა ვ ი თ ს და ამის შვილს ი ა ს ე ს დარ-  
ჩათ სამართლით. დღეის იქით ხატიასშვილს ბერს და ამის შვილებს<sup>2</sup>  
იმ მიწების სადაოში ხელი არა აქვთ რა, ჩვენის სამართლით ბარამის  
კაცებს დარჩათ. ფებერვლის ე, ქორონიკონს უოფ.

სამი ბეჭედი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად  
მაგო ბ ე ჟ ა ნ.

<sup>1</sup> ახალბედაშვილი. <sup>2</sup> შვილების.

2. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა

3. მდივანი ი ო ა ნ ე.

კიდეზე:

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, ამ სამართალს ვამტკიცებთ. ფებერვლის ვ, ქორონიკონს უოე.

ბეჰელი: ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

## 217. განჩინება ზურაბ ბაგურისვილის ამის საქმეზე

1787 წ. 10 მარტი

ცსა. 1448. № 1835. დედანი. ქალაღი. 16X 19,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ბ ე ბ უ რ ი ს შ ვ ი ლ ი ო მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ზ უ რ ა ბ თ ა ე ი ს ყ მ ა ს ს ე ს ი ა ს ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა ზ ე დ უ ჩ ი ო დ ა ა ს ე, რ ო მ ე: მ ა მ ი ს ჩ ე მ ი ს ა გ ა ნ გ ა ზ დ ი ლ ი ა რ ი ს დ ა ი მ დ ლ ი დ ა მ მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ვ ი ლ რ ე ა ქ ა მ ო მ დ ე ჩ ე ვ ნ გ ვ ა ხ ლ ა ვ ს ო დ ა რ ვ ა თ უ მ ა ნ ი ც ა მ ა რ თ ე ბ ს ო, რ ო მ ლ ი ს ა მ ე მ ი ზ ე ზ ი ს ა თ ე ი ს შ ა მ ა მ წ ყ რ ო, ა ი ყ ა რ ა კ ა რ დ ა ნ ე ხ ი დ ა მ დ ა ვ ა ქ ი რ შ ი დ ა დ გ ა ო.

ჩვენ, მეფის ძემ ვახტანგმა, ჩვენს სამართალში მოვაყვანინეთ და ეს ბატონ-ყმანი ვალაპარაკეთ. ამ ზემოხსენებულს სესიას ერთი რამ საბუთიანი სიტყვა არა ჰქონდა რა. და თითონაც თქო: მართალი არის, თეთრიცა მშქართვესო, მაგრამ რადგანაც ამისი ყმა ვიყუაო, ამისმა ძმამ იოსებმა მაპატივაო. გამიწყრა ბატონი ჩემი და [ამ] მიზეზით შამოვწყერო და ავიყარეო.

რადგან არც არავინ მოდავე ჰყვანდა და ამასთან რამდენიმე წელიწადიც ამათა ჰყოლია, სამართლით ისევ ამ ზურაბის ყმა არის და ამის ძმებისა, ამასვე დარჩა. უნდა აპყაროს და ისევ კარდანებს და[ა]სახლოს, სიტყვა არა აქვს რა. მარტს ი, ქორონიკონს უოე.

ბეჰელი: ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

## 218. განჩინება მრეკლე II-ისა ახურელთა და ჯანდიერისვილთა

საქმეზე სამართლის განჩინის შესახებ\*

1787 წ. 12 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 457. დედანი. ქალაღი: 34X11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ჩვენის ღვთის წყალობას შვილებს.— გ ი ო რ გ ი ს, ი უ ლ ო ნ ს დ ა ა ლ მ ა ს ხ ა ნ ს დ ა საქართველოს და კახეთის მსაჯულთშეკრებულებას ასე მოეხსენოსთ:

\* შღრ. 1786 წ. 24 აგვისტოს ფიცის განწესებას ახურელთა და ჯანდიერთან საქმეზე (აქვე, საბ. № 203).

მერმე ახურელნი ჯანდიერი შვილებს რომ უჩივიან გალახვასა, ხლმით შეტყეებასა, ლუდლის დაჭერასა და გალახვასა, რასაც უჩიოდნენ, თითვეულს აზრზედ სამართლის ძალით სამართალი უნდა მიეცეს. აგრევე ჯანდიერი შვილები ამათ რასაც უჩიოდნენ, ამათაც სამართალი უნდა მისცენ.

ამათი ორისავ მხრისა სამართლის ძალით რომ სამართალი განისჯება, უნდა სამართლით აიწონოს და რომლისაც მეტი მოვა, იმან უნდა მისცეს.

ესევე ახურელნი რომ ჯანდიერი შვილებს თავეთს მამულში მიხდომას უჩივიან, ესევე სამართალში განიხიჯოს. თუ სამართალით ახურელნი შეუვლენ რასმე, ჯანდიერი შვილებმა ამისიც პასუხი გასცენ სამართლით. მარტს იბ, ქორონიკონს უოფ.

აგრევე დავითგარესჯის წინამძღვარი თომა რომ უჩივისთ თავისის თავის უპატიოდ ლანძღვასა, და აგრევე აკურის ქეება რომ ჩივის, ბატონს წინ ზა [ა] ლმან მუსტი შემომკრაო პირშიაო და სისხლით პირი ამევსოო, ამისი პასუხიც უნდა გასცენ სამართლით ჯანდიერი შვილებმან.

ამათი სამართლები ორისავ მხრისა სამართლით უნდა დაიწმინდოს, რომელიც რომ დაილექებას, იმან უნდა გარდაიხადოს, ჰ[ა]ლბათ.

რაც ერთმანეთში სალაპარაკო აქვთ სამართალში, რაც ერთმანეთისა დაედოთ, სამართლით ერთმანეთს უნდა მისცენ.

ბეჰედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე-

## 219. განჩინება ჯარღან და ღურმიზხან ჩოლაყაშვილების

გაჰრის საქმეზე

1767 წ. მარტი

ცსა. ფ. 1448. № 5031. ღედანი. ქაღალდის გრაგნილი ხუთ კეფად. 200,8X X16,3 სმ. ალაგ-ალაგ მარჯვენა კიდე დაზიანებულია, მეხუთე კეფის მარჯვენა მხარე კი მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია წერტილი.

ქ. ჩოლაყაშვილი ეშიკადაბაში ჯარღან თავის ძმისწულს თუშთ მოურავს დურამ [იშხ] ანს არზით უჩიოდა ასე, რომ: ჩემს ძმას ზურაბს რომ გავეყარეო, იმ თარიღს აქვთ ამ თარიღამდის ჩემს ძმისწულს დიდს მწუხარებასა და მამულების გამორთმევაში და მძლავრებაში ვყვეარო.

ჩვენ, სრულიად საქართველოს დედოფალმან დარეჯან, ეს ზემოთ ხსენებული ჩოლაყაშვილი თუშთ მოურავი ღურმიშხან სამართალში მოვაყვანიხეთ და ამასაც თავისი ბიძის საჩივრების პასუხები დავაწერინეთ; და ამათს სამართალში დავსხედით ჩვენ და მათი ყოვლად სამღუდლოება ნეკრესელი დოსითეოზ; და კახეთის მოსამართლენი და მდივნები ჩვენთან მოვაყვანინეთ.

და ეს ზემოხსენებულნი ბიძა-ძმისწულნი ჩვენს წინაშენ სამართალში ვაღაპარაკეთ. და ორთავ თავ-თავისი საჩივრები თითვეულად წერილით მოვატანიხეთ; და თავ-თავისი ამათი საჩივრების აზრები დიდის გამოძიებით გამოვიკითხეთ და მოწამეთაგან წერილით და დაფიცებით გამოვიკითხეთ და სწორედ ჭეშმარიტებით შევიტყვევით ამათი სარჩელი; და ხანგამოვლით ამათს დავასა და ლაპარაკებში თითო-თითოს აზრზე დიდად დავშვერთ.

და რომელიც ღმერთმან სამართალი გვაგონა, ჩვენ გამოძიებულის ჭეშმარიტის სამართლით ამ ორთავ ბიძა-ძეთ ეს სამართალი მივეცი, რომელიც რომ ამ წერილს ქვემოთ თითვეულის თავეთის წერილების საჩივრების სამართლების სამართლის ძალით გარდაგვიწყვეტია, რაგვარადაც განჩინებასა ამას შინა თითვეულად აცხადებს.

პირველად, ორთავ გაყრის ბარათები მოვთხოვეთ. თუშთ მოურავმან ღურმიშხანმან სამართალში წარმოაყენა პირველად გაყრის წილის ყრის ბარათები თერთმეტი, რომელიც რომ ზურაბ თუშთ მოურავს ყმა რგებოდა და [ან ბეთალმანი მამული, იმას აცხადებდა; და ამათი ფარდი რომ ჯარდან ეშოკაბაშის რომ რგებოდა, ეს კი არ ეწერა ამ წვრილს ბარათებშია და არც ეს ბარათები დაბეჭდილი იყო; წვრილი წილის ყრის ბარათები იყო მდინის ოთარის ხელი, მარამ ამ ბარათებით სრულებით არ გაირჩეოდა ამათი მამულები. თუშთ მოურავს ეს ბარათები ქონდა და ეს მოიტანა სამართალში.

ჯარდანს მოვკითხეთ ბარათები თავისი ნარგების წილის მამულებისა, ამან ფიცით დაგვაჯერებინა, რომ ბარათები არა მაქვს რა და არც ამიღიაო.

რადგან პირველათვე ამ ორთავ ბიძა-ძმისწულთ ამგვარი შარისტა დაუქვრიათ, რომ თავეთი გაყრის ბარათები არც ერთს მოსამართლეთაგან არ აუღიათ, ასეთი რომ ან მოსამართლეთაგან დაბეჭდილი ყოფილიყო ან ერთმანეთის ფარდი წერებულყო, უფროსი ერთი ამათი ლაპარაკი და დავა დღევანდლამდის ამისის მიზეზით

ყოფილა. ამათი ამგვარის ბარათების აღღებლობა ორთავ თავეთს ჰკუას აბრალონ, მოსამართლეს ამაში ბრალი არა აქვსთ. და ჩვენ რაოდენ ღმერთმან შეგვაძლებინა, ეს [ს]ამართალი მივეციოთ.

სასახლისა ასე დაგვიწერია: მისის უმაღლესობის ბატონის განაჩენში რომ ხუთი თუმანი კოშკის ფასი სწერია ამ ხუთს თუმანს ჯარდან<sup>1</sup> ნუ მისცემს.

ამავ ბატონის განაჩენში მკედლის ფასი ოცდაათი თუმანი დაუწერიათ. აქედამ ჯარდანმან მკედლის ფასად თხუთმეტი თუმანი თუშთ მოურავს ღურმიშხანს მოსცეს. და თუშთ მოურავმან ერთი კომლი კაცი მამულიანი — არც წინა კაცი იყოს და არც ბოლო კაცი — საშუალო კაცი უნდა იყოს, თუშთ მოურავმან ამგვარი კაცი ჯარდან ეშიკადასს მისცეს.

და ნახევარი ციხე ზომით ჯარდანმან თუშთ მოურავს ღურმიშხანს მოსცეს. და გალავნის ზომა თუშთ მოურავმან ჯარდან ეშიკადაბაშს უნდა მოსცეს მიწა იქავ გალავნის სიახლოეს ნახევარს გალავანს, რომელსაც მხარეს ჯარდანს უნდა, იქ უნდა აილოს. ციხე რადგან საქვეყნოდ აშენებულე არის, საკუთრად ჯარდანს სამართალში ვერ მივცემდით, და ამისთვის ასე გავარიგეთ, რომ სასახლეზედ ასე უნდა მოშველდენ.

ი ვ ა ნ ე ბიჭზედ რომ დაობენ, თუშთ მოურავი ამას ამბობდა: დედაჩემს შ ა ნ შ ე ე რ ი ს თ ვ ი ს ა თ ვ ი ს ე თ ხ ო ვ ნ ა ო და იმას მოეცაო.

ჯ ა რ დ ა ნ ამას ეპასუხებოდა: არა მარტო საკუთრად შენთვის და [ა]რც დედიშენისათვის არ მოუციაო, საერთოდ გვყავს მოცემულიო და გაყრაშიაც წილში მე მრგებიო, ქალაქს მდივანბეგებთანაც მილაპარაკნიაო და ჩემი ძმა ზ უ რ ა ბ [ი] ც ი მ დროს ლაპარაკში იქ ქალაქს იყოო, მარამ ჩემთვის ამ ბიჭზედ არ უდავნიო.

ამი[სი] სამართალი ასე გაგვიჩენია: ამ ივანე ბიჭზედ ჯარდანმან კაცი შეაფიცოს და იმ კაცმან მდივანბეგების განაჩენი ხელთ დაიჭიროს და ასე შეფიცოს თუშთ მოურავსა: «როდესაც ამ ივანე ბიჭზედ ქალაქს ულაპარაკნიათ მდივანბეგებთანა, მაშინ ზურაბ თუშთ მოურავიც ქალაქს ყოფილიყოს და კიდევ შე[ე]ტყოს ზურაბსა ამ ბიჭზედ დავა და მაშინ არა ეთქვას რა, ამისთვის, რომ ჯარდანისა წილში ნარგები ყოფილიყოს». თუ ასე კაცი შეაფიცა, დარჩეს ეს ივანე ბიჭი ჯარდანსა. და თუ ასე ვერ შეაფიცა, დარჩეს ეს ივანე ბიჭი თუშთ მოურავს ღურმიშხანსა.

<sup>1</sup> ჯარდან.

ლოთიკაშვილს ოთიაზედ რომ ლაპარაკობენ, ამისი საქმე ასე უოფილა: ლუარსაბ მიმბაში და ომან ლაშქარნივისი რომ ლალისყურს ყოფილან მათის უმაღლესობის ბძანებით საქმის გასარიგებლად, იმ დროს ჯარდანისა და თუშთ მოურავის მონდომებით ამათთან სამართალში ულაპარაკნით, და ამათი საჩივარი გამოუძიებიათ და განაჩენი მიუტყიათ მოსთაბარის მოწმე[ე]ბის გამოძიებიათ. ამათი სამართლით ლოთიკაშვილი ოთია ჯარდანს დარჩომია. ამათი საქმე როგორც ყოფილა, თითკუულად გარჩევით ამათს მიცემულს განაჩენში გარჩევით დაუწერიათ. ამ ოთიას ბიძაშვილი ამათის განაჩენის ძალით და ჩვენის შეტყობით არცერთისა არ არის, არც თუშთ მოურავისა და არც ჯარდანისა, თავისუფალი არის, ვისთანაც ნებაგს, იმასთან მივა.

ღრიალა გიორგი თავისის შვილებით და ამ ზემოხსენებულის მოსამართლეთ განაჩენის ძალით თუშთ მოურავს დარჩომოდა. და ახლა ჩვენთან თუშთ მოურავმან ბარათი წარმოაყენა ამათი მიცემული და ჯარდანისაგან ხელმოწერილი. სამართლით ეს ღრიალა გიორგი თავისის შვილებით დარჩა თუშთ მოურავს დურმიშხანსა.

ამ ზემოხსენებულის ღრიალას ფარდად ჯარდანს რგებია ნოლა ბიჭი დავითი, რომ ესეც ამავე ბარათში დაწერილა, რომელზედაც არის ჯარდანის ხელისწერილი. ახლაც სამართლით დარჩა ჯარდანს.

აგრევე კიდემ ამავე განაჩენის ძალით თუშთ მოურავს რგებია წილში გურგენა ოქრომჭედლის ძმა დავითო თავისის შვილებით, რომ ამის ბარათზედაც ჯარდანის ხელისწერილი არის. დარჩა სამართლით ეს დავითო თუშთ მოურავს.

ამ დავითოს ფარდათ ამავე ბარათში წერილით ჯარდ[ა]ნს რგებია გურგენა ოქრომჭედელი თავისის შვილები[თ]. ამათისავე განაჩენის ძალით რუსის ბიჭი ჯარდანს[ს] დარჩომია; რომ ხუთი მინალთუნი და სამი აბაზი ჯარდანმა თუშთ მოურავს უნდა მისცესო, რომ რუსის ბიჭს ქურდობა ექნაო და ამისთვის სამართლით დაედოო. მაგრამ ამ თეთრზედ თუშთ მოურავმაც ხელი აიღო და ჩვენც ხელი ავაღებინეთ. დარჩა ეს რუსის ბიჭი სამართლით ჯარდანსა.

წმინდის ბარძიმ-ფეშუმზედა და ჯვარზედა და ხატზედ რომ უღაგნიათ ამ ზემოხსენებულს მოსამართლე[ე]ბთან, ამათი მიცემუ-

ლი განაჩენიც ასე აცხადებდათ, რომ შუა გაეყოთ. და აგრევე ერთი სამოციქულოს თარგმანი და ერთი ფუტკარი გასაყოფათ დარჩომოდათ. და ამისიც [ასე] დაეწერათ<sup>1</sup>: ეს ორივე წიგნები შეფარდებით და წილ[ის] ყრით გაიყონო. ფუტკრის წიგნი ან დ რ ი ა დ ე კ [ა]ნ ოზ-თან არისო, ორთავ ერთად გამოართონო და ასე [გა]იყონო. ჩვენც აგრევე ე[ს] სამართალი დაგვიმტკიცებ[ი]ა.

ჯარდან ეშიკალაბაში კოტორაშვილის მამულზე[ედ] რომ ელაპარაკება თუშთ მოურავს დურმიშხანს, ასე [რომ]: კოტორაშვილი საუარესოში მოცემული გყავს [შენ], მარამ მაშინ გაყრაში რომ მოგეცო, რაც მაშინ[ინ] მამული ჭონდა, იმ [მ]ამულით მოგეცო. ახლა უს[ამარ]თლოთ თავის [ს]ახლისკაცს მამული გამოართო და [თავის] მამულს მიაკრაო, მაშინ იმ [მ]ამულით როდის მო[მ]ცემდიო.

თუშთ მოურავი ამას ეპასუხებოდა: კ[ოტო]რაშვილები ორნი ძმანი იყვნენო, ერთი კოტ[ო]რაშვილი საუარესოდ მე მამეცაო და მეორე ძმ[ა წილ]ში შენ გერგოო, ეს როგორ იქნებოდაო, ერთს [ძმას] ექნებოდა მამული და მეორეს კი არაო. რა[მდენმა] ხანმა გაიარაო, ჩემს ნარგებს კაცს შენ[მან ნარგებ]მან კოტორაშვილმანო მამული არ დაან[ებ]აო. მას უკან ბატონს თავი ვაწყინეო და [ამისი] სამართალი მისმან უმაღლესობამ რამ [აზ მ დ ი ვ ა]ნ ბ ე გ ს ა და ო თ ა რ მ დ ი ვ ა ნ ს უბძანაო. [ამთმა] სამართალი უყვესო და განაჩენი მ[ოგვე]სო.

ჩვენ ამ მოსამართლეთ განაჩენი მოვიციტხეთ. ამ თარიღში მიცემული ქორონიკონს უფ, [მოსამართ]ლეთ ასე გაესამართლებინათ: კოტ[ო]რაშვილებისათვის თავ-თავისი წილი მამული მიეცათ.

ამ კოტორაშვილის მამულზედ...<sup>\*</sup> ეპასუხებოდა თუშთმოურავ...<sup>\*</sup> ხი მიყოო და ამ კოტორაშვილ...<sup>\*</sup> დამელაპარაკაო, კიდევ მისს...<sup>\*</sup> ბას მეფის ძეს გიორგის...<sup>\*</sup> ბძანებით ყოვლად სამლულდელ[ო ნ ე კ რ ე ს ე ლ ი დ ო ს ი თ ე]ოზ, როსებ მაყაშვილ[ი, მ დ ი ვ ა ნ ი ს ვ ი მ ო ნ] და ფარემუზ ენდრონიკა[შვილი]...<sup>\*</sup> მოვიყვანეთო ამა...<sup>\*</sup> [სამარ]თალი გვიყვესო...<sup>\*</sup> ნახევარს მამულს...<sup>\*</sup> მოგცესო ჩვენ...<sup>\*</sup> განაჩენი მოვთხ[ოვეთ]...<sup>\*</sup> აყენა ამათი მა...<sup>\*</sup> ამ თარიღში და ამ...<sup>\*</sup> ასე სწორენ.

ჩვენ მოსამართლე[ე]ბი მ...<sup>\*\*</sup> მეფის ძის გიორგის...<sup>\*\*</sup> ურავისა და ჯადანის მა...<sup>\*\*</sup> გასამართლად მივედითო...<sup>\*\*</sup> რსა და ასე გავა-

<sup>1</sup> დაეწერეთ.

• აკლია ორი-სამი სიტყვა.  
•• აკლია სამი-ოთხი სიტყვა.

რიგეთ...\* სოს კაციანს მამულზედ...\*\* რამაზსა და მდივანს ოთარს მი...\* ნც ისე დავემოწმენითო ბეით...\* სოდ ერთი მამული მივეცი...\* მიცემული ბარათი სახელდობ...\* წილის ფარდებს დავხედეთო, ჯარდ[ანის წილი] ნაკლები იყო, ქუ რ ც ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ნ ა [ხევარი წილის] ნახევარი ხომ ჯარდანისა იქნება [და ნახევარი] თუშთ მოურავისა. ეს ნახევარი თუშთ[მოურავის წილი]ც ჯარდანს მივეციოთო, ამისთვის, რომ ჯარ[დანის წილი ფარდი ნაკლები იყო...\*\*\*

თუშთმოურავს რომ კოტორაშვილი თე[ვედორე] მისცემია, ის ბერო კოტორაშვილის მონ[აწილე] ყოფილა; თუშთმოურავს ეს კოტორაშვილი [თევდორე] ნახევრის მამულით მისცემიაო და ნახევარი [მამული] კოტორაშვილის თევდორესი და ივანესი არისო, [ნახევარი მამული ბეროსი და ამისი ძმისა არისო...\*\*\* ჯარდანის წილს რომ ქურციკის ბეითალმანი და...\*\*\* ვითო მარტო ვენახი დაედოო ბუწანკალურ[ისათვის]ნ მისყიდულიო.

რადგან ჩვენ ეს მოსთაბარი ზემოხსენებულ[ი] განაჩენები ასე ვნახეთ, ჩვენც ასე დავამტკიცეთ], რაგვარადაცა ზემოხსენებულთ მოსამართლეთ გა[უ]სამართლებიათ და განაჩენები მიუციათ.

ჯარდანის წილმან კაცმან კოტორაშვილმან ბე[რომ] ამ [მ]ამულის ლაპარაკში არზა მოგვართო, ასე რომ: მამაჩ[ემი] მარტო იყო, ამ [მ]ამიჩემის ძმა და მეორე ბიძაშვილ[ი] ერთად იყვნენო. ეშმაკის შურისძიებით ამ [მ]ამიჩემის ძმამ თავისი ბიძაშვილი მოკლაო. ამ კაცის მკვლელი თავისის ცოლითა და შვილით ფშავს გარდავა[რ]დაო. ამ მკვლარს დარჩაო ცოლი და ორი შვილ[ი] ვაჟიო, ერთი ლექთაგან დატყვევდაო, დარჩა ეს მეორე ობოლი უპატრონოთაო, ამ ობოლს დედაც გაუთხოვდაო. ამ ობოლს ხელი მოვკიდე და შინ შევიყვანეო.

ჩვენ სამართალში ეს ზემოხსენებული ბერო მოვაყვანიეთ და ვკითხეთ და აგრევე თვისის წერილისაებრ მოგვახსენა: სამათ იყო ჩვენი წილ[ი] მამულიო — ორი წილი მამის ჩემის ძმისა და თა[ვის]ის სახლის კაცისაო და ერთი წილი მამის ჩემის იყოო. ეშმაკის საფთხით რომ თავისი სახლისკაცი შემოაკვდაო და გარდავარდაო, მაშინ ეს სამივე წილი მამული ჩვენ გვეჭირაო; და ობოლიც ჩემთან იყოო. გაყრაში რომ ვილაპარაკეთო, მაშინ ამ ზემოხსენებულთ მოსამართ-

\* აკლია ორი-სამი სიტყვა.

\*\* აკლია სამი-ოთხი სიტყვა.

\*\*\* აკლია ერთი სიტყვა.



ლეთაო სამართალი გვიყვესო და ასე გაგვყარესო, როგორც ზემოთ მოხსენებული განაჩენები არისო. ასე ფიცით ამ ბერომ წერილითა-ცა და ზეპირად სიტყვითაც ასე აღიარა. რადგან ამ ბერომაც ასე სარწმუნო გვეო, ჩვენც სამართლით ეს ზემოხსენებული განაჩენები დავამტკიცეთ.

გიშელაშვილის მამულზედ რომ ჯარდან ლაპარაკობს, ამათ მამულების სასამართლოთ რომ ყოვლად სამღუდლო ნეკრესელი დოსითეოზ, როსებ მაყაშვილი, მდივანი სვიმონ და ფარემუზ მსაჯული — ესენი რომ ყოფილან, ამათი სამართლით ბეითალმების საუფროსოდ თუშთ მოურავს ღურმიშხანს მისცემია, რომ ამათი ბართიც აქვს. გიშელაშვილის მამულისა ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია, რადგან თუშთ მოურავს საუფროსოდ მისცემია, ამისი ფარდი ჯარდანს არ ექნება.

ზვიადურს ბეროზედ რომ ელაპარაკებოდა ჯარდან, ამისი სამართალი ასე მიეცა: მეფის ვახტანგის სამართლის ძალით რდ ასოთხს რიცხვში ასე სწერს: აყრილის კაცისა საკომლო ვისაც ერგოსო, კაციც იმას უნდა მიუვიდესო. იქნება ასეც გარიგდენო, ვინც მიიქყვანოს, იმისი იყოსო. რადგან ეს ზემოხსენებული ზვიადური ბერო დიდიხნის წასული ყოფილა თავის [ს]ამკვიდროდამ, ამისი მამულიც თუშთ მოურავსა რგებია და ამ კაცის მოყვანაზედ ესევე გარჯილა, მოუყვანია. ნეტარხსენებულის მეფის ვახტანგის სამართლით ეს ზვიადური ბერო დარჩა თუშთ მოურავს ღურმიშხანსა.

სასანიაშვილი ჯარდანის წილი ყმა ასე მოწმობს წერილითა: თუშთ მოურავს ღურმიშხანს ერგოო ჯანდარაშვილის მამულიო, ამის ფარდათ ჯარდანს ერგოო არუთინას მამულიო, ამას სართად ედოო მკედლისეული ბოსტანიო; ეს მკედლისეული ბოსტანი თუშთ მოურავმან არ და[ა]ნებაო და ამისთვის აღარ ინდომა ჯარდანმაო. ახლა რომ ჯარდან ამბობს არუთინას მამული ყვავიანის ვენახი არისო, მე კი არ ვიცო და არც გამიგონიაო.

ამისი ასე დაგვიწერია: ზემოთ ჯარდანის ყმა როგორც სწერს, თავ-თავისი წილი უნდა დაიჭირონ — თუშთ მოურავმან ჯანდარაშვილის მამული და ჯარდანმან არუთინასეული მამული. და ამას აძეს მკედლისეული ბოსტანი; ეს ჯარდანმან უნდა დაიჭიროს და მიეცეს თავისის შესავლის გზითა, რომ საბარო ურმის გზა უნდა მისცეს ჯარდანს თუშთ მოურავმან.

კიდევ ესეც დაგვიწერია: თუ ჯარდანმან მოწამე წარმოაყენა, რომ ამის ნარგებს მამულზედ კიდევ არუთინას მამული სდებოდეს,

დღეს რომ ყვავიანს უქირავს, თუ ამისი სარწმუნო მოწამე წარმოაყენა, ესეც უნდა თუშ მოურავმან ჯარდანს მისცეს. და თუ მოწამე ვერ წარმოაყენა, ზემოთ როგორც სასანიაშვილი მოწმობს, თავთავისი წილი მამულები უნდა დაიჭირონ.

ხოდაბუნებისა ასე დაგვიწერია: რადგან ზურაბ თუშთ მოურავის დროსაც გაუყოფარი ქონიათ, უნდა ახლა საბლით გაეყოსთ და თავთავისი წილისყრით მიეცესთ. თუშთ მოურავი დურმიშხან რომ ამბობს: ხოდაბუნს მოსქრაო და თავის ყმას მისცაო, დღეს შენობა აქვსო, ის უნდა გაიჩხრიკოს და გაიზომოს, იმისი ფარდი მიწა კარგს ალაგს თუშთ მოურავს მიეცეს შეფარდებით. თუ ხოდაბუნისა მოჭრით დურმიშხანსაც გაეცეს, ამასაც ამრიგად მიეცეს მიწა ზომით კარგს ალაგს.

გალავანს გარშემო მეფურის შვილის მამულობით რომ ამბობს ჯარდან, ეს უწინვე გაზომილა და მიჯნები ყრიაო, ახლაც მეორეთ გაიზომოს საბლითა და მეტ-ნაკლები გასწორდეს. პირველ ზომაში ერთი თუშთ მოურავის კაცი ყოფილა და მეორე ჯარდანის კაცი ყოფილა. ახლაც აგრევე ორისაც კაცმან გაზომოს და მეტ-ნაკლები გასწორდეს. რადგან ამ ზომაში უწინვე თუშთ მოურავისა ტეტო ყოფილა და ჯარდანისა ბარნაბე შვილი. და სვიმონ მაყაშვილი თავსა სდგომია ზომაშია და მიჯნების ჩაყრაშია, ახლაც ამათ გარიგებას დასჯერდენ.

მეფურიშვილის მამულზედ რომ ჩივის ჯარდან ეშკალაღბაში, ამისის მამულიდამ ნათუძარი მიწა გამოართოო დურმიშხანმაო და თავის კაცებს მისცაო, ამისი ასე დაგვიწერია: თუ ეს მიწა თუშთ მოურავის ზურაბისა და ჯარდანის გაყრის უკან გამორთმევეია, და ამაზედ ჯარდან ორს კაცს წარმოაყენებს სამართალში, რომ გაყრის უკან წაერთმევინოს, დარჩეს ჯარდანსა. და თუ ვერ წარმოაყენებს, დარჩეს თუშთ მოურავსა.

ფარემუზას გატეხილი სამის დღის მიწა დარჩა სამართლით დურმიშხანსა.

ნეკაშვილის ტეტოსა და ბასილას მიწის სადაოზედ რომ ეს მოსამართლენი ყოფილან კაკარმაზაშვილი რაიბულ, გიორგი, ბარნაბე შვილი მგელა, ზათიაშვილი ბერო, ამათ როგორც გაუსამართლებიათ, ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია.

ტოზაშვილისათვის რომ მამული გამოურთმევეია დურმიშხან[ს], ამაზედ თითონ ტოზაშვილმან სამართალში ილაპარაკოს, სამართალი მიეცემა.

ბახჩის მიჯნის ამოყრას რომ ჩივის ჯარდან, რომ მიჯნები ამოყარესო, ჩვენ ამაზედ კარიდამ სარწმუნო კაცი გავგზავნეთ და მიჯნები ვანახვინეთ, ამოყრილი არ იყო, როგორც მოსამართლეთ გაუყვით და მიჯნები ჩაუსხამთ, იმას უნდა დასჯერდენ, თავ-თავისი წილი დაიჭირა.

წისკვილის გარეშემოს რომ ჩივის ჯარდან, თუშთ მოურავი ამას ეპასუხებოდა: «წყალმა მოგლიჯა და წაილოო». ამისი ასე დაგვიწერია: რაც წყალს გარდაჩომოდეს იმ წისკვილის გარეშემო, ეშვიკალაბაშს ჯარდანს უნდა მიეცეს.

სენხიასა და ფარსადანის მიწაზედ რომ დაობენ, ღამე ედიშერმან და[ა]ფარცხვინაო, ამისი ასე დაგვიწერია: ეს ორნივ გლეხი კაცი სამართალში მოვიდნენ და სამართლით გაშველდენ.

ქათალიკოზის ყმას რომ მიწა გაუტეხია ერთობაში, ნახევარი ამისი თუშთ მოურავს გამოურთმევია, ამისი გატეხილი მიწა ისევ უნდა მოსცეს თუშთ მოურავმან ჯარდანს.

წერილით ეკითხა თუშთ მოურავის ყმას ტოზაშვილს, რომ პაპაშვილისათვის მიწა გაეცვალა. ამისი ასე წერილით დაეწერა თუშთ მოურავის ყმას — პაპაშვილს ივანეს: ღმერთს ვფიცაო და ჩემ სარწმუნოებასაო, მე და ტოზაშვილმან მიწა გავცვალეთო, ორჯელ მოხნაო; მასუკან ბატონმა ჩემ[მ] თუშთ მოურავმან ღურმიშხანმან მითხრაო — ბუწ[ანკა]რატულის ბეითალმანი არისო, მე მერგოო, გამოართვი ი[სე]ვკაო, თორემ შენ წამართმეო, მიველ და ისევ გამოვართვიო. ამისი ასე დაგვიწერია: რადგან უსამართლოდ ეს მიწა ისევ გამოურთმევია, ისევ ის მიწა უნდა გამოერთოს და ჯარდანს მიეცეს.

თუშთ მოურავი რომ ამბობს — გაყრაში ის მიწა მე მერგოო, ისევ ჩემი ნარგები მიწა მიუცია ჩემის კაცისათვისაო, ამისიც ასე დაგვიწერია: ის ორნივ მიწის გამცვლელნი გლეხი კაცი სამართალში მოვიდნენ და ილაპარაკონ. სამართლით ვისაც დარჩება, იმას მიეცემა. მადამდის ამ მიწაზედ სამართალი გარდასწყდებოდეს, მიწა ჯარდანს უნდა ეჭიროს; ამისთვის, რომ ძალათ წაურთმევიათ.

თათრების გატეხილი მიწა სადაც იპოვნონ, იქიდან ნახევარი თუშთ მოურავისა იქნება და ნახევარი [ჯარდანისა].

ღურნუკელის კაცის გატეხილს მიწაზედ რომ დაობენ, რევაზიშვილმან ეს მიწა ფიცით გაიტანოს.

საქონლის სიკვდილს რასაც დაობენ, რომლისაც გლეხის კაცი-საგან ერთმანეთში საქონელი მოუკლავთ, ის ერთმანეთის მოდავე-

ნი გლეხი კაცნი სამართალში მოვიდნენ, ილაპარაკონ და მოსამართლეთაგან გაესამართლოთ.

ხოდაბუნები რაც აქვთ, საბლით გაზომონ და შუა გაიყონ და წილის ყრით თავ-თავისი დაინებონ.

რომელიც რომ საერთო მინდვრის მიწები აქვთ, ესეც აგრევე წილის ყრით გაიყონ.

ჩვენ სამართლის ძალით ეს [ს]ამართალი მიგვიცია და ნება მისი სიმალლისა [ა]რის. მარტის... [ქორონიკონს] უოე.

ერთი ამისი პირი ჯარდანს უნდა მიეცე[ს. ეს] თუშთ მოუტრავს

ქონდეს.

დედოფალი  
დარუჯან

ხუთი ბეჭედი:

1. სალთხუცესი კახეთისა ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განავო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბ ე ყ ა ნ
3. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა
4. მიწა ვარ დავითრგუნები დ ა ვ ი თ
5. მონა ღთისა მდივანი ს ვ ი მ ო ნ .

220

განჩინება ამილგარ მაღალაშვილის ხმის შარმაზან

ოპროპირიძის საქმეზე

1787 წ. 22 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1724. დედანი. ქალაღი. 39X22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი.

ქ. მისის უმაღლესობისათვის ამის უწინარეს არზი მიერთმია ოქროპირიძე შე რ მ ა ზ ა ნ ს: მ ა ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ი სალთხუცესი ყმობით მედავება, სამართალი მაღირსეთო.

მის უმაღლესობას მათის ძმის პატრიარქისათვის წერილით ებრძანებინა: ეს კაცი თქვენს სალთხუცეს[ს] ასე უჩივის, სამართალი უბოძეთო.

მათს უწმინდესობას ი ო ა ნ ე თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს თ ვ ი ს წერილით ებრძანებინა: მანდაური სამლუდელონი და საერონი ერთათ შეპყარე, ამათის საჩივრის ვითარება დიდის ფიცით კითხე. თარხნისშვილს იოანეს სამლუდელონი და საერონი ერთათ შეეყარა და ფიცით ასე მოეწერათ, რომელიც ამას ქვეით მოწამეთაგან თქმული თვითეულად მოიხსენება.

ბიძინაშვილს შიოს მოეწერა: ოთხმოცი წლის კაცი ვარო წინარეხელი, იმის მეზობლად ვიყავო, ტუ რ ი კ ა ნ თ შ ი იღვა ოქროპირი ბასილა, ახლა რომ ბიჭები არიან, იმათი მამა იყო, ბიძას სუხიტა ერქვა და ბერუა, ამ ნიშნით რომ ბასილა არაყმა გახეთქაო, ესენი საამ მაღალაშვილის ყმანი იყვნენო.

მე, მკედელი აღათანგი, წინარეხელი ვარ და სამოცდაათის წლის კაცი ვარ; რა ოქროპირიძეები მინახვან, საამ მაღალაშვილის ყმათ მინახვანან, მკვიდრი აქაურნი არიან, სახლიც აქა აქვს და კარიცა.

მე, შარმანასშვილი წინარეხელი, ფიცით მოგახსენებ: ის ოქროპირიძეები საამ მაღალაშვილის ყმანი იყვნენ; თითონ მე გაუცვალე კანბეჩი, მემკვიდრე აქაურია და საამის ყმა არის.

მე, ქეშელაშვილი იესე, სამოცდაათის წლის კაცი ვარ, იქილამ აქამომდენ ეგ ოქროპირიძე მკვიდრი აქაური არის და საამის ყმა არის, სახლიც აქა აქვს და კარიცა; თუნდა ვაჩვენებ თავის მამულსაო.

მე, პეტრე შეშაბერიძე, სამოცდაათის წლის კაცი ვარ, ამ ნიშნით საამ მაღალაშვილი მოვიდა ჩემთან, პური წაიღო, ოქროპირიძე მსახურათ ახლდა, თავდებათ ის ოქროპირიძე მომცა, ამისი მნახველი და მოწამე ვარო.

მე, მღუდელმა იოანემ, ამათის სიტყვით დავსწერე ასეო. ამავე არშიაზე ეწერა იოანე თარხნის შვილისაგან: როგორც ამათ იმოწმეს, ისე დავაწერინეო და მეც ასე მოწამე ვარო.

მათს უწმინდესობას ეს მოწმობის წერილი, მოჩივარი და მოდავე მათის უმაღლესობის წინაშე წარევლინა, ესენი ასე მოწმობენო. და რომელიც თქვენის უმაღლესობის ნება იყოს, ისე აღსრულდესო.

მათს უმაღლესობას ჩუენ, საქართუელოს მსაჯულთშეკრებილების, სამართალში ებოძებინა. ჩუენ მათის ბძანებისაებრ სალთხუცესი ამილბარ ვალაპარაკეთ.

სალთხუცესი ასე ჩიოდა: ეს ოქროპირიძეები საამ მაღალაშვილის ყმანი იყვნენ, რომ საამის შვილის შვილი ზაზა არის, ზაზამ ამ სიგლით ჩუენ მოგვყიდაო<sup>1</sup>, რომ იმ სიგელში ასე ეწერა: მე, მაღალაშვილმა ზაზამ მოგყიდე ჩემი სასახლის ყმა ოქროპირიძე შერმაზან თავისის შვილებითა და მამულითა, ამისვე სახლისკაცი ოქროპირიძე ოქროპირი-შენ;

<sup>1</sup> მოგყიდაო.

სალთხუცეს[ს] ამილბარს, შენს ძმას დათუას, შენს სახლის  
კაცს დავითს, სვიმონს, იაკობს და იოსებს ქკს  
უფ, ამ რიცხვში იყო დაწერილი. ეს სიგელი მისის უწმინდესობისა-  
გან იყო დამტკიცებული. ერთი დავთარი მოიტანა მეფის ვახ-  
ტანგისა, რომელშიაც ეს ოქროპირიძეები მაღალაშვილის ყმად  
ეწერნენ.

ეს რომ განვიხილეთ, ჩუენ, მოსამართლეთ, სამართლიდამ უთხა-  
რით ოქროპირიძის შერმაზანის შვილს: ამ სიგლისა, დავთრისა და  
ამ მოწმების გასამტყუნებელი<sup>1</sup> რაც საბუთები გქონდეს, სამარ-  
თალში თქვი.

ოქროპირიძის შერმაზანის შვილმა თქვა: პირველად  
იმერეთიდან გადმოვსულვართო, დისევეს ვყოფილვართ კათალი-  
კოზის ყმათ; დისევიდამ წინარეხს გადავსულვართო, წინარე-  
ხილამ კახეთს გადავსულვართო. ჩვენ სულ კათალიკოზის ყმათ ვყო-  
ფილვართო.

სალთხუცესი მიუგებდა: ეს მეფის ვახტანგის დავთა-  
რი, რომ წინარეხელი ყოფილხარო; და მეორე ეს, რომ შენი პირვე-  
ლი ბატონი ზაზა რომ ობოლი იყო და ზაზას ყმა და მამული და-  
ვითს ებარა, დავითმა ზაზას კაცს გროვება რომ დაუწყო, შენც მა-  
შინ ავყარა და წინარეხს დავასახლა, წინარეხილამ ჩუენ რომ ავი-  
ყარნით, შენც მაშინ აიყარე და წახველო; მესამე ეს, შენი სახლის-  
კაცი აქამომდენ მე მსახურათ მახლდაო.

ჩუენ ამათი საჩივარი რომ მოვისმინეთ, ეს სამართალი მივე-  
ციტ: რადგან მეფის ვახტანგის დავთარში ოქროპირიძეები წინარე-  
ხელად ეწერნენ; და ამდენი პირი მოწმობს, წინარეხს რომ იყვნენ,  
ეგ ოქროპირიძეები არიანო და მაღალანთ ყმანიო; მესამე ეს, რომ  
ამ ნასყიდობის სიგელს მათი უწმინდესობა ამტკიცებს, თუ ეკლესი-  
[ი]სა ყოფილიყო, ნასყიდობით როდის დაუმტკიცებდა; მეოთხე ეს,  
რომ იმავე ეკლესი[ი]ს სალთხუცესი თავის ეკლესი[ი] ყმას თეთრით  
რათ იყიდდა და თავის გაყრილს განაყოფს თეთრს რათ მისცემდა;  
მეხუთე ეს, ზაზას ყმანი თუკი არ იყვნენ, როცა ზაზას კაცებს აგ-  
როვებდნენ, მაშინ ეს ოქროპირიძეები რათ მოუვიდნენ<sup>2</sup>; მე[ე]ქვესე,  
მსახურათ რათ იახლნენ. ამ ძლიერის საბუთებით დარჩნენ სალთ-  
ხუცეს[ს] ამირბარს ოქროპირიძეები იმ ნასყიდობის სიგლის ძალით.

<sup>1</sup> გასამტყუნებელი. <sup>2</sup>+ ვიდნენ.

გარაყანიძე ბოქაულთხუცესო ლუარსაბ! ეს ასე აღ-  
სრულე. აპრილის კბ, ქორონიკონს უოე.

სამი ბეკელი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარ-  
ჯულად ქაიხოსრო
2. დივანბეგი
3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველომსა და სხვათა მეფე მეორე  
ირაკლი, ამ მსაჯულთ მიერ განჩინებას ვამტკიცებთ.

გარაყანიძე ბოქაულთხუცესო ლუარსაბ! როგორათაც ეს გან-  
ჩინება აცხადებდეს, ისე აღასრულე. აღიწერა აპრილის კთ, ქორო-  
ნიკონს უოე.

ბეკელი: მე ფებთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

221

განჩინება იოანე არქიმანდრიტისა და კოხიაშვილავის  
მამულის საქმეზე

1787 წ. 3 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. X 2611. პირი. ქალღი. მხედრული.

ქ. მათს უმადლესობას ჩვენს კელმწიფეს დედოფალთან არზით  
მოესხენებინა: არქიმანდრიტს იოანეს წმინდა გიორგის გუჯა-  
რი აქვსო, უტოს ბუღალაურის მამული შეუწირავს მა-  
რიამ ბატონიშვილსაო, ის მამული კობიასშვილს  
უქირავსო, წყალობას ვთხოვთო, ის მამული ეკლესიას არ დაეკარ-  
გოსო.

ამისი გამოძიება ოქმით ებძანა ჩვენ — მათის მონის მდივან-  
ბეგის ბეჟანისათვის: ეს ბუღალასშვილის მამული გა-  
მოიკითხეთო, რომ წმინდანს გიორგის არ დაეკარგოსო; უტოს ორი სა-  
კომლო მამული ყოფილა, ორი ვენაკი თავისის სამართლიანის სამ-  
ზღვრით, ახმეტას მყოფთაგან მოიკითხეთო<sup>1</sup> და მახოსვართაგან  
ქეშმარიტებით შეიტყვევითო და წერილით მოგვანსენეთო.

ამ ბრძანების გამო გაიხელი ახმეტას და უფროს მახოსვარ კაც-  
თაგან გამოვიკითხეთ და მოვაყვანიეთ ურგებისშვილი გი-  
ორგი და მალალასშვილი დათუნა, რომ ესენი ოთხ-  
მოცს წელს მიწვენილი არიან, და სხვანი კიდევ მრავალნი, რომელ-

<sup>1</sup> მოვიკითხეთო.

ნიც უტოსა და ახმეტის კაცნი იყვნენ, მოვაყვანინეთ ეკლესიის კარ-ზედ და ფიცით ვკითხეთ და ასე თქვეს: ჩვენს მამა-პაპათაგან არც გაგვიგონიაო და არც ვიცითო, რომ ზემოთ უტოს სახასოთ მდგომი ბულალაური ყოფილიყოს და ან სახლებულიყოს.

ბატონისშვილს მარიამს რომ უბრძანებია გუჯარში უტოს ბულალასშვილის მამული ძველათგან გილდასშვილს მიემძღავერებინაო და ბატონმა ჩვენმა ძმამ გამოართო და ჩვენ გვიბოძაო, ამ ბძანების გამო ჩვენ ამ ძამულს ვეძებდით ზევით უტოს; და მოვაყვანინეთ გილ[დ]ასშვილი გოდერძი და უთხარით: ეს ბულალასშვილის მამული უტოს შენ უნდა გვიბოვნო ამ მიზეზით, რადღან უტოს მდგომი და მამულის პატრონი შენ ყოფილხარ და უწინაც შენს მამა-პაპათ ჰქონიათ ის მამული მიღებული, ღღეს შენ უნდა გვიბოვნო.

ამ გილდასშვილმა ფიცით თქვა: ზევით უტოს მდგომი ბულალასშვილის მამული არც ვიცი და არც არისო.

ამ სიტყვას არ დავერწმუნენით და კიდევ უტოელნი და ახმეტელნი უფროსნი კაცნი შეეყარეთ და კიდევ ფიცით ვკითხეთ; და ეს კი თქვეს: ბულალასი ერთი ნავენაკობი და ნასაყდრალი კი გაგვიგონიაო და ვინ ყოფილაო, ეს კი არ ვიცითო.

ჩვენ ამის გამძძიებაში და გამოკითხვაში შევედით და მოვაყვანინეთ მეორედ გილდაშვილი და ვკითხეთ: ეს ბულალას ნავენაკობი და ნასაყდრალი ვისია და ვინ მოგცა.

ამან ერთი წიგნი წარმოაყენა თავისის ყმისა და მამულისა, მთისა და ბარისა და საკომლოებისა, რომ თვითოეულად ამ წიგნში უწერია. ამ გილდასშვილის პაპის ძმებს გამოუფიცავს, რომ ამ გილდასშვილის წიგნს თარიღი უზის ქორონიკონს ტპი, ამ თარიღში არის დაწერილი; ამ წერილით გამოუფიცნია უტოს თავისი ყმა და მამული, ეს ფიცი და ბძანება ყოფილა; იასაული ჯანდიერისშვილი ზაალ გარსევანი[ს] შვილი ყოფილა და ქურხაული ჭილავის მეთოფე ამ ფიცის გარდაწყვეტაში; ჩოლოყასშვილი ოთარი, ჩოლოყასშვილი ქაიხოსრო და ჩოლოყაშვილი გიორგი მოწმე[ე]ბი ყოფილან.

ფიცის წიგნში უწერია: რომელიც ბულალასშვილი მამული წმიდის გიორგის გუჯარში უწერია, ამ ზევით უტოს არ აცხადებს და არც ზევით უტოს სახასო ყოფილა, ბულალაური სახლებულია; და არც წერილი და დავთარი აცხადებს ზევით უტოს ბულალასშვილის ვენაქებსა.



ჩვენ მრავლის გზით მოწამეთაგან მეახლოვეთ, მომიჯნავეთა და მახსოვართაგან გამოვწვლილეთ და გამოვიკითხეთ, ზევით უტოს სახასო ბულალაურის მამული ან სახასო ყოფილიყოსო და ან წმინდის გიორგის შეწირული გაგვეგონოსო.

დღეს რომელიც გუჯარში აღმოაჩინა და სახელდობრ ბძანებს ბატონისშვილი მარიამ, ამ ბულალაურის მამული ძველათგანვე სახასო ყოფილიყო და ჩვენმა ძმამ ჩვენ მოგვცაო ბულალაურის მამული ორი ვენაჯი ორად გაყოფილი თავისის სახნავით, მთით და ბართა და სამზღვრითა.

როდესაც ეს ბულალაურის მამული უბოძებია ბატონს თავისის დისათვის, მაშინვე გაუგზავნია ამ მამულების გამრიგებლად და გასარჩევლათ ყოვლად სამღვდელო სამებელი ეპისკოპოზი ნიკოლაოზ და ჯანდიერი სვილი ეშკალადბაში გარსევან; ამათ მოუკითხავთ ეს მამული, რომ თვითთეულად ამ ბატონის შვილისაგან მირთმეულს გუჯარში აცხადებს. რომელიც ამ გუჯარს განიხილავს, თვითთეულად სცნობს ამ მამულის ვითარებას.

ეს ბულალაურის სახასო ყოფილა თიანეთს არხალს ნასახლები, რომ თიანელთ ვენაჯები აქ ახმეტასა აქვსთ — ზოგს ნასყიდი და ზოგს ბატონების წყალობა; უტობით რომ აცხადებს ბულალაურის მამული ორი საკომლო ვენაჯი ორათ გაყოფილი შემოგვიწირავსო, ალაზნის პირზედ რომ გაწყვეტილის გზა გავა, იქამდინ უტოსი არისო, მრავალნი ემოწმებიან.

დღეს გილდას სვილი გოდერძი ბეგის ძირზედ რომა დგას, უტობის მამულობითა დვას და გუჯარიც აცხადებს მთავარ ეპისკოპოზისა ამ სახედ, რომ უტოს ბოლო ბითაანი რომ უწერია, ახმეტის ვენაჯების ბოლოს არის, რომ დღეს სათიანოს სახასოს კაცთ ვენაჯები უჭირავსთ, ესეც სრულ უტო ყოფილა. ბულალაურის მამული, რომელიც დღეს გუჯარში აცხადებს უტოს, ეს მამული დანიშნა უტობითაც და სახასობითაც, რომელიც დღეს კობიას სვილებს უჭირავსთ.

და ახლანება ჩვენის კელმწიფის დედოფლისა აღსრულდეს. მაისის გ, ქორონიკონს უოე. 

|                 |
|-----------------|
| სპარს.<br>ბეჟან |
|-----------------|

თავში:

ქ. ჩვენ, ღმრთით როდესაც კახეთს გამოვალთ, ამ საქმეს მოვიკითხავთ და სარწმუნოს მოწამეთაგანაც გამოძიებით შევიტყოფთ და ამის [ს]ამართალს ჩვენ განვსჯით, რომ ეკლესიას მამული არ დაე-

კარგოს.

|                           |
|---------------------------|
| ქნარს მიეგმს...<br>ერეკლე |
|---------------------------|

1787 წ. 13 მაისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 28. საბ. № 143. ქალაღი. მხედრული.

[87] მის უმაღლესობას კელმწიფეს მამაჩვენს მათის შვილის გიორგისათვის ებძანებინა: რატიშვილს და თავის სახლისკაცს შალვას სამართალი უსაჯეთო.

ჩვენთან დავისწართ საქართველოს მსაჯულთშეკრებლებს და ვალაპარაკეთ.

ბეჟან ასე ჩიოდა: წირს ჩემი ნასყიდი ქიმნაძე აბრამა და იმისი განაყოფები წართმეული მყავსო და ამ შალვას უჭირავსო.

შალვას ვკითხეთ ამისი პასუხი. შალვამ ამისი პასუხი ამის პეტი [v] ვერა თქვა რა: სხვანი კი ამოწყდნენო, ერთი აბრამა არისო მაგისი ნასყიდი, საქმე არა მაქვს რაო.

ეს უსამართლობით სპერია შალვას. ბეჟანმა ნასყიდობის წიგნიც გვაჩვენა და ანდერძის წიგნშიაც უწერია. დარჩა ბეჟანს სამართლით ეს ქიმნაძე აბრამა და მისის განაყოფის მამულებით.

მეორეს ამას ჩიოდა ბეჟან: ყანჩაეთს სარუჟაანთ კარს ნავენახობი წართმეული მაქვსო.

ამისი შალვამ თავისი კაცისაგან ნასყიდობა თქვა. ვისაც ის ნავენახობი უჭირავს, თუ ნასყიდობის სიგელს წარმოაყენებს, ბეჟანს საქმე არა ექნების რა იმ ნავენახობთან და იმ კაცისა იქნება.

და თუ მოჰტაბარს სიგელს ვერ წარმოაყენებს, ბეჟანს დარჩება, რომ არც შალვას ექნება კელი და არც შალვას კაცს.

ეწიკალაბაშო ხერხეულიძე გოგიავე! ეს ასე გაარიგე. მაისის იგ, ქორონიკონს უოე. 

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
|  |  |  |  |
|--|--|--|--|

1787 წ. 14 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2444. დედანი. ქალაღი. 46x31 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მის უმაღლესობას კელმწიფეს ბატონს მამა ჩვენს მათის შვილის გიორგისათვის ებძანებინა: რატიშვილი ბეჟან თავის სახლისკაცს ყმასა და მამულზედ უჩივის, სამართალი მიეციო.

ჩუენ, საქართველოს უფლისწულმა ბატონის შვილმა გიორგიმ, ჩუენთან დავისწარით საქართუ[ე]ლოს მსაჯულთშეკრებილება. ბეჟან და შალვა ვალაპარაკეთ.

ბეჟან ასე ჩიოდა, რომ: ხადას ჩემს წილს მამულს გარდა ერთი წილი ნასყიდი მაქვსო ნაბერლისაგანაო და შალვამ წამართოო. ბეჟანმა ნასყიდობის წიგნი მოგვიტანა, ვნახეთ. ნასყიდობის წიგნს გარდა ეს საბუთიც მოიტანა, რომ რუსეთს ამის ბიძას ანდერძში დაუწერია დიდის ფიცით და იმაში ასე სწერია: ხადას ნაბერლის შვილის მამული ნასყიდი, მაქვსო. და ეს ანდერძის წიგნი მეფის ვახტანგისაგან, მეფის ბაქარისაგან, ბატონის შვილის სვიმონისაგან და ბატონის შვილის ვახუშტისაგან დამტკიცებული არისო და ეს ნაბერალი როგორც შალვას ეყვის. ისე ბეჟანას.

შალვას ვკითხეთ, ეს რატომ გიჭირავს? შალვამ მოგვიგო: მაგისი არისო, მაგრამ ხარჯს მე ვაძლეეო, ეს ამიტომ მიჭირავსო. ეს, დიად, სუსტი საბუთი არის. დარჩა სამართლით ბეჟანს.

მეორეს ამას ჩიოდა ბეჟან: ზებეყურს ჩემს წილს გარდა, ერთი წილი რაც ნაბერლის შვილს რგებია, ისიც მე მიყიდიო და საჯოგეცაო. ამისი ნასყიდობის წიგნი მოიტანა ბეჟანმა, ვნახეთ.

და ანდერძის წიგნი, რომელიც რომ მეფე[ე]ბისაგან დამტკიცებული არის, ამის ვკითხეთ შალვას, ეს რაღათ გიჭირავს? შალვამ თქვა, ბეჟანისა არისო. დარჩა ბეჟანს სამართლით.

მესამეს ამას ჩიოდა ბეჟან: ყანჩეთს წართმეული მყავს შალვასაგან ჩხიკვის შვილი გაგაძე ბერიო.

შალვამ უპასუხა: ბერი შენ მამეცი გაუყრელი, მე კი მიჭირავსო.

რადგან ბეჟან ეწამება შალვას, როცა ხოსრო მოგეცი, მაშინვე ბერი ხოსროვის გაყრელი იყო; და შალვა! მიუგებს — გაუყრელნი იყენენო, ორნივე შალვას დარჩებიან. და თუ ასე საბუთი ვერ უყო, ბერი ბეჟანს დარჩება და ხოსრო შალვას.

მეოთხეს ამას ჩიოდა ბეჟან: ყანჩეთს ჩემი ნასყიდი ნაბერლის შვილის იოსებისაგან მოსყიდული ზოსია-შვილის მამული და პაატა დურგლის მამული შალვასაგან წართმეული მაქვსო და სიგელი კელთ მიჭირავსო.

ჩუენ ამისი სიგელი მოვითხოვეთ, მოგვიტანა, ვნახეთ; შიგ ეწერა ეს მამული და ანდერძის წიგნშიაც. შალვას ამისი პასუხი მოვ-

1 შალვამ.

თხოვეთ. ასე თქო: რასაც ამის მამულს იპოვის, მე საქმე არა მაქვსო. სოფლის მახსოვართ კაცთ უპოვნონ და დარჩება ბეჟანს.

ეშოკალასბაშო ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე გ ი ო რ გ ი! ეს ასე აღასრულე. მაისის იდ, ქორონიკონს უოე.

ოთხი ბეჟელი:

1. გ ი ო რ გ ი
2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო
3. დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი
4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა, ს ო ლ ო მ ო ნ.

## 224. განჩინება ნიკოლოზ აფხაზისა და მირზაშვილების

ზმის საქმეზე

1787 წ. 81 მაისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 12. საბ. № 35. პირი. ქალაღი. მხედრული.

[41] ჩვენ, სრულიად საქართველოჲსა მეფის ირაკლის მეორისა ძემან, მპყრობელმან საუფლისწულოდ სრულიად არაგვისამან, [V] უფალთ მსაჯულთ თანდასწრებით კნიაზი ნიკოლოზ აფხაზოვი და მირზაშვილები სამართალში ვაღაპარაკეთ.

ნიკოლოზ აფხაზოვი ამბობდა: გაგელიძე ბერი ჩემი ყმა არისო. მე კარგა ხანია რუსეთს ვიყავ. ავის დროს მიზეზით აქა-იქა დაფანტულიყვენ ჩემი ყმებიო; და ეს გაგელიძე შენს სამოურაოს სოფელში მოსულა; რადგან მე აქ არ ვიყავ, ვინ გედავებოდათო.

მირზაშვილები უპასუხებდენ: ერთი ეს, რომ: ეს გაგელიძე ჩვენი ნასყიდია და ოსმალობას აქეთ ჩვენ ყმად გვსახლობსო; და მეორე ესე, რომ: გაგელიძე გვარი იმერეთსაც არის და მარტო ამ სახელით ყმათ როგორ დაიჭერო; და მესამე ეს, რომ: უგანათლებულესის მეფის ძის ვახტანგის წიგნი მაქვს, როდესაც ამ გაგელიძეს ჩემთვის ბატონყმობაზე უჩივლია, ოქმით ჩემთვის ყმად უბოძებიაო.

ნასყიდობას რომ ამბობდენ მირზაშვილები, სამართალში ტყუილად აღმოჩნდა ამით, რომ გაგელიძემ მოიტანა წიგნი მირზაშვილ[42]ებისაგან მიცემული: როგორც ხიზანი ისე გიმსახუროო; და თუ ნასყიდი ყოფილიყო, ამ წიგნს არ მისცემდა.

და დიდის ხნის მისულობა ამით დაირღვა, რომ პირველად მირზაშვილების მამულზე არ ყოფილა დასახლებული; და მეორე ამით, რომ მისის სიმაღლის ოქმ[ი] იყო: ნიკოლოზ აფხაზის ყმა თუნდა დიდის ხნისა და თუნდა ცოტას ხნისა ვისაც ჰყვანდეს, და[ა]ქნებოსო. და ბატონისშვილის ოქმში ასე ეწერა: მირზაშვილო, შენ გყვანდეს გაგელიძეო.

და გაგელიძეობაზე რომ დაობდნენ, რადგან მახსოვარი არავინ იყო, ფიცი განუჩინეთ: თავის შვილებით გაგელიძე წადგეს და ასე იფიცოს, რომ: ნიკოლოზ აფხაზოვის ყმა იყო. თუ ასე დაიფიცა, ეს კაცი თავის შვილებით ამას დარჩება, მირზაშვილებს ამ კაცთან საბატონყმით საქმე აღარა ექნებათ რა. და თუ ასე ვერ იფიცა, როგორც ჩვენგან ბოძებული წიგნი აქვთ მირზაშვილებს, ისევე იმათვე დარჩებათ.

ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ო რ ა მ ა ზ , შენ ეს ასე უნდა აღასრულო.

მ[ა]ისის ლა, ქორონიკონს უოე. 

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
|  |  |  |  |
|--|--|--|--|

[v] ქ. ღმრთის წინაშე, მე, ბათ[ი]აშვილი რამაზ ამათი ისაუღლი ვიყავ; გაგელიძე ბერი თავისი სამის შვილით სანთლები ავაღებინე და მირზაშვილს ზახასთან მივიყვან[ე]. მეც უთხარ და ი[მ] გაგელიძე ბერმაცა: გაგვიძეხ და გვაფიცეო, და არ და[ა]ფიცა მირზაშვილმა. და როგორც განაჩენში აცხადებს, ეს გაგელიძე აფხაზ[ი]შვილს დარჩა. თიბათვის იბ, ქორონიკონს უოე.

ქ. სულხან მდივნის ძე ეს ავ ბ ე გ თ ა ბ ე გ ო ვ [ი] ამისი მნახველი ვარ, რომ გაგელიძე ბერისშვილს სანთლები კელთ ეპყრა საღამო ხანს და ფიცს აპირებდნენ. ასე შევიტყევე, რომ აღარა დაეფიცებინათ მირზაშვილებს. თიბათვის ვ, ქორონიკონს უოე.

## 225. განჩინება ელისაბარ ღვთისმშობლისა და ბაღათარ ტატიშვილის ქვრივის სასისხლო საქმეზე

1787 წ. 1 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1396. დედანი. ქალაღი. 42,4×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. მის უგანათლებულესობას ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს ჩუენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულთათვის, ებძანებინა ტ ა ტ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ა ღ ა თ ა რ ი ს ქ ვ რ ი ვ ი ს ა და დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი ს ე ლ ი ს ბ ა რ ი ს ს არ ჩ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი .

ბ ა ღ ა თ ა რ ი ს ქ ვ რ ი ვ ი ასე ჩ ი ო დ ა : მე ერთი შვილი

მყუანდაო, ორმოს ხდა დაუწყოო, გლებმან კაცმან არ დაანებაო, ამ ელისბართან საჩივ[ლ]ელად გადავიდაო და შესჩივლაო: ელისბარმა ჯობით მრავალი სცაო, ურემზე დაუსვეს, შინ ძლივ მოაწვეინეს, დაწვა და მეხუთეს დღეს მოკვდა; სამართალი მალირსეთო.

ე ლ ი ს ბ ა რ მ ი უ გ ე ბ დ ა : ის ორმო უჩემოდ არ უნდა მოეხადაო, მოხდა რომ შეუტყე, ორი წკებლა ტანზე გადავკპარ, რომ შენ — იმის ბიძაშვილი ი ო თ ა მ ა ც — იქ იყავ, მე რომ წკებლა გადავკპარ. შენ და ის ერთათ წახვედით, სოფლები მოიარეთ და შინ მერმე მიხვედით. თუკი ძალიან გავლაზე, იქავ ერთს კაცს რატომ არ შესჩივლა ან იმან და ან შენ, რომ ასე გალაზა. და თუ იქავ ვერა სთქვი რა, იმდენი სოფლები რომ გამოიარე, იმათ მაინც რატომ არ უთხარ და იმ სოფლელებსაც ვერ შესჩივლე; შინ რომ მიხვედით, ან საეროს ეტყოდით და ან სამღუდელს, ელისბარმა გალაზა და იმით წვესო.

და თუ თქვენ ვერა სთქვით რა, იმ მომაცვდავ[მა] რატომ ანდერძთ მღუდელს არ შესჩივლა ან საიდუმლოდ და ან ცხადად. მაგრამ ყოველსავე შურით და მტერობით მიგონებო, თორემ ჩემი აზნაურბიშვილი იყო, გამაჯავრა და ორიოდ წკებლა გადავკპარ, იმით როგორ მოკვდებოდა. სნეულება შეეყარა და იმან მოკლაო.

ჩუენ, საქართველოს მსაჯულთშეკარებილებამ, ამათი საჩივარი რომ მოვისმინეთ, მოწამეთგან მოწმობა წერილით მოვიკითხეთ. ასეთი მოწმობა არა მოვიდა რა, რომ იმ მოწმობით სამართალი გადაწყვეტილიყო.

ფიცი განვაჩინეთ. რადგან ეს იოთამ იმ ჟამად იქ ყოფილა, გალაზვა და გაულაზვაობა უნახავს, ორი ტატისშვილის ტოლი აზნაურბიშვილი შეუგდოს და ოთხი გლეხი. ორის აზნაურბიშვილიდამ ერთი იშო[ო]ს და ოთხის გლეხიდან ორი იშო[ო]ს. წადგეს ამ სამის მოწმით იოთამ და ასე ფუცოს: «ამისმა მადლმა, თქვას, ელისბარ, ჩემი ბიძაშვილი შენ რომ გალაზე, შინ მოვიდა, შენის გალაზვით დაწვა და შენის გალაზვით მოკვდა. სხვა სნეულობით არ მომკვდარა».

თუ ეს ასე ფუცა, უნდა მესამე აზნაურბიშვილის სისხლი მოსცეს ელისბარმა ტაჰისშვილის ბალათარის ქვრივს. და თუ ეს ასე ვერ ფუცა, ვერას შეუვა.

ა მ ი ლ ა ზ ვ ა რ ი ს შ ვ ი ლ ო გ ო გ ი ა ვ ! ეს ასე გჯ[ა]რიგეთობათვის ა, ქორონიკონს უოე.

ქ. ორმოც დღემდინ თუ შეიძლო, ფიცი ის არის. და თუ ორმოც დღემდინ ვერ შეიძლო ფიცი, ვერას შეუვა.

სამი ბეჭედი:

1. დივანბეგი
2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო.
3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.

**226. ზანჩინაზა ხარი ფალავანდიშვილის შვის ზოგია ვაჟრიძის  
საქმეზე**

1787 წ. 8 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10654. ღედანი. ქალაღი. 48,5X 26,5 სმ.  
მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ვ ა კ რ ი ძ ე გ ო გ ი ა ჩ ი ო დ ა: ჩვენ თაქთაქის შვილის ყმანი ვიყავითო, თაქთაქიშვილმან დახსნილობის წერილი მოგვცა და ფეშანგის ყმა სიქტურას შვილი მამის ჩემის მამისნაცვალი იყო და მამაჩემი თავის მამისნაცვალთან იყო. ფეშანგმან იესე მახაბელს რომ თავისი ყმა სიქტურაშვილი მიჰყიდა, მამაჩემიც იესე მახაბელმან ძალით დაიჭირა და იყმო. ახლა რომ იესე მახაბლისაგან სიქტურასშვილი გამოიხსნეს, მე იმათ ყმად აღარ გავჰყევბიო. ამისთვის, რომ არც უწინ ვყოფილვარ ამათი ყმაო და არც ახლა უსამართლოთ ვეყმობიო, სამართალი მადირსეთო.

ჩუენ, სრულიად საქართველოს მეფის ძემან ვახტანგმან, ჩუენთან დავისწარით საქართველოს მსაჯულთშეკრებილებანი, ფალავანდის შვილი ბერი და იაკობ მოვავყვანიეთ და ვალაპარაკეთ.

ბერი და იაკობ ასე მიუგებდენ: მამაშენი ჩვენს ყმას გერთ მოჰყვა, ძმურად შეეყარა, მამული გაიერთა, რამდენიმე ხანი ჩვენს ყმად იდგა და გემსახურებდა; და როდესაც იესე მახაბელმან ძალით სიქტურაშვილი დაიჭირა, ასე შეყრილიყო, რომ თან გაჰყვა გასასყიდლად. და თუ ან მამაშენს და ან შენ ერთი ჰქმმარითი სიტყვა გქონდათ, მართლმადიდებელთ მეფეთ-მეფობა იყო, რატომ არ იჩივლე და სამართალი ისე არ მიიღვეით? მაგრამ ყოველსავე მტერობით და შურით გათქმევინებ[ს] სხვანიო. და ან როცა მახაბლის შვილებისაგან სამართლით შენი თავი გამოვიხსენ, რათ გამოჰყევ და ყმურად რად მსახურე? შენი შეყრილი ძმა გაჰყვიდე, თან გაჰყევ; და სამართალით დავიხსენ მძლავრობით დაჰყერილი

ჩემი ყმა, თან გამოჰყევ და ეს მერვე წელიწადია ყმურად მსახურებ-  
დო, ეს სამართალმან გაშინჯოსო.

ჩვენ ეს სამართალი ვსაჯეთ: ბერმან და იაკობმან ორი თავისი  
გლეხი კაცი შეაფიცოს: «ამისმა მადლმან, თქვეან ვაჭრიძევ გოგია  
და ლთისიავ, მამაშენი სიქტურასშვილს პირველად ძმურად შეეყა-  
რა, მამულს ერთად ხმარობდნენ და როცა იესე მაჩაბელმან ძალით  
სიქტურასშვილი დაიჭირა, შენცა და მამაშენიცა თქუენის ნებით  
ვაჰყევით და როცა მაჩაბლიანთავან სიქტურასშვილი სამართლით  
გამოიხსნა, შენც მამინვე შენის ნებით გამოჰყევ და ეყმე, რომ უარი  
ამის მეტად შენ არ გითქომსო». თუ ეს კაცი ბერმა და იაკობმან  
ასე შეაფიცეს, ეს ვაჭრიძე გოგია და ლთისია ბერსა და იაკობს ყმად  
დარჩებიან თავეთის მამულით. და თუ ეს კაცი ასე ვერ შეაფიცა,  
გოგია და ლთისია განთავისუფლდებიან.

ეშვიკალასბაშო ა ღ ა თ ო რ ნ ი კ ე! ეს ასე აღასრულე. თიბა-  
თვის შ, ქორონიკონს უოე.

ქ. დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ო ა ს ლ ა მ ა ზ! რადგან მისის უმაღ-  
ლესობის ბრძანებით ამაზე მოასილი შენ ყოფილხარ, შენ აღასრუ-  
ლე ეს ასე ეშვიკალასბაშის აღათორნიკის დაკითხვით.

ოთხი ბეჰელი:

1. რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამ-  
ტიცებ მეფის ძეობით.
2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარ-  
ჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო.
3. დივანბეგი.
4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.

ქ. ფალავანდიშვილები ბერი და იაკობ საფიცრათ მოვიდნენ და  
ორი მსახური თან ახლდათ, ვაჭრიძის ჭოგეასათვის უნდა შეეფიც-  
ნათ. ვაჭრიძემ აღარ დაიფიცა. ამ ვაჭრიძეს თავისი მოყურები თანა  
ყვანდ[ა] — თ ა თ რ ი ს შ ვ ი ლ ი ი ვ ა ნ ე და ყ უ ყ უ ნ ი ა შ ვ ი-  
ლ ი ქ ი ტ ე ს ა, ვერც დავაფიცეფო და კიდევ მაგისი ყმა ვარო.  
თავისი ნებითა და ყაბულ[ი]თა ამათ ასე თქვეს.

მე, არბოს დ ე კ ა ნ ო ზ ი გ ი ო რ გ ი, ამისი დამსწრე და მო-  
წამე ვარ + ეს ჩემი ხელია.

მე, ზ ა ზ ა ყ უ რ უ ლ ი, ლთის წინაშე ამ წერილის დ[ამსწრედ  
მოწმე ვარ ამისი. ამ გოგიამ და ხთისიამ ასე იყაბულეს.

ქ. ჩვენ, ამ გოგიასა და ხთისიას მოყურები, თ ა თ რ ი შ ვ ი ლ ი  
ი ვ ა ნ ე და ყ უ ყ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ქ ი ტ ე ს ა, ამისი თანამოწამე ვართ, რომ



გოგიამა და ხუთისიამ ასე იყაბულეს. მე, გიორგი დეკანოზი, ვწერ ამათის სიტყვითა † †

ქ.\* კეთილმსახურის მეფის ძეს ვახტანგს ფალავანდისშვილის ბერისა და იაკობის მ[ო]ასილობა ებძანა, ვაჭრიძე გოგიას ორი მსახური შეაფიცოსო. ამ განაჩენის ბაძნით ფალავანდისშვილებთან მიგელ მე, დავითისშვილი ასლამაზ, და ეს ვაჭრიძე გოგია და ლთისია თან მივაყვანინე, და წ[ა]რმოუძებ და ორი მოთაბარი მასური ძ მ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ნ ი თან ახლდათ მოფიცრათ და სამთელი ხელთ ეპყრათ და ა რ ბ ო ს მოვიდენ. ვაჭრიძეს გოგიას თავისი მოყ[ვ]რები თან ყვანდა და ეს ფალავანდისშვილები აღარ დააფიცა და ამათივე ყმობა თავს ი[დ]ვა: კიდევ ამათი ყმა ვარო და არც დავაფიცებო.

ამათი იასაული მე გახლდი და ასე გარიგდენ ღმრთის წინაშე. ეს ჩემი ხელია, ბეჭედი არ მქონდა. ივლის[ს] ივ, ქორონიკონს უო[ე].

## 227. ბანჩინება ბანენასა და ურჯუააშვილის მამულის სამეფაჲ

1787 წ. 14 ივნისი

ცსა. ფ. 1448. № 725. დედანი. ქალაღი. 38,5×16 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ი ო ვ ა ნ ე ს, მისმა უგანათლებულესობამ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა გ ი ო რ გ ი მ გვიბძანა ბ ე ნ ე ნ ა ს და უ რ ჯ უ კ ა შ ვ ი ლ ი ს სამართალი. ჩვენც მივედით და იმათი მამული გავსინჯეთ. ბ ე ნ ე ნ ა თორმეტს ხეს ედავებოდა, რომ: შენს მამულში დაგირგავს, წილი უნდა დამიდოო შენის მამულისაო, მაგრამ უწინ რომ წილი არა დასდებოდა, არც ახლა დაედვა წილი; ამ ხის დარგვით რათ დაედებოდა წილი.

თვითან უ რ ჯ ი კ ა შ ვ ი ლ ი ამას ეუბნებოდა: ვინ გეპატიებოდაო, რომ დარგეო ჩემს მამულში ხეებიო.

მეორეთ ბ ე ნ ე ნ ა მ წისქვილზე დაობა დაუწყეო, რომ: პაპა ჩემსაო შენს მამულში წისქვილი გაუკეთებიაო და მე ორი წილი მამული უნდა მამეო.

და მივედით, გავსინჯეთ, რომ აღარც წისქვილის ალაგი ეტყობოდა და არც ნაშენობა. და ამისთვის პასუხად ეს განუჩინეთ, რომ: ბენენამ თუ ისევ იმ ნაწისქვილარზე წისქვილი გააკეთა ახალი, როგორც იმის პაპას სჭერია, ისე დაჩება; თუ ვერ ააშენა და, ამის-

\* აქედან ტექსტი ა-მეტ-ნაკლებია.

თვის რა მიეცემა. თუ იმის პაპას ჰირნახული უქნია; სარგოცა ჰქონია. კიდევ ტირიფებზე ჩიოდა ბენენა. როგორც სოფლის კაცს განეჩინათ, ისევ იმაზე დავაჯერეთ. ამათი სამართალი ჩვენ ასე უსაჯეთ და ახლა თქვენი უგანათლებულესობის ნება აღსრულდეს.

თიბათვის იღ, ქორონიკონს უოფ.

და სხვაზედ მამულზედ ჩვენ რომ<sup>1</sup> უწინ აქ ვიყავით, ის მაშინ ჩვენ გაუყავით; და ეს იყო დარჩომილი და ამისი სამართალი ასე განუსაჯეთ.

ბეჭელი: სასოებათ მაქვს ძელი ცხოველი\* [მრჩობლის ცხოვრებას მისგან მოველი იოვანე].

თავში:

[ქ. ჩუენ], საქართველო[ს] უფლისწული ბატონი შვილი, გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. ივნისის ივ, ქორონიკონს უოფ. ქორგი

## 228. განჩინება გიორგი ფისაძისა და გარი ჩიფჩიბურის მამულის

საქმეზე

1787 წ. 22 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9219. დედანი. ქალაღი. 31,5×24,7 სმ. თავი აკლია. კიდები მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი აწორი წერტილი. აქვე, ფ. 1450. დავთ. № 38, საბ. № 194. დატულია საბუთის პირი. რომლითაც აღვადგენთ ტექსტს.

[ამას უწინარეს ფისაძემ გიორგიმ და ჩიფჩიბურმა ბერმა სამართალში იჩივლეს: ჩუენ ორთავ] ორი ვენაქი გქქლნდა ნასყიდო, ორივ' დავით ერისთავმა და ძემ მისმან შალვამ სვეტიცხოველს მიართვესო და მაგიერის მოცემას დაგვპირდნენო; ერისთავი. დავით და შალვ[ე] მი[ი]ცვალნენო და მაგიერი არა მოუციათ რაო. პირველადვე უსამართლო დაგვე[მარ]თა, რ[ო]მ ნასყიდი ვენაქები გამოგვერთ[ო] და მაგიერიც აღარა მოგვეცა რაო, სამართალი მადირსეთო.

ამათ რომ ასე იჩივლეს, სამართლიდამ მივსწერეთ იმ მხრის მოწამეთ, რ[ო]მ მართლა ამათი ნასყიდი ყოფილიყოს; მოეწერათ

<sup>1</sup> რუმ.

\* აქ ქალაღი მოკრილია.

ფიცით სალთხუცეს გიორგის...\* ლაშვილს იოსებს, გედეონის შვილს გლახას, ბადაშვილს გიორგის, ხადურს, ტოლაშვილს, ცოტნიაშვილს, კაბანაძეთ ეოდორეს, — ამათ დიდის ფიცით მოეწერათ, ეს ვენაჰები ამ ფისაძის გიორგისა და ჩიფჩიბურის ნასყიდი არისო, არც ერისთავს უნდოდა ქამორ[თმევა და მირთმევაო, მაგრამ იძულებ მოხდაო.

ამათ რომე ასე მოეწერათ, მისს უმაღლესობას ასე დაემტკიცებინა. ჩვენ შევიტყუევით, რომ სწორე მონასყიდენი არიანო და თუ [ჩუე]ულობა არის საერისთოს კაცისაგან ეკლესი[ი]ს მამულის სყიდვა, ამათაც ნასყიდი აქვსთ, ვინ [ე]დავებაო. და თუ ჩუეულება არ არის საერისთოს კაცისაგან ეკლესი[ი]ს მამულის სყიდვა, [ფა]სი უნდა მოეცესთ ამათაო და მამული ეკლესიას დარჩესო.

შემდგომად ამ [ბ]რძანებისა მათს უწმიდესობას კათალიკოზის პატრიარქს ესრედ ებძანებინა წერილით: ეს წიგნი გიბოძეთ ჩუენ, პატრიარქმან მეფის ძემან ანტონიმ, თქუენ, ბელოთელს ფისაძეს გიორგ[ის] და ჩიფჩიბურს ბერს ასე, რომ: თქუენ ქორდში ნასყიდი ვენაჰები გქონდათ, დავით ერისთ[ა]ქმან და შალვამ გამოგართვესო და სვეტიცხოველს მოართვეს. თქუენის ნასყიდის ვენაჰის მაგიერი სხვაგან უნდა მოეცათ, დავით ერისთავი და შალვა მიიტყვალენ. [თქუ]ენ მაგიერი აღარა მოეცათ რა: ამაზე მისს უმაღლესობასთან ჩიოდით, თქუენი [ნ]ასყიდი ვენაჰები თქუენვე წყალობა გიყავით, კულუბს კი სვეტიცხოველს მოართმევდეთო, [სექ]დებერს იდ, ქორონიკონს უაჭ, ამ რიცხვში იყო დაწერილი; მისს უმაღლესობასაც დაემტკიცებინა [ეს] წერილი. როგორც ჩუენს ძმას, მათს უწმიდესობას უბძანებია, ჩუენც ასე ვამტკიცებთო.

ჩიფჩიბური ბერი ასე ჩიოდნენ: პირველად ნასყიდი გვქონდაო ბადაშვილისაგანო და მეორედაც მათმან უმაღლესობამ და მათმან უწმიდესობამ ამტკიცეს წერილ[ე]ბით ასე გვიბოძესო; და გედეონის შვილი შოშია და ბეცია გვართმევენო, სამართალი [გვ]ალირსეთო.

ჩუენ, საქართველოს მსაჯულ[თ]შეკრებილებამ, მათის უმაღლესობის [ბ]რძანებით გედეონის შვილი შოშია და ბეცია მოვაყვანინეთ და ვალაბარაკეთ.

[გ]ედეონის შვილი შოშია და ბეცია ასე ჩიოდნენ: ეს ვენაჰები<sup>2</sup> სვეტიცხოველის [ე]კლესი[ი]ს ყმისა იყოო, ერისთავს დავითს და

1 ჩიუბრი. 2 ვენაჰები.

\* აკლია ორი-სამი ასო.

შალვას მოვასხენეთო, ეკლესი[ი]სა [ყო]ფილა და ისევ ეკლესიას მოართოო და ამათ მაგიერის მიცემას დაჰპირდენო. იმათ რომ მაგიერი აღარა მისცეს რა, მისთვის გვედავებიანო. იმათ რომ [მ]აგიერი არა მისცენ რა, ჩუენ რას გვედავებიანო.

ჩუენ რომ ესენი ვალაპარაკეთ და ამათი წერილები განვიხილეთ, ეს სამართალი მივეცით<sup>1</sup>; პირველი ეს, რომ: [ა]მ ფისაძეს და ჩიფჩიბურს ნასყიდი ქონია და ნასყიდობით დიდს ხანს სჭერია [დ]ა ერისთავს უსამართლოდ გამოურთმეგია; და უსამართლოდ გამოართმეულს მამულ[ს] ეკლესია არ შეიწირავს.

მეორე ეს, რომ: მაგიერის მიცემა აღუთქვამსთ, [ე]რისთავს დავითს და შალვას არ დასცალეზიათ მიცემა და არა მიუციათ რა. [თუ] ჰეშმარიტებით მონასყიდენი არ ყოფილიყვენ, მაგიერის მიცემას რაღათ [ა]ლუთქვემდენ. და რადგან მაგიერის მიცემა აღუთქვამსთ, ჰეშმარიტი ნასყიდი ყოფილა [დ]ა გამოართმევა ნასყიდისა უსამართლო ყოფილა.

მესამე ეს, რომ: მისი უმაღლეს[ობ]ა და მისი უწმინდესობა ამ ძლიერის წერილით ასე უმტკიცებენ და აძლევენ ჰეშმარიტებით მონასყიდეთ ფისაძეს და ჩიფჩიბურს.

ამ მტკიცეს საბუთებით ქორღს<sup>2</sup> რომ ნასყიდი ვენაკები ქონიათ ფისაძეს და ჩიფჩიბურს, ზემ[ო]ხსენებულთ მოწამეთ დამოწმობით დარჩათ სამართლით ფისაძეს გიო[რ]გისა და ჩიფჩიბურს ბერს.

მაგრამ რადგან პირველად ეკლესი[ი]ს ყმისა ყოფილა და ეკლესი[ი]ს ყმიდამ უყიდიათ, როგორც განწესება არის კულუხის გამორთმევა, [ისე ი]მ განწესებით კულუხს ეკლესიას მიაართმევდნენ. იუნისს კბ, კორონიკონს უოფ.

ორი ბეჰელი:

1. დივანბეგი

2. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

[ჩვენ, ბატონის შვილი იულონ, ამ მსაჯულთ მიერ განჩინებას ვამტკიცებთ. მკათათვის იზ, ქორონიკონს უოფ].

<sup>1</sup> მივეცით. <sup>2</sup> ქორღს.

1787 წ. 8 ივლისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2366. პირი. ქალაქი. მხედრული.

ქ. ავალიშვილი პეტრე და იმის ბიძაშვილი ანტონი ელიაშვილს სესიას და ამის ბიძაშვილებს ზურაბას ყმობაზედ უჩიოდნენ.

ავალიშვილები ასე ჩიოდნენ: ეს ელიაშვილები მკვიდრნი ჯავახნი არიანო და საათაბაგოს დიასამიძის ყმანიო. როცა ჯავანთიდან აყრილან, ხეობაში ჩვენს მამულში მისულან და ჩვენ გვეყმობიანო. და როცა ჩვენის მამულიდან აყრილან, ისევ ჯავახეთს გარდასულან თავისავ მამულზედაო. თუმცა ელიაშვილები ქართლითაც ყოფილან, მაგრამ ესენი იმათგანი არ არიანო, მკვიდრად ჯავახნი არიანო. იქიდან დიდი ხანია ესენი ჩვენ ყმათ მოგვივიდნენ, ხეობაში გვესახლნენ. როცა ავის დროს მიზეზით ხეობიდან ავიყარენით, ბრეტს ჩამოვედით, ესენიც იქ ჩამოვიყვანეთ, ჩვენსავ ყმათ იდგნენ. და ახლა სხვა მიზეზი მოუგონიათ და ჩვენ ყმობით თავს აღარ გვიდებენო.

ელიაშვილი სესია უპასუხებდა: ჩვენ მკვიდრათ მოხელი ელიაშვილი ვართ სვეტისცხოველის ყმანიო. ავის დროს მიზეზით ჯავახეთს გარდავსულვართ და როცა იქიდან გარდმოვედით, ჩვენს მამულში მოხის[ს] შენობა არ იყო, თქვენს მამულში ხიზნათ ვიდექით, დავრჩით იქ და გემსახურებოდითო და როცა ხეობა დაიცალა, ჩვენ ხან შინ დისს ვიდექით და ხან ბრეტს. მაგრამ ჩვენს თავს სვეტისცხოველს ვერ დაუქარგამთ, მკვიდრნი იმისნი ყმანი ვართო.

ავალისშვილები უპასუხებდნენ: თუ თქვენ მაგას სწორეთ აღმოაჩენთ, რომ მოხელი ელიაშვილები იყოთო ჯავახეთიდან დიდის ხნის მოსულობით, ჩვენ ამაზე სვეტისცხოველს ყმათ არ შევეცილებით და არც თქვენთან ხელი გვექნებაო.

ელიაშვილებს თავის მამა-პაპის სახელები დავაწერინეთ. ერთის თავის პაპის უფროსის ძმის სახელი თანდილა დასწერა. ჩვენ სვეტისცხოველის მოხელეთ ძველი დავთრები მოვთხოვეთ, რომ იმითი ამ ელიაშვილის სვეტისცხოველის ყმობა დაემტკიცებინათ.

მისის უწმიდესობის სალთხუცესმა ამილბარ ერთი დავთარი მოიტანა ნიკოლოზ ამილახვრისშვილის კათალი-

კოზობის დროსი. იმაში მოხისთან თან დილაშვილიც ეწერა და იმის განაყოფი სხვაც. და ამ სახლთუხუცესმა ესეც დიდის ფიცით და შეჩვენების ქვეშ შევარდნით გვარწმუნა, რომ ამ ელიაშვილისთვის არც ეს დავთარი გვიჩვენებია და არ გვითქვამს, რომ თანდილას სახელი სწერიაო.

ავალიშვილები უპასუხებდნენ: ეგ სახელი იქნება მოხელს ელიაშვილსაც რქმოდესო და ჯაეახს ელიაშვილსაცაო.

ამ ელიაშვილმა ერთი ვეზირის ქაიას წიგნი მოიტანა, ოსმალი რომ ქართლში ყოფილა, მაშინ გიორგი ელიაშვილისათვის ერთს კაცს უჩივლია. იმაში ასე წერა: მოხელს გიორგი ელიაშვილს ეს კაცი უჩივისო.

მარამ ავალიშვილები ამას უპასუხებდნენ: ეგ წიგნი შენი არ არისო, მოხელის ელიაშვილისა გიშოვნიაო.

ჩვენ. ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფემ ირაკლი მეორემ, მსაჯულთ ჩვენთან თანდასწრებით ესენი ჩვენს წინ ვალაპარაკეთ. თუმცა ფიცი ავალიშვილებს ერგებოდათ, რომ თავეთი კაცი შეეფიცებინათ. რომ ესენი მოხელი ელიაშვილები არ ყოფილიყვნენ, მაგრამ საჩივარში ავალიშვილებმა ესეცა თქვეს, რომ სწორეთ არ ვიცით, მოხელი ელიაშვილებისაგან არის თუ არაო. და რადგან ასე სათუთო ჰქონდათ, ფიცი ავალიანთ ველარ დავადევით. უფრო სწორეთ დაჯერებისათვის ფიცი ელიაშვილებს დავადევით.

წადგეს თვითონ სესია ელიაშვილი თავის შვილით და თავის ბიძაშვილით და ასე შეეფიცოს, რომ: «ესენი სწორეთ მოხელის ელიაშვილებისაგან იყვნენ, სვეტიცხოვლის დავთარში თანდილა, გიორგი სწერია — ისიც ამის სახლისკაცი ყოფილიყოს».

თუ ასე დაიფიცეს, ეს ელიაშვილები ორი კომლნი და მესამე ობოლი ამათი ბიძაშვილი სვეტიცხოველს ყმათ დარჩებიან, ავალიშვილებს ხელი აღარ ექნებათ. და თუ ასე ვერ დაიფიცვენ, ავალიანთ ყმანი იქნებიან.

იასაულო ქარსიძე გლახავ! ეს ასე აღასრულე ამ ორმოცს დღეზედ.

ივლისის ვ, ქორონიკონს უოე

მე ფებთ...  
ერეკლე

დივან  
ბეგი

მსაჯული  
სოლომონ

1 მოლხელი.

კიდზე:

ქ. მისის უმაღლესობის ბძანებით მე, გ ლ ა ხ ა ქ ა რ ს ი ძ ე, იასაული ვიყავ და სამ[მა] კომლმა ელიასშვილებმა დაი[ფი]ცეს; და სვეტსცხოველს დარჩა. ღმრთის წინაშე ეს ასე იყო. ხელრთვა: გ ლ ა ხ ა .

## 230. ბანჩინება მოურავისა და თოფჩიბაშის ვაჟულის საჩხეზა

1787 წ. 16 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3070. დედანი. ქალაღი. 33X10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახპარია წერტილი.

ქ. მოურავმა და თოფჩიბაშმა იჩივლეს კ ა რ დ ა ნ ე ხ ს ხ ო ლ ო შ ვ ი ლ ი ს სასახლეზე. ამ ხოლოშვილს სამი სასახლე ჰქონია: და ეს სასახლეები მოურავისა და თოფჩიბაშისა შუა გასაყოფი ყოფილა. ამ მამულზე ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ი სახლებულა, რომელიც რომ თოფჩიბაშის წილად არის დღეს, ამ სულიასშვილის ერთი სასახლე ზეით ა ი დ ე მ უ რ ი ს ყმისათვის გაუცვლია, რომ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წელიწადია ამ სასახლის ზომა საკნავი მიწაც გამოურთმევეია და სასახლეც. აიღემურს. ამ სასახლის მაგიერი ქვემოთ ხოლოშვილის ვენახის თავში რომ სასახლე ქონია, ციხეც არის და შენობაც, ის ზაქარას ყმას სჭერია, ამის მაგიერად, მაგრამ ზ ა ქ ა რ ი ა ამას ამ[ბ]ობს, რომ ეს ჩემი სასახლე ნაკლები არისო და არ მინდაო.

ჩვენ, კახეთის მოსამართლეებმა, ეს სამართალი მივეციოთ, რომ, ის სასახლეები გაიზომოს და თუ აკლდეს ზომაში მოურავის სასახლ[ლ]ეს, თოფჩიბაშმა შეუსრულოს.

ამას გარდა ღვინოზე ლაპარაკობდენ. თოფჩიბაში ელაპარაკებოდა: ბაგა საერთო არისო და სამი წელიწადი არის, რომ შენ კრეფ და მე წილს არ მიღებო. ამაში პაატას წილი აქვს, უნდა მისცეს.

მაგრამ მოურავი ამას უპასუხებდა: ერთის წლის ხოლოშვილის<sup>1</sup> მამულის გამოსავალის შენ დალიეო და მე კი წილი არ დამიღეო.

მეორეს ამას უპასუხებდა: შარშანდელი ზვრის გამოსავალი შენ წაიღე საკუთრათაო, შარშან ბევრი გამოვიდა<sup>2</sup> და წელს ცოტაო.

მესამეს ამას უპასუხებდა: ქვევრები წაიღე ჩემი წილი ოთხი

<sup>1</sup> წლის მხოლოსშვილის. <sup>2</sup> დგამოვიდა.

ქვევრიო — ერთი საუფროსო და სამი სხვაო, ამაების მაგიერად მეც: ბაგის წილი დავხარჯეო.

ღვინო ერთმანეთს უანგარიშონ და მეტ-ნაკლები გაისწორონ. და ქვევრები კი უნდა მისცეს თოფჩიბაშმა მოუტრავს.

ჩვენ ასე გავგვირიგებია და ნება ქელმწიფისა[ა]. ღვინობისთვის ივ, ქორონიკონს უოე.

ოთხი ბეჰელი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. სპარს. ბ ე ე ა ნ.
3. მონა ღთისა მღივანბეგი ო ტ ი ა
4. მონა ღთისა მღივანი ს ვ ი მ ო ნ

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე. ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ღვინობისთვის ღა, ქორონიკონს უოე.

ბეჰელი: ქნარს მიცემს დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

მინაწერი: თოფჩიბაშის მამულის განაჩენია.

## 231. სამართალი ჟალაქელ სოფელთა გაყრისა\*

1787 წ. 18 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3230. დედანი. ქაღალდი. 16,3×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი.

ქ. მათს უმაღლესობას მათის მონათათვის რომ ეგნატე მღივნი ს ა და ამისი ბიძის პ ა პ უ ა ს ი თეთრისა და ქონებისა სამართალი ებძანებინა, ამ ქალაქში ეს სამართალი გვაქვს განწესებული, რომ: რისაც მქონებელნი არიან ამ თარიღში, რომ იყრებიან, შუა უნდა გაიყონ.

რაც ამისი წინათ პაპუას ან ეგნატეს თავიანთ საერთო თეთრი-ღამ დაუხარჯავთ, ის აღარ იხსენება.

რადგან ღღეს იყრებიან, რაცა აქვსთ პაპუას თუ ეგნატეს — ნაღდეული თუ ჭინეული, ვალი თუ ასაღები — ორისავე საერთო არის, შუა უნდა გაიყონ.

შინ თუ გასათხოვარი ქალი ჰყავსთ, ზითევი ერგება. და თუ

\* შდრ. საბ. № 232.



მოსწრებული ვაჟიშვილი ჰყავსთ, საქორწილო ერგება თავიანთ ქონების მიხედვით. და უფროსს ძმას მამულიდამ საუფროსო ერგება.

ამ ქალაქში მყოფ სომეხთ სამართალი ეს არის. ნება მათის უმაღლესობისა ათავდეს. ნომბერს იმ, ქორონიკონს უოგ.

## 232. განინება პაპა და ეგნატე თუჟანიშვილისა გავრის საჩუქარო\*

1787 წ. 27 ნომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3637. დედანი. ქალაქი. 44X34, სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია წერტილი.

ქორონიკონს უოგ, ნოენბერს იმ მისს უმაღლესობას ოქმით და შანშე მილახვარის მოასილობით მის მონათათვის თუშანიშვილი პაპოასი და მისი ძმისწული ეგნატე მდივნის თეთრეულისა და ვალის გაყოფა ებძანებინა მოქალაქურის წესისაებრ.

რაც ამ თარიღში ამათ გამოაცხადეს ვალი ან ქონება, რომ ორნივე მოდავეები ერთმანერთი სარწმუნო გახადეს, ის ქონება და ვალები ასე გაუყავით, როგორც ამის ქვემოთ გარჩევით დაიწერება.

### ქ. რაც ნაღდი ქონება გამოაცხადა პაპამ, ამას ქვემოთ დაიწერება:

რის ხქ (ას ჩვიდმეტი თუმანი, ექვსი მინალთუნი და სამი აბაზი)

ქორონიკონს უოგ, დეკენბერს კვ, ამ თარიღში მიცემული ა ფარდი სამხანაკო წიგნითა აქვს ზუბელაშვილი ივანესთან. თავნის ჯამი არის რვ (ას ექვსი თუმანი); ამისი ა წლის მოგება პაპოას დაუხარჯავს, დარჩება ია თვე; ამისი თვეში თუმანზე რ (ორი შაური) სარგებელი ვიანგარიშეთ, რომ იქნება სარგებლის ჯამი ია ხქ (თერთმეტი თუმანი, ექვსი მინალთუნი და სამი აბაზი); ამ თარიღს იქით პაპოას მივეციით ამ ანგარიშით; ამისი ხეირი და შარი და პაპოასი შეიქნა. ჯამი არის ამ თავნისა და სარგებლისა.

\* შდრ. 1794 წ. 1 ივნისის განინებას ამავე საქმეზე.

კდ ხ (ოთხმოცდა-  
ოთხი თუმანი და ექვ-  
სი მინალთუნი)

ქორონიკონს უოდ, დეკენბერს ა, ამ თა-  
რილში ა ფარდი სანათით გორელი ალაპაპას-  
შვილი სტეფანესათვის სარგებლით მიუცია  
მ (ოთხმოცი თუმანი). სანათის თარიღილამ  
ამ თარიღამდენ იქნება ა წელიწადი. ამისი  
სარგებლის ჯამი იქნება თ ხ (ცხრა თუმანი  
და ექვსი მინალთუნი). აქადამ ამის წინათ პა-  
პოას დაუხარჯავს ე (ხუთი თუმანი), ეს გა-  
ველ, დარჩა სარგებლიად დ ხ (ოთხი თუმანი  
და ექვსი მინალთუნი). ამით იქნება.

ნ (ერთი თუმანი)

ქორონიკონს უო, თიბათვის მ, ამ თარიღ-  
ში ნაწერი სანათით თუმანისშვილი ნიკო-  
ლოზისაგან უნდა თავნი.

ნჟ (ხუთმეტი მინალ-  
თუნი)

ქორონიკონს უფთ, ნუენბერს მ, ამ თა-  
რილში ნაწერი სანათით აკოლასშვილი გურ-  
გენასაგან უნდა თავნი, რომ ამისი სარგებე-  
ლი პაპოას უხარჯავს.

ოდ ჳ (ოთხი თუმანი  
და შვიდი მინალთუნი)

ქორონიკონს უოა, თიბათვის ა, დაწერი-  
ლი სანათით ფერშანგიშვილი თომასაგან უნ-  
და თავნი. დაწერეთ რომ ამისი სარგებელი  
პაპოას უხარჯავს.

ონ წქ (ორას ცხრა  
თუმანი, ოთხი მინალ-  
თუნი და სამი აბაზი)  
იე (თხუთმეტი თუ-  
მანი)

ქ. იქნა ზემოთი ე კალამი საღი ასაღების  
ჯამი.

ქ. აქადამ პაპოას შვილს იოსებას სა-  
ქორწილოთ მივეციტ. რადგან პაპოას ოჯალ-  
ზედ გარჯილობა ჰქონდა, უფრო მეტი მიე-  
ცემოდა, მარამ პირველი მიზეზი უქონლობა  
იყო და მეორე მიზეზიც ეს იყო, რომ იოსებ  
ამის წინათ რომ დანიშნულა, ნიშანი იწ  
(ჩვიდმეტი თუმანი) ოჯახილამ გაუგზავნია.  
ისიც იმას დანებდა. ანგარიშში არ შემოვი-  
ტანეთ. იმას გარდა აქადამაც მივეციტ.

როდ წქ (ასოთხმოც-  
და ოთხმეტი თუმა-  
ნი, ოთხი მინალთუნი  
და სამი აბაზი)

ქ. ზემოთი ჯამილამ ქვემოთი ჯამი გაველ,  
დარჩა პაპოასი და ეგნატეს საერთო ჯამია.

ქ. ამათი სალი ასალები და ვალები ასე გაიყო, როგორც ზემოთ სწერია. მას გარდა რაც კიდეც პაპოას ასალები აქვს, ამის ქვემოთ ის დაიწერება, რომ რაც ამ ასალებებიდამ გასაღდება, პაპოასი და იგნატეს საერთო იქნება, შუა უნდა გაიყონ.

ქ. რაც პაპოას სანათით ასალები აქვს, აქათ დაიწერება:

ქლ (ოცდარვა თუმანი)

ი (ათი თუმანი)

ქ. იოვანე მდივანბეგის თამასუქი აქვს ქორონიკონს უნზ, მარტის კდ ნაწერი.

ქ. ასლანბეგიანთ ფასოას შვილი ბაღდასარას სანათი ქორონიკონს უმ, ღეკენბერს იე ნაწერი.

ქც (ოცდარვი მინალთუნი)

ქ. ამავე ასლანბეგანთ ბაღდასარას ჯალაბისა და ამისი შვილი ფარასაღანას სანათი აქვს ქორონიკონს უმა, მაისის ი ნაწერი.

ქდ (ოცდათერთმეტი თუმანი)

ქ. ამავე ასლანბეგანთ ფარსადანას სანათი აქვს სუნბათას სახელობით დაწერილი, რომ სუნბათას პაპოასი მართებია და სუნბათას შვილს ეს სანათი პაპოასათვის თავის მამის ვალის თანხაში მიუცია. ამ თარიღში ეს სანათი ყიზლარსა ჰქონდა გაგზავნილი, თარიღი ამიტომ არ დაეწერეთ. თითონა თქვა, ჯამი არისო.

ქდ (თოთხმეტი თუმანი)

ქ. მუშრიბიანთ მანუჩარაშვილი შაქროას სანათი აქვს, რომ სახლები გირაოთ უწერია, თავნის ჯამი არის. ქორონიკონს უმზ, მარტის იგ.

ქეჭ (ცამეტი თუმანი და ხუთი მინალთუნი)

ქ. იანგოანთ პაპას სანათის სავადი აქვს, ქორონიკონს უნზ, ღეკენბერს კვ.

ქე (თორმეტი თუმანი)

ქ. ვიშელანთ ესტატესი და გიორგის სანათი აქვს, ქორონიკონს ულმ, ღეკენბერს ა.

ქ. თარხან აღასაგან ა ფარდი შართალმა აქეს, რომ ამისგან თარხანაღას ოქრო აულია და პაპოას ბიჭი ს ი მ ო ნ ა ს ა თ ვ ი ს ამანათი რომ გაუტანებია, რომ იმავ შართალმაში სწერია, ამისი ზოგი რამ პაპოასა-ისვის მიცემულა თარხანაღასაგან და ზოგი დარჩომილა ისე სადავოთ. რაც იქილამ გამოვა, საერთო იქნება, აქ ამიტომ რაერთობა არ სწერია.

---

რბ წ (ას ათი თუმანი ქ. იქნა ზემო ზ კალამი დარჩომილი სანა-  
ლა შვიდი მინალთუნი) თების ჯამი.

ქ. რაც ჯმ თარიღში პაპოამ და ეგნატემ ვალები გამოაცხადეს,  
ქვემოთ დაიწერება:

რმვ (ასორმოცდა  
ექვსი თუმანი)

ქ. ა სიით პაპოამ ვალები გამოაცხადა, რომ ის ვალები ეგნატემ იყაბულა და ხელი მოაწერა, ჭეშმარიტი ვალები არისო, ის სია ისევ პაპოას მივეციით და ამისი ჯამი აქ დაეწერეთ, რომ არის პაპოას ვალის ჯამი.

რბ ცნმე (ასორი თუ-  
მანი, ორი მინალთუ-  
ნი, ერთი შაური და  
ცხრა ფული)

ქ. ა სიით ეგნატემ ვალები გამოაცხადა, რომ ის ვალები პაპოამ იყაბულა და ხელი მოაწერა, ჭეშმარიტი ვალები არისო, ის სია ისევ ეგნატეს მივეციით და იმისი ჯამი აქ დაეწერეთ, რომ არის ეგნატეს ვალის ჯამი.

---

ნმც ცნმე (ორას ორ-  
მოცდა რვა თუმანი,  
ორი მინალთუნი, ერ-  
თი შაური და ცხრა  
ფული)

ქ. იქნა ზემოთი ზ კალამი ვალების ჯამი.

ქ. ეს ვალები ასე გაეყავით, რომ რაერთი ვალი იყო ეგნატესი, ერთი იმოდენა ვალი პაპოას ვალიდამ შეუფარდეთ, რომ რაც ეგნატეს ვალის თანხა ქონებიდამ ერგებოდეს, იმოდენა ვალის თანხა ქონებიდამ პაპოას ერგოს. რაც პაპოას ვალი ეგნატეს ვალზედ მომატება, იმ ვალის თანხა სრულად პაპოას

მიეცემა, ასე, როგორც ქვემოთ გარჩევით დაგვიწერია, ვალიცა და ქონებაც. ეს ამიტომ ასე გაიყო, რომ ვალი ქონებასა სჭარბობდა.

---

ქ. ეგნატეს ვალის ჯამი აქათ ჩამოვიტანეთ, რომ არის რბ ცნმე (ასორი თუმანი, ორი მინალთუნი, ექვსი შაური და ცხრა ფული).

რე ძტმე (სამოცდა-  
ხუთმეტი თუმანი,  
სამი მინალთუნი,  
ექვსი შაური და ცხრა  
ფული)

ქ. ამავე ეგნატეს ერგება პირდაპირ ნაწერი ქონებიდამ.

ქ. პაპუას ვალიდამ ეგნატეს ვალს შეუფარდეთ რბ ცნმე (ასორი თუმანი, ორი მინალთუნი, ერთი შაური და ცხრა ფული).

რე ძტმე (სამოცდა-  
ხუთმეტი თუმანი,  
სამი მინალთუნი,  
ექვსი შაური და ცხრა  
ფული)

ქ. ამავე პაპოას ამ ვალის თანხათ ერგება.

ქ. ამას გარდა პაპოას ვალს მოემატა, ჯამია მგ კშე (ორმოცდა-სამი თუმანი, შვიდი მინალთუნი, თვრამეტი შაური და ერთი ფული).

გზ კშე (ორმოცდა სამი  
თუმანი, შვიდი მი-  
ნალთუნი, ექვსი შა-  
ური და ცხრა ფული)

ქ. ამ ვალის თანხა ერგება ყარშუ ქონები-დამ.

---

რუდ წქ (ასოთხმოც-  
და თოთხმეტი თუ-  
მანი, ოთხი მინალთუ-  
ნი და სამი აბაზი)

ქ. იქნა ზემო სამი კალმის ჯამი გ კალამი, ვალის ჯამი არის სმშ ცნმე (ორას ორმოცდა-რვა თუმანი, ორი მინალთუნი, ერთი შაური და ცხრა ფული).

---

ქ. პირდაპირ რომ ზ კალამი ასაღები სწერია, რომ ჯამი არის თარხანადას სადავოს გარდა რი ქ (ას ათი თუმანი და შვიდი მინალ-თუნი), ეს, თუ ან ამას გარდა, ამ თარიღს უწინდელი ასაღები გა-მოჩნდება ასეთი რომ ამ ანგარიშებში არ შემოსულიყოს, სულ პა-პოასი და ეგნატეს საერთო იქნება, შუა უნდა გაიყონ.

ან ამ თარიღს უწინდელი ვალი გამოჩნდეს ასეთი, რომ პაპუას

მამისაგან ან იგნატეს მამისაგან აღებული იყოს, ან იმათ დრო[ი]ნ-  
დელი დავა გამოჩნდეს, ორთავ პაპოამ და იგნატემ პასუხი უნდა  
გასცენ.

ამას გარდა ამ თარიღს უწინდელი ან უკანდელი თუ ასეთი  
ვალი გამოჩნდეს, რომ ის ვალი პაპოას აღებული იყოს, თითონ  
პაპუამ უნდა გადაიხადოს, იგნატეს საქმე არ ექნება.

აგრეთვე თუ იგნატეს აღებული ვალი გამოჩნდება, თითონ იგ-  
ნატემ უნდა გადაიხადოს; პაპოას საქმე არ იქნება.

ამას გარდა თუ ამ თარიღს უწინდელი ერთმანერთში თეთრისა  
ან აღებ-მიცემის მოკითხვის წიგნი ან დავთარი ან ყაბზი ან ბარათი  
ან პირობის წიგნი გამოჩნდება, იმაეზის პუქამი ბათილი არის.

თუ ამათი ერთობის დრო[ი]ნდელი დავა რამ გამოჩნდეს, ბაინ-  
დურას თუ პაპოას სახელობით წამოედევოსთ ვინმე რასმე, რომ  
თეთრის სარიშტისა და აღებ-მიცემის სარიშტის დავა იყოს, პაპოას  
სიცოცხლეში ან პაპოას უკან, ამ გვარს დავაზედ რაც გაუვათ ან-  
დაეხარჯებათ, საერთო იქნება; ეგნატემ და პაპოამ ან პაპოას შვი-  
ლებმან უნდა პასუხი გასცენ.

მათი მონათ და ფერხთა მტვერთ ასე დავინახეთ, როგორათაც  
მოგვიხსენებია. ბძანება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს.

ნუენბერს კჴ, ქორონიკონს უოე.

სხვა ხელით:

ქ. ამ სამართლის ყაბული მაქუს მე, იესეს შვილს პაპუას. მე,  
იოსებმა პაპუას შვილმა, მამის ჩემის სიტყვით დავწერე და მეც  
ყაბული მაქუს. ამ ანგარიშის წიგნი ორი დაიწერა: ეს ერთი მე დავ-  
ბეჭდე, ეგნატის მივეც და ამისი მეორე პირი ეგნატემ დაბეჭდა და  
მე მომცა.

ბეჭედი: მონა ლთის პ ა პ ო ა.

ქ. ამ სამართლისა და ანგარიშის მოსამართლენი გახლდნენ  
მ უ თ ო ა ს შ ვ ი ლ ი ო ს ე ფ ა, თ ა ყ უ ა ს შ ვ ი ლ ი ი ს ა ი ა ს, უზ-  
ბაშიშვილი შ ა ქ ა რ ო ა, ა ვ ე ტ ი ქ ა ნ თ ო ჰ ა ნ ე ზ ა.

სამი ბეჭედი:

1. ოსეფ 1733

2. სომხური ბეჭედი

3. სომხურ-თათრული ბეჭედი

ხელრთვა: შ ა ქ ა რ ო ა

ამათის მარიფათით ზემო ანგარიშის დამსწრელი და დამწერი-  
ვარ, მისს უმაღლესობის მონა და ფერხთა მიწა ყ ა ლ ო ა ს შ ვ ი ლ ი

ხელრთვა

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. დეკემბრის ა, ქორონიკონს უოფ. ბეპელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

## 233. განჩინება კუბის მარიამის შვილის პაპუნას საქმეზე

1787 წ. 29 დეკემბერი

ცსა. ფ. 1449. საბ. № 958. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. კუტის მარიამის შვილს პაპუნას ამ წინას თვე-  
[ე]ბში მისის სიმაღლის საქართველოს კელმწიფე დედოფლისთვის არზით მოეხსენებინა და სამთავის[ს] მს[ა]ხლობელის ამილახორის აზნაურიშვილის ზა[ა]ლისშვილის ნიკოლოზისთვის ეჩივლა, რომ: მე ერევნელის კაცის სარქისას შვილი ვარო. მამაჩემი სარქისა ავის დროს მიზეზით სამთავის[ს] მისულა, იქ ცოტას ხანს მოჯამაგირედ სდგომიარო, და ამისის მიზეზით ყმად მეჭიდებარო, და სამართალი მალირსეთო.

მის სიმაღლე კელმწიფე დედოფალს ეს კუტი მარიამის შვილი პაპუნა და ზა[ა]ლისშვილი ნიკოლოზ სამართალში ულაპარაკებია. პირველად ნიკოლოზისათვის საბუთი მოუთხოვნია. ამ ნიკოლოზს ერთი არზა წარმოუყენებია მისის სიმაღლის მეფის სახელზედ დაწერილი, რომ ამ არზაზედ მისის სიმაღლის მეფის ოქმი არა ყოფილა მოწერილი და ზურგზედ მდივანბეგები განაჩენს აწერენ, რომ ჩვენ მდივანბეგები ამ არზის პატრონისა და ამის მოადის სამართალს ესრეთ განვაწესებთო, რომ: ეს დედაკაცი თავისის შვილით ამ ზა[ა]ლისშვილს ნიკოლოზს დარჩარო სამართალით; და თუ სხვას კაცს ამ დედაკაცთან და ამის შვილთან ბატონყმობაზედ სიტყვა აქვს ვისმეო და ალაპარაკებსო, სამართალი მასუკან იმას მიეცემარო. ეს სამართალი ამ მიზეზისათვის განვაწესეთო, რომ ამ დედაკაცის მოდავე არავინ იყოო სამართალშიარო; რომ ეს განაჩენი თიბათვის თ, ქორონიკონს უნვ, ამ წლის დაწერილი იყოო.

მისის სიმაღლე ჩვენი კელმწიფე დედოფალი განაჩენით ამას ბრძანებს, რომ ჩვენ ეს მდივანბეგების განაჩენი ორის მიზეზით მტკიცეთ ვერ დავინახეთო: პირველად ეს, რომ: რატომ არზაზედ მისის სიმაღლის მეფის ოქმი არ არის მიწერილიო. თუ მსაჯულთ სიტყვით უბრძანარო ამათი სამართალი, რატომ შემდგომად განაჩენი

შაშინაც<sup>1</sup> არ დაქმტკიცებინაო. და მეორე ეს, რომ: ამ შენს განა-  
ჩენში ერთის მხრის ლაპარაკი კი სწერიაო და მეორეს მხრის ლა-  
პარაკი კი აღარ სწერიაო. ამ განაჩენით ამ კუტის მარიამის შვილს  
პაპუნას შენ ყმათ ვერ მოგცემთო.

ქეშმარიტი განსჯა და ბრძანებაც არის. კუტის მარიამის შვილის  
პაპუნასთვის საბუთები რომ მოუთხოვია, პირველად წარმოუყენებია  
თავის დედის მარიამის მორთმეულს არზაზედ მოწერილი ოქმი. მი-  
სის სიმაღლის მეფისაგან კურთხეულს რ ე ვ ა ზ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ-  
ზ ე დ, რომ: ბატონო ამილახვარო! თუ ამ დედაკაცის შვილი შენ  
წაგერთმევიოს თუ შენს სახლისკაცებს, ისევ მოეცეთო; თუ თქვენ  
ერთი რამ სიტყვა გაქვსთ, ილაპარაკეთ და სამართალი მოგეცემათო.  
ამას თავისი შვილები არ წაერთვასო, თვარემ ღმერთს დიდათ ეწყი-  
ნებაო და ჩვენგანაც საწყენი იქნებაო. მაისის ით, ქორონიკონს უნე,  
ამ წლის დაწერილი იყო ეს ოქმი.

ამას გარდა მეორე საბუთი მოუტანია მთელის თ უ მ ა ნ ის-  
შ ვ ი ლ ე ბ ის ა, რომ ესრეთ უწამებიათ, რომ: კუტი მარიამ ზა[ა]-  
ლისშვილის ნიკოლოზის ყმას ჰყოლოდაო, ის რომ მოჰკდომოდაო,  
მასუკან სხვას კაცს შეერთოო, ისიც რომ მოჰკდომოდაო და ეს ობო-  
ლი დარჩომოდა, მასუკან ეს დედაკაცი და ეს ობოლი ქ ე ლ თ-  
უ ბ ა ნ ს მოვიდნენო, ოცდაორი წელიწადი კელთუბანს იღვნენო,  
არავინ ზდავებიაო; რაც ხიზ[ა]ნი კაცის სამსახური იყოო, ამასაც  
ხიზნებთან ვიმსახურებდითო. მასუკან ნიკოლოზ რომ წამოვიდაო,  
მასუკან ამ დედაკაცმა მის სიმაღლეს ბატონთან უჩივლაო და ოქმიც  
უბოძაო. მასუკან ეს კაცი ამ ნიკოლოზისაგან არც ნამსახური გვინა-  
ხავსო და არც იმის მეტად ნიკოლოზ ამას წამოსდავებიაო.

ამას გარდა კიდევ ერთის სომხითელის კაცის ა თ ო ა ს მოწ-  
მობა მოიტანაო, რომ ესრეთ გმოწმობდაო: ავის დროს მიზეზით  
ქვეყნები რომ წახდაო, სამთავისს ხიზნად მოვედითო, იმ თარიღში  
ერთი ერევნელი კაცი სარქისაც მოვიდაო, ზა[ა]ლისშვილის ყმას  
მოჯამაგირეთ დაუდგაო სამს წელიწადსაო. მასუკან ამ სარქისამ  
ერთი ზა[ა]ლისშვილის ყმის ქვრივი შეირთოო, რომ იმ ქვრივს ერ-  
თი ობოლი ვაჟიშვილი ჰყვანდაო ზა[ა]ლისშვილის ყმასთანაო. ზა[ა]-  
ლისშვილმა მაშინვე ეს თავისის ყმის ობოლი თავისის ყმის საქონ-  
ლით ამ დედაკაცს წა[ა]რთვაო და თავის სახლში შეიყვანაო, რომ იმ  
დედაკაცთან თავისის პირველის ქმრისა აღარა დარჩომია რაო, და

<sup>1</sup> მიშინც.



არცრა ზა[ა]ლისშვილს მიუციოა სარქისასათვისაო, და არც სარქისას უმსახურნია ზა[ა]ლისშვილისთვისაო. როგორც ხიზნის კაცის წესი არისო, ისე ხიზნათ იდგაო. ეს მოწმობაც მოჰდაბარის ტერტერას დაწერილი იყო.

შემდგომად ამ საბუთებისა და წერილების უმეტეს დამტკიცებისთვის ყოვლად სამღვდელოს მიტროპოლიტს მთავარეფესკოპოზს პ ა ი ს ი ო ს მოვსთხოვეთ შენი მოწმობაო. ამის ყოვლად სამღვდელობაც მოწმობას ესრეთ გიწერდაო, რომ: ჩემ სამთავნელობაში კუტის მარიაშვილი შვილი პაპუნაო კელთუბანს იდგაო და თქვენის ოქმით თუმანისშვილს ჰბარებოდაო; ორი წელიწადია სამთავის[ს] ჩემთან მოვიდაო, მე ვერ ვიცნობდიო, სამთავისელთ მოხუცებულთ კა[ც]თ ვპკითხეო, ეს ვინ არისო, იმათ მითხრეს: ერთი ერევნელი კაცი მოვიდა აქ, ზა[ა]ლისშვილის ყმის ქვრივი შეირთოო და ეს იმ ერევნელის კაცის შვილი არისო. ასე იყო, რომ ეს ჰეშმარიტი მოხსენება არისო. ჩვენ ამთენის ძლიერის მოჰთაბარის საბუთებითა და მოწმობაებითაო შენი თავი ზა[ა]ლისშვილს ნიკოლოზს ყმათ ვეღარ მივეციოთ და ჩვენთვის სახასო ყმად დაგდევითო; და მასუკან თუ ზა[ა]ლისშვილს ნიკოლოზს ამ საბუთებ[ი]ს წი[ნ]ა[ა]ლმდგი და დასარღვევი საბუთი რამ ექნებოა და მოიტანსო, ილაპარაკოსო და სამართალი მიეცემაო. მის სიმაღლე კელმწიფე დედოფალს კუტის მარიაშვილისთვის ამგვარი განაჩენი ებოძებინა.

შემდგომათ ამ განჩინების უკან ესევე ზა[ა]ლისშვილი ნიკოლოზ კიდევ ჩამოსულიყო და თავის დედაც თან ჩამოეყვანა და ჩიოდა და ამ პაპუნას რომ შეეტყო, ესეც მსწრაფლიად ჩამოვიდა და თავის შოდავეს სამართალში მზად დაუდგა.

მისმა სიმაღლემ ჩვენმა კელმწიფემ საქართველოს დედოფალმა ბატონის დადიანის ასულმა პატრონმა დარეჯან უმეტეს სამართლის განჩხრეკისა და გამოძიებისათვის და არზის განსვენებისათვის ამათი სამართალი ჩვენ — მათს მონათ ციცი ს შ ვ ი ლ ს მღივანბეგს ეშოკალადაბაშს თეიმურაზს და ბეგთაბეგოვს მღივანს მოლარეთხუცეს სოლომონს გვიბრძანა. ესენი მოვიყვანეთ და ჩვენთან ვალაპარაკეთ.

ზა[ა]ლისშვილის ნიკოლოზის სიტყვა ესევე იყო: მღივანბეგების განაჩენი მაქვსო, რომელიც მისს სიმაღლეს კელმწიფე დედოფალს გაეჩხრეკა, იმ განაჩენში სიმტკიცე ვერ ეპოვნა, რომ იმ განაჩენით ვერც მისი სიმაღლე დედოფალი უმტკიცებდა, ვერც ჩვენ ვპყავით

იმის დამტკიცებას, ამისთვის რომელიც იმ განაჩენის დაუმტკიცებლობის მიზეზები ზემორე მოხსენებულნი არის.

ამას გარდა ზა[ა]ლისშვილს ნიკოლოზს ვჰკითხნეთ: თუ რომ სხვა საბუთი და სიტყვა გაქვს სამართალში, ის ილაპარაკეო. ერთი კიდევ ესე თქვა, რომ ამისმა მამამ ჩემის ყმის ქვრივი გა[ა]წბილაო და მასუკან ისე შეირთოო. მეორე ესე, რომ მოჯამაგრობაში სისხლი დაედვაო და ის გარდაუხადეთო

თუ ესენი სწორე საქმე იყო, ან ყმის ქვრივი გაუწბილა და ან სისხლი გარდაუხადა, ეს ნიკოლოზ გლენიკაცი ზომ არ იყო, აზნაურიშვილი და შეგნებული კაცია, რატომ თავის დამნაშავეს კაცს მაშინვე ან თავის ნებით წერილი არ გამოართვა და ნასისხლში არ დაიჭირა და ან არა. მოსამართლესთან არ უჩივლია და სამართალი არ დაიმართა. ამითი ჩანს, რომ ეს ლაპარაკები სიმართლისა არ იყო; ამ კაცის ყმობის ნდომა აქვს და ამისთვის<sup>1</sup> ლაპარაკობს ამე[ე]ებს.

ამას გარდა ნიკოლოზ ესეც თქვა, რომ თავარეპისკოპოზს რომ მოწმობის წერილი მიუცია, ეს ოსტატობით გაკეთებული არისო.

სამართალი ამ სიტყვაზედ მივაგდეთ და ნიკოლოზს უთხარით: მთავარეპისკოპოზმა, რომ ესეც სიტყვა თქვა[ა]სო, რას იტყვიო.

ნიკოლოზმა თავს<sup>2</sup> იღვა: თუ მთავარეფისკოპოზი თავისის პირით ამავე მოწმობას გამაგონებს, მტყუანი ვიქნებო და სიტყვა აღარა მექმნებაო.

მაშინვე სამართლიდამ ამ ზა[ა]ლისშვილს ნიკოლოზს თან კაცი გავატანეთ, იმის ყოვლად სამღვდელოება მთავარეპისკოპოზი პაისიოს თავის სახლებში ბძანდებოდა, მივიდნენ და ჰკითხეს თვითონ ნიკოლოზს; ესეც პირველი მოწმობა უთხრა და დაუმტკიცა.

ამით უმეტეს სიმტყუნეში შევიდა ნიკოლოზ. ამას გარდა სომხითელი სარქისას მოწმობა რომ ჰქონდა, მარტო წერილს არ ვერწმუნენით; ესეც სარქისა მოვაყვანინეთ, თავისის პირით ესეც თავის მოწმობა დაქამტკიცა.

ახლა ჩვენ ამდენის გამოძიებით გამოვიძიეთ. ნიკოლოზს ერთი ნტკიცე საბუთი კელთ არა ეჭირა რა, რომ იმითი იმისთვის ეს პაპუნა ყმათა მიგვეცა. ამ პაპუნას ამისთანა ძლიერ[ი] საბუთები კელთ ეჭირა: მისის სიმაღლის მეფის ოქმი, რომ: ამილახვარო რევაზ, ამ დედაკაცს თავის შვილი მიეცო; მეორე, კიდევ მისის სიმაღლის დედოფლის განაჩენი, რომ გამოძიებით გაუსინჯავს და ზედმიწევნით სამართალი უბრძანებია; მესამე, მისის ყოვლად სამღვდელოს მთა-

<sup>1</sup> ამისთვის. <sup>2</sup> თავის.

ვარეფისკობოზის წერილი და პირით დამოწმება თავის ყურით გაი-  
გონა; მეოთხე, ერთობით თუმანისშვილების მოწმობა, რომ ოცდა-  
ორი წელიწადი კელთუბანს მდგარა, თუკი ყმა იყო<sup>1</sup> ამისი, ამ ოც-  
დაორს წელიწადში რატომ ერთის ქათმითაც არის ვერ იმსახურა;  
მეხუთე, სომხთელის კაცის ათუას მოწმობა.

ამდენის საბუთებს მქონებელი კაცი როგორღა მიწიციემოდა.  
ჩვენის გასინჯულობით და სამართლით ეს კუტი მარიამის შვილი  
პაპუნა განთავისუფლდა, რომ ზაქალისშვილს ნიკოლოზს და არც  
არავის ამის სახლისკაცებს, არც არავის სხვათ ვისმე საქმე არვის  
აქვს. როგორც დედოფლის ყმობა მოუნდომებია, ასევე დედოფლის  
ყმად უნდა ეგოს.

ჩვენის გასინჯულობით ეს სამართალი ესრეთ ვსაჯეთ და ნება  
მისის სიმაღლის კელმწიფე დედოფლისა არის.

დეკემბრის კთ, ქორონიკონს უოე.



სოლომონ

იოსებ

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართველოს, კახეთის და სხვათა  
დედოფალი ბატონის დადიანის ასული ბატონი დარეჯან  
ამ განჩინებას ვამტკიცებთ. დეკემბრის ლ, ქორონიკონს უოე.

დედოფალი  
დარეჯან

## 234. განჩინება მაღალაშვილთა მამულის საქმეზე

1787 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1787 წ. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი.  
44,5×10,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი: ა-მეტ-  
ნაკული.

ქ. სახლთხუციის რევაზის და ადამის და ზურა-  
ზის სასამართლოდ მივედით ჩვენ, ლუარსაბ ბოქოულთ-  
ხუციისი, გიორგი სარდალი; შამოვიყარეთ იასე, გე-  
დევან, ხუციას, ფირან. გავსინჯეთ იმათი საჩივარი.

ერასტი, სეხნია, დებიტა ამას ჩიოდენ. გავშინჯეთ  
ჩვენ და ვალაპარაკეთ. შიოშ<sup>2</sup>, სეხნიას ძმა<sup>3</sup>, მისულიყო ადამის  
ბაღში, ორმოცდაათი ნამყენი მოეჭრა, ხუთასი ვაზი მოეჭრა, ოთხი

<sup>1</sup> იყოს. <sup>2</sup> შიოშს. <sup>3</sup> ძმას.

მარგილი დაეწო. ის ალაგი რაც ან საკმარი არის ან უკმარი არის, ყველა გედევანის ყოფილიყო, ბარათიც ქონდა. მიეყვანათ ადამს და ერასტის პაპუნა მალალას შვილი, ფირან მალალას-შვილი, სხვა გლეხი კაცები და ადამისთვის გე[ე]ცვალა. ადამს მიეცა ნიაბთ სამი ნარქევი და ნახევარი<sup>1</sup> ერასტისათვის, ნახევარი ნარქევი აღარ მოეცა. კიდევ ამ სამს ნარქევში კარიკას-შვილს ცოტა მიწა<sup>2</sup> მ[ო]ეკნა, არ დაენებებინა ერასტისათვის. ახლა ეს ბალის დაჭრა, დაწვა იმაზე მომკლარყო.

ამისი ჩვენ სამართალი უყავით: ამიტომ რომ სასახლის ბალიყო, ცხრა თუმანი გაუჩინეთ. სამი თუმანი ამიტომ ჩაუტარეთ, რომ რაც მიეცა, იმაზე ნახევარი მიწა აკლდა. კარიკასშვილს იმ სამოდლის მიწისაგან არ დ[ა]ენებებინა. ამას გარდა ორი თუმანი სვეტიცხოველს და ბატონს ქათალიკოზს ვაპატივეთ, ერთი თუმანი ჩვენ ვიპატივეთ მოსამართლეთ. სამი თუმანი სეხნიამა და ერასტიმ ადამს გარდუქადოს.

ახლა ის სამი დლის მიწა და ნახევრის ადამ სეხნიას [და] ერასტის მისცეს უკლებელი<sup>3</sup>. ადამს რომ ზაქარიას შვილის მიწა ზვრისთვინ<sup>4</sup> შ[ე]უმატებია, რაც ერთმა კაცმა თქოს, ზაქარიას შვილს პასუხი მისცეს.

კარიკაშვილის ვენაჯზედ რომ ლაპარაკობდენ, ნავიკრი-შვილს(?) რომ თხრილი უქნია, იმ თხრილს იქით ადამს არა აქ[ვ]ს კელი; იმას აქეთ ერასტის ნუ აქ[ვ]ს კელი.

პატარა ნიგოზი რომ დგას, ის ერასტის ქონდეს. სარალ-ქეს რომ ვენაჯისთვის მიწა შეუმატებია, იმის პასუხი ადამ მისცეს.

ერასტის რომ თავის ზ[ვ]რისთვის ღობე გამოუცლია, ღობეს გარეთ ერასტი ნუ ეცილება. ღობეს შიგნით ჯანუას შვილს კელი არ აქ[ვ]ს.

სამის დლის და ნახევრის მიწა რომ მიეცემა ერასტის, ოჩლეური საკმარი და უკმარი სახლთხუცეს და მის ძმებს დარჩეს.

ეს ასე გაგვირიგებია, რომ ერთმანერთ[თ]ან ძმობისა და მოყვრობის მეტი აღარა კელი აქ[ვ]ს<sup>5</sup>. ქორონიკონს უოე. † † 

|        |
|--------|
| კოორგი |
|--------|

<sup>1</sup>ადამს მიეცა. <sup>2</sup>კიდევ. <sup>3</sup> მისცეს. <sup>4</sup>არომ. <sup>5</sup>ერთმანეთთან.

1788 წ. 4 თებერვალი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 28. საბ. № 159. პირი. ქალაღი. მხედრული.

[101v] მისის უმაღლესობისათვის მოეხსენებინა რ ა ტ ი ს-  
შ ვ ი ლ ს ბ ე ჟ ა ნ ს: ამ ოცდახუთს წელიწად წინათ ციხიღამ და-  
ვით რ ა ტ ი ს შ ვ ი ლ მ ა ნ ჯინი გაღმოაგღო და მე თავზედ დამე-  
ცა, რომ კინაღამ მოვკვდი. ეს ჩემი შეწუხება ჩემს მეუღლეს რომ  
სმენოღა, ეღდა ჰსცემოღა, შვიღის თვის ვაჟი მეუღლიღამ ეღდას.  
ცემით მოსწყვეტოღა; ჩემი სიკუღლიღი და ჩემის მეუღლის ეღდას  
ცემა აქამომღე დაღუმებუღი მქონღა. და ახღა დავითის ძმამ შალ-  
ვამ უმეტესი მიყო.

ამას წინაღ მე და შალვა ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ მ ა გ ი ო რ გ ი მ  
გვალაპარაკა, საქართვეღოს მოსამართლენი იან იახღო, განჩინება  
მომცა, ჭაიხოსროული [102] მიწა მე დამანება, იასაული მოვიღა,  
ხელი აუღართა და ის მიწა მე მომბარა; მე აქეთ წამოვეღ, ჩემმა  
შვიღმა მოხნა და ფარცხვა დაუწყყო, შალვა მოვიღა, შვიღის-რვა  
იარაღიანის კაცით მოუხნა ჩემს შვიღს ამ ჩემს მიწაში თოფვატენი-  
ღი, გაღმოუღო სასროღათ და მოსაკვლეღად, საპირისწამღე აეწო  
და არ გამოუღვარღა, თორემ მოკლეღდა; მერე საჩქაროღ საპირის-  
წამღე შეაყარა, მიუხნა ხარებს, ესროღა და მოახვეღრა. რაღგან  
უსამართლოღ ასე მწყვეტღა, იმ პირვეღის სიკუღლიღის სამართალ-  
საც ვითხოვო და ამისასაცაო.

მისს უმაღლესობას ჩუენ, საქართვეღოს მსაჯულთშეკრებიღთა-  
თვის ებრძანებინა: ბეჟან და შალვა ალაპარაკეთო და ჭეშმარიტი სა-  
მართალი მიეცითო. ჩუენ მათის ბრძანებისამებრ შ ა ლ ვ ა რ ა ტ ი ს-  
შ ვ ი ლ ი მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

შ ა ლ ვ ა ასე ჩიოღდა: ეს ოცდაათი წელიწაღია ჩემმა ძმამ  
დავითმა ციხიღამ ცარიელი ჯინი გაღმოაგღო და უნებუღრად ამას  
დაეცა, მაშინვე იმისთვის არ უჩივღია და ახღა თუ ოცდაათის წღის  
უნებუღრს საქმეს სამართალი შემოიტანს [v], ნება გაგქვსთო; და ჭაი-  
ხოსროული მიწა — სამოცი წელიწაღია მოღავე არავინ იყო — მე  
მჭერიღა, მოხნა და ფარცხვეღდა; უთხარ: ნუ ფარცხავ, კიღვე სამართ-  
ლიღამ შევიტყობ ამ მიწის ვითარებას და ისე დაფარცხე. არ მის-  
მინა, უმეტესაღ ფარცხვა დაუწყყო. მე ეს ღიღათ მეწყინა, ორს ხარს  
თოფი ვესროღე და ამ გაბრიელისათვის არც სასროღოდ მღომე-

ბია და არც ამისთვის გამიმართავს მოსახვედრად და არც საპირისწამლე ამწვიანო.

გ ა ბ რ ი ე ლ მ ა ნ მ ი უ გ ო : შენ რომ შვიდის იარაღიანის კაცით რომ მომახე, მე შემოგეხვეწე: სამართალმან და იასაულმან ეს მიწა მე მომაბარა, დავფარცხავ და თუ სამართლით შენ დაგრჩეს, შენვე მომკე, შენი იყოსო. მაინც არა ჰქენ; პირველად მე მოსაკუთლელად გამომიმეტე, თოფი გამართე, უნდა გესროლა, საპირისწამლე აგეწო და აღარ გამოგივარდა, ღმერთმან დამიფარა მე, რომ ღმრთის მადლით სიკუდილს მოვრჩი; მიუხე ჩემს ხარებს საჩქაროთ, საპირისწამლე და[ა]ყარე, ესროლე და მოახვედრეო.

ჩვენ რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ, ეს სამართალი მივეცით: თუ ბეჟან იმ პირველს ჩივილს არ დაიშლის და ასეთს მტკიცეს საბუთს მოიტანს, [103] რომ იმ მტკიცეს საბუთით სამართალი მიეცემოდეს, მაშინ იმ ჯინის დაცემის სამართალიც მიეცემა.

და ის ქაიხოსროული მიწა ბეჟანს სამართლით რომ მისცემია, რომ იმ მიცემა ჰეშმარიტი არის, რომ თითონ ამ შალვას მამის მოწმობის წერილი აღმოვიკითხეთ, რომელშიაც იმ მიწას ბეჟანის წილად აცხადებდა. რადგან სამართალში აღმოჩნდა, რომ ის მიწა ბეჟანისა ყოფილა, შალვა შვიდის-რვა კაცით და იარაღებით არ უნდა მიხდომოდა; და რადგან თავის მამულში მიუხდა, უნდა მიხდომის სისხლი მისცეს შალვამ ბეჟანს.

სანატრელი მე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ მოცდაცამეტს რიცხვში ასე ბრძანებს: თუ უსახლოდ და უცოლშვილოდ სხვას თავის მამულში იყოს და ისე მიუხდეს და დამხდომი მოკუდეს, სისხლი და სისხლის მესამედი მისცესო.

რადგან შვიდის-რვა კაცით და იარაღებით მისულა და მაშინვე ეს შფოთი აუტეხია, მიხდომად დაიდვა შალვა და უნდა მიხდომისათვის სანატრელის<sup>1</sup> მეფის ვახტანგის სამართლისაებრ სისხლის მესამედი მოსცეს შალვამ ბეჟანს.

მისის უმაღლესობის ბრძანებით ბეჟან მესამე თავადათ არის აღრიცხული. მესამე [V] თავადის სისხლი არის სამასოთხმოცდაოთხი თუმანი; ამის მესამედი იქნება ასოცდარვა თუმანი. ეს უნდა შალვამ ბეჟანს მოსცეს მიხდომისათვის.

და გაბრიელ რომ ეწამება თოფი მომიღე, სასიკუდილოდ გამომიმეტე, ღმერთმან დამიფარა და არ გამოგივარდაო, შალვა აწორო არის: არც თოფი შენთვის მომიღია სასიკუდილოდ და არც შენს მოღებაზე საპირისწამლე ამიწვიანო.

<sup>1</sup>სანატრელის.

რადგან ასე აშოროს არის შალვა, ბეჟანმა ოთხი თავისი ტოლი მესამე თავადი შეუგდოს, ექვსი აზნაურშვილი, რვა მსახური. ოთხი მესამე თავადიღამ ორი იშოვოს; ექვსის აზნაურიღამ ორი იშოვოს და რვა მსახურიღამ ოთხი იშო[ვოს]. წადგეს შალვა ამ რვა შეგდებულის კაცით და ასე ფუცოს. «ამის მადლმა, თქვას ბეჟან, მე შენის შვილისათვის არც თოფი გამიმართავს სასროლად და არც იმის სასროლად გამართებაში საპირისწამლე ამწოდეს».

თუ ასე ფუცა, ბეჟან თოფის აწვისას ველარას შეუვა შალვას და ასოცდარვა თუმნის მეტს აღარას მისცემს. და თუ ამ მოწმე[ე]ბით ასე ვერ ფუცა, უნდა მთელი სისხლი მოსცეს შალვამ [104] ბეჟანს. ბეჟანის მთელი სისხლი არის სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი. თუ ზემორე მოხსენებულისებრ ვერ შეჰფიცა შალვამ, ეს სამას ოთხმოცდაოთხი თუმანიც უნდა მისცეს. და თუ შეჰფიცა, ასოცდარვა თუმანი უნდა მისცეს შალვამ ბეჟანს.


ყ ა ფ ლ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ო ბ ე ჟ ა ნ და ბოქოულთხუცესო თ უ ხ ა რ ე ლ ო გ ი ო რ გ ი! მისის უმაღლესობისაგან ამათის მოასილობის ბრძანება თქვენ გქონდათ, თქვენ ასე აღასრულეთ.

რომელიც ამათ იჩივლეს, იმ ჩივილისებრ ჩუენ ეს სამართალი დაესწერეთ სანატრელის მეფის ვახტანგის სამართლისაგანა. და ნება მათის უმაღლესობის ასრულდეს<sup>1</sup>.

ფებერელის დ, ქორონიკონს უოვ.



თაჟში:

ჩვენ, მე ფ ე მ ე ო რ ე ი რ ა კ ლ ი ამ სამართალს ვამტკიცებთ, როგორც სამართალი მიუციათ. იასაულო! ეს ასე აღასრულე-მარტ[ის] კდ, ქორონიკონს უოვ. 

ჩვენ, საქართველოს უფლისწული მე ფ ი ს ძ ე გ ი ო რ გ ი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ფებერელის კა, ქორონიკონს უოვ.



<sup>1</sup> სრულდინ.

ტსა. ფ. 1450. დავთ. № 1. საბ. № 32. პირი. ქალაღი. მხედრული.

[50v] საქართუ[ე]ლოს უფლისწულს ბატონის შვილს გიორგის ჩუენ. საქართუ[ე]ლოს მსაჯულთშეკრებილთათვის ებქანებინა: ლუარსაბ ყაფლანის შვილი<sup>1</sup> და შაქარა მელიქი დავითაძე რომ დაობენო, ორნივე ერთად ალაპარაკეთ და ჰეშმარიტი სამართალი მიეცითო.

ჩუენ მათის ბრძანებისაებრ შაქარა და ლუარსაბ ვალაპარაკეთ.

ლუარსაბ<sup>2</sup> ასე ჩიოდა: ოსმალობიღამ მოკიდებული ამ ეჟამდინ ეს დავითა მამა-პაპით ჩვენი ყმანი იყვენენო და გვემსახურებოდნენ და დღეისამდინ ჩვენის ყმობის უარი არ უთქომს, რომ ბართშიაც მე მერგო.

შაქარა მელიქი ასე მიუგებდა: ოსმალობას უწინც ჩვენი მკვიდრი [51] ყმანი<sup>3</sup> იყვენენ და ოსმალობას აქეთაც რომ არბაბობას არეულობა შეიქნა და იმ არეულობაში ეს დავითა აიყარა. ჯავახეთს გადავიდა და იქიღამ აქ გაღმოვიდა. მე ამასთან ამ დავითას ყოფნა არ ვიცოღი, ახლა შევიტყე და სამართლით ვეღავებიო.

ჩუენ რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ, ორსავე მხარეს მოწმე[ე]ბი მოვითხოვეთ და ორსავე მხრიღან მოწმე[ე]ბი წამოდგენენ სამართალში, მაგრამ ამ შაქარას მოყვანილი მოწმე[ე]ბი უფრო ძლიერი მოწმე[ე]ბი იყვენენ, რომ არღვისელათაც აცხადებდნენ ამ დავითას და ოსმალობას არღვის[ს] მსახლობელათაც და არბაბობას აყრიღათაც. მაგრამ ჩვენ უფრო ჰეშმარიტის საცნობად ზაალიას ფიცო დავადევათ. წადგეს ეს ზაალია და ასე ფუცოს: «ამისმა მადღმა, თქვას, ეს დავითა არღველიც იყოს, ოსმალობას არღვის[ს]აც სახლებოდეს, ხარჯიც ამ ზაალიას ერთმიოს და არბაბის აპყროღეს, რომ არბაბობამდინ არღვის[ს] სახლებულიყოს». თუ ეს ასე ფუცა ამ ზა[ა]ლიამ, ყაფლანისშვილი ლუარსაბ ვერას შეუვა; და თუ ასე ვერ ფუცა, ყაფლანისშვილს ლუარსაბს დარჩება.

ამისი მოასილი შენ ხარ ციცის შვილო ამიღღაბარ, ეს ასე აღ[ა]სრულე. ფებერვლის კ, ქორონიკონს უოვ.

რადგან ეს ზაალია ასე მოწმობს [v]: არბაბობამდინ ეს ჩითა-

1 ყაფლანისშვილს. 2 ლუარსაბს. 3 ყმანი.



ხ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ა არდავის[ს] ესახლაო, ხარჯს თითონ მე  
ვართმევდიო და არბაბობას აიყარა, რადგან ეს საქმე ამათ მოწმობაზე  
იყო მოკიდებული და ამან ასე იმოწმა, ზაალიამ წადგეს და  
ასე ფუცოს, რომ: «მკუიდრი<sup>1</sup> არდაველიც იყოს, არბაბობამდინ არ-  
დაველს სახლებულიყოს». თუ ეს ასე ფუცა, ეს ჩითახაშვილი და-  
ვითა მელიქ შაქარას ყმად დარჩება. და თუ ეს ასე ვერ ფუცა, ლუ-  
არსაბ ყაფლანისშვილს დარჩება



ს უ ლ ე ი მ ა ნ ქ ე ვ ხ ა მ ფიცით ასე იმოწმა: ჩითახაშვილი  
დავითასა მამა<sup>2</sup>-პაპა ოსმალობას არდავის[ს] იყვნენ, სახლის ალაგიც  
იქ აქვს, წისქვილიც სოფლის ბოლოს აქვს, ორი საყდარი აქვს —  
ერთი სოფელში, ერთი საყდარიც ბაღში ჰქონდა; არბაბობამდინ იქ  
იყვნენ<sup>3</sup> და იქაურიც არის; და ნება სამართლისა არისო. ამ დავი-  
თას მამას ტ ე რ - მ ე ლ ი ქ ს ე თ ა ე რ ქ ო .

ი მ ნ ა ყ უ ლ ა მ ასე იმოწმა: ჩითახაშვილი დავითა არდველი  
არის, ოსმალობას იქ მინახავს, სახლიც არდავის[ს] ჰქონდა, ორი საყ-  
დარი ჰქონდა — ერთი სოფელში და ერთი ბაღში; წისქვილიც სოფ-  
ლის ბოლოს ჰქონდა, არბობ[ა]მდინ იქ ყოფილან, იმას აქეთ არ ვი-  
ცი, სად ყოფილა; ამ დავითას [52] პაპას ჩ ი თ ა ხ ა ე რ ქ ო , მამას  
მ ე ლ ქ ი ს ე თ ე რ ქ ო .

ზ ა ა ლ ი ა მ ასე იმოწმა: ეს დავითა არდაველი არისო, არდა-  
ვის[ს] ორი საყდარი აქეთ — ერთი სოფელში და ერთი ბაღში, წის-  
ქვილი სოფლის ბოლოს აქვს; პაპას ჩითახა ე რ ქ ო , მამას მელიქისე-  
თა ე რ ქ ო , ოსმალობას, ყიზილბაშობას იქ ყოფილან, ხარჯი მირთმე-  
ვიაო, არბაბობამდინ იქ იყვნენ, არბაბობას აქეთ არ ვიცი, სად ყო-  
ფილანო.

ეს მოწმობა სამთავე ფიცით იმოწმეს. ჩვენ ფეთხანინს ყველა-  
წმინდის ღმრთისმშობლის კრებული ასე მოგახსენებ, რომ ზაალიამ  
მოვიდა და იფიცა.

მ ე ა მ ი ლ დ ა მ ბ ა რ <sup>1</sup> . ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ამისი მოწამე ვარ,  
რომ ი[ა]ს[ა]ულიც მე ვიყავ, მელიქს დარჩა ეს კაცი, იმ კაცებმა  
დ[ა]იფიცეს. ზღრთუა.

1 მკურდი. 2 მამამა. 3 იყვნენი. 4 ამილაღარა.

1788 წ. 28 თებერვალი

; ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 10. საბ. № 157. პირი. ქალაღი. მხედრული.

[172v] ფეთხანის ხუციანთს რაპიონა შვილის ტეროსეფას ქერივს მარიაშს ეჩივლა ბატონს მელიქს ავეტიქასთან: ჩემი პატრონი ტეროსეფა რომ მიიცვალა, მე ერთი ვაჟი და ერთი ქალი ობლები დამრჩენნო, ის ვაჟიც მამიკუდაო და ქალიც ჩემის სამშობლოანთგან მოცემულის მზითვით გამითხოვებიაო და ჩემის პატრონისა ამ ერთის პატარა სახლის მეტი არა აქრის რაო დარჩომილი და ამ სახლზედაც მბლადი ხარჯი მაქვსო. ამის სამართალს ვითხოვო.

[178] ბატონს მელიქს ავეტიქას ჩვენ, ახპატის მონასტრის არქიფისკოპოზს დავითსა და ჩვენის მონასტრის კერძო ეკლესიების დეკანოზებთან გამოგვზავნა: ამათი საჩივარი თქვენ გასინჯეთ და სამართალი მიეცითო.

ჩვენ ეს ტეროსეფას ქერივი და მისი მზლი ტერმიკირტიჩა სამართალში ვალაპარაკეთ.

ტერმიკირტიჩა [მ] ასე სთქვა: მე მაგისი ქმრისა გაყრილი ვარო და არცარა სიტყვა მაქვსო. მაგასთან თავისი პატრონის თუ რამ ყოფილა, სახლი თუ სხვა რამ, ის ყოფილა იმათი. და რაც სამწყსო გვეყანდა, ის გაუყოფარი იყოო, და ის მე მყავს. იმას ვაჟი-შვილი მოუყუდა, სამწყსოდამ ვის რა საქმე აქვსო. და მას გარდა არაფერი სადავო არა მაქვს რაო.

ჩვენ ამ ტეროსეფას ქერივის საჩივარი რომ მოვისმინეთ, ასე ჩიოდა: მე რომ დამნიშნესო, ჩემმა სამშობლოანთ ნიშნის მომტანს მისცეს ჳ (ორი თუმანი), ჩემს პატრონს ტანისამოსი უყვეს. რამდენსამე ხანს უკან გაყიდეს, დადგა ი (ათი თუმანი). ჩემმა სამშობლოანთ ჩემი პატრონი დაჰპატიეეს. იმ დღეს პირისსანახავი ვიშოვე ოქრო, ისიც თავიანთ ვალში მისცეს (ხუთი თუმანი); ჩემი მზითვის ჩამოსავლები და შამშები გამიყიდეს და თავიანთ ვალში მისცეს იბ (თორმეტი თუმანი); ჩემის მზითვის ვერცხლის თასი, ჭამარი და ოქროს ლილი გამიყიდეს და დახარჯეს ჳ (სამი თუმანი). ეს ზემოთ ამისი ნათქვამი ხარჯი შეიქნა ლბ (ოცდათორმეტი თუმანი).

ამას გარდა კიდევ ჩიოდა: ჩემს დედამთილზე დავხარჯე ა ც (ერთი თუმანი და ორი მინალთუნი); ტერმზითრამ კალი გამამარ-

თვა  $\widehat{\text{ვ}} \text{ჭ}$  (ერთი თუმანი და რვა მინალთუნი); ჩემის პატრონის სიკვ-  
დილი რომ გამიმეღავენეს) ჩემის მზითვისა ერთი ზელი მურასა ტა-  
ნისამოსს გარდა რომ გავყიდე, სხვა ვალიც ავიღე და დავხარჯე  $\widehat{\text{დ}}$   
(ოთხი თუმანი); ლომანთ გიორგის ვალი იყო, რომ მე გამამართვა  $\text{ჭ}$   
(ხუთი მინალთუნი); ჩემის სამშობლოანთ ბიქის ვალიც გამამერ-  
თმევა  $\widehat{\text{ფ}}$  (ორი თუმანი); ჩემის პატრონისაგან ქალი რომ დამრჩა, ჩე-  
მის მზითვით გავათხოვე  $\widehat{\text{მ}}$  (ორმოცი თუმანი); ჩემის სიძისათვის ამა-  
ნათი გაეტანებინა მამაჩემს, გზაზე მტრისაგან გაცარცულიყო, იმი-  
სი ვალი მიეცა  $\widehat{\text{ნ}}$  (თორმეტი თუმანი); ამაგების ჯამიც შეიქნა  $\widehat{\text{ხ}} \text{ჭ}$   
(სამოცდაერთი თუმანი და ხუთი მინალთუნი). ეს ზემო თეტრები  
სულ ჩემის მზითვისა და ჩემის სამშობლოანთაგან გამოტანილი  
დამხარჯვია და გამიკუჭებიაო. ამ ხარჯებისაც კიდევ ვალი დამედ-  
ვა  $\widehat{\text{ლ}}$  (ოცდათერთმეტი თუმანი).

ახლა [174] მე რომ მეტად გამიჭირდა, გავთხოვდი; მედაბურე  
ნიკოლოზა შევირთვე, იმისგან ერთი ვაყიშვილი დამრჩა. ამ  
დარჩომილის ოცდაათი თუმნის მოვალისაგან რომ შეწუხებული ვი-  
ყავი, იმისთვის ამ ჩემის მეორე პატრონის სახლი გაიყიდა და ის  
ვალი მიეცა.

და მე და ჩემი შვილი რომ უსახლოთ დავრჩით, მოვედით ჩე-  
მის პირველის პატრონის დარჩომილის სახლში დავდექით. იმ ჩე-  
მის პირველის პატრონისაგან დარჩომილი ვაყიშვილის ვალი მივე-  
ცი და სახლი დავიხსენ  $\widehat{\text{ე}} \text{ც}$  (ხუთი თუმანი და ორი მინალთუნი).

კიდევ ამ ვაყის სიკვდილის ამბავი რომ მოიტანეს, იმ დღეს და-  
მეხარჯა  $\text{ჭ}$  (ხუთი მინალთუნი). ამავე ვაყის ვალი ივან გულანთ  
ფარსადანამ გამამართო თამასუქით  $\widehat{\text{ფ}} \text{წ}$  (ორი თუმანი და ოთხი  
მინალთუნი).

ამაებს გარდა რაც ამ სახლში ჩვენ რომ მოვედით, ამ სახლზე  
დაგვხარჯვია შენობაზე, რომ სახელ-სახელდობ დაწერილი სია ჰქო-  
ნოდა, იყო  $\widehat{\text{ფ}} \text{ძფ}$  (შვიდი თუმანი, სამი მინალთუნი და ათი შაურა).

მე ასე და ამდენა მწუხარება მამდგომიაო, არც სარჩო მქონია  
იმ ჩემის პატრონისაგან და არც სამარჩაო: და მიცვალბულნიც  
სულაუხსნელნი [v] არიან და იმათი ვალიც თავს მაძესო. ის ჩემი  
პატრონიც სახასო რაიათი იყო: და ეს ჩემი მეორე ქპრისაგან დარ-  
ჩომილი ვაყიშვილი სტეფანაც სახასო ყმა არისო; და ამის  
სახლიც ამ თეტრების მიზეზ[ზე] დარჩომილი ვალისათვის არის გას-  
ყადულიო. ამ ერთს მცირედის სახლას მეტი ჩემთვის ნუგეში არ  
ჩანს, რომ ამისი სამართალი მადირსეთო. რომ ეს ერთი ჩემის ცოდ-

ვის ფასი ვაყიშვილი დამრჩომია, ეს არც მე შვილად დამეკარგოს და არც ქალაქს რაიათადაო. ამდენის ჩემის ხარჯის თანხათ ამ სახლის მეტი არა ჩანს რაო. და ეს სახლი ამ ჩემს შვილს სტეფანას გაუახლეთო.

ჩვენ ამისი საჩივარი ასე მოვისმინეთ და თქვენ, ბატონს მელიქს, ამ წერილით მოგახსენეთ. და მისი მაზლი ტერ-მიკირტიჩაც განთავისუფლდა — მე ამათთან სალაპარაკო არა მაქვს რაო. და ახლა ამისი უმჯობესი საქმე თქვენ მოგეხსენებათ; და ამ სახლის საქმე როგორც [17ა] გნებავდესთ, ისე დაუმტკიცეთ.

თებერვალს კჳ, ქორონიკონს უოვ.



ამ სახლთან არც სადავო მქონია და არც ამას იქითა მაქვს სადავო; სახლი როგორც უნდოდეს, ისე მოიხმაროს. მე, ფეთხანის ტერ-მიკირტიჩა, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს † ტერ მიკირტიჩამ] წიგნი არ იცოდა და მე ტერ-არაქელამ დავწერე იმის ყაბულობით.



ამ წიგნის მოწმე ვარ რომ ასე ვარიგდა. ბანდა ისაი ძე მკრტუმთაყუანთი.



ზემო ტერ-მიკირტიჩას იორარით მოწამე ვარ მიკირტუმას შვილი ოსეფ.



ამ წიგნის მოწამე ვარ შაბუღაღანთ ესტატეს შვილა დავით.

ქ. მე, აშხარბეგ ამათ ლაპარაკში ასე დამხდური ვარ.



ქ. მელიქ-მამასახლისი ავეტიქა ამისი მოწამე ვარ.



ეს სახლი ტერ-მიკირტიჩას უთავაზეთ, რომ თუ უნდოდეს, ეს ვალი მისცეს და სახლი თითონ დაინებიოს. ამან არ ინდობა და თავისის ნებით ხელი აიღო. და ამ ღედაკაცს დარჩა. ტერ-მიკირტიჩას და იმის შვილებს იმასთან ხელი არა აქვსთ.



სელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 615. დედანი. ქაღალდი. 32×21 სმ. დაზიანებული. კიდევები ალაგ-ალაგ ჩამოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

## [არზა]

ქ. ღმერთმან მისის სიმადლის მსაჯულთშეკრებულების ჳირი მოსცეს მაღალაშვილს სიონს. მერე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს. ელისაბედ ბატონის შვილი რომ წაიყუანეს, იმჟამად ცხინვალს გახლდი. იმერელს ხუცესს ერთი პატარა ბიჭი გადმოყოლოდა იმერეთიდან. მე იმჟამად ვკითხულობდი[ი], რომ მეშოვნა ვინმე მოსამსახურედ. იმ ხუცესმა მ[ით]ხრა, რომ ერთი პატარა ბიჭი მე გადმამყვაო, ა[რც] მამა ჰყავსო და არც დედაო, და თუ კარგათ შეინ[ახავ]ო, მე შეგაპირებ ამ იმერელს ბიჭსაო.

იმ ხუცეს[ს] ერთი დარაია ვაჩუქე და ის ბიჭი შემამაპირა და იმ ბიჭმაც ღმრთის ფიცი მამცა, რომ მე შენს მეტი ბატონი არავინ მინდოდესო. ის ბიჭი იყო ჩემთანა, თოთხმეტი წელიწადი ჩემთან იყო განუშორებლად, რომ მე მახლდა შინა თუ კარში.

გამეპარა და კახეთს ცოლი შეერთო, ის ცოლი მოკდომოდა. ჩამოვიდა და მ[ი]თხრა: მე რომ შენთან ღმრთის ფიცი მაქვსო, კეთილი [არა] დამემართა რაო და ისევ შენი ყმა და მოსამსახურე ვაქნებ[ი]ო, რომ შენს მეტი ბატონი არავინ მინდაო.

იმ ქვ[რი]ობაში მაგ გლახას დედაკაცის ქალი აეჩემებინა ამ ქალაქშია და შეერთო ცოლად. აქ რომ საოფლე გამოჩნდა და ქალაქი აიყარა, იმ ჟამად მოვიდა ის ბიჭი ჩემთანა, შემამეხვეწა რომე, შენს მეტი პატრონი არავინა მყავსო და მიშველე რამეო და ზევით წაგ[ე]ყვანე ხიზნითაო.

ავდექ, ცხენები ჩამოუსხი, შამოველ სნეულებაში, ხიზნით აყარე, შავსხი ცხენებზედა და შინ მივიყუანე ეგ სიდედრიცა, ის უწინდელ ცოლთან რომ გოგო ჰყავდა, მაგ დედაკაცის ქალიც — ესენი მიმიყვანია შინა და ერთი წელიწადი ულუფა მიძლევია და ისე შემინახავს.

<sup>1</sup> ცხენები.

თუ კი ყმათ არ მამსლოდა ან აქ სწეულებაში<sup>1</sup> რათ ჩამოვიდო-  
დი და ან იქ ამ ჭაფას რათ გავწევიდი? ეგ დედაკაცი გლახობას და-  
ჩვეული იყო, არ დამიყენა, დამტაცა; ის ბიჭიც საცალა გა[ა]გლო,  
მამაკლა. ახლა ფოგო ოქუ აშვილის ა[თვის] მიუცი[ა] და ეგ  
ბიჭი შინა ჰყავს.

რომელს კაცს წართმევია თავ[ისი] მსახურის შვილები სიდედ-  
რისაგან, რომ ეგ მედავება? მრავალს კაცს [ჰყ]ავს ასე მისული კა-  
ცი, თუ სხვა მებატონე არ გამოუჩნდა, მოყვარე ვერ წა[ა]რთმევს.  
ეს საქმე ასე არის და ნება თქვენის ბრწყინვალეებისა აღსრულდეს.  
მაისის დ, ქორონიკონს უოვ.

### [განჩინება]

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებილებ[ა] ამას განვაჩინთ. თუ  
ამ სვიმონის მოხსენება სამართლის მომართ ჭეშმარიტი არის, რომ  
პირველად ამას მოსვლია და ყმობია და სვიმონს ეს ჭირნახული  
დაუცს და მეორედაც ამასთან მოსულა და ამის ყმობაში მომკუდა-  
რა, რაც ობლები დარჩომია იმ კაცს, ამ სვიმონისა არას.

და თუ ეს მოხსენება ჭეშმარიტი არ არის და იმ სვიმონთან  
არც პირველ მოსულა, არც მეორედ და არც ეს ჭირნახული დაუცს  
სვიმონს იმ კაცზე, ვერას შეუვა.

და თუ სხვა მოდავე გამოჩნდება ვინმე და იტყვის: სვიმონს არ  
მოსვლია. არცარა ჭირნახული დაუცს [სვიმონ]ს იმ კაცზე, მოსული-  
თაც მე მომივიდა, ჭირნახულიც მე დამიცს; თუ ასეთს საბუთს  
უზამს. მაშინ სამართლით სვიმონს ჩამოვართმევთ და იმას მიეცემთ.

და თუ მოდავე არავინ გამოჩნდება და ამისთანა საბუთს ვე-  
რას უზამს. ეს ობლები ამ სვიმონ მაღალაშვილს არ ჩამოერთმევა.

ამისი მოასილი, პეტრე, შენ ხარ? ეს ასე აღასრულე. [მა]ისის  
თ, ქორონიკონს უოვ.

ოთხი ბეკედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა  
ნიკოლოზ.

2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარ-  
ჯულად, ქაიხოსრო.

3. დივანბეგი

<sup>1</sup> სწეულეზიაში. 2-ქმენ ხარ.

4. იწამეთ ოდეს სახიერისთვის ძელი გამოჩნდა დასჯად მტერისთვის.

ქ. მისის უმაღლესობის ბრძანებით მდივანბეგების სამართალში მე, ბოქოულთხუცესმა პათუამ, ეს და ამის 'მოდავე სამართალში მივიყვანე და მდივანბეგებმან ეს სამართალი მისცეს...'

ბეჰელი: მონა ლთისა პაპუა.

### 239. ბაქინეზა აზილდაზარ სიციხვილისა და იოანე ბოგველის შვის საქმეჲ

1766 წ. 15 მაისა

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 37. საბ. № 189. პირი. ქალაღი. მხედრული.

[94] მისის უმაღლესობისათვის მოეხსენებინა ამი[ლდა]ბარციციშვილს: მირაქაშვილი ა[რუ]თინა მუსხელიაშვილისაგან გლახა ციციშვილს უყიდა, გლახას ობოლი ქალი მე შევირთე. სხვა არა ჰქონდათ რა, ეს მირაქაშვილი მზითვად გამოატანეს და ნასყიდობის წიგნიც მომცეს. იმხანად ეს მირაქაშვილი კახეთს იყო: იოანე ბოგველმან კახეთიდან თავისი კაცები აპყარა, ეს ჩემი კაციც აიყარა, თან გამოყვა, იოანესთან იყო. იოანემ ბატონისშვილს მოახსენა: ეს კაცი უპატრონო არის, მე მიბოძე, უბოძა. ეს რომ შევიტყე, მაშინვე იოანეს ჩივილო დაუწყე: იოანეს აღარ დასცალდა. ახლა ამ ჩემს მზითვეს იოანე ბოგველის სიდედრი [V]მიყიდის, სამართალი მაღირსეთო.

მისს უმაღლესობას ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებათათვის ოქმით ებრძანა, სამართალი მიეცითო. მისის უმაღლესობის ბრძანებით ამის უწინარეს მირაქაშვილის არუთინას შვილი ოსეფა მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ოსეფა ასე ჩიოდა: ბეითალმად ვიყავ. კახეთიდან იოანემ ამყარა, აქ მომიყვანა და ბატონისშვილმან იოანეს უბოძა ჩემი თავი და იოანეს ვემსახურებოდითო.

ამათ რომ ასე იჩივლეს, ეს სამართალი მივეცი: რადგან ეს მირაქაშვილი გლახა ციციშვილის ნასყიდი ყოფილა და თავისი ნასყიდი კაცი მზითვად გაუტანებია, ვერავინ რას შეუვა. თავის ნას-

\* თვე, რიცხვი და ქორონიონი არ ირჩევა.

ყიდს თუნდა გაყიდის, თუნდა მზითვად გაატანს, უყიდია და მზითვად გაუტანებია.

რადგან მისს უმაღლესობას მოწყალებით უბრძანებია, თუ სანართლით მიეცემოდეს, მიეცითო; სამართლით მიეცა და ნება მისის უმაღლესობის ასრულდეს<sup>1</sup>.

თუ ლაშვილო ყაფიზაშო ბერო! თუ მისის უმაღლესობის ნება იქნებოდეს, [ამ განაჩენით ეს] ოსეთა თავისის ძმისწულებით ამილღაბარს მოაბარე.

მაისის იე, ქორონიკონს უოვ.



თავში:

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე ამ განაჩენს ვამტკიცებთ. დეკემბერს ღა, ქორონიკონს უოა.



## 240. განჩინება ირაკლი II-ისა ენდრონიკაანთ და ვაჩნაძიანთ

გაგულის საჩხეჳე

1786 წ. 20 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14036. დედანი. ქაღალდი. 43,8×20,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე და წერტილი.

ქ. ენდრონიკაანი და ვაჩნაძიანი კოლაქსა და ეჭინს შუა მიჯნებზე ჩიოდენ. ჩვენ, მეფე მან ქართლისა და კახეთისამან ირაკლი მეორე მან, ამათი სარჩელი მოვისმინეთ და ეს სადაო მიჯნებიც ჩვენის თვალით ვნახეთ.

ვაჩნაძიანი ამბობდენ: მახოშვილები რომ სახლობენ, იმას ზემოდან წვერზე რომ მოციქულთ საყდარი არისო და იმის სისწვრივ კოდის თავში რომ დიდი ქვა ზისო და იმის დასწორ ჯანიანის მინდვრის ბოლოს ქუთუცისის ნასაყდრალი არის, ალაზნამდის ამის ქვემოთ ჩვენ ვაჩნაძიანთი არისო და ზემოთის მხრისაკენ საენდრონიკო არისო.

ენდრონიკაანი უპასუხებდენ: ეს საყდარიც ჩვენი არისო და რომელიც დღეს ჩვენ კელთ გვიჭირავს, თქვენ არაფე-

<sup>1</sup> სრულებად. 2 ენდრონიკიანი.



რი სადაო არა გაქვსთ რაო. და ო ლ ე ს გაღმა სადამდისაც ოლე  
ა ლ ა ზ ა ნ ს შეეყრება, ჩვენი მამულში არისო.

ამაზე ბევრი სარჩელი ჰქონდათ. და ჩვენ მოციქულთ საყდრი-  
დან<sup>1</sup> მწიგნობარი გავგზავნეთ, რომელსაც საყდარზე დაწერილი აღ-  
მოეკითხა — ვაჩნაძიანთ ავაშენეთო. ვაჩნაძე თუ არ თავის მამულ-  
ში, ენდრონიკაანთ მამულში საყდარს არ ააშენებდა. მაგრამ რად-  
განაც ენდრონიკაანთ დღეს მამული ხელთ უჭირავსთ, ფიცი სამარ-  
თლით ენდრონიკაანთ დავადევით.

ენდრონიკაშვილებმა მიიყვანონ ვეჯინელნი ექვთი მოძღვრიანი  
კაცნი და იმ ქვეყნობაზე მოჰთაბარნი. იმ ექვსმა კაცმა ხატი აისვე-  
ნონ. ამ სადაოს მამულზე, სადაც ეფიცებოდესთ, შედგნენ ენდრონი-  
კაშვილები\*, რომელთაც ამ მამულში წილი უძესთ, უკან მიჰყენენ  
და ალაზნამდის ოლეს გაღმა და გამოღმა ჩაიფიცონ.

ამ ფიცით თქვან: «ამისმა მადღმა და გამაცხოველებელმა ღმერ-  
თმა, ვაჩნაძიანო, ამას ზემოთ ვეჯინის მხრისაკენ საენდრონიკო არის  
და ქვემოთ კოლაკის მხრისაკენ სავაჩნაძო. და ეს ოლეს გაღმა ალაზ-  
ნამდის საენდრონიკო არის, ვაჩნაძიანთ სამამულედ კელი არა  
გაქვსთ».

თუ ასე დაიფიცეს, დარჩებათ ენდრონიკაანთ. და ეს დაფიცე-  
ბული მამული კელახლა უნდა გაიმიჯნოს. და თუ ვერ დაიფიცეს,  
დარჩებათ ვაჩნაძიანთ, რომელიც ამ განაჩენში მიჯნები მოუხსენე-  
ბიათ ამ მიჯნებით.

იასაულო საგარეჯოს მოურაო ჯ ა მ ა ს პ ი და ასისთაო და ანა-  
გის ქევხავ! ეს ასე აღასრულე. რომელსაც მხარეს ეს სადაო მამუ-  
ლი დარჩეს, ამ განჩინებისაებრ კელი ამართე, მიჯნები ჩაუსხი და  
დაანებე. მაისის კვ, ქორონიკონს უოვ.

იქით პირზე ერთი ლექსი მწერალმა წაეშალე.

ქ. ენდრონიკაანნი მივიდნენ ამ სადაოს მამულში, თავიანთ  
გლებნი კაცნი მიიყვანონ. აგრევე ვაჩნაძიანნიც მივიდნენ თავეთის  
გლების კაცით. ენდრონიკაანთ უთხრან თავეთს ყმათ, თუ: «ან<sup>2</sup> მამა-  
პაპათაგან გავგეგონოსთ და ან თქვენ იცოდეთ როგორმე, რომ ეს მა-  
მული ჩვენი არ იყოს, ნუ დაიფიცავთ». თუ დადგნენ და თქვან

<sup>1</sup> საყდარდან. <sup>2</sup> ან.

\* ამის შემდეგ ერთი სიტყვა წაშლილია.

«ჩვენი მამული არის და კიდევ დავიფიცავთო», როგორც ამ განა-  
ჩენში სწერია, დაიფიცონ და წაიღონ.

და თუ ვერ დაიფიცავენ, დარჩებათ ვაჩნაძიანთ, როგორც] გა-  
ნაჩენში სწერია.

ბეჭადი: მე ფეხთგანბანილთა შივრ ეკლესია ვადიდე, ერეკლე

## 241. განჩინება მელიქი ავეტიქასა და ოსეფა ნაზარბეგის აბანოს საქმეზე

1788 წ. 20 მაისი

ცსს. ფ. 1450. დავთ. № 22. საბ. № 69. პირი. ქალაღი. მხედრული.

[87v] მისის უმაღლესობისათვის მელიქს ავეტიქას არზა მიერთმევიანა: ნაზარბეგის შვილი ოსეფა აქა-იქ ლა-  
პარაკობს, ხოჯას აბანო ეჩმიაძინისა არისო, მღვივანბეგებზე ოქმი მიბოძეთ, რომ ეფისკოპოზნი, დეკანოზები და ქეთხუდები დაისწრან, ოსეფას ლაპარაკი გაშინჯონ, რომ ეს ხმა საბოლოოდ არ დარჩეს.

მის უმაღლესობას ჩუენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილ-  
თათვის ებრძანებინა ოქმით. ჩუენ ბრძანებისაებრ ყოვლად სამღუ-  
დულო თბილელ მიტრაპოლიტი გერმანე, ქალაქის წინა-  
მძღვარი ეფისკოპოზი მარტირუზ ვართაპეტი ახპატისა, ეფის-  
კოპოზი დავით ვართაპეტი, დეკანოზები და ქეთხუდები — ესენი ჩუენთან დავისწარით. მელიქი ავეტიქა და ოსეფა ვალაპარაკეთ.

მელიქი ავეტიქა, დაალ, გულმდუღარედ ჩიოდა: ჩუენს აზღენის ხნის სამკვიდროს რათ მიხლათავსო.

ოსეფამ ამის პასუხათ ეს ხელის წერილი მოსცა სამართალს: მე. ოსეფა ნაზარბეგის შვილი პენტელაშვილის იოანეს სახლში არზის დასაწერად] [88] ვიყავ ჩემს საქმეზედ. იოანემ ერთი ნუსხა გამოიტანა და მითხრა: მელიქის აბანო სახელმწიფო არისო. მე მაჩვენეს. მე ეს პასუხი გავეცე: ეგ აბანო საბატონო არ არია, ყიასას აბანო არის, საბატონო მელიქის აბანო ეჩმიაძინისა გამიგონია. თუ მანდენანთაგან შეწირულია, მაგიერი ორი დუქანი მიუ-  
ციათ და აბანო გამოურთმევიათ. ასე ექვეით გამიგონია, არც სწორე ვცი, არც მართალი, ასე გამიგონია. ახლა მელიქმა სიგლები გამოი-  
ტანა, თავისი ყოფილა, მე არც წავდავებულვარ აბანოზე, არც მო-  
ციქული გამამიგზავნია, არც ბატონთან მიჩივლია, ხელმწიფების სიგლები გამოიტანა, თავისი ყოფილა სამკუიდრო, მე, ოსეფა ნაზარ-  
ბეგის შვილი ასე ვსწერო.

პენტელაშვილი იოვანე მოვაყვანინეთ და ვკითხეთ. იოანემ ამის პასუხად ეს ხელისწერილი მოსცა სამართალს: მე, იოანე პენტელაშვილი ამის მნახველი ვარ. ერთი წიგნი ჩავიგდე, მეფე[ე]ები ორს აბანოს იჯარით აძლევენ, სწერენ: ყიასას ნაქონი აბანოები [v] ზეით და ქვეით მოგეცით იჯარითაო. მე ოსეფას დავეკითხე: ეს აბანოები მელიქისა გვეგონა; ოსეფამ თქვა: ყიასას აბანო სხვა არისო; მელიქის აბანოები ეჩმიაძინისა გამიგონიაო. ეს სიტყვა შინა ვთქვით, არც მელიქისათვის დაგვიბრალებია, არც ამაზე ლაპარაკის აზრი გვქონია, ქრისტეს ვფიცავო.

ამ იოანეს ხელისწერილზე ასატურაშვილმა გოგია მ ხელი მოაწერა, ეს იოანეს წერილი მართალი არისო. რადგან ამ ლაპარაკში ასატურაშვილი ფოგია დასწრებოდა, იმასაც ვკითხეთ. გოგიამაც ხელის წერილი მოსცა სამართალს ასე: ღმერთის წინაშე იოანე პენტელაშვილმა ერთი ნუსხა მაჩვენა, ვაგახარებო, აბანო ხოჯისას რომ აქ[მ]ობოძენ, საბატონო არისო; აგერ ეს ნუსხა ზეით-ქვეითი აბანო სწერია იჯარით ყიასას ნაქონი, სწორედ ხოჯისა გვეგონა, ოსეფა ნაზარბეგის შვილს ვკითხეთ, არ არის ხოჯისაო, მე ეჩმიაძინისა გამიგონიაო, რომ ღუქნები მიუციათ და გაუცვლიაო და მელიქს თუ აშხარბეგს, და მე კიდევ სალაპარაკოში გამოვიყენებო, ხატს რომ შეწირულს გამოსწირავენ, ნახე სხვა საქმე რარიგად იქნებო, ოსეფასაგან და იონესაგან ასე გავიგონეო; [89] იოანე პენტელაშვილმან ხელი მოაწერა ამ გოგიას წერილზე, გოგიას სიტყვა მართალიაო.

რომლითაც ნუსხით იოანეს ეთქვა, აბანო საბატონო არისო, ის ნუსხაც მოვატანინეთ. იმ ნუსხაში ყიასა ვეზირის აბანო აღმოჩნდა.

მასუკან მელიქმა ავეტიქამ მეფე[ე]ების წიგნები გვაჩვენა: პირველად როსტომ მეფისა ქორონიკონ ტჲ — ამ რიცხვში იყო აღწერილი, რომ: ეს ხოჯის აბანო ხოჯა ბებუდასი თავისის საქონლით ნასყიდად და თავისაგან აშენებულად აღმოჩნდა თავისის თბილის წყლებითა.

შემდგომად გიორგი მეფისა, ლევან და სულეიმანისა წიგნი მოიტანა ქორონიკონს ტჲ — ამ რიცხვში იყო აღწერილი, ამასვე ამტკიცებს.

ამის შემდგომად მეფის ირაკლის წყალობის წიგნი მოიტანა ქორონიკონს ტოზ, რომ ამ წიგნებსვე ამტკიცებს.

ეს მეფე[ე]ების წიგნები რომ ვნახეთ, და ჩუენც ჩუენის მამა-პაპათაგან ასე ვაგვეგონა, რომ ეს აბანო ხოჯა ბებუდასი არის, თუმ-

ცა აქამდისინ სარწმუნო ვიყავით და ახლა უფრო მტკიცედ [v] დავრწმუნენით, რომ ეს აბანო ხოჯა ბებუდასი ყოფილა.

და რაც ნაზარბეგის შვილი ოსეფა და პენტელაშვილი იოანე ამ წიგნში იწერებიან შეუწყნარებელი იყო და არც ჩუენ შევიწყნარეთ.

ჩვენის გასინჯულობით და გოგია ასატურაშვილის მოწმობით ამათი ლაპარაკი მტრობის სახით არის ნალაპარაკევი; ამიტომ, რომ ოსეფა[მ] სხვაც ბევრი მტრობის სიტყვა ილაპარაკა სამართალში. ჩვენ ასე გავსინჯეთ და ნება მისის უმადლესობისა არის.

გო ს ტ ა შ ა ბ ი შ ვ ი ლ ო ნ ი კ ო ლ ო ზ ! ამის მოასილი ბატონის ბრძანებით შენ იყავ, შენ ასე აღასრულე.

მაისის კთ, ქორონიკონს უოვ.

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
|  |  |  |  |
|--|--|--|--|

|  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|
|  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  |  |  |  |  |  |  |  |  |  |

თავში:

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე, ამ განჩინებას ვამტკიცებ. აღიწერა ივნისის ე, ქორონიკონს უოვ.

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, ქართლისა და კახეთისა და სხვათა დედოფალი დადიანის ასული პატრონი დარეჯან, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ივნისის მ, ქორონიკონს უოვ.

|  |
|--|
|  |
|--|

## 242. ბანძინება რამაზ და იოსებ გლურჯიძეების

მაგულის საძიებო

1758 წ. 30 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7262. დედანი. ქალაქი 40,3X 22,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია მძიმე, წერტილი და წერტილ-მძიმე.

ქ. გლურჯიძე რამაზ თავის სახლისკაცს იოსებს ვენახზე რომ ედავებოდა, თუმცა ძველი საქმე იყო და ფიცი გვეძნებოდა, მაგრამ რადგან ორისავ მოდავის ყაბულობით ფიცი დამ-

ტკიცდა და ეს მიზეზებიც ჰქონდა, რომ სიგელში თარიღის წინა-  
უკმობა გამოჩნდა.

მეორედ, რომ აბელს თავიანთ მკრიდან გასყიდული მამუ-  
ლი თითონვე დაუხსნია და აბელიშვილს ზაზას და რამაზს კი  
გაუყიდნიათ ბეჟიტაშვილს ნარიმაზე და ამ მონასყი-  
დეს აბელასათვის არ დაუბეჭდვინებია<sup>1</sup>, ამან უფრო დიდი იპვი  
შემოიყვანა მოსამართლეთ გონებაში თარიღის წინა-უკმობისაგან,  
ამისათვის, რომ მამა ცოცხალია, შვილები ჰყიდიან და მონასყიდე  
მამას არ აბეჭდვინებ<sup>2</sup>. სიგლებში თარიღის წინა-უკმობამ და მლ-  
ნასყიდისაგან მამის დაფარვით შვილებისაგან სყიდვამ გეასაქიროა  
ფიცი.

და ქაიხოსროს ქვეით ყოფას რომ ამბობდა რამაზ და  
იმისაგან ამ ვენახის გასყიდვის შეუტყობრობას, იოსებ ქაიხოსრო-  
საგან ცოდნას მოწმით ამტკიცებდა, ზაქარია ღვდელი ემოწმე-  
ბოდა ფიცით, მაგრამ ამვ ზაქარიას კელით წერილი სამართალში  
წარმოაყენეს რამაზმა და იმისმა ძმამ, რომლითაც უკუეთქვა, არ  
ვიციო.

ამ განაჩენში მოხსენებულს აზრისაგებრ განხილვით და მოწა-  
მეთაგან სხვაგვარ სიტყვის ცვალებით განისაჯა ფიცი. წადგეს ეკ-  
ლესიაში იოსებ და ასე შეჰფიცოს: ქაიხოსროს შეტყობითაც ეყი-  
დოს და არც სიგლის ყალბობა იცოდეს. თუ ასე შეჰფიცა, დარჩება  
იოსებს. და თუ ვერ შეჰფიცა, რამაზსა და იმის ძმებს დაანებოს.

იასაულო იოსებ! განჩინება ესე ასე აღასრულე. მისის ლ, ქო-  
რონიკონს უოვ.

ექვსი ბეჭედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა  
ნიკოლოზ.

2. დივანბეგი.

3. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარ-  
ჯულად, ქაიხოსრო.

4. იწამეთ ოდეს სახიერისთვის ძელი გამოჩნდა დასჯად მტე-  
რისთვის.

5. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშოკალასბაშ მყო მდივანბეგი  
თემურაზ.

6. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

<sup>1</sup> დაუბეჭდვინებია. <sup>2</sup> აბეჭდვინებს.

ქ. იოსებ გლურჯიძე რამაზმა მოიყვანა დასაფიცებლად. მსაჯულთ მიეცა სამ[ართალი], რომ უნდა დაეფიცა იოსებს წმინდის ევსტათიში; მოიყვანა, რომ უნდა დაეფიცა. ახლა წმინდის ევსტათის დეკანოზი პეტრე ჯვარაშვილი, ზაზა, ნიკოლოზ კარგარეთელი, კანდელაკი მღვდელი ვასილი შევეყარენით და არ დავაფიცეთ, რომ არა სჯობდა, არც ერთისათვის<sup>1</sup> არა სჯობდა. ახლა<sup>2</sup> იოსებმა მეოთხედი უნდა მისცეს რამაზს იმ გენახისა, იოსების და რამაზის ყაბულობით.

არის ამისი მოწმე თავად ღმერთი, კაცთაგან: მატკუაშვილი გიორგი, ნავროზაშვილი გიორგი, ამათი მოასილი ბეჟანისვილი იოსებ<sup>3</sup>.

ეს განაჩენი იოსებს დარჩა, მეორე განაჩენი რამაზს მიეცა.

მე, წმინდის ევსტათის კანდელაკს ვასილს, იოსების და რამაზის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ივნისის[ს] თერთმეტს, ქორონიკონს უოვ

ხელოთა: პეტრე დეკანოზი. ზაზა, ნიკოლოზ, ვასილი.

++

## 243. განჩინება კიკოლა ციციუშვილისათვის საუპატიოს გაჯახლის თათგაჟი

1788 წ. 5 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1340. დედანი. ქალაქი. 34×18,6 სმ. თავი აკლია. მხედრული. განკვეთალობას ნიშნად ნახმარია შერტილი.

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებილების მიერ მისს ბრწყინებლას ბატონს ყორიასულბაშს ზაალს ასე ეუწყოს: თეიმურაზ მდივანბეგ-ეშიკადასბაშის სახლობისა საუპატიო რომ დაედო 66 (250) თუმანი ციციისვილს კიკოლას, აქედამ ბატონმა დედოფალმან იპატივა 66 (100) თუმანი, დარჩა 66 (150) თუმანი. ეს 66 (150) თუმანი უნდა კიკოლას მიეცა. მაგრამ არ მისცა.

წავკისს მოსახლე ასლამაზა, აქავ ბობოშაშვილი, აქავ ალიყულა — ეს სამი კომლი კაცი და წავკის[ს] რომ თეიმურაზ მდივანბეგიდამ წავკისის მეოთხედი ერგო, ეს კაცნი წავკისის მეოთხედის მამულით გირაოდ უნდა ყუ[ა]ნდეს, ოცი თვე ვადა.

<sup>1</sup> ერთისათვისთნ. 2+ახლა. 3+ამ განაჩენისა.

თუ ამ ოც თვეზე ეს ასორმოცდაათი თუმანი თეთრი მიაბარა მდივანბეგ ეშიკალასბაშის სახლობას ამ ვადაზე, ეს მამული და ის კაცი უნდა უკლებრივ მიაბაროს კიკოლას.

და თუ ამ ვადაზე ეს თეთრი ვერ მისცა, მერმე ველარ შეუვა. თუნდა გაყიდოს, თუნდა დააგირავებს. თიბათვის ე, ქორონიკონს უოვ.

ქ. სანატრელის მეფის ვახტანგის სამართალი ასე სწერს ამგვარს საუპატიოს გამორთმევისათვის, ზოგი ნაღდი უნდა მისცეს და ზოგი ვეჯიო. ორმოცდაათის თუმნისა ხარაბას ადგილს მამული მისცეს, ორმოცდაათის თუმნისა შენს ადგილს კაცი მამულით მისცეს, ორმოცდაათი თუმანი ნაღდი მისცეს.

თუ უნდოდეს ზაზას, ეს სამრიგად გაყოფილი თეთრი და ვეჯი ახლავ გადაწყვეტით მისცეს. და თუ ახლა გადაწყვეტით ასე არ მისცემს, ახლა როგორც ზემორე გირაო მამული და ყმა დაგვიწერია, ისე უნდა ევიროს ვადამდინ. ზემორე რომ ვადა დაგვიწერია, ის ვადა ცოტა არის. სამი წელიწადი ვადა დაგვიცს. თუ ამ სამს წელიწადზე დაიხსნა კაცი და მამული, ხომ ის არის. და თუ ამ ვადაზე ვერ დაიხსნა, მერე ველარ დაიხსნის.

ხუთი ბეჰელი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.

2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქაიხოსრო.

3. დივანბეგი.

4. მეთოდი.

5. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

თავში:

\*... იენისის ი%, ქორონიკონს [უოვ. როგორც] განგვიჩენია, ამ ასო[რმოცდაათ თუმანს] არც მოვაკლებთ და ა[რც მომატება] იქნება. ეს ასო[რმოცდაათი] თუმანი ვეჯ[ი] და ნაღდი უნ[და მისცეს]. და... [როგორც] ჩვენს განწესებულს ოქმებშიდ დაგვიწერია, ისე უნდა შესრულდეს. და არც ეს განაჩენი დაგვიყენებია. ეს განჩინება ასე უნდა შესრულდეს.

ბეჰელი: ქნარს მისცეს, დავით მიგმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

\* თავი აკლია.

1788 წ. 27 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. № 5598. დედანი. ქალაღი. 43X29 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნუნად აქ-იქ ნახმარია წერტილი და მქიმი.

ქ. ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ი ს უ ლ ხ ა ნ თავისი სახლის კაცებს, რ ა მ ა ზ ს, ბ ე რ უ კ ა ს, ლ ო ნ ე ნ ა ს და დ ა ვ ი თ ს ბ უ ლ ა ჩ ა უ რ - ზ ე დ ე ლ ა ვ ე ბ ო დ ა: ს ა ნ ა ტ რ ე ლ ს მ ე ფ ე ს თ ე ი მ უ რ ა ზ ს ბ უ ლ ა ჩ ა უ რ ი საკუთრად ჩემის ოჯახისათვის უბოძებია და თქვენ მძღავრებით დაგიპერიათო და ჩემთვის წილი აღარ დაგიდვიათო. ეს ხსენებული სიგელი სულხანმა სამართალში წარმოაყენა, რომელშიაც სწერს: გიბოძეთო ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ს უ ე რ მ ა ზ ა ნ ს და თ ა მ ა ზ ს თქვენი სამკვიდრო ორი კუამლი და ბ უ ლ ა ჩ ა უ რ ი და ბ ი ბ ი ა ნ ი ო.

მეორეს სახლის კაცს დ ა ვ ი თ ს ა ც მოჰქონდა სანატრელის მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი ს ა გ ა ნ ბოძებული სიგელი, რომელშიაც ბ ი ბ ი ა ნ ს უტხადებდა.

რადგან ორსავ მკარეს სიგელი მისცემოდათ და თავის სახლისკაცი სულხანს მიუგებდენ: ბულაჩაურსა შენის წილის ფარდა, როდესაც გავყრილვართ სხვაგან გრგებია და დღესაც კელთ გიჭირავსო, ამის გამო ჩვენ მოსამართლეთ ხიმშიაშვილებს ბერუკას, ლონენას და დავითს ფიცი დავადევით.

წადგენენ, ერთმა ხატი ჩაისვენოს და ასე შეჰფიცონ: «ამისმა განმაცხოველებელმა ღმერთმა, როდესაც ეს წყალობის სიგელი მიშოვნია, ბულაჩაური უწინაც საერთო ყოფილა, წიგნს შემდგომადაც საერთოდ გავციყვია, და შენის წილის ბულაჩაურის ფარდად, უჩვენონ ეს მამული, გიჭირავსო».

თუ ასე შეჰფიცეს, დარჩებათ ბულაჩაური ხიმშიაშვილებს რამაზს, ბერუკას, ლონენას და დავითს, როგორც დღეს გაყოფილი აქვს. და თუ ვერ შეჰფიცვენ, სულხანს უნდა დაანებონ.

იასაულო შ ა ბ უ რ ი შ ვ ი ლ ო ფ ი რ ა ნ და ზ ა ლ დ ა ს ტ ა ნ ა შ ვ ი ლ ო ზ ა ა ლ! ეს ასე აღასრულეთ. ივნისის კვ, ქორთონიკონს უოვ.

ოთხი ბეჰელი:

1. მ ე თ ო დ ი
2. ღთად კაცად გესათ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ



### 3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ

#### 4. ღივანბეგი

verso

ქ. ღმრთის წინაშე მე, ზალდასტანიშვილი ზაალ ამ მდივანბეგების განჩინებულს სამართლით და მისის სიმადლის ბატონის მეფის დამტკიცებით იასაულად განვეწესებინეთ.

შაბურის შვილის ფირანის შვილი ზაზა და მე ზალდასტანის შვილი ზაალ მივედით ბულაჩაურში და როგორც ეს განაჩენი გვიცხადებდა, ასე უთხარით ბერუკასა, ღონენასა და დავითსა: «ან უნდა შეფიცოთ და სახუფქო მამულიც აჩვენოთ, და ან არადა, რასაც მამულს გედავებათ, ის უნდა დაანებოთ».

იმათ ჩამოქნეს სამთავ სანთელი. აიღეს ხელში, მივიდნენ, ეკლესიის კარი მღვდელს გააღებინეს და უთხრეს მოდიო: მიჰყვენ სულხან ხიმშიაშვილი თავის შვილებით საყდრის კარამდის.

ამ ბერუკამა, ღონენამა და დავითმა ასე უთხრეს: «ამ ეკლესიის მადლმა, შენ რომ მამულს გვედავებო, ეს მამული ალალი ჩვენი მამისა და პაპის წილში<sup>1</sup> ნარგები არისო და ამის სამაგიერო<sup>2</sup> შენი ნარგები მამული, იქვე ახლოს დაანახვეს, რომ ეს არისო და ეს არის»; საყდრის კარზედ რომ იდგნენ, ის სიტყვა რომ უთხრეს, საყდარში შეიწიეს, სანთლები ხელში ეჭირათ.

მაშინვე სულხან და თავის შვილები გამობრუნდნენ და წამოვიდნენ, რომ არ დაგაფიცებოთ.

მასუკან ამ ჩემმა ამხანაქმა შაბურის შვილმა ასე მითხრა: «მე მეზობელი და მოყვარე ვარო და უნდა დაანებონო». მოვეწიე გზაზედა, უთხარ: «ის კაცნი საყდარში შესულნი არიან, სანთლები ხელში უჭირამთ, მოდიოთ და დააფიცეთო». ასეთი სიტყვა მითხრეს იმათა, რომ მაშინვე დაებრუნდი.

ღმერთსა ვფიცავ და მეფის ერეკლეს თავსა და იმ ეკლესიის მადლსა, რომელს კარზედაც მე ამათ მივეყე, როგორც ამაში დამიწვრინებია, სწორედ ასრე იყო. მე, თუმანის შვილის იოსებს, ამ ზალდასტანას შვილმა ზაალმა ასე მითხრა, და როგორც მითხრა თავის პირით, ღმრთის წინაშე ისე დავსწერე.

<sup>1</sup> წილში. <sup>2</sup> სამაგიერო.

მარიამობისთვის კო, ქორონიკონს უოვ.

მე, იოსებს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამ ზაალის ნათ-  
ქვამზედ:

ბეკელი: იოსებ.

მარცხენა ქვემო კუთხეში ბეკელი:

ვის მონებასა ვეტრფე და ვევი, ეშიალასბაშ მყო მღივანბეგი  
თემურაზ.

თავში:

ქ. ჩვენ, ყოელისა საქართველოსა და კახეთისა მეფე ირაკ-  
ლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აგვისტოს კვ, ქორონიკონს  
უოვ.

ბეკელი: მე ფეხთგანაბანილთა ზიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

## 245. ბანჩინაბა თავლიდარ ოპანაზასა და თეიმურაზ მელიქიშვილის ვალის საჩივრო

1788 წ. 27 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 958. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. თავლიდარმა ოპანეზამ წარმოაყენა სამართალში თამა-  
სუქი მელიქიშვილის თემურაზის აგან მიცემული,  
რომელშიაც ეწერა: ავიღე მე თეიმურაზმა შენ ოპანეზა თავილდრი-  
საგან თხუთმეტი თუმანი ქალაქის ზარაფხანის სირმა აბაზი ამის  
გირაოდ მოგეც ორი კუამლი კაცი: ოპანეზა თავის ძმით და პა-  
პალაო. ორს თუმანში ოთხი ხარვარი წმინდა პური შემოდგომა-  
ზე მოგცეო და ცამეტს თუმანში, მანამ შენს თეთრს მოგცემდე, ეს  
კაცნი შენ გემსახურებოდნო. რაც საბატონო, სარუსო, საქვეყნო  
ხარჯი ამ შენს გირაო კაცებს შეხვდეს, სულ მე გარდავიხადო. და  
რაც ჩემი ხარჯი აძევს, იმიჯაც შენ გემსახურენო.


ოპანეზა ანბობდა: არც საქვეყნო ხარჯი ჰპატივებია ამ  
ჩემს გირაოს კაცებს, არცა რა ჩემთვის უმსახურჩიათო. ჩემი თეთ-  
რიც მამცეს და პირობისაებრ რაც ჩემს გირაოთ ყოფნაში გამო-  
ურთმევია თეიმურაზს, იმასაც სამართლით ვითხოვო.

მელიქიშვილი თეიმურაზ მიუგებდა: ჩემი ვალი უნდა მივცე  
დამაცალოსო.

ჩვენ ეს სამართალი მივეცი: რადგანც თეიმურაზს პირობა  
გაუტეხია, — არც პური მიუცია და არც გირავო კაცნი პირობისა-  
ებრ დაუნებებია, — რასაც საბუთს უზამს, ამ გირაოს კაცს თეთ-

რით ოპანეზასათვის ემსახურნოს, სარგებელში ჩაუგდოს. და იქი-  
დამ აქამომდე თხუთმეტი თუმანი — თუმანზე ორშაურ სარგებ-  
ლით ახლავ თეიმურაზმა ოპანეზას უნდა მისცეს.

იასაულო ხიმშიაშვილო გოგიავე და გრიგორ!  
განჩინება ესე ასე აღასრულეთ. ივნისის კვ, ქორონიკონს უოვ.



**246. ბანჩინება ერაქლე II-ისა ზაპარია მოურავისა და  
დავით აფხაზის შვიკის საქმეზე**

1788 წ. 11 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 674. დედანი. ქალაღი. 62,5X30 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ნახარია წერტილი.

ქ. ზაქარია ქიზიყის მოურავი და ამის სახლისკაც-  
ნი დავით აფხაზს მამულზე რომ ედავებოდენ, ჩვენ, მე-  
ფემან ირაკლი მეორემან, საქართუ[ე]ლოს მსაჯულთ თან-  
დასწრებით ამათი სამართალი გამოვიძიეთ.

წარმოაყენენ ენდრონიკაანთ მეფეთაგან ბოძებული  
წყალობის წიგნები: ერთი, მეფის შან[ა]ვაზისაგან ბოძე-  
ბული, რომელშიაც აფხაზის მამულიდამ ედრონიკაანთ შვიდს კუ-  
ამლს აძლევს.

მეორე, ბიძის ჩვენის მეფის კონსტანტინესი, რომ-  
ლითაც დათუნა აფხაზის კერძს მამულს უწერს და სახელ-  
დობით კაცებს, კარდანეკს სასახლეს და ბაკურციხეს  
რაც წილი ჰქონდესო, აძლევს და ან ძმიდამ რაც წილი გამოუტა-  
ნაო და სწერს: დათუნა ვაჩნაძე ამოწყვეტილიყო და იმის  
ყმასა და მამულზე როსტომ მეფეს გიორგი აფხაზი  
დაესახლებინაო. ეს წიგნი ამ აწრთან დახეული არის. და შემდგო-  
მად სწერს: ქვრივი დარჩომოდა და ტურა ქაიხოსროს შე-  
ერთო, გვიბოძებია თქვენთვის და შვილთა თქვენათვისო.

მესამე წიგნი ისევ მეფის კონსტანტინესი, რომელ-  
შიაც სწერს: გიბოძეთო ნახევარი დათუნა აფხაზის წილა,  
რაც გამოეტანოს მამული სავაჩნაძოს: თუ ტურა ქაიხოსრომ და ან  
სხვამ წიგნი გამოაჩინოს — ან ჩვენი და ან სხვისა, ამ წიგნმა გაამ-  
ტყუნოსო; არას ვაჩნაძეს და არც აფხაზის შვილსა აქვს კელიო,  
ბეითალმალი იყო და თქვენთვის გვიბოძებიაო.

ჩვენ ამ წყალობის წიგნებზე სიფ[რ]თხ[ი]ლით მრავალი გამოძიება გვქონდა, რომ ან ე[ნ]დრონიკაანთ ბატონის ბიძის ჩვენის იმდენის ნამსახურობის მაგიერი წყალობა არ დაკარგოდათ და ან დავით აფხაზს უსამართლოდ ყმა და მამული არ გამოართმეოდა.

სჯა სამართლისა ვიწყეთ ზემოხსენებულის შაჰნავაზ მეფის წიგნებიდან, რომლითაც ე[ნ]დრონიკაანთათვის აფხაზის მამულიდამ შვიდი კუამლი უბოძებია. და თუმცა წიგნი აქვსთ ენდრონიკაანთ, მაგრამ იქილამ მოკიდებული მეფის კონსტანტინეს დრომდის არა ჩანს, რომ ენდრონიკაანთ სჭეროდესთ.

და მეფეს კონსტანტინეს რომ წიგნები უბოძებია, ერთში, ზემო წერილისაებრ, კარდანეხსა და ბაკურციხეს დათუნა აფხაზის კერძი ყმა და მამული არის და სასახლე ბოძებული კარდანეხს, რომელიც დღეს აიდემურ ვაჩნაძეს უჭირავს და იმსაც ბეითალმლობით ახსენებს, ქვრივი დარჩომოდაო.

და მეორეს წიგნში ნახევარი აფხაზის მამული არის ბოძებული, რომელშიაც სამის აზრით ზურაბ აფხაზის ბეითალმანს მამულს ნიშნავს: პირველად, თუ ტურამ ქაიხოსრომ წიგნი წარმოაყენოს, ბათილი იყოსო და ტურა ქაიხოსროს ზურაბის წილი აქვს ბოძებული; მეორედ, ბეითალმალი იყო და გიბოძეთო და ბეითალმალიც ზურაბის წილი არის; მესამედ, არას აფხაზის-შვილს კელი არა ქონდესო; ზურაბ ხომ ამოწყვეტილი იყო და სხვა აფხაზი ვინდა იყო ამის მეტი და ბეითალმანობით ზურაბის წილი არის გაცემული.

ასე გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ენდრონიკაანი ამ მეფის კონსტანტინეს წიგნებით ვერც ერთით აფხაზს დავითს სამართლით ველარ ედავებთან. პირველად ამისათვის, რომ არც ერთს წიგნში ეს სადაო შვიდი კუამლი არ არის ბოძებული და მეორედ ამისათვის, რომ ოთხს წელიწადს შემდგომად იგივე მეფე კონსტანტინე ამ წიგნებს აბათილებს და ზურაბის წილს ვაჩნაძიანთ აძლევს.

და დიდი ხნის ჰერას რომ ამბობენ ენდრონიკაანი, თუმცა ხან იმათ სჭერიათ და ხან აფხაზს დავითს და ბევრჯერაც უდავნია აფხაზს, მაგრამ უდიდესი<sup>1</sup> საბუთი ეს არის, რომ რადგან მეფის კონსტანტინეს წიგნებით დაუჭერიათ ენდრონიკაანთ, როდესაც აღმოჩნდება, რომ ზემოხსენებული წიგნები ამ სადაოს მამულს არ ნიშნავს, სამართლით აფხაზს დარჩებოდა.

<sup>1</sup> უდიდესი.

რადგან ამ განაჩენში ვანცხადებულის აზრისაებრ ზემოხსენებული წყალობის წიგნებით ენდრონიკიანი დაეით აფხაზს სამართლით ვერას შეუვიდნენ, დარჩა სამართლით დაეით აფხაზს, რომ ახლავ ეს შვიდი კუამლი რაც აფხაზის ყმა და მამული ენდრონიკიანთ უქირავსთ, აფხაზს უნდა დაანებონ სრულობით.

და სამართლიდამ ენდრონიკიანთ ხუთი თვე ვადა მიეცეთ. თუ ამ ხუთს თვეზე ენდრონიკიანი მოსამართლეთგან გულის დასაჯერებელს მეფის კონსტანტინესაგან ბოძებულს ასეთს წყალობის წიგნს და თუ საბუთს რასმე მოიტანენ, რომ გარჩევით ეს შვიდი კუამლი კაცი ებოძებინოს, სამართალი მიეცემათ.

და თუ ამ ვადამდის ამისთანას საბუთს სამართალში ვერ წარმოაყენებენ, შემდგომად ამ პაემანისა სამართალით ველარ ედავებიან.

ე შ ი კ ა ლ ა ს ბ ა შ ო გ ა რ ს ე ვ ა ნ ! განჩინება ეს ასე აღასრულე. იულისის ია. ქორონიკონს უოვ.

ქ. კიდეც ამას დაურთავთ, რომ თუ საბუთი ჭეშმარიტი რამ მოიტანეს წიგნი ან მოწამე სხვათა წიგნებიდამ თუ თავიანთ წიგნებიდამ, მოსამართლეთ გვმართებს, რომ ყური მიუგდოთ და სამართალი ვქნათ იმაზედ, რასაც წარმოაყენებენ.

და თუ არა, ჩვენ საეროთ და სამღვდლოთ რაც დავინახეთ, ესრეთ განვსაჯეთ, როგორც დაგვიწერია. თავიანთ წიგნებიდამ მოხდა ეს სამართალი, სხვას ნურავის დააბრალებენ რასმე.

ბეჰელი: მე ფხვთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადადე, ერეკლე.

შვიდი ბეჰელი:

1. იწამეთ ოდეს სახიერისთვის ძელი გამოჩნდა დასჯად მტერისთვის.

2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა, ნიკოლოზ.

3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

4. დივანბეგი

5. მონა ღთისა მდივანი სვიმონ

6. მდივანი იოანე

7. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშოკალასბაშ მყო მდივანბეგი თემურაზ.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართველოსა კახეთისა და სხვათა დედოფალი, ბატონის დადიანის ასული, პატრონი დარეჯან,

ამ მისის უმაღლესობის ბრძანებულს განჩინებას ვამტკიცებთ. ენკენისთვის ე, ქორონიკონს უოვ.

ბეჰედი: დედოფალი დარეჯან

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, მისის უმაღლესობის ბრძანებულს განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. სეკდემბრის ზ, ქორონიკონს უოვ.

ბეჰედი: გიორგი

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე ვახტანგ, მისის უმაღლესობის ბრძანებულს განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. სეკდენბერს ზ, ქორონიკონს უოვ.

ბეჰედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

ქ. ჩვენ, ყოვლად უსამღუდელოესი ალავერდელ მიტროპოლიტი მეფის ძე ანტონი, მისის სიმალლის ბრძანებულს განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. სეკდემბერს თ, წელსა ჩღჰჰ.

ხელთვა: ანტონი

ყოვლად უსამღუდელოესი ტფილელ მიტროპოლიტ გერმანე მისის უმაღლესობისაგან განჩინებულსა ამას თანკმობით ვემოწმებთ. სეკდემბერს ია, წელსა ჩღჰჰ.

ბეჰედი: გერმანე

ყოვლად სამღვდლო არხიეფისკოპოზი რუსთველი კირილე მისის უმაღლესობისაგან განჩინებულსა ამას თანკმობით ვემოწმებთ. სეკდენბრის ია, ქორონიკონს უოვ.

ბეჰედი: კირილე

## 247. განინება ნიკოლოზ აფხაზის ყმის სამუტაშვილის საჰეჰე

1788 წ. 1 აგვისტო

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 12. საბ. № 21. პირი. ქალაღი. მხედრული.

[29] აფხაზის შვილი ნიკოლოზ კნიაზი და ამის მოდავე ჩნიკეთელი სამუტაშვილი ოსიყმე მისის უმაღლესობის ბრძანებით ჩვენ, საქართველოს მსაჯულთმეკრებულბამ, სპართალში ვალაპარაკეთ.

ნიკოლოზ ასე ჩიოდა: ეს ოსიყმე ჩემი ყმ[ა] იყო, სავარჯოს ეს[ა]ხლა, მამაჩემს ემსახურებოდა, რომ ეს წერილი მოსცა მამაჩემს: წელიწადში ერთი საპალნე<sup>1</sup> ღვინო მოგცეო. იმ ყამებში მა-

<sup>1</sup> სპალი.

მაჩემი მოკუდა, მე ობოლი დავრჩი: რუსეთს გადაველ დ[ა] ეს კაცი ასე დარჩა, ახლა თავს აღარ მიღებს, სამართალი მაღირსეთო.

ოსიყმე ასე ჩიოდა: მე დიდის ხნის ჩასული ვარო, რომ ჩემის ჩასვლის ხნის კაცს აღარა ყრიანო. მეორე ეს, რომ: დავიკარგე, და განწესება ასეა: რომელიც კაცი ტყვეობიდაჲა მოჲა, ვისაც უნდა იმას ეყმობა. მე ტყვეობიდამ მოველ, საბატონოს მამულზე დავსახლდი და ბატონს ვეყმეო.

ჩვენ რომ ამათი [v] საჩივარი მოვისმინეთ ეს სამართალი მივეციით: დიდის ხნის ჩასვლას რომ ჩივის, თუ მუდამ იქილამ არ ემსახურა და წერილი არ მიეცა — მე შენი ყმა ვარ და წელიწადში ამას გამსახურებ, თუ ამგვარი წერილი არ მიეცა, დიდის ხნის ჩასვლას და ჩაუსვლელობაზე ვალაპარაკებდით. მაგრამ დიდის ხნის ჩასვლა იქილამ სამსახურმან და ამ წერილმან დააყენა.

ტყვეობიდამ მოსვლას და ბატონის მამულზე დასახლებას რომ ჩივის, როცა ბრძანებით განწესება განაწესა, ტყვეობიდამ მოსული კაცი თავისუფალია, ვისაც უნდა იმას ეყმოსო, როცა პირველად დაკარგულა, მაშინ ეს განწესება არ იყო და იმ ჟამში ვერც თავისთავს წაქართმევდა და ვერც თავის შვილსა. მეორედ რომ დაკარგულა და ამ განწესებას ქვეშეშე მოსულა, შვილი არ ყოლია და არც ახლა ყავს იმ ერთის შვილის მეტი; რომელიც განწესებას პირველადვე ყოლია, ეს ოსიყმე იმ განწესებით თავისუფალია. და ოსიყმეს შვილი გოგია თავის შვილებით დარჩა ნიკოლოზ აფხაზს.

იასაულო! ოსიყმეს შვილი გოგია თავისის შვილებით მიაბარე ნიკოლოზს.

ავგისტოს ა, ქორონიკონს უოვ. 

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
|  |  |  |  |
| <table border="1" style="display: inline-table; width: 80px; height: 40px;"></table> |  |  |  |

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლის საქართველოსა მეფე ირაკლი მეორე.

ამ განაჩენს ვამტკიცებთ. სეკდემბერს ვ, ქორონიკონს უოვ. 

|  |
|--|
|  |
|--|

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი, განჩინებას ამას ვამტკიცებ. იანვრის ი, ქორონიკონს უპპ.

ხელრთვა: ანტონი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 999, დედანი. ქალაღი. 34 X 16,4 სმ. მხედრული. განკვეთალობის ნიშნად ნახპარია წერტილი.

## [არზა]

ქ. ღმერთმან მათის უწმინდესობის დიკასტირიის კირი მოსცეს დიღმელთ ხუცებს აბრამს და პავლეს.

ჩვენო მოწყალენო! ამას წინათ მისმა უწმინდესობამ პატრიარხმა და დიკასტერიამ დიღმელეებზე წიგნები გვიბოძეს, რომ როგორც სხვა სოფლებშია მღვდლის პატივი და სამლოცველო — თითო კოლი პური! კომლზე, ეგრეთ განკვიწესა.

ერთსა და ორს წელს ეს ბრძანება აღასრულეს და ახლა კი აღარას გვეპუებია, არცრა ნუგეშილა და პატივი გვაქვს და არც ამ განწესებას მისის უწმინდესობისასა — თითო კოდს პურსლა — გვაძლევენ.

ამ საქმითა და ამ შეწყნარებით ჩვენ იმათი ხუცობა არ შეგვიძლიან. ამას გვეუდრებით, რომ ერთი წიგნი მისწეროთ ჩვენ მოურაეს ნიკოლოზ მდივანბეგს, რომ რაც განწესება არის თქვენის ბრძანებითა, ან ეს მოგვ[ცენ] და გავვაქლებინონ, და [ან] ამ სოფლის ვალიდამ გამოგვიყვანოთ. აგვისტოს 28, ქორონიკონს უოვ.

## [განჩინება]

ქ. მის მალას ბრწყინვალებას მდივანბეგს აბაშიძეს დიღმის მოურაეს ბატონს თავადს ნიკოლაოსს მისის უწმინდესობის დიკასტერია ამას მოვახსენებთ.

ამ დიღმელს მღუდლებს აბრამს და პავლეს მისის უწმინდესობისა კათოლიკოსისა და დიკასტერიისაგან წიგნი პქონიათ დიღომში ხუცობისა და რაც სულთერი რამ საქმე დასქარდესთ — ყოვლისავე აღსრულებისა. და დიღმელეებისაგანაც ამათი გაძლებისა და თანამღების პატივის მიპყრობისა ერთი დღე უნდა ექნათ ამ მღუდლებისათვის და ერთი დღე ემკოთ. და თუ ამას არ იქმოდნენ, რომელნიც მკვიდრნი არიან, ერთი კოლი პური უნდა მიეცათ ახალში; და რომელნიც ეუღნი არიან ნახევარკოლი.

ეს ბრძანება მისის უწმინდესობისა კათოლიკოსისა და დიკას-

1+ პური.



ტირისა მეთე წელიწადია რომ მისვლიათ და ორის წლის მეტი არ აღუსრულებიათ. და ეს ხუცები ასე ცუდ მაშურალნი შექმნილან.

ახლა ჩვენც ამას ვითხოვთ თქვენის მალლის ბრწყინვალეებისაგან, რომ ეს ჩვენი წერილი გამოუცხადოთ დიდმელებს და უბრძანოთ, რომ როგორც განწესებული ჰქონიათ კათოლიკოსისაგან და დიკასტირიისაგან ზემო წერილისაებრ, თუ ისევ ისე აღასრულებენ და ძლევას დაუწყებენ, ამ ხუცებმაც სულიერად მოუარონ და უხუცონ.

და თუ არ მისცემენ და არ გააძლებინებენ ამ ხუცებს, არც ქრისტიანენილა იქნებიან და ხუცესი რალათ ენდომებათ.

ჩვენ ამ ხუცებისათვის გვიბრძანებია: თუ ზემო განწესებისაებრ არ მისცენ მემკვიდრეთ ერთი კოდი პური და ეულთ — ნახევარკოდი, ნულარ უხუცებენ — ნურც აღსარებას ათქმევენებენ, ნურც აზიარებენ, ნურც მკვდარს დაუმარხვენ, ნურც ყრმას მოუნათვლენ. კმარა იმათგან ამდენი ამ ხუცების ჩივილი. და რომელიც ამათ მეტი ხუცესი იმათ უხუცებს და შევიტყობთ, ის ხუცესი ჩვენგან მღუდელობიდან დაიყენება. კიდევ ვედრებით ვითხოვთ თქვენის ბრწყინუალეებისაგან, რომ ამაზედ გაისარჯნეთ და ამ ხუცება ასე გაურიგოთ. აგვისტოს კმ, წელსა ჩლამშ.

მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა ბეჰელი: გერმანე

სეცენისცხოვლის და კარის დეკანოზი ბეჰელი:

მწიგნობარი წინამძღვარი ბეჰელი: ტრიფილე

ქ. აბაშიძის მდივანბეგ მოურავის ნიკოლოზის სიკეთით სახსოვარნო მამასახლისო გაბრიელ და ერთობილ დიდმელებო!

მერე მისის უწმინდესობის დიკასტ[ე]რიას რომ ეს ასე სამართლისაებრ განუჩენია, მე ამისი წინააღმდეგობა არ შემიძლია. უნდა ახლავ ასე მოუკრიფოთ და მოსცეთ. მოუტემლობა არ იქნება, თუ ახლავ ასე არ მოსცემთ, თქვენს სოფელში მღუდელი ვერ გაივლის.

მამათმთავარო გელიავ, ეს შენ უნდა მ[ო]კრაფო [და] მოსცე ამ მღუდელებს. აგვისტოს კთ, ქორონიკონს უოვ.

ბეჰელი: ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13852. დედანი. ქალღი. 43,8×21,8 სმ. დაზიანებული. თავი აკლავ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირბადავანაწილი.

ქ. ზ უ რ ა ბ ა ბ ა ზ ა ძ ი ს შვილი დ ა ვ ი თ დ ა ს ო ლ ო მ ა ნ ურიოდნენ თავის განაყოფს იოანე აბაზაძის შვილს დავითს: ამ ათ წელიწადს წინათ ივანე[მ] გვიჩვილა; ეს თავის შერლიც თან მოსდევდა ივანეს საჩივარში, ერთის თამასუქით ათს თუმანს გვთხოვდა. მოსამართლე[ე]ბმა ფიცი დაგვადეს, უნდა ჩვენ შეგვეფიცა, რომ ივანეს ჩვენ ათი თუმანი არ გვმართებოდა. წავდევით საფიცრად, ივანეს [ფიცი გაამ]ტყუენებდა, კელი აილო, არ დავეფიცა.

ახლა ივანეს შვილმან დავითმან იმ მტყუნის თამასუქით წამოგვქვეფიქვა; ათი თუმანი ერთიორად დაგვადვა და ოცას თუმნის განაჩენი აილო. ღმერთმან და ქეშმარიტმან სამართალმან გამოაჩინა, თითონვე კელი მოგვცა: მე რომე თამასუქით თეთრსა გთხოვდი, ის თამასუქი მტყუანი თამასუქი იყო. რადგან მტყუნის თამასუქით მამა მისმან საფიცრად წავგიყვანა და ამან იმავე მტყუნის თამასუქით ო თუმნის განაჩენი აილო, სამართალი გვადირსეთო.

ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, აბაზაძის შვილი დავით მოვაყვანიეთ და ვალაპარაკეთ.

და ვ ი თ ასე ჩ ი ო დ ა: ჩემს წიგნებს ვჩხრეკდი, ეს თამასუქი ვიპოვე იმ წიგნებში, სამართალში წავედავე, ამ თამასუქით განაჩენი დაწერეს, მაგრამ ამაზე თქვენი საფიცრად წასვლა არ მინახავს და მამის ჩემისაგან კელის აღება, არც ამ თამასუქის გაკეთება არ მინახავს, არცაა მცოდნია რა. ახლა სამართალმან რომ მითხრა — გაკეთებული არისო, მეც კელი ავიღეო და გადაწყვეტილობის წერილი მოგეცეო.

ამათ რომ ასე იჩვილეს და ივანე[ს] შვილისაგან მოცემული კელწერილი ვნახეთ, რომელშიაც ასე ეწერა: თამასუქით რომ გედავებოდი. ის [თამასუქი მტყუანი თამასუქად აღმოჩნდაო, კელი ავიღეო. რადგან მტყუნის თამასუქით ივანეს ფიცი დაუდვია და ამ დავითთან იმ მტყუნის თამასუქით წაედავა, რადგან დავითის მამის] მტყუნის თამასუქით უდავნია და ახლა სამართალში გამტყუნდა, უნდა ივანეს შვილმან ზურაბის შვილს დავითს და სოლომანს ათი თუმანი უნდა მისცეს.

და ივანეს შვილი რომ ჩივის: მე იმ თამასუქის გაკეთება არ მცოდნიაო, არც მათი საფიტრად წასვლა მინახავსო და მამის ჩემისაგან კელის აღებაო, წადგეს და ასე უფიცოს: «ამისმა მადლმან, თქვას, არც ამ თამასუქის გაკეთება მცოდნოდეს, არც ამაზე თქვენი საფიტრად წასვლა მენახოს და მამის ჩემისაგან კელის აღება მენახოს».

თუ ეს ასე შეპფიცა, ათის თუმნის მეტს არას მისცემს. და თუ ასე ვერ შეპფიცა, 3 თუმანი უნდა მისცეს; ამისათვის, რომ თუ არც გაკეთება სცოდნია იმ თამასუქისა, არც ამაზე განაჩენის აღება უნახავს, არც ამათი საფიტრად წასვლა უნახავს და არც თავის მამისაგან ამაზე კელის აღება უნახავს, 6 თუმნის მეტს არას მისცემს ივანეს შვილი დავით ზურაბისშვილს დავითს და სოლომანს.

და თუ ეს ასე ვერ შეპფიცა, 3 თუმანი უნდა მისცეს; ამისათვის, რომ თუ ეს ასე ვერა თქვა, ფიცით აღმოჩნდა, რომ თამასუქის გაკეთებაც სცოდნია, განაჩენის აღებაც უნახავს, საფიტრად წასვლაც უნახავს და თავის მამისაგან კელის აღებაც უნახავს.

თუ ზემორე მოხსენებულისაებრ ფუცა და ესენი არც ერთი არ სცოდნია და ფიცით გაწმინდა, ათის თუმნის მეტს არას მისცემს. და თუ ეს ასე ვერ ფუცა, კიდევ სცოდნია გაკეთება იმ თამასუქისა და უნდა 3 თუმანიც მისცეს.

იასაულო შე დ ა ნ ა შ ვ ი ლ ო ნ ი ნ ი ა ვ! ეს ასე აღასრულეთ. თუ ივანეს შვილმან შეპფიცა ზემორე მოხსენებულისაებრ, ათი თუმანი გამოართვი ივანეს შვილს და ზურაბისშვილს დავითს და სოლომანს მოაბარე. და თუ ვერ შეპფიცა, 3 თუმანი უნდა მისცეს დავითმან. აგვისტოს 14, ქორონიკონს უოვ.

ოთხი ბეჭედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ .

2. მ ე თ ო დ ი .

3. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ემიკალასბაშ მყო მღივან-ბეგი თ ე მ უ რ ა ზ .

4. დივანბეგი.

თავში:

...ქ. ჩვენ ... დედოფალი ბატონი [დარეჯან]... განჩინებას ვამცუცებთ...\*

\* დანარჩენი აკლია.

250. განჩინება დიმიტრი ალსაბაძისა და ზოზია გაღაონისუვილის  
წისკვილის საქმეზე

1768 წ. 10 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1864. დედანი. ქალაქი. 44,8x25 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ჩუენ, ყოვლისავე საქართველოსა მეფემან ირაკლი  
მეორემან, ჩუენთან ვიახელით საქართუ[ე]ლოს მსაჯულთშეკრე-  
ბილებანი, ზოზია გედეონისუვილი და აღსაბაძე  
დიმიტრი სამართალში ვალაპარაკეთ.

დიმიტრი ასე ჩიოდა: ჩემს მამულში რუ გამოიღო, ჩემ-  
სავე მამულში წისქვილი დააბრუნა, სამართალი მაღირსეთო.

ზოზიამ მიუგო: სათავე სხვისა იყო. იმ სხვის სათავიდამ  
წყალი გამოვიტანე დიდის ჭირნახულით. შენის სათავიდამ არ წა-  
მომიღია და შენი წყალი არ წამომიღია. მართალია, წყალმან შენი  
მცირე ადგილი დაიტანა და შენის წისქვილის ადგილი ხარაბა იყო,  
სოფელს წისქვილი ეჭირებოდა და ავაშენეო.

ჩუენ რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ, ეს სამართალი მივე-  
ციოთ: რომლის სათავიდამაც ზოზიას წყალა წამოუღია, ის სათავე და  
წყალი აღსაბაძისა არ ყოფილა. იმ სხვის სათავიდამ ზოზიას წყალა  
წამოუღია. დარჩა სამართლით ზოზიას თავისგან გამოტანილი წყა-  
ლი. ამისთვის, რომ, რომელიც წყალი ზოზიას წამოუღია, ის წყალი  
აღსაბაძისა არა ყოფილა და, სათავე რა საქმე აქვს, ზოზიას საცა უნ-  
დოდეს, თავისი წყალი იქ წაიღოს.

და ამ აღსაბაძის მამულში ვედარ გაატარებს და ვედარც ამ აღ-  
საბაძის მამულში დააბრუნებს; საცა უნდოდეს, იქ დააბრუნოს.  
ზოზიას ამ აღსაბაძის მამულში საქმე არა აქვს რა.

მანამ ზოზია სხვაგან წისქვილის ალაგს ააშენებდეს, მანამდინ  
იმავე აღსაბაძის მამულში უნდა იაროს იმ წყალმა და აღსაბაძის წის-  
ქვილი აბრუნოს. იმისი მოსავალი ნახევარი ზოზიას და ნახევარი  
აღსაბაძეს.

და როცა ზოზიამ სხვაგან ან რუ გაიღოს და ან წისქვილის სახ-  
ლი ააშენოს, მაშინ წაიღოს ის წყალი, თორემ ახლა ვერ წაიღებს,  
რომ სოფელი უწისქვილობით არ შეწყუბდეს.

---

14უნდა.

ამისი მოასილი მირიანაშვილო პეტრე, შენ ხარ. ასე აღასრულე. სეკდემბერს ი, ქორონიკონს უოვ.

ქ. ექვსი თვე ვადა მიგვაცია. ამ ექვსს თვეზე შოშიამ აღსაბადის ჰამულიდამ უნდა აილოს წისქვილი და სხვაგან აბრუნოს.

ოთხი ბეჭედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.

2. დივანბეგი.

3. მეთოდი.

4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლის საქართველოსა მეფე ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. სეკდემბერს იგ, ქორონიკონს უოვ.

ქ. განაჩენში ვადა არ მიეცათ და ჩვენის ბრძანებით ხუთი თვე ვადა დავაწერინეთ, ამისთვის, რომ სოფელი უწისქვილოდ შეწუხდებოდა. და ამ ხუთს თვეზე მანამ სხვაგან წისქვილი დაბრუნდებოდეს, ამ წისქვილმა იმუშაოს, ნახევარი შოშიას და ნახევარი აღსაბადეს მიეცეს. თუ ეს ვადა არ მიგვეცა, საჩქაროდ ვერცერთი წისქვილს ვერ დააბრუნებდა და სოფელი უწისქვილობით შეწუხდებოდა.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა ნიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთისა და სხვათა დედოფალი, დიანის ასული პატრონი დარეჯან, მისის უმაღლესობის ბოძებულს განჩინებასა ამას ჩვენც ასე ვამტკიცებთ. ფებერვლის კმ, ქორონიკონს უოვ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 251. განჩინება თუთოთოშრავის ჯიშურისა და კანკელის მამულის საქმეზე\*

1788 წ. 14 სექტემბერი

ცხსა. ფ. 1450. დავთ. № 32. საბ. № 309. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[162v] თუ შთ მოურავი ჯიმშერ და პანკელები წინა ბატრიონზედ ლაპარაკობდნენ, ჩიოდნენ.

თუ შთ მოურავი ჯიმშერ და ამისი სახლისკაცი ამას ამბობდენ, რომ ბატონებისაგან მოცემული გვაქვსო და წიგნიც კელთ ქონდათ.

ეს პანკელები ამას ეუბნებოდნენ, რომ მართალი არის მოგცემიო და ბოლოს ისევ წაგართმევიაო და სახასოდ დაუდვიაო.

\* შდრ. 1748 წ. 2 აგვისტოს განჩინებას (ქართ. სამართ. ძეგლები IV, № 287).

[163] რადგან ასე დაობდნენ, ჩვენ ეს სამართალი უყავით, რომ თუშთ მოურავი თუ ამისი სახლისკაცი ერთე[რ]თი წადგეს, იმ წინ ბახტრიონს შემოუაროს, გაიფიცოს, რომ: «მართალია, უწინ წამრ-თმევიანო და ბოლოს მ ა ჰ მ ა დ ყ უ ლ ი ხ ა ნ ს ჩემთვის უბოძე-ბიანო აქამდისაო»; თუ ასე დაიფიცოს, პანკელებს ხელი აღარ აქვს.

ქელჯონიანო პ ა პ უ ა ვ ! ახლავ გადი, როგორც ამ განაჩენში სამართალი გვებძანებინოს, ეს სამართალი მიაცემინე, რაც ფიცით გაიტანონ, იმ სამძღვარებზედ ირგვლივ სამნები ჩაუსხით. მასუკან ამათ მამულში ნურც ბაღჩას, ნურც ვენახს, ნურც წისქვილს ნუ ა[ა]შენებენ; ვინც მოხნევდეს, ლალას მისცემდენ დასტურს. ენკე-ნისთვის იდ, ქორონიკონს უოვ.

## 252. განჩინება რევაზ თაყაშვილისა და გივი ნაცვლისშვილის სახისხლო საქმეზე

1788 წ. 10 ოქტომბერი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 32. საპ. № 302. პირი. ქალაღი. მხედრული.

[154v] ზაალ ნაცვლისშვილი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ჩიოდა: ჩემი ძმა გივი თავის ხელმწიფის შვილის სასახლეში მდგომარე იყო თავისთვის და მისი უგანათლებულესობა ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და სხვანი ბატონს ჩვენს — ეშკიკლასბაშ თ ა მ ა ზ თ ა ნ სადილად ბრძანდებოდნენ და რ ე ვ ა ზ თ ა ყ ა შ ვ ი ლ ი [15ა] სადილათ იმათ ახლდა. სადილიდამ გარეთ გამოვიდა, ხმაღს გაიკრა ხელი, ჩემს ძმას თავისთვის მდგომარეს ბეჭებში სცა ხმაღი და დასჭრა; სამართალი მაღირსეთო.

მის უმაღლესობას ჩუენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილ-თათვის ებრძანებინა: თაყაშვილი რევაზ მიაყვანიჩეთო. ალაპარაკეთ და სამართალი საჩეთო. ბრძანებისაებრ რევაზ მოვაყვანიჩეთ და ვა-ლაპარაკეთ.

რ ე ვ ა ზ ასე ჩიოდა: მისი უგანათლებულესობა ბატონის-შვილი ალექსანდრე თამაზ ეშკიკლასბაშთან სადილათ ბრძანდებოდა, მეც იქ ვახლდი, გარე გამოველ; თამაზმან თავის მსახურთ უთხრა დაიჭირეთო, დამიჭირეს და პერანგის ამხანაგს ჩახდას მიპირობდენ; მე იმისი ჩახდა დიდათ მეთაკილა, გარე გამოველ გაშფოთებული თამაზა ეშკიკლასბაშისაგან, ხმაღს ხელი გავიკარ, გივი თავისთვის მდგომარე იყო, გივი[ის] სრულობით ბრალი არა ქონია რა, არც გახ-

დაში დასწრებია; გაშფოთებული რომ ვიყავ, ბრალიანი და უბრალო ვერ გავარჩივე. და ნება სამართლისა ასრულდესო<sup>1</sup>.

ჩვენ რომ გივი[ის] უბრალობა შევიტყვევით თვით რევაზის ჩივილისაგან, უნდა კრილობის სისხლი მოსცეს. მისის უმაღლესობის ბრძანებით ეს ნაცვლის [v] ზაალის შვილები პირველი აზნაურშვილები არიან ტახტისანი; პირველის აზნაურშვილის ერთის ქერის მარცვლის ზომის სისხლი არის სამი თუმანი და ორი მინალთუნი<sup>2</sup>. გივის კრილობა გავზომეთ, ოცდაექვსის ქერის მარცვლის ზომა იყო. ოცდაექვსის ქერის მარცვლის ზომის სისხლი იქნება ზემორე განწესებულისაებრ ოთხმოცდასამი თუმანი და ორი მინალთუნი. აქედამ სამართალმან იპატივაჲჲ ც — ოცდასამი თუმანი და ორი მინალთუნი, დარჩა სამოცი თუმანი. ეს  $\frac{1}{2}$  (სამოცი) თუმანი რევაზ თაყაშვილმან უნდა მისცეს ნაცვლის შვილს ავთანდილს და გივს — ნახევარი ნალდი და ნახევარი ვეჯი.

სანატრელი მ ე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ შ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ს : უკეთუ კაცი კაცს დაესხას თავის ბატონის სასახლის ახლო, უნდა იმისი ბატონის სისხლის ნახევარი მომხდომან მისცესო. გივი თავის ბატონის სასახლეში თავისთვის მდგომარე ყოფილა, რევაზ გაშფოთებული მიხდომია და უბრალოდ დაუქრია. თუ ამ სამართლის წვრილად სიღრმეში შევსულიყავით, დიდათ დაუძძიმდებოდა.

მაგრამ ამას [156] თან წარვხედით და ეს ასე შემოგაკლეთ: რადგან ამისთანა მაღალს ადგილს ეს კადნიერება იხმარა და ხმაღს ხელი გაიკრა და ორნი უგანათლებულესნი იმ სასახლეში ბრძანდებოდნენ და არა რიდა, ამ მაღლის კადნიერებისათვის სამართალი ან ხელს გააგდებინებს ან ხელის სისხლს დაადებინებს.

ბრძანებითა მისის სიმაღლისათა განესაჯეთ ესრეთ. ოკდომბერს ი, ქორონიკონს უოვ.

იასაულო ფარეშთხუცესო გიო! ეს ასე აღასრულე.



1 სრუბდინო. 2 მილანთუნი.

1768 წ. 10 ნომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 321. დედანი. ქალაღი. 40,5×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწულს მეფის ძეს გიორგისთან ხარკაშნელის ყმის მოხელე ნაცვალი გიორგი და ეკლესიის ყმანი მოვიდნენ, რომ: ჩვენის ეკლესი[ი]ს მთა გიჭირავთო, იმ [მ]თის საბალახესაც თქვენ იღებთო და სწავრიგათაც თქვენი ყმანი ხმარობენო.

რასაც დროს ეს სიტყვა ჩვენ იმათგან მოვისმინეთ, მაშინვე ამისი აღილათი ჩარგულთ მახსოვარს კაცო პირქუშს ბერუცას და პეტრე ხატონაშვილს ფიცით ვკითხეთ, რომ ამ სახარკაშნელოს მთისა სამძღვრები როგორც იცოდეთ, სწორე მოგვახსენეთ.

იმათ წერილით და ფიცით ასე მოგვახსენეს, რომ: ბერლოს ქვეის ნაგლეჯიღამ ლახატოს პირმზითი საშავარდნოს კლდის თავამდის ბუსნის ქალის თავს რომ თავმოქცეული საყდარი არის შარა კვეისაკენ, სახარკაშნელო ეკლესი[ი]ს მამული მთა არისო; და პირიქით სახასო არისო.

ამ მახსოვარ კაცთ ფიცით რადგან ასე იმოწმეს და თქვეს, ჩვენც ასე გაურჩიეთ და ამ ზემოხსენებულის მოწმე[ე]ბის სიტყვით ასე დავანებეთ ეკლესიას ეს მთა. რომ დღეის იქით არც ჩვენ და არც აქვის ჩვენ სახასო ყმათ ამ მთასთან საქმე არავისა დვაქვს. ეს მთაც ეკლესი[ი]სა არის და ამ[ი]სი სარგოც და გამოსავალიც რაც იქნება, ყოველიფერი ეკლესი[ი]სა არის, რომ არც ჩვენ და არც ჩვენს სახასო ყმათ საქმე აღარავისა აქვს. ნომბრის ი, ქორონიკონს უოვ.

ეს ასე დამტკიცდა, რომ პირიქით ჩვენი სახასო მთა არის და ამ ზემოხსენებულს მიჯნას აქეთი<sup>1</sup> სახარკაშნო ეკლესიის მთა არის.

ზექელი: გიორგი.

<sup>1</sup> ექეთი.



1788 წ. 27 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1738. დღიანი. ქალაქი. 65,3X26 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახარია წერტილი.

ქ. მისს უმაღლესობას მეფეს მათის ძის გიორგისათვის  
საქართველოს მსაჯულთშეკრებულების თანდასწრებით თარხნი-  
შვილის მამუკასი და ხახანაშვილის სამართალი  
ებრძანებინათ. მისის უმაღლესობის ბრძანებისაებრ საქართველოს  
მსაჯულთ თანდასწრებით მამუკასა და ხახანაშვილის სარჩელი გან-  
ვიხილეთ.

თუმცა ამის უწინარეს მრავალჯერ ქმნილიყო ამათი სამართალი  
და ერთმანეთში მრავალი ოქმი და განაჩენა იყო, მაგრამ ვერ და-  
ეპყრა პირი აღუშლელად საქმესა.

ყმობაზედ რომ დაობდენ, იმისი სამართალი კი გადაწყვეტილი  
იყო მდივანბეგებისაგან, რომ ხახანაშვილი წმინდის ევსტატისათვის  
დაენებებინათ მდივანბეგებს; და აღარც მამუკა ელაპარაკებოდა ყმო-  
ზაზედ.

მაგრამ ეს ხახანაშვილი ვენახს ედევებოდა მამუკას, რომ ნას-  
ყიდს ვენახზე დიდმა ზაზამ ჰალიას ნაჭერი მამული გამი-  
ცვალო. და ახლა ამან კი წამართვაო ნასყიდს მამულზედ მოცვლი-  
ლი ვენახით.

ჩვენ რომ მამუკას ამისი პასუხი ვკითხეთ, მამუკამ თქვა: არა  
აქვსო ნასყიდით და არც ნასყიდობის წიგნი აქვსო, ნაწყალობევიად  
სკერიანო. და რადგან ყმობიდან წამივიდაო, მამულს თან აღარ გა-  
ვატანო.

ხახანაშვილმა დიდის ზაზას მიცემული წიგნი წარმოაყენა, რო-  
მელშიაც რომ ასე ეწერა: «ესე წიგნი მოგეც მე, მოურავის შვილმა  
ზაზამ, შვილმან ჩემ[მ]ან ბა[ა] დურ და მამავალმან სახლისა  
ჩემისამანო შენ, ხახანაშვილს თევედორეს, შვილსა შენ-  
სა ივანეს და ბერუას, ძმისწულსა შენსა დემეტრეს  
დათას ასე, რომ: მე მოვინდომეო ზვართან შენი მკვიდრი ნას-  
ყიდი ბაგა და გამოგართვიო ამის სანაცვლოდ ჩემის მკვიდრის ყმის  
ამოწყვეტილის ჰალიას ვენახი თავისის სამართლიანის სამძღვრით,  
ჰალით, საბოსტნით, სახლით, კარმიდამოთი, მარნით, შესავლით,  
გასავლით და წისქვილით მოგვიციაო. გქონდეს და გაბედნიეროს  
ღმერთმან, როგორც ნასყიდი ბაგა გქონდაო, ისე ეს ჰალიას მამული

შენთვის მოგვიციაო. ვინც ეს მოგიშალოს, ღმერთმან იმისი სახე მოშალოსო; მასამც რისხამსო ღმერთი და ყოველი მისნი წმინდანო. არის ამისი მოწამენიო: ცა ლქა ლამაზი ძე სალთხუცესი იესე, გურამი შვილი ჰაპუა, ნაზარაშვილი ბეჟანა, მკედლის შვილი მახარე და მე, ავალი შვილს ზაზიერთხუცის შვილს დამიწერია და მოწამეცა ვარო». დაწერილი იყო გიორგობისთვის გასულს, ქორონიკონს უკთ და ზაზას ბეჟელიც ზედ იჭდა.

ჩვენ რომ ეს წიგნი ვნახეთ, დიდი ეჭვი დაიდვა ჩვენს გონებაში ამით. მეორედ, რომ ამ თარიღიდან აქამდე არიან წელნი ორმოცდაშვიდი, რომ ეს გაცვლილი ვენახი ამ ხახანაშვილს სკერია, თუმცა გაცვლას უკან ხახანაშვილი თევდორე მეორეს წელს მომკვდარა, მაგრამ ზაზას რვა წელიწადი კიდე უცოცხლია და მაშინც არ მოუშლია და არც აქამომდე მოუშლია ვისმე და სულ სკერია.

თუმცა ტარიელ ჯორაშვილმა იმოწმა ფიცით, რომ ნასყიდს მამულზედ გაცვლილიაო; და თითონც ზაზა უწერს ასე, რომ მოვინდომეო ზვართან შენი მკვიდრა ნასყიდი ბაგა და გამოგართვიო და სანაცლოდ მოგეც ქალიას ამოუწვეტილის ვენახი და მამულიო; და მდივანბეგებსაც ფიცი განეწესებინათ, რომ ხახანაშვილს ერთს უნდა შეეფიცნა, რომ ნასყიდი ქონიყო და მამუკა ამ სამართალს სჯეროდა.

მაგრამ ახლა რომ უწვლალი ადესად გამოიჩხრიკა, მდივანბეგებიანვე თანხმობითა ასე უმჯობესად ვრაცხთ. თუმცა ზაზას წიგნსა და ორმოცდაშვიდს წელს ნაჭერს მამულს ფიცი აღარ ეკირებოდა, მაგრამ მოსამართლეთ იჭვის განწმენდისათვის ესგვარ უმჯობესად ვრაცხეთ ფიცი; რომ ხახანაშვილები ორნივ ძმანი თევდორე და შიო წარდგნენ და ზაზას წიგნი კელთ დაეკირონ და ფუცონ და თქვან, რომ: «ეს წიგნი რასაც ამბობს, ვენახს თუ სხვას მამულს, კეშმარატი იყოს და კიდევ ნასყიდს ბაგაზე ქონდეს მოცვლილიო».

თუ ასე ფუცეს, ეს სადაო ვენახი და სხვა მამული, რასაც ზაზას წიგნი უტახადებს, ხახანაშვილს სრულებით დარჩება. მაგრამ მამუკას რომ სახლისკაცებისაგან ეს ხახანაშვილი ამ მამულით ფარდში მისცემია, ისევ უნდა სახლისკაცებმა ამ ვენახის ტოლი ვენახი და მამული მამუკას მოსცენ.

აწ დავასრულებთ აზრსა მსაჯულობითსა წინამდებარესა ამას ზედა ვენახსა და მამულსა. ჩვენმა გონებამ ასე საჯა და ნება მათის უმაღლესობის ასრულდეს<sup>1</sup>.

1 ასრულებდინ.

იასაულო აბაზაძე უნართ, ეს ახლავ ასე უნდა აღასრუ-  
ლო. აღიწერა ნოემბრის კვ, ქორონიკონს უოვ.

სამი ბეჭედი:

1. გიორგი
2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძეს ა  
ნიკოლოზ

3. დივანბეგი

ქ. მისის სიმალლის, მეფის ძის გიორგის ბრძანებით მე, აბაზა-  
ძე უნართამ, ბრძანების იასაული ვიყავ და თარხნისშვილმა მა-  
მუქამ ველარ და[ი]ფიცა და მამულზე ხელი აიღო და ხახანაშვილს  
თევდორეს დარჩა ეს ვენახი და მამული. და ხელი აუმართე იმ ვე-  
ნახზედ და მივაბარე. იან[ვ]რის იბ, ქორონიკონს უოვ.

ამის დამსწრენი არიან თარხნიშვილი ტეტია, დეკა-  
ნოზი პეტრე, ჯორაშვილი შაზა, დეკანოზის დისწუ-  
ლი გაბრიელ, დანდურიშვილი ტერტერა. ესენი იქ  
დაგვესწრენ. ის ვენახი ხახანაშვილს დარჩა.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე საქართველოსი ირაკლი მეორე, ამ განა-  
ჩენს ვამტიცებთ. ამის იქით ამათა სხვა სამართალი აღარ იქნება.  
როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე უნდა გადასწყდეს. და რადგანც  
მაშინ არ დაუფიცებია, ახლა ფიცს ველარ მოუდებს. და მამუქას  
თავისმა სახლისკაცებმა ამ ხახანაშვილის ბადალი მამულიც უნდა  
მოსცენ. ამას იქით ნულარ ილაპარაკებენ. [მ]კათათვის ი, ქორონი-  
კონს უა.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

## 255. ბანინება გრიგოლ ბახუტაშვილისა და მამუჩიანთ მამულის

საქმეზე

1788 წ. ნოემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 53. საბ. № 6. პირი. ქალაღი. მხედრული.

[3] მისის უმაღლესობის მეფის ოქმი მოგვიტანა ბახუტა-  
შვილმა გრიგოლ მღვდელმა. რომელიც ასე აცხადებდა: მა-  
მუჩიანთ მთის საქმეზედა კახეთის მოსამართლებო შეიყარენით და  
თვით თქვენის თვალთ ნახეთ ეს სადაო მთაო და ბახუტაშვილს  
მდივანბეგის რამაზის განაჩენი რომ აქუსო, ისიც ნახე-  
თო და იმ განაჩენზე უყავით სამართალიო.

ეს ბრძანება ჩვენ, მოსამართლეებს, მოგვივიდა. ამჟამად

[მ]დივანბეგი ბეჟან გაღმა მხარში იყო ნაკლების კაცის სარბევლად. ჩვენ, [v] მდივანბეგი ოტია და მდივანი დავით, ჩავედით წინანღალს, მამუჩიანთას ჩამოვხდით; წინანდლელი სოფლის კაცი და ბახუტაშვილები სამართალში შამოვკრიბეთ. შეექმნათ ლაპარაკი.

წინანდლელი ამას ეპასუხებოდნენ: წინანდლის თავს<sup>1</sup> ხო დაშნის მხარეს რომ ქედია, იქიმდის ჩვენია, ამის მეტი ჩვენ მთა არ გუაქვსო<sup>2</sup>; იმ ქედსა და კლდის ქვევით შაფერდებით რომ ჭალა არის, რიყემდის შენიაო, საბალახე იმაში აგილიაო, მამულიც ის არის შენიო, ჩვენ უბრალო[თ] გვეშფოთებთ.

ამის პასუხად გრიგოლ ბახუტაშვილი მამუჩიანთ სოფლის კაცთ ამას უპასუხებდა: იასონის სასახლეს უკან ბილიკი რომ გადივლის, აქამდის ჩემიაო, ფეხი დაგვიდგა ამ მღვდელმა: ამ საცალფეხოს ბილიკამდინ ჩვენიაო.

მამუჩიანთ და სოფლის კაცთ მიუგეს მღუდელსა: ასეთი წიგნები რომ გამოჩნდეს, იმ ქედს ქვევით ეს ვაკე ტყე შენი არ იყოს. ბოლოს კიდემ დაგუაფიცებო?

მღუდელმა უთხრა: თუ მაგ[გვ]არს წიგნს გამოაჩენთ, აღარ დაგაფიცეფო.

და რამაზ [მ]დივანბეგის განაჩენის ძალით წინანდელთ ფიცა ეღო.

ჩვენ, მოსამართლეთ ორსავე მხარეს მუჩალგა ვთხოვეთ და წერილიც გამოვართვით. მერმე წავედით და წინანდლის თავს რომ ქედია, იქ მივედით, დავდექით; გოგნიას შვილს გიორგის მისის უწმინდესობის ქათალიკოზი[ს] გუჯრის პირი მოვთხოვეთ, წაუკითხეთ. ამ გუჯრის პირში ასე აცხადებდა და სწერდა: წინანდლის თავს რომ ქედია, იქიმდის დაგვიფიცინიაო, იმას იქით საქმე არა გვაქვსო.

ეს რომ მოვისმინეთ, ასე გავსინჯეთ ჩვენის გონებით: ქედს ქვევით ვაკე ტყე რომ არის, ამ წინანდელთ შამულათ და მიჯნათ რომ სწერს, წინანდ[4]ლის ქედად ახსენებს და სხვ[ი]ს გვარის მამულად არა ჩანს, რომ ეს ვაკე ტყიანი[ა].

მღვდელმა არც ეს იყაბულა და არც თავისი მუჩალგის წიგნს მოუდგა. და ისევ ლაპარაკი შეექმნათ, მიუფიცრად არ მოგეშვებო. ისევ სოფელში გიახელით. დადგა ფიცზედ. გრიგოლ მღვდელმა სამი კაცი გამაარჩია: მე ს ხ ი შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი, ბ ე ჟ ე ა შ ვ ი ლ ე

<sup>1</sup> თავის. <sup>2</sup> არა გვაქვსო.

ბ ე რ ო, ქ უ მ ს ი ა შ ვ ი ლ ი მ ა მ უ ე ა; ამათ მაცხოვრის ხატს ხელში მიეცემო, სოფელი უკან მიყუესო; ეკლესიიდან მაცხოვრის ხატი გამაიტან[ა] გრიგოლმა, მესხიშვილს მისცა ხელში და ანთებულის სანთლით მისდევდნენ სოფლის კაცნი თან; ორი საქცევი მიწა რომ გაიარეს კელთჩასვენებული ხატითა, მღუდელი გრიგოლ დაბრუნებოდათ და ჩვენთან მოვიდა.

ჩვენ ვკითხეთ, რატომ დაბრუნდიო; მღუდელმა გვიბასუხა: მე მივყვანდი ზემოხსენებულს ქედამდინ და მიჯნამდი და ასე ვკითხრა მღუდელმა, ქედამდი რაღათ უნდა გავყოლოდიო?

ჩვენ უთხარით: წადი, ხატი ჩამოართვიო, ეკლესიაში შეასვენეო. ამაში ჩვენც თან გავყევით. იმ ჟამს მოძღვართ-მოძღუარიც და კანდელაუცი დავითთან წამოვიყუანეთ, მივეგებენით მაცხოვრის ხატს, ქუმსიაშვილს ეპირა ხელში, ბახუტაშვილმა ხატი ჩამოართვა და ეკლესიაში შეასვენა.

გარდასწყდა ამათი დავა: ქედს ქვევით მცირე ვაკე წინანდლისაკენ მამუჩიანთ დარჩა და კლდეს ქვევით შეფერდებული ქალა ეაკე ამ ბახუტანთ დარჩა.

ჩვენ ასე განვაგეთ წინაშე ღმრთისა და აღარც ფიცი ეპირ[ვ]ებოდა, რადგან ქათალიკოზის გუჯრის პირი ასე აცხადებდა; და ნება მისის უმადლესობისა არის. გიორგობისთვის, ქორონიკონს უოვ.



მე, მოძღვართ-მოძღვარი ნ ი კ ო ლ ო ზ, ამ სამართალში ექდავესწარ და ასე გარდასწყდა, როგორათაც ესა განაჩენი აცხადებს.

ქრისტიშობის იმ, ქორონიკონს უოვ.



## 256. განჩინება ერეკლე II-ისა ზალდასტანაშვილების სასისხლო

სამკეზი

1788 წ. 4 დეკემბერი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 8995. ღედანი. ქალაღი. 67X31 სმ. მარცხენა კიდე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარაა წერტილი და მძიმე.

ზ ა ლ დ ა ს ტ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა ს ის თ ა ვ ი პ ა ტ ა რ კ ა ც ი და ა მ ი ს ი ძ მ ე ბ ი რ ა მ ა ზ, ი ო ს ე ბ და კ ი კ ო და ა მ ა თ ი...<sup>\*</sup> ს ო ლ ო მ ო ნ ჩ ი ო დ ნ ე ნ: ჩ ვ ე ნ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი ყ ო ჩ ი ა შ ვ ი ლ ი თ ქ ვ ე ნ ი ა ბ დ ა

\* აკლია ორი-სამი სიტყვა.

რი ზუა აქ ქალაქს იყო, თქვენ გახლდათო. აქ ქურდობა ექნაო, გამოპარულიყო, იქ მაჩხაანში მოვიდაო, ჩემის ნასყიდის ყმისშვილები შეეგულიანებინაო — ერთი ბაცაცაცაშვილი ნინია და მეორე დათუაშვილი გლახა; ჩვენ სამნი ძმანი შინ არ ვიყავითო და ჩვენი შუათანა ძმა იოსებ შინ იყო; მიხლომოდნენ ჩვენს სასახლეში ცოლთან ჩვენს ძმას იოსებს მძინარეს, წასწოლოდნენ თავს და რვას ადგილს ხანჯლები დასცესო. წამოიჭრა ამგვარად დაჭრილი და ამდენი ეცადა, ისინიც მოიშორა თავისის გარჯით და თავიც მოირჩინა სიკვდილისაგანაო. ის ბიჭები მაშინვე გადაცვივდნენო, ჭარში გასვლის პირობა ჰქონოდათო, ჩვენ კაცები შეუყენეთო. მოგვიმართა ღმერთმა კელი და სამნივ კელში ჩავიყარეთო, გაგვაპარესო, ერთი წმინდას ნინოში შეიყვანესო და ორნი ნათლისმცემლის უღაბნოში შეიყვანესო. ამგვარად ამოწყვეტილნი ვართო და ამის სამართალს ვითხოვთო).

[ჩუენ ეს ყოჩიაშვილი ზუაცა და ის ასისთავის ნასყიდის კაცის-შვილებიცა გლახაცა და ნინიაცა სამნივ სამართალში მოვაყვანიინეთ და ვალაპარაკეთ და ეს სამნი ერთმანეთს პირს წაუდგნენ.

ყოჩიაშვილი ეუბნებოდა: თქვენ რომ თქვენის ბატონის იოსების სასიკვდილოთ შეხვედითო, მე არც[არ] შემოვსულვარო და არცარა საქმე მაქვსო.

ამ გლახამა და ნინიამ უპასუხეს: ქალაქიდან რომ მოხველო, მოტყუებითაც შენ მოგვეტყუეო და შენ აგვეიყოლიეო. რომ გაღმა გავიდეთო, და ესეც შენ გვითხარო — თუ ნიშანი არ გავიტანეთ რაო, არ გვენდობიანო. და ამ იოსების სიკვდილი რომ გამოვარჩივეთო, მართალია, ჩვენ შევედითო და შენ კარზე დასდგე თოფითაო და ასე გვითხარო: თქვენ შინ შედითო, მოკალითო და მე აქ კარზე თოფით დავდგებიო და თუ მეშველი მოვა ვინმე, მე თოფსა ვკრაო. და ჩვენი პირობა სულ ერთი იყოო.

ყოჩიაშვილმა უპასუხა: მართალია, პირობაც ერთ გვექონდაო, სიტყვა და რჩევაცაო, მაგრამ თქვენ რომ იოსების სასიკვდილოთ შეხვედითო, იქ კი აღარ შემოგყეო.

და ეს გლახა და ივანე კიდეც ასე უპასუხებდნენ: შემგულიანებელიც შენ იყაო და მრჩეველიცაო, ჩვენ შინ შეგვეგზავნეო და შენ თოფით კარზე დავვიდგეო.

რამდენიც ესენი ვალაპარაკეთ, სამნივ სწორნი ამხანაგნი არიან და სწორი დანაშაული აქვსთ. ესენი სამნივ სიკვდილის ღირსნი იყვნენ, მაგრამ რადგანც ეკლესიებს შეხვეწნოდნენ, სიკვდილი და ნასალი ვაპატივეთ და ასისთავის ძმას იოსებს თავისის კრილობის

სისხლიც უნდა დაუტურონ და სახლში მიხდომის სისხლიც უნდა დაუ[უ]ტურონ ასისთავს პატარაკცსა და მის ძმებსა.

ზალდასტანიშვილი ქი ს ი ყ შ ი აზნაურშილად არის აღრიცხული და ამათი სი[ს]ხლი არის ორმოცდარვა თუმანი — 30 ამდენი. ეს სახლში მიხდომისა და თავდასხმისათვის უნდა მოსცენ ასისთავს პატარაკცსა და მის ძმებსა.

და იოსების ჭრილობა რომ გავზომეთ, არის ოცდათუთხმეტი და ნახევარი ჭერის მარცვალი. მიეცემა ერთს ჭერის მარცვლის ჭრილობის ზომაზე რვა მინალთუნი. ეს რვა მინალთუნი ერთნახევრად შევაყენეთ. რადგანც ჩვენის შვილის გიორგის შაგამდეგი არაა, რომ იქნება ოც[და]თუთხმეტის და ნახევრის ჭერის მარცვლის ჭრილობის ზომის სისხლი ორმოცდაორი თუმანი და ექვსი მინალთუნი.

და რახან თავის [ს]ახლში თავის ცოლთან მწოლს დაესხნენ თავსა, ეს სამართალმა დაუორკეცა, რომ იქნება ერთად თუმანი ოთხმოცდახუთი და ორი მინალთუნი — 36 ც ამდენი.

ესე და სახლში მიხდომის სისხლი რომ ერთმანეთზე დავადევით, შეიქმნა ერთად ასოცდაცამეტი თუმანი და ორი მინალთუნი — 38 ც ამდენი. ეს ყოჩიაშვილმა ზუამ ბაცაცაშვილმა ნინიამ და დათუაშვილმა გლახამ სამთავ სწორედ უნდა დაუტურონ, რომ იქნება თითოს მისაცემი ორმოცდაოთხი თუმანი და ოთხი მინალთუნი — 38 ც ამდენი.

ეს თავისი წილი ყოჩიაშვილმა ზუამ მესამედი თეთრი და ორი წილი ჩინში ახლავ უნდა მოსცეს. ორი წილი ჩინში რომ დავვიწერია, იმაში ასისთავმა პატარაკცმა და იმისმა ძმებმა თავისის ღირებულის ფასით რაც ყოჩიაშვილმა მოსცეს, ყველა უნდა დაუჭირონ მამულიცა და სხვა ჩინშიცა.

და ბაცაცაშვილი ნინია და დათუაშვილი გლახა რადგანც ასისთავისა და იმის ძმების ნასყიდის კაცის შვილები არიან, დიდი ბრალი აქვსთ. მაგრამ რადგანც სიკვდილი და ნასალი ეკლესიას ვაპატივეთ, ეს ორნი ნინია და გლახა ნასყიდნი არიან და ახლა ნასისხლათაც მიეცა იოსებსა; და როგორც სამართლის წიგნში სწერია, ძმებსაც ისე წილი ერგებათ.

და რადგანაც ამ ბიჭების მამებსა და ძმებს ამათი განზრახვა არა სცოდნიათ, იმათ კი ნასახლად ვერ დაიქერენ; როგორც ნასყადი ყმები ყოფილან, ისევე ისე უნდა იყვნენ.

ეს ასე გავვირიგებია და ასე დაგვიმტკიცებია.

ემიკალაბაშო ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე გ ა რ ს ე ვ ა ნ ! ამაზე ერთი ია-

საული აჩინე და ასე აღასრულებინე. დეკემბერს და ქორონიკონს უოვ.

ბეკელი: მე ფესთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.  
ოთხი ბეკელი:

1. იწამეთ ოდეს სახიერისთვის ძელი გამოჩნდა დასჯათ მტერისთვის
2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
4. დივანბეგი

## 257. განჩინება დავით მგალობლისშვილისა და მისი რძლის გაყრის საქმეზე

1788 წ. 22 დეკემბერი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 5325. დედანი ქალაღი 34X14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მგალობლისშვილს დავითს ეჩივლა მათს უმალღესობას საქართველოს დედოფალთან, რომ: მე და ჩემი რძალი ვჩიოდით, კახეთის მოსამართლეებმა გაგვყარეს, გაგვაშველეს და მასუკან ისევ მოგვიშალესო.

მათს უმალღესობას ეპრძანა ოქმით ჩვენთვის: როგორც უწინ გაგეყოსთ და მიგეცესთ, ახლაც ისევ ისე გაპყარეთო, მოშლა არ იქნებაო. და ფურკანბეგი და ცხენი რომ მიგიციათ, ისიც ისევ გამოართვით და ამავე დავითს მიეციეთო.

უწინდელ გაყრაში მიეცა ფეიქრიშვილის ვენახი, პაპუნისშვილის ვენახი, და თუნიკიშვილის ვენახი და ყმად-მემკვიდრე ფიცხელაური თადო თავისის მამულით, მოსია მკვიდრი მამულით, ნარუსალი ხიზანი მამულით, — ეს ყმა და მამული მიეცა. წლევანდელი ღვინის გამოსავალი მესამედი, პურის წილი სულზედ, ნიგოზი სამარხო სულზედ, წისქვილის მეოთხედი, უღელი ხარი, ერთი ხალიჩა, ერთი ქვაბი, ხუთის დღის მიწა ნაფუზარი სოფლის გარშემო, ხუთის დღის მიწა საშუალ მინდორში, ხუთის დღის მიწა ბოლოს მინდორში, — ესე[ე]ბი განუწესდა. და მანამდის ქალს გაათხოვბდეს, მანამდის მთლად უნდა ეჭიროს ესე[ე]ბი. და როდესაც ქალი გაათხოვოს, მაშინ შუა უნდა გაიყოს ეს მამულები. ნახევარი დავითს მოეცეს



ან ნახევარი ქვრივს დარჩეს, მანამდის ცოცხალი იყოს და ქვრივის სიკვდილის შემდგომ ისევ დაეუთს დარჩეს სრულიათ. ასე გარიგდა.

იასაულო,\* როგორც დაგვიწერია, ასე გაარიგე, ფურკანბეჩი და ცხენი გამოართვი ქვრივს და ამ დავითს მოაბარე.

ამისთანა ერთი განაჩენი ქვრივს მივეცი.

მოჯამაგირეები რომ ჰყოლიათ, იმისი ქამაგირი რაც არის, უნდა იანგარიშონ და რაც შეხვდეს, თავისი რასათი ქვრივმაც უნდა მისცეს.

აგრევე რაც წისქვილზე ხარჯი მოსვლია, იმისი ნაოთხალი ქვრივმა უნდა მისცეს, რადგან წისქვილის ნაოთხალი ეძლევა. ქრისტიშობის თვის კბ, ქორონიკონს უოჯ.

ოთხი ბეჭედი:

1. ბ ე უ ა ნ
2. მონა ხეთისა ო ტ ი ა
3. მ ე თ ო დ ი
4. მონა ღეთისა მდივანი ს ვ ი მ ო ნ

თავში:

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთისა და სხვათა დედოფალი დადიანის ასული პატრონი დ ა რ ე ჯ ა ნ, მსაჯულთ განჩინებასა ამას ასე ვამტკიცებთ. და მგალობლისშვილის ქვრივს სამართლით რომელიც განწესებად მისცემია, ვერც გაჰყიდის, ვერც ეკლესიას შესწირავს, ვერც დააგირავებს და ვერცავის უანდერძე[ბს], მანამ ცოცხალი არის, იმ განწესებული მამულით უნდა იცხოვროს და სიკვდილას უკან ეს მამულები სრულად დავითს დარჩება. იანვრის დ, ქორონიკონს უოჯ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

კიდუზე:

ქ. დედოფალი დარეჯან გიბრძანებ საგინაშვილო ისაკ! მერმე მგალობლისშვილის დავითის მამულებსა რაც ამის რძალს სიგლები ან განაჩენები და ან სხვა წიგნები ჰქონდეს რამე, ყველა უნდა გამოურთვა და დავით მგალობლისშვილს მოაბარო, რომ თავისის მამულ[ის] წიგნები დავითს უნდა ჰქონდეს.

და ამ განაჩენით წისქვილის ხარჯისა თავისის რასათით მიდგომა რომ სწერია და სამოჯამაგიროს მიცემა რაც შეხვდებოდეს,

1 გამოართვის.

\* დატოვებულია ცარიელი ადგილი სახელის ჩასაწერად.

წიქვილის ხარჭშიაც უნდა მიუდგებოდეს და სამოქამაგროს თეთრშიაცა. ესე[ე]ბი შენ უნდა გამოურთო და დავითს მოაბარო. იანერის იე, ქორონიკონს უოთ.

ბეჰელი: დედოფალი დარეჯან

## 258. ზანინება ცაიშის ეკლესიის უფა-გაჟულის საჰმეზი

1777—1788 წწ.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება. H 89. პირი. უთარილო. საბუთი თარაღება კაცია II დადიანისა და გრიგოლ ცაიშელის ზეობის წლებით.

[9] ქ. ჩემი ბრძანება ეს არის: ყოვლად სამღუდელო ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლ მისის ეკლესიის ალაგ-მამულის კაცის გამოკვლევას რომ შემოგვეხვეწა, დავთარი არ ქონდა და რომელიც იქა-აქ გამოვიკვლიეთ, ასე განვაწესეთ.

ქვედირი საყანე იდავეს ჯუმს გაღმა და გამოღმა. ჯუმს გაღმართი ცაიშის ეკლესიას ჩვენ ჩვენის გამოძიებით დავანებეთ. და რომელიც მისის ეკლესიის სიახლოვეს ქვედირის თავი იყო გამოღმა, ისიც საზღვარი დავსდევით და ისე დავანებეთ. ამაების ყველასი მოაშორე იყვნენ კობახიძენი, მაგრამ ჩვენ ასე ვინებეთ და ასე გავარიგეთ.

ქ. სხვა გამოღმა ქვედირი რომელიც დარჩა, წამოდგეს ექვსმა კაცმა თავმა კობახიძემ და ასე დაიფიცოს: «ეს ქვედირი არასდროს არას მებატონისაგან ცაიშის ეკლესიას არ შესწიროდეს». თუ ასე იფიცოს კობახიძენმა კარგი, თორემ ქვედირი ეკლესიას დარჩეს.

ქ. სხვა გაბულაიების ნამოსახლი რომ ბრძანა ცაიშელმან, ის მოურავის კაცი ყოფილა და მოურავი არ ემოწმა და ვერ იდავეს. და რომელიც მამული დედოფალშან უბოძა ცაიშელს, ის ცაიშელს ქონდეს, სხვაში ხელობა არ ქონებია.

ქ. ნასაჯოგუ რომ იღ[ე]ვა ცაიშელმან, რომელიც ჯოლორია კობახიძემ იტეხა, სახატო ყოფილა და მისია, და რომელიც არ იტეხა ნასაჯოგუში, წამოდგეს თვითან ჯოლორია და ორი მისი ტოლი კაცი თან [V] ჩაიტანოს და სამმა ასე დაიფიცოს: «ნასაჯოგუ რაც სადადიანო არ არის, საეკლესიო არ ყოფილიყოს და არც ცაიშის ეკლესიის შეწირული ყოფილიყოს». თუ ასე უფიცოს, ცაიშელი რას ემართლება? თუ ვერ უფიცოს, ცაიშის ეკლესიის ყოფილა და ეკლესიას ქონდეს ნასაჯოგუ.

ქ. აფაქიძე რომ სახლობს, ის ალაგ-მამული რომ იდევა ცაიშელმა — «კაცი ჩემია და ალაგ-მამული ეკლესიის არის». და აფაქიძის ალაგ-მამული ეკლესიას ქონდეს. მიწისა და ალაგ-მამულის საქმე ასე გაგვირიგებია.

ქ. ჩემი მეკამბეჩე რომ იდევა ცაიშელმან, განაყოფები სჩანს და სამართლით ეკლესიას დავარჩინეთ. და ის ძველთაგან მეკამბეჩე ყოფილა, ვერ მივსცემთ. და [რაც] ერთი კაცის სული არის, იმდენი კაცი სული ამ მეკამბეჩის მაგიერა ჩვენგან მიერთვას ცაიშის ეკლესიას.

ქ. არზაყანის შვილის გიორგი კობახიძის ფიცა რომ იდევა ცაიშელმა თავის ეკლესიისათვის, მართალა, მისი ყოფილა, მაგრამ მამა-პაპა მისს უსჯულოსაგან დახსნილი ყოლია კობახიძეს, მისი მოურავი მაციციაც ემოწმა. და ჩვენ ასე გაგვირიგებია: ეკლესიას როგორც მსახურებოდეს, ისე ემსახუროს და კაცი კობა[10]ხიძეს ყავდეს, ამისთვის რომ უსჯულოსაგან დახსნილი ყოფილა ძველთაგან.

ქ. ქორთაძის კაცი რომ იდევა ცაიშელმა, აფხაზეთს დაკარგულია ის კაცი; დადიანმან და ცაიშელმა ამოიყვანოს და, რომელსაც სიმართლით დარჩეს, მას ყავდეს.

|                  |
|------------------|
| დადიანი<br>კაცია |
|------------------|

## 259. განჩინება ღვთის მფიცის დონითაჲს კათათაჲლისა და ლოლაბერიძეების შვილის საქმეჲს

1784—1788 წწ.

ცსა. 1448. № 2273. დედანი. ქალღი. 33.5×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საბუთი თარიღდება დავითის მეფობის წლებით.

ქ. ყოვლად სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს და ლოლაბერიძე ლევან და ბეჟან გავაბჭ[ვ]ეთ.

ლოლაბერიძე [მ] უჩივლა: უკანეთს ჩემი გლეხები გორგიძეები მყავს და რას მერჩი, რომ არ მიბოძეფო.

ქუთათელმა უბრძანა: ჩემი დავთრის კაცები არის მესხეთს წამოსახლი და მე მყავს ჩემი ხატის კაციო.

ლოლაბერიძემ აწორო უთხრა.

აწ ასე გავაჩივნეთ: წამოაყენოს ლოლაბერიძე ორმოცდარვა

გლენი კაცი და ასე სამართალი მიართვას ქუთათელს: «არც შენის დავთრის კაცები ესენი იყოს, და არც შენის ხატის კაცათ არც ეს და არც ამისი ძველი და ახალი ყოფილიყოს, და არც მესხეთს ნა- მოსახლი ესენი ყოფილიყონ».

თუ ასე უფიცოს, რას ემართლება, გლენი დაუტეოს ქუთათელმა ლოლაბერიძეს: თუ ვერ უფიცოს, გლენები ისევე ქუთათელს დარჩება და ისევე ქუთათის [ს] ყავდეს.

ქ. ქუთათელმა უბრძანა: ჩემი ქუტარელი შავგულიძე დავთარშიდ მიწერია. ზოგი გამიყიდე და ზოგი ისევე მენ გყავს, რას მემართლები, რომ არ მომცემო.

ლოლაბერიძემ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ლოლაბერიძემ ოცდაოთხი გლენი კაცი და ასე სამართალი მიართვას ქუთათელს: «არც შენის ხატის კაცი ის შავგულიძე იყოს და არც შენს დავთარშიდ ეწეროს, არც ეს და არც ამის ძველი».

თუ ასე ყოფილა, რას ემართლება, ისევე ლოლაბერიძეს დარჩება შავგულიძე. თუ ვერ უფიცა, რაც რომ გაყიდული არის, სულის სისხლი და ხორცის მისი ფასი მისცეს. და რაც რომ დარჩენილა, ისიც ისევე ქუთათელს მიერთვას ის შავგულიძე.

ბეჭელი: მეფე იმერეთისა დავით.

## 260. განჩინება დავით მეფისა დოსითეოს ქუთათელისა და

ანბონ ერისთავის მამულის საქმეზე

1784—1788 წწ.

ცსსა. ფ. 1448. № 2256. დედანი. ქალაღი. 31,2×16,8 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება დავითის მეფობის წლებათ.

ქუთათელი დოსითეოს და ერისთავი ანტონი გავაბჰვეთ.

ქუთათელმა უჩივლა და დავთარიც მოიტანა. და გარჩევით და გამოცხადებით ეწერა სამზღვრები და ამ სამზღვრებს შუაზე მამიაშვილის გიორგის პარტახს, მამიაშვილის დავითის, სვიმონ და დათუას პარტახს, მამიაშვილის ნიკოლოზის პარტახს და სახასო მამულს ნასყიდანს გამოტყდენ, რომ ღმრთისმშობლის შეწირული არისო და სხვებს უარი უთხრეს, ეკლესიის შეწირული ესეები არ არისო.

ქუთათელმა აშორო უთხრა.

აწ ესე გავაჩინეთ: წამოაყენოს ქუთათელმა ორმოცდაათი გლეხი კაცი, დავთარი ხელში დაიჭიროს და შამოუაროს სამზღვრებს და მამულს და ასე შეაფიცოს: «რაც რომ მძლავრებით წართმეული არა მქონდა, რაც ამ ჩემს დავთარში სწერია და შამოუარე, ქუთათისა ღმრთისმშობლის შეწირული იყოს, და არცა რა ხელი გქონდეს».

თუ ასე უფიცა, ქუთათლის ყოფილა, ქუთათელს დარჩეს; და რაც შარშან და წრეულს იმ მამულებში მოსულა, ისეც მისცეს ერისთავმა ქუთათელს. თუ ვერ უფიცა, რომელსაც გამოტყდა ქუთათელს დარჩეს და სხვა ერისთავის ყოფილა და ერისთავს დარჩეს.

ორი ბეჭედი:

1. მეფე იმერეთისა და ვით.
2. მდივანი და ვით.

## 261. ბანჩინება ზაალ ყაფლანისშვილისა და ერასტი გოსტაშაბიშვილის სასისპლო საქმეზე

1760 წ. 24 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14560. დედანი. ქაღალდი. 43,5X28 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია წერტილი და ორწერტილი.

ქ. მისს უმაღლესობას ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილთათვის ებრძანებინა: ზაალ ყაფლანის შვილი ერასტი გოსტაშაბის შვილს ბიჭის საქმეზე რომ უჩივის ალაპარაკეთ და სამართალი მიეცით. ბრძანებულისაებრ ვალაპარაკეთ.

ზაალ ასე ჩიოდა: ჩემი შვილი კოდაზე პურისთვის გავგზავნე. კოდიდამ ჩემს შეუტყობლად ახალციხეს ასულიყო; რომ შევიტყე, დიდათ შევწუხდი და მისს უმაღლესობას მოვახსენე, თუ ჩემი შვილი მე გამეგზავნოდა ან იქ იმისი წასვლა შემეტყობოდეს, ჩემი თავი სასიკვდილოდ დამიცს.

მე რომ ეს ფიცით ბატონს მოვახსენე, ერასტიმ უთხრა მუსხელაშვილის ბიჭს: მიდი, ბატონს მოახსენეო, რომ ზაალმა თავის ნებით თავისი შვილი ახალციხეს გავგზავნაო. მე მაშინ შეფიცებული ვიყავ, თუ ჩემის შეტყობით ჩემის შვილისა იქ წასვლა ყოფილიყო, უნდა ცოლშვილით ამოვწყვეტილიყავ. მე რომ ეს პირობა დავდე, მაშინ შემბარჩივა ამის თქმა ბატონთან.

ერასტის რომ ეს სიტყვა ბატონის მოსახსენებლად ამ ბიჭისათვის ეთქვა, ბიჭმა მე მითხრა, ერასტიმ ასე დამბარიაო. მე უთხარა

ამ ბიჭს: მიდი და იოსებ მღუდელს დააწერინე, რაც იცოდე. მივი-  
და იოსებ მღვდელს დააწერინა, რომ ერასტიმ ასე მითხრაო.

ახლა სამართალს ვთხოვ. რომ: ან ბიჭს რათ უთხრა და ტყუი-  
ლად რათ და[ა]კრიგა ან მისის უმაღლესობის სამჯავრომ რათ წა-  
მოძახა და ან თქვენ, მოსამართლე[ე]ბთან რათ მითხრაო. ერასტის  
თუ მართლა უთხრა ბიჭმან, რატომ ბატონს არ მოახსენა, ამ ბიჭმა  
ასე მითხრაო. მაგრამ ბიჭს სრულობით არა უთქომს რა, ჩემის  
მტრობით მოიგონა, სამართალი მაღირსეთო.

ერასტი მიუგებდა: მუსხელაშვილის ბიჭი ახალციხიდან  
რომ მოვიდა, უთხარ: ბიჭო, შენს გამზრდელს ბატონს რათ გაეჩეც.  
ბიჭმა მითხრა: ზაალის შვილმა შემავლიანა და ზაალმა გაგზავნა  
თავისი შვილი ახალციხეს თავისი ნებია და შეტყობით და მეც  
თან გავეყე. ბიჭმა რომ ასე მითხრა, მეც აქა-იქ ვთქვი: თუ ამ ბიჭის  
პლუტება (sic) არ მცოდნოდა, ბატონსაც მოვახსენებდი და ჭეშ-  
მარიტებით: მარა ამ ბიჭს რომ სიცრუვით ვიცნობდი, ბატონს და-  
ვეშმარიტებით ვერ მოვახსენე და აქა-იქ ვთქვი ამ ბიჭისაგან ნათ-  
ქვამი.

ჩვენ რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ, რადგან ეს ბიჭი რომ  
მოსულა ახალციხიდან და მაშინვე სოლომან დეკანოზისათვის აღ-  
სარებად უთქომს, ზაალმა სრულობით არ იცოდა თავისის შვილის  
ახალციხეს წასვლაო, ამით გამართლდა ზაალ, რომ თავისის  
შვილისა ახალციხეს წასვლა სრულობით არ სცოდნია].

და ეს ბიჭი რომ შესწამებს ერასტის, შენ მითხარო, მიდი ბა-  
ტონ[ს] მოახსენეო, რომ ზაალმა თავის შვილი ახალციხეს გაგზავნა;  
და ერასტი აშოროს არის, შენ მითხარო, ზაალმა გაგზავნაო, თო-  
რემ მე შენთვის არ მითქომსო, რადგან ზაალ თავის შვილოს წასე-  
ლაში არა რეულა და ეს ბიჭი ასე ეწამება ერასტის, წადგეს ერას-  
ტი, ერთი მესამე თავადი თან მიიყოლიოს, ერთი მესამე თავადი  
ზაალმა შეუგდოს.

წადგეს ამ ორის თავადით ერასტი და ასე შეპფიცოს: «ამისმა  
ზადლმა, თქვას, ზაალ, ამ ბიჭმა მითხრა ზაალმა გაგზავნა თავისი  
შვილი ახალციხესო, თორემ მე ეს არ მეთქვას, ასე თქვი: ახალ-  
ციხეს ზაალმა გაგზავნა თავისი შვილი და ბატონსაც ასე მოახსე-  
ნე». თუ ეს ასე შეპფიცა, ზაალ ველარას ედავება. და თუ ეს ასე  
ვერ შეპფიცა, უნდა სისხლი მოსცეს ერასტი უსბაშმა გოსტაშაბის-  
შვილმა ზაალ ყაფლანისშვილს.

ამისი მოასილი შენ ხარ ჩერქეზის შვილო ჯანას-  
ლან! ეს ასე ადასრულე. იანვრის იმ, ქორონიკონს უოზ.

ოთხი ბეჭედი:

1. ლთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.
2. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშიკალასბაშ მყო მღივან-ბეგი თემურაზ.
3. მეთოდი
4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მღივანი მეფისა სოლომონ

კიდებე:

ქ. ჩვენ ეს განაჩენი და მოწმით ფიცი სამართლით განვაჩინეთ. და რადგან ზაალისშვილი დღეს ახალციხეს არის, იმისმა იქ ყოფამ მოწმით ფიცი მოსკრა. წადგეს ერასტი, თავისი შვილი თან მო[ი]-ყოლიოს და როგორც განაჩენი სწერა, ისე იფიცოს. იანვრის კდ, ქორონიკონს უოზ.

ხუთი ბეჭედი:

1. ლთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.
2. მეთოდი.
3. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშიკალასბაშ მყო მღივან-ბეგი თემურაზ.
4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მღივანი მეფისა სოლომონ.

5. მონა ღთისა იოხიკშ(?)

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლის და კახეთისა და სხვათა ირაკლი, ამ განაჩენს ვამტყიცებთ. იანვარს კდ, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაეით მიკმოზს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

**262.** განჩინება ღვთის ბოძებისა და ბარნაბიანთ მამულის საჩხეზი

1889 წ. 1 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2573. პირი. ქალაქი. შხედრული.

ქ. ყოვლად უსამღუღელოესი ბოდბელი დავით და ერთობივ ბარნაბიანები ბოდბეს ნასომხარს უძახიან, იმაზე დაკა! შეკქნოდათ. და ჩვენ, ქიზიყის მოურავს ზაქარიას, მიგვიწოდეს და ჩვენთან ილაპარაკეს.

1 დავი.

ბა[რ]ნაბიანები ამბობდენ: ჩვენ როდისაც ჩვენი ქვეყნილამ მოვსულვართ და ეკლესიის ადგილში დამდგარვართ, მაშინ კიდეც ეს ადგილიც ბოდბელს ჩვენთვის მოუტია.

ბოდბელი ამას მიუგებდა: ეს ადგილი პირველით-განვე ეკლესიისათვის სახასოდ ყოფილა დადებული, ამად, რომ აქ ეკლესიას სომხები სახლებია. ეკლესიისათვის უმსახურნიათ და დღესაც ჩანს ნასახლარნი და მილები და რუი რომ ჭანიანთ ქევის წყალი შიგ მისდენიათ. და როდისაც შაჰაბაზს კახეთი წაუხდენია, ესენიც მაშინ წამხდარა. და იმ დღით დაწყებით ამაზედ კელი ვერავის დაუდვიათ ეკლესიის სახასო მამულობით.

ჩვენ, ქიზიყის მოურავი ზახარია, მივედით იმ ადგილზე და ჩვენთან იყო ყოვლად სამღუდლო ბოდბელი დავით და ერთობივ ბარნაბიანი და მოუწოდეთ ეკლესიის მოქელეთა — ბოდბის ნაცვალს დიმიტრის, ბოდბის ქეხას გიორგის და სხვანი ბოდბილამ და ბოდბის ქევიდამ უჯროსი და მოხუცებული კაცნი. მივედით იმ ადგილზედ და გავშინჯეთ ნასახლარები და წყლის რუი სწორეთ ჩნდა და მილებიც ვნახეთ.

ბა[რ]ნაბიანი იმასვე ამბობდენ: მეფისაგან და ბოდბლისაგან მოგვცემილა.

ბოდბელი მიუგებდა: თქვენი სიტყვა თუ სარწმუნოა. ან მეფისაგან წყალობის წიგნი მოიტანეთო ან ბოდბლისაო, ან სარწმუნო მოწამე წარმოაყენეთო, რომ ხელდადებით ეს ადგილი თქვენ მოგვცემოდეთო.

ბარნაბიანთ ერთი წიგნი მოიტანეს შუა გახეულ, ბოლოს ბეჭედი იჯდა. ეს წიგნი დიდის მეფის თეიმურაზისაგან მოგვცემია ამ ადგილსაო.

გავშინჯეთ ის წიგნი და ბეჭედიც აღმოვიკითხეთ. ბეჭედზე ასე სწერია: «ცოდვილი იოანესა». დახეული იყო, სხვას არას აცხადებდა.

ამას გარდა ვერც წიგნი მოიტანეს მეფისა და ბოდბლისა, და ვერც სარწმუნო მოწამე წამოაყენეს.

და ჩვენ კიდეც გამოვიკითხეთ ბარნაბიანთაგან ამ ადგილის ქონა როდისმე; და მრავალი პირი სწამებდა: ბარნაბიანთ იმ ადგილას ქონა არ გაგვიგონია. ერთხელ იოანე ბოდბლის ბოდბლობაში ბარნაბიანთ იქ ცოტა რამ მუშაობა დაეწყით; ამ ადგილს მოხვნას უპირობდენ, რევაზ სალთხუცესი ისევ ცოცხალი იყო, მოუხდენ ბოდბელები და უთხრეს: თქვენ აქ რა ხელი გაქვსთ, ეს



ადგილი ჯერ<sup>1</sup> ეკლესიისათვის არის დადებული და მერე ჩვენი სამ-  
თა და სახიზარო. სხვას კელი არავის აქვსო ამაშიო.

ჩვენგან და ეკლესიის მოკელეთა თანდასწრებითა ეს სამარ-  
თალი განუწყესდათ: ბარნაბიანთ თუ ან მათის სიმაღლის მეფის  
წიგნი მოიტანეს და ან ყოვლად სამღუდელოს ბოდბლისა, რომ  
სწორეთ კელდადებით ამ ნასომხრის მიცემას აცხადებს და ან  
სარწმუნონი მოწამენი წარმოაყენეს, რომ ვიცით ამტიკებდენ  
სწორეთ სახელდადებით ყოვლად სამღუდელო ბოდბელი დავით,  
მეფისაგან, და ბოდბლისაგან მიცემულს წიგნს ვერ მოუშლით.

თუ ვერც მათის სიმაღლის მეფის და ვერც ბოდბლისაგან მი-  
ცემულს წიგნს ვერ წარმოაყენებენ, ეს ნასომხარი თავისი წყლით,  
რომელიც ჯანიანი ქვეიდამ მოდის, ამ წყალს უწინაც ამ ნასომ-  
ხარში უდენია, ახლაც ამ ნასომხარში უნდა იდინოს. ეს ნასომხარი  
ეკლესიისათვის დაიდვა. ძველადგანაც ეკლესიისათვის ყოფილა  
დადებული.

თუ კიდევ ბარნაბიანთ ამ სამართალზე გულკლებულობა ჰქონ-  
დესთ, რამდენიც სახლნი არიან, სახლიდამ თითო უფროსნი კაცნი  
მივიდნენ და წმიდის ნინოს საფლავზედ თითომ-თითომ კელი დას-  
დვას და ასე იფიცოს: «რომელიც შენზედ ყოვლად წმიდის სული-  
სა მაღლი მოფენილა, იმას ვფიცავთ, რომ ეს ადგილი, როდესაც  
შენს ადგილში ჩვენ მოვსულვართ, მაშინ სიმაღლის მეფისაგან და  
ყოვლად სამღუდელოს ბოდბლისაგან ეს ნასომხარი იქ მსახლობ-  
ლითა სომხებითა ჩვენ მოგვეცემოდეს».

თუ ასე იფიცეს, ის ადგილი ბარნაბიანთ დარჩებათ. და თუ ასე  
ვერ იფიცეს, ეკლესიისათვის დაიდვა თავისის წყლითა, რომელიც  
ჯანიანთ ქვეიდამ მოდის.

ალიწერა მარტს ა, ქრისტეს აქეთ ჩღპთ კელითა ბოდბლის  
მწერალი მღუდლის დ ი მ ი ტ რ ი ს ა თ ა. ზაქარია

## 263. განჩინება ბაროუაშვილისა და სოლომონის საძმავსა

1780 წ. 7 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. № 746. დედანი. ქალაქი. 25×18,7. მხედრული. განკვეთი-  
ლობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათს სიმაღლეს მეფის ძეს ებრძანებინებათ ხ ა ლ ვ ა თ-  
ხ ა ნ ი ს ე შ ი კ ა ლ ა ბ ა შ ი ს ა ი დ ე მ უ რ ი ს ა თ ვ ი ს, ბ ე რ ო-

<sup>1</sup> + ეს ადგილი.

ზაშვილისა და სოლომანისა, ქიტესა დ[ა] იმის პა-  
პუნ[ა]ს შვილებზედ რომ დაობდნენ.

მოვაყვანიეთ სოფლის კაცნი და ვალაპარაკეთ: მღდელი ზე-  
ბედე, ბეროზაშვილი ზურაბი, მარტაშვილი ლუ-  
არსაბ, მარტაშვილი ასანა, სოფლის კაცნი, ასე რომ  
სოლომანისთვის ემსახურ[ო]ს ბევარაზედაც იმისთვის ევლოს.  
ჩვენს სამართალში სოლომანს დარჩა. და ახლა ნება თქვენი ას-  
რულდეს.

ვალს რომ ლაპარაკობდა ბეროზაშვილი, თუ თამასუქი გამა-  
[ა]ჩინ[ო]ს ან სწორე ჭეშმარიტი კაცი, ვალისა მოვალემ უნდა მის-  
ცეს. ეს ობლები სოლომანს დარჩა სამართალში. დაიწერა აპრილის  
ზ, ქორონიკონს უოზ.

ბეპელი: მონა ღთისა\*...

ქ. ჩვენს, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორ-  
გი, ამ სამართალს ვამტკიცებ. მარტის კა, ქორონიკონს უოთ.

გიორგი

264. განიხილავთ გოგოპურებისა და ზარიქების მამულის საქმეზე

1789 წ. 16 აპრილი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. 52. საბ. № 77. პირი. ქალაღი. მხედრული.

[68v] მე, ნაცვალ დათუნა, ღმერთსა ვფიცავთ და  
თქვენს თავს ჩვენ და გოგოქურები რომ გუდარეხზე ვდაობ-  
დით, ჩემის წილიდამ ხელი ამიღია, სადაო აღარა მაქვს რა<sup>2</sup> გოგო-  
ქურებთან.

მე, ოტია დეკანოზი, ღმერთსა ვფიცავ და თქვენს თავს,  
რომ ეს გოგოქურნი გვედავებოდნენ, ჩემ წილ მამულზე ხელი ამი-  
ღია გუდარეხში, სადაო არა მქონდეს იმათთან.

მე, იასე, ღმერთსა ვფიცავ და თქვენს თავსა, რომ ჩემ წილს  
მამულზე ხელი ამიღია, სადაო არა მაქვს რა.

მე, ნაქეზას შვილი იასე, ღმერთსა ვფიცავ და თქვენ  
თავსა, რომ ჩემს წილს მამულზე ხელი ამიღია, სადაო არა მაქვს  
რა.

მე, ცალუღელას შვილი ბერი, ღმერთსა ვფიცავთ

1 ჩვენს. 2-სადაო.

\* არ ირჩევა.

და თქვენს თავს, ჩემს წილს მამულზე ხელი ამიღია, სადაო აღარა მაქვს რა.

მე, არარატული მამუკა და იასე, ღმერთსა ვფიცავთ და თქვენ თავს, ჩემს წილს მამულზე ხელი ამიღია, სადაო აღარა მაქვს რა.

არის ამ ნაწერის მოწამე [და] შუაკაცი ბეგის შვილი ბერი, მკ [ე] დღური ფშაველი ფუნჩერა<sup>1</sup>; მე, გაბედღური სულთანანთ მამის იმედო, ამ ნაწერის მოწამე ვარ.

[განჩინება]

ჩვენ, თიანეთის მოურავ ქაიხოსროს და დავით [69] ჯანდირის შვილს, მეფის ძის გიორგის ბრძანება გვქონდა: ზარიძეები<sup>2</sup> და გოგოჭურები<sup>3</sup> რომ გუდარეხზე<sup>4</sup> დაობდნენ და ლაპარაკობდნენ. ჩვენ ზარიძეები მოვასხით. თიანური საერისთული ზარიძეებმა ვერ შაფიცეს გოგოჭურთ. და გუდარეხი<sup>5</sup> დარჩა გოგოჭურთ. თქვენი ბრძანებაც ასე იყო ან უნდა შე[ე]ფიცათ, ხელი შე[ე]წერათ; ვერ შაფიცეს და ხელი მო[ა]წერეს. დაიწერა ესე ნაწერი აპრილის ივ გასულს, ქორონიკონს უოზ. 

|  |       |
|--|-------|
|  | დავით |
|--|-------|

მე, პეტრეს, დამიწერია ამათის სიტყვით, მოწმე ვარ.  
თავში:

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე, ამ წიგნს ვამტკიცებთ. ამ გოგოჭურებისა და ზარიძეების საქმე როგორათაც თიანეთის მოურავს ქაიხოსროს და ჯანდირაშვილს დავითს ჩვენის ბრძანებით გადაუწყვეტიათ, ჩვენც ასე დავგიმტკიცებია. მაისის ვ, ქორონიკონს უოზ. 

|  |
|--|
|  |
|--|

მისი უმაღლესობის მეფის ბატონის მამის ჩვენის ბრძანება იყო, რომ ეს გოგოჭურნი და ზარიძეები გუდარეხზე რომ დაობდნენ, უნდა რომ ზარიძეებს სამართლის ძალით დაეფიცნათ და ამით დარჩებოდათ ეს გუდარეხი, მაგრამ ვერ იფიცეს ზარიძეებმა

<sup>1</sup> + მოწამე და შუაკაცი. <sup>2</sup> ზარიძეების. <sup>3</sup> გოგოჭურების. <sup>4</sup> გუდარაზზე. <sup>5</sup> გუდარაზი.

და ხელოც მოეწერათ, რომ ჩვენ საქმე აღარა გვაქვსო რაო, გუდარეხზედ ხელი აგვიღიაო.

და მისის უმაღლესობის ბრძანებისა და დამტკიცებისამებრ ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, ვამტკიცებ. რომ დღეის იქით არას ზარიძე[ე]ებს ამ გოგოჭურებთან ამ გუდარეხზე სადაო აღარაფერი არა აქვსთ რა. დარჩათ ეს გუდარეხი გოგოჭურებს თავისის მითითა და ბარიითა; თავს ტბასთან რომ გორა არის იქამდინ, ქვემო ბოლო აღმანიას მიჯნამდის, ერთი გვერდი დულუშაურთ ნასახლარამდის, მეორე გვერდი ბეშახევამდის. ასე ამ მიჯნებით დარჩათ ყოვლის კაცის უცილებლად გოგოჭურთ ეს გუდარეხი, რომ ზარიძე[ე]ებს საქმე აღარა აქვსთ რა.

მაისის ზ, ქორონიკონს უოზ.

მეფე  
გიორგი

265. განჩინება ანდუშაფარ განდუარის შვილის ყმაგის აკოფაშვილის საქმეზე

1789 წ. 22 აპრილი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 11. საბ. № 35. პირი. ქალღი მხედრული.

[37v] ბანცურის შვილი ანდუშაფარ ჩიოდა: ყაზახი რომ დაურბევით, მაშინ ჩემს ძმას ზაზას ერთი აღდანელი სომეხი აკოფა ტყვეთ მოუყვანიაო; და მას დღეს უკან ჩვენი ყმა იყო, გავზარდეთ, დავაქორწილეთ და დავასახლეთო.

და მასუკან თავის საქმეზე დაიკარგაო. და თელავს დიდმელი რევაზა იღვა, იმას ის კაცი დავახსნევინეთ<sup>1</sup> ჩვენის თეთრითაო. ზოგი ვალი მაყაანთაგან ავიღევით, ზოგი ხირსელაშვილის ომანისაგანა და რევაზს მივეცითო. ცოტა რამ დარჩა, და იმისი თამასუქი მოვეცით და ხელთ უჭირავსო.

ის აკოფა იმ დახსნას უკანაც ჩვენს ყმად გვესახლაო. მასუკან ცხენი და იარაღი და თეთრი მოგვტაცაო და ყიზილბაშ[ში] გაიქცაო, იქ ცხენი და იარაღი დაყიდაო და ყიზლარს გავიდავო და ახლა მოზდოგს არისო. და იმისი შვილები იმის გაქცევის უკან ოთხი წელიწადია რომ გავიდაო. მასუკან დედამ დამპარაო და ყაზახში წასულიყვნენო, ბევრი ვეძებე და ვერსად ვიპოვნეო.

მასუკან ერთმა ჩარვარდარმა მასწავლაო, შენი ბიჭები აქა და

<sup>1</sup> დავახსნევინეთ.

აქ არიანო აკოფას შვილებიო. ამ ოთხს [მ8] წელიწადს უწინა მოენახე, ვიპოვე და ქალაქში მოვიდა უფროსი ძმა გრიქორა აკოფას შვილი და წიგნიც მომცა თავისის სახელით და თავისის ძმის არუთინას სახელით: მამაჩემი შენს ძმას ზაზას ყაზახი დამ მოუყვანიაო, ყმათ ესახლაო, მასუკან თავის საქმეზე დაიკარგაო, ორმოც თუმნად თქვენ დაიხსენითო, მასუკან მამაჩემი გაიქცაო, თქვენი თეთრიც გაიტანა თანაო და ცხენი და იარაღიცაო, რომ სულ შეიქნა თქვენი თეთრი ჩვენზედ სამოცდათექვსმეტი თუმანიო. ამ ოთხს თვეზე თუ ავიყარე და მოველ, ხომ შენი ყმანი ვიქნებითო. და თუ ამ ოთხს თვეზედ ვერ მოვედით და — შენი თეთრი სარგებლით მოგცეთო, დაიწყო სიარული და წავიდაო.

მასუკან ალი სულთანნი რომ უკუდგაო, ყაზახი დამ აიყარა და შამშადილში გაიქცაო. მის უმალესობა ბედნიერი მეფე სალალში რომ ჩამობრძანდაო და ალი სულთანი იქ მოაყვანინაო, მე შამშადილში ჩაველო, რევაზ ემიკალაბაში იყოო, ისიც შემიწვია, ყაზახი დამ გაქცეული შამშადილში იყოო, [v] იქი დამ ავიყარე და წამოვიყვანეო, ამგვარად ჩემი ყმა არისო და თავს არ მიდებსო.

ამისის აკოფა შვილები გრიქორა და არუთინა ასე უპასუხებდნენ: მამაჩემი არც თქვენი ყმა ყოფილაო და არც არა საქმე გვაქვსთო. მართალია, ყაზახი რომ დაფანტულაო მამაჩემიც თაფურლათ კახეთში გასულაო და ყიულა შვილისასსა მდგარაო. დაკარგულა; და დიდმელი რევაზა თელავს მდგარაო, იმას დაუხსნიაო და მასუკან თავის სახსარი თითონ გადუწყვეტიაო.

მამაჩემი სხვაგან წავიდაო და ჩვენც ავიყარენით და ჩვენს სამკვიდრო მამულში ყაზახში წავედითო. და ეს ოცი წელიწადი მეტი არისო, იქა ვდგავართო.

ეგ ჩვენი მოცემული წიგნი რომ გაქვსო, აქ ქალაქში დაგვიტორეო და მძლავრებით გამოგვართვითო; და შამშადილი დამაც უსამართლოდ და ბატონის უოქმით ავიყარეო.

და ეს რევაზა[ს] შვილების მოცემული თავისუფლობის წიგნი ხელთ გვიტორავსო, რომ მამაჩემი იმას დაუხსნიაო<sup>1</sup>. და თავის სახსარი მამა ჩვენს თითონვე გარდუწყვეტიაო. და ზოგი რაც დარჩომილა. ახლა ჩვენ მივეციო, და შენ ჩვენთან რა საქმე გაქვსო.

და ამაზე რევაზა[ს] შვილებიც სამარჯალში მოსდევდნენ და

<sup>1</sup> დაუხსნიაო.

[39] ამბობდნენ — ჩვენი დახსნილი არისო, ბანკურის შვილს საქმე არა აქვს რაო.

ჩვენ ამაზე ბანკურის შვილს ანდუყაფარს მოწმობა მოვთხოვეთ. წავიდა კახეთს და თბუთმეტის მოჭხთაბარის კაცის მოწმობა მოიტანა: მაყაშვილის როსებ მინბაშისა, ხირსელაშვილი ომანისა, განბა პეტასი, გორელი კირაკოზასი, თავლიდარი ნიკოლოზასი, ზურაბ საგინაშვილისა, ღთისავარ გიგაშვილისა, ბოტკოელი ხიზანასო, გიგაშვილის ქიტესასი, მრევლაშვილის ივანესი, ხოდაშნის ნაცვლისა, მკედელი შიოსი. ჩანგაშვილის გაბრიელის, შერმაზან გელდიაშვილის და ზაზანასი.

ესენი ასე მოწმობენ ფიცით: აღდანელი აკოფა კიდეც ზაზა ბანკურის შვილის ყმა იყოო და თავის საქმედაც დაიკარგაო და კიდეც ზაზა ბანკურიშვილმა დაიხსნაო და დახსნის უკანაც მაგას ესაზლა ყმათაო. მასუჯან] გაექცაო — ცხენი, იარაღი და თეთრიც მოსტაცაო და ისე წავიდაო.

ჩვენ ამდენი კაცის მოწმობით და თავისის მიცემულის წერალის ძალით, რომელიც აღდანელი აკოფას შვილ[ვ]ებს გრიქორასა და არუთინას ანდუყაფარისათვის მიუტიათ, დავანებეთ ყმობით ბანკურის შვილს ანდუყაფარს და ანდუყაფარის ძმისწულს დავითს ეს აღდანელი აკოფაშვილები გრიქორა და არუთინა. ამითან სხვას საქმე არავისა აქვს და ვერც არავინ ედავება.

და დიდმელმა რევზას შვილებმა სამართალში რომ სიცრუვე იხმარეს და ბანკურის შვილისაგან რომ თამასუქი ჰქონდა მიცემული, ის წაიღეს და გრიქორას და არუთინას მისცეს და შვიდი თუმანი თეთრი გამოართვეს და გარდაწყვეტილობის წიგნი მისცეს, ეს არ უნდა ექნათ. სამართალში ლაპარაკობდნენ და სანამდინ არ გარდაწყვეტილიყო, საქმე არა ჰქონდათ რა.


ამის ჯარიმად შვიდი თუმანი გრიქორასა და არუთინას უკანვე უკუბრუნონ და სამ თუმან ნახევარის თამასუქი რომ ბანკურის შვილისაგან მიცემული ჰქონიათ, და ეს თამასუქი გრიქორასა და არუთინასათვის მიუტია, და იმით ბანკურის შვილს ყმას უკარგავს. ველარც იმ თეთრს ბანკური შვილსა სთხოვს და აღარცარა საქმე ექნება.

და ეს გრიქორა და არუთინა დარჩათ ყმობით ბანკური შვილს ანდუყაფარს და ამის ძმისწულს დავითს.

იასაულო [16] ა ბ ა ზ ა ძ ე ფარეშთხუცესო და ვ ი თ! ეს ასე გაქარიგე. აპრილის კბ, ქორონიკონს უოზ.


ზემოთ რომ ჩაწერილი არის [ს]ტრიქონებს შუა: «დაიხსნაო და დახსნის უკანაც მაგის», ეს უბრალოდ ჩაწერილი არ არის, დარჩომილიყო და ჩაურთევით, იმას შინჯვას ნურავინ დაუწყებთ\*.





ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ, ამ განაჩენს ვამტკიცებთ და ამ სამართალშიაც შიგ დამსწრებულნი ვართ. აპრილის კდ, ქორონიკონს უოზ. 

ამ განაჩენში რომ კაცები სწერია, რომ ამ სამართლით მე, ანდუყაფარს, დამრჩა, მე ჩემის ნებით და ნებაყოფლობით შენ — ვ ა რ ს ე ვ ა ნ ა ეშვიკლას მოგყიდე, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა, ავიღე შენგან ფასი სრული და უკლებელი, [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც სხვას მრავალს მონასყიდს მოხმარებოდეს. არავინ იყოს ამის მოცილე და მოდავე. თუ ვინმე ამის ბარობაზე წამოგედაოს, პასუხას გამცემი მე, ანდუყაფარ<sup>1</sup>, ვიყო.

მე, ბ ა ს ტ ა მ ა შ ვ ი ლ ს ს ტ ე ფ ა ნ ა ს, დამიწერია ანდუყაფარის<sup>2</sup> სიტყვით და მოწამეც ვარ. ს ტ ე ფ ა ნ. დაიწერა აპრილის კბ, ქორონიკონს უბ. † ბექედლი არა ჰქონდა [v] და ეს ჯვარი დასვა.

მე, ა ბ ა შ ი ს შ ვ ი ლ ი დავით, ამ წიგნის მოწამე ვარ ანდუყაფარის<sup>2</sup> სიტყვით. 

მე, ე რ ა ს ტ ი გ ო ს ტ ა შ ა ბ ი ს შ ვ ი ლ ი, ანდუყაფარის<sup>2</sup> ყაბულობით ამისი მოწმე ვარ. 

მე, ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ი უზბაში ზ ა ზ ა<sup>3</sup>, ანდუყაფარის<sup>2</sup> სიტყვით ამ სიგლის მოწამე ვარ. 

ანდუყაფარის<sup>2</sup> სიტყვით ამისი მოწამე ვარ ყ ა ლ ო ა ს შვილი ბ ა ღ დ ა ს ა რ.

<sup>1</sup> ანდუყაფარ. <sup>2</sup> აბდულა ყაფარის. <sup>3</sup> ზაზამ.

\* შენიშვნა დედნისეულია.

1789 წ. 25 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3073. დედანი. ქალღღი. 29.3×10,2 სმ. მხედრუ-  
ლი. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახპარია წერტილა.

[არზა]

ქ. ღმერთმან მოწყალე ჳეჳწიფის ჳირი სოლომან მგალობლის  
ძმას იოანეს მოსცეს.

თქვენგან ორი ოქმი გვებოძა და წყალობა დაგვემართა იმ  
წლის ღალისა და წისჳვილის ხარჯისა.

მეთოდი მდივანბეგმა არც ღალა მოგვეცა და არც  
წისჳვილის ხარჯს გვაძლევს. მიზეზს ამას გვეუბნება: ბატონის  
წყალობა წიგნები მომიტანეთო და ღალა რაც არის მოგცემთო. ის  
თქვენი წყალობა სიგლები იმ საბრალო ჩემ[მა] ძმამ დააგირავა.  
ერთს უადგილო ადგილს, რომ მითა დღეში იქ წისჳვილი არა ყო-  
ფილიყო, მრავალი დახარჯა და გააკეთა. თუ სამართალი მოგვეცე-  
მდეს, ვისაც უბოძეთ ის წისჳვილი, რაც ერთმა-ორმა კაცმა თქვას,  
ის მოგვეცეს. და თუ სამართალი არ მოგვეცემს, რა სიტყვა გვექ-  
ნება.

წყალობას გვედრებით, სამართალი გვაღირსოთ. ვალისაგან  
გატეხილნი და ნაილაჯნი განლავართ და საწყალობელი მგალობე-  
ლიც დაუმარხავი გვეყავს. მარტის კ, ქორონიკონს უოჳ.

თავში:

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზის ჳატრონი რომ ასე ჩივის,  
თქვენ ერთად შეიყარენით, მეთოდი მდივანბეგი და ეს ალაპარაკეთ  
ღმრთის წინაშე და ღმრთის წინაშე ჳეჳმარიტი სამართალი უსა-  
ჯეთ. რაზედაც ეს ჩივის, ეს ამისი ხომ არ არის, საწყალობელს  
სოლომანის საწყალობლის ჳვრივისა და ობლისა არის. ამას ამა-  
ნი საქმე არა აქვს რა. იმის ჳვრივისა და ობლისათვის ღაპარაკობს.  
და ან მეთოდის რათ უნდა, რომ ჳვრივ-ობოლს უსამართლო სჳირ-  
დესთ. სამართლიანის საქმით თავეთის წისჳვილის ხარჯი და იმ  
წლის ღალა, რომელსაც ჩვენი ოქმი აცხადებდეს, მისცეს. ჳვრივ-  
ობოლი ნუ დაუჳერს, თუ სამართალი მისცემდესთ. არც მეთოდის  
უჯობს უსამართლო. აპრილის თ, ქორონიკონს უოჳ.



ქ. და თუ სამართალი არ მისცემს, არაფერი, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

### [განჩინება]

ქ. მის უმაღლესობას ჩვენ, მსაჯულთათვის, ასე რომ ებრძანებინა, მდივანბეგი მეთოდის რომ ამ არზით ასე უჩივის, სამართალი მიეციოთ, ვალაპარაკეთ და ეს სამართალი მივეციოთ:

რაც იმ მამულისა სოლომანს წასყიდობის წიგნები აქვს, ახლავუნდა მოსცეს სოლომანის ძმამ ივანემ მდივანბეგს მეთოდის და მდივანბეგმა მეთოდიმ იმ წისქვილის ნაშენობის ფასი მოსცეს და ღალაცა წისქვილისა ივანეს. აპრილის კე, ქორონიკონს უოზ.

ქ. ან ფასი მოსცეს იმ ნაშენობისა და ან ის თავისი ნაშენობა მოსცეს ქვათ და სხვა რაც ნაშენობა ქონია [იმ] წისქვილზედ.

## 267. განჩინება ამირალთან ზურაბისა და აფრასიონის გაყრის საქმეზე

1789 წ. 4 მაისი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 1093. დედანი ქალღრ. 50,3X23 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია წერტილი.

ქ. ბატონის ოთარ ამილახვრის ბრძანებით დავსხედით ჩვენ ქვემოვით კსენებულნი: გორის მამასახლისი თაყინას შვილი ზაალ, ფეშანგი შვილი თომა, სააკას-შვილი სტეფანე და ვარეშას შვილი თომა, ზუბიას შვილი იოსებ<sup>1</sup> — ესენი დავსხედით. გორელი ამირალთან რამაზას შვილი ზურაბ და ამის ბიძაშვილი აფრასიოზ ორივენი ჩვენთან ვალაპარაკეთ და ერთმანეთის ორსავე რაზითა და ყაბულობით ესენი გავჰყარეთ. და რისაც მქონებელნი იყვნენ, ძმურად შუაზე გაუყავით. †\*

### [ერგო აფრასიოზას]

ქ. პირველი წილათ ერგო აფრასიოზას: დარბაზი და თალიანი ოთახი. ამ ოთახს უკან კიდევ თალიანი ოთახი, ამ ოთახებს ქვეშ ორი სახლები. რასაც ეს სახლები გამოიტანს ბაკში ოხან-

<sup>1</sup> იოვსებ.

\* ბეჭედი: „დედოფლას ვმა თაყინაშვილი ზაალ“.

ჯ ა ნ ა ა ნ თ შარისკენ რომ ქვეთკირის გალავანია, იმის მიდგომამდინა. ზემოთ რომ პატარა თალიანი კარი არის აფრასიობას სახლებსა და ზურაბას მარნის შუა, იმ კარშიაც და ქვემოთ დიდს ალყაფშაიც — ამ ორსავეს კარებში ორთავე უნდა იარონ. ამ პირველს წილს აძევს გ ო ჩ ა ა ნ თ სახლკარი, ზაალანთ ბოსტნის გვერდზედ ბოსტანი, ო თ ი ა ნ თ სახლები, ეს სახლი სხვასთან გირაოთ არის და აფრასიობამ საკუთრივ თითონ უნდა დაიხსნას. †\*

კიდევ ერგო აფრასიობას მეორე წილათ: ტ ი ნ ი ს ხ ი დ ს თავიანთი სამი თვალი წისქვილის ნახევარი და იქვე წისქვილთან — წისქვილის გვერდზედ — აქედამ და იქიდა[მ] რომე პატარა მიწები უძეს, იმის ნახევარიცა ერთად იმუშაონ და ერთად შექამონ. †\*

ქ. კიდევ ერგო აფრასიობას მესამეს წილათა: ახალ საღდრისკენ რომ ხუთი ღუქნები საერთოდ იყო, იმ ხუთს ღუქანში ახალსაღდარის შარისკენ ქვემოთ მხარეს პირველ[ი] ორი ღუქანი ზურაბას ერგო და ამ ორს ღუქანს ზემოდამ ორი ღუქანი თავში აფრასიობას ერგო. ეს აფრასიობას ორი ღუქანი შუაზედ არის. †\*

ქ. კიდევ ერგო აფრასიობას მეოთხეს წილათ: მეფის ზვრის თავში ოთხის დღის მიწა თ ა ყ ი ნ ა თ გ უ რ გ ი ნ ს უ ლ თ ნ ი ს მიწისა და გ ი ვ ი ნ ა ნ თ მიწის შუაზედ ოთხის დღის მიწა. †\*

ქ. კიდევ ერგო აფრასიობას მეხუთეს წილათ: რ უ ი ს შ ი წ ი ნ ა უ ბ ა ნ ს რ ა ც მამული აქვსთ — ურწყავი თუ სარწყავი, კალო თუ საბძელი, თუ სახლკარი — ესენი სრულათა და მელის სორების მიწაც სრულათ. †\*

ქ. კიდევ ერგო აფრასიობას მეექვსეს წილათ: ყმებში ი ო რ ა მ ა ს შ ვ ი ლ ი მეჩითე ს ე ს ი ა თავისის ცოლშვილათა და ნახევარ სახლებითა და ვენახითა, ნასყიდითა დ[ა] უსყიდითა, დღეს რისაც მქონებელ არის სრულათ. †\*

ქ. კიდევ ერგო აფრასიობას მეშვიდეს წილათ: ყმებში შ ო შ [ი] ა ს შ ვ ი ლ ი შ ო შ [ი] ა თავის ცოლშვილითა და თავის ნახევარ სახლკართა და სარჩოთი, დღეს რისაც მქონებელი არის. ამითი საქმე და შარიშტა მოვიკითხეთ და ესენი შარიშტით მოშორებულნი ყოფილყვენენ და მამული ასე გაუყავით. †\*

\* ბექელი: „დედოფლის ემა თავანაშვილი ზაალ“.

ქ. ამ ზემოწერილის ბაღლათ ერგო ამის ბიძაშვილს ზურაბას ამ მამულეების ბაღალი ყოველის წილის ფარდი და ფარდი ნიშნულათ პირველის წილისა თუ მეორებისა — ყოველივე სრულათა, რომ ამის ქვემოთ სწერია თავ-თავის შემდგომათ.

ქ. ერგო ზურაბას პირველი წილის ბაღალი: სახლკარი, ქვემოთ დიდი ალაყაფი, ამ ალაყაფზე[ედ] ჩარდახი, გვერდზედ საჭინიბო, საჭინიბოზედ დიდი ოთახი, მარანი, მარანზედ თალიანი ცადაქნილი ოთახი, ამასთან კიდევ ოთახი, ამის ზემოდამ დარპაზი.

ამ სახლების ბარობაზედ რომ ბატონის წყალობის წიგნა აქვსთ, ის წიგნიც ამ სახლებზედ აქეს. და თავისი დავაც თუ ვინ იცის, ეამთა ვითარებისაგან ამ სახლებზედ ლაპარაკი მოხდეს ვისგანმე, რადგან ამის წყალობის წიგნიც ამ სახლებს აქეს, ამის ლაპარაკიც — შარიც თუ ხეირიც ორივე საკუთრათ ზურაბამ უნდა გასწიოს. აფრასიობას ამის ლაპარაკთან — არც შარში და არც ხეირში — საქმე არა აქვს †\*

ქ. კიდევ ერგო ზურაბას მეორეს წილის ფარდათ: ტინისხიდს თავიანთი სამი თვალის წისქვილის ნახევარი, იქვე წისქვილთან — წისქვილის გვერდზედ აქედამ და იქილამ — პატარა მიწების ნაჩევარიცა ერთად იმუშაონ და ორთავე შკამონ. †\*

ქ. ერგო ზურაბას მესამე წილის ფარდი: ახალ საყდრისკენ რომ ხუთი დუქანი[ი] საერთოთ იყო, იმ ხუთს დუქანში ახალ სადღრისკენ ქვემოთ მხარეს ორი დუქანი. ამ ორის დუქნის მიღგმა ქვემოთ ახალ სადღრის დუქნის მიღგმამდინა და ზემოთ ისეც ამ აფრასიობას ორის დუქნის მიღგმამდინა. †\*

ქ. კიდევ ერგო ზურაბას მეოთხეს წილ[ი]ს ფარდი: მეფის ზვრ[ი]ს თავში დავარე შანთ მიწისა და გივიანთ მიწის შუა სამი დღის მიწა. ამ წილს აქეს პაიჭაურში ექვსის დღის მიწა. ეს მიწა ამ მეოთხე წილის სართი არის. †\*

ქ. კიდევ ერგო ზურაბას მეხუთეს წილის ფარდი: ზემოთ რომ ხუთი დუქანი სწერია და პირველი ოთხი გაიყვეს, ქვემოთ რომ ზურაბას ერგო და ზემოთ აფრასიობას, ამ ოთხს გაყოფილს დუქანს ზემოდან მონარჩენი მეხუთე დუქანი. ამ წილს აქეს სართი — დამპალაში რაც მიწები აქვსთ თავ[ი]ს სიკლებითა. †\*

ქ. კიდევ ერგო ზურაბას მეექვსეს წილის ფარდათ: ყმებში

\* ბეჭედი: „დედოფლის ყმა თაყინაშეალი ზაალ“.

იორამას შვილი ღვთისია თავის ცოლშვილითა და ნახევარ სახლებითა, თავისის ვენახითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ღღეს რისაც მქონებელნი არიან სრულათ. ამ წილს აძეს სართი — ტინისხიდს ორდღის ნავენახარი<sup>1</sup> ლამის მიწა და სვერნეთს მიწაცა. †\*

ქ. კიდევ ერგო ზურაბას მეშვიდეს წილს ფარდათ: ყმა მებრელი ს შვილი დათუა თავის ცოლშვილითა უსახლოთ, ღღეს რისაც მქონებელი არის სრულათ. ამ წილს აძეს სართი — პაიქაურს პატარა მიწა. †\*

ქ. ამას გარდა აფრასიობას სახლსა და ზურაბას მარანს შუა რომ ზემოთ პატარა კარი არის და ქვემოთაც ღიდი ალაყაფის კარი, ზურაბას წილში ნარგებათ რომ სწერია, ამ ორსავეს კარში ორთავე უნდა იარონ, ეს ორივე კარები ორსავეს არს. †\*

ქ. ამას გარდა უწილოთ მივეციოთ ზურაბას საუმფროსოთ ახაშენი სოფელი როგორთაც თავის სიგლები უცხადებს იმ რიგათ. †\*

ქ. ამას გარდა ამათი საქმე და შარიშტა მოვიკითხეთ. ესენი პირველთაგანვე შარიშტით მოშორებულნი ყოფილან და მამული ასრე გაუყავით. აქ რომ ახალშენი სოფელი სწერია, ზურაბას რომ უწილოთ მივეციოთ, ამის სიგლებიც ზურაბას მივეციოთ, რაფრათაც უნდა მოიხმაროს, აფრასიობას ამისაში — არც შარში და არც ხეირში — საქმე არა აქვს, საკუთრათ ზურაბასი არის.

ამას გარდა რადგან შარიშტით მოშორებულნი ყოფილან, მამული ასე გაუყავით.

თუ რო[მ] შარიშტის მოშორებას უწინ ძველათ ან ასალეები და ან მისაცემი გამოჩნდეს, მარტო პაპეულა ორისავე არის; და მამეულის ვალისა კი ერთმანერთს არ უნდა მიუღდნენ. თუ მამის ვალი გამოჩნდეს, რომლისაც მამის აღებულნი იყოს, იმისმა შვილმა უნდა საკუთრივე მისცეს ძე ფეშანგიანათ.

პეტრეს შვილს — სტეფანას დამიწერია და მოწამეცა ვარ.

ამას გარდა საციციანოში რაც მამული აქვს მტკვარ[ს] ღაღმა, ის გაუყოფელი არის, ორსავე საერთო არის. დაიწერა მამისის დ, ქორონიკონს უოზ.

ბაბალას შვილის დავაც და ვალიც საერთო არის, ორთავე უნდა გადაიხადონ.

<sup>1</sup> ნავენახარი.

\*ბეკელი: „ღედოფლის ყმა თაყინაშვილი ზაალ“.

ბეპელი: დედოფლის ყმა თაყინაშვილი ზა[ა]ლ.

ქ. მე, გორის მამასახლასი თაყინასშვილი ზა[ა]ლ, ამ გასამყრელოს დამსწრე და გამრიგე ვარ.

ბეპელი: დედოფლის ყმა თაყინაშვილი ზა[ა]ლ.

ქ. ჩვენ, ბატონი ამილახვარი ოთარ, ამ გასამყრელოს სიგელს ვამტკიცებ. მაისის იბ, ქორონიკონს უოზ.

• ბეპელი: მონა ღთისა ამილახვარი ოთარ.

## 268. განჩინება იოანე დოღენჯისშვილის ობლის ვალის საჩმეჲ

1789 წ. 9 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 317. დედან. ქალაღი. 72,5×25,7 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

[ქ. მათს უმაღლესობას მეფეს ერეკლეს ჩვენ], მსაჯულთშეკრებულებისათვის] ებრძანებინა: იოანე დოღენჯის შვილი რომ მოკვდაო, ვალი დარჩომია და ქალი, რაც საქართველოს სამართალი იყოს, სამართალი მიეცეთო.

ჩუენ, მსაჯულთ, იოანე დოღენჯის ობლის ვარისი ბოქოულთხუცესი პაპუა საგინაშვილი მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ. პაპუამ ერთი სია მოიტანა, იოანეს ამათი ეს თეთრი მართებსო და ეს სამკვიდრო თავისი მამული და კაცი ყავსო<sup>1</sup> და ეს წყალობაო.

წარმოდგა თაყაშვილი თემურ სამართალში და ასე თქვა: ყარაბუდახის შვილმა ლუარსაბმა თავისი ქალი მე მომცა, უშვილო კაცი იყო და ამ ერთის ქალის მეტი არა ყვანდა რა. ნიკოლოზ ქავთარის შვილი და როსტომ საგინაშვილი მომიგზავნა და ასე შემოეთვალა ამათის პართ: ქალიც შენთვის მომიცემიაო, შენ ჩემი შვილი ხარო და ჩემი წილი ყმა და მამულიც შენთვის [მომიციაო]. ამათ მოციქულობაში პატარა ბერუა ც დამესწრაო; ამათის მოციქულობით ქალიც შევირთე, შვილადაც შეველ და მამულიც მე მომცაო. ახლა იოანე დოღენჯის შვილის ვალში ჩემის სახლობის მზითევს ჰყიდიან და ზოგს იოანეს ქალს აძლევენ და ჩემს მეუღლეს თავის მამის მამულიდამ წილს არ აძლევენ, სამართალს ვითხოვო. და თუ ლუარსაბს ამ პირობით თავის ქალი ჩემთვის არ მოუციაო და ან მე

<sup>1</sup> ყავსო.

ამ პირობით არ შემირთავს, ეს მოწამეთაგან დამოწმებული წერი-  
ლა ნახეთო და სამართალი ისე მამეციოთ.

მისის უმაღლესობის მოძღვარს იოანეს ასე დაეწერა: ყა-  
რაბუდახის შვილი ლუარსაბ ჩემი მოწაფე იყო და ასე მეტყოდა  
ხოლმეო: ერთი ქალი მყავსო, ვისაც ამ ქალს მივეცეო, ჩემს წილს  
მამულსაც იმას მივეცეო.

ნიკოლოზ ქავთარის შვილს დაეწერა: ლუარსაბ-  
მან მოციქულად მიმგზავნა თემურთანაო და ასე შეუთვალაო: მე  
სხვა მზითევი არა მაქვს რაო, ჩემი ქალი შეირთოსო და ჩემს წილს  
მამულს მზითვად გავატანო და ჩემგან მიცემულს წიგნს ბატონსაც  
დავამტკიცებინებო. ლუარსაბ ლეკებმან მოკლეს და აღარ დასცალ-  
დაო.

გოსტაშაბიშვილს ზურაბს დაეწერა: ლუარსაბ-  
მან ასე მითხრაო: ჩემი ყმა და მამული თემურს მივეციო და ჩემი  
ქალიცაო.

პატარა ბერუას დაეწერა: ლუარსაბმან უთხრა თემურსაო:  
ჩემი ქალიც შენთვის მომიციაო და ჩემი წილი მამულიცაო.

რადგან ამდენი მოწამენი ასე მოწმობენ, ლუარსაბმან თავის  
ქალი თემურს მისცაო, თავისი მამულის მიცემაც ასე უთხრაო, ეს  
მოწამენი ასე მოწმობენ და სანატრელის მეფის ვახტანგის  
სამართალი ასე სწერს ას ორმოცდა ზუთს რიცხვში: კაცი  
რომ მოკუდესო და ვაჟი არ დარჩეს და ქალი დარჩესო, ის ქალი  
ვინც შეირთოსო, თავისის მამის სახლკარი, საქონელი და მამული  
იმ ქალს მივეცსო. იმ კაცის ვალო იმ ქალმან და მისმან ქმარმან  
გარდიხადოსო.

ამ სამართლის წერილისაებრ და ამ მოწამეთაგან დამოწმებუ-  
ლისაებრ ყარაბუდახის შვილის ლუარსაბის მამულს<sup>1</sup> ლუარსაბის  
ქალს სამართალი ასე აძლევს; და ნება მისის უმაღლესობის არის;  
რომ იოანე დოლენ[ნ]ჯისშვილის ვარის[ს] და ობოლს ყარაბუდახის  
შვილის ყმასთან და მამულთან საქმე არა აქვსთ. ქალი დარჩა იო-  
ანეს — თუ ვალი, თავის სამკვიდროდამ ქალი გათხოვდეს და ვალი  
გარდიხადოსო.

ეს სიბრძნით განუგიათ წინაპართა მათ სანატრელთა მეფეთა:  
რომელსაც ქალი დარჩესო, ქმარს რომ შეირთავს და იმ მამულზე  
შეიყვანსო, კელმწიფეს თავისი სამსახური იმ მამულიდამ არ დააკლ-  
დებაო. ეს სიბრძნით და სამართლით გაჩენილი არის<sup>2</sup> ესრედ. რად-

1 მამული. 2 ქ სამართლით.

გან ის ქალიც იმავე მამულის მემკვიდრისაგან არის შექმნილი, მკვიდრობას არ ართმევს და იმავე მამულზედ ასახლებს, რომ ის ერთი ოჯახი არ ამოწყდესო და იმ მამულადამ კელმწიფეს სამსახური არ მოაკლდესო. ეს სამართლით და სიბრძნით გაჩენილი არის.

და სამართალი ასე აძლევს ლუარსაბის ქალს თავის მამის წილს ყმასა და მამულს. და ნება მისის უმადლესობისა არის. და იოანე დოლენჯის შვილის სამკვიდრო მამულმან იოანეს ობოლი არჩინოს, გააქმზითოს და ვალი გარდაიხადოს. მაისის თ, ქორონიკონს უოზ.

შვიდი ბეჭეღა:

1. ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. ა რ ი რ ჩ ე ვ ა
3. ღ თ ა დ კ ა ც ა დ გ ე ს ა ე ქ რ ი ს ტ ე ს ა , მ წ ე მ ე ქ მ ე ნ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა  
ნ ი კ ო ლ ო ზ
4. მ ე თ ო დ ი
5. მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი
6. მ ს ა ჯ უ ლ ი ს ა მ ე ფ ო თ ა ზ ე დ ა და მ დ ი ვ ა ნ ი მ ე ფ ე ს ა ს ო ლ ო მ ო ნ .
7. ვ ი ს მ ო ნ ე ბ ა ს ა ვ ე ტ რ ე ფ ე და ვ ე გ ი , ე მ ო კ ა ლ ა ს ბ ა შ მ ყ ო მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი თ ე მ უ რ ა ზ .

თავში:

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთის და სხვათა მეფე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. სეკდემბრის კთ, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

## 269. ბანიძეაბა რატიშვილავის ბაჟრის საქმეზე

1789 წ. 12 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6551 დედანი. ქალაღი. 20,5X17,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია შიშიმე და ორწერტილი.

ქ. როდესაც რატიშვილები გაყრილან, და სასახლეები გაუყვიათ და რგებიათ, დღეს ცხადად ჩანს, შალვას სასახლის ალაგი რომ არის, თავესაცა და ბოლოსაც ქვიტიკირის ალაგი ეტყობა, რაც იმ ნაქვითიკირალს შიგნით დარჩება, შალვასი არის და უნდა ეჭიროს.

იმას გარეთ ზემო მკრისაყენ ბეჟანის სასახლისა არის და ბეჟანს უნდა დარჩეს. ამ სასახლეებს შუაზე ასეთი გზა უნდა დაა-

გონ. ციხილამ და სოფლილამ რომ ქსანზე ან მთისაკენ წამსვლელი იყოს. ან ურმით ან ულაცით კაცი კარგად გაივლიდეს.

შალვას დღეს რომ კალო აქვს და ბოსელი, ის უნდა მოიშალოს და გზა იმაზე გავიდეს.

ბეჟანის სასახლეზე რომ შალვას გალავანი და კოშკი ახალი მიუდგამს და საყდარიც შიგ შემოუგდია, ეს გალავანი, სასახლე და საყდარი ასე გაუყავით. იმ ბეჟანის ძველს სასახლეზედაც შენობა ჰქონდა შალვას. შენობა და ალაგი დღეს რაც შემოფარგლულია, შევაფარდეთ და ასე გაუყავით:

ძველი თავისი სასახლე მთლად და რაც საყდრის კედელი განს გაიტანს, სწორედ რომ ლარი გააბას, და სადაც მიადგება, იმას იქით ბეჟანს დავანებეთ. და იმას აქეთ რაც ახალი გალავანი დარჩება — თავის ახალი კოშკით, ნახევარი საყდარი შალვას დარჩა. შიგნილამ ასე გარდასწყდა.

გარედამ სამი მკარე გალავნისა და სასახლის გვერდები ბეჟანს დარჩა.

და გარედამ ერთი მკარე შალვას ახალს კოშკის კარს ქვემოთ. საყდარს აქეთ რომ მოხვეული ბურჯი არის, იქამდინ გარეთი გალავნის გვერდი, ეს ერთი მკარე შალვას დარჩა.

და ამ გალავანში შალვას მკარეს ერთის სახლის ალაგი რევას უნდა ჰქონდეს. თუ შიში შეიქნას, ეს ერთი სახლის ალაგი უყვედურად უნდა ჰქონდეს. თუ მშვიდობა არის და თავის სასახლეში უნდა იდგეს, გალავანში საქმე არა აქვს.

მაგრამ თუ იმისთანა დრო ჩამოვარდეს, ერთი სახლის ალაგი ჰქონდეს, რომ ვერ დაუშალონ, ის სახლი არც მშვიდობაში უნდა დაუქციონ, რომ როდესაც გაუჭირდეს, დადგეს. რაც იმ ციხეს ჰფერობდეს, იმგვარი სახლი უნდა იყოს.

თუმცა არც ციხის ალაგში ჰქონდა რევას წილი და ციხეც დავითსა და შალვას დაედგა, მაგრამ რევასის ერთი ქვითკირის სახლი დაექციათ და ამ ციხეზე შეეკმარებინათ. ამისი ყმაც ცოტას მოეკმარებინათ და ამ ერთის სახლის ალაგი ამ მიზეზით გაურთივეთ ასე. მაისს იბ, ქორონიკონს უოზ.

ჩვენ მუხრანის ბატონმა — სალთხუცესმა იოანემ ასე გაუსამართლეთ და ამ განაჩენზედ უნდა იდგნენ ამ სასახლის საქმეზე.

ბეჟედი: სპასპეტმცა მეფემ სმტონი(?) ვბეჭდ სალთხუცობით მუხრან ბატონი იოანე\*.

\* წაკითხვა სათუთა.



ქ. ჩვენ, წილკნელ მიტროპოლიტი ამეროსი, ამისა დამწერი, დამსწრე და თანაქმავარ. ხელთა: ამბროსი.

ქ. შალვას ამისი ყაბული მაქვს, მუხრანის ბატონმა სამართალი გვიყო სასახლეზედ და შევრიგდით.

ქ. ჩვენ, მუხრანბატონის შვილი იოანე, ამისი დამხვედრი და დამსწრე ვარ.

ბეჰედი: მუხრანბატონის შვილი იოანე\*.

სხვა ხელით:

ქ. ჩვენ და ზაქარიას სკრასში შვიდი კომლი კაცი გვეჭირა: მაზიაშვილი, ფუჭიშვილი, მამუკაშვილი და კაკობაშვილი და სამი კომლი ამოწყვეტილი კაცი.

ჩვენ და თქვენ და ზაქარიამ დიდი დავა და ლაპარაკი გარდვიხადეთ მეფის ირაკლის წინა და მსაჯულთ წინაშე.

შენ მრავალი მეგვიდრე მეფე[ე]ების წყალობით წიგნები წარმოაყენეთ, რომ ამ გლეხსა და მამულს სამკეადროდ თქვენ გიწერდნენ და გაძლევდნენ სახელდობლივ. ეს ლაპარაკი და დავაც გარდვიხადეთ. ჩვენს კემწიფეს თავი აღარ ვაწყინეთ.

ასეც ვამჯობინეთ: დღეს და დღეის იქით მე მამულთან კელი აღარ მაქვს, შენ — კაცებთან. ამ შვიდს კომლს კაცში ჩემ საკუთრათ მეჭირა: მამუკაშვილი, კაკობაშვილი, ერთი ამოწყვეტილი კაცი. ამ სამის კოლმის გლეხის მამული ღმერთმან შენ მოგახმაროს. ამისი მოდავე არავინ იყოს. მე ქეშმარიტ კელი ამილია. და ზაქარია ციციშვილისა სამართალმა იცისა და შენა.

## 270. შორიგავის წიგნი შალიკაშვილებისა ღვთის ციციშვილისაღმ

1780 წ. 50 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 226. დედანი ქაღალდი. 32×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე ან წერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ — შალიკას შვილმა ნაზირმა იოანემ და ძმამან ჩემმან ნიკოლაოს და შვილმან ჩემმან იოსებ და გიორგიმ და ძმისწულმან ჩემმან დიმიტრიმ თქვენ, ბატონს ფანასკე[რ]ტელს ციციშვილს სარდალ ქალაქის მოურავს დავითს, ძმასა თქვენსა მიმბაშს გიორგის და კოსტანტინეს, შვილთა თქვენთა ალექსანდრეს, ევსტათის, ნიკოლაოსს და იოანეს ასე, რომე:

სკრას აზნაურშვილი ქართველის შვილი და გლე-

\* წაკითხვა სათუთა.

ხი მამუქას შვილი და კაკობას შვილი და ერთი ამოვარდნილის გლეხის მამული თქვენს ოჯახს ჰსჭეროდა და ღლესაც თქვენ გეჭირათ თავიანთის მამულით და კიდეც გიჭირავსთ.

მისს სიმაღლეს ჩვენს კელმწიფეს მეფეს ერეკლესთან საჩივარი მოგვიხდა. ჩვენ მეფეების წიგნი გამოვაჩინეთ, რომ ეს მამუქას შვილი და კაკობას შვილი ამ წიგნებში ჩვენს ყმათ ეწერნენ. და თქვენც ერთი მზითვის წიგნი გამოაჩინეთ, რომელიც ას ორმოცის წლისა იყო, ბიძა თქვენსა [და მამა თქვენსაც კელში ჰსჭეროდა და თქვენც ღლეს კელში გეჭირათ და კიდეც გიჭირავსთ. [თქვე]ნგან და ჩვენგან მუდამ [მტრობა] და სიმძულვარე იყო [ამ] ყმასა და მამულზედ.

რადგან თქვენი ახლო ნათესავნი გახლდათ, ამ[ისტვის] ასე [გავ]რიგდით: ეს აზნაურ შვილი ქარაველის შვილი ავთანდილ და სოლომონ და გლეხი მამუქას შვილი და კაკობას შვილი თქვენვე დაიჭირეთ ყმათა, როგორც გეჭირათ. და ამათი ნაქონი მამული და ამოვარდნილის ერთის გლეხის მამული ჩვენ გვიბოძეთ და დაგვანებეთ. კაცთან ჩვენ კელი აღარა გვაქვს. და მამულთან თქვენ კელი აღარა გვაქვს. ამ გზით გავრიგდით ნათესაობით და სიყვარულით.

თუ წიგნი გამოჩნდეს ან აქეთ და ან იქით, ამ წიგნმა გააბათილოს. მაისის ლ, ქორონიკონს უოზ.

## 271. ბანჩინაბა ღავით ბატონიშვილისა რუისის წაღის საქმეზე

1780 წ. 22 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1502. საბ. № 34. პირი. ქალაღი. მხედრულა.

ქ. მისს უმაღლესობას სრულიად ზემოის საქართველოს დედოფალს დარეჯანს ჩვენ, მათის შვილის შვილის ბატონის შვილის დავითისათვის ებრძანა რუისის ზემორუსი და ქვემო რუსი განრჩევა. ჩვენ ბრძანებისაებრ მისისა მივედით და განვჩხრიკეთ.

ზემო რუ წამოვა შინდისი დამ, ეს რუ შიგ საქაშეთში ჩამოივლის, ციხეს წინ ჩამოუვლის, სასირეთზე გადაივლის, რუისის მთის ძირს დააკრამს და ურბის [ს] ჩავა.

ქვემო ფხვენისის თავი დამ წამოვა, ფხვენისს შუა ჩამოივლის, შინდისს ნაპირს გამოუვლის, დასავლეთისაკენ თვალათუბანს შუა გამოუვლის, შიგ საქაშეთში გამოივლის დასავლეთის მხრისაკენ და სასირეთის ვენახებს თავს გადაუვლის დასავლეთის მხრით და რუისს ჩავა.

არ ვიცი უამთა ვითარებისაგან თუ სხვათა რომელთამე მიზეზ-  
თაგან, ზემო რუზე სამყოფი წყალი აღარ დენილიყო; ვგონებ ჩვენ  
უფრო ზარმაცობით და დაუდევნელობით ქმნილიყოს, თვალათუბან-  
სა და საქაშეთს შუა ცოტა რამ საქაშეთს ზემოდამ საქაშენელებს  
რუ გაეჭრათ, ქვემო რუდამ წყალი წამოიყვანათ და ზემო რუსათვიან  
შეეყარათ და საქაშეთში წისქვილები აებრუნებინათ აქავ რომ ქვე-  
მო რუს წყალი გაებრუნებინათ, ამავე საქაშეთის თავიდან ერთი ნა-  
კადული წყალი არაშენდელთ შაელოთ.

და საქაშენელებს ამ ქვემო რუს წყალი რომ ზემო რუსათვიან  
შეეყარათ, ამ წყლით რაც მამული აღმოსავლეთის მხარეს საქა-  
შეთს, არაშენდას და ლელისთავს შუა იყო, იმით  
დაეწყოთ რწყვა.

ეს საქმე ასე რომ მომხდარიყო, რუისელთ მისს უმაღლესობას  
ბატონს დედოფალთან ეჩივლათ. ბატონს დედოფალსაც ებრძანე-  
ბინა: ქვემო რუს<sup>1</sup> წყლის სიარული ქვემო რუზედა და ზემო რუს  
წყალით ზემო რუზედა.

და ახალი სათავე ქვემო რუზედ რომ გაეკეთებინათ და იმის  
წყალი ზემო რუზე მიეყვანათ, ამის მიზეზისათვის იმ ახალის სათა-  
ვის დაქცევა ჯეროვანი და სამართლიანი იყო, რომლისა დაქცევა  
სათავისა და წისქვილის ბატონს დედოფალს ებრძანა, რადგან ამ  
ქვემო რუს წყლით დაებრუნებინათ წისქვილი.

ამისათვის ჩვენ მივედით და გავსინჯეთ, როგორათაც მისს სი-  
მაღლის ბატონის დედოფლის ბრძანება იყო, იმაზედ რომელიც  
ჩვენი გონება მისწვდა, ესრეთ ვსაჯეთ სამართლით — ახლის სათა-  
ვის წისქვილის დაქცევა და ორივე დაეაქციეთ. და ქვემო რუს  
წყალი ისევ ქვემო რუს შევრთვეით.

და ზემო რუზედ რადგან ჯერ საყოფი წყალი არ მოდიოდ[ა],  
ამგვარად განვაწესეთ: უნდა შეიყაროს რუისი, ურბნისი, სა-  
სირეთი, საქაშეთი, შინდისი [ი]. ლელისთავი, არა-  
შენდა და შინდისის სათავე გააყეთონ. რუ სად რა წამხდარი  
იყოს, ისიც გააყეთონ და ისევ წყალი მოუგდონ.

და შინდელეებს რომ წყლის დახევებას ამ სოფლების კაცნი  
უჩივიან. ამ შინდელეებისათვის რაგვარათაც მუჩალგა გამოგვერთმე-  
ვინოს იმგვარათ უნდა აღსრულდეს, წყალი აღარ უნდა დაახეონ<sup>2</sup>.  
თუ აზნაურშიღმა დაახეოს, ხუთი თუმანი ჯარიმა უნდა წაერთვას  
და მისის სიმაღლის ბატონის დედოფლის სარქარში მიერთვას. თუ

<sup>1</sup> წყალი. <sup>2</sup> დაახეონ.

კლებმა კაცმა დაახეოს, ორი თუმანი გამოერთვას და აგრეთვე სარქარში მიერთვას.

ამ ზემო რუთი უნდა მოირწყოს შინდისი, აქავ შინდისის დაცილებით ერთი ნაკადული მცირე წყალი ლელისთაველთ უნდა წაიყვანონ. და ლელისთაველთ ქვემო რუთამ რომ წყალი წამოუყვანიათ და ზედ ზემო რუთედ წყალი წყალზედ შიგ გამოუტარებიათ, ეს აღარ უნდა იქმნას; სამართლით დაგვიყენებია.

ეს ზემო რუ უნდა მოვიდეს საქაშეთს. საქაშეთის თავს თავიანთ ერთი ნაკადული წყალი არაშენდელთ დააბრუნონ და თავისკენ წაიყვანონ.

და საქაშეთს შუა როგორც გაჭრილია ზემო რუ ძველადვე, ჩვეულებისაებრ იმაზე უნდა გაეგდოს ისე, რაც აღმოსავლეთის მხრისაკენ ლელისთავსა და არაშენდას შუა საქაშნელი მამულეები არის, ზემო რუმვე უნდა მორწყოს, სასირეთის თავს უნდა გავიდეს და რაც რუს ზევით არაშენდისა სასირეთს შუა მამულია, ამით უნდა მოირწყოს და რუისის თავს ვადაიაროს.

და რაც ქვემო რუს ზევიდამ სარწყავია<sup>1</sup>, ამით უნდა მოირწყოს რუისის ბოლოს, ბატონის დედოფლის ხოდაბუნები უნდა მოირწყოს; და მერმე ურბნელებმა უნდა იხმარონ.

რაც შინდისიდამ გამოტანილს რუს ზევით და ამ ქვემო რუს შუა მიწა და ვენახია მომწყვდელი — შინდური თუ თვალათუბნელი და შაქაშნული — ამ ქვემო რუმ უნდა მორწყოს. და თვალათუბნის მამულიცა ამავე რუს ქვევითა ძევს დასავლეთის მხარეს, ამითვე უნდა მოირწყოს და მოვიდეს საქაშეთს, როგორც მიმდინარეობა აქვს, ისე ჩაიაროს.

რაც ქვემო რუს ქვევით დასავლეთის მხრისაკენ საქაშნელი მამულია, ამავე ქვემო რუმ უნდა მორწყოს[ს].

რომელიც წინაპართა ბატონებისა და ნეტარად ხსენებულისა მეფის თეიმურაზისა განაჩენი აცხადებს, რაც წყალი საქაშეთს დასცილდეს, ასე უნდა იხმარონ, სამათ უნდა გაიყოს წყალი: ერთი წილი სახასოს ზვარსა და ხოდაბუნსა და ეკლესიის ყმათ უნდა მიეცეს, მესამედი წილი საციციანოს ყმათა და გარეშე კაცთ უნდა მიეცეს.

ამ სამთავანვე წერილებსაებრ ერთი ნაკადელი წყალი მამაცაშვილებს უნდა მიეცეს.

თუ ამაში ერთმანეთში მძლავრობა იხმარა ვინმე, და ან წყალი

<sup>1</sup> სარწყავია.

მოპარონ ერთმანეთს, ზემორესხენებულისაებრ ორი თუმანი სახელმწიფოთ ჯარიმა გარდახდეს და სარქარში მიებაროს.

როდესაც ამ ქვემო რუსი და ან ზემო რუსი სათავე და რუ წახდეს, რომელიც სოფლები წყალს ხმარობენ ზემო რუსას, იმ სოფლებმა უნდა გააკეთოს სათავე და რუ. და რომელიც კიდევ ქვემო რუთი ირწყოდეს, იმ სოფლებმა უნდა გააკეთოს სათავე და რუ.

ჩვენმა გონებამა და თვით თვალით ხედვამა და განჩხრეკამა ასე გაამართლა და ამგვართ დაინახა. და ნება მისის უმაღლესობის ბატონის დედოფლისა არის.

და თუ სოფლებმა ერთმანეთს დაუხეონ და უსამართლობა იხზარონ, ზემოხსენებულისაებრ ჯარიმა გარდახდეს.

აღიწერა ივნისის კბ, წელსა ჩღპთ, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა<sup>1</sup> უოზ.

ქ. თუ ან აზნაურშვილმა და ან გლეხმა კაცმა დაახეოს, ზემორე ხსენებულისამებრ აზნაურშვილსა წაერთვას ჯარიმა ხუთი თუმანი და ორი თუმანი გლეხს კაცსა და ბატონის დედოფლის სარქარში მიბარდეს.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს დედოფალი ბატონის დადიანის ასული პატრონი და რეჯან, ამ განჩინებას ვამტკიცებთ.

მკათათვის გ, ქორონიკონს უოზ.

## 272. განჩინება ხანისთელეთელ ბარაკაქელას საქვეუ

1780 წ. 10 ივლისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 4 საბ. № 285. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[177] ხატისთელეთელის ტერ-მოსესას და ტერ-სარქისას ეჩივლა მის უგანათლებულებას ბატონიშვილის იულონთან ტერ-არაქელასათვის რომ: ეკლესიის სამკაულ[ი]ო მრავალი განილო ეკლესიიდანამაო და თვისა სახლობას ახმარებსო, ჩვენ გვმძღავერობს და უსამართლოებსო; და ამისი ბიძისაგანც გატანილი ბევრი არისო.

<sup>1</sup> + ქს.

ამათი სამართლის განსჯა მათს უგანათლებულებას ჩვენ — ყოვლად სამღუდელს ახპატის არქიეპისკოპოზი[ს] და ვითისათვის. მილასურის ლუარსაბისათვის და მდივნის სვიმონისათვის ებრძანა: თქვენ რამდენამე სამღუდელონი კაცნი და რამდენიმე საერონი დაისწარით და ამათი საქმე განიხილეთო და სამართალი უსაჯეთო.

ამ მპრძანების გამოძახადებელი ჩვენდა მომართ მორდალი უთრუთ იყო. ჩვენ ბრძანებისაებრ მისი უგანათლესობისა მოვაყვანიეთ ესენი და ვიწყეთ ამათი საჩივრის გამოძიება.

მორდალს უთრუთს და ტერ-ისაიას აეწერათ იმ ეკლესიის სამკაული და ამ სამისავ მღუდლის დასწრებით და იმ დაწერაში რამდენიმე ნივთი დარჩომოდათ და არ დაეწერათ. მასუკან ამათ რომ ლაპარაკი გამოეოდათ, წასულიყო ეს ტერ-მოსესა და დაეწერა ეკლესიის სამკაული. —

მოვატანიეთ ის პირველი ნუსხა და ეს მეორე შევამოწმეთ და, ღიახ, ბევრი მოვიდა მეტი, რომ არ დაეწერინებინათ. ჩვენ უთხარით — რატომ არ დააწერინეთ, [v] მაშინ ეს ნივთიო.

ტერ-არაქელამ გვიპასუხა: არ მახსოვდა და იმისათვისაო; და ნივთნი ასრევ არიან მდებარენი ალაგსაო.

ტერ-მოსესასაც თანამდებობა ჰქონდა, რომ თუ ამან დაფარა, ამან რატომ არ დააწერინა? მაგრამ ამანაც ეს პასუხი მოგვცა: ეგ პირველი მღუდელი იყო და ეკლესიის სამკაული მაგისმა ბიძამ და მაგან იცოდნენო, მე არ მცოდნია რაო; რაც ვიცოდი, კი დაიწერაო, და ეს რაც არა სწერია, ახლა შევიტყე და დავსწერეო.

ეს ბრალი ორთავ მიეტყვებათ, ამისთვის რომ ნივთნი ისრევ აღვიღს არიან ეკლესიისათვის და დავიწყებით მოსვლიათ.

ლაპარაკში რომ ვიყავით ტერ-მოსესას აქა-იქ ძებნა და კითხული დაეწყო და კიდევ ეპოვნა რამდენიმე კალამი ნივთი ეკლესიის შეწირული — ამისგან გატანილი და დაფარული, რომელიც ქვემოთ რე დაიწერება.

ამგვარი მოქმედება პირველის მღუდლისაგან ჩვენს გონებას, დიად, ძნად აღუჩნდა. ჩვენ უთხარით: რატომ იმოქმედე, შენგან რიგი იყო ეკლესიის შემატებისა და არა მკრეხველობისა; და ვინათგან ესევითარსა ბრალსა შთავრდომილ ხარ, კანონსა ქვეშე ხარ.

ვერარაის პასუხის მოქმედებმან სდუმნა, თვინიერ ამისა რომ უსამართლობით მიჩივისო. ეს უფრო სიცრუე თხემსა მისასა [173] ამხდარი, უსამართლოდ ეკლესიის გამკრეხი მართალს კაცს ეუბნება, უსამართლოდ მიჩივისო.

მოქალაქე აბესალომანთ სვინაქსარი შეუწირავთ იმ ეკლესიისათვის და მუხლებსა და მუხლედში თავიანთ სახელი ჩაუწერიათ მოსახსენებლად.

ეს უფრო ძნიად ხელსაყოფელი ვნება შესვლია, რომ მიცვალებულთ სახელი ამოუხოციათ და თავისი ჩაუწერია. და ეს კაცის კვლის მიმსგავსებული არის, ამისათვის, რომ იმათ თავიანთ სახელი ეკლესიაში საუკუნოდ მოსახსენებლად დასდევს. და ეს კი მივიდა, იმათი სახელი აღმოხოცა და თავისი შთაწერა.

ეს ზემოხსენებულ სვინაქსარი რომ თავისად გამოაცხადა და ამათი სახელი კი დაფარა და ეკლესიის ხსენებიდამ განილო, ეს ხომ კაცის კვლას შეევამსგავსეთ. და რადგან კაცის კვლას შეევამსგავსეთ, მაშ ღირსი არის, რომ კაცის კვლის კანონით განიკანონოს და კიდევ განიკანონება.

რაც წარპარულნი და წარტაცებულნი ნივთნი არიან ტერ-არა-ქელასაგან ამას ქვემორ დადებულებათა შინა ცხად იქმნებიან:

ა ც. ქ. მი რ ი ა ნ ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს შეწირული თორმეტი მინალთუნი.

ა ქ. ი ე ნ უ ქ ა ს დედის შეწირული ერთი თუმანი.

ა ქ. მ ე ლ ე ი ნ ე თამაზას შეწირული ერთი თუმანი.

ა ქ. ი ა რ ა ლ ი ს ცოლის [v] შეწირული ერთი თუმანი.

ა ჭ. ქ. ხ ა რ ა ზ ი ო ჰ ა ნ ე ზ ა ს შეწირული თუმანსახევარი.

ა ჳ. ქ. ს ა ა მ ი ს შვილის თათუას მორთმეული მაუდის ჩოხის ფასი ორი თუმანი.

ხ ქ. საყდრის კლიტის ფასად მოკრეფული ექვსი მინალთუნი. ამ შვიდის კალმის ჯამი იქმნა რვა თუმანი და სამი მინალთუნი.

ამისი სამართალი ასე განვაჩინეთ: რადგან ტერ-არაქელასამან უკუთქმით ნაქურდლად აღმოჩნდა, ეს თეთრო თავ-თავის შეწირულობის რიცხვიდამ ამ ტერ-არაქელას გამობარების რიცხვამდის თუმანი ორ შაურად სარგებლით უნდა მიართოს ეკლესიას ტერ-არაქელამ.

ქ. რომელიც ამ ზემოხსენებულს თეთრს გარდა ეკლესიის შეწირულობა უკუთქმით ტერ-არაქელას განუვლია ქურდულად, ამას ქვემორ ცხად იქმნება:

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს რძლის ნ ი ნ ო ს შეწირული ვერცხლის თასი ერთი.

ქ. ი ა რ ა ლ ი ს ცოლის შეწირული ვერცხლის თასი ერთი.

ქ. ასტრახნიდამ გამოგზავნილი მეზურნე მელქუას მოტანილი ვერცხლის ჯვარი ერთი.

ქ. მეკვხე შეწირული ყალანქრის ბოხჩა ერთი.

ქ. გულულაანთ ქალის შეწირული მარგალიტი.

ქ. ოსბეგის ისაიას ცოლის შეწირული თითბრის განზანაყის თეფში.

[179] ქ. შაქარას შეწირული წერაქვი და ბარი.

ქ. ამისივე შეწირული ერთი ქალაქის ქუჩა.

ქ. თოლაჩის შვილის ასატურას ცოლის შეწირული ერთი ყალანქრის კაბა.

ამ ზემო ცხრა კალმის შეწირულობის ნაპარევს სამართალი ეს მივეცი: ესენი უნდა წარმოდგეს და ერთიც ამტოლი სხვა ეკლესიას უნდა მიართვას ტერ-არაქელამ.

ღ. ქ. მისი სიმალის ბატონისაგან ბოძებია ეკლესიის გასაკეთებლად თორმეტი თუმანი.

ღ. ქ. ეკლესიის დერეფნის გასაკეთებლად მოკრეფული ორი თუმანი.

ღ. ხ. ქ. ორი ვარაქურასათვის მოკრეფული ოცდაექვსი მინალთუნი.

ღ. ქ. მერაბ ალას შეწირული ერთი ტივი სამი თუმანი.

ქ. იქნა ამ ოთახის კალმის თეთრის ჯამი ცხრამეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი.

ამისი სამართალი ასე იქნა: ამ თეთრისას რასაც ეკლესიაზედ დანახარჯის ნუსხას მოიტანს, რომ შესაწყნარებელი იყოს, იმის ამ თეთრიდამ უნდა გამოვიდეთ. და ან რაც ამ მიბარებაში ნაკლები მიბარებოდეს, იმასაც უნდა გამოვიდეს. და თუ დარჩა რამე ალგების რიცხვიდამ მიცემის რიცხვამდინ, თუმანი ორშაურად სარკვებელი უნდა მიართოს ეკლესიას ტერ-არაქელამ.

ქ. ამ ტერ-არაქელას ბიძისაგან კრწანელი დავითას ცოლის შეწირული ერთი ალმასის ბეჭედი.

ქ. საგარეჯოს ვენახი ერთი რომ საზედაშოთ ჰქონია შეწირული.

ქ. ზაალ ეშკადასასთვის მიუყიდნია ზარი ერთი.

ქ. ერთი ზარი რომ ზაქარია ვართაპეტისათვის მიუცია.

ქ. ამისი სამართალიც ეს განუჩინეთ: რადგან თავისი ბიძის მოადგილე და ვარისი ეს არის, ამეების პასუხი ეკლესიისაგან უნდა გასცეს და ის თავისი ბიძა შეკრულებისაგან და შეჩვენებისაგან გა-



მოიყუანოს, რომ მაგათ კანონი შეჩვენებოს ქვეშ სდებს ეკლესიის საქონლის გამღებს.

ქ. ტურფოეთ მოსესას სახლობის შეწირული მარგალიტიც ამ ტერ-არაქელას გაუტანია, ესეც ერთი ორად ეკლესიას უნდა მიართოს.

ქ. ტერ-სარქისა თავისის რიგში მოსულის ხელსახოცების მოპარვას რომ სწამებდა ტერ-არაქელას და ის კი ფიცით უკუსთქმიდა, ამისთვის ეს ტერ-სარქისა გავლახეთ და რამდენსამე უამსა მღვდლობიდან განვაყენეთ.

შემდგომ გამოჩნდა ამ ტერ-არაქელასაგან გასყიდული, რომ მსყიდველს მიეტანა ისრევე წმინდის გიორგის ეკლესიაში, რომ მე, დავით ვართაპეტმა, ცხადად ვიცი.

ამისთვის ეს სამართალი განუჩინეთ: რადგან მაშინ ვკითხე და დამიძალა და ფიცით დამარწმუნა [180] არცოდნა იმისი და ეს ტერ-ტერა გამალახვინა და [მღვდელობაც ჩამომართმევინა და მას უკან წმინდამ გიორგიმ თავისი სასწაული ცხადყო ამისი საქმე, სამართალი ეს მივეცი, რომ: რადენსაც უამს მღვდელობისაგან განყენებული ეს ტერ-სარქისა იყო, იმდენს უამს ეს ტერ-არაქელა უნდა დადგეს მღვდელობიდან. და გალახვის საუბატიო რაც ბატონის-შვილმა ინებოს, ის მიეცეს ტერ-სარქისას.

ქ. ძველად ერთი ცალი ზარი ჰქონიათ. მასუკან თეთრი და სპილენძი მოეგროვებიათ, ის ძველი ზარიც დაუმტვრევიათ, ორი ზარი ჩამოუსხამთ და თავისი სახელი კი დაუწერია და ხალხისაგან მოგროვილი საქონელი თავისად აღმოუჩინია.

ამისი სამართალი ეს მივეცი: სამი თუმანი ეკლესიას უნდა მიართოს ჭარიმად, ამისათვის რომ ხალხის საქონელი თავისად აღმოაჩინა და თავისი სახელი დასწერა.

ქ. ჩვენ ასრე გამოვიძიეთ და ასრე დავწერეთ ეს სამართლები. და ნება მათის უგანათლებულესობისა არის.

და ჩვენ, ყოვლად სამღვდლო დავით ვართაპეტი ამას გავაცხადებთ უგანათლებულესობისა თქვენისა წინაშე: ვინათგან ესევეთარნი საქმენი და ეკლესიის შესამატნი სამსახურნი იმოქმედნეს ამ ტერ-მოსესამ და ტერ-სარქისამ და ამდენის ნიკთის [v] განალები და წარტაცება ცხად ყვეს ტერ-არაქელასაგან და ეკლესიას შემატეს, ღირსნი არიან სასყიდლის მიგებისა.

და ჩვენ ჩვენის მღვდელთმთავრობითის მადლით მივანიჭებთ შესაბამს მაგიერსა და თქვენგანაც სათანადო ამათი წყალობა, ვინათგან ის ეკლესია თქვენს ხელს ქვეშ არის.

და ამის შემდგომი თუ კიდევ სალაპარაკო გამოჩნდება რამე, იმისი სამართალიც ზემორე სამართლების განწესებით უნდა მიეცეს. რადგან ზოგიერთი დარჩა სალაპარაკო, რომ იმისი საბუთები ჯერ ხელთა ჰქონდათ; და როდესაც ხელთ იპყრობენ იმ საბუთებს და სამართლის წინაშე ცხად ჰყოფენ და სამართალი შეიწყნარებს, მაშინ სამართალი მიეცემათ, ვითარ ზემო დაიწერა.



ჩვენ, ბატონი შვილი იულონ, ვამტკიცებ ამ განჩინებას. და თუ ტერ-არაქელას ნუსხა ჰქონდეს რამე, რომ ეკლესიაზედ დანახარჯი ქონდეს, ის კი უნდა ჩაუდიდეს ანგარიშში. და რაც დარჩეს, ის კი უნდა მიართოს ეკლესიას უკლებლად. მკათათვის ი, ქორნიკონს უოჴ.



## 273. განჩინება გოსტაშაბიშვილების საწისქვილოს საქმეზე

1789 წ. 11 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2304. დედანი. ქაღალდი 16,5×10 სმ. მხედრელი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. ჩვენ, ლაშქარნივისი ომან და მღევანი ესავ, მისმა უმაღლესობამ ბედნიერმა მეფემ ლოლო[ვ]ნის საწისქვილოების გამასინჯავათ გამოგვეზავნა, რომ გოსტაშაბიშვილებს ზაალისათვის ორი საწისქვილო უნდა ეჩვენებინათ ლოლოვნის მიწაში. და თუ ვერ უჩვენებდნენ, გოსტაშაბიშვილის ტექიას წისქვილი რომ არის გაკეთებული, იმაზე ხელი უნდა აგვემართა და ზაალისათვის მიგვებარებინა და მასუქან ბატონთანა და მღევანბეგებთან უნდა ელაპარაკნათ.

გოსტაშაბიშვილები გაგვიძღვნენ წინა და ოთხს ადგილს საწისქვილოები გვიჩინეს: ერთი თითონ ზაალმაც იყაბულა აქავ თავსა. იმის ქვეით ერთი გვიჩვენეს, და მალუმი არ იყო. კიდევ იმის ქვეით ერთი პატარა რუსხმული გვიჩვენეს, რომ ის დიდს რუზე არ იყო. ქვეით იყო კალის მხრისაკენა და იქ ამბობდნენ: აქ საწისქვილო იყო და წყალმა წაახდინაო. იმ რუსხმულისას ზაალ ამბობდა: ეს რუსხმული მე გვაკეთე ბოსტნებისათვის და მაგდენი არცა რა ჩნდა. მეოთხე ბოლოს გვიჩვენეს დიდს რუზე და იქ საწისქვილო ადგილიც კარგი არის და სახლის ადგილიც ეტყობა.

მაგრამ ზაალ შორ იჭერდა, ეს თარაქამის გაკეთებული სახლი ყოფილაო, თორემ აქ წისქვილი არა ყოფილა.

და გოსტაშაბიანი ამბობდნენ: სწორედ ნაწისქვილარი არისო.

და ჩვენ ამაზე ეჭვი შეგვივიდა. ზაალს ფიცი დავადევით. ზაალმა თუ ორი კაცი შეაფიცა, რომ: «ამისმა მადლმა ეს ნაწისქვილარი არც იყოს და ტყუილათაც არქმევდეთო და კიდევ თარაქამის ნაგომურალი იყოს», თუ ასე შეაფიცა ბატონის ბრძანებისაებრ, ტეტიას წისქვილზე ხელს ავმართავთ და ზაალს მივაბარებთ; და მასუჟან ბატონის ნება არის. და თუ ვერ დააფიცა ორი კაცი და იმ ორს ხარაბის წისქვილს უნდა დასჯერდნენ; რომელიც გოსტაშაბიანთ უჩვენეს.

[მ]კათათვის ია, ქორონიკონს უოჲ.

ქ. დ ა ვ ი თ ა ვ და პ ე ტ რ ე ვ. ეს კაცები თქვენ უნდა დააფიცებინოთ ზაალს.

ორი ბეჟელი:

1. ო შ ა ნ

2. ე ს ა ვ

## 274. განჩინება მღვიმანავთა ზაალ უაფლანოვილისა და გოსტაშაბი- შვილების მამულის საქმეზე

1789 წ. 28 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. № 470. დედანი. ქალაღი. 33,5X18,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ყ ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ზ ა ა ლ ჩიოდა: ღოღოვენა გოსტაშაბიანთაგან ნასყიდი მაქვსო და ღოღოვენის მამულში გოსტაშაბიშვილმა ტეტია მ წისქვილი დააბრუნაო და ისი სკამსო.

ამისას გოსტაშაბიშვილები ასე უპასუხებდნენ: ღოღოვენის ნასყიდობას რომ ამბობო, იმაშიაც სიტყვა გვაქვსო და ეს წისქვილი რომ გავაკეთოთო, ეს ქოთიშის მამულში არისო, შენ ამაში რა საქმე გაქვსო.

ამაზე ბევრი ლაპარაკები იყო და არცე[რ]თის მკრიდამ არც ერთი მოწმები არა ჩნდნენ, რომ ქოთიშასა და ღოღოვენის მიჯნა მოწმით გარჩეულიყო.

და რადგანაც ის წისქვილი დღეს გოსტაშაბიანთ ხელთ უჭირავს, ფიცი გოსტაშაბიშვილებს დავადევით. წადგეს გოსტაშაბიშვილი ზ ა ა ზ ა თავისის ერთის შვილათ და გოსტაშაბიშვილი ტეტია უზბაში თავისის ერთის შვილით, ხატი აასვენონ და სადაც

ეფიცებოდეს და იცოდნენ ლოლოვნისა და ქოთი[ში]ს მიჯნა, იმაზე შედგნენ და ზეითის წვერიდამ ქვემოთ ალგეთამდინ ჩამოიფიცონ და ასე თქვან: «ამისმა მადლმა და განმატხოველებელმა ღმერთმა, რომ ამას ზემოთ დასავლეთის მკრისაკენ ქოთიშის მამული არის და აღმოსავლეთის მკრისაკენ ლოლოვნისა».

და როდესაც გოსტაშაბიშვილები ლოლოვნისა და ქოთიშის მიჯნას ფიცით ასრე გაარჩევენ, მასუკან ის წისქვილი თუ ქოთიშის მამულში დარჩება, ყაფლანიშვილს ზაალს საქმე არ ექმნება რა: და თუ ლოლოვნის მამულში დარჩა ის წისქვილი<sup>1</sup>, ყაფლანიშვილს ზაალს უნდა მიჰბარდეს.

ამ წისქვილის ბარობაზე თუ რომ ან განაჩენი არის დაწერილი და ან ოქმები მისის უმალღესობისაგანა და ან მსაჯულთაგანა და ან სხვის ვისგანმე, ყველა დაგვიყენებია და ამ წისქვილის საქმე ასე გადაგვიწყვეტია.

და ლოლოვნის ნასყიდობის წიგნი რომ ყაფლანიშვილს ზაალსა აქვს და გოსტაშაბიანთაც სამართალში ულაპარაკნიათ და განაჩენი და წიგნები აქვსთ, ისინი კი ორთავ მოდავეთ ამ სამზღვრის გარჩევას უკან ჩვენთან მოიტანონ და იმის სამართალსაც განვსჯით.

თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ო ი ო ა ნ ე, ეს როგორც განგვისჯია, ასე აღასრულებინეთ. ივლისის კგ, ქორონიკონს უოზ.

ექვსი ბეჰელი:

1. ლთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ
  2. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშიკადასბაშ მყო მდივანბენი თ ე მ უ რ ა ზ
  3. არ ირჩევა
  4. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბ ე ქ ა ნ.
  5. მ ე თ ო დ ი
  6. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.
- ქ. მისის უმალღესობის ბრძანებით და ამ განჩინების ძალით მე, ი ო ა ნ ე თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ამათი მოასილი ვიყავ. და როგორც ამ განაჩენში სწერია, ისე დაიფიცა ზ ა ზ ა მ და ე რ ა ს ტ ი მ თავეთის შვილებით: ჯვარი, სახარება და ხატი კელა ეპყრათ და ისე დასავლეთის მხრიდამ წამოვიდნენ ფიცით; ალგეთის პირამდინ ჩაიფიცეს, დიდი ღრმა ღელელი რომ არის, იმაზედ

<sup>1</sup> და.

ჩაიარეს, წისქვილი ქოთიშისაკენ დარჩა. ახლა წისქვილი რომ ბრუნავს, იმ წისქვილს აქეთ ღრმა ღელე რომ არის, იმაზედ ჩამოიარეს და სამძღვარიც ღრმა ღელე დაიდო.

რომ ამ ფიცში დაისწრნენ: დ ა ვ ი თ გ ე რ მ ა ნ ო ზ ი ს შ ვ ი ლ ი, ბ ა გ რ ა ტ ი ს შ ვ ი ლ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო და მღვდელი ა ბ რ ა მ. ამათის თანდასწრებით ასე ფიცებს და სამძღვარიც ეს ღელე დაიდო.

იულისის კმ, ქორონიკონს უოზ. ხელრთვა: იოანე.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. [მკათათვის კვ, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, ამ მსარჯულთ<sup>1</sup> განჩენილს სამართალს ვამტკიცებთ. მკათათვის კვ ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: გიორგი.

ჩვენ, ბატონიშვილი მეფის ძე იულონ, ამ სამართალს ვამტკიცებთ. მკათათვის კვ, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: ტომ სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

275

განჩინება იოანე ოდიშელიძისა და ვიოგვი ბუჩუკურის

გამულის სამეფა

1789 წ. 27 აგვისტო

ცხსა. ფონდი 1448. საბ. № 2216. დედანი. ქალაღი. 35X16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ოდიშელიძე ხუტიაშვილი იოანე უჩიოდა ბუჩუკურს მღუდელს გიორგისა: ჩემის მამის მამული იქრთამა ქაიხოსრო მოურავისაგან ბეითალმობითაო.

მერე მე ბატონისშვილს გიორგისა და ლევანთან ვიჩივლე და მის სიმაღლეს მეფესაც მოვახსენე და ამათ მოწყალეება დამეშართა, უსამართლო არ მიყუეს, ჩემი მამული იყო, მოიკითხეს და მევე მიბოძესო, იმათი ოქმები კელში მიჭირავსო.

ახლა კიდევ არ მომეშვა, თქვენ სხვა რიგად მოვახსენათ და

<sup>1</sup> მსარჯულთ.

ოქმი უბოძეთ და ის მიწა მეორედ წამართვაო, ღმერთი გაგიმარ-  
ჯვებს, სამართალი მაღირსეო.

მე, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ე ი ლ მ ა ნ პ ა ტ რ ო ნ მ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ, ესენა  
ორნივე ჩვენს სამართალში ვალაპარაკეთ.

გიორგი მღუდელი ამას უპასუხებდა: ქაიხოსრო მოურავმა შე  
ქრთამი გამომართვა, ის მომცა და შენ იმისი სამაგიერო ბეითალმანი  
იოთამის მამული მოგცაო. ამას გარდა ბ უ დ რ ი ს შ ი მიწა მქონ-  
და, ის ბატონისშვილმა გამომართვა და ყორულად დასდვაო, ბევრი  
ხარჯი მომივიდა და ახლოც არის ჩემზე, რომ შიგა ვსდგევარ და  
სხვა გზა არა მაქვს შესავალ-გასავალი და ამისათვის ვიშოვე ის მა-  
მული და მომცესო.

ჩვენ ამისი სამართალი ასე ვსაჯეთ: გიორგი მღუდელი რომ ამ-  
ბობდა: ახლო არის ჩემზედა და თუ ეს ჩემი არ იქნებაო, ვერ დავს-  
დგებო, ამით მამულს ვერ წავართმევთ ხუტიაშვილსა; ამისთვის,  
რომ გლახს კაცს სულ ერთმანეთშია აქუს მამული, მაგრამ ერთი  
მეორეს ვერც შეეცილება და ვერც წაართმევს.

და ამას რომ ამბობდა: იოთამ გაყრილი იყო ხუტიასი და იმი-  
სი წილი მამული ქაიხოსრომ ხუტიაშვილს მისცა და ეს მიწა მა-  
გიერად მე მომცაო. ეს მოსაკითხავი იყო. მოვიკითხეთ და ოთხი  
მოხუცებული სარწმუნო კაცი წარმოდგენ. ორი ამათი მეზობელი  
და ორი ყვავილელი და ამათ დიდის ფიცით ვაფიცეთ და ამათი  
საქმე გამოვიკითხეთ. ამათ ასე იმოწმეს: არც გაყრილი იყო [იო]თამ  
ხუტიასი და არ[ც] იმის მამული ბეითალმად გაგვიგონიაო. ამათის  
მოწმობის ძალითაც დარჩა ის მიწა ისევე ხ უ ტ ი ა შ ე ი ლ ს ი ვ ა -  
ნ ე ს ა.

და კიდევ გიორგი მღუდელი რომ ამბობს ბ უ დ რ ი ს შ ი მი-  
წის გამორთმევასა, ის ჩვენი არის, იმისი პასუხი ჩვენგან უნდა  
ითხროს და ჩვენ მივცემთ.

იასაულო ბოქაულთხუცესო ბ ე ქ ა ნ! ამ მიწაზედ კელი აუ-  
მართე და ამ ხუტიაშვილს იოანეს მოაბარე, რომელიც მამული თა-  
ვის სიცოცხლეში ხუტიასა სჭერია, იმას ამ იოანეს ვერავი[ნ] შეეცი-  
ლება, რადგან სულის შვილად აუყვანია და გაუზრდია<sup>1</sup> და თავის  
მამულზე მემკვიდრედ გაუზრდია; და მათი სიმაღლე მამა ჩვენი მეფე

---

<sup>1</sup> გაუზრდია.

უმტკიცებს და ჩვენი ძმებიც უმტკიცებენ. აგვისტოს კჴ, ქორონიკონს უოჴ.

ბჴჲლო: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ  
ცამტკიცებ მეფის ძეობით.

## 276. ბანჩინება სტეფანა და ქალუა ივანეგულიანთ ღჴქანების საჴმეჴ

1780 წ. 23 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 4. საბ. 279. პირი. ქალაღი. მხედრული.

[170v] ბატონის დედოფლის ბრძანებით წავედით ქვემო მონა-  
ნი, ივანეგულათ ოთხი ღუქანი ენახეთ, რომ ერთს ღუქანს ჴე-  
მთ კიდევ ბალახანა ღუქანია, ისიც იმაზე არის.

ღმრთის წინაშე, ჩვენი მიხღომით ამ ღუქნების ქირის გამოღე-  
ბით ამ თარიღში ეს ღუქნები ღირს ას თუმნათ. და თუ უნღოდეს,  
ასე მისცეს სტეფანამა.

თუ უნღოდეს, ეს ასი თუმანი ექვეს თვეზე მისცეს, თავის ღუქ-  
ნები გამოართოს. თუ ექვეს თვეზე ასი თუმანი არ მისცეს, სტეფანას  
ღუქნებთან საჴმე აღარ ექნება, ღუქნები ქალუას ხელთ უნღა  
იყოს.

ღმრთის წინაშე ჩვენმა ჴკუამ ასე გასჴრა და ნება ჩვენი ხემ-  
წიფის არის. დაიწერა ენკენისთვის კგ გასულს, ქორონიკონს უოჴ.



თავში:

ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალი ბატონის  
დადიანის ასული პატრონი დარეჴან, ამ წერილს ვამტკიცებთ.

ბოჴოულთხუცესო პაპავ! ამ ღუქნების საგლები გამოართვა  
სტეფანას და ქალუას მიაბარე. რაც ვადა დაუწერიათ, ვადამღინ  
სტეფანემ თუ ასი თუმანი მისცეს ქალუას, ღუქნები სტეფანას დარ-  
ჩება. თუ ვადამღინ თეთრს ვერ მისცემს, ღუქნები ქალუას დარ-

ჩება. ენკენისთვის კჴ, ქორონიკონს უოჴ.



1760 წ. 2 ოქტომბერი

აღმოსაულებამკოდნობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება H 5.  
პირი. ქალაღი. მხედრული.

[95] ქ. ილანხევის თემს ამ ჩუენის ძირბის შერიგობა მოენდომებინა, მისის უმაღლესობისათვისაც მოეხსენებინათ, მათს უმაღლესობასაც შერიგება ებძანა.

ილანხევის უფროსნი კაცნი მოვიდნენ აქ ჩუენთან, შერიგება ჩუენის პირობით მოინდომეს. ჩუენც უარი არ უთხარით; ამ ჩუენის ძირბის კაცთ, და იმათ შუაზედ თავდებათ დაუდექით და ორთავ პირობა ასე გამოვართვით და დავაფიცეთ:

ამ ჩუენის ქვეყნის კაცთ იმათ უსამართლობა არა დამართონ რა, არც რა წა[ა]რთონ. თუ ერთმანეთში ვალი რამ იყოს, ჩუენის სიტყვით გარიგდეს, მძლავრობით! არავინ წაართოს — არც თავაღმა და არც გლენმა; თუ ვალი რამ იყოს შუაზედ ან დავა, ჩუენის სიტყვით გარდასწყდეს. ღალატით, ძალით და უსამართლოდ იმათ არავინ რა დაჰმართოს; მოვიდოდნენ, ივაჰრებდნენ და წავიდოდნენ მშვიდობით.

ამ ძირბის კაცთ ეს პირობა გამოვართვით და დავაფიცეთ, რომ ამას იქით აღარ შესცოდონ რა.

ილანხეველთა ასე პირობა გამოვართვით, რომ ამას იქით აღარ შესცოდონ რა; ამ ქვეყანაში ღალატი არა წა[ა]ხდინონ რა, არც იქურდონ; ჯარისა და ყაზახის მოსულა, რაც შეიძლონ, შეგვატყობინონ; შეურეგებელი კაცი სავაჰროთ არ მოიყვანონ. თუ იმათ თემის კაცმა აქ წა[ა]ხდინოს რამე და სხვას ქუეყანაში წავიდეს, მიზეზობა არ დაიწყონ, იმ კაცის წანახელი ჯამათმა იმ კაცის სახლიდამ და მამულიდამ მოსცენ.<sup>1</sup>

ერთი სოფლის კაცნი ეშიტელნი, კაბუჰელნი განჯაშვილი აღიას პირით და ილანხეველის აღუბას აღის პირით შემოგქერიგდენ და ეს პირობა გამოვართვით: ერთი ხირიმის მაყარი<sup>2</sup> მზეკლათ გამოვართვით; რამდენიც ამ ილანხევის სოფელი შემოგვირიგდეს, სოფლის თავს, თვითო ხირიმის მაყარი<sup>2</sup> მზეკლათ უნდა მოგვეცენ და როგორც ამ ზემოთ დავვიწერია, იმ პირობაზედ უნდა იყვნენ.

<sup>1</sup> მძპერებით. <sup>2</sup> მაყარი.



ვინ იცის, სოფელი თავის განსაცდელს არ დაიშლის, იმათგან ჩვენგან კაცი წახდეს ან მოკუდეს ან დაიკარგოს ან ჩვენის კაცისაგან იმათი კაცი მოკუდეს, რომელიც სისხლი და საზღაური კაბუჭელთ და დიდოთა აქუს მისის უმაღლესობისაგან განწესებული, ის საზღაური და სისხლი მიეცესთ.

თუ იმათ ჩუენი კაცი წა[ა]ხდინონ ან მოკლან ან დაიტყვევონ, ისივ სისხლი და საზღაური ჩვენს კაცთ მოსცენ.

ამ პირობაზედ დავამტკიცეთ ჩუენი კაცნიც და ილანხეველნიცა.

ვინ იცის, თუ აშლა ჩუენი ქვეყნის კაცმა მოინდომოს, თავისი მზევალი მაცარი გაუგზავნონ და შეუთვალონ — [v] ჩუენში შერიგება აღარ არისო — ღალატათ არც ჩუენი კაცნი აეშალნენ და არც ილანხეველნი.

ეგრეთვე თუ ილანხეველთა აშლა მოინდომეს, თავისი მზევალი მაცარი ითხოვონ და შემოუთვალონ — ჩუენში შერიგება აღარ არისო.

ამ პირობაზე ორთავ დაიფიცეს — ჩუენის ქვეყნის კაცთაცა და ილანხეველთაცა. დ ო ს ი თ ე ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ორთავ თავდებათ დამაყენეს.

ამ პირობაზედ ვინც გადავა და გასტეხს, ათი თუმანი ჯარიმა მისს უმაღლესობას მეფეს უნდა მიართოს. თუ ჩუენ კაცთ გატეხეს, ათი თუმანი ჯარიმა მეფეს მიართონ. და თუ ილანხეველთ გატეხეს, იმათაც ათი თუმანი ჯარიმა მეფეს მიართონ. ოკდობერს ბ, ქორონიკონს უოზ. ხელრთვა: დ ო ს ი თ ე ო ს.

ქ. მარიამობისთვის თ, უბგ, ქ ა ი ხ ო ს რ ო ჩემთან მობრძანდა, ეს წიგნი ა ლ უ ბ ა ს ა ლ ი მ მოგვიტანა ჟაბოს შუამავლობით და სიტყვით. ახლა ჩვენც იმისი პირი ერთი სხვა ასლი წიგნი შერიგების მივეცით მარტო ეშიტელებისა. ხელრთვა: ნ ე კ რ ე ს ე ლ ი.

## 278. მსაჯულთა წიგნი მხარეთა სასამართლოში გამოსცხადებლობის შესახებ

1789 წ. 10 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2117. პირი. ქალაღა. მხედრული.

მ ო ძ ღ ვ ა რ თ მ ო ძ ღ ვ ა რ ს ნ ი კ ო ლ ო ზ ს და ერთობით გულგულელთ ეჩივლათ მის სიმაღლეს მეფესთან, რომ: ჩვენს მამულში მ გა ლ ო ბ ლ ი ა ნ თ ფაცერი ჩადგესო და სამართალს ვითხოვთო.

მათი უმაღლესობას ჩვენ, კახეთის მოსამართლეთათვის ებრძანა ოქმით: ერთობით საყდრიელნი დაიბარეთ წმინდის გიორგის გუჯარი მიატანინეთო; მოძღვართმოძღვარს სახულასა ღმრთისმშობლის გუჯარი მიატანინეთო და როგორც იმ გუჯარებმა გასამძღვროსო, ისე გააქველეთო. ყოვლად სამღვდელოს ალავერდლის ზენონის დროს იყო ეს ბრძანება ბატონისა.

წიგნი მიეწერეთ აზნაურშვილებს და დავიბარეთ; არ მოვიდნენ და არც გუჯარი მოიტანეს. შემდგომ კიდემ გრიგოლ მეურნის დროს შემოგვჩივლა ამისმა მალაღლირებამ მოძღვართმოძღვარმა, რომ კიდემ უფრო ქვეით უდგემენ ფაცერსაო და სამართალი მომეცით, ბრძანება გაქვსთ ბატონისაო.

წიგნი მიეწერეთ და დავიბარეთ აზნაურისშვილებიც და გუჯარიც; და არ მოვიდნენ, რომ გაგვეშველებინა. ახლა კიდემ მოვიდა მოძღვართმოძღვარი და შემოგვჩივლა.

ჩვენ იოანე დიაკონი ვაქაზელით მის მალაღლირებას არქიმანდრიტს იოანეს და მოვახსენეთ: მობრძანდითო, აზნაურისშვილებიც იახელით და გუჯარიც მოიტანეთ და გაშველდითო; არ ინება მოსვლა.

მასუკან კიდევ ყორჩიბაშიშვილი ბექან და დავით გარეჯელი გავგზავნეთ და მოუწოდეთ სამართალში აზნაურისშვილებსაც და არქიმანდრიტსაც, მოვახსენეთ და არ ინებეს. ეს პასუხი მოეცა: შე საქმე არა მაქვს რაო, არქიერი ქალაქს ბრძანდებაო, მოძღვარიც იქ წავიდესო და იქ ელაპარაკოსო.

ამ საქმეებმა ასე გაიარეს და არ ინებეს სამართალში მოსვლა. და ახლა ნება მათის უმაღლესობისა არის. დეკენბრის ივ, ქორონი-

კონს უოზ.

|                           |                         |                                   |
|---------------------------|-------------------------|-----------------------------------|
| მეფემან<br>.....<br>ბეჟან | მონა<br>ლთისა<br>ევნატი | მონა<br>ლთისა<br>მდივანი<br>სიმონ |
|---------------------------|-------------------------|-----------------------------------|

279

განჩინება აწყურელთა და ხოდაშნელთა მამულის საქმეზე

1790 წ. 19 იანვარი

სელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 786. დედანი. ქალაღი. 43,3X32,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი, სამი ან ოთხი წერტილი.

ქ. ხოდაშნელები სახასო კაცნი მოვიდნენ დიდად შეწუხებულნი, აწყურელთ უჩიოდნენ მთაზედ: ამდრონი ხანია ამ [მ]თაზედ ლაპარაკი და ცქილეუბა არა გვექონიაო და ახლა ამ შფოთზედ მივიწივნენითო, სამძღვრები გაგვიჩიეთო, რომ ამ შფოთს მოგვარჩინეთო.

მივედი ჩვენ, ვარჯან მსაჯული, და მათი მაღალი ბრწყინვალეობა დავით მდივანიც აქ ბრძანდებოდა, ბეჟან პეტრიანოვილი და აქაზ უზბაშიც აქ დავესწრენ, ეს აწყურლებიც თავისის ბატონებით მოვასხმევიანეთ და ეს მოჩივრები ერთად ვალაპარაკეთ და ამათი სარჩელი გამოვიკითხეთ. ამათ თავთავისი სამძღვრები შემოფარგლეს და დასახეს.

ხოდაშენელთ სამძღვარი ეს არის: ბოლოს წამებული შავლით მაღალ გორი თელიანის ჩასავალში საყდარი დგას, მზის ჩასვლისაკენ ამის შავლით ნაგომრის თავი ჩასავალი საღანძილისაკენ, ამას ზემოთ ნაშარობი რომ ელიის გორზედ ზედ მივა, ამ მიჯნებს გარეთ აღმოსავლეთისაკენ ხოდაშენელთ საქმე არა გვაქვსო; და ამ მიჯნებს აქეთ დასავლეთისაკენ აწყურელთ საქმე არა აქვსთო.

აწყურელთ მიჯნები დასახეს ამ რიგათ: ბოლოს მაღალაურის თავი რომ გაივლის და ბერხევაში ჩავა, ბერხევიდამ გიგაანთ საყდრის ზემოთ გაუვლის და კიკარტიანთ კლდეში ნაშარობში ჩავა, აქედამ საღანძილეზედ ავა, თავში მიჯნა არის, ქვა ყრიანი არის, აქედამ ავა და ელის გორის საყდართან მივა.

ეს თავთავისი ნებით ასე შემოფარგლეს. და ამ სამძღვრებზედ დიდი ცილება შეექმნათ, თავთავისას ამტკიცებდნენ.

ეს სახასო ხოდაშენელნი ეპასუხებოდნენ: წამებულის საყდარი მიჯნა არისო, მლოცავი რომ მივიდისო, ერთი ჩვენნი კაცი იყო გულუხვაშვილი და ერთი თქვენი კაცი იყო აწყურიდამ ხარატისშვილი — ეს ორნივე დეკანოზობდნენო, რომ ქვეყანამ იცისო; თუ თქვენს მამულში დგას ის წამებულის საყდარი, ჩვენს კაცს რათ ადეკანოზებდითო.

ეს აწყურელნი მიუგებდნენ: ის საყდარი ჩვენიაო, თქვენ საქმე არა გავსთო. ჩვენ მუდამათ იმის მარანში ღვინოს ჩავასხამთო და თქვენ ხომ სულ არა გდგმითო.

ამის მაგიერს პასუხს ხოდაშენელნი მიუგებდნენ: თქვენ ქვევრი გიჰირსთ და ჩვენ კი არაო, მეზობლობით არას გიკითხავდითო; და ამას ეუბნებოდნენ: როდესაც წყალზედ დაგვაფრცეთო, მთის სამძღვარზედაც გავიარეთო. იმ ქამზედა და ისე დავიფიცეთო, ორჯელ ხომ ველარ დავიფიცავთო, ახლა თქვენ დაიფიცეთო, სამძღვრები ხომ შემოგიფარგლავსთო, თუნდა იმაზე გაიარეთ და ჩვენ კი დავიჯერებთო: თუნდა წიგნს დავდებთო, რომ თუ ფიცი შეიძლოთ, ჩვენ საქმე არა გვქონდეს რაო. მავრამე ეს აწყურელნი ფიცს ერიდებოდნენ.

ჩვენ ორგანიზაცია წერილები მოვიკითხეთ და მოწმეები.

ეს აწყურელი ეპასუხებოდნენ: თქვენი გუჯარი გვინახავს წაითხულიო, რომ მიჯნები გარჩეულიაო, ის მოიტანეო და გავასწორებო, ფიცს ის არა სჯობსო? კურთხეულმა ოთარ მდივანმა წაგვიკითხაო, რომ ჩვენი სამძღვრები გარჩეული არისო.

ამაზედ დავით მდივანმა დაივიცა, რომ ჩვენ ასეთი წიგნი არა გვეკონდეს რაო, რომ მთის სამძღვრები თქვენისამ გარჩეული იყოსო; და არცა ვისი ვიცოდე, რომ იმისთანა წიგნი იყოსო სადმე, რომ მე ვიცოდე და არ გამოვაჩინოო და ან დაემალო. ეს ხოდაშნელნი რომ ამბობდნენ — მთა და წყალი ერთად დაგვიფიცავსო პაპუა დიამბეგის დროს და მეორეთ ახლა მისის უმაღლესობის ბატონის სამართლით ახლა წყალზედ დაგვაფიცეთ და დავიფიცეთ და განაჩენი ხელთა გვაქვს, მთაც შიგ დაყვა და წყალიცაო.

ჩვენ ეს ბატონის განაჩენი მოვატანიეთ, ეგების ამაში მთა იყოს გამოცხადებულიო. ამაში ასე აცხადებდა: რადგან ხოდაშნელთ გაუფიცავთ, აწყურელთ საქმე აღარა აქვსთო, მთისას არას აცხადებდა.

ერთი მოწამე წამოაყენეს ხოდაშნელთ მოხუცებული ბოკორმის ყმა შიო მჭედელი. ამას ვაფიცეთ ბერი მეღვინეთხუცისა და პაატა სახლთხუცის დროს მთაზედ თუ გახსომდეს, რომ ხოდაშნელთ დაეფიცოს, სწორე გვითხარო. დიდის ფიცით ასე იმოწმა: ეს ვიცო, რომ პაპუა დიამბეგი და გიორგი მაყაშვილი მოიყვანესო, წამებულის საყდართან მივიდნენო, მაღალ გორი გადიარესო, წყლის სათავეში მივიდნენო, ის წყალი გასინჯესო, რომ ჩამოვიდნენ და ლაპარაკი დაიწყესო, პაპუა დიამბეგმა ხუთი თითი აუშვირა და ასე თქვაო: ერთი ამ აწყურელებსაო და<sup>2</sup> ოთხი ხოდაშნელებსაო. ეს რომ არ იყაბულეს, ფიცი ხოდაშნელებს დაედო; ის კი არ მახსოვს, დაიფიცეს თუ არაო.

ამ სულხანიანთ ზაალმა აქაზ უზბაში წამოაყენეს მოწმათ. ჩვენ რომ ვაფიცეთ, ასე იმოწმა: ჩემს სიმამრს ბერს მეღვინეთხუცეს აწყურს ვახლდიო, ახალი სიძე ვეყავო; იმთი თავის მელორეს უთხარაო: წამებულის საყდარს ნუ გააცილებო ჩემს ღორსაო, იმას იქით ხოდაშნელებისა არისო და იმას აქეთ ჩვე-

<sup>1</sup> წერილები. <sup>2</sup> ღორი.

ნი არისო. მერმე ისევ გარდასცვალა — საყდარი კუ უთხრაო<sup>1</sup> და ის კი არ ვიცით, რომელი საყდარი უთხრაო<sup>1</sup>.

ამ სულხანიანთაც კიდევ პეტრე წამოაყენეს და ამის მაგივრად ხოდაშნელთ ჩანგაშვილი გოგია<sup>2</sup> წამოაყენეს. ამათ თავ-თავისი შწრისაკენ იმახსოვრეს.

ჩვენ ამათის საჩივრის გამო დიდად დაეშვერით და გამოვიკითხეთ, ორგანიტვე გვინდოდა მრავლის ცდით რომ წერილებითა და მოწმებით უფიცრად გავვეშველებინა, მაგრამ არ მოხდა. ეს ხოდაშნელები ბევრ რიგათ მიყვენენ, მაგრამ ამ სულხანიანთ ერთმანერთის სახლისკაცების საყვედურის გამო ერთს რიგს სამართალზედ არ დადგნენ და სასწორი სიმართლისა აქათა სძლევედა. მაგრამ უფიცრად მაინც არ გადასწყდა.

ჩვენ რომ მამულის ქონა, დღეს ვისაც უჭირავს, გამოვიკითხეთ, ამ სულხანიანთა და ამათმა კაცებმა ასე თქვეს, ჩვენ გვიჭირავსო. ეს ხოდაშნელებიც თანახმანი შეიქნენ. რადგან ამ სულხანიანთ სჯეროდა, სამართლით ფიცი ამ სულხანიანთ დაედო, ხატი კელთ უნდა დაიჭირონ: «ეს ადგილი ამ სამზღვრამდინ, ამ ალაგამდინ — სადამდისაც შეუძლიან ჩაივლის — აქამდი ჩემის ალაგისაა და ჩვენიც იყოს და ტყუილადაც გვეცილებოდეთო».

ამ სულხანიანთ ამ რიგად უნდა შეფიცონ, თვითონ სოფლურად უნდა შეფიცონ. თუ ეს ფიცი ასე შეიძლეს, სადამდისაც შეიძლებენ, ამ სადაოში<sup>3</sup> ხოდაშნელებს საქმე აღარა აქვსთ, და ამ აწყურელთ დარჩება. და თუ ვერ შეფიცეს ამ ხსნილში, მანამ დამარხვდება, ხოდაშნელებს დარჩება და აწყურელთ საქმე აღარ ექნებათ. მაგრამ ამ ფიცში ხიზნის მიყოლა არ იქნება, მემკვიდრეები უნდა მიიქყოლიონ.

ბოქოულთ ხუცესო დავით! როგორაც ამ განაჩენში აცხადებს, ამ რიგათ უნდა გაარიგო და ამ ხსნილში გადასწყვიტოთ, რომ მარხვაში ფიცი აღარ იქნება. იანვრის ით, ქორონიკონს უოქ.

ბეჰელი: ღმერთსა მივართვა ოჯა ნიდაგ ვარჯან.

ქ. მე, დავით მდივანი და ხოდაშნის მოურავი ამათს ლაპარაკში დავესწარ, რომ სამართლით ასე გარდასწყდა. იანვრის ით, ქორონიკონს უოქ.

ბეჰელი: მიწა ვარ დავითრგუნები დავით.

ქ. წინაშე მღვთისა მე, დავით ბოქოულთ ხუცესი, ამისი დამსწრე და მოწმე ვარ, რომ როგორადაც ამ განაჩენით გამოცხადდა, ისე დავაფიცე აწყურელნი. ხელთვა: დავით.

<sup>1</sup> უთხრაო. <sup>2</sup> და შეიძლებენ.

## 280. განჩინება თაქთაქიშვილთა შვა-მამულის საქმეზე

1790 წ. 20 თებერვალი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 28. საბ. № 43. პირი. ქალაღი. მხედრული.

[40v] ჩვენს კელმწიფა დედოფალს მათნი მონანი მსაჯულნი ამას მოვახსენებთ: თაქთაქიშვილი იესე და იოანეს ობლები ესიაშვილზედ და იმის მამულზედ რომ სამართალში ვალაპარაკეთ, უნდა იესეს შვილს შეეფიცა<sup>1</sup> ამ ობლებისათვის. და თუ შეპფიცედა იესეს შვილი ამათ, ახუთმეტი თუმანი უნდა იესეს მიეცა ამ ობლებისათვის, და ესიაშვილი თავისის მამულით იოანეს ობლებს იესესათვის მიეცა.

იესეს შვილმა რომ შეპფიცა, იე თუმანს აძლევდა იესე ამათ და კაცსა და მამულს სთხოვდა ის ესიაშვილი, ამ ობლებს რომ გაეუდათ და დახსნა აღარ შე[ე]ძლოთ; ათი თუმანი იმ კაცში გაუთვალეუ და ხუთი თუმანი კი უნდა იესეს ამ ობლებისათვის მიეცა; და იესეს ობლებს ესიაშვილის მამული უნდა მთლად იესესთვის მიებარებინა.

ეს ასე გადაწყდა სამართალით; და ნება თქვენის სიმაღლისა არის. თებერვლის კ, [41] ქორონიკონს უოჭ.

ქ. თუ იოანეს ობლები თავეთგან გაყიდულს ესიაშვილს ამ ერთს წელიწადზედ დაუხსნიან და მოგვრიან იესეს, იესემ უნდა ათი თუმანი ამ ობლებს მოსცენ. და თუ ამ ვადაზედ იმ კაცს ვერ დაუხსნიან, ერთმანერთთან სადაო აღარა ექნებათ რა. და ხუთი თუმანი კი უნდა იესემ მიაბაროს ამ ობლებს და ესიაშვილის მამული მთლად მოაბარონ იოანეს ობლებმან. ამის მეტი ერთმანერთთან ამაში სადაო არა აქვსთ რა.



## 281. განჩინება შუიკაღასბაშ რევაზისა და სოლოჰონის ბაჰრის

საქმეზე

1790 წ. 1 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 456. დეღანი. ქალაღი. 42×26.5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მისს უგანათლებულესობას საქართველოს უფლისწულს ბატონის შვილს გიორგის ჩვენ — საქართველოს მსაჯულთშეკრებილთათვის ებრძანა ქისიყის მოურავის შვილები ეშეკადასბაში რევაზ და სოლომან სასახლეზედ, სასახლის

<sup>1</sup> შეპფიცა.

მეიდანზედ და გზაზედ რომ ჩივიან, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო.

მათის ბრძანებისაებრ რევაზ და სოლომან სამართალში ვალაპარაკეთ, ორთავ სამართალს კელისწერილი ასე მოსცეს: რომელიც ამათს სამართალს გადავიდესო, მტყუანი ვიქნებითო. ეს კელწერილი რომ მოგვეცეს, ორნავ ერთათ სამართალში ვალაპარაკეთ.

სოლომან ასე ჩიოდა: ჩვენ ერთობაში საერთო სასახლე და იმ სასახლის მეიდანნი გვექონდა. ჩვენ რომ გავიყარენით, ის სასახლე და იმავ სასახლის მეიდანნი ერთი წილი ჩვენ გვერგო სასახლით; მეიდანნი კი სამ წილად გავიყავით. ერთი წილი ზაქარიამო ურავს ერგო, ერთი წილი მდივანბეგს ქაიხოსროს და ის სასახლე მესამეს მეიდანით ჩვენ გვერგო. მე და რევაზ რომ გავიყარენით, საუმცროსოდ სასახლე მე მერგო, შიგა ვდგევარ, რევაზ აღარც მეიდანს მანებებს და აღარც სასახლის გზას; სამართალს ვითხოვო.

რევაზმა ასე მიუგო: შენ რომ საუმცროსოდ სასახლე გერგო და დასდეგ, ჩემთვის უნდა იმ სასახლის ტოლი ადგილი მოგვზომა, სხვა ადგილი არა იყო რა და იმ მეიდანში სასახლე გავაქეთე, მარა რაც შენ სასახლე გიქირავს, იმ შენი სასახლის ტოლი ადგილი იქავ მიშოვე და მამეციო.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, ჩვენ ეს სამართალი მივეცი: რადგან ის მეიდანნი ერთიანათ იმ სასახლისა ყოფილა და იმ მეიდანისა ორი წილი ორთავ სახლის კაცთ აუღიათ და იმ მეიდანს დაჰკლებია, უნდა ახლა რევაზმა და სოლომანმა მდივანბეგის ქაიხოსროსაგან და ზაქარიასაგან დაიხსნან.

რაც გზის რიგია — ზეითი და ქვეითი გზა სასახლისა სოლომანს მისცენ; მერმე რევაზს მოუზომონ სოლომანის სასახლის ტოლა სასახლე ვაკეს ადგილიდამ; რაც რევაზის სასახლეს ადგილი მორჩეს წყლისაკენ, მარნისაკენ და რევაზის სასახლის წინ რაც ადგილი იყოს გასაყოფი, შუა გაიყონ.

კოშკის სამართალი როგორც მისის უმაღლესობის განჩინებაში ეწეროს, ისე უნდა აღსრულდეს.

ყორიასაუღლაშო ონანაშვილო ლუარსაბ! ამას წინათ ამათი მოასილი შენ ყოფილხარ, ახლაც შენ გაქრიგე: რევაზს და სოლომანს თავეთის სახლის კაცებისაგან ის მეიდანნი დაახსნევენ, სოლომანს სახლის გზა მიეცი — ზევით თუ ქვევით, რაც გზის რიგია; მერმე რევაზს იმ სოლომანის სახლის ტოლი სასახლის ად-

ვილი მოუზომე ვაკეს ადგილიდამ და მოეცი. რაც გადარჩეს რევანის სასახლის ადგილს — მინდორი თუ გვერდობი, შუა გაუყავ. მარტის ა, ქორონიკონს უოჭ.

ექსი ბეჰელი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვაქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო.

2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა, ნ ი კ ო ლ ო ზ.

3. მ ე თ ო დ ი

4. დივანბეგი

5. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.

6. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი: ეშიკადასბაშ მყო მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ.

თავშა:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და კახეთისა და სხვათა მეფე ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აგვისტოს ზ, ქორონიკონს უოჭ.

ბეჰელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

## 282. ბანინება აბრამ ვლავლის მაჟულის საქმეზე

1790 წ. 14 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1643. დედანი. ქალაღი. 15,8×21 სმ. დაზიანებული. მხედრული. ალაგ-ალაგ წერტილი და ორწერტილი.

ქ. საქართველოს მსაჯულთმეკრებილების მიერ ეუწყოს მის ბრწყინვალეებას მო უ რ ა ვ ს ჯ ა მ ა ს პ ი ს.

მწერმე მისმა უმაღლესობამ ოქმით ჩვენ, მსაჯულთ, გვიბრძანა: ა ბ რ ა მ მ ღ უ დ ე ლ ი რომ ჩივისო, სამართალი მიეცითო. რაც შეიძლებოდა სამართალი მივეცით და განაჩენი დაიწერა.

ეგ ვენაკები თქვენის შეკითხვით უნდა დაფასებულყო და აბრამ მღუდელს ეყიდა. ახლა დაფასებულია და ამ აბრამ მღუდელმა უნდა იყიდოს და არა სხვათა. მარა თუ სხვანი ფას[ს] მოუმატებენ, როგორც დაფასებულია, იმას გარდა ფას[ს] მოუმატებენ სხვანი, ორ თუ მან დაკლებით ამ მღუდელმა აბრამ[მ]ა უნდა იყიდოს ეს ვენაკები და არა სხვათა.



ეს ასე გეუწყოსთ: რასაც სხვანი აძლევენ, ორ თუმან დაკლებით ამას მოაყიდვინეთ. მარტის იღ, ქორონიკონს უოჲ.

ამისათვის უნდა ამან დაკლებით იყიდოს, რომ სამართალი ეს არის, რომ ძმა ძმის მამულს ცოტას დაკლებით იყიდის. რადგან ეს თავის სიძის მაგიერობით ყიდულობს, უნდა ორ თუმან დაკლებით იყიდოს და მაგ სოლომანს ერთი თუმანი დააქლდება, სხვა ხომ არაფერი.

სამი ბეკელი:

1. მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე
2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ,  
ნ ი კ ო ლ ო ზ
3. მ ე თ ო ღ ი .

## 283. ბანჩინვა არჩინაფრიბ ანტონისა და თაყინაშვილუის ყმა-მამულის საქმეჲ

1700 წ. 2 აპრილი

ესა. ფ. 1449. საბ. № 1950. პირი. ქალღლი. მხედრული.

მისს უმაღლესობას ჩუენ, მსაჯულთათვის ებრძანა: ქვათახევას არჩიმანდრიტი ანტონი თაყინაშვილებს რომ უჩივის ყმებსა და მამულზედ, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო.

ბრძანებისაებრ თაყინაშვილები დავიბარეთ და სამართალში ჩამოვიდნენ გურგინ, სულთანნი და იმისი შვილი მანუჩარა, ვალაპარაკეთ.

ანტონი არქიმანდრიტი ასე ჩიოდა: წინაპართ მეფეთ ჩვენი ეკლესიისთვის კაცნი და მამული შემოუწირავსთ გორს გოგიჯანაშვილი თავისის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა. რამდენიმე ხანი ეკლესიას ყოლია ყმითა და მამულითა. მერმე გოგიჯანაშვილი ამოწყვეტილა და მეფეს ბაქარს ამ სიგლით შემოუკრეფია იმ გოგიჯანაშვილის ყმა და მამული, რომ არის: ნადირაშვილი პაპია, ფარადაშვილი პაპუნა, გელია, სოზიაშვილი ოთარ, პაატა, დათუაბეყუაშვილი, თითონ იმ გოგიჯანაშვილს სასახლე, მარან-ქვევრი<sup>1</sup>, ბალი, ოთხთვალნი წისქვილი, ეკლესია — ესენი არის, და ამათ დაუკერიათ და ეკლესიას არ ანებებენ, სამართალს ვითხოვო.

სულთნამა მიუგო: იმ გოგიჯანაშვილს ჩვენი თეთრი

<sup>1</sup> მარან ქვევრი.

ემართა, თეთრის მიცემა რომ არ შესძლებია, ქრისტეფორეს წინამძღვარს იმ ჩვენის მოვალისა ყმა და მამული ამ წერილით ასე მოუცია; და სამოცი წელიწადი მეტია ჩვენ გვჭერია, მოდავე არავინ გვყოლია.

ანტონიმ მიუგო: რადგან მეფე[ე]ბისაგან არის მოცემული გოგიჯანაშვილის ყმა და მამული ეკლესი[ი]სთვის, ისევე მეფე[ე]ბის წერილით უნდა მოგცემოდათ, თუ თქვენი ემართა რამეო. მეორე ეს, რომ მამის შენისაგან ეს მოცემულა წერილი მაქვს, რომ მამაშენს წინამძღვრისთვის მიუცია: გოგიჯანაშვილს ჩვენი თეთრი ემართა, ის ჩვენი თეთრი შენ — ქრისტეფორესაგან მოგვბარდა, თუკი არ მოგვბარდა, ეს წერილი რათ მისცაო.

სულთანმა მიუგო: თეთრი კი არ მოუცია, იმ თეთრში ეს კაცი და მამული მოუციაო და ამაში გვიჭირავსო.

ანტონიმ მიუგო: რაც მაგ წიგნში გაწერიათ, ამდენს ხანს ეკლესიას რათ წაართვითო და რათ გვიჭირავსთო. აგრევე ფარდაშვილის ყმობის წიგნი რომ მოგაქვსთ გაკეთებული, ეგეც სამართალმა გასინჯოსო.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, ჩვენ ეს სამართალი მივეცით: რადგან გოგიჯანაშვილს ამ თაყინათ თეთრი მართებია და გოგიჯანაშვილი, ამოვარდნილი იმისი ყმა და მამული ეკლესიას დარჩომია და იმის ვალში იმ ეკლესი[ი]ს წინამძღვარს გოგიჯანაშვილის ყმიდამ და მამულიდამ ამ თაყინათვის მიუცია წერილით ცოტა რამ, რაც ამ წიგნში უწერიათ, თაყინათ დარჩეს.

და რომელიც არც ყმა უწერიათ და არც მამული, ეკლესიას უნდა დარჩეს. რაც დღეს თვალთ უჩანს ეკლესი[ი]ს ყმასა და მამულსა და ამ თაყინათ არ უწერიათ წინამძღვრის მიცემულს წიგნში, უნდა ეკლესიას დანებდეს.

და რაც ეკლესი[ი]ს ყმა და მამული ამ თაყინათ სჭერიათ უსაბუთოთ, ქურდობით და მძღავრობით, სამართლისაებრ ერთიორად უნდა გამოერთოსთ თაყინათ და ეკლესიას დანებდეს; რომლისათვისაც რომ სამართალი ბერძული ორმოცსა და შვიდს რიცხვში ასე სწერს: «რომელმაც წაართოს ვისმე ვენაჯი, სახლის ადგილი, ანუ ბოსტანი ანუ სხვა რამ ამისთანა ერთი ორად მისცეს პატრონსაო»\*.

ერთის მეორის წართმევისათვის ასე აჩენს სამართალი. ამგვარმა კაცმა, რომ წმინდას ეკლესიას ამდენს ხანს ასე ქურდობით და

\* შდ. „სამართალი ბერძული“ მეხ. 47. (ქართ. სამართ. ძეგლები, I, გვ. 144).

მძლავრებით ასე მამული წაართოს, უფრო მეტობით უნდა წართმეოდათ, მარა ჩვენ ისევ ასე განვაჩინეთ. რაც ეკლესი[ი]ს ყმა და მამული ასე მოპარვით და წართმევით ყოლიათ, უნდა ის მამული, კაცი ერთიორად მიართვან ეკლესიას.

რომელსაც თაყინაშვილებს ამ ეკლესი[ი]ს კაცი და მამული სჭერიათ, ერთიორად გამოართვი ა ბ ა შ ი ძ ე სალთხუცესო ი ო ა ნ ე და ეკლესიას დაანებე. აპრილს ბ, ქორონიკონს უოშ.

|                    |                |             |                      |               |              |
|--------------------|----------------|-------------|----------------------|---------------|--------------|
| ლთად<br>...<br>ნკზ | მღივან<br>ბეგე | ემუ-<br>რაზ | ...<br>ქაიხ-<br>ოსრო | მზე-<br>ქაბუკ | სოლო-<br>მონ |
|--------------------|----------------|-------------|----------------------|---------------|--------------|

ქ. ჩუენ, მე ფ ე ს რულიად საქართველოსა და სხვათა ი რ ა კ-  
ლი მ ე ო რ ე, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. აპრილის კდ,

ქორონიკონს უოშ. 

|                          |
|--------------------------|
| მე ფეხთ<br>...<br>ერეკლე |
|--------------------------|

ქ. ჩუენ, დ ე დ ო ფ ა ლ ი ს რულიად საქართველოსა და სხვათა  
დადიანის ასული დ ა რ ე ჯ ა ნ, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკი-

ცებთ. აპრილის კდ, ქორონიკონს უოშ. 

|                     |
|---------------------|
| დედოფალი<br>დარეჯან |
|---------------------|

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მე ფ ი ს ძ ე გ ი ო რ გ ი,  
ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. აპრილის კვ, ქორონიკონს

უოშ. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს პ ა ტ რ ი ა რ ხ ი მეფის ირაკ-  
ლის ძე ა ნ ტ ო ნ ი, მისის უმაღლესობის მსაჯულთ განჩინებასა  
ამას ვამტკიცებთ. აპრილის კვ, ქორონიკონს უოშ.

ხელთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.

ქ. ჩვენ, საქართველოს უ ფ ლ ის წ უ ლ ი მე ფ ის ძ ე ი უ-  
ლ ო ნ, ვამტკიცებთ აპრილის კვ, ქორონიკონს უოშ 

|                             |
|-----------------------------|
| ტომ სქე-<br>სით...<br>იულონ |
|-----------------------------|

ქ. ჩვენ, საქართველოს მე ფ ი ს ძ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ, ვამტკიცებ.  
აპრილის კზ, ქორონიკონს უოშ 

|             |
|-------------|
| რტოდ<br>... |
|-------------|

1790 წ. 25 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10297. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. უგანაძე გიორგი ამილახერის შვილს აზნაურიშვილს  
ბასილაშვილს შერმაზანს მამულზე რომ უჩიოდა, მისს  
უგანათლებულესობას ბატონიშვილს ვახტანგთან ჩვენ,  
საქართველოს მსაჯულთშეკრებულებამ ესენი მოვაყვანინეთ და  
სამართალში ვალაპარაკეთ.

უგანაძე გიორგი ამას ამბობდა: ის ზაალ უგუ-  
ნაძის მამული შენ რომ გიჭირავს, ჩემი არისო. მამაჩემი უშვილო  
რომ იყო, შენ გიშვილა. მაშინ ზაალ უგანაძე რუსეთს იყო,  
რუსეთიღამ მამა ჩემთან მოვიდა, მამის ჩემის გაუყრელ[ი] ბიძაშვი-  
ლი იყოო. და ის ზაალ რომ უშვილოთ მოკვდა, იმის წილი მამული  
ბატონის შენისაგან იქრთამეო. რომ ამილახერების მიცემულს წიგ-  
ნებშიაც უცხადებს შერმაზანს, რომ რადგან ამისის ოჯახისა არა-  
ვინ დარჩაო, ეგ მამული შენთვის გვიბოძებიაო.

მას უკან მამაჩემმა მესამე ცოლი რომ შეირთო, მე ვეყოლე  
და რომ გავიზარდე არა შემეძლო რა. მერე დემეტრე ამი-  
ლახვარიშვილი რომ წახდა, იმის წილი ყმა და მამული სა-  
ხასოდ დაიდვა და მეც სახასოდ გავხდი. და ჩემის გაუყრელის ბიძა-  
შვილის ზაალ უგანაძის მამული უსამართლოდ შენ რათ გიჭირავსო.

შერმაზან მიუგებდა: ზაალ უგანაძე მამაშენთან გაყ-  
რილი იყოო. და უშვილოთ რომ მოკვდა, ბატონმა ჩემებმა იმისი  
წილი ბეთალმანი მამული მე მიბოძესო.

ჩვენ რომ წიგნები გავსინჯეთ, ასე აცხადებდა: რადგან იმის  
ოჯახისა არავინ დარჩაო, იმის წილი მამული შენ გიბოძეთო. გავს,  
რომ თუ იმის ოჯახში ყოფილიყო ვინმე, შერმაზანს აღარ მისცემდ-  
ნენ. რადგან იმ ჟამს შვილი არა ჰყოლია ამის მამას იესე უგანაძეს  
და მასუკან მისცემია ეს უგანაძე გიორგი, სამართალი თავის გაუყ-  
რელის ბიძაშვილის მამულს ამასვე დაუბრუნებს.

მაგრამ ბასილაშვილმა შერმაზანმა მას უკან ასე  
თქვა: ამის ბიძაშვილი ზაალ რომ მოკვდა და იმის წილი მამული ამი-  
ლახერებმა მე რომ მიბოძეს, მასუკან ამის მამა გამეყარა, თავის  
წილი მამული გაიტანა; მერე ორი ცოლი მოუკვდა და მესამე ამის  
დედა შეირთო, რომ ეს ეყოლა, რატომ ზაალ უგანაძის მამული ან

არ გაიტანა და ან ერთხელ იმ მამულზე არ მედავაო, თუ ამის მამა და ზაალ უგანაძე გაყრილნი არ იყვნენო.

გიორგი უგანაძე მიუგებდა: ზაალ უგანაძე რუსეთი-დამ მამა ჩემთან მოვიდა, ერთად იყვნენ, შენ კი ცალკე უწილოდ გაგავდესო, და ისინი ერთად იყვნენო. მასუკან ბატონის შენებისა-გან ქრთამით იმის წილი მამული იზოვნეო.

თუმცა ბასილაშვილს შერმაზანს, იმათი გაყრის მოწმე[ე]ბი მოჰყავდა სამართალში, მაგრამ უგანაძე გიორგისაც გაუყრელობას მოწმე[ე]ბი ჰყვანდა. და რადგან ასე ორსავე მხარეს მოწმობდნენ, ამათის მოწმობით არც ერთს მხარეს სისრულე რომ არ მიეცათ, ამ საქმეზე ჩვენ ფიცი გაუჩინეთ ბასილაშვილს შერმაზანს, რომ ეს უფრო მოხუცებული, მცოდნე და მასხოვარი კაცი იყო და მამულიც ამას კელთ ეკირა, სამართლით ფიცი ამას ერგებოდა.

მაგრამ მასუკან უგანაძე გიორგიმ თავის მამისა და ბასილა-შვილის შერმაზანის გაყრის ბარათები<sup>1</sup> მოიტანა: უგანაძე იესე თავის წილის მამულით რომ ცალკე გამოსულა, მასუკან ამილახვ-რებს ზაალ უგანაძის მამული რომ ბასილაშვილის შერმაზანისათვის მიუციათ, მერე ზაალის მაგიერ იმ მამულზე შერმაზან ყოფილა. ზაალ უგანაძეს და ამის მამას<sup>2</sup> იესე უგანაძეს რაც მეტ-ნაკლები მამული ერთმანერთში ჰქონიათ, შემდგომათ ბასილაშვილს შერმა-ზანს და იესე უგანაძეს ერთმანერთში გაუსწორებიათ და გაუყვიათ, რომ ის შეფარდებული ბარათები აცხადებს.

თუ გინდ რომ ზაალ უგანაძესთან იესე უგანაძე გაუყრელიც ყოფილიყოს, რადგან თავისივე სიცოცხლეში ზაალის სიკვდილის უკან ბასილაშვილს შერმაზანთან გაუყვია და იმ მამულის გაყოფასა და შეფარდებულს ბარათებს ამის მამა დასჯერებია, მაინც ახლა სამართლით შერმაზანს იმის შვილი უგანაძე გიორგი ველარას შეუვი-დოდა.

თორემ ამის მოტანილი ბარათები რომ სამართალში გავშინჯეთ, იმ თარიღს უკან ოცდაექვსი წელიწადი არის, სამი ცოლიც გამო-უცვლია ამის მამას. ამდენს ხანს იმაზე არც უღაჳნია და არც ერთ-ხელ არ უჩივლია. გავს, რომ გაყრილიც ყოფილა და კიდევ უყა-ბულნია ამის მამას.

ახლა ეს ამის შვილი გიორგი უგანაძე სამართლით ბასილა-შვილს შერმაზანს ველარას შეუვა. ის მამული საქართველოს სა-

<sup>1</sup> ბარათებში. <sup>2</sup> მამის.

ბართლით დარჩა შერმაზან ბასილაშვილს. სხვას საქმე არაეისა აქვს. აპრილის კე, ქორონიკონს უოჭ.

ეს რომ ასე დაიწერა, უგაბაძემ გაყრაში უსამართლობა და მეტის მკერა იჩივლა.

ეს სამართალში შემოსასვლელი სიტყვა არის. ეს საქმე უნდა გაისინჯოს სარწმუნოთა კაცთაგან, ვისაც მათი უგანათლებულესობა გამოარჩევს და უბრძანებს.

და რაც ერთმანერთში მეტნაკლებობა იყოს, უნდა გასწორდეს. ან ვისაც საწილო მამული გაეყიდოს, უნდა წილში იანგარიშოთ, რომ უსამართლობა არ მოხდეს.

ამათ გაყრილობის ბარათები ზაალ ქარუმიძისაგან იყო დაწერილი და იმ დროს ზაალ ქარუმიძე ბატონის წილად იყო აღებული. და თუ ბატონის დასაკლისი ყოფილიყო რამე და ან გაუყრელი ყოფილიყვნენ, ზაალ ქარუმიძე არ იყაბულებდა ბატონის დასაკლისს და გაყრაც და გაუყრელობაც კარგად იცოდა.

მაგრამ თომა მღვდელმა, რომელიც რომ უგანაძის მოყვარე იყო და ამ გიორგის მამის იესეს ჯვარის დამწერიც და ამათი სახლის ვითარებისა ზედმიწევნით მეცნიერი, საშინელის ფიცით და ღმრთის სახელის ხსენებით ფიცითა, რომ გაორგი და იასე გაყრილი იყვნენო — იფიცა.

ამილახვრიანთ ბეკდებიცა ჰქონდა და მრავლის აზნაურშიილეზისაგან მოწმობა გაყრისა, მაგრამ ამ უცხოს კაცისა და მღვდლის მოწმობამ და თავისის მამისაგან ბარათებით გამოყოფამ უფრო გამოგვიყვანა იჭვიდამ და ასე განისაჯა.

შალიკაშვილო ბეციავ! როგორათაც ეს განაჩენი აცხადებს, ასე უნდა აქსრულო.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, ამ განაჩენს ვამტკიცებთ.

## 285. განჩინება სოლომონ კვალიაშვილისა და იოსებ გედვანიშვილის შინს საქმეზე

1790 წ. 80 მაისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 38. საბ. № 165. პირი. ქალაღი. მხედრული.

[121] ჩვენი მგალობელი კვალიაშვილი სოლომონ და გედვანიშვილი იოსებ საღირაშვილზედ დაობდნენ. მისმა უმაღლესობამ მეფემ ამათი სამართალი ჩვენ გვიბრძანა.

გედევანიშვილის იოსების მამასა და დედას თავისის ქალისათვის მზითვათ ერთი ბიჭი გაეტანებინა, რომ მზითვი კელთ ეჭირა. ესენი ჩვენს სამართალში ვალაპარაკეთ.

გედევანიშვილმა ჩვენ წინაშე აღვიარა, რომ სწორეთ ჭეშმარიტი არისო; მამაჩემმა და დედაჩემმა ეს ბიჭი ჩემს დას მზითვეში მისცესო, მაგრამ ამ მზითვის ბიჭის ბიძას მზითვეში გატანება არა ნდომოდა და თა[ვ]ისი ძმისწული მაეტაცნა და თავის სახლში წაეყვანა.

ჩვენ რომ ამათი ლაპარაკი მოვისმინეთ, ჩვენ ეს სამართალი მივეციით: რადგან თავის მამასა და დედას თავისი მკვიდრი ყმის შვილი თავისი შვილისათვის მზითვათ მიუციათ, ჩვენ ამისი მოშლა არ შეგვიძლიან. რადგან თავის მამასა და დედას მიუციათ. ჩვენც ეს სამართალი მივეციით, რადგან ქალის მზითვეი იყო, ისევე ქალს დავანებეთ.

გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ო ბ ე ც ი ა ე ! მიდი, ხელი აუშართე და ის ბიჭი დ ა ვ ი თ კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ს მოაბარე. მაისის ლ, ქორონიკონს უოქ. ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახთისა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ივლისის ლ, ქორონიკონს უოქ.



## 286. განჩინება იოსებ და სებასტანე პაპაშვილების მამულის საქმეზე

1790 წ. 14 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 782. დედანი. ქალაქი. 41,5X21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. პ ა პ ა შ ვ ი ლ ი ი ო ს ე ბ უ ჩ ი ო დ ა თავის სახლის კაცს ს ტ ე ფ ა ნ ე ს : სახლებს რომ აშენებო, რაც აშენებული სახლები გქონდაო, იმას გარეთ რაც ალაგი არის — საძმო არისო, შენიც არის და ჩემიცაო და გაყრაშიაც საძმოდ არის დადებულიო.

ს ტ ე ფ ა ნ ა უ პ ა ს უ ხ ე ბ დ ა : საძმოდ არ არის დადებულიო. შენ რომ სახლკარი გერგოო, იმის ბაღლად რაც სახლი იყო, და [ან] სახლის გარეთ ალაგი არისო, მე მერგოო.

მის სიმაღლეს მე ფ ი ს ძ ე ს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ჩვენ — ღ ი თ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ზ უ რ ა ბ ა ს ა თ ვ ი ს, თ უ თ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა თ ვ ი ს, ბ ა რ ა მ ა შ ვ ი ლ ი ს ღ ვ თ ი ს ა ვ ა

რასათვის და ზუბიაშვილის იოსებესათვის ამათი სამართალი ებრძანა.

ჩვენ ღმრთის წინაშე ამათი საბუთები გამოვიძიეთ. პირველად ესენი ხუთნი ძმანი გაყრილან. ორი ძმა ცალკე გასულა და სამნი ძმანი — იოსებას მამა და მუსეფირა და სტეფანას მამა ცალკე გამოსულან. მუსეფირა ამოწყვეტილა. და ამ მუსეფირას მამული ამ იოსებას უშოვნია თავის რძლისაგან: და თავის რძლისაგან მიცემული წიგნი მოვატანიინეთ იოსებას. იმ წიგნში რაც წილი ქონოდა მუსეფირას, ყველა გარჩევით ეწერა.

და გარეთ იმ ალაგს რომ იოსება ედავებოდა, ის კი არ ეწერა. თუ მაშინ ის ალაგი საძმოთ ყოფილიყო დადებული, როგორც სხვა რაც წილი ქონდა მუსეფირას, ის გარჩევით დაუწერა იმ თავისმარძალმა იოსებას, იმასაც დაუწერდა.

ჩვენ ეს სამართალი მივეცი: თუ იოსებამ გაყრის ბარათი მოიტანა და იმ ბარათში საძმოთ სწერია, ზომ საძმო იქნება. და თუ გაყრის ბარათი ვერ მოიტანა იოსებამ, ვერას შეუვა სტეფანას, სტეფანასი იქნება.

მაგრამ სტეფანამ შარა ლარში უნდა გა[ა]სწოროს; როგორც ჩვენ ოთხმა კაცმა ლარი გაუბათ, ისე. აღიწერა თიბათვის იდ, ქორონიკონს უოჰ.

ქ. მე, ხითარიშვილი ზურაბა, ამ სამართლის დამსწრე და მოწამე ვარ. ეს ჩემი ხელი არის. ხელთვა:

ქ. მე, თუთუნასშვილი დავითა, ამ სამართლის დამსწრე ვარ. ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, ბარამაშვილი მღვთისავარა, ამ სამართალში დამსწრე ვარ. ეს ჩემი ქელია.

ქ. მე, ზუბიასშვილი იოსეფა, ამ სამართლის დამსწრე ვარ.

ქ. მე, გორის მამასახლისი ზურაბ, ამ გორელების სამართალს ვემოწმებ<sup>1</sup>. ბეჰდი: მონა ღთისა გორის მამასახლისი ზურაბ.

კიდევ:

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი ალექსანდრე, ამ გორელების გადაწყვეტილს სამართალს და განაჩენს ვამტკიცებთ. მთიბათვის იე, ქორონიკონს უა.

<sup>1</sup> ემოწამებ.



ბეჟელი: დავითის რტო სახელ მძესა ალექსანდრე მეფის ძესა.

ქ. ჩვენ, ამილახვარი ოთარ, ამ გორელის ქედხუდების განჩინებულს სამართალს ვემოწმებით. ივნისის იმ, ქორონიკონს უოჟ.

ბეჟელი: მონა ღთისა ამილახვარი ოთარ.

## 287. ბანჩინება ნათლისმცემლის მონასტრის შვის სვიმონას საკმაჟი

1790 წ. 19 ივნისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2781. პირი. ქალაღი. მხედრული

ქ. წმინდის ნათლისმცემლის ყმა თანდილა ჩიოდა: მე ერთი ქალი მყუანდა და იმ იმერელს სვიმონს მივე, ზედსიძედ შემოვიყვანე და ნათლისმცემლის მონასტერს ეყმო. ანლა ქალი მომიკვდა, თავისი მოგებაც ცალკე გააქქეს და აღარც მონასტრის ყმობას მდომობსო.

ჩუენ, მსაჯულთ, იმერელი სვიმონ მოვაყვანიეთ და ვალაპარაკეთ.

სვიმონ ასე ჩიოდა: მართალია, შენი ქალი ვითხოვეო, არც ზედსიძედ შემოვსულვარო და არც ჩემის ნებით მონასტერს ვყმობივარო.

ამათ. რომ ასე ილაპარაკეს, მისს მალაღღარსებას არქიმანდრიტს ეფთვიმეს ვკითხეთ: მართლა ეს სვიმონ თავისის ნებით მონასტერს ეყმო, თუ არაო. ეს შევიღი წელია, რომ თავისი თავი მონასტრის ყმად ქონდა შეწირულიო. ერთხელ მახსოვს ნახევარი თუნგი ზეთი მონასტრისათვის გამოვართვიო, იმ ზეთის მომტანი თითონ ეს იმერელი სვიმონა იყო.

აგრევე გიორგი მღუდელს მოეწერა, მე იქ დავესწარო, ეს თანდილა ამ სვიმონს ქალს რომ აძლევდაო და ამ თანდილას ცოლი უარს იყო. ამ სვიმონმა თქვაო: შენი ქალიც მიუხოვნიო და ნათლისმცემლის მონასტერსაც ვყმობივარო; ქალიც ითხოვა და კიდევ ეყმოო.

რადგან მისს მალაღღარსებას ასე მოეწერა — თავისი თავი თავისის ნებით მონასტერს აყმო, აგრევე მღუდელს გიორგის რომ მოეწერა თითონ ამ სვიმონმა თქვა, მონასტერს ვეყმეო — რადგან ამათ ასე მოეწერათ, ჩვენ ამათგან მოწერილი ასე ვირწმუნეთ, ვითარცა ჩვენის თვალით გვენახა და ჩვენის სმენით გვესმინა.

რადგან თავისის ნებით მონასტრის ყმობა უთქომს და თავისის

შეძლებითაც უმსახურია, დარჩა სამართლით ეს სვიმონა იმერელი ფონხიდის შვილი წმინდის ნათლისმცემლის მონასტრის ეკლესიას უზად.

და თუ თანდილას და ამ სვიმონს ერთმანეთთან სა[ა]ნგარიშო საქმე აქვს, ოთხი კაცი დაისხან, იანგარიშონ და იმათის ანგარიშით გასწორდნენ.

ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ო ბ ე უ ა ნ ! ამათი მოასილი შენ იყავ, ეს ასე აღასრულე. იუნისს ით, ქორონიკონს უოშ.

ქ. უძლიერესი საბუთი ეს უფროა, რომ ქალაქის დავთარი ვნახეთ და ასე ეწერა: ნათლისმცემლის მონასტრის ყმა სვიმონა მეზაშეო. ამან უფრო დაქაშტყია ჩვენი გონება, რომ თავისის ნებით ყმობია წმინდა მონასტერს ეს სვიმონა. დარჩა სამართლით ეს იმე-

რელი სვიმონა ყმად მონასტერს. 

|  |
|--|
|  |
|--|

|  |
|--|
|  |
|--|

|  |
|--|
|  |
|--|

|                             |
|-----------------------------|
| მსაჯული<br>.....<br>სოლომონ |
|-----------------------------|

|               |
|---------------|
| დივან<br>ბეგი |
|---------------|

|  |
|--|
|  |
|--|

**288. განინება ალავერდალას მეუღლისა და წმინდარას ვალის საქმეზე**

1700 წ. 28 ივნისი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 2. საბ. № 88. პირი. ქალაღი. მხედრული.

[84] მისს სიმაღლეს დედოფალს ჩვენ — მსაჯულთათვის ებრძანა: ა ლ ა ვ ე რ დ ა ლ ა ს მეუღლე რომ უჩივის წ ე ს ი ა რ ა ს ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო. წესიარა და ალავერდალ[ა]ს მეუღლე მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ალავერდალას მეუღლე ასე ჩიოდა: მ უ რ ა დ ა ს ჩემის მეუღლისაგან მ ი ს რ ს ჯ (სამოცი) თუმანი აეღო, თამასუქი მიეცა და თავისი სახლი გირაოდ ჩაეწერა. მურადა აქ მოვიდა. ეს ჩემი თეთრი ვთხოვე. მითხრა: მეიდანში სახლი გირაოდა მაქვს, ეს ჩემი გირაო სახლი და ჩემი მეუღლე გაგცემს შენის თეთრის პასუხსაო. [v] მურადა მისრს წავიდა. მურადას მეუღლემ ცოტას ხანს სარგებელიც მაძლივა. ახლა აღარც თავნს მაძლევს, აღარც სარგებელს და წ ე ს ი ა რ ა ც იმის სახლს არ მანებებს, სამართალი მაღირსეთო.

წ ე ს ი ა რ ა მ ი უ გ ე ბ დ ა : მისრს რომ გირაოდ ჩაეწერა მურადას თავისი სახლები შენის მეუღლისათვის, მურადა აქვე მოვიდა, თავისი სახლები გირაოდ მომცა, თეთრი გამომართო, სახლებ-

ში მე დამაყენა და შენ თავისი გიროს სახლებისა მოგცა პირობა და თავისი მეუღლეს შეგაპარა. შენც ნება მიეცი, აღარა სთქვი რა. თუ შენი ნება არ იყო, მურადა რომ აქ იყო და მე ამ სახლებში დამაყენა და თეთრი გამომართო, რატომ მაშინვე არ მითხარ და სახლებში რათ დამაყენეო.

ჩვენ რომ ესენი ვალაპარაკეთ, ეს სამართალი მივეცი: რადგან მურადა აქ მოსულა და თავისი სახლები ამ წესიარქაისტვის დაუგირავებია, ალავერდას ცოლს სცოდნია, რომ მურადა ამ წესიარას სახლებს უგირავებს და წესიარქაისტვის უნდა ეთქვა: ჩემა ეს გირო, შენ ნუ იგირავებ.

თუ ალავერდას ცოლს წესიარასთვის ასე ეთქვა და წესიარას დაეგირავებინა, ახლა მოიშლებოდა ის გიროება; მარა წესიარასთვის რომ არა უთქვამს რაო და მაშინვე ხელი აუღია და მეიდნის სახლის გიროებას დასჯერებია, ახლა [აჲ] წესიარს ველარას შეუვა ალავერდას მეუღლე.

წესიარას, მანამ თავის თეთრს რაც მიუცია მურადასთვის წესიარას და ან რაც დაუხარჯავს იმ სახლებში, მანამ იმას არ მისცემენ, მანამ წესიარს იმ სახლებიდან ვერავენ გამოიყვანს.

მარა როგორც მურადას მეუღლე შეპირებია ამ ალავერდას მეუღლეს და სარგებელიც უძლევია, ახლაც ისე უნდა მურადას მეუღლემ ალავერდას მეუღლეს სარგებელი აძლიოს. და თავნი კი უნდა დაქაცალოს.

იულისის კმ, ქორონიკონს უოქ.



ჩვენ, ყოვლის საქართველოს დედოფალი დარეჯან, მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. ლეკენბრის ლ, ქორონიკონს უოქ.



## 289. ზანჩინება ლუარსაბ ლოლაძისა და გივი უმიკაჰვილის მამულის საქმეზე

1790 წ. 11 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4715. დედანი. ქალაქი. 67×23 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ე ი ლ მ ა ი უ ლ ო ნ მ ა, მსაჯულთ ჩვენთან დასწრებით ლ ო ლ ა ძ ე ლ უ ა რ ს ა ბ და უ მ ე კ ა შ ვ ი ლ ი გ ი ვ ი ვ ა ლ ა პ ა რ ა კ ე თ.

გივი ასე ჩიოდა: მამაჩემს ხ მ ა ლ ა ძ ი ს ა გ ა ნ ვ ა ნ თ ა უ რ-  
ში ვენაჯი ქონდა ნასყიდი და ეჭირა. მაჰა მომიკვდა, დავჩრი ობო-  
ლი. ამ ლაურსაბის მამამ ბებია<sup>1</sup> ჩემს გამოართო ის ვენაჯი და ერთი  
უბრალო მიწა მოგვცა, ეს ამ ვენაჯი სანაცვლო იყოსო. იქავ ვან-  
თაურში ყ უ რ უ ლ ი ს ა გ ა ნ ერთი ვენაჯი გექონდა ნასყიდი, ისიც  
წაგვართო ობლობაში<sup>2</sup> და ამ ლუარსაბს უჭირავსო. მესამე. ი ა რ ა-  
დ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ იქავ ვანთაურში ნასყიდი ვენაჯი მქონდა,  
ისიც ამ ლუარსაბს უჭირავსო. ამე[ე]ბის სამართალი მაღირსეთო.

ლუარსაბმა მიუგო: პირველს ვანთაურს<sup>3</sup> ვენაჯში მიწა მოგ-  
ცვალეო; ჩვიდმეტ-თვრამეტი წელია, ის მიწა შენ გიჭირავსო და ის  
ვენაჯი მეო. და ყურულისსეული ვენაჯი მართალია, თქვენი იყოო,  
მარა მამაჩემ[მ]ა იყიდაო, ექვსი მილანთუნი უნდა მიეცაო და ან  
ერთი ძროხაო; თუნდა ერთს ძროხას მოგვემ, თუნდა ექვს მილან-  
თუნსაო. და იარადაშვილისეული ვენაჯი იმ გაცვ[ლ]ილს ვენაჯზე  
სართათ დამიდეო. თუკი შენი ნება არ იყო, იმ გაცვ[ლ]ილს ვენაჯზე  
სხვანი რომ მედავებოდნენ, რატომ ან შენ არ ედავე და ან ის<sup>4</sup> ნას-  
ყიდობის წიგნი რათ მამეცო.

გივმან მიუგო: შენ რომ სხვანი გედავებოდნენ იმ ვენაჯზე, მა-  
შინვე გითხარ: ეს შენი მიწა ისევ შენვე დაიჭირე და ჩემის წიგნით  
ჩემს მოდავეს მე ველაპარაკები. არც მიწა გამომართვი და არ[ც]  
მე დადავეო; და ჩემს ნასყიდს კაცს ეს ნასყიდობის წიგნი ებარა, ძა-  
ლით იმას ეგ წიგნი წა[ა]რთვიო და დაიჭირეო; და თუ ძალით არ  
წაგვერთმია ან შეცვ[ლ]ილს წიგნს ან მე მოგცემდიო და ან შენ გამო-  
ვართმედიო. ყურულის ვენახი რომ წამართვი, ან ეს ძველი ნას-  
ყიდობის წიგნი რატომ არ გამოართვიო, და ან ახალი რატომ არ  
დამაწერინეო. და შენვე რომ ამბობ: ექვსი მილანთუნი უნდა მომე-  
ცაო და ან ერთი ძროხაო, ხომ არც ერთი არ მოგიციაო. მესამე, ვე-  
ნაჯისას რომ მეუბნები, ეგეც გაცვ[ლ]ილს ვენახზე ედავაო. შენვე  
იცი, რომ მარტო ის ვენაჯი ოთხ იმ მიწა[დ] ღირდაო და სართს  
რალად დაგიდებდიო. მარა პირველი ვენაჯიცა, მეორეცა და მესამე-  
ცა ასე ძალის დატანებით წამართვიო და გიჭირავსო.

ჩვენ რომ ამათი სარჩელი მოვისმინეთ, აღმოჩნდა სამართალში,  
რომ: ვანთაური ვენაჯი ამ გივის ნასყიდი ყოფილა და ლუარსაბის

1 ბებია. 2 ობლებში. 3 ვანთაურშს. 4 იმ.

მამას ამ გივის ბებისათვის<sup>1</sup> გამოურთ[მე]ვია. დედაკაცისაგან მამული არ გაიცემა, და თუნდა იმისაგან[აც] გაიცემოდეს, სწორედ მიცემ[უ]ლად არა ჩანს<sup>2</sup>; შეცვ[ლ]ილის წერილი და ნებით მიცემა არა ჩანს; რადგან შეცვლილათ არა ჩანს და უფრო ძალის დატანებით ჩანს, ხმალაძისეული<sup>3</sup> ვენაჯი დარჩა ამ უმეკაშვილს გივის. და ამის სამაგიერო მიწა რომ გივს უჭირავს, ის მიწა ლუარსაბს დარჩა.

აგრევე იარადაშვილისეული ვენაჯიც ამ გივს დარჩა. აგრევე ჟურულისეული ვენაჯიც რომ ამ გივს ქონია ნასყიდი და ლუარსაბს სჭერია, და ამის მეტი პასუხი რომ ვერა მიუგო რა, უნდა ფასი მომეცაო, მაშინ ვერ მოგეც, ახლა მოგცემო, ეს დიად სუსტი პასუხია. ამისი ნასყიდი ვენაჯი დაუჭერია. იმ ვენაჯისა არც ძველი ნასყილობის წიგნი გამოერთვია და არც ახალი, და არც ფასი მიუცია და ისე თავის ძალით სჭერია. ესეც სამართლით ჩამოერთო და ამ გივს უნდა მიჰბარდეს.

ბოქოულთხუცესო ჩ ე რ ქ ე ზ ი ს შ ვ ი ლ ო ფ ი რ ა ნ ! ეს ასე აღასრულე, როგორც ზემორე გაგვიჩენია. იულისს ია, ქორონიკონს უოჲ.

ქ. ეს რომ ასე დაიწერა. ლუარსაბმა კიდევ ასე იჩივლა: მრავალნი მყვანან მოწმენიო, რომ ხმალაძისეული ვენაჯი იმ მიწაზედ ამ გივის ბებია<sup>4</sup> თავისის ნებით შემომიცივალაო.

რომელთაც იცოდნენ, რომ ამის ბებიას თავისის ნებით შეეცვალოს, იმისი მცოდნე ერთი, რომელიც უნდოდეს ლუარსაბს, შეაფიცოს, რომ ასე უნდა თქვას: «ამისმა მადლმა, თქვას გივო, ეს ხმალაძისეული ვენაჯი ბებია<sup>5</sup> შენმა თავისის ნებით შემოუცვალა». თუ ამისთან[ა] კაცი შეაფიცა ლუარსაბმა, ის ხმალაძისეული ვენაჯი ლუარსაბს დარჩება. და თუ ასე ვერ შეაფიცა, ის ხმალაძისეული ვენაჯიცა ამას დარჩება.

ფ ი რ ა ნ ! ერთი ვენახი რომ ჟურულისეული იმ გივს ქონია ნასყიდი, მეორე იარადალაშვილისეული ვენაჯი, და მესამე ხმალაძისეული, ის ჟურულისეული ვენაჯი და იარადალაშვილი[ს]ეული ვენაჯი ორივე ამ გივს მიაბარე. და თუ ხმალაძისეულს ვენაჯზე კაცი ვერ შეაფიცა, ის ხმალაძისეული ვენაჯიც ამ გივს მიაბარე. ეს ასე] აღასრულე.

სამი ბეკელი:

1. ტომ სქესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ი რ ა კ ლ ის ა გ ა ნ .
2. დივანბეგი
3. ო მ ა ნ .

<sup>1</sup> ბებისათვის. <sup>2</sup> ქ არა ჩანს. <sup>3</sup> ხმალაძისეული. <sup>4</sup> ბებია. <sup>5</sup> ბებია.

1790 წ. 28 ივლისი

ცსა. ფ. 1448. № 3788. დედანი. ორადგაეცილი ქაღალდი. 34X 22 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი.

მისის უმაღლესობის ჩუენის ყოვლად მოწყალის კელმწიფის მეფისათვის ნუსხით მოეხსენებინა ყოვლად სამღუდელოს რუსთუელს არხიეპისკოპოსს სტეფანეს, ესრეთ:

«როდისაც ყოვლად სამღუდელოს ნეტარპქსენებულს რუსთუელს კირილეს ბოდბლობა მიელო თქვენის ბრძანებით, მაშინ ღმრთაების ეკლესიისა მრავალი რამ წაელო ამ მიზეზით, რომ ორის წლის მოცდის პირობით წასულიყო, თუ იქ ვერ გავსძელ, აქავ მოვალო და ბოდბელ-რუსთველობით იქსენიებოდა.

მეორე რომ იმ დროებში რუსთველი არავინ იჯდა და რაც მე მბოძებოდა და როდისაც მებოძა და მარტყოფს მიველ და აღარა დამხუდა რა. მეც დღევანდლამდინ ველოდი, მეგონა, რომ რაც წაელო ჩემის ეკლესიისა, ისევე უკანვე მომცემდა თავასის ნებითა და ამისთვის სიცოცხლეში ვერა ვჰსთხოვე რა, რომ უფროსი ბიძა იყო და ვერცარა ვაწყენინე.

ახლა იმას უცნაური სიკუდილი ეწია და წყალობას ვითხოვ, რომ რაც ჩემის ეკლესიის საქონელი წაუღია, ისევე მებოძოსო».

ეს ნუსხით წერილი იმის უმაღლესობას ამის უწმინდესობისათვის ებოძებინა და ებრძანა: ჩუენ მრავლის საქმისაგან მოუცლელობა გუაქვს, და რადგან საეკლესიო საქმე არის, თქუენგან უნდა გარიგდესო.

შემდგომად რაოდენთამე რუსთუელი ჩამოვიდა ქალაქსა და მისი უწმინდესობაც მობრძანდა დიკასტერიაში და რუსთუელიც მოვიდა, დავსხედით და წინაშე ღმრთისა გამოვიძიეთ და განვიხილეთ საქმე მათი.

და რომელიც გამოცხადებით ღმრთაების ეკლესიისა წაელო, წამლებიც მოვაყვანინეთ, ბოდბლის ბერი ეოფრატე, და მისთავე სიტყვთა აღვრიცხეთ:

1. ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკულავი, და კოვზი, რუსთველობაში გაკეთებული; 2. მანტია ერთი ხარისა; 3. ენქერი; 4. სასარდლოს ნარბევის აზარფეშა ერთი; 5. ორი თასი, ერთი ხუცის ნიშნად აღებული, და მეორე შანებით გაკეთებული; 6. უამნი და სამოციქულო რუსეთს ტფილელისათანასისაგან დაბეჭდილი; 7. ორი

კმალი, ერთი თოფი, ერთი დანბაჩა<sup>1</sup> ნარბევში ადებული; 8. ბოდ-ბლობაში ახმეტელთ რუსთვლის ყმათ კულუბი არ მიეცათ და იასაულით ცხრა თუმანი აედო.

და ესე ყოველნი რიცხვით ზემოწერილნი საკუთრად ღმრთაების ეკლესიისა იყო, ცხადად ჰსჩნდა და აღარც სამართალი ეჭირვებოდა და ეკლესიასვე მივართვით.

ამას გარდა ყელსაკიდი ხატი იყო, რომელიც ამის უწმინდესობას რუსეთიდან მოსულს, რუსთვლობაში ებოძებინა კირილესთვის.

მოვახსენეთ და ბრძანა: «მართალია, კირილეს რუსთვლობაში უბოძეო, მაგრამ რადგან ის მიიცუალა, ახლა რუსთველის სტეფანესთვის მიბოძებია, კირილეს რამდენიმე ჟამი უწიროსო.

კიდევ ექვსისთვის თთუენი იყო მხედრული, რუსთვლობაში ღვინით და თეთრით ნასყიდი და ღმრთაების ეკლესიას მივართვით. ამ ჰაზრით, რომ: თუ საეკლესიოს თეთრით და ღვინით იყიდა, საკუთრად ეკლესიისა იქნებოდა. და თუ თავის კონდაკის თეთრით იყიდა, მაინც იმის მოსახსენებლად ღმრთაების ეკლესიას უბოძა ამისმა უწმინდესობამ.

ამას გარდა, კიდევ მარტყოფი დამ არის წაღებული იმავნეოფიტე ბერისაგან და გამოცხადებით კი არ ვიცათ, სწორედ ეკლესიისა არის, თუ თავისის კონდაკით არის ნაშოვნი:

1. ორი სახარება კელწერილი, რომელიც ერთი გერასიმეს უბოძა ბოდბლის საწირავად და მეორე ბოდბის ეკლესიას დარჩა.

2. ხუთი ქუემოური ქეჩა — ორი რუსთუელს და სამი ბოდბელს;

3. სამი ხალიჩა — ერთი კარგი რუსთუელს და ორი ბოდბელს;

4. ოთხი ფარდაგი — ერთი რუსთუელს და სამი ბოდბელს;

5. ოთხი დიდი საპალნის ხურჯინი — ორი ახალი და ორი ნახმარი, ერთი ახალი ხურჯინი რუსთუელს და სამი ბოდბელს;

6. ორი რუსული ჩაიდანი — ერთი რუსთუელს და ერთი ბოდბელს;

7. ფინჯნები რვა ვარაყიანი თავისის ნალბანქებით — ოთხი რუსთუელს და ოთხი ბოდბელს;

8. ორი ულაყი ცხენი და ერთი იაბო წაუყვანია, აღარა ჰსჩანს, ვეჰ[ვო]ბ გაუცია;

<sup>1</sup> დაბანჩა.

9. ოთხი ჩინის ჯამი თავის თებშებით — ორი რუსთუელს და ორი ბოდბელს;

10. ოთხი ქვემოური ქაშანურის ჯამი და თებში — ორი რუსთუელს და ორი ბოდბელს;

11. ორი რუსული თეთრი თებში — ერთი რუსთუელს და ერთი ბოდბელს;

12. ერთი დიდი ტაფა თავის თავსახურავით — ესეც ბოდბელს;

13. დანა, ჩანგალი, კოვზი ვერცხლისა რუსთვლობაში ნაშოვნის — ესეც ბოდბელს;

14. ხუთი ჯორი რუსთვლობაში ნაშოვნი რომ გაჰყოლია ბოდბელს და ოთხილა არის, ამას ა ი დ ე მ შ უ რ ე შ ი კ ა ღ ა ბ ა შ ი ე და ვება.

ამისას ჩუენ ასე ვჰსჯით: თუ აიდემურმა ასეთი სარწმუნო და მტკიცე ნიშანი რამ მოიტანოს და სარწმუნო მოწამე მოიყვანოს, რომ სწორედ მიბარებული ჰყოლოდეს ბოდბელს ის ჯორები და იმ ჯორების მაგიერი არა ევარკაცებინოს რა ბოდბელს აიდემურისათვის, მაშინ აიდემურს დარჩება.

და თუ ვერც ერთი ვერ შეიძლო აიდემურმა, მაშინ ორი ჯორი მიეცეს რუსთუელს და ორი ბოდბელს. ჩუენ ასე ვჰსაჯეთ და ნება იმის უმაღლესობისა არის.

ესე ყოველი რაც წილად ერგო ბოდბელსა, რადგან რუსთვლობაში ნაშოვნი არის და თან წაუღია, რომელიც ბოდბელი დაჰდეს, იმ მიცვალებულს ბოდბელს კ ი რ ი ლ ე ს მოახმაროს სამარხად.

მისირელს ი ბ რ ე ი მ ბ ე გ ს მარტყოფში ეკლესიის აღსაშენებლად ორმოცდაოთხის თუმნის ოქრო რომ გამოუგზავნია, თორმეტი წელიწადია.

ამ თეთრის საქმე გამოვიკითხეთ და შევიტყუეთ, რომ ეკლესია არ აღშენებულა და თეთრიც ადგილსავე არის. ჩამოვაცვანინეთ იმ ბეგის ძმა შ ი ნ ჯ ი კ ა შ ვ ი ლ ი ბ ა ს ი ლ ა და ვჰკითხეთ და იმან საშინელის ღმრთის სახელის ფიცით ასე აღგვიარა:

«მე რომ მიველ, იბრეიმ ბეგმა მკითხაო: ისევ გომურის ეკლესიაში ჰსწირვენ მარტყოფსა, თუ სხუა გააკეთესო». მე მოვასხენე: «არა, ზემოთ რომ წმიდის ნიკოლაოსის ეკლესია არის, იქ ჰსწირვენ მეთქი». და მიბრძანა: «დედაჩემს ხომ იქ ასელა არ შეუძლიან და რა უნდა ქნასო». მას უკან მკითხა, რუსთველი ვინ არისო. მე მოვასხენე: «ენისელთ მოურავის შვილი კ ი რ ი ლ ე არის მეთქი». მერე მიბრძანა: «მე გავგზავნი ცოტას რასმე თეთრსა ეკლესიისა-



თვის, რომ ეკლესია ააშენონო». და გამოატანა ჩემს სიძეს ბერუაშვილს გოგონას ორასი ოქრო, რომელიც კირილე რუსთთველს მიერთვა. მე ამის მოწამე ვარო, წინაშე ღმრთისაა.

ამ ოქროების საქმე კიდევაც გამოვიძიეთ მოქალაქეთაგან და რუსთვლის მსახურთა სამღვდელთა და საეროთაგან და მათგანაც შევიტყვევით, რომ იქილამ მოსული თეთრი სარგებლით გაუცია კირილეს და დამწვარს გარდა, დღესაც ჰსჩანს ამ თეთრისა ორმოცდაათის თუმნის თამასუქი ერთი, რომელიც მესანთლე ზურაბისაგან არის აღებული, კიდევ თავნისა და სარგებლისაგან ამდგარი ათი თუმანი, რომელიც ისაია გარდუკეტაშვილსა აქვს.

კიდევ ერთი ოქროს საარაღუჯი თვლებიანი და კიდევ ამ თეთრის სარგებელი ცხრა თუმანი ნეტარჰქსენებულს კირილე ბოდბელს მოწყალებასა და ქუელის საქმეზედ საიდუმლოდ დაუხარჯავს, რომელსაც ზურაბა მესანთლე ჰმოწმობს და უნახავსმცა. ამას აღარ გამოვეკიდენით და დავიდუმეთ.

ეს ორასი ოქრო მარტყოფში ეკლესიის აღშენებისათვის გამოგზავნილად დამტკიცდა თავისის სარგებლით და ნება იმის უმაღლესობისა არის.

იულისს კვ, წელსა ჩღჟ.

მდაბალი მიტროპოლიტი



სუეტის ცხოვლის და იმის სიმაღლის კარის დეკანოზი ნიკოლაოზ

მწიგნობარი არხიმანდრიტი

ტრიფილე

თავში:

ჩუენ მიერ და ჩუენისა დიკასტირიისა მიერ განჰსჯილსა განჩინებასა ამას ვამტკიცებ. იულისს კვ, წელსა ჩღჟე.

ხელრთვა: კათალიკოზი.

კიდევ:

ჩუენ, მეფე ორთავე საქართველოსა ირაკლი მეორე, ვამტკიცებთ ამ ჩუენის შეილის, მისის უწმინდესობისაგან და მისის დიკასტერიისაგან განსჯილს სამართალს. აგვისტოს ვ, ქორონიკონს უჰგ.

ბეჰლი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1154. დედანი. ქალაქი. 42,6X21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ენდრონიკაანთ და ჯიმითელთ მამულზე ცილობა ჰქონდათ.

ჯიმითელთ მოჰქონდათ გუჯარი მეფის იმანყულიხანისა, რომელშიაც სწერს: რაც მეფის ალექსანდრეს გუჯარში სწერია, ის ხომ ვერ მივეციოთ ჯიმითელთ და რამდენიმე მოუჭერით მამული იმათს მოდავეთ და ჯიმითელთ დავანებეთო და სამნები ჩაუსხითო.

ამ მეფის იმანყულიხანისაგან გამიჯვნას ენდრონიკაანი სხვაგან ნიშნევდნენ და ჯიმითელნი სხვაგან.

ამათმა სარჩელმა ჩვენთან სამართალში ბევრჯერ გაიარა. ჩვენ ფიცის მოუხდელობისათვის კიდევ გაუმიჯნეთ, მაგრამ ენდრონიკაანთ. მიჯნაზე სარჩელი შექნეს: ჩვენ ამ მიჯნით ბევრი მამული გამოგვერთვაო.

რადგან მეფის იმანყულიხანის გუჯარში გამიჯნულობის ნიშნებს არ აცხადებდა და გაურჩევლად ეწერა, უფიცრად ამათი სამართალი არ გადასწყდებოდა.

ეს სადაო მამული რადგან ენდრონიკაანთ ეჭირათ, სამართლით ფიცი ამათ ერგებოდათ, როგორც მეფის ვახტანგის სამართალი თერთმეტს რიცხვში სწერს: ვისაც მამული კელთ უჭირავს, ფიცი იმას ერგებაო; და კიდევ მეათორმეტს რიცხვში სწერს: თუ იმისთანა სადაო მამული არის, იქნება საბატოო კაცის შვილი თავისის მსახურ აზნაურშვილით და ყმით აფიცონო.

საქართველოს მსახურნი თან ვიახელით და სამართლის წიგნისაებრ ასე განვაჩინეთ:

რომელსაც ენდრონიკაშვილს და ერასტის შვილებს ამ სადაოს მამულში წილი უძესთ, წადგნენ იმ მამულის კაცი, სოფლეურად თან მიიღვენონ და სადამდისაც ეფიცებოდეს, შემოუარონ და ასე დაიფიცონ: «ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმა ჯიმითელნო, მეფეს იმანყულიხანს აქამდის გაემიჯნოს, მამა-პაპით ეს მამული ჩვენიც იყოს და არც გამოგვრთმეოდეს».

\* შტრ. 1791 წ. 26 ნოემბრის განიხილვას ამავე საქმეზე (აქვე, № 318).

თუ ასე შექვიცეს, დარჩებათ ენდრონიკაანთ და ე რ ა ს ტ ი ს-  
შ ვ ი ლ ე ბ ს სადამდისაც გაიფიცვენ. და თუ ვერ დაიფიცეს, დარ-  
ჩებათ ჯიმითელთ, სადამდისაც მეფის იმანყულისხანისაგან გამიჯნუ-  
ლად ამბობენ.

ეშოკლასბაშო გ ა რ ს ე ვ ა ნ! განჩინება ესე ასე აღასრულე.  
სეკდემბერს ი, ქორონიკონს უოჭ.

ქ. ზემორე რომ ენდრონიკაანთათვის ფიცი გაგვიჩენია, რომე-  
ლიც მიჯნა ენდრონიკაანთ გვაჩვენეს, თუ იმ მიჯნას გადასცილდენ  
და მეტი მამული გამოიფიცეს, ფიცი გაუმტყუნდებათ.

ბეჭელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე  
ეჭესი ბეჭელი:

1. არ ირჩევა

2. მე თ ო დ ი

3. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად  
მაგო, ბ ე ყ ა ნ

4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ

5. სალთხუცესი კახეთისა ქ ა ი ხ ო ს რ ო

6. დივანბეგი

ქ. ძმაო ბატონო ყორიასაულბაშო ლ უ ა რ ს ა ბ! მერე ეს ბა-  
ტონის ბრძანება ასე უნდა აღასრულო. ეს რომ აღასრულო, ამათ  
შერე გარჩევის წიგნი უნდა მოსცე. ოკდონბრის ი, ქორონიკონს უოჭ.

## 292. უჯათოზის წიგნი ირაკლი II-ისა სახლთუხუცესს კაიხოსროსადმი

სამართლის მიცემის უხანაჟა

1700 წ. 13 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. № 472. დედანი. ქალაღი. 27,3X18,2 სმ. მხედრული. განკვე-  
თილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. სა ლ თ ხ უ ც ე ს ი ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ა გ ა რ ე ჯ ო ს მ ო უ-  
რ ა ვ ს ჯ ა მ ა ს პ ი ს ყ ა რ ა ბ უ ლ ა ხ ი ს მ ა მ უ ლ ზ ე ე დ ა ე ვ ბ ო დ ა  
ამ სიტყვით: ყარაბულადი უჯარმა არასო, ასე რომ უჯარმას  
მსახლობელთ ვენახად და მამულად ყარაბულადი ჰქონიათო. და  
რადგან უჯარმის მონახევრე ვარ, სამართლით ყარაბულადში ჩემს  
ნახევარს წილს ვითხოვო.

მოჰქონდა სალთხუცესს გუჯარი მეფის იმანყულისხა-  
ნისა, რომელშიაც უჯარმაში მსახლობელი ჩოლოყაანთ  
ყმებს სახელდობრ სწერს: [აქვე უჯარმაში ბაადურის ყმებს მოჰყვე-  
ბა გაუწყვეტლად, ყარაბულადს მოაბამს, სწერს რამდენსამე კვამლს

და დაასრულებს; მერე გასწყვეტს და სწერს: აქავ საზუერლის  
ყმა, ამასაც დაასრულებს; მერე სწე[რს]: აქავ უჯარმას, ავალა-  
შვილის ყმაო, სახელდობ სწერს.

ამას გარდა სახლთხუცესს მოჰქონდა ნათლისმცემლის მონას-  
ტრელთაგან ნასყიდობის გუჯარი, რომლითაც ათს ეუამლს უჯარმა-  
ში მსახლობელთ ნათლისმცემლის მონასტრისათვის ყარაბულაღს  
მამული მიუყიდიათ.

ამ საბუთებით ყარაბულაღს სალთხუცესი უჯარმად აცხადებ-  
და და ნახევარს წილს ითხოვდა.

მოურავი ჯამასპი მიუგებდა: ყარაბულაღი და  
უჯარმა სხვადასხვა არისო; უჯარმელს კაცს თუ არ ნასყიდობით  
სამკვიდროდ მამული ყარაბულაღს არა ჰქონიათო, დიდი ხანია ჩვენ  
გავყრილვართ, მამა-პაპით ყარაბულაღი ჩვენია, შენ<sup>1</sup> ჩემი მონაწი-  
ლე არა ხარო. და თუ საბუთი შეგიძლიან, რამდენსაც საკუამლოს  
საბუთს სამართალში აღმოაჩენ, სამართლით იმდენს საკუამლოს  
დაგანებებო.

ამათი სარჩელი რომ მოვისმინეთ, რადგან მოუცლელად ვიყა-  
ვით, ჩვენ, საქართველოს მეფე ირაკლი მეორე, საქართვე-  
ლოს მსაჯულთ თანდასწრებით ეს წერილი სალთხუცესს ქაიხოსროს  
უჯათად მივეცი, რომ როდესაც მოვიცალოთ, სამართალში ელა-  
პარაკოს და ღმრთის წინაშე სამართალს მივსცემთ. სეკდემბერს იგ,  
ქორონიკონს უოშ.

ორი ბეჰელი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარ-  
ჯულად, ქაიხოსრო

2. დივანბეგი

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ირაკლი  
მეორე, ამ მოსამართლეთაგან მიცემულ წიგნს ვამტკიცებ. სეკ-  
დემბერს იგ, ქორონიკონს უოშ.

ბეჰელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

<sup>1</sup> შენი.

1790 წ. 26 სექტემბერი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი № 1461. რეული № 13. საბ. № 114. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. ველისციხელნი და ახაშნელნი რომ მამულზედ დაობდნენ, რადგან ამ დროს მოცლა არა გექონდა, რომ ამათი სარჩელი საბოლოოდ გარდაგვეწყვიტა, ახლა ასე გავარიგეთ: უწინარეს რომ ახაშნელთ ფიცი დავადევით, რომელზედაც ახაშნელთ მიჯნაზედ ფეხი დაუდგამთ იმ თავიდამ ხევის პირზედ რომ მუხა დგას და ველისციხელნი მიჯნად იმას ამბობენ, ამ ორს მიჯნას შუა რაც მამული არის, შუა უნდა გაიყოს, სწორედ ლარზე უნდა გაიმიჯნოს თავის გასადევრით ალაზნამდის, მიხვევ-მოხვევა არ იქნება. რაც სწორედ ლარზე გაიტანოს, ისე უნდა გაიმიჯნოს, ნახევარი ველისციხელთ უნდა მოხნან და ნახევარი ახაშნელთ სამართლის გარდაწყვეტამდის, ასე შერიგდნენ.

ღვითი როდესაც ჩვენ მოვიცლით, ჩვენ მოვალთ ა ხ ა შ ნ ი ს ა, ზ ე გ ა მ ი ს ა, ვ ე ლ ი ს ც ი ხ ი ს ა, მ უ კ უ ზ ნ ი ს ა და უ რ ი ა თ უ ბ ნ ი ს მიჯნებს თვით ჩვენის თვალთ ვნახავთ, გულსმოდგინეთ გამოვიძიებთ, მიჯნებსაც მაშინ გავარჩევთ და სამართალსაც მაშინ გარდავწყვეტთ. მაგრამ ზეგამს თავისი ბოლო უნდა უპოვნოთ. ზეგამის ბოლოს დაკარგვა არას გზით არ იქნება.

ურიათუბანს ზევით თ ე ლ ა ვ ა მ დ ი ს რაც სოფლები არის, თავ-თავისი ბოლო გარჩეული აქვსთ. და ურიანთუბანს ქვეით გ უ ჯ ა ა ნ ა მ დ ი ს რაც სოფლები არის, ღვითი როდესაც მოვიცლით, თავ-თავისი ბოლო სამართალი უნდა გაურჩიოთ. ახლა საბოლოოდ ამათი სამართალი ამისთვის არ გარდავწყვეტეთ, რომ იქით ჩ უ მ ლ ა ყ ი ს მხარეს ახაშნელთ მიჯნა უნდა გავსინჯოთ და სამართალს მაშინ გარდავწყვეტთ.

რომელნიც სამართლის გარდაწყვეტამდის ამ ჩვენს გარიგებულს გარდავლენ და შფოთის მიზეზნი შეიქმნებიან — ველისციხელნი თუ ახაშნელნი, ჩვენს შეცოდებათ მოვიკითხავთ და გარდავახდევინებთ.

მაგრამ თუ ასეთი წერილი და საბუთი გამოჩნდა — ან ერთს მხარეს და ან მეორეს, რომ ჩვენი მოსვლა აღარ დასჭირდა, სამართალს იმ საბუთზედ გარდავსწყვეტთ.

მდივანბეგ-ეშვიკალასბაშო თ ე ი მ უ რ ა ზ! ეს ასე უნდა აღასრულო, როგორც გვიბრძანებია.

მდივანბეგო ქ ა ი ხ ო ს რ ო! ამ გარიგებაში შენც იქ უნდა დაესწრა და როგორც ამ წერილით გვიბრძანებია, ასე უნდა აღასრულოთ. სეკდემბრის კმ, ქორონიკონს უოშ.

ქ. ძეგამის ბოლო ველისციხეს და ახაშენს შუა უნდა უპოვნოთ და გაურჩიოთ და სხვას სოფლებს, რომელსაც გარჩეული აქვს, ხომ ის არის. და რომელსაც გარჩეული არა აქვს, სამართლით უნდა გაურჩიოთ. ურიათუბანს ქვეით რაც სოფლები დაგვიწერია, იმათსა ვწერთ. ერკლე

ქ. მდივანბეგო ქ ა ი ხ ო ს რ ო! როგორც ამ განაჩენში სწერია, წლეულობით ასე გაუყავ და სამემრისოდ შაგათს სამართალს ჩვენ კარგად გავარიგებთ. [მ]კათათვის ვ, ქორონიკონს უბ.

ქ. იმისი წლეულობით გაყოფა, როგორც იმ მეორეს განაჩენშია სწერია, სწორეთ ისე გაყავ. ერკლე

## 294. ბანჩინება ჰარუჰიქმთა მამულის საკმეო

1790 წ. 22 ნოემბერი

ცხსა. ფ. 1449. საბ. № 1260. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ე ი ლ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ოქმი იყო და ბატონ ოთარ ამილახვარისა, აღათანგი ხერხეულიძე იასაულათ ებოძებინა: ქარუმიანთ ხურვალეთზედ აღაპარაკეთ და რასაც მიხვდეთ, ქეშმარიტი სამართალი მიეციოთ.

ჩუენ ქვემოსხენებულნი ამათს სამართალში დავესწარით და ვალაპარაკეთ. ხურვალეთსა, წინაგარსა, წუბანსა და ზემოყაუსს დაობდნენ. მაგრამ რადგან დიდისხნის ხარაბა იყო, აღარც მახსოვარნი კაცნი ჩნდნენ და არც ასეთი წერილი რამე მოიტანეს, რომ თავ-თავის მამული გაერჩიათ. იმათი ლაპარაკი სულ ბნელი იყო და ყველა ძმანი თავ-თავიანთვის ეკიდებოდნენ.

რადგან ქეშმარიტი წერილი არც ერთს ძმას არა ქონდა, რომ იმითი თავ-თავის მამული მიგვეცა, იმის მიზეზით ეს ოთხი სოფელი სამს წილად გაყავით. ერთის წილიდამ ფარსადან მოურავსა და იმის ძმებს რომ წყალობათ უშოვნიათ ამილახვიანდგან, იმის მიზეზით თერთმეტი საკომლო უნდა აიღოს. რევაზ სალთხუცესსაც რომ ნაყიდობა აქვს ავთანდილის შვილებისაგან და მაგანის შვილებისაგან, იმანაც იმის მიზეზით ცხრა საკომ-

ლო, რომელის სოფლიდამაც წერილი უცხადებდეს, იმ სოფლიდამ აილოს. დანარჩომი ორის წილიდგან ოთხი საკომლო საუფროსოც დიდის შალვასათვინა გადაგვიდვია. სხვა რაც დარჩეს ამ ოთხ სოფელში, ნახევარი იმავ შალვას შვილებისა არის და ნახევარი თამაზის შვილებისა. გიორგობის კბ, ქორონიკონს უოჟ.

მე, პაპუათუმანის შვილი, ამ ზემო ნაწერზე დამსწრე ვარ.

მე, ფეშანგიშვილი სტეფანა, ზემო ნაწერის დამსწრე ვარ.

სტეფან

მე, ბარამაშვილი მღვთისავეარ, ზემო ნაწერის დამსწრე ვარ.

მღვთისავეარ

ქ. ზემონაწერის სამართლის დამსწრე ვარ ჯანუას შვილი დავითა.

მე, ხერხეულიძე აღათანგი, ამ მოსამართლე[ებ]-თან დავე[ს]წარ[ი]. ახლა იასაულიც ასრე ვიყავ, როგორაც ამ განაჩენში აცხადებს. ბეჭედი აქ არა მქონდა, ეს ჩემი ხელია].

გიორგობისთვეს კბ, ქორონიკონს უოჟ.

ალათანგ

## 295. განჩინება ერასტი უზაპის შვის სტაფანას საჩუქარზე

1790 წ. 18 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2809. დედანი. ქალღი. 43,5×20 სმ. მხედრული. განკეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორწერტილი.

ქ. მისს უგანათლებულესობას: ბატონიშვილს ვახტანგს ჩუენ — მსაჯულთათვის ებძანა: ერასტი უსბაში კალატოზს სტეფანეს რომ უჩივის, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო.

მოვაცვანიენტ და ვალაპარაკეთ.

ერასტი ასე ჩიოდა: ეს სტეფანე წერაქველი ჩემის ყმის შიხუაშვილის მარტირუზას შვილი არისო, აქამდინ ყმურად მემსახურებოდაო, ახლა თავის თავს მართმევსო, სამართალს ვითხოვო.

სტეფანე ასე ჩიოდა: მართალია, დედაჩემი ამ მარტირუზასი სჯულიერი მეუღლე იყო, მარა იმ დედაჩემს მა[ნ]დუაშვი-

ლი დასწოლოდა და იმ მანდუაშვილს შევექვენ და იმ მანდუაშვილისთვის სისხლიც გამოურთმევეათ.

ამ სტეფანემ რომ ასე თქვა, მარტირუზამ ცრემლით სამართალს ასე მოახსენა: ჯერ იმ ჩემს საწყალს მეუღლეს და თავის მშობელს აყივნებს და მერმე მე ასე მკლავს. აქამდინ ჩემი შვილი მეგონაო და ჩემს დამარხველადაც ვეგულეზობდიო და ახლა ჩემს შვილობას აღარ კადრულებსო, და ქვეყანაშიაც ასე გვაყი[ვენებს]ო; ეს სამართალმა გაშინჯოსო.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, იოანე ამქარბაშმა ასე თქვა: სამართალში ორჯერ, სამჯერ მიველ, ამ სტეფანეს ვკითხე, ვისი ყმა ხარ, რომ დავთარში დაგწერო? ამ სტეფანემ ასე მითხრა: ერასტის ყმა ვარო.

ამათ რომ ასე იჩივლეს, ჩუენ ეს სამართალი მივეცი: სამართლის ძალით ეს სტეფანე ერასტის დარჩა ყმად.

პირველად ასე, რომ ამ მარტირუზას მეუღლესაგან ყოფილა შობილი;

მეორედ ასე, რომ მამა მისმა ცრემლით სამართალს მოახსენა: ეს ბიჭი ჩემგან არის შექნილიო და ჩემის სჯულიერის მეუღლისაგან არის შობილიო;

მესამედ ასე, რომ იოანემ თქვა: ვკითხე ვისი ყმა ხარ? მითხრა: ერასტის ყმა ვარო;

მეოთხედ ასე, რომ აქამდინ მდივანბეგს თეიმურაზს ეჭირა წერაქვი, ეს ბიჭიც მდივანბეგს თეიმურაზს უმსახურაა ყმურათ. მერმე წერაქვი რომ ერასტიმ დაიჭირა, ეს სტეფანეც კახეთიდან ერასტის მოსვლია, რადგან წერაქვი შენ დაინებო, მეც იჭაური და შენი ყმა ვარო. ამ საბუთებით დარჩა ერასტის ყმად ეს სტეფანე.

იოანე კობიაშვილო, ეს სტეფანე ერასტის მოაბარე.

ჩვენ ეს ასე განვსაჯეთ და ნება მისის უგანაალებულესობისა არის. დეკემბერს იგ, ქორონიკონს უოჲ.

სამი ბეჭედი:

1. ლთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.

2. მეთოდი

3. დივანბეგი



თავში:

ქ. ჩვენ, მეფის ძე ვ ა ხ ტ ა ნ გ, მსაჯულთა მიერ განსჯილთა ამის მსჯავრისა თანა მოწამე ვართ. დეკემბრის იდ, ქორონიკონს უოჲ.

ბეპელი: რტოდ ვართ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

296. განჩინება სვებიტსოვლის უმის კაკაბაშვილის საქმეზე

1701 წ. 20 იანვარი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2310. პირა. ქელაღი. მხედრული.

ქ. მისის უწმინდესობის თანხლებით მრჩობლთავე სამსჯავროს შეკრებულებათაგან კარსნელის კ ა კ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა და მარტყოფელის ფ ე რ ა შ ვ ი ლ ი ს სამართალი ასე განისაჯა.

ეს ფ ე რ ა შ ვ ი ლ ი გ ლ ა ხ ა ასე ჩიოდა: ეს კაკაბაშვილა ზედსიძედ მამულზედ შემოვიყვანეო და ქალი მივეო, რომ ეს გოგია ბიჭი ჩვენს კელში ეყოლაო. მერმე ამ გოგიას მამა დაუტყვევედა და ტყვეობიდან მე დავიხსენო თორმეტ თუმნათაო. და ოთხი თუმანიც იმ თეთრის სარგებელი გაგვსვლიაო; და ახლა სამცხეთო მოხელენი გვართმევენო, ამდენის ხნის მოსულს, მამულზედ დამკვიდრებულს და ტყვეობიდან დახსნილს, ამ მიზეზით, რომ ეკლესიის ყმა არისო; ეგ მაშინ უნდაო, რომ მე ეკლესიის ყმა არ ვიყოო და სხვა თავადის ყმა ვიყო[ო] თორემ მეც ეკლესიის ყმა ვარო. და ახლა ორისავე სასამართლოს შეკრებულება აქა ბრძანდებით, სულიერი და კორციელიო, და თქვენ გვისაჯეთო და გაგვირჩიეთ, რომ ორნი ეკლესიანი ვდაობთო და რა დროს მისული მიეცემა ეკლესიასა და რა დროსი არაო, ეს თქვენ გვისაჯეთო, როგორც ეკლესიის სჯულისკანონის განწესება იყოსო.

ჩვენ რომ ეს მოხსენებული გავსინჯეთ, ეს ზემოთქმულნი დრონი ჰეშმარითი იყო სარწმუნო მოწამეთაგან, რომ კარგა ხანს გაევილო, რევაზას ამათ მამულში ყოფასა და ტყვეობიდან რომ დაეხსნა, ოცდაათოთხმეტი წელიწადი იყო რიცხვი იმ წიგნისა და ამ ფერაშვილის ზედსიძედ შემოსვლამდის. პირველად კანდელაკის შვილთან ყოფილა ამ გოგიას მამა ზედსიძედ შეყრილი რამდენსამე წელიწადს; და ის კანდელაკის შვილი რომ ამოწყვეტილიყო, მერე ამ ფერაშვილს შემოუყვანია ზედსიძედ და მღვთაების ეკლესიისათვის უმსახურია ამდენს ხანს.

ჩვენის მიხედულობით და სჯულისკანონის რიგით ამდენს ხანს მისული არ წაერთმევა ერთს ეკლესიას მეორეს ეკლესიისაგან. განწესებისაებრ მამათა კანონისა კონსტანტინეპოლისა მე[ექვსე] კრების კანონისა და სხვათაცა ესრეთ განჩინებულისა, ვითარმედ: ოცდაათ წელს იყავნ სჯაი, უკეთუ მიუძღლავრებით ეპყროსო; და სამოქალაქოს სამართალშიაც ესრეთ არს განწესება.

მაგრა ეს რიცხვი რომ განუწესებიათ, ეს იმ დროსია, რომ: უკეთუ ორნი დაბანი და სოფელნი პირისპირ მყოფნი თუ შორად მშვიდობით შენნი ეგნენ; და იმ მყოფროებულს დროში ერთის სოფლის კაცი აიყაროს და მეორე სოფელში გავიდეს და იქ ხნევედეს, ვენახსა სწყყრევდეს და ეს პატრონმა იცოდეს და არ ედაოს ოცდაათ წლამდის, მერე ველარ ედავება, თუნდა და ეკლესი[ი]სა იყოს<sup>1</sup> და თუნდა ერის კაცისა<sup>2</sup>.

ეს იმ დამშვიდებულს დროში აყრილის ვლენისათვის სწერია სჯულისკანონშიაცა და საქართველოს სამართლის წიგნშიაცა. თორემ თუკი მტრის შიშით და აოხრების მიზეზით კაცი კაცს შეეხიზნება და დაიფანტება და არც პატრონს ეცოდინება, რომ ბევრნი ემალებიან თავის ბატონს, ამგვარზე არა ბრძანებს სამართალი.

ამ მიზეზით ეს კაკაბაშვილი სვეტსცხოველს არ წაერთმევა, ერთი ამისათვის, რომ მტრის შიშით დაფანტულან კარსნელნი და აქა იქ ხიზნობით ცხოვრებულან; მეორედ, რომ პატრონებს არა სცოდნიათ. და თუ ეს კანონი და ამგვარად დაფანტულის გლეხის სამართალი სხვაფერ განგეწესებინა, ეკლესიას ერთი კაცი არ დარჩებოდა. და რომელნიც ხარაბა ეკლესიას ყმანი შეხიზნულან, არავინ დაქანებებდა და კოველი ეკლესია საქართველოსი სულ დაქვრივებულნი და დაობლებულნი შეიქმნებოდა. და ვერც ერთი დაცემული ეკლესია აღდგებოდა.

ამისთვის ასე განვაჩინეთ: ფერაშვილმა ერთი მოწმით შეფიცოს, რომ თორმეტი თუმანი თეთრი და ოთხი თუმანი სარგებელი ამის დახსნაში გასვლიყოს და მიეცეს თეთრი ფერაშვილსა და კაცი სვეტსცხოველსა.

ეს გოგია კახურის რიგით აუყარე იასაულო და კათალიკოსის მოხელე[ე]ებს მოაბარე, როცა თეთრი მიებაროს. იანვრის კო, ქორონიკონს უოთ.

ეს კახურის რიგით რომ დაგვიწერია, რაც აქვთ, ყოველიფერი შუა უნდა გაეყოს. 

|  |                |
|--|----------------|
|  | მდივან<br>ბევი |
|--|----------------|

<sup>1</sup> † და ეკლესიას. <sup>2</sup> † და ერის კაცისა.

ქ. ჩვენ, ყოვლის საქართველოს კათალიკოზ-პატრიარ-  
ხი მეფის ირაკლის ძე ანტონი, განჩინებას ამას ვამტკიცებ.  
იანვარს იგ, ქორონიკონს უპ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი.

## 297. განჩინება ვახტანგ შაფლანოვილის შვის ტერ-მიკირტუმას სამკვეთ

1701 წ. 4 თებერვალი

ცსსა. პ. კარბულაშვილის პირადი ფონდი № 1461. რვეული № 13.  
საბ. № 65. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მღივანბეგის რამაზის შვილი იოანე უჩიოდა  
ტერ-მიკირტუმას — დედის ჩემის მზითევი არისო და ახ-  
ლა კი თავს აღარ მიდებსო.

ჩვენ, ბატონის შვილმა ვახტანგმა და ალექსან-  
დრემ, მსაჯულთ თანადასწრებით მოვყვანიხეთ.

ტერტერა უპასუხებდა: მე ყაფლანიანთ ყმა როდისა ვარო,  
რომ შენთვის მზითევეში გამოვეტანებინეო.

ჩვენ ყაფლანი შვილი ვახტანგ მოვყვანიხეთ, ვკი-  
თხეთ. გვითხრა: ჩემი წილი კაცი არისო. იქილამ რომ აიყარა და  
გარდმოვიდა, მამაჩემქმა მამიდას მისცაო. ეს ორმოცი-ორმოცდა-  
ათი წელიწადია კახეთში არის და ამათი სახელი ქვიანო. მე კი ვე-  
ლარ ვეღავები და თუ სხვა მოლაპარაკე ჰყავს ვინმეო, მოვიდეს და  
მელაპარაკოსო.

რადგან ასე იყო, ჩვენც ამ იოანეს დავანებეთ სამართლო.  
თავის თავს კი ვერ გამოართმევს. და თუ სხვა მოდავე ჰყავს ვინმე,  
ვახტანგს ელაპარაკოს, იმათგან არის მოცემული. თებერვლის დ,  
ქორონიკონს უოთ.

ოთხი ბეჭედი:

1. რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამ-  
ტკიცებ მეფის ძეობით.
2. დავითის რტო სახელ მქესა ალექსანდრე მეფის ძესა.
3. ბეჟან
4. კახეთის ხევისთავი მღივანი სვიმონ

1791 წ. 26 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტრუქტი. Ad 1396. დეკანი. ქალაქი. 41X17 სმ. დაზიანებული. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. მისს უგანათლებულებობას მეფის ძეს ვახტანგს ოქმით ებძანა: პეტრიაშვილი იასე პაპუას ნაცვლიშვილს მამულზედ უჩივისო, სამართალი უყავითო, დედოფლის ელენეს წყალობის სიგელი აქვსო.

ჩვენ მიხაილ პეტრიაშვილს წიგნი მივსწერეთ: პაპუა აქ სამართალში მოგვეყვანე, შენც აქ მოდი. და ეს იასე რომ პაპუას მელიწკაურის მამულს რომ ედაქვება, მანდ მადრანს ღმერთ წინაშე მოიკიოხე, სწორი ანბავი მოგვიტანე.

მიხაილ და პაპუა ორნივე ერთად მოვიდნენ, შეექმნათ ლაპარაკი იასეს და პაპუას.

იასემ სიგელი წარმოაყენა ბატონის ელენე დედოფლისაგან ბოძებული, როცა თორღის ციხეში ბრძანებულა და იმ გაჭირვებაში უმსახურნიათ ამ იასეს პაპას მამუკას და გიორგის; და ამ სამსახურის სანუფქოთ მადრანს ხუთი საკომლო უბოძებია მელიწკაურისა და ჩირიკაშვილისა. და ეს მელიწკაურის მამული პაპუავ შენ გიჭირავსო მოპარვითაო.

პაპუა ეპასუხებოდა: არა, ჩემი მამულიაო.

ჩვენ იასეს მოწამე ვთხოვეთ: ვინ გითხრა შენ, რომ პაპუას მელიწკაურის მამული უჭირავსო; მიხაილს კითხეო.

ჩვენ ვკითხეთ მიხაილს, ასე მოახსენა სამართალს, რომ: პაპუა, გოგია ნათლიშვილი და მე ერთად ვიყავით იქ, მოვაყვანიინეთ ნათლიშვილის კაცი, მოხუცებული ბლუნიჩია, ამას ვკითხე, ამ ნინიამ ასე გვიანბო, რომ: პაპუას რომ მამული უჭირავსო, მელიწკაურის მამულიაო, ასე ვიციო. ამ ლაპარაკში სოლომონ ნაცვალი და ეს იასეც, სხვანიც სოფლის კაცი დაესწრნენ. მიხაილმა პაპუასთან ასე გვიანბო სამართალშია და სხვანიც ასე ანბობენ; და პაპუამ უარი თქვა, ჩემი მამული არის, მელიწკაურისა არ არისო.

ჩვენ ვადა დაუდევით. წადი, შენ თუ გაყრილობის ბარათი შე-

\* შტრ. 1791 წ. 2 ივნისის განჩინების ამავე საქმეზე (აქვე, № 306).

ნის სახლის კაცებისაგან ამ მამულისა თუ შენ დაგკარგეია, იმათ საფარდოს ბარათში ეწერება, მოგვიტანე. თუ ბატონისაგან წყალობით გიშოვნია, სიგელი გექნება, თუ ნასყიდი გაქვს, წიგნი გექნება; ოუ ნამზითევი გაქვს, კიდენ წიგნი გექნება; ერთ-ერთი მოგვიტანე და შენი მამული იქნება. თუ არა გაქვს, მამული მელიწკაურისა ამ იასეს პეტრიაშვილს უკვდავთ ბოძებია, როდესაც იპოვნის. გამოართმევს. და პაპუა აქ სამართალში აღარ მოვიდა.

ჩუენ ეს ასე დავინახეთ სამართალით: თუ პაპუას წიგნი არა აქვს რა, მელიწკაურის მამულა ამისი არის.

ბრძანებაც იყო მისის უგანათლებულესობისაგან: თუ მანდ ვერ გაურიგოთო, ჩვენს სამართალში გამოგზავნეთო. ერთი ოქმი რა-ღაზ მდივანბეგთან ქონია ამ იასეს მისის უმალესობისაგან: იასულობაც შენ უნდა უყო და ეს მელიწკაურის მამული უნდა უპოვნოო, ამ პეტრიაშვილს მოაბარო. თებერვალს კ, ქორონიკონს უოთ.

ორი ბეჟელი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბეჟან.

2. მონა ლთისა მდივანბეგი ოტია.

თავში:

ქ. ჩვენ, საქართველ[ოს] მეფის ძე ბატონიშვილ[ი ვა]ხტანგ. ამ მდივანბეგების განჩინე[ბულს] სამართალს ვამტკიცებთ. შარტის ია, ქორონიკონს [უო]თ.

ბეჟელი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 299. განჩინება სოლომონ II-ისა ეფთვიში გენათელისა და ბუჟუა აკოფაჟვილის საქმეზე

1791 წ. 18 მარტი

ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუხ. საბ. № 330. დედანი. ქალაღი. 33X15.5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია წერტილი.

ქ. დაბრძანდა თავათ ბატონი მეფე სოლომონ და თავისი დიდებულნი თან იახლენ და ყოვლად სამღვდელო გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიში და აკოფაშვილი ბ[უ]ქუა გავაბჟვეთ.

გენათელმა უჩივლა: «შენ გურულის კაცები დაიჭირე, გური-

ელის პირობაზედ გაგეპარა ის კაცები და მეფე სოლომონის საფლავს შეეხვეწა გელათს; მე მთხოვე, მაგრამ შენით წამოყვანა არ მომიშლია და ჩემით ვერ მოგეცი. ამაზედ დამასმინე მეფე დავითს; გამიწყრა მე, გენათლობისაგან მაგდებდენ; გოგია კანდელაკი ამიყარეს, სამს წელიწადს გლეხები წართმეული ყავდა: ვეცადე, მე ამაშიდ ერთი უცხო ნაწილიანი ხატი და ოთხი კვამლი კაცი ქ[რ]თამათ ელისბარ[მა] გამომართვა და ასი მარჩილი ჩემს ურიებს გარდაახდევინეს. ესეები შენის დასმენილობით დამემართა.

აკოფაშვილმა აშორო უთხრა.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან ბუქუელა და ხუთო თავისი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს; თუ თავისი ტოლი კაცი ვერ იშოვნოს, ამავალი ვაჭარი თან ჩაიტანოს და ასე უფიცოს: «შენ რომ დავით მეფის დასმენას მეწამები, არც შენ და არც შენი კაცი მე დავით მეფისათვის არ დამესმინოს». თუ ასე უფიცა, არას ემართლება. და თუ ვერ იფიცა, რომელიც გენათელს ამაშიდ ხარჯი მოსვლია, ან ხატი გამორთმევია, ან თეთრი გარდახდია, ან გლეხები შეუწირვ[ი]ნებიანთ ერთიორათ მიართვას აკოფაშვილმა; რომელიც გენათელს ამაში ზიანი მოსვლია, აკოფაშვილებმა აჯით უნდა შეიტყოს.

გოგიას რომ გლეხები დაკავებია, გოგიამ აჯით შეატყობინოს და იმ გლეხებისაგან ან სამსახური, ან ბეგარა დაკლებია, ან საბოქაულო და ან საკაო გარდახდია, ერთიორათ მისცეს გოგიას აკოფაშვილმა.

ბეჰედი: მეფე იმერთა სოლომონ.

ქრისტეს აქეთ ჩლუა მარტს იგ. ბუქუელა აკოფაშვილმა თვითან და რვა კაცი ჩაიტანა და მათს ყოვლად სამღვდელობას გენათელ მიტროპოლიტს ეფთვიემეს ამ განაჩენის წიგნშიდ შეფიცა. და თუმც ფიცმან მას და ან მის ჩამყოლს კაცს არ უწია, იმაშიდ სიტყვა აღარ აქვს.

მოწამე ამისი და თანდამსწრე მდივანბეგი დავით.

აღიწერა ხელითა ქიკინაძის ნიკოლოსისათა.

ბეჰედი: მდივანი დავით.

1791 წ. 18 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10475. პირი. საბუთის პირები დაცულია აგრეთვე ცსსა. ფ. 1449. № 1039 და 1213; ფ. 1450. დაჯ. № 25. საბ. № 155.

ქ. მაყაანთა და გიორგიწმინდელთ იორს გამომმა მამულზე ცილობა ჰქონდათ.

ჩუენ, ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მეფე მანირაკლიმეორემან, საქართველოს მსაჯულთა შეკრებილება გვერდ დავისხით და ამათის სარჩელის სიმკაცრით გამოძიებაში შევედით.

მაყაანთ მოქონდათ განაჩენი სანატრელის ბატონის მამის ჩვენისაგან ქორონიკონს უ — ამ თარიღში დაწერილი, რომლისაც განჩინება წინაპართ მოსამართლეთაგან ამ სადაოს მამულზე განსჯილს სამართლებს სახელდობ მოიხსენებს, რომ ამათი განაჩენები მაყაანთ კელთ ჰქონდათო; და რადგანაც მამულიც კელთ ეჭირათ, სამართლით ფიცი მაყაანთ დაადევითო და ეს და ეს დარბაისელნი თავს დავაყენეთ. მაყაანი საფიცრად წამდგარიყვნენ და გიორგიწმინდელთ აღარ დაეფიცებინათო და სამართლით ეს სადაო მამული დარჩათ მაყაანთო.

გიორგიწმინდელნი მიუგებდნენ: თქვენ რომ განაჩენები გაქვსთ, იმ დროებში ეს მეფის ალექსანდრეს წიგნი, რომელიც ახლა ვიპოვნეთ და როსტომ მეფის განაჩენი — ორივე დაკარგული გვქონდა. და ჩვენი საბუთები რომ კელთ არა გვქონდა, რით გავმართლდებოდითო.

ამ გიორგიწმინდელთ მოხსენებული მეფის ალექსანდრეს წიგნი გავსინჯეთ, რომელშიაც სწერს: ჩვენი ბრძანება საგარეჯოს მოურავს ჩერქეზს ხაზფოლადს ასე მოახსენეთ: მერე მაყაშვილებმა მაყამ და გოშფარ მოგვახსენეს, რომ გიორგიწმინდელნი ყარაღაჯში ჩვენს საცნავს ალაგებს გვეცილებიანო. ეგ ალაგები ხომ თქვენ კარგად იცით, ორთავე მესამძღვრე ხართ, ყარაღაჯის ოლეს გარეთ ხომ მაყაანთ კელი არა აქვსთ, თქვენს სამძღვარს ზემოთ და ოლეს შიგნით — გიორგიწმინდელთ; გასინჯეთ და თუ ოლეს შიგნით ეცილებოდენ რასმე, მაყაანთ დაანებეთ, გიორგიწმინდელთ კელი ნულარ აქვსთო.

და კიდევ როსტომის განაჩენი მოგვართვეს გიორგიწმინდელთ, ქორონიკონს ტმდ — ამ თარიღს დაწერილი, რომელშიაც ჩერქეზიანთ მესამზღვრედ გიორგიწმინდელთ ახსენებს

და სწერს: ჩერქეზელთ და გარეჯელთ მამულზე ცილობა ჰქონდათ. ფიცი ჩერქეზელთა დავადევით<sup>1</sup> და ამ სამართალში მარიაძვეარელნი და ანთოკელნიც თან დავისწართო. ამათი სარჩელი რომ მოვისმინეთ და ორისავ მხარის საბუთები გამოვიძიეთ, ასე განვაჩინეთ: თუმცა მაყაანთ ზემოხსენებული განაჩენები და მამულიც კელთ ჰქონდათ, მაგრამ არც ერთს განაჩენში მეფის ალექსანდრეს წიგნი ხსენებული არ იყო და ჩანს უთუოდ, რომ არც ერთს სამართალში არ გამოცხადებულა მეფის ალექსანდრეს წიგნი, თორემ განაჩენში მოიხსენებდნ.

მეორედ<sup>2</sup>, მეფის როსტომის განაჩენი აცხადებს, რომ მეფის ალექსანდრედამ მოკიდებული როსტომ მეფამდის ოლეს გარეთ ჩერქეზიანთ სამძღვრამდის გიორგიწმინდელთ ჰქონებიათ.

მესამედ, მღებარეობა ამ სადაოს მიწისა მოსამართლეთაგან გასინჯულობის წინააღმდეგმად დაავდებს, მარიაძვეარის სისწორ მღებარეობას გამოვა; ოლეს, ანთოკსა და გიორგიწმინდელთ ახსენებს და არა მაყაანთ.

მეოთხედ, ამ მდგომარეს ქამში და წინას დროებშიაც ყოველთვის გიორგიწმინდელნი ოთხად და ხუთად რიცხვით მარიაძვეარელთაგან მეტნი ყოფილან და არიან და სჯის გასინჯულობა გონებისა, რომ თორმეტს კვამლს ორმოცსა და სამოცს კვამლზე მეტი მამული არ ექნებოდათ.

მეხუთედ, მეფე ალექსანდრე მაყაანთა და გიორგიწმინდელთ მიჯნად ოლეს რომ სწერს, ის ოლე მოსამართლეთაგან შესაწყნარებელის სამართლით გაყოფს მარიაძვეარის და გიორგიწმინდელთ მიწის მღებარეობას.

რადგან ეს სადაო მამული მაყაანთ კელთ ეჭრათ, საქართველოს სამართლით ფიცი მაყაანთ ერგებოდათ. მაგრამ ზემორე აღწერილის ხუთსავ აღმოჩენილს საბუთებით და შესაწყნარებელის მიზეზებით სამართალმა ფიცი გიორგიწმინდელთ მიუგდო.

წადგნენ გიორგიწმინდელი ერთობით და ასე ფიცონ: «ამისჲა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმა მაყაანო, ეს მეფის ალექსანდრეს წიგნიც კემპარიტი იყოს და სამართლით სამამულედ თქვენ კელი არა გქონდესთ».

თუ ასე ფიცეს, დარჩებათ ეს სადაო მამული ოლეს გარეთ

<sup>1</sup> დავადევით. <sup>2</sup> ჰმეორედ.



ჩერქეზიანთ სამზღვრამდის გიორგიწმინდელთა. და თუ ვერ დაი-  
ფიცეს, დარჩებათ მაყანთ, სადამდისაც დღევანდლამდის ჰქონე-  
ბიათ.

ემიკალასბაშო გ ა რ ს ე ვ ა ნ! განჩინება ესე ასე აღასრულე.  
მარტის იმ, ქორონიკონს უოთ.

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ი რ ა კ ლ ი  
მეორე. ამ განჩინებას ვამტკიცებთ. გიორგიწმინდელთ ფიცი აღარც-  
კი ექირებოდათ, მაგრამ თითონ მოინდომეს ფიცი და ჩვენც ნება  
მივეციოთ. აპრილის დ, ქორონიკონს უოთ.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს დ ე დ ო ფ ა ლ ი პატრონი  
დ ა რ ე ჯ ა ნ, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. აპრილის დ, ქორონიკონს  
უოთ.

ქ. ჩვენ, მრჩობლათავე საქართველოს უფლისწული მე ფ ო ს  
ძ ე გ ი ო რ გ ი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. აპრილის<sup>1</sup> დ, ქორონი-  
კონს უოთ.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოჲსა პ ა ტ რ ი ა რ ხ ი ძ ე მე-  
ფისა ირაკლი მეორისა ა ნ ტ ო ნ ი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას.  
აპრილის დ, წელსა ჩღჟა<sup>2</sup>.

ქ. ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ, ამ განჩინებას ვამ-  
ტკიცებთ აპრილის ე, ქორონიკონს უოთ.

ქ. ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ, ამ განჩინებას  
ვამტკიცებთ. აპრილის ე, ქორონიკონს უოთ.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მე ფ ო ს ძ ე ფ ა რ ნ ა ო ზ,  
ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. აპრილის ზ, ქორონიკონს უოთ.

<sup>1</sup> აპრილის მარტის. <sup>2</sup> ჩღჟთ.

1791 წ. 18 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 35. საბ. № 161. პირი. ქალაღი. მხედრული.

[114] მისის უგანათლებულესობას საქართველოს [უფლ]ისწულს მეფის ძე გიორგის ებრძანებინა [ჩვენ, ალექსან] დრე ეშკადასბაშისათვის და ჯორას შვილის ნაზირის ტარე-ელასათვის: აბულვარდის შვილი მღვდელიო და ცალქალამანიძე იოსებ რომ მიწაზედ დაობენო თქვენ ალაპარაკეთო და ამათი ლაპარაკი სწორეთ შეიტყუებითო.

თომა მღვდელი ამას უპასუხებდა იოსებსა: გრძელა მიწა რომ არისო, შენთვის არ ჰომიყიდნიაო და არც წიგნი მომცილო და ძველი სიგლების ისევ მევე მაქვსო.

იოსებ ამას მიუგებდა თომასა: გძელა მიწაო ექვსის დღისაო ნასყიდი მაქვსო და ნასყიდობის წიგნიც მქონდაო მოცემულიო შენის გაუყრელის სახლის კაცების გიორგისაგან, იონათამისა და იოსებისაგანაო და შენი სახელიც შიგ ეწერაო იმ ნასყიდობის წიგნშიაო და ის სიგელი დამეკარგაო; ამის მიზეზითაო მოლარეთხუცესი გლურჯიძე ელისბარ მიჩიოდაო შენგან მოსყიდულს გძელს მიწაზედაო, მიმიყვანეს მდივან [v] ბეგ ფარსადანთანაო და მალაპარაკესო და ის ნასყიდობის შენის სახლის კაცების წიგნი რომ მქონდა, ისიც მიმატანინაო და ფარსადან მდივანბეგს ქონდაო და შენ კი ხელი აგაღებინეს იმ მიწაზედაო. ის წიგნი ნასყიდობის მდივანბეგის ხელში დაიკარგაო, ველარ იპოვნაო და განაჩენი დამიწერა, მომცაო, რომ ახლაც ხელში მიჭირავსო.

ახლაც კიდევ სხვა მოწმე[ე]ბი მოვთხოვეთ იოსებსა\*; მოწამე წამოაყენა გოგიბედას შვილი დავით, ასე უმოწმა იოსებსა: ის გძელა მიწაო ამ იოსების მამის ნასყიდა არისო, დათუაჯავახი შვილის დროსაც ამას ეჭირაო და ესე სჭამდაო იმ მიწის მოსავალსაო. მეორე გოგიბედას შვილა კიკოლა წარმოდგა, იმანაც ასე უმოწმა: სანატრელად მოხსენებულის მეფეს თეიმურაზის დროსა მე ჯაბადრათ ვახლდიო, როცა შინ მივიდოდიო მაშინ ვინახვდარო, ის გძელა მიწა იოსების მამას ეჭირაო, ამათ ნასყიდიც იყოვო და თითონ ბიძაჩემმაც სამნებიც ჩაუსხაო და ბიძაჩემი ლუარსაბ გასყიდვაშიაც დასწრებოდაო და იოსებს ეჭირაო.

\* „იოსებსა“ გადახზულია და ზემოდან იმავე ხელით ჩაწერილია „თომამ“.

ამ ზემორემოსხენებულის ძალითა და მოწმე[ე]ბის სიტყვითა  
ის გძელა მიწა იოსებს დარჩა. ახლა ნება ამათის უგანათლებულე-  
სობისა[ა]. მარტის იმ, ქორონიკონს უოთ.

თავში:

ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი,  
განჩინილს სამართალს ვამტკიცებთ. მარტის კ, [115] ქორონიკონს  
უოთ. გიორგი

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე იულონ, ამ განჩინებას  
ვამტკიცებთ. მარტის კა, ქორონიკონს უოთ. მეფის ძე  
იულონ

ჩვენ, სარდარ ქალაქის მოურავი დავით, ამ განჩინების მო-  
წამე ვარ. საოდალ  
მოურავი  
ქალაქისა  
დავით

### 302. განჩინება გუნებრავისა და ზალინბეგაშვილის მამულის საქმეზე

1791 წ. 26 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5347. დედანი. ქაღალდი. 33×20,8 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია წერტილი.

ქ. მისს უგანათლებულესობას ბატონს ბატონის შვილს  
გიორგის ებძანა ჩვენ, მათის შვილის იონესათვის ბუნ-  
ტურებისა და ზალინბეგას შვილის სამართალი. ჩვენ  
მოვაცყვანიეთ ესენი და სამართალში ვალაპარაკეთ.

ზალინბეგაშვილს ამას უჩიოდნენ ბუნტურები, რომ შან-  
შე ერისთავისაგან და იმის მამისაგან გეჭონიაო<sup>1</sup> ნაბოძე-  
ბიო სხეპის ნახევარიო. და წიგნიც მოიტანეს შამშე<sup>2</sup> ერისთავის მო-  
ცემული და იმაშიაც აცხადებდა, რომ სხეპი ამათვინ მიეცა.

ზალინბეგაშვილი უპასუხებდა; რომ ეს სხეპი  
სულ მთლად ჩემთვის მოუცილა შამშე ერისთავსაო. და წიგნი მოი-  
ტანა. ამ ზალინბეგაშვილის წიგნში სამისტრიქონი მოშლილი იყო.  
ამაში ჩვენ ვკითხეთ: ეს ამტენი წაშლილი რა არისო?

ბუნტურებმა თქვეს, რომ ამაში მამის ჩვენისა და ბიძის  
ჩვენების სახელები ეწერაო და თქვენ მოგიშლიათო.

<sup>1</sup> გეჭონიაო. <sup>2</sup> შამშე.

ზალინბეგაშვილი ანობდა, რომ უწინდელი მოშლილიაო.

მაგრამ ჩვენ ეს წაშლილი წიგნი კარგად გავსინჯეთ და აღმოვიკითხეთ, რომ ასე ეწერა: რაც ბუნტურს ავთანდილს და ნადირას და შიოს, ქოჩორას ჩვენგან და მამის ჩვენისაგან წყალობა სჭირდებოდაო, იმის გარდაო გვიბოძებიაო; და ამ ზალინბეგაშვილის წიგნი მოშლილი იყო; და რაც დავსწერეთ ეს ასე აღმოვიკითხეთ; და სწორეთ მოშლილიც არის. და ნება თქვენის უვანათლებულესობისა აღსრულდეს.

და კიდევ დავით ერისთავის აგანაც წყალობის წიგნი მოიტანეს ამ ბუნტურებმა, რომ ასე უცხადებს: რადგან ბატონის მამის ჩვენისა და ბიძის ჩვენისაგან წყალობის წიგნი გქონდათო, ჩვენც მოგვიცაო ნახევარ სხეპიო.

აწლა ჩვენც რომ გავსინჯეთ და ამათი წყალობის წიგნები ვნახეთ, და ორისავე ერისთავებისაგან მიცემულ ქონდათ და ზალინბეგას შვილის წიგნში ამათი სახელები მოშლილი იყო, ჩვენ ასე გავაჩინეთ, რომ შუა უნდა გაიყონ ის ნასხეპი. და ნება თქვენი უვანათლებულესობისა აღსრულდეს.

იოსებ კონსტანტინეშვილო! ეს სხეპი უნდა მიხვრდე და ამ ბუნტურებს და ზალინბეგაშვილს გაუყო შუაზედ. მარტის 33, ქორონიკონს უოთ.

ბეკელი: სასოებათ მაქვს ძელი ცხოველი, მრჩობლის ცხოვრებას მისგან მოველი, იოანე.

### 303. განჩინება სოლომონ ბაბურიშვილის ხმების საქმეზე

1701 წ. 1 აპრილი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 1210. დედანი. ქალაქი 55X30,8 სმ. დაზიანებული, ალაგ-ალაგ ამოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი.

ქ. მის უმაღლესობას ბატონს დედოფალს ჩუენ — საქართველოს მსაჯულთშეკრებილთათვის ებ[ძანა]: ბებურისშვილს სოლომანს სესია და ნინია უჩივიან, შენი ყმანი არა ვართო, ალაპარაკეთ და სამართალი მიეც[ითო]. მათის ბრძანებისაებრ მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

სოლომან [ამბობდა]: დიდი ხანია ეს სესია და ნინია ჩვენთან მოვიდნენ და როდესაც კახეთი აიწე[რა, მაშინ] ყმად დაი-

წერნე[ნ] და რომ გავიყარნით მე და ჩემი სახლის კაცნი, ესენი ბარათით მე მერგნენ, თუ ჩემი არ იყ[ვ]ნენ, ან კახეთის აწერაში ჩემს ყმად რათ დაიწერნენ, ან ბარათში რომ ჩავვადღევით, რატომ მაშინ არა თქვეს, ამათი ყმანი არა ვართო.

ს ე ს ი ა მ და ნ ი ნ ი ა მ მ ი უ გ ე ს: ცხინვალელი მაისურაძე[ენი] ვართო, გადავსცვივდით. ხიზნათ მივედით და მაგათის მამულისათვის ქელი არ მოგვიკიდი[აო].

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, ბატონს დედოფალს სამართლიდამ მოვახსენეთ: ცხინვალელებიდან როგორც მოგხსენდათ ამათის მაისურაძეობისა, ის გვიბძანეთ. მის [უმადლესობას] ასე ებძანა: მაშინ ეს კაცნი ამ ბებურისშვილს რომ ედავებოდნენ, ჩუენ ცხინვალეებს ვკითხნეთ და იმათგან ასე მოგვიხსენდა — ჩვენ მაისურაძეები არ გვაკლიაო და არც ამათი მამული ჩანსო და არც ამათი მაისურაძეობა ვიცითო; მარა ცხინვალის მაქასანლისიც აქ არის, იმასაც კითხეთო.

რადგან ეს სესია და ნინია ამას ამბობდნენ, ჩვენ ცხინვალეები ვართო და მაისურაძეებო, და ცხინვალეებს მოუხსენებიათ, არც ამათი მაისურაძეობა ვიცითო, არც მაისურაძეები გვაკლიანო და არც ამათი მამული ჩანსო. რადგან განწესება ასეა, ამ ხნის ჩასული კაცი [საიდა]ნაც მისულა. იქიდან მოკიდებული ამ რიცხვამდინ იმასთან დგომილა, ველარ წაუვა. მარა რომ ამბობდნენ — სახასონი ვართო ცხინვალელნი მაისურაძეები და მამულიც ცხინვალსა გვაქვსო; და ცხინვალელთ მოუხსენებიათ — არც ამათი მაისურაძეობა ვიცითო, არც ამათი მამული ვიცითო და არც მაისურაძე [ჩვენ] გვაკლიაო; ამათის მოწმობით გამტყუნდნენ, რომ არც მაისურაძეები ყოფილან, არც მამული უჩანსო.

ამ საბუთებით ეს სესია და ნინია და ამისი ძმისწულები ამ სოლომანს ყმად დარჩნენ. და თუ ეს სესია და ნინია ასეთს ძლიერს საბუთს [მოი]ტანენ, რომ მართლა სახასონიც ყოფილიყვნენ და ამათი მამულიც; სამართალს დაუნიშნონ, მაშინ ამ ნინიას და სესიას სამართალი მიეცემათ. და თუ ამისთანა საბუთს ვერ მოიტანენ, ველარას ედავებიან და დარჩებიან ყმად. და ნება მათის სიმადლისა არის. აპრილის ა, ქორონიკონს უოთ.

ოთხი ბეჭედი:

1. მ ე თ ო დ ი
2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა  
ნ ი კ ო ლ ო ზ
3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ

4. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშიკალასბაშ მყო მღივან-ბეგი თ ე მ უ რ ა ზ.

და დარჩენ ყმად სოლომონს და ამის ძმისწულს ომანს. ამ განაჩენში რომ ასე დავპირდით, და მე, მ ზ ე ჭ ა ბ უ კ დ ი ა ნ ბ ე გ ი კიდევ გაჩხრეკას უპირებდი, ჩემს სადგომს მყოფს მოვიდნენ სოლომონ და ეს ნინია და სესია და ასე თქვეს: «რაც მეტნაკლებობა მოხდაო, სულ უმამულობით მოხდაო; და თუ მამულს მოგვეცემო და გაძლებასაო, შენ ბატონიო და ჩვენ ყმანიო». სოლომონმაც დიდის ფიცით აღუთქვა მამულის მიცემა და გაძლებინება.

აიყარეს ნაბდები, შემოვიდნენ მუხლისთვით და მუხლს აკოცეს. მე რომ ასე ვნახე, ჭეშმარიტებისაგან იძულებულმან დავბეჭდე ორთავე მოღავეთ ნებართ[ვით].

ბეჭედი: მ ზ ე ჭ ა ბ უ კ.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აპრილის იე, ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს დედოფალი პატრონი დარეჯან, მსაჯულთა მიერ განსჯილს განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. აპრილის ჭ, ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

კიდევზე:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატ[რი-არქი მე]ფის ირაკლის ძე ანტონი, განჩინება[ს] ამას ვამტკიცებ[თ]. აპრი[ლის... ქორონიკონს].

ხელრთვა: ანტონი.

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული. მეფის ძე [გი]ორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. აპრილის თ, ქორონიკონს უ[ო]თ.

გიორგი

ქ. საქართველოს უფლისწულის ძე იოანე ვამტკიცებ განაჩენსა ამას. მთიბათვის დ, ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: სასოებათ მაქვს ძელი ცხოველა, მრჩობლის ცხოვრებას მისგან მოველი იოანე.

1791 წ. 3 აპრილი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 26. საბ. № 279. პირი. ქალაქი. მხედრული.

[215v] კორინთელი<sup>1</sup> პაპუა ჩიოდა: ოსებმა გაქცეულს ძმას ნინიას ტყვისა გასყიდვა შესწამესო და ამაზე დავა დამიწყესო. თქვენს შვილს იულონს მოვანსენეთო და ოქმი მიბოძაო, რომ სამართალში უნდა ჩვენთან ელაპარაკნეთო და უსამართლოდ არა ეწყენინებინათო. იმათ თქვენის შვილის ბრძანებას არა დასდივეს რაო, ნათლისღებას ღამეს მომიხდნენ სამოცდათექვსმეტი ოსი სახლში, ცეცხლი ჩამომავარესო, ერთი თოფი მე მკრესო, ერთი თოფი ჩემს ძმას ელისბარსაო და მძიმეთ დაგვეკრესო, რომელსა სახლში მე ვიყავო, ის სახლი კი ველარ გამიტყვესო და ციხეში კაცი არავინ იყოო, მივიდნენ, ციხის კარები დაამტკრიესო და რაც რამ მქონდა, სულ გამოიტანესო.

ეს მოვიკითხეთ და როგორც ეს პაპუა ჩიოდა, ასე მომხდარიყო. პირველი დანაშაული ოსებისა ესე, რომ: ჩვენს შვილს იულონს მიუწერია, ჩემს სამართალში ელაპარაკნითო. და სამართალს გიზამთო და უსამართლოდ ნურას აწყენინებთო; არ დაუჭერებიათ და მოხდომიან. ამისი სამართალი ჩვენმა შვილმა იულონმა [216] იცის, როგორც ენებებოდეს, ისე გარდაანდევინოს.

პაპუა კორინთელისა<sup>2</sup> და იმისის სამართალი ასე განგვიჩენია: კორინთელები<sup>3</sup> საქართველოში პირველი აზნაურშვილები ყოფილან, მაგრამ რადგანაც გაყრილან, შუას აზნაურშვილათ დავდევით. ცოლშვილში რომ მოხდომიან და ბანიდამ ცეცხლი ჩაუყრიათ და სროლა დაუწყიათ. ამისათვის ერთი მთელი სისხლი უნდა მოსცენ ოსებმა თავისის გვარისა, რომ იქნება შუას აზნაურშვილისა ერთი მთელი სისხლი ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი ჟვ — ამდენი, ეს მთლად მოხდომისათვის უნდა მოსცენ ოსებმა კორინთელს<sup>4</sup> პაპუას და იმის ძმას ელისბარს.

და პაპუასათვის რომ თოფი უკრავთ და მძიმეთ დაუჭრიათ, ასე რომ ამისი მორჩომა აღარცავის კი ჰვონებია, თოფით დაჭრილის სისხლი ნახევარი გავვიჩენია, რომ იქნება პაპუას ნახევარი სისხლი ორმოცდარვა თუმანი გვ — ამდენი. ესეც ოსებმა უნდა მოსცენ.

<sup>1</sup> კორინთელი. <sup>2</sup> კორინთელისა. <sup>3</sup> კორინთელები. <sup>4</sup> კორინთელს.

და ელისბარ რომ თოფით დაჭრილა, იმას რადგანც შენობაში არა ჰქონებია მოხვედრებული და გაკრული აქვს, ის უნდა გაიშინჯოს და როგორც დაჭრილი ყოფილა, ამისი სისხლიც უნდა მისცეს. და რაც ან წახდენით და ან წაულიათ, ისიც უნდა უზლონ და უკან მოუბრუნონ და უკლებლად უნდა [v] მოსცენ.

თუ თავიანთ სიტყვას ვაამართლებენ და ამ პაპუას ძმა იმათის ტყვეების საქმეში რევებულა, ამის სამართალს როგორც თითონ გააჩენენ, ჩვენ ყაბული გვაქვს. თავისის გაქცეულისა და ხელაღებული სძმისა სახლისკაცისა და ნათესავისას თუ ისინი დაიდებენ თავსა, ჩვენც სამართალს მივაცემინებ[ბ]თ. და თუ ისინი არ დაიდებენ თავსა და არცარა საქმე ამათთან ექნებათ.

ამ პაპუას მოხდომაში სამოცდათექვსმეტი კაცი რომ ყოფილა. ამ სამოცდათექვსმეტის კაციდამ რომელსაც ხელში ჩაიგდებს, იმას უნდა გარდახდეს. ამისი თქმა არ იქნება: მე მუშა ვიყო, მე საქმე არა მაქვსო. რომელიც თავისთავს მუშას ეძახის, იმას უფრო დიდი დანაშაული აქვს.

ჩვენ ასე გაგვიჩენია და ასე დაგვიმტკიცებია. ამას იქით ოსების სამართალი ასე უნდა მოხდეს. და ოსსა და ჩვენს კაცში თუ სასისხლო საქმე მოხდა რამე, რასაც სისხლს ოსები თავისის მკვიდრისას იღებენ და თავისის ტყვისასა, ქართველის გლეხის კაცის სისხლიც ის გაგვიჩენია, ოსების დავაში მკვიდრსაცა და ცოცხალსაცა. რომელსაც დაატყვევებენ. და აზნაურშვილის სისხლი ერთი სამათ გაგვიჩენია. და თვადიშვილის ერთი ექვსად გაგვიჩენია ამ ოსების დავ[ა]ში [217] თავ-თავისის მიხედულობითა.

ეს სამართალი, რომელიც ოსების ბატონი თვადიშვილები არ არიან, იმათი გაგვიჩენია. და რომელიც ოსების თვადიშვილები არიან, იმათი სისხლი ხომ ძველათგანვე გაჩენილი არის და კიდევ შეტათა, და ჩვენ იმას ვერ მოვშლით.

ეს ასე გაგვირიგებია და ასე დაგვიმტკიცებია და ასე უნდა ამას იქით ოსებისა და ქართველების სამართალი ასე მოხდებოდეს. აპრილის 8, ქორონიკონს უოთ.

ესეც ასე გვიბრძანებია: რაც ოსი ან ქურდობაზე მოკვდება ან მიხდობაზე, იმისი სისხლი არც გაუჩნდებათ და არც მიეცემათ. და ეგრეთვე ქართველი კაცი რომ წავიდეს იმათში საქურღლათა და იქ ოსებში მოკვდეს, არც იმას გაუჩნდება სისხლი.

ჩუენ, ყოვლისა საქართველოსა კათალიკოს პატრი-



არხი ძე მეფისა ირაკლი მეორისა ანტონი, მისას სიმაღლი-  
საგან განჩინებას ვამტკიცებთ. აპრილის ივ, ქორონიკონს უოთ. კა-  
თალიკოზი.

ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, მისის უმაღლესობის ბრძანებას ამ განჩინებას ვამტკიცებთ. აპრი-  
ლის ივ, ქორონიკონს უოთ.

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე იულონ, ამ განჩინებას  
[v] ვამტკიცებთ. აპრილის ივ, ქორონიკონს უოთ.

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, ამ განჩინებას  
[v] ვამტკიცებთ. აპრილის ივ, ქორონიკონს უოთ.

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე, განჩი-  
ნებასა ამას ვამტკიცებ[თ]. აპრილის ივ, ქორონიკონს უოთ.

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ფარნაოზ, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. აპრილის ივ. ქორონიკონს უოთ.



### 305. განჩინება ზაზა მაღალაშვილის შვის თავედორა ბიძინაშვილის საქმეზე

1791 წ. 9 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14187. დედანა. ქალაღი. 82,7×30,5 სმ. და-  
ზიანებული. ალაგ-ალაგ ამოხეული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად  
ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მის უმაღლესობას ჩვენ საქართველოს უფლისწულის ბა-  
ტონიშვილის გიორგისათვის ებძანა: მაღალა-  
შვილი ზაზა მაღალაშვილს დავითს, სვიმონს და  
ამათს ძმისწულებს რომ უჩივის, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცი-  
თო. მათის ბრძანებისაებრ საქართველოს მსაჯულთშეკრებილებ[ა]  
ჩვენ[თან] დავისწარით, ესენი მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ზაზა ასე ჩიოდა: ბიძა ჩემს ფირანს თავისი ღ[ორი დაეკ-  
ლა], თავისის მეძებრებისთვის თავისის ღორის სისხლი უჭმევია.

ზურაბ მოსულა, ფირანის [მეძებრები] დაულახავს, თავისი მეძებრები მოუსხავს, ფირანის ღორის სისხლი თავ[ი]სის მეძებრებ[ისათვის] უქმევი. ფირანს უთქომს: რას მემართლებოდი, ჩემის ღორის სისხლი ჩემს მეძებრებს რათ [არ აქამეო]. ფირანისათვის ორი სამი ჯოხი ზურაბს დაურტყამს. ფირან გაქცეულა თავის სახლში: შესჭრია ზურაბ, მიხდომია კარზედ, ფირანს კარი მოუკლექია, ზურაბს უგინებია, კარში გამოდოო; შინად[ამ] კმალი უძგერებია და დაუჭრია. ის დაჭრილი შინ მისულა და უთქომს: ჩემი თავი მე მოვკალო, ფირანს ნურას ერჩითო, ჩემი ცოდვა იმას, ვინც ფირანს ერჩოლოს რამეო. ის დაჭრილი მომკუდა[რა]. ფირან მორიდებია.

ამ დავითისა და სვიმონის ძმას — იაკობს და მამუკას ფირან ფიცით მოუყვანიათ, ამათვე უღალატებიათ და უსამართლოდ ფირანისათვის თვალები დაუთხრიათ. მერე იმ თვალდათხრისათვის საკანონოდ ნიკოლოზ კათალიკოზს ეს ბიძინაშვილი გამოურთმევი.

იმავ იაკობის ძმათ დაუჭერიათ ეს კაცი, მამაჩემი კარში ლეკებს მოუკლავსთ, მე ერთის წლისა ვერცკი დაერჩომილვარ, ჩემი ყმა და მამული და ეს კაციც ამათ დაუჭერიათ, ჩემი ყმა და მამული დამანებეს ამ კაცს კი არ მანებებდნენ, საკანონოდ არის ალებულიო.

მის უმაღლესობას მოვასხენე, მისმა უმაღლესობამ ოქმით მიბოძა და მის უწმინდესობას კათალიკოზს ანტონისთან გაგზავნა ციციის [შვილი გივი და მდივანი] სულხან — ამ ზაზას ამ კაცზედ სამართალი მიეცესო. მისმა უწმინდესობამ ბძანა გავარიგებო. მერე მისმა უწმინდესობამ მეც მ[ი]ბძანა გავარიგებო. და მისმა უმაღლესობამ მდივანბეგს თეიმურაზს და გივს ციციის შვილს ფიცით კითხა; ამათ რაც იცოდნენ, მოახსენეს. ოქმით კიდევ მიბოძა. და მისმა უწმინდესობამ მიბოძა განჩინებით. მარა ამათ მოახსენეს: ჩვენი ძმა იაკობ ფირანის თვალის დათხრაში არა რეულაო. მისთვის ეს განაჩენიც წამართვეს და აღარც ეს კაცი დამანებეს. სამართალს ვითხოვო.

სვიმონმა და მისმა ძმისწულმა მიუგეს: ფირანის თვალის თხრაში ჩემი ძმა იაკობ არა რეულაო, მამუკამ დასთხარა თვალებითო. და კათალიკოზმა ნიკოლოზმა ეს ბიძინაშვილი საკანონოდ აიყვანაო. და მისმა უწმინდესობამ კათოლიკოზმა ანტონიმ ჩემი ძმის წული სოლომონ მონათლა. ეს კაცი ამ წერილით ასე უბოძა და მას აქეთ ჩუენა გ[ვ]ყავსო.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, ჩუენ ამ ზაზას მოწმობა მოვთხოვეთ, რომ მართლა ზურაბ ფირანს უსამართლოდ მიხდომოდეს.

გიემა ციციშვილმა ასე იმოწმა: ფირანს ღორი დაეკლა, იმის სისხლს თავის მეძებრებს აჰმეკდა; ფირანს ორი-სამი ჯოხი დაჰკრა ზურაბმა. ფირან გაქცა, თავის სახლში შეიჭრა, კარი დაუკლიტა; ზურაბ აგინებდა — კარში გამოდიო, ფირან გამოვიდა შიშვლის კმლით და მუცელში შესცა ზურაბს კმალი. იმ დაჰკრილმა თავისივე სიცოცხლეში თქვა მღუდელთან და ერთან: ღმერთმან მომცეს პასუხი, თუ ფირანს შესცოდოს ვინმე, ჩემი თავი მე მოვკალო.

მასუკან მამუკამ და იაკობმა ფირან ფიცით მოიყვანეს და სასხლევით თვალები დასთხარეს. იმ საჩივრის ოქმი რომ უბოძეთ ზაზას, ის ოქმი სულხან მდივანს და მე მიბოძეთ. ნეტარხსენებულს კათალიკოზს ანტონისთან მივედით და მივართვით და ვვიბრძანა, გავარიგებო. ამ ბიძინაშვილის ოქმი იყო, ჩვენ რომ მივართვითო.

აგრევე მდივანბეგეში კადას ბაშმა თეიმურაზმა იმოწმა: როგორც ამ გივს მოუხსენებია, ასე იყოო.

მალალაშვილმა მღუდელმა ადამ [მ] ასე იმოწმა: მამუკას ფირან ქალაქს მოყუ[ან]და, ციციანი გადაუდგენ ნიჩბის [ს], გამოართვეს და მდივანბეგის სახლში იყო. იაკობს კაცი გამოეგზავნა, ფიცით დაეჯერებინა, არას გერჩითო, ისე წაეყუ[ან]ათ, გაღებრუნებინათ და თვალები დაეთხარათ. და როგორც გივს მოუხსენებია, სწორე ასე იყოო, ამისი დამსწრე და მოწამე ვარო.

ამათის ლაპარაკის მოსმენით და ამ მოწამეთ მოწმობით დარჩა ეს წინარეხელი ბიძინაშვილი თევდორე და მისი ძმისწული ამ მალალაშვილს ზაზას ყმად.

პირველად, ამისთვის, რომ: ზურაბ ფირანს თავის სახლში მიხდომია უსამართლოდ; და დამხდომს ის მომხდომი მოუკლავს. საქართველოს სამართლის განწესებით დამხდომ[მა] მომხდომი რომ მოუკლას, სისხლს არ მიაცემინებენ. ამათის მოწმობით ზურაბ ფირანს უსამართლოდ თავის სახლში მიხდომია და მოუკლავს. სამართლით სისხლი არ უნდა სდენოდა. და რადგან სამართლის უკითხავათ თითონ იმ მოდავეთ უსამართლოდ გარდაახდევინეს — თვალები დათხარეს, სამართლით იმ თვალდათხრილს სისხლი უნდა მისცემოდა და საკანონო რაღ[ა]ში გამოერთმეოდა უსამართლოდ თვალდათხრილს? თუ დამნაშავე იყო, მისაგებლად თვალდათხრა კმარიყო და საკანონოდ აღარ უნდა გამორთმეოდა. ორჯერ განაჩენით ისევე ბოძებია. ამ ზაზას ის განაჩენიც გამოურთმევია და ის კაციც.

მეორედ, ამისთვის: სვიმონ ამბობდა, იაკობ არ რეულა ფირანის თვალის დათხრამით და ამდენმა მოწამემ იმოწმა, იაკობმა დასთხარა თვალეზიო.

მესამედ, ამისთვის: ამ სვიმონის ძმას — იაკობს შეუფიცნია, არას გერჩითო, მიუტყუებია, თვალეზი უსამართლოდ დაუთხარია და იმ უსამართლოდ თვალდამთხრელს იაკობის ძმათ კაციც წაურთმევიათ.

სამართალმა ის ბიძინაშვილი ამავე ზაზას დაანება და ნება მისის უმალლესობის არის.

ყორიასაულბაშო საამის შვილო ზაალ! ასე აღასრულე. მაისს თ, ქორონიკონს უოთ. ვიორგი

შვიდი ბეჟელი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.

2. მეთოდი

3. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვეედრებ ვიქმნა მარჯულად ქაიხოსრო.

4. მდივანბეგი

5. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბეჟან

6. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშიკალასბაშ მყო მდივანბეგი თემურაზ.

7. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონთაეში:

ქ. ჩვენ, მეფე საქართველოსი ირაკლი მეორე, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. აგვისტოს კბ, ქორონიკონს უოთ.

ბეჟელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. ჩვენ, საქართველოსი დედოფალი დარეჯან, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. აგვისტოს კდ, ქორონიკონს უოთ.

ბეჟელი: დედოფალ დარეჯან.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქარუველოსი პატრიარხი მეფის ძე ანტონი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. სექტემბერს ა, ქორონიკონს უოთ. ხელთვა: კათალიკოზი.

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი იულონ ამ განაჩენს ვამტკიცებთ. აგვისტოს კშ, ქორონიკონს უოთ.

ბეჟელი: ტომსქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

1791 წ. 2 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1109. დედანი. ქაღალდი. 27×16,2 სმ. აქა-იქ ამოხეულია. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. მათს უგანათლებულე[სობას მეფის] ძეს ვახტანგს ებრძანა ჩვენ, კახეთის მოსამართლეთათვის, რომ პეტრიაშვილს იასეს და ნაცვლიშვილს პაპუას სამართალი თქვენ მოეციოთ.

ჩვენ მალრანელნი დავიბარეთ, ვინც ამ იასემ გვითხრა: ნაცვლიშვილი ჯანი, მღვდელი პეტრე, ხომიჭური ნიკოლოზ და ბლუნიია.

ამათ ფიცით ვკითხეთ, [თუ როგორ] არის ამათი საქმე. ამათ ფიცით [დაგვიდასტურეს]: ის მამული არც არის მელიწკაურთ-დარც არის პაპუას შვილისა და არც ნაცვლიანთი; და არც ვიცით, ვისი არის და ვისი არა, და არც დღევანდლამდის ნასყიდობა გავგიგონიაო.

ამათ ასე ფიცით გვარწმუნეს: ამ პაპუას პაპას მოუკიდნია ხელი და უპირამს, მაგრამ აქ ვიცით ვისიაო. ამათის მ[ოწმობით და ფიცით] ბეითალმანად აღმოჩნდა — თქვენს მამულად და ნება თქვენია, ორნივე მანდ გაიხლებიან. გენებებოდესთ ნაცვლისშვილს უბოძეთ, გენებებოდესთ პეტრიაშვილს.

ერთი ამისთანა წიგნი პაპუასათვის მიგვაცია. თიბათვის ბ, ქორონიკონს უოთ.

ორი ბეჭედი:

1. მონა ლთისა მდივანბეგი ოტია
2. მონა ლთისა მდივანი სვიმონ

### 307. განჩინება ღათუნა მსიტაშვილის მამულის საქმეზე

1791 წ. 8 ივნისი

ცხსა. ფ. 1448. № 286. დედანი. ქაღალდი. 28,5×13,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ჩვენ, რუსთველმან ჩერქეზის ძემან ბატონმა ნიკოლოზ, მოკითხული ვქენით და ჩვენთანაც ილაპარაკეს, ასე რომე: ეს იტასშვილი დათუნა მიწას ეცილებოდა ტუცნას შვილებს ტუსის და მამუკა ბერს ჩემი არისო; სრულ უფროსნი კაცნიც ეს იტასშვილს ემოწმებოდა.

მაგრამ კიდევ ფიცი დაიდვა დათუნამ, წადგა სიონში, ასე დაი-  
ფიცა თვითონ დათუნამ, რომე: «ის მჭადიშვილებს რომ  
მიწა ეჭირა, ძველადგან სამკვეიდრო ამისი ყოფილიყო, საწისქვი-  
ლოს ადგილი რომ არის იქამდი და აქათ ქვეამდი კაცს ხელი არა  
ჭონდეს. არც სხვა კაცი მიცილებული ყუანდეს». ამრიგად შეფიცა  
და თავისი გამოიტანა დათუნამ.

ახლა რადგან ასე ამრიგად დაიფიცა, ჩვენც ფიცი აღარა ჩაუ-  
ტარეთ და დავანებეთ, რომე დღეის უკან მაცილებელი აღარავინ  
ყუანდეს. ჩუენც ასე დაუმტკიცეთ და ეს წიგნი მივეციეთ. სრულ  
საცხენელნი მოწმენი არიან და ფიცში დამწყუდელნი, რომე ამას-  
თან ქელი აღარა ვის აქვს; თავისი სამკვეიდრო მამული დაინარ-  
ჩუნა.

ხელთვა: რუსთველი ნიკოლოზ.

verso

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, მთავარეპისკოპოსმა  
პაიისიოს ეს საფიცრის წიგნი ვიხილეთ, რომელიცა ესიტა-  
შვილის ფარსადანის პაპას რომელსამე მამულზე დაეფე-  
ცა და მათს ყოვლად სამღდელოებას რუსთველს მართლად  
აღმოეჩინა ფარსადანის პაპა; და შენდობით და ყოვლის კაცის  
უცილებლად დაენებებინა. არც ცოდო იყო იმ მამულის ჭერა ფარ-  
სადანისაგან, არც ეკლესიის საწყენი იყო და არც უსამართლოდ  
ქონა იმ მამულისა, საქართველოს განწესებით კანონიანათ ეჭირა.

მაგრა რადგან ჩემი მამიდაშვილი იყო და ჩემი ნათესავი, ეს  
ფიცა რომ ვნახე, ამისი პაპა დაფიცებული იყო, ვერ მოვითმინე და  
ამ ფიცისაგან ავხსენ.

და რაც ის მამული და ქალა არის, რომელიცა გამოუფიცავთ,  
დღეის იქით რაც იმ მამულიდამ სარგო გამოვიდეს, ნახევარი ღმრთე-  
ებას მიერთმეოდეს, ყოველ წელ იმის გამოსავალს ნახევარს მიართ-  
მევდეს.

და ღმრთაების მადლი, წყალობა და მშვიდობა იყოს ფარსა-  
დანზე და იმის ცოლსა და შვილზე და თავის სათხოველი აღუსრუ-  
ლოს.

ჰ საშინელო ღმრთაებაჲ, არსებისა ხატო უცვალებელო, შენი  
მდიდარი წყალობა მოუვლინე ესიტასშვილს ფარსადანს  
და იმ ფიცისაგან განთავისუფლე და მიეც ძე, რათა არა აღიფხვ-  
რას ხსენება მისი. და შეიწირე ამისგან მცირე ესე შესაწირავი და  
მომადლე მშვიდობა. აღიწერა იენის[ს] ჭ, ქორონიკონს უოთ.

ბეჰელი: მთავარეპისკოპოსი პაისიოს  
რაც ამ მამულიდამ ლალა და კულუხნი ფარსადანას ერგებო-  
დეს, იქიდან ნახევარსა ღმრთაებას ფარსადან მიართმევდეს.

ბეჰელი: მთავარეპისკოპოსი პაისიოს.

### 308. ბანჩინება მამადგებინა და ალაბაბას მამულის საქმეზე

1791 წ. 9 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 20. საბ. № 76. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[92v] მის უმაღლესობას საქართველოს უფლისწულის ბატონის შვილის გიორგისათვის ებძანა: ქაზუმ-ბეგის შვილი მაჰმად-ბეგ ასე რომ ჩივის, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო. მათს უგანათლებულებობას ჩუენ, მსაჯულთათვის ებრძანა: ახუნდი თქვენთან დაისწართ, ალაპარაკეთ ესე და ამისი მოდავე და სამართალი მიეცითო.

მათის ბრძანებისამებრ ჩვენთან [93] დავისწართ ახუნდი მოლა იბრეიმა, მოვაყვანიეთ ორნივ მოდავენი და ვალაპარაკეთ.

მ[ა]ჰმად-ბეგ ასე ჩიოდა: ამის უწინარეს მამაჩემს და მოლა ისმეილას ამ წისქვილზე და დაბახანის ადგილზე სარჩელი მოსვლიათ. მის უმაღლესობას საქართველოს მეფეს თეიმურაზს მამაჩემი და ამათი მამა ულაპარაკებიათ და ამ განჩინებით ასე განუსჯიათ: ნახევარი იმ წისქვილების აბითურაბის შვილისათვის უბოძებია, ერთი ჩარეჟი ჩვენთვის და ერთი ჩარეჟი მოლა ისმეილისათვის. და დაბახანის ადგილი მე და მოლა ისმეილისათვის უბოძებია: იქიდამ აქამომდე მამაჩემს სკერია და მეცა მეჰკირა. ამ სამს წელიწადს წინათ აღაბაბამ და ქიჩიკადამ წამართვეს, სამართალს ვითხოვო.

აღაბაბამ ამის გასამტყუნებელი ვერა თქვა რა და გამტყუნდა. ამისი გამტყუნებისა და ამისი ვამართლებისა სარჩელი აბითურაბის ასე შვილის მირსაყულის განჩინებაში თვითეულად სწერია. ასე, რომ სანატრელი და ცხებული მეფე თეიმურაზ განჩინებით ასე ბრძანებს: აბითურაბის შვილი თუშმალი ქაზუმ-ბეგ და მოლა ისმეილა [v] ვალაპარაკეთ და ასე გავასამართლეთო, რომ იმ წისქვილების ნახევარი — აბითურაბის შვილსაო, დაბაღების ადგილი ნახევარი — მოლა ისმაილსაო და ნახევარი თუშმალ ქაზუმ-ბეგსაო: და წისქვილებისა ერთი ჩარეჟი — მოლა ისმეილსაო და ერთი ჩარეჟი — ქაზუმ-ბეგისაო.

იმ ბძანებიდამ მოკიდებული აქამომდენ ამ თუშმალ ქაზუმ-ბე-  
გის შვილს სპერია და ტყუილის დ ა ვ ი თ [ს] უსამართლოდ გამო-  
ურთმევია და სამართალმა ასე და[ა]ნება თავისი წილი იმ წისქვი-  
ლის მეოთხედი და დაბალების ადგილის ნახევარი ამ ქაზუმბეგის  
შვილს მაჰმად-ბეგს. და იმ წისქვილების მეოთხედი, დაბახანის ად-  
გილის ნახევარი მოლა ისმაილას შვილს ადაბაბას და მის ძმის-  
წულს დარჩა.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე მოლარე გოგია ვ! ეს ასე აღასრულე.  
ივნისის თ, ქორონიკონს უოთ.

|  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|
|  |  |  |  |  |
|  |  |  |  |  |

ჩვენ, ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე ირაკლი,  
სანატრელად მოხსენებულის ბატონის მამის ჩვენის ნაბოძებს სა-  
მართალსა და ამ მსაჯულთ განჩინებას [94] ვამტკიცებთ. მკათათვის  
კოთ, ქორონიკონს უოთ.

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, საქართველოს უფლოსწული მეფის ძე გიორგი,  
ამ მსაჯულთ განჩინილს სამართალს ვამტკიცებთ. მკათათვის კე, ქო-  
რონიკონს უოთ.

|  |
|--|
|  |
|--|

სამი სტრიქონი სპარსული ტექსტი

### 309. განჩინება გელაგანიშვილების შვის საქმეზე

1701 წ. 18 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10150. დედანი. ქალაღი. 57X 24 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტალი.

ქ. მისის სიმაღლის ბრძანებით ჩვენ, ყოვლისა საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქმან მეფის ირაკლის ძემან ან-  
ტონიმ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულების თანდასწრებათ  
და დიკასტირიათა შინათაც რომელთამეთა — შოშიასი და მისი  
ძმის ბეციასი და სარდლის ბეციასი სამართალი ვსაჯეთ,  
რომელიც რომ სარჩლობდენ ლომაურს გოგიაზე, ბერუ-  
ასა და მის ძმებზედ; რომელთაგანი ერთი ამბობდა ნასყიდობასა  
და მეორე გაცვლილობასა ლომაურისასა.



ლომაური იტყოდა თავდახსნილობასა ქაიხოსრო გედევანის შვილისასა და წიგნიც თავდახსნილობისა ხელთ ეკირა, რომლითაც რომ უკუსთქმიდა ორთავ სახლისკაცების ყმობასა მეტყველი იმ თავდახსნილობის წიგნით, დომენტი კათალიკოსს ვყმობივარო და მას მამული უბოძებიაო და მას დღეს აქეთ ეკლესიისათვის მიმსახურნიაო და ეკლესიის ყმა ვარო.

ჩვენ რომ ესენი ვალაპარაკეთ, ამათი საქმის ვითაობა მოწლედ გამკაცრებით განვიხილეთ თანადმოყოფთ შეკრებილებითურთ, ამათი მონასყიდობაცა და გაცვლილობა ზედმიწევნათ ვცანით მათითავე წერილებითა.

პირველად ლომაურსა ვკითხეთ: შენ რომ დომენტი კათალიკოსის დროს თავდახსნილობას ანბობ, რომლითაც რომ ყმობიხარ, ის გვაჩვენეო, თუ არ იმ წიგნით ეკლესიას ვერ ეყმობოდო. თავდახსნილობის წიგნი რომ ვნახეთ, ნასყიდობის წიგნი შვიდის წლით უწინ იყო.

მეორედ ეს, რომ რევანის შვილი გოგია მოწმად მოსდევდა იმ წიგნს, რომ მართალი არის, ბიძაჩემმა მიყიდაო.

მესამედ, ეს რომ ვკითხეთ: ლომაურო, შენ რომ ეკლესიის ყმობას ანბობ და დომენტი კათალიკოსისაგან მამულის ბოძებასა, აბა მაგაების ნიშანი გვაჩვენეო; პირველად მამულის წყალობის წიგნი გვიჩვენეო, რომ ხარჯი კათალიკოსის ყმაში გეძლიოსო.

მეოთხე, ეკლესიის სამსახურს რომ ამბობ, ან სათელი ან საკმელი ამ ზეთი ეკლესიისათვის რა გიძლევიაო თქვიო, რომლითაც რომ ნიშნები შენ გამართლდეო.

ამ ზემო დადებულებისა ვერაფერი ნიშანი ვერა მოიტანა რა, რომლითაც რომ უკუმო მიზეზებით ვერ დამტკიცებულიყო სიტყვა თვისი, განვარდა ეკლესიისაგან.

ახლა შოშიასა და ბეციას ვკითხეთ: ამ ლომაურმა ხომ ეკლესიის ნიშნები ვერა მოიტანა რაო და თავდახსნილობა გაუმტყუნდაო, რომ უიმისოდ ეკლესიას ვერ ეყმობოდაო სხვისაგან ნასყიდო, ახლა შენ გვითხარო, ამ შენს ბიძაშვილს რას ეუბნებო?

შოშიამ ერთი გაცვლილობის წიგნი წარმოაყენა, რომელშიაც რომ ასრე ეწერა: ლომაური სეხნია შენის ბიძაშვილის ქაიხოსროსაგან ნასყიდი მყვანდაო და შენ გამიცვალეო, ქიტაშვილი ძულია გამოგართვიო და ლომაური სეხნია მე მოგეო; ლომაურის მამულთან შენ ხელი არა გაქვს და ქიტაშვილის მამულთან — მეო. ეს წიგნი მუთაბარის ბეჭდებით იყო დაბეჭდილი, თითონ ერასტის ბეჭედი იჯდა, ნიკოლოზ მდივნის მა-

ლალაძისა, პაატა თაზის შვილისა და კიკო მგა-  
ლობის დაწერილია, რომელიც რომ ერასტის ქვისლი ყოფი-  
ლა. რიცხვი იყო ორმოცდახუთის წლისა.

უთხარით ბეცია სარდალსა — რა სიტყვა გაქვსო?

მან თქვა: მე არ გამიცვლიაო. ეგ წიგნი გაკეთებულიაო; ერას-  
ტის ბეჭედი მაგისმა ყმა მგოვამ მოპარა და დასვაო და ერთი ბე-  
ჭედიც ახლა ამ საჩივარში ჩაუმატნიაო, უწინ არ იჯდაო.

ამით მოსამართლეთ გულში იჭვი შემოიტანა. კვალად ვკი-  
თხეთ: ეგ რომ იცოდი აგრე იყო, ამ ორმოცდახუთს წელიწადს რათ  
დამწყრალეო და არა სთქვიო, ამის ყმათ რომ დავთარში იწერე-  
ბოდაო; რამდენჯერსაც დავთარმა ჩამოიარაო, რათ აწერილებდიო  
და ან ეგ ლომაური რათ ეწერებოდაო;

მეორედ, მახათაძეს რომ ძმათ შეეყარაო, მერმე გა-  
ყარა და გასამყრელო გამოართოო, რატომ ან მაშინ არა სთქვი და  
ან მაგ ეკლესიის ყმამაო;

მესამედ, ორთავ ძმათ საქორწილო მოკრიფესო და მაგა-  
საც გამოართვესო, რათ გამოართმევინეო;

მეოთხე, ჯავახეთს რომ გადავიდნენ, კათალიკოსმა პირობით  
გადმოიყვანაო, რომ გედავანიანთ აღარ მიგცემო. მაგ ლომოურმა  
კათალიკოსს უღალატა და კიდევ ამათ ყმათ მოვიდა და დავთარ-  
შიაც ამათზე დაეწერა და არც ეკლესიას ემსახურა და არც შენაო;  
რატომ არა სთქვიო.

მოგვიგო: მეშინოდაო, მძლავრი იყვნენო, უფრო ბევრს დავ-  
კარგევდიო.

უთხარით: მაშ როცა რომ წახდნენ და ზაზა ყორიასაულბა-  
შისას შეყარეს და ბრძანება გამოვიდა: რაც რომ ნამძლავრები  
ჰყვანდესო, ცალკე გაქაჩივიეთო; შენ რომ ეს ბრძანება შეიტყვე,  
უკეთეს დროს სადღა იშოვნიდიო, რატომ არა სთქვიო;

მეხუთეთ, შარშან კიკოლამ რომ საქორწილო გამო-  
ართო, რატომ არ სთქვიო.

მტკიცე პასუხი ვერა მისცეს რა. გაკეთებულს დრ[ო]ში არ  
უდავნია და წამხდარს დროშია.

საქართველოს სამართალი[ს] წიგნის ძალით ორმოცდახუთს  
წელს რომ კაცი კაცს არ ედაოს, რომ უცხო სადაო მიზეზები მის-  
ცემიყოს, ველარას შეუვა. მაგრამ რადგან დაიყინა: ეს წიგნი გაკე-  
თებული არისო და ბეჭედიც ახლა დასმულიაო და შესწამა, ფაცი  
შეწამებულს ერგება კანონისაებრ სამართლისა.

გლეხის გულისათვის აზნაურშვილს ხომ ვერ დავაფიცევდიო.

შოშიამა და ბეციამა ორი ლომაურისთანა კაცი შეიფიცონ: არც წიგნი გაეკეთებინოს, არც ბეჭედი ჩაემატოსთ; თუ თითონ შეფიცავენ და თითონ იციან, სამართლის ჩვეულება კი არა არის. როდესაც დაიფიცვენ თითონ თუ თავიანთ კაცები, მაშინ ეს ლომაურები სეხნიას შვილები ივანე, გოგია, ბერუა და სხვანი დარჩებათ სეხნიას, სინსილა შოშიასა და ბეციასა; და ვერ ფუტყვენ დარჩება ბეცია სარდალს.

ასე ვამჯობინეთ, რომ შოშიამა და ბეციამ შეჭვიცონ\*.

ამის მოასილი შენ ხარ. ეს ასე აღასრულე. აგვისტოს იმ, ქორნიკონს უოთ.

მაჰსი ბეჭედი:

1. ღთად კაცად ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესანიკოლოზ

2. მდივანბეგი

3. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბეჟან

4. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვეკდრებ ვიქმნა მარჯულად, ქაიხოსრო

5. მეთოდი

6. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

### 310. განჩინება იოანე და გაჟან ნაზაროვების ზალის საჰმეჟი

1701 წ. 28 აგვისტო

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 11. საბ. № 154. პირი. ქალაღი. მხედრული.

[157v] მისის უმაღლესობის ბძანებით თოფხანის ატუტენტი ნაზაროვი იოანე უჩიოდა თავის სახლისკაცს ბეჟანს: ჟამთა ვითარებისაგან მამაჩემი რუსეთს გავიდა, ჩემი მამული ამან იშოვა, რაც მასალა იყო და ღლეს არის, ისიც ჩემია, იმ ჩემის მასალით აუშენებია; რაც ხარჯი მოსვლია, ხუთი იმტელი ქირა აუღია. ახლა მოველ, ამ ჩემს მამულს კელი მოკვიდე; ცხრა [138] თუმანი ფეშქაშათ დავხარჯეო შენის მამულის შოვნაზეო, იმ თეთრს სარგებლით მთხოვეს, სამართალი მაღირსეთო.

ბეჟან ასე მიუგებდა: მამაშენი რუსეთს რომ გადავიდა, ის მამული ბეითალმნად იღვა, თეთრი დავხარჯე, ვიშოვე, ცა-

\* ეს წინადადება ჩაწერილია სხვა ხელითა და მეღნიო. შემდეგ კი დატოვებულია ცარიელი ადგილი იასაულის სახელის ჩაწერად.

რიელი ადგილი იყო, ავაშენე, შენობის ფასი მამეცო, ახლა რაღას მთხოვო.

ჩვენ მსაჯულთ ესენი რომ ვალაპარაკეთ, ეს სამართალი მივეციოთ. ფეშქაშათ რომ ბეჟანს თეთრი დაუხარჯავს, იმას ვერას შეუვა; და შენობისათვის რომ თოთხმეტი თუმანი გამოურთმევიო, რვა თუმანი უნდა ისევ იმ თოთხმეტის თუმნიდამ ბეჟანმა ამ იოანეს მოსცეს; და ექვსი თუმანი იმ ქოხების შენობისათვის იკმაროს.

ჩუენ მივედით იმ ადგილს. ესენი ასე გავარიგეთ და შევარიგეთ და დღეის იქით ამ შენობის ფასზედ ერთმანეთს ველარას ედავებთან. ეს ასე გადაწყდა.

რომელიც ამისი მოასილი ხარ, ეს ასე გა[ა]რიგე. აგვისტოს იმ, ქორონიკონს უოთ.

ეს სამართალი რომ ვსაჯეთ, ნაზაროვა მოვიდა ჩემს [v] საღვგომს და თქვა: სამართალი დამაკელითო, არც მოწამესა ჰკითხეთო და არც სწორე სამართალი არისო.

არა სჯერხარ მეთქი? სამჯერ ვკითხე; და არა ვჯერვარო. მეც აღარ დაუბეჭდე და ისევ იმაზე დადგეს, როგორც მელიქისაგან და ქედხუდებისაგან ქალაქის განწესებით გაჩხრეკილა და დაბეჭდილა იმის სიმაღლის ბრძანებით.

ამ სამართლის შემდგომად რაც ამ განაჩენით გაეწესებინად, უკლებრად მომებარა მე — ო ჰ [ა] ნ ე ზ ა ს ი ე ს ე ს ა გ ა ნ , ა ნ ტ ო ნ ი ს ა გ ა ნ , ნ ა ზ ა რ ა ს ა გ ა ნ , ს ტ ე ფ ა ნ ა ს ა გ ა ნ და ნ ო ნ ი ა ს ა გ ა ნ . ამ მიზეზით საღავო და სალაპარაკო აღარა მაქვს.

ოჰ [ა] ნ ე ზ ა ს სიტყვით მე, ციხის დიდის ეკლესი[ი]ს დეკანოზი ტ ე რ - ა რ ა ქ ე ლ , მოწამე ვარ.

### 311. პანჩინება ზარაფუზ ხოჯაშვილისა და მარღახას მაგულის საქმეზე

1791 წ. 1 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 33. საბ. № 22. პირი. ქალაღი. მხედრული.

[16] მათის უმაღლესობის ჩვენის კელმწიფის ბატონის დედოფლისაგან გვებრძანა ჩვენ — მათს მონას სალთხუტეცს ა ბ ა შ ი ძ ე გ ი ო რ გ ი ს და ა მ ი ლ ა ხ ვ რ ი ს შ ე ი ლ ს ცხინვალის მოურავს ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ს — ხ ო ჯ ა შ ვ ი ლ ი ს ფ ა რ ე მ უ ზ ა ს და ძ ა გ ი ა ს ძმისწულის მ ა რ დ ა ხ ა ს საქმე და ოქმი გვებოძა. უნდა მოგვეყვანინებინ[ა]: ც ხ ი ნ ვ ა ლ ი ს მამასახლისი ღ თ ი ს ა ვ ა რ , ჯ ა შ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო , ი ა რ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

ტერ-მოსესა, შერმაზანაშვილი არ უთენა, ბერი-  
შვილი გოგია, მოვაყვანიხეთ და დავსხედით].

ფარემუზა და მარდახა ვალაპარაკეთ. მოწმობა მოვ-  
თხოვეთ, მაგრამ მოწმე[ე]ები ვერცერთმა ვერ მოიყვანეს და ნასყი-  
დობის წიგნები მოვატანიხეთ. ფარემუზამ ასოთხის წლის ნასყი-  
დობის სიგელი მოიტანა. მეორე სიგელი კიდევ მარდახას ბიძას  
ძაგისაგან და სხვათაგან მოწმობით დამტკიცებული ფარემუზამ [v]  
მოიტანა, რომა იმა მიწის გვერდი მიჯნით შიგა ეწერა, ორმოცი  
წლისა იყო.

მერმეთ მარდახამა მოგვიტანა მათ უკანდელი ოცდაცხრამეტის  
წლის წიგნი თავისის განაყოფისაგან მოცემული იმა მიწისა, რო-  
მელსაც ქვიან ჭიდლიური. მაგრამა ის სიგელი ჩვენს სამართალში  
ვერ შევიწყნარეთ.

მერმეთ კიდევ ეს უპასუხა მარდახამა: ეს მიწა შენი არ არისო,  
იქავ ბერძნის მიწაზედ უდგემდა ფეხსა, ეს არისო; რომელსაცა  
მარდახა ფეხს უდგამდა, ის მიწა ბერძენს დარჩენოდა.

ახლა ჩვენ ეს სამართალი გაუჩინეთ ფარემუზს: დღეს რომე-  
ლიც მიწა ჭედლიური მარდახას აქვს, ის ფარემუზს დანებდა, რა-  
საცა სიგელში უცხადებდა. თუ ვინ იცის, მარდახამ ის ბერძენი სა-  
მართლიანად გა[ა]მტყუნა, ის მიწა ფარემუზს დანებდეს, მერე ის  
ჭედლიური ისევ მარდახასი შეიქნება.

თუ ის ბერძენი ვერ გაამტყუნა და სამართალში ვერას შეუვი-  
და, რომელიც მიწა ფარემუზს სიგლით უცხადებდა, ის მიწა ჭედ-  
ლიური ფარემუზასათვის მიგვიცემია. სამართალმაც დაუნარჩუნა.  
მარდახას სიტყვა აღარაფერი აქვს. ენკენისთვის ა, ქორონიკონს

უოთ. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

მე, ჯაშიტაშვილი ქაიხოსრო, ამ სამართლის დამს-  
წრე ვარ. 

|              |
|--------------|
| ქაიხ<br>ოსრო |
|--------------|

მე, შერმაზანაშვილი არ უთინა, ამ სამართალში  
დამსწრე ვარ. ბეჭედი არა მქონდა, ეს ჩვენი კელია. არ უთინა.

მე, ბერიშვილი გოგია, ამ სამართალში დამსწრე ვარ.  
მე წიგნი არ ვიცოდი. მე, მოსეს ტერტერაშვილმა, დავწერე ამ გო-  
გ[ი]ას სიტყვითა. ეს ჩემი ხელია[.]

### 312. ბანაინება ბაღონისუვილთა მამულის გამოსალაგის საქმეზე

1791 წ. 8 სექტემბერი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 29. საბ. № 12. პირი. ქალაღი. მხედრული.

[15] მის უმაღლესობას ჩვენ — საქართველოს მსაჯულთშეკრებულბანი ვახლდით. გედეთონის შვილი სარდალი იოანე უჩიოდა თავის სახლის[ს]კაცს შოშიას და მის ძმას ბეციას: ქორდს ჩემს წილს კულუხს ესენი არ მანებებენო, მუხათგვერდს ჩემს წილს ღალას ესენი იღებენ, მე არ მაძლევენო; საფიჩხულეს ესენი დგამენო, მე კი არ მადგმევენებენო; ამას წინათ შინ მომიხდნენ, ეს ჩემი ბიძაშვილი გალახესო. ამ[ა]ების სამართალს ვითხოვო.

შოშიამ ამ სამის აზრის დასარღვეველი ვერა უთხრა რა. და უნდა ქორთს თავისი წილი კულუხი მისცენ, მუხათგვერდიდამ უნდა თავისი წილი ღალა მისცენ. საფიჩხულე ახლა ამ იოანემ უნდა ჩადგას; რაერთს ხანსაც შოშიას სდგომია, იმდენს ხანს უნდა ამ იოანეს ედგას, მერე ისევ საერთოთ უნდა აეკეთონ.

ჩხუბზე რომ ჩივიან, უნდა მოწმე[ე]ბი მოასხან და სამართალი ძალიან მიეცემა იმ ჩხუბისა. სეკდემბრის 8, ქორონიკონს უოთ.



### 313. ბანაინება ერაკლე II-ისა გრიგოლ სახლთხუცისა და ერწოველთა მამულის საქმეზე

1791 წ. 19 სექტემბერი

ხუნაწერთა ინტიტუტი. Hd 9451. დედანი. ქალაღი. 21×15 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. სახლთხუცეს გრიგოლს სამთავროველნი ერწოველნი საბალიანოს მიწებს ეცილებოდნენ, რაც თხრილი ავლია იმას. მოვიდნენ, ჩვენს სამართალში ილაპარაკეს.

ეს სამართალი უყავით: სამთავროს გუჯარი ნახონ, თუ იმათ უწერია, სახლთხუცეს[ს] სიტყვა აღარ ექნება. თუ არც გუჯარში უწერიათ, სახლთხუცესმა უნდა ორი თავისი მოთაბარი კაცი შემოატაროს იმ საბალიანოს მიწებს, დაიფიცონ, რომ: «ეს მამული ნასყიდიც იყოსო სახლთხუცისაგან და არც სამთავროს კაცს ჳელი ქო-

ნებოდესთო». სახლთხუცეს[ს] დარჩება საკუთრივ, თუ ასე კაცები შეაფიცა. ენკენისთვის ით, ქორონიკონს უოთ.

ბჰაპლი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხე-ბულს, ე რ ე კ ლ ე.

### 314. ზანჩინება თანისაშვილების მამულის საქმეზე

1791 წ. 27 სექტემბერი

ცსა. ფ. 1448. № 5637. დედანი. ქალაღი. 43,7×16,7 სმ. მხედრული. ზან-კვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

ქ. მის უმადლესობას მეფესთან ეჩივლათ თ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ო ბ ლ ე ბ ს ნ ი ნ ი [ა] ს და ბ ე ყ [ა] ნ ს, რომ:

ჩვენს ბიძას ტ ე ტ ი [ა] ს ოცდახუთი თუმანი ემართა ეს ი-ტ ა ს შ ვ ი ლ ი ს ზ ა ზ ა ს ი ო; და გირაოდ ვენახი ჰქონდაო; ტეტია რომ გარდაიცვალა, ესიტასშვილს ზაზას თათრების ვალი დასდებო-და და თათრებისათვის მიეცა ის თამასუქიო. თათრები ჩვენთან მო-ვიდნენ, გვითხრეს: თხუთმეტ თუმანად მოგცემთ ამ თამასუქს, და-იხსენითო. ჩვენ იმ უამად არ შეგვეძლო და აქ ა ზ მ ე და ვ ა რ-ჯ ა ნ მ ა დაიხსენსო. ახლა ვთხოვთ ჩვენს მამულს, თავის თეთრს ვაძლევთ და არ გვაძლევნო.

ამისი სამართალი მათს უმადლესობას ჩვენ მოსამართლეთა-თვის ებრძანა. ჩვენ ბძანებისაებრ მეფისა მოვაცუვანინეთ ვარჯან და აქაზ და ვალქაპარაკეთ.

ესენი მღუგებდენ: კათალიკოზის ბძანება ქონდათ თათრებს, წმინდის გიორგის ეკლესი[ის] ყმას ვისაც შე[ე]ძლოს, იმან დაიხს-ნასო, თანისშვილის თამასუქიც კელთ ქონდათო ოცდახუთის თუმ-ნისაო, და ჩვენ ორმოც თუმნამდის მივეციითო.

ჩვენ ეს სამართალი მივეციით: სამართლის ძალით ის მამული ამ ობლებისა არის, ამისთვის რომ კაცი მიუგზავნიათ ამათთვის, რომ მაგ მამულს ნუ იხსნით, ჩვენ ამ თათრებს შევეხვეწებით და გვაცლიანო. ამათ არ დაუშლიათ და მამულის ნდომით ოცდახუთის თუმნის საქონელი მიუციათ და დაუხსნიათ. რადგან ამათ კაცი მი-უგზავნეს და დასტური არ დასცეს, არ უნდა დაეხსნათ. თავიანთ მა-მული ამ ობლებმა უნდა დაიხსნან.

ეს ობლები რომ ამბობენ: თხუთმეტ თუმნად გვაძლევდენო და თქვენც ეს მიეციითო, ეს არ იქნება, ამიტომ რომ ტეტიას თამა-სუქი ოცდახუთის თუმნისა არის და თხუთმეტ თუმნად როდის მის-ცემდენ. და ვარჯან და აქაზ რომ ამბობს: ორმოც თუმნამდის მივე-

ციო, ესეც ნაკლები სიტყვა[ა], ამისთვის რომ ტეტის თამასუქი ოცდახუთის თუმნისა ქონია ზაზას და ზაზასაც ეს თამასუქი მიუცა თათრებისათვის, რომ ოცდახუთი თუმანი ტეტიას ვენახილამ აღევეითო და ოთხს თუმანსაც მე მოგცემო.

ეს თამასუქიც ჩვენ ვნახეთ; თუ მეტ[ი] ყოფილიყო, ან ტეტიას თამასუქში ეწერებოდა და ან ზაზასაც მიცემულს თამასუქში ოთხს თუმანს როდისღა დაიწერდა თავის თავზედ, თუ მეტა ყოფილიყო. ეს ოცდახუთი თუმანი ამ ყმაწვილებმა უნდა მისცენ თებერვლამდის და მამული ამათ დარჩეს.

ჩვენ ასე განვსაჯეთ და ნება მათის სიმაღლისა არის. სეკდემბრის კზ, ქორონიკონს უოთ. იასაულო! ეს ასე გა[ა]რიგე.

ჰეპე: მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა ნარჯულად ქ ა ი ხ ო ს რ ო.

ქ. ეს თეთრი უსარგებლოდ უნდა მიეცეს; ამისთვის, რომ იმათ მამულის გამოსავალი ქონია და სარგებელი არ ეთხოება. და ზაზას თამასუქიც უსარგებლოდ ოცდახუთის თუმნისა არის, რომელიც ზაზას თათრებისათვის თავეთს ვალში მიუცია, რომ სწორე ვალი და თამასუქი ის არის.

ხუთა ბეპელი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო.

2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო, ბ ე უ ა ნ.

3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.

4. მიწა ვარ დავითრგუნები დ ა ვ ი თ.

5. კახეთისა ხევისთავი მდივ[ა]ნი ს ვ ი მ ო ნ.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ორთავე საქართველოსა ირაკლი მეორე, ვამტკიცებთ ამ მსაჯულთ განჩინებასა ამას.

მ ე ი თ რ ი ს შ ვ ი ლ ო ს ო ლ ო მ ა ნ! ასე გა[ა]რიგე. სეკდემბრის კზ, ქორონიკონს უოთ.

ბეპელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე. ე რ ე კ ლ ე.

კიდეზე:

ქ. ჩვენ, კ ა თ ა ლ ი კ ო ზ - ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი, მეფის ირაკლის მეორის ძე, ა ნ ტ ო ნ ი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. სეკდემბრის კზ, ქორონიკონს უოთ.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.



### 315. ბანინება ველისციხელთა და ახაშნელთა მამულის საქმეა

1791 წ. 19 ოქტომბერი

ცსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი № 1461. რეული № 13. საბ. № 113. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. ველისციხელთა და ახაშნელთ რომ მამულზედ ცილობა აქვს, რომელსაც ველისციხელნი ამ სადაოს მამულში თავეთს მიჯნად სახელდებენ და კიდევ რომელსაც ახაშნელნი თავეთის მიჯნად ნიშვნენ, — ამ ორს მიჯნებს შუა რაც მამული იყოს, სწორედ შუა უნდა სიგრძეზედ ლარზედ გაიყოს; ნახევარი თავეთს მხარეს ახაშნელთ ხნან სამართლამდის. ოკდომბერსა ით, ქორონიკონს უოთ.

და შუაში სიგანეზედ მიჯნებს საშუალ ოთხგან გაიზომოს, მას უკან სიგრძეზედ ჩაიზომოს სწორედ ლარზედ და მიჯნები ჩაქსნან და თავ-თავისი მხარე მოხნან სამართლამდის. ერკლე

### 316. ბანინება სოლომონ თარხნიშვილის შვის ოანება შაშაპარაშვილის საქმეა

1791 წ. 20 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2596. დღანი. ქალაღი. 33×22,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. თარხნისშვილი სოლომონ უზიოდა სიღნაღში მსახლობელს ხიზანს ფაფაკერაშვილს ოჰანეზას ბატონყმობაზედ. ამისი სამართალი მისმა უმადლესობამ მდივანბეგს ოტიას, თარხანს გიორგის და მდივანს დავითს გვიბძანა. ჩუენ ესენი სამართალში ვალაპარაკეთ.

ეს ოჰანეზა სოლომანს მეითარს ასე უპასუხებდა: პაპაშენმა მამაჩემი ახალციხეს გაყიდაო, იქ ცოლი შეირთო. წამოსულა, ქართლში თავის ძმას არუთინასთან მოვიდა, იქიდამ ბიძაჩემი და მამაჩემი თავეთის ხიზნით აიყარნენ, მოვიდნენ ქიზიყს, გურგენ ნაცვლის ხიზნად დადგნენ. მე აქ ვეყოლეო. გურგენ ნაცვლის შვილმა, მართალია, ყმობით კელი მომკიდაო ჩუენ. ამ ბარობაზედ ბიძაჩემიცა და მამაჩემიცა თავეთის ხიზნით აიყარნენ და სურამს მივიდნენ, მამასახლის გვრიტას კედლად დადგნენო. მაშინაც და ახლაც ნახატევეში შენობა არ იყო და სურამს ამისთვის მივიდნენ, რომ ჩუენი მეზობლებიც იქ სურამს

ესახლნენ, მე კი შენი ყმა არა ვარო და ბიძაჩემი კი შენი ყმა არი-  
სო. ამისთვის არა ვარ შენი ყმა, რომ პაპაშენმა მამაჩემი გაყიდაო.

სოლომან ასე უპასუხებდა: თუ ჩემი ყმა არ იყო ან მამაშენი  
და ბიძაშენი, მამაშენი შენს ბიძას რათ გამოყვაო და ან კახეთი-  
დამ სურამს რათ წამოვიდაო.

ჩუენ ამ ფაფაკერაშვილს თავისი აზატობის წიგნი ეთხოვეთ,  
თუ გასყიდული ხარ წიგნი გექნება; წიგნი ვერ მოგვიტანა. მოწ-  
მობა მოვთხოვეთ, ქისიყელთ მოწმობა მოიტანა ქიზიყში მოსვლისა  
და თავისის ბატონისაგან გასყიდვისა, მარა ესეც ამისი თქმული  
მოწმობა იყო, ამისთვის არ შეიწყყნ[ნ]არებოდა. მამა ამისი თუ გასყი-  
დული იყო, თავის ძმას აღარ უნდა შეჰყროდა, რომ თავისუფალი  
იქნებოდა. რადგან იქავ ქართლში ჩამოვიდა თავის ძმასთან და აქე-  
დამაც ერთად წავიდნენ და დადგნენ სურამს, რომ ამ თარხნია[ნ]თ  
ყმანიც იქა მდგარან, იმ დროს სურამი რომ დაწერილა, ამათ ყმათ  
დაწერილან და გაყრითაც ზაზა ყორიასაულბაშს გაუყრია, რომ თი-  
თონ ამბობს ცხრა თუმანი გამოგვართო, აილო და ისე ბიძაჩემს  
მისცაო.

სოლომან ასე მიუგებდა: ბატონის ბძანებით და ოქმით მამა-  
ჩემ[მ]ია სიღნაღიდამ აგყარაო, მიგიყვანა და ცხინვალს დაგაყე-  
ნაო, ცხინვალიდამ გამოიპარე და კახეთს ჩამოხველ. მასუკან კიდევ  
ბატონის ბრძანებით ქიზიყის მოურავის ზაქარიას მოასილო-  
ბით აგყარე და კიდევ ცხინვალს მოგიყვანე. ეს სამი-ოთხი წელი-  
წადია გამოიპარე, დედაშენი წამოიყვანე და ისევ აქავ მოკველ.

ამათს საქმეს რომ ასე გაუვლია, ან პარველად ზაზას დროს  
და ან მას უკან თუ სიტყვა ქონდა და გასყიდული იყო, ან ბატონს  
რატომ არ მოახსენა და ან არსად დამკვიდრდა. ჩუენის გაშინჯვიო  
და სამართლით ეს ფაფაკერაშვილი მეითრის სოლომანის ყმა არის  
და ნება მისი უმაღლესობისა არის. ოკდობერს კ, ქორონიკონს  
უოთ.

სამი ბეჭედი:

1. მონა ღთისა ო ტ ი ა
2. მონა ღთისა გ ი ო რ გ ი ?
3. დ ა ვ ი თ

თავში:

ქ. ჩუენ, მე ფე სრულიად საქართველოსა ი რ ა კ ლ ი მ ე ო -  
რ ე, ამ სამართლის ვამტკიცებთ. თუ რომ ფაფაკერაშვილმა ასეთი

მუხტაბარი მოწმები მოიყვანა, რომ ამისის პაპისაგან გასყიდული იყოს და ჩვენი გული ამაზედ სარწმუნო გახადა, ხომ სამართალი მიეცემა. და თუ მოწამე ვერ იშოა და ამისი ყმა ყოფილა და არის. ოკდომბრის კდ, ქორონიკონს უოთ.

ბეჰალი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

### 317. განჩინება დონითაჲს ნეკრესელისა კებრა მღვდლის

სახისხლო საქმეზეა

1791 წ. 9 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 961. დედანი. ქალაღი. 34,8×10,8 სმ. მზედ-რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. პეტრე მღვდელი პავლეს შვილი და მისი ძმა ნიკოლაოს მღვდელი ერთს ცუდ საქმეზედ აშლილიყვენენ. პეტრე მღვდელს ნიკოლაოსს მღვდელისათვის თავში სამი თუ ოთხი ჯოხი დაეკრა, ძალიენ მტერსავით დაეკრა, თავი ძალიენ გაეტეხა, ბეჭები და გულა შეღებული ჰქონდა გარშემო, თავისა და კისრის გარეშემო დალურჯებული ჰქონდა.

ჩვენ ვნახეთ, გავსინჯეთ ეს ნაცემებო, ძალიერ შევსწუხდით და გვეწყინა. ასე ცუდ საქმეზე რომ ასე გამოემეტებინა. მაგრამ რალა გაეწყობოდა სამართლისა და სასჯელის მეტი.

პეტრე მღვდელმა, კაცის სისხლი რომ დასთხოვა მღვდელმან მღვდელისა — ძმისა და უბრალოსი, ამათავის დიდი სარჯელი ჯერ-არს გასწიოს: ქუნდში ფეკი უნდა დაეკრძალოს მტკიცედ, საყდრის კარზედ უნდა დადგეს, შემავალს-გამომავალს შენდობას უნდა სთხოვდეს, იმარხოს და ილოცოს რამდენსამე<sup>1</sup> თვესა.

ეს შეპყრობით ყოფა კაცთმოყვარებით ავიღვეით, ამისთვის, რომ ცოლშვილი ჰყავს და შემნახავი არავინ ჰყავს. სხვა ტანჯვებიც შეუმსუბუქოთ და ნურც უკუ[რ]ნებელს დავაგდებთ:

ორს ორმეოცს წირვისაგან დადგეს, ნურცა რას სხვას მღვდელობას იმოქმედებს თვინიერ ჟამნ-დავითნისა. ამ ორს ორმეოცს დღეში ოცს მეტანიას გარდიკდიდეს. ამ ორს ორმეოცს უშაბათ-კვირაოდ კორცს ნუ შკამს; თევი, ყველი, და სხვანი საურწყოები მიილოს. ამ ორს ორმეოცს ოთხშაბათს და პარასკევს საღამომდინ იმარხოს და ნურც ღვინოს დაღვეს.

ესენი ასე გაასრულოს. სინანულში გაიაროს სიმდაბლით, სიმ-შვიდით და ური[ს]ხველობით, უღრტვინველად. და მერმე ჩვენთან

<sup>1</sup> რამდენსამე.

მოვიდეს და კვალად კაცმოყვარეობას ვაჩვენებთ და სიყვარულს.

ნიკოლაოს მღვდელს სისხლი ერგებოდა, მაგრამ არ მივეციტ: ერთი რომ მღვდელია, მეორედ, ორის სარჯელის მიჭდა არა ბრძანებულ არს. ნოემბრის თ, ქორონიკონს უოთ.

ხელრთვა: დ ო ს ი თ ე ო ს.

ქ. კარის წინამძღვარი ბეჰელი: გ რ ი გ ო ლ.

ქ. გ ი ო რ გ ი მღვდელმა, ქ. ზ ა ქ ა რ ი ა მღვდელმა, ქ. ი ო ს ე ბ მღვდელმა, ქ. დ ა ვ ი თ მღვდელმა, ქ. ა დ ა მ მღვდელმა, ქ. მ ა ხ ა რ ო ბ ე ლ მღვდელმა, ქ. გ რ ი გ ო ლ მღვდელმა, ქ. ი ო ს ე ბ მღვდელმა, ქ. დ ა ვ ი თ მღვდელმა, ქ. ა ნ დ რ ი ა მღვდელმა.

კიდეზე:

ქ. გ რ ი გ ო ლ მღვდელო ა ვ ა ზ ა ს შ ე ი ლ ო! ამ პეტრე მღვდელის სამწყსო შენთვის მოგვიბარებია იმ ორის კომლით, რომელიც ამას ებარა მათიკასშვილები, შენ მოუარე არა წაქდეს რა.

ხელრთვა: დ ო ს ი თ ე ო ს.

სათაური: ქ. ნეკრესლისაგან პეტრე მღვდლის შერისხვა ძმისათვის თავი გაეტეხა.

### 318. განინება ირავლე 11-ისა ენდრონიკაანთ და ჯიმითელთ მამულის საქმეზე

1791 წ. 26 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2336. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. ენდრონიკაანთა და ჯიმითელთ რომ მამულზე ცილობა ჰქონდათ, ჯიმითელთ მოჰქონდათ გუჯარნი სანატრელის მეფის ალექსანდრე პირველისაგან შეწირულნი და კიდეც მეფის ალექსანდრე მეორისაგან გაახლებული და აგრეთვე მეფის იმანყულიხანის გუჯარი, რომელშიც სწერს მეფე იმანყულიხანი: ჯიმითელთ მამული გამოართმეოდათ, რაც გუჯარში ეწერა, ის ხომ ვერ მიეცათ და რომელნიც მოდავენი ყვანდენ, მოუჭერით სამნები და სინორები ჩაუსხით და ჯიმითელთ დავანებეთო.

ამ მეფის იმანყულიხანისაგან გამიჯნულობას ენდრონიკაანი სხვაგან ნიშნევდენ და ჯიმითელნი სხვაგან. ამათმა სარჩელმა ჩვენთან მრავალჯერ გაიარა.

და ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართველოსა, კახეთისა და სხვათა მეფემან ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მ ა ნ, საქართველოს მსაჯულთა,

დარბაისელთა და ეპისკოპოსთ თანდასწრებით ის სადაო მამული თვით ჩვენის თვალთ ვნახეთ და უფიცრობისათვის ენდრონიკაანთა და ჯიმითელთაგან დანიშნულს მიჯნებს საშუალ გავმიჯნეთ და ისე შევარიგეთ.

მაგრამ ენდრონიკაანი არ დასჯერდენ და ორივე მკარე ფიცზე იწვედენ, თუმცა ორთავ მოდავეთ სამართლიდამ ფიცის განაჩენები მისცემოდათ, მაგრამ უფრო უწვლილესად გამოძიებით რადგან ჯიმითელთ სანატრელთა მეფეთაგან შეწირულნი გუჯარნი და კათალიკოზისაგან გაფიცულობის წერილი კელთ ჰქონდათ, სამართლით ფიცი ჯიმითელთ დავადევით. მაგრამ დიდის ხნის საქმე რომ იყო, ამისათვის ორთავ მოთავეთ სამჯობინარად ასე განვაჩინეთ, რომ ფიცი არ მოახდინონ.

და ჩვენ რომ ის სადაო მამული ვნახეთ და მაყვალი დავნიშნეთ, იმ მაყვალიდამ მოკიდებულა სწორედ ლარზე ჩაიარონ, ღელეში რომ ნაჟურჩხალის ხე დგას, იქამდის სწორედ გამიჯნონ და იმ ხიდამ მოკიდებულა გორაზე რომ მეფის იმანყულისაგან მიჯნად ჩაყრილი ქვეები არის იქამდის და იქილამ წავიდნენ, ბეჟან ბალს თავს გარდაუთარონ და ბეჟან ბალის წყალს რომ ჩახდენ, იქილამ შეუბრუნდენ და ახალს ოფელს შემოუთარონ შიშლიანის მიჯნამდის, შედგნენ მიჯნაზე და საგველეს ქვასთან ჩავიდნენ და ჩამიჯნონ. და საგველეს ქვიდამ მოკიდებულა წნორამდის რაც ადგილია, სწორედ უნდა გაიზომოს საქიზიყოს შარამდის და სწორედ შუა გაიმიჯნოს. ნახევარი აღმოსავლეთის მკარეს — ენდრონიკაანთ და ნაკვეარი დასავლეთის მკარეს — ჯიმითელთ.

ფიცი დააყენონ, რომელიც ორისავ მკრისათვის დიდად საშიშარი და საფრთხილებელი არის. და ამ გარიგებას დასჯერდნენ.

და თუ არ დასჯერდებიან, როგორც ზემორე ფიცი დაგვიწერია, წადგნენ ერთობით სოფლურად ჯიმითელნი, ცხოველსმყოფელა ჯვარი და წმინდანი ხატნი კელთ აიღონ, ამ ფიცში თავეთი მოურავი ჟანდიერი შვილი როსებ და კიდევ ორი აზნაურშვილი, ვინც ჯიმითელთ იშოვნონ, თან მიიყოლიონ, შედგნენ მიჯნაზე და მეფის იმანყულისაგან გამიჯნულს თავეთს მამულს შემოუთარონ და თქვან: «ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმან, ენდრონიკაანო, ეს სწორედ ის მიჯნა არის, რომელიც მეფემ იმანყულისხანმა გუჯრით ჩვენ გვიბოძა. და სამართლით ამაში თქვენ სადაო არა გაქვსთ რა».

თუ ასე ფიცეს, დარჩებათ ჯიმითელთ, რასაც გაიფიცვენ და ხელახლა სახსოვარი მიჯნებიც უნდა ჩასხან, რომ საბოლოოდ კი-

დევ დავა და სარჩელი არ მოუხდეს. და თუ ჭიმითელთ ფიცი ვერ შეიძლეს, დარჩებათ ენდრონიკაანთ იქამდის, სადამდისაც მეფის იმანყულისაგან გამიჯნულად ამბობენ.

ემიგალაბაშო გ ა რ ს ე ვ ა ნ ! განჩინება ესე ასე აღასრულე. აღიწერა ნოემბერს კვ, წელთა ჩღჟა.

ქ. ამ განაჩენში ზემორე რომ მაყვალი მოვიხსენეთ, იმ მაყვალს ზემოდამ ქევში რომ წისქვილი არის შ ი შ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ღვდლისა და ენდრონიკაანი ედავებიან, რადგან მღვდელიც არის და ეკლესი[ი]ს სადაო საქმე არის, არამც ცოდვა იყოს და ამაზე ჩვენ შუამავლობას ვხმარობთ, რომ ეს ზემოხსენებული წისქვილი გიორგი ღვდელს უფიცრად დაანებონ ენდრონიკაანთ.

და თუ არ დაანებებენ, გიორგი მღვდელმა ერთის მოწმით დაიფიცოს წისქვილზე და დარჩება გიორგი მღვდელს. და თუ ვერ შეპფიცა, დარჩება წისქვილი ენდრონიკაანთ.

დიდის ხნის საქმე იყო და შიშნიაშვილის ღვდელს გიორგი[ს] ჭიმითელნი ემოწმებოდნენ, რომ მამა-პაპით ეს წისქვილი ამათი ყოვილა. და ამით კიდევ უფრო მართებულა, რომ უფიცრად დაანებონ ენდრონიკაანთ. და თუ დააფიცებენ, თათონ იციან.

|                            |   |  |
|----------------------------|---|--|
| მე ფეხთ<br>.....<br>ერეკლე | მსაჯული<br>საგეფოთ:<br>.....<br>სოლომონ |  |
|----------------------------|---|--|

კიდებუ:

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოისა ქართლისა, კახეთისა და სსხუათა დედოფალი ბატონის დადიანის ასულა დარეჯან, სამართლით განჩინებისა ამის თანაჟმა ვართ. დეკემბრის ვ, ქორონიკონს

უოთ. 

|                     |
|---------------------|
| დედოფალი<br>დარეჯან |
|---------------------|

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის ძე გიორგი, განჩინებისა ამის თანახმა ვართ. დეკემბრის თ, ქორონიკონს

უოთ. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე იულონ, განჩინებისა ამისა თანახმა ვართ. დეკემბრის ზ, ქორონიკონს უოთ.

|  |
|--|
|  |
|--|

ქ. ჩუენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, განჩინებისა ამისა თანახმა ვართ. დეკემბრის 5, ქორონიკონს უოთ.

|         |
|---------|
| ლომად   |
| .....   |
| ვახტანგ |
| .....   |

**319. განჩინება ბეცია სარდლის შვის ახალკაცისშვილუბის საქმეზე**

1701 წ. 8 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 28. საბ. № 26. პირა. ქალაღი. მხედრული.

[28] მის უგანათლებულესობას მეფის ძეს გიორგის საქართველოს მსაჯულთშეკრებილებათათვის ბეცია სარდლისათვისი ყმის გოროვნელის ახალკაცის შვილის თეოდორესა და გოგიას სამართალი ებძანებინა, რომელიც რომ მრავალჯერ იყო განსჯილი, და მისის სიმადლისაგან და მისის უგანათლებულესობისაგან მრავალჯერ იყო აყრის ოქმები ბოძებული, რომელნი რომ ბეცია სარდარმა სამართალში გამოაცხადა. მაგრამ გლეხიკაცი ამქაების არ მაკმაებული კიდევ ჩიოდა. მაგრამ ბეციამ ამ გლეხს კაცს თავისივე მამისა ასეთი ხელით წერილი წამოუყენა, რომ ხმა ვეღარ ამოიღეს, ყოვლად სამლუდელოს ტფილელ მიტრაპოლიტის მიხაილისაგან დაწერილი, რომელშიაც რომ ასე ეწერა: «ესე წიგნი მოგართვი ახალკაცის ბერის შვილმა ივანემ შენ — გედევანის შვილს სარდალს ბატონს ბეციას ასე, რომ შენ მე ყმობაზე მედავებოდი, ბატონთან [v] გეჩივლმა და ოქმები აგელო და მოხველ, მე განჩინით თავი აღარ დაგიდე და მცხეთას საფიცრად წამოგყევ, დეკანოზთან და კანდელაკთან ვილაპარაკეთ. აღარ დავიფიცე, გავტყუდი და ყმობაზე თავი დაგიდევ, რომ დღეის იქით არც შენის ყმობის უარი ვსთქვა და ყმა ვყოფილვარ და ყმაც ვიყო და ღმერთმან შენს უკეთესი ბატონი ნულარც მოგვეცესო; და როგორც შენი სამკვიდრო ვყოფილვარ კიდევაც ვიყოვო. დაიწერა თებერვალს ია, წელსა ჩჰად, ქორონიკონს უოგ. მე დეკანოზი აღდამ ამისი მოწამე ვარ. მე კანდელაკი პეტრე ამისი მოწამე ვარ. და ეს ზემოწერილი იმ კაცის სიტყვით მე, ყოვლად სამლუდელოს მიხაილს, დამიწერია მცხეთისაო».


თავისი მამის ხელითწერილის მნახველთა თავს იდევს დანაშაული. ერთი წერილი სამართალს მოსცეს თავიანთ დანაშაულს-

ბისა და მისის ყმობის ყაბულობისა, რომ ესტყუოდითო და მეორე წიგნი ბეცია სარდალს მისცეს ბატონყმობისა.

დასრულდა ამათი სამართალი, რომ ამათი ლაპარაკი აღარ იქნება. დარჩა თევედორე და გოგია ახალკაცის შვილი სარდალს ბეციას.

იასაულო ამილდაბარ! ამათ ხელი აუმართე და ბეცია სარდალს მოაბარე ესენი. დეკემბრის გ, ქორონიკონს უოთ.



ქ. მე, ამილდაბარ ციცის შვილი, ბატონის შვილის გიორგის ბრძანე[29]ბით და მსაჯულთ სიტყვით და ამ განაჩენის განჩინებით მოველ იასაულათ და ეს ახალკაცის შვილი თევედორე, გოგია<sup>1</sup> და ივანე აუყარე და სარდალს ბეციას მივაბარე. 

თავში:

ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. მაგრამ რაც თარხნის-შვილს ბესარიონს ამ კაცის თაობაზედ რაც დახარჯოდეს, სარდალმა უნდა მოსცეს. დეკემბრის ე, ქორონიკონს უოთ.



## 320. განჩინება აარხეჩეთა სასისალო სამხეზ

1791 წ. 16 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 613. დედანი. ქალაღი. 65X 23,6 სმ. მხედრული. განკვეთლობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მისის უგანათლებულესობის ბატონის შვილის ვახტანგის ბძანებით ჩუენ — საქართველოს მსაჯულთ შეკრებულეების სამართალში ქარუმში, ფარსადან და ბერი უჩიოდნენ ქარუმში ძეს რევაზს: ჩუენს საერთოს მამულში მოსავალი იყო, ღალის წამოსაღებად წავედით ურმებით, ჩუენი ღალა წამოვიღევით. რევაზს თავისი სახელონი და ყმანი შეეყარა, კეტებით ამოსულიყვენენ. ჩუენ რომ დაგვინახეს ყანა მოგვექონდა, წინ დაგვხდნენ კეტებით, დაგვიშინეს, მე — ქარუმ წამაქცივეს, კეტი

<sup>1</sup> გოგია.



თავში დამკრეს, წამოვდეგ [ბ]აცბაცით, კმალი მიუშვირე, ეგები მო-  
მ[ე]შენენ, კეტი დამკრეს, კმალს მომიხვედრეს, კმალი შუა გამიტე-  
ხეს, თოფი მომტაცეს, მე ასე მცეს. და ფარსადანს და ბერს მრავა-  
ლი სცესო.

სახლთხუცესმა რევაზმა მიუგო: რაც თქვენი წილი და-  
ლა იყო, ის კი არ მოგქონდა, ჩემის კაცის მოსავალი მოგქონდაო;  
და ჩემს კაცებს უთხარ: წამოდით, ჩემს მოსავალს ნუ დაე[ა]ნებებთ;  
თოფი და იარაღი არ წამოგვიღია, ისე წავედით. თქვენ რომ დაგვი-  
ნახეთ, მაშინვე კმლით შემოგვიტივეთ, ცხენდაცხენ ჩემი კაცი გა-  
გექცენ, მისდივეთ, დაეწინით, ერთი დასკერით, სხვათ მრავალი  
სცემეთ, მერე მე მცემეთ; მაშინ კი დავიძახებ: თქვენც დაჰკარით,  
კმალი შენვე მოუქნივე, კაცისათვის უნდა შემოგეკრა, ორსთითს  
მოხვდა და გაგიტყდაო. მოხლომითაც თქვენ მოგვიხედით და შემო-  
ტივეითაც თქვენ შემოგვიტივეთ, გალახვით და დაჰკრითაც თქვენ  
დაგვეკრითო.

ამათ რომ ასე იჩივლეს, ამათის ჩხუბის დამსწრე მოწამენი მო-  
ვაყვანინეთ და ვკითხეთ.

ამილახვრის ყმამ პეტრემ ასე იმოწმა: რევაზ და  
იმისნი კაცი რომ მოვიდოდნენ, მეც თან გავჰყევ, ჩხუბი თუ მოუ-  
ვათ, გავაშველებ. ორს მიწის საქცევზედ რომ დაგვინახეს, ქარუმ[მ]ა,  
ფარსადანმა და ბერმა მაშინვე კმლით შემოგვიტიეს. რევაზის კაცი  
გაექცენ, მიეწინენ, დაუწყეს ცემა; ვეხვეწებოდი, დაეხსენით; არა  
ქნეს, სცეს. რევაზ მოვიდა. ბერმა თოფი მიუშვირა რევაზს და დაუ-  
ძახა: გაბრუნდი, თორემ გაგათ[ა]კვებო. ბერს თოფში კელი უკარ,  
სისხლი მოგივათ. მერე რევაზ და ფარსადან შეეჭიდნენ. რევაზმა  
თავის კაცთ დაუძახა: თქვენც დაჰკარითო. მიღია შვილმა ქა-  
რუმს დაჰკრა, წააქცივა, თოფი მოსტაცა და გაიქცა. ქარუმ წამოდ-  
გა, ხოსროვ დასჭრაო.

ყათლანის შვილის ვახტანგის ყმამ პეტრემ  
ასე იმოწმა: რევაზმა, ქარუმ[მ]ა, ფარსადანმა და ბერმა ლალაზედ  
ლაპარაკი შექნეს<sup>1</sup>. რევაზმა უთხრა ჩემსა და ჩემის კაცისას ლალას  
არ დაგანებებო. თუ სხვისა იყოს წამოიღევითო. მასუკან ქარუმ,  
ფარსადან და ბერი დამუქრებულნი წავიდნენ, ჩვენს ლალას წამო-  
ვიღებთო, თუ შეგიძლიანთ ნუ დაგვანებებო, როცა არ დაგვანებებ,  
შენს თამაშს მაშინ ნახავთო. წავიდნენ, ლალა რომ წამოეღოთ. რე-

<sup>1</sup> შეექნეს.

ვახს შეეტყო და კიდევ დაენახა, რომ მოგჭონდათ. რევაზ ექვსის კაცით გამოდგომოდა. მე ყანაში ვიყავ, რევაზს თან გავჰყევე. სანამ რევაზს თავის სახლისკაცთ მიეწეოდა, რევაზის კაცი მიეწივნენ. ჩხუბის მოსვლამდინ პირველადვე ქარუმ[მ]ა, ფარსადანმა და ბერმა კმალამოლებულთ შეუტივეს ცხენდაცხენო, გლეხმა კაცებმაც ცხენს ჯოხი დაუკრეს ზედ დატანებით. რევაზ მოვიდა, მიეშველა. ფარსადან და რევაზ შეიჭიდნენ. რევაზის კაცს რომ გაუჭირდა, რევაზს დაუძახა: მომკლეს, მიშველეო. მაშინ რევაზმაც დაუძახა თავის კაცთ: თქვენც დაჰკართოთ. სანამ რევაზის კაცი ქარუმს დაჰკრევდნენ, სანამდინ ქარუმს თავისი კმალი ორსთითზე გასტეხოდა. მას უკან რევაზის კაცს ხანჯალი შემოჰკრა და დასჭრაო.

აგრევე განჯელმა კაცმა იმოწმა: როგორც პეტრეს უმოწმია, ასე იყოო.

ამილახერის ყმამ გოგნიაშვილმა მამულამ ასე იმოწმა: ყანაში ვიყავო. რომ შემოვიხედე, დავინახე ქარუმ[მ]ა, ფარსადანმა და ბერმა პირდაპირ შეუტივეს კმლით რევაზის კაცებს, მიეწივნენ, დაუწყეს ცემა რევაზის კაცებს. რაც შეიძლეს რევაზის კაცებმა ჯოხით სცეს ფარსადანს, ქარუმს და ბერს. ქარუმს ერთი ბიჭი დაეჭრა ხანჯლით, კიდევ მისდევდა, მიეწივა, დაჰკრა და უთხრა: ახლაც არ დაიქერო, მერე გაშველდნენო.

ამილახერის ყმამ შიომ ასე იმოწმა: ქარუმ, ბერი და ფარსადან ორს ურემს ძნას მისდევდნენ. რევაზის კაცი რომ დავინახეს, კმლით შეუტივეს, რევაზის კაცი გაექცნენ; ქარუმ, ფარსადან და ბერი მისდევდნენ, მიეწივნენ, დაუწყეს ცემა. რევაზ[ი]ც მოვიდა. ფარსადანმა და რევაზმა ერთმანეთი დაჰოჩრეს. მერე გაშველდნენო.

ამილახერის ყმამ პარასკევასვილმა ღთისიამ ასე იმოწმა: ყანას ვ[მ]კიდო, ვნახე ქარუმ[მ]ა, ფარსადანმა და ბერმა კმლით რევაზის კაცებს შეუტიეს, სხვა არა ვიცო რაო.

აგრევე ზუმბულიძე მლუღელმა ასე იმოწმა: ერთის მიწიწის საქცევზე მივსდევდი<sup>2</sup>, იქიდან დავინახე კმლით შეუტივეს, მინამ მივიდოდი, წინ ბიჭი შემომეყარა, თავში კმალნაცემი ქონდა: მანამ მივიდოდი, ჩხუბი გადაწყვეტილი ჰქონდათ; ამის მეტი არა ვიცი რაო.

ამათ რომ ასე იმოწმეს, ქარუმ[მ]ა მიუგო: ეგენი რომ

1 + ასე. 2 მისდევდი.

მოწმით მოგყავს, ეგენი შენი სახელონი არიან და ზოგი შენი ყმანი. და ჩუენს საჩხუბრათ წამოსულნი; თუ მაგათ ლიტონის თქმით სამართალი მოწმობას დაუჭერებს, ნება აქვსო.

თუმცა იმ მოწამეთ ზემოხსენებულისაებრ იმოწმეს, მარა ქარუმქა ეს პასუხი რომ მისცა, მოსამართლის გულში იმათის მოწმობის იქვი დაიდვა. და იქვის გაწმენდისათვის სამართალი ფიცს აჩენს. წადგეს რევაზ, ეს ზემო მოხსენებული მოწამენი, ამ მღუდელს გარდა, თან მიიყოლიოს: «ამისმა მადლმა — თქვას — ქარუმ, ფარსადან და ბერო — მე იმ ჩემის ღალის წამოსაღებათ წამოველ და მანამ თქვენ შიშველის კმლით ცხენდაცხენ არ შემოგვიტივეთ, მე და ჩემი კაცნი არ დაგვლახეთ<sup>1</sup> და არ დასჭერით, მანამ ჩემს კაცთ თქვენზედ ჯოხი არ ეხმაროსთ».

ეს თუ ასე შეჭფიცა რევაზმა იმ მოწმე[ე]ბით, კმლის გატეხაც ჩაუვლის და იმათი გალახვაცა, და რევაზის გალანვისა, იმ გლეხთ გალანვისა და დაქრის სისხლიც უნდა მოსცენ ქარუმქა, ფარსადანმა და ბერმა, რაც სამართლით გაუჩნდება.

და თუ ზემო მოხსენებულისაებრ რევაზმა ვერ შეჭფიცა მოწმე[ე]ბით, უნდა კმლის ფასიც მოსცეს რევაზმა და საჩხუბრათ მიწვევისა, იმათი გალანვისა პასუხი უნდა გასცეს რევაზმა ქარუმს, ფარსადანს და ბერს, რაც სამართლით გაუჩნდებათ.

შ ა ბ უ რ ი ს შ ვ ი ლ ო ი ო ს ე ბ და ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ო რ ა მ ა ზ! ეს ასე ადასრულეთ, თუ მისი უგანაოლებულესობის ნება არის. დეკემბერს ივ, ქორონიკონს უო[თ].

სამი ბეჭედი.

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს კვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო

2. მდივანბეგი

3. მეთოდი

მათის უმაღლესობის ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ბ ძ ა ნ ე ბ ი [თ] და საქართველოს მსაჯულთშეკრ[ე]ბულ[ე]ბის სამართლით მე, შ ა ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი ი ო ს ე ბ და ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი რ ა მ ა ზ, ამ განაჩენზედ ქარუმძიქე[ე]ბის ი[ა]ს[ა]ული ვიკავით, რომ განაჩენის სამართლით და ძალით რევაზ ქარუმძიქე უნდა მიგვეყვანა და თავის სახლისკაცებისათვის უნდა შე[ე]ფიცნა.

ჩვენ ბრძანების[ა]ებრ რევაზ და მისი სახლისკაცები მოვიყვანეთ მეჭვრისხევს დასაფიცებლად. რევაზ ფიცებდა და თა-

<sup>1</sup> დაგვალახეთ.

ვისი სახლისკაცებიც აფიცებდნენ. ამაში მეჯვრისხეველნი ხალხნი შეიყარნენ ღიდნი სამღვდელონ[ი] და მცირენი, და მოვიდნენ ქართუ-მიძებთან და შუა შ[ა]მოვიდნენ იქით მხარეს და აქეთ მხარეს; და ღიდის ცდით ერთმანეთს შეარიგეს და ერთმანეთში მტკიცე წიგ-ნები მიაცემინეს მშვიდობისა; და ფიციც დააყენეს და [ა]სე მშვიდო-ბით შერიგდნენ, რომ ერთმანეთ[თ]ან ძმობისა და სიყვარულის მეტი საქმე აღარა აქვსთ რა. თებერვლის ვ. ქორონიკონს უპ.

მე, იოსებას ბეჭედი არა მქონდა ეს ჩემი ხელია †  
ბეჭედი არა მქონდა და ეს დავწერე, ჩემი ხელია რ ა მ ა ზ .

### 321. ბანინება ავთანდილ ბაბალაშვილისა და თამაზა იარაღაშვილის ღუქნის საქმეჲ

1791 წ. 24 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 45. საბ. № 124. პირი. ქალაღი. მხედრული.

[82] ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი უ ლ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს ბ ა ბ ა-  
ლ ა შ ვ ი ლ ს ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა ს არზი მიერთმევიანა, რომ ჩემი  
ღუქნის ნაჭერი იარაღაშვილს თამაზას უჭირამსო. ოქმი  
ეზოდნა: ოთხი კაცი თქვენი მეზობლები დაისვით და თქვენი სამარ-  
თალი იმათ გიყონ.

ჩვენ ქვემოხსენებულნი დავესხეს. ამათ თავიანთი საჩივარი  
ჩვენთან იჩივლეს.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა ამას ამ ბ ო ბ დ ა: მამაჩემ[მ]ა რომ ღუქნები  
ა[ა]შენა, ო ს ი ნ ა შ ვ ი ლ ს ერთი ხარაბა ღუქარი აუშენა, ასაშე-  
ნებლათ ამ ხარაბა ღუქნის ნაჭერი<sup>1</sup> ოსინაშვილმა მამაჩემს მოსცა.

თ ა მ ა ზ ა ამას ე პ ა ს უ ხ ე ბ ო დ ა: მე მამასახლისის რძლი-  
საგან ორი ღუქანი მიყიდნია და ეს მიჭირამს.

ჩვენ წავედით და ღუქნები გავშინჯეთ, რომელსაც ავთანდილა  
დაობდა ოსინაშვილისაგან მოცემულს ღუქნის ნაჭერს სამღებროს  
ღუქანში თამაზას ეჭირა. სამართლით ეს ნაჭერი ავთანდილას დარ-  
ჩა. დღეის იქით ამ ნაჭერ ღუქანთან თამაზას ხელი აღარა აქვს.

ავთანდილ ამ სამღებროს ნაჭერი ღუქნის ქირას დაობდა, მაგ-  
რამ ხელი ავადებინეთ. ქრისტეშობის კდ, ქორონიკონს უოთ.



მე, თამაზს, ამ სამართლის ყაბული მაქვს, ეს ჩემი ხელია.

<sup>1</sup> † ასაშენებლათ.

1792 წ. 12 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 448. დედანი. ქალაღი. 40,2×19,5 სმ. დაზიანებული. მარჯვენა ზემო კიდე მოხეულია. მხედრული. განკვეთალობის ნიშნად ნახმარია წერტილი ან მძიმე. აქვე, პ. კარბელაშვილის პირად ფონდში № 1461. რვეული 13. საბ. № 136, დატულა ამ საბუთის პირი, რომლის მიხედვითაც აღდგენილია დედნის ხარვეზები.

ქ. ქურხული გოდერძი უჩიოდა დრეიძე [პაპუას: მის]მა უმაღლესობამ ბედნიერმა მეფემ ამოწყვეტილის საბაშვილის დათუნას ბეითალმანი მამული მიბოძაო და იმისი მამული ზოგიერთი შენ გიპირავსო.

[დრეიძე] უპასუხებდა: მე მონასყიდე ვარო, [ამის წინათ მდივანბეგებთანაც ვიჩივლეთო, ფიცი დამადრეცსო, დავიფიცე] და დამჩაო.

ამის პასუხს გოდერძი ასე მიუხედა: მართალია, მდივანბეგებთან ვილაპარაკეთ ნასყიდობის წიგნი რომ არა გქონდა, ფიცი დავადრეცს, წასდეგ და დაიფიცე: აქამდინ ნასყიდი მაქვსო. მასუკან დამსწრე მოწმეები წამოდგნენ: ეგ რომ დაიფიცე, მანდამდინ კი არ არის შენი ნასყიდიო, აქამდინ არისო; და იმ კაცთ რომ ასე იმოწმეს, მასუკან შენის ნებით მე შემომადე ფიციო; და ამაზე ბატონის დედოფლის ოქმი მოვიტანე და იასაული მოვიყვანეგო; ტოპეშაშვილს აღდგომელს და ყორღანაშვილს ძულიას სადაც გაველოთ და ეთქვათ — ჩვენდა ჩვენმა სულმა და შვილმა რომ აქამდინ ნასყიდი არისო და ამის იქით კი ნასყიდი არ არისო, იმაზედ მე უნდა დამეფიცნა, რომელიც შენი ნასყიდი იყო, ის შენ დაგრჩებოდა და რომელიც შენი ნასყიდი არ იყო, ის მე დამჩებოდა. იასაული მოვიდა შენთან, ხატი უნდა მოგეტანა და მე კი დამეფიცნა; შენ არც ხატი მომიტანე და იასაულსაც გაეპარე, როგორც ბატონის ბძანება ჰქონდათ, ნაცვალი იესე და სოფლის უფროსნი კაცნი შეიყარნენ და როგორც ტოპეშაშვილმა აღდგომელამ და ყორღანაშვილმა ძულიამ იმოწმეს და სულზე და შვილზე დაიფიცეს, რომ აქამდინ ნასყიდი არისო და ამის იქით კი საქმე არა აქვს რაო, იმ ადგილზე ჩაიარეს, მეც საფიცრათ მზათ ვიყავ, სანთლები კელთ მეჭირა, ხატის მომცემი კი არავინ იყო და სიტყვით კი დავიფიცეო და ნაცვალმა იესემ და სოფლის უფროსმა კაცებმა მიჯნები ჩაყარესო და მომცესო და ახლა რაღათ მედავებო.

ამათმა ლაპარაკებმა ამგვარად ბევრმა გაიარა და ახლა ამათი სამართალი ასე გადაწყვეტიტეთ: რადგან მაშინ ფიცი არ მომხდარა, ღრეიძე პაპუამ ხატი მიიტანოს; რომელიც ადგილი ტოპეშაშვილს აღდგომელს დაუნიშნავს და მოკვლევებს მიჯნები ჩაუყრია, იმ მიჯნაზე შედგეს, გოდერძი ქურხულმა ხატი გამოართვას და იმ მიჯნაზე ჩაიფიცოს: «ამისმა მადლმა და განმაცხოვებელმა ღმერთმა, ღრეიძე პაპუაე, ამ მიჯნას აქეთ შენ არცა რა საქმე გაქვს და არც შენი ნასყიდი არის». და ტოპეშაშვილმა აღდგომელამ თქვას: «მაგისმა მადლმა რომ მ[ართლა] ფიცავს».

თუ გოდერძი ქურხულმა ასე იფიცა, [დარჩება გო]დერძი ქურხულს ის სადაო მამული. და თუ ვერ იფიცა, და[რჩება ღრეიძე პაპუას].

ხალვათხანის ეშიკალასბაშო ა ი დ ე მ უ რ, ნაცვალი [ი]ესე და ვინც მაშინ სოფლის კაცნი გამიჯვნაში დასწრებაან, ისინიც იქ უნდა დაესწრან და ეს [საქმე ასე გაარიგო] და გარდასწყვიტო. ფებერვლის იბ, ქორონიკონს უპ.

ქ. [ტოპეშაშვილმა აღ]დგომელამ როგორც იცოდეს, სწორეთ იმ მიჯნაზე ჩაიაროს და როგორც ზემოთ დაგვიწერია, გოდერძიმ

ისე იფიცოს. 

|  |  |
|--|--|
|  |  |
|--|--|

\*

[ქ. გოდერძი ქურხული მოვიდა და პაპუასათვის უნდა შეეფიცნა. გოდერძიმ სანთელი აანთო], ხატი აისვენა და მიჯნაზე მივიდა. ტოპეშაშვილმა მიჯნაზე ფეხი დაუდგა; გოდერძიმ დაიფიცა; გოდერძიმ რომ ფიცი გა[ათავა], [ტოპეშაშვილმა სთქვა: «მაგისმა მადლმა სწორეთ იფიცაო».

არის მოწმე[ე]ბი დამსწრები: საგარეჯოს ნაცვლები ი ა ს ე, ნაცვალი ი ო ს ე ბ, მღდელი დ ა ვ ი თ, ნაცვალი ი ვ ა ნ ე ბ ე დ ი ა შ ვ ი ლ ი, სალთხუცესი გ ო გ ი ა დ რ ე ი ძ ე, პ ა ნ ტ ე ლ ე ი მ ო ნ ტ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ქ უ რ დ ა მ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ა, ბ ა ს ი ლ ა დ რ ე ი ძ ე, გ ო გ ი ა მ ე გ რ ი შ ვ ი ლ ი და სამოცამდინ გარეჯელნი. და მე, დ ა ვ ი თ ნ ა ც ლ ი შ ვ ი ლ ს, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

ქ. მე, ხალვათხანის ეშიკალასბაშს [აიდემ]ურს, ეს ბატონის ბძანება ასე აღმისრულებია, ამთენის კაცის დასწრებით რომ დაიფიცა

გოდერძიმ. ფებერვალს ვ, ქორონიკონს უპ. 

|         |
|---------|
| აიდემურ |
|---------|

<sup>1</sup> † და.

\* ადგილი მოხელთა, მხოლოდ ნაშთი სჩანს.

თავში:

ქ. ჩვენ მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ფებერვლის იღ, ქორონიკონს უპ.

ბეჭადი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოსა და სხვათა დედოფალი, ბატონის დადიანის ასული. პატრონი დარეჯან, ამ განაჩენს ვამტკიცებთ. ფებერვლის კდ, ქორონიკონს უპ.

ბეჭადი: დედოფალი დარეჯან

### 323. არსა 'მამაჴვილუაზისა ცხვირის თაოზაჴე მოსამართლეთა განჩინებით

1792 წ. 24 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 538. დედან. ქალაღი 29x17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

[არსა]

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე მეფის ძის ვახტანგის ჴირი მოსცეს მათს მონათ მაცა [ა]ნთ.

მერე ეს არის ჩვენი მოხსენება: თქვენი რისხვა გვქონდეს, თუ ჩვენს ცხვარს ყორჩიბაშიანთ მთა ეძოვნოს. ჩვენი ცხვარი ჩვენს მამულში გვედგა, გ[ა]გუ[ი]სივეს ყორჩიბაშიანთ კაცნი და ჩვენი ცხვარი დარბ[ივეს].

და გაიხელით მდივანბეგებთან, ვიჩივლეთ და ორჯელ მოსამართლეთ უბძანეს: ცხვარის საბალახე არ აიღებათ, თ[ა]ვის ცხვრები მიეცო. ორჯელ სამართალში გავიარეთ და სამართლით ჩვენი საქონელი არ მოგვეცეს და სამართლის ძალით ჩვენ კანბეჩი დაუჴალით.

ჩემო კელმწიფევ! თუ ცხვარის საბალახეს განაწესებთ და ან განაწესებული არის, ჩვენც გვებძანოს და ჩვენც ავიღებთ. და თუ არ არის განაწესება და ჩვენ რათ წავგვართვეს.

სამართალს გვეედრებით. რაც მაგათ ცხვარი და ღორი შეუჴამიათ, მოგახსენებთ:

ა. ქ. ბესანამ მოკლა ღორი.

ბ. ქ. ალექსანდრესი წამოიყვანეს ბურღული დამ თოხლი.

ა. ქ. ბატკანი წამოიყვანა დიმიტრიმ რუისპირი დამ.

ა. ქ. ბოტკოველის წამოიყვანა დიმიტრიმ ბურღული-დამ ყოჩი.

ა. ქ. საბალახის ასაღებათ მიდიოდნენ დ ი მ ი ტ რ ი და დ ა ვ ი თ. ჩვენი მოკლეს ყოჩი.

გ. ქ. ახლა წამოიყვანეს ცხვარი.

თუ ამაში ტყვილი მოგვეხსენებინოს ჩვენო ხემწიფევე, გადავახდევინე. თებერვლის კვ, ქორონიკონს უპ.

### [განჩინება]

ქ. მისის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგის ბძანებით ჩუენ. კახეთის მოსამართლე[ე]ბჰმან, ეს სამართალი მივეციტ.

აღრევ ამ მაყა[ან]თ ჩუენთან იჩივლეს ამ ცხურების დატაცება. ჩუენ მაშინვე ყორჩიბაშიანთ ასე უთხარიტ: მამულის პატრონმა ცხუარი უნდა თავის მამულში და[ა]ყენოს, ფარეხები გა[ა]კეთებინოს, დოლი ა[ა]ღებინოს. თუ არა ერთი ორი თვე იმის მამულში იდგეს და მას უკან მამულის პატრონი განწესებულს საბალახეს გამა[ა]რთმევს. სამოქალაქო განწესება ასე არის.

მაგრამ ეს ჩუენ ჭეშმარიტებით შევიტყუევით, რომ ამ მაყა[ან]თ ცხუარი ორი სამი ღამე არა მდგარიყო. და მაშინვე უთხარიტ თავიანთ ცხვრები ყორჩიბაშიანთ უნდა მიეცათ მაყა[ან]თათვის, მაგრამ არ მისცეს.

ამაში მაყა[ან]ი წასულიყუნენ და ერთის ყორჩიბაშის შვილის კაცის კამბეჩი წამოეყუანათ და დაეკლათ.

მაყა[ან]ი ამასაც ჩიოდნენ, რომ ფარეხები დაგვიწუესო, ცხუარიც მაშინვე წამოესხათ, ერთი ორი ღამე ყოფილიყუნენ, მეტი არა.

ჩვენ სამართლიტ რაც ყორჩიბაშის შვილებს ამათი ცხუარი წამოუსხამთ და ამ არზით საბუთი უყონ, ყორჩიბაშიანთ უნდა მისცენ.

მაყა[ან]თ რომ კამბეჩი დაუკლავსო, როგორიც კამბეჩი ყოფილა, მაყა[ან]თ უნდა მისცენ.

მაყა[ან]ი რომ მიხდომიან და კამბეჩი დაუკლავსო, ამისი ჯარიმა მისის უმაღლესობის ნება არის. ფებერვლის კვ, ქორონიკონს უპ.

ორი ბეჰედი:

1. მონა ღთისა ო ტ ი ა

2. არ ირჩევა.

ქ. ჩუენ, მეფის ძე ვახტანგ, ვამტკიცებ ამ განაჩენს. ფებერვლის კვ, ქორონიკონს უპ.

ბეჰედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.



1792 წ. 6 მარტი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 33. საბ. № 254. პირი: ქალაღი. მხედრული.

[109v] ჩ ერ ქ ე ზ ის შ ვ ი ლ ის ი ო ა ნ ე ს ი, ჯ ა ნ ა ს ლ ა ნ -  
ის ობლებისა და ა ვ თ ა ნ დ ი ლ ის დედის თ ა მ ა რ ის ა და  
ობლის ქალების სამართალი საქართველოს მსაჯულთშეკრებლების  
თანდასწრებით ესრეთ გავსაჯეთ.

რადგან ჩ ერ ქ ე ზ ის შ ვ ი ლ ს ა ვ თ ა [110] ნ დ ი ლ ს ვ ა ე ი -  
შვილი არ დარჩა და იმისი წილი ყმა და მამულა ჩ ერ ქ ე ზ ის შ ვ ი ლ ს  
ჯ ა ნ ა ს ლ ა ნ ს და ი მ ის ძ მ ა ს ი ო ა ნ ე ს უ ბ ო ძ ე თ, ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს რ ო მ სა მ ი  
ობოლი ქალი დარჩა, თითოს ქალისათვის მზითუად ოცდაათი თუ-  
მანი განვაჩინეთ — ნახევარი ნაღდი და ნახევარი ჟინსი, რომ სამი-  
სავ ქალის მისაცემი ოთხმოცდაათი თუმანი იქნება; და ეს ოთხმოც-  
დაათი თუმანი ავთანდილის ობლებს ჩ ერ ქ ე ზ ის შ ვ ი ლ მ ა ი ო ა ნ ე მ და  
ჯ ა ნ ა ს ლ ა ნ ის ო ბ ლ ე ბ მ ა უ ნ და მ ის ც ე ნ .

მაგრამ რამდენსაც მოახლეს იოანე და ჩ ერ ქ ე ზ ის შ ვ ი ლ ის ჯ ა ნ -  
ასლანის ობლები მისცემენ თავეთის ნებით, იმდენს რვა თუმანს  
ამ ოთხმოცდაათის თუმანიდან უნდა გამოვიღწენ და დანარჩომი მის-  
ცენ. აქედამ სამოცი თუმანი ორის ქალის მზითვად მკათათვის თვე-  
ში უნდა ავთანდილის ობლებს შეუსრულდესთ. და მამული და ყმა  
ამ ი ო ა ნ ე ს და ჯ ა ნ ა ს ლ ა ნ ის ო ბ ლ ე ბ ს მ ო ბ ა რ დ ე ს. და ერთის ქალის  
მზითევი — ოცდაათი თუმანი რომ დარჩება, ისიც მამული რომ მო-  
ბარდებათ, როდესაც იმ ქალის გათხოვების ყამი იქნება, მაშინ უნდა  
მისცეს.

ავთანდილის დედის თამარის რჩენის გზაც ასე განვაწესეთ:  
ავთანდილის ყმებიდან ერთი თავის მსახური თ ო რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი  
და მეორე ერთი კომლი საშუალო გლეხი უნდა მიეცეს, სანამ ცოცხა-  
ლი იყოს; და საბოლოოდ კი იოანესი და ჯ ა ნ ა ს ლ ა ნ ის ო ბ ლ ე ბ ის ა  
იქნება.

და ავთანდილის წილობისა რომ ორი ვენაჟი არის, ის ორი ვე-  
ნაჟი ჩ ერ ქ ე ზ ის შ ვ ი ლ მ ა ი ო ა ნ ე მ და ჯ ა ნ ა ს ლ ა ნ ის ო ბ ლ ე ბ მ ა უ ნ და ი მ უ -  
შაონ. რაც სამუშაოდ იმ ვენახებზედ დაიხარჯებოდეს, [v] მოსავ-  
ლიდამ უნდა გარდასდებდენ და დანარჩომის ნახევარს ავთანდილის  
დედას თამარს უნდა მისცემდნენ, ვინემდისინ ავთანდილის ობოლ  
ქალებს სამთავ გაათხოვებდეს.

და როდესაც სამსავ ქალს გაათხოვებს, მასუკან თუ ვენახები

გაკეთდებოდეს და მოვიდოდეს რამე, წელიწადში ერთს ურემს ღვინოს უნდა მისცემდნენ. და თუ, ღმერთმან ნუ ჰქნას, ან დაისეტყოს და ან მოსავალმა არ მოსცეთ, მაშინ იმ ცოტას გამოსავლიდამ რაც გამოვიდოდეს, ნახევარს უნდა მისცემდნენ. და სანამ თამარ ცოცხალი იყოს, ერთი ურემი პურიც უკლებლად უნდა აძლიონ.

ჩვენ ასე გავვირიგებია და ორნივ ამას უნდა დასჯერდნენ.

იასაულო ნაზირო იოსებ! ეს ასე აღასრულე. მარტის ვ, ქორონიკონს უპ.

ქ. ავთანდილის თბოლის ქალების დათხოვების შემდგომად თამარის მისაცემად ვენახების გამოსავლიდამ რომ ერთის ურემის ღვინის მიცემა გვიბრძანებია, რადგანაც თამარს სამარხი არ ეძლევა გარდაკუთვით, ვინემდისინ ცოცხალი იყოს, რაც ვენახების გამოსავალი იყოს, ყოველთვის ნახევარი უნდა მიეცემოდეს. და ამ ორს კომლს გარდა ერთი ბოგანო მდაბალი კაციც უნდა მიეცეს ავთანდილის წილობის საყმოდამ.

და სხვა საქმე თამარს თავის სიცოცხლეში ამ ჩერქეზიშვილებთან იოანესთან, ჭანასლანის ობლებთან და ჰაპუას ობლებთან აღარა ექნება რა.

ჩერქეზიშვილის ჰაპუას ობლები რომ არიან, [111] იმათაც ამ ზამულსა და ყმაში წილი უძევსთ, როგორც იოანეს და ჭანასლანის ობლებს.

|        |  |
|--------|--|
| მეფე   |  |
| ერეკლე |  |

ჩუენ, ქართლისა და კახეთის დედოფალი დადიანის ასული დარეჯან, მისის უმაღლესობისაგან ბოქებულის განჩინებისა ამის თანახმა ვართ. მარტის თ, ქორონიკონს უპ. 

|          |
|----------|
| დელოფალი |
| დარეჯან  |

**325. ბანინება არუთენ შარმაზანაშვილისა და საყვარელიძის ვალის საყმეზე**

1792 წ. 24 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5353. დედანი. ქალაღი. 22x9,7 სმ. მხედრული. ა-ნაკლები. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ. არუთენ შერმაზანაშვილსა საყვარელიძის ერთის თუმნის თამასუქი ქონდა თორმეტის წლის სარგებლით, მოვიდენ და ილაპარაკეს ბატონს აღათანგი ხერხეულიძესთან, მამუკა უნაძესთან, კვანჭახაძე გაბრიელთან, კვანჭახაძე სვიმონთან. მე, ამირალაშვილი ოსეთეაც, ამათ ვახლდი.

ვილაპარაკეთ. საყავრელიძე ერთს თუმანს საიასაულოს ედავე-  
ბოდა. ამაში გავშინჯეთ, არუთენს თამასუ[ქ]ი ორი თუმანი ხდე-  
ბოდა.

ჩვენ ამის მეტი ვერ შევატყვეთ, რომ საყავრელიძემ აილოს  
არუთენს და თავისი მთავნი ერთი თუმანი მისცეს. და არუთენს  
საყვარელიძესთან არც ერთის ფულის საქმე აღარა ექნება რა; თი-  
თვ[ან] არუთენმაც თქვა, რომ შოშია საიასაულოს მედავებოდა.

მე, ამირალაშვილს ოსეფას, დამიწერია ამათის ბძან[ე]ებით, მოწა-  
მეცა ვარ.

დაიწერა მარტის კდ, ქორონიკონს უპ ჟ.

ქ. მე, ხერხეულიძე აღათანგი, ამ სამართალში და-  
ვე[ს]წარ, ასრე გადაწყდა. ბეჰედი:

ქ. მე, უნაძე მამუკა, ამ სამართალშიდ მოსამართლებს  
ვახლდი, ეს ჩემი ხელია ჟ.

ქ. მე, გაბრიელ კვანჭახაძე ამ სამართალში ვახლდი.

### 326. ბანდინება მარტყოფელი პატრისა და მის ძმისწულაგის გახრის საქმეზე

1792 წ. 6 აპრილი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 49. საბ. № 46. პირი. ქალაღი. მხედრული.

[24v] მისს უმაღლესობას ბედნიერს კელმწიფეს მ დ ი ვ ა ნ ბ ე -  
გის ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ა თ ე ის ხ ა ლ ვ ა თ ხ ა ნ ი ს ე შ ი კ ა ლ ა -  
ბ ა შ ი ს ა ი დ ე მ უ რ ი ს მოასილობით და ოქმით მარტყოფელის  
თუშმალ ყოფილის დ ა ვ ი თ ი ს შვილის — გაბრიელის შვილის  
პ ე ტ რ ე ს ი და ამისის ძმისწულის გ ლ ა ხ ა ს ი და მისის ძმები-  
სა და ამათი ბიძაშვილის პ ა პ ი ა ს გაყრა ჩვენთვის ებძანებინა.

ჩვენ ბძანებისაებრ მივედით მ ა რ ტ ყ ო ფ ს ა და იქაურნი  
უფროსნი გლეხი კაცნი ჩვენთან დავისწარით და ეს ზემოხსენე-  
ბულნი მოდავენი ვალაპარაკეთ. და ესე გავყარეთ ერთმანეთის შე-  
ჯერებით.

რადგან თუშმალ ყოფილი დ ა ვ ი თ თავისის სახლის დიდათ  
მოჰირნახულე ყოფილა და შემმატებელი და უმაღლესობისა კემ-  
წიფეთა თანა ნამსახური, ვითარცა წყალობისა მათისა სიგლები  
ნათლად უტხადებს და აგრევე ამისი შვილი გა ბ რ ი ე ლ ც მ ა ს -  
თანვე თავისის სახლისა უმეტესად მოჰირნახულე იყო და სახლისა

და კარისა თვისისა ამშენებელი და მოკირნახულე არის, ასე რომ ეს განცხადებით ყველამ იცის და მო[ე]ხსენებათ.

ამ გაბრიელმან თავი გარდაღვა სასიკუდილოდ, სამჯერ მისი რი მოაარა, თავისის ძმის ბეგიდამ მბლაცი საქონელი მოიტანა, თავის ბიძაშვილებსაც შემატა, სახლიცა და ნასყიდობაც ამისი შემატებული არის და ბატონის წყალობა მამულებიც ამისი გამოტანილი არის და ნაშოვნიცა. ამ ორისავ მამაშვილთ, საკირნახულოდ გაბრიელი შვილს პეტრეს მიეცა მორდლისეულს ნასყიდს [25] მიწაში შემოფარგვლით რაც შენობა არის — ეკლესია ნაშენი ქვიტკირისა, კოშკი ქვიტკირისა, დარბაზი, ოთახი, მარანი და ამავე სასახლეს რომ ბაგა აძევს, ამავე მიწაში ნაშენი, რაც ამ მიწაში სასახლე და შემოფარგვლილი შენობა არის, ეს საკირნახულოდ მიეცა ერთმანეთის შეჯერებით<sup>1</sup>.

ბერუაშვილებს გლახასა და ამის ძმებს მიეცა, რადგანც ესენი თავის სახლისა მოკირნახულენი არიან და გამრჯელნი ყოფილან, ამათაც მიეცა ხევს გაღმა ძამაშვილისეული და ბანეთოშვილის დარჩიასეული ბაგა, სასახლეა და საბძელ-კალოთა და საკირნახულოდ მიეცა. აგრევე ამავე გლახასა და ამის ძმებს მიეცა მესამე წილში გუგუნაშვილისეულს მამულში ზევით მარნის მხრისაკენ აშენებული ვენახი ჭაპანი ექვსი და სამი ჩარეჭი, რომ ერთის ჭაპანის სიგრაქე არის აღლი იბ<sup>0</sup> — თორმეტნახევარი.

ქ. მესამეს ძმისშვილს პეტრეს მივეციით ამავე მამულში ჭაპანი სამი და ერთი ჩარეჭი.

ქ. ებიტანთეულ მამულში მიეცა პეტრესა და პაპიას ჭაპანი ათი — ი. ეს პეტრემ და პაპიამ უნდა გაიყონ.

ქ. პეტრესა და პაპიას ორსავ მამულში რაც ერგოთ, ეს ზომით შუა გაიყონ. თუ ერთად ვერ მოთავსდენ, პეტრემ თავის წილის მამულიდამ ერთი ჭაპანი მამული უნდა მოუჭრას, რვა აღლიანი ჭაპანი უნდა იყოს, სასახლის მაგიერად პაპიას უნდა მიეცეს. თუ სასახლეში მოითავსეს და და[ა]ყენებს, მამული წილში რაც რგებიათ პეტრესა და პაპიას, ორისავ უნდა იყოს, საკირნახულოს გარდა.

ქ. გუგუნათეულს მარანშია და სასახლის მარანშია რაც ქვევრები არის, ეს ქვევრები ორისავ მარნის ერთად უნდა შეფარდდეს და სამად ვაიყონ: [v] ერთი წილი პეტრესა, მეორე წილი გლახასა და ამის ძმებსა და მესამე წილი პაპიასა.

<sup>1</sup> შეჯერების.

ამ ქვევრებს გარდა გუგუნანთეული ქვიტყირის მარანი რომ არის, კედლის შენობა დაფასდეს, როგორც დაათასონ, ამისი ფასი გლახამა და ამისმა ძმებმან ორი წილი პეტრესა და პაპიას უნდა მისცენ და საკუთრივ მარანი გლახასი და ამისი ძმებისა იქნება.

ქ. სხვა მამულები რაც აქვთ ან სამკვიდრო ან ბატონის წყალობა ან ნასყიდი სასხლავი თუ სახნავი, სამად უნდა გაიყონ სოფლის კაცთ თანდასწრებით ზომითა და წილას ყრით. ამაში არც საუფროსო იქნება და არც საუმცროსო.

ქ. რაც ან ასაღები აქვთ ან უწინდელი ან ახლანდელი და ან ჩნდეს დღესა და ან კიდევ მასუკან გამოჩნდეს რამე, ესეც სამად უნდა გაიყონ.

ქ. გლახას რაც ახლა მოუტანია სრულად უნდა წერილით გამოაცხადოს, რაც იქნება იქილამ გლახას საჭირნახულო მიეცეს და სხვა ძმაზედ გაიყონ.

ქ. ტყვე რომ ყოლიათ ერთობაში დაკარგული, ესეც სამ ძმად უნდა დაიხსნან.

ქ. სხვა საქონელი და სახლის აჯნაში მოურავს გაუყვიქია და სოფლის კაცსა და იმათ სამართალს დასჯერდნენ.

ქ. გაბრიელის სახლობა რომ ოთხას ოქროს დაობს, რომ საკუთრად ბეგისაგან მომივიდაო, თუ სწორედ ამისას საბუთსა იქს და ორსა და სამს მოწამეს წამოაყენებს სამართალში, რომ მოსლოდეს და სასახლოდ დაეხარჯოსთ, ამისი პასუხი სამთავ ძმებმან უნდა მისცენ. და თუ თითონვე გაბრიელის სახლს საკუთრად დაუხარჯავს, ამას ველარას იღავენს. ეს სამართლით უნდა გაირჩეს.

ერთი ამ განაჩენის პირი გლახასა და ამის ძმებისათვის მიგვაციო; და ეს პეტრესა და პაპიას უნდა ქონდეს.

ჩვენ სამართლით ასე გაგვიშველებია; და ნება უმაღლესობისა არის. აპრილის ვ, ქორონიკონს უპ.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მიუფე გიორგი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ეს საქმე გარდაწვეტილი არის. ამასთან საქმე აღარაფრისა აქვს. მაისის ა, ქორო-

ნიკონს უპ.

1792 წ. 19 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 14518. დედანი. ქაღალდი. 36,3×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ვ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ ი უჩიოდენ დ ა ვ ი თ ა ფ ხ ა ზ ს, კ ა ვ კ ა ნ - შ ი სამი საკომლო მამული გვაქვსო და შენ გაქვს მიმძღავრებულ-ლიო.

აფხაზი უპასუხებდა: კავკანი ფიცით გამიტანიო, თქვენ იქ თოთხმეტის დღის მიწის მეტი არა გაქვსო რაო და ოცდაერთის დღის მიწა ე დ ი შ ა ს შ ვ ი ლ ი ს არისო.

ჩვენ, კახეთის მოსამართლე[ე]ბმა, ბევრი გამოვიძიეთ და არც ვაჩნაძიანთ ქონდა წიგნი და არც აფხაზს ქონდა დაფიცების განაჩენი. და თავისის სიტყვით ამბობდა აფხაზი, რომ თოთხმეტის დღის მიწა ვაჩნაძიანთი არისო და ოცდაერთის დღის მიწა ე დ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს აო. ჩვენ ამას სიტყვით ვერ დავერწმუნენით. ამ კავკანში ბ ე რ ო - ზ ა ს შ ვ ი ლ ე ბ ი სახლებულან და დავით აფხაზს ჰყავს და ერთი კომლი ლ უ ა რ ს ა ბ ო ნ ა ნ ა ს შ ვ ი ლ ს ჰყავს. სამმა კომლმა ბეროზასშვილებმა და ერთმა ლუარსაბის კაცმა — ამ ოთხთ შეფიცონ ვაჩნაძიანთ, რომ: «რასაც დავით აფხაზი არ ამბობს, ამის მეტი წილი თქვენ იქ არა გაქვსო». თუ ასე იფიცეს, რასაც დავით აფხაზი ამბობს, ეს უნდა მისცეს ვაჩნაძიანთაც და ე დ ი შ ა შ ვ ი ლ ს აც. და თუ ვერ იფიცეს სამი საკომლო უნდა მისცეს დავით აფხაზმა — პირველი. საშუალი და ბოლოს კაცისა. თითონ ბ ე ბ უ რ ი ა ნ თ ა ც ამ ბეროზასშვილების ფიცის ყაბული ქნეს, მაგათ შემოგვეფიცონო და დარჩესო მაგათაო.

იასაულო ხ ა ტ ი ა ს შ ვ ი ლ ო ს ვ ი მ ო ნ და ბ ე ი ტ რ ი ს - შ ვ ი ლ ო დ ე მ ე ტ რ ე! ეს ასე აღასრულეთ.

აპრილის ით, ქორონიკონს უპ.

ამათ ასე უნდა დაიფიცონ, რომ: «დათუნა აფხაზს რომ დაუფიცამს, მაშინ დათუნა აფხაზს სამი საკომლო ამათთვის არ ეთქვას და არც კაცი სახლებოდესთ კავკანში და არც არა საქმე ქონებოდესთ ამ თოთხმეტის დღის მიწის მეტი დავით აფხაზისა ლუარსაბისა და ასლანის წილობა იყოს».

სამი ბეჭედი:

1. არ ირჩევა
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბ ე ჟ ა ნ
3. მონა ღთისა მდივანბეგი ო ტ ი ა .

1702 წ. 22 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2030. დედანი. ქალაღი. 63,8X27,5 სმ. მხედ-  
რულა. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძაჲე, წერტილმძიჲე და ორ-  
წერტილი.

ქ. მისის უმაღლესობის ოქმით მეფის ძეს გიორგის ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულებათათვის თაყაზვილის რევაზისა და დავითის სამართალი ებძანებინა.

ორნივ მოდავენი სამართალში ვალაპარაკეთ. რომელთაც სარჩელი იყო ამოწყვეტილის ქაიხოსროს ყმასა და მამულზე.

რევაზი იტყოდა: ქაიხოსრო ჩემთან შეყრილი სახლისკაცო იყო და შენი გაყრილი უახლოესი ვარისი მე ვარ და იმის წილი ყმა და მამული სამართლით ჩემიაო.

დავით მიუგებდა: ქაიხოსროს მამა უსუფა მეფის შანავაზის დროს მამის ჩემის პაპას გაჰყრია და ქაიხოსრო რომ ამოსწყდა, რადგან ჩემი უფრო ახლო ნათესავი იყო, ბართიანა მოწმობით მისს უმაღლესობას მოვახსენე და ქაიხოსროს ყმა ხუციშვილები მე მიბოძაო.

ბართიანთ მოწმობა რომ გავსინჯეთ, ვახტანგ ნამანგლელავის შვილს ქავთარიშვილს ედიშერს და ნიკოლოზს მისის სიმაღლისათვის წერილით მოუხსენებიათ: ეს ხუციშვილები ქაიხოსროს ყმანი არიან, და ქაიხოსრო ფარემუზისა და ომანის გაყრილი იყო და უშვილოდ ამოსწყდაო, და ვინემ ქაიხოსრო დაიკარგებოდა, ხუციშვილი ფარემუზს ემსახურებოდაო.

და აგრევე რევაზის მოწამენი ქავთარიშვილი ნიკოლოზ, სოლოლაშვილი იორამ და გოსტაშაბიშვილი ზაზასწერდენ: უსუფაშვილი ქაიხოსრო და ვახტანგ რევაზის მამა ერთნი იყვნენო. უსუფა რომ ყიზილბაშიდამ მოვიდა ყმა და მამული ვახტანგიდამ გაიტანაო და ქაიხოსროსავ სიცოცხლეში იმისი ყმანი ხუცისშვილები და ებალაშვილი ვახტანგს ემსახურებოდენო.

ეს ზემოხსენებული საბუთები ვერც ერთს მკარეს უფიცრად სამართალს ვერ გარდასწყვეტდა.

მაგრამ რევაზ ვახტანგი[ს]შვილმა ორი დასარწმუნებელი საბუთი სამართალში წარმოაყენა. პირველი, წიგნი ებალაშვილის ქაიხოსროს ყმისაგან მიცემული, რომელშიაც სწერს: ეს პირობა მოგართვი თქვენ — ჩემს ბატონს ვახტანგს და ქაიხოსროსაო და იქი-

დამ აქამომდე ქაიხოსროს წილი ებალაშვილი მხოლოდ ქაიხოსროს ვარისობის მიზეზით ვახტანგს ყმად დაუმკვიდრებია.

და მეორე, ქორონიკონს უკთ — ამ წელს ხანს იმან ყულახანს ვახტანგის მოხსენებით ამ მამულის ვითარება უკითხავს ქაიხოსრო სარდლისათვის; და სწერს სარდალი ქაიხოსრო: ეს მამული ვახტანგის ბიძის უსუფას წილია და უსუფას სამართლიანი ეარისი ვახტანგ არისო და სამართლით ეს მამული ვახტანგისა არისო.

დავითს ამისი დასარღვეველი საბუთები მოვსოხოვეთ და ვერ მოიტანა.

ამ ორის სარწმუნოს საბუთებით ქაიხოსროს წილი ყმა და მამული უფიცრად დარჩა ვახტანგის შვილს რევაზს.

და თუ ამის დასარღვეველს საბუთს დავით თაყაშვილი წარმოაყენებს, სამართალი მიეცემა.

ემიკალასბაშო მ ა ყ ა შ ვ ი ლ ო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე! განჩინება ესე აღასრულე. მაისის კბ, ქორონიკონს უკ.

ექვსი ბეჭედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.

2. მდივანბეგი

3. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ემიკალასბაშო მყო მდივანბეგი თე მ უ რ ა ზ

4. ქაიხოსრო

5. მეთოდი

6. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

ქ. ჩვენ, მეფე ორთავე საქართველოსა ირაკლი მეორე. ვამტკიცებთ ამ მსაჯულთ განჩინებას. აგვისტოს გ, ქორონიკონს უკ.

ბეჭედი: მეფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი, მსაჯულთ განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. აგვისტოს გ. ქორონიკონს უკ. ხელთა: კათალიკოზი ანტონი ქ

ქ. ჩვენ, საქართველოს დედოფალი ბატონის დადიანის ასული დარეჯან, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. აგვისტოს ე, ქორონიკონს უკ. ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.



ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ბატონის შვილი იულონ, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. აგვისტოს ით, ქორონიკონს უპ. ზეპედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლასაგან.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. აგვისტოს ით, ქორონიკონს უპ. ზეპედი: ლომად იუდას ბაქეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე, ამ მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. აგვისტოს ით, ქორონიკონს უპ. ზეპედი: დავითის რტო სახელ მძესა ალექსანდრე მეფის ძესა.

ქ. უფრო უმეტესად გამოძიებით და უწვლილესად გასინჯულობით ასე განვაჩინეთ, რომ წადგეს რევაზ თაყაშვილი და ასე შეპტიცოს: «ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმა, დავით თაყაშვილო, ამ კაცებთან რაც კახეთში გასულობით თქვენ ქელი არ მოგიკიდიათ, სხვებრ სამართლით შენ საბატონყმოდ ქელი არა გქონდეს ამათთან; ამათი ბატონი ქაიხოსრო და მამაჩემი შეყრილნიც ყოფილიყვნენ და ქაიხოსროს უკან რაც ამ კაცებს ქართლში ყოფნა დასცალეზოდესთ, ჩვენთვის ბატონყმურად ემსახურნოსთო».

თუ ასე შეპტიცა, დარჩება რევაზს. და თუ ვერ შეპტიცა, დარჩება დავითს.

ყორიასაულბაშო ზაალ, როგორც გვიბრძანებია, ასე აღასრულე. ნოემბრის კ, ქორონიკონს უპ. ზეპედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

ქ. როგორც მისი სიმალლას განსჯა და ბძანება აცხადებს ამ განჩინებასა შინა, რევაზ თაყაშვილმა იფიცა ეკლესიასა შინა თაყაშვილი დავითის წინ შეძლოლითა და თანდასწრებითა.

მისი სიმალლის ბძანება სა[ა]მის შვილმა ზაალ ასე მთლად აღვასრულეზინეთ. ხელთუა: ზაალ.

ქ. ქაშეთის დეკანოზი ფილიპე ამ მოწმობას ვსწერ. სა[ა]მის შვილმა ზაალმა ბატონის ოქმი და ბძანება მაიტანა, ეკლესიაში თაყაშვილსა რევაზს უნდა დაეფიცა, დავით თაყაშვილი თან შეყოლოდა. რევაზმა დაიფიცა ეკლესიაში, დავით თან შეყვა.

ხელთუა: ფილიპე.

1792 წ. 10 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 873. დედანი. ქალაღი. 40X26,5 სმ. მხედრული.  
ვანკეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. გვარამაძე ლომი და ამისი ძმა ბეჟან ყიზილბა-  
შობას ციციშვილის ბაადურის შვილის გლახას ყმისა  
და მამულის გამოსაღებში ფარსადან ციციშვილს ყი-  
ზილბაშებისათვის მიეცა.

მერე ყიზილბაშებისაგან ლომი გვარამაძე წინწყაროელს გურ-  
გინ-ბეგს დაეხსნა და გაენთავისუფლებინა, რომ გურგენბეგის-  
გან მიცემული თავისუფლობის წიგნი გვარამაძეებს კელთ უჭირამთ.

და ამ ლომის ძმა ბეჟანც ციციშვილს კირილე მთა-  
ვარეფისკოპოზს დაეხსნა და თავისთან ჰყოლოდა. და მას  
აქეთ ეს გვარამაძეები ჩვენს სახასოთ ყოფილან.

ამას გარდა გლახა ციციშვილს ამ გვარამაძეების  
ყმა და მამული — სამკვიდროც და ნასყიდიც — თუ რამ ჰქონიათ,  
სულ გაუყიდნია — ზოგი ქალანთრისათვის მიუყიდნია და  
ზოგი ალექსანდრე სარდრისათვის, რომ დღეს რაც  
ამათს ჩამომავლობას უჭირამთ; და ამ გვარამაძეების ნამზითვი ყმა  
მაშვესწარაშვილებიც დავით მირზაშვილისათ-  
ვის მიუყიდნია ციციშვილს გლახას; რომ ეს მამესწარაშვილები  
ნეტარად ხსენებულის მამის ჩვენისა და ჩვენის ბძანებით ისევ ამ  
გვარამაძეებს დავახსნევინეთ და დავით მირზაშვილისათვის თეთრი  
მივაცემინეთ.

რადგანც ამათი ყმა და მამული ციციშვილის ბაადურის შვილს  
გლახას გაუყიდნია, ესენიც იმისის ყმისა და მამულის გულისათვინ  
გასყიდულან და ამდენი მიზეზები მისცემიათ; ამათთან საბატონ-  
ყმით ციციშვილებს საქმე აღარავისა აქვს და ვერც რამაზ ამათ-  
ლა შეუა რასმე.

პირველად ამისათვის, რომ: აზნაურშვილს რომ თავისმა  
მებატონემ ყმა და მამული გაუყიდოს ან ჩამოართოს და ან კიდევ  
თათონ აზნაურშვილმა თავის ნებით ყმასა და მამულზედ კელი  
აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ  
ექნება.

და მეორედ ამისათვის, [რომ] თითონ ეს გვარამაძეები გლა-

ხას ყმისა და მამულის ხარჯის გულისათვის გასყიდულან, სხვათ დაუხსნიათ და გაუზატებიათ.

ამაების მიხედვით და სამართლიანის საქმით ამათთან საქმე აღარავისა აქვს, არც ციციშვილს რამაზს და არც სხვა ციციშვილელს. და ჩვენს სახასო აზნაურშვილად დავაწესეთ ესენი, ამათი შვილები — სოლომონ და გრიგოლ და ამათი ჩამომავლობა, რომ ამათთან ჩვენს მეტს საქმე არავისა აქვს.

და ამათ რომ ნამზითევი ყმა მამესწარაშვილები ჰყავთ, არც არავის იმ გლეხკაცთანა აქვს საქმე და ამ გვარამაჰეების არის. იენისის ი, ქორონიკონს უპ.

ბეჰელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

ქ. ჩვენ, კართლისა და კახეთის დედოფალი დარეჯან, მისის უმაღლესობისაგან ბოძებულის წიგნისა თანაჟმა ვართ. იენისის კთ, ქორონიკონს უპგ. ბეჰელი: დედოფალი დარეჯან.

ქ. ჩვენ, ყოვლის საქართველოს კათალიკოზ პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი, მისის უმაღლესობის მეფის განჩინებას ამას ვამტკიცებთ. თიბათვის კთ, ქორონიკონს უპგ.

ქ. ჩვენ, მეფის ძე ვახტანგ სრულიად არაგვისა მპყრობელი, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. იენისის კთ, ქორონიკონს უპგ. ბეჰელი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ფარნავაზ, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. იელისის ა, ქორონიკონს უპგ.

ბეჰელი: ღთის მშობელმან წილით მფარნა, ვაზკეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

ქ. მე, ქალაქის მოურავი ევსტათი, მისის უმაღლესობის ბატონის ბოძებულს წყალობის სიგელსა ამას ვამტკიცებთ. იელისის ა, ქორონიკონს უპგ. ბეჰელი: ქალაქის მოურავი ევსტათი.

### 330. ბანჩინება ეფთითიჲ წინამძღვრისა და სოლომონ მღვიანავის სახლების საქმეჲთ

1792 წ. 21 იენისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2783. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მისის უმაღლესობისათვის მის მაღალ ღირსებას ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარს ეფვთიმეს მოეხსენებინა: ქალაქს ჩვენის მონასტრის ეკლესიის სასახლეში სოლომონ მდივანბეგს თავის სახლებიად ჩვენს მხარეს ჩარდახი გაუყეთებია რუსი და ფანჯარა აქვს დატანებულები, თავის მიჯნე-

ბილამ ჩვენის მამულის მხრისაკენ ფიცრულიც წამოუკიდებიაო. იქილამ ეკლესიაში სულის წმიდის შემოსავალში ჩამოიხედებო.

მისმა უმაღლესობამ ჩვენ, მათს მონას გაღატოვის შვილს მღუდელს იოანეს და ბეგთაბეგის შვილს მდივანს სოლომონს და გაბაშვილს ზაზას, გვიბძანა სოლომონ მდივანბეგთან მოციქულობა. გაბაშვილი ზაზა ბაიდარში წასულა, ველარ ჩავიგდეთ.

ჩვენ მის მაღალს ღირსებას წინამძღვარს ეფთვიმესთან და სოლომონ მსაჯულთან შევიყარებით კალატოზების ოსტატი დავით და მეორე კალატოზი დავითა და კალატოზები გოგია, ორი ხურო ოსტატი — ესენიც დავისწარით. ამ ორთავე მოჩივრებმა შუა-კაცათ მოქალაქეებიც მაინდომეს ამ სარჯელის გაშინჯვათ — ყალბოა შვილი ბაღდასარა, თაყოა შვილი ისაია და ნირი მანა შვილი ავთანდილა.

ჩვენ ერთად შეყრილობით ამათი სალაპარაკო საქმე გავშინჯეთ, წინამძღვარს რომ მოუხსენებია, ჭეშმარიტი მოხსენება არის. ძირილამ რომ ქვითკირის მიჯნის კედელია, იმის წინ აღლნახევარი<sup>1</sup> ფიცრული სოლომონ მსაჯულს ეკლესიის მხრისაკენ წამოუწევია და გარდმოსახედავი რუსი და ფანჯარაც დაუტანებია. ჩვენის დანახვით ესრეთ გაეჩხრიკეთ, რომ სოლომონ მსაჯულმა ეს წამოკიდებული ფიცრული თავის მიჯნა კედლამდინ უნდა მისწიოს.

სოლომონ ამას ამბობს: ძველად ასე მოაჯირი იყო მოვლებული და გარდმოსახედავი იყო.

ქალაქის განწესებულის სამართლით სოლომონ მსაჯული, რადგან ის მიჯნის კედელი საკუთრივ თითონ აუშენებია, თავის კედელზე რაც უნდა გააკეთებს.

და თუ წინამძღვარს უნდოდეს, თავის მამულში რა რიგი შენობაც უნდოდეს, გააკეთოს და აამალოს, რაერთიც უნდოდეს სიმაღლე აიტანოს, სოლომონ მსაჯული ვერ დაუშლის.

სოლომონ მსაჯული ამას უჩიოდა: წინამძღვარმა ეკლესია რომ აამალა და კრამიტი დახურა, კრამიტი გრძლად წამოჰკიდა, იქილამ წვიმა ჩემს სახლებს ბანზედ დადისო, სახლებს მიხდენს, მიღპობს, ამის მიზეზით ხარჯი მომდისო.

წინამძღვარი ამას მიუგებდა: ეკლესიის ბანის წყალს მაგ მხარეს უვლიავო და ახლაც მაგაზედ უნდა იაროსო.

სოლომონ მსაჯულმაც ამას ასე უპასუხა: უწინ კედ-

<sup>1</sup> † აღლნახევარი.

ლის პირდაპირ ეკლესიის ყავარი ეზურა, რაც ცოტა მსუბუქი წვი-  
მა მოვიდოდა, კედელს დაედინებოდაო და ვერას მავნებდაო. ახლა  
ორ-სამ ადღზე სიმაღლე მოუმატე და წინ წამოკიდებით დახურე. ამ  
ჩემს ბანებს მიქცევს და მიხდენს და ხარჯი მომდისო.

ეს რომ გავშინჯეთ, სოლომონ მსაჯულის სიტყვა ჰეშმარიტი  
იყო, რომ ამას თუ ერთი რიგიანი წყლის გზა არ გაუკეთა წინა-  
მძღვარმა, სოლომონ მსაჯულს იქ აღარ ედგომება, არცარას სახლე-  
ბი გამოადგება.

ჩვენის მიხედულობით წინამძღვარმა ეკლესიის ბანის წყალს  
ასეთი გზა უნდა მისცეს, რომ თავისს მამულში ბანის წყალი აღი-  
ნოს, რომ სოლომონ მსაჯულის ბანს წყალი არ დაედინოს იმ კრა-  
მიტიდამ. წინამძღვარმა რომ წყალს გზა ამგვარად მისცეს, სოლო-  
მონ მსაჯულმა წამოკიდებული ყავრული უნდა უქუესჰკრას, თავის  
მიჯნის კედლის პირისპირ ბოძები და რუსები დააყენოს.

ქალაქის განწესების რიგზე ასე მივხუდით; და ნება მის უმაღ-  
ლესობისა აღასრულდეს. ივნისს კა, ქორონიკონს უპ. 

|  |
|--|
|  |
|--|

|      |
|------|
| ს.წ. |
|------|

ხელრთვა: ავთანდილ.

### 331. არზა გიორგი ნასახიბაზის ნაიზისა მავრულის თაოგაზა განჩინებით

1792 წ. 23 ივნისა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9715. დედანი. ქალაღი. 20X10,8 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშანა ნახმარი არ არის.

[არზა]

ქ. ღმერთმან მათის უწმინდესობის მეფის ძის პატრიარ-  
ხის ანტონის ჰირი მოსცეს ვეზირიშვილს ნასახიბა-  
შის ნაიბს გიორგის.

თქვენ ყმა ლაზარე ოქრომჰედლა[ს]შვილი პავლე გა-  
რეთ უბანს ადგილს მედავება. თქვენს მოლარეს პეტრეს უბძა-  
ნეთ: პამქარა იოანე და ორიოთ მოქალაქე დაგვისხან, გა-  
შინჯონ და ღვთის წინაშე სამართალი მომცენ. თუ გავმტყუნდე, ხუ-  
თი ლიტრა სამთელი სვეტისცხოველისათვინ მიმართმევინეთ. ღმერ-  
თი გადღეგრძელბსთ. იანვრის კვ, ქორონიკონს უპ.

თავში:

ქ. მოლარე პეტრე და ამქარო იოანე! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ორი ჩვენი მოქალაქე დაუსხით და ღმრთის წინაშე სწორე სამართალი მიეც[ი]თ. იანვრის 28, ქორონიკონს უპ.

ხელრთვა: კათალიკოზ.

[განჩინება]

ქ. მის უწმინდესობას ამ ოქმით მათის მონის იოანე ჰამქარისათვის ამ ადგილის გაშინჯვა ებძანებინა.

თაყოაშვილი ისაია, მამასახლისი თომა და მე — იოანე მივედით, გავშინჯეთ. ამ არზის პატრონს გოგიას ბატონის წყალობის წიგნი უჭირავს და ლაზარეს შვილი პავლე ეუბნებოდა: ეგ ადგილი ბატონს რომ შენთვის უბოძებია, ჩემი ნასყიდი არისო.

სიგელი ვთხოვეთ, ახალი მონასყიდე სიგელი გვიჩვენა. ამაში ეს ადგილი ეწერა, მაგრამ არ შევიწყნარეთ, ამისთვის რომ ძველი სიგელიცა აქვს ლაზარეს[ს] შეიღს პავლეს. ის სიგელი ვთხოვეთ და მიზეზები გვითხრა: მაქვს, მაგრამ კელთ არა მაქვსო.

ეს ადგილი გოგია ნასახიბაშის ნაიბს დარჩა. თუ პავლე ძველს სიგელს გამოიტანს და ეს ადგილიც ნასყიდად! ეწერება, მაშინ გოგიას წყალობის წიგნი და ეს ძველი სიგელი სამართალმა გაშინჯოს.

და თუ ძველს სიგელში ნასყიდობით არა სწერია, პავლე ტყუის, ვისგანაც ის ადგილი უყიდნია, თავის ფული გამოართოს. ჩვენმა ჰკუამ ასე გასჭრა; და ნება მის[ის] უწმინდესობისა აღსრულ-

დეს. იენისის 28, ქორონიკონს უპ. 

|       |
|-------|
| სომხ. |
|-------|

|             |
|-------------|
| შღი<br>თობა |
|-------------|

|       |
|-------|
| იოანე |
|-------|

**332. განჩინება ღვთით და ზაზა ამირეჯიბაშის ყმა-მამულის საქმეზე**  
1792 წ. 21 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1157. დედანი. ქალაქი. 46x17,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახარია თითო წერტილი.

ქ. ამირეჯიბი დავით უჩიოდა თავის ძმას ამირეჯიბს მინბაშს ზაზას: თაქთაქიშვილის ელისბარისათვის ჩვენს განაყოფს გაბელს საღოლაშენს თავისი წილი მამული მიეყიდნაო, ჩემ[მა] ძმა ქაიხოსრომ სამართალში

1 სანყიდად.

უჩივლო, ის მამული ეკლესიის შეწირული არისო და მევე უნდა დამახსნეინოთო, ამაზე ქაიხოსრომ ოქმი გამოიტანაო, უნდა დაგვეხსნაო და აღარ დასცალდაო. მას უკან<sup>1</sup> ამ ჩემმა ძმამ ჩემს მალვით დაიხსნაო და მე<sup>2</sup> ახლა ჩვენს წილს აღარ გვიდებსო.

ამირეჯიბი ზაზა მიუგებდა: არც შენის მალვით დამიხსნია, კიდევ შეგატყობინეო, კაციც მოგიგზავნეო, მაგრამ შენ აღარა ინაღვლე რაო. და მას უკან ჩემის სახლობის მზითვით დავიხსენო. მე შენ ამაში წილს არ დავიდებო.

ამათმა ლაპარაკებმა ამგვარად ბევრმა გაიარა, მაგრამ ამათს ლაპარაკებს აღარ მივხედეთ და ეს სამართალი გაუჩინეთ:

რადგანც ზაზა გარჯილა და ზაზას დაეხსნა, ამის საჭირნახულოდ ზაზამ უნდა აიღოს ექვსი საკომლო, რომ არის ზაზასაგან დახსნილი. ამ მეექვსედის ერთის საკომლოს ნახევარი სამად უნდა გაიყოს: ერთი წილი ზაზას, ერთი წილი დავითს და ერთი წილი მზექაბუქას.

და ამ მამულში ზაზას თხუთმეტი თუმანი მიუცია თავთაქიშვილისათვის, იქიდან ხუთი თუმანი ზაზას თავის წილად ჩაუარდება და ათი თუმანი დავითმა და მზექაბუქმა ზაზას უნდა მოსცენ.

და როდესაც ამირეჯიბი დავით და მზექაბუქ ათს თუმანს მოსცემენ ზაზას, ეს ამირეჯიბი მინბაში ზაზა ამ თავის ნასყიდს მამულს ამ გზით გაუყოფს, როგორც ზემოდ დავიწერია.

იასაულო! ეს ასე გაარიგე. აღიწერა ივლისის კა, ქორონიკონს უპ.

ქ. ექვსი საკომლო რომ სწერია, იმ ექვსის საკომლოდამ სამი რომელიც უკეთესი იყოს, ის გადიდვას და სამი რომ დარჩება, იმ დარჩომილის სამის საკომლოდამ ერთი რომელიც ზაზამ გამოარჩიოს, ის საკომლო შუა გაიყოს: ნახევარი ზაზამ საჭირნახულოთ აიღოს და დანარჩომი სამად გაიყოს, როგორც ზემოდ სწერია ისე.

სამი საკომლო რომელიც უკეთესი იყოს, ის უნდა დავითმა გამოარჩიოს, გადადვას, და დარჩომილის საკომლოებიდამ რაც სამს გარდა დარჩეს, იქიდან ერთი საკომლო ზაზამ გამოარჩიოს და იმისი ნახევარი აიღოს საჭირნახულოდ. ეს საკომლო სწორეთ უნდა გაიკრას, რომ მეტ-ნაკლები არა იყოს.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე. ერეკლე.

<sup>1</sup> + მასუკან <sup>2</sup> + და.

1792 წ. 29 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qმ 7878. დედანი. ქალღი. 39,8X18,4 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნაწმარია წერტილი.

ქ. ამირეჯიბები გაყრაზე ლაპარაკობდნენ და ამათმა ლა-  
პარაკმა გძლათ გასწივა. ზოგში გასწორებულნი იყვნენ. და სასახ-  
ლესა და ზვარზე ლაპარაკობდნენ.

ამისი სამართალი ასე განვაჩინეთ. ამ ზაზასი და დავით-  
თის პაპა ამირეჯიბი ქაიხოსრო თავის უფროსის ძმის-  
შვილს ზაზას რომ გაჰყრია, მაშინ ქაიხოსრო ამირეჯიბს საუბ-  
როსოდ რაც სასახლე აუღია, დავით იმას უნდა დასჯერდეს, იმაზე  
მეტს კელს ვერ მოჰკიდებს. და ამისის ზომა სადაც უნდოდეს, ამი-  
რეჯიბმა მინბაშმა ზაზამ მოიზომოს. თუ უნდა. იქვე სასახლის სიახ-  
ლოვესა და თუ უნდოდეს აზნაურშვილისა და საგლებოს საერთოს  
გაუყოფელს ბეითალმანშია, საგლებო იქნება თუ სააზნაურშვილო,  
ბეითალმანი უნდა იყოს. და თუ უნდა ნავენახობიც იყოს, თუ  
დღეს შენობა არ არის და ვაზი არ დგას, დავით ვერ დაუშლის, და  
ერთი ამისი ზომა სადაც უნდოდეს, ქაიხოსროს შვილმა მზე-  
ქაბუქმა მოიზომოს.

ავლევის სასახლის ზვარიც სამად უნდა გაიყონ. ამ ზვრის  
საქმეზე დავით ამირეჯიბი ასე ჩიოდა: ჩვენ რომ გავიყარენით გაყ-  
რას უკან ჩემის საკუთრის კაცით ავაშენეო და ახლა ამაში მე მაგას  
წილს ვერ დაუღებ[ბ]ო.

მართალია, დავითს უმუშავნია, მაგრამ იმ ზვრის მოსავალაც  
დავითს მოუხმარებია და არც უნდა ამისი წილი ეკეთებინა: და  
ამისათვის დავით ზაზას ზვრის წილს ვერ დააკლებს. ზვარი სწო-  
რედ სამად უნდა გაიყოს.

მაგრამ ზვარი სამად რომ გაიზომოს, რადგანც დავითს უმუ-  
შავნია, რომელიც მკარე უნდოდეს, პირველად დავითმა ირჩიოს.  
მეორე წილი მზექაბუქმა ირჩიოს და მესამე წილი ზაზას მიეცეს.  
მაგრამ ამ მიწის გაყოფაში კი მეტნაკლებობა არ უნდა მოხდეს, სა-  
მივ ტოლი უნდა იყოს.

და ამას გარდა თუ ბეითალმანი მამულები გასაყოფი დარჩო-  
მიათ რამე, საბელი დაადევან და ყველა სამად გაყონ, წილი იყარონ  
და რომელიც რომელს ერგოს, იმას დასჯერდნენ.



ზვარსა და ხოდაბუნს გარდა მზეკაბუქმა ყველაზე საუფროსო უნდა აილოს და აგრეთვე ზაზამ სასაშუალო უნდა აილოს.

წისქვილები როგორც მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ს თ ე ი მ უ რ ა ზ ს გა- უ რ ი გ ე ბ ი ა , ი მ ა ს უ ნ დ ა დ ა ს ჯ ე რ დ ნ ე ნ .

შენ მიდი, ორი მამულის მცოდნე და კარგად გამყოფი კაცი ზაზას მიაყვანინე და ორი დავითსა და როგორც ზემოთ დაგვიწერია ისე გაუყავ. აღიწერა კათათვის კო, ქორონიკონს უპ.

ბეჰელი: მე ფებთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე -  
ო თ ხ ი ბ ე ჰ ე დ ი :

1. არ ირჩევა.
2. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერისთვისა მსაჯულად მაგო, ბ ე უ ა ნ
3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
4. მონ ღთისა მდივანი ს ვ ი მ ო ნ .

### 334. არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა უმის თაოგაზი მსაჯულთშეკრებილთაის განჩინებით

1702 წ. 20 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 662. დედანი. ქალაღი. 32,2X 16 სმ. მხედ- რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

[არზა]

ქ. ღმერთმან საქართველოს მსაჯულთშეკრებილების ქირი მოს- ცეს ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი ს უ ვ ი ლ ს უ ზ ბ ა შ ს ზ უ რ ა ბ ს .

ამას მოგახსენებთ: ამას წინათ ჩემ[მა] სახლისკაცმა გოგია მ და გ ლ ა ხ ა მ რომ მიჩივლა, თ ი ა ნ ე თ ს რომ კაცი არის და გა- ნაჩენიც უბოძეთ, რომ ორი კაცი მე უნდა შემო[მ]ეფიცებინა, შარ- შან ის კაცი ს ი ღ ნ ა ღ შ ი ჯ არათ ჩამოვიდა; და თ უ რ ქ ი ს ტ ა - ნ ი შ ვ ი ლ ს ა ნ ი ნ ი ა ს მე უთხარ: ეს კაცი არის, რომ მე მედა- ვებთან, თქუე[ნ] წიგნზე აფიცეთ; და ნინიას კითხეთ, რაც იმ კაცმა ნინიას უთხრა და იმისგან მოიხსენეთ.

იმ კაცის მამული და სახლის კაცებიც მე მყავს, ამას ფიცი რათ ექირეება. როდესაც მამაჩემი და ბიძაჩემი გაყარნეს, წერილი გამო- აჩინონ, რომ მაშინ სის[ხ]ლი დაედვასთ და წაიყუანონ. ორმოცდა- ათი წელიწადი არის რომ კაცი ჩემი ყმანი არიან. ამას ფიცი არ

ეკორეზება, ისიც ჩემი ძმანი არიან, არც ჩემს ძმას ამოუსწყვეტ და არც მე ამოვსწყდები [ფ]იცით; და იმას ამოუსწყუფეტ.

წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ იმ ჩემს კაცთან<sup>1</sup> ხელი არა ქონდესთ, არავის საქმე არა ქონდეს. ენკენისთვის იღ, ქორონიკონს უპ.

### [განჩინება]

ქ. ამას წინათ ესე და ამისი მოდავე სამართალში ვალაპარაკეთ და ფიცის განაჩენი დავსწერეთ. მარა ზურაბმა ქართველი თავადნი და კახელნი თავადის შვილი მრავალი მოაყვანა და ასე იმოწმეს: თი ან ე თ ს<sup>2</sup> რომ კაცი ესახლა და ახლაც რომ იქ სახლობს, სულ ამ ზურაბის ძმას ყმურად ემსახურებოდაო. და როდესაც ამათის ყმობის უარი უთქომს, მაშინვე იმათი აყრის ოქმი აუღია და რომ ველარ აუყრია, სამსახური დაუღვია და იქილამ უმსახურნია.

უმტკიცესი საბუთი ეს, რომ თითონ იმ სადაო კაცს იო ან ე თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს უ თ ქ ო მ ს ქ ი ს ი ყ შ ი, რომ ამ ზურაბის ძმისათვის და ამისათვის გვი[მ]სახურნია, ამათ მეტი ბატონი ჩვენ არც წამოგვდავებია და არც არავინ გვინახამსო.

რადგან მრავალმა მუჭტაბარმა თავადის შვილებმა ასე იმოწმეს — ამათ ემსახურებოდაო და თითონ იმ სადაო კაცსაც უთქომს, ის ბ ე ჟ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ი ვ ა ნ ე ზ უ რ ა ბ ს დ ა რ ჩ ა ყ მ ა დ . ამისათვის, რომ სადაოს კაცის მამას ამათის მამ[ის]ათვის უმსახურნია და იმ სადაო კაცთ ამათთვის. და იმ სადაო კაცისა გაუყრელი სახლისკაციც ამ ზურაბს რჩება. ამ საბუთებით ზურაბს დარჩა ის ბეჟანის შვილი ივანე. სეკლემბერს კ, ქორონიკონს უპ.

ქ. ეს ასე უნდა აღსრულდეს.

ოთხი ბეჟელი:

1. ლთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ბ
2. მ ე თ ო დ ი
3. მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი
4. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშიკალასბა<sup>3</sup>მ ყო მდივან-ბეგი თ ე მ უ რ ა ზ .

<sup>1</sup> კაცნიან. <sup>2</sup> თინათს.

1702 წ. 24 სექტემბერი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 27. საბ. № 311. პირი. ქალაღი. მხედრული.

[220v] მისის უმაღლესობის ბძანებით ჩვენ — საქართველოს მსაჯულშეკრებილების სამართალში რამინ ამირაჯიბი მახვილად გლახას უჩიოდა.

რამინ ასე ჩიოდა: ამ გლახას მამამ ძალითა ნასყიდობის წიგნი გამამართო. სანატრელს ცხებულს მეფეს მოვახსენე. გვალაპარაკა, განაჩენი გვიბოძა. რაც ამ განაჩენით მამული დარჩა, იმას დასჯერდა, ნასყიდობის წიგნი გააბათილა, შენ ის განაჩენი დამალე და მაგ ბათილის წიგნით უბრალოდ მედავებო. ამას წინად ამის უმაღლესობას მოვახსენე, ფიცი დამადვეს, შენც იყაბულე, ხატი შენ ჩაუსვენე ამ ჩემს კაცებს, ხატის კელთჸყრობით ამ ჩემმა კაცებმა მიჯნებზედ ჩაიარეს, სანატრელის მეფის განაჩენით ეს მამული აქამდინ თქვენ დაგრჩათო და ამის იქით თქვენ საქმე აღარა გქონდათ რაო. ახლა კიდევ უბრალოდ მედავებო.

გლახამ ასრე იჩივლა: როცა მამაჩემმა ამ ნასყიდობის წიგნით ეს მამულები [221] იყიდა ამ სამძღვრებით, ყველა თავისი მამულები დაიჭირა. სანატრელს მეფეს იმ განაჩენით ჩვენთვის თუ არ შეტყობით არ უბოძებია ის მამული, არა წაუერთმევია რაო, მარა ის განაჩენი არც მე დამიკარგავს, არც მე დამიხვევია, არც მე დამიმალავს და არც მე დამიწვამსო და მაგ შენმა კაცებმა ტყუილად დაიფიცესო.

რამინმა ერთი ოქმი მოიტანა ამისი უმაღლესობისა, რომელშიაც ასე ბრძანებს: რამინ გლახას განაჩენის დამალვას რომ უჩივის ან გამოაჩინოსო და ან შეჸფიცოსო, რომ არც დაეხიოს და არც დაემალოს და არც ამის მტრობით ნებით დაეკარგოს.

ეს ოქმი სამართლიანი ბძანება არის და ესეც უნდა იქნას. ან გლახამ ის განაჩენი გამოაჩინოს და იმ განაჩენით ამათი სადაო გადაწყდეს. და თუ იმ განაჩენს არ გამოაჩენს, წადგეს გლახა და თავისი კაცები თან მიიდევნოს და ასე ფუცოს: «ამისმა მადლმა, თქვას, რამინ და აბისელებო, სანატრელის მეფის განაჩენი არ დამეხიოს, არც დამეწოს და არ დამემალოს, არც ვიცოდე ვისა აქვს და ვის არა, არც ნებით დამეკარგოს ამის დაკლებისათვის და ჩემის შემტებისათვის».

ეს თუ გლახამ თავისი კაცებით ასე ფუცა, გლახა გამართლდება და რაც ნასყიდობის წიგნებში უწერია, იმ ნასყიდობის წიგნებით ის მამულები დარჩება გლახასა.

[v] და თუ ასე ვერ ფუცა, როგორც რამინს და იმის კაცთ უფიცავსთ, ხატის და ჯვარის კელთპყრობით ჩაუვლიათ, აქიდან აქამდენ იმ განაჩენით დაგრჩათო და სხვას მამულებთან საქმე აღარა გქონდათ რაო, რომელზედაც რამინის კაცთ ფიცით ჩაუვლიათ და სამძღვრები უჩვენებია, იმას უნდა დასჯერდეს და ის უნდა იქნას.

ეს ასე აღასრულე. სექტენბერს კლ, ქორონიკონს უპ.



**336.** არზა აივაზასი ყმოზის თაოზაჲე ერეკლე II-ის განჩინებით

1792 წ. 16 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3919. პირი. ქალაღი. მხედრული.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჳირი მოსცეს სიღნაღელს მემკვიდრეს ა ი ვ ა ზ ა ს.

ჩემი მოხსენება ეს არის: დედაჩემი რომ სიღნაღელს გზლებიათ, მე ძუძუთ ყმაწვილი ჩამოვეყოლიეარ. სამოცდაათი წლის კაცი გახლიეარ, არ ვიცი მამის ჩემის მამული და არც მამის ჩემის ჳსოვნა მქონია. სამოცდაათი წელიწადია შენი სიღნაღლის მოსახლე გახლიეარ. ახლა ბ ა შ ბ ე უ ქ ა ს შ ვ ი ლ ი მედავება. ღმერთი გავიმარჯვებს, სამართალი მაღირსეთ. ღვინობისთვის თ, ქორონიკონს უპ.

[განჩინება]

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ესე და ამისი მოდავე ბ ა შ ბ ე უ ქ ა ს შ ვ ი ლ ი ს ქვრივი ორნიე ერთად სამართალში ვალაპარაკეთ. აივაზას ბევრნი ემოწმებოდნენ, როგორც ამ არზით მოუხსენებია, ამ ხნის ჩამოსული არისო. მაგრამ ამისი მოდავე შორს იჭერდა: მაგ ხნის ჩამოსული კი არ არისო; თქვენ რომ ა გ რ ი ს ზ ე ღ იყავითო, მაშინ ჩამოვიდაო. რადგანც იმ ხნის ჩამოსულნი არის, ამ აივაზასთან ბ ა შ ბ ე უ ქ ა ს შ ვ ი ლ ს საქმე არა აქვს რა.

ამიტომ რომ ჩვენგან ასე განწესდა: ნეტარად ხსენებული მამა-ჩვენი მე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ რ უ ს ე თ ს რომ წაბრძანდა, ვინც ამას უკან აყრილა და კ ა ხ ე თ ს ჩამოსულა, ის უნდა ისევ აიყაროს და თავის პატრონს მიეცეს, არ დაეჭირვის. და თუ იმის უწინდელი ჩამოსულია და ის კი აღარ აიყრება. ეს ჩვენ განგვიწესებია სამართლით.

და ქიზიყის მოურაო ზ ა ქ ა რ ი ა ვ, შენც ასე იცოდე.

და ამას გარდა თუ ასეთი ხიზანი კაცი ყოფილა კახეთში, რომ ქართლელის თავის მებატონისათვის უმსახურნია და მისვლა-მოსვლა ჰქონია და [ან კიდევ მიბარებული ჰყოლია ვისმე, და მიბარების წიგნიც ხელთა ჰქონდეს, ის რა ხნის ჩამოსულიც უნდა იყოს — თუნდა ყიზილბაშობისა, თუნდა ოსმალობისა, ის თავის ძველს მებატონეს არ დ[ა]ეჭირვის. მარტო მისვლა-მოსვლით არ იქნება, თუ ან არავის ბარებია და ან ყმობით არ უმსახურნია. ოკდომბრის ივ, ქორონიკონს უპ.

მენაწერი: ნეტარად ხსენებულის ბატონის მე ფ ი ს ი რ ა კ ლ ი ს ა გ ა ნ ბოძებული ვნახე და მე, ა ს ლ ა ნ ვ ა ჩ ნ ა ძ ე, გარდავსწერე.

### 337. განჩინება შანშე ერისთვისშვილისა და ერაქლე ფალავანდისშვილის ნამულის სამხმეჯ

1702 წ. 4 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 31. საბ. № 74. პირა. ქალაღი. მხედრული.

[40v] მისი უმაღლესობის ბძანებით ერისთვისშვილი უ ა ნ შ ე და ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი ს შ ვ ი ლ ი ე რ ე კ ლ ე ასე ჩიოდა: ა ვ ნ ე ბ ს ჩემი ნასყიდი და უსყიდი მამულები ამ შანშეს უჭირავს და არ მანებებს, სამართალი მალირსეთო.

შ ა ნ შ ე [მ] მ ი უ გ ო: რომელიც ამ სიგლებით მიყიდია და ამ სიგელს აქეთ მე მჭერია და მიჭირავს, ამას ნუ მეცილებიო და რომელიც მე არ მიწე[41]რია, მე არ გეცილებიო.

ამათ რომ ეს ილაპარაკეს და ამათი ნასყიდობის წიგნი პირველი იყო, რომ ზაქალ ფალავანდისშვილს მიუყიდნია ამილახვრისათვის ხუცისშვილის მამული მთლად, იმ ნასყიდობის ორს წელიწადს შემდგომად ისევ იმავე ზაქალს მესხისათვის წერილი მიუცია ხუციშვილის მამულიდამ სამის დღის მიწა შენი იყო. წიგნი გვქონდა, დაჰკარგეო, ახლა ამ წიგნით ეს მიწა შენ მოგვეცო.

ახლა იმ მიწაზედ ასე ცილობენ. ერეკლემ ერთი მოძღვარნი კაცი შეაფიცოს: «ამისმა მადლმა, თქვას, მანამ ამილახვარს მაგ ნას-ცილობის წიგნს მისცემდა, მანამდინ ეს მიწა მესხს ეჭირა, ამილახვარს არ უდავნია და არც ეს მიწა უყიდნია».

თუ ასე შეაფიცა ერეკლემ კაცი, ის მიწა ერეკლეს დარჩება. და თუ ვერ შეფიცა, შანშეს დარჩება. ხო ს ა შ ვ ი ლ ი ს მამული რომელიც შანშეს უწერია, ის მამული იმ სამძღვრებით თუ არის, შანშესია. და თუ იქ მეორე ზვარი სხვა არის, ის მეორე ერეკლეს იქნება.

ერეკლეს ბ ე ე ი ა შ ვ ი ლ ი ს მამულის ნასცილობის წიგნი რომ მოაქვს და ამბობს ბუეუის შვილის მამული ამ წიგნით ჩემი ნასცილი არისო და ეს ვენახიც ბუეიაშვილისა არისო და ჩემიაო.

შ ა ნ შ ე მ ი უ გ ე ბ ს: ეგ ვენახი ხო ხ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა არი-სო, რომელიც მე მიწერიაო. თუ შანშე საბუთსა იქს, რომ ხოხიაშვილისა იყოს, შანშეს დარჩებოდა. თუ საბუთს ვერა იქს, ერეკლეს დარჩება.

[v] შ ა ნ შ ე ს რომ წიგნი მოაქვს, ამბობს: ეს ვენახი ბ ე რ ა ძ ი ს ა არის და ჩემი ნასცილია ამ წიგნითაო.

ე რ ე კ ლ ე მ მ ი უ გ ო: ეგ ვენახი მაისურაძისა არისო და ჩე-მიაო.

შ ა ნ შ ე მ მ ი უ გ ო: თუ მაისურაძისა არის, ხომ შენ მომყი-დო და წიგნი მომეცო.

თუ შანშე საბუთსა იქს, რომ ბერაძისა იყოს, შანშეს დარჩება. და თუ საბუთს ვერა იქს, მაშ, მაისურაძისა ყოფილა. თუ შანშე ერეკლესაგან მიცემულს წიგნს წარმოაყენებს, იმ წიგნით შანშეს დარჩება. თუ ვერ წამოაყენებს, ერეკლეს დარჩება.

ე რ ე კ ლ ე ა მ ა ს ა ც ასე ჩ ი ო დ ა: კვახაჯულნი ორნი ძმანი იყვნენო და გაყრილნიო, ერთი მე მერგო, ერთი ჩემს ძმასაო. ჩემ- [მ]ა ძმამ თავისი წილი კვახაჯული თავისის მამულით ამათ მოჰყი-დაო; და მე არ მიმიყილია ჩემი წილიო.

თუ შანშე ასე წერილს წარმოაყენებს, რომ ორნი ძმანი თავე-თის მამულით ეყიდნოს, შანშეს დარჩება ორივე ძმის წილი მამული. და თუ ერთი ძმა ეწერება, ერთი ძმის მამული შანშეს დარჩება და მეორე ძმისა ერეკლეს.

თუმცა სხვას მამულებს ეცილებოდა ერეკლე შანშეს, მარა შანშემ ნასცილობის წიგნი მოიტანა. პირველი იყო შანშეს წიგნები და ერეკლეს წიგნები შემდგომი იყო. ეს სამართლისაგან არ შე-იწყნარება, მამულის მეპატრონემ პირველად სხვას მიჰყიდოს —

ესე და ეს მამული შენთვის მამიყიდიაო, წიგნი მისცეს, ფასი გამოა[42]რთოს და იმის შემდგომად მეორეს მიჰყიდოს და დაუწეროს შენთვის მიმიყიდიაო. სამართალი იმ პირველს ნასყიდობას არ ამტკიცებს და შემდგომს მიცემულს ნასყიდობის წიგნს დააყენებს. აგრევ ფალავანდისშვილს ზაალს პირველად ამილახვრისთვის მიუყიდა; მერე იმავე ზაალს ისევე გასყიდული მამული ერეკლესათვის მიუყიდა. შანშეს ნასყიდობის წიგნი რადგან პირველი იყო, სამართლით ასე დამტკიცდა და რაც უწერია, იმ სამძღვრებით შანშეს დარჩება.

და რომელს მამულებთანაც ერეკლეს სამართლიანი საბუთი ჰქონდა, ზემორე თვითეულად დავწერეთ. ის ისე იმ საბუთებით იასაულებმა აღასრულონ და თავ-თავისი დაანებონ.

ორივე განაჩენი დაიწერა, ორივე ერთი პირია, ერთი შანშეს მიეცა და ერთი ერეკლეს.

თ უ ლ ა შ ვ ი ლ ო და თ უ ა ვ! ეს ასე აღასრულე. ნოენბერს დ, ქორონიკონს უპ.

ს ა მ ა რ დ ა ნ ი ს შვილასაგან ნასყიდობის წიგნი რომ მოაქვს ერეკლეს და ამბობს — ამ წიგნით ეს ზვარი ასე მიყიდიაო, თუ შანშე ამ წიგნის დასარღვეველს საბუთს ვერ მოიტანს!, სამძღვრებით ერეკლეს დარჩება ის ზვარი, თავ-თავისის სამძღვრებით უნდა დაიჭირონ ზვარი თუ სხვა მამულები, რომელიც ამ განაჩენში საბუთები [v] სწერია, თუ აქა აქვსთ და აქავ გამოაცხადებენ, ისი სჯობს, რომ ახლა გარდასწყვიტონ. და თუ აქ არა აქვსთ, მოიტა-

ნონ. 

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
|  |  |  |  |
|--|--|--|--|

წმინდი გიორგის გერს თვის კარზე მივასხი მესხი თავის [მო]-წმით; როგორც სამართალში ეწერა, ისე დავაფიცე მესხი ივანე; თავის მოწმით შეფიცა; როგორც სიგელში ეწერა, ამაზედ დაიფიცა.

მე, თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი [და თ უ ა] ამათი იასაული ვიყავ, ღვთის წინაშე ასე იყო. მარტის ე, ქორონიკონს უპა. 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ არბოს დეკანოზი და მღვდელნი ამისი დამსწრენი ვართ.

1 † ამ წიგნის.

ამ განაჩენით იასაულმა მოასხა ეს ჭილაძე და მესხი ივანე თავისი მოწმითა და როგორც ამ განაჩენში ეწერა, ისე შეჰფიცა მესხმა ივანემ თავისის მოწმითა ჭილაძე მამასახლის[ს] გლახას. ფებერვლის კუ, ქორონიკონს უპა. †

### 338. ბანძინება ჰიტანს ლომიტაშვილისა და მიშელაშვილის ცოლოვის შეუჩაცხაოვის საქმეზე

1792 წ. 18 ნომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4729. დედანი. ქალაღი. 32,7×20,2 სმ. მარჯვენა კიდე ალაგ-ალაგ მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მიშელაშვილმა უჩივლა ლომიტაშვილს ქიტესასა: ამისმა ცოლმა ჩემს ცოლს უნამუსობა აყუ[ე]დრა და ამან ჩემს შვილზედ თოფით იწივაო.

ლომიტაშვილი ქიტესაც ასე ჩიოდა: მაგისმა ცოლმა ჩემს ცოლს უნამუსობა აყუედრაო და მაგისმა შვილმა თოფით იწივა:ო. თოფი არ დაანებეს და მერმე კეტით მომ[ი]ხდა და მრავალი მცაო.

ჩვენ ამათ მოწმე[ე]ბი მოვთხოვეთ. ამათ ოთხი მოწამე წამოაყენეს თავისი მეზობელი და სხვანი კაცნი — ორი სამღუდლო და ორი ერისკაცი, ამათ ასე იმოწმეს: თოფი არც ერთის კელში არ გვინახავს [და] გინებით ორთავ ბევრი აგინეს ერთმანეთსაო. და მიშელაშვილ[მა] ო]თხი ჯოხი დაკრაო ქიტესასა და ქიტესამ ჯმა არ გასცაო და დელ[აკ]აცებმა ერთმანეთს აყუედრესო უნამუსობაო.

ეს ერთი რამ არა იყო რა ასეთი, რომ სისხლი გაგვეჩინა. ორნივე გლეხი კაცნი არიან, ორნივე სწორენი და მეზობელნი ერთმანეთისანი. ჩხუბში ასე მოხდება — ერთმანეთს შეაგინებენ და ავს სიტყუას დააყუედრებენ. ამას იმისთვის უგინებია, იმას ამისთვის<sup>2</sup> ამაზედ უწევია, ამას იმაზე უწევია, ამის ცოლს იმისის ცოლისათვის უყუედრებია და იმის ცოლს ამისის ცოლისათვის. სხვა სისხლი არ მომხდარა რა, და არა ჩანს რა, და არცარა არის.

და მიშელაშვილს რომ ჯოხი დაუკრავს, იმ ჯოხის დაკურისათვის ასე ქნას მიშელაშვილმა: ლომიტაშვილი ქიტესა შინ დაპატიუოს, პური აჭამოს და ბოღიში მოიხადოს, პირს აკოცონ ერთმანეთსა და შე[რი]გდენ, დღეის იქით მეზობლობით იყუნენ, ერთმანეთს<sup>3</sup>

<sup>1</sup> ვიშელაშვილ. <sup>2</sup> † იმას. <sup>3</sup> ერთმანეთს.



ნულარას შესცოდებენ, თორემ რომელიც პირველად შესცოდებს, დიდად უწყენთ.

იასაულო ჯანგირაშვილო! შენ მიდი, ეს ბძანება ასე აღასრულე და ესენი ასე მოარიგე და ერთმანეთს შეარიგე, რომ ამათში შფოთი აღარ იყოს. ნოემბერს იმ, ქორონიკონს უბ.

ბეჰედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამბტყიებ მეფის ძეობით.

### 339. განჩინება მიჩათის მამულაჲის საქმეჲა

1702 წ. 15 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 11. საბ. № 156. პირი. ქალაღი. მხედრელი.

[159v] მის უმაღლესობას მეჩეთის ალაგის გამოძიება საქართელოს მსაჯ[160]ულთშეკრებულეებისათვის ებრძანებინა. მსაჯულო ამ ალაგის გასინჯვა მის უმაღლესობის მონის იოანე პენტელა შვილისა და ოსეფ ანაზარბეგას შვილისათვის ებძანათ.

ჩვენ ჩავედით ამ ადგილებს გასაშინჯავათ. ოსმალებს მეჩეთის აშენება რომ მოუნდომებიათ, ჩიგოანანთ სახლები, ალიყულანთ სახლები, ჰერათანთ სახლები, ჯანათანთ სახლები, ზოროანთ სახლები, უსტაიასიანთ სახლები, ტერსარქისიანთ სახლები, ფეთხაინის სახლა, შეწირული სახლები და სუფრაჯიანთ სახლები უყიდიათ მეჩეთათ და მეჩეთის გალავნად გაუყეუებიათ, სახლების მიჯნები ამოუყრიათ და სულ გაუერთებიათ.

ოსმალო რომ ქალაქიღამ გასულა, რაოდენსამე წელიწადს უკან უსტაიესეს შვილს ბეჟანას ნეტარად ხსენებულის მეფის თეიმურაზისათვის თავისი მამული და თავისი ბიძაშვილის სუფრაჯის მამული უთხოვნია და მეფესაც უბოძებია. თავის მამულის სახელობით რაერთიც სდომებია, დაუჭერია და თავის ბიძაშვილის სუფრაჯის მამულის სახელობით [v] რაერთიც სდომებია, დაუჭერია.

მერე ნეტარად ხსენებულს მეფეს თავის ვალის თანხათ იწიკაზას შვილის ფარსადანასათვის იმ მეჩეთის გალავნიღამ ადგილი უბოძებია, რამდენიმე ხანი სჭერია და მერმე გაუყიდნია. როდეს სუფრაჯის შვილი ოპ[ა]ნეზა რუსეთიღამ მოსულა, უსტაიესეს შვილის ბეჟანისათვის თავისი მამული გამოურთმეგია.

ახლა ატუტენტი ოპ[ა]ნეზა ბეჟანისაგან გამორთმეულს არ დასჯე-  
რებია, იწიკაზაკა შვილისაგან გასყიდული მამულაც გაუ-  
ტანია.

ახლა ჩვენი მოხსენება ეს არის: მიჯნები აღარ არის, რომ  
ზემოხსენებულის მამულების პატრონების. მამულები გავარჩიოთ,  
ბეჟანს თავისი მივეცეთ, ატუტანტს თავისი მივეცეთ, იწიკაზაკა შვილს  
თავისი მივეციოთ და რაც დარჩეს, ბატონისათვის ავიღოთ.

კიდევ ჩვენი მოხსენება ეს არის: ოსმალებს რომ მეჩეთი უშე-  
ნებიათ, უსტა იესეს შვილს ბეჟანს კარგად ახსოვს ზემოხსენებუ-  
ლი მამულების პატრონები; ამისი მეზობლები ყოფილან. იმ მამუ-  
ლების პატრონების სახლების მიჯნები ამან უნდა გვიჩვენოს, რაც  
თავისია, თითონ აიღოს, რაც თავისის ბიძაშვილის [101] სუფრაჯი-  
სა არის, ის ატუტენტს მიეცეს. და სხვა რაც დარჩება, იქილამ იწი-  
კაზაკა შვილსაც მიეცემა და ბატონისა ბატონს მიერთმევა.

ჩვენმა ქუამ ასე გასკრა და ნება თქვენია. დეკემბერს იე, ქო-  
რონიკონს უბ. 

|  |  |
|--|--|
|  |  |
|--|--|

ნაზარბეგის შვილი ოსეფა მოგახსენებთ; რომელნიც ამათის  
სადაოს მოასილნი ხართ, იოანე პენტელა შვილს და ოსეფას<sup>1</sup> რომ  
ასე დაუწერიათ, ბეჟან უნდა მი[ი]ყვანოთ ამათთან და რაც ამ სა-  
დაოსი წერილები გქონდეს, თან მიატანიოთ: და როგორც ამათ-  
დაუწერიათ, ბეჟანას თვითეულად გა[ა]რჩევიოთ და თავ-თავისი  
და[ა]ნებოთ. ამაზედ სუსტობა არ იქნება. ახლავ ასე უნდა აღასრუ-  
ლოთ. დეკემბერს იე, ქორონიკონს უბ.

ან უნდა ჭეშმარიტებით ბეჟანამ გა[ა]რჩიოს და ყველას თვი-  
თეულად და[ა]ნებოს; და თუ იტყვის არ ვიციო, სამართალიც ასე  
ლიტონად თქმულს არ დაუჯერებს, უნდა ეკლესიაში დაიფიცოს, რომ  
არ იცოდეს და მაშინ სამართალი გა[ა]რჩევს. სამართალი ეს არის: ან  
გა[ა]რჩიოს და ან დაიფიცოს, რომ არ იცოდეს. ასე უნდა აღასრუ-  
ლოთ. რადგან ჯელმწიფის მამული არის იქა და არ აჩვენენ და ჯელ-  
მწიფეს მამული ეკარგება; ან ბეჟანამ უნდა იპოვნოს და ან ზემო-  
ხსენებულისაებრ [v] ფუცოს. ამ ორში რომ ერთი არა ქნას, არ იქ-  
ნება. ეს ასე იცოდეს. 

|  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|
|  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|

<sup>1</sup> † და.

თავში:

ჩვენ, სრულიად საქართველოსა და სხვათა მეფე ირაკლი მეორე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ასე უნდა აღსრულდეს. თებერვლის კე, ქორონიკონს უპა.

**340. განჩინება მერაბ მოურავისა და ნოდარ სახლთუხუცესის მამულის საქმეზე**

1792 წ. 28 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 343. პირი. ქალაღი. მხედრულ.

მოურავი მერაბ და სახლთუხუცესი ნოდარ მამულებზედ, მიწა-წყალზე და მთის[ა] ღ[ა] ბარზედ შეცილდენ. ბატონს მოახსენეს და შესჩივლეს. და ბატონმა ამათა სამართალი კარზედ ეფისკოპოზთა და დარბაისელთა უბძანა. დასხდენ და სამართლები ქნეს. გრემზე ფიცი მოურავს დაზღვეს და სხვა საცილობლებზე სახლთუხუცესს ნოდარს ედვა.

მოვედით გრემს ბატონის ბძანებით ჩვენ: ჰავჰავაძე მდივანბეგი რამაზა, ბოჭოულთუხუცესი გიორგი მდივანი გოჯასპი. ურჩიეთ ამათ, პირველად ვეცადენით, ფიცით არ მომხდარყო, მაგრამე არცერთი დასჯერდა და უფიცრობა არ მოკდა.

და გრემის მთა მოურავმა გაიფიცა. მალლიდამ ტორნის თავს გაივლის, აბანოს ვეძაში ჩავა, აბანოს ვეძიდამ აბანოს ვეძის გორას რო[მ]ოგის ხე[ე]ბს შე[ე]ყრების — ესე[ე]ბი გოჯ[ა]ნხევის სამზღვარია. ამას იქით ღლოიანი, ამას ზემოთ და ქვემოთ ლოპოტის გაღმა ართა[ა]ნის სამძლ[ე]რამდის; ახლა მობრუნდებით, კიდამ მალლიდამ წვერი წამოვა, თელიანის გორს შემოეყრების — ესეები ასე ფიცა: «როდესაც ჩვენი მამა-პაპანი გაყრილან, გვერდის ძირი თავისის მითთა და ბართთა გაყრის უკან მიშოვნით, რაც კაცი არ გისახლობს და საკომლო არა გაქვსო, მის მეტი არცა მთის გამოსავალში და არც სოფელში და სოფლის გამოსავალში ქელი არ გქონიაო და არ გაქვსო, ჩემი საკუთარი ყოფილა და არისო».

ფიცა და გაიტანა, მ[ო]ურავს დარჩა. ნოდარ სახლთუხუცესს ქელი არა აქვს.

საბურღი ღორი და ალმ[ა]ტური გრემის მთაში შევიდეს, საბალახე აიღოს; მთა საკუთრივ მოურავს დარჩა.

რა რიგადაც გრემს და ალმატს ძველთაგან რუ ქონოდეს. ვერ მოუშალოს.

წმინდის ბარბარის საყდარი და მისი შეწირულობა მამულა საერთოდ დარჩა. 

|        |       |
|--------|-------|
| გიორგი | რამაზ |
|--------|-------|

რა გვარადაც ამ ჩვენს დარბაისლებს სამართალი უქნია, და ან ამ განაჩენში სწერია, ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია. 

|         |  |
|---------|--|
| თემურაზ |  |
|---------|--|

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ განაჩენებს ვამტკიცებთ.

ბახუტაშვილი იოსებ, რომელიც ამათი მთა და მამული იყოს შემოფარგლული, იმის საბალახე უკლებრათ შენ უნდა აიღო და მიიბარო. ეს ასე უნდა გააქრიგო. დეკემბრის კვ, ქორონიკონს უპ. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

### 341. ბანინება გიორგი მორდლისა და ბარამ ნაზირის სასისხლო საქმეზე

1708 წ. 28 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9663. დედანი. ქალაღი. 35,6x20,6 სმ. ბოლო აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარაა წერტილი ან ორწერტილი.

ქ. მორდალს<sup>1</sup> გიორგის და ნაზირს ბარამს ლაპარაკი მოსვლოდათ; მორდალს ჭიქურად ჯოხი წაექანებინა ბარამისათვის, თვალს ქვემოთ ქუთუთო გაეჭრა.

რადგან ბარამს ბრალი არა ქონოდა რა და გაჯავრებით მორდალს წაექანებინა და თვალთან დიდათ გაეჭრა, ბარამის ჭრილობა გავზომეთ, ცხრა ქერის მარცვლის ზომა ჭრილობა ჰქონდა.

ბარამ რადგან მესამე თავადათ არის აღრიცხული, მესამე თავადის ერთის ქერის მარცვლის ზომის სისხლი არის <sup>3</sup> თუმანი და ოთხი მინალთუნი<sup>2</sup>, რომ იქნება ცხრა ქერის მარცვლის ჭრილობის სისხლი ორმოცდაჩვიდმეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი<sup>2</sup>.

სამართალი ასე სწერს: ჯოხით გაჭრილი კმლის გაჭრილის ნახევარზედ უნდა ჩავარდეს. ამ სამართლის ძალით ნახევარზედ ჩა-

<sup>1</sup> მორდლის. <sup>2</sup> მინალთუნი.

ვაგდევით, რადგან ჯობით გაქრილი ქონდა, რომ იქნება ამისი ნახევარი **კ** თუმანი და რვა მინალთუნი<sup>1</sup>. რადგან მისის უმადლესობის კარის მოკვლევა, ამის გამო სამართალმა დაუუორკეცა, რომ იქნება **ნ** ხ (ორმოცდაჩვიდმეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი).

ნაზირი ამასაც ასე ჩიოდა: თვალის კილო გამიწყდაო. აქიმნი მოვაყვანიანთ და თვალი გავაჩხრიკეთ და უთხარით: მართია კილო გასწვეტია და ან მოებ[მ]ის თუ არა? აქიმთა თქვეს: გაწყვეტილი აქვსო და აღარც მოებმისო, სახიჩრად დარჩებაო...<sup>\*</sup> რომ შეიქნა ორისაჲ სისხლი **კ** თუმანი და ექვსი მინალთუნი<sup>1</sup>, აქედამ სამართალმა ჩვეულებისამებრ იპატივა **კ** თუმანი და ექვსი მინალთუნი<sup>1</sup>, დარჩება **ღ** თუმანი. ეს **ღ** თუმანი ნახევარი ნალდი და ნახევარი ვეჯი უნდა მორდალმა გიორგიმ მოსცეს ნაზ[ი]რს ბარამს.

ბატონო ეშკიალასბაშო გარსევან, ეს ასე აღასრულებინე. იანვარს **კ**, ქორონიკონს უპა.

ექვსი ბეჭელი:

1. ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
3. მე თ ო დ ი
4. მდივანბეგი
5. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ
6. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშკიალასბაშო მყო მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ.

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოჲსა საქართველოსა, კახეთისა და სხვათა მეფე მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამასა. ეშკიალასბაშო გარსევან, ესრეთ აღასრულე. ფებერვარს **კ**, ქორონიკონს უპა.

ბეჭელი: მე ფებთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე. ერეკლე

ბოლოს:

ქ. გ ო შ ტ ა შ ა ბ ი ს შ ვ ა ლ ო ნ ი კ ო ლ ო ზ და ს ა ა მ ი -  
შ ვ ი ლ ო ბ ე ც ი ა ვ! ეს ბატონის ბძანება ასე აღასრულებთ, როგორც ეს განაჩენი აცხადებდეს. სეკდემბრის **კ**, ქორონიკონს უპა.

ხელრთვა: გარსევან.

<sup>1</sup> მილანთუნი.

<sup>\*</sup> აქ მოხეულია.

1793 წ. 10 თებერვალი

ცსსა. დ. 1450. დავთ. № 25. საბ. № 57. პირი. ქალაღი. მხედრული.

[70] გიორგი გოგნიაშვილს უჩივლა სახასო ქვემო  
ხოდაშნელმა ჯაალას შვილმა ვასილ ნაცვალმა: ექვსი კომ-  
ლი კაცი თავისის მამულებით სახასო მიმძლავრებით უჭირავსო.

ჩუენ, ყოვლისა საქართველოს [v] კათალიკოზ-პატრიარ-  
ქმან მეფის ირაკლის ძემან ანტონიმ, ციციშვილი  
მდივანბეგ-ეშიკაღასბაში თეიმურაზ, სალთხუცესი გიორგა,  
მდივანი იოანე, ჩუენი სალთხუცესი ამილბარ და სხვანი  
ჩუენის კარის მოხელენიც ამათს სამართალში დავისწარით, გიორგა  
გოგნიაშვილი და ნაცვალი ვასილ ვალაპარაკეთ.

გიორგიმ უპასუხა: რაც შენი ყმა და მამული კათალი-  
კოსისათუის შეგისმენია, ესე[ე]ბი ძველთა მეფეთაგან და კათალი-  
კოსთაგან ნაბოძები მაქვსო და სიგელებიც კელთ მიჭირავსო.

ქორონიკონს ტად — ამ წელს დაწერილი სიგელი წარმოაყენა  
გოგნიაშვილმა გიორგიმ. დიდის მეფის ირაკლისა სიგელსა  
შინა ესრედ ეწერა: გიბოძეთ მახარანში გაბრიაული, ჭიშმი-  
ტაური, ყურაული და ორის დღის მიწა ჯეჯელაურში სასხ-  
ლავეით, სახნავით, ქვევრ-მარნით, წყლით, წისქვილით, მთით, ბარით,  
შესავლით და გასავლით ყოვლის კაცის [71] მოუდევრადო.

ქორონიკონს ტავ — ამ წელს დაწერილი მეორე სიგელი წარ-  
მოაყენა კიდევ დიდის მეფის ირაკლისა: გიბოძეთ შენ გოგ-  
ნიაშვილს პაატას, ძმასა შენსა დათუნას და გიორ-  
გის და ყოველთა სახლისა თქვენისა მომავალთაო ხოდაშენს  
ერთი კომლი კაცი ჩიტოს შვილა მახარობელი გიორგი,  
ზუბიტა და ნონიკა თავისის მამულითა, სასხლავეით, სახნა-  
ვით, ქვევრ-მარნით, წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარით, შესავ-  
ლით და გასავლითო.

ქორონიკონს უვ — ამ წელს დაწერილი მესამე სიგელი წარ-  
მოაყენა მეფის იმამყულიხანისა, მამადყულიხან-  
ისა და ბატონის შვილის ბატონის თეიმურაზი-  
სა: გიბოძეთ ხოდაშენს შენ გოგნიაშვილს გიორ-  
გის, შვილსა შენსა ქაიხოსროს, დავითს, პაპუნას, და  
მამუქას სამანაური და წიკილაური ეს ორი საკომლო ვენახით.

სახნავით, ქვევრ-მარნით, წყლით, წისქვილით, მთით, ბარით, შესავლით და გასავლით ყოვლის კაცის მოუდევრადაო.

ქორონიკონს [v] ტჳ — ამ წელს დაწერილი სიგელი წარმოაყენა კათალიკოსის ამილახორის შვილის ნიკოლოზისაგან ნაბოძები: გიბოძეთ შენ, გოგნიაშვილს გიორგის, შვილსა შენსა დათუნას, პაატას და გიორგისაო ხოდაშენს ქემზიაური ვენახი თავისის სახნავით, ქვევრ-მარნით, წყლით, წისქვილით, მთით, ბარით, შესავლით და გასავლით ჩვენის მოხელეთ ნება-შეკითხვითაო.

ქორონიკონს ტჳე — ამ წელს დაწერილი მეხუთე სიგელი წარმოაყენა მეფის იმამყულიხანისა: გიბოძეთ შენ გოგნიაშვილს ნაცვალს გოგნიას ხოდაშენს ქემზიაური ვენახი თავისის სახნავით, სათესით ყოვლის კაცის უცილებლად და მოუდევრადაო.

ქორონიკონს ულთ — ამ წელს დაწერილი მეექვსე წყალობის წიგნი წარმოაყენა ბატონის მამის ჩვენის მეფის ერეკლესი: ეშიადასბაშო სულხან, გოგნიაშვილს გიორგის და ლაჩინას ხოდაშენს წიკილაური, სამნაური, ჩიტოს შვილი მახარანში, გაბრიაული, ჯიმშიტაური და ყურაული — ეს ექვსი საკომლო მამული ვენახით, [72] სახნავით, ქვევრ-მარნით. წყლით, წისქვილით, მთითა, ბარითა, შესავლით და გასავლით გვიბოძებია და შენ მოაბარეო.

ქორონიკონს უოდ — ამავე წელს ესევ წაგნი წარმოუყენებია და დაუმტკიცებია მეფესა, ბატონს დედოფალს, კათალიკოსს ანტონის და ბატონის შვილებს.

ქორონიკონს ჩლოა — ამ წელს დაწერილი სიგელი მეშვიდე კათალიკოსის ანტონისა მოიტანა: გიბოძეთ შენ გოგნიაშვილს გიორგის, ძმას შენსა ლაჩინას, ძმისწულსა შენსა ქაიხოსროს, დავითს და ყოველთა სახლსა თქვენისათაო, გიბოძეთ ხოდაშენს ოლიანის შვილის მორდლის პაატას ნაქონი მამულიო, მთლად რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს, ვენახით, სახნავით, წყლით, წისქვილით, ქვევრ-მარნით ნასყიდით და უსყიდით, მთით, ბარით, შესავლით და გასავლით გვიბოძებიაო.

ქორონიკონს უო — ამ წელს დაწერილი ბატონის დედოფლის განაჩენი წარმოაყენა, ბალიჩაშვილს გიორგი გოგნიაშვილისათვის ბატონყმობაზედ ულაპარაკნიათ. ბატონ დედოფალს ბატონი-შვილი იულონ და კახეთის მოსამართლე[ე]ბი თან დაუსწრიათ და სამართალი განუსჯიათ და სამართლით ისევ გიორგის და იმის

შვილებს და ძმისწულებს დარჩომია ყმათ ბაღი ჩაშვილი<sup>1</sup> [v] შერმაზან და ამის ძმა სესია. მის სიმალღეს ბატონს ეს განაჩენი დაუმტკიცებია; კათალიკოზ ანტონისაცა და ჩვენს ძმებსაც ნებართვით ხელი მოუწერიათ.

რადგანაც ამ განაჩენში მოხსენებული რვა წყალობის სიგლები წარმოაყენა მეფეთაგან და კათალიკოსთაგან ნაბოძები სახელდობ მამულებისა და კაცებისა, ზემოხსენებულთ ჩვენს სამართალში დამსწრეთ ნებადართვით და შეკითხვით ეს სამართალი ასე განვაგეთ, რომ: ამისთანას სარწმუნოს წყალობის სიგლებს ჩვენგან კელი არ შე[ე]ხებოდა და არც მოიშლებოდა და ამის მომართ ჩვენც ამ განაჩენით ხელახლა დაუმტკიცებთ გოგნიასშვილს გიორგის და ამის შვილებს და ამის ძმისწულს დავითს ზემო რვა კალამი მოხსენებული ყმა და მამული.

და თუ ამ სახელდობ მოხსენებულს ყმასა და მამულს გარდა ნაცვალის ვასილ სხეას ან მამულს და ან ყმას უპოვნის მოწმით და საბუთით გოგნიასშვილს გიორგის, ის მაშინ სახასოდ დაიდება.

ამას გარდა ოდიანის შვილის ზერის გვერდზედ გიორგის რომ სახასო მამული ამ ზერისათვის შე[ე]მატებინოს, თუ მართლა ამ გიორგის [73] მიუძღვარებია და ვასილ ნაცვალის საბუთს უზამს გიორგის, რა ერთსაც საბუთს უზამს, გიორგიმ სახასოდ უნდა დადოს. და თუ საბუთს ვერას უზამს და ისევე გიორგის არას და ყოფილა. თებერვალს ი, ქორონიკონს უპა.

კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ა ნ ტ ო ნ ი .



### 343. მელიაბორეთა განჩინება იესე და სულხან თაქთაქიშვილების

გაუარის საქმეზე

1798 წ. 26 თებერვალი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 28. საბ. № 53. პირი. ქალაღი. მხედრული.

[48] თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ მ ა ი ე ს ე მ და იმისმა სახლისკაცმა სულხანმა თავეთის სადაოს გასარჩევად გამოგვირჩიეს მოსამართლედ დიასამიძე მორდალი იესე და დავითისშვილი ზაალ, დიასამიძე მინბაში დიმიტრი, ხიდირბეგეიშვილი მამუქა, დავითისშვილი [v] ელისბარ, თურქისტანისშვილი იოანე, მამაცაშვილი

<sup>1</sup> სალიაშვილი.



სალთხუცესი იოსებ — ესენი ერთად შეკრებით. და ეს მოდა-  
ვენი ვალაპარაკეთ. თვითეულის სადაოს წერილი და საბუთი მოვ-  
კითხეთ და რომელი სადაო რომლისამე მოდავეს დარჩა, ამის ქვე-  
მოთ დაიწერება.

მარგველაშვილს ბერზედ იესე ჩიოდა: აღმოჩნდა  
სამართალში, რომ ამ ბერის მამული ბარათით იესეს რგებია, კ-  
ციც ამავე იესეს გადმოუყვანია. დარჩა იესეს სამართლით მარგვე-  
ლაშვილი ბერი და იმისი ძმა.

ქ. ბითაძე მახარე. რათგან სულხანის მამას გამოეტანა  
სადაოთი, იესე იმეამად არას მოხმარებია და არც ედავა. დარჩა  
ლუარსაბს, სულხანს და არდაშელს.

ქ. ამავე ბითაძის მამული გაუყოფელი ქონიათ, უნდა გაიყონ.  
წახევარი იესეს და წახევარი ლუარსაბს, სულხანს და არდაშელს.

ქ. საცა მარანი აქვსთ, შუა უნდა გაიყონ; და თუ რომელსამე  
ძმას საერთოს მარნიდამ ქვევრა საკუთრივ წაუღია, ახლა გაყოფა-  
ში უნდა ჩაითვალოს.

ქ. სალამაძის მამულისას რომ დაობენ, იესე ასე ჩივას:  
ხუთის სალამაძის მამული არისო, სამის კომლისა თქვენიაო, ორის  
კომლისა ჩემიაო. სულხანმა მიუგო: სამი სალამაძის მამულის მეტა  
არ არისო, ორის კომლისა ჩემიაო, ერთის კომლისა ივან[ი]შვილისა  
შენიაო. ორთვე მოწმე[ე]ბი უნდა მიახხან. თუ იმათის მოწმობით  
სამის [49] სალამაძის მამული აღმოჩნდება, ორის კომლისა — ლუარ-  
საბს და მის ძმებს და ერთის კომლისა — იესეს. და [თუ] მოწამეთ  
თქვეს — ხუთის კომლისა იყოო, სამის კომლისა — ლუარსაბს და  
მის ძმებს და ორის კომლისა — იესეს.

ქ. ბერი პოვნიაშვილი რადგან თავისუფალი ყოფილა,  
მამულიდამ ამდგარა, მერე თავისუფალი ლუარსაბის მამას ყმობია,  
დარჩა ლუარსაბს და მის ძმებს. მარა ამ ბერის მამული გაუ-  
ყოფელი ყოფილა, უნდა ახლა გაიყონ, წახევარი იესეს და წახევა-  
რი ლუარსაბს.

ქ. ბეჟან ხაჩი[ა]ურის მამულზედ რომ დაობენ, <sup>ს</sup>  
იესემ სამი მოწამე წამოაყენა და იმ მოწმეთ იმოწმეს, რომ ხაჩიაუ-  
რის ვენახი ეს არისო და ლუარსაბს უჭირავს, უნდა ლუარსაბმა  
და[ა]წებოს იესეს ის ვენახი. და თუ საბუთს ვერა იქს იესე, მოწ-  
მით ვერას შეუვა.

ქ. ურგებულაზედ ჩიხაძის მამულზედ რომ ჩივიან,  
უნდა იესემ სამი მოწამე წარმოაყენოს და ამათ თქვან, ეს მამულა

ჩიხაძის არისო, უნდა შუა გაიყონ — ნახევარი იესეს და ნახევარი ლუარსაბს და იმის ძმებს.

ქ. მ ე ლ ა ძ ე შ ა ვ ბ ე რ ი კ ა ს მამულზედ რომ დაობენ, ე ფ ე - მ ი ა შ ვ ი ლ მ ა ყ უ რ ა მ უნდა თქვას ფიცით: შავბერიკას მამული საკუთრივ ივანეს იყო, დარჩება ლუარსაბს და მის ძმებს. და თუ ასე [v] ვერ იმოწმა, უნდა ნახევარი იესეს მოსცენ იმ მამულიდამ.

ქ. ე რ გ ნ ე თ ს ც ი ნ ც ა ლ ა ძ ი ს ვენახი ჩემიაო, იესემ თქვა, აჲ ბარათითაო. თუ გაუყიდა იესეს და ნასყიდობის წიგნი გამოაჩინეს, იმ წიგნით დარჩება მსყიდველს. და თუ ნასყიდი არავის ექნება, დარჩება იესეს ის ვენახი.

ქ. იესე სამის საკომლო ლომიტაშვილის მამულს რომ ჩიოდა, დარჩა სამართლით ლუარსაბს, სულხან და არდაშელს.

ქ. იესე ჩიოდა: ჩემის აზნაურშვილის კობაძის ყმის ტოგანიძის და სიბიტაშვილის მამული ჩემიაო. ამისი საბუთი გავსინჯეთ, დარჩა იესეს ტოგანიძისა და სიბიტაშვილის მამული.

ქ. იესე ჩიოდა სადგერაშვილის მამული ჩემიაო და ეს არისო. იქაურთ უნდა ეკითხოსო. თუ სთქვან ფიცით, სადგერაშვილისა არის ეს მამულიო, იესეს დარჩება და თუ იმათ არა თქვეს, მ[ა]შ[ინ] უნდა შუა გაიყონ, რადგან საერთო ყოფილა.

ქ. ღ ა ნ ჭ ი პ ა შ ვ ი ლ ი ს მამულისა იქაურთ უნდა ეკითხოსო. თუ ეს მამული იესეს უჭირავს, უნდა იესემ მოსცეს იმ მამულის ნახევარი ლუარსაბს და მის ძმებს და თუ თქვან იმათ — ლუარსაბს უჭირავსო ღანჭიპაშვილის მამულიო, უნდა ნახევარი იესეს მოსცეს ლუარსაბმა.

ქ. მ ი ნ ა ძ ი ს მამული უნდა შუა გაიყონ.

ქ. მ ე გ რ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს მამული უნდა შუა გაიყონ.

ქ. ტ ყ უ ლ ა მ ქ ა დ ა უ ლ ი ძ ი ს ვენახი და მამული უნდა [50] მკადულიძემ იპოოს და შუა უნდა გაიყონ.

ქ. შ არ ა — რომელიც პირველად შარა ყოფილა, იმავ შარაზედ უნდა იარონ.

ქ. საყდრის მეიდანნი შუა უნდა გაიყონ, სასაფლაოებს გარდა.

ქ. ე ს ი ა შ ვ ი ლ ი ს მამულზედ რომ ჩივიან, სულხან<sup>1</sup> მიუგებს: მოწმეები მოვასხი და მე დამრჩაო ის მიწებიო. იესე მიუგებს: მე უფრო მტკიცე მოწმეები მოვასხიო, რომ იმათ ჩემათა<sup>2</sup>

1 სულხანს. 2 ჩუმათა.

თქვესო. ამისი უნდა იქნას: რომელიც მოწმეები ჰყავსთ, უნდა ის მოწმეები იქ ჩვენთან მოასხან, ღმრთის მაღლით ჩვენ რომ იქ მივალთ და როგორც ის მოწამენი ფიცით გვარწმუნებენ და ჩვენი გული იმათის მოწმობას ერწმუნება, იმ მოწმობით გავარჩევთ და თავ-თავისის დავანებებთ.

ვენახის თავში რომ საერთო მიწა აქვსთ, უნდა ის მიწა შუა უნდა გაიყონ: ნახევარი იესეს, ნახევარი ლუარსაბს და მის ძმებს. რომელიც რომ ადგილები აქ მოგვიხსენებია ამ სადაოებში, ასე გავარჩიეთ და თავ-თავისი დავანებეთ.

ქ. და კ უ ს უ რ ე თ ი ს სასახლეც იესეს დავანებეთ.

ჩვენ რაც ღმერთმა შეგვაძლებინა, ის სამართალი მივეციოთ, ორთავ იყაბულეს და რადგან თავეთის ნებით ჩვენ [v] გამოგვიჩიეს და ჩვენ ეს სამართალი მივეციოთ, მერე ესენი რომ ასე არ იყაბულონ — ან ერთმა და ან მეორემ, რომელიც არ იყაბულეს, ამის შემდგომად ის მტყუანი იქნება, ამისთვის რომ ახლა იყაბულეს და ასე უნდა აღსრულდეს.

ქ. ღ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი რადგან თავისუფალი ყოფილა და თავისუფალი ივანეს ყმობია, იესეს ხელი არა აქვს, დარჩა ლუარსაბს, სულხანს და არდაშელს. თებერვლის კე, ქორონიკონს უბა.

ქ. ო რ ი განაჩენი დაიწერა, ორივე ერთი პირი, ერთი იესეს მიეცა, ერთი ლუარსაბს და მის ძმებს.

ქ. უ რ გ ე ბ ე ლ ის ს[ა]ს[ა]ხლის ბარათი მოიტანა იესემ და დარჩა; ეს ღ ო ნ ე ნ ა შ ვ ი ლ ი ამისთვის დარჩა ლუარსაბს, ესენი რომ გაყრილან, ეს ღონენაშვილი ბარათში არ ჩაუგდიათ, თავისუფალი ყოფილა და ყმობია, ახლა ვეღარ წაუვა ყმობით. თუ სასახლას ზომა ივანეს არ აუღია, უნდა ახლა საერთოს ბეითალმანის მამული-დამ მიეცეს ს[ა]ს[ა]ხლის ზომა ლუარსაბს. ზ ა [ა] ლ.

მე, ს უ ლ ხ ა ნ ს, ამის ყაბული მაქვს. ს უ ლ ხ ა ნ. ი ო ა ნ ე.



### 344. ბანჩინება როსეზ მავაშვილის ქვის ლაღალას საჰმეზ

1978 წ. 14 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 694. დედანი. ქაღალდი. 45×17,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახვარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მ ა ყ ა ს შ ვ ი ლ ს მიმბაშს როსებს არზით ეჩივლა მის სიმაღლეს მეფესთან, რომ ერთი ჩემი კაცი დიდი ხნის მოსული ჩემთან ჩემის მამულით გამოზრდილი ახლა თავისთავს მართმევს და

წმინდის გიორგის ყმობით თავი გამოუცხადებია მის უწმინდესობასთან; და მის უწმინდესობას მგალობლის შვილის დავითისათვის ოქმი უბოძებია და მიყრისო.

მათს უმაღლესობას ჩვენ — კახეთს მოსამართლეთათვის ებძანა: წმინდის გიორგის აწნაურშვილებიც დაისწარიტ და სამართალი მოეციტო. ჩვენ ბძანებისაებრ მეფისა მოვედით რ უ ი ს პ ი რ ს, წმინდის გიორგის აწნაურშვილებიც მოვიდნენ, მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ე ა რ ჯ ა რ, ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი პ ა [ა] ტ ა, მ გ ა ლ ო ბ ლ ი ს შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ დ ა ბ ე უ ა ნ. ვიწყევით ამათი საქმის გამოძიება.

ეს ლადალა ორმოცი წელი მეტი არის, ამ მაყა[ან]თ მამულში დგას და მკვიდრი კი ერევნელი ყოფილა. ამ აწნაურშვილებს ვკითხეთ, თუ ეკლესიის ყმა არის, თქვენ როგორ იცით ამისი საქმეო, ამათ თქვეს: ჩვენ არა ვიცით რა, არცარა გავგიგონია ამისი ეკლესი[ის] ყმობა, რაც ახლა კათალიკოზისათვის არ მოუხსენებია და იმისი ბძანება არ ვნახეთო.

ამ ლადალას ვკითხეთ: აბა შენ რომ შენი თავი ეკლესი[ის] ყმა:დ გამოგიცხადებია, როგორ ყმა ხარ ეკლესი[ის]საო. ამ ლადალამ თქვა: ჩემი და პატარა წამოიყვანა ბერო მზვარეულმა ერევნი დამაო, რომ ის ბერო მზვარეული კაკაბელი ჯიქურის-შვილი იყო. და მე და დედაჩემი ჩემის დის გულისათვის წამოვედით, რომ ჩემი და უნდა გვენახაო. ყაზახში რომ მოველით, დედაჩემი იქ მოკვდა; მე პატარა დავრჩი და ყაზახელმა კაცმა წამოიყვანა, ქალაქს ალაფს მიმყიდაო. ეს ბერო მზვარეულს შეეცყო, მოვიდა, ალაფს ჩემი თავი წა[ართო] და თეთრი მიუყარაო. ის ბერო მზვარეული რომ მოკვდა, განჯას შვილმა ტეტია მ წამოიყვანა და მას აქეთ ამ მაყა[ან]თ ალაგში ვართო.

ჩვენ ლადალას უთხარით: მაგისი მოწამე არა გყავს, რომ ბეროს ეყიდნაო? ამ ლადალამ ბერო მზვარეულის ცოლი მოიყვანა მოწმად. ამ დედაკაცმა ასე უმოწმა, რომ ჩემ[მა] ქმარმა იყიდაო. ჩვენ უთხარით დედაკაცს: ნასყიდობის წიგნი ხომ გექნებოდაო, მოიტანეო. ასე გვიპასუხა: წიგნი დიახ გექონდაო და ამისი და რომ გვეყვანდა ჩვენ, იმან მოგვპარა და დახივაო.

ჩვენ კახეთის მოსამართლე[ებ]მა ეს სამართალი მივეციტო: თუ წიგნი ყოფილიყო ნასყიდობისა, ბევრი გამოძიება აღარ ეჭირებოდა; და რადგან წიგნი არა ჩანს, ამ ლადალამ ან ასეთი სარწმუნო მოწმე[ებ]ი წარმოაყენოს, რომ ბეროს ნასყიდი ყოფილიყოს, რომ იმათი მოწმება შეიწყნარებოდეს.

და თუ მოწმე[ებს] ვერ იშოვნის, ორის მოწმით შეფიცოს ამ

მიმბაშს ლადალამ, რომ ბერო მზეარეულის ნასყიდი ყოფილიყოს. ერთი ამ ბეროს ცოლს რომ სხვას ქმართან შვილი ჰყოლია, ის მი[ი]ყოლიოს და ერთი სხვა და ორის მოწმით შეფიცოს, რომ ბეროს ნასყიდი ყოფილიყოს. თუ ან სარწმუნო მოწმე[ე]ბი იშ[ო]ენა და ან შეფიცა, ხომ დარჩება ეკლესიას.

და თუ ვერც სარწმუნოს მოწმე[ე]ბს იშ[ო]ენის და ვერც შეფიცავს მაყასშვილის მიმბაშისა და იმის ძმისწულების ყმა შეიქნება და ამათ დარჩება. იმ დედაკაცის შვილი ამიტომ დავეწერეთ, რომ ის დედაკაცი ემოწმება — ჩემის ქმრის ნასყიდი არისო. და თუ ნასყიდი არის, თავისი შვილი მიაყოლიოს ფიცში, თორემ ცარიელის ლიტონის სიტყვით კი ვერ შევიწყნარეთ დედაკაცის მოწმობა.

ჩვენ ასე განვარჩიეთ აზნაურსშვილების თანდასწრებით: და ნება მათის უმადლესობისა არის. თებერვლის იღ, ქორონიკონს უპა.

ოთხი ბეჰელი:

1. მონა ღთისა...\*
2. დ ა ვ ი თ
3. მონა ღთისა მღივანი ს ვ ი მ ო ნ
4. ღმერთსა მივართვა რჯა ნიადაგ ვ ა რ ჯ ა ნ.

ხელრთვა: პ ა ა ტ ა

თავში:

ქ. ჩვენ, მე ფ ვ ე მ ე ო რ ე ი რ ა კ ლ ი, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. მარტის იღ, ქორონიკონს უპა.

ბეჰელი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

### 345. ბანჩინება ბერი ფრიდონაშვილისა და გიორგი ჩართველის

სასინხლო საქმეზე

1798 წ. 15 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 303. დედანი. ქალაღი. 41,2×23,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახპარა წერტილი და ორწერტილი.

ქ. ჩვენ, საქართველოს მსაჯულთა შეკრებილებამ, იესე მორდლის ყმა ფრიდონაშვილი ბერი და დიმიტრის მინბაშის კაცი გიორგი ქართველი ვალაპარაკეთ.

ბერი ასე ჩიოდა: ფეტვში ვიყავ, მე და ამის შვილს ლა-

\* არ ირჩევა.

პარაკი გამოგვერია, ერთი ძმა მეძგერა, მეორემ ძმამ ბარი და-  
მარტყა თავში, დავეცი, მკვდრის სახედ გადამდეს, გაიქცნენ; სო-  
ფელმა შეიტყო, შინ მიმიტ[ა]ნეს, ჩემს შვილს ბედნიერება, მე რომ  
მნახეს ავათყოფი, ისე უპატრონოდ და[ა]გდეს, დამიშავდა შვილი,  
მეორეს დღეს უენო<sup>1</sup> ვეგდე, სისხლს ვაღებინებდი; მღუდელი მო-  
ყვანეს საზიერებლად, ისე რომ მნახა, აღარ მოილო, რამდენსამე  
დღეს ენა მომეცა, ღმრთის მაღლით სიკვდილს მოვრჩი, მარა ამა-  
თის ცემით ერთი კელი, ერთი ფეხი დამიშავდა, სამართალს ვი-  
თხოვო.

გ ი ო რ გ ი მ მ ი უ გ ო: შენ და იმ ჩემს შვილს ლაპარაკი რომ  
მოგესლოდათ, შენ წასტიდებოდი, მეორეს ძმას ბარი დაერტყა, შე-  
შინებულყოფენ, თ ი ღ ვ ა ს ჩემთან მოვიდნენ, ეს ფათერაკი შე-  
მოგვეთხივაო, წამოველ შენს მოსავლელად, მოგიაჩე; მერე შენი  
შვილი და შენი სახლისკაცი მომიხდენ, ჩემს შვილს თოფი მოუშვი-  
რეს მოგკლავთო, დაიჭირეს, კელი შეუკრეს, კელშეკრული ჩე-  
მის მამულიდამ<sup>2</sup> გაატარეს. მეორედ მოუხდნენ ჩემს სახლში ჩემს  
ცოლს-შვილს, ხანჯლით შეუტივეს ჩემს მეუღლეს, ჩემი შვილი და-  
ჭერილი ყუანდათ, მერე თავდებით აუშვით. თუ შენ გალახვის  
სისხლს ითხოვ, მე ჩემის სახლში მოხდომისას, ხანჯლით წვევისას,  
თოფის მოშვერისას და დაჭერისას სამართალს ვითხოვო.

ბ ე რ მ ა მ ი უ გ ო: მე რომ უენო<sup>1</sup> ვეგდე, სიკვდილი დააგდეს  
ჩემი, მაშინ ბატონმა ჩემმა კაცი გაგზავნა, დააჭერინა, არ გაიქცე-  
სო: არც შინ მოგხდომიან, არც ხანჯლით შემოუტევათ<sup>3</sup>, არც თო-  
ფი მოუშვერიათ.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, ჩვენ ეს სამართალი მივეციით:

რადგან ბარი ასე დაურტყამს თავშა, სისხლი ამოუღებინებია,  
იმდენს ხანს უენო<sup>1</sup> ყოფილა, ბ ე რ ი ჩივის — კელი და ფეხი ამის  
წიხეზით დამიშავდაო და ყმაწვილიც დამიშავდაო, ამისთვის ნახე-  
ვარი სისხლი გაუჩინეთ, რომ იქნება <sup>ღ</sup> თუმანი; ეს <sup>ღ</sup> თუმანი  
ნახევარი ნაღდი და ნახევარი ვეჯი უნდა გ ი ო რ გ ი მ მისცეს ამ  
ბ ე რ ს.

და გიორგი რომ ჩივის ჩემს სახლში შემომიხდნენო, ჩემს მე-  
უღლეს ამოდებულის ხანჯლით შეუტივესო და ჩემს შვილს რომ  
იჭერდნენ, თოფი მიუშვირეს, დაიჭირეს და დაჭერილი ჩემის მამ-  
ულიდამ გაატარესო, ამისი ასე განვაჩინეთ: რადგან მოდავეთ თა-  
კეთის ძალით თავეთი მოდავე დაუჭერიათ, უნდა დაჭერის პასუხი.

<sup>1</sup> უენო. <sup>2</sup> ზღელშეკრული. <sup>3</sup> შემოუტევათ.

გასცენ; და რადგან იჭერდნენ, ჩანს, რომ თოვსაც მიუშვერდნენ; დაჭერისა და თოფის მიშვერის პასუხი უნდა გასცენ, რომ იქნება ამის დაჭერის სისხლი ვ თუმანი; ეს ვ თუმანი უნდა იმ ზემოგაჩენილის იგ თუმნიდამ გამოვიდეს, დარჩება ბერის სისხლი ვ თუმანი.

მეორედ ამას რომ ჩივის გიორგი: შინ მომიხდაო, ხანჯალი ბერიის შვილს გიორგი ამოქრო და ჩემს მეუღლეს შეუტივაო და პეტრიაშვილმა ამოღებული ხანჯალი წაართო. ბერი მიუგებდა: არ მოგხდომიან, არც ხანჯლით შემოუტევიათ.

ამისი ასე განვაჩინეთ: უნდა გიორგის შვილმა ორის მოწმათ შეჰტიცოს, რომ: «სახლში მომიხვდით და ხანჯლითაც შეუტივეთ დედაჩემს». ეს თუ ასე შეჰტიცა, უნდა მიხდომის სახსლი მისცეს, რომელიც მიუხდა ამ გიორგის. და თუ ვერ შეჰტიცა, მიხდომისას და ხანჯლის ამოღებისას ვერას შეუვა.

მარა ერთი მოწამე გიორგი. ბერის შვილი უნდა იყოს, რომლისასაც ამბობს: ხანჯალი ამას წაძრო და პეტრიაშვილმა წაართო; მეორე ის წამრთმევი უნდა იყოს მოფიცარი, ამისთვის, რომ ამათ ნახესო. თუ ამათ ნახეს, ესენი მიჰყვენ და შეჰტიცონ ზემოხსენებულისაებრ. თუ შეჰტიცა, აღმოჩნდება, რომ იარადიო მიხდომიან და მიხდომის სისხლი მოსცეს.

თუ ამ ბერის სახლისკაცი ამ ბერის გულისათვის და ამისის სიტყვით მიუხდა, უნდა ბერმა გასცეს მიხდომის სისხლი. და თუ არც ბერმა უთხრა და არც ამ ბერის გულისათვის მიუხდა და თავისთავად მიუხდა, უნდა ამ ბერის სახლისკაცმა მომხდომიან<sup>1</sup> გასცეს პასუხი მიხდომისა.

მამუკავ, ეს ასე აღასრულე. ფებერელის<sup>2</sup> იე, ქორონიკონს უბა.

\* ცოლშვილში მახვილით მიხდომის სისხლი არის კდ — თუმანი ოცდაოთხი. და თავის ფეტვის მკაში, თავის მამულში თავის დედასთან რომ დაუჭერია, და ქელშეკრული გაუტარებია და სახლში რომ დაუბამს, და მიმბაში რომ შეხვეწნია და თავდებით თავისი კაცი აუშვებინებია, იმისი განჩინება ზემოთ სწერია.

მაგრამ უწინ რომ თოფით მიხდომია ცოლშვილში და თოფას უღემანას წაურთმევია სეხნიაშვილს, რომელიც რომ ეს სულიმანა მარია მბატონის შვილის ყმა არის: და

<sup>1</sup> მიხდომიანდრიამ. <sup>2</sup> ფებერელის.

\* აქედან ნაწერია სხვა ხელით.

ეს წართმეული თოფი ერთ ღამეს მათიაშვილს ზუნიას ბარებია, რომ ეს ამბავი უნდა იასაულმა დიდის გამოკითხვით შა-იტყოს და თუ ესეც მართალია, სამართალი უფრო სრულდება მი-იღებს მაშინ.

ოთხი ბეჭედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
2. მეთოდი
3. მდივანბეგი
4. თემურაზ

### 346. განჩინება დავით მგალოგლიშვილისა და დავით მდივნის სარგოს თაობაზე

1798 წ. 4 მარტი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 5321. დედანი. ქალაღი. 20,2X20,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

მისის უწმინდესობისაგან ოქმი გუებოდა ჩვენ, ხა[რ]ჭაშნელს, გრიგოლს და მიხაილ პეტრიაშვილს ასე, რომ: როდესაც განაჩენი ჰბოძებია პატარას დავითს, იმას უკან უნდა გვეანგარიშებინა და რაც ხანი ყოფილიყო გასული, იმისი მესამედი მიგუეცა. რუსუმისა როდესაც განაჩენი ჰბოძებოდა, მას უკან ცხრამეტი წელიწადი გასულიყო. შუაში ცხრა წელიწადი გამოუშვით და ვაპატივეთ და ათის წლისა კი დაედუა დავით მდივანს. სხვა ჯავედით, გამოვედით იქით-აქეთ და [ა]თი საპალნე ღვინო და სამი ურემი პური დაედვა დავით მდივანს პატარა დავითისა.

თავილი რომ ეჩვენებინა უფრო ჰსწორეს შევატყობდით და ისე ვიანგარიშებდით, მაგრამ თავლი კი არ გუ[ა]ჩვენა და მოჭრით ეს დავადევით. ხარებამდის დავგიცლია და ხარებას უკან კი უნდა მოსცეს სრულობით. მარტის დ, ქორონიკონს უბა.

ბეჭედი: გრიგოლ

თავში:

ქ. ჩვენი ბძანება არის!\* მერე როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე აღასრულე. ამ მგალოგლიშვილს დავით ნიკოლოზ აღავერდლის წიგნიცა აქვს და ზენონ აღა-

<sup>1</sup> ნასამედი.

\* დატოვებულია ცარიელი ადგალი იასაულის სახელის ჩასაწერად.



ვერლისაც და ჩვენი განაჩენიც კელთ აქვს, რომ თავისი სარგო უნდა მისცემოდა და არ მისცემია. ახლა კიდევ მისის უწმინდესობის ჩვენის შვილის ბრძანებით ყოვლად სამღვდელოს ხა[რ]ქაშენელს გრიგოლს და მიხაილ პეტრიაშვილს ეს განაჩენი მიუციათ. როგორც ამაში სწერია, ასე უნდა აღსრულდეს. აპრილის თ, ქორონიკონს უპა.

ბეჭელი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

### 317. ბანიწყაბა ჯავახიშვილებისა და მაღალაშვილის მამულის საჩუქარი

1798 წ. 28 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1224. პირი. ქალაღი. მხედრული.

ჯავახიშვილები თეიმურაზ, ვახუშტი და გიორგი ჩიოდნენ: ჩვენის სახლისკაცის ნიკოლოზისა და ქაიხოსროს ბეითალმანი ყმა და მამული სანატრელმა ცხებულმა მეფემ თეიმურაზმა ჩვენ გვიბოძა; და ქაიხოსროს ყმა და მამული მაღალაშვილ[ს] სალთხუცეს[ს] გირაოდ უჭირავს, ჩვენ თეთრს ვაძლევთ, ჩვენს გირაოს არ გვანებებს, სამართალს ვითხოვთ.

სალთხუცესმა მიუგო: მართალია ქაიხოსროს ყმა და მამული მე მიჭირავს, მარა შენ დიდი ხნის გაყრილი ხარ იმათი, შენ რა საქმე გაქვსო. ესეც სალთხუცესმა მიუგო: ამ თამასუქით ასე მიჭირავს ეს მამულიო.

ვნახეთ ჩვენ ეს თამასუქი. ასე ეწერა: ავიღე, მე, ჯავახიშვილმა ნიკოლოზმა და ქაიხოსრომ შენ, მაღალაშვილის ამილბარისაგან კბ თუმანი. მოგეცი ამის გირაოდ მელეს — შაქარაშვილი, ქვენადარს — ჭყობიაშვილი, ზენადარს — ჩემი წილი, ხანდაგს — ორი საკომლო. ეს გირაოები ასე დამიგირავებიაო: თვეში თუმნი[ს] თავს ერთი აბაზი სარგებელიო, ეს სარგებელი ამ გირაოებიდამ აიღეო. როცა შენი თეთრი მოგეცე, ჩემი გირაო დამანებეო.

კიდევ ერთი ოქმი ამოიღო ამილბარმა, ასე ეწერა: ჩვენ მაგიერ ფარსადანს უზბაშს ასე უანბეთ: რაც ჯავახიშვილის ავთანდილისაგან, ქაიხოსროსაგან და თარხნიანთაგან სიგლით ნასყიდი ქონდეს, ამ სალთხუცეს[ს] და[ა]ნებეო. თუ სიტყვა აქვსთ, მოგვახსენონ.

ამის გარდა სალთხუცეს[ს] საბუთი მოვთხოვეთ. ასე თქვა: ამას გარდა სხვა საბუთი არა მაქვსო. ჩემი საბ[უ]თი ეს არისო: სამოცდაცამეტი წელიწადია მე მიჭირავს, პატრონს არ უთხოვნია, ამათ არ გაუხსენებიათ; ამდენს ხანს რომ კაცს მამული ეჭიროს, სამართლით როგორღა მიედავებაო; ჯავახიშვილებმა ოსმალობას და ყიზილბაშობას ეს ჩემი გირაოები წამართვეს და ესენი იმსახურებდნენ, სარგებელი დამაკლესო.

ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ე ბ მ ა მ ი უ გ ე ს: დიდიხნის ჭორს რომ ამბობ, ჯერ ხომ ქაიხოსრო ცოცხალი იყო და შეუძლებელი იყო, ის რით დაიხსნიდა; ქაიხოსროს შემდგომად ბეჟან-ბეგს ეჭირა ქაიხოსროს მამული, ის რათ დაიხსნიდა? ამის შემდგომად ფარსადანს მდივანბეგს ეჭირა, ან ის რათ დაიხსნიდა? სანატრელმა მეფემ თეიმურაზმა რომ ჩვენ გვიბოძა ქაიხოსროს მამული, მაშინვე შენმა სახლისკაცმა მდივანმა სოლომანმა გვიჩივლა: ესე და ესე კაცი გირაოდ მიწერია, ამ ჯავახიანთ ან თეთრი მომცენ და ან გირაო სყიდვით მომყიდონ. იასაული დაგვაყენა, თეთრი გამოგვართო, გირაო დაგვანება. მაშინ ეს თამასუქი დამალე, გირაოები კელთ დაიჭირე, არც თეთრი გვთხოვე, არც თამასუქი გვაჩვენე. რომ შეგიტყვევით გირაოდ გეწერა, მაშინვე ლაპარაკი დაგიპირეთ, მარა ჩვენ — ძმებს ერთმანეთში ლაპარაკი მოგვიხდა, შენ ველარ გელაპარაკენით. როცა ჩვენ გავშქველდით. გელაპარაკებით და როგორც თამასუქში გიწერია — როცა შენ თეთრი მოგცე, ჩემი გირაო დამანებეო; შენ თეთრს გაძლევ, ჩემი გირაო დამანებეო.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, ჩვენ ეს სამართალი მივეციით: სამართლის წიგნის ძალით, რომელსაც რომ ასე სწერს ბერძული სამართალი: თუ გირაო ეჭიროს ერთს მეორისაო, თუ დიდ ხანს გაევლოს თეთრის პატრონი მივიდეს მოსამართლესთანაო, თეთრის თხოვნა დაუწყოს; თუ თეთრი არ მისცეს, ის გირაოები დაიყიდოს და ვალში მიეცესო\*.

მეორე სამართალი სწერს: თუ დიდს ხანს დაეყოს გირაოს თეთრის პატრონის კელშიაო, თუ იმ გირაოს გამოსავალი ბევრა აელოს, რომ სარგებელს გარდამატებოდეს, თავნში ჩაუგდევითო, გირაოები გამოართვით, პატრონს მიეციითო.

ამათის ლაპარაკის მოსმენით და ამ სამართლის წიგნის ძალით

\* შდრ. სამართალი ბერძული მუხ. 101. (ქართ. სამართ. ძეგლები ტ. 1, გვ. 157).

უნდა დაქანსნეინოს კაცი და მამული: პირველად ამისთვის, რომ თამასუქში უწერია: როცა თეთრი მოგვე, ჩემი გირაო მე დამანებო; აძლევს და უნდა დაანებოს.

მეორედ, ამისთვის რომ რომელმაც დაუგირავა, თუ იმისი 'შვილი ცოცხალი ყოფილიყო და ამდენს ხანს არ დაეხსნა, ამდენ ხანს კიდევ იმასთან ერთი სიტყვა ექნებოდა; მარა ის ამოწყვეტილა, იმისი მამული ბეითალმნად ყოფილა, ხან ვისა სჭერია და ხან ვისა; მისთვის გაუვლია ამდენს ხანს.

მესამე ეს, რომ სალთხუცესი რომ ამბობს — სამართლის წიგნში გიწერსთო, ორმოცს წელიწადს მამული მჭეროდეს და არ ედაოსთ, ველარ მედავებო.

თუ ან ნათხოვრად სჭეროდეს ან სხვა საბუთით, ან სამართლის წიგნის ძალით არ გამოერთმეოდა მარა ამათ სადაოში ეს წერილი ასე მეტყველებს: როცა ჯავახიშვილმა თეთრი მისცეს მალალა-შვილს, მამული დაქანებო.

მეოთხე ეს, რომ ყოველი სამართალი დიდის ხნის ჰერით მოგირავნეს გირაოს არ უმკვიდრებს და დასხნას სწერს.

მეხუთე ეს, რომ სალთხუცესი რომ ჩივის ყიზილბაშობას ეს ჩემი გირაოები ამ ჯავახიანთ წამართვეს და მე სარგებელი დამაკლესო, ამისი ასე მიუგეს ჯავახიანთ: მალუჯათობას ის მამულეები შენ შენის ნებით დაადე; მე დამიჭირეს, ეს მამულეები საჯავახიანო მამულეები არისო. იმის ხარჯი ამდენი წამართვეს, რომ თითქმის იმისი ფასი იქნებო და შენ სარგებელი რაღათ უნდა მოგვეო როცა მალუჯათობა გადაწყდა, მაშინვე შენ დაიჭირე შენი გირაო კაცი და მამულეები და იმსახურებდიო.

სალთხუცესმა ამისი ასე მიუგო: იმ მამულეებიდამ მე გამოსავალი არა მომცემია რა, რომ ამ სარგებლის ტოლი იყოსო.

ამისი ასე განვაჩინეთ: სალთხუცესმა სამი კაცი თავისი შეაფიცოს, რომელიც ჯავახიანთ შეუსახელონ. იმათ ასე შეჰფიცონ: «ამისმა მადლმა, ჯავახიშვილებო, რა სანატრელმა მეფემ თეიმურაზმა ეს მამულეები ჩვენ გვიბოძა, მას აქეთ ამ მამულეებიდამ ამდენის თუმნის აგველება».

თუ აუღიათ, ასე უნდა იფიცონ; თუ არ აუღიათ, იფიცონ — არა აგვილია რა. თუ დაიფიცვენ — არა აგვილია რა, უნდა ჯავახიანთ ეს კბ თუმანი ერთიორად მისცენ, რომ იქნება ერთიორად რა თუმანი. და თუ იფიცვენ ამდენი აგვილია, უნდა ის აღებული ამ თეთრში უანგარიშონ და დანარჩომი მისცენ ჯავახიანთ ამ სალთხუცესს[ს].

და რაც გირაოდ უწერია, ყველა უნდა და[ანებოს სალთხუცესმა თემურაზს, ვახუშტის და გიორგის.

არაფერი სიტყვა აქვსთ თავისგან მოტანილის თამასუქის ძალით და სამართლის წიგნის ძალით. თამასუქში სწერია: როცა თეთრი მოგცე, გირაოები დამანებე; და სამართალი სწერს: თუნდა დიდს ხანს გაველოს გირაოს თეთრის პატრონის კელში, უნდა დაახსნევენოს. ამ საბუთებით უნდა ზემორეგაჩენილი თეთრი გამოართოს და და[ახსნევენოს.

ფ ა ლ ვ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ო ნ ი ნ ი ა ვ და ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ო ბ ე უ ა ნ ეს ასე აღასრულეთ. მარტის კმ, ქორონიკონს უპა.



თავში:

ჩვენ, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებას ამას. აპრილის იმ, ქორონიკონს უპა. 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს, ქართლისა კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ამ განაჩენს ვამტკიცებთ მაისის იმ, ქორონიკონს უპა. 

|  |
|--|
|  |
|--|

### 348. ბანძინება გიორგი ვეფხისტყაოსნისა და დათუა გვერდითაღიშნის

მამულის სახეზე

1793 წ. 80 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8516. დედანა. ქალაქი. 60×30 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია წერტილი.

ქ. მათს უმაღლესობას ჩვენ — საქართველოს მსაჯულთათვის ებძანა: ვეზირის შვილის ნასალჩიბაშის ნაიბი გიორგი გვერდწითელს დათუას რომ უჩივის, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო. მათის ბრძანებისამებრ ამათი სარჩელი მოვისმინეთ.

მათმა უმაღლესობამ ოსიაური თავის სამქდვრებით მე რომ მიბოძა და კელი მოვპკიდეთო, გიორგი ჩიოდა, რამდენსამე წელიწადს უკან ამ დათუამ დავით მოურავს უთხრა: გაღმა ოსიაურისაკენ წყალის პირი და ჭალა ჩვენი არისო, ძალათ წავგვართოო, კაცნი გამომატანე, რაც გაღმიდამ ღალა აუღია, წავართათო. მოურავს კაცნი გამოეტანებინა, ალექსიძე და ალიბეგის შვილი

მომიხდნენ; პური, ქერი და სიმინდი ამომიყარა, წამოიღო, კაცნი დამირბივა, ხარი, ურემი და ტომარა წაართო; [აე]რე საფიჩხულე ჩაედგათ ჩემს წილს მამულში და ჩაუშალეს; მოურავმა იწყინა, უმაღლეს პალატაში სისხლით შემსვარა, ხანჯალს კელი გაიკრა, წამომაქანა, სხვათ კელი უტაცეს და არ მოუშვეს, თორემ დამჭრიდა. მოურავს შევეხვეწე, ორმოც თუმნამდინ ზოგი მოურავს მივართვი და ზოგი სხვათ; ამის საბაბობაზედ ამ დათუას სიტყვით მოურავმა ესენი მიყო. თითონ ეს დათუა სოფელში მომიხდა, ესენი წამა[რ]-ოო. თუ ჩემის სოფლისაკენ ამას საქმე ჰქონია, არას ვედავები; და თუ საქმე არა ჰქონია, ტყუილად ეს ხიფათები მოუცია, სამართალს ვითხოვო.

დათუამ მიუგო: წყალის [პი]რიც ჩემია და ჭალაცა, მაგრამ სანატრელს მეფეს ვახტანგს ამ ბატონების ერთგულებისათვის ბატონს ჩემს რომ გასწყრომა და მამულები ჩამოურთმევია, მაშინ გაღმა წყალის პირი, ჭალაც ჩამოურთმევია და ოსიაურისათვის დაუდვია. როდესაც ღმრთით ამ ბატონებმა\* ეს [ტა]ხტი მიიღეს, მაშინ ჩვენი მამულები ისევ გვიბოძა და ის წყლის პირიც ღვაკვირეთ და ქა[ლა]ცა. და ახლა ამ გიორგიმ ძალათ წაგვართოო. მე მოურავისათვის არც მითქვამს — ესენი გიორგის უჭირავსო და ჩვენია, ნუ დაანებებ.

და გაღმიდამ რომ სულადის წამოღებას და მახდომას მეწამეები, მე ჩემის ძალით არ მოგხდომივარ, სარდალა იყო ჩემი, მიბძანა: ამ ჩემს აზ[ნ]აურშვილებს გაჰყევ, ეს სულადი წამოიღეთო, დაუჭერე, გავყევ და წამოვიღეთ.

გიორგიმ მიუგო: იმ მამულში რომ არც გქონდა სადაო და არც მოურავს ჰქონდა სადაო, ან შენ [რათ] მედავებოდი და ან მოურავი რათ წამომადევო. დღესაც რომ კელს არ იღებ და მედავები, რასაკვირველია, მაშინ შენის სადაოს გულისათვის მომიხმე და ის შფოთები მოურავს შენ აქნევიან.

დათუამ მიუგო: მამულზე მაშინაც ვდაობდი და ახლაც ვდაობ და ჩემი არ[ის]ო.

გიორგიმ სამართალს მოახსენა: რადგანაც მაშინაც დაობდა და ახლაც დაობს, იმის უმაღლესობას ბატონს მოვახსენებ, იქაურთ მამულის მეპატრონეთ და მოხელეთ ფიცით ჰკითხო[ნ], რაც იციან, ჰეშმარიტს მოახსენებენ, იმათს მოხსენებულს სამართალს [მ]ოვართმევ და ს[ამართლის რიგ]ზედ მომეციოთ.

\* ე. ი. თეიმურაზმა და ერეკლემ.

ეს ჯეროვანი მოხსენება იყო. გიორგის მოეხსენებინა და მათს უმაღლესობას [ზ ა] ზ ა გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს ე ბ ძ ა ნ ა: ეს ჩვენნი ბძანება ციციანთ გამოუტყდად, რაც იცოდნენ, ჰეშმარიტებით მოაწერონო. იმავე ოქმზედ მოეწერა ციციის შვილს გიორგის, ციციის შვილს გლახას ნასაღჩიბაშს, ციციის შვილის ნიკოლოზს, ციციის შვილს პაატას შვილს გოჯიას, მეღვინეთხუციის შვილს თომას, მეღვინეთხუციის შვილს ზაალს, ივანე დაფქვიაშვილს, რომ იმ მკრის მოხელეა და ოთხმოცდათხუთმეტის წლის კაცია. ამ ზემოხსენებულთ ფიცით ასე მოეწერათ: ოსიაურის მკრისაკენ არც ჩვენ გვქონია სადაო და არც იმ მკრის ციციანთ, არც ჩვენს მამა-პაპათაგან გავევიგონია და არც ჩვენ გვინახავს, რომ ოსიაურისკენ ან ჩვენ გვქონდეს საქმე და ან იმათ, რაც ახლა მოურაკვი არ წაეღავა, ჩვენს[ს] დღეში არც წაღავება გვინახავს და არცარა საქმე გვექონიაო.

ამათის საჩივრისა და მოწმობ[ის] მოსმენით სამართალი აღმოჩნდა, რომ ოსიაურის მკრისაკენ წყალის პირიც ოსიაურისა ყოფილა და ჭალაცა და ტყუილად წასდავებიან. პირველად, ამისათვის რომ ყოველს სოფელში [ჩ]ვეულება არის: მდინარე რომელს მკარესაც დის თავ-თავისი წყალის პირი იმ სოფლისა არის; მეორედ ამისათვის: დათუამ თქვა ჩვენი იყოო, მაგრამ სანატრელმა მეფე ვახტანგმა ჩამოგვარ[ო]თო, რადგანაც ჩამოურთმევიდა და ოსიაურისათვის დაუღვია და იმის შემდგომად მეფეთ[ავ]ან ჩამორთმეულობის წერილი აღარა ჩნდა, ახლა ეს ასე ლიტონის თქმით როგორ ჩამოარ[ო]თმევედა; მე სამედ ამისთვის: ალექსანდრეს ქალანთარს, გლახას და დემეტრეს არა შეკერიათ იმ ქამში იმისთანა გავლენილთ კაცთ, ახლა ეს როგორღა ჩამოართმევს; მეოთხედ ამისთვის: ამდენს ციციის შვილს და იმათ მოხელეთ და მოხუცებულთ ასე ფიცით მოუწერიათ: არ[ც] იმათს მკარეს ჰქონდათ სადაო და არც ჩვენაო.

დარჩა ამი ძრიელის საბუთებით ოსიაურის თავის მკრისაკენ წყალის პირი და ჭალა.

და გიორგი რომ ეწამება დათუას: მოურავის აზნაურ შვილნი შენ ჩამოასხი, მომიხდი<sup>1</sup>, ამიკელ და მოურავმა რაც ხიფათები მომცა, სულ შენის სიტყვით მიყოო; და დათუა ჰაშას არის, მე არ მი-თქვამსო მოურავის[თ]ვისაო და არც ჩემის სიტყვით მოურავს შენ-

<sup>1</sup> † ამ. <sup>2</sup> მომიხე.

თვის ეგენი უქნიაო; რადგანაც ასე ჰაშას არი[ს], ფიცი განვაჩინეთ. გიორგიმ ოცი აზნაური შეუგდოს, ოცილამ ექვსი იშოვნოს, წადგეს ექვსის აზნაურით დათუა და ასე ფიცოს: «ამისმა მადლმა, გიორგი, მე მოურავი[ვ]სათვის არ მითქვამს — გიორგის ჩემი მამულები უჭირავს, შენ წაართვი, არც ჩემის [ძალი]თ და ნებით მოგხდომოდე და არც ჩემის სიტყვით მოურავს ევ შფოთები შენთვის ექნას».

თუ ასე შეპფიცოს, ველარას შეუვა გიორგა დათუას. და თუ ასე ვერ ფუცა, უნდა ამდენის ხი[ფა]თის მიყენებისათვის სისხლი მოსცეს. ეს გიორგი რადგანც მესამე თავადად არის აღრი[ც]ხული, მესამე თავადის სისხლი არის **ტპლ** (სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი), რადგანც კარის მოხელეა — ნასაღჩიბაშის ნაიბი, ეს დაუორკეცებს, იქნება **ღაღ** (შვიდას სამოცდარვა თუმანი), ეს სრული გიორგის სისხლი არის.

თუ ზემოხსენებულისამე[ბ]რ შეპფიცავს, ხომ ვერას შეუვა. და თუ ვერ შეპფიცავს, რასაც აქედამ სამართალი გაუჩენს ამდენის ხიფათის მიცემისათვის, იმ ანგარიშით ამ ზემოხსენებულის სისხლიდამ გაუჩენთ და [წე]რილს მივსცემთ და ისე უნდა აღსრულდეს მისის უმადლესობის ბძანებით.

მორდალო ი ა ს ე! ამის მოასილი შენ ხარ, ეს ასე აღასრულე. მარტის ლ, ქორონიკონს უზა.

შვიდი ბეჭედი:

1. ლთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ.
2. ქ ა ი ხ ო ს რ ო
3. მ ე თ ო დ ი
4. მღივანბეგი
5. მსაჯული სამეფოთა ზედა და მღივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.
6. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშვიკალასბაშ მყო მღივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ.
7. მონა ლთისა თუმანიშვილი მღივანი ს უ ლ ხ ა ნ.

ქ. ჩვენ, დ ი ა ს ა მ ი ძ ე მორდალი ი ე ს ე ა[მ] განაჩენის ძალით იასაული ვიყ[ავ]ით. გ ვ ე რ დ წ ი თ [ე] ლ მ [ა] და თ უ ა მ ვ[ე]რ იფიცა, ეს [ს]ამთ[ავ] ამის ნება მის ბარათს არის. ქრისტე[შო]-ბი[ს] თ[ვის]ს კ ზ, ქორონიკონს უზა.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა და სხვათა ირაკლი მეორე, მსაჯულთა მიერ განსჯილსა ამას განჩინებასა ვამტყცებთ. მაისის ი, ქორონიკონს უპა.

ქ. ამ განაჩენის ძალით ციციანთ ამ გიორგისთან სადაო და სალაპარაკო აღარა აქვსთ რა, რომ სამართლით საბუთები[თ] და მოწმე[ე]ებით განსჯილი არის. ოსიაურს რასაც მამულს [ე]დავებოდენ, ის მამული [და]რჩა ოსიაურს. ამით გარდასწყდა და დამტყცდა სამართალი და გაშველდენ.

მაგრამ გიორგის რომ ჩვენს სახლში თავი გაუტყდა და სწორეთ ჩვენს მასნათს სისხლი გარდაესხა და თითქმის ჩვენამდისაც მოაღწია ამისმა სისხლმა, თუ რომ დრო იყოს ამ საქმისათვის, რაც ჩვენი მართებული იყო, სამართლით მოვიკითხევდით, გარდავკრიდით და გარდავსწყვეტდით, თუმცა არც[ა]რას ავიღებდით და არცარას გამოვართმევდით, მაგრამ სამართალს კი გამოუცხადებდით. ახლა ჩვენ რომ ამაზედ კელს ვიღებდეთ და არ ვიკითხევდეთ, ამ გიორგი ნასაღჩიბაშის ნაიბს კი თავისი სისხლი არ დაეკარგება.

უფალნო მსაჯულნო! თუ რომ იჩივლოს, ღმრთის წინაშე სწორე და ჰემმარტი სამართალი მოეციოთ კარგის გამოძიებითა და განსჯით და კარგის სამართლით, რომ არცერთს მკარეს უსამართლო არა მოხდეს რა.

ზეპვად: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

კიდებ:

ქ. რადგანაც გვერდწითელს დათუას როგორც ამ განაჩენით გაჩენილი არის, ისე ვერ უფიცავს, მორღალი იესეც კელს აწერს — ვერ დაიფიცაო, სოფელში მიხდომისა და დარბევისათვის სანატრელის მეფის ვახტანგის წიგნი სამართლისა ნდრიცხეში მთელი სისხლის მესამედის ნახევარს უჩენს, რომ იქნება გიორგი ნასაღჩიბაშის ნაიბის მთელი სისხლის მესამედის ნახევარი ასოცდარვა თუმანი; რომ ეს ნახევარი ნაღდი და ნახევარი ჯინსი უნდა დათუა გვერდწითელმა გიორგი ნასაღჩიბაშის ნაიბს მოსცეს. და რაც წანაღები იყოს, ისიც უნდა მოსცეს.

იასაულო მორღალო იესე! ეს ასე აღასრულე. ივლისის იგ, ქორონიკონს უპა.

ქ. ორმოცი თუმანი რომ გოგია ნასაღჩიბაშის ნაიბს მოურავზედ დახარჯვია, ესეც უნდა სამართლით მიეცა დათუა გვერდწითელს, რადგანც იმ ხარჯის მიზეზი ის იყო, მარა ავის დროსა და შეუძლებლობის მიზეზით სამართალმა [ა]პატივა. ამაზედ ნულარას ილაპარაკებს გიორგი.



შვიდი ბეჭედი:

1. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.
2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქაიხოსრო
3. მეთოდი
4. მდივანბეგი დავით
5. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან
6. მონა ღთისა მდივანი მოლარეთხუცესი სოლომონ
7. მონა ღთისა მდივანი სვიმონ.

### 349. განჩინება პაპუნა და გარი გვიანშვილავის გავლის საქმეზე

1798 წ. 14 მაისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 51. საბ. № 172. პირა. ქალაღი. მხედრული.

[136v] მათი სიმაღლისათვის ბატონის შვილისათვის გოორგისათვის გემიაშვილს პაპუნას არძი მიერთმია: ჩემი ძმა ბერი შემეყარა, შვიდი წელიწადი ერთათ ვიყავით შეყრილი, მამული თუ ღედული<sup>2</sup>, ვალი თუ ვახჩი სულ ერთად შევავრთეთ; ერთი სახლიკაცი დაკარგული იყო, იმისი მამული ერთად გვეჭირა. მასუკან ეს პაპუნა [და ბერი] გაყრილიყვნენ, იმ მამულში ამოწყვეტილის წილი აღარ მიეცა პაპუნასათვის თავის ძმას ბერს. ბატონისშვილისათვის არძი მიერთმია. ჩვენ, დიასამიძის მორღლისათვის ებძანებია ამათი სამართალი და მამულის გაყოფა.

ჩვენ ესენი ვალაპარაკეთ. რადგან რომ ესენი ერთად შეყრილიყვნენ და მამული გაერთებინათ ერთათ, ამოწყვეტილის სახლისკაცის მამული, რაც ამათგან მამული რგებია სახლისკაცს, ის მამული ამ ბერს და [ამ] პაპუნას შუაზედ გაუყოფეთ, დაუღვეით; ეს ასე შუაზედ უნდა გაიყოს. და რომელიც მამული სხვიდგან უყიდია, ის მამული მათი უწმინდესობამ, ჯუარის მამამ, ეს ნასყიდი მამულები უნდოდეს, თავისთვის და[137]იჭიროს, და თუ უნდოდეს, ამათ აქთამოს.

ჩვენ ასრე გავარიგეთ; ნება მათი უმაღლესობისა იყოს. ეს მამული ბეითალმათ დაგდევით. მოსავალი ჯვარის მამისათვის უნდა ჩაისხას. მამული ასრე უნდა გაიყოს. ნება თქვენია, როგორც ბძანებთ ახლა, ისრე აღსრულდეს. მაისის იღ, ქორონიკონს უპა.



<sup>1</sup> პაპუნას... ერთათ] პაპუნას ჩემა ძმამ ბერი შემეყარა შვიდი წელიწადი არძი მიერთმია ერთათ. <sup>2</sup> თუ ღედული] თულღული.

ბატონო მორდალო იასევი, მერე ამ მამულის საქმე ეს ასე რომ გაგირიგებიათ, ამაზედ უნდა დააყენოთ ორნივე და თავისი მოაბარო. როცა რომ მისი მალალი ღირსება ჯვარის მამა მოვა, როგორც რიგი და სამართალი იყოს, ორნივე ისე დააყენოს. ენკენისთვის ი, ქორონიკონს უბა.

### 350. ბანჩინვაზა ბერუა და ზურაბა თავაზაშვილის მამულის საქმეზე

1798 წ. 8 ივნისი

ცხსა. ფონდი 1449. საბუთი № 2769. პირი. ქალაქი. მხედრული.

ქ. მისის უგანათლებულესობის საქართველოს უფლისწულის ბატონის შვილის გიორგის ბძანებით, ჩუენ, მსაჯულთა თავაზაშვილი ბერუა და ზურაბა ვალაპარაკეთ.

ზურაბა ასე ჩიოდა: პაპაჩემი და მამაჩემი იოსებ ნინოწმინდელმა მამულზედ დაასხლა, მამაჩემი შემოსწყრა თავის მამა და ძმას, ცალკე დადგა, მაგრამ მამული არ გაუყვია, მამა მომიკვდა, ობოლი დავრჩი, ქართლში წაველ, მამულზედ დავსახლდი. ეს ბიძაჩემი აქ მამულებს ყიდდა; მერე ქართლში მოვიდა, მითხრა: წამოდი შენსავე სამკვიდროს მამულზედ დასაქლდიო. ის მამული დავაგდე, წამოვჰყევ და ვემსახურე ძმურად და შევილად, რომ გამაჯავრა, ცალკე გამოველ, მამულის წილს ვთხოვ და არ მაძლევს და სამართალს ვთხოვ.

ბერუამ მიუგო: ნინოწმინდელმა რომ მამული მოგვცა და დაგვასახლა, მამა შენმა არც მამულს მოუარა, არც ბეგარი აძლივა და გვითხრა: მე არც მამული მინდაო, არც ამის გამოსაღებს მივცემო; ცალკე დადგა, ცალკე ყოფაში მოკვდა. შენ წახველ სხვაგან დადექ, რომ მიგვიყვანე, შენცა სთქვი: არც მე მინდა ეს მამული, შენც კელი აიღე, ცალკე დადეგ<sup>2</sup>, მამული მთხოვე, ნინოწმინდელმა მოურავმა და წინამძღვარმა იოკიმ ვალაპარაკეს, ეს განაჩენი მომცეს და შენ იმ მამულიდამ კელი აგაღებინეს და ახლა ტყუილად მედავებიო.

ჩუენ რომ ესენი ვალაპარაკეთ, და ამათი საბუთები გავშინჯეთ, ამათის ლაპარაკის მოსმენით და სამართლით იმ საერთოს მამულიდამ უნდა ნახევარი მამული ამ ზურაბს მოეცეს;

პირველად ამისთვის, რომ: ნინოწმინდელს იოსებ

1 + თავ. 2 დადგ.

ორისავ ძმისათვის მიუცია ის მამული, და ორნივე ძმანი დასახლებულან, თუმცა ცალკე დამდგარა, მაგრამ რომელიც ძმობის რიგია გაყრისა, ისე არ გაჰყრია;

მეორე ამისთვის: თუ მამულიდამ კელი აიღო და საკუთრივ ამას დაანება, რატომ წერილი არ გამოართო, რომ ამ მამულთან მე საქმე არა მაქვს რა, შენი იყოს;

მესამე ეს, რომ: ზურაბა ქართლში რომ დასახლდა და მამულს კელი მოჰკიდა, რათ მივიდა, რათ დააგდებინა იქ ის მამული, რათ წამოიყვანა და თუ მიცემა არ უნდოდა, რათ დაასახლა; თუ დასახლა, ახლა რომ აგდებს, სადღა წავიდეს. პირველად იმ მამულზედ ამ ზურაბის მამა იყო დასახლებული, მერე იმისი შვილი მოიყვანა, თავის მამის მამულზედ დაასახლა. ახლა რომ ეყრება, უწილოდ ჯერ გააგდებს და უნდა წილი მოსცეს.

მაგრამ ამის უწინარეს რაც ამ ბეროს საერთოს მამულიდამ მამული გაუყიდა, იმ გასყიდულს ზურაბ ვეღარას ედავება. და სხვა რაც მამული დარჩომიათ შუა უნდა გაიყონ.

რომელნიც ამათი მოასილი ხართ, ეს ასე აღასრულეთ. ივნისს

მ, ქორონიკონს უპა. 

|          |           |
|----------|-----------|
| ქ:იხოსრო | მღივანევი |
|----------|-----------|

კიდებუ:

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფას ძე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. მაისის თ, ქორონიკონს უპა. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

### 351. ბანძინება ერაქლე II-ისა ხიმშიაშვილების მამულის საქმეზე

1798 წ. 18 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6749. დღიანი. დაზიანებული. ქალაღი. 34,5×13 სმ. განკვეთილობის ნიშანი ნახმარა არ არის.

ქ. ხიმშიაშვილები თამაზა და გოგია რომ თავის სახლისკაცს დავითს ბულაჩაურის მამულზე ედავებოდენ, ამათი სამართალი ბევრრიგად გაიჩხრიკა და დასასრულ ასე გარდაეწყვიტეთ:

წადგეს ხიმშიაშვილი დავით და ასე შეჰჭვიცოს: «ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმა, ჩემო სახლისკაცებო — თამაზავ და გოგია, თქვენ რომ ბულაჩაურზე მედავებით, არც მძლავ-

რებით წართმეული მეჭიროს, არც უსამართლობით და ალალი ჩემი მამულიც იყოს».

თუ ასე შეპფიცა, დარჩება დავით ხიმშიაშვილს, თავისი სახლის კაცნი ვეღარას ედავებიან. და თუ ვერ შეპფიცა, დარჩებათ ის სადა[ო მამული თამაზას] და გოგიას.

იასაულო ფალავანდის შვილო ზურაბ და ნიკოლაოზ! ეს ასე აღასრულე. ივნისის იგ, ქორონიკონს უპა.

ქ. ეს ფიცი ორთავ მოდავეთ ყაბულობით მოხდა განჩინება ფიცისა.

ბეპელი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ.\* ჩემის ხელმწიფის ბძანები[თ] მათი მონა ფალავანდის-შვილი ზურაბ უზბაში და გოსტაშაბიშვილი[ი] ნიკოლაოზ იასაულე[ი] ვიყავით. ხიმშიანთ ფიცას, როგორც ამას წიგნ[შ]ი ეწერა, ბძანება იყო, დავით და რამაზ წადგა და ბოდორნას ეკლესიაშ[ი] ასე შეფიცა თავისის წილს ბულაჩაურულს<sup>1</sup> მამულს. ამაში კობიაშვილებიც იქ დაგვე[ს]წრენ, რომ დაიფიცეს, ხუთი იყვნენ<sup>2</sup>: ნასყიდ<sup>3</sup>, მღვდელი სვიმონ, ნიკოლაოზ გოშპარაშვილი, ნინა და რავაზ, იმ ეკლ[ეს]ი[ის] მღვდელ[ი] ლუკა, იმის მნაო[ე] შიოლა. ღმერთ წინაშე ამათს დასწრებით ეს ასე გარდავწყვიტეთ. მთიბათვის იზ, [ქორონიკონს უპა.

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა ირაკლი მეორე შემდგომად ფიცისა ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. თიბათვის კა, ქორონიკონს უპა.

ბეპელი: ქნარს მიცემს დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

<sup>1</sup> ბულაჩაურულს. <sup>2</sup> იყავნ. <sup>3</sup> ნასასყიდ.

\* აქედან ტექსტი ა-მეტნაკლულია.

1793 წ. 13 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დაეთ. № 10. საბ. № 111. პირი. ქალღმ. მხედრული.

[121v] ჩვენ, სარდალ-სალთხუცესმა დავითმა და მოსამარ-  
თლებმა, თურქისტანიშვილი დიმიტრი და ველა-  
შვილი იერალას კაცი გოგია სამართალში ვალაპარაკეთ.

დიმიტრი ასე ჩიოდა: ეს გოგია ჩემის კაცის შეყრილი  
ქმად იყო. მარილზე წასვლა დააპირეს; არა, მე წავალ, შენ ნუ  
წახვალ. ჩემი კაცი წავიდა. მე შინ შეველ. ამ გოგიას დედა და  
სიდედრი შემოვიდნენ, გავაშველე. გოგიამ თოფსა და დამბაჩას  
წამალი შეაყარა, გამოუდგა; ან ამან არ მოკლას და ან იმან ესეო,  
გამოუდგე, ვნახე რომ კამბეჩი მოჰყვანდა, რომ მიველ, დამიძახა —  
წელანდელი გაშველებისა არ იყოსო, ჩამოდექო, მე არ ჩამოვდექ,  
შეეცეხული თოფი გულ[122]ზე მამილო. დაუძახა ჩემ[მა] კაცმა,  
რათა კლავო. ამან იმას შეხედა და ვეძგერე, შეეცეხული თოფი ხე-  
ლიდამ წავართვი. ორიოდ შემოვკარ. მერმე დამბაჩას ხელი გა-  
იკრა, მამიშვირა, დალაქმა ხელი სტაცა, წა[ა]რთო. ეს კაცი ჭერ თო-  
ფითა მკლევდა მერე დამბაჩითა, სამართალს ვითხოვო.

გოგიამ მიუგო: მე და შენი კაცი დავლაპარაკდით. სო-  
ფელში ისევ გავვაშველეს. მარამ ის რომ უჩემოდ მარილზედ წა-  
ვიდა, მეწყინა, გამოუდექ, კამბეჩი ურმიდამ გამოუშვი, შინ მამ-  
ყვანდა, შენ გადამიდეგ, არ მანებებდი, კამბეჩს მიუშვირე თოფი;  
მერმე შენ რომ მრავალი მცემე, მართალია, დამბაჩას ხელი გავი-  
კარ, აღარ გამიშვეს, წამართვეს. მერე შინ მოველ, მუხლზედ გა-  
კოცე და შემირიგე.

დიმიტრიმ მიუგო: რადგან ჩემს ყმად მეგულეებოდი,  
აღარა დაგდიე რა, და მაშინ მისთვის არ გიჩივლე. მეორე ესე, რომ  
ავად გავხდი და თოთხმეტი თვე ავად ვიყავ. მერე მოციქული მა-  
მიგზავნე: ჩემი მოსისხლე ხარ და მერიდე; არც შეგრიგებია და  
არც მიბატეებია: ახლა რომ ჩემის ყმობილამ ამ იერალას მიჰ-  
ყავხარ, მე ამ ჩემს სარჩელს სამართალს ასე მოვახსენებ და ნება  
სამართლისა არისო.

ჩვენ [v] რომ ესენი ვალაპარაკეთ და დიმიტრი შესწამებდა:

1 დაბანჩას.

თოფი შეცეცხული მე გულში მამიშვირე, მკლევდიო და ეს გოგია აშოროს არის — შენ კი არ გკლევდი, კანბეჩს ვკლევდიო, ამისი ასე ვანვაჩინეთ:


ექვსი უმტერ-უმოყვრო კაცი დიმიტრიმ შეუგდოს გოგიას. ექვსიღამ ორი იზოვნოს; წადგეს იმ ორის შეგდებულის კაცით, ასე შეფიცოს: «ამისმა მადლმა, თქვას დიმიტრი, თოფი შენ არ მოგიშვირე, კანბეჩს მიუშვირე». ეს თუ ასე შეჰფიცა, დიმიტრი თოფისას ვერას შეუვა. და თუ ვერ შეფიცა, პირველი გადიდებულის აზნაურშვილის სისხლი უნდა მისცეს. თუ ზემოხსენებულისებრივ ფიცა ვერას შეუვა.

ზემოთ რომ დამბაჩის<sup>1</sup> გაკვრას [რ]ომ [ჩიოდა], თათონ გოგიამ აღიარა სამართალში: რომ გამლახა, მართალია, დამბაჩას ხელი გავიკარო. რადგან იმისთანა უღირსმა უსამართლოდ ასე გამოიმეტა, დამბაჩას ხელი გაიკრა, თუ სამართალს განწესებრივ დამბაჩის გაკვრაზედაც სამართალი მიგვეცა, სიღრმევაში ჩავიდოდა. და მარამ ეს ასე შემოკლებით გავაჩინეთ: იმ კადნიერის ქვევისათვის და იარაღის ისე ხმარებისათვის თავისი ხელის სისხლი მისცეს, [123] რომ იქნება თავისი ხელის სისხლი  $\sigma$  (რვა) თუმან[ი] — ნახევარი ნაღდი, ნახევარი ჯინსი.

რომელიც ამის მოასილი ხართ ეს ასე აღასრულებთ. ივნისის იგ, ქორონიკონს უპა. 

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
|  |  |  |  |
|--|--|--|--|

ფიცი ედვა, ველარ უფიცავს და თავისი თავი წერილით ყმად მიუცია ზემო გაჩენილს სისხლში, რომელსაც ხელწერილი ვნახეთ.



### 353. ბანინება ზაზა და ღავით ამირაჯიბთა ხმის საკმეხა

1798 წ. 4 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10541. დედანი. ქაღალდი. 31×19 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მისის უმაღლესობის ბძანებით ამირაჯიბი ზაზა, მინბაში დავით დამხეკაბუკ სამართალში ვალაპარაკეთ — ბასანაძე ზურაბზედ დაობდნენ.

<sup>1</sup> დაბანჩის.

დავით ასე ჩიოდა: ამ ზურაბის მამული მე, დავითს, მერგო და ეს კაციც ჩემს ნარგებს მამულზედ დავასახლე.

ზაზა მიუგებდა: იმ ზურაბის მამული არც შენ გრგებია და არც იმისის მამულის ბარათი გაქვსო; იმის უმალღესობას რომ მოეხსენებოდა, თიღვის შოვნაზედ მრავალი ჭირნახული მქონდა, ეს კაცი და ამისი მამულიც გაუყოფელი რომ იყო, მოვახსენე და ამ ოქმით ასე მიბოძაო.

დავითმა მიუგო: მაგ ოქმის დასაყენებელი სხვა ოქმი მაქვსო. შემდგომად თავისაგან აღებულის ოქმისა ზაზამ სხვა მერე ოქმი მოიტანა: იმ ჭირნახულისათვის ზურაბ ამ ზაზასთვის გვიბოძებიაო.

ჩვენ, მსაჯულთ, იმის უმალღესობას მოვახსენეთ, ამ კაცზე ასე ჩივიან, ოქმიცა აქვსთ ორთავ. იმისმა უმალღესობამ ბძანა, რომელსაც შემდგომი ოქმი აქვს, იმას მიეცითო.

ზაზას შემდგომი აქვს, რომ იმის უმალღესობას ამ ზაზასთვის უბოძებია, რადგან დიდი ჭირნახული აქვს და თეთრიც დაუხარჯავს, იმ ჭირნახულისათვის და ამ თეთრის ხარჯისთვის ის ორი კაცი მისცემია, აღარ მოეშლება.

მაგრამ დავით რომ ჩივის — იმ კაცის მამული მე მერგო ბარათითაო და კაციც ჩემს ნარგებს მამულზედ დავასახლეო, თუ დავითმა ბარათი მოიტანა, რომ იმ ზურაბის მამული დავითს რგებია, ზაზა საჭირნახულოდ ველარ აიღებს დავითის წილს.

და თუ დავით ბარათს ვერ მოიტანს და წილში არ რგებია და საერთო ყოფილა და საერთოდამ მის უმალღესობას იმ დიდის ჭირნახულისთვის უბოძებია, ახლა სამართალი ველარ მოუშლის.

და რადგან ის კაცი მამულით ზაზას დარჩება, თიღვის შოვნაზედ რომ თუმანი დაუხარჯავს, იმ დანახარჯს დავითს და მზეჭაბუკს ველარას ედავება. იულისს დ, ქორონიკონს უბა.

ხუთი ბეჭედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.

2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად. ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად ქაიხოსრო.

3. მღივანბეგი.

4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მღივანი მეფისა სოლომონ.

5. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ემოკალასაშუ მყო მღივანბეგი თემურაზ.

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა და სხვათა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ივლისის 8, ქორონიკონს უპა.

ბეჰელი: მე ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

**354. განჩინება ზურაბ ფარცელაძის შვიკა ჭურთ-რამაზას საქმეზე**

1793 წ. 20 აგვისტო

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 35. საბ. № 185. პირი. ქალაღი. მხედრული.

[128v] ქურთ-რამაზა უჩიოდა ფურცელაძე ზურაბს: მე შენი ყმა არა ვარო, სვეტისცხოვლის ყმა ვარო, თრიალელი კნონელიო.

ამაზე ზურაბ ეპასუხებოდა: შენ მკვიდრი ჯავახი ხარო და ეს სამოცდაათი წელიწადი არისო, რომე მომსვლიხარო; და თუ სვეტისცხოველის ყმა იყო, აქამდინ თავი რატომ დაიმაღეთ და არა სთქვიო, მე სვეტისცხოვლის ყმას რას ვაქნევდიო; და თუ სწორეთ გამოაცხადებ რომ სვეტისცხოვლის ყმა ხარო, ღმერთმა შენი თავი მშვიდობაში მოახმაროსო.

ჩვენ ქურთ-რამაზას ვკითხეთ: შენ რომ კნონელობას ამბობ, ან რომელი კნონელი ხარო და ან რა გვარი ხარო?

ამან თქვა: მე არც კნოლეს სახლობა მახსოვსო<sup>1</sup> და არც ჩემი გვარი ვიციო. [129] მამაჩემი რომ მომკვდარა, ორის წლისა დავრჩომილვარო, დედაჩემი ჯავახეთს გათხოვებულაო და იქ გერათ გავყოლივარო, იქ ერთს ქურთს გაუხდივარო და ქურთ-რამაზას მეძახიანო; და დედაჩემმა მითხრა: შვილო, შენ სვეტისცხოვლის ყმა ხარო თრიალეთის კნონელიო; მე სხვა არა ვიცი რაო.

ჩვენ უთხარით: აქამდინ რატომ დაიმაღე თავიო. და ეს პასუხი მოგვიგო: ხელდაფარებული ვიყავო და არას ვამბობდიო; და ახლა ჯაბრი მიყოლო და იმიტომ გამოვიჩინე თავიო.

რამდენსაც ვეცადენით, ერთი ასეთი საბუთი ვერა მოიტანა რა, რომ სამართლის კელისმოსაკიდებელი ყოფილიყო. და ეს სამართალი გაუჩინეთ: ოცდაათი დღე მულათი მივეცათ. თუ ამ ოცდაათს დღეზე ასეთი მოწმეები [იშოვნა] ორი და სამი, რომ იმათ ჭეშმარიტებით იცოდნენ, მამის ამისას ცნობაცა ჰქონდესთ და კნოლეს მემკვიდრეობაც იცოდნენ თითონ თავიანთ ნახვით და ცნო-

<sup>1</sup> მახსავსო.



ბით; და მოსამართლის გულსაც დააჭერებენ, რომ ეს ქურთ-რამაზა სვეტისცხოვლისაა<sup>1</sup>, ფურცელაძეს საქმე აღარა ექნება რა.

და თუ თითონ არ ეცოდინებათ და გაგონილს მოწმობენ, გაგონილის მოწმობაზე სამართალი არ გარდასწყდება. მაშინ უნდა წარდგეს ეს ქურთ-რამაზა, თავისი შვილები თან მიიყოლიოს, ორი მოწამე ფურცელაძემ შეუგდოს, უმტერ-უმოყვრო; ორში ერთი თითონ ის შეგდებული იშოვნოს, ვინც უნდოდეს, ერთი თითონ მიიყოლიოს, წადგეს თავისის შვილებით და ორის მოწმით და ასე იფიცოს: «ამისმა მადლმა და განმაცხოვებელმა ღმერთმა, რომ მე მკვიდრი თრიალეთის კნოლელი სვეტისცხოვლის ყმა ვარო».

თუ ასე იფიცა, ფურცელაძეს საქმე აღარა ექნება რა; და დარჩება სვეტისცხოველსა. და თუ ვერ იფიცა და ჭავახი ყოფილა, ფურცელაძეს მოსვლია, ამდენი ხანი ამის ყმათა მდგარა და ველარავინ [v] ედავება, დარჩება ფურცელაძეს.

ეს საქმე ამ ქურთ-რამაზამ ამ ოცდაათს დღეზე უნდა გადაწყვიტოს. თუ ამ ოცდაათს დღეზე ან მოწმით არ გადაწყვიტა და ან ფიცითა, მასუკან ფურცელაძესთან საქმე აღარავის ექნება.

ი ა ს ა უ ლ ო მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ს ო ლ ო მ ო ნ, ეს ასე გა[ა]რიგე. აგვისტოს კ, ქორონიკონს უპა.

მე, მათის უწმინდესობის მი ლ ა ხ ვ ა რ ი ს ო ლ ო მ ო ნ, ჩემის ხელმწიფის შვილის ი უ ლ ო ნ ი ს ბრძანებით ამ ფურცელაძესა და ქურთ-რამაზას იასაული ვიყავ და როგორც ეს განაჩენი აცხადებს ფიცსა და მოწამეს, ვერც იშოვნა მოწამე და ვერც იფიცა. ოცდაათი დღე ვადა იყო და ამ ვადას გარდა შეიდი თვე სხვა გავიდა, ვერც მოწამე იშოვნა და ვერც იფიცა, დარჩა ფურცელაძეს. მარტის გ, [ქორონიკონს უპბ].

### 355. განჩინება გლახა ფალავანდიშვილის შმის ლუარსაზ ნაგლახის საჩხეზე

1708 წ. 13 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 14. საბ. № 139. პირი. ქალღღი. მხედრული.

[172v] ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი მ ზ ე კ ა ბ უ კ ი ს შვილი გ ლ ა ხ ა ჩიოდა: მისმა უმაღლესობამ მეფემ ჩემის განაყოფს გი-  
ჰ

<sup>1</sup> სვეტისცხოვლისაა] სვეტის ცხოველს და.

ორგის ბეითალმანი მამული მიბობაო და ნაგლაძე ლუარსაბ თავს არ მიდებსო: და წყალობის წიგნიც ხელთა ჰქონდა.

ნაგლაძე ლუარსაბ სამართალში მოვყვანივით და ვალაპარაკეთ. მდივანბეგი მეთოდიც ამ სამართალში დავისწარით.

ნაგლაძე ლუარსაბ მიუგებდა: მართალია, გიორგის მამული მოგცაო, მაგრამ ჩემი თავი არ უბოძებიაო.

ჩვენ წიგნი მოვთხოვეთ. იმან წიგნი მოიტანა კურთხეულის მანილის ჩვენისა — ბატონის შვილის ელისაბედის აგან ნაბოძები, ოდიშს უბოძებია: მისმა უმაღლესობამ ჩვენმა ძმამ მეფემ ირაკლიმ შენი თავი ჩვენ მზითევში გამოგვატანაო და ასე განგვითავისუფლებიხარო, [173] რომ შენთან არას კაცს საქმე არა აქვსო; და ბოლოს დაურთავს — შენის ყმითა და მამულით განგვითავისუფლებიხარო; და ეს წიგნი ამ იანვარში, ქორონიკონს უპა — ამდენში მის უმაღლესობას მეფესაც დაუმტკიცებია, ჩვენ ამ წიგნს ვამტკიცებთო.

ჩვენ ამან ექვში შეგვიყვანა. მაგრამ მასუკან კიდევ ამავე გლახა ფალავანდიშვილმა ერთი ოქმი მოიტანა მისის უმაღლესობის მეფისა აპრილის დაწერილი, ქორონიკონს უპა — ამდენში, რომ სწორეთ ამ ნაგლაძისათვის უჩივლიათ არზითა და იმ არზაზე მის უმაღლესობას მეფეს ოქმი მოუწერია: ნაგლაძე გიორგი! ფალავანდიშვილის მამული ამ გლახასა და ამისის ძმებისათვის გვიბოძებიაო; შენ თუ მაგ შენს მამულზე დგომა გინდაო, ამ გლახას უნდა ეყმობო; და თუ შენის მამულიდამ ასდგებიო, ყმა და მამული ამათი იქნებაო. და თუ სიტყვა რამ გქონდეს მოგვახსენეო.

და ეს ოქმი რომ მოუტანია გლახას ნაგლაძისათვის უთქვამს: თუ სიტყვა რამ გაქვსო, წადი და იმის უმაღლესობას მეფეს მოახსენებელი რა მაქვსო; წიგნი დაუწერია და მოუცია: ღმრთისაც შემცოდე ვიყო და კელმწიფისაცაო; თუ კიდევ მე შენ გიჩივლოო: თავადიშვილები მოწმათ დაუწერია და [V] მღვდლისათვის დაუწერიანებია და თითონ კელი მოუწერია, მე ამისი ყაბული მაქვსო.

და ამეების ძალით და მდივანბეგის მეთოდის თანდასწრებით ეს სამართალი განვაჩინეთ: რადგანც ოქმიც გლახა ფალავანდიშვილისა უფრო ახალი იყო და თითონაც წიგნი მოეცა და კელი მოეწერა — მე შენ აღარც გიჩივლო და აღარც გედაოო, ამ ლუარსაბ ნაგლაძის ყმა და მამული დარჩა ფალავანდიშვილს გლახასა და ამის ძმებსა.

ხ ი დ ი რ ბ ე გ ი შ ვ ი ლ ი ი ო ა ნ ე! მიდი და ამ ნაგლადის ყმა-  
სა და მამულზე კელი ამართე და ფალავანდისშვილს გლახას და  
იმის ძმებს მოაბარე.

და ნაგლადე ლუარსაბ ბატონის ბრძანებით თავისუფალი არის:  
წავიდეს, მის უმაღლესობას მეფეს მოახსენოს; და ნება მისის უმაღ-  
ლესობისა არის; ვისთანაც უნდოდეს, იმასთან მივიდეს და იმას  
ეყმოს.

ენკენისთვის იგ, ქორონიკონს უკა.



### 356. ბანჩინება ფურცელაქეთა და გიკაშვილთა სასისხლო საქმეზე

1798 წ. 14 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 918. დედანი. ქალაქი. 42,7×16,7 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ჩიშნად ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ფურცელაქე გოგია და ზურაბ ჩოდნენ: ჩვენი  
ძმა სოლომონ მიფარელმა გიკაშვილმა თოთრიმ,  
კოშკელმა გაგლოანთ ლაპინაშვილმა ბაბათას ძმამ  
ბარომ, კოშკელმა გაგლოანთ დედისშვილმა<sup>1</sup> და როველმა  
ჯე [ი]რანაშვილმა ბილიმ — ამ ოთხთ ჩვენის სოფლიდამ  
მოიტაცეს, წაიყვანეს დაჭერილი და ოთხი თვე კოშკას დაჭე-  
რილი ჰყვანდათო; მასუკან რას ყოფით და რას მწუხარებით დავი-  
ხსენო. ესენი სულ გიკაშვილმა თოთრიმ მიყო, რომ ჩემი სახლიც  
კარგად იცოდნენო და კარიცაო, თორემ კოშკელი კაცი და როვე-  
ლი ვერას მომტაცებდაო. თუ ეს არ მოსძლოლოდა და ამას არ გა-  
ვეციო. ამის სამართალს ვითხოვო.

ეს გიკაშვილი თოთრი სამართალში მოჰყვა და დანაშაული  
თავს დაიდვა. მართალია, ურევივარო, მაგრამ გამცემობა კი არ მიქ-  
ნიაო და ჩემს წილათ რასაც დამადებთ და შემომხვდებაო, მივცემო.

თუმცა მისის უმაღლესობის მეფის ბრძანება ასე არის, რომ:  
რომელმაც ოსმა ქურდობა ჰქმნასო, საქონლის მოპარვა, კაცის  
კვლა, თუ ტყვის გასყიდვაო, ოცნი ამნაგნი რომ იყენენ და იმ ოცი-  
დამ ერთი ჩავიგდოთ ხელშიო, სულ იმან უნდა ზღოსო.

აგრეთვე ეს ფურცელაქეები თავის სისხლს მთლად ამ გიკა-  
შვილს სთხოვდა, რადგანც უფრო ახლო იყო.

<sup>1</sup> დატოვებულია ადგილი სახელის ჩასაწერად.

მაგრამ რადგანც ეს გიჰკაშვილი თოთრი დაუჭერლად და კელ-  
ში ჩაუგდებლად სამართალში მოჰყვა, მთლად ამას აღარ დავადე-  
ვით. ეს ფურცელადის სისხლი რაც არის, ოთხთავ უნდა გადი-  
ხადონ.

ფურცელადე საქართველოს პირველი აზნაურშვილი არის და  
ამის მთელი სისხლი ასოთხმოცდათორმეტი თუმანი არის; და და-  
ჭერისა ნახევარი სისხლი არის. და ამ სოლომონის დაჭერის სისხლი  
ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი არის  $\text{ფვ}$  — ამდენი. ამის გარდა საქსრათ  
რომ ოცდასამი კარი გამოუარმევიათ, ესეც ერთი ზუთ მინალთუ-  
ნად ჩავადევით, რომ შეიქნებჰ თერთმეტთუმან ნახევარი  $\text{ნა ჰ}$  — ამ-  
დენი. ამ ორისავ ჯამი არის ერთად ასშვიდი თუმანი და ნახევარი  
 $\text{რა ჰ}$  — ამდენი.

ეს ასშვიდი თუმანი და ნახევარი ოთხთავ ამხანაგებმა ფურცე-  
ლადეს უნდა მოსცენ, რომ შეიქნება ამ თითოს. ამხანაგის მოსაცემი  
 $\text{ქვ ჯღნკ}$  — ამდენი; ეს ოცდაექვსი თუმანი, რვა მინალთუნი, თუთხმე-  
ტი შაური და ერთი ბისტი გიჰკაშვილმა თოთრიმ უნდა მოსცეს.  
ფურცელადესა; ამდენი ლაპინაშვილმა ბაბათას ძმამ ბარომა; ამდე-  
ნივე როველმა ჯერანაშვილმა ბილიმა.

ეს ასე გავარიგეთ და გადავსწყვიტეთ მდივანბეგის მეთოდის.  
თანდასწრებითა.

ენკენისთვის იდ, ქორონიკონს უპა.

ამ გიჰკაშვილს თოთრის სამართალში ესეც თავს დაედვა, რომ  
ის სამი ამხანაგი რომ არიან ამისი, ისინიც უნდა სამართალში მოა-  
ყოლოს და იმათაც გადაუხადონ.

და თუ ისინი არ მოჰყვენენ. და თავისი მოსაცემი არ გადაუხა-  
დეს, ფურცელადეები თავის სისხლზე კელს არ იღებენ და მთლად  
ამ გიჰკაშვილებს დაედებათ.

სამი ბეჭედი:

1. ტომ-სქესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ი რაკლისაგან..
2. მ ე თ ო დ ი
3. ი ო ა ნ ე

1798 წ. 17 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 76. პირი. ქალაღი. მხედრული.

[61v] მისს უგანათლებულესობას ბატონს მამას ჩვენს ჩვენთვის ებძანა, რომე: რევაზ რატიშვილი რომ ბოქაულთხუცეს ზურაბს მამულზედ ედაებაო, [62] შენ გაარიგეო. ჩვენ ბოქაულთხუცესი მოვაყვანიინეთ და ვალაპარაკეთ.

მამულზედ ბოქაულთხუცესი მიუგებდა: შენის სახლისკაცისაგან აქვს ნასყიდო მთავარეპისკოპოსსაო ბიბილაშვილიო თავისის მამულითაო. წიგნიც მოვითხოვეთ და მოიტანა ბოქაულთხუცესმა. ამ რევაზს ბოქაულთხუცესთან საქმე არა აქვს რა, ბეჟანს უნდა ედაოს. ბეჟანაც მოვაყვანიინეთ და ვალაპარაკეთ.

ბეჟანმა მიუგო: ბიბილაშვილი არც შენი ყოფილაო, არც წილი გიძესო.

რევაზმა უთხრა, რომე: ნახევარი ჩემიაო, მაგრამაო მძლავრობით გამიყიდეთო; მამაჩემი ჰარში დაიკარგაო, მე პატარა დავრჩიო, რა გამოვიზარდე, სულ ვდაობო და შენც თასი აიღეო ქრთამშიაო; და ბოქაულთხუცესს ხელმეორედ დაუბეჭდეო.

ბოქაულთხუცესიც ანბობდა: მართალია, სულ მუდამ მედავებოდიო.

მერე ჩვენ რევაზს უთხარით, აბა რას საბუთით ედავებო ამდენი ხნის ნასყიდობა[ა]ო.

რევაზმა თავეთი გაყრილობის ბარათი მოიტანა და ასე აცხადებდა, რომე: გიორგი ბიბილაშვილი თავისის მამულით რევაზს წილობას ერგოო.

და ამ განაყარის ბარათი რომ გავშინჯეთ, თუ ბეჟანმა ამ განაყარის ბარათის წინააღმდეგი წიგნი მოიტანა და ან სარწმუნო მოწმე[ე]ბი, და ან გული აჯერა, რევაზს საქმე არ ექნება. და თუ ვერცერთი ვერ მოიტანა, ამისი სამაგიერო და ან ისევ ის მამული უნდა [v] უკან დაიხსნას და ამ რევაზს მოსცეს.

ჩვენ ასე გავვირიგებია და ნება მათი უგანათლებულესობისა[ა].

სეკდემბრის იჲ, ქორონიკონს უპა.



358. ბანჩინება ერეკლე შალავეანდოშვილისა და ტრანკაშვილის  
გამულის საქმეზე

1798 წ. 10 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 31. საბ. № 43. პირი. ქალაღი. მხედრული.

[20] მისის უმაღლესობის ბრძანებით ჩვენ, მსაჯულთ, ერის-  
თვის შვილი შანშე და ერეკლე ფალავანდოშვი-  
ლი ვალაპარაკეთ და თავ-თავისი სადაოს განაჩენი ცალ-ცალკე მი-  
ვეციტ. მარა ერეკლეს რომ მაისურაძის ვენახი და მიწა მიუ-  
ყიღია შანშე ერისთვისათვის, იმისი ფასი მთლად [v] არ მომცემიარ,  
ერეკლე ასე ჩიოდა.

ერისთვის შვილებმა მიუგეს: ის ვენახი ტრანკაშვილს  
მაშინვე მივეციტო და რაც ფასი გაკლია, ტრანკაშვილმა უნდა მოგ-  
ცესო.

ახლა ჩვენ ეს სამართალი მივეციტო: რისაც ფასი დაჰპირებთან  
ამ ერეკლეს და რაც დაჰკლებიათ და არ მიუციტო, იქიღამ აქამდენ  
უნდა თუმანი ორშაურობით მოსცეს ტრანკაშვილმა ამ ერეკლეს.  
და თუ ანგარიშით საბუთსა იქს ტრანკაშვილი, [რომე] ამ ერეკლეს  
მთლად მიბარებოდეს ფასი, ახლა ვერას შეუუვა. და თუ ფასი აკ-  
ლია, თავნი სარგებლით უნდა ტრანკაშვილმა მისცეს ამ ერეკლეს.

თულაშვილო დათუავ! ეს ასე აღასრულე. დეკემბრის  
ი, ქორონიკონს უპა.

|              |                |  |
|--------------|----------------|--|
| ნიკო-<br>ლოზ | მღივან<br>ბეგი |  |
|--------------|----------------|--|

359. ბანჩინება ისია ამირალაშვილის ყმის გოქიაშვილის საქმეზე

1798 წ. 28 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 30. საბ. № 100. პირი. ქალაღი. მხედრული.

[68] მისის უმაღლესობის ბრძანებით მათს უწმინდესობას  
ჩუენ, საქართველოს მსაჯულთმეკრებილნი ვახლდით.

გოქიაშვილი ბეუან და პეტრე ასე ჩიოდნენ: პაპა-  
ჩენი იმერეთიღამ რომ მოსულა, ამირალაშვილს მიჰკედლებია; ის  
ამირალაშვილი ამოწყვეტილა, მერე პაპაჩენი მათს უწმინდესობას  
ყმობია, შეწირულობის წიგნიც უბოძებია, რომ დღეს [v] ხელთ მი-  
ქირავს, სამართალი მაღირსეთ.

ამირალაშვილი ისია მიუგებდა: თითონ ხომ შენვე  
ამბობ, ამირალანთ ყმანი ვიყავითო, ის ამირალაშვილი ამოწყდა და

სვეტცხოველს ვეყმენითო. ამირალაშვილის ბეითალმალი დედოფლისა იქნებოდა და შენ თავად როგორ ეყმობოდი ეკლესიასაო. რომლისაც მკვიდრი ყმა იყავ, ამ სიგლით მამა-პაპა შენი მამაჩემს მოჰყიდეს და სამოცი წელიწადი ყმურად მსახურებ, მაგრამ ეს წიგნი რომ დაფარულად აიღე და ერთი ჩარევი სანთელი და საკმე-ლი რომ დაიდე, რატომ არ მსახურე ეკლესიას და დავთრის მწერალ-ნი რომ მოვიდნენ და მამაშენს კითხევდნენ: ვისი ყმა ხარო, რათ დაიწერებოდა ჩემს ყმად ან პაპაშენი და ან მამაშენი; ახლა ასე ტყუილად მედავებო.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს, ჩვენ ეს სამართალი მივეცით:

რადგან თითონვე ამ ბეჟანის მამას უთქომს ამირალაშვილის ყმა ვიყავო, ამოწყდა, ახლა ისევ თქვენ გეყმობიო; რადგან ამირალაშვილის ყმა იყო და ამოწყვეტილის კაცის ბეითალმალი იყო, ხომ ბატონის დედოფლის ყმა იქნებოდა და [69] თავისთავს როგორ შესწირავდა. ამ ნათლად აღმოჩენილის საბუთით თავის შეწირულების წიგნი რომ აუღია, ის დაირღვა.

მეორე, ეს: თუ მოპარვით არ აიღო ის წიგნი, აქამდინ რატომ არ გამოაჩინა, რომელშიაც რომ სწერია ჩვენს სახასოს ყმათან გემს[სახურეო, რატომ ამ სამოცს წელიწადში ერთხელ არ მსახურ-ნა?

მესამე, ეს: დავთრის მწერალნი რომ მივიდნენ და კითხეს, ვის ყმად დაგწეროთ, ან ამისმა პაპამან, მამამ როგორ ერთხელ არ თქვეს, ეკლესიის ყმანი ვართ, ეკლესიის ყმად დაგწერეთ.

მეოთხე, ეს: თუ კი დაფარულად არ აიღო ეს წიგნი, რომ უწერია წელიწადში ამას მსახურებდე, რატომ არ მსახურა და არ ამოქმედა ის წიგნი. მაგრამ არც ყოფილა ეკლესიისა და არ უმსახურია ამ სამოცს წელიწადში. ამ ძლიერის საბუთით ეს ბეჟან და პეტრე ამირალაშვილს ისიას დარჩა ყმად.

ბოქოულთხუცესო იოანე! ეს ასე აღასრულე. დეკემბერს

კმ, ქორონიკონს უპა. 

|  |  |
|--|--|
|  |  |
|--|--|

თავში:

ჩვენ, სრულიად საქართველოს დედოფალი ბატონის დანიანის ასული პატრონი დარეჯან, მსაჯულთა მიერ განსჯილს ამ სამართალს ვამტკიცებთ. იანვრის ი, ქორონიკონს უპა. 

|  |
|--|
|  |
|--|

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი მეფის ირაკლის ძე ანტონი, მსაჯულთ [v] განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. იანვრის ე, ქორონიკონს უპა.

კათალიკოზი.

1798 წ. 30 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2367. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობის ოქმით ჩუენ, მ ე ფ ი ს ძ ე მ ა ნ ვ ა ხ ტ ა ნ გ, საქართველოს მსაჯულთშეკრებულების თანდასწრებით მათის უწმინდესობის მოხელენი და ც ი ც ი ა ნ ი ჩვენს სამართალში ვალაპარაკეთ, რომელნიც სამს კალამს ტ უ რ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ზ ე დ დაობდნენ.

სვეტისცხოვლის მოხელეთ მოიტანეს დავთარი, რომელშიაც ტ უ რ ი ა შ ვ ი ლ ი ი ვ ა ნ ე და მ ა მ უ კ ა ეკლესიის ყმათ ეწერენ.

ციციის შვილებმა ც თავეთის ყმების დავთარი წარმოაყენეს, რომელშიც ტურიაშვილი თავეთ ყმათ ეწერათ. მაგრამ ციციშვილებს თავეთივე სახლისკაცნი ამტყუნებდნენ: ჩუენი სამკვიდრო ყმანი არ არიან ტურიაშვილები, ჩუენთან სიზნათ მდგარან და გაყრაშიაც ვთქვით, რომ ეკლესი[ი]ს ყმანი არიან და წილში ნუ ჩაეადებთო.

და ამას გარდა კიდევ სვეტისცხოვლის მოხელეთ მოწამე წარბოაყენეს მათის უმაღლესობისაგან დიდად პატივეცემული სალაროს ნაზირი ა ბ ა შ ი ძ ე ქ ა ი ხ ო ს რ ო, რომელმაც დიდის ფიცით იმოწმა: მე ქ ა რ ე ლ შ ი ვიყავ, რომ ეს სადაო კაცნი ბატონის ოქმით და ტურიაშვილობით ეკლესიის ყმად აჰყარეს ქარელიდამაო.

მაგრამ ჩუენ, მოსამართლეთ, უფრო იჰვის განწმენდისათვის ფიცი განვაჩინეთ. თუ უნდოდესთ, ციციის შვილებმა ექუსი მოფიცარი, რომელიც სვეტისცხოველის მოხელეთ შეუგდონ, იმით უნდა დაიფიცონ, რომ: რომელიც ციციანთ დავთარში ტურიაშვილი უწეჩიათ, ესენი იმათ ჩამომავლობისა იყუნენ და სვეტიცხოვლის ყმანი არ იყუნენ.

და თუ ენებოსთ, სადაო კაცნი თავდათავ დააფიცონ, რომ სვეტისცხოვლის ყმანი, რომელიც სვეტისცხოვლის დავთარში ტურიაშვილი სწერია, იმათის ჩამომავლობისა იყუნენ.

თუ ციციანთ ექუსის შეგდებულის მოფიცრით შეჰფიცეს, ციციანთ დარჩებათ. და თუ ფიცი ამ სადაო კაცთ მოუგდეს და ამათ ზემოწერილისამებრ დაიფიცეს, დარჩება სვეტისცხოველს.



თარხნიშვილო ხუთასისთაო დიმიტრი! როგორც ეს განჩინება აცხადებს, ისე უნდა აღასრულო.

აღიწერა წელსა ჩღუგ, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა უპა.

|                           |                                   |                 |               |
|---------------------------|-----------------------------------|-----------------|---------------|
| ლომად<br>.....<br>ვახტანგ | ლთად<br>კაცად<br>.....<br>ნიკოლოზ | მღივან-<br>ბუგი | ქაი-<br>ხოსრო |
|---------------------------|-----------------------------------|-----------------|---------------|

თავში:

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველომსა და სხუათა მეფე ირაკლი მეორე, ამ განჩინებას ვამტკიცებ. დეკემბრის ლ, ქორონი-

კონს უპა. 

|                           |
|---------------------------|
| მე ფხთ<br>.....<br>ერეკლე |
|---------------------------|

ქ. მის უმაღლესობის ბრძანებით იასაულათ ვიყავ ამ განაჩენის საქმეზე. ციციანთ ფიცი შეუფდეს სამ კომლს ტურისშივილებს, დაიფიცეს, დარჩა სვეტსცხოველს.

მე, ხუთასისთავი დიმიტრი თარხნიშვილი. იანვრის იმ, ქორონიკონს უპა.

ხელრთვა: დიმიტრი

### 361. განჩინება გოგია და ფირალა ფირალაშვილების გაყრის საქმეზე

1798 წ.

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 978. დედანი. 29,3X20 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარაა წერტილი.

ქ. ღმრთით ბატონის ჩვენის იოვანეს ბრძანებით დავსხედით ტერ-მარქარაშვილი, ტერ-მელქისეთა წვერიანასშვილი ზურაბა, ზალინა, ბეგლარაშვილი გოძია ასე, რომ ფირალაშვილები გაყვარეთ.

ერგო ფირალას და გოგიას ერთ წილათ ვენახი ნიანბის რუს ქვეით, წვერიანანთ გვერდზედ დავითაზედ მეტი ნახევარს ქვეით რვა ადლი და ნახევარი ნახევარ ზეით ოთხი ადლი და ნახევარი განდაგან.

ქ. კიდევ ერგო მარანი სოფლისაყენ ნახევარი ორი ქვევრი კიდევ ზეითი მარნის ქვევრები.

ქ. ამას გარდა მისაქციელში ერგოთ იქით ჯორაშვილის მიწის მიდგამდინ, აქეთ დავითას სამანამდინ.

ქ. ამას გარდა ხ ა ნ დ ა კ ს ერგო ნაფუძარი სოფლისაკენ აქეთ დავითას სამნამდინ, ამას აძე რუს შუა.

ქ. კიდევ ერგო საყდარს ქვეით იქით დავითას სამძღვრამდ[ინ], გზა ფირალამ და გოგიამ უნდა დააგდონ.

ქ. კიდევ ერგო სახლკარი საზენაქროთ გზამდინ, საქვენაქროთ დავითას სამნამდინ, თავს დავითას მარნამდინ, ბოლოს ეზოს საწყალე სარკმლამდინ.

ქ. თავს კიდევ ერგო დავითას სამან[ს] ზეით ნასახლარები საქვენაქროთ გზამდინ, საზენაქროთ მარნის მიდგამდინ, თავს კალო თავს ქარვასლამდინ. ქორონიკონს უპა.

ბეჭედი: მონა ღთისა, ძე თარხნისა იო ა ნ ე.

**362.** არზა ხაზარა შენიაშვილისა ხელის თათგაზე არაქლე II-ის განჩინებით

1704 წ. 18 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7026. დედანი. ქალაღი. 21,7x10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის კირი შუა ფხოელს ყ ე ნ ი ა ს შ ვ ი ლ ს ხ ა ზ ა რ ა ს მოსცეს.

ან დ ა რ ო ზ ა ს ა გ ა ნ ჩემს მამა-პაპას ხმალი უყიღია. ახლა იმის ქალი მ ა ხ ი ა წამამედავა. ჩემს მამა-პაპას იმაში სრული ფასა მიუცია. ღმერთსა ვფიცავ თქვენს კელმწიფობასა, რომ ჩემი მამა-პაპა ჩემს ხელში დაიხოცენ, რომ არ ეთქვე[ა]ს ჩემთვისა, რომ იმი-სი ერთი შაური ჩვენზე დარჩომილიყოს. ჩვენი სოფელი აქ გახ-ლავსთ. თუ ერთ მოწამეს წამოაყენებს, რომ დარჩომილიყოს რამე, ერთიორად მიმაცემინეთ. ფ უ ჩ უ რ ა ც აქ გახლავთ და ამასაც კითხეთ; ღმერთი გაგიმარჯვებს, იანვრის ივ, ქორონიკონს უპა.

[განჩინება]

ქ. ჩვენი ბრძანება არის. მერმე ამისი სამართალი ჩვენ ასე ვანგვისჯია: ანდაროზას ქალი მახია რომ ამ ყენიაშვილს ხაზარას ხლმის ფასს ედავება, თუ მახია ასეთს მოსთაბარს მოწამეთ ეშოვნის ორსა და სამსა ა ხ მ ე ტ ა შ ი ა თუ ფშავის ხევშია, რომ მოწამეთ

თქვე[ან] სწორეთ, ამ ხლმის ფასი ემართოს, მაშინ ამ ყენიაშვილმან ხლმის ფასი უნდა მისცეს.

და თუ ვერ იშოვნა, მახია — ანდაროზას ქალი ვერას შეუვა. სამართლით ასე გარდაგვიწყვეტია. იანვრის კჳ, ქორონიკონს უბზ.

თუ ქისტაურში იშოვნის მოწმეს ან სხვა სოფლებში, რომ იმათა თქონ, რომ ხლმის ფასი ამაზედ დარჩომილი იყოს, უნდა რომ მისცეს, რაც დარჩომილა. და თუ ამგვარ მოწამეს ვერ იშოვნის, ამას ვერას გამოართმევს. ჰალბათ.

თუ ან წიგნი ექნება ან მოსთაბარი მოწამე ეყოლება, მაშინ ამას სიტყვა არ ექნება. უნდა რაც დარჩომილა ხლმის ფასი, უნდა მისცეს.

ბეპელი: ქნარს მიცემს, დავით მიემობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

წიგნი

363.

განჩინება მრეკლე II-ისა წირჩველთა, გავიდაშრთა და ჯიშვიტაშვილთა გავშლის საქმეზე

1704 წ. 81 იანვარი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 28. საბ. № 232. პირა. ქალაღი. მხედრულ.

[180v] ფშაველნი წირჩველნი! უჩიოდნენ ვაკეს გაბიდაურთა და ჯიშვიტაშვილებსა. ესენი ჩვენს სამართალში მოვიდნენ და ილაპარაკეს. ამათი საჩივარი მოვისმინეთ. რადგან ეს მამული უშუაანის ვაკე დღევანდლამდის გაბიდაურთა და ჯიშვიტანთ სჭერიათ და შიგ მდგარან, სამართლით ფიცი ამათ დავადევით.

ამათ ასე უნდა დაიფიცონ: თავეთის ხატის დღეობას ეს გაბიდაურნი და ჯიშვიტანი უნდა მივიდნენ, თავეთის ხატის დროშა უნდა აიღონ და ფიცით თავეთის მამულს უნდა შემოუარონ და დაიფიცონ, რაც მამული ეფიცებოდესთ; რადგან თავეთის ხატის დროშით ასე შემოუვლიან და დაიფიცვენ, დარჩებათ ეს მამული გაბიდაურთა და ჯიშვიტაშვილებსა სამართლით; წიხოელთ ამათთან ამ მამულში სადავო და სალაპარაკო აღარა ექნებათ რა. თუ ეს გაბიდაურნი [181] და ჯიშვიტანი ასე ვერ დაიფიცვენ, რასაც მამულს დაობენ, ისევ წირჩველთ დარჩებათ.

ამ ფიცში ფშაველთ უფროსნი კაცნი უნდა დაესწრნენ, ჩვენის მოძმის დროშა უნდა მოიტანონ და რაც მამული დაიფიცონ და შემოუარონ ფიცით ამ გაბიდაურთა და ჯიშვიტანთა, მიჯნები ამ უფროს ფშაველთ კაცთ უნდა ჩაყარონ ჩვენის მოძმის დროშის თანდევ-

1 ქირჩიელნი.

ნებით; და ამ დროშის წინ ასეთა ჯურუმი და პირობა უნდა დადგან  
ორისავე მხრითვე: რომელიც მხარე ამ სამართლის გადაწყვეტას უკან  
მიზეზს მისცემს ერთმანეთსა და ამ სამართალსა და ერთმანერთის  
პირობის დადებას არ იყაბულებს, ჩვენი ჯურუმი ათ-ათი ჯორი  
გამოერთმევათ, რომელნიც დამნაშავენი იქნებიან.

იასაულო მოურავი შვილო გიორგი! თქვენ ეს ფშა-  
ველთ უფროსნი კაცნი უნდა ერთათ შემოჰყაროთ ამ გაბიდაურთა  
და ჯიმშიტანთ ხატის დღეობას, მიხვიდეთ და სამართალი ასე უნდა  
გარდააწყვეტინოთ [v], როგორც ზემორე დაგვიწერია.

იანვრის ლა, ქორონიკონს უპბ. 

|        |
|--------|
| ერეკლე |
| ....   |

რადგან ამ ფიცში მოწამენი არ შეგვიგდია, ხატის თასი გაბი-  
დაურმა აიღოს და ჯიმშიტაშვილმან დროშა აიღოს და ისე დაიფი-  
ცონ, ორთავ ერთად დაიფიცონ: და სხვანი გაბიდაურნი და ჯიმში-  
ტანი ერთიანათ უკან მიყვენენ. 

|        |
|--------|
| ....   |
| ერეკლე |

ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფისძე გიორგი, ამ  
ბატონის მამის ჩვენის ბრძანებას ვამტკიცებთ. მაისს გ, ქორონიკონს

უპბ. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

ჩვენ, თიანეთის მოურავის შვილი დიმიტრი, ღმერთს ვფი-  
ცავ და თქვენ მზესა, როგორც ეს განაჩენი აცხადებდა, ისე ოთხთ  
ჯიმშიტასშვილებმა აიღეს<sup>1</sup> თავიანთ ხატის დროშა, სამი თასი და  
თქვენის მოძმის დროშაც თან მიაყოლეს, თუშის უფროსიც იქ განლ-  
დათ, ას სამოცი<sup>2</sup> გაბიდაური თან მოწმად მღიყლიეს, თავის  
მამულს შემოუარეს, თქვენის ბრძანებით მიჯნა ჩაუყარეთ. ახლა  
ნება თქვენი სიმაღლისა [182] აღსრულდეს. თიბათვის კჳ, ქორონი-

კონს უპბ. 

|         |
|---------|
| ნაზირი  |
| დიმიტრი |

ჩვენ, ხიმშიაშვილი გოგი[ა], ღმერთსა ვფიცავთ და  
თქვენ მზესა, როგორც თქვენი განაჩენი აცხადებდა, ისრე ოთხმა  
ჯიმშიტაშვილებმა თავიანთ ხატის დროშა აიღეს, სამი თასი; ისრე  
შემოუარეს, დაიფიცეს, თქვენი მოძმის დროშა თან მი[ი]ყოლიეს,  
ას სამოცი გაბიდაური მოწმად თემის უფროსები. თიბათვის კჳ,  
ქორონიკონს უპბ]. †

<sup>1</sup> აიხეს. <sup>2</sup> რაგაოცი.

364. არზა რუსიაშვილებისა მამულის თაობაზე მღივანებოთა  
განჩინებით

1704 წ. 8 მარტი

ცსსა. ფ. 1448. სპ. № 1810. დედანი. ქაღალდი. 21,8×11 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მომცეს რუსია-  
შვილს გიორგის, ტურას და იოსებს.

ბატონს მღივანბეგებს იმას მოვასხენებთ, რამდენიმე თაობა  
არის, რომ აქ ჩვენ ზემოთ ერთი ცოტა რამ მამული არის ჭაგაიანი,  
ჩვენი იყო და ჩვენ გვეჭირა.

ახლა ეს სამი წელიწადი არის, რომ მათიკაშვილმა  
მღდელმა და იმისმა ძმამ ივანემ წაგვართო. მთელი ყვარე-  
ლი მყავს ამისი მოწამე, რომ ჩვენს მამასა და პაპას სკერია და  
არცავენ ზდავებია. ერთხელ ჩვენი მდივანბეგი ვარჯან  
მოვიდა აქა და იმის სამართლით წამართო. ასე რომ ჩვენ ფიცი და-  
გვადო.

ღმერთი გაგიმარჯვებთ, ჩვენ ფიცს ასე ვერიდებით, რომ ჩვენს  
აგებულს სახლებზედაც, რომ ფიცი გავვიწესოთ, ესეც არ შეგვიძ-  
ლიან. რაში გვეჭირება ფიცი. მთელი ყვარელის ხალხი ამის მოწამე  
არის, რომ ჩვენი ყოფილა. ამის სამართალი მაღირსეთ. მარტის 8,  
ქორონიკონს უპბ.

[განჩინება]

ქ. რუსიაშვილი გიორგი, ტურა და იოსებ ამ არზით მათიკა-  
შვილს ტეტოს შვილებს რომ უჩივის, ამისი ვითარება ყვა-  
რელთ უფროს კაცთა ვკითხეთ და ფიცით გვარწმუნეს: ეს ჭაგაიანი  
მიწა ამ ას წელიწად წინა და აქეთ ამ რუსიანთი იყო და ეჭირათო  
და არც არავინ სდავებიათო; რაც ახლა ვარჯან მღივანბეგმა არ გა-  
მაქართო.

ვარჯან მდივანბეგს ფიცი რომ დაუდგია, ეს უჭერო  
საქმე არის, ამიტომ. რომ როდესაცა მოწამე და მახსოვარი არ იქ-  
ნება, მოსამართლე ფიცს მაშინ განუჩინეს; და რადგან მახსოვარი  
არაიან, რომ ამ ას წელიწადში ამ რუსიანთ სკერიათ და არც არავის

უდავნიათ. ან ფიცი როგორ გაუჩნდებოდა და [ან მამული რათ წაერთმეოდა [არც წაერთმევა სამართლით. ამათ მამა-პაპასა და წინათვე პაპის მამებსაც სჭერიათ. და ჩვენის სამართლით ეს ჯაგის ბიწა არ გამოერთმევა, ისევ რუსიაშვილებს უნდა დანებდეს. მარტის 8, ქორონიკონს უპბ.

ორი ბეკელი:

1. ბ ე უ ა ნ

2. მდივანი ლაშქარნივისი იო ა ნ ე

თავში:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი და [ა] ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი მ ე ფ ი ს ი რ ა კ ლ ი ს ბ ე ანტონი, ამ მსაჯულთაგან განჩინებასა ამას ვამტკიცებ. მაისის დ, ქორონიკონს უპბ.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

### 365. ბანდინება ჩარქაიშვილების ყმა-მამულის საჩხევა

1794 წ. 17 მარტი

ცნსა. ფ. 1450. დავთ. № 32. საბ. № 48. პირი. ქალაღი. მხედრული.

[36] მათის უმადლესობის ბრძანებით ჩვენ, მსაჯულთ, ჩ ე რ-ქ ე ზ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი ო ა ნ ე ს ი და ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს დედისა და ავთანდილის ობლების სამართალი ასე გარდავსწყვიტეთ: როგორც მათის უმადლესობის განაჩენი აცხადებდა, ავთანდილის ობლებს — სამს ქალს მზითევად ოთხმოცდაათი თუმანი უნდა მისცემოდათ, ნახევარი ნალდი და ნახევარი ჭინში.

ერთის ქალის ოცდაათი თუმანი მისცემიათ და ორის ქალისათვის სამოცი თუმანი სულ თეთრი ახლა მივაცემანეთ<sup>1</sup>. ვინემდის გათხოვდებოდენ, ეს სამოცი თუმანი თეთრი მისცენ და იმის სარგებლით იცხოვრონ; და ამას გარდა ორი ურემი პური და ორი ურემი ღვინო და ხუთი თუმანი თეთრი [v] ყოველს წელიწადს ჩერქეზის-შვილმა იოანემ ავთანდილის დედას და იმის ქალებს უკლებრად უნდა აძლიონ.

და როდესაც ქალები დათხოვდნენ, მერე ერთი ურემი პური, ერთი ურემი ღვინო და ხუთი თუმანი თეთრი ავთანდილას დედას ყოველს წელიწადს უკლებრად უნდა მისცენ. და ავთანდილის ყმა

<sup>1</sup> მივაცემინათ.

და მამული სრულებით ახლავ იოანე ჩერქეზისშვილს, ჯ ა ნ ა ს ლ ა ნ ის შვილებს და პ ა პ უ ა ს შვილებს მოაბარე.

და ავთანდილის დედას თავისი მოახლი[ს] შვილები რომ სხვისთვის მიუცია, როგორც მათის სიმაღლის განაჩენი აცხადებს, იმ თ ო რ ო ზ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს მამულთან გასაცემად ავთანდილის დედას საქმე არა აქვს; რომელსაც მამულზედ თორიზას შვილები დგანან, ის მამულიც ამ ჩერქეზისშვილებს იოანეს და ჯანასლანის შვილებს და პაპუას შვილებს უნდა მოჰბარდეს.

იასაულო ნაზირო ი ო ს ე ბ! ეს სამოცი თუმანი თეთრი ახლავ ავთანდილის დედას მოაბარე და ავთანდილის წილი ყმა და მამული სრულებით ჩერქეზისშვილს იოანეს, ჯანასლანის შვილებს და პაპუას შვილებს მოაბარე. მარტის იჟ, ქორონიკონს უპბ.



თავში:

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა კახეთისა და სხვათა მ ე ფ ე ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ამ განაჩენს ვამტკიცებთ.

იასაულო ნაზირო იოსებ, როგორც ამ განაჩენში სწერია, სამოცი თუმანი თეთრი ახლავ ავთანდილას დედას და ავთანდილის ქალებს მიაბარე და ავთანდილის წილი ყმა და მამული ჩერქეზისშვილს იოვანეს, ჯანასლანის შვილებს და პაპუას შვილებს მოაბარე.

მარტის იჟ, ქორონიკონს უპბ.



როგორათაც ამ განაჩენში ეწერა და იმის სიმაღლისაგან დამტკიცებული იყო, ამ ავთანდილის წილი ყმა და მამული ჩერქეზისშვილს ნინიას მივაბარე მე, ნაზირმა. მარტის კვ, ქორონიკონს უპბ.

ნაზირი  
იოსებ

**366.** განჩინება მანგლელისა და პაპრიელ. მანგლელის შმის საქმეზე

1701 წ. I აპრილი

ცსა. ფ. 1449. საბ. № 1911. პირი. ქალაქი. მხედრული.

ქ. მის უმაღლესობას ებძანა მრჩობლთა სამსაჯულოსა მსაჯულთ-  
შეკრებილთათვის: მანგლელი ა ტ ი ფ ო ს (?) მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ს  
გ ა ბ რ ი ე ლ ს გლეხებზე რომ უჩივის, ალაპარაკეთ და სამართალი  
მიეცითო. ორნიც მოდავენი მოვაყვანიეთ, ვალაპარაკეთ.

მანგლელი ასე ჩიოდა: ეამთა ვითარებისაგან მანგლისის ეკლესიის უმა ფიცხისელი მამის ხარაშვილი ამ აბრამის მამას აქა-იქ უვლია. ბოლოს ეამს ამ გაბრიელის მამას მოჰკედლებია. ამ აბრამს მამა რომ მოჰკდომია, ეს ობოლი და უპატრონო ყოფილა. ამ გაბრიელს თავის ყმად დაუსახლებია და არ გვანებებს. სამართალს ვითხოვო.

გაბრიელმა მიუგო: ეს ოქრიაშვილი ჩემს ბარათში ნარგებიცა, მამამისიც ყმურად მსახურებდა, და ესეც ჩემი ყმა არის. და ამ ბარათით და სიგელით რომ მრგებია ოქრია, ეს აბრამ იმისი შვილი არის და ჩემი ყმაო. თუ შენის ეკლესიის ყმა არის, ამდენს ხანს შენმა მოადგილემ ერთხელ რატომ არ მიჩივლაო. იმათაც ხომ ჰქონდათ ეგ გუჯრებიო?

მანგლელმა მიუგო: ამდენი მეფენი ამ გუჯრებით ასე სწირვენ ამის მამა-პაპათ და ეს აბრამი იმათი შვილიშვილი არის და ამდენს ხანს ნაქურდლად გჰყრიაო. პირველად სვიმონ მეფეს შეუწირავს და მეორედ მეფეს გიორგის აქ ეს კაცი და მამული და ჩაჰყვება ფიცხისელს მამის ხარაშვილი.

ჩვენ ეს სადავო აბრამი მოვაყვანინეთ, საშინელის ფიცით ვკითხეთ და ვამხილეთ: თუ მართალს არ გვეტყვი, ის წმინდა ეკლესია ასე შეგრისხავს, რაც ამ მამის შენისაგან იცოდუ ან დედის შენისაგან, ყველა ჰეშმარიტებით წამე.

ამის მეტად კვლავ მითქომს მანგლელის ყმობა, ჩვენთან საშინელის ფუცით ფუცა: მამაჩემი მანგლელის ყმა იყო. მამა რომ მოშიკვდა, ობოლი დავრჩი. ეს გაბრიელ ყმად წამომედავა. დედაჩემმა იწყინა, ჩამოვიდა, ბატონს მოახსენა, ოქმი გვიბოძა. დედაჩემი ამის სადაოში დაიკარგა. მე პატარა დავრჩი და უპატრონყმურად მიმსახურებდა. მაგრამ მე რომ ვიცოდი მანგლისის ეკლესიის ყმობა, ყოველთვის ვეტყოდი: გაბრიელ, ნუ მეჭიდები ყმად, მე ეკლესიის ყმარ ვარ; მაგრამ თავი არ დამანება.

გაბრიელს ვკითხეთ: ამას კვლავ უთქომს ეკლესიის ყმობა.

გაბრიელმა თქვა: მართალია, დედა ამისი გზაზე დაიკარგა და ესეც უთქომს: მე ეკლესიის ყმა ვარო; მაგრამ მეც ასე მითქომს: სწორედ მითხარ, ან ჩემს მამულს რათ ეჭიდები ან ჩემს ყმას მამულისა და საქონელის წილს რათა სთხოვ. ამას რომ ამისი უარი არა უთქომს რა, მეც მრავალი ჭირნახული დამიცს, რადგან ჩემს ყმად შეგულუბოდაო.

ამ გუჯრების ნახვით, ამათის ჩივილის მოსმენით ეს მამის-



ხარაშვილი აბრამ აღმოჩნდა ფიცხისელათ და მანგლისის ეკლესიის ყმად.

და გაბრიელ რომ ჩივის დიდი ჭირნახული დამიკსო, ამდენს ხანს რომ ყმურად უმასახურნია და ეკლესიას სამსახური დაჰკლავია, ის იკმაროს; ჭირნახულისას სხვას ვეღარას შეუვა.

ბატონო ყორიასაულბაშო სა [ა] მ ის შ ვ ი ლ ო ზ ა ა ლ! ეს ასე აღასრულებინე. აპრილს ა, ქორონიკონს უპბ.

|        |
|--------|
| მეთოლი |
|--------|

|                              |
|------------------------------|
| მეფემ<br>მყო...<br>ქ. იხოსრო |
|------------------------------|

### 367. განჩინება დავით ალექსიძის უნის მერაბ ჯაომვილის საქმეზე

.1794 წ. 17 მაისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 25. საბ. № 106. პირი. ქალაღი. მხედრული.

[114v] მის უწმინდესობას ჩვენ, მსაჯულნი, ვახლდით. ჯაომვილი მერაბ უჩიოდა ალექსიძეს მღვდელს დავითს და მის ძმას ზაალს: მე ჯაომვილი ვარო სვეტისცხოვლის ყმაო და გუჯარშიაც უწერივარო. ბატონმა შენმა დიმიტრიმ რომ შეიტყო ეკლესიის ყმა ვიყავ, ეს წერილი მომცა: შენ სვეტისცხოვლის ყმა ხარ, ალექსიძეს არ მიგცემო. ახლა ტყუილად მედავებო.

ალექსიძემ მიუგო: როცა შენ ეგ წიგნი მოგცა, მაშინ დიმიტრი ჩუენ გვიწყრებოდა და ამისთვის მოგცა ეგ წიგნები. თუკი ეკლესიისა იყავ, პირველს წიგნში რომ გიწერს: შენ, ჩუენს [113] მემკვიდრეს ყმას გიორგი[ს] შვილს ეს წყალობის წიგნი მოგეცი, რომ ჩუენს სახასოდ დაგიჭირეთ, ალექსიძეს აღარ მიგცეთო, თუ ჩუენი არ იყავ, რათა სწერს, აღარ მიგცემთო. და თუ ეკლესიისა იყავ, რათა სწერს — სახასოდ დაგიჭირეთო. გვიწყრებოდა, ხან მაგასა სწერდა, ხან — იმას, თორემ ჩუენი მკვიდრი ყმა ხარ წრომელ გიორგის შვილი, ორასი წელიწადია რომ ნარგები ხარო და ტყუილად შენს თავს მართმევო.

ამათ რომ ასე ილაპარაკეს და დიმიტრისაგან მიცემული წიგნი ენახეთ, ხან სწერს, რომ მკვიდრი ჩუენი ყმა ხარო, ხან სწერს — ჩუენი ყმა არა ხარ სვეტისცხოვლის ყმა ხარო. რადგან წართქმა და უკუთქმა აღმოჩნდა, ამის გამო ფიცი განვაჩინეთ: წადგეს ზაალ მღვდლის დავითის შვილი, შვილი ფრიდონ თან მიიყოლიოს და ორი აზნაური თან მიიყოლიოს; წადგეს ზაალ ძმისწულით და ორის აზნაურით და ასე ფუცოს: «ამის მადლმა, თქვას მერაბავ, შენ გი-

ორგის შვილიცა ხარ, წრომელიცა, ჩუენი მკვიდრი ყმაცა და გუ-  
ჯარშიაც რომ ჯაოშვილი სწერია, შენ ის არა ხარ».

ეს თუ ასე იფიცა, ზაალს მის ძმას და შვილს დარჩება მერაბ  
თავისის ძმებით. და თუ ვერ დაიფიცა ზემო მოხსენებულისაებრ  
მოწმებით [v] ზაალმა, სვეტიცხოველს დარჩება. ყმად მერაბ თა-  
ვისის ძმებით.

ბოქაულთხუცესო მაღალაშვილო იოანე და! ხ ი მ-  
შ ი ა შ ვ ი ლ ო ბ ე რ ო! [ეს ასე] აღასრულეთ. მაისს იჴ, ქორო-  
ნიკონს უპბ.

ზემორე რომ აზნაურით ფიცით სწერია, ამ გლეხმა მერა-  
ბამ თქვა: მე აზნაურებით არ დავიფიცებო, რომელთანაც გერად  
მიჰყოლია მამაჩემი, გიორგი[ს] შვილი რომ არისო, მარტო ის შე-  
მომფიცოს, რომ მე მაგისი ყმა ვიყო, ვჯერვარ და ვეყმობიო.

რადგან მერაბამ იმ გიორგა შვილის ფიცი იყაბულა და არა  
სხვისა, წადგეს ზაალ თავის ძმისწულით და რომელიც გლეხი მე-  
რაბ დაუნიშნა, იმ გლეხით ზემო მოხსენებულისაებრ თუ იფიცა,  
დარჩეს ალექსიძეს ეს გიორგა შვილი:

ამის სახლისკაცი და ორი უმტერ-უმოყრო აზნაურიც თან  
მიიყოლიოს და ზემო მოხსენებულისებრ ფუცოს. თუდა თავკმარი-  
ყო ამ ერთს გლეხზედ ფიცი სამართლით, მარა დამფიცებელმა და  
მოფიცარმ[ა] ორთავ იყაბულეს ასე ფიცი და მისთვის ასე მძიმედ  
დაიწერა ეს ფიცი, თორემ სამართალი ამდენის მოწმით არ დააფი-  
ცებდა და თავდათავ ფიცს აკმარებდა. რადგან ორთავ იყაბულეს,  
მისთვის ზემომოხსენებულისაებრ ფიცი მოწმით განვაჩინეთ.

მისის უწმინდესობის ბრძანებით [116] განაჩენი მეზობა მე,  
მაღალაშვილს ბოქაულთხუცესს იოანეს, რომ ეს  
ალექსიძე ზაალ და ამის ძმისწული რო[მ] ის აზნაურით და  
ერთის თავის გლეხით, რომელიც თავის ნებით მერაბამ მოინდომა,  
საფიცრათ რომ წადგნენ, წარმოდგა მერაბა და იმის ძმები და თავი  
დანაშაულზე დადგეს, დაფიცება ველარ შეიძღეს.

მროვლის სალთხუცეს[ი] იოსებ და ერთობით საციციანო  
აზნაურშვილები სულ ამ გარიგებაში დამსწრეთ არი[ან]. ამიმარ-

<sup>1</sup> † მეს ასე.

თავს ხელი<sup>1</sup> და ალექსიძისთვის<sup>2</sup> მიმიბარებია. დაიწერა სეკდემბერს კვ, შორონიკონს უპბ. ბეჭედი არ მქონდა, ეს ჩემი ხელია.

თავში:

ჩვენ, მეფე ყოვლისა საქართველოსა და სხვათა გიორგი, ამ მსაჯულთაგან განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. ნოენბრის კმ, ქორონიკონს უპმ.

### 368. ბანინება თეიმურაზ ჩხიძისა და ღვინთ მალრაჰის სამეფო

1704 წ. 21 მაისი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 14. საბ. № 63. პირი. ქალღღი. მხედრული.

[87] მათს უმალღესობას მეფეს ბატონს მამაჩვენს ჩვენ, მათის შვილის გიორგისათვის ამ ჩხეიძეების ბრძანებისაებრ ჩხეიძეთემურაზ და მალრაძე დავით სამართალში ვალაპარაკეთ და ამათი სარჩელი ყველა თითვეულად მოვისმინეთ.

და ამ მალრაძებს ამ საქმეზედ მათის უმალღესობის ოქმი და ჩვენი და მ[ვ]ლღევანბეგებისაგან მიცემული სამი რაგი სამართლის წერილები ჰქონია და გადაწყვეტილი ყოფილა მათი სარჩელი. მაგრამ ჩხეიძეებს ეს მალრაძე დავით სურამში დაუჭერიათ და პევრიც უციათ და ის წერილებიც წაურთმევიათ.

და ჩვენ ჩხეიძეს თეიმურაზს ის წართმეული სამართლის წერილები მოვსთხოვეთ და ბევრჯერ ამა ჰკრა, რომ აღარა მაქვსო; და ბოლოს ბევრის ცდით ერთი მღღევანბეგებისაგან მიცემული განაჩენი გამოვაჩენინეთ, რომ მათის უმალღესობისაგანაც დამტკიცებული არის. და ის სხვები კი აღარ გამოაჩინა.

და ამათი სარჩელი რომ გავსჩხრიკეთ, რიგიანი სამართალი იყო, ის პირველი განაჩენი და ჩვენც ამ წერილით ისევ ის მღღევანბეგებისაგან მიცემული სამართალი დავამტკიცეთ.

ბატონო აბაშიძე ევგენ! მათის უმალღესობის [88] ბრძანებით ამათი მოასილი შენ ხარ, და როგორც ის პირველი განაჩენი აცხადებს, ისე აღასრულე. აღიწერა მაისის კა, ქორონიკონს

უპბ.

1 + ამიბარტეს. 2 ალექსიძეობლ თვინ.

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე, ჩვენის შვილის გიორგისაგან განსჯილს სამართალსა ამას ვამტკიცებთ.

მაისის კვ, ქორონიკონს უპბ.



**369. განჩინება თომა აბულმეზრდისშვილის და იოსებ ცალქალმალიძის**

**განულის საქაწეზ**

1794 წ. 1 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10005. დედანი. ქაღალდი. 33,7×21,2 სმ.

მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. აბულმეზრდის შვილი მღუდელი თომა ჩიოდა: ხანდაკეს ჩემის მამა-პაპის ნასყიდი გრძელა მიწა დაუტყერია იოსებ ცალქალმალიძეს და არ მანებებს, სამართალი მაღირსეთო.

იოსებ მიუგებდა: შენმა სახლისკაცმა მოჰყიდა მამაჩემს ის მიწა, ნასყიდობის წიგნი მქონდა, ფარსადან მდივანბეგს მიუტანე, დაჰკარგოდა; ფარსადანმა ეს წერილი მომცა: შენი წიგნი მქონდა ნასყიდობისა, დავჰკარგეო. ეს წიგნი მიუტანე, ვაჩვენე შუაყაბთ. ეს განაჩენი მომცეს: ეს მიწა იოსების ნასყიდი ყოფილაო, უწინაც მე მიჰირავს, ახლაც მე მიჰირავსო.

თომამ მიუგო: მართალია, ორის დღისა იმ ჩემს სახლსაკაცს მოეყიდა, წიგნი მოეცა, მაგრამ ის წიგნი ისევ ჩვენვე დავიხსენითო. ფარსადანს რომ წერილი მიუცია, შენი წიგნი მქონდა დავჰკარგეო, იმ წიგნში კალამს ეთამაშა, ექვსის დღისა ეწერაო.

სამართალმა განიხილა რომ ექვსის დღისა მდივანბეგისაგან ჩაწერილი არ ყოფილა და შემდგომად ჩაწერილა. თუ სამართალს იოსებისაგან ჩაწერილად აღმოეჩინა, იმ ორის დღისაც წაერთმეოდა. მაგრამ სამართალმა ამ იოსებისაგან ჩაწერილად რომ ვერ განიხილა, მისთვის მაგიერი არ მიაგო. თომამ თქვა ორის დღისა უყო მისყიდულიო, მაგრამ ისევ დავიხსენითო. მისყიდვა ხომ თითონ თომამ თქვა, დახსნის წერილი კი არა ჰქონდა. ამისთვის იმ გრძელა მიწიდან ორის დღისა ზომით — იოსებს და სხვა — თომას.

მის უგანათლებულესობას რომ უბრძანებია ოქმით: დალა შეინახეთ, რომელსაც მიწა დარჩეს, დალაც იმას მიეცითო, ამ ოქმს

აქეთ რაც ღალა ამდგარა, ორი წილი თომას უნდა მიეცეს და მესამელი იოსებს.

ამილღაბარ ციცი სუვილო! ეს ასე აღასრულე. იუნისს ა, ქორონიკონს უპბ.

ოთხი ბეჭედი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვევედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო

2. მ ე თ ო დ ი

3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.

4. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ.

### 370. განჩინება პაპსა და ეგნატე თუმანიშვილავის გაყრის საქმეზე

1784 წ. 1 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14885. დღიანი. ქალღღი. 41×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. თუმანის სუვილი პაპსა და თავისი ძმისწული ეგნატე გაყრილიყენენ\*. და მას უკან რაც სალაპარაკო დარჩომოდათ, იმის გასარჩევლად თავიანთ ნებით მე, ყორღანაშვილი მილახვარი ოსეფა და მდივანი მანუჩარ, დაგვსხეს. და როგორც გავარიგეთ, იმისი განჩინება მივეციით, რომ ხელთ უჭირავსთ. და რომელიც იმ განჩინებაში საქანგარიშოთ იყო დაწერილი და ან მცირე რამ სალაპარაკო გასარჩევ-გასაყოფი იყო, ისინიც ახლა გაგვირიგებია და ამას ქვეით თვითეულად გამოგვიცხადებია. ამით ორ რიგათ მიცემულს ჩვენს განაჩენში როგორც სწერია, ისე უნდა ჰქნან.

ქ. სასახლის ადგილზე კოშკზე კიდევ ლაპარაკობდენ. ამისი, როგორც ჩვენს მიცემულს პირველს განაჩენში როგორც დაგვიწერია და გაგვირჩევია, ისე უნდა იქმნას.

ქ. ხარების საყდრის უბანში რომ სახლი აქვსთ, ის სახლი უწინვე ეგნატემ თავისი ნებით ოთხმოც თუმნად საშუალოდამ აიღო. ამისი ორმოცი თუმანი ხომ ეგნატესია და პაპუს თავისი წილი ორმოცი თუმანი ეგნატესაგან ასე უნდა მიეცეს: ოცი თუმანი დღესვე უნდა მისცეს და ოცი თუმანი ამ განჩინების რიცხვიდამ ორს წელიწადში უნდა მისცეს, წელიწადში ათ-ათი თუმანი უსარგებლოთ. და თუ ამ ვადას გადაქცილებს ეგნატე, მასუკან მიცემამდინ ეს ოცი

\* იხ. 1787 წ. 27 ნოემბრის განჩინება ამავე საქმეზე (აქვე, № 232).

თუმანი სარგებლით უნდა მისცეს. და პაპუას რაც სახლის გაკეთებაზე დაუხარჯავს, ის ოსტატს აჩვენონ და რასაც სამართლიანს ხარჯს ოსტატი იტყვის, ისიც ეგნატემ ღლესვე უნდა მისცეს. და პაპუამ სახლები ეგნატეს დააქნებოს.

ქ. ს უ ფ რ ა ჯ ი ა ნ თ უ ბ ა ნ შ ი რომ ქოხების ადგილი აქვსო, იმის გასაზომათ და დასაფასებლად ქეთხუდები და გალატოზი უნდა მი[ი]ყვანონ, გაქაზომინონ და და[ა]ფასებინონ. თუ უნდოდეს ზომით, თუ უნდოდეს დაფასებით გაიღონ. იმ ადგილისა ერთი წილი ეგნატეს უნდა მიეცეს და ორი წილი პაპუას. საშუალოდამ ერთი წილი მეტი საჭირნახულოთ ეძლევა.

ქ. საერთო კაცის ქალი ეგნატეს რომ მოახლეთ შეუყვანია, იმიხი ასე უნდა იქმნას:

თუ ეგნატეს უნდოდეს, ის მოახლე პაპუას მისცეს და იმის სამაგიეროთ ოთხი თუმანი თავის წილათ პაპუას გამოართოს. და თუ არა, რადგანაც მოახლე ეგნატესა ჰყავს, ისევე იმასვე ჰყვანდეს და იმის სამაგიეროთ ეგნატემ პაპუას თავის წილისათვის სამი თუმანი — ოც მისცეს. კახეთს ამ მოახლის ძმისწული და რძალი არის. იმისი გამოყვანა და მოყვანა როცა შეიძლონ, ორისავე საერთო იქნება და უნდა გაიყონ.

ქ. სალაპარაკო სახლის ავეჯულობისა და პირუტყვისა ასე უნდა იქმნას:

ამისი სამართალი პირველათ ჩვენს მიცემულს განაჩენშიაც სწერია და აქაც მოკლეთ მოვიხსენეთ. რაც პირუტყვი უწინ გაუყვიათ, იმაში ერთმანერთთან, არც იმ პირუტყვთან და არც იმის ნაშენთან და არც იმის ნაშენით ნასყიდთან საქმე არა აქვსო, და თავთავისი არის. და ასრეთვე სახლის ავეჯულობისა, რაც გაეყოთ, ხომ გაეყოთ და რაც დარჩომილიყო, ორივე მხარეს ცალ-ცალკე სია დაგვიწერია და თავისი სამართალი ზედვე მოგვიწერია და ისე უნდა იქმნას.

ეგნატე პაპუას ასე ელაპარაკებოდა: გასაყოფი პირუტყვიც დაგვიჩა და საერთო თერთიღამაც იყიდეთ და მუშაობის იარაღიც არისო, რომ მე წილი მაკლიაო. ამის პასუხებს პაპუაც აძლევდა. ამ რიგათ ერთმანერთს შესწამებდენ. მაგრამ ჩვენ მშვიდობისათვის ორისავე სალაპარაკო-სათხოვრისათვის ჩვენთვის ანგარიში დავიქირეთ, საჭირნახულო თუ სხვა ერთმანერთში გავიანგარ[ი]მეთ. ახლა პაპუამ ეგნატეს უნდა მისცეს ექვსთუმან-ნახევარი უსარგებლოთ.

ქ. ჩვენის განაჩენის წერილით, სამს კალამთ, თავის წილათ, ეგ-

ნატეს პაპუას მისაცემათ დაედო თავნი ცხრა თუმანი. ქორონიკონს უოზ, ამ წლის მკათათვის დამდექილამ ქორონიკონს უპბ, ამ წლის მაისის გასულს იქნება თვე ნთ. ამისი სარგებლის ჯამი იქნება 6 მრ (5 თუმ., 3 მინალთ. და 2 შაური). თავნი და სარგებელი იქნება თოთხმეტი თუმანი, სამი მინალთუნი და ორი შაური — იღ მრ ამდენი. აქედამ ეგნატეს წილათ ქოხების გირაოს ოეთრის მესამედის ორთუმანნახევრის სარგებელს ნთ თვისას 6 წლნ (1 თუმ., 4 მინალთ. და 15 შაური) ამდენს რომ გამოვიდეთ, ახლა ეგნატემ პაპუას უნდა მისცეს იგ ჭტნ — თორმეტი თუმანი, რვა მინალთუნი და შვიდი შაური.

ქ. იენგუანთ იგ თუმნისა (13 თუმ.) საჭირნახულო ეგნატემ პაპუას უნდა მისცეს 6 ფნ ერთი თუმანი და თერთმეტი შაური.

ჯრნ ქ. მუშრიბიანთ ი თუმნისა (10 თუმ.) საჭირნახულო ეგნატემ პაპუას უნდა მისცეს რვა მინალთუნი და სამი შაური.

6 ქ. იენგუანთ პაპასთვის ეგნატეს რომ ორი თუმანი გამოურთმევიან, ამისი ერთი თუმანი პაპუას უნდა მისცეს.

ქ. ჯამი ხუთის კალმისა, აქ გამოცხადებულისა, პაპუას მისაცემისა: თვრამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და ერთი შაური — იღ ქნ ამდენი. აქედამ ექვსთუმანნახევარი პაპუამ ეგნატეს უნდა მისცეს, რომ ამავე განჩინებაში მოხსენებული არის. იმას რომ გამოვიდეთ, ახლა ეგნატემ პაპუას უნდა მისცეს თორმეტი თუმანი, ორი მინალთუნი და ერთი შაური — იგ ცნ ამდენი. ეს ახლავ ან თეთრი უნდა მისცეს და ან თამასუქი.

ამათი საჩივრების საქმე ასე გარდასწყდა. ერთმანერთთან სადაო აღარა აქვსთ რა. თიბათვის ა, ქორონიკონს უპბ.

ქ. რაც საოჯანო წიგნებია, თუ მამულისა თუ სახელოსი და თუ ბარათი, იმისი ასე უნდა იქმნას:

რომელიც მამულები და გლეხი გაუყვიათ, ვის რომელიც რგებია გლეხი და მამული, იმისი ბარათი და წიგნი თავ-თავისთვის უნდა ჰქონდესთ. და რომელიც ასეთი წიგნია, რომ საერთო და საოჯანო არის, ან მამულისა, ან სახელოსი და ან საერთო მამულისა, იმისა გაყოფა ხომ არ იქნება. ის წიგნები პაპუას უნდა ჰქონდეს და იმ წიგნების პირი ნუხსათ უნდა გარდმოიღოს და ზედ პაპუამ ხელი მოაწეროს, რომ ეს წიგნები მე მაქვს, და როცა საჭირო და სახმარი

ეყოს, გამოვიტანო. და ის ხელმოწერილი ნუხსა ეგნატეს უნდა მისცეს, რომ იმას ჰქონდეს.

ესენი ერთმანერთთან ასე გაეაშველეთ, რომ სალაპარაკო და საღაო აღარა აქვსთ რა.

ქ. ამ სამართლის ყაბული მაქვს მე, თუ მანის შვილს პაპუას. ეს ჩემი შვილი იოსების ხელი არის და ჩემი ბეჭედი. ბეჭედი: მონა ღთისა პაპოა.

კიდევ:

ქ. ამ სამართლის ყაბული მაქვს მე, თუ მანის შვილს მდივანს ეგნატეს, ეს ჩემი კელია და ბეჭედი. ბეჭედი: ... ეგნატი.

ეს თორმეტი თუმანი და ორი მინალთუნიც მომბარდა მე — იოსებ თუმანის შვილს მდივანის ეგნატისაგან. მკათათვის ია, ქორო-

ნიკონს უბგ.

იოსებ

ბეჭედი: განაწო მოსე ფარაონისადა მილახვარი იოსებ ხელთვა: მანუჩარ

ქ. ამ განჩინებით სახლების ორმოცი თუმანი რომ სწერია, მომბარდა მე, იოსებს. ეს ჩემი ხელი და ბეჭედი არის. იანვრის ია,

ქორონიკონს უბგ.

იოსებ

ქ. და ამ სახლებზედ დანახარჯი თორმეტი მინალთუნიც მომბარდა.

იოსებ

### 371. განჩინება ავათახავის შიის ავალაშვილის საქმეზე

1794 წ. 4 აგვისტო

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1959. პირ. ქალაღი. მხედრული.

ქ. მის უმაღლესობას ებძანა: ქამალაშვილი რომ უჩივის ქვაბთახევის არქიმანდრიტს ანტონის, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო. ბრძანებულისაებრ ვალაპარაკეთ.

ქამალაშვილი ასე ჩიოდა: ჩვენ გორელნი სახასონი ცყოფილვართ. გორელს გოგიჯანაშვილს მივჰკედლებივართ, გოგიჯანაშვილს ყმათ დაუჭირავართ. შანაოზ მეფეს მოხსენებია, ეს ოქმი უბოძებია: ქამალაშვილები ჩვენი ყმანი არია-

<sup>1</sup> +სახ.



ნო; მაშინვე სახასოდ გამოვსულვართ. მერმე მე ფეს ბაქარს უნახავს ეს შანაოზის ოქმი. ბაქარსაც ეს ოქმი უბოძებია: ჩვენი სახასონი ყოფილხართ, ისევ ჩვენ ყმად უნდა იყუნეთო. ყამთა ცვალებით გორი დამ ავყრილვართ, ქსანზე ახალგორს დასახლებულვართ. ახლა ეს მედავება, სამართალი მაღირსეთო.

არქიმანდრიტმა ანტონიმ მიუგო: პირველად ჩვენს ყმას<sup>1</sup> გოგიჯანაშვილს რაც მამული და ყმა ჰყოლია, ყველა ჩამოურთმევია, მაშინ თქვენც ჩამოგართო და ეგ ოქმი მოგცათ. მერე მეფე ბაქარს ეგ ოქმი რომ ენახა, მაგ ოქმის პირზედ ბაქარსაც ეგ ოქმი თქვენთვის ებოძა. ჩემს მოადგილეს არქიმანდრიტს რომ შე[ე]ტყო ბაქარისაგან ოქმი[ს] მოცემა, მოეხსენებინა: ეკლესი[ი]ს ყმა არისო. მაშინ ეგ ოქმი ამ მიზეზით მიუცია მეფეს შანაოზს. მეფეს ბაქარს რომ შე[ე]ტყო თქვენი ჩვენის ეკლესი[ი]ს ყმობა, მაგ შენის ოქმების დასაყენებელი ეს ოქმი უბოძებია. და ამ ოქმით ისევ ეკლესი[ი]სათვის დაუნებებინარ.

შენი ახალგორს ყოფა რომ შევიტყე, ბატონის შვილს გიორგის მოვახსენე. ბატონის შვილმა თავის ძეს იოანეს უბძანა მე და შენი სამართალი. ბატონის შვილმა იოანემ გვალაპარაკა. ეს განაჩენი მომცა: ეს ქამალაშვილი ქვაბთახევის ეკლესი[ი]სა არისო. ახლა მეორედ მიჩივენება სამართლისა არისო.

ამათის ლაპარაკის მოსმენით და ამ წერილების აღმოკითხვით ეს ქამალაშვილები ქვაბთახევის ეკლესი[ი]ს ყმა არის. ამისთვის მეფე ბაქარ ოქმით ბრძანებს: გოგიჯანაშვილს მეფე შანაოზ გასწყრომოდაო, ყმა-მამული ჩამოერთმიაო. ისევ იმისთვის წყალობა ექმნაო, დღეს აქამდენ იმას ეჭირაო. ერთს იმის ყმას ქამალაშვილის წიგნი შერჩომოდა. ახლა ის წიგნი მოგვიტანა და იმის პირზედ ჩვენც წიგნი უბოძეთო. ახლა მოკითხული ვქმენით, რადგან იმისი მამული ქვაბთახევისა ყოფილიყო, ახლა ეს ქამალაშვილი ჩვენც ისევ წყალობა გვიქმნიაო.

თუმცა მეფის ბაქარის ოქმებს რიცხვები არ უჯდა, რომ იმ რიცხვებით პირველი და შემდგომი გაგვერჩია, მაგრამ ამ ოქმის აღმოკითხვამ გაგვარჩევინა, რომ არქიმანდრიტის მოტანილი ოქმი შემდგომია, რომელშიაც აცხადებს: შანაოზის წიგნი შერჩომ[ო]და ქამალაშვილსაო, მისთვის ჩვენც წერილი მივეცითო; ახლა მოკითხვით რომ ეკლესი[ი]სა ყოფილიყო, ისევ ეკლესი[ი]სათვის მიგვიციაო.

<sup>1</sup> ჩვენს ყმას] ჩვენის ყმის.

ამ ოქმის ძალით და ჩვენის სამართლით დარჩა ეს ქამალაშვილები ქვაბთახევის ეკლესიას. რომელიც ამის მოასილი ხარ, ეს ქამალაშვილები არქიმანდრიტს ანტონის მოაბარე. აგვისტოს დ, ქო-

რონიკონს უპბ. 

|                                |
|--------------------------------|
| მეფემ<br>მყო<br>...<br>ქინოსრო |
|--------------------------------|

|        |
|--------|
| მეთოდი |
|--------|

|                         |
|-------------------------|
| მღივან<br>ბეჯი<br>დავით |
|-------------------------|

კილეზე:

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. სეკდენბერს კე, ქორონიკონს უპბ.

|        |
|--------|
| ვიორგი |
|--------|

### 372. გაანჩინება ღიმიტრი ხიშვითაშვილისა და ბაჟან ამილახვრისხვილის

მამულის საკვიჟი

1704 წ. 8 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1683. დედანი. ქალაღი. 45,5X28 სმ. მხედრული. განკვეთილობას ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. მის უმადლესობას ებძანა: ხადაკუანთ კაკალას ვ[ა]-ჩისი ხიმშიაშვილი დიმიტრი უჩიოდა ამილახვრისშვილს ბეჟანს — ხადაკუანთ კაკალას ქვრივ-ობოლს აწუხებს დიდათ ს[ა]დმეო, რომ უნდა ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო. ორნივე მოდავენი მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ.

ვ[ა]რისი ასე ჩიოდა: დიღმის კართან სახასო ლელუკაშვილს დუქნები ჰქონებოდა. იმ სახასო ლელუკაშვილმა ორი დუქანი ჩვენ მოგვყიდა<sup>1</sup>; ოთხი დუქანი იმ ლელუკაშვილს ამ ამილახურიანთ ყმისათვის მიუყიდა ამათ ყმას; აბელაშვილმა სტეფანემ და როსტომ[მ]ა ჩვენ მოგვყიდეს<sup>2</sup>; ორი დუქანიც თავეთს ქალს მზითვად გაატანეს. იმ ქალებმაც ამ სიგლებით ჩვენ მოგვცეს. ის მამულები პირველადვე სახასო კაცისა იყო, გარეშე კაცს ეყიდა; დასჭირდა, ისევ სახასო კაცმა ვიყიდე. ახლა კვრივს ობოლს ბეჟან ძალით ართმევს, სამართალი მაღირსეთო.

ამილახვრისშვილმა ბეჟანმა მიუგო: ეგ ადგილები ჩვენის ყმისა ყოფილა, ჩვენგან წყალობად მიცემული. ჩვენ-

<sup>1</sup> მოყვედა. <sup>2</sup> მოყვედეს.

გან მიცემულს მამულს თუ სამართალი გააყიდვინებს, ნება სამართლისა არისო.

რადგან ბეჟანმა იჩივლა, იმ ჩვენს კაცს ჩვენგან მიცემული ჰქონდა ეგ მამულიო, ჩუენ კაკალას ვ[ა]რის[ს]ვე დიმიტრისა დუქნების ძველი სიგლები მოვთხოვეთ, რომ პირველათვე ის ადგილები სახასო კაცისა ყოფილიყოს, სახასო კაცს ამილახვარიანთ ყმისათვის მოეყიდოს, ნასყიდი ამილახვარიანთ ყმას გაეყიდოს.

კაკალას ვ[ა]რისი დიმიტრიმ მტკიცე სიგლები წარმოაყენა, რო-ველშიაც განცხადებული იყო: ეს ადგილები ლელუჯაშვილებისა იყო და ჩვენ თქვენ აბელაშვილებს მოგყიდეთო. ამ სიგელს მელიქი და ქეთხუდები ბეჟვდნენ. ამით აღმოჩნდა, რომ სახასო კაცისა ყოფილა და ამილახვარიანთ ყმას უყიდა.

მეორე სიგელი წარმოაყენა ამ ხიმშააშვილმა დიმიტრიმ: ეს ადგილი ჩვენი ნასყიდი იყო, დამჭირდა და შენ კაკალას მოგყიდეთ; ამ სიგელს მელიქი და ქეთხუდანი ემოწმებიან მტკიცეს სიგლით.

რადგან სამართალში აღმოჩნდა, რომ ის ადგილები სახასო კაცების ყოფილა, სახასო კაცისათვის მიუყიდა, ასე გასყიდულს მებატონე თავის გლესს ვერ დაუშლის გასყიდვას. დარჩა სამართლით დიღმის კარიდ[ა]მ მოკიდებული სიგლებით დუქნები, რომელიც მიჯნები უწერია, კაკალას ვ[ა]რისისა და ობლისა.

ბეჟან ასე უსამართლოთ ნულარ აწუხებს ამ ქვრივ-ობოლს, თორემ სამართალი უწყენს. რომელიც ამისი მოასილი ხარ, ეს ასე აღ[ა]სრულე. აგვისტოს 8, ქორონიკონს უპბ.

შვიდი ბეჟელი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. მეთოდი
3. მდივანბეგი დავით
4. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ
5. მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი ს უ ლ ხ ა ნ
6. ვის მონებასა ვეტრფე და ვეგი, ეშვიკალასბაშ მყო მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
7. არ ირჩევა

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა და სსუათა მეორე

ირაკლი ვამტყიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას. აგვის-  
ტოს კ, ქორონიკონს უპპ.

ბეპელო: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე

### 373. ბანძინება ბანძურაანთ შმის ჰიტმასა კოხტასშვილის საძმეჲ

1794 წ. 17 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 302. დედანი. ქალაღი. 33X21,3 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ბანცურის შვილს ანდუყაფარს და მის ძმის-  
წულს დავითს მის უგანათლებულესობას მეფის ძეს გი-  
ორგისთან ეჩივლა: ერთი ჩემი ყმა კოხტასშვილი ქი-  
ტესა ამეყარა და ჯანანში დასახლდა, ყმობით თავს აღარ  
ძიდებსო.

ამათი სამართალი ჩვენ — კახეთის მოსამართლე[ე]ბისათვის  
ებძანა. ორნივე ვალაპარაკეთ.

ანდუყაფარ ეპასუხებოდა: ოსმალობას წინად ჩამოსულნი  
ხართ, ჩემს მამულზედ მდგარხართ, სასხლავი, სახნავი გჳერიათ და  
ჯმურის რიგით და განწესებით გიმსახურიათო; რომლისამე მიზე-  
ზით შამოგვწყერ, ბედნიერს კელმწიფეს ჩემს მალვით არზა მიაჩ-  
თვიო და სხვის ყმობა მოახსენეო.

ზემოხსენებულმა ქიტესამ ერთი არზა წარმოაყენა ბედნიერ  
კელმწიფესთან მირთმეული, ესრეთ ეწერა: «ღმერთმან ბედნიერის  
კელმწიფის ჳირი მოსცეს შოშია დაზნელის ყმას ბეროს.  
ჳამაჩემი ოსმალობას ბანცურიანთას მისულა, იჳ მდგარა, ფათერაკი  
რამ გარდაჳკიდებია, ის საფათერაკო ბანცურიანთ მიუციათ და იმის  
გამოისად ნასყიდობით გვიჳერსო. თჳვენს სიმაღლეს მოვახსენე,  
აჳჳენ მდივანბეგებს უბძანეთ ჩვენი სამართალი. გვალაპარაკეს.  
ოთხი თუმანი ბანცურიანთ დანახარჯი დაგვადვეს, გამოგვართვეს  
და თავი დაგვანსნევინესო. ახლა მაყა გვადგას და ისევე გვეყრისო და  
ბანცურიანთ გვაძლევსო».

ამავ არზის პირზედ ოქმი აწერია: «მაყაშვილო მაყავ!  
ეს კაცი ამ არზით რომ ასე ჩივის, რადგან თავდახსნილი ყოფილა,  
ქელი აიღევ, ბანცურიანთ რაღა საქმე ექნებათო».

ჩვენ თავდახსნილობის წერილი მოვთხოვეთ და არა ჳქონდა.  
მეორე წერილი წარმოაყენა ამავ კოხტასშვილმა: «ესე წიგნი მოგე-

ციტ ჩვენ კოხტასშვილმა ქიტესამ და ძმამან ჩემმან გოგოამ თქვენ ბანცურის შვილს ანდუყაფარს, ძმისწულსა შენსა და ვითს, ასე, რომე ოსმალობას წინ ჩამოსულნი ვართ, მამა-პაპით შენი ყმანი ვყოფილვართ და ახლაც ისევ შენ გეყმევითო; არას კაცს ჩვენთან საბატონყმით თქვენს გარდა სხვას კაცს ჯელი არავისა აქვსო».

ამ წერილზედ მდივანბეგების<sup>1</sup> განაჩენი აწერია: არხიმანდრიტმა იოანემ იჩივლა, ეს კაცი თავდახსნილი არის და ეკლესიას დავით ბანცურის შვილმა მიართო და შესწირაო. ბანცურის შვილი დავით ფიცავს, არც შემიწირავს და თუ შევწირე, წერილს დავდებდიო.

ჩვენ შეწირულობის წიგნიც მოვთხოვეთ კოხტასშვილს, მარამ არც ეს წერილი გამოცხადდა.

პირველად ამაზე ტყუის — თავი დავიხსენო და თავდახსნილობის წიგნი არა ჰქონდა; მეორეს ამაზედ ტყუის — არზას აძლევს მეფეს, შოშია ღაზნელის ყმა ვარო და ბანცურიანთ წიგნს აძლევს — მამა-პაპით შენი ყმანი ვართო; და მესამეს ამასა ტყუის — დავითმა შემწირაო. დავით ფიცავს და არც შეწირულობის წიგნი ჩანს.

ამ სამის საქმითვე გამტყუნდა და ჩვენის სამართლით დარჩა ანდუყაფარს და ამის ძმისწულს დავითს კოხტასშვილი ქიტესა და გოგოა<sup>2</sup> ძმისწულებით.

ვინიცობა არის ამ ქიტესამ ან თავდახსნილობის წიგნი მოიტანა და ან ბანცურიანთაგან შეწირულობის წიგნი წარმოადგინა, ბანცურიანთ ამ ქიტესასთან საბატონყმით ჯელი აღარ ექნებათ.

ჩვენ ეს სამართალი მივეციით და ნება მისისა უგანათლებულესობისა არის.

ეუიკალასო ალექსანდრე! ასე გა[ა]რიგე. ოკდონბრის იჴ, ქორონიკონს უჴბ.

ბეჴელი: მდივანი ლაშქარნივისი იოანე.

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, ამ სამართალს ვამტკიცებთ. ოკდონბრის იჴ, ქორონიკონს უჴბ.

გიორგი

ქ. ჩვენ, ბატონის შვილი ბაგრატ, განჩინებას ამას ვამტკიცებთ. ოკდონბერს იჴ, ქორონიკონს უჴბ.

ააგრატ

<sup>1</sup> მდივანბეგების. <sup>2</sup> გოგოამ.

### 374. განიხილეთ პართენ მდივნის შვილის სისხლში საპნებსა

1704 წ. 20 ოქტომბერი

ცხსა. ფ. 1448. საბ. № 3133. დედანი. ქალაღი. 43X16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. პართენ მდივნის შვილს და კონდოლს მსახლობელთ ალავერდლისა, ჩოლ [აყა] შვილებისა და ენისელთ მოურავის ყმათ მამულზედ ჩხუბი გამორეოდათ, თოფები ესროლათ, პა [რ] თენ მდივნის შვილი და მაჭავარიანი ორნივე დაეხოცათ. მდივანი დავით და მდივანი სვიმონ ხიოდნენ და სამართალს ითხოვდნენ.

ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართველოსა მეფემან და სხუათა მეორემან ირაკლიმ, ეს სამართალი მივეცი: რადგანც ალავერდლისა, ჩოლაყაშვილებისა და ენისელთ მოურავის ყმათ ერთმანეთის თანხმობით მოეხდინათ შფოთი, ან მკვლელნი ზომელნიც არიან, ისინი უნდა სამართალს მოსცენ და ან თითონ ზრთობით უნდა სისხლი დაუტურგონ.

პართენ მდივნის შვილი მესამე თავადათ ჩავარდა. მესამე თავადის სისხლი სანატრელის მეფის ვახტანგის სამართლის წიგნით — კმ ამდენს რიცხვში — სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი არის გაჩენილი, რომ ეს სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი ალავერდლისა, ჩოლაყაშვილებისა და ენისელთ მოურავის ყმათ უნდა დაუტურგონ.

მაჭავარიანის სისხლი აქ მოხსენებული არ არის, იმისა სისხლი სხვა განაჩენით გაჩნდება. აღიწერა ოკდომბერს კ, ქორონიკონს უკბ.

ქ. იასაულო ეშიკაღასბაშის შვილო ალექსანდრე! ეს ასე აღასრულე.

ბეჰდი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

### 375. განიხილეთ ჯარშიკეთა შვის სირბილამის საპნებსა

1704 წ. 9 დეკემბერი

ცხსა. ფ. 1450. დავთ. № 53. საბ. № 138. პირი. ქალაღი. მხედრული.

[83] ქარუმიძე ფარსადან ჩიოდა: ერთი ჩემი მზითვის მოახლე ჩვენმა საერთო ნასყიდმა ყმამ სირბილამზე ბერმა გაქაწებილაო და ბუში აყოლაო. და რადგანც ასე მოხდაო, ავიყვანე და ის გოგო იმ სირბილამეს მივეცო. ჩემი ძმა ზა [ა] ლ ისევ ცოცხალი იყო. და როდესაც გავიყარენითო, იმ კაცზე ჩემს ძმას —

ზა[ა]ლს ხმა აღარა ამოუღიაო. და ეს ოცი წელიწადი არისო, რომ ის კაცი მე მყავსო და ჩემს კელში სამი შვილიც სხვა ეყოლაო.

ახლა ჩემი ძმა ბერი და ქარუმ რომ გამეყარნენო, ერთი უფროსი იყოო და ერთი უმცროსიო<sup>1</sup>. ამათ საუფროსოზედაც კელი ზიდესო, საუმცროსოზედაცო და ამ კაცის წილი მთხოვესო და ამისის მიზეზით იმ კაცში წილი დაუდევო. ეს რომ ჩემმა ძმისწულებმა ზაალის შვილებმა შეიტყვესო, ამათაც ლაპარაკი დაიწყესო და იმ სირბილაძეზე და იმის შვილებზე მედავებიანო.

ამაზე ზაალის ობლებმა და [ამ ფარსადანმა ბევრი ილაპარაკეს.

და რადგანც სამართალში ჩაცვიდნენ, ის სირბილაძე ბერი თავისის შვილებით საქმით დაუდევით: ოთხთავ ძმათ სასწოროდ უნდა გაიყონ და ამისი განაჩენი ზაალის შვილებს მივეციო, რომ კელთ უქირავსო. და ამ ქარუმიძე ფარსადანს თავის მუახლის პასუხი კი უნდა გასცენ.

ახლა ამ ფარსადანამ თავის მუახლის გაწბილებაზე [V] შექნა [ლაპარაკი]. და ეს სამართალი მიგვიცია: რადგანც კაცი საქმით დაიდვა, ამ ფარსადანს მოახლისათვის ერთი მართებული გოგო უნდა მოსცენ და საუპატიოდ თორმეტი თუმანი თეთრი უნდა მოსცენ: რომ ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში — სამ რიცხვში ისე სწერია და ჩვენც ეს სამართალი გავვიჩენია.

იასაულო აბაზაძე პეტრე! ეს ასე გაარიგე. დეკემბერს თ, ქორონიკონს უბ.

გოგოს ფასი სამ თუმნად გარდაგიწყვეტია, ასე გაარიგე.



მამებარა მე, იაკოფ ქარუმიძეს, ბიძიჩემი ფარსადანი-საგან სამი თუმანი და ბიჭებიც მამე[ა], არაფერი ჩვენ ერთმანეთ-თან ძმობისა და სიყვარულობის მეტი აღარა არის რა მამულის მეტი, დღეს და დღეის იქით ერთმანეთის ძმობისა და სიყვარულის მეტი; რომელმაც მშვიდობა სიყვარული სთესოს, ღმერთმან აკურთხოოს. შფოთისა და ჩხუბის მთეს[ვ]ელს ღმერთმა კითხოს.

არის ამისი მოწამე: აბაზაძე პეტრე, ჩიკოიძე იოსებ.

მე, იოსებ ბასილაშვილს, ამ ორთავ ბიძაშენის სიტყ-

<sup>1</sup> უფროსიო.

ვით დამიწერია. მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა იან[ვ]რის ე, ქორონიკონს უპგ.

მამბარდა მე, ფარსადან ქარუმიძეს იაკობ ჩემის ძმისწულისაგან სირბილაძის ბერის მეოთხედი. ქორონიკონს უპგ.† შვიდი და ათი შაური რომ მივე ამ კაცის მეოთხედში.

მე. გ ი ო რ გ ი მ ღ ვ დ ე ლ ი, ამის მოწამე ვარ, დამწერიც ამათის სიტყვითა და ყაბულობითა. †

მე. პეტრე აბაზაძეს, ამისი მოასილი ვიყავ, ასე გამირიგებია ამათის ყაბულობით და მოწამეც ვარ. ქორონიკონს უპგ.†

### 376. ბანიინება მრამლე II-ისა იოანე აბაზიძისა და ზაალ ანდრონიკაშვილის მამულის საყვავა

1794 წ. 17 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 453 დედანი. დაზიანებული. მარჯვენა და ქვემო კოდე მოხუელია. ქაღალდი 38X19,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. ქეშიკიბაში ა ბ ა შ ი ძ ე ი ო [ ა ნ ე ა ნ დ რ ] ო ნ ი კ ა - შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ მ ა რ ტ [ ყ ო ფ ი ს მოურ]ავს უჩიოდა: ჩემის მიწის გასადევარი კაჭრეთის გვერდა ზაალ მოურავს უჭირავს და არ მანებესო.

[ჩვენ. სრულიად] საქართველოსა და სხვათა მეფემ მეოჯემან ი რ ა კ ლ ი მ, ესენი ჩვენს წინაშე სამართალში ვალაპარაკეთ.

ზაალ მოურავ[მა] თავისის პირით აღიარა: იოანე ქეშიკიბაშის მიწის გასადევარი კაჭრეთის გვერდა იოანე ქეშიკიბაშისა არის, მე იმაში კელი არა მაქვსო. რადგანც იოანე ქეშიკიბაშის წილს კაჭრეთის გვერდაზე ზაალ მოურავს ორი წისქვილი დაუბრუნებ[ია], ქვემო წისქვილისა ასე თქვა: ბატონის დაქვითის დროს კაცი მსახლებია და ჩვენი აქრის ის ადგილიო.

ამაზედ ეს სამართალი მივეცი: ქეშიკიბაშმა იოანემ ზაალ მოურავს თავის კაცებიდამ ოთხი კაცი შეუგდოს, ორი კაცი იშოვნოს: ორმა კაცმა იმ ზემო წისქვილის ადგილს რასაც ფიცით შემოუარონ და შემოფარგლონ, რომ ამ ადგილს ბატონს ჩვენს ჭანოშვილის დავითის დროს გლეხი კაცი სახლებიაო, ის ადგილი იოანე ქეშიკიბაშმა ზაალ მოურავს დაიანებოს.

1 უპგ უპა.



და თუ ზემორე წერ[ილისამებრ ვე]რ დააფიცა კაცნი, ზემო  
[წისქვილი დ]არჩება იოანე ქეშვიჩიბაშ[ს; ქვემო ზაალ მო]ურავმა  
კი უნდა მოშალო[ს].

[დუკემბრის] იზ, ქორონიკონს უპბ. ყორიასაულ[ბაშო ლუ]-  
არსაბ! ეს ასე აღასრულე.

ბეჰადი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე  
ოთხი ბეჰადი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარ-  
ჯულად, ქაიხოსრო

2. არ ირჩევა

3. მდივანბეგი დავით

4. მონა ღრთსა თუმანიშვილი მდივანი სულხან

ხურთვა: სოლომონ.

### 377. ბანჩინება გოგია ამირაჯივის უვილისა და გლახა მახვილადი

სასისლო საქმეზე

1795 წ. 31 იანვარი

ცსა. ფ. 1450. დავთ. № 38. საბ. № 105. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[73v] მის უმალღესობას ებრძანებინა: გლახა მახვილადი  
რამინ ამირაჯივის შვილს გოგიას რომ დაუქერია,  
გოგია სამართალში დავიბარეთ, არ მოჰყვა, გლახას საჩივარი მო-  
ისმინეთ, გლახას ჭრილობა ნახეთ და სამართალი მიეცითო.

ბრძანებისამებრ გლახა ვალაპარაკეთ: მარიამობის თვეში ჩემი  
სიკვდილი გამოირჩ[ი]ეს რამინმა და მისმა შვილმა — გლახა მოჰკა-  
ლთო, ამისი მამული ჩვენ დავიჭიროთო, მოდავე ვინღა გვეყოლე-  
ბაო; შუადამეს მომიხდნენ, მე სახლში მეძინა, ძახილი დამიწყეს —  
ჯარი ჩამოვიდაო, ყარაულში გამოდიო, მე გამიშვეს, ჩემს კაცს მი-  
უხდნენ, ჩხუბი დაუწყეს, ჩემი სახლისაკენ წამოდი — იყარაულეო;  
მე დაუძახე — ჩემს მხარეს ჩემის კაცით მე გავამაგრებ, შენ შენი  
მხარე გაამაგრე; ეს რომ ვთქვი, მაშინვე შემომავინა; ჩემის სახლი-  
საკენ გავბრუნდი, თოფი მესროლა, მარჯვენა მკლავი ასე მომტეხა,  
წავიქეცე; მამამ დაუძახა — ნუ გაუშვებ, მოკალო. დამბაჩა! [74] რომ  
არ გამოვარდა და ხმლით შემომიტივა, სახლში შევარდი, წევა და-  
წყო, შემიშვიტ — თავსაც მოვსჭრიო.

იმავ ღამეს ბერძას წაველ, სახლი დავაკლეთინე, არ ამიკ-  
ლოს, გასადღები წაართო, რაც სახლის ავეჯულობა მქონდა — აიკ-

1 დაბანჩა.

ლო, ბატ-ქათამი დაქამა, ვენახს შეუსივა კაცი, მოაკრეფინა, ღობე დაწო, ჩემს წისკვილს დაეპატრონა და მიზდი იღო, სამართალი მაღირსეთო.

რადგან მისმა უმაღლესობამ რამინის შვილს სამართალში მოწოდება უბძანა, ურჩობა ქმნა და არ ჩამოვიდა, თუ სიმართლე ჰქონდა — უნდა ჩამოსულიყო, თავისი თავი გაემართლებინა, რადგან არ ჩამოვიდა და გლახამ დაჭრილი მკლავი სამართალში მოატანა და სამართალს ითხოვდა, გლახას ჰკრილობა გავზომეთ, თექვსმეტის მარცვლის ზომა იყო.

სამართალი ასე სწერს: რაერთაც ფილთას უსაქმია, ის უნდა ქერის მარცვლით გაზომონ და იმავე ჰკრილობაზე ერთიოდად გუჩინონ. იმიტომ რომ ამგვარი დაჭრილი უფრო გაირჯებოდაო და ბევრს ჰკირს ნახევდაო, თოფისას უფრო მეტი გაუჩნდებისო\*.

რადგან თოფით დაჭრილი არის და ფილთას უსაქმია და სამართალი ასე სწერს, ამისთვის დაუორკეცა სამართალმა.

ეს გლახა შუახნაურშვილად ჩავარდა. შუა აზნაურ[ვ]ის ერთის ქერის მარცვლის ზომის ჰკრილობა თექვსმეტი მინალთუნი არის. გლახას კელის ჰკრილობა თექვსმეტი მარცვლის ზომა იყო, თექვსმეტი მარცვლის ჰკრილობის სისხლი იქნება ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი.

რადგან თოფით არის დაჭრილი და ფილთას უსაქმია და სამართალი ასე ჰკრილობას ერთიორად უჩენს, ამისთვის შეუორკეცა სამართალმა, რომ იქნება 66 ც (ორმოცდათერთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი); ეს გვარისშვილობისათვის მიეცა.

რადგან მისის უმაღლესობის ალამდარია და სამსახურში განწესებული, ამისთვის სამართალმა ამ სახელოსათვის დაუორკეცა, რომ იქნება 66 წ (ასორი თუმანი და ოთხი მინალთუნი).

რადგან თავიც ჯოხით გატეხილი ჰქონდა, ამისი განატეხიც გავზომეთ, ექვსის ქურის მარცვლის ზომა იყო, ამისთვისაც სამართალმა გაუჩინა ცხრა თუმანი და ექვსი მინალთუნი, რომ შეიქნა მკლავისა და თავისა ჰკრილობის სისხლი ასთორმეტი თუმანი.

თუ სამართლისა და ბძანების ურჩობა არ ექმნა გოგიას და სამართალში მოჰყოლოდა, სამართლის განწესებისაებრ მესამედს ვაპატიებდით, რადგან ურჩობა ქმნა, ამისთვის სამართალმა აღარ მისცა პატივების აღგილი. და უნდა ზემორე განჩენილი სისხლი რიბ

\* შიღ. ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 49.

(ასტორმეტი) თუმანი -- ნახევარი ნალდი და ნახევარი ვეჭი — ამირეჯიბმა გოგია მოსცეს [75] მახვილად ეს გლახას. და რაც აუკლია, ისიც ერთიორად უნდა მოსცეს.

გლახა რომ ჩივის დამბაჩა<sup>1</sup> არ გამოუვარდა, თორემ ჩემზე დააცემინაო, თუ ამის მოწმე[ე]ებს გლახა სამართალში მოიყვანს და საბუთს უზამს, მაშინ რაც სამართალში გვიწერია დამბაჩის<sup>2</sup> დაცემისა, იმის სამართალს მივცემთ. და თუ მოწმით სამართალს ვერ უზამს, ზამზე აღარ ვალაპარაკებთ.

ბეჟან ხერხეულიძე და იოსებ თომასშვილი ეს ასე აღასრულეთ. იანვრის ლა, ქორონიკონს უპგ.



თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა და სხვათა მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ განჩინებას ამაღ. თებერვლის კბ, ქორონიკონს უპგ.



### 378. განჩინება მუხრანბაგრატიონის შვილუპის სასახლის საქმეზე

1795 წ. 5 მარტი

ცსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. № 1461. რეული № 2. საბ. № 66. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მუხრანის ბატონის შვილები ლევანის შვილი გოგია და ნიკოლოზ და ბაგრატის შვილი ბაგრატ მუხრანს სასახლეზედ ჩიოდნენ.

ლევანის შვილი გოგია და ნიკოლოზ ასე ამბობდნენ: რომელსაც სახლში ჩვენ ვდგევართ, ეს ჩვენის მამა-პაპათ სასახლე არისო და ბაგრატ რომ ჩვენს სასახლეში დგას, ამ მიზეზით მომხდარა მაგათი დგომა: ოსმალთ რომ მუხრანისათვის გალავანი შემოუყვლიათ, მაშინ ბაგრატის მამა-პაპათ წილი სასახლე გალავანს ვარეთ დარჩომილა და ავის დროს და სახლისკაცობის გულისათვის ჩვენს მამებს ბაგრატის მამისათვის უთხოვებიათ და დაუყენებიათ. და მას დღეს აქეთ ჩვენს სახლში დგანანო და ნათხოვრობით დაყენებისათვის და კარკაცობისათვის თავისას ეძახის, თორემ თავისი მამა-პაპათ სასახლის ადგილი დღესაც კელთ უჭირავს.

ბაგრატ ამას ამბობდა: მამაჩემი ამ სახლებში მდგარა,

<sup>1</sup> დანბაჩა. <sup>2</sup> დანბაჩის.

მე ამ სახლებში ვდგევარ და ამის მეტათ ეს მათგან არა ვგთქმია — ეს სახლი ჩვენია და თქვენ ნათხოვართ დგებართო; თუ მაგათი იყო და ნათხოვართ დაგვაყენეს, ან მამაჩემს, ან მე რატომ წიგნი არ გამომართვესო.

ამათი სარჩელი მოვისმინეთ და ორსავე მხარეს მოწმე[ე]ბი მოვსხოვეთ. ორთავე მოწმე[ე]ბისაგან მოწმობის წერილი მოგვიტანეს. ჩვენ ამათი მოწერილი მოწმობა გავშინჯეთ. იმათის მოწერილის მოწმობით არცერთს მხარეს სამართალი არ გადაწყდებოდა, ამიტომ არცერთის მხრის მოწამე მტკიცეს მოწმობით არ ემოწმებოდნენ და გაგონილად მოწმობდნენ.

ამისთვის ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ეს სამართალი მივეციით და ფიცი განვაჩინეთ: რადგან დღეს იმ სახლში ბაგრატის შვილი ბაგრატ დგას, სამართლის ძალით ფიცი ბაგრატს ერგება; ლევანის შვილმა ოთხი მუხრანელი კაცი შეუგდოს, ოთხი-დამ ორი იშოვოს და ეს კაცნი ასე შეაფიცოს, რომ: «რომელსაც სახლში ბაგრატ დგას, ის სახლი თავისი ეზოთი და კარმიდამობითი ბაგრატის შვილების მამა-პაპათ სამკვიდრო სასახლე იყოს და ლევანის შვილებს ნათხოვრათ არ დაეყენებინოსთ».

თუ ასე იფიცეს, სასახლე დარჩება ბაგრატის შვილს. და თუ, როგორც დაგვიწერია, ასე ვერ იფიცეს, ლევანის შვილებს დარჩებათ.

ა ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ო გ ი ო ყ ა ფ ი ჩ ბ ა შ ო ! ეს ასე აღასრულე.

მარტს ე, ქორონიკონს უპგ. 

|               |  |             |              |              |
|---------------|--|-------------|--------------|--------------|
| ქაიხ-<br>ოსრო |  | მეთ-<br>ოდი | თემუ-<br>რაზ | სოლო-<br>მონ |
|---------------|--|-------------|--------------|--------------|

|             |       |
|-------------|-------|
| სულ-<br>ხან | დავით |
|-------------|-------|

ქ. მის უმაღლესობის ბძანებით ეს სამართალი ასე გადასწყდა. ბაგრატს რაც მოწმე[ე]ბი ჰყვანდა შევარდნილი, არ მიჰყვენენ — უსამართლოთ უჭირავსო, ვერ მიეყვებიოთ. თითონაც უარი თქვა ფიცისა ხალხში და ჩვენც კელი აუმართეთ ლევანა[ს] შვილებს დარჩა. მარტის კდ, ქორონიკონს უპგ.

ხელთვა: გიო.

### 379. ბანიშნაა ფირან შაბურისშვილისა და ხოსროშაშვილის მამულია საქმეზე

1796 წ. 15 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3240. ღედანი. ქალაღი. 19,3X16,5 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. შაბურისშვილი ფირან და ხოსროშაშვილი რომ მამულსა დაობენ, ამაზე ფირანმა სისოური პატარკაცი წამოაყენა და თქვა: რასაც ეს იტყვის, ამას ვჯერდვარო. ამას ვპკითხეთ და დიდის ფიცით შვილებისა, სულისა და თავის ფიცით. ქრისტესთან ვიყო პასუხის გამცემი, თუ ტყუილად ვპსთქვაო. მაჩურისშვილის მამულისა ზემოთ თელებთან რომ დიდი სამღღვარი წასდევს, იმას ქვეით სისოურის მიწამდის მანჩურისა არისო, წალკოტს ორის დღის მიწა იქით წყლამდის და აქათ სისოურის მიწამდის მაჩურისა არისო, ჭაობს იქით ტყემდინ მაჩურისა არისო და ჭაობს აქათ მახლამისაო.

კიტრისშვილმაც ასე უმოწმა: მე კი არ მოვსწრებოვარ და გამიგონიაო, როგორც სისოურმა იმოწმა, ამანაც იმგვარად თქვა.

ემიკაღაბაში აღა[თონ]იკე, ერთი იასაული უჩინე, რომ ამ მიწებზე კელი აუმართოს და ხოსროშაშვილს თევდლორეს მიაბაროს. მარტის იე, ქორონიკონს უპგ.

ბექე ი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

ქ. კობიაშვილო სოლომონ, ამ საქმეზედ იასაული ხომ შენ ყოფილხარ, მაშინ ფირან მოუარავი<sup>1</sup> შაბურიშვილი<sup>2</sup> სისოურის პატარკაციის მოწმობის ყაბული გამხდარა, შენ მისულხარ. ღა არ გამოგყოლია. ახლა კიდევ უნდა მიხვიდე, იმ სისოურის შვილი და კიტრი უნდა წამოიყენაო, სადაც სადაო მამული იყოს, როგორც თავეთის მამებისაგან გაეგონოსო, ისე უნდა ისულდმერთონ. ღა როგორც იმათა თქვან, ისე უნდა ჩვენ გვაცოღინო. დეკემბრის იზ, ქორონიკონს უპღ.

ნინია ქუმსისშვილო, შენც ამასთან უნდა იყო და სისწორით მოიქცეთ ღმრთის წინაშე.

1 მოურავს. 2 შაბურისშვილს.

ბეჭელი: რტოდ ვარ დავითის მგელლომად ვით ის ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

ქ. მე, ქუმსისშვილს ნინიას და კობიაშვილს სოლომონს გვებრძანა ამ საქმის მოასილობა. როგორც ბრძანება იყო, ისე ის სისოური და კიტრის შვილი წავიყვანეთ, და რომელსაც ხოსრუაშვილი და შაბურისშვილი მამულსა დაობდნენ, ის მამული სისოურისა და კიტრის შვილის ფიცითა და მოწმობითა სწორეთ ხოსრუაშვილს დარჩა.

დეკემბრის იმ, ქორონიკონს უბდ.

ქ. მე, ხუცეს მგალობელმა ევსტათიმ ამ ნინია ქუმსისშვილისა და სოლომონ კობიაშვილის სიტყვით დავსწერე.

ხელთვა: ევსტათი

ქ. მეფის ძის ვახტანგის ბრძანებითა და პ[ი]რობა ქმნითა გარდავსწერე ეს განაჩენი უმეტნაკლებოთ მე, იოანე ოსყოფილმა დიაკონმა, ივლისის დ, ქორონიკონს უბთ.

თავში:

ქ. რადგან კელმეორედ კიდევ სამართალში შემოვიდნენ ეს ორნი მოდავენი, სამართალში ჩვენ კიდევ ამ ორისვე მოდავეს ყაპულა[ბი]თ სისოურს დათუნასა და კიტრის შვილს უბძანეთ იმ მამულის საქმე. იმ მამულისათვის შემოუვლიათ ჩვენგან გაგზავნილთ მოსაქმეების ნინიას და სოლომონის თანდასწრებითა, ხოსრუაშვილის მამულად აღმოუჩენიათ. რადგან ასე ყოფილა, დღეის იქით იმ მამულზედ ხოსრუაშვილს ველარავინ ედავება.

დეკემბრის იმ, ქორონიკონს უბდ. იმ სადაოს მამულისათვის შემოუვლიათ.

ბეჭელი: რტოდ ვარ დავითის მგელლომად ვით ის ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

### 380. ზანჩინება საგინაშვილის შვის ადამაშვილების საქმეში

1795 წ. 27 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 220. პირი. ქალაღი. მხედრული.

[162v] ჩვენ — საქართველოს უფლისწულს მეფის ძესთან იჩივლა საგინაშვილის საქამის ქვრიმა და ობოლმა ბაგრატიმა; თავის კაცს ადამაშვილებს გოგონას და ივანეს უჩიოდნენ, რომ ჩვენი ყმა არისო.

ის კაცი მოვაყვანინეთ და იმის რაც აზრი იყო, ყველა შევი-

ტყვეთ იმ კაცის მათლაბი. ის კაცი თაობითაც ამათი ყოფილა და ახლაც ამათ დარჩათ. არავის ამ ადამაშვილებთან საქმე არა აქვსთ, რქავ ოთხთვალში უნდა იდგნენ, მანამდისინ ამათ ერთი ბინა მიეცემოდეთ და ან ერთს ბინას უშოვნიდნენ; და რაც შეუძლიანთ<sup>1</sup> და ან ბატონყმობის რიგი იყოს, თავის შეძლებით უნდა ემსახურონ, რაც ხანი იქ დაყონ; მაგ კაცთ უბრალთ ვერავინ შეაწუხებთ, მანამ მანდა დგას.

მარტის კჳ, ქორონიკონს უპგ. 

|        |
|--------|
| გიორგი |
|--------|

### 381. განჩინება დიმიტრი მგალობლიშვილის ქვრივის საწისქვილოს საქმეზე

1795 წ. 8 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5635. დედანი. ქალალი. 30,8×16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მისს უგანათლებულესობას მეფის ძეს გიორგის ოქმით ებძანა: მგალობლის შვილის დიმიტრის ქვრივი და ობოლი საწისქვილოზედ რომ ჩივის, ამისი სამართალი უყავო.

ჩვენ, მდივანბეგმა ოტიამ, ორი იასაული გავგზავნეთ, საწისქვილეს გავაჩხრეკინეთ და მგალობლიშვილები დავით, მლივანი ბეჟან, კიდევ ბატარა დავით და სოფლის კაცი დავიბარეთ: ვისაც სიტყვა გავქსთ ამ საწისქვილოზედ, სამართალში ელაპარაკეთ ამ ქვრივსა და ობოლს.

ამ აზნაურშვილებს და სოფლის კაცთ ასე შემოეთვალათ: ჩვენ არც ვედავქებითო, არცა რა საქმე გვაქსო, ღმერთმან მოახმაროსო ამ დემეტრეს ქვრივსა და ობოლსაო.

ნავენახობი საწისქვილოს რუსხმულზედ მიედმის, აღმოსავლეთისაკენ რომ შარა არის, იმ შარას აქათ ამ ქვრივისა და ობლისა არის ეს მამულიცა და საწისქვილოცაო. შარას იქით სასოფლო მიწა უძესო და ამ მიწაში ერთი ტაბარუკი დაუსახლებიათ და ეს ტაბარუკი ჩემობდა, ამ ჩემი მიწისა იქნებაო.

რადგან აზნაურშვილებს და სოფლის კაცთ ერთიანად გაუჩხრეკიათ ეს საწისქვილო იასაულებთან, როგორც ზემორ დაგვიწერია,

<sup>1</sup> და ან ერთს ბინა უშოვნიდნ.

აზნაურთ და სოფლის კაცის სიტყვივით, დარჩა ამ დიმიტირის მგა-  
ლობლიშვილის ქვრივისა, ობოლს ეს საწისქვილო.

ე შ ი კ ა ლ ა ბ ა შ ო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ! ეს ასრე გაუბრევე. მაი-  
სის, იშ, ქორონიკონს უპგ.

ბჰქელი: მონა ღთისა მდივანბევი ო ტ ი ა .

კიდუზე:

ქ. ჩვენ საქართველოს უფლისწული, მე ფ ი ს ძ ე გ ი ო რ გ ი ,  
განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. მაისის თ, ქორონიკონს უპგ.

გიორგი

### 382. განჩინება თოგა მელვინეთსუციშვილისა და სახნია აბრიაშვილის გაგულის საქმეზე

1705 წ. 28 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 426. ღედანი. ქალაღი. 48,5×19,6 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მის უმაღლესობას ებძანა ჩვენ მსაჯულთათვის: თ ო მ ა მ ე -  
ღ ვ ი ნ ე თ ხ უ ც ი ს შ ვ ი ლ ს რომ უჩივის ა ბ რ ი ა შ ვ ი ლ ი  
ს ე ხ ნ ი ა, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო. თომა და სე[ხ]ნია  
ვალაპარაკეთ.

ს ე ხ ნ ი ა ასე ჩ ი ო ღ ა: ხ ი ღ ი ს თ ა ვ ს რომ დავ[სახ]ლდით,  
მოურავმა და მოხუცებულთ კაცთ მითხრეს — ეს თქ[ვე]ნი ნასყიდო  
მიწა არის, ეს დაიჭირეთ: რადგან მეც ვიცოდო, ი[მ]ათაც ასე მითხ-  
რეს; ცარიელი მიწა ვენაჯით ავაშენე; თომამ წამართოო.

თ ო მ ა მ მ ი უ გ ო: ამის უმაღლესობისა ეს ოქმი მქონდა: უნ-  
და სახასოს ბეითალმიდამ ორმოცდაათის ღღის მიწა მომცემოდა,  
მიველ და ვთხოვე, დამიწერა მოურავმა და მოხელემ აქ ეს მიწე-  
ბიო. ამ შენის ნაქონის მიწისა ასე დამიწერა: თუ სეხნიამ ნასყუ-  
დობის წიგნი მოგიტანოს, იმ სეხნიასი იქნება, თუ არადა, შენ უნდა  
დაგანებოსო. თუ ნასყიდობის წიგნი გაქვს, მაჩვენე, კელს ავიღებ,  
თუ არადა, უნდა დამანებოო.

ჩვენ, მსაჯულთ, სეხნიას ნასყიდობის წიგნი მოვთხოვეთ, ვერ  
მოიტანა. ასე თქვა: ა ტ ე ნ ი რომ ლეკებმა წაახდინეს, მაშინ და-  
ნეკარგაო. მოწამეთ მოწმობა მოვთხოვეთ, იქაურთ მახსოვართ  
კაცთ მოწმობის წერილი მოიტანა, რომელშიაც ასე ეწერა: ეს ერ-



ოის დღის მიწა ბ რ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა ამ აბრიანთ მოჰყიდაო, წიგნი ჰქონდათ, დაკარგესო.

[თ] ო მ ა მ მ ი უ გ ო: რასაც შენი მოწამენი მოწმობენ, მაგაზე მეტი რათ გიჰირავსო. რადგან იმ სოფელეთ<sup>1</sup> მოწმობა მოეწერათ — ეს ერთის დღის მიწა ნასყიდი არისო — ვენახათაც შემოუფარგლავს, იმათი, მოწმობით ის ერთის დღისა შემოუფარგლული რომ არის ვენავათ, ის სეხნიას დარჩა იმ[ათის] მოწმობით.

და თუ თომა ამაზე უძლიერეს მოწმობას მოიტანს და იმათს მოწმობას გააცუდებს, მაშინ იმ შემოუფარგლულის ვენახის ტოლი იქავ სოფლის ახლო მიწა უნდა სეხნიამ თომას და პაატას უნდა მოსცეს. და თუ თომა ამ მოწმობ[ა]ზე უძლიერეს მოწმე[ე]ებს ვერ მოასხამს, სეხნია იმ ვენახის ტოლს მიწას აღარ მოსცემს.

და სხვა სამის დღის მიწა ბეითალმალი რომ ყოფილა და სეხნიას ჰქონია, ის კი თომას და პაატას დარჩა. და თუ სეხნია იმ სამის დღის მიწის ნასყიდობის წიგნს მოიტანს და ან საქართველოს სამართლის ჩვეულებისაებრ მოწმით და ფიცით გულს აჯერებს, რომ ეს სამის დღის მიწაც ჩემი ნასყიდი არისო, მაშინ ის სამის დღის მიწაც სეხნიას დარჩება.

და თუ ვერც ნასყიდობის წიგნს მოიტანს და ვერც მოწმით გულს აჯერებს, ამ სამის დღის მიწაზე ველარ ელაპარაკება თომას და პაატას სეხნია, თუ ფიცით გულს არ აჯერებს.

თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ო ხუთასისთაო დ[იმიტი]რი! ეს ასე შენ უნდა გა[ა]რიგო, როგორც გაგვიჩე[ნია]. მაისს კჳ, ქორონიკონს უპგ.

ოთხი ბეჰელი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქ ა ი ხ ო ს რ ო.

2. მ ე თ ო დ ი \*

3. მ ე თ ო დ ი \*

4. მონა ღთისა თუ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ღღივანი ს უ ლ ხ ა ნ.

<sup>1</sup> მსოფლეთ.

\* ორივე ბეჰელი ერთნაირია, მაგრამ პირველი ნახევრად გადასულია.

383. ბანდინება მოსა ხუცისშვილისა და გიორგი ხარებაშვილის  
მნათეობის საქმეზე

1795 წ. 30 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 580. პირი. ქალაღი. მხედრულო.

ქ. ხუცისშვილს მოსეს ღმრთის მსახურის მეფის  
ძის იულონისათვის არზი მიერთმევიანა კვირაცხოვლის  
მნათეობის საქმეზედ.

მის უგანათლებულესობას მათის უწმინდესობისათვის მოეხსენებინა, სამართალი თქვენ უსაჯეთო. და მათ უწმინდესობას დიკასტირიისათვის ებძანებინა, რადგან ურბნელის სამწყსო<sup>1</sup> არის და ეკლესიის საქმეა, წიგნი მიუწერეთ, იმათი ეფისკოპოსია და ვალიცაძს, მოიკითხოს და სამართალი იმან უსაჯოს.

მე, ფრიად ცოდვილმა და ყოვლად უღირსმან ურბნელ ეპისკოპოსმა იულიოს, ჩემს ეკლესიაში მოვიყვანეთ ხარებაშვილი გიორგი მღუდელი და ხუცისშვილი მოსე, ვალაპარაკეთ წინაშე ღმრთისა.

ხუცისშვილი ამას ჩიოდა: ძველადაც კვირაცხოვლის მნათეც მე ვყოფილვარო და დღესასწაულზედაც ხატიც მე მკერიო.

შემდგომად ხარებაშვილი მიუგებდა: მართალია, შენც მნათე ყოფილხარო, ხატიც გკერიო და მეც შენი ძმა ვყოფილვარო და მნათეობაც მქონიაო. დღესასწაულზედ ხატი ხან შენ გკერიო და ხან მეო.

ამათი ლაპარაკი, დიად, უძლური და შეუწყნარებელი სიტყვა იყო. ორისაც მხარს სამართალმა მოწამე მოსთხოვა და წერილებიც. ორთავ ძველი წერილები მოგვიტანეს, რომ: ხუცისშვილი ღმრთის მსახურს ბატონისშვილს ხორამზეს კვირაცხოვლის ეკლესიისათვის შე[ე]წირა. და კუალად კელმეორედ ბატონისშვილს ლუარსაბს, ვახტანგს და დაუთმირზას შე[ე]წირათ. ეს შეწირულების წიგნები მხოლოდ ხუცისშვილებს აცხადებდა და ხარებაშვილის გვარობის ხუციანობის ძის კი არას აცხადებდა.

ხარებაშვილს ნუგზარ ერსთვის სითარხნის წიგნი აქუს და იმ ეკლესიის მნათეობას უცხადებს და სითარხნეს. ხარება-

<sup>1</sup> სამწყსოა.

შვილს სამართალში საბუთი მოქონდა, რომ შენი სახლისკაცი ვარ და ნათესავიცაო.

ხუციშვილი მიუგებდა: შენ ხუციანიძე ხარ და მე ხუცისშვილიო.

ამათმა ლაპარაკმა სამართალს ეჭვი მისცა და დააფიქრა. სამართალმა სარწმუნო მოწმე[ე]ები და წერილები სთხოვა და ფიცი. ამ სამში ერთი უნდა ეშოვნა; და პეიმანი ერთი კვირა დაუდევით. ამ ერთ კვირაში ეს მოწმე[ე]ები უნდა ეშოვნა. ამაში ერთი თვეც გამოვიდა ვერ იშოვნა; და ზოგიერთი ეშოვნა და ზოგიერთნი სარწმუნენი ვერ იყვნენ; და სამართალი ამ მოწმობას ვერ ერწმუნა, რომ აქეთ-იქით მხრის მოწმობა იყო.

შემდგომად ხუცისშვილმა მოწმობის წერილი სამართალს მართო, რომ სამლუდლოთა და კეთილშობილთა და მდაბიურთა ერთა ღთის ფიცით და ქელმწიფის შემტოდებოთა გამოწმათ<sup>1</sup>.

და კუალად ამ წერილებს ვერ ვერწმუნე. მოვედ შინა, მოუწოდე სამლუდლოთა, კეთილშობილთა და მდაბიურთა ერთა; დიდის შრომით და ღვაწლის დადებით გამოვიძიეთ ღმრთის<sup>2</sup> მოწმობით.

ამ მოწმე[ე]ებმა ხუციშვილს ასე უმოწმეს, რომ: ძველად ამათ<sup>3</sup> მამა-პაპათ დღესასწაულზედ ხატი ამათ სკერიათო და ჩვენც ასე გვინახავსო. დავა არც ძველად თქმულა ამ ხატზედ და არც ჩვენ გვინახავს და არც გავგიგონია.

რადგან ძველადგანც ამ ხუცისშვილებს სკერია დღესასწაულზედ, ახლაც სამართალმა ხუცისშვილებს მისცა, რომ დღესასწაულზედ ხუცისშვილებს მოსეს, თვედორეს და იოსებს უნდა ექიროთ ხატი, თვინიერ მამულისა.

შემდგომად ნუგზარ ერისთვის წერილი აცხადებს და მოწმე[ე]ებიც სარწმუნო კაციც მოსდევენ, რომ ხარებაშვილიც კვირა-ცხოვლის მნათე ყოფილა. სამართალმა ეკლესი[ის] მნათეობილად ვერ გამოიყვანა.

როგორც მამა-პაპათაგან ძველად განწესება ქონიათ, დღესასწაულზედ კანონისაებრ ხარებაშვილი ისე უნდა იმყოფებოდეს; და დღესასწაულზედ სამლოცველოს ჩვეულებისამებრ გაიყოფდენ.

შემდგომად მათის უწმინდესობისა დიკასტირიას ებრძანა: კვირა-ცხოვლის ეკლესი[ის] შეწირულობის მამულები ვისაც აქუნდეს,

<sup>1</sup> ემოწმათ. <sup>2</sup> ჭღთის. <sup>3</sup> ამაო.

უნდა გამოიძიო და ეკლესიას თავისი მამულები უნდა მიაბარო, ყმას ეპიროს თუ გარეშე კაცთა, რომ ეკლესი[ი]ს კანონისაებრ დალა, კულუხი თუ სდებიათ, სრულებით უნდა მიეცეს და არ დაქალონ.

ჩვენ წერილით სარწმუნო კაცთაგან გვეუწყა: ეგ ეკლესია დარღვეულია, დაიქცევა სადმე; თავის შეწირულობისაგან არც დალა ეძლევა და არც კულუხი, არც ყმათაგან და არც სხვათაგან. ამგვარი საქმე, დიად, უკანონო არის და წმინდათა მამათა კანონ[ნი] დიდათ ცოდვით სწერენ, რომელმანც შეწირულობა გამოახვას, კანონისაებრ ეკლესიას თავის განწესება არ მისცეს.

ჩვენ ასე განგვისჯია წინაშე ღმრთისა. შემდგომად ჩემსა რომელნიც უპირატესნი მობძანდეთ წმიდის სტეფანის ეკლესიაზედ და სუფეფდეთ, თქვენცავე ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა განსჯილი კეთილად განაგოს ღმერთმან. და რომელიცა თანა გვედო ყოფად, ვიყავით.

მე, ყოვლად უღირს[ი] გლაზაკი<sup>1</sup> ხუცეს[ი] პ ა ნ ტ ე ი მ ო ნ დეკანოსი, ვსწერ. მაისის ლ, ქორონიკონს უჰგ.

ქ. უმდაბლესთ მდაბალი ყოვლად უღირსი უ რ ბ ნ ე ლ ი ეფისკოპოზი ი უ ლ ი ო ს. ხელრთა

ქ. ურბნისის კანდელაკი ამ განაჩენის თანაჲმა ვარ. სიმონ

ქ. მე, მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი გ ო გ ი ა მოურავი, ამ განაჩენის თანახმა ვარ. ვიორჯი

ქ. მე, დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი ა ს ლ ა მ ა ზ, თანახმა ვარ ამ განჩინებისა. ასლამაზ

ქ. მე, თ ა ვ ყ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ზ უ რ ა ბ, ამ განაჩენის თანაჲმა ვარ. ზურაბ

ქ. მე, გ ა ბ რ ი ე ლ მღუდელი, ამ განაჩენის თანაჲმა ვარ.

გაბრიელ

<sup>1</sup> გლაზაკ.

ქ. მე, მღუდელი მღთისავარ, ამ განაჩენის თანაჲკმა ვარ.

მბთი-  
სავარ

ქ. მე, მამასახლისი თათრის შვილი ტეტია, ამ განა-  
ჩენის თანაჲკმა ვარ.†

384. განჩინება ღვთისმეტყველის მამულის საჩუქარად

1795 წ. 11 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1667. დედანი. ქალაღი. 40,5×19,5 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. დავით გარესჯის წინამძღვარს მოეხსენებინა მათის უმაღლეს-  
სობის მეფისათვის და მათის უწმინდესობის კათოლიკოზისათვის,  
რომ: ვანთას წმიდის დავითის მამული არის, განაჩენები მაქვსო  
და მამული კი არ მიჭირავსო.

მათს უმაღლესობას და მათს უწმინდესობას ჩვენ — კახეთის მო-  
სამართლეთათჲს ებრძანათ: მოიკითხეთ, გამოიძიეთ და თავისი მა-  
მული დაანებეთო.

ჩვენ ბრძანებისაებრ მოვედით ვანთას, წინამძღუარიც მობრ-  
ძანდა, განაჩენები მოიტანა სანატრელის ბატონის თეიმურ-  
აზისა და დედოფლის ანნასი, მათის უმაღლესობისა-  
განაც დამტკიცებული არის. ამ განაჩენში სწერია: ბატონის შვილი  
კათალიკოზი დომე [ნ] ტი თავისის მამულების გასასამ-  
ძღვრავად წაბრძანდა და სამეგბელი ნიკოლაოს და სალთ-  
ხუცესი ედიშერ მოსამართლეთ გავატანეთო და ვანთას წმი-  
დის დავითის მამული ქოქიაური, ჭონიაური, დევდა-  
რაული, თუთახის შვილის მამული, ნაზვრევი და სა-  
მეზვრეო ენახათ და დაქვეყნებინათო; ჩვენც გავსინჯეთ, დავანე-  
ბეთ და დაუმტკიცეთო.

ერთი განაჩენი ამ სამეგბლისა სალთხუცის მოიტანა, რომ ეს  
ზემოსხენებული მამულები გავსინჯეთ და დავით გარესჯის მონას-  
ტრისათვის დაენებებინათ.

მასუკან კიდევ მდივანბეგის სახლისკაცებს ოხიან-ყორ-  
ჩიანთ ლაპარაკი დაეწყით, ბოქოულთხუცესი შაყა  
მოსულიყო ამათ სასამართლოდ და იმისი წიგნი მოიტანა, ასე ეწე-  
რა: ბატონის ბრძანებით მოველო ან გოგნია ნაცვალს უნ-  
და დაეფიცნაო და ან წინამძღვრის კაცებსაო. გოგნია ნაცვალს ფი-

ვი შევავადე და ვერ შეიძლო და მერმე ოხ[ი]ან-ყორჩიანთ ტატე-  
ბაშვილს გიორგის და მჭედლის შვილს მახარეს  
სატი ქელთ ჩაუსვენაო ჭარდანმა და ის უწინდელი განაჩენიც  
ქელთ მისცაო და დ[ა]იფიცაო, რაც იმ საკომლოების გარეშემო  
იყო თავისის გასადევრით — მითთ, ბართ, დაიფიცესო. ეს წიგნე-  
ბი მოიტანა წინამძღუარმა.

ჩუენ უთხარით: აბა ფეხი დაგვიდგო, სად არის ეს მამულე-  
ბიო. ახურელნი უფროსნი კაცნი გაგვიძღვნენ, აბანოს ქვემოთ შარა  
რომ გარდაივლის გარდიგარდმო ბუშატის ქვევამდის, ამას  
ზემოთ დაუფიცავთ ჩუენს მამა-პაპათაო, და ამაში არის ეს მამუ-  
ლები, თუთახშის შვილის მამულს გარდაო. თუთახშის შვილის მა-  
მული გზას ქვემოთ დანიშნეს და შემოუარეს. ვანთელი მემკვიდრე  
კაცი არ იყო, რომ გვეკითხა და ახურელთ ასე სთქვეს.

ჩვენ ამ ახურელთ სიტყვას ვერ დავემოწმენით. თუ სხვას მო-  
წამეს იშოვიან, რომ ამათი სიტყვა დაამტკიცოს, ხომ გზას ზეით  
დარჩება მონასტერს და ქვეითი ვენახიც.

და თუ სხვა მოწმე ვერ იშოვეს, რომელიც მოფიცარი ორი  
კაცი უწინ ყოფილან — ტატებაშვილი და მჭედლისშვილი, ამათმა  
შვილებმა გაიარონ თავიანთ მამა-პაპა[ს] გავლილზედ, დაიფიცონ,  
რომ აქამდინ გაუ[ვ]ლიათ და დაუფიცავთ ჩვენ მამა-პაპათაო; და  
დარჩება მონასტერს. და თუ ამ გლეხებისა არავინ იყოს, ორი კაცი  
სხვა შეაფ[ი]ცოს.

და თუ ვერ დაიფ[ი]ცვენ და ვერც მოწმეს იშოვნენ, რომ ადგი-  
ლობა დანიშნოს, ასე ქნან: ოთხი საკომლო რომ უწერიათ დანა-  
ზვრევი ვანთაში, რომელიც პირველი საკომლო იყოს, იმის ტოლი  
ოთხი საკომლო მოსკენ მონასტერს და საზვრე ადგილიც, რამდენის-  
დღისა მათმა უმადლესობამ ინებოს.

ჩვენ ასე გავშინჯეთ. და ნება მათის უმადლესობისა და მათის  
უწმიდესობისა იყოს.

პირველი საკომლოები ამიტომ დავსწერეთ, რომ სამი განაჩე-  
ნი აქვსთ და ფიცითაც გაუტანიათ ახურელთ, ამ საკომლოებისა შორს  
მიცემა კი არ იქნება, შიგ სოფელში უნდა მისცენ. ოვნისის ია, ქო-  
რონიკონს უპგ.

ორი ბეჰელი:

1. მონა ღთისა მდივანბეგი ოტია
2. მიწა ვარ დავითრგუნები დავით

თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ორთავე საქართველოსა ირაკლი მეორე, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას. ეშვიკადასო აიღეშურო! ასე გაქაქრიგე, როგორც მოსამართლეთ დაუწერია. მკათათვის კბ, ქორონიკონს უბგ.

ბეჰელი: მე ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია. ვაღიდე, ერეკლე კიდეზე:

ქ. მღივანბეგი ბეჟან და მღივან-ნაზირი სვიმონ ამსამართლის თანკმანი ვართ. ივნისის კა, ქორონიკონს უბგ.

ორი ბეჰელი:

1. მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო, მე ერისთვისა მსაჯულად მაგო ბეჟან
2. მღივან-ნაზირი სვიმონ.

### 385. განჩინება ჰიბიას ამირჩაშვილისა და მისი რძალს გაყრის საქმეზე

1795 წ. 7 აგვისტო

ხელთაწერთა ინსტიტუტი. Ad 1762. დედანი. ქალაღი. 35,7×22,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ამირეზაშვილი ქიტესა და იმისი რძალი იყრებოდნენ და ბატონს ამილბარს სალთხუცეს — ამათ ბატონს, ჩვენთვის ებძანა — ქვათახევის კანდელაკ ივანესა და წვერიანაშვილი ზურაბისათვინა და მამაცაშვილი ელიზბარისათვინ ამათი გაყრა და სამართალა.

და კელაპტრიშვილი თევდორეს; თანადასწრებით მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ; და ამათი მათლაფი ყველა შევიტყვევით და შევედით ამათ სამართალში. და ქიტესა სამკვიდროს ითხოვდა და ქვრივი თავის შვილის საქორწილოსა.

ქიტესას მივეცით ორი თუმნის ღირებული საქონელი. სხვა საქონელი შუა გაუყავით. ოთხი თუმანი ვალო შემოიტანეს სამართალში. ორი თუმანი ძველი აღებული ყოფილიყო, ორი თუმანი ახალი. და ახალ ვალში ქვრივს წილი არ დაუდევით; ამიტომ რომ ქვრივი ქიტესასთან აღარ ყოფილიყო. ძველთ ვალი — ერთი თუმანი ქიტესასა და ერთი თუმანი — ქვრივსა და ობოლსა.

ქიტესას ცოლის კანბეჩებში ქვრივს წილი აღარ დაუდევით, ამის მიზეზითა, რომ რაც ქვრივი აღარ ყოფალა სახლში, მამინ დაუზღიათ კანბეჩები.

სახნისი იყო სალაპარაკო. და თუ ქიტესამ ორი მოწამე მოიყვანოს, რომ ქიტესას სიმამრის ნასყიდი ყოფილიყოს, სახნისი ქიტესას ცოლს დარჩება; და თუ ვერ მოიყვანოს, სასახლო იქნება.

ქვრივი კიდევ ერთს კანბეჩსა და ერთს ხარს ედავებოდა. კანბეჩი თავის ვალში მიეც[ა], ხარი დაეკლა და შინ მოეხმარებინა.

ქიტესამ ეს ხარი და კანბეჩი ისევ სასახლოთ უნდა დადოს, როგორც ღირებული იყოს.

რომელიც ამ ზემო წერილში ვწერივართ, ღვთის წინაშე ჩვენ ეს ასე სამართალი გვიქნია.

ქიტესას ერგო თავსახლი თავის დერეფნით; ქვრივსა და ობოლს ერგო ბოსელი და სათონე.

სიმინდზე ლაპარაკობდნენ და გავასწორეთ: ოთხი აბაზი უნდა მისცეს ქვრივმა ქიტესასა და ალოს ფასათ და სიმინდები თავთავისთვინ მოუვლიათ, თავთავისთვინ მოიმუშაონ. და ნასიმინდრალზე ოცი ურემი ნეხვი უნდა დაყაროს ქიტესამა; და მასუკან ერთიან უნეხვი და ნანეხვი ერთად მოჰკამონ. ქიტესამ უნდა მისცეს ქვრივსა ორი კოდო ძველი პური.

სახნისზე რომ დაობდნენ, ორის ღვდლის მოწმობითა და ორი ერისკაცი<sup>1</sup> მოწმობდა, რომ სახნისი ქიტესას ჯალაბისა[ა]ო, დარჩა. დაიწერა მარიამობის ზ, ქორონიკონს უჰგ.

დაიწერა ესე განაჩენი მამაცაშვილი ელიზბარის ზელითა ამათის ყაბულობით. მე, ქოთახევის კანდელაქი მღვდელი იოვანე, ამ განაჩენს ვამტკიცებ.

მე, წვერიანიშვილი ზურ[ა]ბა, ამ განაჩენს ვამტკიცებ.

**386.** განჩინება დიკასტერიისა ღვთით აზხაზის შრის სოროჯანაშვილების საქმეზე

1788 წ. 31 აგვისტო

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 45. საბ. № 35. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[20] განჩინება მისის უწმინდესობის დიკასტერიისა მიერ.

მისის სიმაღლის მეფისაგან მისის უწმინდესობის დიკასტერიისა ოქმით გუებამანა დავით აფხაზის შვილისა და სოროჯანაშვილების სამართალი. მოვაყვანიეთ ორნივე და ვალაპარაკეთ.

სოროჯანაშვილები ჯერ გასყიდულას ამბობდნენ თავი-

<sup>1</sup> ორი ერისკაცი ორის ერისკაცს.



ისის მამისასა და სარჩელშიაც დაამტკიცებდნენ, რომ ამაზედ ვალა-  
პარაკებთ და შეწირუაზედ კი აღარაო.

ჩვენ წერილი მოვსთხოვეთ, რაც სარჩელი ჰქონდათ, წერი-  
ლით მოგუახსენონ, რომ სწორე შეგვეტყო. და სამი რამ ჰაზრი  
გვკითხეთ: პირველი, რომ [v] გასყიდული ყოფილა მამა მათი თუ  
არა; მეორე, შეწირული ყოფილა წმიდის საბის მონასტრის; მესა-  
მე, სიგელი აქუსთ შეწირულობისა თუ არა. გამოკუთალეს სიტყუა,  
გასყიდუა კი უკუთქვეს და შეწირულობაზედ დაიწყეს სარჩელი.

ჩუენ მანამ ხელითწერილი არ მოვატანიინეთ, არ ვერწმუნენით.  
მერე მოგვიტანეს ხელითწერილი, რომ გასყიდვით კი არ გაუყიდ-  
ნივართო, თავის შვილის ოთარისათვის თავს შემოუვლია  
მამაჩვენი და თავისის მამულით წმიდის საბასთვის შეუწირავსო და  
იმის გამო ჩვენც მონასტრის ყმანი ვართ, მაგრა არც გუჯრით შეუ-  
წირავართ და არც წერილითაო.

დავით აფხაზი უარს ამბობდა და მისის უწმიდესობის  
წანაშე ხელის აღმპყრობელი შეჩუენებით და ფიცით იტყოდა, არ  
შემიწირავსო. ერთი მოხუცებული კაცი ვარ, ნიადაგ სიკუდილს  
მოველი, ტყუილს ვერ მოგახსენებ. მართალია, ყმაწვილკაცობაში  
ვსტქვი, რომ სოროზანას თავისის მამულით მონასტერს შევ-  
წირავ მეთქი და ველარ გავიმეტე რომ შემეწირა, და არც სიგელი  
მამიციაო და როგორც პაპის ჩემისაგან ორი საკომლო არის შეწი-  
რული, ჩემგანაც რომელიც მტკიცედ შეწირულობად თქმულა ან  
საზვრე მიწა ან ვერცხლის თასი ან სხვა რამ ნივთი, ესენი ყველა  
მიმირთმევია და შემიწირავს და სხუა რიგათაც მმართებს და თა-  
ნამდებ ვარ, რომ ვმსახურო იმ მონასტერსა ჩემის შეძლებით; და  
ამათი შეწირვაც, მართალია, ვსტქვი, მაგრამ ველარ გავიმეტე, რომ  
შემეწირაო.

ახლა ჩვენ ამ დავით აფხაზისა და სოროზანაშვილების სარჩე-  
ლის მოსმენამ ორი ჰაზრი წინ დავგიდუა: პირველი წმიდისა ლუ-  
კასი და მეორე წმიდისა მოციქულისა პავლესი, ლუკასი  
საქმესა შინა მოციქულთასა 5,1 თქმული ანანია და  
საპფირასაგან ქმნილი იგი საქმე და მათი პატივის მიხდა შერისხვი-  
თა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა; და წმიდის პავლეს ებ-  
რაელთა მიმართ 9, 17 თქმული: «ანდერძი დაწერილი მკუდართა  
შემდგომადლა მტკიცე არნ<sup>1</sup>, უკუეთუ არა, ვერსადა მტკიცე არნ<sup>1</sup>,  
ვიდრე ცოცხალდა არნ<sup>1</sup> ანდერძის მწერალი იგი». მაშ, შესაძლებე-

<sup>1</sup> აბს.

ლია, რომ ანდერძი გამოიცუალოს და ყოველი სიკუდილს უკან დასაშობი სიტყუა დაწერილი ანდერძი არს.

ჩუენ ამ ორს მახარ[21]ებელისა და მოციქულის თქმულს ჰაზრებზედ ეს განვაჩინეთ: თუ ანანისავით შეუწირავს დავითს მონასტრისათვის ეს კაცები; გუჯარო იქნება შეწირულობის დაწერილი, მაგრა თითონ ამ კაცებმა ჩუენ წინაშე სამართალში აღიარეს, რომ გუჯარი დაწერილი არც ყოფილა, არც არისო. ან ამ დავითის მოძღუარს და ან სამღუდელოთ და ერისკაცთ ცხადად ეცოდინებათ, თუ სწორედ ჰეშმარიტად შეწირულნი არიან. და თუნდა მაშინდელი დავითის მოძღუარი აღარც კი იყოს, ახლანდელს მოძღუარსაც ეცოდინება, ამისთვის რომ ამისთანა მტკიცე ფიცით და აღთქმით შეწირული ცხადი საქმე იქნება.

იმისი სიმაღლე აქ ქისიყს ბრძანდება, მოიკითხავს და ჰეშმარიტებას შეიტყობს საქმისასა. და თუ ასე ცხადად აღთქმით და ფიცით შეწირულია, მონასტერს დარჩებიან ეს კაცნი. და თუ დავითს ისე წართქმით უთქუამს ეს შეწირულობა და არც გუჯარია, არც წერილი, არც ჰეშმარიტნი მოწამენი და არცარა უმსახურნიათ ამ კაცებსა იმ მონასტრისათვის, მაშინ მოციქულის პავლეს სიტყვისაებრ ანდერძი დაუმტკიცებელია სიცოცხლეში და შესაძლებელია, რომ გამოიცუალოს; და დავით აფხაზს დარჩებიან ეს კაცები.

ჩუენ ესრეთ განგვიჩენია და განგვიწესებია და ნება მისის სიმაღლისა არს. აგვისტოს ლა, წელსა ჩღჰგ.

მდაბალი მთავარებისკობოსი ჩართული ხელრთვა

მცხეთას ღმრთისმშობლობის დაუჯდომლობის ეკლესიის არხი-

მანდრიტი 

|  |
|--|
|  |
|--|

მცხეთის დიდის ეკლესიის და მისის სიმაღლის კარის დეკანოზი ნიკოლოზ

მწიგნობარ-წინამძღუარი ტრიფილე:

თავში

ჩუენ, ყოვლისა საქართველოსა პატრიარხი მეფის ძე ანტონი, დიკასტირიისა ჩუენისა მსაჯულთა მიერ განსჯილსა განჩინებასა ამას ვამტკიცებ. აგვისტოს ლა, წელსა ჩღჰგ.

კათალიკოზი

1 არიან.

## 387. განვიხილავთ მთავარაკონსკოპოს ანონონისა და მასობა კუთათელასის საქმეზე

1795 წ. 28 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 584. დედანი. ქალაღი. 43,5×30,5 სმ. მხედ-  
რული. განკვეთილობის ჩიშნად ნახმარია წერტილი, მძივე და ორწერტილი.

მთავარეპისკოპოსმა ანტონიმ უჩიველა მახობა ქუთათელას: შენს კაცებს ჩემის ეკლესიის სანთელი ემართათ ბეგრათ და ბატონმა მეფემ ბოქოული მიბოძა, და მისი პირით გთხოვე და შენ საჩხუბრად მოინდომე. და რადგან ეკლესიას თავისი ბეგარა სანთელი არ მოართვი, ამისთვის ეკლესიისაგან შესლვად დაგაყუენე. და შენ არ შეიგონე, არც შემომეხვეწე და არც შენდობა ითხოვე. და ამაში შვიდი თვე გავიდა. და აღდგომას ხინოწმიდელი იოანე იყო ჩემთან; და მძღავერებით შედი ჩემს ეკლესიაში, და დეკანოზმა რომ დაგითხოვა, ლეკურით შეუტევე და კარში გამოაგდე და იმ დღეს წირვა დაათმობინე, და მის შვილებს სიკუდილს დაპირდი. და შენგან ეკლესი[ა]ც გატეხილი შაქუს, მღუდელთ-მთავარიც გალახულია და დეკანოზიც, და ბეგარაც წართმეული შაქუს. და ეს საქმეები მჭირს შენგან.

ეს საქმე ხინოწმიდელს წერალით დაემტკიცებინა, რომ მახობამ სწორეთ ასე ქნაო. დეკანოზი მოძღუარი არის მახობასი და შეჩვენებით თქუა, სწორეთ ასე იყოვო ეს საქმე. და ეგრეთვე პასარიონ მღუდელმა დაამტკიცა. და ამათან სხვა სამღუდლო კრებულიც მოვიდნენ და ისინიც ასე მტკიცედ ემოწმნენ.

და აწ ჩვენ ასე გავაჩინეთ: რადგან ორი მღუდელთ-მთავარი და მისი მოძღუარი, და სხუა სამღუდლო კრებული ესრეთ ემოწმნებიან და შეჩვენებით ამტკიცებენ, ამასთან სხვა სიტყვა და ურა ყოველივე ტყუილი იქმნება.

მღუდელთ-მთავრის შეურაცხების და დეკანოზის და ეკლესიის წინააღმდეგობის, და კუალად ეკლესიაში მახვილით დაქადების გარდასახადი ამას არ შეეძლებოდა. და ესეოდენის დანაშაულებისთვის შევამოკლეთ და ხელათმქნელათ უნდა მიეცეს მახობა მთავარეპისკოპოსს.

საკორციელო სამართალი ჩვენ ამის მეტი ვერ შევიძელით. და სასულიეროთ თვით განაწესონ.

წულუკიძის წყალობას და მინაცემს გარდა, თავისის ყოფით მიეცეს მახობა მთავარეპისკოპოსს.

ოკდონბრის კვ, ქრისტეს აქათ ჩღუე.

ბეჰელი: მდივანი და ვით.

მარცხენა კოდეზე:

ქ. მეფე იმერთა მეორე სოლომონ და ვითიანი ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა.

ბეჰელი: მეფე იმერთა სოლომონ.

მე, წულუკიძე კაცია, ამა მათის უმაღლესობის მეფის მდივანბეგების განჩინებას ვამტკიცებ და თანამოწამე ვარ და ჯერ მიჩნს და მორჩილ ვარ ამა ზემო წერილისა აღწერილისა.

ბეჰელი: მონა ღვთისა წულუკიძე კაცია.

verso:

ქ. ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ წიგნსა ამას. და ვინც ეს გასტეხოს წმიდის სამებისაგან შეჩვენებული იყოს: სულით და კორციით.

ბეჰელი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს.

ქ. ყოვლად სამღვდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმე ვამტკიცებ წიგნსა ამას. და ვინც ეს გასტეხოს წმიდის სამებისაგან შეჩვენებული იყოს სულით და კორციით.

ბეჰელი: გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმე.

ყოვლად სამღვდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი მაქსიმე ვამტკიცებ წიგნსა ამას და შევაჩვენებ ვითარცა ეშმაქსა ამა წიგნისა გამტეხსა.

ხლართვა: ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი მაქსიმე.

სხვა ხელით:

მთავარეპისკოპოსის ანტონის და მახობა ქუთათელადის საჩივრის განაჩენი.

**388.** განჩინება გლახა მახობელისა და გოგია ზარდიაშვილის სასისხლო.

სამეფო

1795 წ. 18 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 677. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. მახატელი გლახა ზარდიაშვილს გოგიას და მის ძმას გლახას უჩიოდა მათს უგანათლებულება ბატონიშვილს იულონთან: მამულზედ საჩივარი მოგვიხდა და მათის უგანათლებულობისაგან სიმართლით განაჩენი მებოძა; და ოთარ მახატლის წილი მამული რომ ნახევარ სამახატლო

არის, ზარდიაშვილებს დარჩა სამართლით და მახატლის პაატას წილი მამული, რომ ამ პაატას სამი შვილი ჰყოლია, გიორგის წილი სამართლით მე შებოძა, ბარძიმისა და პაპუას. წილზედ ფიცი დამედო, რომ სამის ჩემის ყმით უნდა შემეფიცნა; და თუ არ დავიფიცავდი, პაპუას წილი მე დამრჩებოდა და ბარძმის წილი ზარდიაშვილებს.

ამისი იასაული კურთხეული მათის უგანათლებულესის სახლთხუცესი აბაშიძე იოვანე იყო, მოვიდა ჩემს სოფელშია. მე როგორც განაჩენით ფიცი მედო, იმ გზით მახატლის პაპუასა და ბარძიმის წილს მამულზედ ფიცს ვაპირებდი; ხატის ჩასასვენებლად რომ მოვიწიეთ, მაშინ გოგია ზარდიაშვილმა ეს გვიპასუხა: მე არ შემეძლიან — ფეხი მტკივაო და ჩემმა ძმამ კი არა იცის რაო. და ამ მიზეზით ჩემგან ფიცი დარჩა.

მერე სახლთხუცესმა იოვანემ პაპუას წილი მამული გამიჯნა, მე დამანება და ბარძიმის წილი მამული ჩემს ფიცამდის ძირს დარჩა. რადგანც პაპუას წილი მამული გამიჯნით იასაულმა მე დამანება, პაპუას წილს მამულში სახლის ალაგს ვსთხრიდი. მომიხდნენ ორნი ძმანი ზარდიაშვილები, ავათ მომეპყრენ, თოფის დიგლიგით ჩამაქციეს, ჩემს კაცს ორჯერ ხმალი სცეს და მუშაობაზედ ხელი ამაღებინეს. ამის სამართალს ვითხოვო.

ზარდიაშვილები ამას ეპასუხებოდნენ: პირველად კაცი მოგიგზავნეთ — ეგ მამული სადაო არის, ნუ მუშაობო: შენ არ დაიშალე. ჩვენც მოვედით და შფოთი მოგვახდა; ცხენიღამ გადმომაგდე და ავად მომეპყარო.

მახატელი ამას ეპასუხებოდა: მართალია, თოფის დიგლიგის ცემით რომ საქმე გამიჭირვეო, ჯოხი მეჭირა, ცხენს დაეკარ, შეფთხა და გადმოგაგდოო. ამის მეტი არა შემეცოდებია რაო! თქვენ ორნი ძმანი მოხვედით. ერთმა ძმამ მე კინალამ თოფის დიგლიგის ცემით მომკალო. და მეორემ ძმამ ჩემს კაცს პეტრეს ორი სმალი ეც და მუშაობაზედ ხელი ამაღებინეთო.

ამათი სამართალი მათ უგანათლებულესობას ბატონიშვილს იულონს ჩვენ — მსაჯულთათვის ებრძანათ. გამოვიძიეთ და ზედმიწევნილი ვიქმენით, რომ: პაპუა მახატლის წილი მამული კურთხეულს სახლთხუცესს იოვანეს გაემიჯნა და მახატლის გლახასთვინ დაენებებინა. რადგანც იასაულმა გამიჯნა და მახატელს გლახას და-

1 რაო! არაო.

ანება, ზარდიაშვილები არ უნდა მიხტომოდნენ და შფოთი მოეხდინათ. თუ სიტყვა ჰქონდათ რამე, სამართლისათვის უნდა მოეხსენებინათ. სანატრელის მეფის ვახტანგის სამართლის წიგნი — ნგრიცხვში უსასახლოდ მამულში მიხდომისათვის მესამედს სისხლს უჩენს. რადგანც მახატელი აზნაურშვილია, შუა აზნაურშვილად ჩავადგევით. შუა აზნაურშვილის მთელი სისხლი მეფის ვახტანგის სამართლის განჩინებით ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი არის, რომ იქნება ამისი მესამედი ოცდათორმეტი თუმანი; რომ ეს ოცდათორმეტი თუმანი ზარდიაშვილებმა მახატელს გლახას უნდა მისცენ მიხდომისათვის — ნახევარი ნაღდი და ნახევარი ჯინსა.

ზარდიაშვილს რომ გლახა მახატლისათვის თოფის დიგლივები წაუკრავს და მახატელს ცხენიდან გადმოუგდია ზარდიაშვილი, ეს ერთმანერთში გაუატარეთ.

და მახატლის კაცის პეტრესათვის რომ ზარდიაშვილს ორჯელ ხმალი უცია, ხორკათ არ უწევია, ტანისამოსი ჰქონდა გაჭრილი. ეს ორჯერ ხმლის ცემა ორის ქერის მარცვლად ჩავადგევით. გლეხის კაცის ერთის ქერის ჭრილობისა სისხლი ორი მინალთუნი<sup>1</sup> არს, რომ იქნება ორი ქერის ჭრილობის სისხლი ოთხი მინალთუნი<sup>1</sup>. ეს ოთხი მინალთუნიც ზარდიაშვილმა მახატლის კაცს პეტრეს უნდა მისცეს. ოცდათორმეტი თუმანი მიხდომისათვის რომ გაუჩნდა, ავის დროს და შეუძლებლობის მიზეზით ათი თუმანი სამართალმა აპატევა; და ოცდაორი თუმანი კი მისცენ ზარდიაშვილებმა.

მათის უმაღლესობის მეფის მეორის ირაკლის ახალა განჩინება არის: ვინც ჩხუბში მახვილი იხადოს, იმას მახვილის ქარქაშიდამ ამოღებისათვის რისაც გვარისა იყოს, ხელის სისხლი სარქრისათვის ჯარიმად წაერთვას; თუ მოჰკლას ვინმე ან დასჭრას, იმასაც სისხლი უნდა დაუშურ[ვ]ოს.

რადგანც ზარდიაშვილს ხმალი ამოუღია და მახატლის კაცისათვის უცია, ხლმის ცემის სისხლი ხომ გაგვიჩენია. ზარდიაშვილი შუა აზნაურშვილად ჩავარდა; შუა აზნაურშვილის სისხლი ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი არის; და ერთის ხელის სისხლი მეფის ვახტანგის სამართლით მთელის სისხლის მესამედი არის, რომ იქნება ოცდათორმეტი თუმანი. ეს ხლმის ამოღებისათვის ზარდიაშვილს სარქრისათვის ჯარიმად უნდა წაერთვას.

<sup>1</sup> მინალთუნი.

იასაულო ბოქაულთხუცესო ფ ი რ ა ნ! ეს ასე გაარიგე. გიორ-  
გობის იგ, ქორონიკონს უპგ.

კიდეზე:

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე იულონ, ვამ-  
ტკიცებ განაჩენს ამას. ნონებრის იჴ, ქორონიკონს უპგ.

### 389. განჩინება დოსითეოს ქუთათელისა და ბეჟან პრისტივისუვილის მამულის საქმეზე

1778—1785 წწ.

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2405. დედანი. ქაღალდი. 15,5×15,3 სმ. მხედრულა.  
განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვაა შემდეგ ნახშირია წერტილი. საბუ-  
თი თარიღდება დოსითეოსის ქუთათლობის წლებით.

ქ. ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს და ბე-  
ჟან ერისთვის შვილი გავაბჰვეთ.

ქუთათელმა უჩივლა: ჩემის ეკლესიის ქუთათის ღმრთის-  
მშობლის შეწირული ბაჟი სანთელი გაქვს, ამთენი ხანია გთხოვ და  
არ მამდეგ.

ბეჟან აშორო უთხრა.

ამის ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბეჟან ორმოცი გლეხი კაცო  
და ასე შეფიცოს, შემოუაროს: «შენ რომ\* საგლეხოებს მედეგები,  
დღეს რომ მე მიჭირავს, არც შენს დავთარშიდ ეს ეწეროს და არც  
შენის ეკლესიის ქუთათის ღმრთისმშობლის ეს იყოს».

თუ ასე შეფიცოს, რომელსაც შემოუაროს, ბეჟანს დარჩეს. და  
ათუ ვერ შეფიცოს, ღმრთისმშობლის შეწირული ყოფილა და ქუთა-  
თელს დარჩეს.

ბეჟელი: მდივანი დავით.

\* აქ ერთი სიტყვა წაშლილია.

1706 წ. 8 აგვისტო

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 51. საბ. № 175. პირი. ქალაქი. მხედრული.

[140] ღირბელებსა და ფალვენიშვილს თეიმურაზს ფარეშთხუცესსა ჩხუბი მოსლოდათ, ყანაზედ ცილობდნენ ღირბელები და დვანელები: ყანა ეს ჩემია და ეს ჩემია. ღირბელებსა და თეიმურაზს ორთავ ბატონიშვილს იულონთან ეჩივლათ და ჩვენთვის, დიასამიძე მორდალისა იასეს-თვინა და გლახა ეშქალასბაშისთვის<sup>1</sup>, ოქმით ებრძანებინა: წადით და ამათი სინორები გაქარჩიეთო.

• ჩვენ, იასული იყო, ავალისშვილიც თან წავიყვანეთ, მივედით და ფარეშთხუცესმა რომელიც სირონი გვაჩვენა, ამას ქვეით ღირბულიათ და ამას ზევით დვანურიათ, ის სირონი ვნახეთ, მაგრამ ვერ იყო სოფლურს რიგზედ მიჯნები. ჩვენ აგვატარა თეიმურაზმა ნაქალაქევესა და ასე ვნახეთ: რამდენიმე სამოსახლო ღირბელებისა დვანისაკენ დარჩომილიყო, ამაზე ღირბელები<sup>2</sup> ყელქცეულის გვერდიდამ წამოგვიძღვენენ თავიანთ სირონზედა, რომელიც რომ მიჯნები იყო ქვეებისა, თითო-თითო კაცნი დაეყენეთ და მოვედით. მიჯნებს მიყვებით და ნაქალაქევეს თავი გადმოუარა და რომელიც რომ ზემოთხსენებულნი ღირბელები სახლებულან ნაქალაქევეში, ის ამ ღირბულს სირონ შიგნით დარჩა.

გაგვიძღვა ეს სირონი, რომელიც სერი წადგება დომელსა და გუფთას შუა, სერზედა ერთი მიჯნა იქ იჯდა; ამის პირდაპირ რომ ეძახიან ტახტსა, ერთი მიჯნა კიდევ [V] იქ იჯდა; ამის პირდაპირ რომ ჩავედით ძირზედა, ერთი სამანი კიდევ იქ იჯდა; ამას ქვეით კიდევ ღირბელი ოქრომჭედლიშვილი ღირბელი მემკვიდრე იმ მიჯნას ქვეით სახლებულან, რომელიც დვანელები<sup>3</sup> ამბობდნენ [N] — ეს ალაგი ჩვენიათ, იმაში სახლებულა, ამ ღირბულს სირონს შიგნით დარჩა ეს ოქრომჭედლიშვილი.

ამ მიჯნის პირდაპირ რომ წავედით, ერთი მიჯნაც შუა ქალაში იჯდა; კიდევ ფრონეს რომ გავედით, პირდაპირ ერთი მიჯნაც კიდევ იქ იჯდა; გაღმა ბეგზედა გაგვიძღვენენ, იმას ზევითა რომელიც დვანის<sup>4</sup> გზა არის, ერთი დიდი კლდე იქ იჯდა; იქიდან კიდევ

<sup>1</sup> ეშქალაბიშისთვის. <sup>2</sup> ზეიქეულას. <sup>3</sup> დვანელები. <sup>4</sup> დვანის.



გაგვიძღვნენ ამ გზას ზეითა, რომელიც გზა ქველეთის ტყის თავში გადასავალია, ერთი დიდი კლდე კიდეც იქ იჯდა.

რაც რომ ეს მიჯნები ვნახეთ, ყველგან ზედ კაცნი დავაყენეთ. ასე გავარჩიეთ, რომ მიჯნები ყველა ერთმანეთს უყურებდნენ[6] და პირდაპირ ისხდა.

ამ მიჯნას გარეთ კიდეც აქეთ-იქით დვანისაკენ მიწებს დაობდნენ ღირბელები; თუმცა თეიმურაზს ფიცი შეხ[კ]ედროდა, მაგრამ ფიცი წაუხდებოდა, ამისათვის რომ ღირბელებისა რამდენიმე სამოსახლოები შიგნით, თეიმურაზ რომ სირონს [გვაჩვენებდა, იმის] შიგნით ღირბის სამოსახლოები რჩებოდათ დვანისაკენა.

ღირბელები, რომელიცა არაან მოსახლენი, [141] დღეს ცოცხალნი გახლავან<sup>1</sup>, ასე მოგახსენებენ: ჩვენ დავიფიცამთო, რომ ეს მიწა არც დვანური იყოსო და ჩვენც აქ ვსახლებულვართო.

და თუ ფიცი შეხვდებათ, ამათი უფრო ჯეროვანი არის, რომ თავიანთ მოსახლოებზედ დაიფიცონ. დვანურიც ერთი მოხუცებული მამსწრე კაციც არავინა გახლავსთ. და თეიმურაზ ფარეშთხუცესიც ყმაწვილი გახლავსთ, მახსოვარი არც ეს გახლდათ<sup>2</sup>.

დვანში ერთი იკორთის წინამძღვარის კაცმა ერთი ნასყიდობის წიგნი წამოაყენა, რომ გუფთაში რამდენიმეს დღის მიწა მიეყიდნა ღირბელს კაცსა, რომ ღირბელი სირონ ქვეით გაეყიდნა; და იმ ნასყიდობის წიგნში ღირბული მემკვიდრე კაცნი არ ეწერა მოწმათა; და ამ პასუხს აძლევდნენ, რომ ქურდულად არის გასყიდული ეს მიწაო, თორემ ელუსარემისა მიწა არ გაიყიდებათ. თუ სწორე იყოს, თავისი მეზობლები რატომ მოწმათ არ გიწერიათო.

ეს ასე გავარჩიეთ და ნება თქვენია. მარიამობის 5, ქორონიკონს უპდ.

ჩვენ, ბატონის შვილი იულონ, ამ წიგნს ვამტკიცებთ. აგვისტოს 3, ქორონიკონს უპდ.

თავში:

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა ირაკლი მეორე, ამ განჩინებას ვამტკიცებთ. იანვრის 6, ქორონიკონს უპდ.

<sup>1</sup> გახლიან. <sup>2</sup> გახლიათ.

1796 წ. 18 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2780. დედანი. ქალაღი. 45X15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. თარხნიშვილი სოლომონ მეითრის ყმა კავთისკეველი დავალიძე ჩოღდა: მემკვიღრე კავთისკეველი ვარო და ჩემთვის მეფეს კოსტანტინეს კავთისკევეში თავისის ხოღაბუნებღღამ ასის დღის მიწა უბოღებღღაო. და ახღა თარხნიშვილს ბეცღაას ბატონმა როღმ თავისღი სახასო კავთისკევეღი უბოღაო, ეს ჩემღი მამუღებღიღ ცღმან მიღმღღღღღღაო. ამღის სამართაღლს ეღთხოვო.

ბეცღა თარხნიშვიღი სამართაღლში მოვავყვანიღნეღთ და ეს გაღმოუცხადეღთ. ბეცღა თარხნიშვიღმა მეფღის კოსტანტინეს წღიღნი მოსღოხოვა დავალიძესა.

დავალიძემ წღიღნი წამოავყენა მეფღის კონსტანტინესღი, რომელიღც ქორონიკონს რღნბ ამღდენს დაწერიღი იყო. დავალიძისათვის უბღდა-ღებღა: შეღ ჩემს სახასოს გღღეხად დაგასახღღეთო და მოგეცღთ ახღ-შეღში ჩვენის ზღვრის ნახეღვარო, საბათგოღრში ჩვენის ხოღაბუნის ნახეღვარო, ღვართწყაროს ბოღღოს ჩვენის ხოღაბუნის ნახეღვარო და ღვანღის ხოღაბუნის ნახეღვარო და [ზღვართკარს] ნაფუზღრის ნახეღვარო. ასე, როღმ ასის დღღის მიწა შეგისრუღღეთო.

ბეცღამ ასე უბღასუხა: საბათგოღრში ხოღაბუნღი ხეღლთ ვღიჭღრავსო; ღვართწყაროს ბოღღოს ხოღაბუნღიღც კეღლთ ვღიჭღრავსო; ახღლმემშიღც ვენახსაღც ვღიპოღენო და ნაფუზღარსაღცაო; და კვანღათ ხოღაბუნღი არ ვღიციო.

დავალიძემ მიუღგო: შეღ როღმ ახღა ხოღაბუნღი ვაღიკე-ათე, ის ოღრ მიღჩნად იყო ვაღკეთებუღლიო: ერთღ აღღმა-დაღღმა იყო ვაღკეთებუღლიო, და სახნავღი და მეორე — ვარღღივარღღო. შეღ მიღჩნად მოღშაღღეო და ვააერთეო, ღვანღათ ხოღაბუნღი ის არღსო.

ბეცღა ამას შოღრს იჭეღრდა.

ახღა ჩვენ ეს სამართაღლი განვაჩინეღთ: ოღმან ლაშქარნივისღი ხეღრხეუღღიღც, ხღიღღრბეღღიშვიღღი მამუღკა და საღ-ღინაშვიღღი ბეღჯან უღნდა მივიღღენენ კავთისკევესა და ვისაღც

\* შღღრ. 1796 წ. 23 აგვისტოს განიხილავთ ამავე საქმეზე. (აქვე, № 393).

კავთისკევეში მეფეთაგან წყალობის წიგნები ჰქონდესთ, ან თარხნი-  
წინათგან მიცემული ან წინამძღვრებისაგან მიცემული, ან ერთმა-  
ნეთში ნასყიდობაების წიგნები — სულ უნდა მიატანიონ და გა-  
შინჯონ. თუ იმითი ერთი რამ ნიშანი გამოჩნდა ღვანძათ ხოდაბუ-  
ნისა და იპოვნეს, ხომ ის იქნება დავალიძისა.

და თუ<sup>1</sup> ვერ იპოვნეს, მასუკან რომელსაც დავალიძე ამბობს,  
ეს არის ღვა[ნ]ძათ ხოდაბუნიო<sup>2</sup>, იმაზე თარხნიშვილმა ბეციამ ორი  
ძოდღვრიანი კაცი შეაფიცოს: «ამისმა მადლმა და ვანმაცხოველე-  
ბელმა ღმერთმა, დავალიძევე, არც ეს იყოს ღვანძათ ხოდაბუნი და  
არც ვიცოდეთ».

თუ ასე იფიცა, ხომ დავალიძეს საქმე არა ექნება რა. და თუ  
ვერ იფიცადა, დარჩება დავალიძეს ღვანძათ ხოდაბუნის ნახევარი.

ეს ასე გავგირიგებია. მაგრამ თუ კავთისკევეში ახლა წიგნი ვინ-  
მე დამალა ამ ღვანძათ ხოდაბუნის ბარობაზე, მასუკან თუ უნდა  
კიდევ გამოაჩინოს, ბათილია. ამიტომ, რომ იქნება იმ წიგნის და-  
შალვით მოსამართლე უსამართლოში შეიყვანოს და ფიციც უსა-  
მართლოდ მოხდეს. და ამიტომ წიგნი არავინ უნდა დამალოს.

ავვისტოს იმ, ქორონიკონს უპდ.

თუ ფიცით გადასწყვიტა ბეციამა, იმასთან კი საქმე აღარა ექ-  
ნება რა დავალიძესა. თუ ღვანძათ ხოდაბუნი სხვარიგად უნდა  
წიოდებნოს.

ბჰელი: ღმრთისმშობლის სასოიანი, ი უ ლ ო ნ დავითიანი.

### 392. ბანჩინება მამავარიანებისა და სრამელაზის სახისხლი საქმეზე

1708 წ. 20 ავისტო

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 144. პარი. ქალაღი. მხედრული.

[114] მაჰავარიანები და სრესელე ბი ერთმანერთს  
ღჩიოდნენ ხლმით დაქრახედ, თავის გატეხაზედ, მიხდომ-მოხდო-  
მაზედ, დედაკაცის მუცლის წახდენაზე და თოფით და ხლმით ერთმა-  
ნერთის წევაზე. ამგვარები ერთმანერთთან ბევრი საჩივრები ჰქონ-  
დათ მაჰავარიანებსაც და სრესელებსაც.

ესენი ვალაპარაკეთ და ამათი საჩივარი რომ ჩვენ მოვისმი-  
ნეთ, ერთმანერთში გავედით-გამოვედით და მაგდენი ერთმანერთზე  
[v] მეტ-ნაკლები არა იყო რა, ორისავე საჩივარი გავატარეთ; რაც გა-  
წაჩენები ჰქონდათ, ორთავე დაუხივეთ და ერთმანეთს შევარიგეთ.

ამ თარიღამდე თუ ერთმანეთთან ჩხუბი მოსვლიათ, იმაზედ  
ერთმანერთს ველარას ედავებიან. და თუ ღლეის იქით კიდევ ამათ

<sup>1</sup> † და თუ. <sup>2</sup> † მას უკან.

ჩუბი ქნეს, რომელსაც დანაშაული ექნება და შფოთის მიზეზს მისცემს, ყმასაც წავართმევთ, მამულსაცა და კიდეც გავრეკთ.

ავვისტოს კ, ქორონიკონს უპდ.

მეფის ძე  
იულონ

### 393. განჩინება დავალიძისა და გაცია თარხნიშვილის მამულის საქმეზე\*

1796 წ. 28 ავისტო

ცსა. ფ. 1448. საბ. № 4154. დედანი. ქალაღი. 39,5×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახარია წერტილი.

ქ. მის უგანათლებულებობას ბატონი შვილს იულონთან ჩიოდა დავალიძე: მე მეფის კოსტანტინეს წიგნი მაქვსო, კავთისკევეში ასის დღის მიწა თავისის ზოდაბუნებიდამ უბოძებიაო და ახალშენი<sup>1</sup> ზვარი და ზვართკარს ნაფუზრის ნახევარიო; და ახლა მეფემ თეიმურაზ სახასო კავთისკევი ლუარსამ თარხანს რომ უბოძაო, იმისი შვილი ბეცია მე აღარას მანებებსო.

ამ საქმეზე ბატონიშვილმა იულონ ჩვენ — ხერხეულიძე ლაშქარნივისი ომან, ხიდირ ბეგიშვილი მამუკა და საგინაშვილი ბეჟან გორიდამ კავთისკევეს გამოგვიტუმრა.

თარხნიშვილი ბეცია და დავალიძის ბატონი თარხნიშვილი დათუა ერთად შევეყარეთ. და დავალიძე ვალაპარაკეთ: მეფის კოსტანტინეს წიგნი მოიტანა და ბეციას წაუკითხა.

ბეციამ უპასუხა: გამომყევითო და რაც ადგილები სწერია, სულ თითო-თითოდ ვაჩვენებო.

შევსხედით, წავედით, ერთს ადგილს მიგვიყვანა, ერთი მიწა გვაჩვენა; ახალშენში<sup>2</sup> ზვრის ნახევარი რომ უწერიაო, ეს ახალშენის ზვარიო და ზვართკარს რომ ნაფუზარი უწერიაო, ეს ბოლოზე გარდიგარდმო მიწა რომ ძევეს, ეს არისო.

იქილამ წამოგვიყვანა, ერთ წყაროზე მოგვიყვანა. ღვართწყარო ეს არისო; და ღვართწყაროს ბოლოს ხოდაბუნი რომ უწერია, ეს არისო, ფეხი დაუდგა, აქამდინ არისო.

1 ახაშემი. 2 ახალშემში.

• შღრ. 1796 წლის 18 ავისტოს განჩინებას ამავე საქმეზე.

იქიდან წამოგვიყვანა, ერთს ადგილს მოგვიყვანა, ვანძათ  
:ხოდაბუნი ეს არისო.

იმის ქვემოთ წამოგვიყვანა მინდორში, ერთი პატარა გორა  
არის, საბათგორი რომ უწერია, საბათგორის ხოდაბუნი ეს  
არისო.

იქიდანაც წამო[გვი]ყვანა და კავთისკევის ბოლოს ხრამთა პირს  
მოგვიყვანა; ხრამთა პირს გაღმა-გამოღმა ხოდაბუნი რომ გიწერია,  
ეს არისო.

რაც მეფის კოსტანტინეს წყალობის წიგნში დავალიძეს ეწე-  
რა, მთლად უჩვენა, ესენი ბატონის სახასო მამულეები არისო. სახა-  
სო მამული ბატონისაგან მე მბოძებიაო; დ[ა] მე არას გედავებო,  
შენსას კელი მოჰკიდეო.

ჩვენ კელი აუმაართეთ და მივაბარეთ დავალიძესა და ეს სა-  
მართალი უყავით: ღვართწყაროს ბოლოს ხოდაბუნი ცალქალა-  
მნიძე იოსებს რომ უჭირავს და ჯაჯანაშვილს გაბ-  
რიელს, თუ ან ბატონის წყალობა სჭირსთ, წიგნი მოიტანონ და  
დავალიძეს სიტყვა არ ექნება. თუ დავალიძისაგან ნასყიდი აქვსთ,  
ნასყიდობის წიგნი წამოაყენონ.

და თუ ეს თქვენ, რომ<sup>1</sup> წიგნი დავკარგეთო, ან ისეთი მოწმე-  
[ე]ბი უნდა მოიყვანონ, რომ იმ მოწმე[ე]ბ[მ]ა მოსამართლეს გულა  
დააჯერებინონ, რომ ან მეფეთაგან ნაწყალობევი ჰქონდესთ და ან  
დავალიძისაგან ნასყიდი.

და თუ არც მოწამე ჰყვანდესთ, მასუკან ფიცით გული აჯე-  
რონ დავალიძესა ან მეფეთაგან ნაწყალობაზე და ან ნასყიდობაზე.

და თუ არც წიგნი აქვსთ, არც მოწამე ჰყავსთ და ვერც ფიცს  
შეიძლებენ, დარჩება დავალიძესა. ცალქალამნიძე იოსებს და ჯაჯა-  
ნაშვილს გაბრიელს საქმე არა ექნება რა.

ვანძათ ხოდაბუნი და საბათგორის ხოდაბუნი დავალიძეს კი-  
დეც მივაბარეთ, კელთაც უჭირავს და არცავეინ მოდავე ჰყავს.

ხრამთა პირს ხოდაბუნისას ამბობენ დავალიძისაგან ნასყიდი  
გვაქვსო; ვინც წიგნი წამოაყენოს დავალიძესა, თავისგან მისყიდუ-  
ლი რაც იმ წიგნში ეწეროს, დაანებოს და დანარჩომი თითონ დაი-  
ჭიროს.

ეს საქმეები ბატონიშვილის იულონის ბძანებით, ჩვენ, ხერხე-  
ულიძე ლაშქარნივისმა ომან, ხიდირბეგიშვილმა მამუკამ და საგინა-  
შვილმა ბეჟან ასე გავარიგეთ.

<sup>1</sup> + რომ.

ავვისტოს კგ, ქორონიკონს უპდ.

ქ. კიკოლა ცალქალამნიძე ახალშნის ნაზერევეზე რომ დაობს, როგორც ზემოთ იოსებ ცალქალამნიძის და გაბრიელ ჭაჭა-  
ნაშვილისა დაგვიწერია, ამ კიკოლამაც იმგვარად ან წიგნით ან  
პოწმით და ან ფიცით გაიტანოს და გაარჩიოს. და თუ ვერცეთით  
საბუთი ვერ ჰქნადა, საქმე არა ექნება რა.

ორი ბეჰელი:

1. ო მ ა ნ .

2. მონა ღთისა მამუკა .

ქ. მე, ბეჰეან საგინაშვილს, ბეჰელი არა მქონდა, ეს  
ჩემი ხელია

კიდევ:

ქ. მე, ბეცია თარხნიშვილს, ამ გარიგების ყაბული  
მაქვს. ასე, რომ დავალიძეს თავის ნასყიდს მიწებს გარდა რასაც  
მიწებს უპოვნი, იმითი და ამ ჩემი ჩვენებულის ხორდაბუნებიდამ  
ასის ღღის მიწათ შეუსრულებ. ავვისტოს კგ, ქორონიკონს უპდ.

ბეჰელი: მონა ღთისა ძე თარხნისა იოანე .

ქ. მე, თარხნისშვილს დავალიძის ბატონს დავითს,  
ამ წიგნისა და გარიგების ყაბული მაქვს. ავვისტოს კგ, ქორონიკონს  
უპდ. ბეჰელი არა მქონდა და ეს ჩემი ხელია.

ქ. ჩვენ, მეფის ძე იულონ, ამ განზინებას ასე ვამტკი-  
ვებთ. ავვისტოს ლ, ქორონიკონს უპდ.

ბეჰელი: ქ. ღთისშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

### 394. განჩინება მფთვირე განათლისა და ათანასე ჯვარისმამის მამულის საქმეზე

1790 წ. 20 ავვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1240. დედანი. ქაღალდი. 27,3×44,7 სმ. მხედრული.  
განკვეთილობის ნიშანი ნახვარია არ არის.

ქ. მისმა სიმალღემ ბატონმა მეფემ სოლომან — არჩი-  
ლი[ს] ძემან — მეორე მან მიბოძა კარის მღვდელი წერეთე-  
ლი დავით და გუმცაძე ქაიხოსრო მე — ჯვარის-  
ნამას ათანასეს.

გენათლის კაცებს და ჩვენსას ერთმანეთშიდ სადგოები მიწები  
ქონდათ. ილაპარაკეს და ძველი და ახალი სუ[ლ] ყველა სადგო ად-  
გილების ფიცით გარდასწყდა და მორიგდ[ე]ნ; რომ პირვანდელი ნაქ-

მარი საქმეშიდ სიტყვა აღარა აქვსთ მთას გარდა. და მთაზედ სამართალი არის გაჩენილი და მაშინ მორიგედენ ამ საქმეშიდ.

ბატონის ყოვლად სამღვდელო გენათლის ეფთვიმის მოხელეებიც ამ სამართლებშიდ იყვნენ. ასე გარდასწყდა.

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდათექვსმეტს, თვესა აგვისტოსა ოცდაშვიდსა.



ორი სტრიქონი ბერძნული ტექსტი.

### 395. ბანჩინაბა ტარაბროზან ჯალაღისა და პანტალას შვილის

მიქელას შალის საქმეზე

1796 წ. 28 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 23. საბ. № 114. პირი. ქალალი. მხედრული.

[V] ტერ-პეტროზას სახლობა პენტელას შვილს მიქელას უჩიოდა: ჩვენი თეთრი ემართა, რაც მამული ან ყმა აქვს, სულ ჩვენთან გირაოდ იყო და ამ მამულის მოსაგაღს [114] სულ ჩვენა ვკამდით ამდენს წელიწადსაო. ახლა ტყვეების პატრონი ვარო, ჩემი თეთრი მომცეს, თავისი მამული თვითონ მოიხმაროს.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, პენტელას შვილმა იოანემ მუშრიბმა ერთი ოქმი მოიტანა მისის უმაღლესობისა, მათ მონათ ქვემორე დამბეჭდველთზედ რომ მოეხსენებინა, ჩემს ძმებთან სალაპარაკო მაქვსო, მელიქს და ქეთხულებს უბძანეთ — ჩემი და ჩემის ძმის საქმე გადაწყვიტონო.

ჩვენ ეს პენტელას შვილები ორნივე მოვაყვანიეთ. იოანემ ერთი განაჩენი წამოაყენა მოქალაქეების სამართლისა, რომ მუშრიბის იოანეს და თავის ძმების სამართალი ეწერა. იმაში ზოგიერთი ხარჯები ეწერა: სანამ ეს იოანეს არ მიჰბარდეს, მიქელას წილი მამული ამ იოანე მუშრიბთან უნდა იყოსო.

მიქელა ამას ეპასუხებოდა: ეგ რომ მოქალაქეებმა დაგიწერეს, მელიქმა ნახა, რადგან უსამართლო იყო, აღარ დაგიბეჭდაო. და მასუკან ბატონ დედოფალთან ვიჩივლეთ, განაჩენი მიღობა, რომ იმ განაჩენით და სიგლებით ჩემი მამული უწინ მთავარეპისკოპოსთან დავაგირავეთო და მერე ტერ-პეტროზასთან დავაგირავეთო და ის განაჩენი რომ დაკარგულა, ახლა მელაპარაკებო.

ჩვენ იოანეს ვკითხვით, [V] ეს მამულები რომ სხვაზედ დაავიროვა, რატომ მაშინვე არ ელაპარაკე და ბალის, წისქვილის, სახლეანის შემოსავალს ტერ-პეტროზას რათ ანებებდიო.

იოვანემ გვიპასუხა: მე მაშინ უსამართლო დამემართაო, სამართალს ველოდი, იმიტომ ვანებებდიო.

მიქელამ ესეც უთხრა: შარშანს წინ რომ ტერ-პეტროზამ ბატონის ოქმით იასაულა დამაყენა და მელიქმა კაცები მომცა, მამული და სახლები დაფარეს, თუ სიტყვა გქონდა რამე, მელიქს რატომ არ მოახსენე, ამ მამულებთან სამმო სალაპარაკო მაქვს და ნუ გააყიდვინებთ.

ამ საბუთებით სჩანს, რომ როდესაც ის ბატონი დედოფლის განაჩენი დაუკარგავი ყოფილა და სცოდნია, რომ არას შეუვა, მაშინ დასაგირ[ავ]ებლად დაუნებებია და ტერტერასაც იმ მამულების შემოსავალი ამდენს წელიწადს უჭამია. და ახლა რომ ის განაჩენი დაკარგულა, ახლა ელაპარაკება.

ქალაქის განწესებით ტერ-პეტროზას თავის გირაოს იოანე ვერ წაართმევს, ამ მიზეზით, რომ ამდენი ხანია იმ მამულს ტერ-პეტროზა სჭამს და იოანეს არ ულაპარაკნია და მოსავალი დაუნებებია.

ახლაც პირველად რაც მიქელას და გაბოას წილი [115] მამული არის, ტერ-პეტროზას თეთრი სრულად იქილამ უნდა ადგეს. თუ იოანეს თავის ძმებთან სალაპარაკო აქვს, მერე ელაპარაკოს და თავისი სამართალი ტერ-პეტროზას ჯალაბს კი თავისი გირაოები არ წაერთმევა. სეკდენბერს კვ, ქორონიკონს უბდ.



### 396. განჩინება ტატიშვილების მამულის საქმეზე

1796 წ. 20 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 46. საბ. № 7. პირი. ქალაღი. მხედრული.

[4] ზემო ტატიშვილები ზურაბ, თამაზა, სვიმონ ქვემო ტატიშვილს იოთამას, ამის ძმა პაპუას საყდარსა და სასაფლაოს ეცილებოდა — ნახევარი ჩვენი არისო.

იოთამ და პაპუა ამას უპასუზებდა: შენ ჩვენთან საქმე არა გაქვსო, სამკვიდრო ჩვენი არისო.

ამაზე დიდი დავა ქონდათ და დიდს ხანსაც იდავეს და ჩხუბიკ მოსლოდათ. მოვიდა იოთამ და პაპუა, ამ საქმეზე შემოგვიყვლა.

მოველი მე — ამათი ბატონი დავითიშვილი ზა[ა]ლი იემი შვილებით როსტომ და გოგია და თან დავისწარით ბატონის ამილახვარის ბოქოულთხუცესი უთრუთ, ოქრომჭედ-



ლი შვილი და ვით, ჩვენი აზნაურშვილები და მსახურნი. ამათი საჩივარი მოვისმინეთ.

ზემო ტატიშვილებს არც წიგნი ქონდათ, არც სარწმუნო მოწამე. და იოთამ და პაპუამ ერთი საბუთიანი წიგნი წამოაყენა, რომ პაპის ჩვენის პაპის დიდის დავითის დროს ამათი პაპები სამნი ძმანი ყოფილან და სამნე გაუჭრიათ და ეს საყდარ[ი] და სასაფლაო სამთ ძმათ გაუყვიათ, რომ იმ წიგნში ნიშნულათ [v] სწერია. რომელი მხარე რომლის ძმას რგები[ა], რომ ზემო ტატანთ ჩვენება არა იყო რა, არცარა საქმე ქონიათ.

ამ წიგნის ძალით ეს ზურაბ, თამაზა, სვიმონ<sup>1</sup> გამტყუნდენ და ველარას შეუვიდენ<sup>1</sup>. დარჩათ მთლათ ქვემო ტატიშვილებს. დღეის იქით ამ საყდარზე ამათ სადაო აღარა აქვსთ რა.

ამისის მიზეზით ამ საყდარში ზემო ტატიშვილებმა [მ]კვდრები დამარხეს თავისის აზრით, რომ ჩვენი არისო, ესენი არ ამარზინებდენ; და მე ამათმა ბატონმა ზაალ დავითიშვილმა დავამარხვინე ამისის მიზეზით, რომ ეს იოთამ და პაპუა ცარიელის სიტყვით დაობდენ და წიგნი არ გამოგვიჩინეს. მეორე, რომ ჩემი ბეითალმანი იყო, ამისის მიზეზით დავამარხვინე<sup>2</sup>. და ეს იოთამ და პაპუა იმ [მ]კვდრებზედ ველარას ელაპარაკებიან, რომ არც წიგნი გვაჩვენეს დ[ა] იმა[თ] ს[ა]ქმე არ ქონდათ<sup>3</sup>. და მეორე, ჩემი ბეითალმანი იყო. ამისის მიზეზით მკვდრებთან იოთამს სიტყვა არა აქვს.

და ამ საყდართან და სასაფლაოსთან ზემო ტატანთ ხელი არა აქვს რა. ეს ასე გადასწყდა.

ოკლონბერს კ, ქორონიკონს უპდ.

### 397. განჩინება აბულაძეების განჩინების საქმეზე

1798 წ. 15 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2149. პირი. ქალაღი. მხედრული.

ქ. აბულაძეები ბატონის ამილახორის ოთარის ზრძანებით გაყრილიყვნენ, მაგრამ მამულზედ ვერ მორიგებულყვნენ.

ჩვენ, ყოვლად სამღვდლო სამთავნელ ეპისკოპოსი გერვასი მაკავარიანი, მოვედით კარიანის სოფელში; რადგან ეს აბულაძეები სამთავისის წმიდის ეკლესიის ყმანი იყვნენ, ამათი სადაო საქმე გამოვიძიეთ და ეს მამულები ამ ეკლესიის მოვანახეთ.

ერთი მთელი საკომ[ლ]ო იყო დიდად შემეკული, ერთიანი მიწა

<sup>1</sup> შეუედაენ. <sup>2</sup> დაუმასხვიენ. <sup>3</sup> გაქდა.

აყო ოცდახუთის დღისა, ერთი თავი ედვა შინდისის მამულის მიღგმამდინ: მეორე გვერდი საზენაქროდ მიჩაშვილის მიწის მიღგმამდინ, რომ ხვედრიანელი და ხიზანაშვილის მიწის ბოლოს უძეს, ბოლოს სამანი ბუძალაძის მიწის თავს რუ რომ გარდაუდის იქამდინ, აქათ საქვენაქროდ ხვედრიანელისა და კიდევ ხიზანაშვილის მიწა უძეს იქამდინ, დღე ნახევრის მიწა ამ დიდს მიწას აძეს. ერთი გვერდი საზენაქროდ ხუციშვილის მიწამდინ, საქვენაქროდ ხვედრიანელის მიწის მიღგმამდინ, ბოლო ურჯამელაშვილის მიწის მიღგმამდინ და თავი დიმიტრი მღვდლის ხოდაბუნაბდინ.

ამ მიწაში ორი ბერყენა დგას: ერთი აღმოსავალის მხარეს — პირველი მისი სამანი ის არის და მეორე დასავლის მხარეს — იმას იქით ერთის დღის მიწა კიდევ არის, მეორე სამანი ის არის. აქადამ ორი წილი ტეტიას და ლაზარეს ერგო და ერთი გოგიას, რომელიც თითონ ირჩია.

ამას გარდა კიდევ ქარის მიწა ორის დღისა, თავი გზაზედ უძეს, ბოლო ხვედრიანელის მიწამდინ. საზენაქროდ ისევ ხვედრიანელის მიწა და საქვენაქროდ ხუციშვილის მიწა უძეს და შუაზედ შარა.

ამას გარდა ვარცლა მიწა სამის დღისა, თავს ბეჟიტაშვილის რუ უძეს, ბოლო ხუციშვილის მიწა, კიდევ საქვენაქროდ ისევ ხუციშვილის მიწა უძეს, საზენაქროდ უჯარმელას-წვილის მიწამდინ, კიდევ ნანეხვი ქებაძის მიწის მიღგმამდინ, ბოლო მაჩაბლის ხოდაბუნის გარდასწვრივ. საზენაქროდ ხვედრიანელის მიწამდინ, საქვენაქროდ უოჟიკისშვილის მიწის მიღგმამდინ.

ამას გარდა ნავენახევი ერთის დღისა ძველს ნასოფლარში რომ ქებაძის მიწასთან [არის].

ამას გარდა ნაფუძარი ორის დღის გოგიას რომ მივეციით, თავი ბუძალაძის ვენახი, საქვენაქროდ მამულას ვენახამდინ, საზენაქროდ გარსევანიშვილის ტეტიას მიწამდინ, ბოლო ისევ ამავე ნაფუძრის ნაჭერი ლაზარესი და ტეტიას წილი, ტეტიანი ნაფუძარი თავი გარსევანაშვილის მიწის მიღგმამდინ, საზენაქროდ შარამდინ და მაჩაბლის ხოდაბუნამდინ, საქვენაქროდ ოტიაშვილის მიწამდინ, ბოლო აღუაშვილისა და სუმას მიწამდინ.

აქვე ნასახლარი მცირე მიწა თავისის კაის შესავალ-გასავლითა, ქვევით გძელა თავი სირბილაძის მიწის მიღგმამდინ, ბო-

ლო კვების რე. საზენაქროდ ბორე ბენაშვილის მიწამდინ, საქვენაქროთ ბერის შვილის მიწამდინ, აქვე კარის მიწა ბერის შვილის მიწის მიდვამდინ. ბოლო გვერდი მამულას შვილის მიწამდინ, საბზელი და კალო ტეტას და ლაზარეს<sup>1</sup>.

ეს მამულეები. სახნავი დარჩეული მიწები ასე აღვრიცხეთ: ვენახი თავი ტიტთანმდინ. ბოლო რუმდინ, საზენაქროდ ადუაშვილის მიწამდინ, საქვენაქროდ ოტიაშვილის ვენახამდინ. ამ მამულეებამ ორი წილი ტეტას და ლაზარეს მივეციით და ერთი წილი სულ დარჩეული გოგიას მივეციით, რომ ორნივე დასჯერდნენ. ამაში სადაო აღარა აქვსთ რა.

მეორესთან სულ საბლით არის გაზომილი და საბლით<sup>2</sup> გასწორებული. საბზლისა და კალოს ალაგიც მოუქვით, გოგიას მივეციით.

ახალი ქვევრი თორმეტი ჰქონდათ: ოთხი გოგიას მივეციით და რვა ორთ ძმათა.

საწახელი სამთავე იყო, მაგრამ ერთი წილი ავიღევით. და ერთი წილში გოგია უნდა გაკეთებას მოეხმაროს.

ეს სასხლავი და სახნავი ორი წილი ლაზარეს და ტეტას და ერთი წილი გოგია აბულაძეს.

ამ მამულეებს სახელები დაერქო და თავ-თავეთთვის დაიხემეს. ჩვენის ეკლესიის ყმანი რადგან არიან და ჩვენი ბეგარა სძესთ, ყოველს წელიწადს ბეგარას, რადგან ორნი ძმანი ერთად არიან, ორს წილს ბეგარს ეს ორი უნდა მოართმეკდნენ და ერთს — გოგია. ძღვენი კი ასე არ იქნება.

ამ საქმის განჩხრეკა, ეს ამისი გარიგება ღმრთის წინაშე სიფრთხილით გვიქმნია. და ამაში არც მარჯულ და არც მარცხნივ არ მიგვიხედავს, სახელსა მისსა ვახსენებ. სოფლის კაცნიც ჩემთან დავისწარ და ისე მოვარიგე, რომ ფიცით დაკვაშტაციეს.

ამ საქმეში ამას იქით მშვიდობით ყოფა და არც ალაგილა აქვსთ ერთიმეორესთან შფოთის. რომელიც ამ ჩემს განსჯილს და გარიგებულს გარდავლენ, ეკლესიასაც უნდა ჯარიმით მსახურონ და ამილახორის ჯარიმა ხუთი თუმანი გარდაიხადოს. აღიწერა ნოემბრის იე, წელსა ჩღუფ, ქორონიკონს უაღ.

ხელრთვა: გერეასი  
კიდეზე:

საბზელი და კალო ძველი ლაზარესია და გოგიამ თავისს მამულში გააკეთოს. გოგიას სადაო არა აქვს. ეს ყველამ ასე იცოდეს.

1 ბოლა. 2 + დაის. 3 საბბლით.

გოგეას რომ კალო აქვს ის ტეტის უნდა მისცემოდა, მაგრამ გოგეას მივეცი ახალი; ძველი კალო ტეტისი და ლაზარესია. აღიწერა ნომბერს, ქორონიკონს უპთ.

დავითას მიწამდინ აქათ შარამდინ. აქავ ხრიალა თავი დავითის მიწის მხდგამდინ, ბოლო წყარომდინ, იქით გვერდი ად უ ა შ ვ ი ლის მიწამდინ აქათ შარამდინ, ერთას დღისა მუხის მიწა თავი რუმდის.

verso

აბულაძეების დებულებას ასე ვაწესებთ: თხუთმეტი კოდი სდებოდათ ქერი და პური. ახლა ასე ვსწერთ: რადგან ზალონა ემოწმება, ოცი კოდი მიართონ ეკლესიასა — თორმეტი კოდი პური, რვა კოდი ქერი. ჩვენის მოხელის თამაზას და შიოს ჩვენთან დასწრებით უწერთ ამასა. ქორონიკონს უპჟ.

ხლრთვა: გერვასი

აქ ჩვენთან დაესწრო ჩვენი ბერი გერმანე და ჩვენი ეკლესიის მოხელე ქავთარაძე თამაზა. ††

**398. ბანჩინება იოსებ მაჰავარიანისა და ნინია ანდრიაშვილის  
სახისხლო საქმეზე**

1798 წ. 10 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 146. პირი. ქალაღი. მხედრული.

[115] მაჰავარიანი იოსებ ანდრიაშვილს ნინიას ძმის სიკვდილს უჩიოდა. ჩვენ, სრულიად ქართლისა, [v] კახეთისა და სხვათ მეფის ირაკლი მეორის ძემ იულონ, მოკითხული ვქმე[ვ]ნით, რომელ მაჰავარიანის იოსების ძმა ანდრიაშვილს მოეკლა და სამართლით სისხლი განვაჩინეთ.

ეს მაჰავარიანი იოსებ შუა აზნაურშივლიად ჩავარდა და სანატრელის მეფის ვახტანგის სამართლის წიგნში — ოცდაათს რიცხვში შუა აზნაურშილ[ი]ს ოთხმოცდათექვსმეტ თუმანს სისხლს აჩენს. რადგან მაჰავარიანი შუა აზნაურად აღირიცხა, ოთხმოცდათექვსმეტ, თუმანი სისხლი ანდრიაშვილმა ნინიამ უნდა მისცეს მაჰავარიანს იოსებს.

და თუ ანდრიაშვილს ასეთის მიზეზისათვის მოუკლავს მაჰავარიანის იოსების ძმა, რომ ან მთლად სამართალი სისხლის ჩაუტარებს და ან მოუკლებს რასმე, იმისი საბუთი რაც ჰქონდეს, სამართალში გამოაცხადოს და საქართველოს სამართლის განწესებისაებრ სამართალი მიეცემა.

თუ არადა, როგორც სამართალით ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი გაგვიჩენია, ის უნდა დაუურკოს ანდრიაშვილმა მაჰავარიანს[ს].

ისაულო! ეს ასე აღასრულე. დეკემბრის ი, ქორონიკონს უპდ.



ამ მაჰავარიანის მკვლელს ნინიას ორი ძმა ჰყავს, ერთს და-  
თოა ჰქვიან და მეორეს ბაცაცა. როდესაც მაჰავარიანი მოუ-  
კლავს, მაშინ ძმები ერთად ყოფილან და გაუყრელნი და სისხლას  
პასუხიც ერთად უნდა ვასცენ სამართლით.



### 399. ბანინება გოგია მღაზრიშვილისა და ტერ-ფარსილას მამულის საქმეჲ

1798 წ. 11 დეკემბერი

ცსა. ფ. 1448. საბ. № 3926. დედანი. ქალაქი. 20,3×17,2 სმ. მხედრული,  
განკვეთილობის ნიშანი ნახარი არ არის. ა-მეტნაკლული.

ქ. პაპუნა ზაზროშვილის დედას ღორიჯლიჯას  
ქალს ლელას საღრიჩაშვილის ბეჟანასაგან თა-  
ვისი მზითვით მიწა ეყიდნა ორიოდ დღისა. პაპუნა ზაზროშვილიც  
მოკვდა და სხვა შვილებიცა. ამ ზაზროშვილების მამული შეიქმნა  
ბეთალმალი. და ერისთვის შვილს როსტომს ზოგი გო-  
გია მღებრიშვილისთვის მიეცა და ზოგი იმავე ზაზ-  
როშვილის განაყოფის გრიქოლასთვის. და ის თავისის  
მზითვით ნასყიდი ორის დღის მიწა იმ დედაკაცისთვის ებოძა სა-  
ზრდოთა და სამკვდროთ.

და იმავე დედაკაცის სიცოცხლეში ტერ-ფარსილა თავისის.  
სახლისკაცს<sup>2</sup> ბეჟანას წასადებოდა: ეს მიწა რომ უყიდნია შენგან  
ამ პაპუნა ზაზროშვილის დედას, ნახევარი ხომ ჩემია. და თუ ჩემი  
წილიც გაგეყიდოს, ან ისევე დამიხსენ, და ან სამაგიარო ამისთანა  
კარგი მიწა მამეც. ბეჟანას ეთქვა ტერტერასთვის თვიჯონ იმ დე-  
დაკაცთან: ჩემი წილი მოგყიდეო და ტერტერას წილი როდის  
მამიყიდნიაო; დედაკაციც დამოწმებოდა, მართალი არისო.

ამისი მოსთაბარი მოწმე[ე]ბი მ[ო]იყევანა ტერტერამა: შ ა ე შ ი -  
შ ვ ი ლ ი ღ თ ი ს ი ა, ტ ე რ - [ს] ტ ე ფ ა ნ ე და თვითონ ზაზროშვი-  
ლი გრიქოლა. ცოტა ხანს უკან დედაკაცი მოკვდა და ჩვენთან მოვი-  
და ტერ-ფარსილა და გვ[ი]თხრა: დედაკაციც ხომ ისევე ცოცხალი  
ყო, რომ ამ ჩემ[ი] სახლისკაცმა ბეჟანამ უთხრა ამ მოწმე[ე]ბთა-

<sup>1</sup> სასდოთა. <sup>2</sup> ახლისკაცი.

ნა, რომ ამ ტერ-ფარსილას წილი არ მამიყიდნიაო; და დედაკაცმაც თქვა, რადგან! ფიცით მეუბნებიო, შენ იციო, ეს მიწა რომ დარჩა ბეთალმად, ტერტერამ თავისი მამული გვთხოვა. და მოხუცებულმა კაცთაც უმოწმეს ტერ-ფარსილას — შაყულ თამზა ბე და და შვილი, ხარბეგაშვილი მანუჩარ, ბერუა და მამუკა მახოხაშვილი იქ დაგვესწრენ, რომ ბეჟანა საღარიჩაშვილმა ფიცით თქვა და ჩვენც იქ ვიყავით, რომ შენი მამული არ გამიყიდნიაო.

ის თავისი ერთის დღის მიწა ტერ-ფარსილას დარჩა და მივეციო. და ის ერთის დღის მიწა რომ იმ დედაკაცს უყიდნია ბეჟანასაგან, ის ბატონისა არის და ნება [ა]ქვს, ვისაც უბოძებს.

არის ამისი მოწმე[ე]ბი და გამრიგენ[ი]: ბოქოულთხუტეისი ფირან ჩერქეზიშვილი ზეპალი: მონა ლთისა ჩერქეზიშვილი ფირან; იოსებ ნაზირი თულაშვილი ზეპალი: იოსებ ნაზირი: მამასახლისი გემანაშვილი ბერიქ; ქობლიანიძე ბერიქ; ქარელი ბეციკა; აკოფაშვილი იოანექ; მამუკელაშვილი მამასახლისი ზურაბაქ.

აღიწერა ფეხბერვლის კთ, ქორონიკონს უპ[დ]. მე, იოსებ ნაზირს, დამიწერია ამ ბოქოულთხუტეის სიტყვითა და ამ მოწმე[ე]ბის სიტყვითა და ნებითა.

ეს ტერტერას მიწა უღალო<sup>2</sup> არის ქ.

კიდეზე:

ქ. ეს ჩვენც მოვიკითხეთ და მოწმებმაც ასე გვარწმუნეს. ერთი დღის მიწა ტერ-ფარსილას დარჩა და ერთი დღისა გოგია. მღებრიშვილს<sup>3</sup>. დეკენბერს ია, ქორონიკონს უპ[დ].

ზეპალი: სახლთხუტეისი იოანე.

#### 400. ბანინებაჲ შამაზაანთ ბაინდურას ჰპრივის ვალის საქმეჲა

1780 წ. 19 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1450; დავთ. № 2. საბ. № 1. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[1] მისს. უგანათლებულესობას მეფის ძე გიორგისათვის არზა მიერთმევეინა ყაშაზანთ ბაინდურას ქვრივს: შაინაშვილის პოლთასს სახელზე სახლი მიეყიდე, თამასუქი მქონდა და დამეკარგაო და თეთრი დარჩომილაო და არ მაძლევსო.

1 რადღ. 2-უღალო. 3 ქ გოგიას.

ჩვენ — მათ მონათ ქვემოთ აღბეჭდელთათვის ებრძანებინა ამა-  
თი სამართალი. ჩვენ პოლოსას დაუძახეთ და ვკითხეთ.

პოლოზამ აღვიარა: მართალია, მე, მაგ დედაკაცის სახლის ფუ-  
ლი დარჩომილა, უნდა მივეცო; მაგრამ ახლა ჩემი მეზობლები ასე  
წიუბნებიან: შენს სახლში ყოფილა ბურჯის გზაო. მე სადაო საქმე  
არ მინდაო. პოლოსა ამითი თავს მართლობდა და თეთრს უხუ-  
თებდა.

ეს ქვრივი დედაკაცი ამას უპასუხებდა: მალვით არ გამიყინდია-  
მელიქ-მამასახლისის ავეტიქას და ქეთხუდების შე-  
ტყობინებით აშკარათ ძველის სიგლებიც გაშინჯეს და ახალი სიგე-  
ლიც იმის პირზედ გამოწერეს. თუ გზა ყოფილიყო, სიგლებში  
ეწერება.

ჩვენც ეს სიგლები მოვკითხეთ. რომელიც ძველი სიგლები იყო  
ამვე დედაკაცთან, ამ ოცდაათი თუმნის გირაოდ ყოფილიყო. რად-  
გან დატყვევდნენ, სიგლებიც და თამასუქიც მაშინ დაქარგოდა და  
ახალი სიგელი პოლოსას ჰქონდა, ეს მორჩომოდა, გამოიტანა. ძველი  
სიგლების პირზედ იყო დაწერილი. ეს რომ გავშინჯეთ, მუხტაბარო  
მტკიცე სიგელი იყო დაწერილი, მიჯნა-ბურჯამდინ მიკრული ეწე-  
რა; თუ გზა ყოფილიყო და უწინ ჰქონოდა, ადვილს დააგდებდნენ.

რადგანც პოლოსა ამას ლაპარაკობდა და დედაკაცს თეთრი არ  
ეძლეოდა, თითონ ტყვე იყო, ვალი ემართა და შვილი დასახსნელი  
ჰყვანდა, ამ ბარობაზე ჩვენ — მოქალაქეებმაც პოლოზა ხათრიჯამი  
გავხადეთ და ეს თეთრი მოვაცემინეთ ამ სახლის გზის ბარობაზედ.  
ამასთან სადაო და სალაპარაკო არავისა აქვს. გზა რომ კიდევ [V]  
ყოფილიყო, რადგანაც ბედნიერ მეფეს და ქალაქს ერთი კომლი  
გლები შეემატება, ის გზა აღარ უნდა იყოს.

სახლის აღლი არის ოთხას სამოცდათერთმეტი, თეთრი დარჩო-  
მილა 36 (ოცდახუთი თუმანი), რომ ეს თეთრი სრულად უნდა მის-  
ცეს. ამისი რაც ერთმანეთთან მეტ-ნაკლები ანგარიში იყო, გადა-  
წყდა; რომ ამათ ერთმანეთთან სადაო და სალაპარაკო აღარა აქუსთ  
რა. ქრისტიშობის ით, ქორონიკონს უჰდ.   ხელრთვა:

, გევო, ოჰანეზ.

**401. ბანძინაბა ქაიხოსრო აგიაშვილისა და ვახუშტი წერეთლის შინს  
საქმეჲ**

1784—1790 წწ.

ქუთაისის სახელმწ. ისტ. ეთნოგრ. მუზ. საბ. № 1768. დედანი. ქაღალდი. 32×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია თითო წერტილი. საბუთი თარიღდება ქაიხოსრო გუნცაძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. აგიაშვილი ქაიხოსრო და წერეთელი ვახუშტი გავაბჰვეთ<sup>1</sup>.

ვახუშტიმ უჩივლა: ბატონმა მეფე სოლომონ ბიძაჩემსა და მამაჩემს ოფშკვითს გლეხები უბოძა და გვყავდა. მეფე სოლომონ რომ მიიცვალა, მას უკან შენ გყავს ის ჩვენი გლეხები, რაშიდ გვართმევ, არ ვიციო.

აგიაშვილმა უპასუხა: მართალია, ის გლეხები შენ გყავდა ბატონის წყალობით, მაგრამ ისევე იმ ბატონმა გამოგართვათ. მე და ჩემი ძმა ბატონს ჩაქვს ვახლდით, მის წინ ჩამოვარდით, ორივე ჩემი ძმა მოკლეს და მე თოფები მკრეს; და მისთვის ის გლეხები ბატონმა მეფე სოლომონ მე მიბოძა და მყავს. მეფე სოლომონის სიცოცხლეშიდ არც დაგიბოძოვია.

ვახუშტიმ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს, რამდენი გლეხი იყოს, იმდენი ოცდაოთხ-ოცდაოთხი გლეხი კაცი და ან მისი ამაველი აზნაუ[რ]-შვილები და ასე შეაფიცოს: «მეფე სოლომონს შენთვის ის გლეხები არ ებოძებოდა». თუ ასე შეაფიცოს, გლეხები ვახუშტის დარჩეს.

და თუ ასე ვერ შეაფიცოს, მეფე სოლომონის წყალობა ყოლია წერეთელს, ისევე მეფეს სოლომონს წაუბრძოვია, აგიაშვილისთვის უბოძებია; და ის გლეხები აგიაშვილს დარჩეს.

ბეჭედი: მდივანბეგი გუნცაძე ქაიხოსრო.

**402. ბანძინაბა ბერიკელა და გოგია ლოლაძისა და სხვადასხვა საქმეჲ**

1784—1790 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10344. დედანი. ქაღალდი. 33×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია წერტილი. საბუთი თარიღდება ქაიხოსრო გუნცაძის მდივანბეგობის წლებით.

ქ. ბერიკელა ლოლაძე და მისი ძმისწული გოგია ლოლაძე გავაბჰვეთ.

გოგია მ უჩივლა: მამა მომიკვდა, შენგან მამობას მოვე-

<sup>1</sup> გავაბჰვეთ.



ლოდი, მოულის მაგიერათ დედა გამილახე, მაშინ კი მორჩა, მარა გალახულობამ გაუხსენა და იმ გალახულობთ მოკვდა.

ბ ე რ მ ა ა შ ო რ ო უ თ ხ რ ა.

ამისი ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თავათ ბერმა და თერთმეტი თავის ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და ასე უფიცოს: «სიტყვით თუ რამე მეთბრობიოს, თორე ჩემის ხელით დედაშენი არ გალახულიყოს». თუ ასე უფიცოს, არას ემართლება. თუ ვერ უფიცოს, ნახევარი სიიხლი მისცეს ბერმა გოგიას.

ქ. გოგია მ უ ჩ ი ვ ლ ა: პარტახი გამიყიდე, გოგია ლოლაძეს მიმიყიდე.

ბ ე რ მ ა უ პ ა ს უ ხ ა: მართალია, ჩვენმა საერთო კაცმა გოგია ლოლაძეს უბრალთ კაცი დაუწვა, ხელათქნელათ გაუჩნდა ჩვენი კაცი, შენ არაფერი შეგეძლო. მართალია, პარტახი გავყიდე და გოგიას მოურთიგდი. მართალია, ცხრა ფრული გამოვითავე, მარა შვიდი ფრული გარდაჩა. სხვა ისევე მას მოუხდა. შვიდი მარჩილი უნდა მოგცე.

გოგია მ უ ჩ ი ვ ლ ა: ცხრა მარჩილის ხარი ჩვენმა კაცმა თავის დანაშაურში გამოიღო და ის ხარი შენ მოიხმარე.

ბ ე რ მ ა უ პ ა ს უ ხ ა: შვიდი მარჩილი უმალ ნახარჯი მქონდა ჩემი საკუთარი იმ საქმეში და მართალია, ხარი გამოვართვი იშაში.

გოგია მ უ პ ა ს უ ხ ა: ის შვიდი მარჩილი რომ ნახარჯი [გ]ქონდა, ის თეთრი საერთო იყო.

ბ ე რ მ ა ასე ხელი დაუჭიროს, რომ: «ის შვიდი მარჩილი შენი საერთო არ ყოფილიყოს». თუ ასე უსამართლოს, არას ემართლება. თუ ვერ უსამართლოს, ხარი საზიარო ყოფილა, ნახევარი მისცეს ბერმა გოგიას.

ქ. გოგია მ უ ჩ ი ვ ლ ა: საერთო მოვახლე გვეყავდა და შენ გამიყიდე.

ბ ე რ მ ა უ პ ა ს უ ხ ა: მართალია, მუვახლე გვეყავდა, მარა წაგვივიდა, არ დადგა. მართალია, გავყიდე, მარა შენ არაფერი შეგეძლო, და გვეყავდა გასათხოვარი, და თორმეტი მარჩილის მეტი დას მოუხდა ზითვათ და ხარჯათ მართალია, ეს თორმეტი მარჩილი მე დავხარჯე.

ექვსი მარჩილი მისცეს ბერმა გოგიას.

ქ. გოგია მ უ ჩ ი ვ ლ ა: ალაგი ამოივე, გაყიდე და არაფერი მარგე.

ბერმა უპასუხა: მეორე ალაგი გვაქ ამოსაგები; მივდგეთ  
ორივემ, სწორათ ამოვიგოთ, შევაფარდოთ.

რომელიც ნამეტანი გამოვიდეს, ერთმანეთს სათავი მისცენ. თუ  
ვერ ამოიღონ, რომელიც ამოეღოსთ, შუევაზე გაიყონ; რომელიც  
ამოღებაზე დახარჯოდეს, გოგიამ მისცეს.

ბერმა ანაწერი მოიტანა მამამისის დანახარჯის, სამოცი მარ-  
ჩილის ჩემი საზიარო დახარჯა მამაშენმა.

გოგიამ უპასუხა: მე არაფერი მახსობს, ყმაწვილი ვი-  
ყავი, შენ შემატყობინე და მე გარდაგიხდი.

ამისი ასე გავაჩინეთ: წამოდგეს ან თავათ და ან სამი გლები  
კაცი ასე შეაფიცოს. «ამ ანაწერში რაც წერია, კიდევ მართალი  
იყოს, არცარა ამის სამაგიერო მე რამე მომცემოდეს, არც ნატყუ-  
ვარი იყოს». თუ ასე სამართალი მისცეს, ოცდაათი მარჩილი გარდუ-  
ხადოს გოგიამ ბერს. თუ ვერ უფიცოს, გაუვაროს.

ქ. ამას გარდა ზოგი ახირებულეები უჩივლეს; გავსინჯეთ, მარა  
ჯამოსადეკი არაფერი იყო და გავარჯინეთ.

ქ. დედა ყოლიათ ცოცხალი, ბერთან არის. ამისი ასე გავ-  
სინჯეთ: ორვესი სარჩენი არის; გოგიამ წელიწადში შვიდი კოდი  
ლომი და შვიდი თორმეტანი ღვინო მისცეს, სანამდის იცოცხლოს;  
რომ მიიცივლოს, რაც ბერს დაეხარჯოს გასვენებაზე, ნახევარში  
გოგია შეუდგეს.

ორი ბეჭელი:

1. მღივანბეგი გუნცაძე ქაიხოსრო
2. მღივანი დავით

#### 403. განჩინება ბებან წულუკიძისა და გოგია ავალიანის საქმეზე

1784—1790 წწ.

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3293. დედანი. ქალაღი. 33,5×23 სმ. დაზიანებუ-  
ლი, კედები ჩამოტრეცილია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი  
ხიტყვის შემდეგ ნახშირია წერტილი. საბუთი თარიღდება ქაიხოსრო  
გუნცაძის მღივანბეგობის წლებით.

ქ. ბეჟან წულუკიძე და ავალიანი ვოგია, მისი  
ძმისწული ზაუსტა გავაბჰვეთ<sup>1</sup>.

ბეჟანმა უჩივლა: ბაბუაჩემი ხოსია წულუკიძე  
თავის ძმას მე რაბ წულუკიძეს საყვარლათ ახლდა და მამა-

<sup>1</sup> გავაბჰვეთ.

შენმა ზაუსტამ დაასმინა თავის ძმას მერაბს და ურჩია: ხოსია წულუკიძე დაიჭირე, თუ არა. წაგახდენსო. დააჭირვინა ბაბუაჩემი, ბეჟან და დიანს თვალების დასათხრელათ მიაბარა. ღმერთმან დაუმადლოს, თვალები კი აღარ დაუთხრია; და თავის მამულისა და ყოფისაგან იმ დღეს აქეთ გარდმოყრილი ვართ.

გოგია ავალიანმა უპასუხა: მამაჩემი მერაბის კაცი ყმა იყო, ბაბუაშენი ხოსია წულუკიძე მერაბს წახდენასა და ლალატს უპირებდა, მამაჩემსაც ლალატს და სიკვდილს უპირებდა. მართალია, შეიტყო, ურჩია და დაიჭირეს.

ბეჟანმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ბეჟანმა ორმოცდარვა იმ ავალიანის ტოლი აზნაურშვილი და ასე შეაფიცოს: «მამიშენის პირველის რჩევით სანამდი ბაბუაჩემი ხოსია წულუკიძე არ დაიჭირეს, მანამდი ბაბუაჩემს ხოსია წულუკიძეს არც თავისი ძმის მერაბის წახდენა და ლალატი სდომოდეს და გამოერჩიოს არც მამიშენის ლალატი და სიკვდილი სდომოდეს».

თუ ასე უფიცა, ან მთელი სისხლი მისცეს წულუკიძეს ავალიანმა და ან როგორც სამართლის წიგნშიდ ეწეროს, ისე მიეცეს ავალიანი წულუკიძეს ხელათ მქნელათ.

თუ ასე ვერ უფიცოს, თავისი ბატონის წახდენა და ლალატი შეუტყვია თავისი, მისი ლალატი<sup>1</sup> და სიკვდილი თავისი ბატონისთვის ურჩევია: და ბეჟან ვერაფერს შეუა ავალიანს.

ქ. გოგია ავალიანმა უჩივლა ივანე ავალიანს: ქუტირს ჩემი საკერძო გლეხები გყავს, რათ მართმევ, არ ვიცო

ივანემ უპასუხა: მამაშენმა ის გლეხები ჩელებს მიყიდა [მის]გნით. მასუკან ღმერთმან ჰეფე სოლომონს ძლევა მისცა, თათრისაგან ამოიყვანა და შენის აღნებით<sup>2</sup> ბატონისაგან მე ვიშოვნეო. აღნება<sup>3</sup> რომ მითხარი, ამისი ქრთამიც გამომართვი.

გოგიამ აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ასორმოცდაოთხი გლეხი კაცა და ან მისი ამაველი აზნაურ[რ]შვილი და ასე შეაფიცოს: «ჩელებისთვის ხელმოწყვეტ საუდეო წიგნით მამაჩემს ის გლეხები არ მიეყიდოს, არც მე და არც ჩემს ძმას შენთვის შესარჩენათ იმ გლეხების შერჩენის აღნება<sup>3</sup> არ გვეთხრობიოს».

თუ ასე უფიცოს, გლეხები სრულებით გოგიასა და მის ძმის-

<sup>2</sup> ლატატი. <sup>1</sup> ანლებით. <sup>3</sup> ანლება.

წულს დარჩეს. და თუ ვერ უფიცოს, ზაუსტას ხელმოწყვეტ თათ-  
რისთვის მიუყიდია, მეფე სოლომონს ამოუყვანია, ივანესთვის უბო-  
ძებია, გოგიასა და მისი ძმის ალნებით<sup>1</sup> უშოვნია, ალნების<sup>2</sup> ქრთამიც  
ჯამოურთმეგია და ივანეს დარჩეს გლეხე[ბი].

გოგიამ თუ თავისი ძმის სვიმონის ალნება<sup>3</sup> ფიცშიდ ვერ ჩაატა-  
ნებოს და თავისი კი ი[ფიცოს], სვიმონის კერძი გლეხები ივანეს  
დარჩეს, და გოგიას კერძი გლეხები — გოგიას და [სვიმონს?].

ქ. გო გ ი ა მ უ ჩ ი ვ ლ ა: მერაბ წულუკიძემ მამაჩემს ხანი-  
დრავასეული გლეხები [და ად]გილ-მამული წიგნით უბოძაო, შენ  
წამართვი და შენ გყავსო.

ი ვ ა ნ ე მ ა შ ო რ ო უ [თ ხ რ] ა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს ივანემ ორმოცდარვა გლეხი  
კაცი და ასე შე[აფი]ცოს: «ხანიდრავასეულს გლეხებსა და ადგილ-  
მამულს რომ მედევები, მაგ წიგნშიდ [რომ] გიწერია, ხანიდრავასე-  
ული არც გლეხები, არც ადგილ-მამული მე არაფერი მქ[ონ]დეს».

თუ ასე უფიცოს, არაფერს ემართლება. და თუ ვერ უფიცოს,  
რომელიც [წიგნ]შიდ უწერია, ივანემ გოგიას მისცეს.

ქ. გოგია ავალიანის ძმები რომ ხლებია ხოს[ია წულ]უკიძეს  
და მომკედარა და იმათი სოულობა ხოსიას შვილებსა და შვილის  
შვილებს [რომ] აქვს, გავსინჯეთ. მაგრამ სანამდი წულუკიძეები  
ერთმანეთშიდ არ გამართლდ[ება], მანამდი იმათი სოულობა ვისაც  
ანლა უჭირავს, ისევე მას ეჭიროს.

ქ. გოგია ავალიანმა ხოსია წულუკიძის თეთრის თამასუქი მოუ-  
ტანა ბეჟანს.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: რამდენი ათი მარჩილი ეწეროს, იმდენი  
გლეხი კაცი შეაფიცოს: «არც ეს თამასუქი ხოსია წულუკიძის მო-  
ცემული იყოს, არც არაფერი მამიშენის მართებოდეს».

და თუ სამართალი ვერ მისცეს, თამასუქშიდ რამდენიც ეწე-  
როს, ბეჟანმა ერთიორათ მისცეს გოგიას.

ორი ბეჟელი:

1. იმერეთს ვინ მეფობს იუდეთელი, მანვე სპათ-სარდლათ  
მყო წ ღ რ ე თ ე ლ ი პ ა პ უ ნ ა.

2. მდივანბეგი გ უ ნ ც ა ძ ე ქ ა ი ხ ო ს რ ო.

1 ანლებით. 2 ანლების. 3 ანლება.

ს ა რ ჩ ე ბ ი

|  |      |
|--|------|
| წინასიტყვა . . . . .   | V—VI |
| 1. განჩინება იასე მიქელიძისა და ბერა ბეგისშვილის მამულის საქმეზე<br>1776 წ. 16.III . . . . .                             | 9    |
| 2. განჩინება დავით ორბელიანისა და იესე ამილახორის ყმების საქმეზე<br>1776 წ. 3.V . . . . .                                | 10   |
| 3. განჩინება იასე ამილახვარისა და ივანე თათქირიძის ყმის საქმეზე<br>1776 წ. 24.V . . . . .                                | 11   |
| 4. განჩინება იოსებ თუმანიშვილის ყმის თათულას საქმეზე 1776 წ. 9.VI  | 13   |
| 5. განჩინება გლაზა და ქაიხოსრო ფანელიშვილების მამულის საქმეზე<br>1776 წ. 15.VI . . . . .                                 | 14   |
| 6. განჩინება ესაია აღასა და თაყუას შვილის მიკირტუმას ვალის საქმეზე<br>1776 წ. 24.VI . . . . .                            | 15   |
| 7. განჩინება ურბნელის ღალისა და კულუხის საქმეზე 1776 წ. 27.VI  | 16   |
| 8. განჩინება იოანე ნათიშვილის ყმის ივანე ბლიაძის საქმეზე 1776 წ.<br>29.VI . . . . .                                      | 18   |
| 9. განჩინება დავით ციციშვილისა და პეტრე ავალაშვილის ყმის საქმეზე<br>1776 წ. 1.XII . . . . .                              | 19   |
| 10. განჩინება ლუარსაბ ონანაშვილისა და დავით აფხაზის მამულია საქმე-<br>ზე 1777 წ. 14.I . . . . .                          | 20   |
| 11. განჩინება ბეჟან ამილახორიშვილისა და როსტომ ერისთვისიშვილის<br>აზნაურშვილების სასისსლო საქმეზე 1777 წ. 30.I . . . . . | 22   |
| 12. განჩინება ზურაბ ჭაქვაძისა და პარსიაშვილის მამულის საქმეზე<br>1777 წ. 30.I . . . . .                                  | 23   |
| 13. განჩინება იუსტიენ ურბნელისა და თაქთაქიშვილების ყმების საქმეზე<br>1777 წ. 2.II . . . . .                              | 24   |
| 14. განჩინება ანტონ I-ისა მატინანთ პაპასა და არუთინას ბალის საქმეზე<br>1777 წ. 23.II . . . . .                           | 26   |
| 15. განჩინება იოანე და ბეჟან ყორჩიბაშის შვილების მამულის საქმეზე<br>1777 წ. 23.III . . . . .                             | 27   |
| 16. განჩინება ოსეთას შვილების ნათელასა და შაქროას საქმეზე 1777 წ.<br>27.III . . . . .                                    | 29   |
| 17. განჩინება ზუა და თადია ნაცვლისშვილების გაყრის საქმეზე 1777 წ.<br>4.IV . . . . .                                      | 30   |
| 18. განჩინება ბერიანთა და ნოდარიანთა რუსა და წყლის საქმეზე 1777 წ.<br>29.IV . . . . .                                    | 31   |
| 19. ა რ ზ ა ქაიხოსრო მურყანიშვილისა თამასუქის თაობაზე მდივანბეგთა<br>განჩინებით 1777 წ. 10.V . . . . .                   | 32   |

|   |    |
|---|----|
| 20. განჩინება შუეკაბუკ ორბელიანის ყმის ავაქას საქმეზე 1777 წ. 11.V  | 34 |
| 21. განჩინება საყვარელიძეებისა და მიქელიძის მამულის საქმეზე 1777 წ. 23.VI                                 | 37 |
| 22. განჩინება ბეჟან რატისშვილისა და ბენა გიგაურას ყმის საქმეზე 1777 წ. 31.VII                             | 38 |
| 23. განჩინება ნიჭოზის ღმრთაების ეკლესიის მამულის საქმეზე 1777 წ. 28.VIII                                  | 39 |
| 24. განჩინება ზაქარია და დიმიტრი ციციშვილების მამულის საქმეზე 1777 წ. 29.VIII                             | 41 |
| 25. განჩინება ჩერქეზიშვილების ყმის შალვაშვილების საქმეზე 1777 წ. 19 ნოემბერი                              | 43 |
| 26. განჩინება დიკასტერიისა ტფილელ მიხაილისა და თურქისტანშიელების ყმა-მამულის საქმეზე 1778 წ. 3.I          | 44 |
| 27. განჩინება ყაზარაშვილებისა და გულქანაშვილების წისკვილების საქმეზე 1778 წ. 10.I                         | 45 |
| 28. განჩინება ზაქარია და პაატა მოურავიშვილების მამულის საქმეზე 1778 წ. 17.I                               | 47 |
| 29. განჩინება ლუარსაბ ონანაშვილისა, ქაიხოსრო ბებურიშვილისა და ზურაბ აფხაზის მამულის საქმეზე 1778 წ. 20.II | 48 |
| 30. განჩინება პაატა მეითრისშვილისა და როსტომ ერისთვის შვილის ყმის საქმეზე 1778 წ. 13.III                  | 50 |
| 31. არზა მეჯორე იესესი და ივანესი ყმობის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1778 წ. 24.IV                     | 53 |
| 32. არზა ქაიხოსრო მურვანიშვილისა თამასუქის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1778 წ. 27.IV                   | 54 |
| 33. განჩინება ნათლისმცემლის მონასტრისა და გივის ყმის საქმეზე 1778 წ. 1.V                                  | 55 |
| 34. განჩინება ივანე და სოლომონ აბაზაძეების მამულის საქმეზე 1778 წ. 11.VI                                  | 57 |
| 35. არზა იოანე დოღენჯიშვილისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1778 წ. 20.VII                       | 61 |
| 36. განჩინება ბეჟან რატიშვილისა და ფანიაშვილის ყმის საქმეზე 1778 წ. 3.VIII                                | 64 |
| 37. განჩინება დავით ელიოზიშვილისა და ნაცელისშვილის ქაიხოსროს მამულის საქმეზე 1778 წ. 10.VIII              | 65 |
| 38. განჩინება არუთინა და ისრაილა ნალბანდების საქმეზე 1779 წ. 30.X   | 66 |
| 39. განჩინება ფავენლიშვილებისა და იკორთის მონასტრის ყმის საქმეზე 1779 წ. 14.I                             | 67 |
| 40. განჩინება ზაალ ყაფლანიშვილისა და ბეჟან დოროთაშვილის ყმის საქმეზე, 1779 წ. 27.I                        | 68 |
| 41. განჩინება ნაკულაშვილებისა და მელაშვილების მამულის საქმეზე 1779 წ. 11.II                               | 71 |
| 42. განჩინება ახპატის ეკლესიის საქმეზე 1779 წ. 2.III  | 72 |
| 43. განჩინება ჩობანაშვილებისა და მელიქსეანთ ნასიბას საქმეზე 1779 წ. 6.III                                 | 74 |

|   |     |
|---|-----|
| 44. განჩინება ვაჩნაძიანთა და დაეთ აფხაზის მამულის საქმეზე 1779 წ. 11.III                                    | 75  |
| 45. განჩინება გლაზა როკიკაშვილისა და პაატა მეიჯორის შვილის სასახლის საქმეზე 1779 წ. 16.IV                   | 76  |
| 46. განჩინება ზაზა გოსტაშაბისშვილისა და ზაალ ყაფლანისშვილის მამულის საქმეზე 1779 წ. 20.IV                   | 77  |
| 47. განჩინება რევაზის შვილის სოლომონის და გლაზა მახვულაძის მამულის საქმეზე 1779 წ. 30.IV                    | 79  |
| 48. განჩინება სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილისა და ნიჟარაძეების საქმეზე 1779 წ. 13.V                       | 81  |
| 49. განჩინება ივანე ხერხეულიძისა და ბაღდუა სარქისას შვილის მამულის საქმეზე 1779 წ. 2.VI                     | 82  |
| 50. განჩინება ტერავეტიქას და ტეროჰანას გაყრის საქმეზე 1779 წ. 8.VI  | 83  |
| 51. არზა გიორგი ცაიშვილისა ყმის თაობაზე მღვიანბეგთა განჩინებითა და ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 8.IV          | 84  |
| 52. არზა ფადარაანთ შაქრუას ქვრივ-ობლისა სახლის თაობაზე განჩინებით 1779 წ. 13.VI                             | 86  |
| 53. განჩინება სოლომონ ბეგთაბეგეშვილის ყმების საქმეზე 1779 წ. 20.VI  | 87  |
| 54. განჩინება ლუარსაბ აბაშისშვილისა და ედიას ობლის ყმების საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით                        | 90  |
| 55. განჩინება წერეთლისა და დავითისშვილების ვალის საქმეზე 1779 წ. 24.VII                                     | 92  |
| 56. განჩინება დიკასტერიისა მთაწმიდის ეატოპეტის ხარების მონასტრის ეკლესიის მამულების საქმეზე 1779 წ. 30.VIII | 93  |
| 57. განჩინება ქაიხოსრო საწლთხეციშვილისა და ქავთარ ახალაურის მამულის საქმეზე 1779 წ. 15.X                    | 95  |
| 58. განჩინება ამირეჯობთა ყმა-მამულის საქმეზე 1779 წ. 12.XII   | 95  |
| 59. განჩინება დიკასტერიისა მანუჩარ ლაშქარნიყისისა და მიქელ მღვდლის ვალის საქმეზე 1779 წ. 18.XII             | 97  |
| 60. განჩინება ერასტი გოსტაშაბისშვილისა და ზაალ ყაფლანისშვილის მამულის საქმეზე 1780 წ. 31.I                  | 99  |
| 61. განჩინება ქაიხოსრო აბაშიძისა, გლაზა მახვილაძისა და ზაალ დავითიშვილის მამულის საქმეზე 1780 წ. 19.II      | 101 |
| 62. განჩინება მამუკა თარხნიშვილას ყმების ხაზანაშვილების საქმეზე 1780 წ. 26.II                               | 102 |
| 63. განჩინება დიკასტერიისა ივანე შიოსშვილისათვის ცოლის შერთვის შენდობაზე 1780 წ. 16.III                     | 105 |
| 64. განჩინება იოანე დოლენჯიშვილის ყმის ბასილა ზეიგოძის საქმეზე 1780 წ. 22.III                               | 106 |
| 65. განჩინება დიკასტერიისა იოანე ავალიშვილის შეურაცხყოფის საქმეზე 1780 წ. 14.V                              | 107 |
| 66. განჩინება მაჩაბლებისა და ფალავანდისშვილების ყმების საქმეზე 1780 წ. 18.V                                 | 109 |
| 67. არზა ზაზა თარხნიშვილისა ყმის თაობაზე მღვიანბეგთა განჩინებით 1780 წ. 4.VI                                | 114 |

|               |   |                   |     |
|---------------|---|-------------------|-----|
| 68. განჩინება | ზემო აბაზაძისა და   | 10.VI             | 115 |
| 69. განჩინება | დავით ციციშვილისა და მისი სახლისკაცების გარიგების საქმეზე             | 1780 წ. 27.VI     | 116 |
| 70. განჩინება | თეიმურაზ მდივანბეგისა და გივი ფარეშთბუცესის მამულის საქმეზე           | 1780 წ. 1.VII     | 119 |
| 71. განჩინება | ადამ ყარანგოზიშვილისა და ივანე ბურდულის მამულის საქმეზე               | 1780 წ. 21.VII    | 120 |
| 72. განჩინება | გალუსტა ხანდამაშვილის ყმის საქმეზე                                    | 1780 წ. 9 აგვისტო | 121 |
| 73. განჩინება | ტეტია სახლბუცის ყმის არუთანა მირაქაშვილის საქმეზე                     | 1780 წ. 9.X       | 122 |
| 74. განჩინება | გარსევან ეშკილასბაშისა და ყარახანანთ მოსესას სახლების საქმეზე         | 1780 წ. 24.X      | 124 |
| 75. განჩინება | ადამ ყარაგოზიშვილისა და გოგია გრიგოლაშვილის მამულის საქმეზე           | 1780 წ. 30.X      | 125 |
| 76. განჩინება | ზაზა ამირეჯიბის ყმის საქმეზე  | 1780 წ. 11.XI     | 129 |
| 77. განჩინება | ელიშერ ქავთარისშვილისა და ნათლასმცემლის ყმის საქმეზე                  | 1780 წ. 23.XI     | 130 |
| 78. განჩინება | ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმესა და ხოსია თათიეშვილის საქმეზე             | 1750—1780 წწ.     | 132 |
| 79. განჩინება | იოანე მდივნისა და ანტონაშვილის სახლის საქმეზე                         | 1781 წ. 13.I      | 133 |
| 80. განჩინება | ამირალანთ ოპანჯანაშვილის ისაიას და ბარხულდარაშვილის წისკვილის საქმეზე | 1781 წ. 14.I      | 135 |
| 81. განჩინება | მამასახლისის შვილის სტეფანეს ყმის ბასილანთ ზურაბას საქმეზე            | 1781 წ. 15.I      | 136 |
| 82. განჩინება | საგინაშვილების ყმის დათუაშვილების საქმეზე                             | 1781 წ. 19.I      | 137 |
| 83. განჩინება | იეზანთ სტეფანეს ქვრივ-ობლის ბალის საქმეზე                             | 1781 წ. 28.II     | 139 |
| 84. განჩინება | შერგილანთ პაპას ჯალაბის ვალის საქმეზე                                 | 1781 წ. 5.III     | 142 |
| 85. განჩინება | თუმანიშვილების სახლების საქმეზე                                       | 1781 წ. 8.III     | 142 |
| 86. განჩინება | ნიკოლოზ გერმანოზისშვილის ყმის ბერძენაშვილის საქმეზე                   | 1781 წ. 19.III    | 144 |
| 87. განჩინება | ანტონ I-ისა და კრეზისა იუსტინე ურბნელის შემსენთა საქმეზე              | 1781 წ. 22.III    | 146 |
| 88. განჩინება | ლორელებისა და სესია ბარათაშვილის ყმის საქმეზე                         | 1781 წ. 20.IV     | 147 |
| 89. ა რ ზ ა   | გიორგი ციციშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით                | 1781 წ. 1.V       | 149 |
| 90. განჩინება | გურამიშვილთა გაყრის საქმეზე   | 1781 წ. 14.V      | 152 |
| 91. განჩინება | ამირეჯიბთა გაყრის საქმეზე   | 1781 წ. 18.VI     | 155 |
| 92. განჩინება | ელიზბარ და ზაალ დავითიშვილების ყმების საქმეზე                         | 1781 წ. 26.VI     | 157 |
| 93. განჩინება | ფაველნიშვილებისა და ოქრომქედლიშვილების მამულის საქმეზე                | 1781 წ. 2.VII     | 158 |
| 94. განჩინება | ზალიაშვილების გაყრის საქმეზე  | 1781 წ. 25.VIII   | 162 |
| 95. განჩინება | სოლომონ I-ისა მიქელაძეთა გაყრის საქმეზე                               | 1781 წ. 28.XI     | 163 |



|  |     |
|--|-----|
| 96. განჩინება დაკითვარევის მონასტრისა და ვასილ ნაკულაშვილის მამულის საქმეზე 1781 წ. 15.XI            | 164 |
| 97. განჩინება ბარძიმ მაჩაბლისა და როსტომ ერისთვისშვილის მამულის საქმეზე 1781 წ. 22.XI                | 167 |
| 98. განჩინება ფავლენიშვილებისა და ოქრომქედლიშვილის მამულის საქმეზე 1781 წ. 18.XII                    | 169 |
| 99. განჩინება ზაზა ამარეჯიბისა და ასლამაზ დაეითიშვილის ყმობის საქმეზე 1781 წ. 30.XII                 | 170 |
| 100. განჩინება ქაიხოსრო აგიაშვილისა და საწირელი თემის მამულის საქმეზე 1781 წ.                        | 171 |
| 101. მორიგების წიგნი საწირელი თემისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი 1781 წ.                                 | 172 |
| 102. განჩინება გოგია თუშუაშვილისა და ბასტამანთ მილდისას შვილის ლუქნების შესახებ საქმეზე 1782 წ. 15.I | 173 |
| 103. განჩინება გიორგი შანშიაშვილისა და ზაალ იაგულაშვილის მამულის საქმეზე 1782 წ. IV                  | 174 |
| 104. განჩინება ერეკლე II-ისა მელენეთხუციშვილების სახსრო ყმებად აყვანის შესახებ 1782 წ. 19.IV         | 176 |
| 105. განჩინება დეკანოზიშვილებისა და მეფურიშვილების მამულის საქმეზე 1782 წ. 27.IV                     | 177 |
| 106. განჩინება ოქრომქედლიშვილის ქვრივისა და აბაათარის ყმა-მამულის საქმეზე 1782 წ. 20.V               | 179 |
| 107. განჩინება სულხან თუმანიშვილისა და ფარსადან ამირალაშვილის მამულის საქმეზე 1782 წ. 18.VI          | 180 |
| 108. განჩინება შერმაზან აფხაზისშვილის მკვლელობის საქმეზე 1782 წ. 22.VI                               | 181 |
| 109.* განჩინება შანშიაშვილების ყმების საქმეზე 1782 წ. 27.VI  | 185 |
| 110. განჩინება ბასილაშვილებისა და გელაშვილების მამულის საქმეზე 1782 წ. 24.VIII                       | 187 |
| 111. არ ზა კაცია ლომიტაშვილისა ყმობის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1782 წ. 6.IX                    | 187 |
| 112. განჩინება იესე ამილახერისა და სიქთურაშვილის მამულის საქმეზე 1782 წ. 10.IX                       | 189 |
| 113. განჩინება ნათლისმკემლის მონასტრისა და გოგიბედაშვილების მამულის საქმეზე 1782 წ. 23.IX            | 190 |
| 114. განჩინება ახალსოფელთა და კვარხითელთა წყლის საქმეზე 1782 წ. 12.IX                                | 191 |
| 115. განჩინება ვასილ ნაკულაშვილის მამულის საქმეზე 1782 წ. 20.X                                       | 192 |
| 116. განჩინება თამაზ ზოლოშვილის ნაშვილების საქმეზე 1782 წ. 21.XII                                    | 193 |
| 117. განჩინება იოსებ და ბეცია გეფევიანიშვილთა ყმის საქმეზე 1783 წ. 7.I                               | 194 |
| 118. განჩინება ბეცია გედევანიშვილისა და ბესარიონ თარხნიშვილის ყმის საქმეზე 1788 წ. 18.I              | 196 |

\* ამ საბუთის ტექსტსა და ქორონიკონში გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომები, რის გამო საბუთი ხელშეორედ იბეჭდება დედნის მიხედვით (იხ. საბ. № 132).

|      |   |     |
|------|---|-----|
| 119. | განჩინება ჩერქეზიანთა და მანაველთა მამულის საქმეზე 1763 წ. 18.I                             | 198 |
| 120. | განჩინება გლურჯიძეების ყმა-მამულის საქმეზე 1783 წ. 20.I                                     | 201 |
| 121. | განჩინება მოლარეთხუცეს ნიკოლოზის ვალის საქმეზე 1763 წ. 22.I                                 | 203 |
| 122. | განჩინება გერმანოზიშვილებისა და მირზა იბრეიმის შვილის გოგიას ყმის საქმეზე 1783 წ. 22.I      | 204 |
| 123. | განჩინება ერეკლე II-ისა აგათოშვილების და აიდემურისა და იოანეს მამულის საქმეზე 1783 წ. 11.II | 206 |
| 124. | განჩინება ლუარსაბ მურვანიშვილისა და სურამის მამასახლისის მამულის საქმეზე 1783 წ. 14.III     | 207 |
| 125. | განჩინება ციციშვილების მამულის საქმეზე 1783 წ. 1.IV   | 209 |
| 126. | განჩინება არქიმანდრიტ ანტონისა და ბაყალ მიკირტუმას სახლების საქმეზე 1783 წ. 3.IV            | 214 |
| 127. | განჩინება ერეკლე II-ისა ნახიდურელთა, ნასიბლელთა და ალაბაბლო-ელთა წყლის საქმეზე 1783 წ. 2.V  | 216 |
| 128. | განჩინება ელიზბარ და ზაალ დავითიშვილების მამულის გაყოფის საქმეზე 1783 წ. 3.VI               | 217 |
| 129. | განჩინება ზაალ დავითიშვილისა და ტატიშვილების ყმა-მამულის საქმეზე 1783 წ. 8.VI               | 218 |
| 130. | განჩინება გურამიშვილების ქონების გაყოფის საქმეზე 1783 წ. 21.VI                              | 220 |
| 131. | განჩინება გურამიშვილების მამულის საქმეზე 1783 წ. 25.VI                                      | 221 |
| 132. | განჩინება გოგია შანშიაშვილის ყმების საქმეზე 1783 წ. 27.VI                                   | 222 |
| 133. | განჩინება ზავრამიშვილების მამულის საქმეზე 1783 წ. 28.VI                                     | 224 |
| 134. | განჩინება ქალაქის მოურავის დავითისა და იოანე თაქთაქიშვილის ყმების საქმეზე 1783 წ. 8.VII     | 226 |
| 135. | განჩინება გიორგი უთნელისშვილისა და იორამ მრუელისშვილის სასისხლო საქმეზე 1783 წ. 8.VIII      | 228 |
| 136. | განჩინება გივი ავალიშვილის ყმის მამიას მკვლელობის საქმეზე 1783 წ. 11.VIII                   | 230 |
| 137. | განჩინება გურამიშვილის ყმის მამუკა გოჩიტაშვილის საქმეზე 1782 წ. 12.VIII                     | 231 |
| 138. | განჩინება ზურაბ ბიძინაშვილის მიმართ მოახლის გაწვილების საქმეზე 1783 წ. 27.IX                | 231 |
| 139. | განჩინება თომასა და ხაფერავანის სახლის საქმეზე 1783 წ. 12.X                                 | 232 |
| 140. | არ ზა სულხან მდივნისა და ნასყიდობის თაობაზე, მსაჯულთა განჩინებით 1783 წ. 14.X               | 234 |
| 141. | განჩინება გივი და უთრუთ ციციშვილების გაყრას საქმეზე 1783 წ. 19.X                            | 236 |
| 142. | განჩინება როსტომ და ქაიხოსრო ჯაშიტაშვილების გაყრის საქმეზე 1783 წ. 20.X                     | 239 |
| 143. | განჩინება ფარემუზ და აქაზ ენდრონიკაშვილების გაყრის საქმეზე 1783 წ. 28.X                     | 241 |
| 144. | განჩინება გოსტაშვილებისა და ციციშვილების მამულის საქმეზე 1783 წ. 22.XI                      | 243 |
| 145. | განჩინება გოსტაშვილებისა და ციციშვილების მამულის საქმეზე 1784 წ. 8.I                        | 243 |

|  |     |
|--|-----|
| 146. განჩინება იოანე ელიოზიშვილის ყა'ის ოქრუას საქმეზე 1784 წ. 3.II                                    | 246 |
| 147. განჩინება მზეკაბუჯ მდივანბეგის ჯემების შაბაშვილების საქმეზე 1784 წ. 11.II                         | 247 |
| 148. განჩინება ანტონ I-ისა ელიოზიშვილების ყმის მამულაშვილის საქმეზე 1784 წ. 11.II                      | 250 |
| 149. განჩინება ამილახორიანთა და ბეჟანას მამულის საქმეზე 1784 წ. 20.III                                 | 251 |
| 150. განჩინება იოანე აბაშიძისა და ზაალ ენდრონიკაშვილის მამულების გაყოფის საქმეზე 1784 წ. 22.III        | 255 |
| 151. განჩინება გიოგაშვილებისა და ბეჟანას მამულის საქმეზე 1784 წ. 2.VI                                  | 257 |
| 152. განჩინება ერეკლე II-ისა გოგიაშვილისა და ფაქუნისშვილის ყმის საქმეზე 1784 წ. 5.VI                   | 259 |
| 153. ა რ ზ ა ქრისტესია ოსინაშვილის ყმის თაობაზე 1794 წ. 6.VI   | 260 |
| 154. განჩინება ერეკლე II-ისა ალავერდელისა და ნეკრესელის სამწყსოს თაობაზე 1784 წ. 12.VI                 | 262 |
| 155. განჩინება ბიძინა ფალკენისშვილისა და შოშია საყვარელიძის ვალის საქმეზე 1784 წ. 13.VI                | 264 |
| 156. განჩინება კიკოლა მათუნასშვილის სასიხლო საქმეზე 1784 წ. 15.VI                                      | 265 |
| 157. განჩინება ქრისტესია და ქურქჩი ისაიას შვილების სახლების საქმეზე 1784 წ. 15.VII                     | 265 |
| 158. გასამყრელო წიგნი სტეფანასი და თაყასი 1784 წ. IX   | 267 |
| 159. განჩინება ფალკენისშვილების მამულის გაყოფის საქმეზე 1784 წ. 6.IX                                   | 269 |
| 160. განჩინება ბერო ხომასურძისა და ზაბულონის მამულის საქმეზე 1784 წ. 5.XI                              | 270 |
| 161. განჩინება სოლომონ I-ისა და ქაიხოსრო წერეთლისა და გოგია ჭაფარიძის საქმეზე 1752—1784 წწ.            | 272 |
| 162. განჩინება სოლომონ I-ისა ნიკარაძეთა გაყოფის საქმეზე 1752—1784 წწ.                                  | 273 |
| 163. განჩინება სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილისა და ნაჯარაძეთა მამულის საქმეზე 1752—1784 წწ.          | 274 |
| 164. განჩინება სოლომონ I-ისა პაპუნა წერეთლისა და დავით აბაშიძის მამულის საქმეზე 1752—1784 წწ.          | 275 |
| 165. განჩინება სოლომონ I-ისა პაპუნა წერეთლისა და საინო ბარათაშვილის საქმეზე 1752—1784 წწ.              | 276 |
| 166. განჩინება სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილის სასიხლო საქმეზე 1752—1784 წწ.                         | 277 |
| 167. განჩინება სოლომონ I-ისა პაპუნა და ბეჟან წერეთლების ყმების საქმეზე 1752—1784 წწ.                   | 278 |
| 168. განჩინება სოლომონ I-ისა კიკოლა მაჭავარიანისა და ხოსიკა თაქარაშვილის სასიხლო საქმეზე 1752—1784 წწ. | 280 |
| 169. განჩინება სოლომონ I-ისა დავით წერეთლისა და ბეჟია ცქიტიშვილის სასიხლო საქმეზე 1752—1784 წწ.        | 280 |
| 170. განჩინება სოლომონ I-ისა ვახუშტი ჩიჭავაძისა და ერისთვისშვილების მამულის საქმეზე 1764—1784 წწ.      | 281 |
| 171. განჩინება სოლომონ I-ისა ეფთვიმე გენათლისა და აგიაშვილების მამულის საქმეზე 1776—1784 წწ.           | 282 |

|   |     |
|---|-----|
| 172. განჩინება სოლომონ I-ისა ეფთვიმე გენათელისა და ივანე ავიაშვილის მამულის საქმეზე 1776—1784 წწ.   | 283 |
| 173. განჩინება სოლომონ I-ისა ეფთვიმე გენათელისა და ქიხოსრო ავიაშვილის მამულის საქმეზე 1776—1784 წწ. | 284 |
| 174. განჩინება გენათელ ეფთვიმისა და წინამძღვარ ამბერკის საქმეზე 1784 წ.(?)                          | 285 |
| 175. განჩინება ერეკლე II-ისა დავით ჭულაბაშვილისა და ბირჩაღი მოსესას მამულის საქმეზე 1785 წ. 2.I     | 286 |
| 176. განჩინება სალთხუცეს ქიხოსროსა და კობიაშვილების მამულის საქმეზე 1785 წ. 19.I                    | 288 |
| 177. განჩინება ერეკლე II-ისა ოსეფა მეურმის საქმეზე 1785 წ. 17.III                                   | 293 |
| 178. განჩინება ჯავარა წვერიანისშვილისა და რევაზ ორჯონიკიძის მამულის საქმეზე 1785 წ. 25.III          | 294 |
| 179. განჩინება გოსტაშაბისშვილების წისკვილის შემოსავლის საქმეზე 1785 წ. 7.IV                         | 295 |
| 180. განჩინება ერეკლე II-ისა სულხან და ქიხოსრო ხიმშიაშვილების მამულის საქმეზე 1785 წ. 12.IV         | 295 |
| 181. ა რ ზ ა იოანე ჭავჭავიშვილის დედისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1785 წ. 5.V             | 296 |
| 182. განჩინება თეიმურაზ მდივანბეგისა და ზაზა უზბაშის გაყრის საქმეზე 1785 წ. 12.V                    | 297 |
| 183. განჩინება ყურჩიას ქალის მარმარას და იწიკწიანთ ფარსადანას ცოლის მამულის საქმეზე 1785 წ. 23.V    | 298 |
| 184. განჩინება მირიამანანთ ავთანდილასა და მანდენანთ სტეფანეს წყლის საქმეზე 1785 წ. 1.VI             | 301 |
| 185. განჩინება დავით მღვდლისა და ონასშვილების მამულის საქმეზე 1785 წ. 12.VI                         | 302 |
| 186. განჩინება იოანე ჭავჭავიშვილის ყმის იესე გულიაშვილის საქმეზე 1785 წ. 24.VI                      | 304 |
| 187. განჩინება ზაქარია და ლუარსაბ ონანაშვილის გაყრის საქმეზე 1785 წ. 2.VII                          | 306 |
| 188. განჩინება იოანე შალკაშვილისა და ნიკოლოზ აფხაზის სახლის საქმეზე 1785 წ. 4.VII                   | 306 |
| 189. განჩინება სულხან და მანუჩარ თუმანიშვილების მოახლის საქმეზე 1785 წ. 11.VII                      | 308 |
| 190. ა რ ზ ა ვასილ კობახიძისა მამულების თაობაზე მსაჯულთშეკრებულების განჩინებით 1785 წ. 14.VII       | 309 |
| 191. განჩინება ბერო და აღო ხატიაშვილების მამულის საქმეზე 1785 წ. 6.VII                              | 311 |
| 192. ა რ ზ ა ოპანეზ შერმაზანაშვილისა ვალის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1785 წ. 15.VIII           | 312 |
| 193. განჩინება დადაშანთ სანველააა და მუმაწოლანთ მიკირტუმას დუქნების საქმეზე 1785 წ. 28.VIII         | 314 |
| 194. განჩინება ობოლაშვილისა და მათეშვილების მამულის საქმეზე 1785 წ. 20.X                            | 317 |

|   |     |
|---|-----|
| 195. განჩინება პართენ მდივნიშვილისა და ქრისტეს საფლავის მამულების საქმეზე 1786 წ. 7.II                  | 319 |
| 197. განჩინება დიკასტერიისა გრაგორ ბერის მამულის საქმეზე 1786 წ. 11.III                                 | 322 |
| 198. განჩინება ბერი ლიპარტისშვილისა და წრიალაშვილების მამულის საქმეზე 1786 წ. 20.III                    | 324 |
| 199. განჩინება ერეკლე II-ისა ივანე დოლენჯიშვილისა და ამილდარ ციციშვილის ყმის საქმეზე 1786 წ. 27.III     | 325 |
| 200. განჩინება გიორგი XII-ისა ნიქოზელისა და ფავლენიშვილების ყმა-მამულის საქმეზე 1786 წ. 24.V            | 325 |
| 201. განჩინება ტერტერა და გაბრიელა ყორღანაშვილების სახლის საქმეზე 1786 წ. 17.VI                         | 332 |
| 202. განჩინება ათანასი არქიმანდრიტისა და წრიალაშვილების მამულის საქმეზე 1786 წ. 24.VIII                 | 333 |
| 203. ფიცი განწესება ერეკლე II-ისა ახურელთა და ჯანდიერიან-ვარნაძიანთ მამულის საქმეზე 1786 წ. 24.VIII     | 334 |
| 204. განჩინება ნიკოლოზ აფხაზის ყმის გეგელიკის საქმეზე 1786 წ. 15.IX                                     | 335 |
| 205. განჩინება ნინია და სვიმონ ბაქურაძეების მამულის საქმეზე 1786 წ. 13.X                                | 336 |
| 206. განჩინება ზაალ ყაფლანიშვილისა და ჯადაანთ ოსეფას ქალის მამულის საქმეზე 1786 წ. 10.XI                | 338 |
| 207. განჩინება გედევანიშვილების ყმის ჭავახი ზურაბას საქმეზე 1786 წ. 15.XI                               | 340 |
| 208. განჩინება მეითრიშვილებისა და დავით მეფურიშვილის მამულის საქმეზე 1786 წ. 17.XI                      | 341 |
| 209. განჩინება ერეკლე II-ისა ქაიხოსრო ტუსისშვილისა და ლუარსაბ ლოლაძის ყმის საქმეზე 1786 წ. 24.XI        | 344 |
| 210. განჩინება ქაიხოსრო ჭაფარიძისა და ლუარსაბ თარხანის ყმის საქმეზე 1786 წ. 26.XI                       | 346 |
| 211. განჩინება მაჰმადბეგისა და ქიჩიალას მამულის საქმეზე 1786 წ. 28.XI                                   | 347 |
| 212. განჩინება გივი უმეკაშვილისა და დვალისშვილის მამულის საქმეზე 1786 წ. 4.XII                          | 349 |
| 213. განჩინება გოგია და იოსებ გედევანიშვილის მამულის საქმეზე 1786 წ. 17.XII                             | 350 |
| 214. განჩინება გოგია და დათუა ბარაჩაშვილების გაყრის საქმეზე 1787 წ. 8.I                                 | 351 |
| 215. განჩინება პენტელასშვილ მიქელასა და ტერტერასშვილ დანელას ვალის საქმეზე 1787 წ. 9.I                  | 354 |
| 216. განჩინება ბერი ხატასშვილისა და ქაიხოსრო რუსისშვილის მამულის საქმეზე 1787 წ. 5.II                   | 355 |
| 217. განჩინება ზურაბ ბებურიშვილის ყმის საქმეზე 1787 წ. 10.III   | 356 |
| 218. ბრძანება ერეკლე II-ისა ახურელთა და ჯანდიერიშვალთა საქმეზე სამართლის გაჩენის შესახებ 1787 წ. 12.III | 356 |
| 219. განჩინება ჭარდან და ღურამიშხან ჩოლაყაშვილების გაყრის საქმეზე 1787 წ. III                           | 357 |

|   |     |
|---|-----|
| 220. განჩინება ამილბარ მალალაშვილის ყმის შარმაზან ოქროპირიძის საქმეზე 1787 წ. 22.IV               | 366 |
| 221. განჩინება იოანე არქიმანდრიტისა ქაქობიაშვილების მამულის საქმეზე 1787 წ. 3.V                   | 369 |
| 222. განჩინება ბეჟან და შალვა რატიშვილების ყმა-მამულის საქმეზე 1787 წ. 13.V                       | 372 |
| 223. განჩინება ბეჟან და შალვა რატიშვილების ყმა-მამულის საქმეზე 1787 წ. 14.V                       | 372 |
| 224. განჩინება ნიკოლოზ აფხაზისა და მირზაშვილების ყმის საქმეზე 1787 წ. 31 მაისი                    | 374 |
| 225. განჩინება ელისაბარ დავითიშვილისა და ბალათარ ტატიშვილის ქვრივის სასისხლო საქმეზე 1787 წ. 1.VI | 375 |
| 226. განჩინება ბერი ფლავანდიშვილის ყმის გოგია ვაჭრიძის საქმეზე 1787 წ. 8.VI                       | 377 |
| 227. განჩინება ბენენასა და ურჯუაშვილების მამულის საქმეზე 1787 წ. 14.VI                            | 379 |
| 228. განჩინება გიორგი ფისაძისა და ბერო ჩიფჩიბურის ნამულის საქმეზე 1787 წ. 22.VI                   | 380 |
| 229. განჩინება ავალაშვილის ყმის ელაშვილების საქმეზე 1787 წ. 6.VII                                 | 383 |
| 230. განჩინება მოურავისა და თოფჩიბაშის მამულის საქმეზე 1787 წ. 16.X                               | 385 |
| 231. სამართალი ქალაქელ სომეხთა გაყრისა 1787 წ. 18.XI  | 386 |
| 232. განჩინება პაპუა და ეგნატე თუმანიშვილების გაყრის საქმეზე 1787 წ. 27.XI                        | 387 |
| 233. განჩინება კუტის მარიამის შვილის პაპუნას საქმეზე 1787 წ. 29.XII                               | 393 |
| 234. განჩინება მალალაშვილთა მამულის საქმეზე 1787 წ.   | 397 |
| 235. განჩინება ბეჟან და შალვა რატიშვილების სასისხლო საქმეზე 1788 წ. 4.II                          | 399 |
| 236. განჩინება ლუარსაბ ყაფლანიშვილისა და შაქარა მელიქის ყმის საქმეზე 1788 წ. 20.II                | 402 |
| 237. განჩინება ტეროსეფას ქვრივის მარიამისა და ტერ-მიკირტიჩას სახლის საქმეზე 1788 წ. 28.II         | 404 |
| 238. არზა სიმონ მალალაშვილისა ყმის თაობაზე მღვივანბეგთა განჩინებით 1788 წ. 9.V                    | 407 |
| 239. განჩინება ამილბარ ციციშვილისა და იოანე ბოგველის ყმის საქმეზე 1788 წ. 15.V                    | 409 |
| 240. განჩინება ერეკლე II-ისა ენდრონიკაანთ და ვანჩაძიანთ მამულის საქმეზე 1788 წ. 26.V              | 410 |
| 241. განჩინება მელიქი ავეტიქასა და ოსეფა ნაზარბეგის აბანოს საქმეზე 1788 წ. 29.V                   | 412 |
| 242. განჩინება რამაზ და იოსებ გლურჯიძეების მამულის საქმეზე 1788 წ. 30.V                           | 414 |
| 243. განჩინება კიკოზა ციციშვილისათვის საუბატოს გადახდის თაობაზე 1788 წ. 5.VI                      | 416 |
| 244. განჩინება ხიმშიაშვილების მამულის საქმეზე 1788 წ. 27.VI                                       | 418 |
| 245. განჩინება თავლიდარ ოპანეზაასა და თეიმურაზ მელიქიშვილის ვალის საქმეზე 1788 წ. 27.VI           | 420 |

|   |     |
|---|-----|
| 246. განჩინება ერეკლე II-ისა ზაქარა მოურავისა და დავით აფხაზის ყმების საქმეზე 1788 წ. 11.VII      | 421 |
| 247. განჩინება ნიკოლოზ აფხაზის კმის სამუტაშვილის საქმეზე 1788 წ. 1.VIII                           | 424 |
| 248. არ ზ ა აბრამ და პავლე მღვდლებისა დიკასტერიის განჩინებით 1788 წ. 28.VIII                      | 426 |
| 249. განჩინება აბაზაძეთა ვალის საქმეზე 1788 წ. 28.VIII  | 428 |
| 250. განჩინება დიმიტრი აღსაბაძისა და შოშია გედეონისშვილის წისკვილის საქმეზე 1788 წ. 10.IX         | 430 |
| 251. განჩინება თუშთ მოურავისა ჭიმშერისა და პანელების მამულის საქმეზე 1788 წ. 14.IX                | 431 |
| 252. განჩინება რევაზ თყაშვილისა და გივი ნაცელისშვილის სასისხლო საქმეზე 1788 წ. 10.X               | 432 |
| 253. განჩინება მეფის ძის გიორგისა სახარკაშნელო მთის თაობაზე 1788 წ. 10.XI                         | 434 |
| 254. განჩინება მამუკა თარხნიშვილისა და ხახანაშვილის მამულის საქმეზე 1788 წ. 27.XI                 | 435 |
| 255. განჩინება გრიგოლ ბახუტაშვილისა და მამუჩიანთ მამულის საქმეზე 1788 წ. XI                       | 437 |
| 256. განჩინება ერეკლე II-ისა ზალდასტანიშვილების სასისხლო საქმეზე 1788 წ. 4.XII                    | 439 |
| 257. განჩინება დავით მგალობლიშვილისა და მისი რძლის გაყრის საქმეზე 1788 წ. 22.XII                  | 442 |
| 258. განჩინება ცაიშის ეკლესიის ყმა-მამულის საქმეზე 1777—1788 წწ.                                  | 444 |
| 259. განჩინება დავით მეფისა დოსითეოს ქუთათელისა და ლოლაბერძეების ყმების საქმეზე 1784—1788 წწ.     | 445 |
| 260. განჩინება დავით მეფისა დოსითეოს ქუთათელისა და ანტონ ერისთავის მამულის საქმეზე 1784—1788 წწ.  | 446 |
| 261. განჩინება ზაალ ყაფლანისშვილისა და ერასტი გოსტაშაბიშვილის სასისხლო საქმეზე 1789 წ. 24.I       | 447 |
| 262. განჩინება დავით ბოდბელისა და ბარნაბიანთ მამულის საქმეზე 1889 წ. 1.III                        | 449 |
| 263. განჩინება ბეროზაშვილისა და სოლომანის საქმეზე 1789 წ. 7. IV                                   | 451 |
| 264. განჩინება გოგოქურებისა და ზარიძეების მამულის საქმეზე 1789 წ. 16.IV                           | 452 |
| 265. განჩინება ანდუყაფარ ბანტურიშვილის ყმების აკოფაშვილების საქმეზე 1789 წ. 22.IV                 | 454 |
| 266. არ ზ ა იოანესი წისკვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმითა და მღვიანებეთა განჩინებით 1789 წ. 25.IV | 458 |
| 267. განჩინება ამირალანთ ზურაბისა და აფრასიაონის გაყრის საქმეზე 1789 წ. 4.V                       | 459 |
| 268. განჩინება იოანე დოლენჯიშვილის ობლის ვალია საქმეზე 1789 წ. 9.V                                | 463 |
| 269. განჩინება რატიშვილების გაყრის საქმეზე 1789 წ. 12.V   | 465 |
| 270. მორიგების წიგნი-შალიკაშვილებისა დავით ციციშვილისადმი 1789 წ. 30.V                            | 467 |

|                |   |                 |     |
|----------------|---|-----------------|-----|
| 271. განჩინება | დავით ბატონიშვილისა რუისის წყლის საქმეზე                                | 1789 წ. 22.VI   | 468 |
| 272. განჩინება | ხატისთელეთელ ტერარაქელას საქმეზე  | 1789 წ. 10.VII  | 471 |
| 273. განჩინება | გოსტაშაბიშვილების საწისკვილოს საქმეზე                                   | 1789 წ. 11.VII  | 476 |
| 274. განჩინება | ზაალ ყაფლანიშვილისა და გოსტაშაბიშვილების მამულის საქმეზე                | 1789 წ. 23.VII  | 477 |
| 275. განჩინება | იოანე ოდიშელიძისა და გიორგი ბურჯუკურის მამულის საქმეზე                  | 1789 წ. 27.VIII | 479 |
| 276. განჩინება | სტეფანა და ქალუა ივანგულიანთ დუქნების საქმეზე                           | 1789 წ. 23.IX   | 481 |
| 277. შერიგების | წიგნი ძირბისა და ილანხევის თემისა                                       | 1789 წ. 2.X     | 482 |
| 278. მსაჯულთა  | წიგნი მხარეთა სასამართლოში გამოუცხადებლობის შესახებ                     | 1789 წ. 16.XII  | 483 |
| 279. განჩინება | აწყურელთა და ზოდაშნელთა მამულის საქმეზე                                 | 1790 წ. 10.I    | 484 |
| 280. განჩინება | თაქთაქიშვილთა ყმა-მამულის საქმეზე                                       | 1790 წ. 20.II   | 488 |
| 281. განჩინება | ეშიკაღასბაშ რევაზისა და სოლომონის გაყარის საქმეზე                       | 1790 წ. 1.III   | 488 |
| 282. განჩინება | აბრამ მღვდლის მამულის საქმეზე   | 1790 წ. 14.III  | 490 |
| 283. განჩინება | არქიმანდრიტ ანტონისა და თაყნაშვილების ყმა-მამულის საქმეზე               | 1790 წ. 2.IV    | 491 |
| 284. განჩინება | გიორგი უგანაძისა და შერმაზან ბასილაშვილის მამულის საქმეზე               | 1790 წ. 25.IV   | 494 |
| 285. განჩინება | სოლომონ კვალაიშვილისა და იოსებ გედევანიშვილის ყმის საქმეზე              | 1790 წ. 30.V    | 496 |
| 286. განჩინება | იოსებ და სტეფანე პაპაშვილების მამულის საქმეზე                           | 1790 წ. 14.VI   | 497 |
| 287. განჩინება | ნათლისმცემლის მონასტრის ყმის სვიმონას საქმეზე                           | 1790 წ. 19.VI   | 499 |
| 288. განჩინება | ალავერდალას მეუღლისა და წესიარას ვალის საქმეზე                          | 1790 წ. 28.VI   | 500 |
| 289. განჩინება | ლუარსაბ ლოლაძისა და გივი ღმიკაშვილის მამულის საქმეზე                    | 1790 წ. 11.VII  | 501 |
| 290. განჩინება | მისის უწმინდესობის დიკასტერიისა მიერ                                    | 1790 წ. 26.VII  | 504 |
| 291. განჩინება | ენდრონიკაანთა და ჭიმიეთელ მამულის საქმეზე                               | 1790 წ. 10.IX   | 508 |
| 292. უჯათობის  | წიგნი ირაკლი II-ისა სახლთუხუცეს ქაიხოსროსადმი სამართლის მიცემის შესახებ |                 | 509 |
| 293. განჩინება | ველისციხელთა და ახაშნელთა მამულის საქმეზე                               | 1790 წ. 28.IX   | 511 |
| 294. განჩინება | ქარუმიძეთა მამულის საქმეზე  | 1790 წ. 28.XI   | 512 |
| 295. განჩინება | ერასტი უზბაშის ყმის სტეფანეს საქმეზე                                    | 1790 წ. 13.XII  | 513 |
| 296. განჩინება | სვეტიცხოვლის ყმის კაკაბაშვილის საქმეზე                                  | 1791 წ. 29.I    | 515 |
| 297. განჩინება | ვახტანგ ყაფლანიშვილის ყმის ტერამიკირტუშას საქმეზე                       | 1791 წ. 4.II    | 517 |
| 298. განჩინება | იასე პეტრიაშვილისა და პაპუა ნაცელიშვილის მამულის საქმეზე                | 1791 წ. 28.II   | 518 |



|      |  |     |
|------|--|-----|
| 299. | განჩინება სოლომონ II-ისა ეფთვიმი გენათელისა და ბუქუა აყოფა-<br>შვილის საქმეზე 1791 წ. 13.III             | 519 |
| 300. | განჩინება ერეკლე II-ისა მყაუშვილთა და გიორგიწმინდელთა მამულის<br>საქმეზე 1791 წ. 18.III                  | 521 |
| 301. | განჩინება იოსებ ცაქლაშანიძისა და თომა აბულვარდისშვილის მა-<br>მულის საქმეზე 1791 წ. 19.III               | 524 |
| 302. | განჩინება ბუნტურებისა და ზალიბგაშვილის მამულის საქმეზე<br>1791 წ. 26.III                                 | 525 |
| 303. | განჩინება სოლომონ ბებურიშვილის ყმების საქმეზე 1791 წ. 1.IV   | 526 |
| 304. | გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ერეკლე II-ისა პაპუა კორინთელისა და ო ს ე ბ ი ს<br>ს ა ს ი ს ხ ლ ო საქმეზე 1791 წ. 3.IV | 529 |
| 305. | განჩინება ზაზა მალალაშვილის ყმის თევდორე ბიძინაშვილის საქმეზე<br>1791 წ. 9.V                             | 531 |
| 306. | განჩინება იასე პეტრიაშვილისა და პაპუა ნაცვლისშვილის მამულის<br>საქმეზე 1791 წ. 2.VI                      | 535 |
| 307. | განჩინება დათუნა ესიტაშვილის მამულის საქმეზე 1791 წ. 8.VI  | 535 |
| 308. | განჩინება მაჰმადბეგისა და ალაბაბას მამულის საქმეზე 1791 წ. 9.VI  | 537 |
| 309. | განჩინება გედევანიშვილების ყმის საქმეზე 1791 წ. 18.VIII  | 538 |
| 310. | განჩინება იოანე და ბექან ნაზაროვების ვალას საქმეზე 1791 წ. 28.VIII                                       | 541 |
| 311. | განჩინება ფარემუზ ხოჯაშვილისა და მარდახას მამულას საქმეზე<br>1791 წ. 1.IX                                | 542 |
| 312. | განჩინება გედეონისშვილთა მამულის გამოსაღების საქმეზე 1791 წ.<br>8.IX                                     | 544 |
| 313. | განჩინება ერეკლე II-ისა გრიგოლ სახლბხეჯისა და ერწოველთა მა-<br>მულის საქმეზე 1791 წ. 19.IX               | 544 |
| 314. | განჩინება თანაისშვილების მამულის საქმეზე 1791 წ. 27.IX   | 545 |
| 315. | განჩინება ველისციხელთა და ახაშნელთა მამულის საქმეზე 1791 წ.<br>19.X                                      | 547 |
| 316. | განჩინება სოლომონ თარხნიშვილის ყმის ოჰანეზა ფაფაქრაშვილის<br>საქმეზე 1791 წ. 20.X                        | 547 |
| 317. | განჩინება დოსითეოს ნეკრესელისა პეტრე მღვდლის სა-<br>ს ი ს ხ ლ ო საქმეზე 1791 წ. 9.XI                     | 549 |
| 318. | განჩინება ერეკლე II-ისა ენდრონიკანთ და ჭიმიტელთ მამულის საქ-<br>მეზე 1791 წ. 26.XI                       | 550 |
| 319. | განჩინება ბეცია სარდლის ყმის ახალკაციშვილების საქმეზე 1791 წ.<br>3.XII                                   | 553 |
| 320. | განჩინება ქარუმძეთა სასისხლო საქმეზე 1791 წ. 16.XII  | 554 |
| 321. | განჩინება ავთანდილ ბაბალაშვილისა და თამაზა იარალაშვილის ღუქ-<br>ნის საქმეზე 1791 წ. 24.XII               | 558 |
| 322. | განჩინება გოდერძი ქურჩულისა და პაპუა დრეიძის მამულას საქმეზე<br>1792 წ. 12.II                            | 559 |
| 323. | ა რ ზ ა მყაუშვილებისა ცხერის თაობაზე მოსამართლეთა განჩინებით<br>1792 წ. 24.II                            | 561 |
| 324. | განჩინება ჩერქეზიშვილების ყმა-მამულის საქმეზე 1792 წ. 6.III  | 563 |

|      |   |     |
|------|---|-----|
| 325. | განჩინება არუთენ შერმაზანაშვილისა და საყვარელიძის ვალის საქმეზე 1792 წ. 24.III            | 564 |
| 326. | განჩინება მარტყოფელი პეტრესა და მისი ძმისწულების გაყრის საქმეზე 1792 წ. 6.IV              | 565 |
| 327. | განჩინება ვანძაძიანთა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე 1792 წ. 19.IV                      | 568 |
| 328. | განჩინება დავით და რევაზ თაყაშვილების ყმა-მამულის საქმეზე 1792 წ. 22.V                    | 569 |
| 329. | განჩინება ერეკლე II-ისა ლომი და ბეჟან გვარამაძეების ყმობის საქმეზე 1792 წ. 10.VI          | 572 |
| 330. | განჩინება ეფთვიმე წინამძღვრისა და სოლომონ მდივანბეგის სახლების საქმეზე 1792 წ. 21.VI      | 573 |
| 331. | არზა გიორგი ნასახჩიბაშის ნაიბისა მამულის თაობაზე განჩინებით 1792 წ. 23.VI                 | 575 |
| 332. | განჩინება დავით და ზაზა ამირეჯიბების ყმა-მამულის საქმეზე 1792 წ. 21.VII                   | 576 |
| 333. | განჩინება ერეკლე II-ისა დავით და ზაზა ამირეჯიბებსა გაყრის საქმეზე 1792 წ. 29.VII          | 578 |
| 334. | არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე მსაკულთშეკრებლების განჩინებით 1792 წ. 20.IX      | 579 |
| 335. | განჩინება რამინ ამირეჯიბისა და გლახა მახვილაძის მამულის საქმეზე 1792 წ. 24.IX             | 581 |
| 336. | არზა აივანასი ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის განჩინებით 1792 წ. 16.X                         | 582 |
| 337. | განჩინება შანშე ერისთვისშვილისა და ერეკლე ფალავანდიშვილის მამულის საქმეზე 1792 წ. 4.XI    | 583 |
| 338. | განჩინება ქიტესა ლომიტაშვილისა და მიშელაშვილის ცოლების შეურაცხყოფის საქმეზე 1792 წ. 18.XI | 586 |
| 339. | განჩინება მეჩეთის მამულების საქმეზე 1792 წ. 15.XII  | 587 |
| 340. | განჩინება მერაბ მოურავისა და ნოდარ სახლთუხუცესის მამულის საქმეზე 1792 წ. 26.XII           | 589 |
| 341. | განჩინება გიორგი მორდლისა და ბარამ ნაზირის სასისხლო საქმეზე 1793 წ. 28.I                  | 590 |
| 342. | განჩინება გიორგი გოგნიაშვილისა და ვასილ ზაალას შვილის მამულის საქმეზე 1793 წ. 10.II       | 592 |
| 343. | ნედიატორეთა განჩინება იესე და სულხან თაქთაქიშვილების გაყრის საქმეზე 1793 წ. 25.II         | 594 |
| 344. | განჩინება როსებ მაყაშვილის ყმის ლაღალას საქმეზე 1793 წ. 14.II                             | 597 |
| 345. | განჩინება ბერი ფრიდონაშვილისა და გიორგი ქართველის სასისხლო საქმეზე 1793 წ. 15.II          | 599 |
| 346. | განჩინება დავით მგალობლაშვილისა და დავით მდივნის სარგოს თაობაზე 1793 წ. 4.III             | 602 |
| 347. | განჩინება ჭავჭავიშვილებისა და მალალაშვილის მამულის საქმეზე 1793 წ. 28.III                 | 603 |

|  |     |
|--|-----|
| 348. განჩინება გიორგი ევზირიშვილისა და დათუა გვერდწითელის მამულის საქმეზე                        | 606 |
| 349. განჩინება პაპუნა და ბერი გემიაშვილების მამულას საქმეზე 1793 წ. 14.V                         | 611 |
| 350. განჩინება ბერუა და ზურაბა თავაზაშვილის მამულის საქმეზე 1793 წ. 8.VI                         | 612 |
| 351. განჩინება ერეკლე II-ისა ხიმშიაშვილების მამულის საქმეზე 1793 წ. 13.VI                        | 613 |
| 352. განჩინება დიმიტრი თურქისტანიშვილისა და მისი ყმის გოგიას სასისხლო საქმეზე 1793 წ. 13.VI      | 615 |
| 353. განჩინება ზაზა და დავით ამირეჯიბთა ყმის საქმეზე 1793 წ. 4. VII                              | 616 |
| 354. განჩინება ზურაბ ფურცელაძის ყმის ქურთ რამაზას საქმეზე 1793 წ. 20.VIII                        | 618 |
| 355. განჩინება გლახა ფალავანდიშვილის ყმის ლუარსაბ ნაგლაძის საქმეზე 1793 წ. 13.IX                 | 619 |
| 356. განჩინება ფურცელაძეთა და გიკაშვილთა სასისხლო საქმეზე 1793 წ. 14.IX                          | 621 |
| 357. განჩინება რევაზ რატიშვილისა და ბეჟანას ყმა-მამულის საქმეზე 1793 წ. 17.IX                    | 623 |
| 358. განჩინება ერეკლე ფალავანდიშვილისა და ტრანკაშვილის მამულის საქმეზე 1793 წ. 10.XII            | 624 |
| 359. განჩინება ისია ამირალაშვილას ყმის გომიაშვილის საქმეზე 1793 წ. 28.XII                        | 624 |
| 360. განჩინება სვეტიცხოვლისა და ცაციშვილების ყმების საქმეზე 1793 წ. 30.XII                       | 626 |
| 361. განჩინება გოგია და ფირალა ფირალაშვილების გაყრის საქმეზე 1793 წ.                             | 627 |
| 362. ა რ ზ ა ხაზარა ყენიაშვილისა სმლის თაობაზე ერეკლე II-ის განჩინებით 1794 წ. 16.I              | 628 |
| 363. განჩინება ერეკლე II-ისა წირჩველთა, გაბიდაურთა და ჯიმშიტაშვილთა მამულის საქმეზე 1794 წ. 31.I | 629 |
| 364. ა რ ზ ა რუსიაშვილებისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1794 წ. 8.III                 | 631 |
| 365. განჩინება ჩერქეზიშვილების ყმა-მამულის საქმეზე 1794 წ. 17.III                                | 632 |
| 366. განჩინება მანგლელისა და გაბრიელ მაღალაშვილის ყმის საქმეზე 1794 წ. 1 აპრილი                  | 633 |
| 367. განჩინება დავით ალექსიძის ყმის მერაბ ჯაოშვილის საქმეზე 1794 წ. 17.V                         | 635 |
| 368. განჩინება თეიმურაზ ჩხეიძისა და დავით მაღრაძის საქმეზე 1794 წ. 21.V                          | 637 |
| 369. განჩინება თომა აბულევრდისშვილისა და იოსებ ცალკალმალიძის მამულის საქმეზე 1794 წ. 1.VI        | 638 |
| 370. განჩინება პაპუა და ეგნატე თუმანიშვილების გაყრის საქმეზე 1794 წ. 1.VI                        | 639 |
| 371. განჩინება ქვაბთახევის ყმის ქამალაშვილის საქმეზე 1794 წ. 4.VIII                              | 642 |

|      |  |     |
|------|--|-----|
| 372. | განჩინება დიმიტრი ხიმშიაშვილისა და ბეჟან ამილახვრის შვილის მამულის საქმეზე 1794 წ. 8.VIII      | 644 |
| 373. | განჩინება ბანკურაანთ ყმის ქიტესა კობტაშვილის საქმეზე 1794 წ. 17.X                              | 646 |
| 374. | განჩინება პართენ მდივნის შვილის სასისხლო საქმეზე 1794 წ. 20.X                                  | 648 |
| 375. | განჩინება ქარუმიძეთა ყმის სირბილაძის საქმეზე 1794 წ. 9.XII                                     | 648 |
| 376. | განჩინება ერეკლე II-ისა იოანე აბაშიძისა და ზაალ ანდრონიკაშვილის მამულის საქმეზე 1794 წ. 17.XII | 650 |
| 377. | განჩინება გოგია ამირჯიბის შვილისა და გლაზა მახვილაძის სასისხლო საქმეზე 1795 წ. 31.I            | 651 |
| 378. | განჩინება მუხრანბატონის შვილების სასახლის საქმეზე 1795 წ. 5.III                                | 653 |
| 379. | განჩინება ფირან შაბურისშვილისა და ხოსრუაშვილის მამულის საქმეზე 1795 წ. 15.III                  | 655 |
| 380. | განჩინება სავინაშვილის ყმის ადამაშვილების საქმეზე 1795 წ. 27.III                               | 656 |
| 381. | განჩინება დიმიტრი მგალობლიშვილის ქვრავის საწისქვილო საქმეზე 1795 წ. 8.V                        | 657 |
| 382. | განჩინება თომა მელეჩინეთხუცეშვილისა და სეხნია აბრიაშვილის მამულის საქმეზე 1795 წ. 28.V         | 658 |
| 383. | განჩინება მოსე ხუცისშვილისა და გიორგი ხარებაშვილის მნათობის საქმეზე 1795 წ. 30.V               | 660 |
| 384. | განჩინება დავით გარეჯის მამულის საქმეზე 1795 წ. 11.VI  | 663 |
| 385. | განჩინება ქიტესა ამირეზაშვილისა და მისი რძლის გაყრის საქმეზე 1795 წ. 7.VIII                    | 665 |
| 386. | განჩინება დიკასტერიისა დავით აფხაზის ყმის სოროზანაშვილების საქმეზე 1788 წ. 31.VII              | 666 |
| 387. | განჩინება შთავარპისკოპოს ანტონისა და მანობა ქუთათელაძის საქმეზე 1795 წ. 23.X                   | 669 |
| 388. | განჩინება გლაზა მახატელისა და გოგია ზარდიაშვილის სასისხლო საქმეზე 1795 წ. 13.XI                | 670 |
| 389. | განჩინება დოსითეოს ქუთათელისა და ბეჟან ერისთვისშვილის მამულის საქმეზე 1778—1795 წწ.            | 673 |
| 390. | განჩინება თეიმურაზ ფავლენიშვილისა და დარბეღების მამულის საქმეზე 1796 წ. 8.VIII                 | 674 |
| 391. | განჩინება ბეკია თარხნიშვილისა და დავალიძის მამულას საქმეზე 1796 წ. 18.VIII                     | 676 |
| 392. | განჩინება მაკვარიანებისა და სრესელების სასისხლო საქმეზე 1796 წ. 20.VIII                        | 677 |
| 393. | განჩინება დავალიძისა და ბეკია თარხნიშვილის მამულის საქმეზე 1796 წ. 23.VIII                     | 678 |
| 394. | განჩინება ეფთვიმე გენათლისა და ათანასე ჯვარისმამის მამულის საქმეზე 1796 წ. 26.VIII             | 680 |
| 395. | განჩინება ტერპეტროზას ჯალაბისა და პენტელასშვილის მიქელას ვალის საქმეზე 1796 წ. 23.IX           | 681 |
| 396. | განჩინება ტატიშვილების მამულის საქმეზე 1796 წ. 20.X  | 682 |

|      |   |     |
|------|---|-----|
| 397. | განჩინება აბულაძეების გაყრის საქმეზე 1796 წ. 15.XI                                  | 683 |
| 398. | განჩინება იოსებ მაჭავარიანისა და ნინია ანდრიაშვილის სასისხლო საქმეზე 1796 წ. 10.XII | 686 |
| 399. | განჩინება გოგია მღებრიშვილისა და ტერ-ფარსილას მამულის საქმეზე 1796 წ. 11.XII        | 687 |
| 400. | განჩინება ყამაზანთ. ბაინდურას ქვრივის ვალის საქმეზე 1796 წ. 19.XII                  | 688 |
| 401. | განჩინება ქაიხოსრო აგიაშვილისა და ვახუშტი წერეთლის უმის საქმეზე 1784—1796 წწ.       | 690 |
| 402. | განჩინება ბერიკელა და გოგია ლოლაძეების სხვადასხვა საქმეზე 1784—1796 წწ.             | 690 |
| 403. | განჩინება ბეჟან წულუკიძისა და გოგა ავალიანის საქმეზე 1784—1796 წწ.                  | 692 |

## Памятники Грузинского права, т. V

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე  
მხატვარი გ. ნადირაძე  
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 2.4.1973; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.6.1974;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 44.50;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 36.78;  
ტირაჟი 700; შეკვეთა № 1044:  
ფასი 3 მან. 75 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის 19.  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საჭ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19